

შალვა აბაშიძე

ღელეო-ჩემო ქელეო

2017 წელი

შალვა აბაშიძე

ღელო – ჩემო ქელო

(ქედის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე)

მთავარი რედაქტორისაგან

წიგნის სათაურად გამოტანილი სიტყვები რუსთაველის პრემიის ლაურეატს, პოეტ ფრიდონ ხალვაშს ეკუთვნის. მართლაც, დედასავით ეფერებოდა ავტორი საჯილდაო თემას, როგორც დედისგან, იღებდა სითბოს და ძალას, რომ ეწერა ეგზალტირებულს და თითოეული მკითხველის – ქედელისა და არაქედელისათვის შეექმნა საინტერესო წიგნი, ეჩუქებინა მათთვის სიხარული.

ვფიქრობ, ავტორმა კარგად შეძლო ჩანაფიქრის ხორცშესხმა. პოპულარული ენით დაწერილი წიგნი საინტერესოდ იკითხება. მასში უამრავი დიდი თუ პატარა სახელია შეყუჟული, საუბარია იმაზე, როგორ ვიბრძოდით, როგორ გადავრჩით, რანი ვიყავით, რომ უკეთ ვიაროთ წინ და წინ, მაღლა და მაღლა.

მთავარი რედაქტორი თამაზ აბულაძე

საინტერესო მონოგრაფია

შალვა აბაშიძეს საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მისი პუბლიცისტური ხასიათის წერილები ხშირად ქვეყნდება ქართულ პერიოდულ პრესაში. სპეციალობით ისტორიკოსი, რამოდენიმე წიგნისა და ათეულობით პუბლიცისტური წერილის ავტორია. მისი ნაშრომები ძირითადად ეხება აჭარის ისტორიულ წარსულს. ამჟამად მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს მშობლიური ქედის რაიონის ისტორია. საარქივო მასალებზე, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითა და მათი შეჯერება - ანალიზის საფუძველზე წარმოგვიდგენს ქედის რაიონს უძველესი დროიდან დღემდე, გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები ურიცხვი მტრის წინააღმდეგ, რანი ვიყავით და რად ვიქეცით.

ქედის რაიონის ისტორიაზე, მისი მეურნეობის ცალკეულ დარგებზე, სოფლებზე და ადამიანებზე არაერთი ნაშრომი შექმნილა, მაგრამ ეს მისი სრულყოფილებით გამორჩეულია, რაც ავტორის გამოცდილებასა და დიდ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ქედის ისტორიის შესაქმნელად ავტორს ჩაუტარებია კოლოსალური შრომა - დაუძებნია თემასთან დაკავშირებული არსებული ლიტერატურა, საარქივო მასალები, გასაუბრებია უამრავ ხანდაზმულ ადამიანს, მეცნიერ-მუშაკს და შეუქმნია შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც, რაც უნდა დრო გავიდეს, ფასს არ დაკარგავს.

ავტორი ნაშრომის შესავალში დამაჯერებლად ასაბუთებს თემის აქტუალობას და წიგნი დაწვრილებით იხილავს ყველა საკითხს, ყურადღების გარეშე არ ტოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ მხარეს. შესავლის შემდეგ იძლევა ქედის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, მიმოიხილავს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს, რაიონის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ხიდებსა და ეკლესიებს, რაიონს ადრეფეოდალური ხანიდან საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე, ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, აჭარას ოსმალთა ბატონობის დროს, ადგილობრივ მკვიდრთა გამუსლიმანებას, მათ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, საქართველოს შეერთებას რუსეთთან და აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ქედის რაიონს მეორე მსოფლიო ომში, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აღმავლობას, ამ დარგების გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებსა და კიდევ მრავალ სხვა საკითხს.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფია შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამართული ლიტერატურული ენით, იკითხება საინტერესოდ, თავისუფლად, ლაღად და ძალდაუტანებლად. ყველა საკითხი გაშუქებულია პირუთვნელად და მიუკერძოებლად. ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს აჭარისა და, კერძოდ, ქედის რაიონის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ერისა და ქვეყნის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებას, რამეთუ წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი და მისი საფუძვლიანად ათვისების გარეშე მომავლის აშენება შეუძლებელია. ამიტომ ახალგაზრდობის ვალია, თვალი შეავლოს ჩვენს ისტორიულ წარსულს და მის წინსვლა-გაუმჯობესებაზე იფიქროს. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომის გამოქვეყნება, ჩვენი აზრით, მეტად საშური საქმეა, რაშიც ავტორს ყველა მხარში უნდა ამოუდგეს.

რეცენზენტები:

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:	ნოდარ ბასილაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:	ბიჭიკო დიასამიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:	სერგო დუმბაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი:	ოთარ თურმანიძე

ავტორისაგან

ქედის რაიონის ისტორიაზე ეს პირველი წიგნია, თუმცა ცალკეულ დარგებზე, ობიექტებზე და სოფლებზე არაერთი წიგნი შეიქმნა უკვე, რომელთა ავტორები არიან: რ. სურმანიძე, ნ. გათენაძე, თ. აბულაძე, მ. დიასამიძე, შ. აბაშიძე, ა. ნაკაშიძე, ს. სამნიძე, ზ. მახაჭაძე, ც. ბეჟანიძე, ზ. დიასამიძე. ქედის შესახებ ეკონომიკური მონაცემები ასახულია შ. მგელაძის და რ. მანველიძის წიგნებში.

ქედის რაიონის წარსულზე არაერთი მასალა გამოქვეყნებულია პრესაში. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაიბეჭდა ნ. გათენაძის „ნარკვევები ქედის რაიონის ისტორიიდან", 1995-2005 წლებში – თ. აბულაძის პუბლიკაციები დ. ბაქრაძის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძის ნაწერების თაობაზე ქედის შესახებ, არაერთი საინტერესო არქეოლოგიური თემა გააშუქა ვ. ფარტენაძემ, ადგილის სახელების შესახებ უამრავი ნამუშევარი დაბეჭდა ა. ლორთქიფანიძემ.

ამ წიგნში არის ცდა ქედის რაიონის ისტორიის წარმოჩენისა უძველესი დროიდან დღემდე. ამ სამუშაოს შესრულებას წლები დასჭირდა, მაგრამ პროცესი იმდენად საინტერესო იყო, რომ სიამოვნებით გავივლიდი კიდევ.

წიგნზე მუშაობის დროს საინტერესო რეკომენდაციებით და რჩევებით მეხმიანებოდნენ ცნობილი მეცნიერები და მკლევრები: ვანო და გურამ პაპუნიძეები, რამაზ სურმანიძე, ნოდარ და ამირან კახიძეები, ბიჭიკო დიასამიძე, ოთარ თურმანიძე, შოთა მამულაძე, სერგო დუმბაძე, ზაზა შაშიკაძე, ნოდარ ბასილაძე და სხვები.

წიგნზე მუშაობის დროს დამიგროვდა 3000-ზე მეტი საარქივო დოკუმენტი, ასევეულობით ამონაწერი წიგნებიდან, პრესიდან, ჩანაწერები მოგონებების სახით და ა.შ. რომელთა ანალიზი, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი, მაგრამ შედეგი სახეზეა და ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით მიიღებს.

თავიდანვე განზრახული მქონდა, წარმომეჩინა ადამიანები, რომლებმაც შორს გაიტანეს რაიონის სახელი, მაგრამ საინტერესო პირთა რაოდენობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ვეღარ შევძელი ყველას შეტანა, იქნებ მომავალში შევძლო მათ შესახებ ცალკე წიგნის დაწერა.

მარტო მე-20 საუკუნის მანძილზე იმდენია გაკეთებული, ცალკე წიგნების გამოცემა შეიძლება სხვადასხვა დარგებისა და მიმართულების შესახებ. დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება რაიონის ისტორიის შესწავლაც და ახალი წიგნებიც დაიწერება.

წიგნის გამოცემაში დიდი როლი შეასრულა რაიონის გამგებელმა დავით დუმბაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ რისთვისაც უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო მათ მიმართ.

წიგნის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჟურნალისტმა თ. აბულაძემ, რომელმაც დაუზარებლად იკისრა რედაქტორობა და წიგნს ისეთი ძალა შესძინა, რომ დარწმუნებული ვარ გაბედულად ივლის მკითხველიდან მკითხველამდე.

ჩემი მიზანი იყო, წინამდებარე წიგნის საშუალებით მკითხველისათვის მომეთხრო უძველესი დროიდან დღემდე ქედის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ყოფაცხოვრება, ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ბრძოლა ქრისტიანული რელიგიის, ქართული ენის, ქართული კულტურის შენარჩუნებისა და დაცვისათვის. როგორ აშენებდნენ რაიონისა და ქვეყნის კულტურას და ეკონომიკას ქედელთა წინაპრები. რამდენად შევასრულე დასახული მიზანი, შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია.

ქედის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ქედის რაიონი უძველესი დროიდან მჭიდროდ დასახლებული ადგილი ყოფილა. რაიონის ტერიტორიაზე არქეოლოგთა და მკვლევართა მიერ გამოკვლეულია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული ადრე ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები.

შუა საუკუნეებშიც რაიონის ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

1921 წლიდან ახალი ადმინისტრაციული დაყოფით ქედა შედიოდა ბათუმის ოლქში, 1924 წელს გამოიყო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ქედის მაზრის სახით, ხოლო 1930 წლიდან დაფუძნდა, როგორც ქედის რაიონი. 1962-1963 წლებში ნიკიტა ხრუშჩოვის განკარგულებით ჩატარდა საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია. ამ კურსის შესაბამისად 1962 წლის 5-10 დეკემბერს აჭარაში შეიქმნა 2 გამსხვილებული რაიონი – ქობულეთისა (ქობულეთ-ხელვაჩაურის ბაზაზე) და შუახევისა (ხულო-შუახევი-ქედის ბაზაზე). მალე ხულოს რაიონი გამოყვეს, როგორც მაღალმთიანი და 25 დეკემბერს შუახევის რაიონულ ცენტრში ჩატარებული დამფუძნებელი კონფერენციის გადაწყვეტილებით შეერთდა მხოლოდ შუახევი-ქედის რაიონები. თუმცა ეს გაერთიანებაც მალე დაიშალა და 1962 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შუახევი ხულოს რაიონს შეუერთეს. ერთი თვის შემდეგ ქედის რაიონი კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. 1966 წლიდან ქედის ცენტრს მიეცა დაბის სტატუსი. 2006 წლიდან, თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ქედის რაიონს ეწოდა ქედის მუნიციპალიტეტი.

ქედის რაიონი შედგება ერთი დაბის (დაბა ქედა) და რვა თემისაგან: დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, პირველი მაისი, მახუნცეთი, მერისი და ოქტომბერი.

ქედის რაიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის რაიონი, აღმოსავლეთით – შუახევის რაიონი, დასავლეთით-ხელვაჩაურის რაიონი და სამხრეთით – თურქეთის რესპუბლიკა, 17 კილომეტრზე.

ქედის რაიონი აჭარისწყლის ხეობაშია. ის იწყება ქალაქ ბათუმიდან მე-19 კილომეტრზე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ევგენიძეებიდან და მთავრდება 59-ე კილომეტრზე ქედის რაიონის სოფელ მოსიაშვილებით.

ქედის რაიონის საერთო ფართობია 452 კვ. კილომეტრი.

ქედის რაიონის ტერიტორია ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს. მდინარე აჭარისწყლის ხეობის ძირი 100-300 მეტრზეა, ხოლო დაბა 256-მეტრზე. რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიას ავსებს მესხეთის ქედის განშტოებანი, რომელთა შორისაც მთავარია ჩაქვის და ხიოს ქედი. ისინი ქმნიან წყალგამყოფს მდინარე აჭარის წყლის მარჯვენა შენაკადებსა, ჩაქვის წყლისა და კინტრიშის მდინარეებს შორის. ქედის რაიონის სამხრეთ ნაწილში შემოჭრილია შავშეთის ქედის განშტოებები. უმაღლესი ადგილი აქ ღომას მთაა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2441 მეტრია.

მდინარე აჭარისწყლის ხეობა ვიწრო და ღრმაა, ფერდობები ტერასისებურია. ნიადაგების უმეტესობა ვულკანური ქანების გამოფიტვითაა წარმოშობილი, რის შედეგიცაა მერისისა და ვაიოს ოქროსა და სპილენძის საბადოების წარმოქმნა; ქედის რაიონში უხვად მოიპოვება სააგურე თიხა, სამშენებლო ქვა-მასალები.

რაიონი განსაკუთრებით მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით: მინერალური წყალი „კოკოტაური" ზღვის დონიდან 800 მეტრზე გამოედინება სოფელ კოკოტაურის ძანაძეების უბანში და მისი დებეტი დღე-ღამეში 12 ტონას შეადგენს. ძველად ამ წყალს მოსახლეობა შეათბობდა და სამკურნალო აბაზანებს იღებდა. დღეისთვის ძირითადად სასმელად და კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ იყენებენ, 1969 წლიდან დაიწ-

ყეს მისი ჩამოსხმა.

მინერალურმა წყალმა „კოკოტაურმა" 1984 წელს პარიზის გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა, მას საპატიო ადგილი ერგო მოსკოვის გამოფენაზეც („ბორჯომისა" და „საირმის" შემდეგ).

გასული საუკუნის 90-იან წლებში მინერალური წყალი ჩამოყვანილ იქნა თივაურების ტერიტორიაზე და აიგო ჩამომსხმელი ქარხანა.

ქიმიური შემადგენლობით „კოკოტაური" მიეკუთვნება ნახშირმჟავა, სულფატჰიდროკარბონატულ კალიუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიან კისლოვოდსკის ტიპის სულფატური ტიპის წყლებს. მინერალიზაციით 2.8 მ.გ. გამოიყენება კუჭნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, ნაღვლის გამომყოფი გზების ქრონიკული დაავადებების დროს.

მეორე მინერალური წყალი, რომლის ჩამოსხმაც ქარხნული წესით დაიწყო მერისის თემის ტერიტორიაზე, „გუნდაურია", მისი დებეტი ბევრად აღემატება კოკოტაურისას. ის ძირითადად სუფრის წყლად გამოიყენება.

კუჭნაწლავისა და ღვიძლის დაავადებების სამკურნალო თვისებები გააჩნია სოფელ ვაიოში არსებულ მინერალურ წყალს, რომელსაც კარგი მომავალი უჩანს. ზვარის თემის კოლომბრისის ტერიტორიაზე დაწყებულია ამ წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა. ჩამოსხმის დაწყება ნავარაუდევია 2018 წლისათვის. დანდალოში უკვე მიმდინარეობს მინერალური წყლის „კემისის" ჩამოსხმა.

მინერალური წყლები რაიონის ტერიტორიაზე სხვაც მრავლადაა, რომლებიც შესწავლას საჭიროებენ. „აჭარა საკმაოდ მდიდარია მინერალური და სამკურნალო წყლებით, უფრო ჭარბობს რკინისა და გოგირდოვანი წყლები. ყურადღებას იპყრობს ქედის რაიონში მინერალური წყლების მერისის ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობით, აქაური რკინის წყლები შეიცავს თავისუფალ გოგირდმჟავას, ალუმინს, მაგნიუმსა და რკინის სულფატებს.

საყურადღებოა ნამონასტრევის წყლები, რომელთაც თავისი ძლიერი რადიაქტიული თვისებებით გამოირჩევიან საქართველოს კირიან წყლებში, სოფელ კოკოტაურის (ქედის რაიონი) ახლოს ცნობილია ტუტე-კირიანი წყლებით, რომელთაც ძალზე გაზიანი და სასიამოვნო გემოთი ხასიათდებიან.

ქედასა და მის ახლოს მდებარე დუმბაძეების და ბაკანათის რკინის წყლები მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბალნეოთერაპიაში, ქედის ახლოს არის აგრეთვე შევაბურის სამკურნალო წყალი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თვალის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებს". (ნ. ნიჟარაძე, ნ. ჯიბუტი, „აჭარის ასსრ", ბათუმი, 1957 წ. გვ. 69.)

ქედის რაიონში, მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ, ხმელთაშუაზღვის დამახასიათებელი ჰავაა. ადგილის სიმაღლის შესაბამისად ჰაერი ზომიერად ნოტიო ხდება. ზამთარი ზომიერად თბილია და ზაფხული გრილი, მთების ზედა სარტყლის ზონაში დამახასიათებელია ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა +12,8 გრადუსია, იანვარში -3,4, ივლისში -21,2, აგვისტოში -21,7 გრადუსი. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -15,2 გარდუსი და აბსოლუტური მაქსიმალური +42 გრადუსია. ნალექების წლიური რაოდენობა 1500 მილიმეტრს შეადგენს. სჭარბობს აღმოსავლეთისა და მთა-ხეობათა ქარები. თოვლიან დღეთა რაოდენობა 16-დან 30-ს აღწევს.

რაიონის შიგა წყლები ასე გამოიყურება: ქედის რაიონის ფარგლებში მოედინება მდინარე აჭარისწყალი, მისი მარცხენა შენაკადებია: მდინარე აკავრეთა, რომლის სიგრძე 19 კილომეტრია, წყალშემკრები აუზი 134 კვ.კმ. (ის მერისის და ოქტომბრის თემების მთებიდან ჩამოედინება) და ცხმორისის სურნალის ღელე.

მდინარე აჭარისწყალს მრავალი შენაკადი უერთდება მარჯვენა მხრიდან, მათ

შორის აღსანიშნავია: ახოს, წონიარისის, ზვარის, აგარის ღელე და მისი შენაკადი ჭანჭახედი, დოლოგნის ღელეები, რომლებზეც საკმაოდ მომრავლებულია საკალმახე მეურნეობები. ამ მდინარეებმა ხშირად ადიდებაც იცის, გაზაფხულზე თოვლის დნობისას და შემოდგომის წვიმების დროს. მდინარეებში მოიპოვება მთის მდინარეებისათვის დამახასიათებელი წითლად დაწინწკლული კალმახი.

აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულია კოლხური ტიპის მცენარეულობა. ფერდობი ადგილები დაფარულია წიფლნარ-წაბლნარით., წაბლნარი უხვადაა: წონიარისის, დოლოგნის, უჩხითისა და აგარის ტყეებში.

კარგადაა განვითარებული ქვედა ტყე – შქერი, წყავი, მოცვი, იელი, თხილი. ტყეში მრავლადაა პანტა მსხალი, ვაშლი, ბალი, ხურმა, ტყემალი, კაკალი. ხშირად გვხვდება ბზის ბუჩქები, უხვადაა რცხილა, ლეკი,მუხა,თელა,ცაცხვი,ფიჭვი,ნაძვი,სოჭი,თხმელა,ნეკერჩხალი.

ქედის რაიონის ტყეებში ხშირად გვხვდება გარეული ცხოველები: ღორი, მურა დათვი, მგელი, მელა, ტურა, ზღარბი, მაჩვი, კავკასიური ირემი, შველი, კურდღელი. ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია: ანკარა, გველგესლა, ხვლიკი. რაიონში მრავლადაა ფრინველები: ბულბული, ტოროლა, შაშვი, ძერა, კაკაბი, მოლაღური, ჩხიკვი, გარეული ქათამი და იხვი, მტაცებელი ფრინველებიდან: არწივი, მიმინო, ყვავი, ყორანი, ქორი.

სახელწოდება ქედის ეტიმოლოგიაზე გარკვევით არაფერია ცნობილი. ქედა უნდა წარმოდგებოდეს სიტყვა „ქედი"-საგან. ქედის გეოგრაფიული ერთეული, მართლაც, ქედებიანია.

ძველთაგანვე ქედის რაიონის მცხოვრებნი შავშეთისა და გურიის რეგიონს უკავშირდებოდნენ საცალფეხო ბილიკებით. აქედან გზა შავშეთში გადადიოდა.

ქვემო აჭარიდან შავშეთში გადაისვლება აკავრეთას ხეობიდან. ამ გზით უფრო ამ ხეობის მცხოვრებნი სარგებლობდნენ. შავშეთი ზღვისპირეთს მაჭახლის ხეობით უკავშირდებოდა.

აჭარა-გურიის ურთიერთობა უმთავრესად საუღელტეხილო გზებით წარმოებდა. გარდა აჭარის მთავარი გზისა, რომელიც სოფელ ერგედან შედიოდა გურიაში, ყველა დანარჩენი გურია-აჭარის ქედზე გადადიოდა.

ერთი გზა სოფელ მახუნცეთიდან (ქედის რაიონი) მტირალაზე გადიოდა. ასეთივე გზა მიდიოდა საღორეთიდან ჩაქვისთავში.

საუღელტეხილო გზები აკავშირებდა კინტრიშის ხეობას აჭარასთან. ა. ფ. მიქელაძის სიტყვებით, გურია-აჭარის ქედზე ბევრი გზაბაწარია. ჩემს ჯეელობაში ბევრჯერ მივლია ამ გზაბაწრებით. აი მაგალითად, კინტრიშის ხეობიდან თუ წონიარისში გინდა გადახვიდე, ყველაზე უფრო მოხერხებულია ზერაბოსლიდან კალვაზე (მთაა) გადამავალი გზა. დიდვაკიდან თუ ახოში გინდა ჩახვიდე, გზა გადის გორასა (სოფელია) და კალვაზე (მთაა). ზემო ხინოდან გზა მიდის ცხემლისში. ხინოდან ჯერ ნაქურთვალს გაივლი, მერე სალოცავ ქედს, აქედან მოსალთხევს, სასადილოს, ონაგირას, პერანგას და ჩახვალ ცხემლისში. ზემო ხინოდან გზა მიდის წყლისაყარშიც. ეს გზა ასე მიდის: ზემო ხინო, ქვაკვერცხა, წყარვა, დიდველა, სარბიელა, სარმიყელი, ცხემნის იეილა, ჯვარიმინდორი, ამის შემდეგ წყლისაყარია. (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959 წ. გვ. 134).

აჭარა-გურიის მთებზე გამავალი ყველა გზა გადმოდიოდა მახუნცეთში და საღორეთში, ხოლო მახუნცეთის ხიდით გადადიოდა სოფლების – უჩხითისა და მილისის უმოკლესი გზით, მაჭახლის ხეობაში. წონიარისზე და ახოზე გადმომავალი გზებით ვაიოსა და ცხმორისის ყოფილ თაღიან ხიდებზე გავლით, მერისის, აკავრეთას ხეობით გზა მიემართებოდა შავშეთში. ცხმორისის თაღიანი ხიდის საშუალებით ცხმორისის მოცვნარას, არაბაიოლის მთების გავლით შავშეთისა და არტანუჯის მიმართულებით, ხოლო დანდალოს თაღიანი ხიდის გავლით, დანდალოს მერიახევის წყლის ხეობის უმოკლესი გზით და მერისის გავლით, შავშეთისაკენ.

ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის გადმოცემით (რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა გონიოდან ახალციხეში), გზები იმდენად მიუვალ ციცაბოებზე გადიოდა, რომ ზოგჯერ ცხენსაც უჭირდა გავლა და მოგზაურმა გზის დიდი ნაწილი ფეხით გალია.

ცნობილი მეცნიერის აკად. ნიკო მარის (რომელსაც 1911 წელს იმერხევსა და შავშეთში უმოგზაურია) მიხედვით, ამ მეზობელ მხარეებს, ბევრი საერთო აქვთ აჭარასთან. ეს, მართლაც ასეა, რასაც მის მიერ მიკვლეული მასალებიც ცხადყოფენ. იმერხევში გავრცელებული ყოფილა გვარები: შარაძე, მოსიძე, ბუტიძე (მუთიძე) და სხვა, ხოლო შავშეთში – თურმანიძე, ფუტკარაძე, ირემაძე, მორთულაძე, ქადაგიძე, ხელაძე, ლასურიძე, გოგიტიძე და სხვა. სოფლებიდან ასახელებს დუაძეებს, საფუტკრეთს, აგარას, ციხისძირსა და სხვებს, რომლებიც ისე, როგორც ჩამონათვალი გვარები, აჭარაში დღესაც გვხვდება. ნ. მარმა აჭარასთან დიდი მსგავსება შენიშნა აგრეთვე ლექსიკასა და კილოში (ქართული დიალექტოლოგია, თბ. 1961, გვ. 375). ქედის რაიონში კარგადაა შემონახული გვარ-სახელებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების მსგავსება, მაგალითად, მახუნცეთის თემშია სოფლები: საფარიძეები, ჭინკაძეები, დოხოძეები, სოფელ ბზუბზუში: გორგაულიხევი, გოგოლაქედი, სოფელ ზუნდაგაში სათესი: მახაჭური (მახაჭაძე), ბასილაური (ბასილაძე), პირველი მაისის თემის სოფელ აგარაში სათესი როდინაული (როდინაძე).

ქედის თემში გვარ-სახელებთან დაკავშირებული ადგილებია: კაკაბაძეები, გულები (გულო), გოგიური ქედი, გვარამკალო (გვარამაძე-გვარიშვილი), ოქტომბრის თემში: ასამბაძეები, ალიქოშვილები, გოგინაური, გოგინიძეები, გოდერძი, კუჭულა, ნიგალიხეური (ნიგალიძე). მერისის თემში: ინაშარიძეები, წითელაძეები, გოგოლიშვილები, დვალიძეები, გვარამული, კაკაშვილიქედი. ზვარის თემში უბანი მახაჭაძეები, გორგინაული (გორგილაძე), ჯაბნისი (ჯაბნიძე). ზესოფელში – ტყე, სათესი ნიკოლაური, – წონიარისში ბასილაური.

ცხმორისის თემში: გობრონეთი, გეგელიძეები (გეგელიძე), ჩეტკიძეები, გურძაშვილები, სამანაშვილები (სამნიძე), წინწკალაშვილები, ბარკალაშვილები, კიკაშვილები, ძენაძეები, ძნელაძე, ბარამულა (ბარამიძე), სათესი ნიკოლაური. დანდალოს თემში: გოგიაშვილები, ტაკიძეები (ორია), არძენაძეები, ოტოლაძეები, ბალაძეები, გულიკაშვილები, ჭანყვაძიები, ხახულაშვილები, ველიაშვილები, ზაქარაშვილები, ჯალაბაშვილები, იმანაშვილები, მოსიაშვილები, გორგიული, ტყე გვანცა, სათესი გოგაკილდე (ი. ბექირიშვილი, ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, 1995 წ. გვ. 152-153).

***

საინტერესო ახსნა აქვს ცალკეულ გეოგრაფიულ სახელებს. „აგარა", ი. ჯავახიშვილის აზრით, საგაზაფხულო სადგომს, დასასვენებელ ადგილს ნიშნავს. სოფელ ოქტომბერში არის უბანი ასამბაძეები, რომელიც წარმოდგება არაბული ასაბადან, რაც ვაჟკაცს ნიშნავს. ახო სულხან-საბას მიხედვით, გაკაფულ საყანურს, ახალგაჩეხილ, საყანედ მომზადებულ მიწის ნაკვეთს ნიშნავს.

სოფელ დოლოგანში არის ერთი უბანი, ბელტური, რომელიც ბარვა-ბელტვა – დაბელტვასთან არის დაკავშირებული. სოფლის სახელი გეგელიძეები უნდა მომდინარეობდეს სახელიდან გეგელა, რომლიდანაც წარმოიშვა გვარები: გეგელიძე და გეგელაშვილი, დროთა განმავლობაში გეგელიძე, ალბათ, იქცა კეკელიძედ. გურძაული ადგილია სოფელ ახოში, აქ ადრე გურძა დასახლებულა, უბანს შეერქვა სახელი გურძაშვილები, მაგრამ ასეთი გვარი საერთოდ არაა აჭარაში, პროფესორი მ. ქამადაძე თვლის, რომ ეს ტოპონიმი წარმოქმნილია საკუთარი სახელიდან გურძა.

1964 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ საქართველოს ატლასში თანდართულ IX-X საუკუნეების საქართველოს რუკაზე აღნიშნულია „დანდალო", და იქვე ჯვარია დასმული, ე.ი. აქ მდებარეობდა ეკლესია და მონასტერი. დანდალოს ეტიმოლოგიის ახსნა პირველად ისტორიკოსმა შოთა რუსიძემ სცადა სტატიაში „დანდალოს თაღიანი ხიდი და ციხე-კოშკი". იგი წერდა: „დანდალი სულხან-საბა ორბელიანის

მიხედვით, ლაგამს, პირის მახეს ნიშნავს, ანუ იგივე სადავეა ცხენის, ვირის თუ აქლემის დასამორჩილებლად. აქედანაა გამოთქმა „ლაგამი ამოსდო", ალაგმა და სხვა... აჭარის-წყალი დიდი მდინარეა. საუკუნეების წინათ, როდესაც ტყეები მეტი იყო, იგი უფრო წყალუხვი იქნებოდა, ამდენად, მასზე ხიდის აშენება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავ-შირებული. რაკი დანდალო ლაგამს, ანუ პირის მახეს ნიშნავს, ადვილი საფიქრებელია, სახელწოდება დანდალო სწორედ აჭარისწყალზე ხიდის აგების, ანუ მდინარის დამორ-ჩილების, მისთვის ლაგამის ამოდებისაგან იყოს წარმომდგარი" (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი IV, 1960წ., გვ. 21)

სოფელ ვაიოზე არსებობს თქმულება: სოფელს თურქები შემოსევიან, გოგონა წყლის მოსატანად ყოფილა წასული. წყაროდან მობრუნებულს მშობლიური სახლ-კარი გად-აბუგული დახვდა, მშობლები დახოცილი, ამიტომაც ვაი, ვაის ძახილში გონება დაუკარ-გავს. ცოცხლად დარჩენილებმა ამის გამო ამ დასახლებას ვაიო შეარქვეს, რაც შემდეგ სოფლის სახელად იქცა. მანამდე კი გადმოცემის მიხედვით სოფელს ვაკისჯვარი რქმე-ვია. თუმცა ისტორიული წყაროები ამ საკითხზე დუმან, მაგრამ ვაიოს მკვიდრ – პროფე-სორების – ნადიმ და შუქრი ნიჟარაძეების აზრით ამ სახელწოდების დამადასტურებე-ლი დოკუმენტები ტრაპიზონ-ისტამბულის, ან პეტერბურგის არქივებში უნდა ვეძებოთ.

„ვაიო ძველისძველი სოფელია. 1994 წელს აქ მახაჭაძეებმა ნახეს ახალი წელთაღ-რიცხვის მე-4 მე-6 საუკუნეების დროინდელი კარგად გამომწვარი და შემკული ქოთნები." ხოლო ნიჟარაძეებმა და ჩიკვაიძეებმა – ლითონის ნაკეთობანი. აღმოჩნდა აგრეთვე სამი ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვია და ერთი რგოლი. პროფესორი ამირან კახიძე სასაფეთქ-ლის გავრცელებულ სახეობას ჩვენს ერამდე IV ათასწლეულს აკუთვნებს. ვაიოში მარნის, საყდრისა და ციხე-სიმაგრის ნაშთებიც არსებობს, ყოფილა თაღიანი ხიდიც, რომელიც 1923-1924 წლებში აქუცის დამეწყვრისას დანგრეულა (ი. ბექირიშვილი, აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, 2001წ. გვ.91).

„ზვარე უძველესი ქართული სიტყვაა, იხსენიება 1393 წლის სიგელში. ა. რობაქიძის მიხედვით, ისაა სამზეური მხარე. დოცენტი გუგული დიასამიძე თვლიდა, რომ ზვარე, ზენდი-დი და სხვა ანალოგიური სახელწოდებები მზის კულტთან, ანუ რელიგიურ რწმენა-წარ-მოდგენებთან იყო დაკავშირებული" (ი. ბექირიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93).

***

თ. სახოკიას 1895 წლის მონაცემების მიხედვით, ქედაში შემავალი სოფლები იყო: „ქედა, სამზიარი-შავაბური, ძენწმანი, კაკაოღლი, ორცვა, ალი-ოღლი, მეძიბნა, მერისი, აქუცა, ვაიო, ჯოღანი, ჭინკაძეები, აგარა, საღორეთი, ზესოფელი, ზვარე, ვარჯანისი, წონიარისი, კვაშტა, კანტაური, აბუქეთა, ორთა-ხოხნა, კორომხეთი, დერეხოხნა, ახო, გოგელიძე, ცხმორისი, კოკ-ტაური, ზუნდაგა, დანდალო, კიბე, კაპნისთავი, ზედა მახუნცეთი, ქვედა მახუნცეთი, ბზუბზუ, გოგიაძე-შოთაძე, გულები, ზენდიდი, ცხემნა, უჩხითი, მილისი, ნამლისევი, მაჭახლისპირი, ქვედა ხერთვისი, მაღლაკონი, ჭალახმელა, ქიძნათი, ქობალეთი, ღვარა, აჭარის აღმართი, სინდიეთი, ქედ-ქედი, ჭანიეთი, ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ჩიქუნეთი, ცხემლნარა, ზედახერთვისი, ზედა ვაკე, ეფრატი, ქვაბისთავი, მინდიეთი, აკრია". ქვედა აჭარაში (ქედაში) იმჟამად ცხოვრობდა 2506 კომლი, დედაკაცი 6011, მამაკაცი 7064, სულ 13135 სული. 1895 წელს ქვემო აჭარაში დაბადებულა მდედრი 131, მამრი 134, ჯვარი დაუწერია 28 კაცს, გარდაცვლი-ლა მდედრი 29, მამრი 82. (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985 წ. გვ. 207-208).

ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების ნაწილი დღეისათვის ხელვაჩაურის რაიონში შედის.

ჩამოთვლილი სოფლებიდან თედო სახოკიას შეცდომით აქვს შეტანილი ვარჯანი-სის, ცხემნის, გეგელიძეების სახელები.

1862 წლის მონაცემებით, ქვემო აჭარაში ყოფილა 34 სოფელი 1982 კომლით, 10308 სულით, საკუთრივ ქედაში ყოფილა 85 მცხოვრები.

ბათუმი
ქობულეთი
ხელვაჩაური
ზემო ოსმანეთი
ზემო ოსმანეთი
ზემო ოსმანეთი


ჯუმათი
ეუდაბნო
ასკანა
შემოქმედი
ქაჯთაციხე
ბათომი
ხინო
ცხმორისი
დანდალო
ხიბანი
ზარზმა
ოქროსციხე
ციხისჯვარი
ოძრხე
ანყვერი
ბოიანი
ბარალეთი
ფარავნის ტბა
ასპინძა
ხერთვისი
ახალციხე
ახალქალაქი
ანანური
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაზალეთის ტბა
ბოჯანი
ბოლნისი
ბოლნისი
ბოლნის

ისტორიულ ძეგლები ქვის რაიონში

ნაწილი I

ქედის რაიონის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ცნობილია, რომ აჭარის ქვეყანა, მისი ტერიტორია უძველეს წარსულში დაყოფილი იყო მთისა და ბარის ზონებად, არა მხოლოდ ფიზიკური გეოგრაფიის, არამედ ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ანუ იმ მეურნეობრივი მნიშვნელობით, როგორადაც ეს ტერმინები - მთა და ბარი - იხმარებოდა ძველ ქართულ წყაროებში. ისიც ცნობილია, რომ უძველესი დროიდან საქართველო და მისი მოსაზღვრე ქვეყნები დანაწილებული იყო მთად და ბარად, რაც, რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა.

ქედის რაიონი მაღალმთიანი აჭარისაგან განსხვავებით, წარმოადგენდა ხილიან, მოსავლიან მხარეს, მეღვინეობის ქვეყანას, რაზედაც სოფლებში აღმოჩენილი საწნახლების სხვადასხვა ტიპებიც მიუთითებენ. ვალერი ფლაკუსის არგონავტიკის მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ქართველური ტომი ბიძერები (ვიზარები, ბიზერები) მომთაბარეები იყვნენ, რაც გულისხმობს ბრინჯაოს ხანაში მთასა და ბარს შორის მძლავრ ეკონომიკურ კავშირს. ქედის რაიონი ამ პერიოდში წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს მთასა და ბარს შორის. ე.ი. ზღვისპირა აჭარასა და ზეგანს შორის, რა თქმა უნდა, ასეა დღესაც.

ა. ფრენკელის ცნობით, ბათუმის მოსახლეობა ზაფხულობით ტოვებს საკუთარ სახლებსა და გადადის მთებში. ეს ხდება იმის გამო, რომ თავიდან აიცილონ ძლიერი სიცხე, რომელიც აუტანელია ქალაქში ზაფხულობით. მათი კუთვნილი საქონლის ჯოგები მთების კალთებზე ბალახობს.

დ. ბაქრაძის გადმოცემით, ქედაში ბათუმიდან ამოდიან და ისე, როგორც ბევრ აჭარელს, აქვთ სახლები და დუქნები, სადაც ცხოვრობენ შემოდგომასა და ზამთარში. მათი საქონელი წლის დროების მიხედვით, ხან ბარში ბალახობს, ხან ზღვის სანაპიროზე, ხან აჭარის მთის საძოვრებზე.

ეთნოგრაფიულად დასტურდება, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ბარის აჭარლები, ისევე, როგორც მთიანი ზოლის მოსახლეობა, საქონელს აბალახებს მთაშიალაღებზე. აცივებისა და ზამთრის მოახლოებისას ისევ უბრუნდებიან თავიანთ კერას. მთის მოსახლეობა ყოველთვის ამარაგებდა ბარს რძის ნაწარმით, ხორცით.

დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, საქართველოში უძველესი დროიდან ყოფილა ქვეყნის ორად დანაწილება, მთად და ბარად. ვ. ფლაკუსის (არგონავტიკის) მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აჭარის მთისა და ბარის რაიონები, არამარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული სიახლოვით, ეკონომიკური და ეთნიკური კავშირებითაც ხასიათდებოდა, რამაც ქედის რაიონის უძველესი მოსახლეობა მიიყვანა ცალკეული პატარა ხევების ერთიან ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებამდე (1.დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987 წელი, გვ. 49; 2. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980 წელი, გვ. 204.).

ბრინჯაოს ხანაში ქედის ტერიტორიაზე რამდენიმე წვრილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა, ანუ მცირე ხევები არსებობდა, რასაც ურარტული და ქართული წყაროები ხუბს, ხუვს, ხევს, ხეობას უწოდებდნენ. ასეთი ხევები უნდა ყოფილიყო: აკავრეთა (მერისი), ხოხნის წყალი, ქალასკურის წყალი, ჭანჭაული ღელე და მცირე ხეობები: ბზუბზუს წყალი, დოლოგნის წყალი, ჭანიღელე, უჩხითის წყალი, ზუნდაგის წყალი, სურნალის წყალი, წონიარისის წყალი, ბალაძეების ღელე, ფოსოტანას წყალი და სხვები.

(კოლხური კულტურის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით ამ ბოლო ხანებში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც კოლხური ბრინ-

ჯაოს კულტურის სამშობლო მთაგორიანი ოლქები, კერძოდ, ჭოროხის აუზი და მისი მადნეულით მდიდარი მხარე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კოლხეთის ბარი: კოლხური ბრინჯაოს კულტურა იმ მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების საზოგადოების მიერაა შექმნილი, რომელიც მდინარე რიონის აუზში ცხოვრობდა, ავტორები ფიქრობენ, რომ „აიას" ქვეყანა იყო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებული დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მოწინავე ოლქს რიონის აუზი და კოლხეთის დაბლობი წარმოადგენდა, სადაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირება ხდებოდა, სწორედ აქ ძველწელთა აღრიცხვის მეორეათასწლეულიდან დამკვიდრდა დასავლურ-ქართული მოდგმის დიდი მასა, რომელმაც ერთ გაერთიანებაში მოაქცია ჯერ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის გაშლილი ტერიტორია, ხოლო შემდეგ, ალბათ, მთავარი ძალაუფლება განავრცო მცირე კავკასიონის სამხრეთზე, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირზეც.

დღეს არსებული მასალების მიხედვით, ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლო, მისი უძველესი წამყვანი კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი იყო, სადაც მძლავრი კულტურული ფენის შემცველი სამოსახლოა, საკულტო ადგილები და მრავალრიცხოვანი განძები კარგად ასახვენ კოლხური კულტურის სათავეებსა და უადრეს ეტაპებს: აქ ხომ არაერთგზის მოპოვებული კოლხური ცულების პროტოტიპები, გარდამავალი ფორმები და უადრესი ნიმუშები (ურეკი, მელექედური, ქობულეთი, ჩაქვის ჩაისუბანი, სახალვაშო, ე.წ. ჭოროხის განძი, ერგე, ზემო ჯოჭო, მახო, ხერთვისი, კირნათი, მახუნცეთი, ზუნდაგა, საღორეთი, სიხალიძეები, დიდაჭარა და ა.შ.) სიხალიძეების აღმოჩენით დადგინდა, რომ ყუაკვერიანი ცულებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზეა შექმნილი. დღევანდელი მონაცემები ეჭვს არ იწვევს, დასავლეთ ქართული კოლხური კულტურის სათავეები ჭოროხის აუზში იყო. და აქვე დაირწა პირველი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, (დიაოხი და კოლხა).

კოლხური კულტურის მეორე ეტაპის საწყისი საფეხურიდან საგრძნობლად ფართოვდება კოლხური კულტურის არეალი (რიონისპირეთი სწორედ მაშინ იქცა წამყვან ცენტრად). მიუთითებენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ქვეყნის შიგნით ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილება. „ამ პროცესში სამხრეთ კოლხეთში მსხდომი ტომების ჰეგემონიით მთელი კოლხი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას და მათ თანდათანობით ერთიანი კოლხური კულტურა ჩამოაყალიბეს. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობ ნაწილში ტომთა საკმაო მძლავრი გაერთიანება ყალიბდებოდა, რომელთაც თანდათანობით მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე ავრცელებდა თავის ბატონობას. (სამხრეთ დასავლეთ საქარტველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა I. გვ. 147-148).

წარსულში, გვიან ბრინჯაოს ხანის დასკვნით ეტაპზე, აჭარის ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო ორი მსხვილი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა - შიდამთიანი აჭარის და ზღვისპირა დაბლობის სახით. შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა) თავის მხვრივ იყოფა ზედა და ქვედა აჭარად. ამ ტერმინების ხმარება თურქების ბატონობის პერიოდიდან იწყება. საზღვარი ზედა და ქვედა აჭარისწყლის ხეობას შორის გადიოდა სოფელ დანდალოსთან. შუა საუკუნეებში „აჭარა დანდალოს ზევით" მტბევარის სამწყსოს მიეკუთვნებოდა, ხოლო „დანდალოს ქვემოთ აჭარა" ქუთათელის სამწყსოსი ყოფილა. მათ შორის უძველესი დროიდან უნდა დამყარებულიყო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები. ამას აღნიშნავდნენ ვ. ლისოვსკი, დ. ბაქრაძე, ვეიდენბაუმი და სხვები.

მოსახლეობის მოძრაობა, მიგრაციული პროცესები აჭარისათვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელია უძველესი ხანიდან. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შიდამიგრაციული პროცესები მთიან და ზღვისპირა რაიონებს შორის, ანუ დიდ აჭარასა და პატარა აჭარას შორის, რომელშიც ზღვისპირა ზოლი იგულისხმება. ამ ურთიერთობების ფონზე მნიშვნელოვანია: სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, მიგრაციული და ეთნიკური

პროცესები, რაც იწვევდა მთისა და ბარის შერწყმის დაჩქარების ტენდენციას. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს, სახელწოდება აჭარის გავრცელება, როგორც საკუთრივ მთიანი აჭარის ტერიტორიაზე, ასევე აჭარის გარეთ, ანუ მოსაზღვრე რაიონებში. მაგალითად, ერგეში დამოწმებულია ტოპონიმი აჭარელიყანა, ჩაქვში - მთა აჭარა, ალამბარში - აჭყვანჭალა (ღელე), მდ. აჭყვა, სოფელი აჭყვის თავი, სოფელი აჭი, მდ. აჭარისწყალი.

ბრინჯაოს ხანა საქართველოში და შესაბამისად, აჭარაში, ხევების წარმოქმნის ხანაა. ამ პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი ხეობები მიმდებარე ტერიტორიებითურთ იწყებენ ურთიერთშორის დაპირისპირებას მოსაზღვრე ხეობების შემოსამტკიცებლად. იქმნება პოლიტიკური გაერთიანებანი, რომლებიც ხევის, შედარებით მსხვილი ერთეულის ჩამოყალიბებით მთავრდება. საბოლოოდ კი მათი გაერთიანება პირობითად ქედის ხევში ანუ ქვედა ხევში, უნდა გამოხატულიყო, რომელიც აერთიანებდა დაახლოებით მთელ ქედის რაიონს (1. დ. მუსხელიშვილი. ხელნაწერი ნაშრომი, გვ. 21; ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, II, ბათუმი, 1959 წ.)

გვიან ბრინჯაოს ხანისათვის, ალბათ, მის უფრო ბოლო პერიოდში, აჭარისწყლის ხეობაში მცირე ხევთა შერწყმის საფუძველზე უკვე ჩნდება ერთიანი ხევი, ზემო აჭარა, ანუ აჭარისწყლის ხეობა, რომელიც უნდა წარმოქმნილიყო ზემო, შუა და ქვემო ხევების შერწყმის საფუძველზე. ზემო ხევს უნდა მოეცვა ხულოს რაიონის ტერიტორია ცენტრით დიდაჭარაში, შუა ნაწილის ხევს - ცენტრით შუახევში, ხოლო ქვედა ხევს დაახლოებით - დღევანდელი ქედის რაიონი. აჭარისწყლის ხეობის ქვედა ნაწილის უძველესი ცენტრი დაბა ცხმორისი, ზენდიდი ან საღორეთი უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, სახელწოდება ქედა, არაა გამორიცხული, იყოს ქვედას „ვ“ შეკვეცილი ფორმა: ქედა- ქვედა ხომ აჭარისწყლის ხეობის სამი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულიდან, მართლაც, ქვედა მხარეა. თუმცა, გვაქვს სხვა ვარიანტიც: ქედა უნდა გაჩენილიყო იმ დროს, როცა ქედის რაიონის ცენტრმა ცხმორისიდან, საღორეთიდან თუ ზენდიდიდან დაბლა, შედარებით ბარში გადმოინაცვლა. ქედა ზენდიდის მოსახლეობისათვის, მართლაც, ქვედა მხარეს წარმოადგენდა. ქედის მიმართ ზენდიდი (ზენა, ზევით, ზემოთ) ზემოთ მდებარე დიდი ვაკეა.

უფრო სავარაუდოა, ზენდიდი თურქების ბატონობის პერიოდში (XV-XVII ს.ს.) იყო ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრი ქედის რაიონისა, რომელსაც ფლობდა ბეჟანიძეთა საგვარეულო. მათი ნაკვალევი შემორჩენილია ამავე სოფლის თავში, ბეჟანიძეთა უბანში გრანდიოზული ციხის (ბეჟანიძეების ციხის) ნაშთებისა და იქვე გვერდით დადასტურებული უძველესი ეკლესიის სახით, რომელიც ერთ-ერთი ძველი ეკლესია უნდა იყოს დღეისათვის ქედის რაიონში დადასტურებულ სამლოცველოთა შორის. ეს აზრი გამოთქმულია 1984 წელს გამოცემულ „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონაში”.

ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო, მცხეთის დინასტიით, ფარნავაზიანთა მეთავეობით. ქართლის სამეფოს ერთ-ერთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულში, ოძრხეს (აბასთუმნის ახლოს) საერისთავოში, სამცხე-აჭარის ნაწილი დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ჩათვლით შედიოდა. „ფარნავაზიანის“ ავტორი ოძრხეს საერისთავოს ასე შემოსაზღვრავს: „ტაშისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.“

მემატიანის გადმოცემით, ოძრხეს საერისთავოში შედიოდა ერთმანეთის თანატოლი, ეთნიკური კუთვნილების მხვრივ ახლოს მდგომი ორი მცირე საერისთავო - სამცხე და აჭარა.

„ბერძნული წყაროების (სტრაბონი) მონაცემების გათვალისწინებით, ქედის ტერიტორია და მისი მოსაზღვრე რაიონები, სანამ ქართლის (იბერიის) სამეფო ჩამოყალიბდებოდა, შედიოდა მოსხიკეს ქვეყანაში, რომელიც მცირე აზიიდან გამოდევნილმა მუშქებმა (მესხთა წინაპრები) დააარსეს. მათ ამავე დროს დაიკავეს მთელი ჭოროხის აუზი, მტკვრის სათავეები მიმდებარე ტერიტორიებითურთ. მოგვიანებით ძვ.წ. აღრიცხვით III-II საუკუნეებში მესხების მიწა-წყალი სამმა მეზობელმა სახელმწიფომ - იბერიამ, სომხეთმა და კოლხეთმა დაიკავა.

ამ პერიოდში დღევანდელ ქედის ტერიტორიას საზღვრავენ: აღმოსავლეთიდან ხულო-შუახევი, ჩრდილოეთიდან - ქობულეთისა და ჩაქვის, სამხრეთიდან იმერხევისა და მაჭახლის, ხოლო დასავლეთიდან ერგეს ქვეყანა.

ჩვ.წ. I-II ს.ს.-ში მთის მოსახლეობა (ძიდრიტები, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ დიდაჭარის ქვეყნის მოსახლეობად) მოედო მთელ აჭარის ქვეყანას. შ. ვარშანიძის აზრით, ძიდრიტი იგივე ძარიტის, ჭარიტის, აჭარლების სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს. როგორც აღინიშნა, ძიდრიტი, იგივე დძარიტი, დიძარი, დიძანი უნდა იყოს. ძიდრიტები რომაულ მწერლობაში მხოლოდ ერთხელ, ფლავიუს არიანესთან გვხვდება. მისივე გადმოცემით, ისინი გონიო - აფსაროსის მიდამოებსა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოსახლეობდნენ და ფარსმანს ემორჩილებოდნენ. ეს ფარსმანი, რა თქმა უნდა, ქართლის მეფე ფარსმან ქველი (120 - 165 წ.წ.) უნდა იყოს.

მანამდე კი პლინიუს უფროსი (23 - 79 წ.წ.) აღნიშნავდა, რომ აფსაროსისა და ჭოროხის შესართავის მიდამოები ეჭირათ ამპრევტებს (ამპარტავანი - ასე განმარტავს მკვლევარი ს. გოგიტიძე), რომელსაც ჩვენ ადრე აჭარის თუ აჭარეთის შერყვნილ ფორმად მივიჩნევდით. აღნიშნული ტომის ჩრდილოეთით ლაზები, ხოლო სამხრეთით – მახელონები და ჰენიოხები სახლობდნენ. ნ. ლომოურის გამოკვლევით, ძიდრიტებს ეკავათ აჭარის ტერიტორია. ზოგიერთი მეცნიერის (შ. ვარშანიძე, ს. გოგიტიძე) აზრით, მათ აჭარის ზღვისპირა ზოლის მოსაზღვრე რაიონებიც ეპყრათ.

ქართლის მეფის ფარსმან I-სა (36-66 წწ.) და მისი მემკვიდრე მითრიდატეს ზეობის წლებში ქედის რაიონის ტერიტორია ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. პლინიუს უფროსის გადმოცემით, აფსაროსის გარშემო მდებარე მთების გადაღმა იბერიაა. მაშასადამე, ახ.წ. 78 წლისათვის ქართლის სამეფოს აჭარის ზღვისპირეთი უკვე უჭირავს, ხოლო 131 წლისათვის, ფარსმან II-ის პერიოდში, აღნიშნული ტერიტორია აღმოსავლურ ქართულ სამეფოს უკავია." (ს.გოგიტიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები).

***

ახ. წ. I საუკუნეში ქრისტეს რჩეულმა მოწაფეებმა ანდრიამ, მატათამ და სიმონ კანანელმა დაიწყეს ახალი მოძღვრების გავრცელება საქართველოში. ცნობილია, რომ მატათა აფსაროს-გონიოს მიდამოებში ავრცელებს ქრისტიანობას, ხოლო ანდრია პირველწოდებულზე ნათქვამია: „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ -აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა."

ანდრია აჭარის ზღვისპირეთიდან გაემართა აჭარის ქვეყნის იმდროინდელ ცენტრში ანუ ერისთავის საჯდომ ადგილას დიდაჭარაში, მაგრამ სანამ იგი იქ მოვიდოდა, უნდა გაევლო ქედის რაიონის სოფლებიც. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, „ანდრია სხვათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერსა და იქმოდეს სასწაულთა, და ესრეთ მიიწივნეს ქვეყანასა ქართლისასა." ანდრია მოციქულის მოქმედებას დიდაჭარაში საკმაოდ ვრცლად აღწერს მემატიანე.

326 წლის დასასრულს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მთელ ქართლის სამეფოში, მეფე მირიანის (307-360 წ.წ.) დროს. ქედაში იმ დროიდან დაიწყო ეკლესიების მშენებლობა. თავდაპირველად ისინი ხისგან კეთდებოდა, ამიტომაც მათი კვალი აქ არ მოგვეპოვება. V საუკუნის ბოლოდან და VI საუკუნის დასაწყისიდან ქედაში იწყებენ ქვის ეკლესიების მშენებლობას. აქ პირველი ეკლესია, შესაძლებელია, აიგო ზენდიდში, ზენდიდის ციხის გვერდით.

მირიან მეფის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ სპარსელთა და ბიზანტიელთა მცდელობით, ქართლის სამეფო ორად გაიყო.

ქართლის ძირითად ნაწილში სპარსეთზე ორიენტირებული ასფაგური (ქართული წყაროებით ვარაზ-ბაკური) მეფობდა, ხოლო ქართლის დასავლეთ ნაწილს – წუნდის,

ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოებს - საურმაგი განაგებდა. დასავლეთ ქართლში მთელი აჭარაც მოექცა. ასეთი პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა ქართლის სამეფოში 464 წლის დასასრულამდე, ვიდრე ვახტანგ გორგასალმა (457-502 წ.წ.) ქედის რაიონის ტერიტორიის დასავლეთით მდებარე ისტორიული წარსულის მქონე სოფელ ხერთვისთან გამანადგურებელი დარტყმა არ მიაყენა ბერძნებს. ბრძოლა ხერთვისის რიყე-ჭალაში დაიწყო და ერგეს (კახაბერი) დაბლობზე გაგრძელდა. ქართველთა ლაშქარმა,რომელთა რიგებში, შესაძლებელია, ქედის მოლაშქრეებიც მონაწილეობდნენ, ბიზანტიელები ზღვის კიდეზე მიიმწყვდიეს, მათი ნაწილი გაიჟლიტა, ხოლო ნაწილმა ნავებში შეასწრეს და გაქცევა მოახერხეს. ამ ბრძოლას მოჰყვა სხვა გამარჯვებები, კერძოდ, ჭოროხის აუზსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორსა და ქართლის მეფეს შორის ზავი გაფორმდა. ვახტანგ გორგასალმა ამ გამარჯვების საფასურად მიიღო „ყოველი კლარჯეთი და ხევნი, რომელნი მოსდგმანან დადოთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I გვ. 177).

ვახტანგ გორგასალის მიერ წარმატებული საბრძოლო ოპერაციების შედეგად ქართლის სამეფოს დაუბრუნდა ყოფილი ტერიტორიები და აჭარის საზღვრები ისევ არსიანის მთებიდან შავ ზღვამდე გავრცელდა.

ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების (502 წელი) შემდეგ ქართლის სამეფო ისევ ორად გაიყო, – ვახტანგის ანდერძისამებრ, ქართლის აღმოსავლეთი მემკვიდრეს, დაჩის გადაეცა, ხოლო ქართლის დასავლეთი ნაწილი (წუნდის, ოძრხისა და კლარჯე-თის საერისთავოები) ბერძენი ცოლის, ელენეს შვილებს, – ლეონსა და მირდატს. ქართველი მემატიანის ცნობით, ესენი იყვნენ ერისთავ მთავრები და ემორჩილებოდნენ მეფე დაჩის, მაგრამ მაინც ბერძენთა გავლენის სფეროში რჩებოდნენ.

***

ძველი ქვის ხანა, პალეოლითი, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია. სამხრეთ კავკასიაში არსებულმა ხელსაყრელმა პირობებმა, თავისებურმა ლანდშაფტმა, ბუნებრივი თავშესაფარი ადგილების, გამოქვაბულების სიმრავლემ, ბუნებრივი საკვები პროდუქტების – ხილ-კენკრის არსებობამ, ქვის იარაღის დასამზადებელი საჭირო ნედლეულის სიმდიდრემ, განაპირობა აქ უძველესი ადამიანის ადრე გამოჩენა.

„მდინარე აჭარისწყლის ხეობის საბოლოო ფორმირება შუაეოცენის (59-60) მილიონი წლის წინ მოხდა და მას შემდგომ სახეცვლილებებს დიდი გავლენა არ მოუხდენია ხეობის ფიზიკურ-გეოგრაფულ გარემოზე. ვულკანური წარმოშობის მთაგორიანი რელიეფი მდიდარია ბუნებრივი გეოლოგიური მინერალებით. აქაურმა მკვიდრმა ჯერ კიდევ 6 ათასი წლის წინ დაიწყო ლითონის დამუშავება და გამოყენება. ეს იყო სამეურნეო, სარიტუალო თუ საბრძოლო დანიშნულება.

ადამიანი, სანამ ლითონს აითვისებდა, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად იყენებდა ხეს, ძვალს, ქვას და ა.შ., თანდათან ისე დახვეწა ქვის დამუშავება, რომ მათგან უკვე სარიტუალო ქანდაკებებსაც აკეთებდა. უმეტეს შემთხვევაში – ქვაკაცებს. მსგავსი მასალები აღმოჩენილი და შესწავლილია სოფელ კალოთაში. და აი, ჩვენი რეგიონი, ქედა, როგორც ყოველთვის, ახლაც არ გამოაკლდა აჭარისწყლის ხეობის ცივილურ განვითარებას - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში, ტაკიძეების უბანში, საკმაოდ კარგი მონაპოვრები გამოჩნდა. სოფლის მდინარის "მერიაღელის" მარცხენა მხარეს „ნაჯვარევთან" (ზოგ შემთხვევაში მოიხსენიება ნაჯარევი) არის ადგილი „საყდარი". მის გაგრძელებაზე კი ადგილი „სათემო". ხოლო ყალივაკის მიმართულებით ზემოთ - ადგილი ქვაკაცი.

გასული საუკუნის მიწურულს, კერძოდ 1997 წელს, ადგილ საყდართან ტყის გზის გაყვანისას გამოჩნდა ორი მეტად მნიშვნელოვანი, ქვისგან დამზადებული ნივთი.

ვერძისთავი რქებდახვეული და ქვაზე ამოკვეთილი ე.წ. „ბოლნური ჯვარი". ასევე, ბათუმის სხელმწიფო მუზეუმში ინახება ქვაკაცი, ის სკულპტურა, რომელის პასპორტში იკითხება, რომ ნივთი წამოღებულია სოფელ ტაკიძეებიდან ექსპედიციის მიერ 1957 წელს.

ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმები ცხადყოფს, რომ ქვაკაციც სწორედ მიმდებარე ტერიტორიიდანაა წაღებული. მონაპოვრებს თუ დავაკვირდებით (ქვაკაცი, ვერძის თავი და ბოლნური ჯვარი), პერიოდულ შეუთავსებლობას გვაძლევს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილი იმდენად სტრატეგიულია, მისი გამოყენება პირველ სახლობიდან მოყოლებული, არ შეჩერებულა და სწორედაც ჯვართან ერთად არსებული წარმართული რელიგიის დროინდელი ნივთებიც ინახებოდა. სამივე ნივთი ადგილობრივი ქვისგანაა გამოთლილი. ვფიქრობთ, კალოთის მსგავსად, ქვაკაცი და ვერძის თავი ძვ.წ II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დამდეგს უნდა იყოს დამზადებული, ხოლო რაც შეეხება ჯვარს, იგი ბოლნური ჯვარის ანალოგია და V-VI საუკუნეებით თარიღდება. აი, ამ სამი ნივთის ერთად თავმოყრა კი ხელოვნების სიყვარულისა თუ, ჯერ კიდევ წარმართული რელიგიის თაყვანისცემის გადმონაშთების ნიშანია."

ვაჟა ფარტენაძე ქედის ისტორიული მუზეუმის დირექტორი, საქართველოს არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტი.

2000 წელს ქედის რაიონის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა ვაჟა ფარტენაძემ, პირველი მაისის თემის სოფელ ჯინიშისაკენ მიმავალი საავტომობილო გზის ზედა მხარეს, 20 მეტრის დაშორებით, პირველი მაისის ცენტრიდან 800 მეტრში, აღმოაჩინა ქვის ხანის ადამიანის – სადგომი ბუნებრივი გამოქვაბული. (კოლოტაურის – ჯვარიქედის გამოქვაბული), რომლის ზომებია: სიმაღლე 2,5 მეტრი, სიგრძე 6 მეტრი, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7-8 ათასი წლის წინ. გამოქვაბულში ნაპოვნია შრომის იარაღები: კაჟი, ორი ცალი დასაფხეკ-საჭრელი დანა, რომლებიც ინახება გონიოს მუზეუმ-ნაკრძალში.

ბრინჯაოსა და რკინის ხანაზე გადასვლის შემდეგ ადამიანთა ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა. იწყება ბრინჯაოსა და რკინის იარაღების (ცულები, თოხები, საბრძოლო იარაღები) დამზადება. ადამიანმა ამ დროიდან შეძლო ხის საცხოვრებელი სახლების, ჯარგვლების აშენება, თანდათან იწყებენ გამოქვაბულებიდან გამოსვლას, ისწავლეს თავდაცვითი ნაგებობების აშენება, თიხისა და ბრინჯაოს შრომისა და საყოფაცხოვრებო იარაღების დამზადება.

კოლოტაურში გზის გაფართოებისას შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი, რომლებიც, როგორც ჩანს, სამარხულ ინვენტარს უნდა მიეკუთვნებოდეს; ერთ-ერთი მათგანია ქილა მაღალი, ხელით ნაძერწი, ვიწრო და შეზნექილი ძირით, აქვს მცირე ზომის შემკული (კოპების რიცხვი ხუთს უდრის) მრგვალი ტანი, რომელიც პირდაპირ უერთდება მეტად მაღალ და ფრიალო ყელს. ყელი ბოლოვდება გარეთვე მკვეთრად გაშლილი პირით, თიხა ღია მოყვითალოა, კარგად გამომწვარი, ჭურჭლის ზედაპირი საგულდაგულოდაა გაპრიალებული, ქილის სიმაღლე 25 სანტიმეტრია, პირის დიამეტრი 10 სმ, ძირი -6 სმ.

კოლოტაურის აღმოჩენებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და წინა აზიის კულტურების გავრცელების არეალის შესწავლისათვის. რაც შეეხება კოჭებს, საერთო ნიშნების მიხედვით ემსგავსება დიდუბე-კიკეთის მონაპოვარს, რომელსაც კოჭების მუცელი ფართე აქვს... კოლოტურის ჭურჭლები ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს დიდუბე-კიკეთის კერამიკას, თუმცა ეს განსხვავება არც თუ ისე დიდი უნდა იყოს. ქილას გააჩნია კოპები, რაც ენეოლითის პერიოდიდან მომდინარეობს. ენეოლითიდან ადრებრინჯაოს პერიოდზე გარდამავალ ხანაში კერამიკული ნაწარმი გამოირჩეოდა სისადავით და გაპრიალებით. ეს მოვლენა დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში

შეინიშნება, ასე რომ კოლოტაურის ჭურჭელი შეიძლება ძვ.წ IV ათასწლეულის დასასრულით დათარიღდეს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა კოლხური ცული, თოხი, ნამგალი, წალდი, ბრტყელი ცული და სხვა იარაღები, ასეთი იარაღები ქედის რაიონის ტერიტორიაზეც ინახა. ამ იარაღებით ხდებოდა ტყეების გაჩეხვა, ნიადაგის ათვისება და მარცვლეული კულტურების თესვა.

ქედის რაიონის სოფლების სიძველეზე მიუთითებს მრავალი ისტორიული წყარო. მათ შორის ბოლო დროს აღმოჩენილი შრომის იარაღები და ნამოსახლარები.

1961 წელს პირველი მაისის თემის სოფელ საღორეთში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ცული, კოლხური და ყუაკვერიანი, რომლებიც ჩვენს ერამდე XIII-XII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

სიხალიძეებისა და საღორეთის ყუაკვერიანი ცულები თარიღდებიან გვიან ბრინჯაოს ადრეული ეტაპით, სიხალიძეებში აგრეთვე აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ნატეხებიც, მათი ერთი ნაწილი დაფარულია წვრილი კანელებით, მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული წრეებით, კანელებს ზოგჯერ ერწყმის ღარებისა და ჭდეებისგან შექმნილი ჰორიზონტალური ზოლები, სიხალიძეების ბრინჯაოს ნაკეთობა და კერამიკა თარიღდება ძვ.წ. XII-XI ს.ს.

ზუნდაგაში აღმოჩენილი ცულების ანალოგიური შედიოდა აგრეთვე ცხინვალის ძვ.წ XI-X საუკუნეების განძში.

გვიან ბრინჯაოს ხანის საინტერესო მასალები გამოჩნდა 1992-1993 წლებში სოფელ ვაიოში, ესენია: კანელებით შემკული თიხის დოქები, კლასიკური ბრინჯაოსაგან დამზადებული ოთხი ცალი სასაფეთქლო ხვია, რგოლი და მოზრდილი რგოლსაკიდი.

სოფელ კვაშტის ძვ.წ. V ს. სამოსახლოს გათხრებისას მცირე რაოდენობის ლითონის ნაკეთობებიცაა აღმოჩენილი, ყურადღებას იქცევს რკინის ხელშუბები, ე.წ. მუჯარები, მსგავსი საბრძოლო იარაღები წარმოდგენილია ფიჭვნარის, სვანეთის, სოხუმის მთის, ოჟორასა და რკინის კალოს სამაროვანის თანადროულ მასალებში. აღსანიშნავია რკინის წალდი, დასტურდება, რომ ამ იარაღის გავრცელების არეალი ანტიკური ხანისათვის ფართოვდება (სომხეთის მთა, ნოქალაქევი, მცხეთის ჯვარის სამაროვანი (ხაშურის რაიონი), სოფ. აღაიანი (კასპის რ-ნი), სომხეთის არმავირი, სიმფერეპოლის რაიონის სოფ. დობროე (ყირიმის ნ/კ) და ა.შ".

ძველი წელთაღრიცხვის XII-XI საუკუნეებიდან ძველი კოლხეთის ზღვისპირეთში ნიადაგის დამუშავება მასობრივად ხდება გამწევი ძალის, ხარების გამოყენებით, ხნავდნენ ხის კავით, ჯილღით, რომელსაც უკეთებდნენ რკინის სახნისებს. მოსახლეობა თესდა ხორბალს, ფეტვს, ბრინჯს. მარცვლეულს ინახავდნენ თიხის ქილებში და სელის ტომრებში, ნაპოვნია ხელსაფქვავები ხორბლის დასამუშავებლად.

ამ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებულია მსხვილფეხა საქონლის მოშენება, მეფუტკრეობა, თაფლისა და ცვილის წარმოება. ნაწარმი კოლხებს სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ.

კოლხური კულტურის საინტერესო მასალებმა იჩინა თავი ამ ბოლო წლებისათვის, აკავრეთას ხეობაში. სოფ. სიხალიძეებში 1991 წელს გზის გაფართოებისას გამოჩნდა სხვადასხვა სახეობის არქეოლოგიური ნივთები: პირველი ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცული, ყუაკვერიანი ცულები, ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყლისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. მონაპოვარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყუაკვერიანი ცულები (სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I. ტ. I, გვ. 227). ყუაკვერიანი ცულები ასევე აღმოჩენილია ქედის რაიონის სოფელ საღორეთში რაც გვიან ბრინჯაოს ხანის მონაპოვრადაა მიჩნეული. სიხალიძეებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაკეთობა ძვ. წ. XII-XI ს.ს.-ის უნდა იყოს. ასევე, მერისში აღმოჩენილი სასაფეთქლე ხვია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ნაკეთობას განეკუთვნება.

განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს 1994 წელს ქედის რაიონის სოფ. ზუნდაგაში აღმოჩენილი განძი. უნახავთ თიხის ქოთანში ჩაწყობილი 7 კგ-მდე ბრინჯაოს ნაკეთობანი და ზოდები. ჩვენამდე მოაღწია 8 ნივთმა. ესენია: ცენტრალური ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული, ბრტყელი ცული, სამაჯური, ორი მასიური რგოლი, ორი ცალი სარტყელის აბზინდა და ერთიც უცნობი ნივთი. ზუნდაგაში ნაპოვნი განძი ძვ.წ.აღ. VIII საუკუნისაა. შემდეგ მას რკინის ნაკეთობანი ცვლის.

„გვიან ბრინჯაოს ხანის საინტერესო მასალები გამოჩნდა 1992-1993 წლებში ქედის რაიონის სოფ. ვაიოში, ესენია: კანელურებით შემკული თიხის დოქი, კლასიკური ბრინჯაოსაგან დამზადებული ოთხი ცალი სასაფეთქლე ხვია, რგოლი და მოზრდილი რგოლსაკიდი. ძეგლის ხასიათის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს. გზის ჭრილში შექმნილი კულტურული ფენა და ბათქაშის ნატეხები დასაქმების მანიშნებელი უნდა იყოს. თიხის დოქი და ბრინჯაოს სამკაულები სამარხულ ინვენტარად უნდა ყოფილიყო გამიზნული. ჩნდება ეჭვი, რომ სოფ. ვაიოს ამ უბანზე დასაკრძალავი რიტუალებისათვის განკუთვნილ ნივთებს ამზადებდნენ. ახლო-მახლო, მერისის მსგავსად, აქაც არსებობს სპილენძის საბადოები. ასე რომ, სოფ. ვაიო საქართველოს არქეოლოგიის საყურადღებო ძეგლთა რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს. ვაიოში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება.

„ქედის რაიონის სოფ. წონიარისში, მიხეილ კვირიკაძის სახლთან ახლოს, მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინეს საინტერესო არქეოლოგიური ნივთები. ბრინჯაოს მშვილდსაკინძები შემკულია ე.წ. წიწვოვანი ორნამენტით, ფართოა ამათი გავრცელების არეალი. ადრეულები (ძვ.წ. XII-X ს.ს.) გვხვდება ეგეოსურ ე.წ. „სუბმიკენურ" კულტურაში. თვლიან, რომ ამათ შავი ზღვის გზით ძვ.წ. II ათასწლეულის მიჯნაზე შემოაღწიეს კოლხურ კულტურაში. განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ პერიოდისაა წონიარისში მოპოვებული ნიმუშები, რომელთაც ძალზე ბევრი პარალელი ეძებნებათ. ყურადღებას იქცევს წონიარისის ბრინჯაოს საკიდები, რომელთა გახსნილი ბოლოები ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული... წონიარისში ინახა, აგრეთვე, ბიკონუსური მოყვანილობის თიხის კვირისტავები, ბრინჯაოს მასიური სამაჯური და ა.შ.

ბუნებრივია, ამ აღმოჩენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომაც 2006 წლის გაზაფხულისათვის ბათუმის არქეოლოგიური, ქედის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის კომპლექსურმა ექსპედიციამ პირველი სადაზვერვო საველე სამუშაოები განახორციელა სოფ. წონიარისში. ექსპედიციის მიერ მოპოვებულ იქნა ბრინჯაოს შესანიშნავი აბზინდები, რომელზეც გრავირებულია საპირისპიროდ მდგომი ფრინველები. კიდევ ერთი ძეწკვიანი ზოომორფული საკიდი, პატარა ზომის მთლიანად დაცული მშვილდსაკინძი, რკინის სატევრები, დანა, რკინისავე მოზრდილი საჩეხ-საკაფი იარაღი, რომლის მსგავსი ადრე უცნობი იყო არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის. ახალი აღმოჩენებით დასტურდება, რომ წონიარისის ეს მონაკვეთი ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებიდან წარმოადგენდა საფორტიფიკაციო სათვალთვალო პუნქტს, რომელიც მეთვალყურეობდა, ერთის მხრივ, მდინარე აჭარისწყლის ხეობის, ხოლო მეორე მხრივ, თვით წონიარისის წყლის მიკროხეობაზე, სადაც გადიოდა ჩაქვისწყლისა და კინტრიშის ხეობების უმოკლესი გადასასვლელები.

გარკვეული საველე სამუშაოები განხორციელდა ქედის რაიონის სოფ. კოლოტაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე. კვაშტის მსგავსად, აქ აღმოჩნდა გამაგრებული ტიპის სამოსახლო. ბოლო წლებში სოფ. კოლოტაურიდან შემთხვევითი აღმოჩენების სახით წარმოჩნდა გვიან ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის ნივთიერი კულტურის ძეგლები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ბრინჯაოს პინცეტი, რომლის ორივე ნახევარზე ძაღლის გამოსახულებაა გრავირებული.

ქვის ხანის ადამიანის საცხოვრებელი პირველი მაისის საკრებულოს სოფელ კოლოტაურის ჯვარიქედის ტერიტორიაზე



კოლოტაურის თიხის ქილა და ქოთანი

ბრინჯაოს ცულები საღორეთიდან და სიხალიძეებიდან



გვიანბრინჯაოს ხანის ზუნდაგის განძი



გვიანბრინჯაოს ხანა, 1 და 2 ხვიები და რგოლები სოფელ ვაიოდან. 3 ბრინჯაოს შვილდსაკრავი, 4 ბრინჯაოს ცხოველის თავი სოფელ წონიარისიდან

ქვაკაცი ძვწ.აღ II-I ათასწლეული დანდალოდან

ვერძის თავი ძვ.წ.აღ. II-I ათასწლეული დანდალოდან

ადრებრინჯაოს ხანის მესამე ათასწლეულის ბრინჯაოს შუბის პირი სოფ. კოკოტაურიდან (კიკაშვილების უბანი)

ბოლნური ჯვარი, VI-VII საუკუნეები. დანდალოდან

ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლები

მატერიალური კულტურის ძეგლებით ძალზე მდიდარია აჭარისწყლის ხეობა. ეს ძეგლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში პირველად აღწერეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა, მოგვიანებით – პრასკევა უვაროვმა, თედო სახოკიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ.

აჭარისწყლის ხეობაში მრავლადაა ადრეფეოდალური ხანის (VI-Xს.ს.) საეკლესიო თუ სხვა სახის ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი. მათგან მხოლოდ ზენდიდის VIII საუკუნის დარბაზული ტიპის ნაგებობა და მის გარშემო რამდენიმე ორმოს ტიპის სამარხია გათხრილი.

მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობა, სხვა კუთხეების მსგავსად, ფეოდალურ ხანაში საფორტიფიკაციო სისტემის ციხე-სიმაგრეების ფართო ქსელით იყო დაფარული. მრავლადაა ამ დროს გაყვანილი გზები, თაღიანი ხიდები, ეკლესია-მონასტრები.

შესწავლილი ძეგლები ცხადყოფენ, რომ შუა საუკუნეების აჭარა იყო ქრისტიანობის დაწინაურებული მსხვილი ცენტრი იყო. თითქმის ყველა სოფელში მდგარა ერთი, ან რამდენიმე ეკლესია თუ დარბაზული ტიპის საკულტო ძეგლი, რომლებიც ნაგები ყოფილა დახვეწილი ხელოვნებით და მაღალმხატვრული სტილით.

მტკიცდება, რომ აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობის დაწინაურებული დარგი ყოფილა მიწათმოქმედება, კერძოდ, მემინდვრეობა, მევენახეობა, მეღვინეობა. ასევე დაწინაურებული ჩანს მესაქონლეობა.

მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ აქაური მკვიდრნი სამშენებლო საქმიანობაში დახელოვნებული ყოფილან. მათ მიერ აგებული ციხეები, ეკლესიები, მარნები, ქვის თაღიანი ხიდები და სხვა ნაგებობანი შესულია ქართული კულტურის ოქროს ფონდში.

აჭარის მკვიდრი მოსახლეობა ხიდების მშენებლობას ძირითადად თამარ მეფის მოღვაწეობას მიაწერს. ამასთან დაკავშირებით ხ. ახვლედიანი მიუთითებდა, რომ რადგან საქართველოში მშენებლობა განსაკუთრებით მძლავრად გაჩაღდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მოღვაწეობისას, გასაკვირი არ არის, აჭარაში არსებულ ნაგებობებს ადგილობრივი მოსახლეობა თამარ მეფეს მიაკუთვნო.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ აჭარაში დაცული ქვის თაღიანი ხიდები არ შეიძლება ერთი ეტაპის მშენებლობად ჩაითვალოს. იგი შეიძლება ძირითადად ორ რიგად დავყოთ. ხიდების ერთი რიგი ახ.წ IV-V საუკუნეებს, ხოლო მეორე რიგი – ძირითადად VI-VII საუკუნეებს მივაკუთვნოთ... აჭარა-ქობულეთი-მაჭახლის ვიწროებში აგებული ამ კონსტრუქციის ხიდები, კლდეში ნაკვეთი ქვის საწნახლები მატერიალური კულტურის სხვა ძეგლთა ჯაჭვში, ამ მხარის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის მამტკიცებელია, ეს მხარე, ადრეული და ადრე ფეოდალური ხანიდან მოყოლებული, იბერიის შემადგენლობაში უნდა ვიგულოთ. – წერდა ხ. ახვლედიანი. (სამხრეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები, 1975 წ., გვ. 72).

თაღოვანი ხიდები

დანდალოს ხიდი

დანდალოს ხიდი მდებარეობს ქედის რაიონის ამავე სახელწოდების სოფელში, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზაზე. ხიდის ასაგებად შეურჩევიათ კლდოვანი ქანებით აგებული ვიწრო ადგილი, სადაც კალაპოტი კლაკნილია. ხიდის ქვეშ მისი სიგრძე 20 მეტრს აღემატება. ხიდი თხელი თაღით, დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ნაშენებია ვულკანური წარმოშობის კლდის თლილი ქვით კირის დუღაბზე. ხიდის სავალი ნაწილი დაფარულია უსწორო ქვებით. ბურჯები კლდეზეა აღმართული. მასზე შემორჩენილია ქარგულისა და ხარაჩოების ბუდეების ფოსოები. თითოეულ ბურჯზე ფოსოების ორი რიგია, თითო რიგში კი სამი ბუდეა. ფოსოების ორი რიგი ცხადყოფს, რომ ხარაჩოები ორ რიგად იყო აღმართული. ბურჯები ქვემოდან ზემოთ ფართოვდება. მარჯვენა ბურჯი კლდეზეა დაშენებული, ხოლო მარცხენა, მალის შემცირების მიზნით, წყალშია შეჭრილი. ხიდი აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.

შუა საუკუნეების განმავლობაში ხიდის ზედაპირზე გამაგრებისა თუ შეკეთების მიზნით დაუმატებიათ ქვის წყობის ორი რიგი, რაც სრულად განსხვავდება პირვანდელისაგან ზომით, ფორმითა და წყობის ხარისხით. ამგვარი გადაკეთება-შეკეთება ერთგვარად უცვლის ნაგებობას პირვანდელ სახეს და ამძიმებს მის კონსტრუქციას.

ხიდი ატყორცნილი თაღით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. თაღი S-ს ფორმისაა. ამგვარი ხიდის აგება სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით უფრო რთულია და დატვირთვაც არათანაბრად ნაწილდება.

ხიდის პარამეტრებია: ბურჯიდან ბურჯამდე სავალი ნაწილის სიგრძე 35,9 მ. სიგანე ხიდის შუა ნაწილზე – 2,7 მ. ნაპირებზე ბურჯებთან 3,60მ. ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან-ბურჯამდე – 21,7მ. სიმაღლე წყლის დონიდან თაღის ზემო ნაწილამდე 8,5მ. ქარგილის ბუდეების ზომებია: 0,4X0,36მ. და 0,34X0,3მ.

2008 წელს ხიდს ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები. დანდალოს ქვის თაღიანი ხიდი საქართველოს ქვის თაღიან ხიდებს შორის სანიმუშო ძეგლადაა აღიარებული. ის ზემო და ქვემო აჭარის საზღვრადაც მიიჩნევა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, გვ. 172).

ხიდის აშენების თარიღები სხვადასხვაა: ზემოთ მოვიყვანეთ ყველაზე ახალ წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები", აღნიშნული თარიღი – IX-X საუკუნეები, ცოტა უფრო ადრე მივანიშნე შ. რუსიძის ნაშრომი, რომელშიც მკვლევარი ასახელებს XI-XII საუკუნეებს. არსებობს ნ. კვეზერელი-კოპაძის წიგნი „საქართველოს ძველი ხიდები", რომელშიც დასახელებულია მოსაზრება ხიდის ადრე ფეოდალურ პერიოდში აშენების შესახებ. აჭარის ისტორიის მკვლევარი შ. ვარშანიძე ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ასახელებს VI-VII საუკუნეებს.

რომელია სწორი? – ამის დასაბუთებას, ალბათ, კვლავ დასჭირდება კვლევა. მე კი ზემოთ საქართველოს რუკაზე აღვნიშნე, ვთქვი სახელ „დანდალოს" წარმოშობის შესახებ. თუკი ვარაუდი სახელწოდების ხიდთან დაკავშირებაზე სწორია და ეს სახელი XI საუკუნის რუკაზეა დატანილი, მაშინ მოსაზრება XI-XII საუკუნეებში აშენებაზე უკვე უარსაყოფია.

ამ ეტაპზე უფრო სწორია აზრი IX საუკუნეში აგებაზე, რაც შეეხება VI-VII საუკუნეებში აგებას, ამას ხიდების სპეციალისტების შედარებითი არქიტექტურული ანალიზი სჭირდება. უდაოდ საშურია ამ საკითხში ბოლომდე გარკვევა, რაზეც ყურადღებას ამახვილებს პუბლიცისტი და ჟურნალისტი თამაზ აბულაძე თავის წიგნში „ორი სოფლის ჩირაღდანი".

ცხმოხისის ხიდი

ცხმორისის ხიდი აგებული იყო ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, საავტომობილო გზიდან 150-მეტრის დაშორებით, ცხმორისის ცენტრამდე 1,4 კმ-ში, ბოლქვაძეების საკარმიდამოს მიმდებარედ. გვალვების დროს, როცა წყლის დონე იკლებს, (აგვისტო-სექტემბერში), მოჩანს ხიდის მარჯვენა ბურჯის ნაშთი.

ხიდი აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში; ის 1895 წლის წყალდიდობისას ჩავარდნილა. დღეს დარჩენილია ხიდის ბურჯი მდინარის მარცხენა მხარეს ფერდობზე წყლის ზედაპირიდან 7 მეტრის სიმაღლეზე და 3 მეტრის სიგანეზე.

ვაიოს ხიდი

აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში, სოფელ აქუცის ბოლოს მდინარე აჭარისწყალზე, 1923-1924 წ.წ. სოფელ აქუცის დამეწყვრისას ხიდი ჩავარდნილა. შემორჩენილია მდინარის მარცხენა მხარეს ხელით ნაშენები ქვის ბურჯი. 1924 წლის დიდთოვლობის მომსწრენი სოფელ ვაიოდან – იაყუფ ტეტემაძე, ახოდან – ხუსეინ ბერიძე, გობრონეთიდან ოსმან ნაკაშიძე და ცხმორისიდან დურსუნ აბაშიძე იგონებდნენ: „1924 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან თებერვლის 25-მდე გამოუდრელად თოვდა. თოვლის საფარის სიმაღლემ 5 მეტრს გადააჭარბა, საცხოვრებელი სახლები არ ჩანდა, მეზობლები ერთმანეთს თოვლში გაყვანილი გვირაბებით უკავშირდებოდნენ. თოვლის დნობას მოჰყვა წყალდიდობა რის გამოც აჭარის მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა, დაიმეწყრა ზოგიერთი სოფელი. აქუცის ტერიტორიაზე განვითარებულმა მეწყერმა გადაკეტა მდინარე აჭარისწყალი. აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობა ზესოფლიდან გადადიოდა ცენტრალურ გზაზე. მდინარემ თანდათანობით წაიღო ვიწრო ხეობაში ჩახერგილი ქვაღორღი და მიწა. წყალდიდობამ წალეკა ქედის ცენტრში ხისაგან გაკეთებული ხიდიც.

მახუნცეთის ხიდი

მახუნცეთის ხიდი მდებარეობს ბათუმი-ხულოს ცენტრალური გზიდან 54 მეტრის მოშორებით, აწჰესის დასახლების განაპირას. ხიდი დიდი ზომისაა და ეყრდნობა კლდის ბუნებრივი ბურჯებს, რომელთა სიმაღლეები განსხვავებულია. ხიდი ნაშენია ვულკანური წარმოშობის კლდის ქვით, კირის დუღაბზე. ხიდის ორივე მხარის საპირე რკალისათვის გამოყენებულია ფლეთილი ქვები, რომლებიც ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ორივე ნაპირს მთელ რიგზე გასდევს. მშენებლობის ტექნიკითა და ქვების დამუშავების მხრივ იგი ახლოს დგას ფურტიოს ხიდთან. ბურჯიდან ბურჯამდე ხიდის ჰორიზონტალური სიგრძე 19,5 მეტრია, ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე - 28,7მ, სიგანე შუა წელზე - 2,5 მ, ნაპირებზე ბურჯებთან - 3მ. თაღის სიმაღლე წყლის დონიდან - 5,6 მ, თაღის ზედაპირამდე - 6,30 მ. ხიდის ბურჯებს ფოსოები არ აქვს, თუმცა, სიმაღლის გამო ხიდის მშენებლობის დროს მდინარეში ხიმინჯები უნდა აღემართათ, რაზეც ხარაჩოები ეწყობოდა. ხიდი აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.

დროთა მსვლელობაში ხდებოდა ხიდის გამაგრება-შეკეთება. ამის მაჩვენებელია მის ზედაპირზე დამატებული ქვის ერთი და ზოგან ორი რიგი, რომლებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომით, ფორმით, თუ წყობის ხასიათით. მის გამო ხიდს პირვანდელი სახე შეცვლილი აქვს. 2008 წელს ხიდს ჩაუტარდა სრულყოფილი საკონსერვაციო სამუშაოები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ქვის თაღიანი ხიდების გეოგრაფიულ

გავრცელებას თუ ერთმანეთთან დავაკავშირებთ, დავინახავთ, რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ ისტორიული ტაო-კლარჯეთის, აჭარისა და ჭანეთ-ლაზეთის ტერიტორიაზეა კონცენტრირებული, აქ არსებული ხიდების მშენებლობის ხელოვნებაც და არქიტექტონიკაც თითქმის ერთნაირია. ასეთი ხიდების მშენებლობა აჭარაში IX-X საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო. აჭარა ამ პერიოდში „ქართველთა სამეფოს ერთ-ერთი „საერისთავოა". (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, მე-2, 2009 წ. გვ. 174).

სალოჰეთის ხიდი

ხიდის ნახვისას წარმოდგენა შეგექმნება, თითქოს ალიზითაა აგებული, ამიტომ ხალხმა „მიწის ხიდი" შეარქვა.

ხიდი აგებულია აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, მდინარე ჭანჭახედი, ვიწრო და კლდოვან ადგილას, სოფელ საღორეთის ტერიტორიაზე. ხიდის სიმაღლე 7 მეტრია, სიგანე 2,3 მეტრი. ხიდის საერთო სიგრძე 16 მეტრია. ხიდის ბურჯი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე, წყლის დონიდან ხიდის სიმაღლე არის 4,64 მეტრი. ხიდი აგებულია გათლილი სუფთა ქვით და შუა ფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული.

წონიარისის ხიდი

წონიარისის ხიდი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, წონიარისის ღელეზე, სახელმწიფო გზიდან 3 კილომეტრის მოშორებით. მიეკუთვნება XI-XII საუკუნეებს. დაინგრა და ახლახან აღადგინეს.

ციხესიმაგრეები

სალოჰეთის ციხე

საღორეთის ციხე დაშენებულია მიუვალ კლდეზე მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ცენტრალური გზატკეცილიდან 2,5 კილომეტრის მოშორებით. იგი მეთვალყურეობდა აჭარისწყლის ხეობას და აქ გამავალ გზებს. ციხის კედლები საკმაოდ დაზიანებულია. ციხის შიგნით მოქცეული ფართობი დაახლოებით 150-200 კვ.მ.-ია, იგი ამოვსებულია მიწით. ციხე არქეოლოგიურად ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ცივასულას ციხე

ცივასულა ეწოდება ადგილს, სადაც აჭარისწყალი და აგარის წყალი ერთმანეთს ერთვის. სწორედ აქაა აღმართული ციხე, ცენტრალური გზიდან 0,5 კილომეტრის მოშორებით. ციხის ფუნქცია აჭარისწყლის ხეობისა და აგარისწყალზე გამავალი გზის მეთვალყურეობა იყო. ეს გზა აჭარა-გურიის მთებზე არსებული ზეკარებით ჩაქვის წყლის ხეობაში გადადიოდა და ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა. ციხე მცირე მოცულობისაა, (400 კვ.მ.).

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია, მაგრამ მეზობელი საღორეთის ციხის სტილისაა. არქიტექტორების მინიშნებით და შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით, იგი განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. გადმოცემით ციხისა და სოფლის სახელწოდება მისი ოდინდელი მფლობელის – ცივაძის გვარს უკავშირდება.

გულების ციხე – ეკლესია

მდებარეობს სოფელ გულებისა და სოფელ ზესოფლის ქედის წყალგამყოფზე, საუმპიის მთაზე, ცენტრალური სამანქანე გზიდან 6 კილომეტრის მოშორებით. მას ერთადერთი ვიწრო კლდოვანი მისასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან. ციხე-კოშკის მთლიანი ფართობი 70-80 კვ. მეტრია. ციხის კედლების დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდე მორღვეულია. სტრატეგიული თვალსაზრისით ციხე უაღრესად ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობს და არწივივით გადმოჰყურებს ზემოდან აჭარისწყლის ხეობას. აქედან შესანიშნავად მოჩანს ხეობის მთელი ტერიტორია დანდალოს ციხემდე. მოკლევადიანი ვიზუალური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სადა და ფერადი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. ციხეც ამ დროს უნდა იყოს აშენებული. მას გულების ციხეს ეძახიან, მაგრამ ის ზესოფელთან უფრო ახლოსაა და აქედან მისასვლელი უფრო მოსახერხებელია. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, 2009წ.), აღსანიშნავია, რომ ამ ციხე ეკლესიაში თ. ჯაბნიძემ აღმოაჩინა თვალსაჩინო საეკლესიო ნივთები.

ჯავიანის ციხე

კავიანის ციხე მდებარეობს ქედის რაიონში, დანდალოს ცენტრიდან 2 კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით, სოფელ ჯალაბაშვილების ტერიტორიაზე. სოფლის აღმოსავლეთით, შემაღლებულ ადგილზე აგებულია სათვალთვალო კოშკი, რომელსაც მოცულობის მიხედვით ეწოდება პატარა ციხესიმაგრე. ჩრდილოეთით ციხე გადაჰყურებს ხიჭაურის ცენტრს. ციხეს დაახლოებით 150 მეტრზე ჩამოუდის ღელე, რომელიც ქედისა და შუახევის რაიონების გამყოფი საზღვარი. ციხის დასავლეთით ციცაბო კლდეა, სამხრეთით – ტყე. ასევე ციხე პირდაპირ გაჰყურებს ჭვანის ციხეს, დასავლეთით კი გეგელიძეების სათვალთვალო კოშკს.

კავიანის ციხე ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი ქვით, აქა-იქ ურევია რიყის ქვაც, შემორჩენილ კედლებზე დატანებულია სათვალთვალო ნიშები. ჩანს, შენობა სამსართულიანი იქნებოდა, იგი საკმაოდ მოზრდილია და ორი განყოფილებისაგან შედგება. ციხის სამხრეთ ნაწილში სათავსო ნაგებობაა მიწაში დატანებული წყლის რეზერვუარით, ზომით 3X1,8 და სიღრმით 1,70. ციხის ძირითადი ნაწილი კონუსურია. მისი ზომებია 15,70X7,30, მეორე ნაწილი 8,80X3, კედლების სისქე 0,80-დან 1 მეტრამდეა. ციხე-კოშკი აშენებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.

ციხეს კავიანი ჰქვია. დ. ბაქრაძეს ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით ციხეზე ასვლა კავით ხდებოდა და ამიტომ კავიანი დაარქვეს, ამ აზრს თავად ისტორიკოსი მოგზაური უარყოფდა. მისი მოსაზრებით ეს ციხე იყო გალავნიანი, გალავანს კი ქავი ქვია. როგორც ჩანს, ციხეს ჯერ ქავიანი ერქვა და დროთა განმავლობაში ქ ბგერა კ ბგერით შეიცვალა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის დროისთვის სოფელი კავიანიც ყოფილა, როგორც ჩანს, დღევანდელი ჯალაბაშვილები.

დანდალოს (ყაღივაჯის) ციხე

ციხე მდებარეობს სოფლის ზემოთ, სოფელ დანდალოს თავში. ციხეზე მისვლა შეიძლება სამხრეთის მხრიდან, ვიწრო ბილიკით. ციხის ფართობი დაახლოებით 90 კვ. მეტრია. შესასვლელი დაზიანებულია და ნაშთის სიმაღლე 1,5 მეტრია. ციხე შედგება კოშკის, სამი სათავსოსა და ტალანისაგან. კოშკი, რომელიც საკმაოდ დანგრეულია, 5 კვ. მეტრს შეადგენს, შემორჩენილი კედლების სიმაღლე კი გარედან 2,50 მ. და 3,90 მეტრს შეადგენს.

კოშკის აღმოსავლეთით მდებარეობს მთავარი სათავსო, ამჟამად დანგრეული. შემორჩენილია დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლები, სათავსო 14 კვ. მეტრია; შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1,2 და 2,4 მეტრის სიმაღლისაა, ციხიდან კარგად მოჩანს ჭვანის ციხე.

ძირითადად ეს ციხეები საყარაულო-სათვალთვალო კოშკების მოვალეობას ასრულებდა. აქაური ნაგებობა ჭვანის ციხის მსგავსია, რომელიც XIV-XV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

ზენდიდის ციხე

„1603-1612 წლებშიც და შემდეგაც, 30-იანი წლების ბოლომდე, შაჰაბას პირველის ირანმა კიდევ ერთხელ დალაშქრა სამცხე და გარკვეული პერიოდებით მისი შენარჩუნებაც მოახერხა. ბუნებრივია, არც ოსმალები თმობდნენ პოზიციებს, რის დასტურია ის, რომ ამ პერიოდში მათ ქ. ახალციხეში მაგარი ციხე აუგიათ და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩაუყენებიათ, არაა გამორიცხული, რომ იმავე ოსმალების დასტურითა თუ უშუალო მონაწილეობით აჭარაშიც, კერძოდ, ზენდიდში სწორედ მაშინ აშენებულიყო ციხე, რომელიც ერთი მხრივ, მათ სამსახურში ჩამდგარა. ფეოდალური საგვარეულოს (დიასამიძე-ბეჟანიძე) სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებას (და შესაბამისად, მასზე დაყრდნობით, რეგიონში ოსმალური გავლენის გაძლიერებას) მოემსახურებოდა, მეორე მხვრივ კი, ირანელთა აგრესიის შემაკავებელ ფორპოსტად იქცეოდა.

ზემოთ მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ზენდიდის ციხე აშენებულა მე-XVI საუკუნის 70-იან წლებსა და მე-XVII საუკუნის 30-იან წლებს შორის პერიოდში. ასეთ ვარაუდს გარკვეულად ამაგრებს ერთი ფაქტი, კერძოდ დასაშვებია, რომ ზ. ჭიჭინაძესთან ციხის აღმშენებლად დასახელებულია ახმედ-ბეგი და 1595 წლის „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში" აჭარის მირ-მირანად, ანუ ბეგლარბეგად მოხსენებული ახმედ-ფაშა ერთიდაიგივე პიროვნება იყოს. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდია და კიდევ უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. ამ აზრის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეცნიერებმა (შოთა მამულაძე, დავით მინდორაშვილი, მერაბ ხალვაში, ტარიელ ებრალიძე) ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს უძველესი (IX-Xს.) ეკლესია და სამაროვნის ნაშთები, გახსნეს საფლავი, სადაც აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული ადამიანი, რომელსაც ხელთ ჯვარი ეპყრა. ახალმა აღმოჩენამ მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამჟამინდელი ციხის ნანგრევების ადგილას იდგა ერთი ძველი ეკლესია, აქვე მდებარეობდა მიტოვებული სამაროვანი, რომელიც ამ ადგილების მფლობელმა, როგორც მკვლევარები ფიქრობენ მე-XVI-XVII საუკუნეებში ციხის ასაშენებლად გამოიყენეს. როგორც ჩანს, კვლევა კვლავ უნდა გაგრძელდეს" (რამაზ სურმანიძე – ბეჟანიძეები. თბ. 2012 წ. გვ.14-15).

ციხის კედელი ზოგან 1,70 მ-დან 6 მეტრი სიმაღლისაა, კედლის სისქე 110 სანტიმეტრია, გადარჩენილი კედლის სიგრძე 27 – მეტრი, გალავანი 53,29 გრძივი მეტრი, აღარ არსებობს... ზენდიდის ციხე მრავალჯერ დაურბევია მტერს. 1680 წელს აჯანყებულა ქვემო აჭარის მოსახლეობა, შემდეგ 1733-1741 წლებში აჭარას შემოესია ისაკ ფაშა, ამ შემოსევის მიზეზი იყო მოსახლეობის ბრძოლა გამუსლიმანების წინააღმდეგ.

1573 წელს ციხე ირანელ შაჰ-თამაზს დაურბევია.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აჯანყებებს კიდევ ჰქონდა ადგილი აჭარაში. აჯანყებულებმა ახალციხის ფაშას ბევრი მეომარი დაუხოცეს. ყველა ეს შემოსევა და აჯანყება აზარალებდა ზენდიდის ციხეს.

1777- 1782 წლებში ახალციხის ფაშას კვლავ დაურბევია ზენდიდის ციხე.

ჯუღუხის ძეგლები ქედის ხაიონში

(ძეგლთა დაცვის სამმართველოს მონაცემები)

№	ძეგლის მდებარეობა	ძეგლის სახეობა	დაარსების დრო
1.	დანდალო	ხიდი	IX-X საუკუნეები
2.	დანდალო	ყალივაკის ციხე	IV-V საუკუნეები
3.	დანდალო	კავიანის ციხე	IX-X საუკუნეები
4.	ზედა მახუნცეთი	ეკლესია	IX-X საუკუნეები
5	კორომხეთი	ციხე	IX-X საუკუნეები
6.	პირველი მაისი	ციხე	IX-X საუკუნეები
7.	პირველი მაისი	ხიდი	IX-X საუკუნეები
8.	პირველი მაისი	კოშკი	XI-XII საუკუნეები
9.	ქედა	ეკლესია	შუა საუკუნეები
10.	ქედა	ზენდიდის ციხე	XV-XVI საუკუნეები
11.	ქვ. მახუნცეთი	ხიდი	IX-X საუკუნეები
12.	ცხმორისი	ხიდი	IX-X საუკუნეები
13.	გეგელიძეები	კოშკი	IX-X საუკუნეები
14.	ზედა მახუნცეთი	კოშკის ნანგრევები	IX-X საუკუნეები
15.	ზვარე	ნასაყდრალი	IX-X საუკუნეები
16.	ზვარეგმზავრიძეების უბანი	საწნახლის ნანგრ.	IX-X საუკუნეები
17.	ზვარე	კოშკი	IX-X საუკუნეები
18.	ზუნდაგა	საწნახელი	ძვ. წ. IV-Vსაუკუნეები
19.	კოკოტაური	საწნახელი	IX-X საუკუნეები
20.	ნამონასტრევი	ეკლესია	IX-X საუკუნეები
21.	პირველი მაისი	ციხის ნანგრევი	ძვ. შუა საუკუნეები
22.	ქვედა ბზუბზუ	მარანი	ძვ. შუა საუკუნეები
23.	სოფ. ცხმორისი	ნასაყდრალი	შუა საუკუნეები
24.	ძენწმანი	ციხის ნანგრევი	შუა საუკუნეები
25.	ძენწმანი	ნასაყდრალი	შუა საუკუნეები

თაღოვანი ხიდები

დანდალოს ხიდი

ცხმორისის ხიდის ბუჯის ნაშთი

მახუნცეთის ხიდი

საღორეთის ხიდი

წონიარისის (ჯარიმელის) ხიდი

საღორეთის თამარის ციხე

ცივასულას ციხე

გულების ციხე თუ ეკლესია?

კავიანის ციხე

დანდალოს (ყალივაკე) ციხე

ზენდიდის ციხე

ქედა შუა საუკუნეებში

ფარნავაზის აღმოსავლურ-დასავლური ერთობის ადგილას კვლავ შეძლო ძალაუფლების გავრცელება ვახტანგ გორგასალმა, მის შემდეგ კი ქართველთა დიდი გაერთიანებისათვის ბრძოლა დაიწყო ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ. ამ დროს საქართველოში იყო აფხაზთა სამეფო, კახთა საქორეპისკოპოსო და ქართველთა სამეფო.

ქართველთა სამეფო, რომელშიც რამდენიმე ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი, აჭარა, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, სპერი, თორთომი) შედიოდა, ეკონომიურად დაწინაურებული მხარე იყო ამ დროს ქვეყანაში განვითარებას იწყებს სოფლის მეურნეობა (მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა) და ხელოვნება. ტაო-კლარჯეთის ეკონომიკურ დაწინაურებაზე მიუთითებს მაშინდელი ტაძრების, სასახლეების, გზების, ხიდების არსებობა. ვაჭრობის განვითარებაზე მეტყველებს დავით კურაპალატის მიერ მოჭრილი ქართული მონეტა.

ქართლში არაბთა გაბატონების შემდეგ მდგომარეობა დამძიმდა, როცა არაბებმა თბილისის საამირო დააარსეს, აშოტ ბაგრატიონი ტაო-კლარჯეთში გადავიდა. მისი ამ მხარეში მეფობიდან იწყება კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა.

„ის დიდი სამონასტრო კოლონიზაცია, რომელიც გაიშალა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიაზე, საერო ხელისუფლების მხარდაჭერითა და მატერიალური შეწევნით ხორციელდება. ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ინიციატივა და ხელმძღვანელობა სასულიერო პირებისაა, ხოლო მატერიალური დახმარება – შეწევნა, როგორც წესი, საერო ხელისუფლებისა...

აშოტ კურაპალატი, როგორც ქართლის ერისმთავარი, საქართველოს ცენტრალურ რაიონებზე ავრცელებს თავის ხელისუფლებას და ცდილობს არაბთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას... მაგრამ აშოტი დამარცხდა არაბებთან ბრძოლაში და განშორდა ქართლს. თავდაპირველად აშოტი შავშეთსა და კლარჯეთში მკვიდრდება. იქმნის რეზიდენციას არტანუჯში: „და პოვა კლარჯეთს ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელ პირველ გორგასალს ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელად არტანუჯი, და აოხრებულ იყო ბაღდადელის, მისი ყრუობთაგან"... აშოტ ბაგრატიონი აახლებს არტანუჯს, ციხეს და ქალაქს, იქმნის საჯდომად – წერს აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე (ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ.1969 წ. გვ. 202-203).

ტაო-კლარჯეთი ამ დროის ქართული კულტურის ერთ-ერთი უმძლავრესი კერა იყო, სადაც კულტურისა და განათლების დიდი ცენტრები შეიქმნა და მომავალი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნას აქ ჩაეყარა საფუძველი.

ქართული სახელმწიფოს შექმნას ხელი შეუწყო ბიზანტიის და არაბთა სახელმწიფოების დასუსტებამ. სამხრეთ საქართველოს (სპერის) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთაც საკუთარი მამულები მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში ჰქონდათ, საფუძველი დაუდეს საერთო ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს. ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს ერთი ნაწილის – ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, მეფე დავით III 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული ტერიტორიები.

მაშინ აჭარა, როგორც უკვე ვთქვით, „ქართველთა სამეფოს" შემადგენლობაში შედიოდა.

აჭარის სოფლის მეურნეობაში ძირითადად გამოიყენებოდა შრომის იარაღები: ბარი, თოხი, ნამგალი, ცული, წალდი, სასხლავი დანები. დაწინაურდა სოფლის მეურნეობის დარგი მემინდვრეობა, ამავე პერიოდში გავრცელებული იყო ტყის ზონის მიწათმოქმედება, ე.წ. ახოობა, რაც სათავეს თოხის კულტურიდან იღებს; იგი გუთნურმა მიწათმოქმედებამ შეცვალა, და XX საუკუნის ბოლომდე არსებობდა.

აჭარაში მაღალ განვითარებას მიაღწია ტერასულმა მიწათმოქმედებამ. მიწის შესაკავებლად წნელსაც იყენებდნენ. ტერასულად მიწას დღესაც ამუშავებენ მერისში, დოლოგანში და სხვა სოფლებში.

მემინდვრეობაში წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა პურეული კულტურის მოყვანას. მის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული და ტოპონომიკური მონაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1984 წელს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარცვლეულის ნაშთები. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიული შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ამ ნაშთების სახით ჩვენ საქმე გვაქვს რბილი და მაგარი ხორბლის ჯიშების, მათ შორის დოლის და დიკას, კულტურული ორმარცვალა ასლის, კულტურული ჭვავის, აგრეთვე ღომის, ცელისპირას, ბარდას და ოსპის არსებობასთან".

დოლის პური კარგად ხარობს როგორც სარწყავ, ასევე ურწყავ ნიადაგებზე.

აჭარაში რამდენიმე სახის დიკა მოჰყავდათ: თეთრი დიკა, ყირმიზი – წითელი დიკა, შავთავა ანუ შავფეხა დიკა. მარცვლეულთა შორის თითქმის ყველგან ითესებოდა ჭვავი, რომელიც მწირ ნიადაგებზე მოდიოდა.

მარცვლეული კულტურებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ასლს. ასლი ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ის ხასიათდება მოკლე სავეგეტაციო პერიოდით და გვალვაგამძლე ხორბალია.

აჭარაში კარგად ხარობდა ღომი, როგორც ბარში, ასევე მთიან ადგილებში. მოჰყავდათ წითელი ღომი და საგვიანო თეთრი ღომი. ღომის გასახმობად არსებობდა საგანგებო ჭურჭელი, რომელსაც ოლვე ერქვა, ღომის გასაცეხვად გამოიყენებოდა ფეხის საცეხვი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საძიგველას უწოდებდა.

აჭარაში მარცვლეულის კულტურიდან ძველთაგანვე ცნობილი იყო ოსპი, რომელსაც იყენებდნენ როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის გამოსაკვებად, ამავე მიზნით მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული ბარდა.

აჭარაში პურის სალეწად იყენებდნენ კევრს და გასაცეხველად ხისა და ქვის საცეხველებს. თითქმის ყველა სოფელშია ტოპონიმები: ნაპურვალა, ნაჭვავავი, ნაღომვარა, ნაფეტვარა, ნასელვარი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ ადგილებში ზემოთაღნიშნული კულტურები ითესებოდა. როგორც არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, ქედის რაიონში კარგად ყოფილა განვითარებული მევენახეობა, რასაც ადასტურებს სოფელ კოკოტაურის თივაურების უბანში აღმოჩენილი შუა ფეოდალური ხანის დროინდელი ქვითკირის 3 ტონა ტევადობის საწნახელი. საწნახელიდან თიხის ღარით ყურძნის წვენი მიედინებოდა 15 ქვევრში, რომელთა მოცულობა თითოეულისა თითო ტონაა, მათგან დღეისათვის მთლიანად შემონახულია ერთი ცალი ქვევრი რამიზ მამულაძის სახლთან.

ამ დროისათვის ქედის რაიონი მაღლარი ვენახის სიმრავლით გამოირჩეოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ აჭარაში მაღლარის 14 შავი და 12 თეთრი ჯიში არსებობდა, ხოლო ნიკო კეცხოველს 50-ზე მეტი ძველი ჯიში აქვს მოხსენიებული. ამჟამად აჭარაში დაფიქსირებულია ვაზის 80 ადგილობრივი ჯიში.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე მიუთითებს ქვითკირის და კლდეში ნაკვეთი საწნახლები მახუნცეთში, კოკოტაურში, ძენწმანში, ბზუბზუში, აქუცაში და სხვაგან. აქუცაში ნახული ქვის საწნახელი გადატანილია აჭარისწყლის დასახლებაში არსებულ „ღვინის სახლში." დანდალოს ოტოლაძეების უბანში აღმოჩენილი საწნახელი აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.ზუნდაგაში აღმოჩენილი ქვაში ნაკვეთი ქვევრი პროფესორ დ. ხახუტაიშვილის თქმით, ძვ. წ. აღრიცხვის მე-V ს. მიეკუთვნება.

საწნახლები ცნობილია ძვ.წ. VI საუკუნიდან ახალი წელთააღრიცხვის X საუკუნემდე, მარნები და ქვევრები უკიროდაა ჩადგმული, მათი დაკირვა შუაფეოდალური ხანის

XI ს. 80-იანი წლებიდან იწყება, რაც გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ქვევრები ნახულია სოფელ ცხმორისში, არაერთ ადგილას, სოფელ ორცვაში აბულაძეების საკარმიდამოში, ქედაში თითქმის არაა სოფელი, სადაც არ აღმოჩენილა ქვევრები. საყურადღებოა სოფელ ვაიოს ჩარგულავ-კოლოშნარის უბანში მრავლად მიკვლეული ქვევრები. მეღვინეობის ამ უძველეს და უნიკალურ ჭურჭელს დღესაც გამოიყენებენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

შუა ფეოდალური ხანის აჭარაში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა, მეღორეობა და მეხილეობა. ამას ადასტურებს ოსმალთა მიერ შედგენილი მცირე დავთარი, რომელშიც აღწერილია ზემო და ქვემო აჭარის სოფლები.

ზუნდაგის საწნახელი ძვწ. აღ. VI ს.

ორცვის საწნახელი

აქუცის საწნახელი ქედის ღვინის სახლში

ქრისტიანობის გავრცელება

ცნობილია, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში თანდათან იწყო გავრცელება ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ და რელიგიამ.

როგორც ვიცით, ქრისტიანობა ჩაისახა ჩვ. წ. აღრიცხვის დასაწყისში რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ პალესტინა-იუდეაში. ამ დროს, მართალია, რომის იმპერია გარეგნულად ბრწყინავდა, მაგრამ ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ის შეაზანზარეს პროვინციებში დაწყებულმა გრანდიოზულმა აჯანყებებმა და 68-69 წლების სამოქალაქო ომმა.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ჩვ.წ.-ის 67 წლის აჯანყებამ პალესტინაში. ებრაელებმა ჩვ.წ.-მდე VI საუკუნიდან არაერთი გამანადგურებელი დარტყმა იგემეს ბაბილონის, სპარსელების, მაკედონელების, სელევკიდებისაგან (134- 65წ.წ.), ამიტომ ახლა განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდნენ დამპყრობელი რომაელების წინააღმდეგ. მათ ამოწყვიტეს რომაელთა გარნიზონები იერუსალიმსა და პალესტინის სხვა პროვინციებში და დახმარებისათვის მიმართეს სხვადასხვა ადგილას მიმობნეულ ებრაელებს. იმპერიის ჯარებმა სასტიკად ჩაახშვეს აჯანყება, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს ებრაელთა პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იერუსალიმი თავისი ტაძრებით. გაძარცვეს და ხელთ იგდეს ასიათასი მონა (ბ. დიასამიძე. ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1990 წ. გვ. 18).

რომის იმპერიამ თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა მთელი ევროპა და მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, სისხლში ჩაახშო ყველა აჯანყება, რომლებიც საშიშროებას უქმნიდა, თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია ყველა პროვინცია, შემოიღო მკაცრი საგადასახადო სისტემა.

სწორედ ამ საყოველთაო ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური კრიზისის პირობებში წარმოიშვა ქრისტიანობა.

ქრისტიანობა სხვა ადრინდელი რელიგიებისაგან განსხვავებით, შედარებით გვიან, აღმოსავლური ცივილიზაციების განვითარების იმ საფეხურზე წარმოიშვა, როცა სოციალურ-ეკნომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობები უაღრესად დაძაბული იყო. ასეთ პირობებში რელიგიას, რომელსაც ფართოდ გავრცელების პრეტენზია ჰქონდა, უნდა ეპასუხა ეპოქის მოთხოვნებისათვის...

ამ დროს რომის იმპერიაში მრავალი რელიგია (წარმართული, რომაული პოლითეიზმი, სპარსული მითრაიზმი, ბევრი აღმოსავლური კულტი და ბოლოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია – რომის იმპერატორთა კულტი) მოქმედებდა, მაგრამ გაიმარჯვა ქრისტიანობამ, რადგან იგი ყველაზე მეტად გამოხატავდა უკიდურესად მძიმე მატერიალურ და სულიერ მდგომარეობაში მყოფი რომაელი ღატაკისა თუ მდიდრის განწყობილებას".

ქრისტიანული იდეები სწრაფად იწყებს გავრცელებას რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში და მათ შორის საქართველოში. ადრე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც წარმართულ ღვთაებათა მსახურება იყო გავრცელებული. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ყოფილა შექმნილი, არამედ „წარმართობაში ჩამოყალიბებული რელიგიური ცნობიერება მომზადებული იყო ქრისტიანობის მისაღებად."

„ამასთან, – როგორც აკად. კ. წერეთელი ფიქრობს, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების კიდევ ერთი გზა შეიძლება ყოფილიყო ჩვ. წ.-ის პირველ საუკუნის ბოლოს – ებრაელთა მასობრივი მიგრაცია სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის

საქართველოშიც. იგი წერს: უფრო დიდი და მნიშვნელოვანი შემოსევა საქართველოში ებრაელებისა და მათი აქ დასახლება ახ.წ.-ის პირველ საუკუნეში უნდა მომხდარიყო, რომის იმპერატორის ვესპასიანეს დროს და მისი ძის ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღებისა და ტაძრების დანგრევის შემდეგ ახ. წელთ. აღ. 70 წელს" (ბიჭიკო დიასამიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ 31).

საქართველოში ქრისტიანობის ახალი წელთააღრიცხვის პირველ საუკუნეში ქადაგების შესახებ არსებობს, როგორც III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოელი ავტორების ცნობები, ისე „ქართლის ცხოვრების" მოგვიანო ჩანართი, რომელშიც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი, ამ მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში, ქრისტიანობის პირველ მქადაგებლებად ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათაა დასახელებული. „სხვა ძეგლებში, სახელდობრ, იესომინის თხზულებების დამატებაში, რომელიც მეოთხე საუკუნის ავტორს სოფრონის მიეწერება, ნათქვამია: „ანდრიამ, როგორც გადმოგვცეს წინაპრებმა, დიდ სუბასტოპოლისში, სადაც არის აფსაროსის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფაზისი", იქადაგაო. ამავე ტექსტში ანდრია პირველწოდებულის თანამოღვაწის მატათას შესახებ ნათქვამია: მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და დამარხულია დღემდე... (აფსაროსში გონიო-ფაზისი – ჭოროხია ნაგულისხმევი).

„ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მატათას და სხვა მოციქულების შემოსვლას კოლხეთში ქართული წყაროებიდან ასახავს „ქართლის ცხოვრება", რომლის მიხედვით ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად ეწვია ჯერ ტრაპიზონის მხარეს, შემდეგ ქვეყანას ქართლისას, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების" (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გამომცემლობა აჭარა, 2009 წ. გვ.62).

სწორედ ამ დროს მოხდა აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის გაქრისტიანება. აჭარა ქრისტეს პირველ მოციქულთა შემოსვლის დროს ქართლის (იბერიის) სამეფოში შედიოდა, რომელსაც სათავეში ედგა წარმართი მეფე ფარსმან I (დაახლოებით 36-66 წ.წ). ქრისტეს მოციქულებმა ახალი სარწმუნოების ქადაგება ფარსმანის ქვეყნის განაპირა მხარიდან, აჭარიდან დაიწყეს, რაც გამოწვეული იყო მისი რომის იმპერიასთან სიახლოვით.

მაშინ თურმე აჭარაში, მემატიანის თქმით, არ იცნობდნენ ღმერთს „და ყველა საძაგელსა და არაწმინდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადაც უჯერო არს. ანდრია, სანამ იგი ჩვენი მხარის მოსახლეობას ახალ სარწმუნოებაზე მოაქცევდა, ბევრ ჭორსა და განსაცდელში ჩაუგდიათ ურწმუნოებს, მაგრამ იგი ღმერთისა და მისი ხატის შეწევნით ყოველთვის ფონს გადიოდა. იმ ადგილას, სადაც ანდრიამ „ყოვლადწმინდისა ღვთიშობლის ხატი დაასვენა, გადმოღვრილა დიდი მშვენიერი წყარო, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდეც არსებობდა. ანდრია მოციქულს აჭარაში დაუნიშნავს მღვდელები და დიაკვნები, შემდეგ ღვთისმშობლის სახელზე აუშენებია ეკლესია და აჭარიდან წასვლა მოუნდომებია. ადგილობრივი მოსახლეობა ევედრებოდა, რომ ღვთისმშობლის ხატი დაეტოვებინა მათ მცველად. მაშინ ანდრიას ფიცარზე გამოუსახავს სახე ხატისა და მიუცია მათთვის. ეს ხატი სიხარულითა და პატივით დაუსვენებიათ მის მიერ აშენებულ ეკლესიაში, რომელიც XVIII საუკუნეშიც კი მოქმედებდა აჭარაში" (ჟურნალი „ჭოროხი", 2013 წ. №5 გვ.97).

ანდრია პირველწოდებულის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქრისტიანობა, რადგან იგი სახელმწიფოებრივ ინტერესებში არ იყო, თანდათანობით მივიწყებას მიეცა, მაგრამ კვლავ აღსდგა, როცა ქართლის სამეფო წმინდა ნინომ მოაქცია.

იესო ქრისტეს და ქრისტიანობის შესახებ პირველი ცნობა საქართველოში, კერძოდ ქართლში, პირველი საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოვიდა, როცა იესომ თავი

ღვთის ძედ გამოაცხადა და იერუსალიმელმა ებრაელებმა მიიწვიეს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც „მეცნიერნი რჯულისანი", რათა „განებჭოთ და განეკითხათ" ეს საკითხები.

„მცხეთიდან გაემგზავრნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, მაგრამ ისინი მაშინ ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა მაცხოვარი უკვე ჯვარს ეცვათ. წილისყრით უფლის კვართი მცხეთელ ებრაელებს ერგოთ. დაბრუნებულ ელიოზს „მყის წინა უკუე მიეგება და იგი გოდებითა და ტირილითა საშინელითა, ცრემლითა შესუარული და მოეხვია ყელსა სასურველისა და მის ძმისასა. ხოლო ვითარცა იხილა უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა კვართი მხსნელისა ჩუენისა, მყის წადიერებით და უკუე სიყვარულით შეეტკბო მკერდსა თვისსა მეყსეულად სულნი წარვდეს ნეტარსა მას დედაკაცსა." (ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეებში, „გამომც. აჭარა" ,ბათ. 2001 წ. გვ. 31 წ.).

პროფესორ ბ. დიასამიძის მიხედვით, ელიოზის დის ასეთი უცნაური სიკვდილის ამბავი „განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთასა და ვითარცა საცნაურ იქმნა, მეფესაცა და ყოველთა მთავართა, და ყოველსა ერსა და ყოველთა ერთბაშად დაუკვირდა საქმე იგი საშინელი".

ასე რომ, ქრისტეს მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ საქართველოში, ქართლში, ადრე გაიგეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან გაჩნდა ინტერესი მის სახელთან დაკავშირებული მოძღვრებისადმი.

მღვდელმონამე თევდორე აჭარელი

თევდორე აჭარელი (1775-1822). (თევდორე - ბერძნულად ღვთის ნიჭი) წმინდანი, იღუმენი, ერობაში ბექირ (ბექა) ავალიანი, სოფელ დანდალოდან. მესხეთიდან აჭარაში გადმოსახლებული (1630 წ.) თავადის თევდორე ავალიანის შთამომავალი. ბექა ავალიანი სოლომონ მეორე იმერთა მეფის თანამედროვე და თანამოაზრეა, ახლდა მას ტოლვილობის დროს, როგორც თანამებრძოლი, მეგზური და თარჯიმანი. მისი შვილი სულეიმან-ბეგი სოლომონის მომხრე აჭარელთა შორის იყო და დაიღუპა ხანის წყლის ხეობაში 400 მებრძოლთან ერთად. სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ ამალის ზოგიერთ სხვა წევრთან ერთად ბექა ავალიანი ტრაპიზონში დარჩა, ბერძენთა მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად თევდორე დაირქვა. ეკლესიაში დარჩენილ ქართველებს, მათ შორის თევდორეს, ბერძნებმა „ევროპულოსი" ზედწოდება შეარქვეს. თევდორეს ტრაპიზონში ყოფნისას დანდალოში მცხოვრებ მამაკაც ავალიანთა მთელი მოდგმა ოსმალებმა ამოჟლიტეს. გადარჩა მხოლოდ მისი შვილი, რომელიც ნათესავებმა გააპარეს და ტრაპიზონში თევდორესთან ჩაიყვანეს, „ევროპულოსებს" ტრაპიზონშიც არ ასვენებდნენ, მამა თევდორემ ოსმალთა მხრიდან აქაც იგრძნო საშიშროება. ამიტომ ქალაქ სმირნაში (იზმირი) ივლტო და ძმისშვილთან ერთად წმინდა მარიამის მონასტრის მეტოქს შეაფარა თავი. აქ ძმისშვილი მონათლა და სახელად ნეოფიტე უწოდა.

1822 წელს ბერძნებსა და ოსმალებს შორის ატეხილი ომის დროს სმირნადან მთაწმინდაზე მიმავალი მამა თევდორე ოსმალებმა შეიპყრეს, აწამეს და ზღვაში

გადააგდეს, ხოლო ნეოფიტე ტყვედ წაიყვანეს. 10-12 წლის შემდეგ მან ტყვეობიდან თავი დაიხსნა და კვლავ სმირნაში დაბრუნდა. მისი შემდეგი ცხოვრება უცნობია. 2002 წელს საქართველოს წმინდა სინოდმა თევდორე აჭარელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 3 მარტი დააწესა. (რამაზ სურმანიძე – ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი. ბათ. 2013 წ.წ. გვ. 137-138).

წმინდა მღვდელმონამე ევდემოზ I კათალიკოსი



საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიამ არაერთი ტრაგიკული პერიოდი იცის, მაგრამ გამორჩეულია XVII საუკუნის პირველი ნახევარი, როცა შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს, გვირგვინოსანთა (ლუარსაბ მეორე, ქეთევან დედოფალი) ტყვეობაში წამებით სიკვდილისა და ძმათამკვლელ ბაზალეთის ბრძოლას მოჰყვა. სპარსეთის მიერ ქართლში გამაჰმადიანებულ ბაგრატიონთა გამეფების წესის დაკანონება, ამ პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უპრეცედენტო გამოდგა – პირველმა გამუსლიმანებულმა მეფე როსტომმა ქართლის ორი კათალიკოსი შეიწირა: ერთი (ზაქარია) ქვეყნიდან გააქცია, მეორე კი (ევდემოზ I) სიკვდილით დასაჯა" (ბიჭიკო დიასამიძე, ისტორიული ეტიუდები II, ბათუმი, 2016 წ.).

წმინდა ევდემოზი (დიასამიძე) საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მართავდა 1634 წლიდან, გამაჰმადიანებული მეფის, როსტომ ხანის დროს (1633-58 წ.წ.). წარმოშობით წმინდა ევდემოზი მესხეთის ერთ-ერთ წარჩინებულ დიასამიძეთა გვარს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, ეს გვარი სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა. ერთი შტო ქვემო და შიდა ქართლში დამკვიდრდა, მეორე კი აჭარაში. წმინდა პატრიარქის შესახებ ძალიან მწირი ბიოგრაფიული ცნობები გვაქვს შემონახული. ვიცით მხოლოდ, რომ მის ძმას ლევანი ერქვა, რომლის ასული ელენე დავითის, თეიმურაზ I-ის ძმის, მეუღლე იყო, ერეკლე I-ის დედა და არჩილ მეფის სიდედრი. ლევან დიასამიძე აქტიურად უჭერდა მხარს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს. როსტომს ქართლ-კახეთის მმართველობა შაჰ-აბასმა ჩააბარა ქართლიდან თეიმურაზის განდევნის შემდეგ. გამაჰმადიანებული მეფე თითქოს შაჰის პოლიტიკასაც ატარებდა საქართველოში და თითქოს ქართველობდა კიდეც. მან სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, ტკბილად ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვა თავადებისაგან", აღზევდნენ „მეძავნი და ბილწების მოქმედნი". მეფის ფუფუნებისა და ცოდვისმოყვარეობა თანდათანობით გადაედო ერს, „თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძლურდა რჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე". „სიმართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი", უპატიოქმნილნი, ცუდებად და შეუძლებლებად წოდებულნი, სასოებით იტანდნენ ყოველგვარ

გასაჭირს. გაუჭირდა ერის სულიერ მამას, მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა ქართველთა დაცემისათვის და მოქმედებდა კიდეც მწყემსმთავრისათვის შესაფერისი უშიშრობითა და თავდადებით. მან რამდენიმეჯერ შეჰკრიბა ქართლის წარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად. მისი გავლენით გარკვეული მთავრები არ ემორჩილებოდნენ როსტომ - ხანის პოლიტიკას და თავიანთ სამთავროებს იცავდნენ მუსლიმანური ტრადიციების ზეგავლენისაგან. კათოლიკოსი ევდემოზი წინ აღუდგა ბაგრატიონთა არაქართულ წეს-ჩვეულებებს. ევდემოზი არც მეფის პირდაპირ მხილებას ერიდებოდა – სადაც კი შეხვდებოდა როსტომ-ხანს, ყველგან ეუბნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო". კათოლიკოს ევდემოზის სულიერი შვილი იყო როსტომ-ხანის მეუღლე, კეთილმორწმუნე დედოფალი, მანუჩარ დადიანის ასული, მარიამი. წმინდა კათოლიკოსის მოღვაწეობითა და დედოფალ მარიამის თანადგომით, ქვეყანაში ისევ ცოცხლდებოდა სარწმუნოებრივ-ეროვნული სული, შენდებოდა ეკლესიები, იწერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა და მაღლდებოდა პატრიოტული სულისკვეთება. როსტომ-ხანი კარგად ხედავდა კათოლიკოსის ორიენტაციასა და ავტორიტეტს.

ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გეგმებსაც ადგენდა ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის თეიმურაზის დასაბრუნებლად. როსტომ ხანი და მისი თანამოაზრენი პირდაპირ ვერ ბედავდნენ დაპირისპირებოდნენ უდრეკი კათოლიკოსის ავტორიტეტს, ისინი აშკარა კონფლიქტს ერიდებოდნენ და ფარულად ამჯობინებდნენ მოქმედებას. როსტომი შესაფერის მომენტს ეძებდა, რათა მართლმორწმუნე კათოლიკოსი გზიდან ჩამოეშორებინა. მართლაც, მაჰმადიანმა მეფემ სრულიად უმნიშვნელო მიზეზი გამოძებნა, რათა წმინდა ევდემოზი კათალიკოსობიდან გადაეყენებინა. თუმცა მის დასჯას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა. მართალია, ევდემოზის კათალიკოსობიდან გადაყენების ამსახველი საბუთი შემორჩენილი არაა, მაგრამ არსებული ხელნაწერების მიხედვით, 1638 წლიდან კათოლიკოსად ქრისტეფორე იხსენიება. ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ როსტომ ხანის მმართველობით უკმაყოფილო ქართლის არისტოკრატიამ შეთქმულება მოაწყო, რათა მაჰმადიანი მმართველის ნაცვლად ქრისტიანი მეფე თეიმურაზ I დაესვათ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტზე. ამ შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი ევდემოზ კათოლიკოსი იყო. შეთქმულება გასცა ერთ-ერთმა მონაწილემ, სომხეთის მელიქმა როსტომ ხანს ყველაფერი შეატყობინა. ურჯულო მეფეც საგანგებოდ მოემზადა და გორის ციხეში დახვდა აჯანყებულებს, თან მზაკვარ ხერხს მიმართა, იახლა მარიამ დედოფალი და მისი სულიერი მოძღვარი ევდემოზ კათოლიკოსი. შეთქმულთა ერთ-ერთი თავკაცი ნოდარ ციციშვილი პირველსავე წარუმატებლობისას დაფრთხა და სამცხეში გაიქცა, ხოლო ქართლის საზღვარზე გადმოსული თეიმურაზ I კვლავ კახეთში დაბრუნდა. როსტომს მხოლოდ სეხნია და ზურაბ ჩხეიძეები შეებნენ და უთანასწორო ბრძოლაში მამაცურად დაიღუპნენ. როსტომ-ხანმა ატენის ციხე დაანგრია, ცხირეთში გამაგრდა. არც ამჯერად მოუცილებია გვერდიდან დედოფალი და კათოლიკოსი. წმინდა ევდემოზმა მაინც მოახერხა და შეუთვალა თეიმურაზს, ღალატს არ დაებრკოლებინა და დრო არ დაეკარგა, მაგრამ მისი წერილი ჯერ როსტომ-ხანს მიართვეს, წააკითხეს და შემდეგ მიუტანეს თეიმურაზს. როსტომ-ხანი გორის ციხეში დაელოდა აჯანყებულებს, შემდეგ შეთქმულთა შეპყრობა და დასჯა ბრძანა. მართლაც, ისინი შეიპყრეს და დასაჯეს, ევდემოზ კათოლიკოსი კი თბილისში წამოიყვანეს და შურის ციხის (თბილისის ციხე, ნარიყალა) საპყრობილეში ჩაკეტეს. წმინდა ევდემოზი რამდენიმე თვეს იყო საკანში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხურვალედ ლოცულობდა და მკაცრი ასკეტური ყოფით ცხოვრობდა. თითქოს უკვე იცოდა თავისი მომავალი განაჩენის შესახებ – იგი უფრო მეტად ამხელდა მეფის ურჯულობას და ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებ-

და. გაბოროტებულმა, ერისა და ეკლესიის მოღალატე როსტომ ხანმა წმინდა კათოლიკოსი ციხეში მალულად მოაკვლევინა. მისი დასჯის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შეიპყრა როსტომ მეფემან კათოლიკოზ ევდემოს და პატიმარ ჰყო ტფილისს ციხესა შინა. შემდგომად გარდამოაგდო განჯის ციხის კოშკიდამ". „ქართლის ცხოვრება" კი გვიამბობს: „შეიპყრა კათოლიკოსი ევდემოზ... და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყუე-ყო და ხანსა რაოდენსამე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა". როგორც ეტყობა, როსტომ ხანს ირანის სამეფო კარზე დამკვიდრებული ტრადიციული დასჯის ხერხი გამოუყენებია. მშვილდის ლარით და საბლით დაუღრჩვიათ კათოლიკოსი და შემდეგ ცხედარი კოშკიდან გადმოუგდიათ აბანოების მხარეს. ეს შემზარავი ფაქტი 1642 წელს მოხდა. ქრისტიანობისთვის წამებული ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის გვამი ფარულად წამოიღეს ქრისტიანებმა და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილოდასავლეთ კუთხეში. როგორც „ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ ქართლში განუკითხაობა გამეფდა: „არა იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყვნეს ფუფუნეულ და ხორცთმოყუარე, რამეთუ თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ იერემიაისა, რამეთუ იყვნეს მოყუარე ღვინისა და ზმისა და შუებისა და განცხრომისა, უმღერდნენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა. ამას შინა მოუძლურდა რჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა, ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე." მაგრამ თავდადებული კათოლიკოსის მისთა მსგავსთა თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია, სწორედ მისმა სიკვდილმა შეუნარჩუნა ქართველ ერს ქრისტიანული მართლმადიდებელი რელიგიის ერთგულება, დამპყრობთა ვერაგული პოლიტიკით გზააბნეულ ერს აჩვენა სარწმუნოებისა და ერისთვის თავდადების მაგალითი და ყოველივე ამას შედეგად ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება მოჰყვა. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა კი ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული კათოლიკოს-პატრიარქი ევდემოზ I წმიდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 4 (17) ოქტომბერი დააწესა. („ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი", თბილისი, 2004 წ. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი", №38 (296).

ცხმორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

(ამ მონაკვეთში შეტანილი მასალა პროფესორმა რამაზ ხალვაშმა მომაწოდა წიგნისათვის „მშობლიური სახელები", საიდანაც გადმოვიტანე ამ წიგნში, რადგან ორგანულად ერგება წინამდებარე ნაშრომის მიზანსა და ამოცანას)

ცხმორისი უძველესი ქართული სოფელია. მისი სახელწოდება უკავშირდება ფლორონიმ ცხემლის ლაზურ შესატყვისს „ცხემურ"-ს და წარმოადგენს მისგან ნაწარმოებ ნაგენეტივარ სახელს, რომელსაც დართული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ცხმორისი. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმია ცხემლისი, თუმცა მას საფუძვლად უდევს ფლორონიმის ქართული სახელწოდება. ამავე ფლორონიმის სვანური შესატყვისისგან, ცხუმისგან, წარმოსდგება ტოპონიმი სოხუმი (ლაზური ფუძეები აჭარის ტოპონიმიკაში ხშირად გვხვდება. მაგალითად, ცხმორისის მსგავსად, ლაზური ფუძის ნაგენეტივარი ფორმა დასტურდება ცხმორისის მეზობელი სოფლის ჭყანიშის დასახელებაში (ფუძე „ჭყონ" მუხას აღნიშნავს, თანაც მასში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც ლაზურია: ჭყან-იშ).

შუა საუკუნეებში ცხმორისი განთქმული ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიით, რომელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სასწაული ცნობილ მწერალს ტბელ აბუსერისძეს (1190-1250)წ.წ. აქვს აღწერილი ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი". ამ თხზულებაში პირველად

გვხვდება სოფელ ცხმორისის სახელწოდება: „დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი".

ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ქუთაისის მიტროპოლიტს, როგორც ამას XVI საუკუნის მესხური დოკუმენტი „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-მთავარნი და მწყემსნი" გვამცნობს: „აჭარა დანდალოს ქვემოთი ქუთათლის სამწყსო ყოფილა".

ტბელ აბუსერისძის თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მწერალი თავად სტუმრობდა ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიას და სასწაულიც აქვე ჩაუწერია. ჩანს ისიც, რომ ცხმორისის მკვიდრები ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდნენ თავიანთ მფარველ წმინდანზე და ამაყობდნენ წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ტაძრით, რომლის წინაც ორი ცხმორისელი ხელოსნის, კუანილისა და პონილის, ტყვეობიდან თავდახსნის სახსოვრად ბორკილებს ინახავდნენ.

ცხმორისელ კუანილს ბორკილები მადლიერების ნიშნად შეუწირავს წმ. გიორგის ტაძრისთვის და ეს რელიკვია ტბელ აბუსერისძის დროსაც ეკლესიის წინ თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი: „აწცა ჰკიდვან ბორკილნი იგი წინაშე მისსა" - გვაუწყებს მწერალი.

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული მოთხრობა წმ. გიორგის ქართულ სასწაულთმოქმედ ტაძრებს ეძღვნება, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია შუარტყლის წმ. გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას. ეს ტაძარი იმით ყოფილა განთქმული, რომ შუარტყლელ ქვითხუროს - ბასილს, მარტოდ, სხვების დაუხმარებლად აუგია. შუარტყლის ტაძარს მკვლევარები XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ, რადგან ვერც ბასილს და ვერც მის შვილ ივანეს (იოვანეს) ტბელ აბუსერისძე ცოცხლებს ვერ მოსწრებია. იგი მხოლოდ ივანეს შვილს - მღვდელმონაზონ იოსებს იცნობდა, რომელიც მოთხრობის დაწერის დროს უკვე გარდაცვლილი იყო. იოსები მოსწრებია ხვარაზმელთა საქართველოში შემოსევას (1225-1230 წ.წ.) და მალევე გარდაცვლილა. მასვე უამბნია ტბელ აბუსერისძისთვის შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ამბები: „მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე ივანესი... და რომელსამე მახლობელნი მისნი." - წერს იგი.

ცხმორისის წმ. გიორგი შუარტყლის ტაძარზე ძველი ყოფილა. კუანილისა და პონილის სასწაულიც XII საუკუნემდე მომხდარა, როგორც ამას ტბელ აბუსერისძე გვაუწყებს: „რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვირველისა (ე. ი. შუარტყალის ტაძრის - რ. ხ.) აღშენებისა." აქედან გამომდინარე, ცხმორისის ტაძარს XI საუკუნით ათარიღებენ.

ვინ იყვნენ კუანილი და პონილი?

მკვლევართა აზრით, ორივე მათგანის სახელი ნართაულია. ასეთი შერქმეული სახელი აქვს ტბელ აბუსერისძის მოთხრობის მთავარ პერსონაჟსაც: ბასილს „ბოლოკი" ერქვა (შდრ.: ცნობილი ქართული ფილმის „ღიმილის ბიჭების" მოქმედი გმირის ბაადურის ნართაული სახელი „ბოლოკა"), ხანდახან კი მას პატარა ბავშვის მსგავსად ენამოჩლექით „ბაჩილოსაც" ეძახდნენ, რადგან „ბასილიცა ნეტარი მცირედ ენაბრგუნვილი იყო".

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ნართაული სახელების ამგვარი სიმრავლე ნიშანდობლივ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რადგან ავტორი ხალხური გადმოცემებით სარგებლობდა, ხალხურ-კარნავალურ სამყაროში კი ყველაფერი სასაცილოდ გადაიაზრებოდა.

ი. სიხარულიძე მიიჩნევს, რომ „კუანილი" გამკილავი სახელი უნდა იყოს, რაც არაა გამორიცხული, ხოლო პონილი უნდა მომდინარეობდეს აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშისაგან. ზ. კიკნაძის დაკვირვებით, ეს ორი ნართაული სახელი შეიძლება განვიხ-

ილოთ „ბაჩილოს” ანალოგიურად, იუმორისტულ ასპექტში, როგორც „(გამო)ყვანილისა” და „პო(ვ)ნილის” ენამოჩლექითი ვარიანტი. ამ მოსაზრებას სასწაულის შინაარსიც ესადაგება, რადგან კუანილი მართლაც გამოხსნილია (ანუ ძველ ქართულად - „გამოყვანილი”).

წმ. გიორგის მიერ ტყვეთა გამოხსნის სასწაულები მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. ამის გამო დიდ კაბადოკიელ წმინდანს „ტყვეთა მხსნელსაც” უწოდებდნენ და ტროპარში ამგვარად მიმართავდნენ:

„ტყვეთა განმათავისუფლებელო
და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო,
სნეულთა მკურნალო
და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო,
ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის”.

ცხმორისის მკვიდრი ხელოსნები კუანილი და პონილიც, როცა სიღარიბისგან თავდასაღწევად („ღონედ სიგლახაკისა თვისისა”) სპარსეთის საზღვართან ახლოს საშოვარზე („მოსარეწლად”) იყვნენ წასულნი და მაჰმადიანებმა („აგარიანთა”) დაატყვევეს, წმ. გიორგის შეევედრნენ განთავისუფლებას: კუანილი გულმოდგინედ მარხულობდა, პონილი „მცირედ ურწმუნო იქმნა”, თუმცა ისიც ევედრებოდა წმინდანს და როცა გიორგობის დღესასწაული დადგა, წმ. გიორგი გამოეცხადა მათ, ორივე აღიტაცა და კუანილი („რომელმან უმეტესი აჩვენა სარწმუნოება”) უმალვე („მეყსა”) ცხმორისის ეკლესიის კართან დასვა, პონილი კი („ურწმუნო ქმნისათვის”) მხოლოდ საქართველოს საზღვართან მოიყვანა. ამ უკანასკნელმა დიდი გაჭირვებით, „ძლითღა სლვით” მოაღწია მშობლიურ სოფლამდე.

კუანილის და პონილის ამბის პოპულარობის მიზეზი ნათელია. გარდა იმისა, რომ იგი ცხმორისის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედებას შეეხებოდა, მორალურ შემეცნებასაც შეიცავდა. იგი ჯერ ცხმორისის ტაძრის მომლოცველებს, ხოლო შემდეგ ტბელ აბუსერისძის მოთხრობის ყველა მკითხველს მარტივ ჭეშმარიტებას შეაგონებდა, რომ ღვთის რწმენა და ქრისტიანული მსახურება გულმოდგინებას საჭიროებდა.

ჩვენ არ ვიცით, რა პროფესიის ადამიანები იყვენენ კუანილი და პონილი, მაგრამ, ცხადია, ისინი ამ ხელობით გასამრჯელოს ღებულობდნენ, ოჯახს არჩენდნენ და სამუშაოდ საქართველოს შორეულ რეგიონებშიც დადიოდნენ. ხელოსანი იყო ტბელ აბუსერისძის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ბოლოკ-ბასილიც და მასაც შუარტყალიდან შორს - ქვემო ქართლში („ქვეყანასა სომხითისასა, მახლობელად თფილისისასა”) უხდებოდა „მოსარეწლად” სიარული. სწორედ სომხითში გამოეცხადა მას წმ. გიორგი და შუარტყალში ეკლესიის აგება დაავალა. ბასილი ქვითხურო იყო, შესაძლებელია, ქვითხუროები იყვნენ კუანილი და პონილიც. „ნაპირი წარმართთა”, სადაც ისინი დატყვევებამდე მუშაობდნენ, საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს გულისხმობს. აქედან ისინი სპარსელებს გაუტაცებიათ და „შინაგან სპარსეთში” წაუყვანიათ, შირვანში, განძაში ან აზერბაიჯანში, საიდანაც სასწაულებრივად დაუხსნიათ თავი.

საგულისხმოა, ცხმორისის მკვიდრთა კუანილთან შეხვედრის ეპიზოდი. გიორგობის დღესასწაულზე მთელი სოფელი წმ. გიორგის ტაძარში იმყოფებოდა, როცა მათ ტყვეობიდან გამოხსნილი კუანილი გამოეცხადა: „იხილეს რა მუნ შემოკრებულთა დღესასწაულობად, ადიდებდეს ყოველნივე დიდსა მას მოწამესა გიორგის”.

ღვთისა და მისი წმინდანების მადიდებელნი ცხმორისის დაბაში ყოველთვის მრავლად ყოფილან, 1570-იანი წლების შემდეგაც, როცა აჭარის სხვა სოფლებთან ერთად ცხმორისიც ოსმალებმა დაიპყრეს და ისლამის გავრცელება დაიწყეს. ცხმორისის წმ.

გიორგის ეკლესიამ XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება და ამ პერიოდში, უმრევლოდ და უფუნქციოდ დარჩენილი, ნანგრევებად იქცა: „ძველათ აქ დიდი ეკლესია ყოფილა. 1730-იან წლებში დაუქცევიათ". - წერს ზ. ჭიჭინაძე. ასე ტრაგიკულად დასრულდა ერთი დიდი პერიოდი ამ პატარა ქართული სოფლის ისტორიაში..."

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა დანდალოშიც, სოფლის თავში და ისიც ოსმალებს გადაუწვავთ, ქრისტიანობის დასაცავად დანდალოელთა ამბოხების დროს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

აჭარა ოსმალთა ბატონობის დროს

XIII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში შეიქმნა ოსმალეთის სახელმწიფო, თურქული მოდგმის ერთ-ერთი ტომის ბელადის-ერთოღლუს შვილის ოსმანის მიერ (1281-1326წ.წ). თურქული ტომი მონღოლთა შემოსევის დროს, XIII საუკუნის 30-იან წლებში, შუა აზიიდან მოვიდა მცირე აზიაში. სელჩუკთა სულთანმა სამხედრო სამსახურისთვის ერთოღლუს უბოძა უჯი (სამთავრო, საბელიქო) ბიზანტიის საზღვართან ახლოს, მას ევალებოდა სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და უფლება ჰქონდა, თავისი სამფლობელოები გაეფართოებინა მეზობელი ქვეყნების ხარჯზე.

ოსმალეთის სახელმწიფოს მთავარ მიზანს შეადგენდა დაპყრობითი ომების გაფართოება და ეს ომები რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. „საღვთო" ომების დროს ისინი ანგრევდნენ და წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობას ტყვეებად ჰყიდდნენ, ან თავიანთ ჯარში მიჰყავდათ და ამაჰმადიანებდნენ.

ამ დროს ბიზანტიის იმპერია ძლიერ დასუსტებული იყო. ოსმალეთმა კარგად გამოიყენა ეს ფაქტი და დაპყრობითი ომებით პატარა სამთავრო დიდ იმპერიად გადაქცია. 1326 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ბურსა და დასავლეთით გადაიტანეს დედაქალაქი ორჰანის მმართველობის დროს (1326-1362 წლები).

ოსმალებმა 1330 წელს დაიპყრეს იზმითი და გავიდნენ მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე. 1365 წელს ხელთ იგდეს ადრიანოპოლი და დედაქალაქი ბურსადან იქ გადაიტანეს. მათ XIV საუკუნის მეორე ნახევარში ხელთ იგდეს ბულგარეთი, სერბია, უნგრეთის ქალაქები და სოფლები.

1362-1389 წლებში მურად I დროს დასრულდა ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ოსმალები დაპყრობილ ქვეყნებში კრებდნენ 8-12 წლის ბიჭებს თვიანთი ჯარების (იანიჩართა) რიგების შესავსებად და 3-4 წლის შემდეგ ამზადებდნენ სამხედრო სამსახურისათვის.

ევროპის სახელმწიფოებმა არავითარი დახმარება არ გაუწიეს ბიზანტიის სახელმწიფოს.

1453 წელს სულთანმა მეჰმედ II-მ აიღო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი, რომელსაც სტამბული უწოდეს. ამით თურქებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში შავ ზღვაზე გასასვლელები. 1461 წელს დაიპყრეს ტრაპიზონის საკეისრო. ოსმალები თანდათან მოიწევდნენ საქართველოს სახელმწიფოს დასაპყრობად, მაგრამ მათ მანამდე შავი ზღვის ჩრდილო ტერიტორიები დაიკავეს და შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად" იქცა.

1515-1555 წლებში იწყება ირან-ოსმალეთის ომები და სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის დაპყრობა.

ბეგლარ-ბეგი ბეგთაბეგი იყო, ის ვილაეთს მართავდა, რომელიც რამდენიმე სანჯაყს მოიცავდა.

1535 წელს ოსმალებმა დააარსეს არზრუმის საბეგლარბეგო (საფაშო), რომელიც საქართველოს და ირანის წინააღმდეგ შეტევის მთავარი ბურჯი გახდა.

1536 წლის 4 ივლისს, სულთნის ბრძანებით არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა თავისი ლაშქრით საქართველოს დასაპყრობად გამოემართა.

1536 წელს თურქებმა დაიპყრეს ტაო-კლარჯეთი და აქ დაარსეს: ოლთისის, ართვინის, კესკიმის და ნარიმანის სანჯაყები და დაიწყეს თავიანთი მმართველობის შემოღება. ოსმალებმა დაიპყრეს 35 ციხე, აქედან 14 დაანგრიეს და გადაწვეს, დანარჩენ ციხეებში ჩააყენეს თავიანთი ჯარები, ქვეყანა დაიყო 4 სანჯაყად (თორთუმი, ლივანასხევი, ახჩაყალა, ქიამხისა) და ისინი შეუერთეს ოსმალეთის იმპერიას.

თურქი დამპყრობლები ყველგან მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, ისინი იძულებული იყვნენ ბრძოლით აეღოთ ყველა ციხე, სოფელი თუ ქალაქი. ქართველები არც ერთ მტკაველ მიწას უბრძოლველად არ თმობდნენ, მაგრამ მტრის სიმრავლემ და თავადთა და ფეოდალთა სეპარატიზმმა ხელი შეუწყო მათ დამარცხებას.

ოსმალებმა 1551-1552 წლებში დაიპყრეს ტაოსკარი, მამირვანი, მაჭახლის ხეობა, არტანუჯის ციხე, არტაანი და ახლომახლო ტერიტორიები არსიანის მთამდე.

1552 წელს ოსმალებმა ისკენდერ ფაშის სარდლობით დაიკავეს შავშეთი, ლივანა და აჭარისწყლის ხეობა. ამის შემდეგ აჭარლები იძულებული გახდნენ ეცნოთ ოსმალეთის ხელისუფლება.

1555 წლის 29 მაისს თურქეთის ქალაქ ამასიაში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი. ამ ზავით ოსმალეთმა და ირანმა ამიერკავკასიის ქვეყნები გაინაწილეს. ქართლ-კახეთი, აღმოსავლეთი მესხეთი ახალციხის ჩათვლით, ერგო ირანს, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ოსმალეთს.

ზავის დადების შემდეგ ოსმალებმა დაპყრობილ ქვეყნებში გააძლიერეს თავიანთი მართვა-გამგეობა.

თურქებმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია 14 სანჯაყად (სადროშოდ) დაყვეს; 1. ბასიანი (ფასინი), 2. დიდი არტაანი 3. პატარა არტაანი, 4. ოლთისი, 5. ნამარვანი (მამირვანი), 6. თორთუმი, 7. ლივანა, 8. ნისფი ლივანა, 9. ფერთეერექი, 10. შავშეთი, 11. იმერხევი, 12. მაჭახელი, 13. აჭარა, 14. ისპირი, (სპერი).

აჭარის დაპყრობის შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს. დ. ბაქრაძე თვლის, რომ აჭარა თურქებმა დაიპყრეს მამია გურიელის დროს, რომელიც გარდაიცვალა 1564 წელს, ე.ი. აჭარის მიტაცება 1564 წლამდე უნდა მომხდარიყო.

ქ. ჩხარტიშვილი თვლიდა, რომ ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობა XVI საუკუნის 70-იან წლებში მოხდა, ხოლო ფ. ჩილოღლუს (ჭილაშვილის) ცნობით, აჭარა ოსმალთა ხელში გადავიდა 1570 წელს.

ფაქტობრივად, თურქული წყაროების მიხედვით, ირკვევა, რომ სულთანმა აჭარისწყლის ხეობა მიიტაცა 1552 წელს. სულთანმა აჭარის გამგეობა შესთავაზა ქართველ ფეოდალს ბეჟან დიასამიძეს (ზენდიდელს), თუ ის გამაჰმადიანდებოდა. ბეჟანმა უარყო სულთნის წინადადება და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. სულთანმა ბეჟანს ისპირის ბეგები დაუპირისპირა.

მეტად საყურადღებოა ამ ფაქტთან დაკავშირებით თურქული საარქივო დოკუმენტი, რომელიც მოიპოვა თურქოლოგმა ზ. შაშიკაძემ.

1561 წლით დათარიღებულ დოკუმენტში წერია: აჭარის ხეობას (აჭარას) „უფლების გარეშე ფლობს ქრისტიანი ბეჟანი... აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია." ამის გამო „სულთანმა აჭარის ხეობა ისპირის სანჯაყ ბეგს აჰმედს უბოძა".

ათი წლის ბრძოლის შემდეგ ბეჟანი იძულებული გახდა შეთანხმებულიყო სულთანთან და გამაჰმადიანებულიყო. 1563 წლის 15 დეკემბერს სულთანმა მას ბეჟანის ნაცვლად მეჰმედი შეარქვა და აჭარის ტერიტორიაზე სანჯაყი დაარსა, რომელსაც ამის შემდეგ მეჰმედი მართავდა, რომლის შემოსავალი 300000 ახჩას შეადგენდა.

რაც შეეხება ბეჟანიძეთა საგვარეულოს, „ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში („ქართლის ცხოვრება") ეს გვარი არ გვხვდება. ჩანს, იგი ოსმალების პერიოდში იღებს სათავეს. (ოსმალური სახელ „თულუმბაზადეს" დღესაც ატარებს ბეჟანიძეთა ერთი შტო). ზ. ჭიჭინაძის აზრით, ეს საგვარეულო სამცხელ დიასამიძეთა განაყოფია და დაწინაურებულ მდგომარეობას ქედაში აღწევს XVII საუკუნისათვის. ამ ასწლეულის დამლევისათვის ერთ მათგანს ისლამი მიუღია და ოსმალთაგან მისი მემკვიდრენი ბეჟანოღლებად (ბეჟანის შვილებად) წოდებულან". (რამაზ სურმანიძე, ბეჟანიძეები. თბ. 2012 გვ.18).

„თანამედროვე პირობებში, როცა შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად უცხოური წყაროების მოძიება მეზობელი ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში, აქტუალურია მათი საფუძვლიანად, ობიექტურად და ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში გაანალიზება-გააზრება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ზაზა შაშიკაძის მიერ სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში აღმოჩენილი ორი დოკუმენტი, რომელიც ეხება XVI საუკუნის 60 - იან წლებში აჭარისწყლის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს. (ზ.შაშიკაძე, 2002: 146-157).

პირველი დოკუმენტის მიხედვით, 1561 წლის თებერვალში, „აჭარის ხეობა" ჩამოერთვა ქრისტიან ბეჟანს, რომელიც „უფლების გარეშე" ფლობდა მას, აწყობდა არეულობებს და დაუმორჩილებელია", მისი ძალაუფლება ას კაცზეც არ ვრცელდებოდა". არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით აჭარის ნაჰიე ებოძა ისპირის სანჯაყის ემირს. (ზ.შაშიკაძე, 2002:156).

მეორე დოკუმენტის მიხედვით, „აჭარის ქვეყნის განდგომილ ქართველ თავადთაგან ბეჟან ბეგი დედაქალაქში (სტამბოლი. ბ.დ.) ჩავიდა, მორჩილებისა და ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ ისლამი აღიარა, სამასი ათასი ებოძა და მეჰმედის სახელი დაერქვა" (ზ. შაშიკაძე, 2002: 156). ამ ოსმალურ წყაროებზე დაყრდნობით ზაზა შაშიკაძე ფიქრობს, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცევის თარიღი (XVII ს. I ნახევარი), უნდა გასწორდეს XVI საუკუნის 60-იანი წლებით, რადგან „ეს დოკუმენტები უტყუარი მასალაა აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად" (ზ. შაშიკაძე, 2002: 153).

ზ. შაშიკაძის ამ თვალსაზრისს სარწმუნოს ხდის მის მიერვე მოპოვებული და გამოქვეყნებული, (ზ. შაშიკაძე, 2004), სულთან სელიმ II (1566-1574 წ.წ.) დროს შედგენილი „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი", რომელიც ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველი დოკუმენტია. დავთარში დასახელებულია აჭარისწყლის ხეობის (ზემო და ქვემო აჭარის) ყველა სოფელი, მოსახლეობისაგან დაცლილებიც კი, გადასახადების დადგენის მიზნით. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი - აჭარაში ოსმალთა ბატონობის დამყარების ზუსტი თარიღის დადგენა, იმდენად რთული, პრინციპული და მნიშვნელოვანი პრობლემაა რომ ახალ პირობებში შესაძლებელი გახდა აქამდე ხელმიუწვდომი უცხოური, განსაკუთრებით ოსმალური წყაროების მოძიება, იმ მიმართულებით კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ პირველ ორ დოკუმენტში მოხსენიებულ ბეჟანის პიროვნებაზე, რადგან წყაროში ნახსენები ბეჟანის გენეალოგიის დადგენის მცდელობას, ბოლო ხანებში, მოჰყვა, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მცდარად გააზრება.

2003 წლის 20 ივნისს გაზეთ „აჭარა"-ში გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რამაზ ხალვაშის სტატია „ბეჟან აბუსერისძე - აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი" - ბეჟანი ეკუთვნოდა აბუსერისძეთა ფეოდალურ საგვარეულოს. 1545-1560 წლებში ბეჟან აბუსერისძე დაუმორჩილებლობას უცხადებს ოსმალებს

და აგებს ზენდიდის (ბეჟანიძეთა) ციხეს. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით 1563 წელს ის ისლამს იღებს და მოგვიანებით საფუძველს უყრის ბეჟანიძეთა საგვარეულოს".

ასეთი კატეგორიული დასკვნით მკვლევარი რ. ხალვაში ცნობილ ისტორიკოსთა მიერ გაზიარებული რამდენიმე თვალსაზრისის გადასინჯვას აყენებს დღის წესრიგში.

კერძოდ, 1)დაახლოებით საუკუნენახევრით ახანგრძლივებს ცნობილი ისტორიული საგვარეულოს - აბუსერისძეთა პოლიტიკური ძლიერების ხანას (XIV საუკუნიდან XVI საუკუნის 60-იანი წლებამდე);

2) ოსმალურ წყაროებში ნახსენებ ბეჟანს აიგივებს „კლარჯული სვინაქსრის" XVI საუკუნის აღაპებში მოხსენიებულ ბეჟან აბუსერისძესთან;

3) ბეჟანიძეთა გვარის წარმოშობას აკავშირებს აბუსერისძეთა საგვარეულოსთან.

მკითხველს უეჭველად დააინტერესებს, რა ისტორიული წყაროებისა და არგუმენ-ტების საფუძველზე ცდილობს ახალგაზრდა მკვლევარი, ცნობილი მეცნიერების (დ.ბაქრაძე, თ.ჟორდანია, ლ.მუსხელიშვილი...) თვალსაზრისის გაბათილებას. რ. ხალ-ვაშის სტატიის გაცნობის შემდეგ, მკითხველი დარწმუნდება, რომ თურმე აქამდე გა-ზიარებული თვალსაზრისი ზემოთ ნახსენები საკითხებისადმი, გამოწვეული ყოფილა XVI საუკუნის დასაწყისში შექმნილი დოკუმენტის „სამცხე-საათაბაგოში კათალიკოზის სამწყსოთა თავადთა და სოფელთა სიის" მცდარი ამოკითხვით, რომელიც დ. ბაქრაძემ და თ. ჟორდანიამ დაამკვიდრეს. (რ. ხალვაში, 2003 წ.). ამიტომ მკითხველის ყურადღებ-ის შეჩერება მოგვიწევს ამ საინტერესო ისტორიულ წყაროზე, რათა დავრწმუნდეთ ბ-ნ რამაზ ხალვაშის მტკიცების ჭეშმარიტებაში.

XVI საუკუნის ხსენებული წყარო „კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში" ხელნაწერთა ინსტიტუტის ორი ნუსხის მიხედვით გამოაქვეყნა ი. დოლიძემ (ი. დოლიძე, 1979: 242 – 244), ხოლო პარალელური ტექსტი ორივე ნუსხის მიხედვით ქრ. შარაშიძემ (ქრ.შარაშიძე, 1961: 31-35). იგივე წყარო გამო-ქვეყნებული აქვს დ. ბაქრაძეს წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", რომელშიც გვაუწყებს, რომ ეს სიგელი მას მინაწერის სახით უპოვნია ორ ხელნაწერში: საჩხერეში, თავად ნესტორ წერეთელთან, საეკლესიო წიგნში, რომელიც გადაწერილია 1822 წელს და თბილისში, ვახუშტის ხელნაწერ ისტორიაში, რომლის გადაწერა დამთავრებულია 1816 წელს (დ. ბაქრაძე, 1987 : 75).

ძეგლის გამომცემელნი ი. დოლიძე და ქრ. შარაშიძე ხელნაწერის აღწერისას აღნი-შნავენ, – „განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი" (ი.დოლიძე, 1979:115), რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტი, მისი სასვენი ნიშნებით გამართულია გამომცემლების მიერ, ხოლო დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ტექსტი გადაწერილია 1816 წელს და 1822 წლებში დასრულებული ხელნაწერებიდან. ის ხელნაწერები საიდანაა გადაწერილი, ჩვენ არ ვიცით, თუმცა საჩხერულ ვარიანტს ახლავს მინაწერი: „ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართველოსა მეფეთასა და გადმოვსწერე, ვითარცა წერილ იყო". ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1822 წელს გადაწერილი ხელნაწერი იმ ძველ ისტორიაში არსებულის იდენტურია. მართალია, ის ძველი ისტორია როდინდელია, არ ვიცით, მაგრამ მე-18 საუკუნისაზე ახალი რომ არ იქნება, ცხადია. ამიტომ, ჩვენ ვთლით, რომ მეთვრამეტე საუკუნეში უკეთ და ზუსტად წაიკითხავდნენ და გამართავდნენ მე-16 საუკუნეში შექმნილ ტექსტს, ვიდრე XX საუკუნის მეორე ნახევარში. აქედან გამომდინარე, დ. ბაქრაძისეული ტექსტი უფრო სანდოდ გვეჩვენება, როგორც ორი საუკუნის წინ გადაწერილი უფრო ძველი დოკუმენტიდან.

მკითხველის ყურადღებას იმიტომ ვაჩერებთ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ტექსტის გამართვაზე, რომ საგაზეთო სტატიის ავტორი რ. ხალვაში, ვფიქრობთ, სწორედ ამან შეიყვანა შეცდომაში. მას ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტიდან მოაქვს ადგილი: „(8) ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა" დიასამიძე-

თა აქუს", (9) აბუსერისძე, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა", და ასკვნის, რომ მოცემული საეკლესიო საბუთი გვიდასტურებს, XVI საუკუნის დასაწყისში აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი, სამცხე-საათაბაგოს რამდენიმე ძველ ფეოდალურ გვართან ერთად, ძალაუფლებას ინარჩუნებს". თუ მკითხველი დააკვირდება წყაროდან მოტანილ ადგილს, დაინახავს, რომ პირველი წინადადების შინაარსი გასაგებია: ღობიერების მამული დიასამიძეებს ეკუთვნით, მაგრამ მეორე წინადადება: „აბუსერისძე, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა" - დაუსრულებელია. აშკარად ჩანს, ისინიც ვიღაცას ემორჩილებიან. ვფიქრობთ, ბატონ რ. ხალვაშს იგივე დოკუმენტის დ. ბაქრაძისეული ვარიანტიც უნდა მოეხმო, შეედარებინა და დასკვნაც შემდეგ გაეკეთებინა, რადგან სწორედ სასვენი ნიშნების განსხვავებული დასმითა და მუხლებად დაყოფით ტექსტის შინაარსსაც სხვანაირს ვღებულობთ. დ. ბაქრაძესთან ზემოღ მოტანილი ტექსტი ასეა გამართული: „ერისთავთ ერისთავსა ხურსისძესა აქუს ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა. დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა"; ბაქრაძისეული ვარიანტით, აბუსერისძენი XVI საუკუნისათვის ჩამოქვეითებული ჩანან და მათი მამული დიასამიძეთა ფეოდალურ გვარს უკავია. ეს აზრი გაბატონებულია დღემდე, რადგან XVI საუკუნისათვის დიასამიძეთა ფეოდალური გვარი ამ დოკუმენტის გარეშეც აღზევებული ჩანს და მისი არაერთი წარმომადგენელი მონაწილეობს არა მარტო მესხეთის, არამედ, საერთო ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში. აბუსერისძენი კი XVI საუკუნის შემდეგ აღარ ჩანან პოლიტიკურ ასპარეზზე, არადა XVI საუკუნეშიც რომ ისინი თუნდაც ერთი ქართული პროვინციის მმართველები ყოფილიყვნენ, როგორც ამას რ. ხალვაში ვარაუდობს, აუცილებლად უნდა გამოჩენილიყვნენ იმ დროის თუნდაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე. ამდენად, XVI საუკუნის ოსმალურ დოკუმენტებში ნახსენები ბეჟანი ვერ იქნებოდა აბუსერისძე და მისი გაიგივება „კლარჯული სვინაქსრის" XVI საუკუნის აღაპებში მოხსენიებულ ბეჟან აბუსერისძესთან უმართებულოდ ჩანს.

მაშინ ვინ შეიძლება იყოს ორ ოსმალურ წყაროში მოხსენიებული ბეჟანი? აქ უნებლიედ გვახსენდება ზ. ჭიჭინაძის ნაშრომიდან ერთი ადგილი, სადაც ავტორი წერს: „აჭარის სოფელ ზენდიდში ცხოვრობენ ბეგი ბეჟანიძენი. ესენი სამცხიდან გადასახლებულან აჭარაში XVII საუკუნის შემდეგ. ესენი აჭარაში დასახლებულან ზენდიდში და ეს ციხე „მოდი ნახე"-ც მაშინ გაუკეთებიათ მათ ძველებს. ამ ბეგების ძველი გვარი დიასამიძეა. ამათ ძველებს ძველის ძველთა პირმსახურის ძეთაც იტყოდნენ. პირთ მსახურად ქართველებში თამარ მეფე იგულისხმება. მაშასადამე, ესენი თამარ მეფის მსახურათაც ყოფილან, თავადობაც მის დროს მიუღიათ.

ამათ ისლამთან დაკავშირება მიეწერება XVII საუკუნის დამლევს. ამ დროს ერთ მათგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელად ბეჟანი რქმევია, ამიტომ ოსმალთაგან ამათ დიასამიძეს მაგივრად ბეჟანოღლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის „თულუმბაზადეს" დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეჟანოღლი-თულუმბაზადეთ (ზ.ჭიჭინაძე, 1916: 15)

ამ ვრცელი ამონარიდიდან რამდენიმე ფაქტია საგულისხმო, კერძოდ:

ა) ბეჟანიძეები დიასამიძეთა გვარის შტოა;

ბ) დიასამიძეთა გვარი თამარ მეფის ხანიდან დაწინაურებული გვარია;

გ) აჭარაში დიასამიძეები(ბეჟანიძეები) სამცხიდან გადმოსულან;

დ) პირველ დიასამიძეს, ვინაც მუსლიმანობა მიიღო, ბეჟანი რქმევია;

ე) ბეჟანიძეებს აუგიათ „მოდი ნახე"-ს ზენდიდის ციხე.

გასათვალისწინებელია, რომ ზ. ჭიჭინაძის მონათხრობი ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობა. მოგზაურის მთხრობელი (რესპოდენტი) ადგილობრივი ხანდაზმული პიროვნება იქნებოდა, რომელიც მის დროს გავრცელებულ ამბავს მოუთხრობდა.

საგაზეთო სტატიის ავტორი რ. ხალვაში წერს: „ ბეჟანიძეთა გვარს ზ. ჭიჭინაძე დიასამიძეთა საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევს... უეჭველია, რომ ის ემყარება „სამცხე - საათაბაგოში კათალიკოზის სამწყსოთა, თავადთა და სოფელთა სიის" მცდარ ამოკითხვას, რომელიც დ. ბაქრაძემ და თ. ჟორდანიამ დაამკვიდრეს". ვფიქრობთ, რ. ხალვაშის ასეთი კატეგორიული განცხადება უმართებულო უნდა იყოს, რადგან დ. ბაქრაძის წიგნში მოტანილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი დიასამიძეთა პირმსახურისძეებად, ხოლო მათგან გამოყოფილი ბეჟანიძეების თულუმბაზადეებად წოდების შესახებ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი არ შეიძლება იყოს ამ ზეპირსიტყვიერი გადმოცემის პირველწყარო. (ამ ხანებში ჩვენთვის ცნობილი გახდა (რესპონდენტი პროფ. ჯ. ბერიძე), რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ბეჟანიძეთა გვარის ერთი ცნობილი წარმომადგენელი თავისი შესახედავობის გამო ზედწოდებად თულუმბას ატარებდა. აქედან ხომ არ იღებს სათავეს ბეჟანიძეების ზედწოდება - თულუმბა – ზადე?) საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხალხური გადმოცემა არაფრისაგან არასდროს წარმოშობილა და მისი ხელაღებით უარყოფა, არა მგონია, მისაღები იყოს, მითუმეტეს, თუ ამ გადმოცემებს ფაქტებიც ამაგრებენ.

სადაო არაა, რომ სამცხის დიასამიძეების გვარი XV - XVII საუკუნეებში დაწინაურებულ და პოლიტიკურად ძლიერ საგვარეულოს წარმოადგენდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში და უპირისპიდებოდა ათაბაგ-ჯაყელთა სეპარატისტულ პოლიტიკას, რასაც არაერთი ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი შეეწირა (ძმები შერმაზან და ვახუშტი, ელია, კატალიკოს-პატრიარქი ევდომოზ დიასამიძე და სხვ. ქცა 1959: 425, 510).

დიასამიძეთა მიერ აბუსერისძეთა მამულების დაკავების შემდეგ, რომელიც თანამედროვე ზემო აჭარის ტერიტორიებს მოიცავდა (ქსე, 1978: 503), როგორც ჩანს, ამ გვარის დიდი ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე დასახლდა, მაგრამ ოსმალთა აჭარაში შემოსვლის შემდეგ , დიასამიძეთა იმ ნაწილმა დაქვეითება განიცადა და ძველი წარჩინებულობა დაკარგა, რომელიც არ შეურიგდა დამპყრობელს, არ მიიღო ისლამი, ხოლო მეორე ნაწილმა, რომელმაც მიიღო მუსლიმანობა, შეინარჩუნა ძველი გავლენა. ვფიქრობთ, ამ სიტუაციას უნდა ასახავდეს ის ოსმალური მეორე დოკუმენტი, რომელიც გვაუწყებს ბეჟანის ჩასვლას სტამბულში,ისლამის მიღებას და შესაბამისად აჭარის ლივის,ანუ სანჯაყის ბეგად აღიარებას (300 000 ახჩას სანჯაყბეგს უნიშნავდნენ შემოსავლად). მართალია, ზეპირგადმოცემისა და წერილობითი წყაროს ქრონოლოგია არ ეთანხმება ერთმანეთს, მაგრამ ხალხური თქმულებებისათვის დროში ცდომილება დამახასიათებელია.

თუ ისტორიულ წყაროს მონაცემებს და ზეპირსიტყვიერ მასალას შევაჯერებთ, ზემოთ მოტანილ სურათს ვღებულობთ,რომლის საბოლოო ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მას უფრო მყარი მტკიცებულებები სჭირდება. მაგრამ საინტერესოა, რომ ის ხალხური გადმოცემა დღემდე გავრცელებულია მოსახლეობაში და ბევრს ეჭვიც არ ეპარება მის ჭეშმარიტებაში. რაც შეეხება ბ-ნ რ. ხალვაშის თვალსაზრისს, რომ აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი ბეჟანი იყო აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენელი, არც ისტორიული და არც ტრადიციული ხალხური გადმოცემებით არ დასტურდება.

ამ საკითხის გააზრებისათვის მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, რომ დიასამიძეთა ტრადიციულ ფუძე-სოფელს აჭარაში - გულებს, თავისი საგვარეულო ციხე და ეკლესია გააჩნია, ზენდიდი - ამ საგვარეულოს განაყოფთა - ბეჟანიძეთა მამულად ითვლება მისი ცნობილი ციხით, და ბოლოს, საგულისხმოა, რომ დღეს საქართველოში მცხოვრებ რვა ათასზე მეტ დიასამიძეებთაგან ექვს ათასზე მეტი აჭარაში ცხოვრობს.

მკითხველს იქნებ გაუკვირდეს ერთი პიროვნების გენიალოგიასთან დაკავშირებით კამათი, მაგრამ აქ საქმე ეხება ისტორიულ მოვლენათა სწორ გააზრებას,

წარსულის ობიექტური სურათის შექმნას და არა რომელიმე საგვარეულოს ისტორიული უპირატესობის მტკიცებას.”

(ბ. დიასამიძე„ ერთი ოსმალური წყაროს შესახებ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა - საისტორიო მაცნე (შრომების კრებული)XIII გამომცემლობა, „ბათუმის უნივერსიტეი”, 2004 წ.)

„აჭარის სანჯაყის დაარსების შემდეგ ოსმალები შეუდგნენ ქვეყნის გაოსმალებას, ამ მიზნით აჭარა აღწერეს და დიდი და მცირე დავთარი შეადგინეს. ამ დავთარს თარიღი არ ადევს, მაგრამ პირველ გვერდზე დასმული აქვს თარიღი, რომელზეც სელიმ II-ის (1566-1574 წ.წ.) სახელია მითითებული. ესე იგი, „დავთარი შედგენილია სელიმ II-ის დროს. ამ დავთრის მიხედვით, მთიანი აჭარა დაყოფილია ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად). ზემო აჭარის ნაჰიეში 59 სოფელია გაერთიანებული, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში–35. ე.ი. სოფლების საერთო რიცხვი აჭარაში 94-ს შეადგენდა. „დავთარში 540 კომლია რეგისტრირებული, აქედან 318 ზემო და 222 ქვემო აჭარაში".

ოსმალთა ძალმომრეობის გამო XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მასიურად დაიწყო მოსახლეობამ იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში ჩასახლება. დაბა ცხმორისში, რომელიც IX-XI საუკუნეებიდან არსებობდა, მოსახლეობა ტოვებს აჭარის ამ ცენტრალურ გზაგასაყარს და საცხოვრებლად გადადის საქართველოს სხვა მხარეებში.

ონში, რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრზე, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან შექმნილა სოფელი ცხმორი, არის ცხმორისის თემიც. ამას ადასტურებს სოფელ ცხმორის ასაკოვანი მცხოვრები ტელმან ფხალაძე. ნიშანდობლივია, რომ აჭარიდან ჩასახლებულებს აქ აუგიათ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სოფელში არის მდინარე ცხმორისი.

2015 წლის 2 ივნისს ჩვენი დელეგაცია (ქედის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გურამ ანანიძის, სოფელ ცხმორისში ქედის გამგეობის რწმუნებულის ედუარდ ანანიძის, ბიზნესმენ მურმან ნაკაშიძის და შალვა აბაშიძის შემადგენლობით) ჩავიდა ონის რაიონის სოფელ ცხმორში. სოფელ ცხმორში არის ტოპონიმები: დიდი ახო, მამუკა ახო, სოფელი ახო, შალიკაანთ ახო. ჩვენთან საუბარში სოფლის მკვიდრმა

სურათზე მარცხნიდან: მურმან ნაკაშიძე, ტელმანი ფხალაძე, ბესარიონ კობერიძე, აკაკი მაისურაძე, ზურაბ კობერიძე, გურამ ანანიძე, პაატა მაისურაძე, მაყვალა მაისურაძე და ნუნუ მაისურაძე

ზურაბ კობერიძემ განაცხადა, რომ ცხმორისში მცხოვრები კობერიძეები ცხოვრობდნენ ახალციხეში, მათ თავად ჯაყელებთან ჰქონდათ უთანხმოება, რის გამოც მიატოვეს ახალციხე და დასახლდნენ ქვემო აჭარაში, ცხმორისში, ხოლო აჭარაში ოსმალთა შემოსევების შემდეგ გადასახლდნენ ონის რაიონში და დაარსეს სოფელი ცხმორი.

„გულდენშტედს, რომელმაც 1771-1777 წლებში იმოგზაურა საქართველოში, ჩამოთვლილი აქვს ლეჩხუმის 42 სოფელი. იგი ასახელებს ციხეს და განთქმულ ეკლესიას დეხვირში, დიდ ეკლესიას ნაკურალეშში, მთავარ ეკლესიას და ცაგერელი ეპისკოპოსის საჯდომს ცაგერში. სოფელ აჭარაში, რომელიც მოხსენიებულია ამ სიაში, ეკლესიის არსებობაზე არაფერია ნათქვამი, უფრო მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სოფლების, როგორც ახალშენების ისტორია იწყება თურქთა მომძლავრების შემდეგ, რაც გამაჰმადიანებაზე განრიდებული აჭარის მოსახლეობა იმერეთში გადაიხვეწა. ვფიქრობთ, რომ სახელიც ახალმოსახლეებმა შეარჩიეს, რასაც ხანდაზმულთა ძალზე მრავალფეროვანი მოგონებანიც ადასტურებს. ასე მაგალითად, 1874 წელს აჭარაში მოგზაურობისას გიორგი ყაზბეგისათვის უამბნიათ, რომ „აჭარაში შემორჩენილი ერთადერთი ძეგლის სხალთის ეკლესიის დეტალური აღწერის გარდა, მოგზაური აღნიშნავს, რომ სხალთის მცხოვრებლები უკანასკნელ ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და თან წაიღეს წმინდანთა ხატები. სხვაგან ასეთი ცნობა არ შემხვედრია, ამიტომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. როგორც ცნობილია, ლანჩხუთსა და იმერეთში, კერძოდ ცაგერსა და ზესტაფონის რაიონებში, არის სოფლები, რომელთაც აჭარა ჰქვია, ჩვენ ამ საკითხს ვრცლად შევეხეთ ნაშრომში „სამი აჭარა საქართველოში" (იხ. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა" № პირველი, 1967 წ. გვ. 78-80: გაზეთი „ქუთაისი" №122, 22 ივნისი 1978 წ. გვ3.). იქაური მცხოვრებლები ერთსულოვნად თვლიან, რომ ეს სახელები დაკავშირებულია აჭარის ხეობიდან მოსახლეობის იძულებით მიგრაციასთან. თუ ამის სიმართლეში ეჭვი არ შეგვეპარება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი სოფლის სახელისა და ჩამყრელნი არიან სწორედ სხალთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა და იქაური ეპისკოპოსი. არ არის გამორიცხული, რომ ამ სოფლის ეკლესიებში სხალთიდან ჩამოტანილი ხატებიც აღმოვაჩინოთ. (გ. ყაზბეგი სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995 წ. გვ. 16-17. ქართულად თარგმნა რამაზ სურმანიძემ).

„გზების აღწერისას გიორგი ყაზბეგი საკმაო ადგილს უთმობს აჭარის მმართველის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ღვაწლს გზების გაყვანა-მშენებლობაში, ამასთან ერთად გონიერ მოგზაურს არ გამორჩენია ხალხის აზრი: გზების გაყვანა, უცხო ტომის შემოსვლა, ახალი ძარცვა-გლეჯა, ვაჭარ-ჩარჩების მიერ ხალხის ყვლეფა, ტყეების გაჩეხვა და სიმდიდრის გაზიდვა რომ მოჰყვება" (იქვე, გვ.17).

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა თურქთა დამპყრობლურ პოლიტიკას და მათ ბრძოლას ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ, რის გამოც ტოვებდა თავის მხარეს და სხვაგან მიდიოდა საცხოვრებლად. დაპყრობილ ქვეყანაში თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ოსმალები ხშირად იყენებდნენ კოლონიზაციისა და მოსახლეობის მასობრივ გადასახლების პოლიტიკას, ისინი დაინტერესებული იყვნენ ახალდაპყრობილ ადგილებზე ოსმალთა ჩასახლებით. ამის შემდეგ ადვილი ხდებოდა ხალხის მართვა.

ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობა იწყებს აჯანყებას. 1586 წელს ოსმალებმა დაიკავეს აჭარის ციხეები და აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ მოსახლეობა მაინც განაგრძობდა გამოსვლებს დამპყრობლების წინააღმდეგ.

ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლები შემდგომაც გაგრძელდა, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII საუკუნის დასაწყისიდან.

„სვიმონ მეფის მოკვლის შემდეგ (1701 წ.) იმერეთის დიდმა თავადებმა შეთანხმებისამებრ სამეფო ტახტზე მამია III გურიელი დასვეს, მაგრამ მისი მეფობაც ხანმოკლე

აღმოჩნდა. გიორგი მეფემ შემოსავალი არ უწილადა იმერეთის ტახტზე მეფედ დასმულ გურიელს, რის გამოც ახალი მეფე იძულებული გახდა გურიიდან ტყვეები გაეყიდა ოსმალეთზე და ამით გაესწორებინა ხარჯები. ბოლოს გურიელს მობეზრდა ასეთი ყოფა, 1702 წელს მეფობას თვითონვე დაანება თავი და ისევ გურიაში დაბრუნდა. იმერეთის გამგებლობა გიორგი აბაშიძის ხელში გადავიდა. მან შემოიმტკიცა იმერეთი და თავისი სიძის გიორგი ლიპარტიანის თხოვნით აფხაზეთის მთავრის, შერვაშიძის წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან იგი ხშირად აოხრებდა სამეგრელოს განაპირა მხარეს და იქიდან დიდძალი ტყვე მიყავდა. გიორგი აბაშიძემ ცეცხლითა და მახვილით გადაიარა აფხაზეთი, ლიპარიტიანს დაუბრუნა აფხაზთაგან წართმეული სოფლები, ბოლოს შეარიგა ორივე მთავარი, თვითონ კი, ნადავლით, იმერეთს დაუბრუნდა. (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. 1973 გვ. 862-863)

გაძლიერებულმა გიორგი აბაშიძემ (რომელიც რიგით გიორგი VI იყო) 1703 წელს უარი განაცხადა თურქეთის მორჩილებაზე და ახალციხის ფაშას უარი უთხრა ყოველწლიური „ქრთამის" გაგზავნაზე. მის მაგალითს მიბაძეს დადიანმა და გურიელმა, ხოლო აფხაზებმა თურქი ვაჭრების გაძარცვაც კი გაბედეს.

რამ განაპირობა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შეთანხმებული გამოსვლა ოსმალთა წინააღმდეგ?

ეს გამოწვეული იყო ოსმალეთის მძიმე შინა და საგარეო მდგომარეობით (მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ. 1982 წ. გვ.7).

სულთნის მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო იმერეთის სამეფოს დასასჯელად და 1703 წლის ზაფხულში ოსმალთა ლაშქარი 80000 კაცის შემადგენლობით საქართველოსკენ გამოემართა. ოსმალთა ჯარს სარდლობდა არზრუმის ბეგლარ-ბეგი ქოსა ხალილ ფაშა. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ: ტრაპიზონის, ჩილდირის, ყარსის ბეგლარ-ბეგებს, გონიოს სანჯაყ ბეგს აჰმედ აღას. მტერს ორი ნიჩბიანი და 40 იალქნიანი გემიც ჰყავდა, ჯარი სამი მხრიდან შემოვიდა. სერასქერმა ხალილ ფაშამ გადმოლახა ჭოროხი, შეიჭრა გურიაში, ბათუმში ახალი სიმაგრეების აგება დაიწყეს. ახალციხის ფაშა, ისაყი, ზეკარის გადასასვლელიდან იმერეთში შეიჭრა, თურქეთის ფლოტმა ამავე დროს ჯარები გადასხა სამეგრელოში. დაიკავეს ბათუმის, ჩაქვის მხარის ნაწილი, მეციხოვნეები ჩააყენეს ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხის და ბაღდადის ციხეებში. ოსმალებმა, ფაქტიურად, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიპყრეს შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

„1712 წელს სულთნის ბრძანებით ბათუმისა და ჩაქვის მხარეები ტრაპზონის ვილაეთს შეუერთეს და სახელმწიფო დავთრებში გაატარეს. 1723 წელს განახლდა ოსმალეთ-ირანის ომი. სულთანმა გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში თავისი გავლენა კიდევ გაეძლიერებინა. 1723 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს.. ციხისძირის, ქობულეთის, გრიგოლეთისა და ანაკლიის ციხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს, ხოლო ადრე მათ ხელში მყოფი ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთის და ანაკლიის ციხეები გაამაგრეს". (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II. გვ. 238).

ოსმალებმა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოიღეს სხვადასხვა გადასახადები.

ოსმალური მიწათმფლობელობის საკითხებს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება მიაქცია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ. მან საგანგებოდ შეისწავლა აჭარაში არსებული საგადასახადო სისტემა და სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა მას.

სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებულ მიწებს არზიმისი ეწოდებოდა. ამ მიწებზე მცხოვრები გლეხები სახელმწიფო ხაზინას უხდიდნენ გადასახადს. მიწისმფლობელები მემკვიდრეობით სარგებლობდნენ. მიწა მამიდან შვილზე გადადიოდა. ვა-

ჟიშვილის არყოლის შემთხვევაში, ქალიშვილზე, ან გარდაცვლილის ძმებზე. თუ მიწის დამმუშავებელი სამკვიდროს სამი წლით მიატოვებდა და დაუმუშავებელს დატოვებდა, ჩამოერთმეოდა და სხვას გადაეცემოდა". (სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II 2009 წ. გვ.239)

ოსმალეთის იმპერიაში არსებული გადასახადები იყოფოდა ორ ნაწილად.

1. შარიათის პრინციპზე, ანუ ისლამურ სამართალზე დაფუძნებული გადასახადები, იგივე რუსუმი შერიე.

2. სულთნის და მოხელეების ნება-სურვილის მიხედვით შემოღებული, ადათ-წესებზე და ჩვეულებებზე დამყარებული გადასახადები ანუ „რუსუმი ორფიე".

პირველს ძირთადად არამუსლიმნი, ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა, ხოლო მეორეს – მუსლიმანიც და არამუსლიმანიც. ეს გადასახადები იყო: 1. „ზექათი" – სიტყვა-სიტყვით ბარაქას ნიშნავს; მას იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, ქონების მეორმოცედის ოდენობით, გაჭირვებულის დასახმარებლად. მისი გადამხდელი მდიდარი უნდა ყოფილიყო; ზექათს არ იხდიდნენ მონები, ტყვეები.

2. – „ჯიზიე" – ჯიზიეს იხდიდა არამუსლიმანი მოსახლეობა. საკუთარი ოჯახის, ქონების და სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის.

ოსმალური მძიმე გადასახადები მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც ხშირად აჯანყებით მთავრდებოდა.

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დროს. მან 1760-1764 წლებში დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი მტერი არაერთხელ დაამარცხა.

თურქეთის სულთანმა 1765 წელს 31 აგვისტოს ათიათასიანი კორპუსი ევროპიდან ბათუმში გადასხა, მისთვის სურსათი დუნაისა და დნეპრზე დატვირთული 30 გემით მიუტანიათ. კორპუსი იმერლებს გაუნადგურებიათ და სურსათის დიდი ნაწილი ხელთ ჩაუგდიათ.

1765-66 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლები გამართულა, რითაც ოსმალები ძლიერ შეწუხებულან.

დასავლეთ საქართველოს ჯავრის საყრელად თურქეთის სულთანმა ბრძანა 40-50 ათასიანი ჯარის შეკრება: ახალციხის ფაშას ხუთი ათასი ქვეითი უნდა გამოეყვანა, არზრუმიდან უნდა მოსულიყო ოთხი ათასი ქვეითი და ცხენოსანი. ტრაპიზონიდან – 12000, დიარბექირიდან – 1000 ქვეითი და 1000 ცხენოსანი, ყარსიდან – 1500 ქვეითი, ჩილდირიდან – 3000, ალბანეთის ფაშა 1000 მხედარს მოუძღოდა;

მოსალოდნელი დიდი ომის მოლოდინში იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა შერიგება სცადა, საამისოდ ახალციხის ფაშამ, სულთნის დავალებით, სოლომონ მეფეს ხმალი აჩუქა და „დანაშაულის" პატიება აუწყა.

სოლომონ I-მა რუსეთის იმპერატორს გაუგზავნა ელჩობა ქუთათელი მიტროპოლიტის, მაქსიმე აბაშიძის ხელმძღვანელობით, დახმარებას თხოვდა თურქეთის წინააღმდეგ ომში, 20000 ჯარისკაცის გამოყვანას პირდებოდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი ქართველ ხალხს დიდ იმედს აძლევდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს შემოერთების თვალსაზრისით.

ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ოსმალებმა, მიუხედავად აჭარაში თავიანთი რელიგიის გავრცელებისა, ხალხის გათურქებას მაინც ვერ მიაღწიეს. აჭარაში თურქების ბატონობის მთელი ხანა ხასიათდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებებით, 1680, 1731, 1781, 1815, 1830, 1844, 1852, 1875 წლები მნიშვნელოვანი აჯანყებების წლებია აჭარაში, – წერდა ისტორიკოსი შ. მეგრელიძე.

თურქეთის სულთნები ზოგჯერ სოფლის თავკაცებსაც უგზავნიდნენ ფირმანებს. ასეთი ფირმანი გამოგზავნილია ქვემო აჭარის სანჯაყის სოფელ კვაშტის (თიმარი) მფლობელზე

ფირმანი №111

თუღრა: სულთან მაჰმუდ ხანი[1] მუსტაფა ხანის[2] ძე, მუდამ გამარჯვებული.

უწმინდესი, მაღალღირსეული ბრძანება, ზეციური სასულთნო ნიშნის, ბრწყინვალე და მსოფლიო მპყრობელის - უზენაესი თუღრას - ბრძანება ისაა, რომ კეთილშობილ დესთურს, დიდებულ მრჩეველს, ქვეყნის მომწესრიგებელს, ჩილდირის ვალის, ჩემს ვეზირს, იუსუფ ფაშას, იმატოს მისმა სიძლიერემ, ჩემს ბედნიერების დედაქალაქს წიგნი გამოუგზავნა.

ქვემო აჭარის სანჯაყსა და ნაჰიეში, კვაშტას სახელწოდების სოფელსა და სხვაგან 4000 ახჩა თიმარის მფლობელი მეჰმედ ოსმანის ძე გარდაიცვალა. რადგანაც ცარიელი დარჩა, [თიმარის] მისი ძმის, საშუალო ტანის, თაფლისფერთვალება, წარბებღია ოსმანისათვის, უბრწყინვალესი სულთნის მონოგრამის ბოძების საკითხზე წყალობა იქნა გაღებული და არზა გაიცა. იგი სანჯაყში დამკვიდრდა. ალაი ბეგის ბაირაღის ქვეშ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების პირობით, 1145 წლის ზილ-ჰიჯეს მე-11[3] დღეს, ჩემი პატიოსანი ბრძანების გაცემის შემდეგ თესქერეს გაცემასთან დაკავშირებით ფირმანი გამოვიდა. ხსენებული 4000 ახჩა თიმარი ეკუთვნოდა მოულოდნელად გარდაცვლილ მეჰმედ ოსმანის ძეს. შემდეგ კი მის ძმას ხსენებულ ოსმანს ებოძა. იგი ჩემი ბედნიერების დედაქალაქში დამსახურებულად და უფრო ღირსეულად ჩაითვალა. ეს იმიტომ ვუბოძე, რომ აღნიშნული ყოფილიყო.

სოფელი კვაშტა ექვემდებარება ხსენებულს, წილი 12500/6000. ივჯალი რომ არ დარღვეულიყო 4000 ახჩა ვუბოძე. და ვბრძანებ, რომ ამიერიდან მის ხელში და მის მფლობელობაში იყოს. ისე, რომ საკეთილო და უხვი საფადიშაჰო სამსახურეობრივი მოვალეობანი და სამადლობელო სამსახური სამეფო და ძლევამოსილი ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად, უნაკლოდ და მტკიცედ შეასრულოს. ამ საქმეში არავინ არ ჩაერიოს და არავინ ხელისშემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი არ იყოს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

ადგილი: ღვთივდაცულ კონსტანტინიეში.

ფირმანი №167

თუღრა: სულთან მაჰმუდ ხანი[1] მუსტაფა ხანის[2] ძე, მუდამ გამარჯვებული.

უწმინდესი, მაღალღირსეული ბრძანება ზეციური სასულთნო ნიშნისა, ბრწყინვალე და მსოფლიო მპყრობელის - უზენაესი თუღრას - ბრძანება ისაა, რომ საშუალო ტანის, თაფლისფერთვალება, წარბებღია, განდიდებული სულთნის მაღალღირსეული მონოგრამის მფლობელმა აჰმედმა ჩემს ბედნიერების კარზე არზუჰალი გამოგზავნა.

ქვემო აჭარის სანჯაყსა და ნაჰიეში, კვაშტას სახელწოდების სოფელსა და სხვაგან 4000 ახჩა თიმარის მფლობელმა ოსმანმა ხელთ არსებული ბერათი დათმო და თიმარზე საკუთარი ნებით უარი განაცხადა. მისი ოჯაქად გადაკეთებისა და მისთვის [აჰმედისათვის] ბოძების საკითხზე წყალობა იქნა გამოჩენილი. სანჯაყში დასახლებისა და ალაი ბეგის ბაირაღის ქვეშ ლაშქრობაში მონაწილეობის პირობით, მისთვის საბოძებლად 1153 წლის ჯემაზი ულ-აჰირის მე-7 დღეს[3] ჩემი პატიოსანი ჰუქმის ბოძების შემდეგ, თესქერე გამოვიდა. აღნიშნული 4000 ახჩა თიმარი არსებული წესის მიხედვით ხსენებულ აჰმედს ებოძა. გავეცი. აღნიშნული სოფელი კვაშტა, ექვემდებარება ხსენებულს. ახჩა 12500/6000. იმისათვის, რომ იჯმალი არ გაფუჭდეს 4000 გავეცი. და ვბრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში და მის მფლობელობაში იყოს, ისე, რომ საკეთილო და უხვი საფადიშაჰო სამსახურეობრივი მოვალეობანი და სამადლობელო სამსახური სამეფო და ძლევამოსილი ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ და მტკიცედ შესრულდეს. ამ საქმეში არავინ არ ჩაერიოს და არავინ ხელის შემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი არ იყოს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

ადგილი ღვთითდაცული კონსტანტინიეში (ოსმალური ფირათები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის XVI-XVIII საუკუნეებში, თბ. 2011 წ. გვ. 456-669).

ოსმაღური გადასახადები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულთან სელიმ II-ის დროს (1566-1574 წ.წ.) შეადგინეს „ზემო და ქვემო აჭარის დიდი და მცირე დავთრები", რომლებიც ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტებს წარმოადგენს. იგი მოიცავს როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარას, „დავთარში" ზემო და ქვემო აჭარა ცალკე ნაჰიებად (რაიონებად) არის დაყოფილი.

შემდგომ წლებში, ამ აღწერის მიხედვით, ხდებოდა ცალკეულ სოფლებზე სხვადასხვა გადასახადების გაწერა, აღწერის გადამოწმება ყოველ სამ წელიწადში ხდებოდა. სულ არსებობდა 17 სახის გადასახადი.

„ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი, რაც ნათლად ჩანს „დავთრის" ანალიზიდანაც. მუსლიმი გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა ქრისტიანთან შედარებით, რაც უფრო ართულებდა ისედაც დაკაბალებული ქრისტიანი გლეხების მდგომარეობას. ეს ფაქტორი გახლდათ ძირითადი მიზეზი, ოსმალეთის იმპერიის მრავალი ქრისტიანული პროვინციის მსგავსად, აჭარის მოსახლეობის შემდგომი თანდათანობითი ისლამიზაციისა. – წერს ისტორიკოსი ზ. შაშიკაძე (დასახ. ნაშრომი, გვ. 50).

ცალკეული გადასახადების მიხედვით შემდეგ სურათს ვხედავთ:

„ისფეჯი", რომელსაც ახდევინებდნენ არამუსლიმან მოსახლეობას 25 ახჩის ოდენობით, ხუთ წელიწადში ერთხელ (ის სამხედრო სამსახურის სანაცვლო გადასახადია). „თაფუ" მიწაზე გადასახადი იყო - 10 ახჩიდან 50 ახჩამდე, მიწის ხარისხის მიხედვით.

წისქვილზე გადასახადი იყო წელიწადში 60 ახჩა, „ბადჰავა" – საქორწინო გადასახადი არამუსლიმანზე იყო 120 ახჩა, „მურახასიეს" გადასახადი ოჯახზე 2 ახჩა, რომ სოფელს ჰყოლოდა მღვდელი და შეენარჩუნებინათ ეკლესია. „ბადაჰავაში" გაერთიანებული იყო ფეოდალური გადასახადების მთელი ჯგუფი, აგრეთვე საქორწინო გადასახადი, მიწის გადასახადი თაფუ და საკომლო, რომელიც ვრცელდებოდა სხვა ადგილებიდან გამოსაზამთრებლად მოსულ პირებზე.

გადასახადი დაწესებული იყო მესაქონლეობაზე, - ერთ ძროხაზე 3 ახჩა, 2 ცხვარზე 1 ახჩა, 2 ღორზე 2,5 ახჩა, გადასახადი დაწესებული იყო აგრეთვე საძოვრებზეც.

„უშური" მიწის მოსავალზე დაწესებული გადასახადი იყო და მოსახლეობა მას იხდიდა ხეხილის ბაღზე, ვენახზე, ბოსტანზე, მარცვლეულ კულტურებზე (ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე), კანაფზე, ფუტკარზე და სხვა. „უშურის" გადასახადს აჭარის მოსახლეობა იხდიდა 529040 ახჩის ოდენობით. ზემო აჭარის 30 სოფელი იხდიდა 301355 ახჩას, ხოლო ქვემო აჭარის 24 სოფელი 228685 ახჩას. ამას ემატებოდა ზემო აჭარის 24 და ქვემო აჭარის 11 ნასოფლარი, რომელთა შემოსავალიც აღრიცხულია „დავთარში" და მათი რაოდენობა შეადგენს 100000 და 137098 ახჩას. აქედან გამომდინარე მიწის მოსავლის ანუ „უშურის" გადასახადი ზედა და ქვედა აჭარაში შეადგენდა 766137 ახჩას.

XVI საუკუნის შუა ხანებში ერთი ქილა ანუ 25 კილოგრამი ხორბლის ფასი 2-3 ახჩა იყო, ხოლო შემდეგ 5-6 ახჩა, 1585 წლისათვის 20 ახჩამდე გაიზარდა.

ძალზე საინტერესო ფაქტია, რომ „დავთარში" ნახსენები არ არის ქედა, ე.ი. აღნიშნულ პერიოდში, ქედა როგორც დასახლებული პუნქტი არ, არსებობდა, ან დავთარში გამორჩენილია. „დავთრიდან" ჩანს, რომ მასთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე არსებობს ორი, იმ დროისათვის დიდი დასახლება – ორცვა და საღორეთი.

XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ქედის შესახებ გვაუწყებს: „ხოლო ჭოროხს მიერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდან, და გამოდის ზარზმა აჭარის მთასა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზე, ამ ხეობის საშუალს, არს მცირე ქალაქის მსგავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი". როგორც

ჩანს, ქედა დაარსდა XVI საუკუნის 60-იანი წლებისა და XVIII საუკუნის პირველ ნახევრის შუალედში, როგორც მჭიდროდ დასახლებულ ადგილთან მდებარე დაბა ანუ სავაჭრო ცენტრი მდინარეების აჭარისწყლისა და აკავრეთას შესართავთან, შავშეთისა და არტანუჯისაკენ მიმავალ უმოკლეს გზაგასაყარზე.

„დავთრის" ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში აჭარისწყლის ხეობაში 540 კომლი ცხოვრობდა (311 კომლი ზემო და 221 კომლი ქვემო აჭარაში). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდისათვის ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობად მიჩნეულია 5 სული. ე.ი გამოდის, რომ XVI საუკუნის 60-70-იან წლებში აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის რიცხვი 3000 კაცს აღწევდა. ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს მიტოვებული ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი ადგილები. უნდა აღინიშნოს, რომ „დავთარში" გადასახადით დაბეგრილი მოსახლეობა გლეხობას წარმოადგენს, ამას უნდა დაემატოს ფეოდალთა და სახელმწიფო მოხელეთა რიცხვი, რომელიც „დავთარში" არ ირიცხებოდა.

ოსმალებმა მოსახლეობის აღწერის შემდეგ ქვემო აჭარის ყველა სოფელს დაუწესეს გადასახადები, რომლებიც ახჩით იზომებოდა და შეადგენდა:

	სოფლები	გადასახადი	კომლი
1.	მერისი	30000	25 კომლი
2.	დანდალო	10000	13
3.	ახო	7930	8
4.	რადამელი	5770	4
5.	ცხმორისი	2770	4
6.	კანტაური	7490	4
7.	კვაშტა	12500	8
8.	ვაიო	23060	6
9.	აქუცა	3000	5
10.	წონიარისი	7000	7
11.	ვარჯანისი	1832	4
12.	ზვარე	6200	11
13.	ზესოფელი	5000	5
14.	ზენდიდი	5000	5
15.	მახუნცეთი	7500	10
16.	გალიეთი	7800	11
17.	აბუქეთა	3000	ცარიელია მოსახლეობისაგან
18.	ნასეირიანი	5000	ცარიელია მოსახლეობისაგან
19.	ორცვა	30000	26
20.	ხოხნა	20000	7
21.	თამარი	5000	ცარიელია მოსახლეობისაგან
22.	ცხემლვანა	15000	ცარიელია მოსახლეობისაგან
23.	ბზუბზუ	3000	8
24.	ზუნდაგა	3000	3
25.	დოლოგანი	20000	5
26.	საწნახელა	4295	4
27.	საღორეთის ციხის რაბათი	25000	28
28.	ტბეთთა (ტიბეთა),	2000	ცარიელია მოსახლეობისაგან
29.	ძენწმანი,	6000	ცარიელია მოსახლეობისაგან
30.	მეძიბნა,	2000	9

31. სოფელი ხერთვისი ახლოსაა მაჭახლის პირთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი 20000 ახჩა.

32. სოფელი კაპნისთავი, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი 3000 ახჩა.

33. სოფელი კლდეთი, ახლოსაა ძენწმანთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი 3000 ახჩა.

34. სოფელი დაბას უბანი ახლოსაა კაპნისთავთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი 18000 ახჩა.

მოსახლეობის აღწერის მასალებში დასახელებულია კომლის უფროსები სახელითა და მამის სახელით, ზოგჯერ პროფესიის მინიშნებითაც (იშვიათად დასახელებულია გვარებიც), შემდეგ ჩამოთვლილია გადასახადების ოდენობა. ასე მაგალითად: სოფელ მერისიდან დასახელებულია 25 კომლი – კარაძე ასბიქასი, დარსიაძე საგინასი, კვინიკა - ძე საგინასი, ენუქი - ძე გერდაში, ამირინდო - ძე მამარბის და ა.შ. მერისელთა ჩამოთვლაში ფიგურირებს სახელები: ხახუტა, ზაქარა, გოგიჩა, ქუსითა, ბასა, სელსე, სუბარი, ტარიელი, მარკოზი, გიორგი, ხოსიტა, ჯაბლიდარი, გაბრიელი, ნოშრევანი, სესითა, მირა, გერდა, სამსონი, როსტომი და ა.შ.

ჩამონათვალში კარგად ჩანს, რომ ყველა სახელი ქართულია, ყოველ შემთხვევაში თურქული ან აღმოსავლური ძალიან ნაკლებია.

რა თქმა უნდა, აღწერილობის ამ ნიშნით გააზრება კარგია, მაგრამ ეს უფრო ფილოლოგიის საქმეა.

მერისის 25 კომლზე გაწერილია გადასახადები 30 ათასი ახჩის ღირებულებით. ჩამონათვალში ჩანს გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, კაკალზე, ხილზე, იონჯაზე, თივაზე, ბოსტანზე, კანაფზე, ღორზე, ფუტკარზე, იალაღზე, ცხვარზე, წისქვილზე, დასახელებულია აგრეთვე შირამანი, ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები.

დიდია ამ ჩამონათვალის ღირებულება ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, მაგრამ ამ მხრივ სოფლებს შორის განსხვავება თითქმის არ არის, ამიტომ დაკონკრეტებას აზრი ეკარგება. მკითხველისთვის გასაგები ხდება, რომ XVI საუკუნეში ქედაში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, კანაფი. მისდევდნენ მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, მეღორეობას (ეს დარგი ჯერ არაა განდევნილი მეურნეობიდან). და მეხილეობას.

ბეგების გადასახადში დამატებით მოიხსენიება ბაღი და ვენახი. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მევენახეობა ჯერ კიდევ არაა მთლიანად აკრძალული.

აღწერილობის მიხედვით ვგებულობთ, რომ დანდალოს 13 კომლზე გაწერილი იყო გადასახადები 10 ათასი აჩხის ოდენობით, ახოს 8 კომლზე – 7930, ცხმორსის 4 კომლზე – 2770, კანტაურის 4 კომლზე 7490, კვაშტის 8 კომლზე 12500, ვაიოს 6 კომლზე – 23060, აქუცის 5 კომლს უნდა გადაეხადა 3000 ახჩა, წონიარისის 7-ს 7000, ვარჯანისის 4-ს 18320, ზვარის 11-ს – 6200, ზესოფელში 5-ზე – 5000, ზენდიდში 5-ზე – 5000, მახუნცეთში 10-ზე - 7500, ორცვაში 26-ზე – 30000, ხოხნაში 7-ზე – 2000, ბზუბზუში 8-ზე - 3000, ზუნდაგაში 3-ზე - 3000, დოლოგანში 5-ზე - 20000, საღორეთში 28-ზე - 25000, მეძიბნაში 9-ზე - 20005 და ა.შ.

ამ სტატისტიკაზე დაკვირვებით ჩანს, რომ გადასახადთა ოდენობა აშკარად არაპროპორციულია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩამოთვლილ სოფლებში დღეს სამეურნეო შესაძლებლობები თითქმის ერთნაირია, მაშინ ვერ იქნებოდა იმდენად განსხვავებული, რომ ამას გამოეწვია არაპროპორციულობა.

დავაკვირდეთ: მერისში ერთ კომლს საშუალოდ უნდა გადაეხადა 1200 ახჩა, დანდალოში – 769, ახოში – 990, ცხმორისში – 690, კანტაურში – 1870, კვაშტაში 1560, ვაიოში – 3800, აქუცაში – 600, წონიარისში – 1000, ვარჯანისში – 4600, ზვარეში – 563, ორცვაში – 1150, ხოხნაში –2850, ბზუბზუში – 375, ზუნდაგაში – 1000, დოლოგანში – 4000, საღორეთში – 890, მეძიბნაში – 220. რა უნდა ყოფილიყო ასეთი მიდგომის საფუძველი? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ არსებობს ერთი ცნობილი

ახსნა, რომელზეც თურქულ საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით თითქმის ყველა ისტორიკოსი მიანიშნებს. ოსმალები გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ ან უმნიშვნელოდ ბეგრავდნენ გამუსლიმანებულ მოსახლეობას.

არ შეიძლება გამოვრიცხოთ ცხოვრების დონე და აღმწერთა დაუდევრობა, ან კორუფციული დაინტერესებაც.

აღწერილობიდან დანდალოს ნაწილში დასახელებულია იოანე ბეგის ბადი და ვენახი საბლურის ტერიტორიაზე (უნდა იყოს საბელაური), რომელსაც იმჟამად (ანუ აღწერის დროს) სულეიმან და ბეჰლულ ბეგები სარგებლობდნენ.

ნახეთ: იოანე ბეგის საკუთრებას სარგებლობენ სულეიმანი და ბეჰლული. ქართული სახელის დიდებულის ქონებას დაეპატრონნენ ოსმალურ სახელისანი. ამით რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, უბრალოდ, იმაზე მინიშნება შეიძლება, რა მიდგომები გააჩნდათ დამპყრობლებს ტერიტორიების განაწილებაში. დასახელებული ბეგები, შესაძლოა დანიშნული მოხელეები იყვნენ.

აღწერილობა იმითაცაა საინტერესო, რომ ჩანს სოფლები, რომლებიც დღეს აღარ იხსენიება ამ სახელებით, მაგალითად: რადამუდი, გალიეთი, ნასეირიანი, თამარი, საწნახენა, დაცარიელებულ სოფლებადაა მინიშნებული: აბუქეთა, ცხემლვანა (ალბათ, უნდა იყოს ცხემნა) და ძენწმანი.

დაინტერესებულ მკითხველს დაწვრილებითი აღწერილობა შეუძლია იხილოს ზ. შაშიკაძის ზემოთ დასახელებულ წიგნში, გვ. 81-101.

ამ დროს მოსახლეობა ტოვებდა ცენტრალურ გზებთან მდებარე საცხოვრისს და სხვაგან გზიდან უფრო დაშორებულ ადგილებში სახლდებოდა. სოფელ გეგელიძეებში და სოფელ კოკოტაურში მცხოვრებ ბერიძეებისგან გამიგონია, რომ ისინი გადმოსახლებული არიან სოფელ აბუქეთიდან, დაირქვეს თურქული გვარი აბუქეთელოღლები და დასახლდნენ ცენტრალური გზიდან მოშორებით.

ერთი დეტალიც: ზ. შაშიკაძის წიგნში აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები 79 გვ. 49 ნომრად დასახელებულია დაცარიელებული სოფელი კავიანი (დღევანდელი ჯალაბაშვილები), რომელზეც გაწერილია გადასახადი 2000 ახჩის ოდენობით. რაც უნდა ყოფილიყო სოფელ ჯალაბაშვილებზე გაწერილი. დიდი მეცნიერი, მწერალი და ეთნოგრაფი თედო სახოკია წიგნში „მოგზაურობანი" წერს „გამოვიარეთ ჭვანა, ახალდაბა – საზღვარი ზემო და ქვემო აჭარისა" (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გამომცემლობა საბჭოთა აჭარა, ბათუმი9 1985 წ. გვ. 307.).

თ. სახოკიას თქმით 1889-1897 წლისათვის ზემო და ქვემო აჭარის საზღვარი ჭვანის წყალზე ყოფილა. ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირის საზღვარი დადგინდა სოფელ მოსიაშვილების აღმოსავლეთით და მარცხენა ნაპირის კავიანის ციხის აღმოსავლეთით 150 მეტრში.

რაც შეეხება საზღვრის დანდალოს ხიდზე დადგენას ზემო და ქვემო აჭარას შორის, თავის დროზე ხიდებზე იყო დაწესებული საბაჟო გადასახადი და ბეგებისა და ფაშებისათვის ადვილი იყო ხიდის საზღვრად დადგენა, რათა გამვლელ-გამომვლელზე აეღოთ გადასახადი. ეს საზღვარი პირობითი იყო, ძველთაგანვე ხიდის აღმოსავლეთით ორი სოფელი – მოსიაშვილები და გორგივლი ქვემო აჭარაში ფიქსირდებოდა.

რამდენადმე განსხვავებულია გადასახადების სახე „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის" მიხედვით.

ამ დავთრის მიხედვით გადასახადები ასეთია:

1. „აშარი" – ერთი მეათედი ნაწილი მთელი შემოსავლისა;
2. „თაშირი" – მიწათმოქმედების შემოსავლის ერთი მეათედი ნაწილი.
3. „რუსუმათი" – არაპირდაპირი გადასახადი ერთ პროცენტამდე (საბაჟო და სხვა).
4. წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე 25-30 კაპ. თითოეულ სულზე.

5. „მეივე-ბედელი” – ხილის შემოსავლიდან ათი პროცენტი.
6. „ელმაქ” – უძრავ ქონებაზე გადასახადი.
7. „სალიარი” საკომლო გადასახადი.
8. მეწველ საქონელზე გადასახადი, თითოეულზე 1/2 ოყა ერბო.
9. „ზერბიე” – საკლავ საქონელზე 5-10 პროცენტი გადასახადი სულზე. თითო საკლავზე – 15 კაპ. გადასახადი.
10. საღერბო გადასახადი.
11. სასამართლო ხარჯები და აგრეთვე მეჯლისის სასარგებლო გადასახადი;
12. გადასახადი საძოვარზე.
(ხ. ახვლედიანი, „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან”, ბათ. 1944 წ. გვ. 35)

***

„ოსმალეთის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არ იყო ერთგვაროვანი. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების სათავეში მემკვიდრეობის წესის დაცვით ქრისტიანი მეფეები და მთავრები იდგნენ... სულთანმა სამცხის ათაბაგებს ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა, რაც გამონაკლისი იყო ოსმალეთში მიღებული საერთო წესიდან. ამიერიდან ახალციხის საფაშოში თანდათან უქმდება ქართული მიწათმფლობელობა და საგადასახადო სისტემა, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის მასიური გამაჰმადიანება. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა აჭარაშიც. აჭარას გამაჰმადიანებული ქართველი ბეგები განაგებდნენ.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში იქმნებოდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, ხალხის აღწერის დავთრები, ფირმანები, ბარათები, ჰუქმები, არზუჰალები და სხვა სახის საბუთები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში. ფირმანები და ბარათები ეგზავნებოდათ დიდვეზირებს, ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყ ბეგებს, დავთარდარებს, იანიჩართა აღებს, შეიხულისლამს და ოსმალეთის მმართველობაში მყოფ მმართველებს. ამ დოკუმენტების ანალიზი მომავლის საქმეა და ისინი თავიანთ მნიშვნელობას გამოავლენენ. მაგალითისთვის მოვიყვან ფირმანებს: №111 და 167. ისინი სულთან მეჰმედ I-ს (1730-1754) გამოუგზავნია კვაშტის თიმარის მფლობელისთვის.

ოსმალებს შექმნილი ჰყავდათ საგანგებო რაზმები გადასახადის ასაკრეფად, რომლებიც სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ და მოსახლეობას ძარცვავდნენ.

ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ აკრეფილი ხარკის შესაგროვებლად ბათუმი დაადგინეს, სადაც მესხეთსა და სხვა მხარეებში შეკრებილი საქონელი უნდა ჩამოეტანათ, აქედან კი გემებით გაეგზავნათ ოსმალეთში. ყველაზე უფრო მძიმე მაინც ის იყო, რომ თურქები ხარკად ადამიანებს მოითხოვდნენ, „თურქები საძარცველად შეესივნენ დასახლებულ ადგილებს და დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდნენ კონსტანტინეპოლში შებორკილი და ერთმანეთზე გადაბმული მამაკაცები და დედაკაცები, ძუძუმწოვარი ბავშვები და ნორჩი ჭაბუკები, მღვდლები და ბერები, ყველანი უწესრიგოდ ერთმანეთში იყვნენ არეული და ქუჩაში ცხვრებივით მიერეკებოდნენ გასაყიდად ისე, როგორც სკვითებს ან აბაზგებს, თურქები უსასტიკესი ხდებოდნენ, თუკი მაშინვე მყიდველს ვერ იშოვიდნენ... საფარ-ფაშის დროს არ განხორციელდა მანუჩარის ადრინდელი სწრაფვა, რომ შემცირებულიყო ტყვეთა წილი ხარკში, რაც აჭარაშიც მწვავედ იგრძნობოდა. კვლავ იზრდებოდა აჭარელ ტყვე ქალ-ვაჟთა რაოდენობა, რომლებიც სტამბოლში იყიდებოდა. (შ. ვარშანიძე, ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1974 წ. გვ. 138-139). ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, თუ რა

სისასტიკეს იჩენდნენ ოსმალო დამპყრობლები დაპყრობილ ქვეყნების ხალხთა მიმართ, როცა აჭარისწყლის ხეობის 35 სოფელი დაიცალა მოსახლეობისაგან, მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი გადავიდა საცხოვრებლად გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელოში. ხოლო თურქი მწერალი, ისტორიკოსი მურად ქასაბი წიგნში „ოსმალეთის ქართველები", – წერს „ქართველებმა ისლამი საკუთარი სურვილით მიიღეს, ოსმალეთი მისი ჰეგომონიის ქვეშ მყოფი ქართველების გამუსლიმანებისათვის არანაირ ძალისმიერ ზომებს არ მიმართავდა. სახელმწიფომ ქართველებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად მუსლიმ დიდგვაროვნებს ადრე მათ საკუთრებაში მყოფი მიწები სანჯაყების სახით დაუბრუნა. სამფლობელოები ასევე აღუდგინა ქრისტიანი თავადების შთამომავლებს მორჩილებისა და ერთგულების პირობით. არ შეგვხვედრია ოსმალების მხრიდან ქართველთა რელიგიური შევიწროების დამადასტურებელი დოკუმენტები. ოსმალებს არც კი უფიქრიათ შეეწყვიტათ ქართული დინასტიების მმართველობა. პირიქით, ისინი მუდმივად იცავდნენ ქართული სამეფო კარისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მართვის წესებს, პატივს მიაგებდნენ ქართულ ენასა და კანონებს" (მურად ქასაბი, „ოსმალეთის ქართველები" გვ.27 სტამბოლი 2012 წ.)

ფაქტობრივად ოსმალები დაპყრობილ ქვეყნებში ანგრევდნენ ეკლესიებს, ქრისტიან მოსახლეობას ორჯერ მეტ გადასახადს ახდევინებდნენ, მშობლიურ ენაზე სწავლებას კრძალავდნენ, ანგრევდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, თავს კვეთდნენ ქრისტიან მოსახლეობას, ან სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ, ცხვარივით მიერეკებოდნენ დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობას სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად. მურად ქასაბი კი ოსმალეთის სახელმწიფოს და მათ დაპყრობით პოლიტიკას არ აღიარებს, თითქოს ოსმალები დაპყრობილი ხალხების კულტურის განვითარებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და ხალხის მოტყუების კიდევ ერთი მცდელობაა.

1611 წელს ოსმალეთის სახელმწიფოს დეფთერდარმა აინი ალიმ, სულთან აჰმედ I-ის ბრძანებით ოსმალეთის იმპერიის აღწერა ჩაატარა. აინი ალის მიხედვით, ამ დროს ოსმალეთის იმპერია დაყოფილია 32 ვილაიეთად, რომელნიც თავის მხრივ სანჯაყებად იყოფოდნენ, აჭარის სანჯაყი (შიდამთიანი აჭარა) ჩილდირის, ანუ ახალციხის ვილაიეთში შედიოდა, ხოლო ბათუმის სანჯაყი – ტრაპიზონის ვილაეთში. ასე შევიდა აჭარა თურქეთის შემადგენლობაში.

ახალციხის ვილაეთში აჭარა რჩება ახალციხის საფაშოს გაუქმებამდე (1829 წ.).

„ჯაბა დავთრის" (1694-1732 წ.წ.) მიხედვით, ჩილდირის ვილაიეთში შემავალი აჭარა ორ სანჯაყად, ქვემო და ზემო აჭარად იყოფოდა, ქვემო აჭარის ცენტრი ქედა იყო, ხოლო ზემო აჭარის – ხულო. ახალციხის საფაშოს გაუქმების შემდეგ, XIX ს. 50-იან წლებში აჭარა თურქებმა ტრაპზონის ვილაეთის შემადგენლობაში შეიყვანეს.

შაჰ-თამაზის ლაშქრობა სამცხე-აჭარაში და ზენდიდის ბრძოლა

აჭარის მოსახლეობისათვის მეტად ძნელი იყო XVI საუკუნის მეორე ნახევარი, როცა მას მუდმივი ბრძოლა ჰქონდა საკუთარი მხარის დასაცავად. 1540 წლიდან გაძლიერდა ირან-ოსმალეთის ქიშპობა, რომლებმაც ამ დროს სამცხე გაიხადეს საასპარეზოდ. ამ ბრძოლებში მნიშვნელოვნად დასუსტდა ოსმალეთი და გაძლიერდა ირანის პოზიციები კავკასიაში. 1540-1554 წლებში სამი ლაშქრობა მესხეთზე იერიშით დაიწყო და აჭარაც ააოხრეს.

ყვარყვარე ათაბაგი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებდა თავის მდგომარეობას, რომ მოღალატე თავადებს არ დაებეზღებინათ შაჰ-თამაზთან, რომელიც მესხეთს თავის სამფლობელოდ თვლიდა.

შაჰ-თამაზთან მოყვრობა ჰქონდათ ათაბაგებს, 1545 წელს ოსმალებმა გაიმარჯვეს, რომლებმაც ათაბაგად ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე დატოვეს, აჭარა მის დროსაც და მისი წინაპრების დროსაც შეუვალი იყო, ქაიხოსრო ხან სამცხეში და ხან აჭარაში ცხოვრობდა. მოღალატე თავადებმა შაჰ-თამაზს აცნობეს, ქაიხოსრო გღალატობსო, რაც მესხეთის დაკარგვას ნიშნავდა.

ამასიის ზავით (1555 წლის 29 მაისი) დასავლეთ საქართველო (აჭარა, იმერეთი, ოდიშ-აფხაზეთი, გურია, ლაზისტანი, ტრაპიზონი) ოსმალეთს დარჩა. ქაიხოსრო ათაბაგს შაჰ-თამაზის რისხვა რომ აეცდინა, მიეგება, თმოგვი, აწყვერი, ასპინძა და სამცხე დაუთმო, რომელთაგან შაჰმა მხოლოდ აწყვერი დაუბრუნა; შაჰ-თამაზი ქაიხოსრო ათაბაგს აღარ ენდობოდა, ამიტომ მას ქალიშვილი მოსთხოვა ერთგულების ნიშნად. „და არ ჰყვანდა ასული ათაბაგს, – მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება", მაშინ ოთარ შალიკაშვილს გამოართვა ასული, რომელი იყო მეყვსი ათაბაგისა და მის წილად წარუგზავნა შაჰ-თამაზს და მან შეირთო იგი ცოლად."

დიასამიძენი, რომლებიც ისევ მძლავრობდნენ მესხეთში, ვერ შეურიგდნენ შალიკაშვილების შაჰთან დამოყვრება-დაწინაურებას, ათაბაგსაც განუდგნენ და კურსი აშკარად ოსმალეთზე აიღეს; როცა ქაიხოსრომ შაჰის სასჯელი აიცდინა, შერმაზან და ვახუშტი დიასამიძეებმა, ეს სულთანს აცნობეს. ამის გამო უფრო გამწვავდა შაჰის ურთიერთობა დიასამიძეებთან, რამაც შემდეგ ბევრჯერ იჩინა თავი". (შ. ვარშანიძე, ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, გვ. 119). ამის შემდეგ დიასამიძეთა მამულები შაჰ-თამაზმა ათაბაგებს მისცა. რადგან შაჰ-თამაზი მოყვრობს შალიკაშვილებსა და ათაბაგებს, ამის გამო გართულდა მდგომარეობა ირან-ოსმალეთს შორის, ოსმალეთის დიდი ლაშქარი შემოესია მესხეთს. ოსმალეთსა და ირანს შორის დაწყებულ ომში უმოწყალოდ იხოცებოდნენ ქართველები, ორივე მხარე წვავდა მესხთა სოფლებს, ანგრევდნენ ციხეებს. მტერმა შემუსრა: ზარზმა, საფარა, სხალთის და დანდალოს ეკლესიები. ამ ომში ოსმალები დამარცხდნენ. ასეთ მძიმე პირობებში მყოფი საქართველო ხან ირანის და ხანაც ოსმალეთის ხელში იყო, ამ დროს აჭარისათვის ყველაზე მძიმე იყო შაჰ-თამაზის ლაშქრობა.

შაჰ-თამაზმა გადაწყვიტა დიასამიძეთა გვარის მოსპობა, რომლის ერთი შტოს წარმომადგენლები პირფარეშისძეებად იწოდებოდნენ და თამარ მეფის დროიდან ფლობდნენ ქვემო აჭარას.

რთული ვითარება შეიქმნა ქვეყანაში 1573 წელს: შაჰ-თამაზთან ყაზვინში მყოფი ქაიხოსრო გზაში გარდაიცვალა, ხოლო ქაიხოსროს მემკვიდრე ყვარყვარე ოსმალეთში იყო სულთანთან მოლაპარაკებაზე. ქაიხოსროს იმედი ჰქონდა შაჰის დახმარებისა, მაგრამ ყვარყვარეს უნდოდა ოსმალეთთან ურთიერთობის განმტკიცება. ყვარყვარეს ამ კურსს ეთანხმებოდა თავისი დედა დედისიმედიც, რომელიც ყვარყვარეს და ქვეყნის მართვაში იყო ჩართული. შესაძლოა, ეს აზრი დიასამიძეთა შემომტკიცებისათვის იყო საჭირო. ამ გართულებას დაემატა თავად ჩოლოყაშვილის წერილი დედისიმედისადმი: „შაჰ-თამაზი სამცხეს მოდის, – წერდა ჩოლოყაშვილი, – მას სურს შენ და შენი შვილები სრულიად ამოგწყვიტოს და ათაბაგობა თავის ცოლისძმას ვარაზ ოთარის ძე შალიკაშვილს მისცეს. ესწრაფე, რომ მოჰკლა, ვიდრე ყეინი მანდ მოვა, თორემ საქმე ცუდად აგიხდება" (შ. ვარშანიძე, ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1974 წ. გვ. 121).

დედისიმედმა წერილს დაუჯერა და მოაკვლევინა შალიკაშვილი, ამ ამბით აღშფოთებული შაჰ-თამაზი საათაბაგოს შეესია, მოაოხრა სამცხე, დააქცია ზარზმა, საფარა,

ვარძია, სხალთა და სხვა ტაძრები, დაახრჩობინა რამდენიმე ბერი.

ათაბაგებმა, როგორც ადრე, ამჯერადაც აჭარას შეაფარეს თავი. დედისიმედმა თავისი ამალითა და შვილებით ქვემო აჭარაში, ზენდიდის ციხეში დიასამიძეებთან ჰპოვა თავშესაფარი.

„დიასამიძეებმა, რომელთაც გვერდში ედგნენ თავადი ბეჟანიძენი, დედისიმედის სახლობის დაცვა იკისრეს, აჭარის მთელი ლაშქარი ციხეში შეიკრიბა და ფიცი დაადებინეს, რომ ყველას დაედო თავი ციხის დასაცავად."

ეხება რა ამ მოვლენას, ი. სიხარულიძე ამბობს: მე-16 საუკუნის 70-იან წლებში (1575-1576 წ.წ.) ამ ციხეში ყოფილან შეხიზნული სამცხის ათაბაგი ყვარყვარე მეხუთე და მისი დედა დედისიმედი.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს დიასამიძეთა ორი შტო, სისხლით ნათესაობის უეჭველობა. მათგან ერთ შტოს – შერმაზან და ვახუშტი დიასამიძეების მეთაურობით ლორის ციხეს უნდა ებატონა, ხოლო მეორე შტოს კი – ზენდიდის ციხეს. მათი განშტოება თამარის დროს უნდა მომხდარიყო და ერთი შტო აქედან მოყოლებული თამარის ნაბოძებ ზენდიდის ციხეს განაგებდა, შემდეგ დიასამიძეები აყმევებენ აბუსერისძეებს და ერისთავობისაკენ ისწრაფვიან. ორივე შტო მტრობს შაჰ-თამაზს, მის მომხრეთ. ლორელი დიასამიძენი 1550-იანი წლებიდან ათაბაგებისაგან გამდგარი ჩანან (იქვე, გვ. 122). სწორედ ლორელი და ზენდიდელი დიასამიძეების წინააღმდეგ იყო მიმართული შაჰ-თამაზის ბრძოლები ზენდიდის ციხეში, დიასამიძეთა და ბეჟანიძეთა შეკრებილი ლაშქარი დამარცხდა, ციხე კი შაჰ-თამაზმა დაანგრია, დედისიმედმა დახმარება სთხოვა სულთანს, მაგრამ, როცა ოსმალთა ჯარი მოვიდა, ზენდიდის ციხე დანგრეული იყო, ყიზილბაშებმა მრავალი მოლაშქრე დახოცეს და მრავალი ტყვედ წაიყვანეს.

1578 წლის პირველ ოქტომბერს ოსმალთა ლაშქარი ლალა-ფაშას სარდლობით შემოსევია აჭარას, „აჭარის მოსახლეობას დიდხანს შემოუნახავს ცნობები ლალა-ფაშას ქართველებისადმი სისასტიკის შესახებ, ამ სატრაპის მიერ ნაგები ციხეებისა და მეჩეთების მოვლა ძვირად უჯდებოდა აჭარის მოსახლეობას, სოფელ დოლოგანსა და ბელტულის მოსახლეობიდან შეწერილი ხარჯი 1830-იან წლებამდე იგზავნებოდა არზრუმის ლალა-ფაშის მეჩეთის შესანახად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1563 წლიდან აჭარას მართავს ბეჟან (მეჰმედ) დიასამიძე. ამ წლიდან ზენდიდის ომამდე დიდი დრო არაა გასული, ამიტომ დიასამიძეების გვერდით ბეჟანიძეთა ხსენება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. ასე იწოდებოდა ბეჟანის შთამომავლობა და ბეჟანიძეთა გვარი მანამდე არ უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთი საკითხი გამუსლიმანების ისტორიიდან

აჭარის დაპყრობისა და მძიმე, აუტანელი გადასახადების შემოღების შემდეგ ოსმალებმა დაიწყეს მოსახლეობის ძალდატანებით გამუსლიმანება. „ქედის მცხოვრები დევრიშ ბეგ ბეჟანიძეს ზაქარია ჭიჭინაძისთვის უთქვამს: პირველ ხანებში, ვინც არ თათრდებოდა, იჭერდნენ და ქედაში მიყავდნენ, პარასკევ დღეს, ლოცვის დროს, ჯამეში შეიყვანდნენ, ვინც თათრობას მიიღებდა, ის ცოცხალი რჩებოდა, ვინც არა, და, იმას კარში გაიყვანდნენ, ლოცვის შემდეგ ხეზე კიდებდნენ და ახრჩობდნენ. დამხრჩვალები სამი დღე ეკიდნენ ხეზე... ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს ქედაში 50 კაცი და დედაკაცი ჩამოჰკიდეს ხეებზედ და დაახრჩეს რჯულის გამო."

ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო სხვადასხვა დროს გაამუსლიმანეს, საერთოდ, აჭარა ყველაზე გვიან გამუსლიმანებულა, რადგან აჭარის ხეობა მტრისათვის

დიდხანს იყო მიუვალი. მოსახლეობისათვის ეროვნული წარსული და ვინაობა რომ დაევიწყებინათ, ოსმალები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ. ჯერ გამოუცვალეს გვარები და სახელები, ქართული ენა აკრძალეს და ცდილობდნენ თურქული ენის დანერგვას. თურქები მოსახლეობის გამაჰმადიანების კვალდაკვალ ქართული კულტურის კვალსაც არ ტოვებდნენ, სპობდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, წვავდნენ ქართულ წიგნებს. ორცველი სააკოღლის (სააკაძის) გადმოცემით: დიდრონი წიგნების ტყავებისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს, ქალამნებს და სხვა რამეებს აკეთებდნენ. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო ნახევარი ფუთი გამოდიოდა. ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხებით აჭარის ორ სოფელშიაც დაუწვავთ წიგნები, სახელდობრ ხერთვისს და კაპნისთავში".

ოსმალო დამპყრობლებმა აჭარაში გაბატონების შემდეგ მოსპეს და გაანადგურეს ძველი ქართული ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები, თავიანთი მდიდარი მხატვრობით. მათ ადგილას დააარსეს ჯამე-მედრესეები, ზოგიერთ მონასტერებში და ეკლესიებში თურქებმა აფხიკეს ქართული ჩუქურთმები, მხატვრობა, წარწერები და სხვა. ე. თაყაიშვილი თავის შრომაში იმოწმებს სარქისიანის ცნობას იმის შესახებ, რომ მონასტრების მეჩეთებად გადაკეთების წინ მათ მონასტრებში კოცონები დაანთეს და შემდეგ წვერმოლესილი იარაღებით გულმოდგინედ ფხეკდნენ ფრესკებს.

სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „სარწმუნოებით იყვნენ წლისადმე ქრისტიანისა 1626, ქართულისა 314-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი." (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 111) – ქვემო აჭარაში უკვე მოქმედებდა 39 ჯამე და 32 მედრესე.

ოსმალთა ბატონობის დროს ხოჯა-მოლები დაინტერესებულნი იყვნენ მოსახლეობისათვის ზეპირად შეესწავლებინათ ყურანი ხალხის განათლებაზე მაშინ არავინ ზრუნავდა, ხალხმა წერა-კითხვა არ იცოდა. ახალგაზრდებს ასწავლიდნენ არაბულ წერა-კითხვას, ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში და სხვაგან ხშირად ქართული ასოებით წერდნენ თურქულ წერილებს, აჭარელი ქალები ერთმანეთს წერილებს უგზავნიდნენ თავისებური ქართული ასოებით, რომელსაც „დედაბრული" ეწოდებოდა. აჭარელ მამაკაცთა დიდმა ნაწილმა იცოდა თურქულად ლაპარაკი, მაგრამ თურქული წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ცოტა იყო. მიუხედავად ქართული ენის სასტიკი დევნისა, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ძალა. მედრესეები და მეჩეთები ისლამური ფანატიზმის გამავრცელებელ კერებს წარმოადგენდნენ, სწორედ ამიტომ სულთანი დიდ ყურადღებას აქცევდა მეჩეთების მშენებლობას ყველა სოფელში.

ქედის რაიონის სოფლებში არსებული ტოპონიმები გვაუწყებს, რომ ყველა სოფელში ყოფილა ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ოსმალო დამპყრობლებს დაუქცევიათ. მერისის თემში არის ნამონასტრევი, სხვა სოფლებში ნასაყდრალი, ნაეკლესიარი, ნაქილისვარი და სხვა.

ოსმალებმა, მიზნისთვის რომ მიეღწიათ და მოსახლეობა თავიანთ სარწმუნოებაზე მოექციათ, მახუნცეთის, ცხმორისის და დანდალოს ხიდებზე მოაწყვეს თავსაკვეთები, ხიდებზე მიიტანდნენ ეკლესიიდან გამოტანლ ხატებს და მირეკავდნენ სოფლის მოსახლეობას, უბრძანებდნენ, გაევლოთ ხიდზე, ფეხი დაედგათ ხატებზე. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, უარს აცხადებდა ხატზე ფეხის დადგმაზე, რის გამოც თავებს კვეთდნენ და მდინარეში ყრიდნენ, ზოგჯერ მდინარე აჭარისწყალი წითლად მიედინებოდა.

ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნში, „ქართველთა გამუსლიმანება", შეიტანა ძალად გამუსლიმანების არაერთი მაგალითი. თევდორე ორცველი სააკოღლისაგან ჩაუწერია: „ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ,

რადგანაც სახელმწიფოსათვის ის საჭიროა. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებელი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს სწავლება დაუწყეს მხოლოდ თურქული ენისა და წერა-კითხვის. რომელი ყმაწვილიც დაისწავლიდა თათრულ ანბანს, იმას კარგ საჩუქრებსა და საქმეებს აძლევდნენ: ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში ააღორძინეს თათრული ენის სიყვარული. რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირეოდენად მუსლიმანობაზე ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება შეასწავლეს და ამ დროს ოსმალთ მოიხმეს ქართველი მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, ქრთამები და სთხოვეს, რომ თათრის რჯულის გავრცელებაში ჩვენ დაგვეხმარეთო. მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველთ ხალხში. უმეტესად ახალგაზრდებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურ ქალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარას გამოღმა მხარის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანდა, ქრისტიანობის სასტიკ მფარველად სოფელ ორცვაში მღვდელი კაკაბაძე იყო. ეს მღვდელი იყო დიდად მქადაგებელი, მოყვარე ქრისტიანობისა და პატივისმცემელი ქართველთა. ეს მღვდელი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ამაგრებდა ქრისტიანობაზედ. ეს ამბავი ოსმალთ იცოდნენ და ორცვის კაკაბაძე მღვდელს დიდად ემუქრებოდნენ, მაგრამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ეს მღვდელი ქედის დიდ ეკლესიაში დადიოდა და ზარს რეკავდა, 4-5 სოფლის ხალხს ლოცვაზე იხმობდა.

ბოლოს მაინც ეს ეკლესია დაუქცევიათ თათრებს, კაკაბაძე მღვდელი რომ მოსულა, შორიდან შეუხედნია ეკლესიისაკენ და ეკლესია დაქცეული უნახავს, ეკლესიის გვერდით კი უცბად დადგმული ხის ჯამე. კაკაბაძე მღვდელს გული შეჰყრია, ტირილი დაუწყია და უთქვამს:

ვაიმე, ახლა კი დაეცა აჭარა!

კაკაბაძეს ცოლშვილი ორცვაში დარჩნენ და მღვდელს აღარავინ დაანება ესენი. ოსმალოს მთავრობამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის შვილებს ქეშიოღლი უწოდეს. ერთ შვილს თათრული წერა-კითხვა დაუსწავლია და მალე მოლობაც მისცეს: რამდენადაც მამაშენი ქეშიში მღვდელი იყო, იმის ნიშნად ამ დღის შემდეგ ამ სოფლის მოლობა თქვენი გვარის კაცებს ჰქონდეთ. მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მოლობა ყოველთვის ქეშიოღლებს უკავიათ...”

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, გამუსლიმანებაზე ყველაზე დიდი წინააღმდეგობა დანდალოელებს გაუწევიათ. „თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლველად. მათ გადაწყვიტეს, ან მამა-პაპის რჯულზე დავრჩებით, ან გავწყდებითო.”

დანდალოელებს ოსმალები ათასობით დაუხოცავთ, მაგრამ ბოლოს მაინც გატეხილან, რადგან მტერს გათათრებული ქართველები წაშველებიათ.

„დანდალოს ერი დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლად გაწყდა ხალხი, ისე, რომ ერთი კაციც არ დარჩენილა. ბავშვი და სხვა მთლად დახოცეს, გაწყვიტეს. ვინც გადარჩა, ისიც ოსმალეთში გარეკეს. მთელი დანდალო ცარიელი დარჩა, სოფლები უპატრონოდ იყო მიტოვებული და შიგ კაცი არ იყო მცხოვრები.”

ეს უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის დასაწყისში.

ამ დროს აჭარაში გამოჩენილა თევდორე ავალიანი, რომელიც იმერეთიდან გამოიქცა, რადგან მეფეს მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. თევდორე დანდალოში დასახლებულა, მისთვის ახალგამუსლიმანებულ ქართველებს დახმარება გაუწევიათ. მალე თევდორე ავალიანი სტამბოლში წასულა სულთანთან.

„მე საქართველოდგან გახლავარ, ქართველი, აზნაურიშვილი, საქართველოში ცხოვრებას თქვენს მფარელობის ქვეშ შემოსვლა ვარჩიე, მე მოველ თქვენს საბრძა-

ნებელს აჭარის დანდალოში, დანდალოს სოფლები ვნახე და თქვენ იმ ადგილებს თუ მე მიბოძებთ, და მასთანავე, აზნაურიშვილობასაც დამიბრუნებთ, მაშინ მე მზად გახლავარ, მაჰმადი ვიწამო, შემოვუერთდე თქვენს რჯულს, თქვენი ერთგული ქვეშევრდომი გავხდე. გარდა ამისა, ვეცდები, რომ საქართველოთგან ჩემი სოფლის კაცები გადმოვასახლო თქვენს სამეფოში, ზემოხსენებულ სოფლებში დავასახლო და რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც გავათათროო." (ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება გვ.81)

ამის შემდეგ თევდორე ავალიანი გაათათრეს, დანდალო ჩააბარეს და ბეგობაც უბოძეს. თევდორე ჩავიდა საიდუმლოდ თავის სოფელში, გადმოიბირა თავისი ყმები და წამოიყვანა ადგილების დასათვალიერებლად, მათ ეს სოფლები მოსწონებიათ, ავალიანს მათთვის პირობა მიუცია, რომ თქვენ არ გაგათათრებენ, ბატონყმობაც აღარ იქნებაო. ყველა ამ პირობის შემდეგ ავალიანებს ჩამოუსახლებიათ შემდეგი გვარები: „ჯალაბაშვილი, გელიაშვილი (უნდა იყოს ველიაშვილი – შ.ა.) გიორგაძე, გოგიაშვილი, გეგელიძე, არზანაშვილი, ბალაძე, ზაქარაშვილი, კაკაშვილი, ბაბუჩაშვილი, ძანაძე და სხვა". თითო გვარისათვის თითო სოფელი მიუციათ და ამ გვარების მიხედვით შერქმევია ამ სოფლებს ახალი სახელები. დაცარიელებულ სოფელ კავიანში დასახლებულა ჯალაბაშვილი და სოფელისათვის შეურქმევიათ ჯალაბაშვილები. უნდა ვივარაუდოთ, რომ კავიანში დასახლებულმა ჯალაბაშვილებმა ისურვეს თ. ავალიანთან ქვემო აჭარაში ყოფნა. რას კარგავდა ოსმალო და ალბათ, ამ გზით გახდა ეს სოფელი ქვემო აჭარისა. (აჭარის დიდი დავთრის მიხედვით, კავიანი ზემო აჭარის სოფლად ითვლებოდა).

განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

XVI საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ საქართველოს მმართველები ჯაყელი ათაბაგები იყვნენ. XVII საუკუნეშიც მათ განაგრძეს მმართველობა, მაგრამ ამ დროიდან ისინი თურქეთის ხელისუფლების მმართველობაში მოექცნენ და ფაშებად იწოდებოდნენ 1747 წლამდე, იუსუფ ფაშა ჯაყელის გარდაცვალებამდე.

XVII საუკუნის ბოლოს სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა გვარები გაძლიერდნენ და ისინი ბეგის სახელწოდებით განაგებდნენ თავიანთ მხარეს – ქობულეთში გაძლიერდნენ თავდგირიძეები, ბათუმის სანჯაყში – აბაშიძეები, ქვედა აჭარში – ბეჟანიძეები, ზედა აჭარაში – ხიმშიაშვილები.

თურქეთის მთავრობამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაიწყო თავისი პოლიტიკის გატარება. ქვეყანა რომ დასუსტებულიყო, მათ ერთმანეთს გადაჰკიდეს ცალკეული მხარეები. თურქი ფაშები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ამ სანჯაყებს შორის მუდამ ურთიერთშუღლი ყოფილიყო, რაც ქართველი მოსახლეობის პროტესტს იწვევდა. ქართველებმა მრავალჯერ დაამარცხეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი თურქი დამპყრობლები. ასე იყო 1761, 1763, 1764 წლებში. ქართველებმა ბევრჯერ შეძლეს მტრის ჯარების განადგურება, მარტო 1764 წლის ლაშქრობისას ოსმალეთის ხაზინას 1200 ქისა, ანუ 360 ათასი მანეთი უზარალია.

„მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ სულთანი იძულებული გახდა, თურქი ფაშა შეეცვალა და მმართველად ქართველი სულეიმან ფაშა დაენიშნა. იგი ახალციხეში იჯდა და ვალი (მთავარ) ფაშად ითვლებოდა. სულეიმან ნიბაძეს სასწავლებელი სტამბოლში დაუმთავრებია. ერთ დროს ეგვიპტის ფაშადაც ყოფილა. მას კარგად სცოდნია ქართული ენა. კეთილი ადამიანი და სამშობლოს მოყვარული ყოფილა. ახალციხის ფაშად გახდომის დღიდან დაუმეგობრდა ერეკლე მეორეს, სოლომონ პირველს და ძლიერ ახლოს იყო სიმონ გურიელთან. მათ მიწერ-მოწერა და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. საქართველოსთან ასეთი ურთიერთობის გამო სულთანმა 1761 წელს სიკვდილით დასაჯა. მის შემდეგ ამ მხარეში თურქი ფაშები დაუნიშნავთ.

ცნობილი არ არის, თუ რა მიზანს ისახავდა სულეიმან ფაშა ქართველ მთავრებთან და მეფეებთან კეთილი ურთიერთობით, მაგრამ ეს ფაქტი ძალიან საყურადღებოა. რომ ჩვენი აზრით, ეს იყო სამხრეთ საქართველოს ფაშების მიერ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი სამშობლოსთან კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად. სულეიმან ნიბაძის შემდეგ თურქმა ფაშებმა ისევ ძველებურად დაიწყეს მოქმედება, რამაც ხალხის აჯანყება გამოიწვია. განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა უცხო ფაშების თვითნებობას აჭარის მოსახლეობა და მათ შორის ბრძოლა მძაფრ ხასიათს ღებულობდა (შამშე მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956 წ., გვ. 18-19).

აჭარის მოსახლეობას სათავეში ედგა აბდულ ბეგ ხიმშიაშვილი. ხიმშიაშვილებმა მიიღეს მაჰმადიანური სარწმუნოება და ბეგები გახდნენ. აბდულ ბეგი აჭარაში ხიმშიაშვილების პირველი წარმომადგენელი იყო. 1780 წელს ახალციხის ვალი-ფაშა შეიცვალა და აჭარის გამგებლობა, აბდულ ბეგ ხიმშიაშვილს მიენდო.

1785 წელს, გეორგევსკის ტრაქტატის შემდეგ, საქართველომ რუსეთის მფარველობა მიიღო, რამაც შეაშფოთა თურქეთის სულთანი. მან იგრძნო, რომ თურქეთი საქართველოზე კონტროლს დაკარგავდა და ახალციხისა და არზრუმის ფაშებს გაუგზავნა ჯარი, საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. აბდულ ბეგ ხიმშიაშვილი აიძულეს გურიაში შეჭრილიყო. აბდულ ბეგის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, ის სოფელ აკეთთან მოკლეს.

აბდულ ბეგის სიკვდილის შემდეგ აჭარის მმართველი გახდა მისი შვილი სელიმი. 1800 წელს ახალციხის ვალი-ფაშა ისევ გახდა ჯაყელების შთამომავალი – შერიფ ფაშა. სელიმ ბეგ ხიმშიაშვილსა და შერიფ ფაშა ჯაყელს შორის ურთიერთობა იმდენად გართულდა, რომ მათ შორის 1801 წელს ომი დაიწყო. აჭარის მოსახლეობას სელიმ ბეგი ჩაუდგა სათავეში, ომი ორ წელს გაგრძელდა და სელიმის გამარჯვებით დამთავრდა, სელიმ ბეგი ახალციხის მმართველი გახდა და ფაშობა მიიღო.

სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მყოფ თურქ მოხელეებთან. მისი მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს თურქეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სამთავროს შექმნა ისე, როგორც საუკუნეების წინ, ათაბაგების დროს იყო. სელიმ ფაშამ სამხრეთ საქართველო აამხედრა თურქთა წინააღმდეგ. 1810 წლიდან მან რამდენჯერმე დაამარცხა თურქეთის ჯარები. განრისხებულმა სულთანმა სპეციალური ფირმანი გამოგზავნა სელიმ ფაშის შესაპყრობად და სიკვდილით დასასჯელად. 1813 წელს სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი იძულებული გახდა აჭარაში გადასულიყო და ხიხანის ციხეში გამაგრებულიყო, მან შვილები, ახმედი და აბდი ბეგი, გურიაში გაგზავნა თავის ნათესავ მამია გურიელთან.

სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას არზრუმის ბაბა ფაშა ჩაუდგა სათავეში. მან ხიხანის ციხე ვერ აიღო, მაგრამ 1815 წელს შეძლო სელიმის გამოტყუება ციხიდან მოლაპარაკების მიზნით და შეიპყრო. სელიმ ფაშას თავი მოკვეთეს და სტამბოლში გაგზავნეს. სიკვდილის წინ მან განაცხადა: „ მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო!"

ასე უშედეგოდ მთავრდებოდა ცალკეული აჯანყებები, ცალკეულ პირთა ცდები ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

1804 წელს გენერალმა ციციანოვმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩორტოროცკისთან დასვა საკითხი ბათუმის მნიშვნელობაზე და მის რუსეთთან შეერთებაზე, „ბათუმი და ანაკლია,- წერდა ის – „ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოს".

ბათუმის შეერთების საკითხი რუსეთთან 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროსაც სერიოზულად დასმულა, მაგრამ რუსეთს ამ დროს კავკასიაში არ ჰქონდა

მტკიცე დასაყრდენი.

აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების მცდელობა იყო 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროსაც. 1828 წლის 5 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა ახალციხე აიღეს და აჭარის საზღვართან აღმოჩნდნენ. რუსეთის ჯარების ხელმძღვანელი ახალციხეში გენერალი ბებუთოვი შეეცადა აჭარის ბეგი ახმედ ხიმშიაშვილი მოკავშირედ გაეხადა. ამავე დროს ანატოლიის სერასკერი გაკი-ფაშა ცდილობდა, ახმედ-ბეგს რუსეთის საწინააღმდეგოდ ემოქმედა, მაგრამ ის არ ჩქარობდა და არც ერთ მხარეს არ ეხმარებოდა, შემდეგ კი თურქთაგან დაშინებულმა თურქეთის მხარე დაიჭირა და 15000-იანი ჯარით რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. 17 თებერვალს ახმედ–ბეგი ახალციხისაკენ დაიძრა და თავის ბიძაშვილ აბდი - ბეგს ბორჯომის ხეობაში გამაგრება დაავალა, რომ იქიდან რუსებს დამხმარე ძალა არ მოსვლოდათ. 20 თებერვალს ახმედ ბეგი ახალციხეში შეიჭრა, მაგრამ უშედეგოდ, ამიტომ მოლაპარაკება გამართა ბებუთოვთან, ხოლო 4 მარტს, გაიგო რა აბდი ბეგის დამარცხების ამბავი, თავისი ჯარით აჭარაში გაიქცა.

ახმედ-ბეგი უფრო თურქული ორიენტაციის იყო, ის თავის განდიდებაზე ფიქრობდა, ვიდრე ქვეყანაზე. ბებეთოვის ნაცვლად ახალციხის ჯარების ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი ბარონი ოსტენ-საკენი. ახმედ-ბეგის ყველა რუს გენერალთან მოლაპარაკება წარუმატებლად და მოტყუებით დამთავრდა. მას რუსი გენერლები აღარ ენდობოდნენ, ოსტენ-საკენმა მისწერა: „არც თქვენ, არც თქვენი შვილი, არც თქვენი ბიძა სულეიმან-აღა არ გამოცხადდით ჩემთან ქვეშევრდომობის მისაღებად, იმ გამარჯვების შემდეგ, რომელიც დიდი ხელმწიფის ჯარმა მოიპოვა, რუსეთის მთავრობის დამცირება იქნებოდა, რბილად ემოქმედა და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ დაპირებით. თქვენ მწერთ, რომ ქვემო აჭარა აჯანყდა თქვენს წინააღმდეგ, ამაზე გიპასუხებთ: თუ ოთხი დღის განმავლობაში თქვენ ან თქვენი შვილი არ გამოცხადდებით ჩემთან, მაშინ მე იძულებული ვიქნები, ჯარებით შემოვიდე აჭარაში, ან თქვენ დასახმარებლად, ან თქვენ დასასჯელად, თქვენი მოქმედება გადაწყვეტს, თუ რომელი ღონისძიების განხორციელება მომიხდება” (შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956 წ. გვ. 32)

აღნიშნული წერილი უკვე ბოროტმოქმედებისაკენ იყო მიმართული, რაც პასკევიჩსაც არ მოეწონა, ახმედ-ბეგს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

ახმედ-ბეგი ქვემო აჭარაში იყო, ოსტენ-საკენი შევიდა ზემო აჭარაში და -სოფლები ცეცხლს მისცა. ახმედ-ბეგმა მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა, მაგრამ მას გენერალი არ ენდობოდა. ახმედ-ბეგის მეუღლემ დუდი-ხანუმ ბეჟანიძემ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა აჭარაში, წერილით მიმართა ოსტენ-საკენს, რომ შეეჩერებინა სამხედრო მოქმედება, სოფლების აწიოკება და მოლაპარაკება ეწარმოებინა ახმედ-ბეგთან. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ დუდი-ხანუმმა სახლის გასაღები გაუგზავნა ოსტენ-საკენს და სწერდა, რომ ქმრის სახლში არ ყოფნის გამო მას არ შეეძლო დახვედროდა სტუმარს და გენერალი საკადრისად მიეღო.

ახმედ-ბეგის ცოლმა დატოვა სახლ-კარი და მოსახლეობასთან ერთად მთებში გაიხიზნა. 16 აგვისტოს ოსტენ-საკენმა დაიკავა ახმედ-ბეგის რეზიდენცია და შუახევისაკენ დაიძრა, ახმედ-ბეგმა კი შეუთვალა, შუახევში გელოდებიო. გზა იმდენად გაუვალი იყო, რომ ზამლეთიდან გენერალმა უკან დახევა გადაწყვიტა. ამასთან ერთად, აჭარის მოსახლეობა, რომელიც ომის დაწყებისას რუსეთის ჯარს იმედის თვალით უყურებდა, მათი ბოროტი ქმედებების გამო მტრულად განეწყო. რუსის ჯარმა რომ უკან დახევა დაიწყო, ააფეთქა სამხედრო საწყობები და დაწვა ახმედ-ბეგის სასახლე და ქონება. დიდაჭარაში იგი წამოეწია რუსის ჯარს და მძაფრი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ რუსის ჯარმა გზა განაგრძო და 28 აგვისტოს ახალციხეში შევიდა.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა, მა-

გრამ აჭარის განთავისუფლების საკითხი არ გადაწყდა.

1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომი (ყირიმის, ანუ აღმოსავლეთის ომი), როგორც ცნობილია, საერთოდ, რუსეთის მარცხით დამთავრდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, კავკასიაში მოპოვებული გამარჯვებით შეძლო რუსეთმა პარიზის კონგრესზე გამოესყიდა ყირიმის ნახევარკუნძულზე განცდილი მარცხი. პარიზის ტრაქტატით, კავკასიაში მოპოვებული მიღწევები უშედეგო დარჩა, ყარსი და ყველა ტერიტორია, რომლებიც რუსეთის ჯარს ჰქონდა დაკავებული, ისევ თურქეთს დაუბრუნდა, აჭარის განთავისუფლების ცდა კვლავ უშედეგო გამოდგა.

XIX საუკუნის აჭარაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს ოსმალების მიერ ქვემო აჭარის მოსახლეობის აღწერა ჰიჯრით 1251 წელს, ანუ 1835-1836 წლებში.

№	სოფლის დასახელება	კომლთა რაოდენობა	მამაკაცთა რაოდ.
1.	აქუცა	34 კომლი	110 კაცი
2.	ვაიო	64 კომლი	164 კაცი
3.	კვაშტა	55 კომლი	120 კაცი
4.	ზვარე	41 კომლი	98 კაცი
5.	ძენწმანი	45 კომლი	114 კაცი
6.	ცხმორისი	65 კომლი	166 კაცი
7.	გულები	46 კომლი	115 კაცი
8.	აბუქეთა	34 კომლი	99 კაცი
9.	ახო-გობრონეთი	76 კომლი	187 კაცი
10.	წონიარისი	59 კომლი	164 კაცი
11.	ვარჯანისი	44 კომლი	144 კაცი
12.	ზესოფელი	28 კომლი	80 კაცი
13.	დანდალო	184 კომლი	404 კაცი
14.	მახუნცეთი	94 კომლი	248 კაცი
15.	საღორეთი	90 კომლი	209 კაცი
16.	ზუნდაგა	56 კომლი	156 კაცი
17.	კანტაური	45 კომლი	99 კაცი
18.	ალიქოღლები	71 კომლი	184 კაცი
19.	მეძიბნა	45 კომლი	140 კაცი
20.	მერისი	201 კომლი	543 კაცი
21.	ორცვა	75 კომლი	240 კაცი
22.	ხოხნა	121 კომლი	355 კაცი
23.	ბზუბზუ	68 კომლი	170 კაცი
24.	დოლოგანი	84 კომლი	215 კაცი
25.	აგარა	41 კომლი	111 კაცი
26.	ზენდიდი	57 კომლი	157 კაცი
27.	ცხემნა	22 კომლი	70 კაცი
28.	ქედა	70 კომლი	141 კაცი

სულ 1965 კომლი მამაკაცი 5003.

მაშინ ქვემო აჭარაში (ქედაში) ყოფილა 9825 სული.

ოსმალები აღწერის დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ ოჯახების სწორად აღ-

რიცხვას, რაც გადასახადებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით მამაკაცების აღრიცხვას, რაც ჯარში გაწვევასთან იყო დაკავშირებული (მოგვაწოდა პროფესორმა ზ. შაშიკაძემ).

ჯარში გაწვევა გახდა მიზეზი 1844 წლის აჯანყებისა..

„აჯანყების ისტორია ასე იწყება: ყარსის ფაშამ აჭარაში გამოგზავნა თავისი ოფიცერი სოლ-აღა რამდენიმე ჯარისკაცით, გადასახადის ასაკრეფად და 200 კაციანი რაზმი რეკრუტის შესაგროვებლად. ამ ღონისძიების გატარება დაუწყია ზემო აჭარაში... შემდეგ გადასულა ქვემო აჭარაში. აჭარის მოსახლეობა აჯანყდა, შეადგინეს 5 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი და სოლ-აღას გამოუცხადეს, რომ არც რეკრუტს მისცემდნენ და არც გადასახადს გადაიხდიდნენ...

სოლ-აღა წავიდა ხულოში და ახმედ ფაშას ქვრივს შეაფარა თავი... აჯანყებულები წავიდნენ ხულოში და ახმედ-ფაშის ქვრივის სახლს ალყა შემოარტყეს, სოლ-აღა გაიპარა სახლიდან.

27 მარტს აჯანყებულებმა აირჩიეს დეპუტაცია: ჭვანიდან, – კურა ეფენდი, სოფელ მერისიდან – სულეიმან ეფენდი, სასულიერო პირები, რომლებსაც განცხადება გაატანეს სულთანთან გადასახადისა და რეკრუტის შემცირების მოთხოვნით. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მიზანს მიაღწევდნენ, რადგან მერისელი სულეიმან ეფენდის ძმა სტამბოლში მსახურობდა სასულიერო პირად და დიდი გავლენით სარგებლობდა.

„აჯანყების მეთაურები ყოფილან მერისიდან ჩინქოროღლი (შარაძე), დანდალოდან სული - ბეგ ავალიანი. ამ აჯანყების ცენტრად ითვლებოდა ჭვანა და დანდალო, 1500 კაცი აჯანყებული იყო ხიხაძირის ხეობაში...

მერისელი ჩინქოროღლი სულეიმან ეფენდი ხელმძღვანელობდა რეგულარულ ჯარს და სული ბეგი კი ბაში ბუზუკს (არარეგულარულ ჯარს). როგორც საბუთებიდან ჩანს, 1844 წლის აჯანყება აჭარლების სასარგებლოდ დამთავრდა. აჯანყებულთა და სულთანს შორის მომრიგებელთა როლში გამოსულა ახმედ ფაშის ქვრივი დუდი ხანუმი, ტრაპიზონის ფაშას გამოუცხადებია რეკრუტის გაუქმება და გადასახადის შემცირება 3 ყურუშამდე კომლზე.

დუდი ხანუმის დასახმარებლად ფაშას ქვემო აჭარაში დაუნიშნავს უფროსად ვინმე კარტანოღლი (ახალციხელი), მაგრამ მოსახლეობა ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა.

აჯანყებულნი აგროვებდნენ ახალგაზრდებს, რაც ნათლად ჩანს საბუთიდან: ვინმე აბდულაჰ (დანდალოელი უნდა იყოს) სწერს ხუსეინ აღაზადე გულ აღას (უნდა იყოს ზესოფლელი), რომ ჩვენ ამხანაგები ვართ და გაჭირვების დროს თქვენ არაფერში არ დაიხევთ უკან, რაშიც დარწმუნებული ვართ. ამიტომ გთხოვთ, ამ წერილის მიღებისას შეკრიბეთ ახალგაზრდობა, რომელთანაც გავლენა გაქვთ და შეკრებილნი წამოიყვანეთო.” მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა.

„ხულოს მმართველმა ქედაში ჩინქოროღლის კაცი გაუგზავნა და წინადადება მისცა, რომ რაზმი დაეშალა, ჩინქოროღლიმ უპასუხა: ხალხს სურს თავისუფლება და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიანო, ჩვენ ხუნ-ხუზები არ ვართ, როგორც ჩვენ გვინდა, ისე უნდა ვმართოთ ჩვენი ქვეყანაო. მან ერთ დღეს აღებსა და ბაირახტარებს თავი მოუყარა და გააფრთხილა, რომ მე არ ვარ აჭარის მტერი, აჭარა ერთია და მმართველი კი ბევრიო. აჭარაში უნდა იყოს ორი მმართველი: ქვედა აჭარაში სანჯაყ-ბეგი, ხოლო ზემო აჭარაში კი ახმედ ფაშის შვილი შერიფ-ბეგიო”(ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გამომცემლობა „აჭარა” 1978 წ.).

აჯანყებულებთან ბრძოლაში ქედაში მარცხი განიცადა ჯერ ჭყონია ფაშამ, 1844 წლის მაისში, – ქეიოღლიმ.

აჯანყება 1845 წელსაც გაგრძელდა. ოსმალებმა აჭარაში შემოიყვანეს 20000 ჯარისკაცი,

მაგრამ აჯანყებულებმა თურქებს ბევრი ჯარისკაცი დაუხოცეს. ამ დროს აჯანყების წინა ხელმძღვანელები შეცვლილი ჩანან. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ჰაჯი-ჰასან ბეჟანიძე, სოფელ ზენდიდიდან, ძმები დევაძეები სოფელ აგარიდან, ალიქ-ოღლი შერვაშიძეები – სოფელ ორცვიდან, მაგრამ ამ დროს აჭარლებს უდალატა სოფელ ძენწმანელმა ხეირულა-ბეგ სურმანიძემ (შემდეგ აჭარლებმა ამ ბეგს ოჯახი ამოუხოცეს).

ქედაში შემოსულ 20000 კაცს შეუერთდა არზრუმისა და ბაიაზეთის ფაშების ჯარი და საერთო რაოდენობა 40000 კაცამდე გაიზარდა. აჭარლები მაინც არ შეუშინდნენ, მაგრამ 3-4 ათასი კაცით რას გახდებოდნენ, აჯანყების მოთავეები თურქებმა სასტიკად დასაჯეს და გადასახადი 9 მანეთიდან 25 მანეთამადე გაზარდეს.

აჭარის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული.

აჭარის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან

XVII საუკუნის ბილოს და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველი მეფე – მთავრები საქართველოს განთავისუფლების იმედს ერთმორწმუნე რუსეთზე ამყარებდნენ. რუსეთი ზოგჯერ უწვდიდა დახმარების ხელს საქართველოს. პეტრე პირველი სიკვდილის წინ თავის ანდერძში წერდა, „საქართველო უბედურია, დაიცავით იგი სარწმუნოების გულისათვის, გაუგზავნეთ ჯარი ჩემი ხაზინის ხარჯზე". (ხ. ახვლედიანი).

1877 წლის 24 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო ოპერაციები გაჩაღდა ბალკანეთში და კავკასია-ანატოლიის ფრონტზე. რუსეთის არმიასთან ერთად იბრძოდა ქართველთა 30 ათასიანი ლაშქარი.

რუსეთის მთავრობამ გაითვალისწინა თურქეთთან წინა ომების დროს დაშვებული შეცდომები, აჭარის მოსახლეობისა და მოწინავე საზოგადოების აზრი. აჭარაში მოგზაურობის დროს ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე შერიფ ხიმშიაშვილს ესტუმრა, შერიფ ბეგს მისთვის განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზათ ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდესო". ი. კერესელიძის გარდა, ომის დაწყებამდე აჭარაში გაიგზავნა გურიის სასაზღვრო რაზმის უფროსი გ. გურიელი. ისიც შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს ეწვია, უკანასკნელს მისთვის უთქვამს, რომ იგი ყოველმხვრივ დაეხმარება რუსეთს ომში და მოსახლეობის მხარდაჭერასაც დაჰპირდა. ქობულეთის ბეგებიც თანახმა იყვნენ საქართველოსთან შეერთებაზე, გარდა ალი და ოსმან თავდგირიძეებისა" (შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ. 1956 წ. გვ.4).

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, როგორც უკვე ვთქვით, 30000 ქართველი მონაწილეობდა. როცა მოთხოვნა იყო, გურიიდან გამოეყვანათ საბრძოლველად 1000 კაცი, 3000 გამოცხადდა და მოხალისედ ეწერებოდნენ, დაწყებული 13-14 წლის ახალგაზრდებიდან 60 წლის ასაკამდე (საქართველოში 37 მოლაშქრეთა საბრძოლო შენაერთი ჩამოყალიბდა, სულ 102 -- 63 ქვეითი და 39 ცხენოსანი).

11 აპრილს დაიწყო საომარი მოქმედება, გადალახეს მდინარე ჩოლოქი, ზღვის სანაპიროს გასწვრივ გენერალმა შერემეტიევმა და მარცხნივ მთიან ადგილების გავლით გენერალმა დენიბეკოვმა განახორციელეს შეტევები. თურქები აჭარაში აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოეწვიათ, თითქოს აჭარლებს რუსები ციმბირში გადაასახლებდნენ, გააქრისტიანებდნენ, ქონებას წაართმევდნენ და ქალებს გააუპატიურებდნენ.

„რიონის რაზმის მხედართმთავარმა გენერალმა ომის დაწყების პირველ დღესვე ჯარებისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ რუს მეომრებს არ შეელახათ მოსახლეობის

ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და უხეშობა არ გამოეჩინათ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ის სასტიკად დაისჯებაო. მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით: „დე, გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინ გაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობით და ენით ეკუთვნის იმ ერთ ოჯახს, რომელთა ათასობით მილიციელები და მოლაშქრეები ამჟამად ჩვენს გვერდში დგას საერთო საქმისათვისო" (შ. მეგრელიძე. დასას. ნაშრომი, გვ.56)

სასტიკი ბრძოლები გაიმართა მუხაესტატეს, ხუცუბნისა და ციხისძირის ტერიტორიაზე, სადაც რუსეთ-საქართველოს ჯარებმა წარმატებებს მიაღწიეს, უფრო წარმატებული მოქმედება ჰქონდა რუსეთის ჯარს არტაანისა და ყარსის მიმართულებით.

1878 წლის 18 იანვარს ქალაქ ადრიანოპოლში დაიდო ზავი. საზავო მოლაპარაკებისათვის შეიქმნა კომისია, რუსეთის მხრიდან გენერალ დუხოვსკის, ხოლო თურქეთის მხრიდან ხუსეინ ფაშას ხელმძღვანელობით. მხარეები შეთანხმდნენ: 1) დაეწესებინათ ნეიტრალური ხაზი, 2) ადგილებზე უნდა დარჩენილიყო ძველი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, 3) თავის ზონაში თვითოეულ მხარეს უფლება ეძლეოდა თავისუფლად ემოქმედა.

1878 წლის 19 თებერვალს ქალაქ სანსტეფანოში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რაც ნიშნავდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებას. საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა კავკასიაში მიიღო ქალაქები: არტაანი, ყარსი, ბათუმი, ე.ი განთავისუფლებულ იქნა სამხრეთ საქართველოს და დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზემოთ აღნიშნული ტერიტორია, გარდა ბათუმის მხარისა, უკვე რუსეთის ხელში იყო, ბათუმში კი ისევ თურქები რჩებოდნენ, რომლებიც ევროპის კონგრესის გადაწყვეტილებამდე უარს ამბობდნენ გასვლაზე. თურქები არ ჩქარობდნენ ბათუმიდან გასვლას, აჭარის მოსახლეობას დევრიშ ფაშამ 7000 თოფი დაურიგა, თურქების ასეთმა მოქმედებამ ხალხის მასებში უკმაყოფილება გამოიწვია.

თურქები შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას, აშინებდნენ, რომ თუ ხალხი ამბოხებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, დაუნგრევდნენ სახლ-კარს. თურქები იმ ზომამდეც მივიდნენ, რომ ჯარისკაცებს გადააცვეს სამოქალაქო ტანსაცმელი და აჭარის სოფლებისაკენ გაგზავნეს. ისინი თითქოს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი იყო, ამბოხების მომზადების მიზნით თურქეთიდან ჩამოიყვანეს სასულიერო სკოლის 300 მოსწავლე, რომლებიც აჭარის მოსახლეობაში ქადაგებდნენ ომს „ურწმუნოების წინააღმდეგ ისლამის დასაცავად".

დევრიშ-ფაშა აჭარაში რუსების წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავდა, მოსახლეობას ფარულად მოსყიდვის მიზნით იარაღითა და ფულით ამარაგებდა, რაშიც მას აქტიურად ეხმარებოდნენ ინგლისელი აგენტებიც.

მუსტაფა ფაშამ ცალკ-ცალკე სოფლებში აიძულა მოსახლეობა, ხელი მოეწერათ რაღაც უცნობ ქაღალდზე, რაც პროტესტს ნიშნავდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ. იმ პირებმა, რომლებმაც იძულებით ხელი მოაწერეს ე.წ. პროტესტზე, კავკასიის არმიის მხედართმთავრის სახელზე, მეორე დღეს გაგზავნეს წერილი, რასაც 800 კაცი აწერდა ხელს. წერილში ნათქვამი იყო, რომ თურქებმა აიძულეს ხელი მოეწერათ რაღაც ქაღალდზე, ფაქტობრივად, კი მათ რუსეთის ჯარის მიმართ არავითარი საჩივარი არ ჰქონდათ.

თურქული ბანდები დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ რუსულ სამხედრო ნაწილებს. ამ დროს ბათუმში ინგლისელებმა სამი ხომალდით დატვირთული იარაღი შემოიტანეს და ემზადებოდნენ ომის გასაჩაღებლად. გენერალმა კომაროვმა სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა მოსახლეობისადმი, რომ „მთელი ის მიდამოები, რომლებიც წინათ საქართველოს სახელს ატარებდა, უერთდება რუსეთს, უკვე ერთი წელია, რაც რუსეთის ჯარი აქ დგას, მაგრამ არავის ახსოვს მათი ცუდი მოქმედება", კომაროვი ურჩევდა მოსახლეობას, ემოქმედა თავისი შეხედულების მიხედვით და თურქებისა და

ინგლისელების აგიტაციის ქვეშ არ მოქცეულიყო. თურქებისა და ინგლისელების გეგმები ჩაიშალა.

1878 წლის მაისში, ბერლინის კონგრესის თანახმად, რუსეთი უთმობდა თურქეთს არზრუმს, ბაიაზეთს და ალაშკერტს. ბათუმი კი გამოცხადებულ იქნა პორტოფრანკოდ (თავისუფალ სავაჭრო ქალაქად). ე.ი. ბერლინის კონგრესის დადგენილებით გადაწყდა აჭარის რუსეთთან შეერთება. თურქებმა, რადგან ვერ მოაწყვეს ხალხის მასების გამოყვანას რუსეთის წინააღმდეგ, დაიწყეს მოსახლეობის მასიურად გასახლება ოსმალეთში.

1878 წლის 16 აგვისტოს რუსეთ-თურქეთის კომისიამ მუშაობა დაასრულა და დადგენილ იქნა, რუსეთისათვის ბათუმი გადაეცათ 25 აგვისტოს. რუსეთის ჯარი დანდალო-ცხმორისში შევიდა 30 აგვისტოს, ხოლო 1 სექტემბერს – ქედაში. 25 აგვისტოს რუსის ჯარი მახინჯაურიდან შევიდა ბათუმში, 31 აგვისტოს თურქი დევრიშ ფაშა ბათუმიდან გავიდა.

თედო სახოკია გვაუწყებს, რომ 1878 წლის 14 ნოემბერს თბილისში ჩავიდა მაჰმადიან ქართველთა დეპუტაცია. 20 ნოემბერს (ძველი სტილით) მუხრან-ბატონის სასახლეში შეიკრიბა 90 კაცი, წარჩინებული ჭკუით, დამსახურებითა და შთამომავლობით. მათ შორის იყვნენ თვით დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე კერესელიძე, ნიკო ავალიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დიმიტრი ფურცელაძე, გენერლები: გ. სუმბათაშვილი, საგინოვი, თუმანოვი, კობიევი, ტერგუკასოვი.

აჭარის და მეზობელი კუთხეების წარმომადგენელთა რაოდენობა 16 კაცს აღწევდა, რამდენიმე პირი კი არაოფიციალურად იყო მიწვეული. ს. მესხი სტუმრებს შორის ჩამოთვლის ბიძაშვილებს ხუსეინ და ხასან ბეჟანიძეებს, ნური ხიმშიაშვილს, ხუსეინ აბაშიძეს და ხასან სურმანიძეს, „საკუთვრივ დელეგაციის" გარდა იყო გენერალ-მაიორი შერიფ ხიმშიაშვილი.'

სხვა წყაროების მოშველიებით დადგინდა, რომ დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე ხიხაძირლები მუსტაფ გაბაიძე და იუსუფ ბერიძე, ვაიოელი აბდულ ლორთქიფანიძე, მარადიდის (გონიოს) უბნის უფროსი ახმედ ხალვაში, სულია მაჭახლელი, ემინ ზადე არტანუჯელი, ოსმან მაკრიალელი (მარშანია), ხალილ ზადე და სხვები" (ხიმშიაშვილები, ბათუმი, 2003 წ. გვ. 294.).

ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა ილია ჭავჭავაძე.

შერიფ ხიმშიაშვილის მეუღლესა: აბდულ ლორთქიფანიძე, მუსტაფა გაბაიძე, იუსუფ ბერიძე

საზეიმო სუფრაზე სიტყვით გამოვიდა გრ. ორბელიანი: „ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სიხარულს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედის შვილნი, შავი ბედის გამო, განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისთვის დაკარგულნი, – ანაზდეულად, მოულოდნელად შეჰხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულით.

,,ჩვენცა, ეგრეთვე საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც არ დაგვივიწყნია დაშორებული ჩვენი ძმები.

თვალი, გული გვეჭირა თქვენსკენ, ბატონებო და გნატრობდით, როდის აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა.!

„და აი, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად".. და დღეის იქეთ ლხინშიც ,ჭირშიც, უნდა ვიყვეთ ჩვენ ერთად, ვიაროთ ერთად, ვით ერთნი დედა საქართველოს შვილნი"..

გრ. ორბელიანის შემდეგ წამოდგა უფროსი დეპუტაციისა ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და წმინდა ქართული ენით რამდენიმე სიტყვით წარმოთქვა სადღეგრძელო დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლისა.

შემდეგ წამოდგა ალ. ზუბალაშვილი და თქვა: „მოწყალენო ხელმწიფენო! რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხს, საზოგადოებას, თუ ბოლოს ყოველივე კარგად გათავდება, დიაღ, კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა!

„შემდგომ მრვაწლიანი ომისა, სისხლის ღვრისა და სიმძულვარისა ორ ძმა ხალხს შორის, რუსეთისა და ოსმალეთის საქართველოს, მიუხდომელმა განგებამ ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტერებული ხალხი ერთად შეყრილნი ვართ და ვდღესასწაულობთ განხეთქილების მოსპობას ჩვენს შორის, ჩვენს ძმურად შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა", იმ კაის გულითა, რომელსაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიაც გეგულებით...

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დიმიტრი ყიფიანმა: ვინ იცის, კიდევაც რამდენხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვმადლა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებს. როგორც თავადმა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოთქვა, მადლობას განუზომლად ვზრდით ჩვენს გულებში და რადგან ახლა აგვიხდა ასწლოვანი ნატვრა, სურვილი თავად გრიგოლის სიტყვებისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილი კავშირისა უკუნისამდე! და ამ ჩვენს ძველს მოძმეებსა რომ თვალითა ვხედავთ და ძმური სიყვარულით შევხარით, შევსვათ სადღეგრძელო მათი.

აკაკი წერეთელმა სადღეგრძელოში აღნიშნა, რომ „დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლოა და სიხარული უღრუბლო!..

„დიაღ ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!.

„და რა იყო, ბატონებო ეს ანდერძი?...

ეს ანდერძი იყო: „დედაენა და ერთობა"!

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა: 1853 წელს ომიანობისას, ცოტა რამ იმედი მომეცა, ვამბობდით, აგერ ახლა გამოვალთ თურქეთის ქვეშევრდომობისაგან, ჩემიანებსა და ჩემს ქვეყანას გამოვიხსნი იმათ მტარვალობითგან და დიდ რუსეთს შევუერთდები, მაგრამ, საუბედუროდ, ყველა საშუალი გამიწყდა, გზა-კვალი დამეხშო, ყოველგნით ფოლხი მომადგა და ხელი მომეცარა (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985 წ. გვ. 191,201).

შერიფ ხიმშიაშვილი ამბობს, რომ რაც 1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომისას ვერ მოხერხდა, ეს ოცნება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ ომმა აუსრულა.

მუჰაჯირობა

„მუჰაჯირი" არაბული სიტყვაა და ქართულად ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდან წასულს ნიშნავს, გამოთქმა „მუჰაჯირი" ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში გაჩნდა.

მუჰაჯირობის ტალღის აგორებაში რელიგიური ფაქტორი დიდ როლს თამაშობდა. 1879 წლის 27 იანვარს მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც იქნა დაწესებული

ბერლინის კონგრესზე: 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, მაგრამ 1893 წელს განხორციელდა ყველაზე დიდი გადასახლება, ეს პროცესი ფაქტობრივად 1921 წლამდე გრძელდებოდა.

აჭარაში მუჰაჯირობის პროცესი უფრო მასობრივი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ქართველ მამულიშვილთა დიდი, დაუღალავი მუშაობა. ხალხთან მუშაობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ათაბაგი, დურსუნ-ბეგ თავდგირიძე, თუფან-ბეგ და ყადირ- ბეგ შერვაშიძეები, აბდულ მიქელაძე და სხვები.

1879 წლის გადასახლების დროს ვარჯანისიდან მუჰაჯირად წავიდა 35 კომლი, წონიარისიდან – 60 კომლი, ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაიცალა.

ზემო და ქვემო აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა დაახლოებით 5458 კომლს შეადგენდა.

მუჰაჯირთა უმრავლესობა ხოფასა და ტრაპიზონში გადაიყვანეს და იქიდან ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციებში დაფანტეს. თურქები მუჰაჯირის შვილებს ხელზე მოსამსახურედ იყენებდნენ და ჰყიდნენ. ულამაზესი გოგო-ბიჭები, 8-10 წლისა 60-80 მანეთად იყიდებოდა ფაშებზე, საერთოდ კი 30-40 მანეთად ყიდდნენ ახალგაზრდებს.

მუჰაჯირობის მიზეზით აჭარის სოფლებში მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წასულებიდან ძალიან ბევრი დაბრუნდა უკან.

მკითხველისათვის უდაოდ საინტერესო იქნება მოსახლეობის რაოდენობა, ამიტომ მოვიტან მონაცემებს ვ. ლისოვსკის და თ. სახოკიას მიხედვით.

ქედის მოსახლეობა 1887 წლისათვის ვ. ლისოვსკის მიხედვით

№	სოფლის დასახელება	კომლი	მამაკაცი	ქალი
1.	აბუქეთა	22	62	38
2.	აგარა	54	128	149
3.	აქუცა	36	70	72
4.	ალიქოღლები	58	210	161
5.	ახო - გობრონეთი	70	209	158
6.	ბზუბზუ	19	35	27
7.	გეგელიძეები	31	95	73
8.	გუნდაური	10	43	28
9.	გულები	44	128	106
10.	დანდალო	119	322	475
11.	დოლოგანი	46	121	96
12.	ვაიო	32	87	70
13.	ვარჯანისი	8	18	17
14.	ზვარე	21	55	38
15.	ზენდიდი	36	105	87
16.	ზუნდაგა	56	191	165
17.	თურმანიძეები	15	24	19
18.	კანტაური	21	59	44
19.	კვაშტა	15	69	45
20.	კოკოტაური	39	110	121
21.	კორომხეთი	15	44	27
22.	ზედა მახუნცეთი	25	54	32
23.	ქვედა მახუნცეთი	20	54	47

24.	მეძიბნა	41	118	99
25.	მილისი	25	89	61
26.	ნამლისევი	17	84	32
27.	საღორეთი	30	147	133
28.	სამზიარი	16	37	26
29.	უჩხითი	56	110	91
30.	ქედა	13	36	25
31.	ქედის ცენტრი	9	31	28
32.	ცხემნა	7	29	24
33.	ცხმორისი	55	147	139
34.	ძენწმანი	32	37	74
35.	წონიარისი	14	39	22
36.	ხარაულა	23	59	49
37.	ხოხნა (კოლოტაური)	53	129	70
38.	ორთა ხოხნა (კოლოტაური)	58	48	27

ქედის მოსახლეობა თედო სახოკიას 1895 წლის ანგარიშის მიხედვით.

სოფლის დასახ.	კომლთ.რაოდ	სულადობა
1. ქედა	19	89
2. სამზიარი-შავაბური	20	104
3. ძენწმანი	32	233
4. კაკაოღლი	29	104
5. ორცვა	36	169
6. ალი-ოღლი	71	403
7. მეძიბნა	55	263
8. მერისი	186	1284
9. აქუცა	51	215
10. ვაიო	57	234
11. ჯოღანი	53	283
12. ჭინკაძე	33	169
13. აგარა	57	419
14. საღორეთი	38	197
15. ზესოფელი	35	165
16. ზვარე	34	171
17. გარჯანისი	17	69
18. წონიარისი	39	184
19. კვაშტა	51	231
20. კანტაური	30	118
21. აბუქეთა	24	123
22. ორთა ხოხნა	22	92
23. კორომხეთი	20	91
24. დერე ხოხნა	65	288
25. ახო - გობრონეთი	75	384
26. გეგელიძეები	36	197
27. ცხმორისი	59	341

28. კოკოტაური	38	241
29. ზუნდაგა	62	214
30. დანდალო	131	697
31. კიბე	55	336
32. კაპნისთავი	39	225
33. ზედა მახუნცეთი	45	156
34. ქვედა მახუნცეთი	30	156
35. ბზუბზუ	31	118
36. გოგიაძე-შოთაძე	30	125
37. გულები	42	235
38. ზენდიდი	45	229
39. ცხემნა	10	61
40. უჩხითი	56	297
41. მილისი	28	147
42. ნამლისევი	19	124

აჭარის მოსახლეობა იმედით ელოდა მხარის განთავისუფლებას, მაგრამ ხელისუფლების უყურადღებობის გამო იმედები ნაწილობრივ გაუცრუვდათ.

ბათუმის პირველი გუბერნატორი კ. კომაროვი ავიწროებდა მოსახლეობას და ფაქტობრივად ხელს უწყობდა ე.წ. მუჰაჯირობას. მისი მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი აჭარის მოსახლეობის გასახლებას და აჭარაში არაქართველების მიერ ადგილ-მამულების შეძენას.

„1880 წელს ოსმალეთში გაემგზავრა ცნობილი სასულიერო მოღვაწე მოლა ლომან ეფენდი (ქარცივაძე), რომელმაც სტამბოლში მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება და სულთანთან ავტორიტეტით სარგებლობდა. (ერთხანს მისი „კარის მასწავლებელიც" ყოფილა"). მან იქ მოინახულა მუჰაჯირთათვის გამოყოფილი ადგილები და როგორც პატიოსანმა და სამშობლოს გულშემატკივარმა, მოიწერა, გასახლების მსურველნი არ დაძრულიყვნენ ადგილიდან, თუ არ სურდათ ტანჯვა-უბედურებაში ჩავარდნა.

დაბრუნების შემდეგ ლომან ეფენდი ეწვია გენერალ გუბერნატორ კ. კომაროვს, გულახდილ საუბარში მან განაცხადა: „ადრე ვფიქრობდი, ერთგული ვყოფილიყავი ჩემი ყოფილი ხელმწიფისა და მსურდა აჭარის მოსახლეობის თურქეთში წაყვანა, მაგრამ იმედი მთავრობისა დაპირებაზე არ გამართლდა. ჩვენ ერთგული ვიყავით თურქეთის მთავრობის, ვიბრძოდით მისთვის, ხოლო კარგად თუ ცუდად, ეს თქვენ უკეთ იცით... ჩვენ ასევე ერთგული ვიქნებით რუსეთის სახელმწიფოსი და ისეთივე მამაცობით დავიცავთ სამშობლოს მისი მტრებისაგან" (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008, გვ. 75).

ბერლინის კონგრესზე გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე 1879 წლის 27 იანვარს რუსეთმა და ოსმალეთმა შეიმუშავეს ე.წ „კონსტანტინეპოლის ტრაქტატი", რომლითაც ოფიციალურად დაკანონდა მოსახლეობის თავისუფალი გადასახლება 1882 წლის 3 თებერვლამდე.

რუსეთის მთავრობამ ხელი შეუწყო ქართული რაიონებიდან მოსახლეობის აყრას, მუჰაჯირობას, რაც იმით დასტურდება, რომ მუჰაჯირობის ორგანიზაციისათვის გამოყოფილი იყო 500000 მანეთი.

ქედის მაზრის თითქმის ყველა სოფლიდან წავიდნენ მუჰაჯირად. მათგან ბევრი გზაში და ბევრიც ადგილზე ჩასული დაიღუპა, რაშიც დიდი როლი ითამაშეს თურქეთის აგენტებმა და მოლა-ხოჯებმა, მოსახლეობა მუჰაჯირად მიდიოდა ბათუმიდან და ხოფიდან ნავებით, გემებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით.

რუსეთის მთავრობამ ახლად შემოერთებული ბათუმისა და ართვინის მოსახლეობას განუცხადა: ვისაც არ გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასახლება, სამი წელიწადი ვადა გეძლევათო.

იმ სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38000 სული გადასახლდა ოსმალეთში, შეეხიზნენ თურქეთს, მაგრამ თურქეთის მთავრობამ მათ მიმართ არავითარი ზრუნვა არ გამოიჩინა.

მთელი ამ სამი წლის განმავლობაში აჭარა შფოთავდა. ოსმალეთიდან გადმოსული აგენტები, მოლა-ხოჯები აშინებდნენ ხალხს, მაჰმადის რჯულზე ხელს აგაღებინებენ, რუსის ხელში გაგიჭირდებათ, რუსები რჯულს გამოგიცვლიან, ცოლებს გაგიუპატიურებენ, მიწა-წყალს წაგართმევენო; ამ ხმების გასაფანტავად და ხალხის დასაშინებლად მაშინდელმა სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა კომაროვმა ბათუმის ოლქში გამოსცა განცხადება:

„ვერც მუსლიმის სარწმუნოებას, ვერც მუსლიმის ოჯახს და იმის ჩვეულებას ვერავინ ვერ შეეხება, მაგრამ სისხლის გადახდა უნდა მოიშალოს, კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა და არავის აქვს უფლება, მტერობით კაცი მოკლას.. ვისაც დუშმანი ჰყავს, იმან სასამართლოში უნდა იჩივლოს და იმ დუშმანს სასამართლო დასჯის დანაშაულისათვის. მუსლიმის ქალებს ვერავინ ცუდს ვერ ჰკადრებს. რუსის კანონი ითხოვს, რომ თვითონ მუსლიმანები მუდამ პატივს სცემდნენ, უვლიდნენ თავის ქალებს, როგორც ყურანში სწერია. კანონი არავის მისცემს ნებას, რომ ქალს უპატიურად მოექცნენ. ყველა ქალს ნება აქვს სასამართლოში იჩივლოს, თუ უპატიურობა მიაყენეს რამე თავისი ქმრის ან მამის ოჯახში და იმედი უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი იმისკენ იქნება.” – ეწერა განცხადებაში.

აჭარის მცხოვრებნი, რომლებიც „რუსის” ხსენებაზე გარბოდნენ, თანდათან შეეჩვივნენ რუსულ ადმინისტრაციას, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას.

ხალხი არჩევანის წინაშე იდგა: გადასახლებულიყო თუ ადგილზე დარჩენილიყო. სოფლების მიხედვით იმართებოდა კრებები (ყრილობები), რომლებზეც ამ საკითხზე მსჯელობდნენ, კრებებს მონაწილეთა სიმრავლის გამო ოლქობას უწოდებდნენ. ერთი ასეთი ოლქობა დანდალოში გამართულა 1879 წლის აპრილში, ოლქობაზე (ყრილობაზე) შეკრებილა ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა, 2000 კაცზე მეტი. იგი აღწერილი აქვს პ. უმიკაშვილს თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ მოთხრობაში „პატარა ახმეტა". ყრილობამ მიიღო დადგენილება: „ვისაც სურს აქ დარჩენა, დარჩეს, ვისაც წასვლა გნებავთ, გზა ხსნილია, წადითო.” ამასთან ყრილობას დაუდგენია: გახიზვნა-ადგილზე დარჩენა თვით სოფელმა გადაწყვიტოსო. დანდალოში ჩამოსულა ახალციხის ჯარების სარდალი იოსელიანი და ხალხთან სიტყვით გამოსვლისას უთქვამს: მე თქვენთან ჩამოვედი უიარაღოდ, ჯარის გარეშე, გთხოვთ დარჩით ადგილზე საცხოვრებლად, მთავრობა ხელს ყველანაირად შეგიწყობთო".

ასეთი ოლქობა (ყრილობა) ქედის ჯამის წინაც გამართულა, მთელი ზედა და ქვედა აჭარის მოსახლეობა შეკრებილა, თავი მოიყარა 4000 კაცზე მეტმა, ხალხი გაიძახოდა ჩვენ აქ არ დაგვედგომება, ანუ, წავიდეთ მუჰაჯირადო.

მალე ხალხთან გაჩნდა მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი და ხალხს მიმართა: „მართლმორწმუნე მუსულმანებო, თქვენ მეკითხებით, რა ვქნათ ჩვენაო? მუჰაჯირად წასვლა გვინდა , აქ არ დავრჩებით, რადგან რუსნი არიან, აქ მოვლენ, ჩვენ გაგვაქრისტიანებენ, ქალებს დაგვიპილწავენ, ბალღებს მოგვტაცებენ, ბოლოს სულ დავიღუპებით, ისინი სულ კერპები არიან, უღმერთონი და ურჯულონი, ყველა ეს თქვენ გაშინებთ დიდად, ამიტომ მე გეტყვით თქვენი კითხვების პასუხებს: რუსნი ურჯულონი არ არიან, არც კერპები, მათ ღმერთი სწამთ, მათი კერპობის გამო ჩვენს წიგნებში არსად არაფერი სწერია, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ მუჰაჯირად უნდა წავიდეთ, მერე სად უნდა წავიდეთ,

ვისთვის და რისთვის, რა გაშინებთ თქვენ, რად სწუხხართ, ჯერ ხომ რუსნი არ მოსულან. მოიცადეთ, მოვიდნენ ისინი, თუ მართლა აგვიღებენ და დაგვიჭერენ ჩვენ, ყველა ამას, რასაც ამბობთ თქვენ, მაშინ გაკიცხავთ.

თუ მართლა რუსნი ისე გვიზამენ, გაგვაგიავრებენ, ბაღნებს დაგვიტაცვენ, ქალებს დაგვიტაცვენ, ქალებს წაბილწავენ, მაშინ მე თვით ეს მოხუცი გამოვალ თქვენს წინაშე, ავიღებ ხელში ხმალს და დამბაჩას, გაგიძღვებით წინ და შევებრძოლებით. ბრძოლაში ვინც მოკვდება, ის ხომ მორჩება, მოისვენებს, და ვინც დარჩება, იმას კიდევ როგორც ერჩიოს, ისე მოიქცეს, უნდა აქ დარჩეს რუსების ხელში და უნდა წავიდეს ოსმალეთში მუჰაჯირად.

„მუჰაჯირად წასვლა არ არის ადვილი საქმე, იგი ძნელი რამ არის, ჩვენ წიგნებში ამის შესახებ აი რა წერია: „მუჰაჯირად წასულ კაცმა გზაში თავისი ცოლი და ქალები ისე უნდა წაიყვანოს, რომ მათ პირბადე არ მოეხადოთ და სახე არავინ დაუნახოსო, თორემ იგი ცოდვა არის სჯულისაო".

„მუჰაჯირად" წასულმა კაცმა ყმაწვილები ანუ პატარა შვილები ისე უნდა ამყოფოს, რომ მათ პური არ მოემშოთ და ტანსაცმელი და წუღები არ მოაკლდეთ, თორემ იგი დიდი ცოდვა იქნება.

„მუჰაჯირად" წასულმა კაცმა უსათუოდ ხუთივე ვახტის ლოცვა უნდა შეასრულოს, თორემ უამისოდ დიდი ცოდვა იქნება, ამით სჯულის საქმეც წახდება მუსლიმანი კაცისათვის.

„მუჰაჯირად" წასვლისათვის აი რა უნდა იცოდეთ თქვენ: თქვენ აქ, თქვენ მამა-პაპის სახლ-კარზე ცხოვრობთ, სადაც თქვენ გაქვთ თქვენი საკუთარი ბაღ-ბოსტანი, ყანები და ყოველივე საზრდოება, გაქვთ სახლის ქონება და ზოგს შეძლებაც, მაგრამ უმეტესობა კი ჩვენში ფუხარათ არის დარჩენილი, ღარიბათ ცხოვრება ისეა, რომ იოლად მიდიხართ და ცოლ-შვილსაც არჩენთ დიდი შრომით.

„მუჰაჯირად" რომ გინდათ წასვლა და უნდა მოშალოთ აქ თქვენი ძველის საცხოვრებლიდან, მის მერე თქვენ იცით, რა მოჰყვება თქვენს ცხოვრებას ოსმალეთში? აქ, სადაც შეძლება და მამა-პაპისაგან დატოვებული მამულები გაქვთ. აქ ამ საკუთრების დროსაც ვერ ცხოვრობთ კარგად. რიგიანად და ოსმალთ შორის, უცხო ალაგას, სადაც თქვენ არც სახლ-კარი დაგხვდებათ მზათ, არც ბაღ-ბოსტანი, არც სხვა რამ, ის შეძლება, რაც აქ გაქვთ, აბა იქ თქვენ როგორ იცხოვრებთ? თქვენი ცხოვრება იქ არაფრად არ ეღირება. თქვენ ამით უფრო ცოდვებს ჩაიდენთ რჯულის წინაშე, ამიტომ მე გირჩევთ, ამ სამზადისს თავი დაანებოთ და თქვენ სახლებში, ცოლ-შვილთან დაბრუნდეთ, თქვენ მე მიყურეთ და ჩემ სიტყვას, სხვების დარიგება თქვენ არ გინდათ.

თქვენ ფიქრობთ, რომ მუსლიმანი კაცი მარტო იქ ცხონდება, სადაც მისი სჯულის ფადიშაჰი ზისო, იქ არის მისი ბინა და სამარხიო, ესეც არ არის სწორი. მიწა ყველგან მიწა არის, იგი არც მორწმუნისა არის, არც გიაურისა, იგი ღმერთისა არის, მისი პატრონი ღმერთია, ჩვენ არც ფადიშაჰი გვაცხონებს და არც იქაური მიწა, მუსულმანს ეცხოვრება მხოლოდ თავისი კეთილის კარგი საქმით, კეთილის რჩევით, მუსულმანი თუ ავი კაცი არის, იმას არავინ აცხონებს. გინდ იგი მექას და მედინას წავიდეს, ამიტომ გირჩევთ, ასეთ ფიქრებს თავი დაანებეთ. თუ მუსულმანი წმინდა არის და კაი კაცია, იგი ყველგან ცხონდება, თუ მუსლიმანი წმინდა მუსლიმანი არის, ის უსათუოდ რუსის მიწაზეც ცხონდება, ამას ფიქრი და შიში არ უნდა, კარგ მუსლიმან კაცს ცხონებას ვერავინ წაართმევს, ვერც რუსი, ვერც სხვა ვინმე, ამიტომ გირჩევთ, რომ თქვენ გადასახლებას თავი დაანებოთ და თქვენ სახლებში დაბრუნდეთ ცოლ-შვილთან".

ასეთი ქადაგებით, წერს ზ. ჭიჭინაძე, ახმედ ეფენდიმ ამდენი მოზღვავებული ხალხი სწრაფად დაამშვიდა და მის მერე ყველა დამშვიდებით წავიდა თავის სახლში და „მუჰაჯირად" აღარავინ წასულაო... (ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, გვ. 183-185)

„ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, გამოჩენილი ქართველი მაჰმადიანი იყო, აჭარის მუფთი და მუდმივ ქართულად ქადაგებდა. მისი ძმა გურჯი დომინ ყადი სამზიარიძე სულთან აზიზის ხოჯად იყო სტამბოლში. ამათ მთელი ყურანის ქადაგება ქართულად დაწერეს და მათი შემწეობით დასავლეთ საქართველოს ხოჯებს, 1840-იან წლებში ბრძანება გასცეს სტამბოლიდან, რომ ქართველ მაჰმადიანებში ქართულ ენაზე ექადაგათ ჯამეებში.

აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი

ბრძანება თითქმის 1870 წლამდე მოქმედებდა, მაგრამ შემდეგ სხვა ბრძანება გამოვიდა და ხოჯებმა ოსმალურად დაიწყეს ქადაგება, თუმცა ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი მაინც არ ემორჩილებოდა ბრძანებას და სიკვდილამდე სულ ქართულად ქადაგებდა, მისივე გავლენით აჭარიდან ძალიან ცოტა ქართველი მაჰმადიანი გადასახლებულა ოსმალეთში. ერთხელ ახმედ ეფენდი დაიბარეს სტამბოლში და სამართალში მისცეს ყურანის ქართულად ახსნისა და ქართულად ქადაგებისათვის, მაგრამ თავი იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულიაო". ახმედ ხალიფაშვილი გარდაიცვალა 1892 წელს, შემდგომში ხალიფაშვილები ხალვაშებად იწოდებიან. ახმედ ხალიფაშვილი (ხალვაში) წარმოშობით მერისიდან ყოფილა, მისი მშობლები ალიქოღლებში (ოქტომბერში) გადმოსახლებულან. მას ორი ქალიშვილი დარჩენია. რომლებიც სხვა სოფლებში გათხოვილან. ჯერჯერობით უცნობია, სადაა დასაფლავებული ახმედ ხალიფაშვილი.

ახმედ ეფენდი ხალვაშის დამსახურება იმდენად დიდია აჭარის მოსახლეობის მიმართ, რომ აუცილებელია უფრო მეტი დაიწეროს მისი მოღვაწეობის შესახებ.

მუჰაჯირობაზე საუბარი გვინდა დავამთავროთ რუსთაველის პრემიის ლაურეატის ფრიდონ ხალვაშის ლექსით „მუჰაჯირები".

შინმოუსვლელი ბევრი ვიტირეთ,
იყო ტაცება, ომი, სხვა ჭირი,
მაგრამ ასწლობით სისხლისდენაა
საქართველოსთვის ეს – მუჰაჯირი.

გზად სტამბოლს გაღმა, ვნახე სოფელი
წისქვილი ხევში ისე გაჩრილი
ვიცან – აჭარა ერთი ნაჭერი
ცრემლით რომ რწყავდა იქ მუჰაჯირი.

ბაღჩაში დედას ბაღნები ახლდნენ,
მათ მივესალმეთ ჩვენ რიგრიგობით,
შესძახეს: – ნენევ, გურჯები, ნენევ!
ე, – ჩვენებურად ლაპარაკობენ.

სოფელი სულ გზად გამოეფინა,
სიმღერით, სევდით და გაჭირვებით,

– გვიამბეთ რამე საქართველოზე, –
გვთხოვდენ პატარა მუჰაჯირები.

პირთ ჩვენი მთების ფერი ეფინათ,
თვალებში – ჩვენი ცა და ღრუბლები,
გზას ვკითხე: გზაო, გამაგებინე,
ერთმანეთს ოდეს დავუბრუნდებით?

ქართველები თურქეთის სახელმწიფოს სამსახურში

თურქთა სამასწლიანმა ბატონობამ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა აჭარის განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას, დაინგრა ყველა სოფელში არსებული ეკლესია-მონასტრები. 1730 წელს დააქციეს ცხმორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ცხმორისის დაბა მდებარეობდა მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე და მოიცავდა დღევანდელი ახოსა და გობრონეთის ბარის უბნებს; ის იყო ქალაქის ტიპის დასახლება და აჭარისწყლის ხეობის ცენტრს წარმოადგენდა. ოსმალებმა ეს დაბაც დაანგრიეს და გაანადგურეს, მოსახლეობა კი გაასახლეს. იძულებით გადასახლებები ოსმალთა გაბატონებიდანვე, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და გაგრძელდა მთელი 3,5 საუკუნის განმავლობაში, 1878 წლის შემდეგ კი უფრო გაფართოვდა მუჰაჯირობის სახით.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში განათლებაც ჩაკვდა და კულტურაც, მაგრამ ქართველთა ნაწილი მაინც ესწრაფოდა ცოდნას, ისინი მიდიოდნენ თურქეთში, სწავლობდნენ და კარიერასაც იქმნიდნენ.

ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი თავის წიგნში „სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში" (ბათუმი, 1956 წელი) ჩამოთვლის ათეულობით ქართველს, რომლებიც ოსმალეთის სასულიერო კარზე იყვნენ აღიარებული და დაწინაურებული, არის სხვა ლიტერატურაც, რომლებიც ასეთ პირებზე მოგვითხრობს.

შ. ლომსაძე წიგნში „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი" (თბ. 1924წ.) წერდა, რომ კასტამონიაში – 8500, იზმითში – 2500, მერსლის ვილაეთში – 50000, იზმირის სანჯაყში 34 სოფელში ცხოვრობდა 201192 აჭარელი. ისინი დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას და ზოგს შენარჩუნებული აქვთ ქართული გვარები, მაგალითად: მინაძე, დარბაიძე, ნავიკაძე, მისლაიძე და ა.შ.

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, ოსმალები ქართველთა გადასახლებას 1580 წლიდან შესდგომიან. მარტო XVII საუკუნის მეორე ნახევარში 1600000 კაცი გაუყვანიათ და ქურთისტანსა და ეგვიპტეში გადაუსახლებიათ. მიზეზი მუსლიმანობაზე უარის თქმა ყოფილა.

გადასახლებულთაგან და მათი შთამომავლობიდან ბევრი ცნობილი პიროვნება გახდა.

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ზოგიერთ მათგანზე.

აჭარელი ბეგი ახმედ ხიმშიაშვილი არზრუმის სერასკერად (სარდლად) დანიშნეს, ის 1836 წელს გარდაიცვალა და ერზრუმში ლალა ფაშას ჯამესთანაა დასაფლავებული, აქვეა აჭარის აბაშიძეების საფლავიც.

დოკუმენტურად ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ცხმორისელი მამა-შვილის ყოჩალი ფაშისა და ხუსეინ ფაშის შესახებ. სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, აჭარის დამსახურებულმა პედაგოგმა დურსუნ ანანიძემ აკადემიკოს სერგი ჯიქიას აჩვენა ცხმორისის სასაფლაოს მარმარილოს ქვის სურათი არაბული წარწერით, სადაც წერია: აქ განისვენებს ყოჩალი ფაშის შვილი ხუსეინ

ხუსეინ ფაშის
საფლავის ქვა

ფაშა. წარწერა დათარიღებულია 1742 წლით. ცხმორისში მათი შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს ბასილაძეების გვარით. ალბათ, თურქეთის არქივებში იქნება საინტერესო მასალები ყოჩალი ფაშისა და მისი შვილის ხუსეინ ფაშის შესახებ.

ერთხელ იგი მეამბოხეთა დასასჯელად გაუწვევია სულთანს. გაუტკბა თურმე ქვეყნის უპირველესის კარზე ყოფნა ყოჩალის და დროგამოშვებით ალთუნს უგზავნიდა მეულლეს.

გონიერი ყოფილა ყოჩალის ცოლი და ქმრისთვის შეუთვლია ლექსად:

„ფაშავ, ნუ მწერ თათრულსაო,
ჩემსას უგდე ქართულსაო,
კაცად კაცი მირჩევნიხარ
ათას ხუთას ალთუნსაო.
შინ ჩამოდი, ასე გიჯობს
სხვის ლაშქარში პანტურსაო,
თორემ ბოლოს სხვა დაუკრავს
შენ დასაკრავ ფანდურსაო,
მერე ადექ და მოჰყევი
თათრის ალი ბანდურსაო".

მიმხვდარა ყოჩალი შეცდომას და მოუკურცხლავს შინისკენ. თუმცა შვილს მაინც გაუგრძელებია სულთნის სამსახური.

ყარსშია დასაფლავებული ცხმორისელი იდრის ეფენდი აბაშიძე (ცხმორისელი შუღეიბ აბაშიძის გადმოცემით).

ნ. ბოსტაშვილი გვაწვდის ცნობას თურქეთში მოღვაწე სამი ნაკლებად ცნობილი აჭარელი თავდგირიძის შესახებ. ესენი იყვნენ: ბაჰრი (ბეხრი) ფაშა, მამუდ ფაშა და ალი ფაშა, რომლებიც, XIX საუკუნის ბოლოს წავიდნენ თურქეთში.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო წარმოშობით ქედელი შუქრი სარაჯოღლი; წიგნში „ამას შენზე ამბობენ აჭარავ," იოსებ ბექირიშვილი წერდა, რომ შუქრი სარაჯოღლი ძენწმანელი ბერიძეაო, თუმცა დასაზუსტებელია, სარაჯოღლები ძენწმანშიც ცხოვრობენ და ორცვაშიც არიან ნაკაშიძეები.

ქედის რაიონის მეძიბნის მკვიდრი ასლან დუმბაძე, შრომისმოყვარე ახალგაზრდა, სოფლის მამასახლისად აირჩიეს, აღაც გახდა. ის ოსმალეთში გადასულა ადრე იმერხევში გადასული მშობლების გადმოსაყვანად, მაგრამ მამა მძიმე ავადმყოფი დახვედრია, მის გამოჯანმრთელებას დალოდებია, შემდეგ კი დარჩენა გადაუწყვეტია და დიდმოხელე გამხდარა, – ქემალ ათათურქის არმიაში ბინბაში, ანუ ათასისთავი ყოფილა. არც ბეგობაზე უთხრეს უარი, მაგრამ მშობლიური მხარის სიყვარულმა აიძულა 1926 წელს აჭარაში დაბრუნებულიყო, უკვე საკმაოდ მოხუცებული. მეძიბნელ დუმბაძეთა შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს სტამბოლის გარეუბანში, გვარად აიდინები არიან.

ცნობილთა შორის შეიძლება დავასახელოთ ქართველი ფაშები, რომელთა კონკრეტული ქართული სოფელი ან მხარე უცნობია, შესაძლებელია ზოგიერთი ქედელიც იყოს. აი ისინიც:

ხურშიდ ფაშა, დიდი – ვეზირი (სულთნის შემდეგ პირველი კაცი), საქართველოდან

მოტაცებული ბიჭი, ქალაქ ალექსანდრიის კომენდანტად დაუნიშნავთ, შემდეგ ეგვიპტის ვალი გამხდარა, ირანთან ომის დროს სულთანს მთავარსარდლად დაუნიშნავს, შემდეგ დიდვეზირის თანამდებობა მიუღია 1814 წელს, მაგრამ 1815 წელს გაურკვეველი მიზეზების გამო მოუხსნიათ და ალეპოში გაუსახლებიათ. ხიმშიაშვილების შესახებ წიგნიდან ვიგებთ, რომ აჭარიდან დაწინაურებული პირები იყვნენ დუმბაძეები: რიზა ფაშა დუმბაძე, რასიმ ფაშა დუმბაძე, ვასილ ფაშა დუმბაძე, რაშიდ ფაშა დუმბაძე, ახმედ ფაშა დუმბაძე. საინტერესო მასალებია წიგნში „ოსმალეთის ქართველები" (სტამბოლი, 2012 წ.).

ოსმან ბაჰრი ეფენდი – (მერისლიზადე) დაიბადა 1874 წელს ბათუმში, ქვემო აჭარის კაზას მმართველი საბჭოს წევრის ჰასან აღას შვილი ყოფილა. ფაცაში დაამთავრა დაწყებითი და საშუალო სკოლა. 1901 წელს სტამბოლში ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად და 1903 წელს თეფვდელენის კაზას პირველი ინსტანციის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა. იცოდა ქართული ენა. (მურად ქასიბი, ოსმალეთის ქართველები. სტამბოლი, 2012 წ. გვ. 33).

აბდულაჰ აგაჰ ბეი (ბეჟანიძე) – დაიბადა 1839 წელს ქედის კაზის სოფელ ზენდიდში, აჭარელი დიდებულის, გადასახადების ამკრეფ თულუმბაზადე ბერჰუდაოღლუ მუსტაფა მევთუ ბეის შვილია. აბდულაჰ ბეიმ ქედის მედრესე დაამთავრა. 1855 წელს ყირიმის ომში ბათუმის არმიის დამხმარე სამხედრო ძალების ბატალიონის მდივანი იყო. მცირე ხანს ქვემო აჭარის კაზის გამგებლის მოადგილის თანამდებობა ეკავა. 1855-1862 წლებში მაჭახლის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე იმყოფებოდა. 1863 წელს ქვემო აჭარის კაზას ხელმძღვანელობდა, 1867 წელს ლაზისტანის სანჯაყის მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს. 1872 წელს ბათუმის და ყარსის გზების კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

იგი 1873 წელს ქვემო აჭარის კაზის ტყეების დაცვის მოხელის, 1874 წელს ისევ გზების კომისიის თავმჯდომარის, 1876-1877 წლებში კი ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე იმყოფებოდა. 1879 წელს მურღულის კაიმაკამის მოადგილედ დაინიშნა. 1855 წელს ყირიმის ომის სამახსოვრო მედლით, 1877 წელს მეჯიდის მეხუთე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და წოდებათა მეოთხე კლასს მიაკუთვნეს. იცოდა ქართული ენა. (იქვე გვ. 380)

სულეიმან სირრი ეფენდი – დაიბადა 1891 წელს ქედაში. თორუნოღლუ შაკირ აღას შვილია. 1911 წელს ოსმალეთში ჩავიდა და მოხალისედ მონაწილეობდა ბალკანეთის ომებში. ომში დაიჭრა და ღაზა გახდა, პირველ მსოფლიო ომშიც მოხალისედ იბრძოდა. თეშქილათი მაჰსუსას პოლკის პირველი ბატალიონის მეორე ასეულის პირველი ათეულის მეთაური იყო. ბათუმსა და მის შემოგარენში ოსმალური მმართველობის აღდგენის შემდეგ ბათუმის პოლიციის მოხელედ დაინიშნა.

ანტანტის სახელმწიფოების მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ ამ მხარის დამცველთა რიგებში იბრძოდა. შემდეგ გაწევრიანდა ჯემალ ბეის, დემირ ალი ასაფ ბეის, ჯემალ ფაშას და ვეჰიფ ფაშას მიერ ჩამოყალიბებულ „ისლამურ ჯამაათში". იგი ახორციელებდა კავშირს ორგანიზაციის სამხედრო და სამოქალაქო ჯგუფებს შორის. გადასცემდა სომხური და ქართული შენაერთების გადაადგილების შესახებ ინფორმაციას. შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობასთან კავშირის დასამყარებლად მიავლინეს. აღნიშნული საქმიანობის გამო „ისლამურმა

ჯამაათმა” იგი დააჯილდოვა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ხელმძღვანელობისაგან მიღებული ბრძანებით სულეიმან სირრი ეფენდის დაევალა აჭარის მმართველი საბჭოს ჩამოყალიბება. იგი ამავე საბჭოს წევრი იყო, მაგრამ 1921 წელს საბჭო ბოლშევიკებმა დაარბიეს, წევრები დააპატიმრეს და ზოგიერთი დახვრიტეს, ზოგიერთი კი ციმბირში გადაასახლეს. სულეიმან ეფენდიმ მოახერხა ართვინში გადასვლა, თუმცა ოჯახის ბათუმში დატოვება მოუხდა. აღმოსავლეთი ფრონტის სარდლობამ მაჭახელას, ბორჩხას, მარადიდის, შავშეთის სასაზღვრო რაიონებში სადაზვერვო საქმიანობის წარმოებისთვის მიავლინა. მაჭახელას სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე პოლიციელად მუშაობისას, ართვინისკენ მიმავალ გზაზე, ქუჩუკ იაილად წოდებულ ადგილზე, რუსების ჩასაფრებაში გაება, მაგრამ მესაზღვრეებმა მისი დახსნა მოახერხეს. შემდეგ ართვინის პოლიციის კორდონის პოლიციელად დაინიშნა. იყო „სამართლიანი ბრძოლის საზოგადოების” წევრი და თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1925 წელს დამოუკიდებლობის მედლით დააჯილდოვეს და ართვინიდან ბურსაში გადაიყვანეს. 1943 წელს პენსიაში გავიდა.

სულეიმან ეფენდი გარდაიცვალა 1968 წელს ბურსაში (იქვე გვ. 420-421).

მიჰრიშაჰი – მოტაცებული გოგონა (გვარ-სახელი უცნობია), სულთან მუსტაფა მესამის (1757-1774 წ.წ.) ცოლი. სავარაუდოდ, 1745 წელს იყო დაბადებული. მიჰრიშაჰს 1760 წელს შეეძინა ქალიშვილი შაჰსულთანი, 1761 წელს კი – სელიმ მესამე – ტახტის მემკვიდრე.

მკვლევართა აზრით, დედოფალი მიჰრიშაჰი მთელს ოსმალეთში სინატიფისა და სათნოების მაგალითად ითვლებოდა. მან თავისი სულიერი სიფაქიზითა და სილამაზით წარუშლელი ზეგავლენა მოახდინა იმ პერიოდის საზოგადოებაზე, გადაიქცა პოეტების შთაგონების წყაროდ; პოეტმა მენიფ ეფენდიმ მას ბეითები უძღვნა; მიჰრიშაჰს პოეტები მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს ადარებდნენ.

მიჰრიშაჰმა ააშენა ბიბლიოთეკები, მედრესეები, საქველმოქმედო სახლები, შადრევნები, მეჩეთები, დაწყებითი სკოლები. მან სიკვდილამდე სტამბოლის ულამაზეს უბანში ეიუბში ააშენა აკლდამა. ის 1805 წლის 16 ოქტომბერს გარდაიცვალა და თავის აშენებულ აკლდამაში მისმა შვილმა, სულთან სელიმ მესამემ (1789-1807), დიდი პატივით დაკრძალა.

დიდი რუსი მხედართმთავარი მიხეილ კუტუზოვი, რომელიც 1793-1799 წლებში სტამბოლში რუსეთის ელჩი იყო, მიჰრიშაჰის შესახებ თავის მეუღლეს წერდა: „წარმოშობით ქართველი დიდებული ქალბატონი... თურმე, წუხდა ქართველი ხალხის ბედზე, ბედკრულ სამშობლოზე. როგორც ჩანს, მას ჰქონდა ცნობები აღა-მაჰმად-ხანის ვერაგული ზრახვების შესახებ და ამ საზარელ თავდასხმამდე ერთი წლით ადრე, 1794 წელს, მიხეილ კუტუზოვს სთხოვა, რომ რუსეთი მიშველებოდა საქართველოს, დაეცვა ირანელების შემოსევებისგან... კუტუზოვი თავის მეუღლისათვის გაგზავნილ წერილში წერდა: „ყოფილი ქართველი მონა, სულთნის დედა, ჩემთან საუბარში არ ივიწყებს სამშობლოს, ხელსაყრელ მომენტში მან ერთხელ მკითხა, როდის იცხოვრებენ თბილისში ქართველები მშვიდობიანად, საშინელი სიზმრის გარეშე? სად არის თქვენი ჯარი? რატომ არ ეხმარებით ქართველებს?... „მიჰრიშაჰი” „მთვარის სახიანს”, მთვარესავით ლამაზს ნიშნავს, იგი ძალიან ჭკვიანია, განათლებული ქველმოქმედია, საუკეთესო აღზრდა-განათლება მიუღია სულთნის სასახლეში და ფლობს რამდენიმე ენას, მათ შორის რუსულსაც.” მიხეილ კუტუზოვის დაკვირვებით, იგი გავლენას ახდენდა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკაზე.

„მართლაც, ფრანგების წინააღმდეგ ამხედრებული ხუსეინ ფაშის თავგანწირული ბრძოლა შთაგონებული იყო სამშობლოს სიყვარულით, რასაც ბავშვობიდანვე უნ-

ერგავდა დიდებული მიჰრიშაჰ დედოფალი, მთვარესავით ლამაზი ქართველი მანდილოსანი. სულთნის სასახლეში მოღვაწე განათლებულმა მანდილოსანმა, ჩანს, კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, ერკვეოდა მსოფლიო პოლიტიკაში... კარგად იცოდა აგრეთვე საფრანგეთი, საფრანგეთის ინტერესების სფერო, რომლის შესახებაც, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ი. მეუნარგია: „ჯერ კიდევ პეტრე დიდის კონსულმა სტამბულში, მარკიზ დე-ბონაკმა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოს დანაწილების გეგმა შეიმუშავა და ამაზედ ორივე მხარე დაიყოლია. შემდეგ ჩვენი ქვეყნის ამაოხრებელ აღა-მაჰმად-ხანს ჯერ კიდევ საქართველოში გალაშქრებამდე, საფრანგეთიდან მრავალი ელჩი ესტუმრა, რომელიც შაჰს ფეშქაშად საქართველოს სთავაზობდნენ! დაბოლოს, როდესაც ამ ბარბაროსის ლაშქრობის დროს დანთხეული მრავალი ათასეულ ქართველთა კეთილშობილური სისხლი ჯერ კიდევ მიწას სანახევროდ შეწოვილიც არ ჰქონდა, ნაპოლეონი კონსტანტინეპოლში გაწესებულ საფრანგეთის ელჩის მრჩეველს დე-რუფერინის საშუალებით, სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველოზე ამხედრებდა და ერეკლე მეორის საწინააღმდეგოდ მათ ლაშქარში ფრანგი ოფიცრებიც კი იგზავნებოდნენ, ეს ნაბიჯი გადადგმული იყო მძლავრი რუსეთის წინააღმდეგ" (ვახტანგ მაკარაძე გამონათლევი. I, გამომცემლობა ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014 წ. გვ. 469).

ქუჩუქ ჰუსეინ ფაშა. – წარმოშობით ქართველი იყო, მუჰაჯირთა გადმოცემით ბათუმის ოლქიდან. ჰუსეინ ფაშას ქართული გვარი და სახელი უცნობია, „ვიცით მხოლოდ, რომ ის ქართველი იყო და დაიბადა 1750 წელს საქართველოში, ბათუმის ოლქში. მაშინ ოსმალეთის მიერ დასავლეთ საქართველოზე გაწერილი ბეგარის ძალით, ის კონსტანტინეპოლში მონად იქნა გაგზავნილი. წერს ემიგრანტი პუბლიცისტი ი. მეუნარგია წერილში „ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა". ჰუსეინს პატარა ტანის გამო შეარქვეს „ქუჩუკი" (გამონათლევი, გამომცემლობა ბათუმის რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი. 2014 წ. გვ 467-470).

იბრაიმ ფაშას სულთნის სასახლეში მიუყვანია და პატარა მოტაცებული მონა სულთან მუსტაფა მესამისათვის (1757-1774) უჩუქებია, სულთნის მეუღლეს ქართველ ქალს „მიჰრიშაჰს" მოსწონებია პატარა ქართველი და თავის შვილთან ტახტის მემკვიდრე სელიმთან ერთად ზრდიდა. იგი „სულთან სელიმ მესამის ძუძუმტე გახდა და მასთან ერთად გაიზარდა. სულთნის დედის გაზრდილს „ძიძიშვილსაც" ეძახდნენო", – წერდა ისტორიკოსი მურათ ქასიბი. (ქასიბი, 2012-69).

ქუჩუკუ-ჰუსეინ ფაშამ თავი გამოიჩინა ეგვიპტეში შეჭრილი ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ ბრძოლებში, მან ფრანგები ეგვიპტიდან განდევნა და ქვეყანა ოსმალეთს დაუბრუნა, შემდეგ კი მთავარ მმართველად დანიშნა თავისი ყოფილი მონა, ტომით ქართველი, შემდეგ ხოსრო ფაშად წოდებული პიროვნება. ი. მეუნარგია წერს: „ეს გახლდათ პირველი მარცხი, რომელიც განიცადა საფრანგეთის მომავალმა იმპერატორმა".

მიჰრიშაჰ დედოფლის მიერ აღზრდილმა სარდალმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ოსმალეთის იმპერიაში. იგი ხალხის საყვარელ გმირად იქცა, დედობილის დარიგება სიკვდილამდე ახსოვდა – „შვილო, ეცადე ხალხსა და ღმერთს შეაყვარე თავიო". მართლაც, მონადყოფილი სარდალი კეთილშობილი პიროვნება დარჩა ბოლომდე. მისი ბიოგრაფიული წყაროები მოგვითხრობს, რომ ყველა თავისი ყმა გაათავისუფლა და მთელი ქონება ღარიბ ხალხს მოახმარა. მან ოსმალეთის საზღვაო ძალები მსოფლიოში დაწინაურებული სახელმწიფოების სიმაღლეზე აიყვანა. მისი ბრძა-

ნებით იმხანად ოსმალეთში ქრისტიანობის დევნა, აწიოკება, შევიწროება აიკრძალა.

ქუჩუკ-ჰუსეინ-ფაშა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 53 წლისა, გარდაიცვალა 1803 წლის 8 იანვარს. ის დიდი პატივით დაკრძალეს დედობილის – მიჰრიშაჰის მიერ აშენებულ აკლდამის ბაღში, აკლდამაში კი დედობილი განისვენებს.

ქუჩუკ ჰუსეინ ფაშის შესახებ შეიქმნა ლექს-სიმღერები. ცნობილი ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსი:

„ვინ დაგარქვა ქუჩუკი, ჩვენო ჰუსეინ ფაშავ,
შენი დიდი კაცობის ბურსას ითქვა ვაშა.
მიჰრიშაჰის გაზრდილო, ჭკვას ურიგებ კაცებს,
ნაპოლეონს მისირიდან ახლაც ხომ არ აძებ?!
დიდო კაცო, ქუჩუკო, შენ დააკლდი ვათანს!
ოსმალეთი შენ კაცობას დავიწყებას ატანს...
დედაშენის ცრემლები ეხლაც წვიმად მოდის;
სამშობლოში, ნეტავი, დაბრუნდები როდის?!

(ვახტანგ მაკარაძე „გამონათლევი", ბათუმი, 2014 წ. გვ. 469, 471)

1988 წელს ქედის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში" (№153, 22 დეკემბერი) გამოქვეყნებულია მცირე წერილი სათაურით „ოსმან ფაშა თავდგირიძე", რომელშიც სოფელ მახუნცეთში მცხოვრებ მევლუდ ოსმანის ძე თავდგირიძის ოჯახში არაბულ ენაზე 1913 წელს დაწერილ წიგნს „საკითხავი ისტორია" მიმოიხილავს ისტორიკოსი და მკვლევარი ნოდარ გათენაძე. წიგნში აღწერილია სახელოვანი თანამემამულის საბრძოლო მოღვაწეობა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ბულგარეთის კამპანიიდან.

თავდგირიძები, ფრიდონ სიხარულიძის გამოკვლევით, წერილობით წყაროებში XIV საუკუნიდან იხსენიებიან. მათი თავდაპირველი სამკვიდრებელი იყო სამცხე-საათაბაგო, კერძოდ, კი მდინარე ჭოროხის ქვემო წელში, მურღულ-ნიგალაში. როცა ოსმალებმა XVI საუკუნეში დაიპყრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, თავდგირიძეები გადასახლდნენ საქართველოს შიდა რაიონებში. ასე აღმოჩნდნენ ისინი ქართლში, იმერეთში, გურიაში. გურიელმა ისინი ჩაასახლა ქობულეთში, ჩაქვში და მამულები უბოძა. ისინი ბოქაულები იყვნენ გურიელთან. XVIII საუკუნეში თავდგირიძეები სოფელ აკეთში დასახლდნენ მამუკა თავდგირიძის მეთაურობით. შვილი მაქსიმე კი დარჩა ქობულეთში და ეყმო დამპყრობელს, გამაჰმადიანდა, რისთვისაც სულთანმა მას სანჯაყ-ბეგობა უბოძა. სწორედ ამ თავდგირიძის ერთი შტო XVIII საუკუნის დამდეგიდან დაწინაურდა ქვემო აჭარაში, უმთავრესად ქედაში ცხოვრობდნენ. ქედის თავდგირიძეებიც ბეგებად იწოდებოდნენ.

მაჰმუდ ფაშა ჩურუქსუ – (ქობულეთი), თავდგირიძე – იგი 1864 წელს ქობულეთში დაიბადა, საქართველოს ერთ ერთი ძველი გვარის წარმომადგენელია, ჰუსეინ ბეის შვილია. დაწყებითი განათლება ქობულეთში მიიღო. 1874 წელს სტამბოლში ჩავიდა და ჩაირიცხა ქულელის საშუალო სამხედრო სასწავლებელში, 1887 წელს კი სამეფო სახმელეთო-საინჟინრო სასწავლებელი დაამთავრა უფროსი ლეიტენანტის წოდებით.

1888 წელს სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, შტაბს კაპიტნის წოდება მიანიჭეს და გაანაწილეს ოსმალეთის გენერალურ შტაბში. მონაწილეობდა კრეტის ამბოხების ჩახშობაში. 1891 წელს მაიორის წოდება მიიღო.

ჯერ ჰალების სარეზერვო დივიზიის შტაბის უფროსი, შემდეგ კი დამასკოში დისლოცირებული მეხუთე არმიის შტაბის ხელმძღვანელი იყო. 1896 წელს დრუზების აჯანყების ჩახშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ის სტამბოლში გენერალურ შტაბში დაბრუნდა. 1897 წელს მონაწილეობდა საბერძნეთის ომში. შემდეგ ალასონიის მეხუთე დივიზიის სარდლად, შემდეგ თესალიის რკინიგზის კომისარად დანიშნეს. 1899 წელს პოლკოვნიკის წოდება მიიღო. 1901 წელს უსაფუძვლო ბრალდებით ნათესავებთან ერთად ჰალებში გადაასახლეს. კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ გენერალური შტაბის პირველი განყოფილების დირექტორად დანიშნეს და ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭეს, ცოტა ხნის შემდეგ გენერალური შტაბის მეორე უფროსია. ის ბალკანეთის ომის დროს მეჩვიდმეტე კორპუსს ხელმძღვანელობდა. შემდეგ მესამე კორპუსის სარდალი იყო. 1913 წლის 24 იანვრიდან 1914 წლის 9 მარტამდე საზღვაო მინისტრი იყო, შემდეგ დივიზიის გენერლის წოდება მიანიჭეს. 1914 წლის 14 მარტს სენატის წევრი გახდა. მაჰმუდ ფაშა 1931 წლის 31 ივლისს გარდაიცვალა (მურად ქასიბი, ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი 2012 წ. გვ. 100).

სარაჯოღლები. – ქედის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის (1971-1974) ქალბატონ ციცინო ნაკაშიძისა და მისი ძმის, ბათუმის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმის ბ.ნ რეზო ნაკაშიძის გადმოცემით, „1829 წლის აგვისტოში გურიის უკანასკნელი დედოფალი, მამია გურიელის მეუღლე სოფიო რუსეთის მთავრობის მოხელეებმა შეავიწროეს, როგორც სხვა დიდგვაროვნები. დედოფალი სოფიო იძულებული გახდა საცხოვრებლად ტრაპიზონში გადასულიყო. მას გურიიდან გაჰყოლია თავად გიორგი ნაკაშიძის ოჯახი, თავადის მეუღლე სოფიო იმავე წლის სექტემბერში გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ ტრაპიზონთან პლატანაში, მიხეილ ანგელოზის ეკლესიის გალავანში.

გიორგი ნაკაშიძის ოჯახს ამ დროისათვის ხოფაში შეძენილი ჰქონდა დიდი მამული და ბაღი, რომელიც შემდგომში გიორგი ნაკაშიძის შვილმა მემედმა დაუტოვა ძენწმანიდან თურქეთში საცხოვრებლად გადასულ მეჰმედ სარაჯოღლის, მემედი იმ დროს იმყოფებოდა ტრაპიზონში და თვითონ 1878 წელს დასახლდა ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში ნაკაშიძის (სარაჯოღლის) გვარით და დაინიშნა ქედის მუფტად. მემედს დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის თეოლოგიის ინსტიტუტი და ფლობდა რამდენიმე ენაც.

1905 წლის თებერვალში ცნობილი ქედის აჯანყების დროს, დააპატიმრეს აჯანყების 38 მონაწილე, თუფან ბეგ შერვაშიძის რჩევით მემედ სარაჯოღლი ჩავიდა ბათუმში და მემედ ბეგ აბაშიძე მიიყოლია გუბერნატორთან. მათი თხოვნით აჯანყების მონაწილეები მალე გამოუშვეს ციხიდან, მემედ სარაჯოღლი ნაკაშიძე 1932 წელს დააპატიმრეს და ორი წელი იჯდა მეტეხის ციხეში, ის 1941 წელს გარდაიცვალა.

ორცვაში და ძენწმანში ცხოვრობენ ნაკაშიძეები. მათი უმეტესობა თურქთა ბატონობის დროს იწერებოდა სარაჯოღლის, ასევე სარაჯოღლები არიან ძენწმანში ბერიძეები. იმასაც ამბობენ, რომ ნაკაშიძეები თავადური გვარის დაწერას მოერიდნენ, რადგან კომუნისტები თავადებს ავიწროებდნენ და ნაწილმა ნაკაშიძემ დაიწერა ბერიძე.

ძენწმანში მცხოვრები ხოსრო ბეგ სურმანიძე (1898-1978) ამბობდა, რომ სარაჯოღლები არიან ნაკაშიძეები.

შუქრი სარაჯოღლი – ქედის რაიონის სოფელ ძენწმანიდან 1878 წელს თურქეთში მუჰაჯირად წავიდა მეჰმედ თევფიყ სარაჯოღლის ოჯახი. ისინი დასახლდნენ იზმირის ვილაეთის ოდერმისის რაიონში.

მეჰმედ თევფიყს 1887 წელს ვაჟიშვილი შუქრი შეეძინა. შუქრი სარაჯოღლიმ 1918 წელს დაამთავრა ჟენევის პოლიტიკური აკადემია, ის 1921 წელს დაინიშნა ოდერმისის მერად.

შუქრი სარაჯოღლი 1923 წელს იზმირიდან არჩეულ იქნა თურქეთის პარლამენტის წევრად. 1923-1926 წლებში იყო თურქეთის განათლების მინისტრი, 1927 წლის 1 ნოემბრიდან 1930 წლის 30 დეკემბრამდე მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად. 1935 წლის 1 მარტიდან 1938 წლის 11 ნოემბრამდე იყო თურქეთის იუსტიციის მინისტრი, 1938 წლის 11 ნოემბრიდან 1942 წლის 9 ივლისამდე მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად. შუქრი სარაჯოღლი 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა მოსკოვში და შეხვედრებს მართავდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან.

1942 წლის 9 ივლისიდან 1946 წლის 7 აგვისტომდე არჩეული იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრად, ხოლო 1948 წლის 1 ნოემბრიდან 1950 წლის 22 მაისამდე არჩეული იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) თავმჯდომარედ, რესპუბლიკური სახალხო პარტიიდან.

1934-1950 წლებში იყო საფეხბურთო კლუბის „ფენერბახჩეს" პრეზიდენტი, ამ გუნდის ფეხბურთის სტადიონი ატარებს შუქრი სარაჯოღლის სახელს. შუქრი სარაჯოღლი 1953 წელს 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. სტამბოლში.

რაფაედდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე) რაფაედდინ შაჰინი დაიბადა 1939 წელს სამსუნის რაიონის თერმეში. დაამთავრა ქ. ანკარის ეკონომიკური და სავაჭრო აკადემია, მუშაობდა თურქეთის განათლებისა და სპორტის სამინისტროებში სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო მოყვარული სპორტსმენი. განსაკუთრებით აინტერესებდა ათლეტიზმი, ფეხბურთი, წყალბურთი და ცურვა. 1971 წელს იყო ხმელთაშუა ზღვის სპორტული ასპარეზობების კოორდინატორი და ფინანსური დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო დიდი თურქეთის პარტიის, სწორი გზის პარტიისა და დემოკრატიული თურქეთის პარტიის წევრი, ასევე მე-19 და მე-20 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ქალაქ ორდუდან, მუშაობდა სოფლის მეურნეობის მინისტრად და სახელმწიფო მინისტრად.

რაფაედინ შაჰინი სოფელ ვაიოში: მარცხნიდან შუქრი ლორთქიფანიძე, თენგიზ ბოლქვაძე, რაფაედინ შაჰინი, შუქრი ჭადალიძე და თამაზ ლორთქიფანიძე

რაფაედინ შაჰინი მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 2013 წლის 16 მარტს გარდაიცვალა ქალაქ სტამბოლში.

ის ვაიოელი ლორთქიფანიძეების შთამომავალი იყო და რამდენჯერმე სტუმრობდა ვაიოს.

***

ასეთია ოსმალეთსა და თურქეთში დაწინაურებული ქართველების შესახებ მოკლე მიმოხილვა, რომლის გავრცობა უფრო შეიძლება მომავალში ალბათ, სხვა ახალი სახელების შესახებაც შევიტყობთ.

ზოგმა მკითხველმა ტკივილითაც წაიკითხა, ალბათ, მათი მონაწილეობის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში. რა ვუყოთ, ესეც ბედია, ქვეყნის უბედობიდან გამომდინარე, ისიც ხომ ნახეთ, რომ ბევრ მათგანს არასოდეს დავიწყებია თავისი ქართველობა.

„ოსმალეთში ბევრი ქართველი ჩამოყალიბდა პოლიტიკურ მოღვაწედ, სამოქალაქო და სამხედრო მოხელედ, ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანას, ქართველებისათვის უმაღლესი ისლამური განათლების მიღების ცენტრი სტამბოლი იყო; იმ ეპოქის ისლამური ფილოსოფიისა და ყურანთმცოდნეობის ცენტრად აღიარებული ფათიჰის მეჩეთის მედრესეში და სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იმპერიის სხვადასხვა მხარეში ქართული დინასტიებიც კი ჩამოყალიბდა. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ბაღდადსა და ეგვიპტეში არსებობდა ჰასან ფაშასა და აჰმედ ფაშას მიერ დაარსებული ქართველ მუსლიმანთა დინასტიები.

ოსმალეთის გარდა სხვა ისლამურ ქვეყნებშიც მოღვაწეობდნენ ისტორიაში ცნობილი ქართველები. მათ შორის არიან მე-12 საუკუნეში სელჩუკთა ერთი სარდალი ზაჰირუდდინ შირი; ინდოეთში ბიჯაპურის ადილ შაჰთა სახელმწიფოს ვეზირი იუსუფი; მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ირანში, ფარსის ოლქის გამგებელი და ირანის არმიის მთავარსარდალი ალავერდი ხან უნდილაძე (მურად ქასიბი, ოსმალეთის ქართველები, 2012 წ. გვ. 28.)

სოფლის მეურნეობა 1878-1921 წლებში

მკითხველს უდაოდ დააინტერესებს, რა სახე მიიღო სოფლის მეურნეობამ ქედაში თურქთაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ.

თავიდანვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა.

XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში ითესებოდა პურეულის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: ნიქსარული, წითელი და თეთრი პური, ზვინა, შავშურა, ტრედიფეხა, წითელი და თეთრი შავფეხა, ჭვავი და ბრინჯი.

აჭარაში ფართოდ გავრცელებული იყო ახოობა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ახოობა მარტო სახნავ-სათესი მიწების ათვისება არ იყო, სათიბ-საძოვრებისა და მეფუტკრეობისათვის გამოსადეგი ფართობების ათვისებასაც გულისხმობდა, მაგრამ ძირითადად მემინდვრეობისათვის ფართობების ათვისებას ემსახურებოდა. მოსახლეობა ერთად კაფავდა და ერთად ამუშავებდა მიწის ნაკვეთს და მოსავალსაც თანაბრად იყოფდნენ. აქედან შემორჩა ცალკეული ნაკვეთების სახელები: ორზიარი, სამზიარი, ოთხზიარი. ასეთები თითქმის ყველა სოფელშია, ტოპონიმებად ქცეული.

აჭარის ბარისა და მთის ზონაში სხვადასხვა ჯიშის სიმინდი მოჰყავდათ (შვიდკვირა, წვიტა, გოდორა, ბროლა, წითელი ალთუნა, თეთრი ალთუნა, ქორიბუდა, ალაზანა, გობრონეთ-ულა, წონიარისულა და სხვა.), რომლებიც ბარის ზონაში ორ და მეტ ტაროს იკეთებდა.

თედო სახოკია აჭარაში ლობიოს ცხრა ჯიშს ასახელებს, დღეისათვის ითესება ოცზე მეტი სახეობა.

აჭარაში კარტოფილი და პომიდორი XIX საუკუნის ბოლოს შემოსულა. ტრადიციულ კულტურებად კი ითვლება: სიმინდი, ლობიო, მხალი, სოიო, ჭარხალი, კვახი, კიტრი და სხვა.

მიწის დამუშავებისას ზემო და ქვემო აჭარაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტერასების მოწყობას, რაც ეროზიისაგან იცავდა ნაკვეთებს და მოსავლიანობის გაზრდას უწყობ-და ხელს. ტერასები ეწყობოდა მშრალად, ქვის წყობით, ძელით, ხის ბორკილით. ზოგ ადგილებში ფერდობების დამუშავებისას მიწის გარკვეულ მონაკვეთს, ზოლს ასე ამუშავებდნენ, რაც ტერასას წარმოადგენდა.

ქვემო აჭარაში მიწის დამუშავება ძირითადად ხდებოდა თოხით და ჯილღით. ჯილ-ღა უძველესი სახვნელი იარაღია. ძირითადად მარტივ ჯილღას იყენებდნენ, რასაც ადგილობრივ სამჭედლოებში გაკეთებული სახნისი ჰქონდა.

თურქთა ბატონობამდე აჭარაში ფართოდ ყოფილა განვითარებული მევენახეობა. ამ საკითხზე უკვე გვქონდა საუბარი და აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

თ. სახოკიას 1897 წელს აჭარაში 17 სახელწოდების მაღლარი ჯიშის ვაზი აღუ-რიცხავს, ხოლო ივანე ჯავახიშვილი ამავე პერიოდისათვის 35-ზე მეტ ჯიშს ასახელებს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში გამოვლენილია ადგილობრივი და შემოტ-ანილი 70 ჯიშის ვაზი.

ჭურ-ქვევრების გარეშე წარმოუდგენელი იყო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება. ჭურებში ჩარჩენილი ღვინოები ჩამშრალი ინახა სოფელ ცხმორისში შოთა ანანიძის სახლთან, პეტრე აბაშიძის ნაკვეთში, სოფლის გარეთ ნაწისქვილარის ტერიტორიაზე, ხოლო მამულაძეების მამულში ინახა ერთტონიანი რამდენიმე ქვევრი, რომლებიც სპეციალისტთა დასკვნით, VI-VII ს.ს. მიეკუთვნება.

მევენახეობა-მეღვინეობამ თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიკაშიც. ისეთი ტოპონ-იმები, როგორიცაა ვენახი, ნავენახარი, მარანი, ნაჭურვალი, ჭურიპირი, ბერთვენახი, ძერვენახი, ჯინიში, მათენაური, ჩხები, კოლოშნარი და სხვა, სწორედ მევენახეობის უძველეს ჯიშებზე მიანიშნებს.

XVI საუკუნეში ოსმალებმა მევენახეობაზე 50000 ახჩაზე მეტი გადასახადი გაწ-ერეს ზემო და ქვემო აჭარაში. ისინი კრძალავდნენ ღვინის დაყენებას. მოსახლეობამ სოფელგარეთ დაიწყო ღვინის დაყენება, რასაც ადასტურებს უამრავი ჭურის და საწნახელის არსებობა. ოსმალები ვენახს მასიურად ჩეხდნენ და არ აძლევდნენ მოსახ-ლეობას მისი განვითარების საშუალებას. ამის გამო დარგი თანდათან გადაგვარდა, შემორჩა ძირითადად სუფრის ჯიშის ყურძნები.

მეღვინეობის აღდგენა ქედაში XIX საუკუნის 90-იან წლებში იღებს სათავეს. თ. სახოკი-ას ცნობით, პირველად ღვინო დაუყენებია ქედის მაზრის თანამშრომელ იოსელიანს.

აჭარაში მევენახეობის დარგი განვითარებას იწყებს 1934 წლიდან, როცა ქედის რაიონში მიშა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით ეწყობა ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, შემოაქვთ დაბლარი: ცოლიკაური, ციცქა, საფერავი და სხვა. ამ სანერგიდან ვენახის ნერგით მარაგდებოდა შუახევისა და ხულოს რაიონის მეურნეობები. მანამდე კი 20-იანი წლების შუახანებში, ცოლიკაურის ჯიშის ვენახი გააშენა ვაიოელმა შუქრი ჩიკვაიძ|ემ. 1929 წლის ყურძნის მოსავლით ახალ წელს ახალი ღვინოც დაუჭაშნიკები-ათ. აჭარაში მევენახეობის დარგის აღორძინება სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს.

თედო სახოკიას აღწერით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საშუალო ოჯახი ინახავდა 5-10 სულ მეწველ საქონელსა და მოზარდს, ერთ ან ორ უღელ ხარს, 3-5

ცხვარს, ცხენს, საკლავი ხარის ფასი იყო 20-25 მანეთი, საკლავი ძროხის 15-20 მანეთი, მეწველი საქონლისა 25-30 მანეთი.

მესაქონლეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელსაყრელ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებს. გზები ძირითადად დაუსახლებელ ადგილებში, მთებსა და ტყეებში გადიოდა, რასაც ახლდა ძარცვა და ყაჩაღობა. რაც შეეხება ქედაში არსებულ გზებს, აქ მოწყობილი იყო ღამის გასათევი ხანები, საქონლისა და ადამიანებისათვის. გადმოცემით, ხანები არსებულა დანდალოში, კოკოტაურში, ცხმორისში, ვარჯანისში, დოლოგანში ისინი კერძო პირების საკუთრება ყოფილა.

ქედის რაიონში ოდითგანვე კარგად ყოფილა განვითარებული მეფუტკრეობა. აჭარელი მეფუტკრე ერთი სკიდან ღალიან წელიწადს 30 ოყა თაფლს იღებდა. საფუტკრე მაღალ ხეებზე ჰქონდათ, უმეტესად წიფლის ხეებზე, რადგან ქერქის სიმაგრის გამო დათვი იშვიათად ადიოდა. თაფლისგან ამზადებდნენ სხვადასხვა კერძებს: თაფლის ფაფას, ნამცხვრებს, ხალვას, ბაქლავას, კეთდებოდა თაფლიანი მჭადი, შარბათი. თაფლს ამასათან ერთად დიდი სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა.

კარგი შრომის იარაღები მზადდებოდა სამჭედლოებში. რამდენიმე სამჭედლო მოქმედებდა ცხმორისში, საღორეთში, ქედაში, დანდალოში და სხვა სოფლებში. სამჭედლოებში მზადდებოდა ნაჯახები, წალდები, თოხები, სახნისები, ნამგლები, ცელები, ხელეჩოები, ხერხები, ბურღები, საჭრელ-საკვეთლები, დანები, ნალები, უნაგირები, ცეცხლსასროლი იარაღები.

განთქმული მჭედლები იყვნენ სოფელ ცხმორისში მიქელაძეები, გულაბერიძეები, გოგიტიძეები, ანანიძეები, სოფელ ახოში დიასამიძეები, სოფელ საღორეთში სამნიძეები. მათ მიერ დამზადებული საბრძოლო იარაღები ხშირად ტრაპიზონსა და სტამბოლშიც გაჰქონდათ.

ქედა მოგზაურთა თვალით
ჟან - შარდენი

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი საქართველოში იმყოფებოდა 1672 წელს. მისი ცნობებით აჭარაში უხვად იყო თაფლი, ხორბალი, ღომი, ღვინო, ხილი, ღორი და მსხვილფეხა საქონელი. „წყლები ყველგან შესანიშნავია, ბევრი სოფელია გაშენებული, შესანიშნავი მეჩვენება ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო, რომელიც იაფი ღირს. სასმელს ისე ინახავენ, როგორც სამეგრელოში. ხშირად ყურძენს არ კრეფენ და ვაზზე ტოვებენ. ცხოვრობენ ხის ქოხებში, თითოეულ ოჯახს 4--5 ქოხი აქვს. დიდი რაოდენობით ჰყავთ პირუტყვი." – წერდა მოგზაური.

ცომი ცხვება მრგვალი ქვის კეცში, ზოგ ადგილას პირდაპირ ღადარში და მეტად გემრიელია. ჩვენ უხვად გვაძლევდნენ: ქათმებს, კვერცხს, ბოსტნეულსა და პურს. მოსახლეობას თავის წილად მოჰქონდათ დიდი დოქით ღვინო, კათხა ხილი და კალათით პური. ფულს არ იღებდნენ. არც იმის საშუალებას მაძლევდნენ, რომ მადლობა საჩუქრით გადამეხადა. – გვიყვება შარდენი.

„საჭმელს ხარბად შევექცეოდი, რადგან სამეგრელოში გამოვიფიტე, იქ სამი თვის განმავლობაში არ მქონდა საჭმელი, ვძრწოდი უბედურებათა მოლოდინში. მივაღწიე ისეთ ქვეყანას, სადაც სიმშვიდე და უხვი საჭმელი მქონდა. დავტოვე ქვეყანა, სადაც ფულზედაც არ მაძლევდნენ საჭმელს და ჩამოვედი ისეთ კუთხეში, სადაც უსასყიდლოდ მასაზრდოებენ. ამ მთების მცხოვრებნი უმეტესწილად ქართული წესჩვეულებების ქრისტიანები არიან. (მადლობა წინაპრებს ასეთი გულუხვობისათვის. – შ.ა.)

კანის ფერი კარგი აქვთ, მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზი სახის ქალი ვნახე. ისინი ბევრად უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე მეგრელები და კავკასიის სხვა ხალხები,

რომლებიც ოსმალთა ხელქვეით არ იმყოფებიან.”

ის, რომ შარდენმა შემდეგ ქებით შემოსა ქართველი ხალხი, პირველ რიგში ეს აჭარელთა კეთილშობილურმა თვისებებმა და კაცთმოყვარეობამ, მისადმი სამაგალითო დამოკიდებულებამ განაპირობა (ჟ. შარდენი, მოგზაურობა.... თბ, 1975 გვ. 270-271; ი. ბექირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალით, ბათ. 1975, გვ. 120).

არ შეიძლება არ შევნიშნო ისიც, რომ შარდენის მოგზაურობის დროს ჯერ კიდევ ქრისტიანები ყოფილან ქედელები და მეღვინეობასაც მისდევდნენ.

ჯიფორდ პალგრევი

ინგლისელი დიპლომატი და მოგზაური ჯიფორდ პალგრევი 1867-1872 წლებში მოგზაურობდა. ის ქედაზე წერს, რომ მცხოვრებლები მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათით გამოირჩევიან, ადვილად დასამორჩილებელი არ არიან. აჭარის მცხოვრებლები – ქართველები გამოირჩევიან არაჩვეულებრივი სილამაზით... ზოგჯერ აშკარად ჯანყდებიან ოსმალების წინააღმდეგ. ოსმალებისადმი ერთგულება ძალდატანებითია, ამასთან იგი ამ ბოლო დროს ძალზე შეირყა, რელიგიის მხრივ ისინი უფრო თავისუფლები არიან ფანატიზმისაგან, ვიდრე სხვა ხალხები. მათი ფანატიზმი თავმოხვეულია და მისი არსისა არაფერი გაეგებათ. აჭარლების წინამძღოლები რუსეთთან მეგობრობის ორიენტაციას ადგანან.

ევგენი ვეიდენბაუმი

კავკასიის მცოდნე ევგენი ვეიდენბაუმი, 1878 წელს წერდა, რომ ოსმალების მიერ მიტაცებული მხარეებიდან მხოლოდ აჭარაში ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზე... ისე არ უნდა მოგვივიდეს, როგორც ახალციხის მხარის შემოერთებისას. მაშინ მოსახლეობას უდიერად მოვექეცით, რითაც დავავიწყეთ მშობლიური ენა, ხელი ავაღებინეთ ქართველობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ აჭარლები ქართველები არიან. ზოგიერთები კი უცოდინრობის გამო ცდებიან (ი. ბექირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალით, გვ. 40-41).

დიმიტრი ბაქრაძე

გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ 1874 წელს იმოგზაურა აჭარაში და აღწერს, რომ აჭარული სოფლები ორივე ფერდობზეა შეფენილი და ხელისგულივით ჩანს სიმინდის და აქა-იქ ღომის ყანები. სახლები ან გაბნეულია, ან შექუჩული. ჩვენ გავიარეთ სოფლები: კაპნისთავი, ჭალახმელა, ბაბუჩოღლები, მახუნცეთი,... საღორეთი ყველაზე მკაცრ ადგილად მიაჩნიათ აჭარაში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ღრმა ძაბრისებრი ტაფობი, ყველა მხრიდან მაღალი მთებით გარშემორტყმული. მარცხნივ სოფლის უკან კლდეზე მოჩანს ციხის ნანგრევები, ამ ციხეს ცივასულას ეტყვიან. მთელი ტაფობი შემოსილია მდიდარი მცენარეულობით, ჰავა კარგია, ზამთარი არც ისე ცივიაო, ამბობენ, მაგრამ თოვლი დიდი იცის და 3-4 თვეს წყდება მიმოსვლა. სოფელი, სადაც ასი კომლია, ფერდობის ირგვლივაა შეფენილი. მისი მცხოვრებნი, საერთო აზრით, დიდი თავზეხელაღებული ხალხია. საღორეთელი არაფრად აგდებს უბრალო რამისთვის კა-



ცის დაჭრას. სისხლის აღების ჩვეულება აქ ძალზე ფეხმოკიდებულია. ქვემო აჭარის მცხოვრებნი საერთოდ ყველა იარაღასხმული მგზავრობს, მაგრამ საღორეთელი შინიდანაც არ გამოვა თუ ზედ არ ასხია თოფი, ფიშტო და იატაგანი. ამ მხრივ უფროსებს ბაძავენ ბიჭებიც, 10 წლიდან მოკიდებული. ისინი თავს იწონებენ პატარა თოფებითა და იატაგანებით, რომელსაც აქვე აკეთებენ. ხშირად ვარჯიშობენ სროლაში და ამიტომ კარგადაც ისვრიან. ერთი 12 წლის ბიჭი დიდი რიხით მარწმუნებდა, გაფრენილ ჩიტს არ ავაცდენო." – ვკითხულობთ მოგზაურის ჩანაწერებში.

დიმიტრი ბაქრაძემ ღამე საღორეთში ვინმე მუთაოღლისთან გაათია, სადაც გულთბილად მიიღეს. ხეებზე გაშვებული იყო ვაზი, ეზოს გარეთ სიმინდი ეთესა, სახლი წაბლის ხის იყო, ქვედა სართული ბოსელი, ზედა – საცხოვრებელი. იგი იყოფოდა საქალებოდ და სასტუმროდ... ფანჯრებს,კარებსა და თვით ბუხარზე ლამაზი ჩუქურთმები იყო ამოკვეთილი. საერთოდ ასე აწყობენ საუკეთესო სახლებს მთელს აჭარაში. ყველა სახლს აქვს სასტუმრო ოთახი. სტუმართმოყვარეობა აქ წმინდა საქმედ ითვლება, რა ეროვნებისა და რჯულისაც უნდა იყოს სტუმარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და როდესაც უნდა მივიდეს, დღისით თუ ღამით, უფლება აქვს პირველსავე შემხვედრ სახლში გაჩერდეს. ოჯახის უფროსიც რომ არ იყოს სახლში, თუნდაც სახლში მარტო ქალები იყვნენ, ვალდებული არიან, მიიღონ, გაუმასპინძლდენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ,რომელსაც საგანგებოდ ინახავენ ასეთი შემთხვევისათვის... სუფრაზე ოჯახის პატრონი, ან ვინმე უფროსთაგანი გემსახურებათ, წესი არ არის, ისინიც თქვენთან ისხდნენ. თუმცა ამ ჩვეულებას უფრო უბრალო ხალხი იცავს, ვიდრე ბეგები. კერძი ერთფეროვანია, მაგრამ საკმაოდ სუფთაა და გემრიელი: მჭადი, ერბოკვერცხი, რძეში მოხარშული ყველი, არაჟანი, ცხვრის ხორცი, სხვადასხვა საკაზმით და წიწაკით ცხარედ შეზავებული. აქაური მუსლიმები მტკიცედ იცავენ ყურანის წესებს, სასმელები არ იციან, ეკლესიას აჭარაში ყველგან ქილისას ეძახიან. ეკლესიები დიდი ხნის წინ დაუნგრევიათ თურქებს. „სოფლებიდან განსაკუთრებით მაინტერესებდა ქედა, ერთადერთი დასახლებული ადგილი აჭარაში, რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს და რომელიც, მისი სიტყვებით „არს მცირე ქალაქის მსგავსი დაბა..." მოსახლენი არიან ვაჭარნი. ქედა სავაჭრო პუნქტია გარშემო მცხოვრებთათვის: აქ არის 20-30 – დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვება ყავა, ჩაი და სხვა წვრილმანი"...

დიმიტრი ბაქრაძე ამ მოგზაურობის დროს სტუმრად იყო ქედის კაიმაკამ ხუსეინაღა სურმანიძესთან, რომელიც ამ დროს ქედის სოფელ არსენაულში ცხოვრობდა, დიმიტრი ბაქრაძე ხუსეინ-აღასთან მისულა რუსეთის კონსულის ჯუდიჩის სარეკომენდაციო წერილით (რამაზ სურმანიძე სურმანიძეები ბათ. 2001 წ. გვ. 79).

ქედელებმა დიმიტრი ბაქრაძეს უთხრეს, რომ წინათ მეტი შეძლება ჰქონდათ, რადგან მოსავლის მხოლოდ მეათედს ახდევინებდნენ, ახლა კი ტყის გარდა, ყველაფერს გადასახადი აქვსო, მოსავალზე წინანდელი ათისთავი დარჩა, ძროხაზე 5 ყურუში მიაქვთ, ცხვარზე – 3 და სხვა. ძალიან გვიჭირს მარილი. წინათ იგი თქვენი ქვეყნიდან მოჰქონდათ, ახალციხიდან და შეკვეთილიდან, 10 ყურუშად იყო, ახლა მისი ყიდვა მხოლოდ ბათუმში შეიძლება, სადაც სამ-ოთხჯერ უფრო ძვირად გვიჯდება. – დაუჩივლიათ ქედელებს.

დიმიტრი ბაქრაძე ამ მოგზაურობის დროს ქედაში შეესწრო ქორწილს – შავშეთელი ბეგის გოგო ცოლად მოჰყავდა ზენდიდელ ბეგს. აქ ბეგები ერთმანეთს უმოყვრდებოდნენ და დედოფალს მაყრული სიმღერით მიაცილებდა მაყარი.

დიმიტრი ბაქრაძე წერს, რომ ამ მოგზაურობისას გაიარა სოფლები: ზვარე, ვარჯანისი, აბუქეთა, ცხმორისი, სადაც დაათვალიერა ძველი ხიდი, მას ქვის თაღიანი ხიდები დაუთვალიერებია საღორეთთან, ქედაში, ცხმორისში და დანდალოში.

ქედის თაღიანი ხიდი იდგა იქ, სადაც 1924-1925 წლებში აშენდა კაპიტალური ხიდი, რომელიც წყალდიდობას 1875-1876 წლებში დაუნგრევია. 1924 წელსაც წყალდიდობას ემსხვერპლა ხის ხიდი ქედაში.

თედო სახოკიას გადმოცემით, 1895 წელს ქვემო აჭარლებს ჰყოლიათ ცხენი 628, სახედარი - 11, ჯორი - 5, ხარი - 2848, ძროხა - 2778, ცხვარი - 150, თხა - 13.



აქაურ ხილს, განსაკუთრებით მსხალს, რომელიც მეტად ნაქებია, ეზიდებიან ცხენით, მომეტებულად ბათუმში, ფუთ მსხალს 30-80 კაპიკად ჰყიდიან, ხოლო ვაშლს - 40 კაპიკად ან 1 მანეთად. აქვე, ალაგობრივ მოდიან არტაანელები, მოაქვთ თან მარილი, საქალამნე გაუთელავი ტყავი და ხილზე ცვლიან. – წერდა თ. სახოკია.

საზამთროდ აკეთებენ მსხლის ჩირს. ზამთარი რომ დადგება, ამ ჩირს ხარშავენ და აკეთებენ ერთგვარ წვენს, რომელსაც ხოშიავს ეძახიან (კომპოტი) და პურთან შეჭამანდად ხმარობენ. – ასეთ ცნობასაც არ იშურებს დიდი ქართველი.

თედო სახოკია აჭარაში 15-ზე მეტი სახეობის ვაშლს, 30-ზე მეტი სახეობის მსხალს და 5 სახეობის ქლიავს ასახელებს.

ერთი ფუთი ყურძენი სამ აბაზად იყიდებოდა. „მართალია, მაჰმადის რჯულს აჭარელთათვის ყურძნის წვენის დალევა, დუღილგათავებულის სახით აუკრძალავს, მაგრამ იმავე რჯულს ნება დაურთავს იგივე წვენი დალიოს „მართლმორწმუნემ" მხოლოდ აუდუღარი. ამ მეორე სახის წვენს ყურძნისას აქ „ხარდალი" ჰქვია. ტკბილი წვენიდან ჩურჩხელას აკეთებენ, რომელსაც აჭარაში „ქუმა" ჰქვია.

აჭარაში გზის მშენებლობაზე თედო სახოკია მოგვითხრობს: „ჩვენი გამოვლის დროს ამ გზაზე, რომელსაც 140 კმ აქვს სიგრძე, გახურებული მუშაობა იყო, რაც წინა წლებში ხიდები გაეკეთებინათ, 1895 წლის წყალდიდობას ყველა გაეფუჭებინა. აგრეთვე, ქვა უნდა მოეყარათ 40 კილომეტრის მანძილზე, იმ შემოდგომისათვის სრულებით უნდა დაემთავრებინათ და 1898 წლის გაზაფხულისათვის ბათუმსა და ახალციხეს შუა საფოსტო მიმოსვლა უნდა გაჩაღებულიყო.

საზოგადოდ, ქედა ქვედა აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია და, ამასთანავე, შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის წარმოებისა. ყოველი აღებ-მიცემა ქვემო აჭარის უმეტეს ნაწილად აქ სრულდება, რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო აჭარელს სასყიდად, უეჭველად ქედას უნდა მიატანოს, რადგან მთელ ქვედა აჭარაში, გარდა სოფ. აჭარისწყლისა, დუქანი სხვაგან არსად მოიძებნება.

„მოსახლეთა შორის, გლეხების გარდა, აქ არიან ბეგები. პირველი მათ შორის შეძლებითა და მდგომარეობით არის ხანში შესული, დარბაისელი თუფან-ბეგ შერვაშიძე, ქედის ნაწილის უფროსი, რომელიც ქედაში სამსახურის ასასრულებლად ჩამოდის, ცხოვრებით კი ქედის გარეთ, თავის სოფელში ცხოვრობს. (არსენაული).

თუფან-ბეგს ოფიცრის ხარისხი აქვს, სწავლა შინაური აქვს მიღებული, რუსულს, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით ლაპარაკობს (ქართული და თურქული ზედმიწევნით იცის), მაგრამ რუსის ადმინისტრატორობა ჩაუბარებიათ იმ დროს, როცა მთავრობას აქეთკენ გავლენიან პირთა საშუალებით უნდა შემოეღო თავისი წეს-წყობილება. თუფან-ბეგ შერვაშიძეზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს და გავლენიანს, ამ მხარეში ვერც იპოვიდნენ. მთავრობასა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის ეს შუაკაცის მისია თვალსაჩინოდაც აასრულა თუფან-ბეგმა. ჩვენი აქ ყოფნის შემდეგ დიდხანს არ დარჩენილა სამსახურში. მგონია, მეორე წელიწადს იძულებული იქნა სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდი შეეტანა.

თუფან-ბეგის წინაპრები აფხაზები ყოფილან, აფხაზეთის მთავრის რისხვას გამორ-

იდებიან და აჭარაში გადმოსულან, ამ დროს აჭარაც ახალციხელ ჯაყელებს ეკუთვნოდა და მათთვის შესაფერისი მამულები და სამსახური მიუციათ.

ზაქარია ჭიჭინაძე

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქეთის ბატონობისგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ, აჭარას მოევლინა პირველი ქართული წიგნების შემომტანი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ზაქარია ჭიჭინაძე.

ზაქარია ჭიჭინაძე დაიბადა 1854 წლის 8 თებერვალს თბილისში, ღარიბი მუშის, - ეგნატე ჭიჭინაძის ოჯახში. მშობლებს თხუთმეტი ქალ-ვაჟი ჰყავდათ.

ზაქარია მიაბარეს მთაწმინდაზე პირველ სკოლაში. ზაქარიას ერთად აქ სწავლობდა ტატო წულუკიძე, რომელიც შემდეგ თავზეხელაღებული ყაჩაღი გახდა, ზაქარიასა და ტატოს სკოლაში კონფლიქტი მოსვლიათ. კონფლიქტის განხილვის დროს მართალი გაუმტყუნებიათ და მტყვანი გაუმართლებიათ. ტატოს მშობლები შეძლებულად ცხოვრობდნენ. ამ კონფლიქტის შედეგად ზაქარია სკოლიდან დაითხოვეს, თბილისში ეგრეთწოდებულ ირაკლის სახელობის სკოლაში გადაიყვანეს, სადაც იმ ხანად მასწავლებლად მუშაობდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღაწე პეტრე უმიკაშვილი...

სკოლიდან დათხოვნილი ზაქარია ჭიჭინაძე - ეს დაუდეგარი მოუსვენარი, დაუმორჩილებელი და დიდი ფანტაზიის მქონე ბავშვი, ბედის ანაბრად ქუჩაში აღმოჩნდა. მას ნახავთ, ბაზარში დილიდან გვიანობამდე, რასაც შოულობს, მხოლოდ წიგნის შეძენაში იხდის, ის ხმამაღლა და გამოთქმით კითხულობს სახარებას, „ვეფხისტყაოსანს“. ახალი წიგნების ნახვამდე ძველს რამოდენიმეჯერ კითხულობს. ზაქარია ქაშვეთის სკოლაში შეჰყავთ მშობლებს, მაგრამ მალე ეთხოვება ამ სკოლასაც და კვლავ ქუჩა და წიგნების შოვნა - კითხვა ხდება მისი მთავარი მიზანი.

დგება გადამწყვეტი მომენტი ზაქარიას ცხოვრებაში, რომელმაც მისი შემდგომი ბედი თუ ცხოვრებისეული გზა ძირითადად შეცვალა... „ ქუჩაში, სახელდობრ შტაბის ქუჩაზე მიდის ხუთი ქართველი კაცი, ხუთი ცნობილი პიროვნება, სახელიან-ტიტულიანი კაცი - აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ერთ-ერთ სასტუმროსთან ისინი ხედავენ ბიჭს, თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილს, რომელიც დგას სასტუმროს წინ, გაუშლია გაზეთი „დროება“ და გატაცებით კითხულობს. ხუთივენი შეთანხმებულივით შეჩერდნენ, და შეცქერიან გაზეთის კითხვაში გართულ ყმაწვილს. განსაკუთრებით მაინც ერთ-ერთი ამათგანი, იმ გაზეთის რედაქტორი სერგეი მესხია გაოცებულ გაკვირვებული: რედაქტორს უკვირს და უხარია თანაც, რომ მის გაზეთს „ დროება“-ს ახალი მკითხველი გასჩენია, ისიც ასე ახალგაზრდა, სრულიად ნორჩი ყმაწვილი“ (თეიმურაზ კომახიძე. ზაქარია ჭიჭინაძე. გამომცემლობა „აჭარა“,2001 წ., გვ. 25).

ასე გაეცნო გაზეთ „დროება“-ს რედაქტორი ზაქარია ჭიჭინაძეს.

ზაქარია ჭიჭინაძე ხალხიდან გამოსული, „თვითნასწავლი იყო“, მხოლოდ ქართული წიგნების სამყაროს ეცნობოდა. მას არ ჰქონდა გავლილი სწავლული ისტორიკოსის სკოლა და წერის ოსტატობასაც არ იყო დაუფლებული. წერდა სადად, სასაუბრო ენით ყველაფერზე, განსაკუთრებით – ქვეყნის წარსულზე.

1922 წლის თებერვალში სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძისადმი მიძღვნილი მცირე, 48-გვერდიანი ბროშურა „ზაქარია ჭიჭინაძე“, რაც მისი დაბადების 50 წლისთავს მიეძღვნა. 1922 წლის 21 მაისს სახელმწიფო თეატრში საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ქარეთველმა ხალხმა ზაქარია ჭიჭინაძის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

ზაქარია ჭიჭინაძე ყოველმხრივ ეხმარებოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას”, იგი საკუთარი ხარჯით ბეჭდავდა წიგნებს და აწვდიდა მკითხველს, თუმც ეკონომიურად ზარალდებოდა. 1919 წლის 8 მარტს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას” წერდა: „ 500 ცალი ქართული ხელთნაწერი წიგნების თქვენ საზოგადოებას დაუთმე 150 მან. მაშინ, როდესაც პეტერბურგის აკადემია მაძლევდა 3 000 მან. მეორე 3 000 ქართული ხელნაწერი წიგნების საზოგადოებას დავუთმე 100 მანეთად, როცა მე შემეძლო მასში ამეღო 3 000 მანეთი.

ახლახან ნიკო ვაჟიკაშვილი ისე წავაქეზე, რომ მან თქვენ საზოგადოებას დაუტოვა 40 000 მან. ანდერძით“ (იქვე გვ. 86).

1922 წელს ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულ ბროშურაში „ ზაქარია ჭიჭინაძე“ ვკითხულობთ:

„1887 წელს ტფილისში ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა მაჰმადიანი - რეჯებ ნიჟარაძე და ასლან-აღა კაიკაციშვილი. ესენი ჯერ კიდევ მოწაფეები იყვნენ. მათ გაიცნეს ზაქარია ჭიჭინაძე. ახალგაზრდები აელვარებული თვალებით ისმენდნენ ზაქარია ჭიჭინაძის საუბარს სამუსლიმანო საქართველოს შესახებ. მათ პირველად ესმოდათ, რომ სამაჰმადიანო საქართველო უძველესი ნაწილია საქრთველოსი, რომ აქ ისევ დარჩენილა ქართული ენა და ადგილები ქართული სახელებით...ზაქარია ჭიჭინაძემ განიზრახა სამაჰმადიანო საქართველოში წასვლა, ესენი სულითა და გულით თანაუგრძნობდნენ ამ განზრახვას. ზაქარია ჭიჭინაძე მათი დახმარებით გაემგზავრა ქობულეთში 1889 წელს. მან წაიღო დიდძალი წიგნები, რომელთაც უფასოდ არიგებდა ქართველ მაჰმადიანებში და თავდადებით შეუდგა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების შესწავლას ადგილობრივად“(იქვე გვ. 243-244).

ზაქარია ჭიჭინაძე მომდევნო 1890 წელს ისევ გაემგზავრა ამ კუთხეში, ამჯერად აჭარაში(ზემო და ქვემო). მეორედ იგი აჭარას ეწვია 1891 წელს და ისევ წაიღო დიდძალი წიგნები. ამის შემდეგ მუდმივად მოგზაურობდა ჩვენს კუთხეში... მოგზაურობდა მთელი 10 წლის განმავლობაში - წიგნებით, ქართული წიგნებით. თავიდანვე სამაჰმადიანო საქართველოს (მათ შორის აჭარის) ოსმალეთთან ჩამოშორებისთანავე (შეიძლება კიდევ უფრო ადრეც ზაქარია ჭიჭინაძემ აშკარად იგრძნო, თუ რისთვის უნდა მიექცია მთავარი, განსაკუთრებული ყურადღება. ამ კუთხეში ოსმალური გავლენის, ოსმალთა ემისრების გაძლიერებული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ ბეჭდავდა წიგნებს ქართულ ენაზე, სასულიერო ხასიათის ისტორიულ წერილებს, სახალხო ლექსებს, „ ვეფხისტყაოსანს“ სპეციალურად ამ კუთხის მცხოვრებთათვის. მთელ ზაფხულს ატარებდა აჭარის სოფლებში, მოგზაურობდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ჰკრეფდსა აქაურ ზეპირგადმოცემებს, ზეპირად სწავლობდა აქაურთა ლოცვებს დადიოდა ჯამეებში და ისე კარგად ლოცულობდა, რომ შემდეგში კიდევაც დაბეჭდა მათი ლოცვების წიგნი ქართული ასოებით და არაბული სიტყვებით.

ზაქარია ჭიჭინაძეს ძალიან კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ, რა ნიადაგზე და რა ვითარებაში ხდებოდა აქაური მოსახლეობის მასიური გადასახლება ოსმალეთში, ანუ „ მუჰაჯირობა“. აჭარის მოსახლეობამ ისე ერთგულად შეიყვარა ზაქარია ჭიჭინაძე, რომ ხალხმა მას ნდობა გამოუცხადა, ასობით გზავნიდნენ მასთან ბავშვებს და მრავალმა ბავშვმა შეისწავლა მასთან ქართული წერა-კითხვა.

1891 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ დაბეჭდა წიგნი „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში“.

„ქართველ მაჰმადიანებში ქართული წიგნის გავრცელება ძნელი საქმეა. წიგნს ახლოს არ ეკარებიან, მოლები აშინებენ, რომ მაგვარი წიგნების კითხვა ცოდვა არისო. 1891 წელს მე წავედი იქით, თან წავიღე ბევრი ქათული მოთხრობა და ლექსები, და მათში ქართული წიგნების გავრცელების საშუალებით მათებური ლოცვების შეკრება დავისახე, ლექსები შევკრიბე და მალე დავბეჭდე 2400 ცალი, წელს მეორედ წავედი იქეთ,- და წავიღე 15000 ცალი სხვადასხვა წიგნები. ლოცვების დანახვამ ისეთი ცვლილება მოახდინა, რომ მე ეს არ შემიძლია გადმოქცეთ თქვენ. მოხუცებულნი სულ „ოლლას“ ყვიროდნენ და ხოჯები და მოლები გაკვირვებულნი. ქართველების ასეთ გულკეთილობაზედ, ხალხს ურჩევდნენ, რომ ეს ლოცვები ძლიერ კაი საქმეა და იკითხეთო. ასეთი ფანატიკებისაგან მადლობაც კი მივიღე, ასევე განაცხადა ბათუმის მუფთმა ახმედ ეფენდი გვერდელიძემ... ქვედა და ზედა აჭარაში დავარიგე 7000 ცალი-1000-ლიცვები. (იქვე გვ.275).

ზაქარია ჭიჭინაძე „ქართველ მაჰმადიანებს ანუ მუსლიმან ქართველებს“ მიმართავდა: „ ძმებო ქართველო მაჰმადიანებო, თქვენ არ იფიქროთ რომ ეს ცნობები მიტომ ამიკინძავს, რომ ამით თქვენზედ რამე გავლენა ვიქონიო, მოგაგონოთ თქვენი ძველი წარსული და ისიც, თუ თქვენს ძველებს რა სისხლის ღვრა გადახდენიათ რჯულის გამო, რომ ამით თქვენ ქრისტიანობა შეგაყვაროთ, ისლამი შეგაძულოთ. ღმერთმა დაგვიფაროს ამისაგან ჩვენ და მთელი ქართველობა შორს დგას. ჩვენ ამის ფიქრი არასდროს არ გვქონია და არც გვექნება... სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიული მასალები ერთობ ცოტა ცნობებს იძლევა მასზედ, თუ სამცხე-საათაბაგოს ქართველთ როგორ მიიღეს ისლამი, მიღებას რამდენად ეპყრობოდნენ და ეგებებოდნენ. ასე თუ ისე, როგორც ჩანს, ეს ცვლილება ადვილად არ მომხვდარა, ამიტომ საჭირო არის, რომ ამის შესახებ ჩვენ გვქონდეს ყველანაირი ცნობები, ამ ცნობების არსებობა არ იქნება მეტი... მე რომ არაბულად ვლოცულობდი, მათ ეს დიდად უკვირდათ. ამ ხერხით მე ბევრი ძვირფასი მასალა შევკრიბე, რადგანაც ცნობებს მერე ვიწერდი. ამიტომ შეიძლება ზოგი რამ ძვირფას ცნობებს ქართლ გაზეთებს ვუგზავნიდი, (იქვე გვ 447, 450).

ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობამ აჭარში მოსახლეობაში ქართული წიგნების გავრცელების თვალსაზრისით შეუფასებელი შედეგი გამოიღო. მისი მოღვაწეობის მაგალითზე აჭარაში თაობები აღიზარდნენ. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი რაიონის მკვიდრის გაზეთ „ივერია“-ს კორესპონდენტის აბდულ მიქელაძისათვის ქართული წერა-კითხვის შესწავლის საქმეში, აჭარაში ჩამოსული ზაქარია ჭიჭინაძე აბდულ მიქელაძის ხშირი სტუმარი იყო ქედაში.

ზაქარია ჭიჭინაძე ამბობდა... „მადლობა ღმერთს, რომ ამასაც მოვესწარით. გულ დაწყვეტილთ მოგვეცა იმედი ჩვენის მოძმეების დიდის ხნის დამონების შემდეგ...“

ეხლა ჩვენს ზნეობის ვალს შეადგენს, რომ ვისარგებლოთ ქართველ მაჰმადიანთა თუნდაც მცირე ნაწილის თვალის გახილებით და რაც შეიძლება დროით მივაწოდოთ ისეთი წიგნები, რაც იმათ კარგად გააცნობს როგორც ჩვენ წინაპართ ვითარებას და ცხოვრებას, ისევე იმასაც, თუ მამა-პაპებს რა წვალებით და ტანჯვით მიუღიათ ისლამი, რა ბრძოლით და სისხლის, ცრემლის ღვრით დაუთმიათ სამშობლო ოსმალთათვის, თავიანთი ვინაობა, ენა, მწიგნობრიობა და ზნე-ხასიათები. ვიტყვით იმასაც, რომ ეს წიგნები ქართველ მაჰმადიან მოზარდ თაობას მარტივად შეუწყობს ხელს, ეს წიგნები მათში უადვილესად გაარღვევს გზას, მერე სამშობლოს ვინაობის ცნობით აღვსილნი პოლიტიკურსა და ეკონომიურს ასპარეზზედაც ადვილად გამოვლენ (იქვე გვ. 320).

ზაქარია ჭიჭინაძემ თავისი მოღვაწეობის 55 წლის განმავლობაში სულ 250 წიგნი დაწერა, რომელთაგან 115 სიცოცხლეში გამოაქვეყნა. მან საქართველოს ისტორიას ფასდაუდებელი ამაგი არგო. აჭარის დიდი მეგობარი და მოამაგე, ზაქარია ჭიჭინაძე, 1931 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა მისი ნეშტი დიდი პატივით დაკრძალა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ქედის მოამაგენი

აბდულ მიქელაძე



აბდულ მიქელაძე დაიბადა 1853 წელს ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში, მისი მამა ასლან - აღა მიქელაძე (ყავაზ ოღლი) ხალხური მედიცინით იყო გატაცებული და ეს საქმე აბდულსაც შეასწავლა. აბდულ ეფენდი შემდეგ ავადმყოფთა ცნობილი მკურნალი გახდა. მან დიდი ღვაწლი დასდო აჭარელთა სწავლა-განათლების და ეროვნული გათვითცნობიერების საქმეს.

„აბდულ ეფენდი მიქელაძემ სამუსლიმანო განათლება ტრაპიზონში მიიღო. კარგად შეისწავლა არაბული და თურქული ენები, იცოდა სპარსული და რუსულიც, კარგად ფლობდა ქართულ წერა-კითხვას. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1878 წელს თომა სიმონის ძე კალანდარიშვილისაგან ისწავლა, რის შემდეგ სოფლის ქათიბად (მწერლად) დაიწყო მუშაობა.

აბდულ-ეფენდი მიქელაძე აჭარის მოსახლეობის მწარე ბედისა და დუხჭირი ცხოვრების მოჭირნახულე იყო და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბევრს მუშაობდა. მან ქართულ ენაზე სამკურნალო-სამედიცინო წიგნი „აჭარული კარაბადინი" შეადგინა, რომლითაც წამლების დამზადებას ეწეოდა.

„ოციოდე წლის წინ ჩვენ საშუალება მოგვეცა მიგვეღო ამ ხელნაწერის სრული ფოტოპირი. რომლის შინაარსის შესახებ მკითხველს ჯერ მივაწოდე საგაზეთო ინფორმაცია („აგარის ხელნაწერი სამასი წლისაა"). გაზეთი „საბჭოთა აჭარა" №246 12 დეკემბერი, 1970 წ. ხოლო შემდეგ ხელნაწერის ტექსტი გამოკვლევებითა და კომენტარებით ცალკე წიგნად გამოვიდა („მცირე კარაბადინი" „საბჭოთა აჭარა" ბათ. 1974 წ." (რამაზ სურმანიძე. მცირე კარაბადინი, II ნაწ. ბათ 1990 წ. გვ.7)."

ა. მიქელაძე აჭარიდან „ივერიის" პირველი და უკანასკნელი კორესპონდენტი იყო.

„დიდი ილიას მეთაურობით გაჩაღებულ სახალხო განმანთავისუფლებელ ბრძოლას და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მთელ საქართველოში ჰყავდა მომხრეები. გასაგები მიზეზების გამო ამ საქმეში აჭარის მკვიდრნი მოგვიანებით ჩაებნენ; გულო კაიკაციშვილი (1840-1923) და აბდულ მიქელაძე (1853-1919) მიეკუთვნებიან მოღვაწეთა იმ პლეადას, რომლებიც იმთავითვე ჩადგნენ თერგდალეულთა მიერ გაჩაღებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. „დროებასა" და „ივერიაში" მათი პუბლიკაციებით ახალდაბრუნებული მხარის მოსახლეობის ცნობიერებაში დიდი გარდატეხა მოახდინეს, გაღვივდა ეროვნული სულისკვეთება, გაიზარდა კულტურისა და განათლებისადმი სწრაფვა, რასაც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე."

აბდულ მიქელაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას მიეძღვნა წიგნი, რომელიც 1991 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა (აბდულ მიქელაძე, წერილები აჭარიდან). ბოლო წლებში მოძეული მასალები ახლებურად გვიხატავენ ამ პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პორტრეტს და მას ილიას უახლოეს თანამებრძოლთა რიგებში აყენებენ.

***

აბდულ მიქელაძის ახლადაღმოჩენილი სამი პირადი წერილით, აგრეთვე საქართველოს არქივებში დაცული დოკუმენტებით ვრწმუნდებით, რომ ის არის არა უბრალოდ თვითნას-



ფეხმა შერვაშიძის მიერ შესრულებული
ხაჭურნალი ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდი



აბდულ მიქელაძის მიერ სოფ. ავარაში (ქედის რაიონი)
აღმოჩენილი XVII საუკუნის საშკურნალო ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდი

წავლი ჟურნალისტი, როგორც ადრე ვუწოდებდით, არამედ საკმაოდ ხელხვავიანი პუბლიცისტი, მატერიალურ სიმდიდრეთა (ხელნაწერები, ნივთები) კოლექციის შემგროვებელი, განმანათლებელი და რაც მთავარია, პოლიტიკური მოღვაწე, რომელზეც მეფის ოხრანკას საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული, არაერთხელ რეპრესირებულიც იყო.

პირველ წერილს აბდულ მიქელაძე 1893 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში უგზავნის ზაქარია ჭიჭინაძეს და ატყობინებს, რომ სოფელ აგარაში ერთ დედაბერს (დევაძე რ.ს) აღმოაჩნდა ქართულ ენაზე დაწერილი წიგნის ხელნაწერი და ადრესატს თხოვს, რომ ეს საექიმო წიგნი გადასცეს „ქართულ ენის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელმაც შესაძლოა „გარდაბეჭდოს ახალ ქართულ ნაწერზე"-ო.

აგარაში აბდულის ნაპოვნი კარაბადინი, მნიშვნელოვანი და იშვიათი ხელნაწერი მე-18 საუკუნისა აღმოჩნდა, იგი საზოგადოებას გადასცეს, იქედან კი ხელნაწერთა ფონდში დაიდო ბინა და ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ხელნაწერის აღმოჩენას გამოეხმაურა გაზეთი „ივერია" (იხ. „ივერია", 1883, №233). ამ ცნობის ავტორი ზაქარია ჭიჭინაძეა, რომელსაც ხელთ ქონდა აბდულ მიქელაძის წერილი და აგარაში აღმოჩენილი ხელნაწერი. სწორედ „ივერიის" ამ ცნობით დავადგინეთ აბდულ მიქელაძის ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილი წერილის მიახლოებითი თარიღი – 1893 წლის ოქტომბრის პირველი ნახევარი. – წერენ მკვლევრები.

***

მეორე წერილი გაგზავნილია 1902 წლის 6 კვირიკობის თვეს „ივერიის" რედაქტორის მისამართით. როგორც ცნობილია, 1902 წლიდან ილიამ დატოვა რედაქცია, რის შემდეგ ხანმოკლე ინტერვალით გაზეთს რამდენიმე რედაქტორი ჰყავდა (ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი), რომლებთანაც აბდულ მიქელაძეს ადრე არ ჰქონდა ურთიერთობა. რედაქციამ შეწყვიტა გაზეთების მიწოდება, ამაზე მეტყველებს წერილის ავტორის ნაწყენი ტონი: „თორმეტი წლის განმავლობაში ვიღებდი „ივერიას", შევისწავლე კითხვა, ვიქარვებდი ჩემს „წყლულებს", დროგამოშვებით ვუგზავნიდი აქაურ ამბებს, ახლა კი რაღაც მიზეზით გაზეთი არ მომდის, ეს მიზეზი არ ვიცი, რომ გამოვასწორო. ნუ მომაკლებთ „ივერიას", რომელიც მე მასულდგმულებს და მინერგავს გულში, რომ მეც ერთხელ სახელგანთქმული საქართველოს შვილი ვყოფილვარ"-ო, – ევედრება რედაქტორს აბდულ მიქელაძე და ამ სიტყვებით თავის მამულიშვილობასაც გამოხატავს".

ბოლოს აბდულ მიქელაძემ თხოვნით მიმართა ზაქარია ჭიჭინაძეს, რის შემდეგაც მდგომარეობა გამოსწორდა, აბდულ მიქელაძემაც არ დააყოვნა და წერილები გაუგზავნა გაზეთის რედაქციას და მის დახურვამდე თანამშრომლობდა მასთან. აბდულ მიქელაძე ხშირად აქვეყნებდა წერილებს, ამხელდა ხელისუფლებას. აბდულ მიქელაძის ანტიცარისტული საქმიანობა დაადასტურეს მისმა თანამოსაქმეებმაც.

1904 წლის 28 მარტს ბათუმში ჩატარდა მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელიც ეროვნულ საკითხებს მიეძღვნა, მიტინგზე გამოსულმა დავით სანიკიძემ შეაჯამა ქედაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარება და მოიხსენია „ეროვნული მოღვაწე აბდულ მიქელაძე, რომელიც თავს არ ზოგავს მოსახლეობაში ეროვნული სულისკვეთების ამაღლებისათვის და ებრძვის ყველა რჯულის ავანტურისტებს". დავით სანიკიძის თქმით, აბდულ მიქელაძე ქართული ეროვნული ცნობიერების მატარებელი ადამიანია და ქედაში დასაყრდენ ძალას წარმოადგენს.

ქედაში აბდულ მიქელაძის თაოსნობით აგორებული მოძრაობა, როგორც ჩანს, სერიოზულ სახალხო გამოსვლებში გადაიზარდა და 1905 წლის რევოლუციურ ამბებთან გაერთიანდა. მასიური გამოსვლები დაიწყო ცხმორისში, ახოში, ზვარეში, ქედაში, ბაბუჩოღლებში.

1909 წლიდან ქედის ადმინისტრაცია აჭარისწყალზე გადაიტანეს, რის გამოც მოსახლეობა 8-9 საათის სავალზე დადიოდა სამართლის საძებნელად და ხშირად ხის

ძირებში ათევდა ღამეს.

„აბდულ მიქელაძე ერთ-ერთ წერილში (1915წ.) მიმოიხილავს ქედის მაზრაში არსებულ საერთო ვითარებას და ქართველ საზოგადოებას დიდ მადლობას უხდის აჭარლებზე გაწეული მატერიალური და მორალური დახმარებისათვის. გარდა ამისა ეხება აქაურთა განათლებას და აღნიშნავს, რომ ადრე წერა-კითხვის მცოდნე არავინ იყო და თუ იყო, ისიც ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ჭიჭინაძის და პეტრე უმიკაშვილის მეშვეობით. წერილში ნათქვამია ისიც, რომ მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რათა მასწავლებლებს ბავშვებისათვის არ ესწავლებინათ ქართული წერა-კითხვა, მაგრამ, ამ ბოლო წლებში ზოგიერთი კაი მასწავლებელი დარჩა. არ მიხედა ბრძანებას და სკოლაში ასწავლა, ახლა ქართულის წამკითხველი თითქმის ყველა სოფელშია."

ამ წერილს, რომელშიც მისი ავტორი აჭარის მოსახლეობაში ქართული ეროვნული განათლებისა და კულტურის შეტანას მიესალმებოდა, შეუშფოთებია ცარიზმის ხელისუფლება. 1915 წლითვე დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც გაგზავნილია ბათუმის გენერალ-გუბერნატორის სახელზე, საუბარია ქართველი მასწავლებლების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე. ნახსენებია „ვინმე აჭარელი მიქელაძე, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს სკოლებში საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის სწავლებას, ხვდება ნაციონალისტ მასწავლებლებს, ებრძვის რუსული სახელმწიფო ინტერესების გამტარებლებს, აქვეყნებს წერილებს ქართულ ნაციონალისტურ გაზეთებში... ეს კაცი სახიფათოა და აუცილებელია მისი იზოლირებაო" (სცსსა, ს 51).

„აბდულ ეფენდი პირველი ქართველი მუსლიმანია, რომელიც აჭარიდან გაზეთში დასაბეჭდად წერილებს წერს, მისი წერილები იბეჭდება ჭავჭავაძის გაზეთ „ივერია"-ში, ერთი მისი წერილი დაიბეჭდა „აზრში". აბდულ ეფენდის დიდი ხანია კარგად აქვს შეგნებული, რომ აჭარლების სამშობლო ენა ქართულია, მან კარგად იცის, რომ სკოლაში ბავშვებს ქართული უნდა ასწავლონ. როცა აბდულ ეფენდიმ დაინახა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი სკოლაში ქართულ წერა-კითხვას არ ასწავლის, ეწყინა და ეს ამბავი აღწერა „ბათუმის გაზეთში". ამისთვის 60 წლის მოხუცი ციხეში ჩასვეს, მიზეზი ეს იყო, მაგრამ მას სხვა ხრიკები მოსდეს (აპ. წულაძე „ძმური სიტყვა", 1991 წ. ბათუმი, გვ. 26.).

აბდულ მიქელაძე დიდმა ილიამ გამოიყვანა პუბლიცისტურ ასპარეზზე, მისი დახმარებით ღებულობდა „ივერიას". ამ გაზეთით შეისწავლა წერა-კითხვა და ეზიარა ეროვნულ ცნობიერებას. ილიასთან ჰქონდა მიწერ-მოწერა და პირადადაც ხშირად ხვდებოდა მას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ მოღვაწის ყველა ნაბიჯი ილიას თანამოაზრე ქართველ სახალხო განმანათლებელთა კვალდაკვალ იყო გადადგმული, ამიტომ აბდულ მიქელაძე უნდა მოვიხსენიოთ, როგორც დიდი ეროვნული მოღვაწე, დავაყენოთ ილიას თანამებრძოლთა გვერდით და შესაბამისი პატივიც მივაგოთ.

***

ზაქარია ჭიჭინაძის დაუღალავმა შრომამ აჭარაში წერა-კითხვის გავრცელების საქმეში დიდი შედეგი გამოიღო. ბევრმა აჭარელმა უშუალოდ მისგან ისწავლა წერა-კითხვა, აბდულ მიქელაძემაც, ამიტომ იყო რომ აჭარაში ჩამოსული ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად მისი სტუმარი იყო ქედაში.

აბდულ მიქელაძე მეტად გათვიცნობიერებული პიროვნება გახლდათ და დაუდგრომელი პროპაგანდისტიც.

უნდა აღინიშნოს რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები სწორედ აბდულ მიქელაძის მეშვეობით და დახმარებით ამყარებდნენ კავშირს აჭარის ადგილობრივ პატრიოტებთან.

ამ დროს აბდულ მიქელაძე გახლდათ ყვავილის უებარი მკურნალი და იგი თავის თანამოძმეებს ყოველგვარი სასყიდლის გარეშე სრულიად უანგაროდ მკურნალობდა.

მკითხველს ვთავაზობთ აბდულ მიქელაძის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილს, რომელიც დათარიღებული გახლავთ 1894 წლის 30 აგვისტოთი.

დიდად პატივცემულო ბატონო ილია გრიგოლის ძევ! თქვენი პატიოსანი წერილი აჭარაში მე გადმომცა ბ. ზ. ჭიჭინაძემ, რომლითაც მე მივიღე თქვენი მადლობა და სალამი. ვალად ვრაცხ, მოგწეროთ და გაცნობოთ ჩემი დიდი მადლობა და სიხარული, რომ თქვენი პატიოსანი წერილი მივიღე. დიდად გმადლობთ. მით უფრო, რომ მზად ხართ უპატრონოთ ქვეყანას ქართველ მაჰმადიანთა. რაც შეეხება ჩემს შრომას და მეცადინეობას სასარგებლოდ ჩვენის სამშობლოს ისტორიის ნიშნებისა, მე რაც ძალა და ღონე მექნება, ვეცდები, რომ ძველი ნივთების შეკრებას და შეძენას ყურადღება მივაქციო და არ მოვაკლო შრომა. რასაც შევიძენ ჩუქებით თუ ყიდვით, ყოველივეს თქვენს რედაქციას წარმოვუდგენ და თუ სად რომელ კუთხეში რა იქნება შეძენილი, იმასაც ვაცნობებ, ჩემგან წარმოდგენილი სპილენძის გულსაბამი ნაპოვნია.

თქვენ წერილს მე ვინახავ ხელმწიფის ფირმანივით.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აბდულ მიქელაძის მეგობრობა და ახლო ურთიერთობა ჩვენი კუთხის დიდ მოამაგესთან – პეტრე უმიკაშვილთან.

გთავაზობთ პეტრე უმიკაშვილისათვის აბდულ მიქელაძის მიერ გაგზავნილ ორ წერილს.

„პირველად გიძღვნი, როგორც ჩემს პატივისმცემელს, დიდს სალამს და ვსთხოვ ღმერთსა თქვენ სიცოცხლეს თქვენი სურვილისამებრ. გარდა ამისა, დიდს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, იმისათვის, რომ ეს კინაღამ ერთი წელიწადია, რაც მე თქვენგან გამოგზავნილს „ივერიას" ვღებულობ და ამგვარი თქვენი წყალობით იმდენი შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ ამ წიგნის მოწერა თქვენთან მოვახერხე, თუმცადა შეცდომილება კი ბევრი იქნება შიგ, მაგრამ თქვენის წყალობით სამერმიოდ უფრო დავსწერ, თუ შემდგომ არ დამტოვებთ თქვენ ყურადღებით.

ნათქვამია დაჩვეულს ნუ დააკლებ, დაუჩვეველს ნუ დააჩვევო, მე ერთი ქართველი მაჰმადიანი დამაჩვიეთ თქვენ „ივერიის" კითხვას და იმედი მაქვს, არ მომაკლებთ თქვენს წყალობას, მიიღებთ ჩემს სიღარიბეს სახეში და მიწყალობებთ „ივერიას" შემდგომშიდაც.

თქვენი მონა აბდულ ეფენდი მიქელაძე

9 ნოემბერი 1886წ.

ს. ქედა, აჭარის მაზრა."

„პეტრე უმიკაშვილისადმი

ს.ქედა 1888 წ. იანვრის 11 დღესა აჭარიდამ.

მოწყალეო ხელმწიფეო, პეტრე იოსიფოვიჩ!

პირველად მრავალს სალამს მოგახსენებ და გისურვებ, ყოველივე თქვენი კეთილებით მშვიდობით ბრძანებულიყვეთ. თქვენი წერილი მივიღე, რომლიდან შევიტყვე, რომ ბათუმში და ქობულეთში ბრძანებულხართ. დიდად სასიამოვნო დარჩებოდა აჭარაშიდაც რომ ამობრძანებულიყავით. მწერთ, რომ ამ წელშიდაც რედაქცია გამომიგზავნის „ივერიას". დიდად გმადლობთ მოწყალებისათვის. სხვა არა შემიძლია რა და რაც ჩემს უსწავლელობას შეედარება, ვეცდები, ცოტა ცოტა ამბები გავგზავნო რედაქციაში, – საღორეთელი შაქრო ეფენდი იმყოფებოდა სტამბოლში, თათრის აფიცრად მისი ადრესი ამნარიად არის. ქ. სტამბოლში სელიმე ყიშლაში, ყოლაღარი შაქრო ეფენდი ხახუტოღლი, ამ ადრესით ინახება. იმის შესახებ, რომ ხალხი სახლდებიან ოსმალეთში, უნდა მოგახსენო, რომ ის წამსვლელი ხალხი იყო ართვინის ოკრუგიდან და რამდენიმე გონიოს უჩასტკიდამაც და ჩვენი აჭარიდამ ერთიც არ წასულა, არც ფიქრში აქვან წასვლა თუ იმ ზედამოხსენებულ ქვეყნებიდან კიდევ არ დაიწყეს გაზაფხულზედ წასვლა და ამგენსაც არ დაუწყეს მოტყვილებით წაყვანა. აქ ქართულის მცოდნე იმდენად ჯერ არავინ არის და

რამოდენიმე ყმაწვილმა კი დაიწყეს კითხვა ქართულის ისე, რომ ნაბეჭდს გვარიანად კითხულობენ.

შენი მონა აბდულ ეფენდი მიქელაძე.”

ამ წერილის ასლი თბილისიდან პირველად ჩამოიტანა და თავის წიგნში დაბეჭდა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ 1969 წელს. ხოლო შემდეგ თემურ კომახიძემ წერილის ასლი შეიტანა წიგნში „ზაქარია ჭიჭინაძე”, 2001 წელს.

თუფან-ბეგ შერვაშიძე

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, რუსის ჩინოვნიკის შემთხვევით მკვლელობისათვის აფხაზეთიდან აჭარაში გადმოსახლებულა მუდმივ საცხოვრებლად ახალგაზრდა თავადი ალექსანდრე შერვაშიძე. ის დაფუძნებულა ქედის რაიონის ერთ-ერთ დაუსახლებელ ტერიტორიაზე, სადაც შემდეგ სოფელი გაშენებულა, რომლისთვისაც თურქებს შემდეგ ალიქოღლები (დღევანდელი ოქტომბერი) შეურქმევიათ, თავადს სოფელში აუგია ციხე, სადაც დღემდე შემორჩენილია 22 მეტრის სიმაღლის ჭა.

როცა შერვაშიძეები ქედაში დასახლებულან, აჭარაში გვარების გადაკეთება უკვე დამთავრებული იყო. ამის გამო შერვაშიძის გვარს „ოღლი" აღარ მიაკუთვნეს.

თავადი ალექსანდრე თურქებს მოსწონებიათ, რადგან რუსებს განუდგა. მას აჭარაში ბეგობა მისცეს.

განსაკუთრებით დაწინაურებულა ალექსანდრეს შტოს შთამომავლობა, მემედ-ბეგ შერვაშიძის მემკვიდრე ჰაჯი ასლან-ბეგ შერვაშიძე, რომელიც აჭარული მილიციის ათასეულით რვა წელი ბოსფორში იმყოფებოდა. ჰაჯი ასლან-ბეგ შერვაშიძეს 3 ცოლისგან ჰყოლია 13 შვილი – 10 ვაჟი და 3 ქალი.

ჰაჯი ასლან ბეგის პირველი შვილი თუფან ბეგ შერვაშიძე (1846-1914), საკმაოდ განათლებული, ტკბილმოუბარი, გონიერი, კეთილი და მრავალი ენის მცოდნე ყოფილა.

„1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომისა და დაზავების შემდეგ ახლად დაპყრობილ ქართულ პროვინციაში რუსეთის ხელისუფლებას სანდო და ხალხის მიერ აღიარებული პირები სჭირდებოდა, (დროებით მაინც). ქედის მაზრაში არჩევანი თუფან-ბეგზე შეჩერდა. მას მაიორის წოდება მიანიჭეს და ქედის მაზრის უფროსობა ჩააბარეს, რომელსაც განაგებდა 1878-1898 წლებში (რეზო შერვაშიძე, თავად შერვაშიძეთა საგვარეულო აჭარაში, გამომცემლობა „აჭარა”, ბათუმი, 2005 წ. გვ.51).

თედო სახოკიას თქმით, „მასზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს, დარბაისელს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვნიდნენ".

ანალოგიურია ზაქარია ჭიჭინაძის უფრო ადრინდელი დახასიათებაც. მისი თქმით, თუფან-ბეგი იყო „დიდი ერთგული თავისი ქვეყნის, მომხრე ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების და თითქმის მისთვის მებრძოლიც, რომ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში სულ არ წასულიყვნენ". ე. ი. თუფან-ბეგი მუჰაჯირობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი იყო.

ზაქარია ჭიჭინაძე სხვა დროსაც შეხვედრია მას და მოუსმენია: „ჩაბარების წინა თვეში (ე.ი 1878 წლამდე) აჭარაში კინაღამ ამიკლეს და სულ მიწაზე გამასწორეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვუქადაგებდი ხალხს, ნუ იყრებით, იყავით თქვენთვის, ჩავბარდეთ რუსებს, მათ ხელში ცუდი არა მოგველის რაო."

თუფან-ბეგის საქმიანობას მუჰაჯირობის წინააღმდეგ მოგვიანებით, მისი სიკვდილ-

ის შემდეგაც, ეხება ქართული პრესა.

1915 წელს გაზეთი „საქართველო" წერდა: „თუფან-ბეგი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ალი ფაშა თავდგირიძის აგიტაციას გადასახლების სასარგებლოდ და დიდი თანაზიარი იყო აჭარის მუფთის ახმედ ხალიფაშვილისა, რომელიც ილაშქრებდა აგრეთვე, მუჰაჯირობის წინააღმდეგ".

თუფან-ბეგ შერვაშიძე გამოდიოდა ადგილობრივი მოსახლეობის, უსამართლობით შევიწროებული ხალხის დამცველად და ამისთვის ხშირად თავის კეთილდღეობას მსხვერპლად სწირავდა.

იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, კერძოდ:

1. იმპერატორის წმინდა ანას მე-3 ხარსიხის ორდენით;
2. იმპერატორის წმინდა ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით;
3. წმინდა სტანისლავის მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით;

ხელფასი ეძლეოდა 650 მანეთი, ოჯახური ბიუჯეტი მთლიანად შეადგენდა 1500 მანეთს.

ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე, დღესაც დგას თუფან ბეგის მიერ 1899 წელს აგებული ორსართულიანი სახლი. ამ სახლში 1914 წელს გარდაიცვალა თუფან ბეგ შერვაშიძე.

1905 წელს პუშკინის ქუჩაზე თუფან ბეგის სახლის წინ განლაგებულ ყაზარმებთან ხდებოდა მუშათა გამოსვლები, პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილი ერთი დემონსტრატი რამდენიმე დღეს თავს აფარებდა თოფან ბეგის სახლს, შემდეგ გაირკვა, რომ ეს დემონსტრანტი იოსებ ჯუღაშვილი (ი. სტალინი) ყოფილა, რომლისთვისაც თუფან ბეგს სახლი დაუქირავებია (იქ, სადაც ახლა სტალინის სახლ-მუზეუმია, პუშკინის ქუჩაზე).

თუფან ბეგს ცოლად ჰყავდა დანდალოელი ავალიანის ქალი ფატმა - ხანუმი, რომლისგანაც შეძენია 4 ვაჟი და 5 ქალი. ვაჟები: ზექერია, ქამილი, რეშიდი და ყადირი; ქალები: ულფეთი, ზერა, სალიე, უნქარი და ესმა.

შერვაშიძეთა გვარმა მრავალი სასახელო ადამიანი გაუზარდა დედასამშობლოს, მარტო ის რად ღირს, რომ პირველი უმაღლესი განათლებით სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი ყადირ შერვაშიძე, გამოჩენილი პატრიოტი, მებრძოლი დამოუკიდებელი საქართველოსი, მისი შვილი იყო. როგორც სხვა თავადური გვარები არც შერვაშიძეები დაინდეს ბოლშევიკებმა და 10 შერვაშიძე უდანაშაულოდ დახვრიტეს 1937 წელს.

ყადირ შერვაშიძე

ყადირ შერვაშიძე დაიბადა 1887 წლის 20 ივლისს ქედაში. წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა.

ყადირი 10 წლის ასაკში მამამ, თუფან-ბეგ შერვაშიძემ, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მიაბარა. ქედიდან ბათუმამდე თედო სახოკიასთან ერთად უმგზაურია. თედო სახოკიას ძალიან მოსწონებია ყადირ შერვაშიძე, ჭკვიანი და ლამაზი ახალგაზრდა.

ორწლიანი მოსამზადებელი განყოფილების დამთავრების შემდეგ ყადირ შერვაშიძე გიმნაზიაში ჩაირიცხა.

სწავლის დროს ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მან მონაწილეობა მიიღო 1905 წლის 27 იანვარს ნიკოლოზ მეორის სურათის „დახვრეტაში." ყადირს არ აპატიეს რუსეთის იმპერატორის სურათზე რევოლვერის ტყვიების დაშენა და სხვა მოსწავლეებთან ერთად გარიცხეს გიმნაზიიდან. ამის შემდეგ რუსეთის იმპერიაში ყადირ შერვაშიძისათვის დახურული იყო ყველა სასწავლებლის კარი.

მამის, თუფან-ბეგ შერვაშიძის, დიდი ავტორიტეტითა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით (განსაკუთრებით გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, შემდგომში ცნობილი აკადემიკოსის ნიკო დერჟავინის წყალობით) ყადირმა სწავლა გააგრძელა თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა გიმნაზიაში. თბილისში სწავლის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ყადირ შერვაშიძის ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაწიერი. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი სოციალური წრიდან იყო, მას ეკონომიურად მაინც უჭირდა. მამა უკვე აღარ მუშაობდა, სწავლის დროს 1909 წლის 12 ივნისს მას ოთხ სხვა მოსწავლესთან ერთად მისცეს დახმარების სახით 30 მანეთი.

1909 წელს ყადირმა დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია და საბუთები გაგზავნა ტარტუს უნივერსიტეტში ჩასარიცხად. მალე ის სტუდენტად მიიღეს. რუსეთში მიმავალი ყადირ შერვაშიძე გზაში დაემგზავრა თავის ვაგონში მყოფ ნადია ბახტაძეს, ქუთაისიდან, რომელიც ტარტუს უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩასაბარებლად მიემგზავრებოდა. ახალგაზრდები გაეცნენ ერთმანეთს, შემთხვევით ბინაც ერთ სახლშიც ჰქონდათ. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ქუთაისში დაიწერეს ჯვარი, ქორწილი კი ბათუმში გადაიხადეს.

ყადირმა ქალაქის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა. მალე ჯარში გაწვევის უწყება მიიღო, მსახურობდა კავკასიის ფრონტზე, ყარსის ოლქის დაბა ყარაქილის ლაზარეთში, დემობილიზაციით დაბრუნდა ორი წლის შემდეგ და 1916-1917 წლებში მსახურობდა ქ. ბათუმში „ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის კავშირის" რწმუნებულად ბათუმის კომიტეტში.

ყადირს და ნადიას ორი ქალიშვილი შეეძინათ, გულნარა და ნელი.

ყადირმა 1916 წელს თავისი ორსართულიანი სახლი ქედაში უსასყიდლოდ გადასცა ქედის ქსენონს (იქ, სადაც დღეს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას, გორაზე).

1918 წელს, აპრილში თურქმა დამპყრობლებმა დაიკავეს ბათუმი და ყადირი ქ. თბილისში გადავიდა, რადგან მას თურქებისგან დაპატიმრება ელოდა ქართული ორიენტაციის გამო.

დევნილებმა თბილისში ჩამოაყალიბეს „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი", რომლის წევრები გახდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე, ზია აბაშიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, ქემალ ნოღაიდელი, სულეიმან ბეჟანიძე, იუსუფ ქათამაძე და იუნუს წულუკიძე. კომიტეტის თავმჯდომარედ დროებით, მემედ აბაშიძის თურქეთიდან დაბრუნებამდე, აირჩიეს ზია აბაშიძე.

პოლიტიკური ორგანიზაცია ეწეოდა მუსლიმანებს შორის პროპაგანდას, ბეჭდავდა და ავრცელებდა წერილებს, რომ ქართველების მართვა-გამგებლობაში გადასულიყო ბათუმის სანჯაყი, ერზრუმის ვილაეთის ნაწილი და ტრაპიზონის სანჯაყის ლაზებით დასახლებული რაიონი.

ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე 1918 წლის 26 მაისს მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაში, რომლის აქტით გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

ყადირ შერვაშიძე მეექვსე სვეტში აწერს ხელს დამოუკიდებლობის აქტს.

1918 წელს ყადირ შერვაშიძე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ დაინიშნა განსაკუთრებულ რწმუნებულად ახალციხეში, ზემო აჭარისა და ფოცხოვის მოსახლეობაში სამუშაოდ.

მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა ანტიქართული აქციების მოწყობა დაიწყო სამცხე-ჯავახეთში. ამავე დროს სამცხე-ჯავახეთზე პრეტენზიას აცხადებდა დაშნაკური სომხეთიც რომელიც აქედან გეგმავდა გასვლას შავ ზღვაზე და ამ მიზნით სომხებმა ომიც კი დაიწყეს საქართველოსთან, მაგრამ მალე დამარცხდნენ. ოსმალოფილებმა რამდენჯერმე მოკვლაც დაუპირეს ყადირ შერვაშიძეს, მაგრამ მან მაინც ჩამოაყ-

ალიბა მაჰმადიან ქართველთა შეიარაღებული რაზმი, ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანი დივიზია. ყადირ შერვაშიძე ამ რეგიონში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საიმედო დამცველი გახდა. ის სათავეში ედგა იმ კომისიას, რომელმაც წერილობით გააფორმა მესხეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი დედასამშობლოსთან სამხრეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ. ეს წერილი ყადირ შერვაშიძემ და ზია აბაშიძემ თვითონ ჩაიტანეს ბერლინში გერმანიის მთავრობისათვის გასაცნობად.

1918 წლის 10 სექტემბერს ყადირ შერვაშიძე დაჯილდოვეს წმინდა თამარ მეფის ორდენით, ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის გაწეული სამსახურისათვის.

1919 წელს ახალციხის ოკუპაციისას მოღალატე სერვერ-ბეგ ათაბაგის ჯარისკაცები დასაჭერად ეძებდნენ ყადირ შერვაშიძეს,ჰაიდარ აბაშიძეს და ლეო რუხაძეს.

ყადირ შერვაშიძემ ჰაიდარ აბაშიძესთან ერთად დიდი როლი შეასრულა ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობის მოწვევასა და მუშაობაში. ყრილობა გაიხსნა 1919 წ. 1 იანვარს და ჰ. აბაშიძის პატრიოტული გამოსვლის შედეგად მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს" დარჩენის აუცილებლობის შესახებ.

ყადირ შერვაშიძე ახალციხეში მოსახლეობას ეროვნულ საქმიანობასთან ერთად სამედიცინო დახმარებასაც უწევდა. ამ დროს ახალციხის მაზრაში გავრცელდა ტიფი, ყადირ შერვაშიძე, როგორც ხალხისა და ქვეყნის ერთგული, დადგა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, მაგრამ ტიფით თვითონაც დაავადდა და 1919 წლის 8 მაისს, 32 წლის ასაკში გარდაიცვალა. ყადირ შერვაშიძე დაასაფლავეს ქედაში.

„მგზნებარე მამულიშვილები", ვახტანგ ზოიძე წიგნი I, 1993 წ. რამაზ სურმანიძე, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი" გვ. 279-291.

ყადირ შერვაშიძის ღვაწლსა და დამსახურებაზე პირველად გამოკვლევა ცნობილმა მეცნიერმა მწერალმა და პუბლიცისტმა რამაზ სურმანიძემ 1967 წელს, ხოლო ნაშრომი წიგნად გამოიცა 2000 წელს.

1998 წელს დაიბეჭდა ცნობილი ისტორიკოსის პროფესორ აბელ სურგულაძის წიგნი „ყადირ შერვაშიძე თამარ მეფის ორდენის რაინდი".

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძეს დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის უნივერსიტეტი. ის ცოტა ხანს ქედის მაზრის უფროსიც იყო, მკაცრად იბრძოდა მოსახლეობის თურქეთში

გადასახლების წინააღმდეგ, ხშირად გამოდიოდა შეკრებებზე და მოსახლეობას მოუწოდებდა, არ წასულიყვნენ სამშობლოდან მუჰაჯირად. 1902 წელს დევრიშ-ბეგ ბეჟანიძის თაოსნობით, მაზრის მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით ქედაში შეიქმნა ბანკი.

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე, როგორც ქართველ თავადთა წარმომადგენელი, 1913 წელს მონაწილეობდა ქალაქ პეტერბურგში, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე ქართველი მუჰაჯირების სამშობლოში დაბრუნების მიზნით მიავლინეს თურქეთში, სადაც დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა 1916 წელს.

დევრიშ ბეგ ბეჟანიძე იყო რუსეთის არმიის ოფიცერი, პოლკოვნიკის ჩინით.

***

ბეჟანიძეები ძირძველ ქართველ თავადთა გვარს მიეკუთვნებიან. მათ სამფლობელოს წარმოადგენდა ქვემო აჭარა - ქედა. ისინი უშუალოდ ცხოვრობდნენ სოფელ ზენდიდში, სადაც ჰქონდათ დიდი ციხესიმაგრე და სასახლეები. ბეჟანიძეების შთამომავალთა ნაწილი დღესაც იქ ცხოვრობს. აჭარაში ოსმალთა გაბატონების შემდეგ ხელისუფლებამ ბეჟანიძეების გვარს ბეგის წოდება მიანიჭა და სამფლობელოდ ისევ ქვემო აჭარა (ქედა) დაუტოვა.

ამ გვარის დიდებულ წარსულთან დაკავშირებით მინდა მოვიშველიო ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობი, რაც ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. წიგნში: „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი" ვკითხულობთ:

„... ათაბაგის მეუღლე შვილებითურთ აჭარაში გადავიდა და ზენდიდის ციხეს შეაფარა თავი. ზენდიდის ციხე მაშინ მთელად იდგა, აჭარაში დიდად განთქმული იყო. კედლები მისი სქელი და ყოვლად უშიშარნი. ესენი ფიქრობდნენ: სპარსნი თუ გაძლიერდნენ და აჭარაში გადმოვიდნენ (იგულისხმება სპარსეთის შაჰის შაჰ-თამაზის 1575 -1576 წ.წ. შემოსევა), მაშინ ჩვენ აქედან გავუმართავთ ბრძოლასო. დედისიმედს და ყვარყვარეს დიდი დახმარება მისცეს ზენდიდის მებატონე თავადთა პირფარეშის - ძეებმა (პირმსახურის ძენი), რომელთაც ეჭირათ ამ მხარის გამგეობა, მთლად ციხე და ომის საქმეებიც. პირფარეშის - ძენი მე-12 საუკუნეში აღორძინდნენ აქ, თამარ მეფისაგან დაჯილდოებულ იქნენ გვარიშვილობით და ნიშნად ერთგულებისა, ამათ ჩაჰბარდა აჭარა და ზენდიდის ციხე."

მეორე წიგნში: „ მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში," ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „... აჭარაში მძლავრობენ ბეჟანიძეები, ძველად პირმსახურის ძენი. ბეჟანიძეები თავდგირიძეებს აჭარაში უფლობის ნებას არ აძლევდნენ... აქვე ცხოვრობენ ძველ თავადიშვილთ შთამომავალნი პირმსახურის ძენი, ამათ აქ ოთხი სასახლე აქვთ, ამათ საგვარეულო დიდი ციხის გალავანიც არის აქვე ძველ დროში ნაშენი, კედლის სისქე ორი არშინი იქნება. ოსმალთა მოსვლის დროს ამ ციხიდან პირმსახურის ძეებს დიდხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს ესენიც შეწუხებულან, ოსმალთ დამორჩილებიან, ოსმალთ ამათთვის თავადობის მაგიერ ბეგობა მიუციათ, ეს ძველი საგვარეულო ციხეც მთლად დაუქცევიათ. გადმომცეს, რომ ძველად პირმსახურის ძენი ოსმალეთს სასტიკად ეკამათებოდნენ და არ უშვებდნენ, რომ მათ აჭარაში ოსმალური ზნე და ჩვეულება შემოეტანათო. ესენი თურმე თავდგირიძეებს და ათაბაგებსაც კი აყვედრიდნენ ხოლმე, რომ ოსმალთ ნუ ეხმარებითო. 1850 წ. პირმსახურისძეებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ამათთვის გათათრების შემდეგ ბეჟანიძე (ბეჟანოღლი, რაც თურქულ ენაზე ბეჟანის შვილს ნიშნავს) უწოდებიათ, რადგან ვინც პირველად გათათრებულა ამათ ოჯახითგან, იმას ბეჟანა რქმევია სახელად. ამათში თითქმის ყველამ დაისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა: აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს თავის სახლში ქართველი მასწავლებელი ჰყავს დაჭერილი, მასწავლებელი მათი გვარის ყმაწვილებს წერა-კითხვას ასწავლის. ასე რომ, ბეჟანიძეები შემთხვევით არ გამხდარან სოფელ ზენდიდის მფლობელნი. სანამ თავდგირიძეები ქედაში ჩამოსახლდნენ, რაც გურიელების ხელისშეწყობით მოხდა, მანამდე ისინი ქვემო აჭარის ერთპიროვნული მფლობელნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ბეჟანიძეები, მაინც, ბოლომდე დიდი ავტორიტეტით და უფლებებით სარგებლობდნენ, ისინი ქამელეონივით სეზონის შესაბამისად ფერს არ იცვლიდნენ, ცხოვრებაში ატარებდნენ ერთ პოლიტიკას, რომელიც სამშობლოს სიყვარულს ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, ეს გენიდან გენში გადადიოდა და უკვდავყოფდა ამ გვარის სახელს". (თეიმურაზ კომახიძე. „ ქობულეთი და კობულეთელები", ბათუმი, 1997 წ., გვ. 105-107).

სულეიმან ბეჟანიძე

სულეიმან ბეჟანიძე დაიბადა 1850 წელს სოფელ ზენდიდში, ის კარგად ფლობდა ქართულ, თურქულ და რუსულ ენებს, სულეიმან ბეჟანიძე იბრძოდა ქართველ მაჰმადიანებში წერა-კითხვის გავრცელებისათვის.

გაზეთ „ივერიის" 1888 წლის №88-ში გამოქვეყნებული აბდულ მიქელაძის ერთ-ერთი წერილით ირკვევა, რომ სულეიმან ბეგ თულუმბაზადეს (ბეჟანიძეს) ოსმან-ეფენდი გეგიძესთან ერთად საკულტო ნაგებობების სასარგებლოდ გაუღია შემოწირულობა. მათი მეცადინეობით მოგროვილა 150 მანეთი და 95 კაპიკი, რისთვისაც ზენდიდის მცხოვრებლები მათ მიმართ მადლიერებას გამოხატავდნენ (რ. სურმანიძე, „აბდულ მიქელაძე," ბათუმი, 2007 წ. გვ.85).

სულეიმან ბეჟანიძე 1918 წლიდან იყო სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის წევრი და გვერდში ედგა ამ კომიტეტის ხელმძღვანელს, აჭარის დიდ მოამაგეს მემედ ბეგ აბაშიძეს.

სულეიმან ბეჟანიძე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად გამოდიოდა „სედაი მილეთელების" და „დენიკინელების", პან-თურქული და სხვა რეაქციული ძალების, ოსმალთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რისთვისაც 1918 წელს მემედ-ბეგ აბაშიძესთან ერთად სასჯელს ტრაპიზონის ციხეში იხდიდა.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა", ოსმალთა მიერ ბათუმის ოლქის ხელახალ ოკუპაციისას დიდი წვლილი შეიტანა აჭარის დედასამშობლოსათვის შენარჩუნების თვალსაზრისით, რომლის აქტიური მონაწილეც იყო სულეიმან ბეჟანიძე.

ოსმალეთ-ხუსული განათლების შუქ-ჩრდილები

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქმა დამპყრობლებმა აჭარაში დაიწყეს მოსახლეობის იძულებითი წესით ისლამის რელიგიაზე მოქცევა, მოსახლეობის აყრა და გადასახლება თურქეთის მიუვალ, დაუსახლებელ ადგილებში. ასე გრძელდებოდა სამასი წლის განმავლობაში.

თურქებმა აჭარაში დაიწყეს მედრესეების აშენება, რომლებიც ატარებდნენ გათურქების პოლიტიკას. აღარ ისწავლებოდა ქართული წერა-კითხვა. სამწუხაროდ, აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების შემდეგაც თურქული სწავლება ხელუხლებელი დარჩა და ქართული წერა-კითხვა თითქმის საერთოდ არ ისწავლებოდა.

ქვემო აჭარაში იყო 39 ჯამე და 32 მედრესე, სწავლება მიმდინარეობდა არაბულ ენაზე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლებისთვისაც (მოლა-ხოჯებისთვისაც) გაუგებარი იყო.

„XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქედის რაიონში თითქმის აღარ იყო არც ერთი ეკლესია-მონასტერი. ცხმორისის წმინდა გიორგის ეკლესიამ XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება და ამ პერიოდიდან, უმრავლოდ და უფუნქციოდ დარჩენილი, ნანგრევებად იქცა". – წერდა ზ. ჭიჭინაძე.

თურქებმა მედრესეები ძველ ეკლესია-მონასტრებშიც გახსნეს. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ცხმორისის, აბუქეთის, კანტაურის, ტიბეთის, ნავანურის, ვაიოს, აქუცის, ქინძაკარავის, სამზიარის, ორთახოხნის მედრესეებს, რომლებიც ქრისტიანული ეკლესია-

მონასტრების შენობებში გაუხსნიათ, ან იმ შენობების საძირკველზე აუგიათ. ახალგაზრდებს მათთვის გაუგებარ ენაზე აზეპირებდნენ ლოცვებს. პატარებს უჭირდათ და მასწავლებლები მათ მიმართ სისტემატურად იყენებდნენ გაროზგვას. ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემის თანახმად, ქედაში 1770 წლიდან არსებობდა მუფთის სკოლა, რომელიც ხოჯებსა და მოლებს ამზადებდა. „პირველ კლასს ელიფ-ჯუზი ერქვა. (ელიფ – დასაწყისი, ჯუზი – ნაწილი). თანამედროვე თურქულით ბირინჯი სინიფს ეძახიან, მეორე კლასს ელჰემ ჯუზი რქმევია, მესამეს – თებარექ ჯუზი, მეოთხეს – კელისემ ჯუზი. შესაბამისად თანამედროვე თურქულით – იქინჯი სინიფ, უჩინჯი სინიფ, დორთინჯი სინიფ; როგორც ჩანს, ამ სახელებში თურქული რიგი ფიგურირებს, ბირ - ერთი, იქი - ორი, უჩ - სამი, დორთ - ოთხი.

მედრესეებში სწავლის უდიდესი სირთულე მშობლიური ენის უგულებელყოფაში იყო (მერი დიასამიძე, საუკუნის სკოლა, 2004 წ. გვ. 7).

მედრესეში ასწავლიდნენ ვაჟებს. (გოგონებს მხოლოდ 12 წლის ასაკამდე). ყველა მოლას თავისი ოთახი ჰქონდა და თავისი მოსწავლეები ჰყავდა. მოლები მედრესეებში ასწავლიდნენ თათრულს, რომელსაც მოსწავლეები ვერ გებულობდნენ, ამის გამო მოლა ახალგაზრდებს ხშირად ჯოხით სცემდა. შიშველი მუხლებით ქვის წვრილ კენჭებზე, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებზე დააჩოქებდა, ხშირად ფეხშიშველს გააჩერებდა თოვლში, ყინულზე, ხელს და ფეხს დაუსერავდა და მარილს დააყრიდა. თუ ბავშვი ვერ აიტანდა და იყვირებდა, მას ხოჯა ჩაამწყვდევდა მეჩეთის ქვეშ ბნელ ოთახში, სადაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მშიერ-მწყურვალს ამყოფებდნენ.

რა შედეგი მოსდევდა ასეთ სწავლებას?

პედაგოგი ს. კაიკაციშვილი წერდა: „ორი წელი დავდიოდი ამ სასწავლებელში და როგორც სხვებს, არც მე, არაფერი გამომიტანია, გარდა ზეპირი ლოცვებისა და მისი შესრულების წესებისა. ამ სასწავლებლის დანიშნულება მხოლოდ ეს იყო და მეტი არაფერი.”

ცხადია, უნდა ვენდოთ ცნობილი პედაგოგის შეფასებას, ის, რაც ქართულად არ ესმოდათ ბავშვებს, ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა მათ, გარდა იმისა, რომ შემდეგ ასევე უაზროდ ასრულებდნენ მაჰმადიანურ ლოცვებს.

„ქედაში, როგორც მთლიანად აჭარაში, მედრესეები ჯამეებთან არსებობდა და ისლამური სტრუქტურის მიხედვით, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი, ემორჩილებოდა შეიხულ – ისლამს. მედრესეები ადგილობრივი ხალხის ხარჯზე მოქმედებდა, შემოწირულობის (ვაყუფის – მ.დ) საშუალებით გროვდებოდა მათი შესანახი თანხა, მოსახლეობას ახდევინებდნენ აგრეთვე ნატურით, - სურსათსაც.

მედრესეში სწავლა იწყებოდა ათ საათზე და მთავრდებოდა ოთხ საათზე, შესვენება ჰქონდათ ერთხელ, ნაშუადღევს მეცადინეობის დამთავრებას აუწყებდა ხოჯა, კედელზე სამჯერ დარტყმით.

„ქედაში საშუალო ტიპის მედრესე ჯამესთან ყოფილა გახსნილი 1770 წლიდან და აქ ყოველწლიურად 1000-მდე მოსწავლე მზადდებოდა მოლად, ამ სკოლას აჭარის მუფთი მეთვალყურეობდა და ამიტომ მუფთის სკოლას ეძახდნენ. (ხ. ახვლედიანი, სახალხო განმანთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თბ. 1957 წ. გვ. 41).

ხოჯა-მოლების დიდი ნაწილი ფანატიკოსი მორწმუნეები იყვნენ და მოსახლეობას უქადაგებდნენ: „თქვენ თათრები ხართ და არა ქართველები, ქართული დაივიწყეთ და ის ენა ისწავლეთ, რომელიც ღვთის ენაა და რომლითაც ლაპარაკობდა ჩვენი მუჰამედი. მოლა პედაგოგი თავის შეგირდს უნერგავდა სიძულვილს ყველა იმ ერებისას, – წერდა ზ. ჭიჭინაძე, – ვინც მაჰმადის მლოცველნი არ არიან (მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, თბ. 1913 წ., გვ. 158), მაგრამ იყვნენ ქართულის კარგი მცოდნე და თავისი ქვეყნის ინტერესის დამცველი სასულიერო მოღვაწეებიც: სულეიმან

ბერიძე, მოლა ჰუსეინ ჩიკვაიძე, ჰაჯი ნური ჩიკვაიძე, ხოჯა მემედ ჩიკვაიძე, მოლა ალი დიასამიძე, მოლა აბდულ დიასამიძე, მოლა ჰუსეინ ჩიბურდანიძე და სხვები... სასულიერო უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული გულებელ ზაბით ეფენდი აბდი-აღა ოღლის (დიასამიძეს). მან სულთან აბდულ აზიზის დროს, შეიხულ ისლამის თანამდებობა მიიღო (ეს უმაღლესი სასულიერო თანამდებობა იყო თურქეთში). აბდულ დიასამიძემ სტამბოლში დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი მედრესის რელიგიის მრჩევლის სპეციალობით. ის პირველი მაისის და ჩაქვის ჯამეებში ხოჯად იყო;

თურქეთში მიიღო განათლება ზუნდაგელმა მემედ ვერძაძემ, რომელიც ეგვიპტის დიდ ჯამეში არაბულ ენაზე შარიათს (სამუსლიმო კანონს) ასწავლიდა. დერეხოხნის ხოჯა ალი-ეფენდი მახაცკაძე აცხადებდა, რომ ჩვენ გურჯები ვართ და ქართული წერა-კითხვა უნდა ვისწავლოთო.

ცნობილი მოგზაურის, თედო სახოკიას ცნობით, მოლას „ცემა ხელით და ჯოხით საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა სწავლების დროს, მშობელიც ამ აზრისა იყო, რომ თუ მოლას არა ცემით, ისე ბავშვი არ ისწავლიდა. ამ აზრით გათამამებული მოლა უფრო მკაცრობდა და რაც უფრო მკაცრი იყო, უფრო მეტი ფასი და სახელი ჰქონდა" (თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1985წ. გვ. 233).

„სოფელ საღორეთის მედრესეში, – ვკითხულობთ მოგონებებში, – არ იყო არც ერთი სკამი და მერხი. ხოჯა ასწავლიდა საღვთო რჯულს. ბავშვები ისხდნენ იატაკზე, ხოჯას ჰქონდა კარგი ტახტი, რომელზეც გაშლილი იყო კარგი ლეიბი და ზედ იჯდა ჯოხით ხელში. ჯოხი ისეთი გრძელი იყო, რომ ფეხზე აუდგომლად შორეულ კუთხეშიც გაეწკეპლა ბავშვები.

ბავშვები არაბულ ლოცვებს და სიტყვებს ზეპირად სწავლობდნენ. წიგნში წაკითხვა მეტ წილს არ შეეძლო.

„სამწუხაროდ, შვილების ასეთ „სწავლებას" მშობლებიც ურიგდებოდნენ, ოღონდ ძვლები არ დაემტვრიათ ბავშვებისათვის".

ძირითადად ამ სასწავლებლის დანიშნულება იყო ზეპირი ლოცვებისა და მისი შესრულების წესების შესწავლა.

აჭარის ოსმალთა უღლისგან განთავისუფლების შემდეგ უფრო გაძლიერდა ისლამისადმი სამსახური, მისი სწავლება და გაიზარდა მედრესეებისა და მეჩეთების რაოდენობა. ასეთ პირობებში, ცხადია, აჭარლები ვერავითარ განათლებას ვერ მიიღებდნენ და არც მიუღიათ. თუ ვინმეს სწავლა უნდოდა, ის თურქეთის სასწავლებლებში მიდიოდა. ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს აქუციდან გადასახლებულ ერთ პიროვნებას, ხოსროვ - ფაშას, რომელსაც ოსმალეთში მიუღია სწავლა-განათლება და დიდ მინისტრობამდე მიუღწევია. ის 1840 წლისათვის ინგლისში კონსულად ყოფილა და თურმე თავისი დიდი თანამდებობის მიუხედავად, აქაურ მოსახლეობას აფრთხილებდა: სამშობლოს ნუ დატოვებთ, ნუ წახვალთ საცხოვრებლად სხვა ქვეყანაშიო.

აჭარელთაგან ბევრი იყო თურქეთში სწავლა-განათლება მიღებული საკმაოდ ცნობილი პიროვნება შეიძლება დავასახელოთ ქართული ორიენტაციის ლომან-ეფენდი ქარცივაძე, ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი და სხვები, რომლებიც იბრძოდნენ იმისათვის, რომ აჭარაში საღვთო რჯულთან ერთად ესწავლათ ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

„1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის არმიისა და ჩვენი მხედრობის ერთობლივი გამარჯვებით, აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. ამ დღეზე ოცნებობდნენ ქართული ეროვნული იდეებით გამსჭვალული პატრიოტები: სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები, მემედ აბაშიძე, დედე ნიჟარაძე, აბდულ მიქელაძე, სულეიმან დიასამიძე, ყადირ შერვაშიძე, გულო დიასამიძე და სხვები, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების, მის მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგ-

ნების გაღვიძების, ქართული საქმის აღორძინების, ქართული სკოლების, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისა და საერთოდ, ხალხის სიღატაკიდან, სიბნელიდან და უმეცრებიდან გამოყვანისათვის" (ვ.წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002 წ., გვ. 37).

აჭარაში თურქთა გავლენის აღმოსაფხვრელად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სკოლების დაარსება და ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლა, რასაც საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მოლა-ხოჯები, ბეგები და თურქული ორიენტაციის შეძლებული ფენის წარმომადგენლები.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდი განმანათლებელი მემედ ბეგ აბაშიძე დიდ პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა მოსახლეობაში გაეღვიძებინა ქართული თვითშეგნება. „უნდა შევიტანოთ მათში ეროვნული შეგნება და მეტყველება, უნდა შევასწავლოთ სამშობლო ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია და უნდა შევქმნათ ისინი ქვეყნის ნამდვილ ღვიძლ შვილებად და ჭირსა და ლხინში გამოვიყენოთ". – წერდა მემედ აბაშიძე (მ. აბაშიძე, რჩეული ნაწერები, 1971 წ. გვ. 27).

დიდი ზრუნვა გასწიეს დედასამშობლოსთან აჭარის დასაბრუნებლად და მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისათვის ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გრიგოლ ორბელიანმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, პეტრე უმიკაშვილმა, სერგეი მესხმა, გიორგი ყაზბეგმა. ამათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაქარია ჭიჭინაძისა და პეტრე უმიკაშვილის ღვაწლი. ზაქარია ჭიჭინაძემ, 1895 წლიდან მოყოლებული, რამდენიმეჯერ შემოიარა აჭარა და უფასოდ ანაწილებდა წიგნებს მოსახლეობაში.

როგორც აბდულ მიქელაძის წერილებით და სხვა მასალებით ირკვევა, ქედაში პირველი ქართული სკოლა სავარაუდოდ, 1894 წელს გახსნილა, მაგრამ მალე გაუქმებულა. მოსახლეობის ერთი ნაწილი, ფანატიკოსი მუსლიმანები და თურქეთის აგენტები, წინააღმდეგი იყვნენ ქედაში ქართული სკოლის გახსნისა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეები საქართველოში და აჭარაში სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ნათლავდნენ თურქებად, რომ ხელი შეეშალათ სამუსლიმანო საქართველოსა და საქრისტიანო საქართველოს შორის კავშირის აღდგენა-განმტკიცებისათვის.

ბათუმის გუბერნატორმა მთავრობის სახელით გამოცხადებული კანონის მე-6 მუხლში შეიტანა დებულება: „ჯამეებთან მოეწყობა მედრესეები, როგორც იყო ძველად, რუსეთის მთავრობა გახსნის სკოლებს (რუსულს), მაგრამ იქ სწავლა ნებაყოფლობითი იქნება და დაძალებას ადგილი არ ექნება" (გაზეთი „გოლოსი", 1880წ., №230). გუბერნატორის ეს დებულება, სამუსლიმანო საქართველოსადმი თურქეთისთვის სასარგებლო იყო და მის წისქვილზე ასხამდა წყალს.

მეფის მთავრობა ყოველთვის ისწრაფოდა, ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის გამოვლინება, ატარებდა არარუსი ხალხების გარუსების პოლიტიკას.

1881 წლის 12 მარტს ილია ჭავჭავაძის და იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით ბათუმში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა მუსლიმანი ბავშვებისათვის.

ბათუმის მოწინავე ინტელიგენციის ენერგიული მუშაობის შემდეგ, 1897 წელს, გაიხსნა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1890 წელს – ქალთა გიმნაზია, ნებადართული იყო კერძო სკოლების გახსნაც.

1903 წლის 6 ოქტომბერს დაბა ქედაში გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, 1912 წელს – მახუნცეთში (ორივე რუსული სკოლა იყო), 1916 წელს კი სოფელ აგარაში გაიხსნა ქართული სკოლა. პირველი ორი სკოლა სახელმწიფომ გახსნა, მესამე საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ.

ერთ დიდ სკოლას უდრიდა თავად ზაქარია ჭიჭინაძის დაინტერესება აჭარაში, მათ

შორის ქედაში ქართული წერა-კითხვის სწავლებით. ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად სტუმრობდა აჭარას, როგორც აღინიშნა, ის უფასოდ უნაწილებდა მოსახლეობას წიგნებს, ხალხის დაახლოების მიზნით შედიოდა ჯამეებში, შესვლის წინ ფეხზე იხდიდა მათსავით. ხალხის გული მოიგო და მათი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ის აჭარის მოსახლეობის საყვარელი და ძვირფასი სტუმარი გახდა, მას სიამოვნებით ართმევდნენ წიგნებს და იწყებდნენ ქართული ანბანის სწავლას.

ქედის მაზრის უფროსის ნიკოლოზ ვოიჩეკის დიდი ზრუნვით ქედაში აშენდა ერთსართულიანი ქვის შენობა 120 მოსწავლისათვის, სკოლის მშენებლობაზე დაიხარჯა 8000 მანეთი. ქედის მაზრაში 2557 კომლიდან 2 წელიწადში სკოლისათვის შეგროვდა 4106 მანეთი და 10 კაპიკი, თითოეულმა კომლმა გადაიხადა 81 კაპიკი წელიწადში; სკოლის მშენებლობისათვის დიდი თანხა გადაუხდიათ: სოფ. ვაიოში თუთის საამქროს მფლობელს, ინჟინერ ალექსანდრე ლაზარის ძე ეფრემიდს (ბერძენს), სოლომონ მატვეის ძე მარკოზოვს (სომეხს), თუფან-ბეგ შერვაშიძეს, ალი-ეფენდი კონცელიძეს, იბრაიმ-ბეგ თულუმბაზადეს (ბეჟანიძე), ღურსუნ – ჩაუშბა ბაიაზელოღლის, კაპიტან ახმედ-ბეგს, ბატონ აბასოვს და სხვებს.

1903 წლის 6 ოქტომბერს საერთო განათლების სამინისტრომ ქედაში გახსანა საერობო ორკლასიანი რუსული სასწავლებელი, სწავლების ვადა იყო 5 წელი, პირველი სამი წელი პირველ კლასს ნიშნავდა, ხოლო მეოთხე და მეხუთე წელი მეორე კლასს. სასწავლებლის გამგედ დაინიშნა ქუთაისელი კონსტანტინე თეოხარის ძე კორნერი (მკურნალი), სასწავლებლის დამცველად დაინიშნა ბესარიონ გაბუნია, რელიგიის მასწავლებლად – დაუთ-ეფენდი დიასამიძე. სკოლის ექიმი იყო ნიკოლოზ შენგელია.

აბდულ მიქელაძის ცნობით, სკოლაში 1903 წელს დადიოდა 26 ბავშვი, 24 – ვაჟი და 2 გოგონა. სოფელ ძენწმანიდან დადიოდა 10-12 ბავშვი.

სკოლის მასწავლებლად ინიშნებოდნენ ქართული ენის უცოდინარი პირები. სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. სკოლაში ისწავლებოდა რუსული ენა (წერა-კითხვა), მაჰმადის რჯული, არითმეტიკა. ბავშვები ხუთი წლის ასაკიდან მედრესეში სწავლობდნენ, სადაც ასწავლიდნენ არაბულ და ოსმალურ ენებს, სკოლაში კი რუსული ენის შესწავლას იწყებდნენ. სამი არამშობლიური ენის შესწავლა კი ურთულესი იყო.

განსაკუთრებით დიდი პატივისცემა და მშობლებისა და მოსწავლეების სიყვარული დაიმსახურეს ქედის სკოლის პირველმა მასწავლებელმა 1903-1905 წ.წ. კონსტანტინე მკურნალმა და რელიგიის მასწავლებელმა - 1903-1923 წლებში დაუთ-ეფენდი დიასამიძემ, რომელიც 1923 წელს ბათუმის შარიათის ყადად აირჩიეს. ის ხუთი წლის განმავლობაში სწავლობდა სტამბოლში, დაამთავრა მუფთის უმაღლესი სასწავლებელი. კაგად იცოდა რამდენიმე უცხო ენა, ჩვენი ქვეყნის ისტორია. ის მქადაგებელი იყო ქართველ ქრისტიანთა ერთობისა. 1929 წ. სრულიად უდანაშაულო დააპატიმრეს და „სამეულის" განაჩენით 10 წლით ციმბირში გაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

კ. მკურნალმა წელიწადნახევარში ორმოცდაათ ქედელს შეასწავლა რუსული და ქართული წერა-კითხვა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებში მშვიდობიანობისა და დაახლოებისათვის კეთილთანაცხოვრებისათვის, ის 1904 წლიდან იყო ქედაში შექმნილი სოციალ-დემოკრატიული წრის აქტიური წევრი და ხელმძღვანელი; ამ წრის წევრები იყვნენ: სერდალ, ხუსეინ და მემედ დიასამიძეები, ოსმან ყავაზოღლი (დუმბაძე), ექთანი გიორგი სალუქვაძე, კანცელარიის მწერალი ლ. მენაბდე. მათი ხელმძღვანელობით 1905 წ. თებერვალში ქედაში ჩატარდა ორიათას კაციანი მიტინგი. 1904 წლის ბოლოს კ. მკურნალი, როგორც რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ხალხში ეროვნული შეგნების გავრცელების ორგანიზატორი, მასწავლებლობიდან დაითხოვეს.

1913 წელს სკოლები გაიხსნა მერისში და მახუნცეთში. მერისის ქართული სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: ივანე ღლონტი, ბენია გიორგაძე. მახუნცეთის რუსულ სკოლაში კი – ირაკლი აფხაზავა და მარო ცაგარეიშვილი. მერისის სკოლა მალე დაიხურა.

1913 წელს ქედის მაზრაში იყო 62 მედრესე, სადაც რელიგიურ განათლებას ღებულობდა 1537 ახალგაზრდა.

„ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების" აქტიური მუშაობის შემდეგ 1916 წელს აჭარაში გაიხსნა 6 პირველდაწყებითი ქართული სკოლა, მათ შორის პირველი იყო ქედის რაიონის სოფ. აგარაში, სადაც პირველი მასწავლებელი იყო ნიკიფორე გეგელია. როცა ქედაში სამინისტროს მიერ გახსნილ სკოლაში იყო 11-15 მოსწავლე, აგარის ქართულ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 30-დან 83-მდე ავიდა. გაიხსნა აგარაში გოგონათა კლასი, სადაც დაინიშნა ქალი მასწავლებელი ნინა იორაშვილი.

ახალი ადმინისტრაციული მოწყობა

მეფის მთავრობა ახალშემოერთებულ ტერიტორიებზე დიდ ყურადღებას აქცევდა გზებისა და ხიდების მშენებლობისას.. 1878 წელს დაიწყო ბათუმი-ახალციხის 180 კილომეტრიანი გზის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1897 წლის ზაფხულში, მარტო ქედის მაზრის ტერიტორიაზე აშენდა 11 რკინის ხიდი. მათ შორის ცხმორისის თაღიანი ხიდი, 42 მეტრის სიგრძისა.

ოსმალთა განდევნის შემდეგ აჭარაში გუბერნატორის ბრძანებით ამოქმედდა ახალი ადმინისტრაციული მოწყობა. 1879 წლის 5 თებერვალს შეიქმნა ქედის და ცხმორისის სამხედრო-საპოლიციო უბნები. ამგვარად – ცხმორისი სამაზრო ცენტრს გაუთანაბრდა.

„1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და ის ორ „ოკრუგად" (ართვინისა და ბათუმის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წელს ეს „ოკრუგები" კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ აღადგინეს „ბათუმის ოლქი". ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის ცენტრი იყო ალამბარი, გონიოს უბნისა – ზემო მარადიდი, ზემო აჭარისა (დიდაჭარა, ჭვანა და სხალთის სასოფლო საზოგადოებები). – ხულო, ქვემო აჭარისა (ქედის, ხერთვისის და ცხმორისის სასოფლო საზოგადოებები) – ქედა. ბათუმის ოლქში შემავალი უბნები გეოგრაფიულ და მეურნეობრივ მთლიანობას ქმნიდა, რამდენადაც მათი საზღვრები ქვეყნის ბუნებრივ გეოგრაფიულ დაყოფას ემთხვევოდა. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, 2007 წელი გვ. 103, 104).

1900 წლის 22 ივლისს კავკასიის მთავარმმართებელმა გოლიცინმა დაამტკიცა დებულება ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის შესახებ, „რუსეთის ხელისუფლებამ სოფლად 1900 წლამდე შეინარჩუნა ოსმალური მმართველობის წესები, 1900 წლის 22 ივლისს გამოვიდა დებულება ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის შესახებ. რომლის თანახმად დაწესდა სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი ფორმები, სასოფლო მმართველობა ორ საფეხურიანი გახდა. პირველ საფეხურს შეადგენდა სასოფლო საზოგადოება, მეორეს სასოფლო ოკრუგი. სასოფლო საზოგადოებაში ერთი მსხვილი, ან რამდენიმე პატარა დასახლებული პუნქტი შედიოდა. სასოფლო ოკრუგი რამდენიმე მსხვილ და წვრილ სოფელს აერთიანებდა" (პროფესორი ო. თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940 წ.წ.) გვ. 111).

1917 წელს ქედის მაზრა იყოფოდა სამ სასოფლო ოლქად – ქედის, ცხმორისის და ხერთვისის. ქედის სასოფლო ოლქში შედიოდა აჭარისწყლის მარცხენა ნაპირის სოფლები: ბზუბზუ, ორთახოხნა, დერეხოხნა, კორომხეთი, ძენწმანი, შევაბური, ალიქოღლები, მეძიბნა, მერისი, ქედა, აქუცა, ორცვა, ვაიო, კვაშტა, კანტაური, აბუქეთა.

ცხმორისის სასოფლო ოლქში შედიოდა აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროს სოფლები: დოლოგანი, ჭინკაძეები, ზუნდაგა, მახუნცეთი, საღორეთი, აგარა, ცხემნა, ზენდიდი, ზესოფელი, ზვარე, ვარჯანისი, წონიარისი, ახო, გეგელიძეები, და მარცხენა სანაპიროდან ცხმორისი, კოკოტაური, დანდალო.

დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლები: ჭალახმელა, უჩხითი, ნამლისევი და მილისი შედიოდა ხერთვისის სასოფლო ოლქში (კავკაზსკი კალენდარი, 1917 წ. გვ. 27-28, რუს.) მაჭახლის ხეობა შედიოდა ქედის მაზრაში.

Нижне-Аджарскій участокъ (сел. Кеды).

Кедскій сельскій округъ.

Абукеты сел.
Акуца сел.
Аликъ-оглы сел.
Бзубзо сел.
Вайо сел.
Гогадзе (Шотидзе) сел.
Дере-Хохна сел.
Дзенцмани сел.
Кака-оглы сел.
Кантаури сел.
Квашта сел.
Кеды сел.
Коромхети сел.
Медзибна сел.
Мериси сел.
Орта-Хохна сел.
Орцва сел.
Самзіаръ (Шавабури) сел.

Хертвисскій сельскій округъ.

Аджарисъ-Агмарти сел.
Акрія сел.
Гвара сел.
Горгазеты сел.
Ефратъ сел.
Зедъ-Ваке сел.
Зеда-Хертвиси сел.
Капнистави сел.
Квабисъ-Тави сел.
Кведа-Хертвиси сел.
Кедъ-Кеда сел.
Кибе сел.

აფაჩის ან ჭაკვრობის საკვლევარ-ძიებლობა-
საარქივო საშტატოვლოო.
ასლი: კავკასიური კალენდარი, 1917 წ.
2015 წ.

Кирнати сел.
Кобалеты сел.
Маглакони сел.
Мачахлисъ-Пири сел.
Милиси сел.
Миндіети сел.
Намлисеви сел.
Сапуткрети сел.
Синдіети сел.
Учхеты сел.
Цхемлала сел.
Чалахмела сел.
Чаниври сел.
Чикунети сел.
Чхутунеты сел.

Цхморисскій сельскій округъ.

Агара сел.
Ахо сел.
Варджаниси сел.
Гегелидзе сел.
Дандало сел.
Дологани сел.
Зваре сел.
Зендиди сел.
Зесопели сел.
Зундага сел.
Кокотаури сел.
Махунцети-Супла сел.
Махунцети-Улья сел.
Сагорети сел.
Цоніариси сел.
Цхемла сел.
Цхмориси сел.
Чинкадзе сел.

აფაჩის ან ჭაკვრობის საკვლევარ-ძიებლობა-
საარქივო საშტატოვლოო
ასლი: კავკასიური კალენდარი, 1917 წ.
2015 წ.

ქედის ხიდი მდინარე აჭარისწყალზე 1923 წელს. ხიდზე დგას მილიციის უფროსი მურად ბერიძე

1921 წლის 22 დეკემბრის „წითელი მეჯლისის" დადგენილებით აჭარის ავტონომია დაიყო 5 მაზრად, ქედის მაზრა გაიყო სამ სასოფლო თემად. მაზრაში ითვლებოდა 38 სოფელი, 1734 კომლი, 10549 სული. ქედის თემში შედიოდა 22 სოფელი, 892 კომლი, 5731 სული, მერისის თემში შედიოდა ექვსი სოფელი, 283 კომლი, 1607 სული, ცხმორისის თემში შედიოდა 10 სოფელი, 559 კომლი, 3211 სული (დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის და დოლოგნის თემების სოფლები შედიოდა აჭარისწყლის მაზრაში).

გლეხთა მოძრაობა ქედის მაზრაში XX საუკუნის დასაწყისში

კავკასიის მთავარმართებლის 1879 წლის 9 მაისის სპეციალური ინსტრუქციით ბათუმის ოლქში რვა სიტყვის სასამართლო შეიქმნა, განისაზღვრა მათი შემადგენლობა და უფლება-მოვალეობა.

სიტყვიერი სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეს მთავრობა ნიშნავდა. სიტყვიერი სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ: სამხედრო გუბერნატორები, ოკრუგის უფროსები, საპოლიციო უბნის უფროსები.

აჭარაში თურქთა ბატონობა შეიცვალა რუსეთის მეფის მთავრობის არანაკლებ მკაცრი ბატონობით, აუტანელი გადასახადებითა და სისასტიკით.

სიტყვიერი სასამართლოების დეპუტატები ხალხს უნდა აერჩია ფარულად, მაგრამ მოსახლეობას ფაქტობრივად არავინ არაფერს ეკითხებოდა. გაზეთი „ივერია" 1904 წლის ნოემბერში იტყობინებოდა ქვემო აჭარაში „სლოვენსისუდის" არჩევნების შესახებ. ცუდ ამინდში ქედაში სხვადასხვა სოფლებიდან შეკრებილ მოსახლეობას მეფის რუსეთის მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეებმა გამოუცხადეს თავიანთი კანდიდატები. სასამართლოებში საქმის განხილვა ხდებოდა როგორც წერილობით, ისე ზეპირად. სიტყვიერი სასამართლო საქმეების განხილვა მუსლიმანური რელიგიის კანონმდებლობის – „შარიათის" საფუძველზე ხორციელდებოდა.

დავით კლდიაშვილი აღწერს კავკასიის მოხელეების, კერძოდ, მთავარმმართებელ გოლიცინის უშუალო მონაწილეობას ფირალების – ქედელი მევლუდ დიასამიძისა და ფურტიოელი ილიასა ხელაძის ბედის გადაწყვეტაში. მევლუდ დიასამიძე ადრე პოლიციელად მუშაობდა, ბრალად დასდეს ვინმე მგზავრის გაძარცვა და დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიქცა და ფირალად გავიდა. ის მთავრობამ შეიპყრო და ბათუმში გაასამართლა.

რუსული სასამართლოს სახეს წარმოაჩენს საინტერესო ფაქტი, რომელსაც თავის მოგონებაში იხსენებდა მწერალი დავით კლდიაშვილი. ის იყო ამ პროცესის ერთერთი თარჯიმანი. სასამართლოს თავმჯდომარეს დაევალა მევლუდ დიასამიძისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა (ჩამოხრჩობა), მაგრამ მოხდა ისე, რომ ბრალდებულს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ამ ფაქტმა გოლიცინი გააცოფა, პეტერბურგის უმაღლეს სასამართლოს განაჩენი შეაცვლევინა და მევლუდ დიასამიძე ჩამოახრჩვეს. (დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984 წ., გვ.31-32)

აჭარის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ ფაქტობრივი მასალები მოცემულია აკადემიკოს ა. გუგუშვილის მიერ შეგროვილ და გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და მასალებში, მემედ აბაშიძის პუბლიცისტურ წერილებში. ამ მხრივ საყურადღებო ცნობები აქვთ ზ. ჭიჭინაძეს და თ. სახოკიას.

გლეხთა მოძრაობის ზოგიერთი საკითხი განხილულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემულ საიუბილეო კრებულში, ი. ჩულოკის, პ. ცქვიტარიას და ხ. ახვლედიანის ნაშრომებში.

გლეხობას ცხოვრება მძიმე ეკონომიურ პირობებში უხდებოდა, საშუალოდ ერთი გლეხი ფლობდა 1 დესტინა მიწის ნაკვეთს.

ოსმალთა იმპერიაში მიწები კატეგორიებად იყოფოდა. 1837-1870 წლების რეფორმის შედეგად იქ მიწის სამი კატეგორია დამტკიცდა: 1. ერაზი – ძირი – სახელმწიფო ან სახაზინო მიწები, 2. მულქი – კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები, 3. ვაყუფი – მუსლიმანური რელიგიური დაწესებულებების მიწები. ფ. ენგელსის განმარტებით, „აღმოსავლეთში პირველად თურქებმა შემოიღეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთგვარი მიწათმფლობელური ფეოდალიზმი.”

თურქთა ბატონობისგან აჭარის განთავისუფლებისთანავე მეფის მთავრობამ აჭარის მიწები ხაზინის საკუთრებაში მოაქცია. აჭარის აღა-ბეგები ანუ ფეოდალები მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ ისინი აჭარის მიწების 65 პროცენტს ფლობდნენ.

1905 წლის 7 აპრილს გაზეთ. „ჩერნომორსკი ვესტნიკში” ქედის სკოლის პირველი მასწავლებელი კონსტანტინე მკურნალი ქედიდან იტყობინებოდა, რომ აჭარელი გლეხები ძალზე ცუდად იკვებებიან, ხორცს მხოლოდ დღესასწაულის დღეებში ჭამენ, იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც 3-4 ფრთაზე მეტი ქათამი ჰყავდეს. ერთ გლეხს ან ერთი თხა ჰყავს, ან მცირე რაოდენობის მსხვილფეხა საქონელი. გლეხობას მცირემიწიანობის გამო საქონლის საკვები არ მოეპოვება, მარცვლეული 3-4 თვესაც არ ჰყოფნით, მარცვლეულს ყარსის ოლქიდან და ახალციხიდან, ან სხვა მხარეებიდან ეზიდებიან. გლეხობა სურსათის საძებნელად სამუშაოს სხვაგან ეძებს, ან სანახევროდ იჯარით ამუშავებს მდიდრების მიწებს.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა და მოსახლეობას განუცხადა, რომ გადასახადები იგივე რჩება, რაც თურქეთის მთავრობის დროს იყო დაწესებული. ყველაზე რთული იყო „აშარის” სახელით არსებული გადასახადი, რაც მოსავლის მეათედს ნიშნავდა. აშარით განსაზღვრული პროდუქტი გლეხს უფასოდ უნდა მიეტანა დანიშნულ ადგილზე, რომელიც ზოგჯერ 50 ვერსით იყო დაშორებული.

აშარის ნაირსახეობას წარმოადგენდა საძოვარზე ან საბალახოზე დაწესებული გადასახადი, რომელიც ცნობილი იყო რუსუმათ – აშარის სახელწოდებით. თითოეულ მსხვილფეხა საქონელზე მოსახლეობა 20 კაპიკს იხდიდა, ხოლო წვრილფეხზე – 15 კაპიკს.

საადგილმამულო აშარის გარდა, გლეხობა იხდიდა საკომლო ფულად გადასახადს, რომელსაც სალიანი ეწოდებოდა და წლიურად ერთ კომლზე 50 კაპიკს შეადგენდა.

1900 წლის 22 ივლისს, როგორც ვთქვით, კავკასიის მთავარმმართებელმა სოფლის მმართველობის შესახებ ახალი დებულება დაამტკიცა.

ოსმალური მუხტარის თანამდებობის ნაცვლად, რომელსაც გადასახადების აკრეფა ევალებოდა, შემოიღეს მამასახლისის ინსტიტუტი. გლეხობას ევალებოდა, სოფლის მმართველობისათვის შენობის აგება, უზრუნველყოფა გათბობა-განათებით და ხელფასით, რაც ქედის მაზრაში შეადგენდა 3000 მანეთს.

გლეხობისათვის მძიმე იყო სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადასახადი. მთავრობა აჭარის მოსახლეობას უნდობლად ეკიდებოდა და ისინი სამხედრო სამსახურში არ გაჰყავდათ, სამაგიეროდ, სპეციალურ გადასახადს ახდევინებდნენ.

მძიმე იყო ტყის სარგებლობაზე დაწესებული გადასახადი. გლეხს 100 ცალ ყავარზე 3 მანეთამდე უნდა გადაეხადა. ასევე დაწესებული იყო ბაჟი ნავთზე, სააქციო გამოსაღები თამბაქოზე. აჭარის სოფლებში ერთი ფუთი ნავთი ღირდა 1 მანეთი და 20 კაპიკი, ზოგჯერ ორ მანეთამდე.

გლეხობისათვის აუტანელი იყო მუსლიმანური სარელიგიო დაწესებულებების (ჯამეები, მედრესეები და სხვა) აგებისა და მოვლის, აგრეთვე მუსლიმანური სასულიერო წოდების შენახვის ხარჯები. ხოჯისთვის ვახშმის რიგრიგობით მიტანა, აგრეთვე სასულიერო წოდების მოვლის გასამრჯელოს (წლიურად 3 მანეთი) გადახდა.

1897 წელს აჭარაში სახელმწიფო მნიშვნელობის გზებსა და ხიდებზე სამუშაოდ 13268 კაცი გამოსულა, რომლებსაც 732 ურემი ხარ-კამეჩი და 952 ცხენი გამოუყვანიათ, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 12124 მანეთი შეადგინა.

საუფლისწულო უწყებამ თავის საკუთრებაში მოაქცია აჭარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი მოიცავდა ჩაქვის მთლიან ხეობას და ქვემო აჭარის მთიანი ზონის დიდ ნაწილს. აქ მდებარე მდელოებსა და საძოვრებს დასაბამიდან სარგებლობდნენ ჩაქვისა და ყოროლისწყლის ხეობის, აგრეთვე ქვემო აჭარის სოფლები: ზუნდაგა, მახუნცეთი, საღორეთი, აგარა, ზესოფელი, ზენდიდი, გულები, ზვარე, ვარჯანისი და წონიარისი (ო. თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, 1979წ.)

ზემოთ დასახელებული სოფლების მოსახლეობას მთავრობამ აუკრძალა აღნიშნული საძოვრებით სარგებლობა.

1902 წლის აგვისტოში ზუნდაგის, საღორეთისა და აგარის გლეხობამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის მოხელეებს, მახუნცეთის მახლობლად ბერდენკებით შეიარაღებულმა ხალხმა განაიარაღა მეფის მთავრობის მოხელეები. შეშინებული მოხელეები დამფრთხალი დაბრუნდნენ ჩაქვში.

1902 წლიდან აჭარის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ბათუმში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, გაჩაღდა აქტიური რევოლუციური მუშაობა მუშებთან და გლეხებთან.

1902-1904 წლებში სოციალ-დემოკრატიული წრეები ჩამოყალიბდა მახუნცეთსა და ქედაში. მახუნცეთში წრეს ხელმძღვანელობდნენ სულეიმან დიასამიძე და ნ. სანაძე. გიორგი სალუქვაძემ სოფელ გულებში სერდალ დიასამიძის სახლში არალეგალური კრება მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ რევოლუციონერი გლეხები ზვარიდან, ზენდიდიდან, მერისიდან, ვაიოდან და სხვა სოფლებიდან. 1905 წლის 1 თებერვალს ქედაში ახლომახლო სოფლებიდან თავი მოიყარა 2000-ზე მეტმა გლეხმა, გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. გლეხებმა მკაცრად გაილაშქრეს არსებული წყობილებისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ, მეფის მოხელეებს ბრალს სდებდნენ მექრთამეობაში და თვითნებობაში. საუბარი იყო უმიწობასა და მძიმე გადასახადებზე. „ბოლოს ერთხმად გადაწყვიტეს კოლექტიური ბოიკოტი გამოეცხადებინათ სოფლის მოხელეებისათვის. მიტინგის შემდეგ გლეხებმა გაჩხრიკეს ქედისა და ცხმორისის კანცელარიები, პირველში აღმოჩნდა 42 დაშაშხული ქათამი, ბევრი ნიგოზი, ვაშლი, სხვა ხილი და სანოვაგე. თითქმის იგივე განმეორდა ცხმორისის კანცელარიაშიც. ცხადია, ეს იყო გლეხობისაგან აღებული ქრთამი (პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, 1890-1914 წ.წ გვ. 187).

1905 წლის თებერვალში სოფელ ახოში გლეხები ერთსულოვნად გაიფიცნენ, უარი განაცხადეს ტყის ბაჟის გადახდაზე, მოკვლით დაემუქრენ ტყის მცველს, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. მთავრობამ ამის გამო 12 გლეხი დააპატიმრა. სასტიკი წამების გამო სამი მათგანი ჭკუაზე შეიშალა და მალე გარდაიცვალა. სოფლების დიდ ნაწილში მამასახლისები მოსახლეობის მხარეზე იყვნენ და იცავდნენ მათ ინტერესებს,

ამ მხრივ გამორჩეული იყო ცხმორისის მამასახლისი 1900-1921 წლებში, ხასან აბაშიძე.

1905 წლის გლეხთა აჯანყების ცენტრად დაბა ქედა და სოფელი გულები გადაიქცა, გლეხებმა აჯანყების ხელმძღვანელებად აირჩიეს: სერდალ დიასამიძე, მემედ ცინცაძე, ხუსეინ დიასამიძე, მურად ბერიძე, ოსმან ბასილაძე, დაუთ თურმანიძე, სულეიმან დიასამიძე და სხვები, რომლებსაც ხალხში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. ამ აჯანყების დროს განსაკუთრებით აქტიურობდა ქედის სკოლის მასწავლებელი კ. მკურნალი. აჯანყების დამთავრების შემდეგ მასწავლებელი კ. მკურნალი სამუშაოდან დაითხოვეს და 1906 წლიდან ბათუმში ცხოვრობდა.

ქედის მაზრის ყველა სოფელში ჩამოყალიბდა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც ათეულებად და ასეულებად იყო დაყოფილი, შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: მურად ვარშანიძე, სერდალ დიასამიძე, იასონ ხუხუნაიშვილი, ყარამან დიასამიძე და სხვები. ამ ჯგუფმა სამხედრო საწყობიდან გამოიტანა 18 ყუთი ტყვია-წამალი. აქედან 6 ყუთი გადასცეს ქედის აჯანყების ხელმძღვანელებს.

7 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მასში მონაწილეობდა 2000 გლეხი. აჯანყებულები მოითხოვდნენ სასოფლო ოკრუგების სამმართველოების გაუქმებას, გლეხთა განთავისუფლებას მათი შესანახი ხარჯებისაგან, რაც 1 მანეთს და 20 კაპიკს შეადგენდა. მოითხოვდნენ მამასახლისის თანამდებობის გაუქმებას და მუხტარის თანამდებობის აღდგენას.

აჯანყებულებმა 8 თებერვალს დაარბიეს ცხმორისის სასოფლო ოკრუგის კანცელარია, ხოლო 9 თებერვალს – ქედის საპოლიციო უბანი და სასოფლო ოკრუგის სამმართველოს კანცელარია. მომდევნო დღეებში აჯანყებულთა რაოდენობამ 4-5 ათას კაცს მიაღწია. 10 თებერვალს ქედაში ჩავიდა ბათუმის ოკრუგის უფროსი ჩერნოვი. 11 თებერვალს ქედის ხიდთან კვლავ შეიკრიბნენ აჯანყებულები. მასწავლებელმა კ. მკურნალმა ჩერნოვს გააცნო ხალხის მოთხოვნები: ჩერნოვი აჯანყებულებს დაჰპირდა ზოგიერთი მოთხოვნის შესრულებას, მაგრამ სასოფლო ოკრუგის დახურვაზე უარი განუცხადა. 12 თებერვალს აჯანყებულები კვლავ შეიკრიბნენ ქედის ხიდთან. დასაშოშმინებლად ხალხს მთავრობამ მიუგზავნა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი და თუფან-ბეგ შერვაშიძე, მაგრამ ხალხი მათ გამოჩენაზე უფრო აგრესიული გახდა.

19 თებერვალს ბათუმიდან ქედაში გაიგზავნა შეიარაღებული კაზაკთა რაზმი ჩერნოვის მეთაურობით. 20 თებერვალს ცხმორისში ასული კაზაკთა რაზმი სოფელ ცხმორისში სოფლის მამასახლის ხასან აღა აბაშიძესთან დარჩნენ. მისი დამსახურება იყო, რომ ამ დროს სოფელ ცხმორისიდან კაზაკებს არავინ დაუპატიმრებიათ. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა აჯანყებულებს სთხოვა, ჯართან შეტაკებაში არ ჩაბმულიყვნენ. დააპატიმრეს აჯანყების 100-ზე მეტი მონაწილე. 30 კაცი კავკასიიდან გაასახლეს. 22 თებერვალს აჯანყება დამარცხებით დამთავრდა.

მთავრობამ გლეხთა მოთხოვნის უმნიშვნელო ნაწილი შეასრულა, შემცირდა სოფლის ოკრუგების სამმართველოების, მამასახლისების წლიური ჯამაგირი, რომელიც განისაზღვრა 1000 მანეთით.

პირველი მსოფლიო ომი და აჭარა

თურქები ვერ ეგუებოდნენ 1877-1878 წლების ომში დამარცხებას და ემზადებოდნენ ახალი ომისათვის. მათ ამის საშუალება მიეცათ პირველი მსოფლიო ომის დროს.

1914 წლის ოქტომბრის ბოლოს ართვინისა და გონიოს უბნებზე იერიში მიიტანეს თურქეთის მესაზღვრეებმა, თურქებმა ისარგებლეს მოულოდნელობით, უკუაქციეს რუსი მესაზღვრეები და შეტევა განავითარეს ქ. ართვინის მიმართულებით. ნოემბრის თვეში თურქები უკვე აჭარაში შემოიჭრნენ და ცეცხლს მისცეს ყველაფერი.

ჯერ კიდევ თურქთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციამდე, აჭარის მოსახლეობამ ითხოვა, მათთვის მიეცათ იარაღი მტრის შემოჭრის შემთხვევაში წინააღმდეგობის გასაწევად, მაგრამ მეფის ხელისუფლებამ მოთხოვნა უარყო. ამან ხალხის გულისწყრომა გამოიწვია. მოსახლეობა უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ სამხედრო ხელისუფალნი აჭარიდან უკანდახევის დროს წვავდნენ არა მარტო სამხედრო უწყების ქონებას, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის ქონებასაც და ხალხს მტრის ხელში ტოვებდნენ. გარდა ამისა, მეფის რუსეთის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ჯარის ნაწილების საკვებით უზრუნველყოფა ადგილობრივ მოსახლეობას უხდებოდა. სამხედრო ხელისუფალთა უკანონო მოქმედება მოსახლეობამ გააპროტესტა, მაგრამ მთავრობას ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად არსებითად არაფერი გაუკეთებია. ყოველივე ეს თურქებმა და საქართველოს ნაციონალისტურმა პარტიამ აჭარელთა ჩამორჩენილ ნაწილში რელიგიური ფანატიზმის გასაღვივებლად და ანტირუსული პროპაგანდისათვის გამოიყენა.

ჭოროხის ხეობით მდ. აჭარისწყლის შესართავთან ოსმალებმა მოქმედება განავითარეს ორი მიმართულებით – ბათუმის და ზემო აჭარისაკენ. ამ უკანასკნელზე შემტევი რაზმი, რომელსაც გერმანელი ოფიცერი მეთაურობდა, ნოემბრის დამლევს ქედაში შევიდა. დეკემბრის დასაწყისში მოწინააღმდეგის 1000 კაციანმა რაზმმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ხულო. ზემო აჭარის უბნის ადმინისტრაციამ „ჩეთეს" შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა ხულო და ახალციხეში გადავიდა. ზემო აჭარაში ფეხის შედგმისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს, ჩაწერილიყვნენ „ჩეთეში" და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა ამას მნიშვნელოვანი წარმატება არ ქონდა.. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, 2008 წ., გვ. 363.).

შეშინებული მოსახლეობის ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შეაფარა თავი. 1915 წლის თებერვალ-მარტში, უკან დახევის დროს, ოსმალებმა იძულებით წაიყვანეს ოსმალეთში „მოსახლეობის ნაწილი თვითონ გაერიდა საომარი მოქმედების ასპარეზსს და რუსეთის ჯარისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად მიატოვა სახლ-კარი, ამ მხვრივ განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო თემი). საიდანაც 7000-მდე სული გადაიხვეწა. მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ საომარი მოქმედების, ხოლო შემდეგ რუსთა ჯარებისაგან. უკანასკნელებმა სოფელ აჭარისაღმართში – 41 კომლიდან ყველა გადაწვეს. სოფელ ქედქედში – 20 კომლიდან 2, სოფ. მაღლაკონში – 10-დან – 8, სოფელ უჩხითში – 50-დან 9, სოფ. კირნათში – 47-დან 7 და ა.შ. სულ ხერთვისის თემში ომამდე ითვლებოდა 786 კომლი, მათგან გადაწვეს 196 სახლი, გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი". (სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა III - 2008 წ. გვ. 370-373).

აჭარაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ მოსახლეობას დაურიგა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათასი რუბლი ფული. ეს დახმარება არ იყო საკმარისი, მაგრამ მას მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ქართული პრესის ძველი კორესპონდენტი ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზ. „თანამედროვე აზრს" სწერდა: ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახო-

ცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან. გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნალია სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი – მალამოა."

ასეთ ვითარებაში საჭიროდ ჩაითვალა აგრეთვე მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალთან, ამიტომ 1916 წლის 2 მარტს ბათუმიდან მატარებლით თბილისში ჩავიდა 20 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია შემდეგი შემადგენლობით: ქობულეთიდან ღრმად განათლებული სასულიერო პირი ისკენდერ ცივაძე, რეჯებ ნიჟარაძე (ბეგი, სოფ. ალამბრიდან), ყემბერ ხარაზი (მემამულე სოფ. კომაროვსკიდან), რეჯებ შაშიკოღლი (შაშიკაშვილი, მილიციის უფროსი, (სოფ. ორთაბათუმიდან), მარადიდიდან – ისაკ ხალვაში, აზნაური, ჰაიდარ ბიბინ-ზადე (ბიბინეიშვილი, ბეგი სოფ. ერგედან), ზემო აჭარიდან – თემურ ხიმშიაშვილი (ბეგი, სამხედრო მოსამსახურე სოფ. სხალთიდან), ხასან ირემაძე (დელეგაციის უხუცესი წევრი, 85 წლის, სოფ. ღორჯომიდან), ჯაფარ მიქელაძე (გლეხი სოფ. ნენიიდან), ქვემო აჭარიდან – ხუსეინ ბეჟანიძე (ბეგი, სოფ. ზენდიდიდან), იმჟამად სოფ. ცხმორისის მამასახლისი, ხასან აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე (ბეგი სოფ. ქედიდან), შუქრი თურმანიძე, შავშეთ-იმერხევიდან – ოსმან კურდუკიძე (ალბათ ქურციკიძე), თორუნ ფანჯიძე, ჰემზი ყუმაძე, შევქეთ გოგორაძე, ასლან ჯიჯავაძე, ჰაჯი შაქირ ჩხაიძე, მოლა მემედ დოლიძე და არტანუჯიდან შერიფ გეგელიძე; დეპუტაციას თბილისში შეხვდა მემედ აბაშიძე, რომელიც ხელისუფლების მიერ ამ დროს ბათუმიდან ადმინისტრაციული წესით იყო გასახლებული (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, 2008 წ., გვ. 390.). 3 მარტს დეპუტაცია წარუდგინეს მეფისნაცვალ ნ. რომანოვს. რომანოვმა დეპუტაციის წევრებს მადლობა გამოუცხადა ყურადღებისათვის. დეპუტაციამ მოითხოვა

აჭარის დეპუტაცია რომანოვების დინასტიის დაარსების 300 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში საზეიმო შეხვედრაზე, 1913 წლის 20-21 თებერვალი. მეორე რიგში მაცხნიდან პირველი თოფან ბეგ შერვაშიძე.
აღნიშნული სურათი 1916 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება" №11 გვ. 3-5 ი. არიმათიელის წერილი „ჩატეხილ ხიდზე" გამოქვეყნდა არასწორად, ფაქტიურად სურათი გადაღებულია 1913 წელს, ამას ისიც ადასტურებს, რომ 1913 წელს სურათში არის თუფან ბეგ შერვაშიძ4ე, ხოლო 1916 წლისათვის თუფან ბეგ შერვაშიძე ცოცხალი აღარ იყო.

უკან დაბრუნების ნება მიეცათ საომარი მოქმედებების დროს ოსმალეთში გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველებისათვის, ასევე, სამშობლოში დაებრუნებინათ მთავრობის მიერ გადასახლებულები, მათ ადგილებზე არ ჩაესახლებინათ ჩამოსული პირები

და შეღავათი მიეცათ მსჯავრდებულთათვის. მეფისნაცვალმა დეპუტატებს დიდი ყურადღებით მოუსმინა და შემწეობა აღუთქვა.”

ქარველ მაჰმადიანთა დეპუტაციის მეფის ნაცვალთან შეხვედრის შემდეგ აჭარლების მიმართ კამპანია „მოღალატეობაზე” შესუსტდა.

თურქეთის არმიის პირველმა წარმატებებმა და საქართველოს ოკუპაციის საფრთხემ გააააქტიურა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. მათ წინაშე დადგა საკითხი მომენტის შესაფერისი ტაქტიკური გზების შემუშავების შესახებ.

სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების ერთი ჯგუფი იმპერიალისტური ომის პერიოდში და უფრო ადრეც, გერმანიისა და თურქეთის ხელშემწყობთა როლს ასრულებდნენ. ჯერ კიდევ 1911 წელს კონსტანტინეპოლში დაარსდა ე.წ. „დადიანის" კომიტეტი, რომელმაც თავი გამოიჩინა ანტირუსული და ანტისომხური ნაციონალიზმის აღვირახსნილი პროპაგანდით. მისი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა თურქეთის პროტექტორატით. ამ მიზნით ტრაპიზონში ჩამოაყალიბეს სადივერსიო ბატალიონი, რომელსაც აფინანსებდნენ თურქეთი და გერმანია.

გერმანიის იმპერიალიზმს ომისათვის მზადების დროს მხედველობიდან არ გამორჩენია ამიერკავკასია, მისი ბუნებრივი სიმდიდრენი და სტრატეგიული მნიშვნელობა, გერმანელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც ითვალისწინებდნენ მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტის მნიშვნელობას, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გააჩაღეს სადაზვერვო მუშაობა. ჯაშუშები კრებდნენ არა მარტო წმინდა სამხედრო ხასიათის ცნობებს, არამედ აქეზებდნენ ადგილობრივ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის სასარგებლოდ.

კავკასიაში გერმანელთა ფართოდ განშტოებულ ჯაშუშურ ქსელს ხელმძღვანელობდა გერმანელთა თბილისის საელჩო გრაფ ფონ შულენბერგის მეთაურობით. გერმანიის არზრუმელ ელჩს, ანდრესს, დავალებული ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების გამოწვევა აჭარასა და აფხაზეთში და თურქეთისათვის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობის გაადვილებაც. ფაქტობრივად ყველა დამპყრობელი და ოკუპანტი იყო, - ინგლისელი, გერმანელი, თურქიც და რუსიც, ყველა ცდილობდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდებასა და ქვეყნის გაძარცვას.

პირველმა მსოფლიო ომმა სერიოზულად დააზარალა აჭარის მოსახლეობა. ჯერ თურქებმა ააოხრეს, შემდეგ რუსებმა ღალატი დასწამეს და ააოხრეს. ღალატის ბრალდების მოხსნისათვის დუმის დეპუტატებიც ჩაერივნენ.

როცა აჭარას წარმოუდგენელი უბედურება დაატყდა თავს და „არც ერთი კედრით გასაქანი არ ქონდა – საითაც გაიქცეოდა, იქით წაიქცეოდა, – „მარჯვნივ წავიდოდა თუ მარცხვნივ, მაინც ილახებოდა," აღნიშნულის შესახებ ადრე აცნობეს დუმის ქართველ დეპუტატებს. ჩვენი დეპუტატები, ორივე დარწმუნებული იყვნენ, რომ აჭარლებს ღალატი არ ჩაუდენიათ, მაგრამ საჭირო იყო ამის დასაბუთება. აი, ამ მიზნით დეპუტატი ჩხენკელი ჩამოვიდა აჭარაში. პირველად მან ინახულა ისეთი პირები, რომლებიც მთავრობის საიმედო მხარდამჭერები იყვნენ და აჭარის უბედურების ამბავიც კარგად იცოდნენ”. – წერდა აპოლონ წულაძე.

ჩხენკელმა ინახულა რუსის ჯარის გენერალი თავადი ჩერნოვი, ეს გენერალი თვით იყო აჭარაში, სწორედ იმ დროს, რა დროსაც აჭარას ორივე მხრიდან თავს დაატყდა გასაჭირი. გენერლის აზრით, აჭარლების ღალატზე ლაპარაკი დიდი უსამართლობაა, რადგან აჭარლებს არ ჩაუდენიათ არამც თუ ღალატი, არამედ, პირიქით, აჭარლებმა დაამტკიცეს რუსის მთავრობის ერთგულება"...

დიდ მთავარს გიორგი მიხეილის ძეს აჭარლების ერთგულებისა და მათი უდანაშაულოდ დასჯის შესახებ გენერალმა ჩერნოვმა პირადად მოახსენა და ამ ამბავს დიდ მთავარზე იმდენად უმოქმედია, რომ მას ცრემლი მორევია და კიდეც დაპირებია, აჭარ-

ლების უსამართლოდ დასჯის ამბავს ხელმწიფეს მოვახსენებო."

დეპუტატი შეეკითხა სხვებსაც და ვინც კი იცოდა აჭარლების ამბავი, ვინც კი თავისი თვალით ნახა შინაურისა და გარეულისაგან, მომხვდურ-დამხვდურისაგან აოხრებული აჭარა, ყველამ ერთხმად აჭარლები შეიბრალა და მათი უდანაშაულობა აღიარა. ამ საბუთების შემდეგ დეპუტატმა ჩხენკელმა ინახულა მთავრობის წარმომადგენლები და მათ სთხოვა, მეტის ლმობიერებით მოქცეოდნენ აჭარლებს. თხოვნამ გაჭრა, აჭარის წარმომადგენლებმაც დაიჯერეს, რომ ყველაფერი ის, რასაც აჭარლებს სწამებდნენ, სიმართლე არ იყო. ამის შემდეგ მოლბენ...

ჩხენკელმა ეს არ იკმარა და გადაწყვიტა, თავისი ფეხით მოევლო აჭარა, თვითონ ენახა დარბეული ხალხი და თვით ხალხისაგან მოესმინა მათი მწუხარება და საჭიროება. ამ განზრახვით წავიდა მთიან აჭარაში, შეყარა ხალხი ქედასა და ხულოში და პირადად ესაუბრა და მოუსმინა მათ (აპ. წულაძე, ძმური სიტყვა, ბათუმი, 1991წ. გვ. 80-82).

ა. ჩხენკელს ქედაში ორი ოლქის (ცხმორისი და ქედა) მოსახლეობა თავშეყრილი დახვდა 21 სოფლიდან (დოლოგანი, ჭინკაძეები, ზუნდაგა, საღორეთი, ცხემლა, მახუნცეთი, ზენდიდი, გულები, აგარა, ზესოფელი, ბზუბზუ, კორომხეთი, კვაშტა, კაკაოღლი, აქუცა, ვაიო, მერისი, ქედა, ორცვა, ძენწმანი). აქ კრება თვით „უჩასტკის" უფროსის განკარგულებით მოხდა და ოფიციალური ხასიათი მიეცა. ლაპარაკი ქართული იყო.

ყოველივე თვალით ნახული და ყურით გაგონილი დეპუტატმა თავის წიგნაკში ჩაიწერა და პეტროგრადში გააცნო თავის ამხანაგს, მეორე დეპუტატ კარლო ჩხეიძეს. ჩხეიძემაც დუმის ტრიბუნიდან ცხარე და ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. მან სასტიკად გააკრიტიკა განაპირა ქვეყნებში მთავრობის მაშინდელი ნამესტნიკის (მთავარმმართებელი) ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკა. მისი აზრით, კავკასიის მთავარმმართებელი თავისი პოლიტიკით კავკასიის სხვადასხვა ერთა შორის შუღლსა და მტრობას თესდა. დეპუტატი შეეხო, კერძოდ, აჭარლების მდგომარეობას და მის შესახებ თქვა:

„კავკასიის მაჰმადიანები და მათ შორის ქართველი მუსლიმანები კანონგარეშე გამოაცხადეს. აუარებელი კონკრეტული ფაქტები რომ არ ჩამოვთვალოთ, რაც დაგიხატავთ სურათს დღევანდელი კავკასიის მდგომარეობისას, მე მხოლოდ გეტყვით, რომ აჭარისა და სხვა რაიონების აოხრების შემდეგ ტყეში ნახულობენ გაყინულ დედაკაცებს, ძუძუმწოვარ ბავშვებს. ეს დედაკაცები გარბოდნენ მოძალადეთაგან, გარბოდნენ ტყეში, რომ თავი დაეღწიათ მოსულ ბარბაროსთა ვანდალობისაგან, რომ ნამუსი შეენახათ და გაუპატიურებას ასცდენოდნენ (ხმა მარჯვნიდან: ცოტა რბილად, ვინ არიან ესენი?), თქვენ თვითონ მშვენივრად უწყით, თუ ვინ სჩადის ასეთ საქმეებს" (ხმა მარჯვნიდან: თქვი ბარემ).

დეპუტატ ჩხეიძის მკვეთრმა სიტყვამ სხვა დეპუტატებზე დიდი გავლენა მოახდინა. ყველა მიხვდა, აჭარლები მოღალატეები არ არიან და ისინი ტყუილად დაუსჯიათო. ცხადია, დეპუტატის სიტყვის შემდეგ აჭარლების დაჩაგვრა და უსამართლოდ დასჯა ადვილი საქმე არ იყო და ამისთვის პასუხს აგებდნენ.

გაზეთ „თანამედროვე აზრის" ნომრებში (36, 37, 38, 39) აპრილის თვეში დაიბეჭდა ხულოს სკოლის მასწავლებლის რაფიელ ჩხეიძის (რაფიელ აცანელის), ფრიად საყურადღებო წერილი, რომელშიც აღწერილი იყო აჭარელთა მდგომარეობა.

თურქები არაფერს ერიდებოდნენ, ისინი ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობა გამოეყენებინათ თავიანთ აგიტაციაში. უხუცესების გადმოცემით თურქებმა ომის დაწყების შემდეგ აჭარაში შემოგზავნეს აჭარა-მესხეთიდან თურქეთის სასწავლებლებში მყოფი 600 მოსწავლე, რომლებსაც დაავალეს აგიტაცია, მაგრამ ისინი მოსახლეობამ გარეკა.

აკაკი ჩხენკელი, სანამ სიმართლეს გაიგებდა, აჭარლებს თვითონაც მოღალატეებად თვლიდა, შემდეგ გაიგო, რომ თურქებმა მოტყუებით ჩაიყვანეს ასზე მეტი უიარაღო

ქედელი და შუახეველი მახოს ხიდთან და მოაქციეს შეიარაღებულ ჯარს შორის, ძალაუნებურად აყვირეს, თითქოს არ სურდათ საქართველოსთან ერთად ცხოვრება.

თურქებს სურდათ დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებული აჭარის ხელმეორედ ჩამოცილება საქართველოზე, ყოველნაირ ზომებს იღებდნენ, ჩამოეგდოთ შუღლი ძმებს შორის, რაშიც ფართოდ იყენებდნენ რელიგიის მსახურებსაც. ამის ერთი მაგალითია ბზუბზუს ხეობაში 1918 წელს 12 ჯარისკაცის ამოხოცვა. როცა ჯარისკაცები ღამით ცეცხლთან ისხდნენ, ისინი ამოხოცეს თურქეთის აგენტებმა, სამ მოკლულ ჯარისკაცს ტანზე გახადეს. ამ ჯარისკაცებში რუსებთან ერთად იყვნენ გურულები და საქართველოს სხვა მხარის ახალგაზრდები. ამით თურქებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მოძმე ხალხს შორის შუღლი და მტრობა ვერ ჩამოაგდეს, მაგრამ ეს ამბავი მაინც გაიხსენა 19 წლის შემდეგ ქედის რაიონის შინსახკომის უფროსმა დომენტი ნიკიფორეს ძე იმედაძემ, იმ 12 მოკლულ ჯარისკაცს შორის ერთი მისი უფროსი ძმაც იყო და ქედელებზე 1937 წელს შური იძია. ასობით უდანაშაულო ქედელი დახვრიტეს და ციმბირის გზას გაუყენეს. ამის შესახებ ქედელების უფროს თაობაში ძალიან ბევრს ახსოვს.

1916 წლიდან ზემო აჭარაში ოსმალეთთან საზღვარი დაუცველი იყო. ამით ისარგებლა ოსმალეთის მთავრობამ და აჭარის სოფლებში 1917 წელს და 1918 წლის დასაწყისში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ასკერები, აგენტები, თურქეთის ციხიდან განთავისუფლებული პოლიტიკური და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრები შემოგზავნეს. ამ ხალხს თურქეთის მთავრობასთან პირობა ჰქონდა დადებული, რომ აჭარაში თურქეთის ინტერესებს დაიცავდნენ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებდნენ. იმათ სამოქალაქო ფორმაში მყოფი ასკერები (ჯარისკაცები) „ჩეთეს" ეძახდნენ. („ჩეთა" თურქულად დაუმორჩილებელს, უდისციპლინოს ნიშნავს). ისინი ნამდვილი ასკერები არ იყვნენ. იმათ იარაღი – მართინები, მავიზორები, ნიზამი ბეშლები დაურიგეს და ჭვანაში ყოველ დღეს ჩვენ ყანებში, ჭალებში, პირუტყვის საბალახოზე და ტყეებში ავარჯიშებდნენ. ასე იყო ზემო აჭარის ბევრ სოფელში. ხელმძღვანელობა ქედაში იჯდა. იმათ ჩვენს ხალხში ავტორიტეტი არ ქონდათ, აჭარლებს ისინი სძულდათ, ეჯავრებოდათ, მაგრამ რა ექნათ, კბილებამდე შეიარაღებული იყვნენ და ჩვენი ხალხი უიარაღო. 1918 წლის მარტში აჭარის ზოგიერთი სოფლიდან 50-მდე მამაკაცი იარაღის ძალით ჩამოიყვანეს მახოს ხიდთან, სადაც აჭარაში შემოსულ ოსმალეთის ჯარს ქართული ჯარი ებრძოდა" (შ. ცეცხლაძე, რას მოგვითხრობენ საარქივო ჩანაწერები. ბათუმი. 2011 წ. გვ. 290)

„ბათუმიდან გავედით, – წერს რ. ჩხაიძე, – ჩვენ წინ გაიშალა ვრცელი „კახაბერის" მინდორი, გამოჩნდა მდინარე ჭოროხის გაღმა მდებარე ადგილები, რომელზედაც ახლო წარსულში ოსმალოს ჯარი იდგა. აშკარად ემჩნევა ომის შედეგი. მაღალი ტრანშეები ერთი-მეორეს ხვრელებით უერთდებიან, ამოთხრილ მიწაზე ჩალაა მოყრილი,.. მიქრის ეტლი, დაუახლოვდით მთებს, რომლის ორივე კალთაზე სოფლები მოჩანდა, მაგრამ უადამიანო სოფელი რა სოფელია... არსად ადამიანი! არსად სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნევა... წინ მხოლოდ ჯარისკაცები გვხვდებიან – ზოგი ბათუმში მომავალი... ჩვენ დანახვაზე გაკვირვებას ეძლევიან „სად მიდიან მასწავლებლები, ნუთუ აქეთ არიან სადმე მშვიდობიანი მცხოვრებნი" –ასეთ კითხვებს აძლევენ ერთმანეთს. „ჩვენს მასწავლებლად მოდიან ბრძოლის ველზე," – ამბობს ერთი, იცინიან სხვები, ვუახლოვდებით ჩვენს ნაცნობ აჭარისწყალს, აუარებელი ჯარი მოსჩანს. მარცხენა მხარეს მთები ტყისაგან გაწმენდილია. მიწა გადათხრილია, მრავალ ადგილას ზარბაზნები დგას. შევედით აჭარისწყალში, ყველაფერი გვესხვაფრა; არსად სჩანან მშვიდობიანი მცხოვრებნი, არსად სჩანს მედუქნეები, სკოლის ერთ ნაწილში ჯარი დგას, მეორე ნაწილში დაჭრილებია მოთავსებული. ყველა შენობაში ჯარი დგას. ძალაუნებურად გვებადება კითხვა: მთელი ეს მიდამო ჯარს უჭირავს?... ზევით მთებზე სოფელი მოს-

ჩანს, მაგრამ ჯარის სადგომათ გადაქცეულა. არსად ჩანს ადგილობრივი მცხოვრები, იბადება კითხვა: სად გაიფანტა ის ხალხი, რომელიც სამი თვის უკან შინაარსიან ცხოვრებას ეწეოდა და თავისთვის მშვიდად იყო... მიდის ეტლი აჭარის ხეობაში, მარჯვნით და მარცხნით უზარმაზარი მთებია. შუაში მდინარე აჭარისწყალი ხმაურობს, მთების ორივე კალთაზე სოფლებია გაშენებული, არც ერთი სახლის ბუხრიდან კვამლი არ ამოდის; ვერც ერთი სახლის წინ კაცს ვერ ხედავ. მომკვდარა სოფელი, გამქრალა სიცოცხლე, გავიარეთ რვა ვერსი, დაბლობში ცოტა ტიალ ადგილზე ხის ჯვარი მოსჩანს, შემაღლებულ ადგილზე დასობილი, სჩანს, ჯარისკაცი დაუსაფლავებიათ. ეტლს ვაჩერებთ, ამ სურათს ვუცქერით, ქართველ მუსლიმანს, ოცი-ოცდაერთი წლის მეეტლეს თვალზე ცრემლი შევნიშნე, მინდა შევეკითხო, თუ რას გრძნობს ამ სურათის დანახვაზე, მაგრამ დამასწრო და ჩემს მომზადებულ კითხვაზე შეუკითხავად მიპასუხა აცრემლებულმა: „კნიაზებო, ნეტავი რისთვის და ვისთვის ჩხუბობენ ფადიშაჰები?"

ცოტათი წინ წავიცვალეთ და ჩვენ წინ გულისშემზარავი სანახაობა გადაიშალა, გზის მარცხნით და მარჯვნით მოფანტულა საბნები, ლეიბები, ბალიშები, დახეულ-დარღვეული, იქვე გდია აკვანი, ცოტა მოშორებით ყრია ურმები, იქვე ფერდის ბოლოში, მდინარის პირას, დგას ურმის თვლები; მარცხნით ფერდობში მოსჩანს სკამები, დამტვრეული ჭურჭლეულობა, ცოტა მოშორებით სასიმინდე, ცალი ბოძი გამოჭრილი, წაქცეული. სასიმინდედან მიწაზე მიმოყრილი სიმინდი, ცხენების ფეხებით ტალახში ჩაფლული სიმინდის მარცვლები. რაც ვერ უსარგებლიათ, ტალახში ყრია... თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ყველგან. ეს ალბათ მაღლაკონისა და ქვედა მახუნცეთის სოფლებია. მეეტლეები გვეუბნებიან: „ეფენდი, თქვენ უნდა ნახოთ და მოუსმინოთ, რა გულშემზარავი ხმაურობაა ღამით ამ სოფლებში, ძაღლების ყეფა და კატების კნავილი აგატირებს, ისინი მოსთქვამენ თავიანთ პატრონების დაკარგვას, ტირიან. ჩვენს შეკითხვაზე „ვინ ააოხრა ეს სოფლები?" – მეეტლე სდუმს... სოფელში სამარისებური სიჩუმეა; არსად მოძრაობა, არსად ხმაური, რის მოწმე არ არის ეს უზარმაზარი მთები... რა არ განუცდია ამ ხეობას... რამდენჯერ შეღებილა სისხლით ეს ვეებერთელა მდინარე... რამდენი ქართველია ამ ხეობაში წამებული... დღეს რჯულგამოცვლილი ვერ ეღირსა მოსვენებას. დავუახლოვდით მახუნცეთის სკოლას, შევჩერდით, სკოლის ფანჯრები დამტვრეული, შკაფები გატეხილი, წიგნების ნაფლეთები იატაკზე ყრია. განადგურებულ-გაპარტახებულია ყოველივე, „ომი კულტურას ანადგურებსო" – ამბობს ჩემი ამხანაგი. წავედით, მივედით მახლობელ მოზრდილ დაბა ქედაში. აქაც ჯარი დგას. დუქნებში, სოფლად, მთებში, სკოლაში, ყველგან. ვეღირსეთ, გამოჩნდნენ მშვიდობიანი მცხოვრებნი, რამდენიმე აჭარელს მოუყრია თავი ერთი შენობის წინ, ცნობისმოყვარეობა მათკენ მიტაცებს, მაგრამ ამხანაგის რჩევით, წინ, სკოლისაკენ მივეშურებით. იგივე სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ, რაც მახუნცეთის სკოლაში. აქაც შენობაში ჯარი დგას – ვინ გაანადგურა ეს დაწესებულება? – თათრის ჩეტნიკებმა, იყო პასუხი. – ვინ დაიტაცა სკოლის ქონება? – ადგილობრივმა ხალხმა – გვიპასუხებს ჯარისკაცი. მოპირდაპირე მთის კალთაზე დამწვარი შენობა მოსჩანს – ვინ დაწვა ის სოფელი? – პასუხს არავინ იძლევა... დაწვა ერთმა, დაიტაცა მეორემ, გაძარცვა მესამემ. ვინ, რატომ, რისთვის? ნუ კითხულობ, ხომ ხედავ, ეს განადგურება შედეგია ომისა".

როცა ქვედა აჭარის 17 სოფელი ბრძოლის ველად გადაიქცა, იქაურმა მოსახლეობამ ქედას შეაფარა თავი და სამი თვე ქედაში იმყოფებოდნენ და ახლა უკან დაბრუნებას ითხოვდნენ, მაგრამ მთავრობა მათ უკან დაბრუნების ნებას არ აძლევდა... ქვედა აჭარის თითქმის 17 სოფელი გაყვა თათრის ჯარს, როცა უკანასკნელმა უკან დაიხია. რა იყო მიზეზი გადასვლის? – ღალატი! – იყო პასუხი. ამ საკითხმა ძლიერ დამაინტერესა, მინდოდა გამეგო, თუ მართლა იყო ღალატი აჭარლების მხრიდან, და საზოგადოდ, რა და ვინ იყო მიზეზი ასეთი სამწუხარო მდგომარეობისა. „უჩასტკის" უფროსიც გამოვიდა, მან თავმოყრილ ხალხს მოკლედ, ხაზგასმით გაუმეორა, რომ ყოვ-

ლად შეუძლებელი იყო ჯერ მათი უკან დაბრუნება... „არ იცის, რა ბედი ეწია მის ტანჯვა-დაგვით შეძენილ ქონებას. შენთვის, მკითხველო, აშკარაა, რა მდგომარეობაშია მათი სახლ-კარი, მათი სოფლები... რა მდგომარეობაში ჩავარდება ეს ხალხი, როცა სოფლად დაბრუნდება და თავისი თვალით იხილავს მის გაპარტახებულ ეზოს, დამწვარ სახლ-კარს, გაძარცვულ სასიმინდეს. აჭარლები განსაკუთრებით დაგვღუპა მურღულის მხარეზე, ჭოროხის ხეობაში მცხოვრებთა ნაწილმა. მაშინ, როცა ჩვენი ჯარი ოსმალოს ეჩხუბებოდა მღვრიე წყალში მონადირე, გონებით მახინჯი ფირალები უკნიდან ესროდნენ ჩვენებს. ცხადია, როგორი იქნებოდა ჯარზე ასეთი საქციელი, მით უმეტეს, ჯარს ავაზაკები, მცხოვრებლები ეგონა, ჯარის უფროსმა იფიქრა, ჩვენც, მშვიდობიანი მცხოვრებნიც, მივემხრობოდითო, თუმცა ამის საბაბი არავის მიუცია... თუ ვინმე აღმოჩნდა იქაური თავისი ნებით ოსმალოს რაზმში, ესენი ყველა ქურდები იყვნენ, რომლებსაც აქაური მთავრობა დაეძებდა ისე, როგორც კატორღელებს. ცხადია, ამ სათოკე ავაზაკებისათვის ხელსაყრელი იყო მტრის (ოსმალოს) გამარჯვება, რადგან აქ პასუხისგება ელოდათ, ოსმალოდან კი ჯილდო. ქვედა აჭარის ის მცხოვრებნი, რომლებიც მდინარე აჭარისწყლის გაღმა დგას და რომელთაგან ჩვიდმეტი სოფელი ოსმალოს ჯარს თან გაჰყვა, ესეც ისეთივე იძულებით მოხდა, ხედავს უზენაესი, როგორ უდანაშაულოდ დაიღუპა ხალხი, განადგურდა სოფლები... დაიწვა და გაპარტახდა მათი სიმწრით შექმნილი ქონება"... არის მაგალითი, ცოლმა არ იცის, სად ყავს ქმარი, შვილი, გასათხოვარი გოგო... დღესაც ეძებენ... ნახეს ქალები ღელეში ნამუსახდილები, სიცივისაგან მკვდრები... იქვე ნახეს ფიცარზე დაკრული ძუძუმწოვარი ბავშვი გაყინული." კვლავ აცრემლდა მოხუცი და აგვაცრემლა ყველანი ქედელმა ქართულ ენაზე მოსაუბრემ.

სწორედ ასეთი გაუგებრობის მიზეზით 1914 წლის 14 დეკემბერს ხიჭაურში აღმართეს 192 სახრჩობელა.

1911 წლის 15 მარტს ხულოს მაზრის სხალთის კანცელარიის მწერლად დაინიშნა სტეფანე საბას ძე ქემხაძე, ის სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშიდან იყო. სტეფანე ქემხაძემ გამოააშკარავა თურქი აგენტების ზემო აჭარაში შემოსვლისა და მოლა ხოჯებთან მათი აგიტაციის ფაქტები თურქეთის სასარგებლოდ, რამდენიმე ასეთი პიროვნება დააპატიმრეს, მათ შესახებ სტეფანე ქემხაძემ შეადგინა საქმე №7 და ზემდგომს აცნობა 12 კაცის ხელწერით შედგენილი დოკუმენტის შესახებ, რომლითაც მთავრობას აცნობებდნენ სახელმწიფო საზღვარზე შექმნილ მდგომარეობას და თხოვდნენ დროზე მიეღოთ სათანადო ზომები. მთავრობამ კი საქმის გაურკვევლად გამოაცხადა ხალხი მოღალატეებად.

სტეფანე ქემხაძეს მხარი დაუჭირა უბნის უფროსმა, რომელსაც ეს საბუთი დავიწყებოდა.

„გუბსკიმ სტეფანე ქემხაძეს ნება დართო კანცელარიის საქმეები გაეხსნა და იქ №7 საქმე მოეძებნა. თან მკაცრად გააფრთხილა, თუ ვერ იპოვიდა ამ ხალხის გამამართლებელ საბუთს, მაშინ სახრჩობელაზე მას პირველს ჩამოჰკიდებდნენ. სტეფანე ქემხაძემ ის საბუთი ნახა და გუბსკის მიაწოდა. ხიჭაურიდან ბათუმში სახელდახელო სატელეფონო კავშირი დაამყარეს, გუბსკი სამხედრო ტრიბუნალს დაელაპარაკა, ხალხის ჩამოხრჩობა დროებით შეაჩერეს. მეორე დღეს ხიჭაურში გენერალი მანქანით ავიდა, ნახა დოკუმენტი და ხალხის ჩამოხრჩობა შეაჩერა, მეორე დღეს სტეფანე ქემხაძემ სამხედრო ტრიბუნალს წარუდგინა დოკუმენტი ბათუმში და დაიცვა უდანაშაულო ხალხის ინტერესი, მაგრამ ჩანჩხალოელი აბდულ დიასამიძე და ჭვანელი თუფან თავდგირიძე უკვე ჩამომხრჩვალი იყვნენ.

„მადლიერი აჭარის მთიანეთის შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს სტეფანე ქემხაძის ღვაწლს, რომელმაც კანცელარიის საქმეს დააწერა №7, სადაც მოათავსა აჭარლების მთავრობაზე გაგზავნილი განცხადების პირი; ამ საქმემ დღის სინათლეზე გამოიტანა ჩვენი კუთხის მშრომელთა პროტესტი, და გადაარჩინა 192 მშვენიერი სიცოცხლე" (ვ. ზოიძე, მგზნებარე მამულიშვილები, I გვ.278. ბათ. 1993 წ.).

აჭარა 1918-1921 წლებში

1917 წლის თებერვალში რუსეთში დაემხო რომანოვების სამასწლიანი ბატონობა. შეიქმნა დროებითი მთავრობა, რუსეთის იმპერიაში შემავალმა ზოგიერთმა პატარა ერებმა დამოუკიდებლობა მიიღეს.

1917 წლის 4 მარტს თბილისში მუშაობას შეუდგა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელსაც სათავეში ნოე ჟორდანია ჩაუდგა. 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანია აირჩიეს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ. ეროვნულმა ყრილობამ ყველა ეროვნების, წოდების, პარტიის ინტერესები გააერთიანა.

ეროვნული ყრილობის განსჯისა და ზრუნვის საგანი იყო სახელმწიფო ქონების ჩაბარებისა და მოვლის, თვითმმართველობის, სკოლის, არმიის, სასამართლოს პრობლემები. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო 60 კაცის შემადგენლობით.

მართებულად უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომ ყრილობამ მართლაც დაუდო სათავე ეროვნულ სუვერენიტეტს. ეს ყრილობა იყო სათავე ქართული ეროვნული პარლამენტისა (პაატა სურგულაძე, ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბ. 1991წ. გვ.15).

1918 წლის 3 მარტს, საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერა გერმანიასთან ზავს ბრესტ-ლიტოვსკში, რომლის ერთი პუნქტი ითვალისწინებდა საქართველოს ორი პროვინციის – ბათუმისა და არდაგანის, სომხეთის პროვინციის – ყარსის, თურქებზე გადაცემას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა უარყვეს ეს ხელშეკრულება და 1918 წლის 9 აპრილს გამოეყვნენ რუსეთს და შექმნეს ამიერკავკასიის ფედერაცია. ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამოსვლამ ოსმალეთი ვერ შეაჩერა.

1918 წლის მარტში ოსმალთა ჯარმა გადალახა ყარსი, არდაგანი და ბათუმის ოლქის საზღვრები, რაც იმავე დროს ამიერკავკასიისათვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

1918 წლის 1 აპრილს (ძველი სტილით) ოსმალთა ჯარი ბათუმში შემოვიდა. ყველა ცდა, მოეწყოთ „ქალაქის დაცვა უკანასკნელ ჯარისკაცამდე", მარცხით დამთავრდა.

2 აპრილს ქალაქში შენობათა კედლებზე ჯერ თურქულ, შემდეგ კი რუსულ და ქართულ ენებზე გამოკრულ იქნა სამი პუნქტისაგან შემდგარი მოწოდებები. პირველი პუნქტით ქალაქის მცხოვრებთ სიმშვიდისა და სრული წესრიგისკენ მოუწოდებდნენ. მეორე პუნქტი შეიცავდა მუქარას იმათ მიმართ, ვინც არ შეასრულებდა პირველი პუნქტის მოთხოვნას. განსაკუთრებით მკვლელებსა და მძარცველებს აშინებდნენ სამხედრო სასამართლოზე გადაცემით, მესამე პუნქტი იყო მკაცრი გაფრთხილება ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარების შესახებ.

1918 წლის 5 აპრილს ბათუმში ჩამოვიდნენ თურქების მთავრობის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა და თურქების ჯარების სარდალი ვეხიბ-ფაშა. ოლქის ახალმა ხელმძღვანელობამ „საპატიო სტუმრებს" ჯერ გემზე, შემდეგ ქალაქის თვითმმართველობის შენობაში შეხვედრა მოუწყო. ამ შეხვედრაზე ქართველი მაჰმადიანების წარმომადგენლებიც მიიწვიეს. დელეგაციის მეთაურობა მემედ-ბეგ აბაშიძეს დაავალეს.

... მემედი წარუდგა სარდალს და თავაზიანად მიმართა.

– პატივცემულო სტუმრებო, მოგესალმებით ჩვენს მიწა წყალზე!

ამის გაგონებაზე ვეხიბ-ფაშამ შუბლი შეიჭმუხნა და განაწყენებულმა თქვა:

– მე აქ სტუმარი არ გახლავართ, ბათუმი და მთელი ეს მხარე თურქეთის იმპერიის კუთვნილებაა.

– არა, ბატონო, – ერთი წუთითაც არ შემკრთალა და არ დაფიქრებულა მემედი, – აჭარა და ქალაქი ბათუმი ყოველთვის საქართველოს კუთვნილება იყო და მომავალშიც მისი განუყოფელი ნაწილი იქნება.

მიტინგზე გამოსვლის შემდეგ მემედ-ბეგ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, დაუთ სირაბიძე და ხასან ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს (თ. კომახიძე „მემედ აბაშიძე",

ბათუმი, 1993 წ., გვ. 126, 127). ოთხი თვის შემდეგ ქართველ პატრიოტთა დახმარებით მემედ-ბეგი ციხიდან გაიქცა.

ოსმალეთის მთავრობამ ბათუმში ჩამოაყალიბა მეცხრე განსაკუთრებული არმია, რომელსაც ერევანი უნდა აეღო და შემდეგ შეტევა უნდა განეხორციელებინა ბაქოზე, თურქეთის მიერ შემუშავებული ამ გეგმის გამო ამიერკავკასიის სეიმი იძულებული გახდა, ეცნო ოსმალთა უფლებები ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქებზე.

1918 წლის 14 მაისს ბათუმში გაიხსნა საზავო კონფერენცია, სადაც წამოიჭრა მრავალი სადავო საკითხი, მათ შორის ტყვეების გაცვლის საკითხიც, გერმანიამ ამ კონფერენციაზე შუამავლის როლი აიღო თავის თავზე. 15 მაისის სხდომაზე ოსმალთა მთავარსარდალ ვეხიბ ფაშასთან ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციამ კონვენცია შეკრა ტყვეების გაცვლის შესახებ, საზავო მოლაპარაკების შედეგების დამოუკიდებლად.

4 ივნისს საზავო მოლაპარაკება დამთავრდა, ოსმალეთი, დაპყრობილი ტერიტორიის გარდა, ღებულობდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებსაც. საზღვრად მდინარე ჩოლოქი დაადგინეს. ბათუმი ოსმალეთს დარჩა. ბათუმის ისტორიაში ოსმალთა ახალი ხანა დაიწყო. ისინი ბათუმში დიდი პრეტენზიებით შემოვიდნენ. 1918 წლის 16 აპრილს ბათუმს ესტუმრა ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა, ქალაქის თვითმმართველობის სახელით მას მიესალმა ბინიათ-ოღლი, საპასუხო გამოსვლაში ენვერი-ფაშამ აღნიშნა, რომ ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძველი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებლები.

„ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედასამშობლოს, – დაასრულა თავისი სიტყვა მინისტრმა. ეს იყო დამპყრობთა პირველი პოლიტიკური განცხადება (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008 წ. გვ. 436-437).

ოსმალებმა ბათუმში შემოსვლისთანავე გააუქმეს ადგილობრივი ადმინისტრაციული აპარატი, სასამართლო და საქმის წარმოება ყველგან თურქულ ენაზე დაიწყო. საოკუპაციო ჯარმა, რომელიც 1400 კაცს ითვლიდა, ქალაქში საგანგებო წესები შემოიღო. სულ მალე ქალაქის მოსახლეობა 35000-დან 15000-მდე შემცირდა, დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები, სავაჭრო ობიექტები. ნავსადგურში მხოლოდ ოსმალთა გემები შემოდიოდნენ.

1918 წლის 26 მაისს სეიმმა, გერმანიის მოთხოვნით, ამიერკავკასია დაანაწილა ცალკე რესპუბლიკებად, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ: სომხეთში – დაშნაკები, აზეირბარჯანში – მუსავატელები და საქართველოში – მენშევიკები. ოსმალებმა ბათუმში მრავალრიცხოვანი არმია გადმოისროლეს და ქალაქი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანზე შეტევის ძირითად პუნქტად აქციეს. ისინი ისწრაფოდნენ, დაემთავრებინათ ამიერკავკასიის საბოლოო ოკუპაცია. ეს წარმატებით დაიწყო კიდეც, მაგრამ ოსმალთა გეგმები მალე ჩაიშალა, ოსმალთა არმიამ მოკავშირეებთან ბრძოლაში ზედიზედ რამდენიმე მარცხი განიცადა, რის გამოც საფრთხე შეექმნა სტამბოლის და საერთოდ ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობას. გერმანია უძლური იყო, ეხსნა ოსმალეთი კაპიტულაციისაგან. ოსმალეთი იძულებული იყო ზავი დაედო მოკავშირეებთან. თურქეთის მმართველი წრეები იძულებული გახდნენ, ცვლილებები გაეტარებინათ მთავრობაში. ენვერ ფაშა, თალაათ ფაშა და ჯემალ ფაშა, რომლებიც ფაქტობრივად მართავდნენ ოსმალეთს, პოსტებიდან გადადგნენ.

1918 წლის 26 მაისს გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და იმავე დღეს, კვირას, 5 საათსა და 10 წუთზე თბილისში, სასახლის თეთრ დარბაზში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია მონაწილეობდა, საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა.

26 მაისის სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომელმაც ამცნო მსოფლიოს ახალი რესპუბლიკის დაბადება. დამოუკიდებლობის აქტს აჭარიდან ხელს აწერდნენ ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე.

აქტის მუხლები იყო:

1. დღეიდან ქართველი ერი სუვერენული უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური წყობის სახე დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3. საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყველა ხალხთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილება იქონიოს.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მიწა-წყალზე, ყოველი მოქალაქის – განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკურსა და მოქალაქურ უფლებებს უზრუნველყოფს.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს თავისუფალი განვითარების ფართო ასპარეზს მიანიჭებს.

7. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით შევსებული ეროვნული საბჭო და ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა სრულიად საქართველოს მმართველობის სათავეში დგანან. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. 1990წ., გვ.52)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ეროვნული საბჭოს მიერ, რუსეთთან საქართველოს შეერთების 117 წლის შემდეგ, ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ქართველი ერის გამოღვიძება, დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული პროცესის გვირგვინი, რაც მოასწავებდა მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოების გვერდში დგომას. ამ დღიდან ეროვნულ საბჭოს დაეკისრა საქართველოს საკანონმდებლო სახელმწიფო ორგანოს ფუნქცია. საქართველოში შეიქმნა ქართული კოალიციური მთავრობა. ამ დღიდან საქართველოში მმართველი პარტია გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. როგორ განვითარდა მოვლენები დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ? უპირველესად მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოზე ხელი აიღო თურქეთმა.

1918 წლის 30 ოქტომბერს ნავსადგურ მუდროსში (ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ ლემნოსის ქალაქში) ინგლისის კრეისერის ბაქანზე ოსმალებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც მათ მძიმე პირობები ეკისრებოდათ, კერძოდ, უნდა გაეხსნათ სრუტეები მოკავშირეთა ფლოტისათვის. მოკავშირეებს ოკუპაცია უნდა მოეხდინათ დარდანელისა და ბოსფორის პორტებისათვის. შეთანხმება ითვალისწინებდა აგრეთვე ოსმალთა არმიის სასწრაფო დემობილიზაციას და მოკავშირეებისათვის ტყვეების გადაცემას (და არა გაცვლას, ოსმალო ტყვეები მოკავშირეების განკარგულებაში რჩებოდნენ), სამხედრო ხომალდების გადაცემას. ოსმალეთის რკინიგზებზე, ტელეგრაფსა და რადიოზე, ანტანტის მიერ კონტროლის დაწესებას, 6 სომხური ვილაეთის და საერთოდ მოკავშირეებისათვის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ყველა იმ ოლქის ოკუპაციას, რომელსაც მოკავშირეთა სარდლობა საჭიროდ ცნობდა. ოტომანთა იმპერიამ, მუდროსის შეთანხმების საფუძველზე, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა.

ხელშეკრულების ძალით, ინგლისის სარდლობამ დეკემბრის პირველ რიცხვებში ჯარის შეყვანა დაიწყო ბათუმში და 22 დეკემბრისათვის შემოვიდა 5 სამხედრო გემი 15000 ჯარისკაცით.

ბათუმში საოკუპაციო ჯარების შემოსვლის შემდეგ ქუჩებში გამოაკრეს ბრძანება: ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ, იმის გამო, რომ ბათუმის ოლქი ბრიტანეთის ჯარების

მიერ ოკუპირებულია... ბათუმში დავაარსე სამხედრო საგუბერნატორო და დავნიშნე სამხედრო გუბერნატორი.

ბრძანებას ხელს აწერდა ბრიტანეთის შავი ზღვის სამხედრო ძალების მთავარსარდალი გ.ფ. მილნი. გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ-კოლისი.

ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ბაქო-ბათუმის რკინიგზა და მთლიანად ზედამხედველობა დააწესეს ამიერკავკასიაზე.

ინგლისელები არ ფიქრობდნენ ბათუმის ოლქის საქართველოზე გადაცემას. ასევე ბათუმის ხელში ჩასაგდებად ემზადებოდა ჩრდილო კავკასიაში მყოფი თეთრგვარდიელი გენერალი დენიკინი.

ბათუმში შეიქმნა პანთურქისტული პარტია „სედაი მილეთი" („ერის ხმა"), რომელიც დენიკინელთა ინტერესებისა და მიზნებისათვის იყო გამოყენებული, პანთურქისტთა თავგასულობამ დააჩქარა სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა.

1920 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებით ბათუმი პორტო– ფრანკოდ გამოცხადდა. ქალაქი ბათუმი და მისი მიდამოები,როგორც პატარა სახელმწიფო,შევიდა ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ,მას დაიკავებდა საერთაშორისო რაზმი – ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის – სამი ბატალიონი.

საქართველოს მთავრობა უუნარო აღმოჩნდა ამ გადაწყვეტილების წინაშე. „1920 წლის 18 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა ასეთი შინაარსის ნოტა გაუგზავნა უორდროპს, დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ამიერკავკასიაში: „მის აღმატებულებას, დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს. თქვენო აღმატებულებავ, თქვენს წერილში 20 თებერვლის თარიღით თქვენ გვაცნობეთ, რომ უმაღლესი საბჭოს დაგენილებით გადაწყვეტილი იქნა ქ. ბათუმის.... დაჭერა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარებით.

იტალიის წარმომადგენელი თავის 9 მარტის წერილში იტყობინება, რომ ლონდონის კონფერენციამ გადაწყვიტა გადააქციოს ბათუმი პორტო–ფრანკოდ, მცირე ტერიტორიული ზონით ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. გარანტიისათვის საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გზავნიან იქ ქვეითი ჯარის თითო ბატალიონს.

საფრანგეთის მისიის უფროსი 16 მარტს გვატყობინებს, რომ თანახმად უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა, ბათუმის ნავსადგური გამოცხადებულია თავისუფალ პორტად. ქალაქი და მის გარშემო მცირე ზონა შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ და დაკავებული იქნა ინტერნაციონალური რაზმით, რომელიც შედგება სამი ბატალიონისგან: ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის.

მიუხედავად აზრთა წინააღმდეგობისა, ცხადად ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებით ბათუმი უნდა გამოეყოს საქართველოს. მოგვეცა შემთხვევა, რომ მოგვემართა თქვენი აღმატებულებისათვის ქალაქ ბათუმის მნიშვნელობის შესახებ საქართველოსათვის... ბათუმი სავსებით ქართული ქალაქია, მას არ შეუძლია საქართველოს გარეშე არსებობა და ეს გამოყოფა იქნება წინააღმდეგ ნებაყოფლობისა საქართველოს ერისა და ბათუმის მცხოვრებთა, რომელთაც მრავალი მიტინგებით, სხვადასხვა დროს მეჯლისის გადაწყვეტილებით და უკანასკნელ მუნიციპალური არჩევნებით თებერვალში, რომელიც მოხდა საქართველოსათვის ნაკლებ ხელშემწყობ პირობებში, გამოთქვეს თავიანთი ერთგულება დედასამშობლოს საქართველოსადმი და შეურყეველი სურვილი მასთან შეერთებისა.

ვიღებთ რა მხედველობაში მას, რომ ზემოხსენებული უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ძირს გამოუთხრის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს და ვაცხადებთ რა ენერგიულ პროტესტს ბათუმის ბედის ასეთი გადაწყვეტის წინააღმდეგ, მაქვს პატივი მოგახსენოთ: არც ქართველი ერი და არც ბათუმის მცხოვრებნი არ შეეგუებიან ქალაქ ბათუმის საქართველოდან ჩამოშორებას."

1920 წლის 19 მარტს თბილისში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაცია, რომელიც პროტესტს უცხადებდა ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებას ბათუმის პორტო–ფრანკოდ გამოცხადების გამო, დემონსტრანტები მოითხოვდნენ, რომ გადაჭრილიყო საქართველოს ბედი, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას, როგორც ოკუპანტებს და დამპყრობ ქვეყნებს, არ სურდათ ბათუმის პორტო-ფრანკოდ დატოვება, მაგრამ საერთაშორისო ვითარების დაძაბულობამ აიძულა ერთა ლიგის სხვა ქვეყნებიც, უარი ეთქვათ ბათუმზე, 1920 წლის 2 ივლისს (სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის ათი თვის თავზე) გენერალმა კუკ-კოლისმა (რომელიც არასდროს არ ეხატებოდა გულზე მემედ აბაშიძეს და ამას არც ფარავდა), ქალაქის მცხოვრებთ და მეჯლისის დელეგაციას განუცხადა, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს გადაეცა.

1920 წლის 4 ივლისს ქართული ჯარი ბარცხანაში შემოვიდა, 7 ივლისს საქართველოს ჯარი მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძის მეთაურობით ბათუმში შევიდა, ამავე დღეს, საღამოს 6 საათზე, ანტანტის სარდლობამ ბათუმი გადასცა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მრავალმხრივი მცდელობის მიუხედავად, ის აჭარაზე ზეგავლენას სათანადოდ ვერ ავრცელებდა. ამის მიზეზი არ ყოფილა აჭარის მოსახლეობა, საერთაშორისო ცილობა და ქვეყნის ხელისუფლების სისუსტე იყო და ესაა უფრო მნიშვნელოვანი. ამაში მე, მგონი, დარწმუნდა მკითხველი წინამდებარე მასალის საფუძველზე.

ასეთ პირობებში, რომ არა აჭარის ინტელიგენციის თავგანწირული ბრძოლა აჭარის დედასამშობლოსთან დარჩენისათვის, მოვლენები სულ სხვანაირად შეიძლება განვითარებულიყო.

დამოუკიდებელი საქართველოს წლებში ბათუმში იღვწოდა აჭარელ პატრიოტთა ერთობა, რომელთაგან მემედ აბაშიძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, რეჯებ ნიჟარაძე, ჰაიდარ აბაშიძე და ყედირ შერვაშიძე საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრადაც აირჩიეს.

მემედ აბაშიძის მეთაურობით დაიწყო მაჰმადიან ქართველთა ყრილობის მზადება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დედასამშობლოსთან აჭარის დამოკიდებულების საკითხი.

დაიწყო ფართო საორგანიზაციო პროპაგანდისტული მუშაობა, რომელსაც ეწეოდა სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც ყრილობის მოწვევის ნებართვა ჯერ კიდევ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან მიიღო.

ყრილობა მოწვეულ იქნა 1919 წლის 30 აგვისტოს. ეს დღე ქვეყნის ისტორიაში უმნიშნელოვანესია და ამის დავიწყება არ შეიძლება. ყრილობამ მიიღო აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების გადაწყვეტილება.

ყრილობის თავმჯდომარედ მემედ-ბეგ აბაშიძე აირჩიეს, მან მადლობა გადაიხადა თავმჯდომარედ არჩევის გამო და თქვა: „... ხუთი წლის ომმა და რევოლუციამ მთელი ცხოვრება დაანგრია და დაამტკიცა, რომ კაცობრიობა ძველ ცხოვრებას და წეს-წყობილებას ვერ დაუბრუნდება... ასეთ გაჭირვების დროში არავის ვხედავთ ჩვენს მშველელს, გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ და თავგანწირულად ცდილობს ჩვენი დაღუპვისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს და დავემყაროთ მის ძალას და გამოცდილებას, რადგან ქართველმა ხალხმა უკეთ დაანახა ქვეყანას, რომ ის ღირსია მისგან მოპოვებული დამოუკიდებლობისა..

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის, ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია. დაუკვირდით ყველაფერს კარგად და თქვენი გადაწყვეტილება მომავალი ჩვენი ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე.”

ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

1. ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით,

ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით, ქართველები ვართ. მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა-სამშობლო საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

2. ბათუმის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერკავკასიის კეთილმეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს დღევანდელ მდგომარეობას, სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოიპოვოს.

3. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმანი ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, – საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში. ეროვნულ უმცირესობებს მიენიჭოს ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

ეს დადგენილება ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად.

ყრილობის მუშაობა შეაჯამა მემედ აბაშიძემ და თქვა:

„... ამ ყრილობის მნიშვნელობა დიდი არის იმით, რომ მან საქვეყნოდ აღიარა: მე ვარ იბერიის მოდგმის, იმ მიწა-წყლის ღვიძლი შვილი, რომლის სახელია საქართველო და ენა ქართულია. რა თქმა უნდა, ბუნება თავისას გაიტანდა და გაიტანა კიდეც. დრომ და გარემოებამ ჩვენ გაგვთიშა დედა საქართველოს, მაგრამ ჩვენი წინანდელი თაობის მიერ სამკვიდროდ გადმოცემული ეროვნული, სულიერი ძალა ისეთი ძლიერი და შეურყეველი დარჩა, რომ ის კვლავ დედა სამშობლოს დაუბრუნდა.

ჩვენ, ჩემო მეზობლებო და ღვიძლო ძმებო, საქართველოს შვილები ვართ, ჩვენ ამ ქვეყნის მიწა-წყლიდან შემდგარი და შეზავებული ვართ, ამ მიწა-წყლის ნაკვეთი ვართ, ამიტომაც არის, რომ ჩვენი თანამემამულენი გვიყვარს, გვსურს ერთობით გამოვჭედოთ ბრწყინვალე მომავალი, თავისუფლება და ბედნიერება. საქრისტიანო საქართველოს ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაა და მისი უბედურება ჩვენი უბედურებაა" (ერ. მესხია, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან", ბათ., 1997 წ., გვ. 98, 100).

აჭარაში მდგომარეობა რადიკალურად არც ქართული ჯარის მიერ ბათუმის დაკავებისა და მხარეში ქართული ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეცვლილა. ქვეყანას ეკონომიკურად უჭირდა და საერთაშორისო საზრუნავი უფრო მეტი ჰქონდა.

იმის ფონზე, რაც დამოუკიდებლობის პერიოდზე ვისაუბრეთ, ცხადია, ხელშესახები რამ ქედის მაზრის შესახებ არაფერი გვაქვს სათქმელი.

ამ ნაწილის დასკვნისთვის აღვნიშნავ ერთს:

ამ დროისათვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3,4 მილიონ კაცს. ფართობით 93 ათასი კვ.კმ. მოსახლეობის რაოდენობის 90 პროცენტს ქართველები შეადგენენ.

1918-1920 წლებში საქართველოს მთავრობა იბრძოდა იმისთვის, რომ საქართველო რაც შეიძლება მეტ ქვეყანას ეღიარებინა, მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები აჭიანურებდნენ ნაბიჯის გადადგმას, ამის მიზეზი იყო ის, რომ გრძელდებოდა ანტანტის ქვეყნების ლაშქრობა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ.

რუსეთის სფს რესპუბლიკა პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც კანონიერი წარმონაქმნი, 1920 წლის 7 მაისს დაიდო მასთან სამშვიდობო ხელშეკრულება.

1920 წლის 9 მაისს გაზეთი „პრავდა" წერდა: 7 მაისს ხელი მოეწერა ზავს საქართველოს და რუსეთს შორის, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ჩამოიტანა

პატარა „ჩემოდანი", ნახა ამხანაგი ჩიჩერინი, მოილაპარაკეს და 2-3 სხდომის შემდეგ ზავი შეკრეს. საქართველოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას და უკანვე გაემგზავრა. აი, რას ნიშნავს, როდესაც დემოკრატებს გულწრფელად სურთ ზავი, რა ადვილად და ჩქარა გამოიძებნა ენა (შ. ჯაფარიძე. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1918-1921 წ.წ. გვ.57).

1920 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ძალაში შევიდა საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით.

ხელშეკრულებას ორივე მხარე ნაწილობრივ არღვევდა, არ იცავდნენ სრულყოფილად მის პრინციპებს,მაგრამ ეს საომარ მოქმედების საფუძველს არც ერთ მხარეს არ აძლევდა.

1921 წლის თებერვალში თბილისში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბათუმში მეჯლისის თავმჯდომარესთან მემედ აბაშიძესთან თურქეთის მთავრობის დელეგაცია გამოცხადდა და წინადადებით გადაესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოეტანა დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის მთავრობას, მითუმეტეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების მიხედვით, ართვინის ოლქი უკვე აღებული ჰქონდა თურქეთს. საქმეს ართულებდა აჭარაში ჯემალ ხიმშიაშვილისთანა თურქოფილების ანტიქართული მოქმედებაც. მემედ აბაშიძეს გვერდში ამოუდგნენ რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა, ისკენდერ ცივაძე, ზია აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე, ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე. თურქეთის სამთავრობო დელეგაცია კი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა თურქეთის ელჩი ქიაზიმ ბეი, დაჟინებით მოითხოვდა აჭარის მეჯლისს გამოეტანა დადგენილება ბათუმის ოლქის თურქეთთან შეერთების შესახებ, რაც ფორმალურად მათ საშუალებას მისცემდა შემოეყვანათ რეგულარული სამხედრო ნაწილები და თავიდან აეცილებინათ ბოლშევიკების შემოჭრა აჭარაში. თურქი ემისრების განცხადებით, „მოქმედება მოითხოვს სისწრაფეს. თბილისი უკვე აღებულია, მალე ქუთაისსაც აიღებენ. მენშევიკების ჯარი ბოლშევიკების მხარეზე გადადის, დღეს თუ ხვალ ბათუმსაც მოადგებიან და ბოლშევიკები ფაქტის წინაშე დადგებიან, რადგან ბათუმი ჩვენს მიერ უკვე დაკავებული დახვდებათ. ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე კი ხმასაც ვერ გაიღებენ...” მართლაც, ეს მოღალატური და გამყიდველი ზავი ბოლშევიკების ნამოქმედარი იყო...

მემედ აბაშიძემ, როგორც აჭარის მეჯლისის თავმჯდომარემ, მათ განუმარტა, რომ მეჯლისს არა აქვს უფლება ოლქი მეორე სახელმწიფოს გადასცეს და არ შეუძლია მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება: „კამათმა გამწვავებული ხასიათი მიიღო და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს” – წერს მემედ აბაშიძე და განაგრძობს: „ ანგორის დელეგაციის ცდა ამაო გამოდგა. მეჯლისი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესს, არ მიიღო მათი წინადადება... თორემ ბათუმის ოლქი დარჩებოდა ართვინის ოლქის მდგომარეობაში” ე.ი ბათუმიც და აჭარაც დღეს დაკარგული გვექნებოდა!

ამგვარად, მოხდა ისტორიული ფაქტი. აჭარის მეჯლისმა მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით შეძლო ამ საშინელი მდგომარეობიდან საქართველოს ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხის გამოყვანა და გადარჩენა. მემედ აბაშიძემ მისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულა! (გურამ შარაძე, მემედ აბაშიძე, 127;128).

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დაარღვია, წითელი არმია შემოვიდა საქართველოში და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა, განხორციელდა ანექსია. 1922 წლიდან საქართველო სსრკ შემადგენლობაში მოექცა.

ნაწილი II

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებით, რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობა, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბოლშევიკებს მიეცათ ლეგალური მოქმედების უფლება და დაიწყო გაზეთ „კომუნისტის" გამოცემა, თუმცა ბოლშევიკური ორგანიზაციები ადრეც არსებობდა და ისინი მეტნაკლებად ზეგავლენას ახდენდნენ მიმდინარე მოვლენებზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ აჭარაში ბოლშევიკების როლი თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული ისტორიული ლიტერატურის მიხედვით არ ჩანს.

ადგილობრივი ინტელიგენცია (მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ქემალ ნოღაიდელი და სხვები) აქტიურობდა 1918 წლის რეფერენდუმის დროს, როცა მოსახლეობამ ძირითადად თურქეთის წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ შედეგები ოსმალებმა გააყალბეს და თავის სასარგებლოდ გამოაცხადეს.

განსაკუთრებით აქტიურობდა „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი" მემედ აბაშიძის მეთაურობით.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ოსმალური ხელისუფლება აჭარას ძალმომრეობით განაგებდა. ოკუპანტებმა ბათუმის სკოლები ყაზარმებად გადააქციეს, ქალაქის თვითმმართველობის ზარალმა 1167400 მანეთი შეადგინა.

ოსმალთა ძალმომრეობა ქედასაც მისწვდა, ოკუპანტებმა საავადმყოფოდან, კოოპერატივიდან და ფოსტა-ტელეგრაფიდან გაიტანეს 3000 მანეთის ქონება ოქროთი. ამავე ფორმით ქედელ მემედ ბერიძეს წაართვეს 860 მანეთი, სულეიმან დიასამიძეს 180 მანეთი, უსუფ ავალიანს 180 მანეთი, ზექერია ბარამიძეს 150, ასლან ბერიძეს 140, ალი დავითაძეს 140 და ა.შ. (ცნობები ამოღებულია პარმენ ცქვიტარიას დასახელებული ნაშრომიდან).

თურქებს, როგორც უკვე ვთქვით, ინგლისელები ჩაენაცვლენ, მათ აჭარა 7 საპოლიციო უბნად დაჰყვეს. 1919 წლის გაზაფხულიდან ახალ ოკუპანტებს დაუპირისპირდნენ ბოლშევიკები. მათ მოაწყეს დიდი საპროტესტო გამოსვლა ბათუმში, რომელშიც 25-30 ათასი კაცი მონაწილეობდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1920 წლის ივლისიდან ბათუმში ქართული ჯარი შემოვიდა და ოლქის გუბერნატორად ბ. ჩხიკვიშვილი დაინიშნა, რომელმაც სამხედრო წესები გამოაცხადა; ამას მოჰყოლია რევოლუციური მოძრაობის გააქტიურება.

მოძრაობა გაძლიერებულა ქედაში, განსაკუთრებით სოფლებში – აქუცაში, ვაიოში, კვაშტაში, ტიბეთაში, კანტაურში, ცხმორისში, დანდალოში, გეგელიძეებში, ახოში, წონიარისში, ვარჯანისში, ზვარეში, ზესოფელში და გულებში.

მოძრაობის სათავეში ყოფილან: სულეიმან დიასამიძე, ახმედ ბეჟანიძე, ხუსეინ დიასამიძე, აბდულ დემურჯოღლი, რამიზ ჩხეიძე, ყედირ დუმბაძე, ხასან მამადალიშვილი, ბილალ ცინცაძე, ქამილ თიარჯიშვილი (დიასამიძე), დურსუნ თურანოღლი (ახმედიშვილი), მემედ ხასანიშვილი, ხუსეინ მარმაშოღლი, შაქირ შავიშვილი და სხვები (გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, №178).

1921 წლის მარტში აჭარაში ძალაუფლება ბოლშევიკებმა აიღეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 16 მარტს თურქებმა კვლავ სცადეს აჭარის მიტაცება, მათ განდევნაში უდიდესი როლი შეასრულა ქართულმა არმიამ გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით.

პრესაში გაიჟღერა ცნობამ, რომ ი.ბ. სტალინის დავალებით წითელარმიელებს გადააცვეს ქართული ჯარის ფორმები და ოსმალები ისე გარეკეს. გამორიცხული არაფერია, სიმართლე სამომავლოდ უფრო კარგად გამოიკვეთება.

მთავარი ერთია: 1917 წლის შემდეგ აჭარაში უკვე მერამდენედ შეიცვალა ხელისუ-

ფლება – გერმანელებმა თურქებს დაუთმეს ასპარეზი, შემდეგ ინგლისის ხელისუფლება დამყარდა, შემდეგ აღსდგა ქართული ხელისუფლების იურისდიქცია, რომლის მიტაცება ისევ სცადეს თურქებმა და მათ სულ მალე ჩაენაცვლა საბჭოთა ხელისუფლება.

18 მარტს ბათუმში წითელარმიელები შემოვიდნენ. 20 მარტს შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით.

ახალ დროს მიესალმნენ ქედელებიც. 28 მარტს ქედაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. აჭარის რევკომმა ქედაში ხელმძღვანელებად მიავლინა: მ. ურუშაძე, ა. გაგუა და გ. სვანიძე. მალე შეიქმნა ქედის მაზრის რევკომი, რომელსაც სათავეში აბდულ ღოღობერიძე ჩაუდგა.

1924 წელს შეიქმნა ქედის მაზრის კომუჯრედი, რომელსაც 1930 წლიდან ეწოდა საქართველოს კპ ქედის რაიონული კომიტეტი.

ხელისუფლების საქმიანობა გარკვეული წინააღმდეგობებით, მაგრამ ძირითადად მოსახლეობის ინტერესებთან ერთობლიობით გაგრძელდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს თურქეთმა ახალი ულტიმატუმების წამოყენებით დაიკავა არდაგან–ართვინი. ამ დროს არსებობდა იმის საშიშროებაც, რომ თურქეთს ბათუმის ოლქიც მიეტაცებინა, მაგრამ ამ საქმეში რუსეთი ჩაერია, რადგან ეს არ შედიოდა მის სტრატეგიულ ინტერესებში, რასაც იმხანად საქართველოს სისხლხორცეული ინტერესიც ემთხვეოდა. შექმნილი ვითარება რამდენადმე განმუხტა 1921 წლის 16 მარტის რუსეთ–თურქეთის ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი აღიარებდა თურქეთის საზღვრებს, თურქეთის ეროვნული პაქტის საფუძველზე. ამ პაქტით თურქეთი უთმობდა საქართველოს ბათუმის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას იმ პირობით, თუ ამ მხარის (სამუსლიმანო საქართველოს) ადგილობრივი მოსახლეობა ავტონომიის უფლებით ისარგებლებდა. ამ ხელშეკრულებით ქართული ტერიტორიები არდაგან–ოლთისი–ართვინი თითქმის ბათუმამდე თურქეთის ტერიტორიულ საზღვრებში მოექცა. აღნიშნული ხელშეკრულება გაიმეორა და დაადასტურა 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებამ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა და საზღვრების დადგენის საკითხზე. საინტერესოა, რომ თურქეთმა სასაზღვრო ხელშეკრულება ცალკ–ცალკე გააფორმა თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკასთან. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა შალვა ელიავამ და საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძემ.

ყარსის ხელშეკრულების ძალით „ოსმალეთი თანხმდებოდა დაეთმო საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და ტერიტორიაზე, რომელიც ძევს ჩრდილოეთით საზღვრისა"...

მაგრამ თურქეთს გადაეცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი) 936, 15 კვ. კმ–მდე; ართვინის ოლქი – 3384,82 კვ.კმ. და არდაგანის ოლქი 5644,74 კვ.კმ ტერიტორია.

(საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტომი მე–4; გვ. 332–333)

სერიოზულად დაიძაბა ვითარება აჭარაში. მთელი 20–იანი წლების განმავლობაში ეს ქართული რეგიონი და ქართული მოსახლეობა განცალკევებულად განიხილებოდა, ეთნოგრაფიული თავისებურებები – პოლიტიკური პრინციპის რანგში იყო აყვანილი. რამდენადაც მემედ აბაშიძე და მისი პოლიტიკური დაჯგუფება მენშევიკურ ხელისუფლებასთან იყო კავშირში, ბოლშევიკებმა ორიენტაცია აჭარაში თახსიმ ხიმშიაშვილსა და მის პოლიტიკურ დაჯგუფებაზე აიღეს. შედეგად პროისლამისტური ტენდენციები აღზევდა.

კომუნისტური ხელისუფლების განწყობას თავის სასარგებლოდ იყენებდა თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც 1923 წლიდან აჭარის ავტონომიის სახალხო კომისართა საბჭოს

თამვმჯდომარე გახდა. მან საბჭოთა ხელისუფლების გულის მოსაგებად დააპატიმრა მემედ აბაშიძე და მისი ოჯახი. აჭარის ტერიტორიიდან 15 ყველაზე აქტიური ბეგი გაასახლეს. მათ შორის ბევრი იყო ქართული ორიენტაციის, სამაგიეროდ მან დაიახლოვა თურქოფილები.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1925 წელს, როცა თახსიმ ხიმშიაშვილმა 12 ოქტომბერს ქედაში მოიწვია აჭარისტანის საბჭოების ცაკის მესამე სესია, რომელიც ანტიქართული გამოსვლებით გამოირჩეოდა. სხდომამ საქართველოსა და აჭარისტანის შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოებულ ნაციონალურ–შოვინისტური და კოლონიური პოლიტიკის წარმოების გაგრძელებას".

ქედის რეზოლუცია უარყოფითად შეაფასეს თბილისში. ბათუმში სასწრაფოდ ჩავიდნენ სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და სხვები. სასწრაფოდ შეატყობინეს საქმის ვითარების შესახებ მოსკოვში იოსებ სტალინს. მათი თანდასწრებით მოხერხდა საოლქო კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გაერთიანებული სხდომის მოწვევა, რომელმაც ქედის სესია ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ გამოსვლად შეაფასა. მოხერხდა ამ ავანტიურის შედეგების განეიტრალება, მაგრამ უკმაყოფილების ფესვები აჭარაში ღრმად იყო ჩაბუდებული.

დედა–სამშობლოსაგან ამ კუთხის 300 წლიანმა გაუცხოებამ თავისი შედეგები მოიტანა: შეიცვალა სარწმუნოება, წეს–ჩვეულებები, ადათები, სამართლის სისტემა დაეფუძნა შარიათს. რუსეთი, რომელმაც თურქეთს წაართვა ეს მეტად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ობიექტი, ენერგიულად ცდილობდა, ამ მხარეში პრორუსული განწყობილება დაენერგა. თურქეთი ამ ტერიტორიებს უსამართლოდ, რუსეთის მიერ ძალით წართმეულ მხარედ თვლიდა და ცდილობდა იქ თავისი გავლენა არ დაეკარგა. ამ საქმეში მისი ერთგული მოკავშირე იყო მაჰმადიანური რელეგია და რწმენა–წარმოდგენები.

მიუხედავად ამისა, ქართველმა მამულიშვილებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს აჭარაში ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისა და განვითარების საქმეში, თუმცა სიძნელეც ბევრი იყო.

აჭარაში მებრძოლი ათეიზმის პოლიტიკა გასაგებ წინააღმდეგობას აწყდებოდა, განსაკუთრებით მთის რეგიონებში. გლეხობა ვერ ურიგდებოდა ტრადიციული წეს–ჩვეულებების აკრძალვას, ქალის სოციალურ–პოლიტიკური გააქტიურების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. ეს ყველაფერი მათ პიროვნული ღირსების შელახვად, „მეორედ მოსვლად" ესახებოდათ. მოსახლეობას ეს გულისწყრომა საქართველოს მტრებმა გამოიყენეს. ანტისამთავრობო მოძრაობა აჭარაში 1927 წელს დაიწყო. იქმნებოდა საიდუმლო ორგანიზაციები, თურქეთის ემისრები აქტიურად უწევდნენ კონსულტაციებს ათეისტური პროპაგანდით უკმაყოფილო გლეხებს, ჰპირდებოდნენ თურქეთიდან სამხედრო დახმარებას, მოხერხდა, თურქეთიდან იარაღის დიდი პარტიის შემოტანა და სოფელში გადამალვა. გამოიკვეთნენ მოძრაობის ლიდერებიც. ისინი მხოლოდ დროს ელოდნენ.

1929 წლის მარტის დასაწყისში რეგიონის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის ემზადებოდა. ბათუმელი ლიდერები სოფლებში მოგზაურობდნენ. ხულოს რაიონის სოფელ ჭვანაში ჩავიდა აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე. 7 მარტს შედგა სასოფლო კრება, რომელზეც კომუნისტმა ხელმძღვანელობამ, აჭარელი ქალის საზოგადოებრივი აქტივიზაციის საბჭოთა პრინციპებიდან გამომდინარე, მოითხოვეს ადგილობრივი ქალი–აქტივისტების დეპუტატებად ბათუმში წასვლა. მასპინძელთა სურვილს, ქალებს ბათუმში მეუღლეებიც გაჰყოლოდნენ, მოჰყვა შემდეგი პასუხი:"კაცები ბათუმშიც ბევრია"... სტუმრების უტაქტო ფრაზამ კრებაზე დამსწრე აჭარელი გლეხების აღშფოთება გამოიწვია, მათ დააპატიმრეს ბათუმელი სტუმრები და აჯანყდნენ.

9 მარტს აღდგნენ ღორჯომელები, რაშიც დიდი როლი შეასრულა ჭვანა–ნაღვარევიდან იქ გადმოსულმა მეამბოხეთა რაზმმა. აჯანყებულებმა იერიშით აიღეს თემსაბჭოს შენობა, მოკლეს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი, დააპატიმრეს ადგილობრივი კომუნისტები. აჯანყებულებმა წერილი გაუგზავნეს თურქეთში თავშეფარებულ ხიმშიაშვილებს: „აჭარა განთავისუფლებულია, კომუნისტები და საბჭოთა ხელისუფლება დამხობილია, ჩამოდით და გვიხელმძღვანელეთ". ხულოს მაზრაში ყველა სოფელი ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა.

ამბოხებულებმა საბჭოთა სასაზღვრო საგუშაგოებზე თავდასხმები დაიწყეს. ფაქტობრივად, აჯანყებულები საბჭოთა რეგულარულ ძალებს დაუპირისპირდნენ. აჯანყებულებმა აიღეს ერთ-ერთი, 25-ე საგუშაგო და კონტროლი დაამყარეს გოდერძის უღელტეხილზე. ბათუმში ჩამოვიდა ლავრენტი ბერია. შექმნილი ვითარება სასწრაფოდ აცნობეს სტალინს. მან დაშიფრული დეპეშა გამოუგზავნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „აშკარაა, თქვენ დაუშვით შეცდომა" და მოითხოვა კონფლიქტის უსისხლოდ დასრულება. ამბოხებულებმა მთავრობას წაუყენეს მოთხოვნა: უნდა აღდგენილიყო შარიათის სასამართლო, კვლავ გახსნილიყო მედრესეები, გოგონებს არ უნდა ევლოთ საბჭოთა სკოლაში, შეწყვეტილიყო რელიგიური დევნა, ჩადრის ახდის კამპანია და სხვა.

1929 წლის 25 მარტს გადაწყდა ამბოხების ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები ქედასა და ხულოში შევიდნენ. ოპერაციას ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ამბოხებულები შედრკნენ. ამბოხების ლიდერები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მომხრეებს აჯანყების შეწყვეტა შესთავაზეს. უშიშროების სამსახურის მუშაკებმა სოფლებში ამოიღეს 2800 შაშხანა. რიგითი ამბოხებულები სახლებს დაუბრუნდნენ. აჯანყების ლიდერები, მცირე ჯგუფთან ერთად, თურქეთში გადავიდნენ. ზოგიერთი ამბოხებული მთავრობას ჩაჰბარდა, მათგან ზოგი დახვრიტეს და ზოგი ციმბირში გადაასახლეს.

(საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში; ტომი მე–4; გვ. 322–25)

აჯანყება ქედაში

საკითხი, რომელზეც ახლა გავამახვილებ ყურადღებას, 1921 წელს მოხდა, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად ჯერ სრულად არაა ჩამოყალიბებული სახელისუფლებო ორგანოები, რის გამოც ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ანტისაბჭოთა გამოსვლის მიზეზი შესაძლოა ხელისუფლების სიმკაცრე, რეპრესიები ან შეცდომები ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, უკვე არსებობს აჭარის საოლქო რევკომის 5 ივლისის დადგენილება „ბეგების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", არსებობს მილიციის საგანგებო კომისიები, ეგრეთწოდებული „ჩეკა", რომელსაც ევალებოდა არასანდო ელემენტებთან ბრძოლა, მაგრამ ქედაში დაფიქსირებული საპროტესტო მოქმედებები მათი საქმიანობით არაა გამოწვეული.

მიზეზი ერთადერთია, მ. აბაშიძის ხელმძღვანელობით, მოქმედი მეჯლისის დათხოვნის შემდეგ, არჩეულ იქნა ახალი მეჯლისი, რომლის წევრები ადგილებზეც და საოლქო დონეზეც „სედაი-მილეთლები" იყვნენ, ამათ კი ქედაში ძლიერი ორგანიზაცია ჰყავდათ.

ქედაში მოქმედმა „სედაი-მილეთის" ორგანიზაციამ დააკომპლექტა მაზრის რევკომიცა და სოფლად მოქმედი რევკომებიც.

ისტორიულ ლიტერატურაში ქედის აჯანყებაზე არაფერია ნათქვამი,რადგან,როგორც ჩანს, კომუნისტები ამ დროს, ამ მოქმედებაში თავიანთ სისუსტეს გრძნობდნენ და არ სურდათ მომავალ თაობებსაც სცოდნოდათ ამის შესახებ. თემის დახურვა, ალბათ, პროპაგანდისტული აქტი იყო.

ქედის მაზრაში თავდაპირველად შექმნილი რევკომის თავმჯდომარედ აბდულ ეფენდი მუფთი ზადე (ღოღობერიძე) იქნა არჩეული, რომელიც „სედაი-მილეთს" წარმოადგენდა. მან შემოიკრიბა თავის გარშემო თანამოაზრეები: ქ. ბასილაძე, ხ. ბასილაძე, ა. ბეჟანიძე, აბდულ-ეფენდი ყირიმზადე და სხვები.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ აჭარაში თავიდანვე არსებობდნენ ანტისაბჭოთა დაჯგუფებები, ერთს იხვან ხოჯა ხელმძღვანელობდა, მეორეს – შევქეთ-ბეგ ხიმშიაშვილი და ა.შ. და შესაძლოა, მათთან კავშირი ჰქონდათ ქედელ „სედაი-მილეთელებსაც".

„სედაი-მილეთელების" პროტესტი ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ოსმალთა გამგებლობაში აჭარის დაბრუნებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნით მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებდნენ რელიგიურ ფაქტორს – ბოლშევიკები მუსლიმანების განადგურებას ისახავენ მიზნადო.

როგორც ვხედავთ, მათი დამოკიდებულებანი არა მარტო ანტისაბჭოთა, არამედ ანტიქართულიც იყო. ამიტომ საარქივო მასალებში გაბნეულ ათეულობით სახელს არ დავასახელებ, შთამომავლობისთვის, შესაძლოა, ძნელი ამოსაცნობი იყოს, რადგან გვარების ფორმულირება ოსმალურია, მაგრამ ვინც ამოიცნობს, მისთვისაც არ იქნება სასიხარულო, – ანტისაბჭოურობა კიდევ ჰო, დღეს ვაჟკაცობად ითვლება, მაგრამ ანტიქართულობა?

ქედის რევკომის წევრები დასაწყისში ორმაგ თამაშს ეწეოდნენ, ცდილობდნენ მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან, ყოფილიყვნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და საიდუმლოდ ემზადებინათ აჯანყება, მათ მიაღებინეს რევკომს თურქულად დაწერილი წერილი, რომელიც 11 მაისს გაუგზავნეს აჭარის რევკომს.

„ბათუმის რევკომის თავმჯდომარეს!

ქედაში კარგა ხანია რევკომი დაარსდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა რევკომმა ვერ შეძლო კავშირი დაეჭირა ბათუმის რევკომთან. რევკომის დაარსებიდან ამხანაგ მუშებისა და მიწის მუშების უფლების დასაცავად მოვალენი ვართ უსწავლელ ამხანაგებს გავაცნოთ დღევანდელი ახალი ცხოვრების პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძნელი საქმეა, ჩვენ ბოლშევიკური პროგრამა არ ვიცით, ვიცნობთ მხოლოდ გაგონებით, გაჭირვებით ვასწავლით ხალხს. მიუხედავად ამისა პოლიტიკური მიმდინარეობის მიმართ ხალხს არ ჩაუდენია არც ერთი შეცდომა, ხალხი ყურადღებას აქცევს და ცდილობს გაიგოს ყველა საქმეები... ჩვენ არა ვართ სწავლით განათლებულნი, ამიტომ ყველაფერს ვგებულობთ ნელ-ნელა და თუ პატარა შეცდომები გვექნება, იმედია გვაპატიებთ...

ქედის რაიკომის თავმჯდომარე აბდულა, მისი ამხანაგი რემზა."

რევკომის თავმჯდომარემ შეიარაღებული რაზმიც შექმნა, ვითომ ყაჩაღების შესაპყრობად. ამის გამო ქედის მაზრის მილიციის უფროსი შტუმახერი და თავმჯდომარე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ რევკომის სხდომაზე თავმჯდომარე გადაიყვანეს წევრად და ახალი თავმჯდომარე აირჩიეს აბდულ ეფენდი კირილ ზადე. დაითხოვეს შტუმახერიც და მის ნაცვლად ზემი ეფენდი თორნი-ზადე დანიშნეს.

მილიციის უფროსის ქედიდან წასვლის შემდეგ რევკომის წევრებს მეტი თავისუფლება მიეცათ, ცდილობდნენ თანამდებობებზე ყველგან თავისიანები გაეყვანათ.

განახლდა მეჩეთში მორწმუნეებთან შეხვედრები და მხარდაჭერების მომრავლება.

1921 წლის 16 სექტემბერს აჭარისტანის რევკომმა ქედის მაზრაში მილიციის უფროსად კონსტანტინე არჯევანიძე გაგზავნა. ის იმავე დღეს გაეცნო ვითარებას და 17 სექტემბერს მოხსენებითი ბარათი გაგზავნა ზემდგომში, რომელშიც გამოკვეთა ძველი მთავრობის მხარდამჭერთა და სედაიმილეთელების მიზნები, რომ ისინი დადიან ბათუმში და საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავენო.

ბარათიდან ჩანს, რომ კ. არჯევანიძემ სათანადოდ ვერ შეიცნო მოწინააღმდეგენი – არავითარ პოლიტიკურ ღირებულებას არ წარმოადგენენო, ხალხთან შეხვედრის უფლება რომ არ მისცეს, ვერც ამით ჩასწვდა მათ დამოკიდებულებას, განყოფილების შექმნაზე უარი უთხრეს, არც ფუნქციების განაწილებაში ჩართეს და და არც მილიციის უფროსის მანდატის გადაცემაზე დათანხმდნენ. ამის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ მოიმიზეზეს სახაზინო თოფების ჩაბარება – თერთმეტის ნაცვლად შვიდს აბარებდნენ.

ბარათში ჩანს, რომ მილიციის უფროსი დაეჭვებულა, დროს აჭიანურებენო. მალე კი, როცა შესთავაზეს, უკან გაბრუნდიო, მიხვდა, რომ არც ისე იყო საქმე, როგორც თავიდან შეაფასა.

19 სექტემბერს კ. არჯივანიძემ ქედაში შემოსასვლელ-გასასვლელი გზები ჩაკეტა, არც არავინ უნდა გაეშვა, არც შემოეშვა. ტყვიამფრქვევიც ისეთ სტრატეგიულ ადგილას დააყენა, საიდანაც მეტი საშიშროება მოელოდა მოწინააღმდეგის.

დღის 3 საათზე სადარაჯოს უფროსი და მეტყვიამრფქვევე შევიდნენ მილიციის სამმართველოში, სადაც გადაბარების გარეშე მუშაობდა უფროსი, მათ მოახსენეს, რომ მის ძალით განდევნას აპირებდნენ. 20 წუთის შემდეგ რევკომის წევრები რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირით მიადგნენ სამმართველოს, მაგრამ ამჯერად ულტიმატუმის წაყენებით დაკმაყოფილდნენ, სისხლი არ დაღვრილა.

19 სექტემბერს, ღამით, ქედის გორაზე 200 შეიარაღებული აჯანყებული დაბანაკდა, თუმცა, ტყვიამფრქვევის შიშით მოქმედების დაწყებას აყოვნებდნენ. ვითარება სულ უფრო იძაბებოდა: უკვე გამოჩნდა ლოზუნგები: „ძირს აჭარისტანის კომიტეტი, გაუმარჯოს მეჯლისს.” აჯანყებულთა შორის ძარცვა-ყაჩაღობაში შემჩნეული პირებიც მომრავლდნენ.

მილიციის უფროსი რამდენიმე ერთგული მილიციელის და ტყვიამფრქვევის იმედით რჩებოდა. აჯანყებულთა რიგები კი ძირითადად 4-5 სოფლის მოსახლეობით იზრდებოდა, მათ შორის იყვნენ ქედის ახლო სოფლების, მერისის და წონიარისის წარმომადგენლები.

20 სექტემბერს აჯანყებულებმა სკოლის და მიმდებარე შენობები დაიკავეს. მილიციის უფროსს ულტიმატუმი მაზრის დატოვების შესახებ ისევ გაიმეორეს: „რადგანაც თქვენ არ გაქვთ ბათუმის რევკომის და აჭარისტანის მეჯლისის მანდატი, საზოგადოებას არ სურს თქვენი დარჩენა მილიციის უფროსად... წინადადებას გაძლევთ გაემგზავროთ დაუყოვნებლივ,” გადასცეს ხელმოწერილი საბუთი.

უფროსი იძულებული გახდა ფეხით წასულიყო, გზაზე დააწიეს ეტლი და იმით განაგრძო მგზავრობა.

საღამოს 9 საათზე დაბა აჭარისწყალში მივიდა, აქედან ტელეფონით დაუკავშირდა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და მაზრაში ჯარის გაგზავნა ითხოვა.

იმავე პერიოდში უქმად არც აყანჯებულები იყვნენ, ასი კაცი შემოიმატეს წონიარისიდან. შეკრებილთა წინაშე ხელმძღვანელები სიტყვით წარსდგნენ: კომუნისტები სამშობლოს და სარწმუნოებას გვართმევენ, ამიტომ ჩვენ ისინი უნდა გავყაროთო.

შეგროვილთა დიდი ნაწილი მოტყუებით იყო მაზრის ცენტრში ჩამოყვანილი.

– სამშობლოს თუ ვიცავთ, მოწინავე კაცები სად არიანო? – იკითხეს ბოლოს.

– ისინი არათუ გვეხმარებიან, არამედ გვიპირისპირდებიანო – იყო პასუხი.

შეგროვილნი საგონებელში ჩავარდნენ და 6 კაცი გაგზავნეს ქედაში მცხოვრებ შაქირ შერვაშიძესთან რჩევის საკითხავად.

– რევკომი ხალხს ატყუებს და ხელისუფლებას აპირისპირებს, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული ჯარი ჰყავს, თქვენ ვერაფერს გახდებით და ცოლ-შვილს დააობლებთ, თუ დაიშლებით და თქვენ სოფლებში წახვალთ, კარგს იზამთო. – დაარიგა ისინი შ. შერვაშიძემ.

ეს დარიგება მალე გავრცელდა შეკრებილებში და მათი დიდი ნაწილი მართლაც დაუბრუნდა ოჯახებს, მაგრამ ადგილზეც მრავლად რჩებოდნენ.

21 სექტემბერს მაზრაში ჯავშნიანი ავტომობილი და ცხენოსანი ჯარი შემოვიდა, 20-მდე მილიციონერი ახლდა, ძირითადად ქედის მცხოვრებნი, რომლებიც ბათუმში მუშაობდნენ.

სროლა 2 საათზე აჯანყებულებმა დაიწყეს სოფელ ძენწმანიდან. ჯარი იძულებული გახდა საპასუხო ცეცხლი გაეხსნა და მდინარის მეორე მხარეს გადასვლა დაიწყო, ტყვიამფრქვევის ცეცხლის თანხლებით.

ქედელი მილიციონერები ახმედ სურმანიძე და ხასან კაკაბაძე შეხვდნენ აჯანყებულთა წარმომადგენლებს და დანებება ურჩიეს, რადგან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. რჩევამ ნაყოფი გამოიღო – „სედაი-მილეთის" წაქეზებულმა შეაიარაღებულებმა სროლა შეწყვიტეს და ჯარი მაზრის ცენტრში მშვიდობიანად შევიდა.

საარქივო მასალებით ჩანს, რომ მსხვერპლი არ ყოფილა. წინააღმდეგობა შეწყდა.

ბრძოლა ჯელალების და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ აჭარაში განახორციელა ახალი აგრარული რეფორმა, რომელსაც საფუძვლად დაედო დეკრეტი მიწის შესახებ, იგი მიღებულია სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ 1917 წლის 8 ნოემბერს. მის საფუძველზე საქართველოს რევკომმა 1921 წლის 6 აპრილს დეკრეტით მიწის შესახებ განსაზღვრა აგრალური რეფორმის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები. დეკრეტის პირველ მუხლში ნათქვამია: „ამიერიდან წყდება მიწის გაყიდვა, იჯარა და მიწის გადაცემის სხვა ფორმები (სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, გვ. 238. 2012წ.)

დეკრეტი ითვალისწინებდა მსხვილი მამულების კონფისკაციას და სახელმწიფო ფონდში გადაცემას. მიწათსარგებლობის უფლება ეძლეოდა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც მიწას საკუთარი შრომით დაამუშავებდა.

1921-1940 წლების აგრარული რეფორმა ორი ეტაპისაგან შედგებოდა, პირველი ეტაპი 1921-1928 წლები – ითვალისწინებდა კოლონისტებისა და მემამულე-თავადაზნაურების მამულების კონფისკაციას. მეორე ეტაპი, - 1929-1940 წლები, – ითვალისწინებდა გლეხობაზე მიწის ჩამორთმევას, კულაკების ექსპროპირაციას და მათ ბაზაზე კოლექტიური მეურნეობების შექმნას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემამულე-თავადაზნაურებისა და შეძლებული გლეხების სახით მტრის ხატი შექმნა და აჭარაში აგრარული რეფორმა მწვავედ, დაძაბულ ვითარებაში განხორციელდა. დაძაბულობა განსაკუთრებით იმან გამოიწვია, რომ აჭარაში მცირემიწიანი და უმიწო გლეხობა მრავლად იყო.

1922 წლიდან იწყება პოლიტიკური დაპატიმრებები და დახვრეტები.

1921 წლის 21 მარტის ბრძანებით ის პირები, რომლებიც შენიშნული იქნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში, აგრეთვე სპეკულაციასა და პროვოკატორობაში, სასწრაფოდ მიეცემოდნენ პასუხისგებაში და რევოლუციური ტრიბუნალის სასამართლოში. 1921 წლის 21 მარტს რევკომის ბრძანებით ბათუმში შეიქმნა რევოლუციური ტრიბუნალი რევკომის წევრის კ. საჯაიას თავმჯდომარეობით, შეიქმნა მილიციის საგანგებო კომისია. (ჩეკა).

იმავე წლის 8 აპრილს ბათუმის ოლქის რევკომის თხოვნით საქართველოს რევკომმა აჭარაში მობილიზაციის წესით გამოგზავნა საკმაო რაოდენობის კომუნისტები. ბათუმის ოლქის რევკომმა უნდობლობა გამოუცხადა აჭარის მეჯლისის სოფლად არსებულ რევკომებს და გადაწყვიტა მათი გაუქმება. აჭარაში გააქტიურდნენ ანტისაბჭოთა მიმართულების პარტიები. 1922 წლის აგვისტოში ანტისაბჭოთა მიმართულების პარტიები გაერთიანდნენ და შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომლის

ამოცანა იყო საბჭოთა წყობილების დამხობა; მათ ევროპის ქალაქებში შექმნეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (პარიზში, ლონდონში, ჟენევაში). 1924 წლის 28 აგვისტოს დაიწყო აჯანყება, მაგრამ მალე დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელები, გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. ანტისაბჭოთა გამოსვლების სალიკვიდაციოდ აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თ. ხიმშიაშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა „ხუთეული", აჭარის ყველა მაზრაში შეიქმნა „სამეული", რომელიც ხუთეულის მითითებით ხელმძღვანელობდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცხადდა კომუნისტთა მობილიზაცია. საქმიანობაში ჩააბეს კომკავშირლები და უპარტიო მუშები. აჭარის სოფლებში 1200 კომკავშირელი გაერთიანდა მობილიზაციაში.

ხელისუფლება ღარიბ გლეხობას აქეზებდა მემამულე თავადაზნაურების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მკვეთრად გამოვლინდა 1921 წლის ნოემბერში ჩატარებულ ღარიბ გლეხთა ყრილობაზე. ყრილობამ მიიღო დადგენილება დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მიწა, ადგილ-მამული, იმათზე, ვინც თვითონ არ ამუშავებდა მიწას და დაქირავებულ მუშახელს იყენებდა. ყრილობამ დაადგინა ჩამორთმეული მიწები გადაცემოდა ღარიბ და უმიწო გლეხობას.

სულ აჭარაში აღრიცხული იყო 24865 დესეტინა მიწა, ქედის მაზრაში კი 1752 დესეტინა. ამ დროს ქედის მაზრაში ცხოვრობდა 1736 კომლი, 10574 სული. თუ აჭარაში ერთ კომლზე მოდიოდა 2,2 დესეტინა, ქედის მაზრაში მცირე მიწიანობის გამო, ერთ კომლზე მოდიოდა 1 დესეტინა სახნავ-სათესი. ეს მაშინ, როცა საქართველოს მიწათმოწყობის 1923 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში საკომლო საარსებო მინიმუმად დადგენილი იყო 4 დესეტინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 2,5 დესეტინა; გლეხობა აჭარაში განსხვავებულ ვითარებაში იყო, 1928 წელს ღარიბი გლეხობა შეადგენდა სოფლის მოსახლეობის 87,8%, საშუალო გლეხობა 10,5%, ხოლო კულაკები 1,2%, უმიწაწყლოები მოჯამაგირეობით ირჩენდნენ თავს. გახშირდა დავები მიწის საკითხებზე.

1923 წელს აჭარაში აღრიცხული 195 მკვლელობიდან 48 მკვლელობა მიწის საკითხების გამო იყო, მთავრობაში შეტანილი საჩივრების უმეტესობა მიწის საკითხებს ეხებოდა.

დავა-საჩივრებმა ფართო მასშტაბი მიიღო ტყესა და საძოვრებზე, ტყე და საძოვრები სახელმწიფო ფონდში გადავიდა და სახელმწიფო მისი სარგებლობის უფლებას იმ სოფელს აძლევდა, ვინც ნამდვილად საჭიროებდა.

აჭარაში მემამულეთა მიწების ნაციონალიზაცია 1922 წლიდან დაიწყო და 1927 წლის ბოლოს დამთავრდა; მემამულეებს ჩამოერთვათ 9700 ჰექტარი ადგილ-მამულები, ძირითადად ქობულეთში და ბათუმის რაიონებში, რომელთა დიდი ნაწილი ადრე კოლონიზატორების მფლობელობაში იყო.

აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 12 ივნისის დადგენილებით საზაფხულო საძოვარზე გადასახადები შემოიღეს. პირველი კატეგორიის საძოვრებზე ჰექტარზე 1,55 მანეთი, მეორე კატეგორიის საძოვრებზე 1,05 მანეთი და მესამე კატეგორიის საძოვრებზე - 65 კაპიკი ფართობი განისაზღვრა. ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში დარჩა 20 ათასი დესეტინა საზაფხულო საძოვრები, რომლებსაც აჭარის მოსახლეობა 1927 წლამდე უფასოდ სარგებლობდა.

თავდაპირველად სამი ფორმის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნა: კომუნა, არტელი და მიწის საზიარო დამმუშავებელი ამხანაგობა. ქედის რაიონში ჩამოყალიბდა არტელი და მიწის საზოგადოებრივი დამმუშავებელი ამხანაგობა, შეიქმნა მეფუტკრეობისა და მეთამბაქოეობის ამხანაგობები. 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება, ისინი იქმნებოდა გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტით; ღარიბთა ჯგუფების მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა კულაკებთან და საშუალო გლეხობაზე ზემოქმედების მოხდენა საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩასაბმელად.

1928 წელს ქედის მაზრაში არსებობდა 6 ღარიბთა ჯგუფი.

1929-1930 წლებში სამ სოფელში შეიქმნა არტელი, ხოლო 1930 წლიდან იწყება კოლექ-

ტივების ჩამოყალიბება. 1930 წლის მაისისათვის ქედის რაიონში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 141 წევრი, მათი უმრავლესობა იყვნენ მოჯამაგირეები და უღარიბესი გლეხობა. 1930 წლისათვის ქედის რაიონში იყო 22 კოლექტიური მეურნეობა.

1931 წლის 15 იანვრისათვის აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გაიზარდა მდიდარი გლეხების და კულაკური მეურნეობების დაბეგვრა. ამ დროს ქედის რაიონში იყო 4 კულაკური მეურნეობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 17 მაისის დადგენილებით კოლმეურნე კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ფართობი განისაზღვრა 0,25-დან 0,75 ჰექტარამდე.

1937 წლის მასობრივი რეპრესიების შედეგად ხელოვნურად დააჩქარეს სასოფლო-სამეურნეო არტელებზე გადასვლა,დამთავრდა კულაკობის ლიკვიდაცია,ყველა გლეხი, ვინც კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგე იყო, დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. 1938 წელს ქედის რაიონის კოლმეურნეობებიდან გარიცხეს 24 გლეხი.

ახალი ცხოვრების შუქ-ჩრდილები ქედის რაიონში (1921-1941 წ.წ.)

საბჭოთა ხელისუფლება ყველგან, სადაც ის დამყარდა, საკუთარ გამოცდილებას ქმნიდა და ისე აყალიბებდა ხალხთან დამოკიდებულებებს. იყო წარმატებებიც, მაგრამ შეცდომებიც მრავლად გააჩნდათ.

„სამხედრო კომუნიზმი" საქართველოს ფაქტიურად არ გაუვლია, 1922 წლის მარტიდან ახალ პოლიტიკურ ეკონომიკაზე (ნეპი) გადასვლა დაიწყო და ეს იყო პირველი საბჭოთა ღონისძიება, რომელიც მოსახლეობას შეეხო ქედის მაზრაში. ეს იყო იძულებითი ღონისძიება, და ითვალისწინებდა სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლას. გადასახადი დაწესდა პურზე, ხილზე, რძესა და სხვა პროდუქტებზე.

აჭარაში სასურსათო ნატურალური გადასახადი შემოიღეს 1922 წლის შემოდგომაზე. მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ამ ღონისძიებას. ღარიბი გლეხობის სამაზრო კრებამ ქედაში ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება: „ქედის მაზრის ფუხარა ხალხის საერთო კრება მუშურ-გლეხურ მთავრობას უცხადებს სრულ ნდობას და ესალმება მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მშრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენ, ფუხარა გლეხობა, დარწმუნებული ვართ, რომ სასურსათო გადასახადის შემოღება ერთ-ერთი თავდებათაგანია გამარჯვების."

როგორც მთელ აჭარაში, ქედაშიც ნატურალურ გადასახადის რაოდენობა ერთ კომლზე 2-2,5 ფუთს არ აღემატებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ წელს ცუდი მოსავალი იყო და წყალდიდობამაც დააზიანა ნათესები, მთავრობამ გადასახადი ნახევარზე მეტით შეამცირა.

გადასახადის შემცირების მიუხედავად გლეხობას არ შეეძლო საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ნამატის გაყიდვა, მითუმეტეს, მოსახლეობა წინა წლის გაჭირვების გამო დაშინებული იყო. მაშინ მთავრობამ 2000 ფუთი სიმინდი დაუნაწილა ქედის და ხულოს მაზრების სოფლებს და თესლითაც მოამარაგა. ნატურალურ გადასახადზე მხარდაჭერა ამ დახმარების გამოც გამოხატა გლეხობამ, მაგრამ გაჭირვებამ თავისი ჰქნა, ამიტომ მთავრობამ ნატურალური გადასახადი ნაწილობრივ ფულადით ჩაანაცვლა. თუმცა მაშინ ფულის შოვნაც ურთულესი იყო, მაგრამ გლეხობის მდგომარეობა ცოტათი მაინც შემსუბუქდა.

1921 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც გაუქმდა კერძო საკუთრება მიწაზე, აიკრძალა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა, მიწა ამოღებულ იქნა ყიდვა-გაყიდვის სფეროდან.

დეკრეტით მიწის სარგებლობის უფლება ჰქონდა ყველა მოქალაქეს, ვისაც შეეძლო მიწის დამუშავება საკუთარი შრომით. მიწის რეფორმა ფაქტობრივად ღარიბთა, სასოფლო, სათემო და სარაიონო კომიტეტების მონაწილეობით მიმდინარეობდა, მაგრამ მცირე მიწიან რაიონში მიწის განსაზოგადოებრიობამ ვერ შექმნა სასურველი ატმოსფერო. მიწის ჩამორთმევა-გადაცემის სამუშაოები აჭარის გლეხთა პირველი ყრილობის შემდეგ გააქტიურდა, რომელიც 1921 წლის 7-11 ნოემბერს ჩატარდა. ქედიდან ყრილობას 63 დელეგატი ესწრებოდა.

1922 წლის იანვარში მიწის რეფორმის დაჩქარების კურსი დასახა აჭარის საზოგადოების პირველმა ყრილობამ. ამ მიზნით ყველა მაზრაში და მათ შორის ქედაშიც შეიქმნა მიწათმოქმედების განყოფილება, რომლის სამოქმედო პროგრამაში გამოიკვეთა მიწების ჩამორთმევა-განაწილება, სიმინდის მოსავლიანობის გაზრდა ჰექტარზე 80-100 ფუთამდე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით (გუთნები, ბარები, თოხები) მომარაგება და სამჭედლოების ეფექტურად ამუშავებისათვის რკინისა და ფოლადის მომარაგება.

მიწის რეფორმა ქვეყანაში ორ ეტაპად უნდა ჩატარებულიყო, პირველი (1921-1928) მიზნად ისახავდა მიწების კონფისკაციას, მეორე (1929-1940) – კოლექტიური მეურნეობების შექმნას.

ქედაში აღრიცხული იყო მიწა 1752 დესეტინა (ერთი დესეტინა ტოლია 1,09 ჰექტრის), კომლთა რაოდენობა კი შეადგენდა 1736-ს 10574 სულით. ქედაში მცირემიწიანობის გამო ერთ კომლზე მოდიოდა 1 დესეტინა სახნავ-სათესი, მაშინ როცა აჭარაში საშუალო მაჩვენებელი 2,2 დესეტინას უდრიდა, ამიტომ ქედაში მიწების ნაციონალიზაცია 1922 წელს დაიწყო და 1927 წლის ბოლოს დასრულდა. თითქმის ასე იყო მთელ აჭარაში.

მიწის რეფორმის პროცესში მიმდინარეობდა კოლექტიური დამუშავების ფორმებზე გადასვლა. ეს ფორმები ქედაში გამოიკვეთა მიწის დამმუშავებელი ამხანაგობის და არტელის სახით, მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ამხანაგობაში (ცნობილი იყო „ტოზის" სახელით) ერთიანდებოდა მხოლოდ შრომა, არტელში კი შრომასთან ერთად წარმოების ძირითადი საშუალებებიც.

პირველი ამხანაგობა ქედაში 1925 წელს შეიქმნა. 1928 წელს მოქმედებდა 6, 1930 წელს –11, 1931 წელს–22. საინტერესოა მათში გაერთიანებულთა მაჩვენებელი. 1930 წელს არ იყო მათ შორის არც ერთი მოჯამაგირე, ღარიბ გლეხთა ოდენობა შეადგენდა 83, საშუალო გლეხთა-49, მუშა-მოსამსახურე იყო 9, სულ 11 ამხანაგობაში – 141, საშუალოდ თითქმის 13 კაცი.

აქედან კარგად ჩანს, რომ გლეხობა ამხანაგობასა და არტელებში დიდი ენთუზიაზმით არ ერთიანდებოდა.

1930 წლიდან რაიონში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე გადასვლა. 1931 წლის სექტემბრისათვის უკვე 49 კოლმეურნეობა მოქმედებდა 805 წევრით და 220 ჰექტარი ფართობით. აქედან მოყოლებული უკვე იგრძნობა ენთუზიაზმი, რადგან თანდათან შრომამ ნაყოფი გამოიღო. მთავრობა კოლმეურნეობებს ეხმარებოდა ინვენტარით, ნერგებით ხელს უწყობდა პირუტყვის რაოდენობის გაზრდაში, და ა.შ. უფრო მეტიც, მათ მიერ მოწეული ხილ-ბოსტნეული შეკვეთით მიჰქონდათ „აჭარხილბოსტანის" და „ხილბოსტანკოლმეურნეცენტრის" გაერთაინებებს, ისინი მიმღებ პუნქტებსაც ქმნიდნენ.

კოლმეურნეობები თანდათან მოძლიერდნენ. 1932 წლისათვის შრომადღეზე რაიონში საშუალოდ 2 მანეთი და 25 კაპიკი განაწილდა, ზოგიერთ კოლმეურნეობაში კი ორჯერ მეტიც, მაგალითად, ახოს კოლმეურნეობამ შეძლო ერთ შრომადღეზე 4 მანეთის განაწილება, „შირექეთის" კოლმეურნეობამ – 4 მანეთისა და 23 კაპიკის, ახოს საერთო შემოსავალმა 25529 მანეთი შეადგინა, მძიმე ვითარება დაფიქსირდა ორთახოხნის და

დერეხოხნის კოლმეურნეობებში, იმის გამო, რომ აწჰესის მშენებლობაზე მუშახელი თვითნებურად მიჰყავდათ, ისინი გააუქმეს.

30-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის განვითარებას. ახლა კოლმეურნეობებს ეძლეოდათ პირუტყვის შეძენის გეგმები, მაგალითად, 1939 წლისათვის ქედაზე დაიგეგმა 945 სულის შეძენა.

საინტერესოა საარქივო მასალებიდან გამოკვეთილი ზრდის მაჩვენებელი ქედის მაგალითზე.

1940 წელი – კოლმეურნეობების ოდენობა 46, შემოსავალი 2334149 მანეთი, განაწილება შრომადღეზე 1 მანეთი და 91 კაპიკი. 1941 წელი – კოლმეურნეობების რაოდენობა 48, შემოსავალი 2277269 მანეთი, განაწილება შრომადღეზე 1 მანეთი და 42 კაპიკი.

განმარტებისათვის აღვნიშნავ, რომ 1940 წლის რაოდენობაში შედის 2 „ტოზი", 1941 წლის ზრდის შემცირება კი გარკვეულად გამოწვეულია სამამულო ომის დაწყებით.

საკოლმეურნეო შრომაზე და საერთოდ მოსახლეობაზე დახმარების კარგი მაგალითია სარწყავი არხების მშენებლობა. საამისო მუშაობა დაიწყო 1925 წლიდან და 1936 წლისათვის უკვე მოქმედებდა ზესოფლის, ტიბეთის, გობრონეთის, მოსიაშვილების, ვაიოს და სხვა არხები.

საკოლმეურნეო საქმიანობის დეტალებზე შემდეგ ვისაუბრებთ ცალკეული სოფლების მაგალითზე, მაგრამ აქ მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროცესს არ ჩაუვლია კულაკებთან წინააღმდეგობის გარეშე. ეს წინააღმდეგობა არ ატარებდა აგრესიულ ხასიათს, ამის მაგალითად გამოდგება ისიც, რომ 1936 წლისათვის ქედის რაიონში მოქმედებდა 4 კულაკური მეურნეობა.

კულაკები, თავისი კლასიკური გაგებით, ქედაში არ ყოფილან, მაგრამ ისტორიულად დაფიქსირებულია, რომ ამ კლასის ლიკვიდაცია რაიონში 1937 წელს დასრულდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი კავშირი მასობრივი რეპრესიების წელთან.

შევნიშნავ იმასაც, რომ მიწის რეფორმის პროცესი კოლმეურენეობების ჩამოყალიბების პარალელურად გაჭიანურდა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 17 მაისის დადგენილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობა 0,25-0,75 ჰექტარით განისაზღვრა და რეფორმაც მალე დასრულდა.

როგორც ვნახეთ, მიწის რეფორმა ორგანულ კავშირში აღმოჩნდა კოლექტივიზაციის პროცესთან, რაიონის კოლმეურნეობებში ძირითადი დარგი გახდა მეთამბაქოეობა, მესიმინდეობა და მეცხოველეობა, მაგრამ, ამავე დროს ოციანი წლების დასაწყისიდანვე გამოიკვეთა დაინტერესება სუბტროპიკული მიმართულებით. განვითარდა აგრეთვე მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა (ჯერ კიდევ 1925 წლისათვის ფუნქციონირებდა 200 ფუტკრის ოჯახი), აღდგა და გაფართოვდა საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის პრაქტიკა, გამოიკვეთა დაინტერესება მეფრინველეობით.

30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მევენახეობის აღორძინებას, შეიქმნა სანერგე, სადაც აპირებდნენ ძველი ჯიშების (ჩხავერი, ხოფურა, კლარჯული და სხვა) გამოყვანას.

ცხოვრების ყველა სფეროში საქმიანობა გადავიდა გეგმაზომიერ მიმართულებაზე, ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხუთწლედების შემოღებას.

მცირემიწიანობის გათვალისწინებით ქედაში (ასევე ხულოშიც) მთავარ საზრუნავად იქცა მოსახლეობის ჩასახლება ქობულეთის და ბათუმის რაიონებში. 20-30-იან წლებში 3-ჯერ განხორციელდა გეგმაზომიერი ჩასახლება. ჩასახლება გამოწვეული იყო ქობულეთში და ბათუმის რაიონებში ციტრუსის გაშენებითაც, ამ რაიონებში არ იყო საკმაო მუშახელი.

***

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლები მნიშვნელოვანი იყო ცხოვრების სხვა მიმართულებებითაც, კერძოდ, გზებისა და ხიდების მშენებლობის თვალსაზრისით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქედაში მხოლოდ აჭარის მთავარი გზა გადიოდა – ბათუმიდან გოდერძის უღელტეხილისკენ მიმავალი. 1923 წლის 8 აგვისტოს ქედის მაზრის აღმასკომის პლენუმის დადგენილებით აჭარის მთავრობას ეთხოვა მერისის გზის გაყვანა, საიდანაც მიმოსვლა მხოლოდ ცხენით და ფეხით შეიძლებოდა. რაც შეეხება ცხმორისიდან მახუნცეთამდე გზის მონაკვეთს, რაიონმა აიღო თავზე მისი ბეგარის საშუალებით შეკეთება.

მერისის გზის მშენებლობა მთელი რაიონის საზრუნავად იქცა, 1924 წლის 8 აგვისტოს მშენებლობა აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს თ. ხიმშიაშვილს მოუნახულებია. მაშინ დაუდვია პირობა, რომ თვითონაც იმუშავებდა. 25 ოქტომბერს პირობა შეუსრულებია თოხი და ბარი დაუჭერია.

თ. ხიმშიაშვილის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა, მთელი რაიონი გამოსულა სამუშაოდ, 1200 კაცი ერთდროულად. აქ ყოფილან ახოს, წონიარისის, ვარჯანისის, გეგელიძეების, ხარაულის, დანდალოს, კოკოტაურის, ცხმორისის, აბუქეთის, კანტაურის, საღორეთის, აგარის, ცხემნის, ზენდიდის, გულების, ზესოფლის, ზვარის, კვაშტის, ვაიოს, აქუცის, მეძიბნის, ორცვის და სხვა სოფლის მოსახლეობა.

რაიონის ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დარჩენია საზაფხულო საძოვრებზე მისასვლელი გზების შეკეთება. მერისის მთაზე ამ მიზნით გაიგზავნა 25 კომკავშირელი მევლუდ თურმანიძის ხელმძღვანელობით, ორცვის მთაზე 50 კომკავშირელი ხუსეინ დუმბაძის ხელმძღვანელობით, ხოხნის მთაზე 60 კომკავშირელი ოსმან ფარტენაძის ხელმძღვანელობით, ვაიოს მთაზე 50 კომკავშირელი ხასან ბერიძის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიწვია ქედის კაპიტალური ხიდის მშენებლობამ, რომლის აგების აუცილებლობა გამოიწვია ადრინდელი ხიდის წყალდიდობით განადგურებამ.

1924 წლის ზამთარს მეწყერი მოჰყვა. აქუცის მეწყერმა იმსხვერპლა ქვის თაღოვანი ხიდი, ჩაკეტილი მდინარის გახსნას მოჰყვა წყალდიდობა, რომელმაც წაიღო ქედის ხიდი. 1925 წელს დაიგეგმა და შემოდგომაზე გაკეთდა კიდეც ხოხნის, ვაიოს, კანტაურის, აბუქეთის, შევაბურის დაკიდული ხიდები.

ქედის ხიდი დამკვრელური წესით აშენდა მას შემდეგ 90 წელი გავიდა და კვლავ ფუნქციონირებს. ხიდი საზეიმოდ გაიხსნა 1925 წლის ივლისში. საზეიმო სხდომაზე გმირებად აღიარეს მშენებლები: ალიოსმან ასამბაძე და ანტონ ქემოკლიძე. იმავე წლის 2 დეკემბერს მაზრის აღმასკომმა ხიდზე ნაყოფიერი მუშაობისთვის ტექნიკოსები პეტრე ნეფჩენკოვი და ივანე გრაფსკი აირჩია ქედის რაიონის საპატიო მოქალაქეებად (აი, თურმე როდის დაწყებულა საპატიო მოქალაქის ტიტულის მინიჭება!), აღმასკომისავე 10 მაისის დადგენილებით ხიდს მიენიჭა თ. ხიმშიაშვილის სახელობა.

ყველაზე უფრო უმნიშვნელო იყო საქმიანობა მრეწველობის განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვანი იყო აწჰესის ელექტროსადგურის აგება, რომელზეც ცალკე შევაჩერებთ ყურადღებას, სხვა მხვრივ კი აღნიშვნის ღირსი არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახერხ ქარხანას ქედაში, არყისა და ღვინის საამქროებს ასევე მაზრის ცენტრში. აქვე გაკეთდა პავიდლის სადუღებელი. 1933 წლიდან ამოქმედდა სტამბა და სათავე დაედო რაიონული გაზეთის გამოცემას.

მნიშვნელოვანი იყო რაიონის ცხოვრებისათვის სამომხმარებლო საზოგადოების ობიექტების გახსნა, რითაც საყოფაცხოვრებო საქონლის შეძენის საშუალება მიეცა მოსახლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ავტომობილს, საკვლევ პერიოდში ქედა ამ მხრივ ვერ გახდა გამორჩეული.

საინტერესოა ის ფაქტიც რომ სოფლებში მრავლად იყვნენ მჭედლები, რომლებიც ამზადებდნენ ცულს, გუთანს, ნამგალს, წალდს და ა.შ. დიდი იყო მათი წვლილი მაშინდელი ქედის ცხოვრებაში, ამიტომ საჭიროდ ვთვლი, მათი სია შევიტანო წიგნში.

ალიქოღლები – მემედ ჩხიკვაძე

აქუცა – აბდულ ჩიკვაიძე

შევაბური – მევლუდ ბასილაძე, ხასან ბასილაძე

ქედა – თომა სიმეფონიდი, ივანე ალექსანდრიდი

მეძიბნა – ქამილ დუმბაძე

მერისი – რეჯებ დოლიძე, ახმედ თურმანიძე

ცხმორისი – ხუსეინ მიქელაძე, ახმედ გოგიტიძე, ახმედ ანანიძე, გულა ბერიძე

დანდალო – მევლუდ გოგიაშვილი, რამიზ სურგულაძე,

ხარაულა – რეჯებ ჭანუყვაძე

ზვარე – ისმაილ შარაძე

დერეხოხნა – აბდულ გოგუაძე, ახმედ წითელაძე

საღორეთი – ხასან ქადიძე, ახმედ სამნიძე, ხასან სამნიძე

აგარა – ქამილ დევაძე

ყველაზე დიდი დეფიციტი 20-30-იან წლებში ქედის მაზრაში კადრების მხრივ შეინიშნებოდა, ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ 1921 წლისათვის მოსახლეობის მხოლოდ 6 პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე.

ქედაში ადგილობრივი განათლებული კადრები მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ, მანამდე და შემდეგაც აქტიურად გამოიყენებოდნენ შრომის სხვადასხვა უბანზე წერა-კითხვის მცოდნეები, შემდეგ კი 7-წლიანი განათლების მქონე პირები.

სპეციალური და უმაღლესი განათლებით პირები კი ნამდვილად თითო- ოროლა იყვნენ. 30-იანი წლების დასაწყისისათვის ქედაში მუშაობდნენ პედაგოგები, რომელთაგან ძალიან ცოტას ჰქონდა სპეციალური განათლება. ექიმებად მუშაობდნენ: ნიკოლოზ გრიგოლია, სარდიონ მამალაძე, თამარ სირბილაძე, ექთნებად: ეფროსინე სანიკიძე, მარო ლომთათიძე, ევდოკია სპანაკი, გაიანე მაგატიანი, გალინა კორტავა, აგრონომად: შიო კონტრიძე, აგროტექნიკოსად გრიშა გოგია, პარმენ შამათავა, გაბო ლომთათიძე, ვეტფერშლად – მოსე გოგუაძე.

იოლი მისახვედრია, რომ მათგან არც ერთი არაა ადგილობრივი წარმოშობის, ამიტომ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველაზე დიდი წარმატება 20-30-იანი წლების ცხოვრებაში ადგილობრივი მოსახლეობის განათლება იყო. განათლების საკითხს უფრო სრულყოფილად ცალკე სკოლებზე საუბრის დროს წარმოვაჩენ, მაგრამ ზოგადი სურათის შექმნა აქაცაა აუცილებელი. დავიწყოთ იმით, რომ ოსმალთა უღლისგან აჭარის გათავისუფლების შემდეგ, რუსთა მმართველობის დროს გაიხსნა მხოლოდ 4 დაწყებითი სკოლა, ქედის – 1903 წელს და მახუნცეთის – 1913 წელს (ორივე იყო რუსული, გახსნილი ხელისუფლების მიერ), მერისის – 1913 წელს და აგარის – 1916 წელს (ორივე გახსნა საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ, იყო ქართული). ამათგან მუშაობა არ შეუწყვეტიათ ხელისუფლების მიერ გახსნილ სკოლებს, მერისის სკოლამ მხოლოდ ერთი წელი იარსება, მალე დაიხურა აგარის სკოლაც.

1921 წელს მხოლოდ ქედის და მახუნცეთის სკოლები შეუდგნენ მუშაობას და ახალმა ხელისუფლებამ დაამატა კიდევ ორი სკოლა – ზესოფლის და გულების.

1922 წელს ქედის მაზრაში გაიხსნა გოგიაშვილების, ალიქოღლების, დანდალოს, დერეხოხნის, აქუცის, ძენწმანის, მეძიბნის, ვაიოს და მერისის სკოლები, – მხოლოდ ორ წელიწადში შეუდგა მუშაობას 13 დაწყებითი სკოლა. 1924 წლისათვის სკოლების

რაოდენობამ 18-ს მიაღწია. 1932 წლისათვის კი უკვე 40 სკოლა მოქმედებდა, 1940 წლისათვის – 48.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ის ფაქტი, რომ გარდა ქედისა, ყველა სკოლაში მუშაობდნენ ქ. ბათუმიდან, გურია-იმერეთიდან და სამეგრელოდან ჩამოსული პედაგოგები. მათი ამაგი განსაკუთრებულ დაფასებას მოითხოვს, მიუხედავად ამდენი დროის გასვლისა, შეიძლება ითქვას, რომ ისევ ვალშია მთიანი აჭარა მათ წინაშე. ათეულობით ფაქტი იყო, როცა ჩამოსული ქალბატონები თხოვდებოდნენ აჭარელ ჭაბუკებზე, მასპინძლებად იქცეოდნენ და აქტიურად ებმებოდნენ მხარის დაწინაურებისათვის მუშაობაში.

უახლეს წარსულში, როცა რაიონული გაზეთი „იმედი" ფუნქციონირებდა, რედაქტორ თ. აბულაძის და ქედის სკოლის პედაგოგ მ. დიასამიძის ინიციატივით ათეულობით პიროვნებაზე დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც ასახული იყო ჩამოსულთა დიდი ამაგი. მათ შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი მ. დიასამიძის წიგნში „საუკუნის სკოლა" (გამოიცა 2003 წელს) და თ. აბულაძის წიგნში „ორი სოფლის ჩირაღდანი" (გამოიცა 2014 წელს).

თ. აბულაძის წიგნში აღნიშნულია, რომ 1928-1960 წლებში მარტო სოფელ ხარაულაში მუშაობდა გურია-იმერეთ-სამეგრელოდან ჩამოსული 61 მასწავლებელი, მათგან 5 დანდალოს თემის მკვიდრი გახდა: ანეტა ფირცხალაიშვილი, მარო ბაზიარი, ვენერა ლომაძე, ჟენია ჩხარტიშვილი და გუგული ბაქანიძე.

სოფლის სკოლებში პედაგოგიური კადრების მოსვლამ შესაძლებელი გახადა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის მუშაობის გააქტიურება. 1936 წლისათვის ქედის რაიონის სოფლებში მოქმედებდა 129 ლიკსკოლა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მარტო ამ თემაზე შეიძლება წიგნის დაწერა, მაგრამ ამჯერად მოკლე მიმოხილვით უნდა დავკმაყოფილდეთ. აუცილებლად ვთვლი აღვნიშნო, რომ სკოლა მაშინ შრომის სკოლად იწოდებოდა, სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და 30-იანი წლების შუა წლებამდე ისწავლებოდა საღვთო რჯული და თურქული ენა.

ამასთან ამავე პერიოდში სოფლებში მოქმედებდა მედრესეებიც. შუადღემდე სწავლება მიმდინარეობდა საერო სკოლებში, დღის მეორე ნახევარში – მედრესეებში.

ხელისუფლების ამოცანა იყო 7-დან 40-წლამდე ასაკის პირთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია და უნდა ითქვას, მიზანი მიღწეულ იქნა. უფრო მეტიც, სოფლებში ათეულობით ჭრა-კერვის სკოლაც მოქმედებდა და ამან ქალთა განვითარების თვალსაზრისით უდიდესი როლი შეასრულა.

ახალგაზრდობისადმი სწავლა-განათლებით დაინტერესება კარგადაა ასახული სტატისტკაში.

წელი	სკოლების რაოდენობა	მოსწ. რაოდენობა
1917	2	120
1921	4	245
1930	35	1346
1932	44	1895
1933	45	1849

წერა-კითხვის შესწავლისადმი ლტოლვა მოსახლეობაში დიდი იყო. 1935-1936 სასწავლო წლისათვის დაიგეგმა 23 ლიკსკოლის გახსნა 375 მოსწავლითა. ფაქტობრივად გაიხსნა 83, რომლებშიც სწავლობდა 829 პირი, მათ შორის 40 წელს გადაცილებულნიც.

სკოლის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1934 წელს დაიწყო არასრულ საშუალო განათლებაზე გადასვლა, ჯერ გაიხსნა ქედის, ცხმორისის და მერისის არას-

რული საშულო სკოლები, შემდეგ დანდალოს, ხარაულის და ა.შ. ამ ტიპის სკოლებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი პედაგოგიური კადრების მომრავლებას. ამის დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან: 1939 წელს 14 ახალგაზრდამ დაამთავრა ხარაულის არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი) და მათგან 6-მა მიიღო პედაგოგიური განათლება.

პირველი ადგილობრივი კადრები, როგორც მოსალოდნელი იყო, ქედის სკოლაში გამოჩნდნენ: ახმედ შავიშვილი, ახმედ სურმანიძე, ნადია და ავნი ბეჟანიძეები, სულეიმან ნაკაშიძე, შაქირ შერვაშიძე, ისკენდერ და სულეიმან თურმანიძეები, შაქირ ნაკაშიძე, ისმაილ თურმანიძე, ფელულ ჩხეიძე და სხვები. სხვა სოფლებში კი უფრო რთულად იყო მდგომარეობა. მაგალითს ისევ თ. აბულაძეს დავესესხები: 1928 წელს გახსნილ ხარაულის სკოლაში პირველი ქედელი კადრი იყო სერგო სურმანიძე, სოფელ ძენწმანიდან, 1941 წელს. თავად ხარაულელი კადრი კი 1943 წელს გამოჩნდა – მიხეილ ზაქარაძე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში აჭარაში განათლების მხრივ აღინიშნა სერიოზული წარმატებები. იგივე შეიძლება ვთქვათ კონკრეტულად ქედის რაიონის მაგალითზე.

ამ მხრივ მოპოვებულ წარმატებებთან ერთად სერიოზული წინსვლა გამოიკვეთა კულტურული დონის ამაღლების გზაზე. ამ მიმართულებით მუშაობის გასააქტიურებლად თანდათან დაიწყო ქოხსამკითხველოების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების გახსნა. პირველი ქოხსამკითხველოები გაიხსნა ქედაში, ცხმორისში, მერისში. შემდეგ საბჭოების ჩამოყალიბების პარალელურად, ზვარეში, დანდალოში, ალიქოღლებში, პირველ მაისში. 20-იან წლებში დაიწყო რაიონის სოფლებში კინოფილმების დატარებითი ჩვენება.

რაიონში კულტურის აღმავლობისათვის უმნიშვნელოვანესი იყო სამაზრო კლუბის გახსნა 1923 წელს, რომლის გამგედ მოიწვიეს მოსკოვის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი აბდულ სურმანიძე.

1925 წელს კლუბთან ჩამოყალიბდა დრამატული წრე და სცენაზე პირველად გამოვიდნენ ქედელები: შუქრი დევაძე, მურად ნაკაშიძე და ავნი ბეჟანიძე.

1928 წელს კლუბისთვის ცალკე შენობა აიგო, რომლის გამგედ დაინიშნა ახმედ შერვაშიძე და ამ სფეროში 1931 წლამდე მუშაობდა. 1931-1937 წლებში ამ მოვალეობას ასრულებდა სულიკო თურმანიძე, 1937-1941 წლებში კლუბის გამგე იყო ბათუმიდან მოწვეული ალექსანდრე ღლონტი.

1938 წელს კლუბი გადაკეთდა ვ. მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლად, ამავე წელს მერისელი ლოტბარი რამიზ თურმანიძე დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად, დრამატული წრე გადაკეთდა დრამატულ დასად, რომელშიც გაერთიანებული იყო 24 წევრი, მათ შორის ორი ქალი. დასის წევრმა აბდულ ბოლქვაძემ გაიარა თეატრალური კურსები და მიენიჭა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეჟისორის წოდება. სცენაზე იდგმებოდა თავად ა. ბოლქვაძის მიერ დაწერილი სპექტაკლები: „ღამის დარაჯი", „მარჩიელობის შედეგი" დასმა შებედა ისეთ კლასიკურ ნაწარმოებებს, როგორიც იყო: „ყვარყვარე თუთაბერი", „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს" და ა.შ.

კულტურის სახლი კონცერტებს და წარმოდგენებს მართავდა რაიონის სოფლებში და უდიდეს როლს ასრულებდა მოსახლეობის ესთეტიკური აზროვნების განვითარებისათვის.

1937 წელს ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნესტორ ჯიბლაძე.

20-30-იან წლებში თავისი გამოსვლებით მოსახლეობას ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებდა ცხმორისელ მეხორუმეთა ჯგუფი ხუსეინ ანანიძის ხელმძღვანელობით.

1934 წელს ცხმორისის ქოხსამკითხველო გადაკეთდა სანიმუშო სამკითხველოდ. 1935 წლისათვის ქედის რაიონში არსებობდა 1 სანიმუშო კლუბი, 4 ქოხსამკითხველო.

1937 წელს უკვე არსებობდა სასოფლო კლუბები ბაბუჩოღლებში, ცხმორისში, მერისში, ზვარეში, ქოხსამკითხველოები დანდალოში, პირველ მაისში, ალიქოღლებში.

დიდი მუშაობა ტარდებოდა სოფლად ქალთა შორის. ამ მხრივ უდიდეს მუშაობას ეწეოდენ ჩამოსული ქალი პედაგოგები. უმთავრესი ამოცანა კი იყო ჩადრის ახდის სამუშაოების ჩატარება. ზოგჯერ ამ მხრივ საქმიანობა ხასიათდებოდა შეცდომებითაც, დაწვრილებით ანალიზს არ დავიწყებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ჩადრის ძალად ახდა გახდა ერთ-ერთი საფუძველი 1929 წლის აჯანყებისა აჭარაში. ხელმძღვანელ პირებს განსაკუთრებით აძალებდნენ ქალის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანას.

ქედაში ქალთა შორის მუშაობა 20-იან წლებიდანვე გაძლიერდა. პირველი ქალი, რომელმაც ჩადრი აიხადა, ფადიმე ბასილაძეა, რომელიც 1925-1928 წლებში იყო ქედის რაიონის ქალთა განყოფილების გამგე და 1926-1929 წლებში არჩეული იყო აჭარის ცაკის წევრად.

ჩადრის ახდა გახდა ერთგვარი საზომი ქალთა შორის მუშაობისა. 1928 წელს ქედის მაზრის აღმასკომმა აჭარის ცაკის წინაშე წარადგინა შუამდგომლობა „31 ივლისს ქედის მაზრაში ჩადრის ახდის დღესასწაულად გამოცხადების შესახებ", რაც უფრო ჩადრზე უაზრო, მოუმზადებელი შეტევის გამოხატულება იყო, ვიდრე ჭკუა-გონებით მიდგომის ნაყოფი.

1928 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა ქედის მაზრის აქტივისტ ქალთა პირველი კონფერენცია, რომელსაც მიესალმა აჭარელი ქალბატონი ელმას აბულაძე.

1929 წელს ჩატარდა აჭარის ქალთა პირველი ყრილობა (ზოგიერთი მკვლევარი მაჰმადიან ქალთა პირველ ყრილობას უწოდებს).

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ქალთა შორის მუშაობაში დაშვებული შეცდომები ხელისუფლებამ გააანალიზა და 30-იან წლებში ამ მხრივ საქმიანობას მიეცა უფრო გეგმაზომიერი ხასიათი.

ხელისუფლების მხრიდან გადამეტებულ სიმკაცრეს ჰქონდა ადგილი რელიგიასთან ურთიერთობაში. ხოჯა-მოლები თავიდანვე შეყვანილ იქნენ შავ სიაში და არ უწევდნენ ანგარიშს ზოგიერთი მათგანის პროგრესულ პოზიციას. მაგალითად, შავ სიაში იყო შეყვანილი რასიყ ბერიძე დანდალოდან, რომელსაც უმაღლესი განათლება (სასულიერო და იურიდიული) ოსმალეთში ჰქონდა მიღებული და გამოირჩეოდა, როგორც ქვეყნის დიდი პატრიოტი და გულშემატკივარი.

30-იანი წლების შავსიელებში შედიოდა 37 ხოჯა და მოლა. რაიონში აღრიცხული იყო 72 მეჩეთი და მედრესე, რომელთაგან 1936 წლისათვის უმრავლესობა უმოქმედო გახდა, ანდა სხვა დანიშნულებით იქნა გამოყენებული. ალბათ, დიდი შეცდომა იყო ისიც, რომ არამარტო რელიგიის მსახურებს, მათი ოჯახის წევრებსაც საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდათ წართმეული.

ხოჯა-მოლები ქედაში მრავლად იყვნენ, ისინი მოითხოვდნენ მოსახლეობისაგან რელიგიური რიტუალების შესრულებას, მაგრამ არასწორია შეხედულება მათი ანტიქართულობის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი არც ხელისუფლებას ებრძოდნენ, პირიქით, მოსახლეობაში მთავრობის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდნენ.

მიუხედავად ამისა, ბევრს შეეხო 30-იანი წლების რეპრესიები და ისინი დახვრიტეს, ან გაასახლეს.

არ ვიცი, როგორ აღიქვამს მკითხველი, მაგრამ მე მაინც საჭიროდ ჩავთვალე რელიგიის მსახურთა სიის წიგნში შეტანა.

აი, ისიც.

მერისის სოფ. საბჭო

1. ბერიძე ახმედ სალიხის ძე
2. საკანდელიძე ეუბ მემედის ძე

3. ლამპარაძე დაუთ შაქირის ძე
4. ჯიჯავაძე ომერ მემედის ძე

პირველი მაისის სოფ. საბჭო
1. დევაძე მევლუდ ხუსეინის ძე
2. შავლიძე სულეიმან თალიბის ძე
3. მახარაძე მერჯან ომერის ძე
4. ფარტენაძე ხემიდ დედეჯნის ძე

ცხმორისის სოფ. საბჭო
1. ბერიძე ოსმან ალის ძე
2. ბერიძე მერჯან მუხამედის ძე
3. სანიკიძე შაყბან არიფის ძე
4. დიასამიძე უზეირ ისკენდერის ძე
5. შანიძე მუხამედ მემედის ძე
6. მახარაძე მერჯან ახმედის ძე

ალიქოღლების სოფ. საბჭო
1. შერვაშიძე ხუსეინ ოსმანის ძე
2. შერვაშიძე ახმედ მეხთალის ძე
3. დუმბაძე სულეიმან დაირის ძე
4. დუმბაძე ოსმან ყედირის ძე
5. ჩხიკვაძე ისმაილ იახის ძე
6. გოგიტიძე უსუფ ახმედის ძე

დანდალოს სოფ. საბჭო
1. გოგიაშვილი უზეირ ხუსეინის ძე
2. ბერიძე ახმედ ოსმანის ძე
3. აბულაძე ჯივან სულიას ძე
4. ბერიძე რასიყ სადიყის ძე
5. არძენაძე მევლუდ ხაჯის ძე
6. გოგიაშვილი სულეიმან მემედალის ძე

ქედის სოფ. საბჭო
1. მიქელაძე ახმედ ემინის ძე
2. დიასამიძე აბდულ ალიჯანის ძე
3. ნაკაშიძე მემედ გულახმედის ძე
4. პეტრიძე მამუდ ხასანის ძე
5. ვაშაყმაძე მუსტაფ ოსმანის ძე
6. ჩიბურიძე ხუსეინ ემინის ძე
7. აბულაძე მემედ ალის ძე

ზვარის სოფ. საბჭო
1. ბერიძე ოსმან ალის ძე
2. ჩიკვაიძე ნური დაუთის ძე
3. ბერიძე მევლუდ დურსუნის ძე
4. გორგილაძე ხუსეინ
5. სირაბიძე ახმედ ყულფანის ძე

6. ჩიკვაიძე ხუსეინ შაქირის ძე
7. ჩიკვაიძე მემედ შაქირის ძე
8. მახაჭაძე დაუთ სულეიმანის ძე
9. შერვაშიძე საიდ ხემიდის ძე
10. მახარაძე ხასან სულეიმანის ძე
11. ბერიძე ისკენდერ ოსმანის ძე
(აჭარის ცენტრ. არქივი ფონდი -რ -750. ან 1. აღწ. 5. ფურც. 92)

გთავაზობთ რელიგიური დაწესებულებების სიასაც.

დანდალო
1. დანდალოს ჯამე
2. მედრესე
3. ხარაულის ჯამე
4. მედრესე ორი თვალი
5. ჯალაბაშვილების მედრესე
6. არძენაშვილების მედრესე

ალიქოღლების სასოფლო საბჭო
1. მეძიბნის ჯამე
2. ალიქოღლების ჯამე
3. კუჭულის ჯამე
4. გოგინიძეების მედრესე
5. ალიქოღლების მედრესე

ცხმორისის სას. საბჭო
1. ცხმორისის ჯამე
2. ახოს ჯამე
3. გეგელიძეების ჯამე
4. ძანაძეების ჯამე
5. აბუქეთის ჯამე
6. ახოს მედრესე

1-მაისის სას. საბჭო
1. ზედა აგარის ჯამე
2. ქვედა აგარის ჯამე
3. საღორეთის ჯამე
4. დერეხოხნის ჯამე
5. ორთახოხნის ჯამე

მერისის სას. საბჭო.
1. ორთამელეს ჯამე
2. ინაშარიძეების ჯამე
3. სილიბაურის ჯამე
4. ნამონასტრევის ჯამე
5. ქეშიოღლების ჯამე
6. ჭალათის ჯამე

7. სიხალიძეების ჯამე

ქედის სას. საბჭო
1. ქედის ჯამე
2. ზენდიდის ჯამე
3. გულების ჯამე
4. აქუცის ჯამე
5. ორცვის ჯამე
6. კორომხეთის ჯამე
7. ძენწმანის ჯამე
8. შავაბურის ჯამე

ზვარეს სას. საბჭო
1. წონიარისის ჯამე
2. ვარჯანისის ჯამე
3. ზვარის ჯამე
4. ბაიძეები – მედრესე
5. ზესოფლის მედრესე
6. ვაიოს ჯამე
7. კვაშტის ჯამე
8. სირაბიძეების ჯამე
9. კანტაურის ჯამე

10. ზესოფლის მედრესე
11. ვაიოს მედრესე
12. კვაშტის მედრესე
13. სირაბიძეების მედრესე

(აჭარის ცენტ. არქივი ფონდი რ-750 ან 1 არქ. 5 ფურც. 95. 96. 97)

1921-1940 წლებში წინსვლა შეეხო ცხოვრების სხვა მიმართულებებსაც. რაიონის კულტურული წინსვლის ერთგვარ გამოხატულებად იქცა რადიოწერტების ამოქმედება. სოფლებში 20-იან წლებიდან, სატელეფონო კავშირების შექმნა სოფლების ცენტრებში და ა.შ. განსაკუთრებულ მოვლენად იქცა 1933 წლის ოქტომბრიდან რაიონული გაზეთის დაარსება, რომელსაც ეწოდა „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" (რედაქტორი რაიკომის პირველი მდივანი აბდულ ხალვაში).

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებებიდან გვერდს ვერ ავუვლით მოსახლეობის ჯანდაცვისათვის ზრუნვას.

დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ ოსმალთა ბატონობის დროს (და შემდგომაც, საკმაოდ დიდხანს) ადამიანების მკურნალობას ხოჯა-მოლები კისრულობდნენ. მათი ვითომ წამლები და შელოცვები იყო „ნუსხებთან" ერთად მთავარი სამკურნალო საშუალებები.

ნამდვილი სამკურნალო დაწესებულება XIX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა. თედო სახოკიას ქედაში (იმოგზაურა საუკუნის დასასრულს) – ერთი მკურნალი, ერთი ბებიაქალი და ერთიც ფერშალი დახვედრია. უბედურება ის ყოფილა, რომ არც ერთს არ სცოდნია ქართული, რაც ართულებდა ურთიერთობას.

1915 წელს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ყადირ შერვაშიძეს უჩუქებია თავისი სახლი ქსენონის გასახსნელად.

ჩვენს საკვლევ პერიოდში კი, 1922 წელს ამოქმედდა ქედის საავადმყოფო. 1922 წლიდან საექიმო პუნქტები გახსნილა ქედასა და ცხმორისში, 1924 წლიდან მერისსა და საღორეთში, სადაც ექიმებად მუშაობდნენ მახარაძე, კირთაძე, კუპრიანი, გოცირიძე, პლატონ ამაღლობელი. 1937 წლიდან რაიონში უკვე 6 სამედიცინო პუნქტი მოქმედებდა.

მკითხველის უდაო დაინტერესებას გამოიწვევს საკვლევი პერიოდის ყველაზე მძიმე საკითხი – 1937-38 წლების რეპრესიები და ერთადერთი ყველაზე დიდი მიღწევა – აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგურის აშენება. ამ საკითხებზე ცალკე შევჩერდებით.

საერთო ჯამში შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 1921-1941 წლები ქედის რაიონისათვის იყო უდიდესი წარმატების წლები – გაუნათლებლობის სიბნელეში მყოფი ქედელები სინათლეზე გამოვიდნენ, წერა-კითხვის უცოდინრობა თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა და რაც მთავარია, დაიწყო ადგილობრივი ინტელიგენციის ჩამოყალიბება, რომელთა მხრებზე გადაიარა საქმიანობამ ცხოვრების ყველა სფეროში მთელი XX საუკუნის ბოლომდე.

ჰეჰესიები - ახალი წყობილების ატრიბუტი

საბჭოთა ხელისუფლება თავისი შინაარსით სრულიად განსხვავებული იყო. ქვეყანაში შეიცვალა ცხოვრების ეკონომიკური საფუძველი. თუ აქამდე კერძო საკუთრებას ემყარებოდა ყველაფერი, ახლა საზოგადოებრივ საკუთრებას უნდა დათმობოდა ადგილი. ის, რომ სოფლად მცხოვრებთ საკარმიდამო მეურნეობა ჰქონდათ და ყველა პირს გააჩნდა საცხოვრებლად საჭირო შენობა-ნაგებობები, პირადი ქონება, ბევრს ვერაფერს ცვლიდა.

70 წელზე მეტი იარსება სოციალისტურმა წყობილებამ და კერძომესაკუთრული აზროვნება და ტენდენციები მაინც ვერ მოიშალა. ამიტომ მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ძველსა და ახალს შორის წინააღმდეგობა ახალი წყობილების ეკონომიკურ საფუძველშივე იყო „ჩადებული."

მარტო წესრიგის დაცვა არ იყო საგანგებო კომისიების („ჩეკა") შექმნის მიზანი. თითქმის მთლიან 20-30-იან წლებში და შემდგომაც, „ხალხის მტრების" წინააღმდეგ ბრძოლა იყო მთავარი.

ვინ იყვნენ ე.წ. ხალხის მტრები?

უპირველესად მდიდარი და შეძლებული კლასების წარმომადგენლები (თავადები, ბეგები, აზნაურები, აღები, კულაკები);

რელიგიის მსახურები;

პროოსმალური ელემენტები;

სწორედ ამათ წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა ცენტრალური საგანგებო ხუთეული და სამეულები მაზრებში. იცვლებოდა მათი შემადგენლობა, მაგრამ არ იცვლებოდა ამოცანა.

ქედის მაზრაში დაპირისპირება დაიწყო მიწებისა და ქონების, საცხოვრებელი სახლების, პირუტყვის, ფრინველებისა და სურსათის ჩამორთმევის გამო. ჩამორთმეული ქონება გადაეცემოდა სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს, ან ბარდებოდა ბათუმში ამ მიზნით შექმნილ საწყობებს. ბეგებს მიეცათ წინადადება, ნებით გამოცხადებულიყვნენ და წამდგარიყვნენ სასამართლოების წინაშე, როგორც აქტიური მოწინააღმდეგენი. ისინი გადაასახლეს. ნაკლებად აქტიურები გაათავისუფლეს ზედამხედველობის ქვეშ.

საარქივო მასალებიდან ცხადი ხდება, რომ ქონების ჩამორთმევის დროს არღვევდნენ დადგენილ ნორმებს. აჭარისტანის სახკომსაბჭოს განცხადებით მიმართა ქედის

მცხოვრებმა შორეთ შერვაშიძემ: „ჩემი შვილები თემური და შაქირი მორიდებულობა-ში იმყოფებიან, მესამე შვილი ოსმანი – შემორიგებულ იქნა. ოჯახი შედგება 15 სულისაგან და სამი წელია მოკლებული ვართ საყანე მიწებს, მხოლოდ 4-5 თვის სარჩოს მოწევაა შესაძლებელი... განადგურება მოგველის, გთხოვთ შეიბრალოთ ჩვენი ოჯახი."

განცხადება დათარიღებულია 1925 წლის 18 მარტით.

ამავე წლის სექტემბერში გადასახლებულ პირებს მიეცათ სამშობლოში დაბრუნების უფლება, მაგრამ მათ მიმართ კონტროლი უმკაცრესი იყო.

დაპირისპირება გაძლიერდა 1924 წლის აჯანყების შემდეგ, მგრამ აჭარაში აჯანყებას არ ჰქონია მძაფრი ხასიათი და არც რეპრესიები გაღრმავებულა.

დაპირისპირება ღრმავდებოდა აგრეთვე პარტიული წმენდების შემდეგ, რომელიც 20-30-იან წლებში არაერთხელ ჩატარდა.

ისტორიიდან ცნობილია, რომ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, 30-იან წლებში დასრულდა, მაგრამ ამას არათუ რეპრესიების შესუსტება, გაღრმავება მოჰყვა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გახდა დახვრეტა-დაპატიმრების, გადასახლების მსხვერპლი.

ქედაში მყოფი თურქული ენის მასწავლებლები გადაასახლეს, ან დახვრიტეს.

მრავალჯერ ახსნილა ამ რეპრესიების მიზეზები და ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი, ჩემი აზრით, კარს მომდგარი ომი იყო. ომის დროს ყველა განაწყენებული და პროტესტით შეპყრობილი პირი შეიძლებოდა გამხდარიყო მტრის დასაყრდენი ძალა.

30-იანი წლების რეპრესიებში ბევრი მკვლევარი და ისტორიკოსი ადანაშაულებს ი.ბ. სტალინს; ამ პიროვნებას ჩემი დაცვა-გამოსარჩლება არ სჭირდება, მაგრამ მინდა დავსვა კითხვა: რატომ არავინ დაიღუპა ამ რეპრესიების დროს სოფელ ცხმორისში და სოფელ აბუქეთაში? განა იქაც ისევე არ იგრძნობოდა სტალინის სიმკაცრე, როგორც მერისში და დანდალოში?

მაგრამ იქ იყვნენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დურსუნ კონცელიძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულეიმან ირემაძე, აბუქეთაში თავმჯდომარე იყო ხუსია ბერიძე. ეს ადამიანები კარგად იცნობდნენ ხალხს, არ ახასიათებდათ კარიერისტული მისწრაფებანი, მეზობლების სიძულვილი, მათი მოწოდება იყო ჰუმანური, ხალხი დაეცვათ და არ გადაეკარგათ.

ამ ნათქვამის ქვეტექსტში კარგად იკვეთება აზრი, რომ ქედელების გასახლება-განადგურებაში დამნაშავეები იყვნენ ადგილობრივი დამსმენები და ხელმძღვანელები.

ამით, რა თქმა უნდა, ბრალს ვერ მოვხსნი ი.ბ. სტალინს, მაგრამ რაღაც ანგარიშგასაწევი ჩემს ნათქვამში ნამდვილად არის.

ზემოთ პარტიული წმენდები ვახსენე. ასეთი წმენდა ჩატარდა ქედაში 1934 წელს და პარტიიდან გაირიცხა 65 წევრი, მაშინ, როცა ბოლშევიკ-კომუნისტები ისედაც ნაკლები შემადგენლობის იყვნენ. მხოლოდ 75 კაცი დარჩა რაიონის ორგანიზაციაში. 1937 წლის 17 ივლისიდან კი სსრკ შინსახკომმა მიიღო №00447 ბრძანება რეპრესიების შესახებ, რომელიც კარგად გამოიყენეს გაუნათლებელმა, განაწყენებულმა ადამიანებმა და მართლაც „ხალხის მტრებმა", რომლებიც თანამდებობზე მოკალათებულიყვნენ. თუმცა კრიტიკული და დაუნდობელი დამოკიდებულებანი უფრო ადრე იყო დაწყებული.

1937 წლის აპრილში ჩატარდა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელიც 4 დღეს გრძელდებოდა, და არც ისაა გამორიცხული, წინასწარი დაკვალიანებით, კამათში გამოსულმა 41-მა კაცმა პარტიული წესდების დარღვევის მხილების „კორიანტელი" დააყენა. თანამდებობიდან მოხსნეს მაშინდელი პარტიის რაიკომის პირველი მდივანი და რაიონული გაზეთის რედაქტორი აბდულ ხალვაში. მალე ის რეპრესირებულ იქნა.

საბჭოთა სისტემა არასანდო პირად მიიჩნევდა ხალხის მტრად შერაცხული ოჯახის წევრებს (ცოლი, ქმარი, შვილი, დედ-მამა, და-ძმა).

1937 წლის 15 აგვისტოს სპეციალური ბრძანება №00486 გამოიცა, „სამშობლოს მოღალატეთა ცოლების დასჯის შესახებ". მათ მეუღლის თანამზრახველობაში სდებდნენ ბრალს და გადასახლებაში გზავნიდნენ. ეს კანონი მოქმედებდა 1938 წლის 26 ნოემბრამდე. 1937 წლის 30 ივლისს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა კომისარმა ნიკოლაი ეჟოვმა გამოსცა ბრძანება და ლიმიტი დააწესა რესპუბლიკებისათვის, საიდან რამდენი კაცი დაეხვრიტათ. სიკვდილმისჯილთა სიებს ხელს აწერდნენ სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ანდრეი ჟდანოვი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, ლაზარე კაკანოვიჩი და კლიმენტი ვოროშილოვი.

ასევე ამაზრზენი იყო 1937 წლის სექტემბერში გამართული „სასამართლო პროცესი", რომელსაც რადიოთი გადასცემდნენ.

ეს პროცესი ყველაზე მასშტაბური და გახმაურებული გახდა აჭარაში. ის ეხებოდა ზინოვიევურ, ტროცკისტულ, მავნებლურ და ვითომდა სააჯანყებო ორგანიზაციას ზექერია ლორთქიფანიძის მეთაურობით. ამ ჯგუფში ირიცხებოდნენ ადრე ქედაში ხელმძღვანელ პირებად მომუშავე მოედინ სურმანიძე, ქაზიმ ბასილაძე და ა.შ. „სანდო" წყაროს დაასახელებინეს ყველას გვარი.

რეპრესიებს ემსხვერპლა საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი სელმან ლორთქიფანიძე, რომელიც ადრეც მუშაობდა ქედაში, იყო აჭარის განათლების სახალხო კომისარი 1921 წლიდან, ქალაქ ბათუმის საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

ქედაში ორი პირველი მდივანი შეეწირა ამ წლებს!

საკმაოდ დიდი ჯგუფი ადამიანებისა მოუსავლეთის გზას გაუყენეს.

ამ ფაქტის გამო ერთი ამბავი ატყდა რესპუბლიკურ პრესაში და რაიონული გაზეთიც წერდა, სხვა დასჯილი ქედელების შესახებ კი ერთი სიტყვაც არ დაწერილა. ამის გამო წიგნში „ცხოვრების კვალდაკვალ" ჟურნალისტი თ. აბულაძე აღნიშნავდა, რომ გაზეთში უმძაფრესი შეფასებებით და მყვირალა გააზრებით იბეჭდებოდა ამ დროს მასალები: გამანადგურებელი პასუხი კოლმეურნეობაში შეპარულ უცხო ელემენტებს, „შრომის გამცდენი – ეს სოციალიზმის მტერია", „გახურებული შანთით ამოვწვათ პარტსწავლების შეუფასებლობის ნიმუშები", ძირშივე აღმოვფხვრათ დამახინჯებანი შემოსავლების განაწილებაში და ა.შ. ასეთი მიდგომით ბეჭდავდა თავად ა. ხალვაში და მალე „ხალხის მტრების" რიგში მოაყოლეს.

რატომ არ იწერებოდა გაზეთში ასეულობით რეპრესირებული ქედელის შესახებ, ამაზე ჯურნალისტს ასევე პასუხი აქვს გაცემული: ქედელებზე წერა ხალხის რისხვას გააძლიერებდა, რადგან იცოდნენ დასჯილთა უდანაშაულობა, დასაშინებლად კი „დიდი მაგალითები" უფრო ვარგოდა.

„შიშის სინდრომით" იყო შეპყრობილი მოსახლეობა. წარმოიდგინეთ, რაოდენ მძიმეა პიროვნების მდგომარეობა, როცა დამნაშავედ ცნობილი, განადგურებული ევედრება ხელისუფლებას, მისცეს მონანიების საშუალება. ასეთი იყო მაშინდელი თავისუფლება.

ადამიანები იმ პერიოდში სიძულვილით იყვნენ მოცულნი, გაურბოდნენ „ტროცკისტების" და „ხალხის მტრების" ოჯახებს, შვილი მამას უარყოფდა და ცოლი – ქმარს.

ქედის რაიონიდან რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ ოსმან ჩხეიძე – რაიკოოპერატივის საწყობის გამგე, ოსმან ფარტენაძე – პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ახმედ ღოღობერიძე – რელიგიის მსახური, ახმედ ირემაძე – აჭარის საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებელი სკოლის დირექტორი, ასლან თურმანიძე – „აჭარციტრუსტრესტის" მაღაზიის დირექტორი, აბდულ დიასამიძე – მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდმარე, ოსმან თურმანიძე – ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მევლუდ ბერიძე – კოკოტაურის დაწყებითი სკოლის თურქული ენის მასწავლებელი, დანდალოელი – ასლან ასლანის ძე ბერიძე, ზვარის სასოფლო

საბჭოს თავმჯდომარე, მურად ბერიძე – ორჯერ მილიციის უფროსი, ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ჯემალ გოგოლიშვილი – ორჯერ ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და ათეულობით სხვა.

ქედაში მასობრივი რეპრესირების განხორციელებაში უარყოფითი წვლილი შეიტანა დომენტი ნიკიფორეს ძე იმედაძემ, მაშინდელმა რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსმა. შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა და ბოღმით აღვსილმა კაცმა.

ადრე ვწერდი და აქაც შევახსენებ მკითხველს, რომ 1918 წელს, როცა ქვემო აჭარა ჯერ ოსმალებმა ააოხრეს და შემდეგ რუსებმა, ბზუბზუში მდინარის პირას რუსული ჯარის ჯგუფს დასცემიან თურქეთის აგენტები და ჯარისკაცები ამოუხოციათ. დახოცილებს შორის ერთ-ერთი დ. იმედაძის ძმა ყოფილა. ამის გამო იძია შური ქედელებზეო, ყვებიან აქაურნი დურსუნ გოგიტიძე და შოთა შერვაშიძე გადმოცემით მოღწეულ სამწუხარო ამბავს.

გრძელია, საკმაოდ გრძელი, რეპრესირებული ქედელების სია, რომელიც ძირითადად ქედელი ინტელიგენტების მონაცემებით შევადგინე.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ადამიანების სისხლი დღესაც ხმიანობს და ადამიანების დაცვაზე ღაღადებს: ღმერთო, დაიფარე მსგავსისგან კაცობრიობა, ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!

რაც შეეხება საკუთარ მოსაზრებას, აღვნიშნავ, რომ რეპრესიები ისტორიაში დარჩა, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი სირცხვილი!

გთავაზობთ ჩეჩესიჩებულთა სიას

დანდალოს სასოფლო საბჭოდან

სოფელი ხარაულა

1. ბერიძე მემედ არიფის ძე
2. განდელიძე ისკენდერ ჰაჯიალის ძე
3. ხარაძე სულეიმან შაქირის ძე

სოფელი დანდალო

1. ავალიანი უსუფ ალის ძე დაბ. 1888 წ.
2. ავალიანი ხასან
3. ავალიანი ოსმან ალის ძე დაბ. 1877 წ.
4. ავალიანი ისმაილ
5. ავალიანი თევფიყ-ბეგ დაბ. 1877 წ.
6. ავალიანი ჯელილ
7. ავალიანი მამუდ
8. ავალიანი აბდულ
9. არძენაძე მევლუდ ხასანის ძე – რელიგიის მსახური დაბ. 1857 წ.
10. გოგიაშვილი შაქირსულეიმან

სოფელი ჯალაბაშვილები

1. ცინცაძე რამიზ
2. ბერიძე ბილალი
3. ბერიძე მეჯიდ ალის ძე დაბ. 1892 წ.
4. ბერიძე ახმედ ოსმანის ძე – რელიგიის მსახური დაბ. 1876 წ.

სოფელი ბალაძეები

1. ბალაძე ზექერია

2. ბალაძე მევლუდ ალის ძე
3. ბალაძე მეჯიდ
4. ბალაძე ეუბ
5. ბერიძე ზაბით

1942 წელს დასმენით დააპატიმრეს ბალაძე მევლუდ ალის ძე და დახვრიტეს 1943 წლის 16 მარტს სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ა“ მუხლით სამშობლოს ღალატის ბრალდებით. მასთან მივიდა მიგზავნილი აგენტი, რომელმაც ღამე გაათია. თითქოს მევლუდმა გზა ასწავლა თურქეთში გადასასვლელად. ფაქტობრივად, ეს აგენტი ასე დადიოდა მოსახლეობაში, ითევდა ღამეს და შემდეგ ორგანოებში მიჰქონდა ამბავი,

მევლუდ ბალაძის ოჯახი, ცოლშვილი, მეუღლე, შვილები – ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი, 1943 წლის ივნისში გაასახლეს შუა აზიაში. გივი ბალაძე იგონებს: „მე მაშინ ვიყავი სამი წლის. ჩემი და იყო 15 წლის და ძმა – 13 წლის. 1948 წელს, როცა უკან დავბრუნდით, საცხოვრებელი სახლი აღარ დაგვხვდა. სახლი დაშალეს და გადაიტანეს დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის, რომელსაც იყენებდნენ 1985 წლამდე“. ასეთი მაგალითი უამრავია იმ ძნელბედობის პერიოდში.

სოფელი გეგელიძეები

1. სანიკიძე მემედ დაუთის ძე
2. სირაბიძე ახმედ ოსმანის ძე

სოფელი ახო

1. ბერიძე ოსმან (მოლა)
2. ბოლქვაძე მევლუდ
3. გეგიძე შახველედ
4. დიასამიძე ახმედ
5. თავდგირიძე ხემიდ ისკენდერის დაბ. 1897 წ.

სოფელი გობრონეთი

1.ბოლქვაძე ყედირ ხუსეინის ძე მოლა
2. ბოლქვაძე ქამილ უსუფის ძე

სოფელი კოკოტაური

1. ბერიძე ახმედ
2. ბერიძე მევლუდ
3. ძნელაძე მემედ
4. ბერიძე იაყუფ
5. ბერიძე ისრაფილ
6. ბროლაძე ალისულთან ოსმანის ძე
7. მახარაძე მამუდ
8. მამუჭაძე თევფიყ
9. მახარაძე მერჯან
10. ძნელაძე აბდულ

სოფელი აქუცა

მოედინ სურმანიძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ აქუცაში 1882 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სწავლობდა მედრესეში, კარგად შეისწავლა რუსული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქული ენები. 1921-1925 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებაში. 1925 წელს შევიდა პარტიის რიგებში. იმავე წელს მუშაობდა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ. შემდეგ გადაიყვანეს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის სამმართველოს უფროსად, სადაც რამდენიმე თვეს მუშაობდა. შემდეგ დააწინაურეს საპასუხიმგებლო თანამდებობაზე, აირჩიეს აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. სადაც მუშაობდა 1929 წლის ნოემბრამდე. 1932 წლის აპრილამდე მუშაობდა წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის სახალხო კომისრად, ხოლო 1932 წლის აპრილიდან 1935 წლის 1 იანვრამდე აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად. 1935 წლის 1 იანვრიდან 1937 წლის 22 ივნისამდე – აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად.

მოედინ სურმანიძე არაერთხელ იყო არჩეული აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, აჭარის საბჭოების ყრილობების დელეგატად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად.

1928 წლის 28 იანვარს ბათუმში ჩატარდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა პოეტი პაოლო იაშვილი, რომელიც მოიხიბლა მოედინ სურმანიძის საქმიანობით და ლექსი მიუძღვნა.

„რომ დანთებულმა ცაში ბუხარმა –
მზემ ჩემს ბუნებას შეუწყო ხელი,
რომ აჭარული სოფლის ფუხარა
ჩემგანაც შველას ძმასავით ელის,
რომ ვარ ნამდვილი ხალხის პოეტი,
მდგარი მიწაზე ორივე ფეხით,
რომ ვარ კეთილი, როგორც მოედინ
სურმანიძეა კეთილი გლეხი."

1937 წლის 22 ივნისს მოედინ სურმანიძე, როგორც „ხალხის მტერი" დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა. 1937 წელს დააპატიმრეს მოედინის ძმა ახმედ სურმანიძე და რძალი აიშე ხალიდის ასული სურმანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1958 წლის 23 იანვრის დადგენილებით მოედინ სურმანიძე რეაბილიტირებულ იქნა სიკვდილის შემდეგ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1958 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით რეაბილიტირებულ იქნა აგრეთვე ახმედ სურმანიძე, ხოლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით – აიშე სურმანიძე".

(ნოდარ ცეცხლაძე – რეაბილიტაცია, ბათუმი, 1990 წ, გვ. 40-41).

აქუციდან რეპრესირებულთა სია ასეთია:

1. სურმანიძე მოედინ ფერათის ძე – 1937 წელს დახვრიტეს.
2. სურმანიძე ახმედ ფერათის ძე – 1937 წელს დახვრიტეს.
3. ჩავლეიშვილი აიშე ხალითის ასული-სურმანიძისა – 1938 წელს დააპატიმრს და ციხიდან აღარ დაბრუნებულა.
4. სურმანიძე აქიფ – კონტრაბანდისტი, დააპატიმრეს 1932 წელს და ციხიდან აღარ დაბრუნებულა.
5. სურმანიძე ადემ აქიფის ძე – დააპატიმრეს 1937 წელს, დახვრიტეს.
6. სურმანიძე მამუდ აქიფის ძე – დააპატიმრეს 1937 წელს, დახვრიტეს.
7. სურმანიძე აბდულ ხასანის ძე – დააპატიმრეს 1937 წელს, მრავალი წლის პატიმრობის შემდეგ დაბრუნდა.
8. ბერიძე რამიზ ყედირის ძე – დააპატიმრეს 1937 წელს, მრავალი წლის პატიმრო-

ბის შემდეგ დაბრუნდა.

9. ცინცაძე მემედ (მოლამემედი) – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

10. ცინცაძე შუქრი – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

11. ჩხეიძე ოსმან სულეიმანის დაბ. 1900 წ. – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

12. ჩხეიძე მამუდ – დააპატიმრეს 1937 წელს და გაასახლეს ციმბირში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

13. ანანიძე დაუთ – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

14. ანანიძე ფელულ – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

15. გორგილაძე ღისა – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

16. საკანდელიძე ეუბ – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

17. ნაკაშიძე მემედ – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

18. ნაკაშიძე მამუდ – დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს.

19. ნაკაშიძე ყიზეთ – დააპატიმრეს 1937 წელს, მაგრამ მალე დაბრუნდა.

20. გორგილაძე მუნჯოსმან – დააპატიმრეს 1937 წელს და სახლში აღარ დაბ-რუნებულა.

21. გორგილაძე დაუთ – დააპატიმრეს 1937 წელს და მალე დაბრუნდა

22. ჩიბურიძე ბილალი – დააპატიმრეს 1937 წელს და მალე დაბრუნდა

23. სურმანიძე ბილალ აქიფის ძე – 1937 წელს საზღვარგარეთ გაიქცა და გადაურჩა დაპატიმრებას

24. სურმანიძე ხასან – 1937 წელს დააპატიმრეს, ციხეს თავი დააღწია და თურქეთში გაიქცა

25. სურმანიძე ახმედ თევრათის ძე

(ზ. მახაჭაძის წიგნი „წარსულის იდუმალი ძახილი“. გვ. 34-35 . ქედა, 2004წ.)

ზენდიდის თემი

1. ბერიძე მურად ისმაილის ძე – გულები

2 დისამიძე მამუდ ხემიდის ძე – გულები

3. დიასამიძე ოსმან უსუფის ძე – გულები

4. დიასამიძე რიზალ ისმაილის ძე – გულები

5. დიასამიძე ოსმან უსუფის ძე – ქედის მუფტი, დახვრიტეს 1937 წელს.

6. დიასამიძე დაუთ უსუფის ძე – აჭარის მუფტი 1921-1929 წ, დახვრიტეს.

7. პეტრიძე მამუდ ხასანის ძე დაბ. 1862 წ. – ზენდიდი

8. ვაშაყმაძე მუსტაფ ალიშანის ძე დაბ. 1864 წ. – ძენწმანი

9. სურმანიძე ფეიზულა მუსტაფის ძე, – დაპატიმრებულ რამიზ მიქელაძის სახლი გადმოთოვლა და ამიტომ ციმბირის გზას გაუყენეს. – ძენწმანი.

10. სურმანიძე ხუსეინ მუსტაფის დაბ. 1902 წ. – ძენწმანი

11. სურმანიძე ხუსეინ ხასანის დაბ 1872 წ. – ძენწმანი

12. მიქელაძე ნური აბდულის – დააპატიმრეს 1937 წელს, ევაკუაციის დროს პოლი-ციამ ცემით მოკლა მატარებლის ვაგონთან. სასაფლაოც არ არის ცნობილი.

13. მიქელაძე რამიზ აბდულის – დააპატიმრეს, 8 თვის შემდეგ გაანთავისუფლეს, ძენწმანელი სულეიმან ჩხეიძის ჩვენების საფუძველზე.

14. მიქელაძე შუქრი აბდულის ძე, რომელმაც მიაკითხა ქედის ფოსტაში რიფეთ შერვა-შიძეს (მამიდაშვილს). იმის გამო, რომ დაპატიმრებული რამიზ მიქელაძის ამბავი მოიკითხა ტელეფონით, ორივენი – შუქრი მიქელაძე და რიფათ შერვაშიძე შინსახკომის უფროსმა დ. იმედაძემ დააპატიმრა და შორეულ ციმბირში გაასახლა, სადაც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

15. მიქელაძე ასლან სულეიმანის ძე (აბდულ მიქელაძის ძმიშვილი), ციმბირში უგზოუკვლოდ დაიკარგა.

16. მიქელაძე ახმედ ემირის ძე – ორცვა

17. სურმანიძე აბდი ხემდის ძე – ძენწმანი (1922-1927 წლებში სწავლობდა მოსკოვში კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1927-1929 წლებში მუშაობდა მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად. 1934 წლისდან ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგეა. 1935 წლიდან აჭარის პარტიული სკოლის დირექტორია, იყო ბათუმის რაიკომის მდივანი, აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე). 1938 წლის 11 მარტს მიუსაჯეს 20 წელი.
18. შერვაშიძე შაქირ – ორცვა
19. მიქელაძე ახმედ – მოლა
20. ქაჯაია მუსა
21. ქაჯაია ფიქრიე
22. ქაჯაია შირინალი
23. ქაჯაია ბილალი
24. თურმანიძე დაუთ
25. ნაკაშიძე ჯემალ
26. ნაკაშიძე ომერ ხასანის ძე – ორცვა დაბ. 1863 წ.
27. ნაკაშიძე ისმაილ
28. ბეჟანიძე ახმედ მემედის ძე, ზენდიდი
29. ბეჟანიძე ბეხრი მემედის ძე, ზენდიდი
30. ბეჟანიძე მურთაზ სეფერის ძე, ზენდიდი.
31. სურმანიძე ფიქრო მუსტაფის ძე – ძენწმანი.
32. ბეჟანიძე იბრაიმ ხასანის ძე – ზენდიდი.
33. ბასილაძე აბდულ ხასანის ძე – 1895 წ. დაბად.
34. ბასილაძე ოსმან ომერის ძე – 1895 წ. დაბადებ.
35. ასამბაძე ქაზიმ აღაჯანის ძე – 1909 წ. დაბად.
36. დიასამიძე შუქრი ხასანის ძე – ორცვიდან.
37. ბერიძე ყედირ მამუდის – ზენდიდიდან.
38. დიასამიძე ისრაფილ აბდულის ძე – ქედა.
39. გათენაძე ისმაილ დურსუნის ძე – ქედა.
40. ბერიძე ყებას მამუდის ძე – დაბ. 1902 წ.
41. ვაშაყმაძე მუსტაფ ლომანისძე – დაბ. 1846 წ.
42. შერვაშიძე ახმედ მიჰდიალის ზე – დაბ. 1861 წ.
43. ძნელაძე ისმაილ ხასანის ძე – კორომხეთი, დაბ. 1905 წ.
44. ხაბაზი ეუბ რეჯების ძე – ქედა დაბ. 1913 წ.
45. ხაბაძე ფელულ რეჯების ძე – ქედა, დაბ. 1908 წ.
46. თურმანიძე ხასან ქემალის ძე – დაბ. 1872 წ.
47. მიქელაძე ოსმან დურსუნის ძე – ქედა, დაბ. 1905 წ.
48. ჩალოღლი მემედ ისმაილის ძე – ქედა, დაბ. 1889 წ.

ზვარეს სასოფლო საბჭო

სოფელი კვაშტა
1. ბერიძე მევლუდ
2. გათენაძე იუნუს მემედის ძე, დაბ. 1904 წ. – გარდაიცვალა მაგადანში 1945 წელს.
3. სირაბიძე მემედ – 1934 წ. 5 წლით გაასახლეს ციმბირში
4. ჯაყელი ფეიზულა
5. ჯაყელი ნური ესედის ძე, დაბ. 1870 წ.
6. ჯაყელი სულეიმან დურსუნის ძე, დაბ. 1893 წ.

7. გათენაძე მემედ

მემედ ახმედის ძე გათენაძე დაიბადა 1882 წელს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში. 1914 წელს დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის არაბული ენების ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებს აჭარაში რევოლუციურ მოძრაობაში. 1922 წლის 10 იანვარს სრულიად აჭარის საბჭოების პირველმა ყრილობამ მემედ გათენაძე აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) პრეზიდიუმის წევრად. ის იყო საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატი. აჭარის სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარი, 1923 წელს კი – აჭარის შრომის სახალხო კომისარი.

1926-1928 წლებში მემედ გათენაძე დაინიშნა თურქეთში, ართვინის გუბერნიაში საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლად. მუშაობდა აჭარის ასსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისრად. 1937 წელს დააპატიმრეს.

მემედ გათენაძე გარდაიცვალა 1945 წლის 14 მაისს ციხეში, საფლავი უცნობია.

სოფელი ვაიო

1. ანანიძე დაუთ
2. ანანიძე ფელულ
3. გორგილაძე იაყუფ
4. დავითაძე მერდიალ ხასანის ძე
5. დავითაძე სალიხ
6. ლორთქიფანიძე მერჯან
7. დავითაძე იბრაიმ
8. ლორთქიფანიძე ახმედ – ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე
9. ლორთქიფანიძე მურად რასიყის ძე
10. ლორთქიფანიძე სულეიმან (მოლასულეიმანი, აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი 1922-1924 წ.წ. ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე 1925 წ., შემდეგ აჭარის მიწსახკომი. გაიქცა თურქეთში, რომ დაპატიმრობას გადარჩენოდა)
11. მიქელაძე სულეიმან
12. მიქელაძე ახმედ
13. მახაჭაძე ხასან – რელიგიის მსახური
14. მახაჭაძე უსუფ
15. მახაჭაძე დაუთ – რელიგიის მსახური
16. ნიჟარაძე რასიმ
17. შერვაშიძე საიდ ხაფიზის
18. ჩიკვაიძე მემედ - უცხო ენის (ლათინური) მასწავლებელი.
19. შავიშვილი შაქირსულეიმან
20. შავიშვილი ხემიდ
21. შავიშვილი სულეიმან ასლანის ძე, დაბ. 1896 წ.
22. ჩიკვაიძე ხუსეინ – რელიგიის მსახური
23. ჩიკვაიძე ხუსია
24. შერვაშიძე მემედ ასლანის ძე
25. შერვაშიძე ხუსეინ დურსუნის ძე დაბ. 1887 წ.
26. შერვაშიძე სეიდ ხემიდის ძე
27 ტეტემაძე ეუბ ხასანის ძე – რელიგიის მსახური

სოფელი ზესოფელი

1. ავალიანი ხუსეინ
2. ბერიძე აბდულ მემედის ძე
3. ბერიძე მურად
4. ბერიძე ნური
5. ბერიძე მუხამედ
6. ბერიძე ხულუს
7. ბერიძე რემზი
8. გორგილაძე აბდულ დაუთის ძე
9. ჩხეიძე უსუფ
10. ილიაიძე ხუსეინ
11. ჩხეიძე მევლუდ სეიდის ძე, დაბ. 1907 წ.

სოფელი წონიარისი

1. ბერიძე ზექერია (ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, 1929 –1933წწ.)
2. ბარამიძე ჯემალ
3. დიასამიძე რეჯებ – საცხოვრიიდან
4. დიასამიძე გომიშ – საცხოვრიიდან
5. მაკარაძე ხასან
6. კვირიკაძე მერჯან – მოლა
7. კვირიკაძე სულეიმან მერჯანის ძე
8. კვირიკაძე რეჯებ კახრიმანის ძე – დაბ. 1857 წ.

ზექერია ბერიძე ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობიდან გადაიყვანეს აჭარის საგზაო სამმართველოში. მას აჭარის მთავრობამ დაავალა სხალთის ხეობაში სამანქანე გზის გაყვანის ხელმძღვანელობა, ზექერია სხალთაში ავიდა ივლისის შუა რიცხვებში. ხეობის მოსახლეობა, დიდი თუ პატარა, გასული იყო სათიბებში თივის ასაღებად. ზექერიამ მთელი ოცი დღე სოფლებში მოსახლეობასთან ერთად იმუშავა თივის აღებაზე და სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა. როცა თივის მოცელვა დამთავრდა, სხალთელებს გაუმხილა განზრახვა და მთავრობის დავალება. მეორე დღეს მთელი ხეობის მოსახლეობა გამოვიდა გზის მშენებლობაზე.

ოქტომბრის თემი

1. ბაჯელიძე ხუსეინ ასლანის ძე – გოგინიძეები
2. გოგიტიძე მოლახმედ სადიყის ძე – სოფ. კუჭულა
3. გოგიტიძე ოსმან სადიყის ძე
4. გორგაძე აბდულ უსუფის ძე
5. გოგიტიძე აბდულ ხუსეინის ძე გოგინიძეები, დაბ. 1885 წ.
6. გორგაძე მერდიალ
7. დუმბაძე მევლუდ – ოქტომბერი
8. დუმბაძე ყედირ ეუბის ძე – ოქტომბერი
9. დუმბაძე თალიბ თიარის ძე – მეძიბნა
10. დუმბაძე აბდულ ბილალის ძე
11. დუმბაძე ხულუს ყადირის ძე
12. დუმბაძე ოსმან ხუშუტის ძე
13. დუმბაძე ოსმან ყადირის ძე
14. დუმბაძე აბდულ ასლანის ძე

15. დუმბაძე ხულუს შაქირის ძე
16. დუმბაძე იბრაიმ ქუჩუგის ძე – აგოთა
17. დუმბაძე ოსმან აჭის ძე
18. დუმბაძე სეფერალი ისმაილის ძე
19. დუმბაძე ისმაილ ქუჩუგის ძე
20. დუმბაძე ეუბ ქუჩუგის ძე
21. დუმბაძე ხუსეინ
22. თურმანიძე რეშიტ ბილალის ძე – გოგინიძეები
23. კილაძე სულეიმან უსუფის ძე
24. ნაკაშიძე ჯელალ ოსმანის ძე
25. ნაკაშიძე ყარაღა დედეჯანის ძე
26. ნაკაშიძე რამიზ
27. სურმანიძე ხაჯი ხუსეინის ძე
28. შერვაშიძე ხუსეინ დურსუნის ძე – ოქტომბერი
29. შერვაშიძე მურად შაქირის ძე – გოგინიძეები
30. შერვაშიძე თემურბეგ მახმუდის ძე – დაბ. 1877 წ.
31. შერვაშიძე ახმედ მიჰდადის ძე
32. შერვაშიძე ნური ასლანის ძე – დაბ. 1876 წ.
33. შერვაშიძე მემედ ასლანის ძე – დაბ. 1867 წ.
34. შერვაშიძე რიფეთ
35. ჩხიკვაძე ალიოსმან უსუფის ძე– ოქტომბერი
36. ჩხიკვაძე ხუსია
37. ჩხიკვაძე ისმაილ არიფის ძე – დაბ. 1871 წ.

მერისის თემი

1. თურმანიძე თიარ – ნამონასტრევი
2. თურმანიძე დავით – ნამონასტრევი
3. თურმანიძე ოსმან ახმედის ძე – ნამონასტრევი
4. თურმანიძე ხუსეინ– ნამონასტრევი
5. თურმანიძე რეჯებ– ნამონასტრევი
6. თურმანიძე უსუფ ულფანის ძე – ნამონასტრევი დაბ. 1889 წ.
7. თურმანიძე ალი– ნამონასტრევი
8. ბერიძე ბიჭა – სილიბაური
9. ბერიძე ეუბ შირინის ძე – სილიბაური
10. ბერიძე ხუსია – სილიბაური
11. ჯიჯავაძე სულეიმან – სილიბაური
12. კაკაბაძე ხასან შერიფის ძე – სილიბაური
13. თურმანიძე ომერ – მერისი
14. თურმანიძე მევლუდ – მერისი
15. თურმანიძე ასლან ალის ძე– ნამონასტრევი
16. ბეჟანიძე ასლან – მერისი
17. გოგოლიშვილი ჯემალ – მერისი
18. ბეჟანიძე ეშრეფ – მერისი
19. შარაძე საით – ინაშარიძეები
20. შარაძე ქაზიმ – მერისი
21. თურმანიძე იაყუფ – სიხალიძეები
22. თურმანიძე ალი – სიხალიძეები

23. კაკაბაძე ოსმან თულფანის ძე
24. თურმანიძე ხასან – გარეტყე
25. დიასამიძე მემედ – გუნდაური
26. დიასამიძე აბდულ დედეჯანის ძე – გუნდაური
27. ბარამიძე ოსმან – გუნდაური
28. ლამპარაძე უსეინ – გუნდაური
29. ხალვაში ხემიდ – გუნდაური
30. ლამპარაძე ხუსია – გუნდაური
31. ბარამიძე მემედ – გუნდაური
32. ბარამიძე ხასან – გუნდაური
33. ბარამიძე ახმედ – გუნდაური
34. საკანდელიძე ეუბ მემედის ძე – გუნდაური, დაბ. 1874 წ.
35. გოგოლიშვილი ქაზიმ ხასანის ძე, კორტივლის უბანი, მერისის თემსაბჭოს თავმჯდომარე.
36. ჯიჯავაძე შუქრი
37. ლორთქიფანიძე ალიოსმან
38. თურმანიძე ახმედ
39. ცეცხლაძე ეუბ შერიფის ძე – მერისი
40. ჯიჯავაძე ოსმან ეუბის ძე – სილიბაური, დაბ. 1882 წ.
41. თურმანიძე ოსმან ახმედის - სიხალიძეები დაბ. 1893 წ.
42. თურმანიძე შაქირ ალის ძე – მერისი 1899 წ.

პირველი მაისი

1. დევაძე მერჯან ხასანის ძე –
2. შერვაშიძე ქამილ სეფერის ძე
3. შავლიძე მუსტაფ
4. შერვაშიძე სულეიმან სეფერის ძე
5. შერვაშიძე სეფერ
6. შერვაშიძე მემედ დურსუნის ძე
7. შერვაშიძე ხუსეინ სეფერის ძე
8. დევაძე ნური უზეირის ძე – აგარა დაბ. 1871 წ.
9. დევაძე ყადირ ხუბუტის ძე – აგარა დაბ. 1876 წ.
10. ლორთქიფანიძე ხასან

ხასან ლორთქიფანიძე დაიბადა 1888 წელს ქედის მაზრის სოფელ საღორეთში, მერისიდან მოწვეული ხოჯის – ხასან მუფთიზადე ლორთქიფანიძის შვილიშვილია, მამა ისმაილი საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო.

ხასან ლორთქიფანიძემ დაამთავრა ქ. ბათუმის №1 სკოლა და რეჯებ ნიჟარაძისა და ყადირ შერვაშიძის ერთად გაემგზავრა რუსეთში, ტარტუს უნივერსიტეტში მიიღო იურიდიული განათლება.

1918 წლის 15 მაისს ხასან ლორთქიფანიძეს ირჩევენ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრად". ხოლო 1919 წლის 31 აგვისტოს – მეჯლისის წევრად.

1918 წლის ივნისში თურქებმა დააპატიმრეს ბათუმში ხასან ლორთქიფანიძე, ჯემალ ქიქავა, მემედ აბაშიძე, სულეიმან ბეჟანიძე და ტრაპიზონის ციხეში გამოამწყვდიეს.

1921 წელს ხასან ლორთქიფანიძეს ირჩევენ აჭარის გაერთიანებული რევკომის თავმჯდომარედ. ხოლო შემდეგ – აჭარის პირველი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯ-დომარედ.

1921 წლის 16 ივლისს ხასან ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა დელეგაციას თბილისში, რომელიც შეხვდა იოსებ სტალინს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხებთან დაკავშირებით. ხასან ლორთქიფანიძე აქტიურ მონაწილეობას ღებუ-ლობდა „აწჰესის" მშენებლობის დაწყების საქმეში.

1925 წლის 20 ოქტომბერს აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ: ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ხასან ლორთქიფანიძის კანდიდატურა წამოაყენა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ-დომარის პირველ მოადგილედ.

1937 წელს ხასან ლორთქიფანიძე მის ბიძაშვილთან (ქედის რაიკომის პირველი მდივანი სელმან ლორთქიფანიძე) ერთად დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

(ს.სამნიძე, მოვალეობად გადმოღვრილი მადლი 2015 გვ. 113-123)

სოფ. კოლოტაური

1. გოგუაძე ახმედ
2. გოგუაძე ალიოსმან
3. მახარაძე მემედ ყედირის ძე – ხოხნა, 1918 წ.
4. მახარაძე შუქრი – სას. საბჭოს თავმჯდომარე 1933-VI-IX
5. მახარაძე ხაჯი
6 მახარაძე ყედირ
7. ძნელაძე ისლამ – რაიაღმასკომის თავმჯდომარე 1936-1937 წ.წ.
8. ფარტენაძე ოსმან ალის ძე, სას. საბჭოს თავმჯდომარე 1936-1937 წ.წ.
9. წითელაძე ხულუს

სოფ. აგარა

1. დევაძე მემედ ხულუსის ძე
2 დევაძე ნური უზეირის ძე – 1911 წ.

მახუნცეთის თემი

1. აბესლამიძე ოსმან ჰაჯიალის ძე – მილისი
2. აბესლამიძე ბინალ ფერათის ძე – მილისი
3. აბესლამიძე შაქირ ბინალის ძე– მილისი
4. დოლიძე ახმედ ხუსეინის ძე – მილისი
5. თავდგირიძე ახმედ – მახუნცეთი
6. ირემაძე ახმედ იდრისის ძე – ზედა მახუნცეთი, დაბ. 1905 წ.
7. ღოღობერიძე დურსუნ – ზუნდაგა
8. ახმედ კაიკაციშვილი
9. მურად ვარშანიძე
10. ნაკაშიძე ზია ისაკის ძე – ქოსოფელი
11. ღოღობერიძე ახმედ ოსმანის ძე – ბზუბზუ
12. თავდგირიძე ხასან თევყიფის ძე – მახუნცეთი დაბ. 1910 წ.

სოფელ დოლოგანი

1. ვარშანიძე ხუსეინ ოსმანის ძე
2. კოჩაძე ფეიზულ ახმედის ძე

3. საფარიძე სულეიმან
4. მიქელაძე ბექირ
5. მიქელაძე ოსმან
6. ვარშანიძე ოსმან
7. კოჩაძე ყებას
8. ვარშანიძე ხასან

(გამოყენებული ლიტერატურა: რამაზ სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წ.წ.) თბ. 2014 წ.

ფასდაუდებელია ცნობილი მწერლის გიორგი სანადირაძის მუშაობა, რომლის რედაქტორობით გამოდიოდა სქელტანიანი გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ". თითქმის 2 წლის მანძილზე უთმობდა ადგილს აჭარის თემას: „სისხლიანი გრიგალი, აჭარა 1937-1938 წლებში". სწორედ ამ ყოვლისმომცველი სათაურითაა წარმოდგენილი უშიშროების არქივიდან ამოკრებილი ცნობები, რომლებიც სათაურით „სისხლიანი გრიგალის ექო, აჭარა", 2001 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად.

რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ საქართველოს ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი, გიორგი წერეთელი; ასევე – რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწეები: ბ. მდივანი, შ. ორახელაშვილი, კ. ცინცაძე, მ. ტოროშელიძე, მ. კახიანი, მ. ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, ლ. ღოღობერიძე, გ. მგალობლიშვილი და ბევრი სხვანი.

სამშობლოს ღალატის ბრალდებით ფალსიფიცირებული საქმეების შეთითხნაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, უშიშროების მეორე რანგის კომისარი ს. გოგოლაძე, ამ ორგანოს მაღალი თანამდებობის მუშაკები: მ. სტეფანოვი, ა. რაფავა, ბ. ქობულოვი, ზ. შაშერკინი.

აჭარაში პოლიტიკური რეპრესიების განხორციელებაში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ, ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჯინჯოლია, უშიშროების სამსახურის მუშაკები: მ. კუკუტარია; ნ. მატუა. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წ. 22 ივლისის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდა მ. კალინინი, „მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშოდ და თავგამოდებით შესრულებისათვის" წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდეს მ. ჯინჯოლია და მ. კუკუტარია. მართლაც, მათ, სხვებთან ერთად, სანიმუშოდ შეასრულეს მთავრობის დავალება – ათასობით უდანაშაულო ადამიანს წაართვეს სიცოცხლე".

საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტის მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა 1938 წლის ნოემბრის თვეში საქ. კპ ქედის რაიკომს მოსთხოვა შინსახკომის უფროსის იმედაძის დახასიათება. გთავაზობთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ქედის შინსახკომის უფროსის სახელზე გაგზავნილ დახასიათებას.

ქედის რაიონის ამწიოკებელი, შინსახკომის უფროსი 1937-1939 წლებში, დომენტი ნიკიფორეს ძე იმედაძე მთავრობამ დააჯილდოვა:

„1941 წლის 17 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დომენტი ნიკიფორეს ძე იმედაძე სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი დაჯილდოებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით". კაცი, რომელმაც, ასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა, აჭარის უმაღლესმა საბჭომ დააჯილდოვა.

ასეთი იყო მაშინდელი მწარე რეალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

246

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

შინსახკომის ქედის რაიგანყოფილების უფროსს ამხ. დომენტი ნიკიფორეს-ძე

ი ბ ე ნ ა ძ ე ს .

დამტკიცებული საქ.კ.პ./ბ/ ქედის რაიკომის სხდომის მიერ 1938-წლის 22-ნოემბრის ოქმი № 30

დომენტი ნიკიფორეს-ძე იმედაძე დაბადებული 1902-წლის, ეროვნებით ქართველი, სოც-მდგომარეობით მოსამსახურე, განათლებით საშუალო დაუმთავრებელი, დამთავრებული აქვს "ოგპეუს" ერთწლიანი კურსები მოსკოვში 1932-33-წლის, სპეციალობით შინსახკომის მუშაკი 14-წლის საწარმოო სტაჟით, პარტიული სასჯელი არ აქვს.

ქედის რაიონში ამხ. იმედაძე მუშაობს 1937-წლის მარტიდან, შინსახკომის რაიგანყოფილების უფროსად, ამხ. იმედაძის მუშაობის ეს პერიოდი ხასიათდება ენერგიულობით და დაკისრებულ მოვალეობისადმი მონდომებით, რაიონში გამოვლინებულ ხალხის მტრების წინააღმდეგ ყველა საჭირო ოპერაციები ამხ. იმედაძის ხელმძღვანელობით ძირითადად ჩატარებული იქნა დამაკმაყოფილებლად.

ამასთან ერთად ამხ. იმედაძეს თავის მუშაობაში თან ახლავს სერიოზული დეფექტები, არ ბრუნავს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არ ესწრება სრულებით პარტაქტივის სემინარს და პოლიტიკურად მოუმზადებელია, იგი არ აფასებს საერთოდ პარტიულ სწავლების და ნაწილობრივ მისი მიზეზით 55-მეცადინეობიდან შინსახკომის პარტიულ ორგანიზაციაში გაცდენილია 33-მეცადინეობა.

ამხ. იმედაძეს ახასიათებს თანამდებობის გადამლაშება და მუქარა თანამდებობის გამოყენებით, მისი მუშაობაში ადგილი აქვს ფაქტებს უსაფუძვლო დაპატიმრებებს და შეურაცხყოფას, პირადი შეხედულების მიხედვით, ჩარევა წვრილმანებში, განკარგულებანი პირადი შეხედულების მიხედვით თანამშრომელთა მოხსნის შესახებ და სხვა რიგი შემთხვევებისა, რომელიც შეუთავსებელია რაიგანყოფილების უფროსის თანამდებობის შესრულებასთან.

საქ.კ.პ./ბ/ ქედის რაიკომის
მდივანი: /ხელაძე/

1951 წლის ხეპხესიები

ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე არჩილ ტაკიძე იგონებდა, რომ მისი ქედის რაიკომში მუშაობის დროს ძალიან ძნელი მომენტი იყო 1951 წლის დეკემბერი, როცა ახალი წლის წინა დღეებში მოსახლეობის გადასახლება დაიწყეს შუა აზიის რესპუბლიკებში. რაიონიდან გადაასახლეს 135 ოჯახი, 1000 სულზე მეტი.

საქართველოს „პატრიოტი" ჩეკისტების საქმიანობას ხსენებულ პერიოდში, ცხადყოფს მომდევნო წლების ფაქტებიც, რომლებიც აშკარად ავლენენ უნდობლობას აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მომყავს ამონარიდი პროფესორ ოთარ თურმანიძის გამოკვლევიდან – „შავბნელი 40-იანი და 50-იანი წლები აჭარის მაგალითზე", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2003 წლის №184, 186, 187, აგრეთვე გაზეთ „აჭარის" ამავე წლის №142, 143 და 144 ნომრებში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მასალებში განსაკუთრებით ფიგურირებს ტერმინი „სამშობლოს მოღალატე – ქართველი აჭარლები". თურმე ისინი აწვდიდნენ სახელმწიფო საიდუმლო ცნობებს თურქეთიდან შემოგზავნილ აგენტებს და არ აწვდიდნენ საჭირო მასალებს საქართველოს უშიშროების ორგანოებს, მაშინაც კი, როდესაც ამ მიზნით თურქეთში აგზავნიდნენ, ინფორმაცია საერთოდ არ ჩამოჰქონდათ ე.წ. „მოღალატე ქართველ აჭარლებს". ანალოგიურ ბრალდებებს უყენებდნენ ცარიზმის მოხელეები და გასაბჭოების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მუშაკები საბჭოთა ხელისუფლების ყველა ეტაპზე, არა და, სამშობლოს წინაშე ღალატი აჭარლებს არასოდეს ჩაუდენიათ, ისინი იყვნენ და არიან დედასამშობლო საქართველოს ერთგული შვილები.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა დაამუშავეს საკითხი ე.წ. „მავნებლების" რესპუბლიკიდან გასახლების შესახებ. ეს მასალები მათ წარუდგინეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. იგი მხარს უჭერდა უშიშროების სამინისტროს წინადადებას და, ალბათ, სერიოზულად არც კი დაფიქრებულა ამ უდანაშაულო ადამიანების ბედზე. საკითხი უნდა გადაეწყვიტა სსრ კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ამიტომ კ. ჩარკვიანმა 1951 წლის 12 ნოემბერს წერილი გაგზავნა იოსებ სტალინის სახელზე. რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა „ ამ მავნებელი ელემენტების" საქართველოდან გასახლების აუცილებლობა, რადგან თურმე ისინი ქმნიდნენ საშიშროებას ქვეყნისათვის. კ. ჩარკვიანი მოითხოვდა საქართველოდან 6300 კაცის გასახლებას.

სამწუხაროდ, კ. ჩარკვიანის წერილში ი. სტალინისადმი აჭარლები დახასიათებულია პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად, ანტისაბჭოელებად და სხვ. წერილში კონკრეტულად ნათქვამია: „აჭარაში ცხოვრობს ემიგრანტებისა და სამშობლოს მოღალატეების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისინი არიან კომპრომეტირებულები ანტისაბჭოთა საქმიანობაში წარსულში (საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეაიარაღებული გამოსვლები), კონტრაბანდაში (არალეგალურად გადადიან თურქეთში და გადმოდიან), მონაწილეობდნენ ანტისაბჭოთა პანისლამისტურ ორგანიზაციაში („სედაი მილეთი"- ხალხის ხმა), იმალებიან თურქეთში და კავშირი აქვთ ბათუმში თურქეთის კონსულთან". ცხადია, ეს ყველაფერი სიცრუე იყო.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი დაარწმუნეს, რომ ამ კატეგორიის ხალხის ცხოვრება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში საშიში იყო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. კ. ჩარკვიანის აღნიშნული წერილის შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1951 წლის 29 ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან „მავნებლური ელემენტების" გასახლების შესახებ. ამ დადგენილების მიღების შემდეგ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა „ახალი მავნებლები"

გამოავლინეს, რის შედეგად გასახლებულთა კონტინგენტი 8615 სულამდე (2189 ოჯახი) გაიზარდა. ამავე დროს დაამუშავეს მათი გასახლების ინსტრუქციები, რაც ბევრად არ განსხვავდება ფაშისტების ანალოგიური დოკუმენტისაგან." (ი. ბექირიშვილი, წიაღსვლები აჭარის წარსულში, გამომცემლობა „აჭარა," ბათუმი, 2003 წ., გვ. 301-302)

სოფელ ახოს მცხოვრები თევფიყ ბერიძის ოჯახი 9 წევრისაგან შედგებოდა. მრავალრიცხოვანი ოჯახები გაასახლეს შუა აზიაში, განსაკუთრებით ავტირიტეტული და გამოსული პიროვნებები, მათი ოჯახები: სოფელ აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუსა ბერიძე, სოფელ ახოს კოლმეურნეობის და შემდეგ ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხუსეინ ბერიძე და სხვა მრავალი. მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების განყოფილების უფროსი ანტონ ონიანი თავისი სურვილითა და შეხედულების მიხედვით აკეთებდა ამ ბნელ საქმეს და არავისთან არაფერს ათანხმებდა რაიონში.

„მასობრივი გასახლების უკანონობაზე საზოგადოებრივი აზრი მაშინვე ჩამოყალიბდა, მაგრამ ამას ანგარიშს არავინ უწევდა. კომკავშირის ქედის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი ოთარ სალაძე გასახლების უკანონობის შესახებ მკაცრი კრიტიკით გამოვიდა აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე. კონკრეტული ფაქტებით დაასაბუთა გასახლების უკანონობა და დარბაზის მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. შესვენება გამოაცხადეს, მოიწვიეს საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომა და სიმართლის თქმისათვის ოთარ სალაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს."

ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გასახლებული ოჯახები მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. ბევრი დაზარალებული კომუნისტი და ხელმძღვანელი ანტონ ონიანს აღარ ესალმებოდა. ნაცვლად იმისა, რომ აქედან საჭირო დასკვნა გაეკეთებინა, ა. ონიანმა პარტიის რაიკომში მიმართვა შეიტანა ზოგიერთი კომუნისტისა და ხელმძღვანელის დასჯის შესახებ. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი კონსულტაციისთვის დაუკავშირდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს. პატრიოტი, დიდი მამულიშვილი დავით მამულაძე ძალიან აღაშფოთა ონიანის ასეთმა საქციელმა და მიმართვის გადაგზავნა მოითხოვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში. მალე ონიანი უშიშროების ორგანოებიდან დაითხოვეს, რასაც მთელი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა" ნ. დუმბაძე, ს. კაკაურიძე. „სახალხო მოღვაწე," გვ. 23".

ყველას თითქოს რაღაც მოუძებნეს. თითქოს ვინმე ფიქრობდა საზღვარგარეთ წასვლაზე, ან თურქეთისკენ იყურებოდა. თუ ვინმემ იცის, ყველაზე კარგად ქედელებმა იციან სამშობლოს სიყვარული და დღესაც იგონებენ და ყვებიან თურქეთის უღელქვეშ აუტანელ პირობებზე. 70 წლის განმავლობაში ქედელებს საზღვარი არასოდეს დაურღვევიათ. თუ ოდესმე ჩვენი ტერიტორიიდან ვინმე საზღვარზე გადავიდა და უცხოეთში გადაიხვეწა, ან რუსი იყო, ან ჩრდილოკავკასიელი, ან აზერბაიჯანელი და შუააზიელი.

ქედის რაიონიდან სპეცგასახლებულთა სია

1. ნაკაშიძე ზია ისას ძე – უჩხითი
2. ჟოჟაძე იბრაიმ ხულუსის ძე –უჩხითი
3. ბედინაძე იბრაიმ ოსმანის ძე – უჩხითი
4. დუმბაძე იუსუბ ხულუსის ძე – მილისი
5. ვარდმანიძე იბრაიმ მემედის ძე – მილისი
6. ცივნარიძე სულეიმან მემედის ძე – მილისი
7. აბესლამიძე ჯემალ იუსუბის ძე – მილისი
8. ჟღენტი სელიმ ქამილის ძე – მილისი
9. აბესლამიძე ჯემალ ოსმანის ძე – მილისი

10. ჟღენტი შალვა დურსუნის ძე – უჩხითი
11. კობალაძე იბრაიმ ხაჯის ძე – უჩხითი
12. გოგიძე ხუსეინ დურსუნის ძე – მილისი
13. ნინიძე ხულუს მემედის ძე – მილისი
14. ნინიძე სულეიმან ალის ძე – მილისი
15. ნინიძე ალი სულეიმანის ძე – მილისი
16. წულუკიძე ალი ოსმანის ძე – მილისი
17. გვარიშვილი შევქეთ ახმედის ძე – მილისი
18. კურცხალიძე ხემიდ ალის ძე – მახუნცეთი
19. ფარტენაძე მამუდ სულეიმანის ძე – მახუნცეთი
20. ზაქარაძე სულეიმან მემედის ძე – მახუნცეთი
21. ირემაძე ოსმან საიდის ძე – ზუნდაგა
22. ქობულაძე მამუდ მეჯიდის ძე– ზუნდაგა
23. ვერძაძე მემედ ბათალის ძე – ზუნდაგა
24. ვერძაძე ალი ხუსეინის ძე – ზუნდაგა
25. გოგიტიძე მამუდ უსუფის ძე – ბზუბზუ
26. შოთაძე იდრის სულეიმანის ძე– ბზუბზუ
27. შოთაძე ალი სულეიმანის ძე – ბზუბზუ
28. თავდგირიძე მამუდ ჯემალის ძე – ბზუბზუ
29. აზნაურიშვილი შაქირ ოსმანის ძე – ბზუბზუ
30. შოთაძე მუხამედ სულეიმანის ძე – ბზუბზუ
31. ღოღობერიძე მევლუდ ხაჯის ძე – ბზუბზუ
32. გორგილაძე ახმედ ხუსეინის ძე – დოლოგანი
33. შილაძე მემედ სულეიმანის ძე – დოლოგანი
34. კოჩაძე მევლუდ იუნუსის ძე – დოლოგანი
35. ჯინჭარაძე მევლუდ ოსმანის ძე – დოლოგანი
36. საფარიძე რამიზ ოსმანის ძე – დოლოგანი
37. ჯინჭარაძე რეჯებ იბრაიმის ძე – დოლოგანი
38. ვარშანიძე ახია ხასანის ძე – დოლოგანი
39. მიქელაძე მემედ ოსმანის ძე – დოლოგანი
40. სურმანიძე სულეიმან ხასანის ძე – ორცვა
41. დიასამიძე ხემიდ ფერათის ძე –ქედა
42. ბასილაძე ხემიდ ხუსეინის ძე – ორცვა
43. დისამიძე შახბან ზექერიას ძე – ორცვა
44. დიასამიძე მურად – ორცვა
45. აბულაძე ქაზიმ ალის ძე – ორცვა
46. ქაჯაია უსუფ ეუბის ძე – ორცვა
47. დიასამიძე შუქრი რამიზის ძე – გულები
48. ასამბაძე ხემიდ აბდულის ძე – ქედა
49. დიასამიძე მურად მერჯანის ძე – ქედა
50. დიასამიძე ფელულ ხასანის ძე – ორცვა
51. ბერიძე ხასან სალიხის ძე – გულები
52. დიასამიძე ხუსეინ დურსუნის ძე – გულები
53. აბულაძე რამიზ მემედის ძე – ორცვა
54. ფარტენაძე მერიემ აბდულის ძე – ძენწმანი
55. ძნელაძე ალიოსმან ხასანის ძე– ძენწმანი
56. ცინცაძე მემედ ხუსეინის ძე – ძენწმანი

57. მიქელაძე ადემ დურსუნის ძე – ძენწმანი
58. შერვაშიძე ასიე ქუჩუგის ძე – ძენწმანი
59. სურმანიძე ხოსრო ახმედის ძე – ძენწმანი
60. პეტრიძე მემედ ხუსეინის ძე – ძენწმანი
61. თურმანიძე სეიდალ ხასანის ძე – მერისი
62. შარაძე სებილე ხულუსის ასული – მერისი
63. ბეჟანიძე აბდულ აშრაფის ძე – მერისი
64. დუმბაძე დაუთ რეჯების ძე – მერისი
65. სურმანიძე ხუსეინ ემრაილის ძე – გუნდაური
66. თურმანიძე აბდულ ალიჯანის ძე – გუნდაური
67. თურმანიძე იშიღ დურსუნის ძე – გუნდაური
68. დევაძე მურად ღისას ძე – გუნდაური
69. თურმანიძე აიშე მემედჯანის ასული – გუნდაური
70. დევაძე თუთიე ოსმანის ასული – გუნდაური
71. დიასამიძე მედიალ ღისას ძე – გუნდაური
72. დიასამიძე ლუთბიე დურსუნის ასული – გუნდაური
73. დიასამიძე ემინე აბდულის ასული – გუნდაური
74. თურმანიძე ხუსეინ მემედალის ძე – გუნდაური
75. დიასამიძე ზექიე ოსმანის ასული – გუნდაური
76. თურმანიძე ხასან რეჯების ძე – ნამონასტრევი
77. თურმანიძე ხუსეინ სულეიმანის ძე – გუნდაური
78. ბერიძე იბრაიმ ახმედის ძე – სილიბური
79. კაკაბაძე ომერ მუსტაფის ძე – სილიბური
80. დუმბაძე უსუფ ალის ძე – მეძიბნა
81. დუმბაძე ყაბიდ ბახათის ძე – მეძიბნა
82. დუმბაძე მევლუდ მურადის ძე – მეძიბნა
83. დუმბაძე აბდულ ხაჯის ძე – მეძიბნა
84. დუმბაძე იუნუს თალიბის ძე - მეძიბნა
85. დუმბაძე ალიოსმან ქუჩუგის ძე – მეძიბნა
86. დუმბაძე ისლამ ალის ძე – მეძიბნა
87. დუმბაძე რიზალი მუსას ძე – მეძიბნა
88. დუმბაძე გელხანუმ ხუსეინის ას. – მეძიბნა
89. დუმბაძე ეშრეფ ხაჯის ძე – მეძიბნა
90. შერვაშიძე უსუფ ნურის ძე – ოქტომბერი
91. ქათამაძე ნური მემიას ძე – ოქტომბერი
92. ნაკაშიძე ახმედ სულეიმანის ძე ოქტომბერი
93. გოგიტიძე ხუსია ახმედის ძე – ოქტომბერი
94. ჩხიკვაძე მერჯან შუქრის ძე – ოქტომბერი
95. გორგაძე თუნთულ თოფანის ას. – ოქტომბერი
96. გოგიტიძე ხაჯიმემედ მემედის ძე – ოქტომბერი
97. ნაკაშიძე დურსუნ ეუბის ძე – ახო
98. ბერიძე ხუსეინ მეჯიდის ძე – გობრონეთი
99. ბერიძე თევფიყ ქერემის ძე – ახო – 9 სული
100. ბერიძე ხასია ისმაილის ძე – ახო
101. ბერიძე ოსმან ალის ძე – ცხმორისი – 9 სული
102. აბულაძე ფატყუმე სულეიმანის ას. – ხარაულა
103. მახარაძე სულეიმან იბრაიმის ძე – ხარაულა

104. აბუსელიძე იუნუს სულეიმანის ძე – ხარაულა
105. ბერიძე ეუბ ახმედის ძე – ხარაულა
106. აბუსელიძე სულთან ოსმანის ას. – ხარაულა
107. არძენაძე შუქრი ახმედის ძე – დანდალო – 11 სული
108. ბერიძე ფეზლი ხემიდის ძე – ზვარე
109. ბერიძე ხულუს ახმედის ძე – ზესოფელი
110. ბერიძე მემედ ყავთანის ძე – ზესოფელი
111. ბერიძე ხემიდ არიფის ძე – ზესოფელი
112. ბერიძე ყებას ხემიდის ძე – ზვარე
113. გორგილაძე ისკენდერ ახმედის ძე – ზვარე – ზესოფელი
114. გორგილაძე ყედირ ახმედის ძე – ზვარე – ზესოფელი
115. ჩხეიძე ესედ საიდის ძე – ზვარე – ზესოფელი
116. სირაბიძე ხუსეინ აბდულის ძე – კვაშტა
117. მახაჭაძე სულეიმან დაუთის ძე – ვაიო
118. ლორთქიფანიძე ახმედ მემედის ძე– ვაიო
119. შავიშვილი ახმედ ხულუსის ძე – ვაიო
120. შერვაშიძე მამუდ ხემიდის ძე – ვაიო
121. ლორთქიფანიძე გულნაზი სულეიმანის ას. - ვაიო
122. ჩიკვაიძე ალიმემედ ხასანის ძე – ვაიო
123. ბერიძე ფეიზელ დურსუნის ძე – წონიარისი
124. ბერიძე მურად დურსუნის ძე – წონიარისი
125. წითელაძე შუქრი ხუშუტის ძე – პირველი მაისი
126. გოგუაძე მუსტაფ ქიბარის ძე – პირველი მაისი
127. გოგუაძე სულეიმან ხასანის ძე – პირველი მაისი
128. გურგენიძე რეჯებ ახმედის ძე – პირველი მაისი
129. მახარაძე დურსუნ რეჯების ძე – პირველი მაისი
130. გოგუაძე შევქეთ რიზმანის ძე – პირველი მაისი
131. გოგუაძე გულაიშე შუქრის ასული – პირველი მაისი
132. გოგუაძე მამუდ ეუბის ძე – პირველი მაისი
133. მახარაძე ხუსეინ შერიფის ძე– პირველი მაისი
134. ფარტენაძე სულეიმან მემედის ძე – პირველი მაისი
135. თებიძე ახმედ მემედის ძე –პირველი მაისი
136. დევაძე ისკენდერ მევლუდის ძე – პირველი მაისი
137. ბერიძე მუსა – კანტაური
138. ჯაბნიძე ყებას შაბანის ძე – კორომხეთი
139. ბარამიძე მუსტაფ – ბზუბზუ – 5 სული – 3 ყაზახეთში გარდაიცვალა.

ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გასახლებული ოჯახები მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ..

ანჰესი

აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგური (აწჰესი) ქედის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს, მახუნცეთის თემში. ეს ასე იყო მაშინაც, როცა რუსული მმართველობის დროს რაიონის ნაცვლად მაზრა იყო ადმინისტრაციულ ერთეულად და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეკუთვნა ჯერ ჭოროხის მაზრას, შემდეგ აჭარისწყლის მაზრას, ხოლო ქედის რაიონს გადაეცა 1939 წლიდან, როცა გაუქმდა აჭარისწყლის მაზრა.

უშუალოდ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს მახუნცეთის თემის სოფლები ქედაში არ შედიოდა.

მშენებლობა დაიწყო 1924 წლის 19 აგვისტოს და მთლიანად დასრულდა 1940 წლის 8 ივნისს. იმის გათვალისწინებით, რომ სადგურის სათავე ნაგებობა მაშინაც ქედის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქედის თემების მცხოვრებნი. რაც მთავარია, დღეს, 1940 წლიდან მოყოლებული, სადგური ქედის რაიონშია. სრულიად გამართლებულია ის ქედის ისტორიის ნაწილად ჩავთვალოთ.

აწჰესზე ისტორიული ნარკვევი 1975 წელს გამოქვეყნდა ისტორიკოს ნოდარ გათენაძის ავტორობით. მეც ამ ნარკვევს დავეყრდნობი და შემოგთავაზებთ მის შემოკლებულ ვარიანტს.

თავიდან, როდესაც მთიანი აჭარის ეკონომიკურ განვითარებაზე დაფიქრდა საბჭოთა ხელისუფლება, გადაწყდა 1921 წელსვე ქედაში დაწყებულიყო თბოელექტროსადგურის მშენებლობა, მაგრამ გაჭიანურდა და ექსპლუატაციას გადაეცა 1933 წლის 1 სექტემბერს. ის ღამით აწვდიდა დენს რაიონის ცენტრს..

დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის ეს ფაქტი სიახლეა.

თბოსადგურს არ შეეძლო დიდი დატვირთვით მუშაობა, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. გადაწყდა აჭარაში ძლიერი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. 1923 წლისათვს აწჰესის აგების გეგმა იყო შედგენილი, აჭარის ასსრ ეკონომიკურმა საბჭომ რაც იმავე წლის აპრილში დაამტკიცა.

სადგურის მშენებლობისთვის შეიქმნა მშენებლობის კომიტეტი ბათუმში. 1924 წლის 3 მაისს დაიწყო მშენებლობის ორგანიზაცია, ხოლო 15 აგვისტოს მშენებლობა. თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ სადგურს უნდა აემოძრავებინა აჭარის ფაბრიკა-ქარხნები.

აწჰესის პირველი პროექტი დაამტკიცა სსრკ საგეგმო კომისიის ელექტროტექნიკურმა საბჭომ 1924 წლის 3 ივნისს. სადგური უნდა ყოფილიყო 12 მეგავატი სიმძლავრის და მაშინდელი ფასებით 2 მილიონ შვიდასიათასი მანეთი უნდა უზრუნველეყოთ.

პროექტით, იქ სადაც ახლა საჰაერო აქვედუკი გადის, უნდა აგებულიყო 30 მეტრის სიმაღლის კაშხალი, 3,5 მილიონი კუბური მეტი წყლის ტევადობით. საჭირო გახდა გვირაბის გაჭრა, წყლისთვის მიმართულება უნდა შეეცვალათ, რომ კაშხალის ფუნდამენტის ამოღება ჩატარებულიყო.

ფუნდამენტისთვის ადგილის თხრის დროს გაირკვა, რომ აქ არ იყო მყარი ქანები. 1925 წლის დამდეგს მშენებლობა შეწყდა.

1925 წლის ზაფხულში მოხდა გეოლოგიური ვითარების შესწავლა და გაირკვა, რომ სამუშაოს გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. საცდელი გაბურღვისას წააწყდენ დიდ მიწისქვეშა მცოცავ ქვას.

დაიწყო მშენებლობა აწჰესის მეორე პროექტზე, რომელიც დამტკიცდა 1926 წლის სექტემბერში და იგი მშენებლობაზე 4 მილიონ 900 ათასი მანეთის დამატებას ითვალისწინებდა. 1927 წლისათვის უკვე გახარჯული იყო 2 მილიონზე მეტი.

1927 წლის 9 მარტს მარჯვენა გვირაბში ჭერი ჩამოინგრა და დაიღუპნენ მშენებლობის

უფროსის მოადგილე ი. კალაშნიკოვი, ინჟინერი ა. სტალნოი, მბურღავი ბ. ბურმისტენკო და ვაგონის გამცილებლები – მ. პოლინსკი, გ. ბასილია.

ისინი დასაფლავებული არიან სადგურის ზემოთ, გორაკზე... ამდენად არასწორია გავრცელებული ვერსია იმის შესახებ, თითქოს ინჟინერმა თავი მოიკლა ურთიერთ საპირისპირო გვრაბების აცდენისა და გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გამო.

სამუშაოთა გართულების გამო დაგეგმილი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომ შედგა ახალი ნუსხა, რომლითაც მშენებლობა 8 მილიონ 465 ათასი მანეთი ჯდებოდა. ეს ძვირად მიიჩნიეს სსრკ საგეგმო ორგანიზაციებში და გაიაფების მიზნით შედგა რიგით მესამე პროექტი, 7 მილიონ 800 ათასი მანეთის ღირებულების.

1928 წლიდან მშენებლობა დაექვემდებარა საქართველოს სსრ სმუ საბჭოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მშენებლობას 210 ცხენისძალიანი ელექტროსადგური ამარაგებდა, რომელიც ფუნქციონირებდა მახუნცეთის ჩანჩქერზე.

1929 წლის 7 იანვარს მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ერთერთი უდიდესი საბჭოთა მშენებელი პროფესორი ჰ. გრაფტიო, რომელმაც ახალი გათვლები გააკეთა და საჭირო გახდა კიდევ 7-8 მილიონის დამატება.

ჰ. გრაფტიოს ინიციატივით სამუშაოები შეჩერდა დამატებითი საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად. შედგა არსებითი ცვლილებების შემცველი პროექტი. გადაწყდა, აგებულიყო ახალი ყრუვარდნილი კაშხალი თავდაპირველი ადგილიდან 3 კილომეტრის დაშორებით სოფელ პირველ მაისში (მაშინ საღორეთი ერქვა), მდინარეს უნდა გაევლო სამკილომეტრიან გვირაბში, რომელსაც გაიყვანდნენ მარცხენა ნაპირზე, შემდეგ იგი გავიდოდა საჰაერო აქვედუკში, საიდანაც კლდეში გამოკვეთილი გვირაბით და წყალსაცავით მივიდოდა ტურბინამდე. ამით გაიზრდებოდა სადგურის სიმძლავრეც. მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილ იქნა 10 მილიონი მანეთი, ვადად დაითქვა 1932 წელი.

1931 წლის 1 აგვისტოს მშენებლობა განახლდა. უფროსად მოვლინებულ იქნა ცნობილი ქართველი ჰიდრომშენებლობის ინჟინერი გრიგოლ ქორიძე, მშენებლობის სამმართველო გადმოტანილ იქნა ბათუმიდან მახუნცეთში.

მშენებლობის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი პიროვნებანი მოსკოვიდან და თბილისიდან. 1932 წელს ეწვიენ მწერლები: ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ჩიქოვანი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი და სხვები.

მშენებლობაზე მუშახელით დახმარების ორგანიზება ევალებოდა ქედის რაიკომის ბიუროს. პირველი მაისის სასოფლო საბჭოს დაევალა მშენებლობაზე გამოეყო 70 კაცი, ქედის სასოფლო საბჭოს დაევალა 30 კაცის გამოყვანა, ზვარეს – 20, ცხმორისს – 30, მერისს – 30. მომდევნო თვეებში სასოფლო საბჭოებს დაევალათ შემოეღოთ გლეხების მოკლე ვადით (5-10 დღით) გამოყვანა მიწის სამუშაოებზე.

1933 წელს დაარსდა მრავალტირაჟიანი გაზეთი „აწესი", რომელიც ხუთ დღეში ერთხელ გამოდიოდა.

1933 წლის 13 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში საძირკველი ჩაეყარა საგენერატორო შენობას. მარცხენა გვირაბის გაჭრა (აქვედუკამდე 2360 მეტრ სიგრძეზე) დასრულდა წლის ბოლოს. მრგვალკვეთის წყალსადენის დიამეტრი 4,4 მეტრი, მოპირკეთების სისქე 0,25-0,50 მეტრი, შიგა ტორკრეტის შრის სისქე 3-6 სმ-ს შეადგენდა.

გვირაბს პირველსავე მოსახვევში უერთდება ვერტიკალური შახტი, რომლის საშუალებითაც მდინარე ხოხნის წყალი შედის დერივაციაში. მისი დანიშნულებაა მცირეწყლიანობის დროს სადგურისთვის დამატებითი წყლის მიწოდება. ყოველივე ეს – დაგეგმარება – დაპროექტება და აგება მსოფლიო ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაში უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.

მარჯვენა გვირაბის სიგრძე შესასვლელი პორტალიდან რეზერვუარის ღერძამდე 418

აქვედუკი

მეტრია, გვირაბის შიგა დიამეტრი 3,9 მეტრი. იგი გადის მაგარ კლდეში, კვარცის დიორიტებში, გვირაბის ბოლოს აგებულია გამთანაბრებელი რეზერვუარი, – შახტის შიგა დიამეტრი შეადგენს 12,5 მეტრს, სიმაღლე 28,5 მეტრს, შემაერთებელი დგარმილის დიამეტრია 4 მეტრი, სიმაღლე 9,2 მეტრი. გვირაბის ბოლოში დაწნევა შეადგენს 45 მეტრს.

მარცხენა და მარჯვენა გვირაბები შეერთებულია საჰაერო აკვედუკით, რომლის მშენებლობა დამთავრდა 1936 წლის 23 დეკემბერს. მისი სიგრძეა 113,6 მეტრი.

1934 წლის 20 აპრილისათვის მშენებლობაზე შტატით ირიცხებოდა 1153 მუშა-მოსამსახურე, 1935 წლის 1 მაისისთვის – 1700. ამ წელს მშენებლობას ეწვია გ. ტაბიძე და ის დაესწრო მდინარის გადაკეტვას, რასაც უძღვნა ლექსი „ოცნება აჭარისწყალთან".

ეს იყო ბედნიერი შემთხვევა, რამაც შვა გენიოსის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი.

განა, ვერ იგრძნო ძველმა ეშმაკმა,
ვერც ძველმა ღმერთმა იმ ელვის ძალით
თუ რა სისწრაფეს გამოღმა-გაღმა
ამოძრავებდა აჭარისწყალი.

ახმაურება მისი იმ ღამით
ათასი ქარის იყო ხმაური,
ძლიერი ქარი კოლხიდის შლამის,
მსუბუქი ქარი მახინჯაურის.

და აყრუებდა ტყეს ძალისძალად,
ვით უეცარი სიტკბო და ელდა,
მრგებელი ქარი ატეხილ ჭალათ
და მავნე ქარი ლაქაშის ველთა.

იყო თანაბარ აფრენა ქორის:
უახლოვდება კარებს თანდათან
გრიგალი ქარი ტრიალ სამგორის
ალერსის ქარი ჩვენს ლაზიკიდან.

თავაწყვეტილი ვეფხვი, რომელიც
ვერ იგრძნობს, რაა ჯაჭვი და რკალი,
ადიდებული, დაუდგრომელი
ეშურებოდა აჭარისწყალიც.

ხიდებს და სახლებს, მწყემსთა სადგურებს,
ტყეებს და ველებს, ადგილებს მზიანს,
მდინარე ანგრევს და ანადგურებს
ანგრევს ყველაფერს და მიაქვს, მიაქვს...

გამოწვეული დაბურულ ტყიდან
ინდუსტრიული ყიჟინით, სტვენით,
ის უცებ შედგა... დასაბამითგან
პირველად შედგა ბრაზით და წყენით.

შეხედეთ მიმქროლს სხვა ბედის ეტლით!
რა დააბრკოლებს, შეხვდება სამტროს!
შესაყენებლად ამართულ კედლით
შურს გადაეშვას და, აი ამ დროს –

თითქოს ვიღაცას სურს, რომ გადუდვას,
გიგანტიური ფოლადის ხმალი
და უგონობით ქანებში ხმალის
ტანით შეიჭრას აჭარისწყალი..

შეხედეთ: სისხლი, წყლული, იარა
ჰაერში როგორ იშლება ალის,
მაგრამ ეს შუქი სისხლი კი არა –
ცისარტყელაა ჰიდროცენტრალის.

იგი აშუქებს ქარსა და ნიავს...
აჭარისწყალის ელვარე ბედი
მას შემდეგ მიდის, მიდის და მიაქვს
ახალი დროის შარავანდედი!

სხვაგვარ ვარდის და იის საკნებად
გველიან წყალნი აჭარისანი,
გმირებს ეძახის თავშესაკრებლად
სოციალისტურ დღეთა მიზანი.

1934 წელს დასრულდა სამანქანე შენობის აგება. ძირითად ნაგებობათა დასრულების შემდეგ დაიწყო მოწყობილობის გაშვებითი გენერალური გამოცდა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

1937 წლის 6 თებერვალს წყალი გაუშვეს გვირაბში, 7 თებერვალს ამუშავდა ერთი აგრეგატი, 8 თებერვალს – მეორე, მშენებელთა საერთო კრებამ გადაწყვიტა ქვეყნისათვის პირველი დენი მიეცა ამ წლის 7 ნოემბრისათვის.

აგვსტოსთვის დასრულდა მახუნცეთი-ბათუმის მაღალი ძაბვის ელექტროხაზის მშენებლობა. აწჰესი დაუმთავრებელი სათავით და ერთი აგრეგატით შევიდა ექსპლოატაციაში 9 ოქტომბერს 19 საათსა და 30 წუთზე. ამ დღეს მან პირველი დენი მისცა ბათუმს. იმ დღიდან აჭარისწყალმა დინება დაიწყო მავთულებში. „აჭარისწყალი დაპყრობილია". – წერდა მაშინ პრესა.

ამის შემდეგ აწჰესი კიდევ 14 თვეს შენდებოდა და დასრულდა 1938 წლის დეკემბერში. სადგური მთლიანად ექსპლუატაციაში შევიდა 1940 წლის 8 ივნისს, – შენდებოდა 14 წელიწადზე მეტ ხანს. ამ ხნის მანძილზე 8-ჯერ შეიცვალა მშენებლობის გენერალური ნუსხა. მშენებლობა დაჯდა 87 მილიონი მანეთი, სიძვირე განპირობებული იყო სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო.

1941 წელს დამთავრდა 110 კილოვოლტი გადამცემი ხაზის მშენებლობა ბათუმი-სამტრედიის უბანზე და ამ წლის აპრილში აწჰესი საქართველოს ენერგოსისტემაში ჩაირთო.

სამართლიანობა მოითხოვს რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც მართავდნენ აწჰესის მშენებლობას წლების მანძილზე. აწჰესში გაიზარდნენ შესანიშნავი კადრები: აჭარის დამსახურებული ინჟინერი მ. მიქელაძე, ჰიდროსაბჭოს ინჟინერი ა. შერვაშიძე (რომელიც --- ტექნიკუმიდან მოვიდა მშენებლობაზე 1934 წელს), აჭარის დამსახურებული ინჟინერი ლ. მახარაძე,დამსახურებული ტექნიკოსები ვ. ხარაძე, გ. ნიკოლაიშვილი, მორიგე ინჟინერები შ. შარაბიძე, ო. კახიძე, ა. კახიძე, მემანქანეები: ა. სამნიძე, გ. ყენია, შ. ფარსენაძე, ე. ზაქარიაძე, სადგურის უფროსი ა. თავდგირიძე და სხვები.

ქედის ჰაიონი მეოხე მსოფლიო ომის ნლებში

ჯერ ვიფიქრე, ამ მონაკვეთისთვის სათაურად მეწოდებინა „ქედის რაიონი დიდი სამამულო ომის წლებში", მაგრამ ამ გამოთქმისადმი უკანასკნელი 20-28 წლის განმავლობაში ისეთი ანტიპატიური განწყობა ჩამოყალიბდა, რომ უარი ვთქვი, თუ საქართველო მაშინ იყო საბჭოთა კავშირის (გნებავთ რუსეთის) მიერ დაპყრობილი ქვეყანა, საქართველოსთვის ეს ომი ვერ ქნებოდა სამამულო.

სადავო გახდა ის საკითხიც, რომ ამ ომში მონაწილეობა საქართველოს მხრიდან იყო შეცდომა, რასაც შეუძლებელია დაეთანხმო, ჯერ ერთი დამპყრობლებს დაპყრობილი ყოველთვის გაჰყავდა ომებში, მათ შორის აგრესიულშიც (ამის მაგალითია ირანი და ოსმალეთი) და მეორეც, ვთქვათ ის 700000 ქართველი, რომელიც ამ ომში ჩაება, რუსეთის მიმართ მოწინააღმდეგე რომ გამხდარიყო, გამოვიდოდა რამე? მაშინ არც ინგლისი და აშშ უნდა ჩაბმულიყვნენ ომში.

საქმე იმაშია, რომ ის ომი იყო ფაშიზმის – კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ მიმართული და ყველა ნორმალურად მოაზროვნე ხალხს უნდა ჩაეთვალა საკუთარ ომად.

ჰიტლერი წიგნში „მაინ კამფი" წერდა, რომ დაპყრობილი საქართველო იქნებოდა იმ მეორეხარისხოვან ხალხთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ არმია, არ ეწევიან საკუთარ პოლიტიკას, არ აქვთ საკუთარი ეკონომიკა (ციტირებულია ს. ტაბაღიუას წიგნიდან „აჭარის მშრომელები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში" ბათუმი, 1974 წ., გვ. 12). ჰიტლერელთა-პოლიტიკურ გეგმებზე ამიერკავკასიის შესახებ არაერთი ვერსია არსებობს, მაგრამ მათი დედაარსი ერთია – დაპყრობა, დამონება, ექსპლუატაცია. (მ. კვესელავა „ასერგასის დღე").

ფაშისტური გერმანიის გეგმებში არასდროს ყოფილა ქართველებისათვის დამოუკიდებელობის მინიჭება და კეთილდღეობის მიღწევა. „ბავარიის ლუდის დაგემოვნება" თაობებს სწორად უნდა ავუხსნათ ამ ომის არსი. და არა ისე, თითქოს კარგი იქნებოდა, რომ გერმანიის შემადგენლობაში ვყოფილიყავით და ფუფუნებაში გვეცხოვრა. ასეთი მიდგომა მიუტევებელი შეცდომაა, რეალობის, თუ გნებავთ – ისტორიის ფალსიფიკაციაა.

დანდალოს თემში შინმოუსვლელთა სტენდზე არის წარწერა: „სხვის ომში მებრძოლს რატომ მეძახი, მე შენ გიცავდი ფაშიზმისაგანო." ჭკვიანური ნააზრევია ჩვენს წინაპართა ჭკვიანურ მოქმედებაზე. მართალია, ასე უნდა გვესმოდეს საქართველოდან გაწვეული 700000 ათასის მოქმედება, ასე უნდა გვესმოდეს იმ 700-ზე მეტი ქედელის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

შოკისმომგვრელი იყო ცნობა ომის დაწყების შესახებ. ცუდი ამბავი სწრაფად ვრცელდება და 22 ივნისს რადიოთი გადმოცემული შემზარავი ამბავი დღის პირველ ნახევარში გახდა ყველამ იცოდა. მითუმეტეს, საბჭოებში ყველგან იყო დამონტაჟებული რადიოწერტილები.

ქედის რაიონის სამხედრო კომისარიატში პირველ დღესვე 13 კაცმა ითხოვა ფრონტზე წასვლა, მათ შორის იყო 6 ქალი.

სულ სამამულო ომის პერიოდში აჭარიდან გაწვეული იყო 24036 კაცი.

როგორც ჩანს, გაწვევის ორგანიზება არ იყო იოლი და რაიონის ხელმძღვანელობამ

პირველი გასაწვევი კონტინგენტის შესრულება სოფელ აგარის ხარჯზე გადაწყვიტა. ამ სოფლიდან გაიწვიეს 81 კაცი, მათ შორის 43 დევაძის გვარისა, ხუსეინ დევაძის ოჯახიდან 4 ძმა – ზორბეგი, შუქრი, ჯემალი და უსუფი, (ოთხივე დაიღუპა). ხასან დევაძის ოჯახიდან 2 ძმა, ორივე დაიღუპა, ძმები მიხეილ და ხემიდ დევაძეები (ორივენი დაბრუნდნენ ცოცხალი). აქვე აღვნიშნავ, რომ 81 გაწვეულიდან მხოლოდ 7 დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

ქედელ წვეულთა საომარი მოქმედებების შესახებ მასალები არ არსებობს, თავის დროზე მათი დაძებნით არავის შეუწუხებია თავი, დღეს კი ძალიან ძნელი, შეიძლება ითქვას, დაუძლეველიცაა მათი შეგროვება. ამ მხრივ კარგი მასალებია თავმოყრილი 1996-2006 წლების რაიონულ გაზეთ „იმედში" (რედაქტორი თ. აბულაძე) და ამ თავში სწორედ მას დავეყრდნობი.

ქედაში 1945 წელს მოვიდა სამუშაოდ პედაგოგი ზინა ჩიტეიშვილი, რომელიც აბაშის რაიონის სოფელ მარანიდან იყო წარმოშობით. ეს ქალბატონი სტუდენტობიდან გაიწვიეს ფრონტზე. მაშინ განსაკუთრებით საფრთხიანი ზონა ყოფილა სვანეთი, აქ ახლოს იყო ფრონტი. საბჭოთა ჯარისკაცები პოსტზე იდგნენ და მორიგეობდნენ, რომ ვინმე არ შემოპაროდათ. ერთ-ერთი ასეთი მორიგეობის დროს ქალბატონ ზინას ფაშისტთა ჯაშუში შეუპყრია.

ლიტვაში, ლენინგრადის ბლოკადაში, კალინინგრადის ბრძოლებში მონაწილეობდა მემედ ბასილაძე, გეგელიძეებელმა სერგო ხალვაშმა ჯერ ირანში მყოფ საბჭოთა ჯარში დაჰყო საკმაოდ დიდხანს, ბოლოს იაპონიასთან ომშიც მიიღო მონაწილეობა. უფროსი ლეიტენანტი აბდულ (ალექსანდრე) გოგოლიშვილი მერისიდან ლენინგრადის ბრძოლებში იყო მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური, უსუფ ბეჟანიძე (ზენდიდიდან) დაიღუპა დონეცკის ოლქის სლავინიგორსკში, (სხვათა შორის მის საფლავს 1970 წელს მიაკვლია შვილმა, არსენ ბეჟანიძემ); არაერთმა მებრძოლმა ტყვეობა გამოიარა, მაგრამ გაქცევა შეძლო და კვლავ გააგრძელა ბრძოლა; ასეთი იყო შაქირ ცინცაძე (ჯალაბაშვილებიდან). ის ვორონეჟის ბრძოლებში ჩავარდა ტყვედ, საფრანგეთში შეძლო გაქცევა და მონაწილეობდა მაკიზართა მოძრაობაში ფრანგთა განმანთავისუფლებელ ომებში, მაკიზარებთან გამორჩეული მამაცობისათვის ღებულობდა საფრანგეთის სახელმწიფო პენსიას. ქედელი ეუბ ჩხეიძე ყირიმში ჩავარდნილა ტყვედ, მასაც მოუხერხებია გაქცევა და მონაწილეობდა უკრაინის ბრძოლებში. საბრძოლო გმირობის მაგალითი აჩვენა ქედელმა მუხამედ ნაკაშიძემ, ის და მისი მეგობრები ტყვიამფრქვევით ცეცხლით იცავდნენ სტრატეგიული მნიშვნელობის გზას. მორიგე თვითონ იყო და დანარჩენებს დაღლილებს ეძინათ. გზაზე 30 გერმანელი გამოჩნდა, მუხამედმა მარტომ ააკაკანა ტყვიამფრქვევი და როცა თავისიანები კარგად გამოფხიზლდნენ, მტერი უკვე გარბოდა. დახოცილებიც ბლომად დაეტოვებინათ.

აგარელმა მიხეილ დევაძემ და მისმა 36-მა თანამებრძოლმა ცხენებით დატვირთული ვაგონები ჩააცილეს ფინეთში. მტერი შეტევაზე გადმოვიდა და მეთაურმა 1200 მებრძოლთან ერთად მიხეილის ჯგუფიც ჩაბა ბრძოლაში. 1200-დან მხოლოდ 6 გადარჩენილა ცოცხალი, მათ შორის ერთი მიხეილი იყო.

ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

საინტერესოა დაჭრილთან მონახულების ფაქტებიც. დაჭრილი შვილის ოსმანისათვის ჩაუკითხავს ტუაფსეში გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მევლუდ კეკელიძეს, მაგრამ ორი საათით გაუსწრია ფრონტზე; ძმის ფეიზისათვის ჩაუკითხავს წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჯელილ ბერიძეს, ჰოსპიტალში ინახულა ძმა, დაუთი, კვაშტელმა ზექერია გათენაძემ და ა.შ.

ომში გაწვეულ 459 მეომრიდან, ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა ოჯახს. დანდალოს თემიდან დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა - 26, ზვარიდან - 37, მახუნცეთიდან - 71, ოქტომბრიდან - 41, მერისიდან - 45, პირველი მაისიდან - 81, ქედიდან - 71, ცხმორისიდან - 42, წონიარისდან - 17, დოლოგნიდან - 23, (წიგნი მარადიული ხსოვნისა, თბ., 1987). სიებს ამ თავის ბოლოში შემოგთავაზებთ

ომი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო და 1945 წლის 9 მაისს დასრულდა, მეტად მძიმე იყო და მოსახლეობას გამარჯვებისთვის უდიდესი სიძნელეების გადალახვა მოუხ-

და. გამარჯვების მისაღწევად სიფხიზლის გამოჩენა საჭირო იყო ყველგან, – მითუმეტეს სასაზღვრო რაიონებში. ამიტომ საპარაშუტო დესანტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები. ასე მოხდა ქედის რაიონშიც.

აღნიშნულ ფორმირებების სახელმწიფო უშიშრობის ორგანოებთან თანამშრომლობის საინტერესო ფაქტია მოთხრობილი წიგნში „ფარი საიმედო, მახვილი ბასრი", რომელიც გამოიცა 1987 წელს.

ფაქტი ეხება გერმანელთა აგენტებს სიმონ გოგიბერიძეს და ლეონტი პატარიძეს. გოგიბერიძე უჩამბაში დააკავეს, როცა უკვე თავი თურქეთში ეგონა. ეს მოხდა 1942 წლის 24 ივლისს. გერმანელმა მზვერავმა დუპლიცერმა, როცა მისთვის ცნობილი გახდა აგენტის ჩავარდნა, მეორე ჯაშუში შემოგზავნა, მეტსახელად „მურადი" – ლეონტი პატარიძე.

დილით ადრე, 1943 წლის 10 სექტემბერს, სოფელ დანდალოსთან, მზვერავის ბუნკერს ალყა შემოარტყეს, ჯაშუშმა სროლა დაიწყო.

– ისროლეთ მხოლოდ ჰაერში! – გასცა ბრძანება ჯგუფის უფროსმა, რადგან ჯაშუშის ცოცხლად შეპყრობა გადაწყვიტა.

ჯაშუში ისროდა, ტყვია-წამლის გათავების შემდეგ ის შეიპყრეს.

ფრონტზე გააფრთრებული ომი მიმდინარეობდა, ხოლო ზურგში თავდაუზოგავი შრომა სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გადასაყვანად.

1941 წლის ნოემბრის დადგენილებით, რომელიც საქ. კპ. აჭარის საოლქო კომიტეტმა გამოსცა, რაიონებს წინადადება მიეცათ, დროებით შეეწყვიტათ ვენახისა და ხეხილის ბაღების გაშენება, ყველა ნიადაგი უნდა გამოეყენებინათ სიმინდისა და ბოსტნეულის მოსაყვანად. ამ მიზნით დაიწყო ახალი ფართობების გამოყოფა, იზრდებოდა სიმინდისა და კარტოფილის ნათესები.

შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ მიუხედავად ომისა, იზრდებოდა რაიონის კოლმეურნეობების შემოსავალი, თუ 1940 წელს ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 2334149 მანეთს, 1941 წელს უმნიშვნელოდ შემცირდა 2277263-მდე, შემდეგ კი სულ იზრდებოდა, 1942 წელს შეადგინა 3791696, 1943 წელს - 8153524, 1944 წელს - 11117083, 1945 წელს - 13453938 მანეთი (ს. ტაბაღუას დასახ. წიგნი, გვ. 740).

ომის წლებში ქვეყნის ინტერესებისათვის მობილიზაცია ერთნაირად იგრძნობოდა მუშებში, გლეხებსა და ინტელიგენციაში. მდგომარეობა შეიცვალა სკოლებშიც, ყველა სხვა დისციპლინასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებას, საზღვრისპირა სოფლებში ეწყობოდა მეცადინეობები საზღვრის დამცველთა დასახმარებლად, ფრონტელთა ოჯახებს უმზადებდნენ შეშას, აწვდიდნენ მასალას, სურსათს და ა.შ.

ომის ინტერესებით იღვწოდნენ მაშინ სასოფლო კლუბებში და ბიბლიოთეკებში, მაშინ ქედაში მოღვაწეობდა შემდგომ ცნობილი პოეტი,რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში, რომელმაც 1943 წელს დაწერა ლექსი „სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე;" იგი იქცა სიმღერად და დიდ როლს ასრულებდა პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებაში.

ომის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუშაობას მშრომელთა აქტივობის ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ 1941 წელს ზამთრის დადგომამდე გაჩაღდა კომპანია ჯარისკაცებისათვის თბილი ნივთებისა და სურსათის შესაგროვებლად, საინტერესო ცნობებია გაბნეული ამ თემაზე ომის პერიოდის რაიონულ გაზეთში, რომელსაც „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" ერქვა.

1941 წელს ქედამ ფრონტზე გაგზავნა 3499 თბილი ტანსაცმელი, 92984 მანეთისა.

ხოლო 1942 წლის თებერვალში – 14665 კგ. თამბაქო, 2306 კგ. ვაშლი, 751 კგ კაკალი, 10957 მანეთი შეაგროვეს და სურსათ სანოვაგე მიაწოდეს ფრონტს რაიონის მუშამოსამსახურეებმა. ამავე დროს ფრონტზე გაგზავნეს დანდალოს სასოფლო საბჭომ 1000 კგ კარტოფილი, 1000 კგ. ლობიო, 280 კგ. კაკალი, კარაქი, ხილი, ცხმორისის კოლმეურნეობამ 538 კგ. კარტოფილი, 316 კგ. ლობიო, 527 კგ. ხილი, მერისის სასოფლო საბჭომ

967 კგ კარტოფილი, 347 კგ ლობიო, 637 კგ ხილი, 306 კგ. კაკალი და ა.შ.

1942 წლის თებერვალში 35594 მანეთისა.

ასეთი გზავნილები გრძელდებოდა ომის ბოლომდე. 1945 წლის იანვარში ჩატარდა დახმარების კვირეული და ქედიდან გაიგზავნა ლობიო 350 კგ, ნიგოზი 100 კგ, კარაქი 25 კგ, კარტოფილი 400 კგ, თამბაქო 150კგ.

მეტად საინტერესოა აღნიშნულ თემაზე მოგონება, რომელიც ჯელილ ბერიძისგან ჩავიწერე. 1943 წლის 30 დეკემბერს რაიკომის პირველი მდივანი კ. ლომაძე თათბირს ატარებდა. საღამოს 6 საათი იყო, სათათბირო დარბაზში პირველ მდივანთან შევიდა სამხედრო ოფიცერი და ყველას წინაშე მოახსენა, რომ დილით 3 ტონა კარტოფილი უნდა ყოფილიყო მზად ფრონტისათვის.

გარეთ თოვდა და თოვლის საფარი წუთიწუთზე მატულობდა.

– შევისვენოთ და მოვილაპარაკებთ, რა ვიღონოთო! – ითხოვეს თავმჯდომარეებმა, კარტოფილი მოწეული და ჩაბარებული ჰქონდათ, გამოსავალი ძნელი მისაგნები იყო.

– 40 ლიტრი ნავთი მომეცით და რაიონს მე გამოვიყვან მდგომარეობიდანო! – თქვა აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხუსია ბერიძემ, – მაშხალებს გავაკეთებ, საბადურებში გვაქვს დათესილი კარტოფილი, თოვლს ავამკლევთ, ნაკვეთს გავნიჩბავთ, და დილით აბუქეთის ხიდთან დავტვირთავთ მანქანასო.

ცენტრალური გზიდან საბადურებამდე 7 კილომეტრია. წარმოიდგინეთ ახლა ამხელა აღმართზე ერთ მეტრზე მეტი სიმაღლის თოვლის ამკვლევა და იქედან კარტოფილის ჩამოტანა.

დილით დავალება შესრულებული იყო.

ეს იყო ორგანიზებულობისა და პატრიოტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი.

ომის წლებში მოსახლეობა ფრონტელთა ოჯახებსაც ეხმარებოდა. 1942 წლის თებერვალში რაიონში ამ მიზნით 141 ოჯახს მიეცა 57156 მანეთი, 396 ოჯახს 11 ტონა სიმინდი, 3 ტონა კარტოფილი, 250 კგ. ლობიო, 53 ოჯახს 245 კუბური მეტრი შეშა.

ქედის რაიონის ბევრმა მშრომელმა დიდი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინა სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის" ასაგებ ფონდში თანხების შესატანად. რაიონის შესაბამისი შენატანი იყო 2 მილიონი მანეთი, ცალკე კოლმეურნეობების შენატანმა 700000 მიაღწია, მარტო ახალგაზრდობის შენატანი იყო 170 ათასი, დანდალოს მშრომელთა შენატანმა 66 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებული აღიარება მოჰყვა პირადად ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჯელილ ბერიძის წვლილს, რომელმაც ამ სატანკო კოლონის ასაგებად 50000 მანეთი შეიტანა, რისთვისაც ი.ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურა.: „გმადლობთ თქვენ, ამხანაგო ბერიძე, თქვენი მზრუნველობისათვის წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა". – მოსწერა მას სტალინმა. (გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 1943 წ. 18 აპრილი, №84)

ასეთი ფაქტები აჭარაში სულ 4 იყო.

განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოავლინა ქედის მოსახლეობამ ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველოს" ასაგებად თანხების შესაგროვებლად. ამ ფონდში მახუნცეთის საბჭოს მშრომელებმა შეიტანეს 140000 მანეთი, პირველმაისელებმა 43000, ქედის საბჭოდან 100000 ათასი, მერისის საბჭოდან 100000, დანდალოდან 101500, მარტო 1943 წლის იანვარში რაიონიდან შეტანილი იყო 930000 მანეთი.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ქედელების მონაწილეობა სხვა მიმართულებითაც. მაგალითად, 1941 წლის 22 ივნისიდან 1942 წლის 25 მაისამდე ქედელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 117376 მანეთი, გავრცელდა 148 ათასი მანეთის ობლიგაცია, ხელმოწერილ იქნა 1170000 მანეთის სამხედრო სესხზე, 1777830 მანეთის სესხი გაცემულა 1943 წლის 5 ივნისამდე.

რაც მთავარია, ომის მონაწილეები მთელი სიცოცხლის მანძილზე ითვლებოდნენ გმირობისა და პატრიოტიზმის მაგალითად. ხშირად აწყობდნენ შეხვედრებს და მუდ-

მივი პატივისცემით იყვნენ გარემოცული, ომში დაღუპულთა ხსოვნისათვის ყველა თემში აღმართულია მემორიალური სტენდები, რაიონის ცენტრში კი – შინმოუსვლელთა ობელისკი. ობელისკი ჰქონდა დანდალოს საშუალო სკოლასაც, გეგელიძეების სკოლის დირექტორს ილია ნიჟარაძის ინიციატივით მოწყობილი იყო შინმოუსვლელთა ხეივანი. ათეული წლებია წონიარისში დგას ტანკის მემორიალური ძეგლი, სადაც ყოველწლიურად ტარდება გამარჯვების დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები.

დროთა ვითარებამ და ისტორიის გაყალბების დაუოკებელმა მცდელობამ რამდენადმე გააფერმკრთალა შინმოუსვლელთა ხსოვნის სიმბოლიკები, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ უნდა უარვყოთ ის, რაშიც ჩვენი წინაპრების სულია განივთებული, მთავარია აღარასოდეს მოხდეს ომი!

ომში დაღუპულთა მემორიალი ქედის ცენტრში

შინმოსვლელთა სიები

დანდალოს თემი

1. აბულაძე უსუფ დურსუნის ძე – 1919-1942 წ.წ.
2. არძენაძე ახმედ ოსმანის ძე – 1917-1942 წ.წ.
3. არძენაძე ომერ ისმაილის ძე – 1917-1942 წ.წ.
4. არძენაძე ოსმან აბდულის ძე – 1917-1942 წ.წ.
5. არძენაძე ოსმან იუსუფის ძე – 1917-1942 წ.წ.
6. არძენაძე ჯელალ იუსუფის ძე – 1920 – უუ.დაკ.
7. ბალაძე ოსმან შაბანის ძე – 1916 – უუ. დაკ.
8. ბალაძე იუსუფ დურსუნის ძე – 1910 – 1942წ.წ
9. ბერიძე მეჯიდ სულეიმანის ძე – 1914-1941 წ.წ
10. ბერიძე ქაზიმ შაის ძე 1917 – უუ.დაკ.
11. ბერიძე რამიზ მეჯიდის ძე – 1920-1942 წ.წ.
12. ბერიძე ქაზიმ ხასანის ძე – 1918-1941წ.წ.
13. ბერიძე ხუსეინ ასლანის ძე –1918– უუ.დაკ.
14. ბერიძე ხუსეინ ხასანის ძე – 1923-1943 წ.წ.
15. ბერიძე ჯემალ ეუბის ძე 1920 – უუ.დაკ.
16. ბერიძე ჯემალ ხუსეინის ძე – 1912-1942 წ.წ.
17. ბოლქვაძე ისმაილ მევლუდის ძე – 1920 – უუ.დაკ.
18. ბოლქვაძე მემედ ისკენდერის ძე – 1920 – უუ.დაკ.
19. დიასამიძე სერვეთ სულეიმანის ძე – 1917 – უუ. დაკ.
20. ზაქარაძე ომერ დურსუნის ძე – 1920 – უუ.დაკ.
21. მახარაძე იროდი იოსების ძე – 1917-1942 წ.წ.
22. მჟავანაძე ახმედ ხასანის ძე – 1920 – უუ.დაკ.
23. ტაკიძე ნური ხუსეინის ძე – 1920 – უუ.დაკ.
24. ჩხუბაძე ფეიზულ ხულუსის ძე – 1917 – 1942 წ.წ.
25. ჩხუბაძე შირინ მამუდის ძე – 1919 – 1941წ.წ.
26. ჭანუყვაძე რესულ ლომანის ძე – 1918 – უუ. დაკ.

ზვარის თემი

1. აბაშიძე ყედირ ისმაილის ძე – 1913 -1942
2. ბერიძე მემედ ხასანის ძე – 1920-1944
3. ბერიძე მემედ ხასანის ძე – 1919-1941
4. ბერიძე რამიზ დაუთის ძე – 1911-1943
5. ბერიძე ხუსია ფელულის ძე – 1911-1942
6. ბოლქვაძე ნური ბექირის ძე – 1917-1943
7. გათენაძე მერდიალ ემინახმედის ძე – 1915-1941
8. გოგიტიძე მემედ ხასანის ძე – 1919-1942
9. გოგიტიძე შირინ ოსმანის ძე – 1920-1942
10. გორგილაძე მემედალი ხალილის ძე – 1920-1941
11. გორგილაძე რასიმ მახმუდის ძე – 1920-1941
12. დავითაძე ბექირ შირინის ძე – 1918-1944
13. დავითაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე – 1919 – უუ. დაკ.
14. დოლიძე დურსუნ – 1919 -1941

15. დავითაძე ფეიზულ შირინის ძე – 1919-1945
16. დიასამიძე მემედ ახმედის ძე – 1919-1941
17. კონცელიძე უსუფ ყემბერის ძე – 1917-1942
18. კონცელიძე ფელულ ისკენდერის ძე – 1913-1942
19. კონცელიძე შუქრი დურსუნის ძე – 1917-1941
20. კონცელიძე შუქრი მემედის ძე – 1919-1942
21. მახაჭაძე ემინახმედ ყაბიდის ძე – 1918-1941
22. მგზავრიძე ენვერ შაის ძე – უუ. დაკ
23. მგზავრიძე ისლამ მემედის ძე – უუ. დაკ
24. მგზავრიძე მამუდ ხაჯის ძე – 1920-1942
25. მგზავრიძე მევლუდ ახმედის ძე – 1918-1942
26. მგზავრიძე ყემბერ ესედის ძე – 1920-1942
27. მელაძე უშანგი ესტატეს ძე – 1916-1942
28. ნიჟარაძე ყებას ხასანის ძე – 1920-1942
29. სირაბიძე რიზალ ახმედის ძე – 1918-1942
30. შავიშვილი ახმედ სულეიმანის ძე – 1916-1942
31. შავიშვილი ოსმან ხულუსის ძე – 1920-1941
32. შავიშვილი უსუფ დურსუნის ძე – 1918-1941
33. შავიშვილი ხუსეინ სულეიმანის ძე – 1918-1941
34. ჩიკვაიძე ახმედ მევლუდის ძე – 1920-1942
35. ჩიკვაიძე სულეიმან შუქრის ძე – 1919-1942
36. ხალვაში დურაყ შამილის ძე – 1920-1941
37. ჯაბნიძე სულეიმან ხასანის ძე – 1919-1941

ზენდიდის თემი

1. აბაშიძე დაუთ ხასანის ძე – 1918 უ.უ. დაკ.
2. აბაშიძე მემედ ოსმანის ძე – 1918-1941 უ.უ. დაკ.
3. აბულაძე მურად ინუსის ძე – 1910-1942 უ.უ.დაკ.
4. ანანიძე მურად მემედის ძე – 1910-1941 უ.უ. დაკ.
5. ანანიძე სულეიმან ხასანის ძე – 1920-1942
6. ბასილაძე ადემ რიზმანის ძე – 1918 უ.უ. დაკ.
7. ბასილაძე უსუფ ხუსეინის ძე – 1911 -უ.უ.დაკ.
8. ბარამიძე ხუსეინ ხულუსის ძე – 1920-1941
9. ბეჟანიძე თემელ ხუსეინის ძე – 1916-1944
10. ბეჟანიძე უსუფ სულეიმანის ძე – 1918-1943
11. ბეჟანიძე შევქეთ ახმედის ძე – 1918 -უ.უ. დაკ.
12. ბერიძე ასლან ოსმანის ძე – 1920-1943 უ.უ. დაკ.
13. ბერიძე ედემ ისლამის ძე – 1919-1942 უ.უ. დაკ.
14. ბერიძე იაკობ თოფანის ძე – 1919-1941 უ.უ. დაკ.
15. ბერიძე ისლამ ხაჯის ძე – 1919-1941
16. ბერიძე ისმაილ მამუდის ძე – 1920-1943 უ.უ. დაკ.
17. ბერიძე ისმაილ სულეიმანის ძე – 1919 -უ.უ. დაკ.
18. ბერიძე სკენდერ სულეიმანის ძე – 1918-1941 უ.უ. დაკ.
19. ბერიძე უსუფ მემიშის ძე – 1911-1941 უ.უ. დაკ.
20. გათენაძე მემედ ისმაილის ძე – 1917-1941 უ.უ. დაკ.
21. გორშკოვი ივანე ნიკიფორეს ძე – 1942

22. გორგილაძე ნური უსუფის ძე – 1920-1941
23. გორგილაძე შუქრი აღაჯანის ძე – 1917-1941 უ.უ. დაკ.
24. გრუშინი ნიკოლოზ ივანეს ძე – 1941
25. დემირიანი ვართან გრიგოლის ძე – 1919 -უ.უ. დაკ.
26. დავითაძე მამუდ სულეიმანის ძე – 1919-1943
27. დიასამიძე ასლან ხასანის ძე – 1917-1942
28. დიასამიძე ბილალ მევლუდის ძე – 1919 -1941
29. დიასამიძე ისრაფილ ედემის ძე – 1917-1941
30. დიასამიძე მამუდ ხუსეინის ძე – 1919-1941
31. დიასამიძე მემედ სულეიმანის ძე – 1919-უ.უ. დაკ.
32. დიასამიძე მურად ისმაილის ძე – 1918-1942
33. დიასამიძე ოსმან სულეიმანის ძე – 1916-1943
34. დიასამიძე რამიზ მურადის ძე – 1919-1941
35. დიასამიძე სულეიმან ხუსეინის ძე – 1918-1944
36. დიასამიძე ღაბიდ შუქრის ძე – 1918-1941
37. დიასამიძე შუქრი ქამილის ძე – 1919-უ.უ. დაკ.
38. დიასამიძე ხულუს მევლუდის ძე – 1920-1943
39. დიასამიძე ჯემალ სულეიმანის ძე – 1920-1943
40. დუმბაძე ახმედ ოსმანის ძე – 1942 -უ.უ. დაკ.
41. ზადროჟნი ივან ალექსანდრეს ძე – 1918- უ.უ. დაკ.
42. თურმანიძე რასიმ რეჯების ძე – 1918-
43. კაკაბაძე შუქრი მემედის ძე – 1915- უ.უ. დაკ.
44. კონცელიძე ისმაილ უსუფის ძე – 1920-1941
45. ლომინაძე მამუდ ყავთანის ძე – 1916-1941 უ.უ. დაკ.
46. ლომინაძე ხასან ასლანის ძე – 1915-1942
47. მახარაძე ნური ხასანის ძე – 1918-1941 უ.უ. დაკ.
48. მიქელაძე ინუს სულეიმანის ძე – 1918-1944
49. მიქელაძე ხუსეინ ემინის ძე – 1920-1944 უ.უ. დაკ.
50. ნაკაშიძე მამუდ ომერის ძე – 1918-1941
51. ნაკაშიძე უსუფ ასლანის ძე – 1916-1941
52. ნაკაშიძე ქერემ ზექერიას ძე – 1911-1941
53. ნიკოპერიანი ბაგრატ ზურაბის ძე – 1918-უ.უ. დაკ.
54. პაპუნიძე იბრაიმ ისმაილის ძე – 1919-1941
55. პაპუნიძე ჯევდეთ სულეიმანის ძე – 1910-1943
56. პაპუნიძე ჯემალ თოფანის ძე – 1919-1942
57. სიხარულიძე შოთა იასონის ძე – 1917-1942
58. სურმანიძე ისმაილ რამიზის ძე – 1919-1941 უ.უ. დაკ.
59. სურმანიძე უსუფ ხუსეინის ძე – 1915-1941
60. სურმანიძე ქაზიმ მევლუდის ძე – 1918-1941
61. სურმანიძე ჯემალ ფელულის ძე – 1920-1945
62. ფარტენაძე მამუდ ხუსეინის ძე – 1918-უ.უ. დაკ.
63. ფარტენაძე რამიზ ხუსეინის ძე – 1919-1941
64. ფარტენაძე ქამილ ხუსეინის ძე – 1941 -უ.უ. დაკ.
65. ქობულაძე დურსუნ მუსას ძე – 1941
66. ქობულაძე ხუსეინ ალის ძე – 1900-უ.უ. დაკ.
67. შერვაშიძე ნაილ ოსმანის ძე – 1916-
68. ჩხეიძე ხუსია უსუფის ძე – 1917 -1942

69. ცინცაძე მემედ ისმაილის ძე – 1908-1941
70. ცინცაძე სულეიმან ხუსეინის ძე – 1921-1944
71. ცინცაძე ქამილ ხუსეინის ძე – 1920-1942
72. ცინცაძე შუქრი სულეიმანის ძე – 1918-1944
73. ძნელაძე მემედ ახმედის ძე – 1918-1941
74. ძნელაძე ჯივან მემედის ძე – 1918-1941
75. ხაბაზი აბდულ ემინის ძე – 1918 უ.უ. დაკ.

მერისის თემი

1. ბაჯელიძე მაირი კასიმის ძე – 1920 – უ.უ. დაკ.
2. დევაძე უსუფ ალიჯანის ძე – 1921-1942
3. დევაძე ქაზიმ ოსმანის ძე – 1920 – უ.უ. დაკ.
4. დევაძე ჯემალ რეჯების ძე – 1919-1942
5. დოლიძე ალი ყემბერის ძე – 1921 უ.უ. დაკ.
6. დოლიძე ნიაზ მემედის ძე – 1921-1941
7. დუმბაძე ალიოსმან მემედალის ძე – 1918 უ.უ. დაკ.
8. დუმბაძე ხედბიალი მემედალის ძე – 1920 - 1942
9. თურმანიძე აბდულ ოსმანის ძე – 1919-1942
10. თურმანიძე ახმედ უსუფის ძე – 1919 - 1941
11. თურმანიძე თევფიყ ალის ძე – 1921 - 1942
12. თურმანიძე იაყუფ სულეიმანის ძე – 1913 - 1942
13. თურმანიძე მემედ ოსმანის ძე – 1921 – უ.უ. დაკ.
14. თურმანიძე მოედინ ოსმანის ძე – 1918 - 1944
15. თურმანიძე ოსმან ხუსეინის ძე – 1920-1941
16. თურმანიძე სულეიმან ბილალის – 1922 უ.უ. დაკ.
17. თურმანიძე ქერემ – 1921-1943
18. თურმანიძე ყედირ დაუთის ძე – 1919 - 1941
19. თურმანიძე ხუსეინ აბდულის ძე – 1921 უ.უ. დაკ.
20. თურმანიძე ხუსეინ მურადის ძე – 1920 - 1942
21. თურმანიძე ჯელილ ხუსეინის ძე – 1919 - 1942
22. კაკაბაძე ალი ომერის ძე – 1919-1943
23. კაკაბაძე დავით კარლოს ძე – 1919 - 1943
24. კაკაბაძე სულეიმან აბდულის ძე – 1921-1943
25. კაკაბაძე ყებას ისმაილის ძე – 1917-1941
26. კაკაბაძე ჯივან ახმედის ძე – 1919-1943
27. ლამპარაძე ბილალ დურსუნის ძე – 1920-1941
28. ლამპარაძე მემედ მუხამედის ძე – 1921-1942
29. საკანდელიძე ალიოსმან ეუბის ძე – 1920 უ.უ. დაკ.
30. საკანდელიძე მამუდ ეუბის ძე – 1920 უ.უ. დაკ.
31. საკანდელიძე მირალი ყედირის ძე – 1921-1942
32. შარაძე ახმედ სულეიმანის ძე – 1922-1942
33. შარაძე ბექირ ხუსეინის ძე – 1921 - 1942
34. შარაძე ზექერია სეფერის ძე – 1920-1942 უ.უ. დაკ.
35. შარაძე სულეიმან ხუსეინის ძე – 1921-1942
36. შარაძე ქაზიმ ეუბის ძე – 1921-1942
37. შარაძე ხასან ოსმანის ძე – 1919- უ.უ. დაკ.

38. შარაძე ხასან სეფერის ძე – 1921-1942
39. წითელაძე ახმედ ესრეთალის ძე – 1920 უ.უ. დაკ.
40. წითელაძე რამიზ ესრეთალის ძე – 1922 უუ. დაკ.
41. წითელაძე უსუფ ისმაილის ძე – 1919-1942
42. ჯიჯავაძე ისმაილ ხესეინის ძე – 1921-1942
43. ჯიჯავაძე მემედ ხასანის ძე – 1918 უ.უ. დაკ.
44. ჯიჯავაძე ხუსეინ ხასანის ძე – 1921-1942
45. შარაძე უსუფ ეუბის ძე – 1918-1942

ოქტომბრის თემი

1. ასამბაძე ოსმან აბდულის ძე – 1918 - 1943
2. ასამბაძე ხასან ყარაღის ძე – 1916 უ.უ. დაკ.
3. ბასილაძე ხასან აბდულის ძე – 1919 - 1943
4. ბაჯელიძე მურთაზ ყემბერის ძე – 1914 - 1943
5. გოგიტიძე ასლან მევლუდის ძე – 1920 - 1942
6. გოგიტიძე მამუდ ასლანის ძე – 1917 - 1942
7. გოგიტიძე რიზალ თევფიყის ძე – 1911 - 1942
8. გოგიტიძე შუქრი მურადის ძე – 1922 - 1941
9. გოგიტიძე ხასან მურადის ძე – 1918 - 1943
10. გორგაძე ზექერია მემედის ძე – 1917 - უ.უ. დაკ.
11. გორგაძე მერდიალ ასლანის ძე – 1917 - 1943
12. გორგაძე მურთაზ ისმაილის ძე – 1917 - 1941
13. გორგაძე შუქრი მურადის ძე – 1922 - 1941
14. გორგაძე ჯემალ მურადის ძე – 1918 - 1941
15. დუმბაძე მერდიალ ასლანის ძე – 1917 - 1941
16. დუმბაძე მურად ოსმანის ძე – 1920 - 1941
17. დუმბაძე სულეიმან ოსმანის ძე – 1919 - 1943
18. დუმბაძე სულეიმან სადიყის ძე – 1917 - 1942
19. დუმბაძე შუქრი აბდულის ძე – 1917 - 1942
20. დუმბაძე ხუსეინ ასლანის ძე – 1920 - 1942
21. თურმანიძე მემედ ოსმანის ძე – 1919 - 1944
22. თურმანიძე მურად რემზის ძე – 1917 - 1944
23. თურმანიძე ფელულ ისკენდერის ძე – 1915 - 1942
24. კილაძე ჯემალ მემედის ძე – 1919 - 1943
25. მახარაძე ხასან ემინის ძე – 1921 - 1942
26. მახარაძე ხუსეინ ომერის ძე – 1918 უ.უ. დაკ.
27. ნაკაშიძე მერდიალ ომერის ძე – 1916 უ.უ. დაკ.
28. ნაკაშიძე უსუფ ომერის ძე – 1917 უ.უ. დაკ.
29. ქათამაძე მემედ ხასანის ძე – 1918 - 1943
30. შერვაშიძე იბრაიმ ნურის ძე – 1917 უ.უ. დაკ.
31. შერვაშიძე ხასან ნურის ძე – 1920 - 1941
32. შერვაშიძე სოლაღა ხულუსის ძე – 1921 - 1942
33. შერვაშიძე უსუფ იზეთის ძე – 1920 - 1943
34. შერვაშიძე ქამილ ოსმანის ძე – 1941
35. შერვაშიძე უსუფ ესედის ძე – 1918 - 1941
36. შერვაშიძე ხალით მურადის ძე – 1919 - 1943

37. ჩხიკვაძე დაუთ ახმედის ძე – 1918 - 1941
38. ჩხიკვაძე უსუფ ახმედის ძე – 1917 - 1941
39. ჩხიკვაძე რეჯებ სულეიმანის ძე – 1918 - 1941
40. ჩხიკვაძე უსუფ მემედის ძე – 1920 - 1941
41. ჯიჯავაძე სულეიმან მემედის ძე – 1920 - 1941

პირველი მაისის თემი

სოფელ აგარაში მცხოვრებმა ხუსეინ და უმიან დევაძეებმა ხუთი ვაჟკაცი გაუზარდეს სამშობლოს: შუქრი დევაძე – ლეიტენანტი, ჯემალ დევაძე – უმცროსი ლეიტენანტი, ზორბეგ და აბას დევაძეები რიგითები. ოთხივე გმირულად დაიღუპა. ოთხი ძმიდან მხოლოდ ჯემალს დარჩა ერთი შვილი. მეხუთე ვაჟი შვიდი წლის იყო, ომი რომ დაიწყო მან 2006 წწლამდე იცოცხლა. ომის დაწყების წინ ხუსეინ დევაძე ცხოვრობდა ქედის რაიონის სოფელ აგარაშიც და ქ. ბათუმში ლერმონტოვის №37-ში., შუქრი და ჯემალი ომში ქედიდან გაიწვიეს, ზორბეგი და აბასი ქ. ბათუმიდან. მშობლები გადაჰყვნენ შვილების დარდს.



1. გოგუაძე მევლუდ თამაზის ძე – 1924
2. დევაძე შუქრი ხუსეინის ძე – ლეიტ. 1915 - 1944
3. დევაძე ჯემალ ხუსეინის ძე – უმც. ლეიტ 1915 - 1942
4. დევაძე ზორბეგ ხუსეინის ძე – 1917 - 1943
5. დევაძე აბას ხუსეინის ძე – 1919 - 1942
6. დევაძე აბდულ ხუსეინის ძე – 1910 - 1942
7. დევაძე ალიოსმან მემედჯანის ძე – 1914 - 1942
8. დევაძე ხუსეინ მემედჯანის ძე – 1912 - 1942
9. დევაძე ასლან სულეიმანის ძე – 1942
10. დევაძე ბილალ ემინახმედის ძე – 19 უ.უ. დაკ.
11. დევაძე ბილალ აბდულის ძე – 1910 - 1942
12. დევაძე დაუთ აბდულის ძე – 1920 - 1941
13. დევაძე დურსუნ თევრათის ძე – 1919 - 1942
14. დევაძე იაყუფ რამიზის ძე – 1919 - 1943
15. დევაძე ისლამ აბდულის ძე – 1914 - 1942
16. დევაძე მემედ ოსმანის ძე – 1914 - 1942
17. დევაძე მემედ ხასანის ძე – 1920 - 1943
18. დევაძე მერდიალ ხალითის ძე – 1918 - 1942 უ.უ. დაკ.

19. დევაძე ომერ ახმედის ძე – 1918 -1942
20. დევაძე ომერ სულეიმანის ძე – 1918 - 1941
21. დევაძე ოსმან მამუდის ძე – 1920 - 1942 უ.უ. დაკ.
22. დევაძე ოსმან სულეიმანის ძე – 1919 - 1942
23. დევაძე რასიმ აბდულის ძე – 1919 - 1942
24. დევაძე რიზმან ხასანის ძე – 1918 - 1942
25. დევაძე სულეიმან აბდულის ძე – 1913 - 1942 უ.უ. დაკ.
26. დევაძე სულეიმან მემედის ძე – 1912 - 1942
27. დევაძე სულეიმან ქამილის ძე – 1915 - 1942
28. დევაძე უსუფ რამიზის ძე – 1920 - 1942
29. დევაძე უსუფ ხასანის ძე – 1916 - 1942
30. დევაძე უსუფ ხუსეინის ძე – 1920 - 1942
31. დევაძე შააბაზ ემინახმედის ძე – 1917 - 1941 უ.უ. დაკ.
32. დევაძე ხასან მევლუდის ძე – 1919 - 1942
33. დევაძე ხასან მუსტაფის ძე – 1918 - 1942
34. დევაძე ხელილ სულეიმანის ძე – 1914 - 1942
35. დევაძე ხელილ ხალითის ძე – 1911 - 1942
36. დევაძე ხემიდ რესულის ძე – 1912 - 1942 უ.უ. დაკ.
37. დევაძე ხულუს ისლამის ძე – 1920 - 1942
38. დევაძე ხუსეინ ახმედის ძე – 1918 - 1942
39. დევაძე ჯემალ ომერისძე – 1920-1942
40. დევაძე ჯემალ რეჯების ძე – 1919-1942 უ.უ.დაკ.
41. დევაძე ჰარუნ ხალითის ძე – 1912 - 1942
42. დევაძე ჰაჯიუსუფ ახმედის ძე – 1913 - 1942
43. დევაძე შაღბან
44. დევაძე მეჯიდ
45. თებიძე ახმედ ხუსეინის ძე – 1912 - 1942 უ.უ.დაკ.
46. თებიძე დურსუნ ახმედის ძე – 1941 უ.უ. დაკ.
47. თებიძე დურსუნ ხაჯის ძე – 1919 - 1942
48. თებიძე ემინ მემედ ხასანის ძე – 1920 - 1942
49. თებიძე მემედ ხასანის ძე – 1919 - 1942 უ.უ.დაკ
50. თებიძე მემედ ხუსეინის ძე – 1912 - 1941
51. თებიძე შუქრი მამუდის ძე – 1922 - 1942 უ.უ. დაკ.
52. მახარაძე ოსმან ალის ძე – 1919 - 1942
53. მახარაძე შაბან ბარათალის ძე – 1918 - 1942
54. მახარაძე ხასან ალის ძე – 1918 - 1942
55. მახარაძე ხასან ხემიდის ძე – 1918 - 1942
56. მახარაძე ხემიდ იბრაიმის ძე – 1918 - უ.უ.დაკ.
57. მახარაძე ხემიდ შუქრის ძე – 1919 - 1942
58. სალაძე გულადი ახმედის ძე – 1918 - 1941
59. სალაძე დურსუნ ახმედის ძე – 1942
60. სალაძე ემინ ახმედის ძე – 1918 - 1941
61. სალაძე ქამილ გულახმედის – ძე - 1942
62. სალაძე ქემალ სულეიმანის ძე – 1914 - 1942 უ.უ. დაკ
63. სამნიძე რასიმ ისმაილის ძე – 1917 - 1942
64. სამნიძე ფეიზულ უსუფის ძე – 1918 - 1941 უ.უ. დაკ.
65. სამნიძე შუქრი სულეიმანის – ძე - 1942 უ.უ.დაკ.

66. სურმანიძე დაუთ ემინის ძე – 1918 - 1942 უ.უ. დაკ.
67. სურმანიძე დურსუნ ყემბერის ძე – 1912 - 1942 უ.უ. დაკ.
68. სურმანიძე უსუფ ხუსეინის ძე – 1908 - 1941 უ.უ.დაკ.
69. სურმანიძე ხუსეინ ოსმანის ძე – 1909 - 1941 უ.უ.დაკ.
70. ფარტენაძე დაუთ სეფერის ძე – 1918 - 1942 უ.უ.დაკ.
71. ფარტენაძე თემელ ქამილის ძე – 1918 - 1942
72. ფარტენაძე მამუდ ხემიდის ძე – 1918 - 1942
73. ფარტენაძე მემედ მევლუდის ძე – 1920 - 1942
74. ფარტენაძე მემედ ხუსეინის ძე – 1919 - 1941
75. ფარტენაძე რამიზ რამიზის ძე – 1912 - 1941
76. ფარტენაძე ხუსეინ ბარათალის ძე – 1918 - 1942
77. ფარტენაძე ხუსეინ მემედის ძე – 1918 - 1941 უ.უ. დაკ.
78. ქადიძე უსუფ ისმაილის ძე – 1910 - 1942
79. ქადიძე შუქრი მევლუდის ძე – 1919 - 1942 უ.უ. დაკ.
80. ყადიძე ჯემალ შუქრის ძე – 1919 - 1942
81. წითელაძე რამიზ ქაზიმის ძე – 1918 - 1942

ცხმორისის თემი

1. ანანიძე ხასან ოსმანის ძე – უფროსი ლეიტენანტი 1913 - 1941, ომის დაწყებამდე მუშაობდა ქალაქ ბათუმის არქიტექტორად, ფრონტზე მძიმედ დაიჭრა, მისმა უფროსმა ძმამ დურსუნ ანანიძემ მძიმედ დაჭრილი ხასანი ფრონტის ხაზიდან ცხმორისში ჩამოიყვანა, სადაც მალე გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფელ ცხმორისში.
2. ანანიძე უსუფ ახმედის ძე – 1913 - 1943 უ.უ. დაკ.
3. ბერიძე თერმიზ ხასანის ძე – 1919 - 1943 უ.უ.დაკ.
4. ბერიძე დურსუნ აბდულის ძე – 1919 - 1941
5. ბერიძე ხასან მურადის ძე – 1919 - 1941 უ.უ. დაკ.
6. გოგიტიძე ისმაილ სეფერის ძე – 1920 უ.უ. დაკ.
7. ვასაძე აღალ მემედის ძე – 1920 -1941
8. ირემაძე დურსუნ რესულის ძე – 1919 - 1941
9. მამუჭაძე ჯემალ სულეიმანის ძე – 1918 - 1941
10. მიქელაძე დურსუნ ხელილის ძე – 1919 უ.უ. დაკ.
11. მიქელაძე ისმაილ მემედის ძე – 1920 - 1941 უ.უ. დაკ.
12. ქათამაძე რეჯებ რესულის ძე – 1919 - 1941
13. ქარცივაძე მამუდ დურსუნის ძე – 1918 - 1941
14. ბერიძე არიფ მევლუდის ძე – 1921 - 1942 უ.უ. დაკ.
15. ბოლქვაძე ისმაილ ალის ძე – 1918 - 1941
16. ბოლქვაძე ხასან მერჯანის ძე – 1920 - 1941
17. ბოლქვაძე ხუსეინ ოსმანის ძე – 1918 - 1941
18. გეგიძე მუსტაფ მერჯანის ძე – 1919 - 1941
19. დიასამიძე ფეიზულ მუხამედის ძე – 1920 - 1941
20. ნაკაშიძე ისმაილ ყედირის ძე – 1920 - 1941
21. ნაკაშიძე ხასან მუხამედის ძე – 1920 - 1941
22. მახარაძე მუხამედ მერჯანის ძე – 1920 - 1942
23. ზოიძე ხუსეინ რეჯების ძე – 1918 - 1943
24. შანიძე მუხამედ მემედის ძე – 1917 - 1941
25. ბოლქვაძე ისკენდერ დურსუნის ძე – 1920 უ.უ. დაკ.

26. ბოლქვაძე ნური ბექირის ძე - 1917 უ.უ. დაკ.
27. ბოლქვაძე ხემიდ ჯანის ძე – 1918 - 1941
28. დავითაძე ისმაილ ალის ძე – 1910 - 1943
29. ნაკაშიძე ფეიზულ ოსმანის ძე - 1917 - უ.უ. დაკ.
30. ბოლქვაძე ხასან სულეიმანის ძე – 1918 - უ.უ. დაკ.
31. ბალაძე ნური მერჯანის ძე 1920 - 1941
32. დიასამიძე ისმაილ უზეირის ძე – 1917 - 1942
33. კეკელიძე ისაკ შაღბანის ძე – 1914 - 1942
34. კეკელიძე ოსმან მევლუდის ძე – 1919 - 1944
35. ნაკაშიძე დურსუნ თევფიყის ძე – 1918 - უ.უ. დაკ.
36. სანიკიძე ნური ხაჯის ძე – 1910 - 1941
37. სანიკიძე ხასან შაიალის ძე – 1909 - 1941
38. სირაბიძე ზექერია შუქრის ძე – 1919 - 1941
39. ხალვაში სელიმ რეჯების ძე – 1919
40 ბერიძე ხასან ოსმანის ძე – 1913-1941
41. თავდგირიძე დურსუნ მევლუდის ძე – 1920-1942
42. თავდგირიძე სერველ მევლუდის ძე – 1921- 1943

წონიარისის თემი

1. ბარამიძე შაქირ მემედის ძე – 1919 - 1943
2. ბარამიძე შუქრი მამუდის ძე – 1919 - 1943
3. ბერიძე აბდულ ფერათის ძე – 1920 - 1942

სოფელი წონიარისი. ტანკის მემორიალი. დაიდგა 1975 წ. მაისში

4. ბერიძე აბდულ მურადის ძე – 1918 - 1942
5. ბერიძე ახმედ სულეიმანის ძე – 1920 - 1942
6. ბერიძე მერდიალ მემედის ძე – 1919 - 1941
7. ბერიძე დაუთ ყედირის ძე – 1921 - 1941
8. ბერიძე მევლუდ მერჯანის ძე – 1922 - 1941
9. ბერიძე მემედ აბდულის ძე – 1919 - 1943
10. ბერიძე მურად მერჯანის ძე – 1918 უ.უ. დაკ.

11. ბერიძე რამიზ ყედირის ძე – 1919 - 1944
12. ბერიძე ფეიზ დაუთის ძე – 1918 - 1943
13. დიასამიძე ოსმან რეჯების ძე – 1920 - 1944
14. დიასამიძე ხასან მემედის ძე – 1921 - 1945
15. ბოლქვაძე რასიმ მერჯანის ძე – 1918 - 1945
16. სამველიძე შუქრი არიფის ძე – 1918 - 1942
17. ხალვაში დურალ მემედის ძე – 1919 - 1942

მახუნცეთის თემი

1. ბალაძე აზიზ იაყუფის ძე – 1918 - უ.უ. დაკ.
2. ბალაძე რესულ იაყუფის ძე – 1920 უ.უ.დაკ.
3. ბარანოვი სიმონ საველის ძე – 1915 - 1943
4. ბარამიძე შირინ მემედის ძე – 1942 უ.უ. დაკ
5. ბასილაძე დურსუნ უსუფის ძე – 1909 უ.უ. დაკ.
6. ბეჟანიძე დურსუნ სულეიმანის ძე – 1919 უ.უ. დაკ.
7. ბეჟანიძე ყედირ ხუსეინის ძე – 1909 - 1941
8. გოიკო გრიგოლ ფილიპეს ძე – 1942
9. ბოლქვაძე მემედ ემინის ძე – 1918 - 1943
10. გვარიშვილი ზექერია შევქეთის ძე – 1912 - უ.უ. დაკ.
11. გვარიშვილი ოსმან შევქეთის ძე – 1917 - უ.უ. დაკ.
12. გოგიტიძე ოსმან ეუფის ძე – 1912 - 1941 უ.უ. დაკ.
13. გოგიტიძე ახმედ დურსუნის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
14. გოგიტიძე ისრაფილ აჰმედის ძე – 1911 - უ.უ. დაკ.
15. გოგიტიძე შირინ აბდულის ძე – 1915 - 1943
16. გომაგაროვი ივანე არტემის ძე – 1943
17. დოლიძე იაკა ისიდორეს ძე – 1914 - 1942
18. დოლიძე იონა იოსების ძე – 1945
19. დუმბაძე ხუსეინ მემედის ძე – 1917 - უ.უ. დაკ.
20. ვარშანიძე აბდულ სულეიმანის ძე – 1919 უ.უ. დაკ.
21. ვარშანიძე ბეჟან სეიდის ძე – 1945 უ.უ. დაკ.
22. ვარშანიძე იბრაჰიმ ხასანის ძე – 1910 უ.უ. დაკ.
23. ვარშანიძე სულეიმან რასიმის ძე – 1913 უ.უ. დაკ.
24. ვარშანიძე ხუსეინ ალის ძე – 1919 უ.უ. დაკ.
25. ვასილჩენკო ივანე გორდის ძე - 1944
26. ვერძაძე მემედ შაქირის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
27. ვერძაძე მუზაფერ ქაზიმის ძე – 1918 - უ.უ. დაკ.
28. ვერძაძე ოსმან ხასანის ძე – 1922 - 1941
29. ვერძაძე ხუსეინ მოედინის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
30. ვერძაძე ჰარუნ მამუდის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
31. ვოლკოვი ანდრია ათანასეს ძე - 1942
32. ზაქარიაძე ზურაბ ახმედის ძე – 1915 - 1941 წ
33. თავდგირიძე მემედ სერდალის ძე – 1910 - უ.უ. დაკ.
34. იანდუკი მიხეილ ვლადიმერის ძე – 1941
35. ირემაძე დურსუნ მუსტაფის ძე – 1920 - უ.უ. დაკ.
36. ირემაძე სულეიმან ოსმანის ძე – 1919 - უ.უ. დაკ.
37. ირემაძე ხასან იდრისის ძე – 1919 - უ.უ. დაკ.

38. კარტაშევი დიმიტრი მოსეს ძე – 1945
39. კარჩევნევი კარი ვასილის ძე – 1944
40. კახიძე ხუსეინ შუქრის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
41. კახიძე შუქრი ხუსეინის ძე – 1919 - 1941
42. კახიძე ჯემალ ხუსეინის ძე – 1919 - 1943 უ.უ. დაკ
43. კობალაძე დურსუნ მემედის ძე – 1916 - უ.უ. დაკ.
44. კობალაძე რესულ ოსმანის ძე – 1918 - 1942
45. კობალაძე ხასან ოსმანის ძე – 1916 - უ.უ. დაკ.
46. კობალაძე ხუსეინ მეხსუდის ძე – 1918 - 1942
47. კოვალიოვი ივანე დენისის ძე - 1942
48. კურცხალიძე რამიზ ყასუმის ძე – 1912 - უ.უ. დაკ.
49. კუტუზოვი ნიკოლოზ გრიგოლის ძე – 1904 - 1944
50. ლირაკონი სიმონ პროკოფის ძე – 1910 - უ.უ. დაკ.
51. მალჩანოვი ივანე ეფიმეს ძე - 1943
52. მიხაილენკო ნიკოლოზ ივანეს ძე - 1943
53. ნინიძე ხასან მემედის ძე - 1911 უ.უ. დაკ.
54. სტიმალუნოვი ვლადიმერ ივანეს ძე – 1912 - უ.უ. დაკ.
55. ქობულაძე დურსუნ მუსას ძე – 1910 - უ.უ. დაკ.
56. ღოღობერიძე ბინალ აბდულის ძე – 1915 - უ.უ. დაკ
57. ღოღობერიძე ისრაფილ აბდულის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
58. ღოღობერიძე ახმედ მემედის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
59. ღოღობერიძე დურსუნ აბდულის ძე – 1917 - უ.უ. დაკ.
60. ღოღობერიძე მემედ ახმედის ძე – 1920 - უ.უ. დაკ.
61. ღოღობერიძე საიდ ოსმანის ძე – 1917 - უ.უ. დაკ.
62. ყარამემედოღლი დაუთ ახმედის ძე – 1918
63. ჩანტლაძე მიხეილ სარბიონის ძე – 1900 - 1942
64. ჩიტირევი გრიგოლ მიხეილის ძე - 1942
65. შოთაძე მემედ ისმაილის ძე – 1911 - 1941
66. ცარიკოვსკი სტეფანე თედორეს ძე - 1942
67. ხაბაძე რამიზ მემედის ძე – 1914 - უ.უ. დაკ.
68. ხაბაძე რამიზ ოსმანის ძე – 1918 - უ.უ. დაკ.
69. ღოღაძე ბილალი ისრაფილის ძე
70. თურმანიძე ყებას აბულის ძე – 1919 უ.უ. დაკ.
71. თურმანიძე ქერიმ ხასანის ძე – 1922-1945

დოლოგანი

1. ბედინაძე იბრაიმ ჰარუნის ძე – 1915 - უ.უ. დაკ.
2. ბედინაძე ისმაილ ხუსეინის ძე – 1902- 1943 უ.უ. დაკ.
3. ბედინაძე რემზი ახმედის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
4. გოგიძე ბილალი აბდულის ძე – 1913 - 1941
5. გოგიძე ისრაფილ აბდულის ძე – 1913 - 1941
6. თებიძე მურად ისმაილის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
7. კოჩაძე ბექირ ასლანის ძე – 1904 - უ.უ. დაკ.
8. კოჩაძე რესულ მევლუდის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
9. ლორთქიფანიძე რეჯებ სულეიმანის ძე – 1924 - 1943 უ.უ. დაკ.
10. მიქელაძე იუნუს სულეიმანის ძე – 1914 - უ.უ. დაკ.

11. ოსანაძე ომერ ხუსეინის ძე – 1911 - უ.უ. დაკ.
12. საფარიძე მემედ ოსმანის ძე – 1917 უ.უ. დაკ.
13. საფარიძე დურსუნ მევლუდის ძე - 1910 უ.უ. დაკ.
14. ჯინჭარაძე ახმედ მემედის ძე - 1910 უ.უ. დაკ.
15. ჯინჭარაძე ახმედ ოსმანის ძე – 1910 - 1941
16. ჯინჭარაძე იბრაიმ ასლანის ძე – 1914 - 1941
17. ჯინჭარაძე მემედ სულეიმანის ძე – 1914 - უ.უ. დაკ.
18. ჯინჭარაძე მემედ ხასანის ძე – 1914
19. ჯინჭარაძე მუხამედ სულეიმანის ძე – 1916 - უ.უ. დაკ.
20. ჯინჭარაზე ქაზიმ სულეიმანის ძე – 1914 - უ.უ. დაკ.
21. ჯინჭარაძე ხასან ომერის ძე – 1919 - უ.უ. დაკ.
22. ჯინჭარაძე ხუსეინ ხასანის ძე – 1913 - უ.უ. დაკ.
23. ჯაფარიძე იბრაიმ ალის ძე – 1913

ზურგში გმირული შრომისათვის სახელმწიფომ ბევრი პიროვნების ღვაწლი დააფასა – და დააჯილდოვა კიდეც.

1944 წლის 7 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვდა ზოიძე ემინ იუნუსის ძე, ქედის რაიონის კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ" თავმჯდომარე; მედლით „შრომის მამაცობისათვის" ბერიძე ხასან ყედირის ძე, ქედის რაიონის საბჭოთა აჭარის „10 წლისთავის" სახელობის კოლმეურნეობის თვმჯდომარე; დევაძე დურსუნ შაქირის ძე, ქედის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი; თურმანიძე ფატყუმე სულეიმანის ასული, ქედის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მერგოლური.

1941-1945 წლებში შრომითი მამაცობისათვის დასაჯილდოებლად წარადგინეს 486 მოწინავე მშრომელი, კოლმეურნეები, პედაგოგები და მუშა-მოსამსახურეები. ქედის რაიონიდან დიდ სამამულო ომში გაწვეული იყო 700-ზე მეტი ახალგაზრდა, მათგან მშობლიურ კუთხეს არ დაბრუნებია 459 მებრძოლი, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის დაცვისათვის გმირულად დაიღუპნენ. მათი სახელები უკვდავია აწ და მარადის.

პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა ლექსში, „უკვდავება," აამეტყველა ჩვენგან ომში დაღუპული გმირები.

არ დამიდარდო, დედაო,
შენთვის მღეროდა პოეტი,
შენ მაპატიე, დედაო,
დავეცი, ვეღარ მოვედი.

თეთრ მაისებზე გამოდი,
დალოცე ჩემი მიზანი,
დე, საქართველომ იმღეროს,
იმღეროს ჩემი ზიარიც.

სიკვდილი თვითონ ომია,
სულ მინდა სიკვდილს ვედაო,
მაინც მელოდე, მშობელო,
არ დამიდარდო დედაო!

დაადნა ჩამქრალ ჭრილობას
ჩემი პერანგის ნახევი,
თუ ცოცხალია სამშობლო,
იცოცხლებს ჩემი სახელიც.

სადღაც კარპატებს მივუწექ,
გადავიხურე ბელტები.
ტოლები ჭაღარდებიან?
დედავ, მე რად არ ვბერდები!

იგულეთ ჩემი ღიმილი
ყველა მაისის ღიმილთან,
ჩემთვისაც დადგით სუფრაზე
ჯამი ავსილი ღვინითა.

არ დამიდარდო, დედაო,
წინდა მიქსოვე საზამთროდ
და იმ ჩემს ერთას ჩააცვი,
ჩემზე ცრემლით რომ გაზარდე!

ის ახლა ჩემზე დიდია,
შვილზე უმცროსი მამა ვარ,
უთხარ, – რისთვისაც მე მომკლეს,
უყვარდეს უფრო თამამად.

ასე უსმენდნენ დედები
დაცემულ შვილებს – მეომრებს,
და იმათ ჩურჩულს გუგუნით
მიწა და ცა იმეორებს.

არ დავიდარდოთ, ვამაგროთ
მათი ამაყი სულები,
გვეცნოს დედების თვალებში
დარდები დანისლულები.

მუდამ სჭირიათ სითბო და
ნუგეში შვილდაკარგულებს,
ბედნიერება პურივით
ყველას თავისი ვარგუნოთ!

დავლოცოთ დაცემულები,
დღე დაგვიტოვეს მზიანი,
ვიცოდეთ, ეს სიხარული
არის იმათი ზიარი.

ცხმორისელმა პოეტმა ალექსანდრე ხუსეინის ძე ანანიძემ მებრძოლ ვაჟკაცებს უძღვნა ლექსი

ცხრა ძმის წყარო

„ვინ იცის რამდენი ოჯახია ჩვენს ქვეყანაში, სადაც ცხრა ვაჟკაცი სამშობლოს იცავდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ლოდინს წუთები არ დაელევა. გმირებს თავიანთ ოჯახებში ელოდებიან, მაგრამ..."

მოჩუხჩუხებს ცხრა ძმის წყარო,
არ მენახა ამის მეტი –
წყაროვ, ვიცი რად წანწკარობ,
შენ გაფიქრებს, ცხრა ძმის ბედი.

იყო ცხრა ძმა, ცხრა – ცხრა შვილით,
ჯაჭვი ეცვათ ფარაჯებად,
არწივივით ფრთაგაშლილი
იდგნენ ქვეყნის დარაჯებად.

ცხრა ძმა, ცხრა - ცხრა თვალხატულა
ცხრაჯერ ცხრა რძალს რომ ითვლიდნენ,
ყვავილების გაზაფხულად
ეზოში რომ აივლიდნენ.

და ყოველდღე ცხრა ძმის ცხრა - ცხრა
რძალი ცხრა ძმის წყაროს სვამდა,
ცხრაჯერ ცხრა - ცხრა გული დაცხრა
სიყვარულის ცეცხლს რომ ჰგავდა,

ცხრა ვაჟკაცს რომ ისევ ელის
ცხრა ეზო და ცხრა ჭიშკარი,
ცხრა ლამაზი ხოხბის ყელი,
ვით უღრუბლო დღის ცისკარი.

იჩუხჩუხე ჩეროს ახლოს
უკვდავების ცხრა ძმის წყარო,
ერთ დროს ცხრა ძმამ სამოსახლოდ
შენთან მოსვლით გაიხაროს.

(გაზეთი „კოლმეურნე", №125, 1970წ. 29 ოქტომბერი).
ამავე გაზეთში გამოქვეყნდა პედაგოგ ნოდარ ბასილაძის ლექსი

სადა ხარ, შვილო!

სადა ხარ, შვილო, გულით მოგელი,
რად გამიცივე შენი კერია,
სად ხარ, დაგეძებ დედა – მშობელი,
მუხლებში ძალა გამომელია.

მოდი, ჩამიდგი შუქი თვალებში
და გამიმრთელე გულის იარა,
არ მოგენატრა დედის ალერსი?..
ქარიშხალმა ხომ გადაიარა.

მაგრამ არ ჩანხარ... კარებთან მდგარი,
დღედაღამ შენზე ფიქრებს ვუნდები...
არ მჯერა, არა, რომ შენ ხარ მკვდარი
და ვერასოდეს დამიბრუნდები.

(გაზეთი „კოლმეურნე", 1969წ. 26 ივლისი).

ქედის რაიონის მებრძოლები, რომლებიც თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ, სამამულო ომის გმირულად დამთავრების შემდეგ ჩაებნენ შრომაში და აქაც გამოიჩინეს თავი. ახოელმა ახმედ რიზმანის ძე ნაკაშიძემ თავი ისახელა თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანაში და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო; ვასილ (ფელულ) ნაკაშიძემ ახოს კოლმეურნეობაში იმუშავა მერგოლურად, ბრიგადირად, აგრონომად, თავმჯდომარედ. გეგელიძეებელი სერგო ხალვაში გახდა წითელი დროშის ორდენისანი მერგოლური, ბრიგადირი, აგრონომი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე და სხვა მრავალ ადგილას მუშაობით გამოიჩინა თავი. ასევე, თავი გამოიჩინეს ქედელმა ხასან დიასამიძემ, რომელიც კოლმეურნეობის აგროტექნიკი იყო, ომის დაწყებისას გაიწვიეს ფრონტზე, მაგრამ წინა ხაზზე არ გაგზავნეს, რადგან მისი მამა, რომელსაც არაბული ენის ცოდნის გამო დაჭერა ემუქრებოდა (სტამბულში ჰქონდა განათლება მიღებული) საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ალტაის სატრაქტორო ქარხანაში მუშაობდა 1947 წლამდე, შემდეგ იყო კოლმეურნეობის აგრონომი და თავმჯდომარე. ვაიოელი აბდულ მახაჭაძე ორჯერ იყო არჩეული კოლმეურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარედ. სხვადასხვა თანამდებობაზე თავი გამოიჩინა ქოსოფლელმა მემედ ბასილაძემ; მერისელი სერგო კაკაბაძე მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა ომიდან და განკურნების შემდეგ სამი ათეული წელი საქ. კპ. ქედის რაიკომში მუშაობდა. საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა დანდალოელი ბერიძე ნიკოლოზ მეჯიდის ძე, დანდალოელი, სამხედრო მფრინავი პოლკოვნიკი ბერიძე ქაზიმ რასიყის ძე სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად.

ხარაულელი ფელულ ბერიძე, რომელიც მშვიდობიანად დაბრუნდა, ომში გამარჯვებული რამდენიმე წელს სათავეში ედგა ხარაულის კოლმეურნეობას, მისი თაოსნობით აშენდა ხარაულის სკოლა.

ზინა ჩიტეიშვილი რამდენიმე წელიწადს ხელმძღვანელობდა ძენწმანის 8 წლიან სკოლას.

ომგამოვლილნი მშვიდობის ფრონტზე

დანდალოს თემი

1. ბერიძე ნიკოლოზ
2. ბერიძე ქაზიმ
3. ბერიძე ახმედ
4. ბერიძე ფელულ
5. ჩხუბაძე მევლუდ
6. ცინცაძე შაქირ
7. არობელიძე ენვერ
8. დიასამიძე ჯელილ

ზვარის თემი

1. გოგიტიძე ქაზიმ
2. გათენაძე აბდულ
3. დოლიძე მერდიალ
4. კონცელიძე ქერიმ
5. ლორთქიფანიძე მემედ
6. მახაჭაძე ხუსეინ
7. მახაჭაძე აბდულ
8. შავიშვილი უსუფ
9. ჩიკვაიძე ხუსია
10. ჩიკვაიძე ალიმემედ
11. ჩიკვაიძე აბდულ
12. დავითაძე ჰარუნ

ზენდიდის თემი

1. აბულაძე მამუდ
2. ასამბაძე დავით
3. ბეჟანიძე სალიხ
4. გათენაძე გიორგი
5. დიასამიძე მემედ
6. დიასამიძე ქაზიმ
7. დიასამიძე მუსა
8. დიასამიძე შაქირ
9. დიასამიძე რეჯებ
10. დიასამიძე ხასან
11. დიასამიძე უსუფ
12. დიასამიძე ფეიზულ
13. დიასამიძე შუქრი
14. ვაშაყმაძე მემედ
15. კონცელიძე სულეიმან
16. ნაკაშიძე ხასან
17. სურმანიძე ჯემალ

18. ფარტენაძე სულეიმან
19. ჩიტეიშვილი ზინა
20. პაპუნიძე მემედ
21. ცინცაძე აბდულ
22. დიასამიძე ფელულ
23. კაკაბაძე მურთაზ
24. თურმანიძე შუქრი
25. ღონიაძე როსტომ
26. სალაძე მემედ
27. ჩხეიძე რესულ
28. პაპუნიძე ქაზიმ
29. ბერიძე ოსმან
30. დიასამიძე ემრაილ

მერისის თემი

1. ბარამიძე ასლან
2. თურმანიძე ხასან
3. კაკაბაძე სერგო
4. სურმანიძე ხუსეინ
5. შარაძე ალი
6. ჯიჯავაძე ყებას

ოქტომბრის თემი

1. ასამბაძე ხემიდ
2. ასამბაძე ხასან
3. ბაჯელიძე უშანგი
4. დუმბაძე აბდულ
5. დუმბაძე სეფერ
6. დუმბაძე ხუსეინ
7. დუმბაძე ხულუს
8. შერვაშიძე მურთაზ
9. შერვაშიძე იაყუფ
10. ქათამაძე მიშა

პირველი მაისის თემი

1. დევაძე ხემიდ
2. დევაძე ხუსეინ
3. მახარაძე სულეიმან
4. შავლიძე ომერ
5. დევაძე რიზმან
6. დევაძე შაღბან
7. დევაძე მეჯიდ
8. დევაძე ომერ
9. დევაძე ოსმან.

ცხმორისის თემი

1. ანანიძე აბდულ
2. ანანიძე მემედ
3. აბაშიძე ხუსეინ
4. ბოლქვაძე თოფან
5. ბოლქვაძე შახველედ
6. ბერიძე ისმაილ
7. თავდგირიძე უსუფ
8. ირემაძე ხუსეინ
9. ნაკაშიძე ვასილ
10. ნაკაშიძე ახმედ
11. ნიჟარაძე სულეიმან
12. სირაბიძე მიქაილ
13. ხალვაში სერგო
14. ხალვაში მუსტაფ

წონიარისის თემი

1. ბარამიძე ყემბერ
2. ბერიძე ვახტანგ
3. დავითაძე ბეხრი
4. კვირიკაძე მამუდ

მახუნცეთის თემი

1. ბასილაძე მემედ
2. გვარიშვილი ანტონ
3. მგელაძე შუქრი
4. ზაქარაძე ახმედ
5. ზაქარაძე სულეიმან
6. ნიგალიძე მამუდ
7. ვარშანიძე რამიზ
8. ჟოჟაძე რეჯებ
9. ჟოჟაძე დურსუნ
10. ნინიძე მემედ
11. ღოღობერიძე ისაკ
12. ფარტენაძე სულეიმან
13. ხაბაძე მემედ
14. ხაბაძე ოსმან
15. ხაბაძე ნური

დოლოგნის თემი

1. ბედინაძე ქაზიმ
2. ბედინაძე მემედ

3. ლორთქიფანიძე მამუდ
4. ჯაფარიძე ხუსეინ
5. ჯინჭარაძე ახმედ
6. ჯინჭარაძე აბდულ
7. ჯინჭარაძე რიზალ
8. ჯინჭარაძე ახმედ
9. საფარიძე ასლან
10. საფარიძე მევლუდ
11. საფარიძე ალი
12. საფარიძე ხუსეინ
13. საფარიძე ასლან

ქვეყნისა და ეროის ერთგული სასულიერო პირები

ხასიყ ბერიძე

არიან ადამიანები, რომელთა სახელებიც დავიწყებას არ მიეცემა. ასეთთა რიგებს მიეკუთვნება რასიყ სულეიმანის ძე ბერიძე - ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი.



რასიყ ბერიძე დაიბადა 1868 წელს ქედის რაიონის დანდალოს თემის სოფელ გორგივლში. მისი შვილიშვილის, ნოდარ ბერიძის, ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძის მამა. სულეიმანი, ადრე გარდაცვლილა. მამის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ დედა გათხოვილა სოფელ ტიბეთაში თურან წულუკიძეზე და მცირეწლოვანი რასიყიც თან წაუყვანია. მამინაცვალი მეტად კეთილი ადამიანი ყოფილა. ერთხელ სოფლის ცენტრში, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო, სოფლის მოლას ხალხთან საუბრისას უთქვამს, რომ ეს პატარა ბიჭი მეტად გონიერია, ობოლი რომ არ იყოს, „ღვიძლი" მამა ჰყოლოდა, მისგან კაცი გამოვიდოდაო". როცა რასიყის მამინაცვალს მოლის ნათქვამი უთხრეს, წყენია და გადაუწყვეტია, რადაც უნდა დაჯდომოდა, რასიყისათვის კარგი განათლება მიეცა. მამინაცვალს გაუყიდია პირუტყვი, საკმაო ფული შეუგროვებია და 16 წლის რასიყი სტამბოლს გაუგზავნია. იმ დროს ყველა, ვისაც საშუალება ჰქონდა, შვილებს განათლების მისაღებად სტამბოლში აგზავნიდა. რასიყს სწავლა დაუწყია სასულიერო სასწავლებელში, ბინად კი მასწავლებელთან დამდგარა. სასულიერო სასწავლებელის დამთავრებისთანავე სწავლა გაუგრძელებია სამართალმცოდნეობისა და ფილოსოფიის სპეციალობაზე. მალე სტამბოლში დაუწყია ადვოკატად მუშაობა.

რასიყს სტამბოლში 16 წელი უმუშავია. იქ სწავლის დროს დაინტერესებულა მუჰაჯირთა ცხოვრების პირობებით და ხშირად მოგზაურობდა ქართველებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში, იწერდა ადგილების ტოპონიმებს, პირთა გვარ-სახელებს, ინტერესდებოდა მათი ყოფა-ცხოვრებით, ათვალიერებდა უძველეს ქართულ ეკლესიებსა და ნაეკლესიარებს, ციხეებს, რომლებიც თურქების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ყველა ამ ჩანაწერს რასიყი მალულად

ინახავდა და ისინი შემდგომ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“, 1945 წლის 28 დეკემბერს, აგრეთვე გაზეთ „საბჭოთა აჭარაში” 1945 წლის 30 დეკემბერს.

რასიყ ბერიძე 1900 წელს სამშობლოში დაბრუნდა და დაოჯახდა. ცოლად შეირთო დიასამიძის ქალი, რომელთანაც 74 წელი გაატარა. შეეძინათ ხუთი შვილი. რასიყმა მშობლიურ მხარეში სასულიერო საქმიანობა დაიწყო - მუშაობდა ქედის და ხულოს რაიონების სხვადასხვა სოფლებში, ხოლო მოგვიანებით - აჭარის ყადის თანამდებობაზე. არჩეული იყო „ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს” წევრად.

რასიყ ბერიძეს სასულიერო საქმიანობისას ჰქონდა სერიოზული უთანხმოება იმ დროისათვის მოქმედ მეჩეთებში მოღვაწე ხოჯა-მოლებთან, რომლებსაც უნდოდათ მისი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე, ხელმძღვანელის თავიდან მოცილება. მთავრობა ყოველთვის აკვირდებოდა სასულიერო პირების მუშაობას. „რწმუნებულის 1951 წლის ერთ-ერთი ანგარიშიდან ჩანს, რომ რასიყ ბერიძე ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამსახურში ავადმყოფობის მომიზეზებით, რეალურად კი მეჩეთის მმართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო რასიყ ბერიძეს გადადგომაც გადაუწყვეტია და ბაქოში შეიხ ისლამთან განცხადების დაწერასაც აპირებდა (ცნობა ამოღებულია პროფესორ თამაზ ფუტკარაძის წერილიდან, ჟურნალი „არხეიონი“, 2014 წ.).

რასიყ ბერიძე „წინააღმდეგობებს მორიდებია და წერილი აღარ გაუგზავნია“. სამაგიეროდ, ბაქოში წერილის გაგზავნა დაუსწრიათ მის მოწინააღმდეგეებს- მიქელაძეს და მოლარე დიასამიძეს, რის საპასუხოდაც ბაქოდან რასიყ ბერიძეს თხოვენ ახსნა-განმარტებას. ახსნა- განმარტებით ბარათში ჩანს რასიყ ბერიძის დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობის ცალკეული საკითხებისადმი, ჩანს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს რამაზნის მთვარეში მარხვას, რადგან „მუშამ რომ იმარხოს, სამუშაოს დააკლდებაო”, ამიტომ „ რამაზნის მთვარეში“ მორწმუნეებს უფლება აქვთ ჭამონ, ანუ, სეფერი ქნან და სამაგიეროდ სხვა დროს იმარხონ“ (ასს. ცსა.ფ.ი.97, ან 1,23. ფურც. 27).

რასიყ ბერიძე ჩადრის წინააღმდეგაც გამოდიოდა. მისი აზრით, ქალების 90 პროცენტი ჩადრს ატარებს, რასაც მუსლიმანური საზოგადოება არ ითვალისწინებს და ის ძველი ხოჯების მოგონილიაო. ამიტომაც გადაწყვიტა „ლექტორობა: - აგიტაცია ჩადრის ტარების წინააღმდეგ“. ის ანგარიშს უწევს დროის მოთხოვნებს და ცდილობს, რეალობასთან ადაპტაციას. ამიტომაც ყოფს ხოჯებს „ძველებად“ და „ახლებად“, ცდილობს „მორწმუნეებში შეგნების შეტანას“. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა თუ მოლა განუდგა მას და იგი „უღმერთოს” სახელით მონათლეს; ზოგიერთ მოლას ეგონა, რამდენადაც გაართულებდა რელიგიური რიტუალების შესრულებას, მეტი სახელი ექნებოდათ საზოგადოებაში. მათ საკმარისი რელიგიური განათლება არ გააჩნდათ, რასიყ ბერიძეს კი საკმაოდ საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული.

რასიყ ბერიძე სავალდებულოდ არ მიიჩნევდა წინდაცვეთას. იგი მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ „ბავშვის დასუნნეთვა სავალდებულო არ არის“, არც მუსლიმანური სახელის ქართული სახელით შეცვლას მიიჩნევს ცოდვად. იგი ყველაფერს აკეთებდა ქართული ცნობიერების გაძლიერებისათვის.

ამ ფაქტების გამო იზრდებოდა ბათუმის მეჩეთში წინააღმდეგობა რასიყ ბერიძესა და დანარჩენ რელიგიის მსახურთა შორის. ისე დაიძაბა ურთიერთობა, მივიდა, ხელფასი 350 მანეთიდან 100 მანეთამდე შეუმცირეს. მოწინააღმდეგენი ბრალს სდებდნენ „მუსლიმანობის გაადვილებაში“. მათი სურვილი იყო ურწმუნო

ხოჯის თავიდან მოცილება, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე დიასამიძე, რომელიც მეჩეთის მოლარედ მუშაობდა, 1948 წლიდან გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე.

რასიყ ბერიძე სასულიერო საქმიანობას მოხერხებულად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მას მრავალი წერილი გამოუქვეყნებია გაზეთებში ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. თურქეთში მცხოვრები ქართველების ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, ახალი წლის რიტუალებზე, (მჭადზე ჯვრის დასმა, კვერცხის წითლად შეღებვა), ქართული ენის შენარჩუნების, ქართული მიწების დაბრუნების საკითხებზე. მისი შვილიშვილის, ნოდარ ბერიძის, გადმოცემით, რასიყის პუბლიკაციები სტალინსაც გამოუყენებია. ავტორს მეორე მსოფლიო ომის დროს იოსებ სტალინისგან მიუღია წერილი – „ილოცეთ ჩვენი გამარჯვებისათვის“.

რასიყ ბერიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, აკადემიკოსებთან – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან.

არაერთგზის გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, იოსებ სტალინს თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთისათვის შეუთავაზებია ომის შემდგომი დემოკრატიული თურქეთის პრეზიდენტობა, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ქართველებს მიეცემოდათ ავტონომია და რეფერენდუმის საფუძველზე ისტორიული ქართული მიწები დაუბრუნდებოდა დედა - სამშობლოს. ასეთი პოლიტიკა უნდა გატარებულიყო აზერბაიჯანშიც, საინგილოს დაბრუნების მიზნით. ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძე წყევლით მოიხსენებდა ნ. ხრუშჩოვს, რომელმაც ოფიციალურად თქვა უარი თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. იგი ხრუშჩოვს „უზნეობის ზენიტს“ უწოდებდა.

შვილიშვილების გადმოცემით, რასიყ ბერიძე იყო მეტად მკაცრი, მაგრამ კაცთმოყვარე და სამართლიანი. ხშირად ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს, ღარიბებს. მან ითავა სოფლის ობოლ ბავშვთა მეურვეობა. დანდალოში ხოჯის მოვალეობის შესრულებისას შეამცირა შესაწირის რაოდენობა მეჩეთისათვის.

სოფლის ბეგებს და ხოჯებს არ მოსწონდათ რასიყ ბერიძის ასეთი ჰუმანური მრწამსი, ერთ საღამოს, სამსახურიდან შინ მომავალს, თოფი ესროლეს, მაგრამ იგი ღმერთმა არ გასწირა - ფეხში დაიჭრა და გადარჩა.

რასიყ ბერიძე 1974 წელს გარდაიცვალა, 106 წლის ასაკში, ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე. მათ დარჩათ დიდი შთამომავლობა.

მას არ აუსრულდა სანატრელი ოცნება ქართული მიწების დაბრუნების თაობაზე.

გთავაზობთ ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრის, აჭარის ყადის რასიყ ბერიძისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის – კალისტრატე ცინცაძის აღნიშნულ წერილებს.

თუჰქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მინა-წყალი

მსოფლიო მშვიდობიანობის მოსურვე ხალხებმა, დიდი ალაჰის ნებითა და სურვილით, იხსნეს ქვეყნიერება შავბნელი ფაშიზმისაგან, კაცობრიობის ამ წყეული მტრისა და ბნელეთის მოციქულისაგან. დამყარდა დიდი ხნის ნანატრი საყოველთაო მშვიდობა. საბჭოების ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავისუფლების მოყვარე ხალხებს გაემარჯვათ.

აჭარის ქართველი მუსლიმანები, სიხარულით აღვსილნი, უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ ჩვენი ქვეყნის - საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიული გამარჯვების გამო. ქართველ ხალხს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დიადი გამარჯვების მიღწევის საქმეში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა სინდისის, პატიოსნებისა და სამშობლოს კეთილდღეობის დასაცავად.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის დიდ მანძილზე მამაცურად იგერიებდა ყველა სახის უცხოელ ურჩხულთ, ანადგურებდა მათ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს, რათა უზრუნველეყო თავისი ქვეყნის ერთობა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს - საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მე-15 საუკუნეში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს მეზობლად შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ თავისი დამპყრობლური სურვილების განხორციელების მიზნით უშუალოდ დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა.

ოსმალო-თურქებმა ბიზანტიის დაპყრობისა და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, იერიში მოიტანეს სამხრეთ საქართველოზე და ქართველთა ტომებს ლაზ-ჭანებს და სხვებს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე. 1462 წელს თურქებმა აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპიზონი და ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი სამხრეთი საქართველო. ქართველები თურქების წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ თავისი საკუთარი მიწა-წყლისთვის, მაგრამ რიცხვით მეტ ძალებს ვერ გაუმკლავდნენ. თურქებმა დიდი მსხვერპლის ფასად ჩვენი მხარე საქართველოს მოსწყვიტეს და დაამყარეს აქ თავიანთი სახელმწიფო ადათები. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ უცხო წესებს ვერ ურიგდებოდა და მუდამ იყო სისხლისღვრა და ბრძოლა. ამას ადასტურებს ისტორია.

ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი სამხრეთი საქართველო, თავის წიგნში მოჰყავს მუფთი ხოჯის ახმედ ეფენდი ხალიფაშვილის ნაამბობი: „ ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენ. დანდალომ ზეგანს მიბაძა და ამიტომ გაწყდნენ ისინიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა.“

ოსმალების მიერ ჩვენი ტერიტორიისა და ქართველი ხალხის ნაწილის დაპყრობის შემდეგ გავრცელებულ მუსლიმანურ სარწმუნოებას - ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული განადგურება.

ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ.

დიდ საბჭოთა ქვეყანაში მრავალ სხვა სარწმუნოების ხალხებთან ერთად არიან ისლამის სარწმუნოების მიმდევრებიც, რომელნიც თავისუფლად ასრულებენ მუსლიმანურ წესებს ყურანის შესაბამისად. ჩვენთან, აჭარაში არსებულ ჯამეებში მორწმუნენი ასრულებენ თავიანთ ლოცვებს და კითხვებს. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ შევიწროებას. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, თავის სარწმუნოე-

ბის წესების შესრულება ყველას შეუძლია. ჩვენ ჩავატარეთ მუსლიმანთა ყრილობა და კრებები, მოვუწოდეთ ყველა მუსლიმანს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ქართველი მუსლიმანები მხურვალედ ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის გასანადგურებლად. ქართველმა მუსლიმანებმა ყველგან იციან, რომ ისინი ნამდვილი ქართველები არიან და ეროვნებით ერთ ერს - ქართველ ერს ეკუთვნიან, რომ სარწმუნოებით განსხვავება მათ ეროვნულ გათიშვას ვერ გამოიწვევდა და ვერც ვერასოდეს გამოიწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული ეროვნების ეს მოსახლეობა თურქებმა მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

ქართველებმა საკუთარი სამშობლოს დაცვისათვის დაღვრილი სისხლის შედეგად შეინარჩუნეს თავისი არსებობა, კულტურა და სახელმწიფოებრიობა. ამჟამად ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მზიურ საბჭოთა ქვეყანაში თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს.

მე და მთელი ქართველი მუსლიმანები დიდად ვუმადლით ღმერთს, რომ მოვხდით საბჭოთა ქვეყანაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად მოგვეპოვება კულტურული და ეკონომიკური აღორძინების ყოველგვარი საშუალებები.

ქართველი მუსლიმანების საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ცხოვრება უხდება თურქეთის მიერ საქართველოსაგან ძალით მოწყვეტილ ტერიტორიაზე, სრულიად მოკლებულია ამ დიად უფლებებს, კერძოდ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი. ეს ქართველი მუსლიმანები დიდი ხანია გულის ფანცქალით მოელიან საკუთარი სამშობლოს მთლიანობის აღდგენას, რადგან, როგორც გვიწერია ჰედისში, „სამშობლოს სიყვარული ყველა მუსლიმანის აუცილებელი მოვალობაა.“ ქართველი მუსლიმანები, რომელნიც მოქცეულნი არიან თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი სიხარულით შეხვდებიან მათი სამშობლო ადგილების საქართველოსთვის დაბრუნებას.

ყველასათვის და თვით თურქეთისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გიუმიშხანეს, ბასიანის მიდამოებს, ჭოროხ - ტრაპიზონის კოლხეთს, რომელსაც შერჩენილი აქვს დასავლეთ კოლხეთის სახელწოდება. თვით კონსტანტინოპოლის თურქებიც კი ტრაპიზონს „ ლაზთა საბრძანებლოს“ უწოდებდნენ.

ქარველ მუსლიმანთა ეროვნული ნიშნების მოსპობის მიზნით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქართველი მოსახლეობის თურქეთის შორეულ რაიონებში გადასახლების, ეროვნული დამცირებისა და ამ ადგილებში ქართულ სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, აქ მაინც შერჩენილია უამრავი ქართული სახელწოდება. მაგალითად, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ჯანიქ - სანჯაყი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილები ჭანებისა, ე. ი. ლაზებისაა. იმერხევი, მიქელეთი, ნოღეთი, მარიშ სკირიშ ოფუტე, ოხვამე და სხვა მრავალი ქართული სახელწოდება ახლაც არის ხმარებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული ქრისტიანული ჩვევების არსებობა, როგორიცაა: ახალი წლის შეხვედრა, კვერცხის შეღებვა და სხვა.

ამგვარად, სამხრეთმა საქართველომ, მიუხედავად თურქეთის ბატონობისა, უკანასკნელ ხანებამდე ქართულ - გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთად შეინარჩუნა ქართული ენა და ადათ-ჩვევებიც.

ქართველ ხალხს, პირველ რიგში, ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920 –1921 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქის და ბათუმის ოლქის ნაწილის

ოკუპაცია. მრავალი მუსლიმანი ქართველი გაულიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს.

ქართველი ხალხის, მათ შორის ქართველი მუსლიმანების ნება-სურვილია გამოთქმული ჩვენი მეცნიერების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილში, რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი: არტაანის, ართვინის, ოლთისის , თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმიშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით.

ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვოთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნოებრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!

რასიყ სულეიმანის ძე ბერიძე,
ამიერკავკასიის მუსლიმანთა
სასულიერო სამმართველოს წევრი,
აჭარის ყადი.
„კომუნისტი“,28/XII,1945 წ.

წერილი ჩედაჟსიის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ საშუალება გაზეთ „კომუნისტში” ამ მოწოდების გამოქვეყნებით, ჩემი და მთელი ჩემი სამწყსოს ხმა შეუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების - ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის წერილში (იხ. „კომუნისტი” №246 (7461) 14|XII – 1945წ.).

XV საუკუნეში მაჰმადიანურმა ოსმალეთმა ქრისტიანულ მსოფლიოს გულზე ფეხი დაადგა: სახელოვანი კონსტანტინოპოლი დაიპყრო და კულტურული ახლო აღმოსაველთი აღმოსავლეთის სიამაყის - ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობა სამუდამოდ შეწყვიტა.

იუსტინიანე კეისრის დროის გენიალურ ქმნილებაზე - წმინდა სოფიის ტაძარზე, დაპყრობილ ქრისტიანეთა სისხლით მოსვრილი ხელის ანაბეჭდი - გამომხატველი გამარჯვებული ხონთქარის მიერ ქრისტიანული ტაძრის მაჰმადიანურ მიზგითად გადაქცევისა, მომასწავებელი რამ იყო ოსმალთა პოლიტიკისა მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთითი ბნელი უკუნეთი ჩამოწვა, ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა. შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებისა დასავლეთის განათლებულ ხალხებთან.

ოსმალეთი ყოველთვის შორს იდგა მეზობლებთან მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობისაგან. ეს აგრესიული ბუნების სახელმწიფო ყველა მეზობელს თავს ესხმოდა და გლეჯდა, ვიდრე საამისო ღონე მოსდევდა.

ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზავი არა ჰქონია. ოსმალეთი უჩვეულო სიჯიუტით ცდილობდა საქართველოს დაპყრობას ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ქართველები შეუნელებელი მხნეობით თავს იცავდნენ.

300 წელს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა

მოძალადე მტაცებელმა განაზრახი ვერ შეისრულა, ქართველთა სიმტკიცე ვერ გასტეხა და საქართველო მთლიანად ხელთ ვერ იგდო. დამპყრობელს მწარედ მოაგონდება

ბასიანი, ბათომი, გორი, ასპინძა, ზეკარი, ხრესილი, ჩხერის ციხე და არაერთი სხვა ადგილი – მოწმე ქართველთა მამაცური შებმისა და მომხდურის დამარცხება-უკუქცევისა.

მაგრამ უზარმაზარ მტერთან ბრძოლაში მეტად დაზიანდა ქართველი ხალხი. ოსმალეთმა თანდათან მიიტაცა საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ვრცელი მიწა-წყალი: ჭანეთი, ბაიბურთ-გიუმიშხანე, თორთუმი და სპერი, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო-ბასიანი, კოლა-არტაანი და სამცხე.

არც ერთ დამპყრობელს შუა საუკუნეებში კულტურული ახლო აღმოსავლეთისათვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია, როგორიც მას ოსმალეთმა მიაყენა. ბიზანტია-საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო და მრავალი სხვა კულტურული ქვეყანა, ქრისტიანული თუ მაჰმადიანური, შეიქმნა მსხვერპლი ოსმალური მიმტაცებლობისა და მისი ბარბაროსული მოძალადეობისა.

შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას ის უსამართლობა, რომელიც გადაიტანა ხონთქრის საბრძანებელში მოყოლილმა ქართველობამ ოსმალო დამპყრობელთაგან. ფიზიკური ძალადობა, მორალური შეგინება ოსმალთა ბატონობის მთავარი იარაღი იყო.

ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. ბარბაროსული თურქული ფეოდალიზმი სულშემხუთავ ძალად დააწვა შეუდარებლად უფრო წინმდგომი ქართულ საზოგადოებრივ წყობილებას დაპყრობილ ოლქებში. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა ოსმალობა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა.

წინსვლა შეჩერდა და ქვეყანა თანდათან უკან წავიდა. ქრისტიანობა, ეროვნული კანონები და ქართული ენა ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. ოდესმე აყვავებულს ქვეყანაში უკულტურობამ დაისადგურა. სასოებით და სიყვარულით ნაგები ტაძრები, ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები, თანდათან დაიცალა, დაყრუვდა. თანდათან გაქრა ანჩას თუ ხახულის ოპიზართა მიერ ნაჭედი წმინდა ხატები, წყაროსთავის მოხატული სამღვთო წიგნები, შატბერდს ნათქვამი სიბრძნე, ოშკს შეთხზული საგალობლები. მათი დიდი უმრავლესობა დაიღუპა, ნაწილი სასოებით გადამალეს შევიწროებულმა მლოცველებმა,ნაწილიც თან წაიღეს გაჯოჯოხეთებული სამშობლოდან ლტოლვილებმა.

დამპყრობელთა ბარბაროსულმა მმართველობამ ხალხი გაადატაკა; მოსახლეობის რიცხვი კატასტროფულად შემცირდა, ქვეყანა გავერანდა. ოსმალური მმართველობის ჩამორჩენილობის მჭევრმეტყველური ნიშანია, რომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს დამპყრობელი დაეპატრონა, იქ მოიშალა და მოისპო ოდესმე აყვავებული საქალაქო ცხოვრება, ინტენსიური სასოფლო მეურნეობა, ჩაქრა განათლების კერა, შეწყდა ყოველგვარი მშენებლობა. მთელს ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სავსეა ქართველობის დროის დიდებული არქიტექტურული ძეგლებით (რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ გაუნადგურებიათ ისტორიისა და მეცნიერების წინაშე პირშავ ბარბაროსებს), არც ერთი სასახლე, არც ერთი ტაძარი, არც ერთი ქარვასლა, არც ერთი ხიდი და არც სხვა რამ მშენებლობა, რამდენადმე ღირსშესანიშნავი, არ აგებულა ოსმალთა ბატონობის დროს.

ხალხის სასიცოცხლო ძალების პარაზიტული გამოწოვით ოსმალურმა მმართველობამ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში დაახშო განვითარებისა და შემოქმედების ყოველგვარი გზა.

ზემოთქმულში დასარწმუნებლად, საკმაოა, ერთიმეორეს შევადაროთ დღევანდელი საქართველოს ორი ნაწილი: საქართველო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი და საქართველო თავისუფალი. განუზომელია ჩამორჩენა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისა და მწარე კაეშნის მომგვრელია ბედის უკუღმართობა: ისტორიული საქართველოს დიდი კულტურული აღმავლობის ხანაში, მე-9-მე-12 საუკუნეებში, და შემდეგ, ვიდრე ოსმალთა მიერ მიტაცებამდე, საქართველოს სწორედ ეს ნაწილი იყო ჭეშმარიტი აკვანი და საძირკველი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი თუ ნივთიერი კულტურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა ხალხებთან განუყრელ ძმურ კავშირში აღდგა თავისუფალი ქართული ერი. გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი - მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მიწა-წყლისა და დაჩაგრულ-შეგინებული ღვიძლი ძმების დედა-სამშობლოსათვის დაბრუნება - გარდაუვალ ამოცანად დაისვა მის წინაშე.

ქართული მართლმადიდებელთა ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებულობის მატარებელი და მქადაგებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამასთანავე სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებით და მოთმინებით განირჩეოდა. მით უმეტეს, ეს ითქმის იმ ქართველების, ჩვენი ღვიძლი ძმების მიმართ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღეს.

ქართულ ეკლესიას არ ჰქონია და არც არასდროს ექნება განზრახვა სამხრეთ საქართველოს რაიონებში ქრისტიანობის აღდგენაზე იფიქროს. ხოლო, რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ყველასთვის ცნობილია მისი დამოკიდებულება სარწმუნოების საკითხისადმი: ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება - ყველას შეუძლია ირწმუნოს და ილოცოს ისე, როგორც თვითონ სურს.

დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ჟამია. თავისუფლების მოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა - ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირენი.

ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდაო უფლებაც მოიპოვა მოითხოვოს ისტორიული უსამართლობის გასწორება - საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება.

თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი: რაიონებში არტაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გიუმმიშხანესი და ლაზისტან-ჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩათვლით.

მე მივმართავ გაერთიანებულ ერთა ხელმძღვანელებს, მსოფლიო მოწინავე საზოგადოებრივობას და მოვუწოდებ მათ მხარი დაუჭირონ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ამ წმინდა საქმეს.

კალისტრატე,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.
1945 წლის იანვარი 5
„კომუნისტი", 8 იანვარი.

სახელისუფლო და ძალოვანი სტრუქტურები მოქმედებაში საქართველოს კპ ქედის რაიკომი

ქედის მაზრის კომუნისტური ორგანიზაცია შეიქმნა 1924 წელს კომუჯრედის სახელწოდებით. 1930 წლიდან ეწოდა საქართველოს კპ ქედის რაიონული კომიტეტი.

1924 წლის 1 იანვრიდან კომუჯრედმა შეაჯამა განვლილი სამი თვე და მდგომარეობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად.

ამ დროს უკვე სამაზრო კომიტეტის აქტიური წევრები იყვნენ: ხუსნი სურმანიძე, ზექერია შარაბიძე, ისმაილ ნაკაშიძე, ოსმან ფარტენაძე, ზექერია ბერიძე, ქაზიმ ბასილაძე, ავქსენტი კალანდაძე, თავდიშვილი, მეჯიდ ცირეკიძე, მურშიდ ბერიძე.

მაისისთვის იყო 3 კომუჯრედი – ქედაში, მერისში და ცხმორისში (წევრთა რიცხვი 52), პარტიის წევრი იყო 11, კანდიდატი 41. ქედის სამაზრო პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები იყვნენ: პასუხისმგებელი მდივანი ჯემალ აბულაძე, ზექერია ბერიძე, ზექერია ბარამიძე, თამარ წილოსანი, ალ. გაბუნია, პავლე ფოცხიშვილი.

საარქივო მასალებით გაირკვა, რომ პარტიის წევრობის პირველი კანდიდატები ქედის რაიონში იყვნენ: აბდულ დევაძე, მემედ დიასამიძე, სულეიმან კაკაბაძე, ოსმან ხალვაში, ფადიმე ბასილაძე, უსუფ ავალიანი, ხუსეინ ბერიძე, ოსმან ბერიძე, ოსმან ფარტენაძე, მემედ ცინცაძე, ეუბ ნაკაშიძე, ხუსნი სურმანიძე, მურად ბერიძე. 1925 წელს საკანდიდატო ჯგუფიდან 25 წევრი მიიღეს პარტიაში.

დღეს ყველამ იცის, რომ პარტიული მუშაობის ძირითადი მიმართულება ხელისუფლებისათვის ბრძოლაა. მაშინ ხელისუფლებაში ოფიციალურად ერთი პარტია იყო – კომუნისტური. (არსებობდა მეორეც – არალეგალური და ტროცკისტული, მაგრამ მისი მოქმედებანი მოკლებული იყო სახელისუფლებო ძალას) და ფაქტობრივად, ის წარმოადგენდა უმთავრეს ხელისუფლებასაც, – მართვის ყველა სხვა რგოლი მას ემორჩილებოდა, ასე იყო პარტიის მთელი არსებობის განმავლობაში.

ჯერ კიდევ 1925 წლის 25 ოქტომბერს, სამაზრო კომიტეტის სხდომამ ცვლილებები შეიტანა აღმასკომში, – თავმჯდომარედ დაინიშნა ჯემალ აბულაძე, მოადგილედ – ზექერია ბერიძე, მილიციის – უფროსად მურად ბერიძე, სამაზრო კომიტეტის მდივნად დაინიშნა ავქსენტი კალანდაძე.

1925 წლის 2 დეკემბერს სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავმჯდომარედ დანიშნა ხუსეინ სურმანიძე, 1926 წლის იანვრიდან სამაზრო კომიტეტის მდივანია ა. ზამთარაძე.

1926 წლის იანვარში ჩატარდა მაზრის პირველი პარტიული კონფერენცია, რომელმაც მაზრკომის მდივნად აირჩია ეუბ ნაკაშიძე. ის შემდეგ, – 1935-1936 წლებში მუშაობდა ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

ალბათ, გასაკვირი არ იქნება ისიც, რომ ზოგჯერ პარტიის წევრები ტოვებდნენ მის რიგებს. რადგან პარტიამ გაამკაცრა ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, მისი წევრობა დატოვა გობრონეთელმა ყარაღა დავითაძემ.

1929-1930 წლებში სამაზრო კომიტეტის მდივანი გახდა ხუსეინ ჯინჭარაძე. მის დროს დაიხვეწა კომიტეტის მუშაობის სტილი და მეთოდები, ბიუროზე პერიოდულად იხილებოდა ხელმძღვანელი კადრების და კომუნისტთა ინფორმაციები, მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, კომუჯრედების საქმიანობის მიმდინარეობა.

1930 წლიდან მოქმედებაშია რაიკომი. 1930 წლის 15 ნოემბრიდან მდივნად აირჩიეს მ. ჭაკნელიძე.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო კულაკობის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა, ალბათ, განსახილველი საკითხების მომრავლების მიზეზით რაიკომმა დაარსა სასოფლო საზოგადო სასამართლოები.

რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევდა მერისის სპილენძის საბადოს მოქმედებას და

იხილავდა მასთან დაკავშირებულ საკითხებს. 1931 წლიდან იქ შეიქმნა პარტჯგუფი და პროფორგანიზაცია, გადაწყდა კომკავშირული ორგანიზაციის დაარსებაც.

ამ დროს გამკაცრდა ანტირელიგიური ბრძოლა. იმის გამო, რომ მილიციის უფროსმა უარი არ თქვა რელიგიური წესების შესრულებაზე, ახმედ ბარამიძე გათავისუფლდა თანამდებობიდან.

1931 წლის 6 ივლისიდან 1933 წლის 2 მარტამდე რაიკომის მდივნად მუშაობდა დავით მოსეს ძე ძნელაძე, ჩოხატაურიდან. რეპრესირებულ იქნა 1937 წელს. მის შემდეგ კი – აბდულ ხალვაში. 1934 წლის დეკემბრიდან ბიუროს დადგენილებით რაიონში დაიწყო პასპორტების გაცემა, საპასპორტო მაგიდის უფროსად დაინიშნა დ. რუხაძე.

ურიგო არ იქნება, აღვნიშნო რაიკომის აპარატის შესახებ, მასში შედიოდნენ: რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ა. ხალვაში, მოადგილე ნ. ჯიბლაძე, პასუხისმგებელი ინსტრუქტორები ივანე კობიძე, ილია ყაჭეიშვილი, ტექნიკური მდივანი მ. კაკაბაძე, სააღრიცხვო მუშაკი ა. ორაგველიძე, კურიერი ზ. გორგაძე, დამლაგებელი ა. ხასანოღლი, სულ 8 კაცი. აბდულ ხალვაში გადაიყვანეს საქ. თამბაქოს მმართველის მოადგილედ. შემდეგ დახვრიტეს.

1937 წლის 28 აპრილს რაიკომის მდივნად აირჩიეს სელმან ლორთქიფანიძე,რომელიც ადრე მუშაობდა აჭარის განათლების სახალხო კომისრად, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ და საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. მოადგილედ – ალიოშა როყვა. ამ დროს უკვე ძალაში შედის რეპრესიები. ამ მიზეზის გამო მარტო ერთი ბიუროს სხდომაზე გაირიცხა 16 კაცი. 21 აგვისტოს რეპრესირებულ იქნა თავად მდივანი, დაიწყო ადგილობრივი კადრების დევნა, რაც ხდებოდა უშიშროების სამსახურის უფროსის იმედაძის პირადი შურისძიებით. მან, როგორც ხალხის მტრები, გარიცხა პარტიიდან: გულების კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიასამიძე, ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხაბაზი, ორჯერ რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე და ბოლოს სანერგე მეურნეობის დირექტორი ჯემალ გოგოლიშვილი, მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე აბდულ დიასამიძე, ზესოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან ბერიძე.

1938 წლის 22 ნოემბერს ბიურომ განიხილა საქ. ცკ-ს პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის დეპეშა იმედაძეზე დახასიათების მიცემის შესახებ. დახასიათებიდან ჩანს, რომ იმედაძე არავის უსმენდა, მოქმედებდა თვითნებურად, აპატიმრებდა და სჯიდა უდანაშაულო ხალხს, თავის მიზნების შესასრულებლად იყენებდა დამსმენებს, სუსტი ნებისყოფის ადამიანებს.

ერთი მის მიერ დასჯილი დავითაძე ჭოროხის პირას გაუყვანიათ დასახვრეტად. მან ჯალათს უთხრა: დახვრეტის შემდეგ შეუთვალე ჩემიანებს, რომ წარბებშუა მომარტყი ტყვიაო. ეს ამბავი თურმე შემთხვევით მოისმინა პატიმრის შვილმა და გარეთ გასულ მამის მკვლელს მანქანით გადაუარა.

შვილს დახვრეტა არ ასცდებოდა, მაგრამ მოსამართლე ვლადიმერ ბერძენიშვილმა მხოლოდ სამი წელი მიუსაჯა. დამსწრენი ტაშით შეხვედრიან განაჩენს.

1937 წლის 21 აგვისტოს რაიკომის პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია დიომიდე ხელაძე, მეორე მდივნად – უსუფ შერვაშიძე, მესამე მდივნად ა. ყაჭეიშვილი (როგორც ხედავთ, მდივნების ოდენობა გაიზარდა).

1941 წლის 17 იანვარს პლენუმმა დ. ხელაძის ნაცვლად პირველ მდივნად აირჩია კარლო ლომაძე, რომელმაც 1943 წლის 22 მარტს ანგარიში წარუდგინა კონფერენციას. ანგარიშის მიხედვით ქედის რაიონმა 1942 წელს მოიწია: კარტოფილი – 169 ტონა, ხორცი – 118 ტონა, 35000 ლიტრი რძე და ა.შ. წლის შემოსავალმა კოლმეურნეობებში შეადგინა 3800000 მანეთი.

1943 წლის 23 მაისს მეორე მდივნად აირჩიეს ჯასიმ დევაძე, 1944 წლის 21 მარტს კი პირველი მდივანი შეცვალა ოქრო ბერიძემ.

1948 წლის 27-28 ნოემბერს გაიმართა რაიონული კონფერენცია, რომლის მასალებით ირკვევა, რომ რაიონში მოქმედებს 58 პარტიული ორგანიზაცია 707 წევრითა და კანდი-

დატით. მუშაობს 71 სკოლა(49 დაწყებითი, 19 რვაწლიანი და 2 საშუალო), 1 პედსასწავ-ლებელი, 12 სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლა, რომლებშიც მუშაობდა 275 მასწავლებელი (მათ შორის, 132 ადგილობრივი). ამავე დროს რაიონში მოქმედებდა 15 კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება.

კონფერენციის მასალებიდან ჩანს ისიც, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ანემსეს 551000 ზონარმეტრი თამბაქო და გეგმა 146 პროცენტით შეასრულეს. ამ დროისათვის ვენახი დარგული იყო 104 ჰექტარზე, საზოგადოებრივ მეურნეობაში ირიცხებოდა მსხვილ ფეხა პირუტყვი 2400 სული.

1949 წელს რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს სერგო ესაძე.

ს. ესაძის დროის უმთავრესი რაიონული მიღწევა იყო ჩაის პლანტაციების გაშენებ-ის დაწყება.

1952 წელს, 10 აგვისტოს, პარტიულმა კონფერენციამ პირველ მდივნად აირჩია ვლადიმერ კიკვაძე, მეორე მდივნად – ვლადიმერ ნაკაშიძე, მდივნად – თამარ სიხარულიძე.

ამ დროის რაიკომის საქმიანობიდან ისტორიას შემორჩა გულგრილი დამოკიდე-ბულება ადგილობრივი კადრებისადმი, რის გამოც სოფლის მეურნეობის სამმართვე-ლოს უფროსი 4 წელიწადში შეიცვალა 5-ჯერ, სრულიად უმიზეზოდ მოხსნეს სამ-უშაოდან კომკავშირული კადრი ო. სალაძე. ასევე მოექცნენ გაზეთის რედაქტორ ო. ჯაყელს, რომელიც დირექტორად გაგზავნეს სკოლაში. საკმარისზე მეტი ხმაური მოჰყვა რაიკომის მდივნის ა. ტაკიძის მოხსნის სამზადისს.

1955 წელს პარტიულ კონფერენციაზე კადრებისადმი ამგვარი დამოკიდებულების შესახებ მკაცრად გაილაშქრა კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ალექსანდრე დავითაძემ, მას მხარი დაუჭირეს წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯ. ბერიძემ, განათლების განყოფილების გამგემ რ. ბერიძემ, ვაიოს სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. ბერიძემ.

ა. ტაკიძისადმი წაყენებული ბრალდებები უარყვეს დელეგატებმა და დაჟინებით მოითხოვეს მისი მდივნად არჩევა. მათ შეძლეს საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან დ. მამულაძესთან დაკავშირება, რომლის ჩარევით სამართალმა იზეიმა.

კონფერენციის შემდეგ პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია ვ. კიკვაძე, მეორე მდივნად, თ. სიხარულიძე, მდივნად – ა. ტაკიძე, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დამტკიცდა ა. გოგოლიშვილი, პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ – მ. ზაქარაძე.

ახლა იგონებენ, რომ ა. ტაკიძის გამო კონფერენციაზე მოვლინებული საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი კ. შავიშვილი პირადად დაკავშირებია დ. მამულაძეს და საქ. ცკ. პირველი მდივანს ვ. მჟავანაძეს, რომელთაგან მიუღია თანხმობა, ვინც ხალხს უნდა, ის აირჩიონო.

ვ. მჟავანაძე რამოდენიმეჯერ სტუმრებია რაიონს. ის მიდიოდა სოფლებში, ხვდებოდა ადამიანებს და უშუალოდ მათგან ისმენდა პრობლემების შესახებ. მისი უშუალობით წათამამებულ ვ. კიკვაძეს უთქვამს, გვიჭირს რელიგიური რიტუალების წინააღმდეგ ბრძოლაო.

–რა რიტუალებზეა საუბარიო? – უკითხავს დიდ სტუმარს.

– ლოცულობენ და მარხულობენო!

– ამის გამო სამუშაოს ხომ არ აცდენენო?

– არაო.

– მაშინ არაფერია, ვისაც სურს ილოცოს და იმარხოს, აამაღლეთ განათლება და ყველაფერი მოგვარდებაო.

საარქივო მასალებით და მოგონებებით დგინდება, რომ ადგილობრივი კადრები, რაც უფრო იმაგრებდნენ პოზიციებს, ხშირად გამოდიოდნენ კრიტიკულად და ცდი-ლობდნენ მოსახლეობის ინტერესების უკეთ დაცვას.

1951 წელს ისევ დაიწყო გასახლებები. ა. ტაკიძე თავის სოფელში, ხარაულაში მიუმაგრებიათ და უარი უთქვამს, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ო. სალაძე

საოლქო ღონისძიებაზე გამოსულა კრიტიკით გასახლებების უკანონობის გამო, ზემოთ ვთქვით, ა. დავთაძის კრიტიკული გამოსვლის შესახებაც.

ამგვარი პოზიცია აჭარის ინტერესების დამცველად დ. მამულაძის მოვლინებამ განაპირობა. მისი ადგილობრივი კადრებისადმი მზრუნველმა დამოკიდებულებამ განაპირობა ქედის რაიკომის პირველ მდივნად ამირან ანანიძის არჩევა 1957 წელს, მეორე მდივნად არჩეულ იქნა ა. ტაკიძე, მდივნად – ი. კოკობინაძე.

ამავე პერიოდში რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ნაკაშიძე, მალე არჩილ ტაკიძე საოლქო კომიტეტში გადაიყვანეს და მეორე მდივნად აირჩიეს ავთანდილ ლორთქიფანიძე, მდივნად – შურა ქორიძე.

1962 წლის 18 აპრილს რაიკომის პლენუმმა სამუშაოდან გაათავისუფლა ა. ანანიძე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და პირველ მდივნად აირჩიეს ვ. ნაკაშიძე, მეორე მდივნად – შ. ქორიძე. 1965 წელს მეორე მდივნად აირჩიეს შოთა სირაბიძე, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დამტკიცდა ვლადიმერ ბოლქვაძე, პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ – მიხეილ ზაქარაძე.

პარტიული მუშაკები იცვლებიან, ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობსდება: 1970 წელს რაიონში დამზადდა თამბაქო – 1300 ტონა, ყურძენი – 950 ტონა, ჩაი – 1626 ტონა, ხილი – 4100 ტონა, რძე – 829, ხორცი 520 ტონა და ა.შ. 1969 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჩაის ფაბრიკა, 1970 წელს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქედის ფილიალი, 1971 წელს რაიონული საავადმყოფო 120 საწოლზე, 1970-1971 წლებში აშენდა ვაიოსა და აბუქეთის ხიდები.

1970 წელს პარტიული კონფერენციის შემდეგ არჩეულ იქნა: პირველი მდივნად – ვ. ნაკაშიძე, მეორე მდივნად – შ. სირაბიძე, მდივნად – ფ. დიასამიძე. საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დამტკიცდა ავთანდილ ზანაქიძე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ – ნოდარ გათენაძე.

1971 წელს რაიონს კვლავ ეწვია ვ. პ. მჟავანაძე.

ამავე წელს, დეკემბერში, ვ. ნაკაშიძის გარდაცვალების შემდეგ პირველ მდივნად აირჩიეს შ. სირაბიძე, რაიკომის მდივნად – დარია თურმანიძე, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დამტკიცდა თამაზ გოგიაშვილი.

ცვლილებები მოხდა 1973 წელსაც: ამირან თავდგირიძე, აღმასკომის თავმჯდომარე სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და მის მაგივრად დაინიშნა მეორე მდივანი ფ. დიასამიძე შ. სირაბიძეც სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. მის ნაცვლად აირჩიეს არჩილ თავდგირიძე.

1974 წლიდან მეორე მდივნად აირჩიეს ელგუჯა გოგავა.

ბევრს ახსოვს, 70-იან წლებში როგორ გამძაფრდა ბრძოლა რესპუბლიკაში წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ. რატომღაც ამ საკითხებს ცკ უფრო ხშირად აჭარის მაგალითზე იხილავდა.

აღნიშნულის გამოძახილად იქცა რელიგიური მონათვლის ფაქტებზე მსჯელობა წონიარისის და ორცვის მაგალითზე. მაშინ კომუნისტების დიდი ჯგუფი დაისაჯა, მათ შორის თანამდებობის პირებიც. ბიუროზე დაისვა წონიარისის კოლმეურნეობის ეკონომისტის რიზა გოგიტიძის მოხსნის და პარტიიდან გარიცხვის საკითხი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხ. კვირიკაძეს საყვედური გამოუცხადეს. მან სიტყვა ითხოვა: ჩემზე მოცემულ სასჯელზე არაფერს ვამბობ, მაგრამ რიზა გოგიტიძე ობლად გაიზარდა, პატიოსანი კაცია და მოსახლეობაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით, თუ მას პარტიიდან გარიცხავთ, მე უარს ვაცხადებ კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაზე და ვტოვებ პარტიულ ბილეთსო.

ნიშანდობლივი ფაქტია.

ბიურომ რ. გოგიტიძე აღარ გარიცხა პარტიიდან, თანამდებობაც შეუნარჩუნა. ასე რომ, ბიუროს სხდომები ამიერიდან მარტო დასჯითი ქმედება კი არა ჰუმანურობითაც გამოირჩეოდა.

1975 წელს ე. გოგავა შეცვალა ვ. ბოლქვაძემ.

1979 წელს დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „აჭარის ასსრ მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ," რომელსაც მიეძღვნა 1979 წლის 10 აპრილის პლენუმი. ეს გახლდათ ცნობილი 103-ე დადგენილება, რამაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პერიოდის აჭარის მთიანი რეგიონის დაწინაურების თვალსაზრისით.

პლენუმმა დაამტკიცა დადგენილების შესრულების ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც ცხოვრების ყველა სფერო იყო ასახული: გზების გაყვანა, ავტობაზის გაზრდა, საბაგირო გზების გაკეთება, ახალი სკოლების აგება, ხიდების აშენება და ა.შ.

ფაქტობრივად პარტიის ქედის რაიკომმა 80-იანი წლები ამ დადგენილების შესრულებას მოახმარა, თუმცა ხელმძღვანელთა ინიციატივით, ზოგი რამ იცვლებოდა უფრო მეტად საჭიროების მიხედვით.

1983 წლის 4 აპრილს რაიკომის პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პირველი მდივნობიდან გაათავისუფლა ა. თავდგირიძე და პრველ მდივნად აირჩია მიხეილ მახარაძე.

მალე ცვლილებები შეეხო სხვა თანამდებობებსაც: ვ. ბოლქვაძის ნაცვლად მეორე მდივნად აირჩიეს თ. გოგიაშვილი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ – ი. თებიძე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დამტკიცდა ნოდარ ბარამიძე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ – თამაზ აბულაძე.

ცვლილებები 80-იან წლების ბოლომდე გაგრძელდა. მალე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გათავისუფლდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფრიდონ დიასამიძე და მის ნაცვლად დაინიშნა თ. გოგიაშვილი. მეორე მდივნად აირჩიეს ილია თებიძე, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ვახტანგ ბერიძე (ერთი წლის შემდეგ გიორგი ბერიძე). 80-იანი წლების მეორე ნახევარში დარია თურმანიძე დაინიშნა განათლების განყოფილების გამგედ და მის ნაცვლად არჩეულ იქნა ეთერ ნინიძე, მეორე მდივნად არჩეულ იქნა ნოდარ ბარამიძე, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ თამაზ აბულაძე გაამწესეს, ხოლო პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ – ლევან ოტოლაძე.

რაიკომმა არაერთი ცვლილება განახორციელა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, მრეწველობაში და მომსახურების სფეროში, მაგრამ მათზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

ვთქვი დასაწყისში და გავიმეორებ: ყველა დონეზე უმაღლესი ხელმძღვანელი იყო პარტია, ამიტომ 80-იანი წლების პარტიული მონაგარიდან ჩამოვთვლი ზოგიერთს, ესენია: მახუნცეთის, პირველი მაისის, ქედის, ცხმორისის კაპიტალური ხიდები, ხარაულის, დანდალოს, გოგიაშვილების, ცენტრი ცხმორისის, წონიარისის, ოქტომბრის სკოლები, ქედის კულტურის სახლი, საკონსერვო ქარხანა ზვარეში, ხარაულის, ვაიოს და მერისის ბაგა-ბაღები და ა.შ.

რაიკომის პირველი მდივანი ამ მშენებლობების საქმის მწარმოებლად იყო ქცეული.

„დიდი" პარტიული მონაგარი აქვს კომპარტიის 70-წლიან მოღვაწეობას საქართველოში. იყო დიდი წარმატებებიც, მაგრამ იყო შეცდომებიც, იყო ბრძოლა ნაკლოვანებების წინააღმდეგ და მაინც გამეფებული იყო კორუფცია ყველა სფეროში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ღვივდებოდა სსრკ საფუძველში ჩადებული ნაღმი – 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების ვითომდა ნებაყოფლობითი კავშირი. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, რამაც კომუნისტურ მმართველობას, ერთპარტიულობას, საფუძველი ჯერ მნიშვნელოვნად შეურყია, მერე სულ გამოაცალა. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივნები 1926-1991 წლებში

ეუბ ნაკაშიძე. 1926-1929 წ.წ.

ხუსეინ ჯინჭარაძე 1929-1930 წ.წ.

მ. ჭაკნელიძე 1930-1931 წ.წ.

დავით ძნელაძე 1931-1933 წ.წ.

ფოტოსურათი არ მოიპოვება

აბდულ ხალვაში. 1933-1937 წ.წ.

სელმან ლორთქიფანიძე, 1937.04-1937.08.

დიომიდე ხელაძე, 1937-1941 წ.წ.

კარლო ლომაძე,1941-1944 წ.წ.

ოქრო ბერიძე, 1944-1949 წ.წ.

სერგო ესაძე, 1949-1952 წ.წ.

ვლადიმერ კიკვაძე, 1952-1957 წ.წ.

ამირან ანანიძე, 1957-1962 წ.წ.

ვლადიმერ ნაკაშიძე, 1962-1971 წ.წ.



შოთა სირაბიძე,1971-1973 წ.წ.

არჩილ თავდგირძე, 1973-1983 წ.წ.

მიხეილ მახარაძე, 1983-1991 წ.წ.

რაისაბჭოს აღმასკომი

ქედის მაზრის რევკომი 1921 წლის მარტში შეუდგა მუშაობას. თავმჯდომარედ აირჩიეს აბდულ ეფენდი ღოღობერიძე, მდივნად – რემზი თორნიზადე (ცინცაძე, ცხემნიდან). 1922 წლის იანვრიდან შეიქმნა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და რევკომმა შეწყვიტა მუშაობა. ასე იყო სხვა მაზრებშიც. მაზრის აღმასკომში აირჩიეს 7 კაცი და 5 განყოფილება.

1921-1922 წლებში სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე იყო მოედინ სურმანიძე.

1922 წლის დეკემბრიდან აღმასკომის თავმჯდომარედ მემედალი დიასამიძე აირჩიეს (ზენდიდიდან), მოედინ სურმანიძე 1922-1924 წლებში მაზრაში. ხელმძღვანელობდა განათლების და ჯანმრთელობის დარგს. 1924 წლის დეკემბრიდან 25 წლის თებერვლამდე მოედინ სურმანიძე კვლავ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეა. 1925 წლის 15 თებერვლიდან ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ დაინიშნა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი სულეიმან ლორთქიფანიძე.

სამაზრო აღმასკომის მუშაობა შეეხებოდა სოფლად სკოლების გახსნის, სამეზობლო დავების მოწესრიგებას, ზრუნავდა გზების გაყვანა-შეკეთებაზე, მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდებაზე.

1925 წლის 20 ოქტომბერს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე სულეიმან ლორთქიფანიძე მეორედ დაინიშნა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად. მის მაზრის აღმასკმის თავმჯდომარეობის დროს დამთავრდა ქედის კაპიტალური ხიდის მშენებლობა, რომელიც დაიწყო 1924 წლის ზაფხულში.

1925 წლის 26 ოქტომბერს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ს. ლორთქიფანიძის ნაცვლად არჩეულ იქნა ჯემალ აბულაძე.

1926 წლიდან 1929 წლის ოქტომბრამდე ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე იყო ხუსია (ხუსეინ) მუსტაფის ძე სურმანიძე, 1901 წელს დაბადებული სოფელ ძენწმანში. 1929-1931 წლებში მუშაობდა ბათუმის მილიციის სამმართველოს უფროსად, 1931-1933 წლებში ის ეუბ ნაკაშიძესთან ერთად სწავლობდა მოსკოვის ი. სტალინის სახელობის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეროვნულ – პარტიული მუშაკების კურსებზე, შემდეგ დაინიშნა ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1936 წლის 7 მარტიდან აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

1930 წლიდან შეიქმნა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

1931 წელს შეიქმნა ქედის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ზექერია ბერიძე, მოადგილედ – ხუსეინ ნაკაშიძე.

რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის სტილის და მიმართულების შესახებ გთავაზობთ ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგს:

1931 წლის 10 ოქტომბერი.

1. 1932 წლის თამბაქოს რგვის სამუშაოები.
2. სასოფლო გზების მშენებლობის შესახებ.
3. ცხმორისის კოოპერატივის მოხსენება.
4. ცხმორისის საწარმოო წერტის მოხსენება.
5. ცხმორისის კოლმეურნეობის მოხსენება.
6. სოციალისტური მესაქონლეობის განვითარების შესახებ.
7. საშემოდგომო თესვითი შედეგები.
8. ქედის კოლმეურნეობის სკოლის მოხსენება.
9. ქედის საწარმოო წერტის მოხსენება.
10. ვაიოს საფეიქრო სახელოსნოს მოხსენება.

11. ვეტერინარული პუნქტის მოხსენება.
12. ზვარის კოოპერატივის მოხსენება.
13. ზვარის სას. საწარმოო წერტის მოხსენება.
14. თამბაქოს დამზადების მიმდინარეობა.
15. საზამთრო ხილის დამზადების მიმდინარეობა.
16. საცხოვრიას კოლმეურნეობის მოხსენება.
17. სოფ. საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ.
18. საქონლის, ქათმის და კვერცხის დამზადების მიმდინარეობა.
19. მეწაღეთა არტელის მოხსენება.
20. საბჭოს დათვალიერებაზე მითითება შემოწმება.
21. სოფ. მეძიბნის კოლმეურნეობის მოხსენება.
22. ზენდიდის სამაზრო სკოლის მოხსენება.
23. მასწავლებელთა მომარაგების მდგომარეობა.
24. ქედის რაისაავადმყოფოს მოხსენება.
25. სასწ. წლის დაწყების შედეგები.
26. წითელი მთვარის სარაიონო კომიტეტის მოხსენება.
27. ქედის რაიკოოპერატივის მოხსენება.
28. რაიონში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.
29. მერისის კოოპერატივის მოხსენება.
30. მერისის საწარმოო წერტის მოხსენება.
31. მერისის საკოლმეურნეო სკოლის გამგის მოხსენება.
32. ნოემბრის თვის ფულადი სახსრები.
33. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მდგომარეობა.
34. საკოლმ. მშენებ. შედეგები და ამოცანები.
35. საგაზაფხულო თესვის კამპანიის საკონტ. ციფრები.
36. კულტმშენებლობის მდგომარეობა რაიონში.
37. ქედის რაიკლუბის მოხსენება და სხვა.

ადვილი მისახვედრია აღმასკომში დასაქმებულთა წიგნიერების დონე, საკითხებისადმი მიდგომის პუნქტუალობა, დაწვრილებით, რეგლამენტაცია... განხილვის დონე კიდევ უფრო ააშკარავებს, როგორ უჭირთ დამწყებ ხელმძღვანელ რგოლებს. თემსაბჭოებისა და კოლმეურნეობების საარქივო მასალებს გადახედეთ, ცხადი გახდება, წერა-კითხვის მცოდნე თითქმის არავინ იყო. მდივნებს დირექტივებს ზემდგომი უგზავნიდა, რომ საქმეს „საქმიანი სახე" მისცემოდა.

რაისაბჭოს აღასკომის საქმიანობა იმდენად დაწვრილმანებული იყო, რომ თემებსა და საბჭოებს ბაზრობაზე გასატან ვაშლისა და მსხალის რაოდენობასაც უგეგმავდა.

დღეს ბალაძეებისა და გეგელიძეების მოსახლეობა ანეკდოტად იხსენებს, როგორ გაინაწილეს გვანცას წყალი სარწყავად. ერთმა მხარემ ივლის-აგვისტო-სექტემბერი მიიღეს, მეორე მხარემ დანარჩენი ცხრა თვე და კმაყოფილი დარჩნენ, სად ცხრა და სად სამი, არადა იოლი მისახვედრია რომ ამ სამ თვესაა წყალი საჭირო, დანარჩენ დროს უსარგებლოდ მოედინება.

აღმასკომს ორი სოფლის დავა ასე გადაუწყვეტია – თუ ბალაძეების მოსახლეობას უწყლობის გამო გაუჩერდა წისქვილი, ისარგებლოს გეგელიძეების არხის წყლითო.

ბედის ირონიაც გამოსჭვივის საარქივო მასალებში. 1936 წელს რაიკომის მდივანი ა. ხალვაში და აღმასკომის თავმჯდომარე ნაკაშიძე ჯილდოზე წარადგინეს, ერთი წლის შემდეგ კი უმაღლესი სასჯელი მიუზღეს.

1936 წლის 19 აგვისტოს აჭარის ცაკმა ქედის აღმასკომის თავმჯდომარედ დაამტკიცა მურად ბერიძე. მაგრამ 1937 წლის 10 აგვისტოს პლენუმმა ის გაათავისუფლა

თანამდებობიდან, როგორც კონტრრევოლუციონერი.

აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ისმაილ ძნელაძე. სულ მალე კი ჯემალ გოგოლიშვილი, რომელიც 10 სექტემბერს გაათავისუფლეს, როგორც ტროცკისტი და მოვალეობის შესრულება დაევალა ჯემალ კაკაბაძეს.

ეს „უდღეური" ცვლილებები უპირველესად რეპრესიებით იყო განპირობებული. ამავე თვეში იგივე მიზეზით შეიცვალა თითქმის ყველა სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე.

1939 წელს ქედის რაიაღმასკომმა დაამტკიცა არტელის (კოლმეურნეობის) წესდება, რითაც ერთხელ კიდევ გაიზარდა საზოგადოებრივი სექტორის მიწები – ქედის საბჭოში 990 ჰექტარამდე, პირველ მაისში - 820 ჰა, ალიქოღლების საბჭოში - 670, მერისში - 1240, ზვარეში - 1690, ცხმორისში - 1240, დანდალოში - 960 ჰექტარის ოდენობით. სულ ქედის კოლმეურნეობების მფლობელობაში გადავიდა 8335 ჰექტარი, აქედან: სახნავი - 3147 ჰექტარი.

1939 წლიდან რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს სიხალიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხუსია დუმბაძე, ამავე წლის მაისიდან თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს სკენდერ ჭანკურიძე.

1941 წლის იანვრიდან სექტემბრამდე თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა შ. სურმანიძე, სექტემბრიდან ოსმან ცინცაძე, ხოლო 1942 წლიდან ხუსეინ მეგრელიძე. ამ დროს რაიონში ყველა სფერო სამხედრო ყაიდაზეა გადასული. აღმასკომი ეხმარება ფრონტელთა ოჯახებს ფულითა და სასურსათო პროდუქტებით, 1945 წლისათვს 12 კოლმეურნეობაში დაიგეგმა აბანოების მშენებლობა.

აქამდე აღმასკომის მთელი ისტორიის განმავლობაში პერიოდულად ხორციელდებოდა გეგმიური ჩასახლებები ბათუმის და ქობულეთის რაიონებში. ეს აქცია ჩატარდა 1945 წელსაც. დანდალოს სასოფლო საბჭოდან ბათუმის რაიონში ჩასახლდა 35 კომლი, ცხმორისიდან 32, ზვარიდან 47, ქედიდან 62, მერისის საბჭოდან 28, ოქტომბრიდან 25, პირველი მაისიდან 24 და მახუნცეთიდან 19 კომლი.

საინტერესოა აღასკომის მზრუნველობა მრავალშვილიან დედებზე. 1946 წელს მეექვსე შვილის დაბადებაზე უმიან ჯინჭარაძეს მიეცა 2000 მანეთი, მერიემ მორთულაძეს მეხუთე შვილის დაბადებაზე 1700 მანეთი, ფადიმე თებიძეს მეშვიდე შვილზე 2500 მანეთი და ა.შ.

1949 წლის ოქტომბრიდან აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ლ. დიასამიძე. საინტერესო წამოწყებაა: აღმასკომი თამბაქოს გეგმების შესრულებისთვის ფულადი სახით აჯილდოებს გარკვეულ პირებს. 1946 წლისათვის ერთდროულად დაჯილდოვდა 20 კოლმეურნე. იზრდება წვრილფეხა პირუტყვის ოდენობა და მათთვის ზამთრის საძოვრებად ქედას გამოეყო ტერიტორიები: სამტრედიის, ვანის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ქუთაისის, წყალტუბოს რაიონებში.

1950 წელს სესიამ ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ლევან დიასამიძე, მოადგილედ ვახტანგ ჩხეიძე, მდივნად – სარდიონ ბეჟანიძე, დამტკიცდა განყოფილებათა გამგეები.

1955 წლის რაიონული საბჭოს მეხუთე მოწვევის პირველმა სესიამ აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ვლადიმერ ნაკაშიძე, მოადგილედ სერგო თურმანიძე, მდივნად ჯულიეტა მიქელაძე.

1956 წელს არტელის წესდებით განისაზღვრა საკარმიდამო მეურნეობაში პირუტყვის ყოლის ნორმა: ძროხა 1-3 სული, ცხვარი და თხა 20 სულამდე, ერთი ცხენი, ერთი ჯორი, ფუტკარი 25 ოჯახამდე, ფრინველი განუსაზღვრელი ოდენობით. ამ წელს კოლმეურნეობებს მოეხსნათ გამოჩენილ პირთა სახელები და სოფლის სახელები ეწოდათ\.

აღმასკომის პრაქტიკაში კვლავ დამკვიდრებულია და ხშირად ხდება მოწინავე

მშრომელთა ჯილდოებზე წარდგენა. 1957 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა 19 პირი.

1962 წლის 2 სექტემბრიდან 1973 წლის 28 ივნისამდე ქედის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა ამირან თავდგირიძე. ახლა მას ორი მოადგილე ჰყავს: შ. ჩხაიძე და ვ. ბოლქვაძე. ამათი მოღვაწეობის დროს გაიხსნა სამრეწველო საწარმოები, გადაიარაღდა ქედის ღვინის ქარხანა.

1973 წლიდან აღმასკომის თავმჯდომარე გახდა ფრიდონ დიასამიძე.

1974 წელს აშენდა დღევანდელი რაიონის გამგეობის და საკრებულოს შენობა, ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორცვისა და პირველი მაისის ხიდები, ცხმორისის, ახოს, წონიარისის სკოლები, სოფელ ცხმორისის ბაგა-ბაღი. 70-იან წლებში დაიწყო კერძო სექტორში თამბაქოს წარმოება, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ვთქვით უკვე, რომ ის დაკავშირებულია საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვახტანგ პაპუნიძის მოღვაწეობასთან.

1985-1991 წლებში ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო თამაზ გოგიაშვილი. სხვადასხვა დროს მის მოადგილეებად მუშაობდნენ; ვ. ბერიძე, გ. ბერიძე, ი. თებიძე, უკვე მიღწეული იყო: ყველა სოფელში მუშაობდა ავტობუსი, მაღაზია, პურის საცხობი, პრობლემად აღარ ითვლებოდა სწავლა-განათლება და კულტურული მომსახურება.

გთავაზობთ აღმასკომის თავმჯდომარეთა, სრულ ჩამონათვალს:

– მოედინ სურმანიძე – 1921-1922 წ.წ.
– მემედალ დიასამიძე – 1922-1924 წ.წ.
– სულეიმან ლორთქიფანიძე – 1925წ. 15 თებერვლიდან
– ჯემალ აბულაძე – 1925 წლის 26 ოქტომბრიდან
– ხუსია სურმანიძე – 1926-1929 წ.წ (1929 წლის 1 ოქტომბრიდან სამაზრო აღმასკომი შეიცვალა რაიონულით)
– ზექერია ბერიძე – 1929-1933 წ.წ.
– ჯემალ გოგოლიშვილი – 1933-1935 წ.წ
– ეუბ ნაკაშიძე – 1935-1936 წ.წ
– მურად ბერიძე – 1936 წლის მაისიდან დეკემბრამდე
– ისლამ ძნელაძე – 1936-1937 წ.წ.
– ჯემალ გოგოლიშვილი 1937 წლის ივლისიდან აგვისტომდე.
– ჯემალ კაკაბაძე – 1937-1938 წ.წ.
– ახმედ ბარამიძე – 1938 წ. იანვარ-თებერვალი
– ქაზიმ ჯიჯავაძე – 1938 წ. მარტი-ივნისი
– ხუსია დუმბაძე – 1938-1940 წ.წ.
– სკენდერ ჭანკურიძე – 1940-1942 წ.წ.
– შუქრი სურმანიძე – 1942 წ. იანვარი-სექტემბერი
– ოსმან ცინცაძე – 1942 წ. სექტემბერი-დეკემბერი
– ხუსეინ (კარლო) მეგრელიძე – 1942-1949 წ.წ
– ლევან დიასამიძე – 1949-1954 წ.წ.
– ვლადიმერ ნაკაშიძე – 1954-1962 წ.წ.
– ამირან თავდგირიძე – 1962-1973 წ.წ.
– ფრიდონ დიასამიძე – 1973-1985 წ.წ.
– თამაზ გოგიაშვილი – 1985-1991 წ.წ.

ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეები

მოედინ სურმანიძე 1921-1922 წ.წ 1924.12-1925.02

მემედალი დიასამიძე 1922-1924

სულეიმან ლორთქიფანიძე 1925.15.02-1925.20.10

ჯემალ აბულაძე 1925 წ.

ხუსია სურმანიძე 1926-1929 წ.წ

ქედის ჰაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები 1929-1991 წ.წ.

ზექერია ბერიძე 1929-1933

ჯემალ გოგოლიშვილი 1933-1935-1937 06.-08

ეუბ ნაკაშიძე 1935-1936

მურად ბერიძე 1936 05.12

ისლამ ძნელაძე 1936-1937

ჯემალ კაკაბაძე 1937-1938

ახმედ ბარამიძე 1938-01.02

ქაზიმ ჯიჯავაძე 1938-03.06

ხუსია დუმბაძე 1938-1940

სკენდერ ჭანკურიძე 1940-1942

შუქრი სურმანიძე 1942.06.09

ოსმან ცინცაძე 1942.09.012

კარლო მეგრელიძე 1942-1949

ლევან დიასამიძე 1949-1954

ვლადიმერ ნაკაშიძე 1954-1962

ამირან თავდგირიძე
1962-1973

ფრიდონ დიასამიძე 1973-1985

თამაზ გოგიაშვილი 1985-1991

ხაიონელი განყოფილებების და კომიტეტების ხელმძღვანელები

ხაიონის საფინანსო განყოფილების გამგეები

– ბიჭიკო უსტიაშვილი, ისმაილ თავდგირიძე, ხუსეინ დოლიძე – 1931
– ოსმან აბულაძე – 1934-1937
– შ. დიასამიძე – 1937 (რეპრესირებული)
– შუქრი სურმანიძე – 1937-1940
– სულეიმან სურმანიძე – 1940-1952
– ვახტანგ ქობულაძე – 1952-1971
– რეზო ღოღობერიძე – 1971-1990
– ჯამბულ თურმანიძე – 1994-2005
– ნიაზ დიასამიძე – 2005-2007

სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეები

ავთანდილ ლორთქიფანიძე


რეზო შერვაშიძე

ავთანდილ ზანაქიძე

ნაზიმ ფარტენაძე

ნური სალაძე

– ავთანდილ ლორთქიფანიძე – 1964-1969
– რეზო შერვაშიძე – 1969-1971
– ავთანდილ ზანაქიძე – 1971-1980
– ნაზიმ ფარტენაძე – 1980-1987
– ნური სალაძე – 1987-1991

საქართველოს ალკკ ქედის რაიკომი

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ქედის სამაზრო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1921 წელს და ყველა იმ საქმის აქტიური მონაწილე იყო, რასაც აკეთებდა სამაზრო საბჭოს აღმასკომი თემსაბჭოებთან ერთად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი წვლილი ახალგაზრდობის სწავლაში ჩაბმაში. შემდგომშიც კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „ტოზების" და არტელების ჩამოყალიბებაში.

1924 წელს დაიწყო კომკავშირელთა მიღება პარტიაში. 1925 წელს უკვე 25 წევრი იყო, რომელთაგან უმრავლესობა კომკავშირიდან მოვიდა.

კომკავშირის ხელმძღვანელი პარტია იყო და, რა თქმა უნდა, ისიც უშვებდა იმ შეცდომებს, რაც პარტიას ახასიათებდა.

1928 წელს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ჩადრის ახდის შესახებ". კომუნისტებს და კომკავშირელებს დაევალათ თავიანთი ცოლების, დების და დედებისთვის უარი ეთქმევინებინათ ჩადრის ტარებაზე.

ჩადრის ახდაზე შეტევა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიისა და კომკავშირის ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

პარტია კომკავშირს ტაბელურ იარაღს აძლევდა და მათ იყენებდა მტრული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1930 წლისათვის რაიონის კომკავშირი აერთიანებდა 238 ახალგაზრდას. აქედან ვაჟი 228, ქალი 10, ღარიბი 152, მოსამსახურე 40, მოჯამაგირე 10, მუშა 4, აჭარელი (30-იან წლებში აჭარელი ცალკე ეროვნებად იწერებოდა) – 202, ქართველი - 27, თურქი - 4, ბერძენი - 2, სომეხი - 2.

კომკავშირმა დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომში. ქედიდან გაწვეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი კომკავშირელი იყო. ქედის კომკავშირელებმა დიდი როლი შეასრულეს სატანკო კოლონების, ავიაესკადრილების და სხვათა აგების საქმეში მონაწილეობით. ქართულ სატანკო კოლონაში, რომელიც ახალგაზრდობის ძალით აიგო, ქედელმა კომკავშირელებმა 170000 მანეთი შეიტანეს.

კომკავშირი იყო აღზრდის სკოლა. ქედის კომკავშირის არაერთი აღზრდილი დაწინაურდა საპასუხისმგებლო უბნებზე. ისინი აქტიურობდნენ და შემტევი პოზიციით გამოირჩეოდნენ. 1951-1955 წლებში კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივნებმა ოთარ სალაძემ და ალექსანდრე დავითაძემ აქტიურად გაილაშქრეს 1951 წელს გადასახლებისა და ადგილობრივი კადრებისადმი დამოკიდებულებაში დაშვებული შეცდომის გამო.

კომკავშირის რაიკომის მდივნები

–მურად ლორთქიფანიძე – 1921-1923 წ.წ.
– ეუბ ნაკაშიძე – 1923-1926 წ.წ.
–ხუსია ნაკაშიძე – 1926-1930 წ.წ.
–ზ. დევაძე –1930-1934 წ.წ.
– ი. დიასამიძე – 1934-1935 წ.წ.
– შუქრი დიასამიძე – 1935-1936 წ.წ.
– დურსუნ მჟავანაძე – 1936-1937 წ.წ. რეპრესირებული.
– მურად ნიჟარაძე – 1937-1939 წ.წ.
– მემედ თხილაიშვილი – 1939-1942 წ.წ.
– ხელილ დიასამიძე – 1942-1946 წ.წ.
– მემედ ბოლქვაძე – 1946-1951 წ.წ.
– ოთარ სალაძე – 1951-1952 წ.წ.

– ალექსანდრე დავითაძე – 1952-1956 წ.წ.
– ფრიდონ დიასამიძე – 1956-1959 წ.წ.
– კირილე ბერიძე – 1959-1962 წ.წ.
– ვლადიმერ ბოლქვაძე – 1962-1965 წ.წ.
– ნათელა გათენაძე – 1965-1968 წ.წ.
– იოსებ თავდგირიძე – 1968-1969 წ.წ.
– დარიკო თურმანიძე – 1969-1972 წ.წ.
– ილია არძენაძე – 1972-1976 წ.წ.
– გიორგი ბასილაძე – 1976-1977 წ.წ.
– ნუნუ ავალიანი – 1977-1983 წ.წ.
– მურმან დავითაძე – 1983-1985 წ.წ.
– ზურაბ მამუჭაძე –1985-1989 წ.წ.
– დავით გათენაძე – 1989-1991 წ.წ.

სამართალდამცავი ორგანოები ქედის ჰაიონში

სამართალდამცავ ორგანოებს საინტერესო და მრავალმხვრივი ისტორია აქვს. ქვეყნის შინაგან საქმეებს – უფრო სწორად დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა და ორგანიზაციების კონსტიტუციური უფლებების დაცვას ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 1921-1930 წლებში აჭარაში სამართალდამცავი ორგანოები წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურით: იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები, საგანგებო კომისია. (1927 წლის აგვისტოდან 1938 წლამდე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო). უმაღლესი, ქალაქ ბათუმისა და მაზრების სახალხო და საშარიათო სასამართლოები, უმაღლეს სასამართლოსთან არსებული პროკურატურა, რევოლუციური ტრიბუნალი (აჭარის საბჭოების ყრილობები და დოკუმენტებისა და მასალების კრებული, ბათუმი 1973 წელი, გვ. 7-49).

1921 წლის 18 მარტს შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, 20 მარტს – საოლქო რევკომი.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის №54 დეკრეტით – „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოწყობის შესახებ" საფუძველზე შეიქმნა აჭარის სახალხო კომისართა საბჭო, სახალხო კომისარიატები, მათ შორის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

რევკომის 1921 წლის 20 მარტის დადგენილებით შეიქმნა ბათუმისა და მისი ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის განყოფილება. 1926 წლის 6 ოქტომბერს შეიქმნა ბათუმისა და მისი ოლქის მილიციის სამმართველო.

1922 წელს შექმნილ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში იყო განყოფილებები: საერთო, სამისამართო მაგიდა, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო, საანგარიშო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ექვემდებარებოდა სამაზრო აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებები.

ქედის ჰაიონის მილიციის უფროსები

1. შტუმახერი - 1921 წლის III-V
2. ზემი-ეფენდი თორნიზადე - 1921 წლის V-IX
3. კონსტანტინე არჯევანიძე - 1921 წლის IX
4. მურად ბერიძე - 1922 - 1924 წ.წ
5. ზექერია ბარამიძე - 1924-1925 წ.წ.

6. ახმედ ბარამიძე - 1925-1926 წ.წ
7. ხულუს დევაძე - 1926 - 1928 წ.წ
8. მურად ბერიძე - 1928 - 1933 წ.წ

მურად ხუსეინის ძე ბერიძე (თაბაქოღლი) დაიბადა 1895 წელს, ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში. 1922 წლის აპრილიდან დაინიშნა ახლადშექმნილი ქედის რაიონის მაზრის მილიციის უფროსად, სადაც მუშაობდა 1924 წლამდე, შემდეგ – 1928-1933 წლებში კვლავ ქედის რაიონის მილიციის უფროსია, ხოლო 1933 წლის 15 ივნისიდან 1936 წლის 22 აპრილამდე ქედის რაიონის მიწგანის გამგე;

მურად ბერიძე 1936 წლის 22 აპრილიდან 1936 წლის დეკემბრამდე ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, ხოლო 1936 წლის დეკემბრიდან 1937 წლის 23 ივნისამდე ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; 23 ივნისს უსაფუძვლოდ დააპატიმრეს და 17 სექტემბერს დახვრიტეს.

9. უ. თავართქილაძე - 1933 - 1936 წ.წ

1941 წლის 6 სექტემბრიდან აჭარის შინაგან საქმეთა და უშიშროების სახალხო კომისარიატები გაერთიანდა და 1945 წლის აგვისტოდან კვლავ გაიყო.

10. შუქრი თალიბის ძე დევაძე - 1937-1938წ.წ.
11. დაუთ ასამბაძე - 1938-1949 წ.წ.
12. ქესკინ დავითაძე - 1949 - 1950 წ.წ.
13. დავით კოტრიკაძე - 1950 - 1957 წ.წ.
14. დაუთ ასამბაძე 1957 - 1959 წ.წ.
15. ნოდარ ცეცხლაძე - 1959 - 1963 წ.წ.
16. ისკენდერ ბოლქვაძე - 1963 - 1964 წ.წ.
17. ვახტანგ კონცელიძე - 1964 - 1966 წ.წ.
18. კარლო დევაძე - 1966 - 1970 წ.წ.
19. ბუდუ ნამგალაძე - 1970 - 1974 წ.წ.
20. შუქრი გოგმაჩაძე - 1974 - 1976 წ.წ.
21. ილია ჯორთმენაძე - 1976 - 1980 წ.წ.
22. გოგი სურმანიძე - 1980 - 1985 წ.წ.
23. ოთარ სურმანიძე - 1985 - 1992 წ.წ.
24. გრიშა ანანიძე - 1992 - 1995 წ.წ.
25. ნოდარ შერვაშიძე - 1995 - 2003 წ.წ.
26. თეიმურაზ შავიშვილი - 2003 - 2005 წ.წ.
27. ასლან შარაბიძე 2005 - 2006 წ.წ.
28. გივი მამულაიშვილი - 2006 - 2007 წ.წ.
29. რაულ ბარამიძე 2008-2013 წ.წ.
30. ემზარ ბერიძე - 2013 წლიდან.
31. რესან კონცელიძე 2014-2016 წ.წ.

დაუთ ასამბაძემ შინაგან ორგანოებში მუშაობა 1931 წელს დაიწყო, რიგით მილიციელად. 1933 - 1938 წლებში ათმეთაური და უბნის ინსპექტორი იყო.

ყველაზე დიდ გამოცდილებად დაუთისათვის ავადსახსენებელი 1937 წლის რეპრესიების პერიოდი იქცა, რაც მასობრივად დაპატიმრების, უსაფუძვლო დაბეზღების, შიშის, ეჭვისა და უნდობლობის ფონზე მიმდინარეობდა. ასამბაძეს, როგორც, ათმეთაურს, სხვათა ბრძანების შესრულება ეკისრებოდა, ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანთა დაჭერასაც ავალებდნენ, რაზედაც უარის თქმა არ შეეძლო, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკუთარი მრწამსისათვის არასოდეს უღალატია. კრიტიკულ სიტუაციაში დაუთი ყოველთვის დაუწერელი კანონით მოქმედებდა... იქცეოდა ისე, როგორც საკუთარი სინდისი კარნახობდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის, როგორც ჩეკისტისთვის, დიდ

რისკთან იყო დაკავშირებული. ამას ღირსეულად გაართვა თავი, რითაც ავტორიტეტიც მოიხვეჭა და კაცური ადამიანის სახელიც დაიმკვიდრა.

„თავს უშველეო!" – შეუთვლიდა დაჭერისა და გადასახლებისათვის უსამართლოდ შავ სიაში მოხვედრილს". მრავალი მათგანი გადამალულა, ან თურქეთში გაქცეულა და სიცოცხლე შეუნარჩუნებია. კეთილსინდისიერი შრომისათვის დაუთ ასამბაძე დააწინაურეს და 1938 ქედის რაიონის მილიციის უფროსად დანიშნეს, სადაც 1949 წლამდე მუშაობდა.

შემდეგ მუშაობდა ბათუმისა და ქობულეთის მილიციის უფროსად. 1951-1953 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსი, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა ჩეკისტმა; მან, როგორც სიტყვის კაცმა, სიცოცხლე მრავალჯერ საფრთხეში ჩაიგდო, ზოგჯერ დამნაშავეების დასაკავებლად უიარაღოდაც კი წასულა. იყო შემთხვევა, რომ საშიში დამნაშავე დაიჭირა და ზემდგომს აცნობა, თავისი სურვილით ჩაგვბარდა და იარაღიც ჩაგვაბარაო, ამით ის დამნაშავეს დანაშაულს უმსუბუქებდა.

„ერთხელ, ქობულეთის მილიციის უფროსად მუშაობისას, 50-მდე გლეხი გზის სამუშაოზე ჩაქვში ჩამოიყვანა.

იმ დღეს სოფელში ვიღაცის გასვენება ყოფილა, დაუთს პირობა დაუდია სოფელში უკან შუადღისას აგიყვანთო. წასვლის ჟამი რომ დამდგარა, მანქანა ვერსად უშოვიათ. ამ დროს სადგურში საყვირის თანხლებით ორთქლმავალი შემოსულა. ასამბაძეს მემანქანისათვის ხალხის ქობულეთში ჩაყვანა მოუთხოვია, მემანქანეს სასტიკი უარი უთქვამს, მაგრამ დაუთმა გლეხებზე მიცემული სიტყვა შეასრულა და ორთქლმავალით გლეხები ქობულეთში ჩაიყვანა. აღნიშნული საკითხი საქართველოს ცეკას მსჯელობის საგანი გამხდარა. ცენტრალური კომიტეტის მდივანს კანდიდ ჩარკვიანს განუცხადებია – „ასეთი ვაჟკაცი და ახოვანი მილიციის უფროსი თანამდებობიდან როგორ გავანთავისუფლოო" და საყვედურს დასჯერებია.

დაუთს არ სწყენია და უთქვამს: საყვედური სამართლიანად მომცეს და მეც სწორედ მოვიქეცი, გლეხებთან პირი რომ არ შევირცხვინეო (ჯ. სურმანიძის წიგნი „დაუთი", გვ. 38-39).

დ. ასამბაძე 1957-1959 წლებში კვლავ დაინიშნა ქედის რაიონის მილიციის უფროსად, ყველაზე უფრო მას ეჯავრებოდა სიტყვის გამტეხი, ორპირი ადამიანი. ამიტომ იყო, სიცოცხლეში არც სიტყვა გაუტეხია და არც თავი შეურცხვენია. იგი უყვარდათ, აფასებდნენ.

ბუდუ ნამგალაძე

ბუდუ ნამგალაძე დაიბადა 1921 წელს. 1943 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

1944 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგნოებში.

1965-1969 წლებში იყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1971 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1970-1974 წლებში მუშაობდა ქედის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად. იყო სამართლიანი, სიტყვის პატრონი. მან რაიონის მშრომელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, რის გამოც დღესაც ახსოვთ ქედელებს და ეხსომებათ მომავალშიც.

ილია ჯოხთმენაძე

ჯორთმენაძე ილია ალიოსმანის ძე დაიბადა 1944 წლის 15 ივნისს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1969 წელს დაამთავრა მილიციის სპეციალური სასწავლებელი, სპეციალობით იურისტი.

1975 წელს დაამთავრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი პოლიტიკური აკადემია ქ. ლენინგრადში, იურისტის სპეციალობით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორად, ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1976-1980 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად. 1980 წლიდან – ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ.

1986-1991 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის მილიციის უფროსად, შემდეგ ხელვაჩაურის რაიონის მილიციის უფროსად.

2004 წლიდან მუშაობდა ქ. ბათუმის მილიციის უფროსად.

1989 წლიდან არის მილიციის პოლკოვნიკი.

1976 წელს ის რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა მილიციის უფროსი იყო.

ი. ჯორთმენაძემ სადაც იმუშავა, ყველგან მშრომელი ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. მიღებული აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და ღირსების ორდენი.

ჩესან ჯონცელიძე

დაიბადა 1963 წლის 10 ივლისს, ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეებში. 1981-1983 წლებში იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს ქალაქ გორკში. 1983-1986 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში რიგით მილიციელად. 1986-1990 წლებში სწავლობდა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1990-1993 წლებში, სწავლა განაგრძო და თან პედაგოგიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა ქ. მოსკოვში, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ასპირანტურაში, 1993 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1993-1995 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსად, ხოლო 1995-1999 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1995 წელს მიენიჭა პოლიციის პოლკოვნიკის წოდება. 1999-2000 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უმაღლეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ პროკურორად. 2000-2001 წლებში კვლავ მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 2001-2004 წლებში კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 მაისის 1649 განკარგულებით მიენიჭა იუსტიციიის სახელმწიფო მრჩევლის (გენერლის) უმაღლესი საპატიო წოდება. 2004-2007 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2007-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს შშს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, დეტექტივების სამმართველოს უფროსად. 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის აპრილამდე მუშაობდა ქედის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსად. 2016 წლიდან ისევ გადაიყვანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს სამი მეცნიერული ნაშრომი იურისპუდენციაში მონოგრაფიის სახით. ასევე სამეცნიერო სტატიები საქართველოში საზღვარგარეთ. მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, მედალი – მხედრული მამაცობისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის მედალი, სხვა ჯილდოები. ქედის რაიონში ხანმოკლე მუშაობის პერიოდში მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მერაბ ანანიძე

მერაბ რეზოს ძე ანანიძე დაიბადა 1961 წლის 20 დეკემბერს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.

1978 წელს წარმატებით დაამთავრა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლა, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1984 წლის თებერვლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში რიგით მილიციელად, ქვეგანყოფილების ოცმეთაურად, 1992 წლის აპრილიდან უბნის ინსპექტორად, 1992 წლის დეკემბრიდან საგზაო პოლიციის ჯგუფის უფროს ინსპექტორად, 1993 წლის დეკემბრიდან მუშაობდა სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორად, ხოლო 1995 წლის აპრილიდან მერაბ ანანიძე დაინიშნა ქედის შინაგან საქმეთა განყოფილების ცხმორისის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად.

1994 წელს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

მერაბ ანანიძემ განვლო გზა რიგითი მილიციელიდან ქვეგანყოფილების უფროსამდე. მან თავისი მუშაობით რაიონის მოსახლეობისა და თანამშრომლების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ის მონაწილეობდა 1981 წლის იანვარში ცხინვალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბრძოლო მოქმედებაში. მიღებული ჰქონდა არაერთი მადლობა და ჯილდო.

მერაბ ანანიძე, მილიციის კაპიტანი, 2000 წლის 30 მარტს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ქედის რაიონის შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და პატიოსანი მუშაობით, რაიონის მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს ძმებმა მემედ და ლევან ასამბაძეებმა, გურამ ბერიძემ.

ქედის ჰაიონის მილიციის უფროსები 1957-2016 წლებში

დაუთ ასამბაძე

ნოდარ ცეცხლაძე

ისკენდერ ბოლქვაძე

ვახტანგ კონცელიძე

კარლო დევაძე

ბუდუ ნამგალაძე

შუქრი გოგმაჩაძე

ილია ჯორთმენაძე

გოგი სურმანიძე

ოთარ სურმანიძე

გრიშა ანანიძე

ნოდარ შერვაშიძე

თეიმურაზ შავიშვილი

ასლან შარაბიძე

გივი მამულაიშვილი

რაულ ბარამიძე

ემზარ ბერიძე

რესან კონცელიძე

ქედის ჰაიონის მოსამართლეები

1. ახმედ სურმანიძე – 1921 – 1924წ.წ.
2. მეჯიდ ტრიკიძე – 1924 – 1929 წ.წ.

1924 წლის 29 თებერვალს ქედის მაზრის აღმასკომის პლენუმმა აჭარის საოლქო სამმართველოს 14 თებერვლის №391 წერილის საფუძველზე ქედის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა მეჯიდ ტრიკიძე.

3. ხულუს ლორთქიფანიძე – 1929 – 1931 წ.წ.
4. თოფია ზოიძე – 1930 - 1931 წ.წ
5. შუქრი ალის ძე გოგიტიძე – 1931 – 1932 წ.წ.
6. სულეიმან ლორთქიფანიძე – 1933 – 1934 წ.წ.
7. შუქრი გოგიტიძე – 1934 – 1937 წ.წ.
8. ალექსანდრე ძიმისტარიშვილი – 1937-1942 წ.
9. ისმაილ გიორგაძე – 1942 წ. სექტემბერი – ნოემბერი
10. მამუდ თავდგირიძე – 1942 – 1954 წ.წ.
11. ნოდარ კირჩხელი – 1954 – 1956 წ.წ.
12. ვლადიმერ წულუკიძე – 1956 – 1970 წ.წ.

ვლადიმერ წულუკიძემ თავისი პატიოსანი და სამართლიანი მუშაობით ქედის რაიონის სასამართლოს ისტორიაში, 14 წლის განმავლობაში, ყველაზე დიდხანს იმუშავა მოსამართლედ და ქედის რაიონის მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

13. მიხეილ დიასამიძე – 1970 – 1976 წ.წ
14. რამაზ ჟღენტი – 1975 – 1976 წ.წ.
15. მამია ნაკაშიძე – 1976 – 1985 წ.წ.
16. დავით ანანიძე – 1985 – 1993 წ.წ.
17. ნარგიზ დიასამიძე – 1993 – 2006 წ.წ.

მოსამართლეები 1956-2006 ნლებში

ვლადიმერ წულუკიძე

მიხეილ დიასამიძე

რამაზ ჟღენტი

მამია ნაკაშიძე

დავით ანანიძე

ნარგიზ დიასამიძე

ქედის ჰაიონის ჰოჯუჰოჰები

1. ე. მეგრელიძე – 1927 წ.
2. ვლადიმერ ცინცაძე – 1933 - 1935 წ.წ.
3. შუქრი გოგიტიძე – 1934 - 1935 წ.წ.
4. შახზად ცეცხლაძე – 1935 წლის სექტემბრიდან
5. მეხსუდ ძნელაძე – 1936 წ. 15 დეკემბრიდან
6. აბდულ დუმბაძე – 1937 წ. 28 იანვრიდან
7. შუქრი ცინცაძე – 1938 - 1941 წ.წ
8. მიხეილ ხოფერია – 1941 - 1942 წ.წ.
9. შუქრი ცინცაძე – 1942 წ.
10. შოთა ონიაშვილი – 1943 - 1946 წ.წ.
11. პ. კიზირია – 1946 - 1953 წ.წ.
12. თამარა კიკნაძე – 1954 - 1959 წ.წ.
13. რაჟდენ მახარაშვილი – 1963 - 1972 წ.წ.
14. ამირან ივანიშვილი – 1972 -1974 წ.წ.
15. ამირან დანელია – 1974 - 1978 წ.წ.
16. ბორის გურიელიძე – 1978 -1982 წ.წ.
17. როსტომ ჯაფარიძე – 1982 - 1983 წ.წ. შემდეგ მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრად, აჭარის პროკურორად და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. აგრეთვე, მცირე დროით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. (2005 წ.).
18. გივი აბაშიძე – მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის და ქ. ბათუმის პროკურორად, აჭარის პროკურორის მოადგილედ, 1983 - 1991 წ.წ. სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
19. მერაბ უნგიაძე – 1991-1999 წ.წ.
20. ზაურ თურმანიძე – 1999 - 2004 წ.წ.

ქედის ჰაიონის პროკურორები 1978-2004 წლებში

ბორის გურიელიძე

როსტომ ჯაფარიძე

გივი აბაშიძე

მერაბ უნგიაძე

ზაურ თურმანიძე

სახელმწიფო უშიშროების ქედის ჰაიონული განყოფილების უფროსები

1. ა. მატუა – 1930 წლიდან
2. დომენტი იმედაძე – 1937-1939 წ.წ.
3. ფირცხალაიშვილი – 1946-1950 წ.წ (სახელი უცნობია)
4. ანტონ ონიანი – 1950-1953 წ.წ.
5. უშანგი სიხარულიძე – 1953-1956 წ.წ.
6. დავით ტალახაძე – 1956-1959 წ.წ.
7. ზურაბ ჩიტაძე – 1959-1965 წ.წ. (დოლოგნიდან)
8. მუშნი ჭანტურია – 1965-1973 წ.წ.
9. გურამ ფევაძე – 1973-1980 წ.წ. შუახევის რაიონიდან.
10. ნოდარ ზოიძე – 1980-1987 წ.წ. შუახევის რაიონიდან.
11. ზურაბ ინწკირველი – 1987-1993 წ.წ. ქ. ბათუმიდან
12. ვალერიან ალიქაძე – 1993-2004 წ.წ. ქედა, ოქტომბერი
13. ბადრი ცინცაძე – 2004 წლიდან. ქედა.

გურამ ფევაძე პირველი აჭარელი იყო უშიშროების ორგანოებში, ვისაც ანდეს აჭარის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის (მინისტრის) მოადგილეობა 1988 წლიდან.

ქედის ჰაიონის უშიშოების სამსახურის უფროსები 1956 წლიდან

დავით ტალახაძე

ზურაბ ჩიტაძე

მუშნი ჭანტურია

გურამ ფეფაძე

ნოდარ ზოიძე

ზურაბ ინწკირველი

ვალერიან ალიქაძე

ბადრი ცინცაძე

სამხედრო ინსპექტორები და კომისრები

1. ბარამ თოფურიძე – 1924 წ. 13 დეკემბრიდან, სამხედრო ინსპექტორი
2. ერასტი დონაძე – 1932 - 1934 წ.წ. ინსპექტორი
3. გრიგოლ მექვაბიშვილი 1934 - 1945 წ.წ. ინსპექტორი
4. ახმედ გვარელოღლი – 1945-1946 წ.წ. ინსპექტორი
5. პანტელეიმონ შანიძე – 1946-1952 წ.წ. ინსპექტორი
6. მიხეილ ჭეიშვილი – 1952-1954 წ.წ. რაიონის სამხედრო კომისარი
7. ალი ნიტაიშვილი – 1954-1958 წ.წ.
8. რ. მახარობლიძე – 1958-1963 წ.წ.
9. ვლადიმერ ბირკაია – 1963-1964 წ.წ.
10. ოთარ თავბერიძე – 1964 -1969 წ.წ.
11. მარლენ ლაკია – 1969-1974 წ.წ.
12. ზურაბ თებიძე – 1974-1983 წ.წ.
13. დიოგენ გოგუა – 1983-1984 წ.წ.
14. თამაზ დოლიძე – 1984-1988 წ.წ.
15. ამირან ტრაპაიძე – 1988-1994 წ.წ.
16. გოჩა ლაღიძე – 1994-1997 წ.წ.
17. რეზო ჯიხაძე – 1997-2000 წ.წ.
18. ჯუმბერ ბეჟანიძე – 2000-2007 წ.წ. ჯერ კომისარი, შემდეგ აღრიცხვა-გაწვევის სამსახურის უფროსი.
19. ზურაბ თურმანიძე – 2007 წლიდან 2015 წლამდე

ბოლო სამი წელია სამხედრო არმიის რიგებში ხდება გაწვევა. გაიწვევიან 90-110 ახალგაზრდები.

ავღანეთის ომში დაიღუპა სოფელ მეძიბნიდან ნუგზარ დუმბაძე.

რუსეთ-საქართველოს ომში, 2008 წლის აგვისტოში, დაიღუპა მერისელი ფრიდონ თურმანიძე, დაბადებული 1980 წლის 14 ივლისს, ფ. თურმანიძის სახელი ეწოდა მერისის საჯარო სკოლას.

მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის

მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება სოციალისტური წყობილების საბრძოლო ამოცანებში ყოველთვის უპირველესი იყო. რამდენად მაღალ დონეზე წყდებოდა ეს ამოცანა, მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, ამიტომ არც სტატისტიკას მივმართავ და არც ნაკლოვანებებზე მოვყვები საუბარს. უმთავრესი წარმატება კი ის იყო, რომ არ არსებობდა დასაქმების პრობლემა და 70-80-იან წლებში შრომისმოყვარე ოჯახები ერთი წლის შემოსავლითაც ახერხებდნენ ახალი ავტომობილის შეძენას.

ჯანმრთელობის დაცვა

თურქთა ბატონობის დროს ქედაში არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ იყო. ავადმყოფებს „მკურნალობდნენ" ექიმბაშები, მოლები, ხოჯები, მარჩიელები.

ამას ადასტურებს თედო სახოკია, რომელმაც 1897 წლის ზაფხულში იმოგზაურა აჭარაში. მივმართავ მის ჩანაწერებს: მკურნალობა აქაურ სოფლებში ჯერ-ჯერობით ისევ მოლების ხელშია, პედაგოგობის გარდა ესენი ხალხის მკურნალობასაც ხელს კიდებენ, რაც უნდა სენი სჭირდეს ავადმყოფს, მოლა უკან არ დაიხევს, ყველაფერში

მეცნიერებას იჩენს. მათი წამალი შელოცვა და თილისმებია. თუ ავადმყოფი მორჩა – დიდება და სახელი მოლას, თუ თქვენი ჭირი წაიღო, მაინც არ დაემდურებიან, – ალბათ წერა ყოფილა, თორემ მოლას ცდა არ დაუკლიაო, გასამრჯელოს მოლას ამ თილისმებისა და ლოცვებისათვის 3-5 მანეთს აძლევენ.

„ნამდვილი სამკურნალო მეცნიერების მსახურნი აჭარაში ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ დაინახეს მცხოვრებთა, როცა სოფ. ქედაში საგუბერნიო-საექიმო უწყებამ სამკურნალო გახსნა. სამკურნალოს გახსნისთანავე ქედაშივე განწესებული იქნენ ერთი მკურნალი, ერთი ბებიაქალი და ერთიც ფერშალი – კაცი. სამკურნალო მხოლოდ გარედან მოსიარულეთათვის არის დაარსებული და მისი შენახვა წელიწადში ოთხას თუმნამდე ჯდება. დღეში ზოგჯერ ოცდახუთი კაცი მოდის საექიმოდ, უფრო მამაკაცები, დედათა სქესისანი ჩვენებურ ექიმს გაურბიან. რადგან არც ბებიაქალმა და არც ფერშალმა ქალმა ქართული ენა არ იციან, რომ გააგებინონ რამე მათთან რჩევების სათხოვნელად მისულ აჭარელ ქალებს.

ქედის სამკურნალოს მოქმედების რაიონი მეტად დანაწევრებულია. მეტად მცირედი ნაწილი მცხოვრებთა, და ისიც ქვედა აჭარისა ჰპოულობს შვებას გასაჭირში, რადგან უგზოობის გამო, აქ მძიმე ავადმყოფის ჩამოყვანა ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელი ხდება. მთელი ზემო აჭარა კი, სადაც მხოლოდ ერთი ფერშალია, სრულებით მოკლებულია მკურნალობას.” – წერდა თ. სახოკია (თ. სახოკიას „მოგზაურობანი”, ბათუმი, 1985 წ. გვ. 246-247)

თუფან ბეგ შერვაშიძის შვილმა, ჩვენს მხარეში პირველმა სამხედრო ექიმმა ყადირ შერვაშიძემ, 1915 წელს ქედის მაზრაში პირველი საავადმყოფოს გახსნისათვის საკუთარი ორსართულიანი სახლი გადასცა ქედელებს უსასყიდლოდ, მის სახლში გახსნილი საავადმყოფო ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა ქედის რაიონის მოსახლეობას, იმ ადგილას დღეს აგებულია ქედის რაიონში პირველი ხუთსართულიანი სახლი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა ქვეყანაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

1922 წლიდან საექიმო-საბებიო პუნქტები გაიხსნა ქედასა და ცხმორისში, 1924 წლიდან მერისში და საღორეთში, სადაც ექიმები იყვნენ მახარაძე, კირთაძე, კუპრინი, გოცირიძე, პლატონ ამაღლობელი.

1922 წელს ქედის საავადმყოფოში გაკეთდა პირველი წყლულოვანი - სიმსივნური ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

1937 წლიდან ქედის რაიონში ფუნქციონირებდა ექვსი სამედიცინო პუნქტი, ხუთი ექიმით და ათი ექიმის თანაშემწით. ამოქმედდა სამშობიარო განყოფილება.

1929 წლიდან ქედის საავადმყოფოს გამგე იყო ნ. გრიგოლია, შემდეგ თამარ სირაბიძე.

1932 წლიდან მთავარი ექიმი იყო პეტრე გიორგაძე, ექიმებად მუშაობდნენ: იაროჩკინა, ვ. გაბუნია (ექიმი ვენეროლოგი), ვალიკო ლეჟავა.

1934 წლიდან მთავარი ექიმი იყო ნიკოლოზ კაზაჩენკო, ჯანგანის გამგე – მარგო ორაგველიძე. 1935 წლიდან ჯანგანის გამგე გახდა ნ. კაზაჩენკო.

1935 წლის აგვისტოდან ქედის რაიონის ჯანგანის გამგედ დაინიშნა დავით ლომიძე, 1939 წლის 13 თებერვლიდან – ივანე გოგუაძე, ხოლო ამავე წლის 31 დეკემბრიდან – სერაპიონ ფირცხალაიშვილი.

1941 წ. ქედაში იყო 13 ექიმი და 23 ექიმის თანაშემწე.

1941 წლის 24 დეკემბრიდან ქედის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ დაინიშნა ადგილობრივი უმაღლესი განათლების მქონე ექიმი, გულებელი ისმაილ (ირაკლი) დიასამიძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოფლად მოსახლეობის ჯანმრთელობის, სანიტარიული საკითხების მაღალ დონეზე დაყენებაში, ის ამ თანამდებობაზე დარჩა 1945 წლამდე. ისმაილ (ირაკლი) დიასამიძე დიდი ხნის განმავლობაში

მუშაობდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად. ის დაინტერესებული იყო აჭარაში ადგილობრივი სამედიცინო კადრების აღზრდისა და დახელოვნებისათვის. მისი დამსახურებით ქედის რაიონი ერთ-ერთი მოწინავე გახდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.

1945-1948 წლებში ქედის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ხელმძღვანელობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი ექიმი გაბრიელ ხეჩინაშვილი.

1948-1949 წლებში ჯანმრთველობის დაცვას ხელმძღვანელობდა აბდულ ჩხეიძე.

1949-1950 წლებში ამ საქმის ხელმძღვანელი იყო ჯ. ლორია.

1950 წლის 11 თებერვლიდან 1953 წლამდე რაიონის ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობდა რესან ქიქავა. 1958 წლიდან რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება (ჯანგანი) გაუქმდა და შეიქმნა რაიონის მთავარი ექიმის თანამდებობა.

1953 წლიდან 1964 წლამდე ქედის რაიონის მთავარი ექიმი იყო ნიაზ ხალვაში. მისი მუშაობის დროს დაისვა საკითხი ცხმორისის პატარა ფიცრული 5-საწოლიანი საავადმყოფოს გვერდით, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა მიშა დობორჯგინიძე, აგებულიყო 25 - საწოლიანი ორსართულიანი საავადმყოფო, რომელიც ამოქმედდა 1963 წლიდან. ცხმორისში 1959 წლიდან 1994 წლამდე მთავარ ექიმად მუშაობდა ეთერ ხახნელიძე, მასთან ერთად ცხმორისის ექიმთერაპევტებად მუშაობდნენ ჯემალ ინაიშვილი, მემედ შანიძე, თამაზ მგელაძე, ჯემალ შანიძე, გურამ ბასილაძე, უფროსი ექთანი ილია ანანიძე, რომელსაც ხალხი „ილია ექიმს" ეძახდა.

ასევე ოცსაწოლიანი საავადმყოფო აიგო მახუნცეთში, სადაც ექიმებად მუშაობდნენ: დ. კასრაძე, მ. შანიძე, ა. დიასამიძე.

1964 წლიდან 1971 წლამდე ქედის რაიონის მთავარი ექიმი იყო ექიმი ქირურგი ნოდარ ჩხაიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივნის ვლადიმერ ნაკაშიძის ხელმძღვანელობით ქედის ცენტრალური საავადმყოფო აიგო 120 საწოლზე, სადაც იყო შემთხვევა, რომ ერთდროულად 160 ავადმყოფი მკურნალობდა, საავადმყოფოს აგების ინიციატორი იყო ირაკლი დიასამიძე იმდროინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

1971 წლიდან 1974 წლამდე ქედის რაიონის მთვარი ექიმი იყო ციცინო ნაკაშიძე.

1973-1975 წლებში რაიონის მთავარი ექიმი იყო ფელულ ბერიძე, ხოლო 1975-1977 წლებში - არჩილ დიასამიძე. 1980 წ. რაიონში იყო 23 ექიმი და 16 ექიმის თანაშემწე.

1977-1991 წლებში ქედის რაიონის მთავარი ექიმი იყო მემედ შანიძე, ხოლო 1991 წლის სექტემბრიდან 1996 წლამდე ანზორ მანველიძე.

1996-2004 წლებში შპს „ქედის რაიონული საავადმყოფოს" დირექტორად მუშაობდა ჯემალ დავითაძე.

1996-1998 წლებში შპს „ქედის რაიპოლიკლინიკის" დირექტორია ზურაბ თავდგირიძე.

1998-2004 წლებში რაიონული პოლიკლინიკის დირექტორი იყო ამირან ცინცაძე.

2005-2011 წლებში შპს „რაიონული საავადმყოფოს" დირექტორია ხელმადლიანი ქირურგი ფრიდონ სირაბიძე. ამ დროს რაიონული პოლიკლინიკის დირექტორად მუშაობდა თენგიზ შერვაშიძე.

2011 წლიდან შპს„უნიმედი აჭარას" ქედის სამედიცინო ცენტრის მთავარი მენეჯერია ფრიდონ სირაბიძე, რომელიც ქედელებმა ქედის რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მან თავისი კეთილსინდისიერი შრომი ღირსების ორდენი დაიმსახურა. ასევე ღირსების ორდენის კავალერი გახდა ანზორ მანველიძე.

მემედ შანიძეს ღირსების ორდენი გადაეცა 2012 წელს. ის აჭარის დამსახურებული ექიმია.

ექიმი შოთა შარაძე 2005-2012 წლებში იყო ჯანდაცვის უფროსი, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ქედის ხაიონის ჯანდაცვის უფროსები 1964 წლიდან

ნოდარ ჩხეიძე

ციცინო ნაკაშიძე

ფელულ ბერიძე

არჩილ დიასამიძე

მემედ შანიძე

ანზორ მანველიძე

ჯემალ დავითაძე

ზურაბ თავდგირიძე

ამირან ცინცაძე

თენგიზ შერვაშიძე

ფრიდონ სირაბიძე

შოთა შარაძე

საგზაო სამსახური

საავადმყოფოზე საუბრის დროს აღვნიშნე, რომ უგზოობის გამო სოფლებიდან ქედაში ვერ ჩამოდიოდა მოსახლეობა.

ეს საკითხიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში წამყვანად იქცა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ვთქვი უკვე, რომ ქედაში ერთადერთი – ცენტრალური გზა გადიოდა, შემდეგ მერისი დაუკავშირდა რაიონის ცენტრს.

30-იან წლებში გზების გაყვანა თავად კოლმეურნეობებმა დაიწყეს, 1935 წელს კი რაიონული საგზაო სამსახური ჩამოყალიბდა.

ამ სამსახურს სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ:

1. გიორგი მაჭარაშვილი – 1935 - 1937 წ.წ.
2. უზეირ ბასილაძე – 1937 წლიდან საგზაო ტექნიკოსი
3. დიმიტრი სოხაძე – 1938 წლის 15 იანვრიდან
4. ივანე ანთაძე – 1938 წლის მაისიდან
5. დიმიტრი სოხაძე – 1939 წლის 20 თებერვლიდან
6. სულეიმან ქათამაძე – 1940 წლის 16 ივლისიდან
7. ივანე ანთაძე – 1941 წლის 25 იანვრიდან
8. დიმიტრი ანთაძე – 1942 წლიდან
9. ახმედ გათენაძე – 1942 წლის 10 ოქტომბრდან
10. აბდულ ნაკაშიძე – 1944 წლის 15 იანვრიდან
11. შახზად ბოლქვაძე – 1945 წლის მარტიდან
12. დურსუნ ჩიკვაიძე – 1948 წლის 18 მარტიდან
13. სევერიან გოგიჩაიშვილი – 1948 წლის 28 მაისიდან
14. ჰაიდარ ლორთქიფანიძე – 1948 წლის 1 დეკემბრიდან
15. გიორგი ქემოკლიძე – 1952 წლის 21 იანვრიდან
16. მიხეილ თავართქილაძე – 1954 წლის 2 ივნისიდან
17. ლევან ქაჯაია – 1955 წლიდან
18. უზეირ ბასილაძე – 1956 წლის 1 აპრილიდან
19. ვახტანგ ბერიძე – 1974 წლის მარტიდან. მისი მუშაობის დროს კაპიტალურად შეკეთდა რაიონის ყველა სოფლის საავტობუსო გზები.
20. თემურ ბერიძე – 1983 წლის მარტიდან
21. რეზო ბეჟანიძე – 1985 წლიდან 1990 წლამდე.

სოცუზრუნველყოფის სამსახური

1937 წლიდან ჩამოყალიბდა რაიონში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საუკუნის ბოლომდე ემსახურებოდა საპენსიო და სხვა შესაბამის საქმეს.

ამ სამსახურს ხელმძღვანელობდნენ:

1. რამიზ თურმანიძე – 1937 წლიდან
2. ნინა ღლონტი – 1938 წლის 18.09-დან
3. რეჯებ ბერიძე – 1938 წლის 01.10-დან
4. იბრაიმ ბერიძე – 1939 წლიდან
5. ყებას თურმანიძე – 1941 წლის 17.02-დან
6. ჯასიმ დევაძე – 1941 წლის 04.07-დან
7. რეფიყ პაპუნიძე – 1942 წლის 21. 11-დან
8. ხუსეინ ქაჯაია – 1943 წლის 08.04-დან
9. უსუფ შერვაშიძე – 1943 წლის 21.07-დან
10. მიხეილ ქორქია – 1946 წლის 01.11-დან
11. ოსმან სამნიძე – 1947 წლის 01-დან
12. დავით ჩიტაძე – 1950 წლის 01.04-დან
13. დ. საკანდელიძე – 1950 წლის 10-დან
14. უშანგი გორგილაძე – 1952 წლის 13.02-დან
15. ფელულ დიასამიძე – 1952 წლის 08.08-დან
16. ფრიდონ დიასამიძე – 1955 წლიდან
17. ილია კოჩაძე – 1957 წლის 28.08-დან
18. ნოდარ გათენაძე – 1960 – 1968 წლებში
19. ავთანდილ ზანაქიძე – 1968 – 1972 წლებში
20. დავით (ჯასიმ) დევაძე – 1972 – 1975 წლებში
21. შოთა სამნიძე – 1975 – 1980წ.წ.
22. ჯემალ ფარტენაძე – 1980 – 1983წ.წ.
23. ნოდარ ბერიძე – 1983 – 1995 წ.წ.
24. ნური ბერიძე – 1995 – 2007 წ.წ.
25. გიორგი ტაკიძე – 2007 წლიდან.

სავაჭრო მომსახურება

ქედის რაიონში 1922 წლიდან გაიხსნა მაღაზიები: ქედაში, ცხმორისში, მერისში. 30-იან წლებიდან ცხმორისსა და მერისში გაიხსნა სასადილოები.

1935 წლიდან ქედის რაიაღმასკომის ვაჭრობის ინსპექტორი იყო ქესკინ მოწყობილი. 1937 წლის ნოემბრიდან – უსუფ ბერიძე, 1938 წლის ოქტომბრიდან – სულეიმან დიასამიძე, 1939 წლის 7 აპრილიდან – ისმაილ კაკაბაძე, 1939 წლის 6 ნოემბრიდან – ფელულ დიასამიძე, 1941 წლის 17 ნოემბრიდან – ალექსანდრე ქობალავა, 1942 წლის 14 ნოემბრიდან – ხუსეინ ქობულაძე, 1942 წლის მაისიდან – ფელულ დიასამიძე, 1942 წლის ივლისიდან – ემრულ დიასამიძე, 1943 წლის მაისიდან – კონსტანტინე დოლიძე, 1947 წლიდან ვაჭრობის განყოფილების გამგეა – ადემ ჯაბნიძე, 1950 წლის 1 მაისიდან – შოთა ბერიძე, 1951 წლის 1 სექტემბრიდან – თენგიზ ხახუტაიშვილი, 1953 წლის 20 აპრილიდან – შაქრო ბერიძე, 1953 წლის 1 ივლისიდან – ვლადიმერ თურმანიძე, 1953 წლის 7 ოქტომბრიდან – ლევან შარაშიძე, 1954 წლის 16 სექტემბრიდან – დავით

დევაძე, 1959 წლიდან – სარდიონ მახარაძე, 1974 წლიდან – ნოდარ ბერიძე, 1975 წლიდან – იოსებ ნაკაშიძე, 1976 წლიდან – ნიაზ გორგილაძე, 1980 წლიდან – არსენ ბეჟანიძე, 1983 წლიდან – ვახტანგ აბესლამიძე, 1984 წლიდან – თამაზ ღოღობერიძე, 1987 წლიდან – სულიკო ბოლქვაძე, 1990 წლიდან – ზურაბ სირაბიძე, 1992 წლიდან – რეზო წულუკიძე, 1994 წლიდან – ზურაბ ბარამიძე.

80-90-იან წლებში რაიკოოპერატივის სისტემაში მუშაობდა 350 კაცი, ყოველთვიური ბრუნვა იყო 7500000 მანეთი. რაიონში მუშაობდა: 1 პურის ქარხანა, 8 პურის საცხობი, 1 რესტორანი, 5 სასადილო, 2 კაფე, 20-ზე მეტი ბუფეტი.

კომუნალური სამსახურის უფროსები

1. გიორგი შავდია – 1937-1938 წ.წ.
2. ახმედ გათენაძე, ზაქარია კინწურაშვილი, გიორგი ჩიქოვანი – 1938-1940 წ.წ.
3. ვლადიმერ გელაშვილი – 1940 წ. 15.01 – 1941 წ. 01.
4. ზაქარია კინწურაშვილი 1941.01. - 1941 28.10
5. მევლუდ კეკელიძე – 1941წ. 28.10. – 1942 წ. 11.10
6. შ. ჭყონია – 1942წ. 11.10 - 1943. 17. 01.
7. უ. მახარაძე – 1943 წ. 17.01 – 1943. 2. 08
8. ისრაფილ თურმანიძე, ახმედ გათენაძე – 1943. 2.08 - 1946. 10
9. ს. მ. ბერიძე – 1946 წ. 10 – 1950 წ. 05.05
10. ო. ჩიკვაიძე – 1950 წ. 05.05 – 1953 წ. 26.12
11. იორდანე ჩხაიძე, რევაზ თურმანიძე – 1953 წ.26.12 – 1954. წ. 01.08
12. მეჯიდ მახარაძე – 1954 წ. 01.08 - 1959 წ.
13. ვლადიმერ გათენაძე – 1959 წ. - 1966 წ.
14. ნიაზ ფარტენაძე – 1966 წ. – 1975 წ.
15. სულეიმან ბოლქვაძე – 1975 წ. – 1977 წ.
16. უშანგი დუმბაძე – 1977 წ. - 1981 წ.
17. ნური ქათამაძე – 1981 წ. - 1990 წ.

1987 წლისათვის კომუნალურ მეურნეობაში დასაქმებული იყო 52 კაცი: აქედან 3 აპარატში, 3 სასტუმროში, 10 სახლმმართველობაში, 17 კეთილმოწყობის სამსახურში, 18 წყალსადენზე.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო

1. 1963-1968 წლებში სამმართველოს უფროსი იყო სულეიმან ხუსეინის ძე სურმანიძე, დასაქმებული იყო 63 კაცი.

2. 1968 - 1969 წლებში სამმართველოს ხელმძღვანელობდა ვახტანგ ისმაილის ძე აბესლამიძე.

მომდევნო წლებში:

3. 1969-1970 ნოდარ სულეიმანის ძე შარაბიძე.
4. 1970-1974 ნოდარ ისმაილის ძე ავალიანი.
5. 1974 წლის 20 თებერვლიდან დავით მერდიალის ძე დავითაძე.
6. 1974 წლის 25 ოქტომბრიდან ნური ზექერიას ძე ქათამაძე, დასაქმებული იყო სისტემაში 108 კაცი.
7. 1980 წლის 31 დეკემბრიდან შაქრო შაის ძე ბერიძე
8. 1985 წლის 10 ივლისიდან იყო იური მოედინის ძე დიასამიძე.
9. 1987 წლიდან სამმართველოს უფროსი იყო მერაბ ოსმანის ძე სანიკიძე.

10. 1989 წლიდან დავით ზაქარაძე.

11. 1994 წლიდან – 2003 წლამდე საყოფაცხოვრებო სამმართველოს ხელმძღვანელობდა შაქრო გოგიტიძე.

კავშირგაბმულობის განყოფილება

ისტორიული ფაქტებით დგინდება, რომ აჭარის ყველა ხეობას ჰქონდა თავისი სასიგნალო საკომუნიკაციო ნაგებობა, რომლებიც კოცონის დანთებით სიგნალს გადასცემდნენ ციხე-კოშკებიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. საყარაულო ციხე-კოშკები მრავლადაა ქედის რაიონშიც ნანგრევების სახით.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის კავშირგაბმულობას უდიდესი მნიშვნელობა აკისრია და ის სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის დარგს წარმოადგენს. რაც უფრო კომუნიკაბელურია სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ურთიერთობა, რაც უფრო მობილურია მათი თანამშრომლობა, მით უფრო უკეთ ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა, ყოფა, კულტურა, უმჯობესდება სოციალური მდგომარეობა.

კარლ მარქსი კავშირგაბმულობას მატერიალური წარმოების სფეროს მიაკუთვნებდა და აღნიშნავდა, რომ ის, (კავშირგაბმულობა) როგორც წარმოების დარგი, ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის დროს. კ. მარქსმა ამ დარგს ინფორმაციის გადამცემი მრეწველობა უწოდა „არსებობს მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, სადაც წარმოების პროდუქტი არ წარმოადგენს ახალ ნივთიერ პროდუქტს, საქონელს, ამ დარგებიდან ეკონომიკურად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო მრეწველობა, იქნება იგი საკუთრივ სატრანსპორტო მრეწველობა საქონელთა გადასაზიდად და ადამიანთა გადასაყვანად, თუ მარტოოდენ ცნობების, წერილების, დეპეშების და სხვათა გადაცემა. (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2. თბ. გვ. 64).

კავშირგაბმულობა, მართლაც, გახდა სახალხო მეურნეობის მძლავრი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღება-გადაცემას ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, ინტერნეტ და სხვა საშუალებებით.

მე-17 საუკუნის ბოლოს შეიქმნა ოპტიკური სიგნალიზაციის სისტემა, გამოიგონეს ინფორმაციის გადაცემის ელექტრონული ხერხი. ელექტრული ტელეგრაფი გამოიგონა რუსმა მეცნიერმა პ. შილინგმა, 1837 წელს ამერიკელმა ს. მორზემ შექმნა ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის აპარატი, სატელეგრაფო პირობითი ანბანის კოდი და მას „მორზეს ანბანი” ეწოდა. 1876 წელს ამერიკელმა ა. ბელმა გამოიგონა ტელეფონი. 1895 წელს რუსმა მეცნიერმა ა. პოპოვმა გამოიგონა რადიო.

კავშირგაბმულობის უდიდესი მიღწევა არის მაღალი სიხშირის მრავალარხიანი კავშირგაბმულობის სისტემა-კოსმოსური, თანამგზავრული სისტემები.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ინერგება ინფორმაციის გადაცემის ავტომატიზაცია, რამაც დააჩქარა დეპეშების მიღება-გაგზავნა.

კავშირგაბმულობა უფრო მოქნილი გახდა დიდი სამამულო ომის დროს, რითაც სამხედრო ნაწილები გახდნენ უფრო ოპერატიული და მოქნილი, ღებულობდნენ ბრძანებებს, დავალებებს და ნაკლებ მსხვერპლს იღებდნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო კაბელების გამოყენება, რამაც თანდათან შეცვალა ელექტროსადენები.

1860 წლის 10 აგვისტოს პირველი დეპეშა გადაიცა თბილისს, გორსა და ბორჯომს შორის, 1878-1895 წლებში თბილისსა და ბათუმს შორის კავშირი მორზეს სისტემის ტელეგრაფის აპარატით ხდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიის რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისას ჩამოყალიბდა ქედის რაიონი და მასთან ერთად ქედის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი,

ფოსტა–ტელეგრაფი, რომლის უფროსადაც 1921-1934 წლებში მუშაობდა რიფათ ხასანის ძე შერვაშიძე. 1934 წლიდან რადიოტექნიკოსად მუშაობდა დავით მანჯგალაძე, ის ხელმძღვანელობდა ქედის რაიონში რადიოსა და კავშირგაბმულობის მოწყობილობა – აპარატურის შემოტანას.

1935-1937 წლებში ქედის კავშირგაბმულობის უფროსი მახუნცეთელი ახმედ ზაქარიაძეა, რომელიც 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

1937 წლიდან ფოსტისა და კავშირგაბმულობის სისტემას შეეცვალა სახელი და დაერქვა რადიომაუწყებელი. რადიორწმუნებულად მუშაობდა მევლუდ აბულაძე.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1941 წელს ქედის კავშირგაბმულობის კანტორაში დასაქმებული იყო 34 კაცი. თვიური ხელფასის ფონდი შეადგენდა 6864 მანეთს. კავშირგაბმულობის კანტორა აერთიანებდა საფოსტო განყოფილებებს და სააგენტოებს საინჟინრო-ტექნიკური პერსონალით: რაიკანტორის უფროსი, უფროსის მოადგილე, ბუღალტერი, დამლაგებელი, ვახტიორი, – სულ 5 შტატი. რაიკანტორაში, ტელეგრაფში იყო სამნახევარი საშტატო ერთეული, კლოფერისტისა და დეპეშის ორი მიმტანისა, რაიკანტორის საქალაქთასორისო სალაპარაკო სამსახურში დასაქმებული იყო ხუთი თანამშრომელი, ოთხი მეელსმენე, რომლებიც მორიგეობით მუშაობდნენ და ერთი სადგურის ზედამხედველი. რადიოფიკაციას ემსახურებოდა ორი თანამშრომელი, რაიფოსტაში დასაქმებული იყო ოთხი კაცი, ქედის რაიონის კავშირგაბმულობის სისტემაში იყო ორი – მახუნცეთისა და ცხმორისის საფოსტო განყოფილება. თითოეულში ხუთ-ხუთი კაცი: უფროსი, ფოსტალიონი და სამი მეელსმენე, აგრეთვე ზვარისა და მერისის კავშირგაბმულობის სააგენტო, ორ-ორი თანამშრომლით.

1943 წლიდან რაიონში დაიდგა კომუტატორი, ამ დროს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად მუშაობდა ზაბით დიასამიძე, რომელიც 1964-1974 წლებშიც ხელმძღვანელობდა ქედის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილებას.

1950-1951 წლებში აშენდა ქედის კავშირგაბმულობის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

1949 წლისთვის ქედის რაიონის კავშირგაბმულობის სისტემაში დასაქმებული იყვნენ: სამსონაძე ელენე მარკოზის ასული (რაიკვანძის უფროსი), მარტინოვი ვლადიმერ მუსას ძე (უფროსის მოადგილე), გერასიმოვა ლენა ალექსანდრეს ასული (ბუღალტერი), თურმანიძე მეხდიალ მემედის ძე, მამულაძე რიზალი სეფერის ძე (ფოსტის მცველები), აბულაძე მურად ალის ძე (ქედის ფოსტის ოპერატორი), თურმანიძე ედემ ედემის ძე (მერისის ფოსტის მზიდველი), ცინცაძე სულეიმან ყადირის ძე (სოფლის ფოსტალიონი), ბონდარენკო მარიკა სერგოს ასული (დამლაგებელი), მედვედევი ვერა სიმონის ასული (ფოსტის აგენტი), კურკანოვი ლეონიდე ანდრიას ძე, ლორთქიფანიძე დაუთ ადემის ძე (დეპეშის დამტარებლები), მჭედლიშვილი ისკენდერ ალის ძე (რადიოტექნიკოსი), რაბოლენკო მარია დანიელის ასული (მეელსმენე), ბერიძე აბდულ იუსუფის ძე, შაქარიანი ვერა გრანტის ასული, ჩხიკვაძე ახმედ მემედის ძე (მეელსმენე), შავიშვილი ისმაილ ხუსეინის ძე (ზედამხედველი), კახიძე მუსა ზაბითის ძე (მახუნცეთის საფოსტო განყოფილების უფროსი), კახიძე რამაზ აბდულის ძე (ფოსტალიონი), მუსკაკულოვა ვერა ალექსანდრეს ასული, ომერნენკო მარია ნიკოლოზის ასული (მეელსმენე), ანანიძე მემედ ხასანის ძე (ცხმორისის საფოსტო განყოფილების უფროსი), ბოლქვაძე მემედ დურსუნის ძე (მეელსმენე), დიასამიძე ისმაილ ყედირის ძე (ფოსტალიონი), ჯაყელი ნიაზ სულეიმანის ძე (ზვარის საფოსტო განყოფილების უფროსი), ნადარეიშვილი ვერა (მერისის საფოსტო განყოფილების უფროსი). ამ დროისათვის კომუტატორები დამონტაჟებული იყო ცხმორისის, მერისის, ქედისა და მახუნცეთის საფოსტო განყოფილებებში, საიდანაც კავშირურთიერთობის დამყარება ხდებოდა რაიონსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

მემედ ზიას ძე ღოღობერიძე ორჯერ – 1957-1959 და 1963-1964 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის კავშირგაბმულობის უფროსად.

1959-1963 წლებში ქედის კავშირგაბმულობის უფროსად მუშაობდა არტემ დემირიანი.

1970-1972 წლებში ექსპლუატაციაში გაუშვეს კოორდინატული სატელეფონო სადგური (ატსკ 100/2000). 1972-1984 წლებში ქედის კავშირგაბმულობის უფროსად მუშაობდა მემედ აბულაძე, 1977-1983 წლებში ქედის კავშირგაბლობა დააჯილდოეს აჭარის კავშირგაბმულობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით, მემედ აბულაძე 1985-1987 წლებში მუშაობდა ქედის „სოიუზპეჩატის" სააგენტოს უფროსად, სადაც დასაქმებული იყო 130 კაცი.

1984-1992 წლებში ქედის რაიონის კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა ნოდარ ღოღობერიძე.

მან 1989 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სრული კურსი ავტომატური ელექტროკავშირების სპეციალობის ინჟინრის წოდებით. 1982-1984 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, 1984 წლიდან მუშაობდა ქედის კავშირგაბმულობაში სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ელექტრომონტიორი, ელექტრომექანიკოსი, სახაზო ინჟინერი, სადგურის ინჟინერი, მთავარი ინჟინერი, 1992 წლიდან აჭარის კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

1978 წლიდან ევგენი ბერიძე დაინიშნა კავშირგაბმულობის ტექნიკური დარგის უფროსად ქედის რაიონში, 1983 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. ბათუმში სახელმწიფო მაგისტრალური კავშირების ინჟინრად.

1993 წლიდან 2004 წლამდე აჭარის კავშირგაბმულობის ქედის სამმართველოს უფროსად მუშაობდა კავშირგაბმულობის ინჟინერი ნუგზარ ნაკაშიძე.

ე. ბერიძე 2004 წლიდან გადმოიყვანეს ქედის რაიონის კავშირგაბმულობის უფროსად, სადაც მუშაობს დღემდე.

ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო

ბათუმიდან ქედაში ავტობუსი დადიოდა 1950 წლის აგვისტოდან, დილის 9 სთ და 30 წთ. შუადღით - 3,30 სთ. (გაზეთი „აჭარა", 1950 წ., 6 აგვისტო, №157). საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ბრძანებულებით 1959 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომლის პირველი დირექტორი იყო ყოფილი საქ. კპ. ქედის რაიკომის მეორე მდივანი დავით (ჯასიმ) სულეიმანის ძე დევაძე.

წარმოება დაკომპლექტებული იქნა სხვადასვა ორგანიზაციებიდან გადმოცემული ავტომანქანებით, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 13 ერთეულს, მათ შორის იყო სატვირთო ავტომანქანები: „გაზ-51" 8 ცალი, სამგზავრო „გაზ 69" – 4 ცალი, „მ-20 პობედა" –1 ცალი.

1960 წელს წარმოებას შეემატა სატვირთო „გაზ-600" 2 ცალი, სამგზავრო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი" 2, და ავტობუსი ბრეზენტით დახურული 2.

ქედაში ავტოსატრანსპორტო საწარმოს გახსნამდე პირველი ავტობუსი „ქედა-ბათუმი" დაინიშნა 1957 წელს, რომელიც ეკუთვნოდა ქ. ბათუმის ავტოკოლონას.

ავტოსატრანსპორტო საწარმოოს შექმნიდან დაინიშნა მგზავრთა გადაყვანისათვის სამარშუტო ხაზები დანდალოს ცენტრიდან ბათუმამდე და სოფელ უჩხითიდან ბათუმამდე, 1959 წლის ბოლოს ქედის რაიონის მოსახლეობას ემსახურებოდა 6 სამარშუტო ხაზი. ამ დროისათვის წარმოებაში დასაქმებული იყო 19 მძღოლი, 3 ტექნიკური მუშაკი და აპარატის 4 მუშაკი, (ბუღალტერი აბიდ ბერიძე, ტექნიკოსი ამირან დოლიძე, საწყობის გამგე ხელილ ბერიძე, საქმეთა მმართველი ნუნუ ბერიძე, დისპეტჩერი გურამ ცინცაძე).

1963 წელს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო დაბალი ტექნიკური და ეკონომიკური

მაჩვენებლების და დაბალი რენტაბელურობის გამო გაუქმდა და გადავიდა ქალაქ ბათუმის „ავტოკოლონა 2655”-ის დაქვემდებარებაში, რომლის ხელმძღვანელი 1963-1965 წ. იყო ზურაბ ბერიძე.

ქედის რაიონული ხელმძღვანელობის მოთხოვნით 1965 წლიდან ქედის რაიონში აღდგენილ იქნა ავტოსატრანსპორტო საწარმო (ქედის ავტოგარაჟის სახელწოდებით), რომლის დირექტორად 1965-1975 წლებში მუშაობდა ამირან დოლიძე. ამირან დოლიძის დირექტორად მუშაობის დროს ქედის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმომ რამდენიმეჯერ მიიღო პირველი ადგილი და ფულადი პრემია საქართველოს ავტოსატრანსპორტო სამინისტროსაგან.

ამირან დოლიძის მუშაობის დროს გაუმჯობესდა მომსახურება, გაიზარდა ტვირთბუნვა, ტექნიკის რაოდენობა, ყოველივე ამან გამოიწვია რაიონის ეკონომიკის ზრდა და მშრომელთა კმაყოფილება, რასაც მოჰყვა ტრანსპორტის სამინისტროს მიერ ავტოსატრანსპორტო საწარმოს დადებითი შეფასებები.

1975 წლისათვის წარმოებაში ირიცხებოდა 16 სატვირთო ავტომანქანა, 12 ავტობუსი, 7 ტაქსი, ამ დროს რაიონის 8 სოფელი იყო დაკავშირებული ქ. ბათუმთან, წარმოების წლიური შემოსავალი აღემატებოდა 100000 მანეთს. მოსახლეობისა და რაიონის საწარმო-დაწესებულებების მოთხოვნილება ავტოტრანსარტზე მკვეთრად იზრდება 1975 წლიდან. რაიონის ეკონომიკის ზრდის პარალელურად გაიზარდა ტექნიკის რაოდენობა და საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი, 1980-1990 წლებში ყველა სოფელში გაფართოვდა საავტომობილო გზები, რაიონის მოსახლეობას ემსახურებოდა 41 ავტობუსი. ყველა სოფლიდან დღეში ორჯერ მიდიოდა ავტობუსი ქ. ბათუმში, რამაც მთლიანად დააკმაყოფილა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება, რაიონში შენდებოდა ახალი კაპიტალური სახლები, სკოლები, მეცხოველეობის ფერმები, ბავშვთა ბაგა-ბაღები, ხიდები, ჯებირები, გზები. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს წლიურმა შემოსავალმა 1 მილიონ 200 ათას მანეთს გადააჭარბა.

1975-2006 წ.წ. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი იყო თამაზ ტაკიძე, მთავარი ინჟინერი – 1975-2010 წლებში – სიმონ შანიძე.

1985-1990 წლებში წარმოებაში დასაქმებული იყო 285 კაცი, ავტობუსების რაოდენობამ შეადგინა 50 ერთეული, სატვირთო მანქანებს და თვითმცლელების რაოდენობამ მიაღწია 51, მსუბუქი ტაქსების რაოდენობამ 29 ერთეულს. წარმოების შემოსავალმა 1,3 მილიონს გადააჭარბა, ხოლო საშუალო ხელფასი 300 მანეთს აღწევდა. ამ დროისათვის ტექნიკური პერსონალის რაოდენობამ მიაღწია 48, მძღოლთა რაოდენობამ 217, ადმინისტრაციის მუშაკი იყო 18.

1990-2010 წლებში, სოციალიზმის რღვევის დროს, გაიყიდა ტექნიკა, რაც არ გაიყიდა, იდგა მძღოლების ეზოებში ხელშეკრულების თანახმად.

1993 წლიდან წარმოება გადაკეთდა სახაზინო საწარმოდ, რომელიც ფუნქციონირებდა 2001 წლამდე.

2001 წლიდან გადაკეთდა შ.პ.ს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოდ” რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. ფაქტობრივად წარმოება ამჟამად დაკომპლექტებულია კერძო ავტომანქანებით, ძირითადად ემსახურებიან მგზავრთა გადაყვანას.

სისტემის დაშლასთან ერთად, 1990 წლიდან დაშლას იწყებს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოც.

ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დამსახურებული მძღოლები იყვნენ: ისმაილ წითელაძე მერისიდან, ხემიდ ვასაძე, ახმედ და მემედ ბერიძეები, პეტრე აბაშიძე სოფელ ცხმორისიდან, ახმედ გოგიაშვილი-გოგიაშვილებიდან, ისმაილ და მიქაილ დიასამიძეები სოფელ ახოდან, ხუსეინ დიასამიძე-ქედიდან. ისინი პატიოსნად და უავარიოდ ემსახურენ ქედის რაიონის მოსახლეობას 35-40 წლის განმავლობაში.

დევაძე დავით (ჯასიმ)

ამირან დოლიძე

თამაზ ტაკიძე

სიმონ შანიძე

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი

ქედის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი შეიქმნა 1972 წელს, რომლის პირველი დირექტორი იყო დავით დავითაძე. მან დიდი ამაგი დასდო ახალი დარგის ჩამოყალიბებას, მის განვითარებას და მზარდი მოთხოვნილების დარად ეკონომიკურ ექსპლუატაციას. დავითაძის შემდეგ კომბინატის დირექტორები გახდნენ: არჩილ შერვაშიძე, შემდეგ სარდიონ მახრაძე, 1980 წლიდან 2002 წლამდე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი იყო ოქროპირ (რესან) ხაბაზი.

ქედის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი აერთიანებდა: ქედის სამკერვალო ფაბრიკას, მახუნცეთის სამკერვალო საამქროს, შუახევის რაიონის სამკერვალო საამქროს, ზვარის ასფალტის ქარხანას და „კოკოტაურის" მინერალური წყლის ჩამომსხმელ საამქროს, რომლის წარმოება დღიურად იყო 10-12 ათასი ბოთლი.

ქედის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში დასაქმებული იყო 200 მუშაკი, წარმოების საქონელბრუნვამ წელიწადში 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

1990-1991 წლიდან სოციალისტური წყობილების რღვევასთან ერთად დაიწყო საწარმოს საქონელბრუნვის შემცირება, გაწყდა კავშირები ყოფილი საბჭოთა კავშირის ბამბეულის ფაბრიკებთან, თანდათან შეწყდა მომარაგება. ასევე შემცირდა „კოკოტაურის" წყლის ჩამოსხმაც.

ქედის სატყეო მეურნეობა

1924 წელს ქედის მაზრის მთავარ მეტყევედ დაინიშნა ხულუს გოგოლიშვილი, ის ადრე ქუთაისში მეტყევედ მუშაობდა. ხულუს გოგოლიშვილი 1948 წლის 1 იანვარს გავიდა პენსიაზე და დაენიშნა 250 მანეთი.

ხულუსი იმდენად შეყვარებული იყო ბუნებაზე, ტყეზე, რომ მის სახელთან ერთი სასიამოვნო ინციდენტია დაკავშირებული. დიდი სამამულო ომის დროს ქედაში უჩვენებდნენ კინოფილმს, რომელის ერთ სიუჟეტში გერმანელების ტანკები ტყეს უმოწყალოდ თელავდნენ და ანადგურებდნენ. ხულუსი ისე შევიდა როლში, სერგო ორჯონიკიძის ნაჩუქარი ნაგანი იძრო და ეკრანზე ტანკს ესროლა.

ხულუს გოგოლიშვილი გარდაიცვალა 1948 წ. 29 მაისს.

ქედის რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 1968 წლის აპრილში შეიქმნა ქედის სატყეო მეურნეობა მახუნცეთის, მერისისა და ცხმორისის სატყეოთა ბაზაზე, 19135 ჰექტარი საერთო ტყის ფართობით. დირექტორად დაინიშნა სერგო ჟღენტი.

სატყეო მეურნეობის საქმიანობის ძირითადი მოთხოვნა იყო ტყის სათანადო დონეზე დაცვა და მისი კვლავწარმოება.

სატყეო მეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა ტყის დაცვა, უკანონო ჭრები მინიმუმამდე შემცირდა. მთავრობიდან მიღებული დაფინანსების საფუძველზე სატყეო მეურნეობამ დაიწყო სხვადასხვა სახის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში, დიდი ყურადღება ექცეოდა ახალი ტყის მასივების შექმნას. მეურნეობის დაარსებიდან ე.ი. 1968 წლიდან, გაშენდა დაახლოებით 1500 ჰექტარამდე ახალი ტყის მასივები, კოლმეურნეობებიდან გადმოცემულ ხრიოკ და ეროზირებულ ფართობებზე, ასევე აღადგინეს მეჩხერი და დაბალი სიხშირის ტყეები. აღსანიშნავია ბათუმი-ქედის საავტომობილო გზის გასწვრივ დამრეც ფერდობებზე ეროზიისა და ზვავწარმოქმნის საწინააღმდეგო დამცავი ტყის ნარგაობანი, რომელიც დღესაც ეროზიისა და თოვლის ზვავების შემაკავებელ საიმედო ზღუდეს წარმოადგენს.

ტყის დაცვა - აღდგენის საქმიანობის პარალელურად მეურნეობაში ფუნქციონირებდა ფართო მოხმარების საამქრო, რომელიც სანიტარიული ჭრიდან და ქვეტყიდან (10-12 ათასი კუბური მეტრი წელიწადში), უშვებდა სხვადასხვა დასახელების საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების ასეულ ათასობით მანეთის პროდუქციას და გარკვეული წვლილი შექონდა ქედის რაიონის ბიუჯეტის შვსებაში, 1980 წელს დაახლოებით მილიონ ნახევარი მანეთის პროდუქცია აწარმოა.

ასევე მეურნეობაში მაღალ დონეზე იდგა მეცხოველეობაც, ფუნქციონირებდა როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა 150 სულზე, ასევე მეღორეობის ფერმა. ყოველწლიურად ათეულობით ტონა ხორცს აბარებდნენ სახელმწიფოს.

სატყეო მეურნეობა გაწეული შრომის მიხედვით, სსრკ სატყეო მეურნეობებს შორის პირველობას არავის უთმობდა, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდა და მთავრობისაგან მიღებული რამდენიმე ათეული დიპლომისა და ქების სიგელის მფლობელია, 12-ჯერ იყო საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1968-1997 წლებში ქედის სატყეო მეურნეობას ხელმძღვანელობდა გამოცდილი ორგანიზატორი და საუკეთესო სამეურნეო მუშაკი სერგო ჟღენტი. ვრცლად: შ.ჩიკვაიძე, ნარკვევი – „ვაჟიშვილობის თილისმა," გაზ. „ქედა" №8. 2012 წ. აგვისტო.

სატყეო მეურნეობაში დასაქმებული იყო 500 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი იყო 400 მანეთი. დირექტორი სერგო ჟღენტი დახმარებას უწევდა რაიონში ყველა გაჭირვებულ ოჯახს, დაზარალებულს და დამეწყრილს. მისი მტკიცე და სანიმუშო მუშაობის შედეგი იყო, რომ სატყეო მეურნეობა საკავშირო მასშტაბით პირველობას

არავის უთმობდა. ამ მიზეზით 1986 წელს, ქედის რაიონს ესტუმრენ სსრ კავშირის სატყეო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ზვერევი და სსრ კავშირის 15 რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მინისტრები.

მაშინ ქედაში ჩატარდა საკავშირო სატყეო მეურნეობათა სამინისტროების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. სატყეო მეურნეობაში შექმნილი იყო ცხმორისის, მახუნცეთის და მერისის სატყეო უბნები, უბნის უფროსები იყვნენ ალი ანანიძე, გიორგი ბერიძე და მიხეილ მანველიძე.

1998-2003 წლებში სატყეო მეურნეობას მიხეილ მანველიძე ხელმძღვანელობდა. 1973-2006 წლებში მთავარი მეტყევის თანამდებობაზე მუშაობდა გიორგი ზუმბაძე, რომელიც ამავე დროს 2004-2006 წლებში პარალელურად დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

2006 წელს სატყეო მეურნეობის დირექტორად დაინიშნა დავით ჯაბნიძე, 2009 წელს – ზაზა დევაძე, 2010წლიდან - მერაბ სანიკიძე. 2013 წლიდან სატყეო მეურნეობის დირექტორია ჯემალ ბერიძე.

ქედის სატყეო მეურნეობა ყოველწლიურად შეშით ამარაგებდა რაიონის სკოლებს, ბაგა-ბაღებს, საავადმყოფოებს, საწარმო-დაწესებულებებსა და რაიონის მოსახლეობას.

ხულუს გოგოლიშვილი

სერგო ჟღენტი

ხელისუფლების სათემო რგოლი

აქამდე ეკონომიკურ და ხალხის კეთილდღეობის საკითხებზე ვსაუბრობდით. ახლა ეს თემა თითქოს არაბუნებრივია, მაგრამ თუ საკითხს იმ კუთხით შევხედავთ, რომ ხელისუფლების სათემო რგოლი სწორედაც ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველობის სათავეში იდგა, ეკონომიკის განვითარებაშიც ამბობდა წონად სიტყვას, თუნდაც იმიტომ, რომ თემს მოსდევს მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხი – სოფლის მეურნეობა და კოლმეურნეობათა საქმიანობა, საკითხთა შორის ლოგიკური კავშირი ვფიქრობ, უზრუნველყოფილი იქნება.

ხელისუფლების სათემო რგოლი შეიქმნა 1922 წელს, როცა ქედის მაზრის სოფლები სამ – ქედის, ცხმორისისა და მერისის თემებში გაერთიანდა. ამ ეტაპზე სოფლებში იყო რევკომები, მაგრამ ისინი სათანადო როლს ვერ ასრულებდნენ. რაც შეეხება განათლებისა და კულტურის ობიექტებს, ისინი თანდათან ჩნდებოდნენ, ჯერ კიდევ დიდი დრო იყო კოლმეურნეობების შექმნამდე. ამიტომ ამ ეტაპზე სათემო საბჭოებს დიდი როლი ეკისრებოდათ. ისინი ყველაზე ახლოს იყვნენ ხალხთან, უკეთ იცნობდნენ მათ ყოველდღიურ ყოფას და შეეძლოთ დადებითი ზეგავლენა მოეხდინათ მასზე.

სოფლად თანდათან ჩნდებოდა ახალახალი ობიექტები და საქმიანობის არეალი ფართოვდებოდა. 1930 წლიდან თემებს სასოფლო საბჭოები ეწოდათ, რაც არ იყო სწორი. თემი სოფლების გაერთიანებას გულისხმობს და უკეთესი იყო ამ სახელით ემოქმედათ ქედის სინამდვილეში. პირველი საბჭოები შეიქმნა პირველ მაისში, ოქტომბერში, ზვარესა და დანდალოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განახლდა თემების სახელები და თემსაბჭოებს დაემატა წონიარისის სათემო საბჭო, შემდეგ საბჭოების ნაცვლად მმართველობის ფორმას ეწოდა საკრებულოები. ახალი საუკუნის დაწყების შემდეგ საკრებულოები გაუქმდა, თემი კი დარჩა. ამიტომ თუ 90-იან წლებში თემების უფროსებს გამგებლები ერქვათ, ახლა რაიონის გამგეობის წარმომადგენლები ეწოდათ. შემდეგ უფრო გამარტივდა ეს რგოლი და დღეს არსებობს თემი, მაგრამ ახლა მუნიციპალიტეტის (რაიონის ახალი სახელია) გამგეობას ჰყავს თემში სპეციალისტები სოფლების სიმრავლის მიხედვით (ძირითადად 3 ან 4) და მართვის სათემო რგოლი აღარ არსებობს. ის უკვე ისტორიაა, რომელიც უნდა გვახსოვდეს, ამიტომ თემების შესახებ ცალკ-ცალკე წარმოგიდგენთ მასალას.

ქედის თემი

ქედის სათემო საბჭო შეიქმნა 1922 წელს და თავმჯდომარედ დაინიშნა რეჯებალ ხაბაზი, მოადგილედ რემიზ მიქელაძე, წევრი მემედ ცინცაძე იყო, ხოლო საქმის მწარმოებელი – იპოლიტე გობრონიძე.

1923 წლიდან ქედის სათემო საბჭოს თავმჯდომარეა მემედ ცინცაძე, მდივანი – დავით სიგუა. 1926 წლის 3 თებერვლიდან მემედ ცინცაძე სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გახდა, ქედის თემსაბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა თევრათ დიასამიძე. 1926 წლის ივნისიდან ქედის თემსაბჭოს თავმჯდომარეა დაუდ თურმანიძე, ხოლო 1926 წლის 28 სექტემბრიდან ინიშნება მურად ბერიძე.

1929 წლის 2 დეკემბერს ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მემედ ცინცაძე დაინიშნა ქედის თემსაბჭოს თავმჯდომარედ, საბჭოს მდივნად კი ისმაილ მემედის ძე შერვაშიძე. 1933 წლის მაისიდან ქედის თემსაბჭოს ეწოდა სადაბო საბჭო.

1933 წლის 20 მაისს სადაბო საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა 3-ის მაგივრად 5-სექცია, 1. სასოფლო-სამეურნეო 2. განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ყოფაცხოვრების. 3. საფინანსო-საგადასახადო. 4. ადგილობრივი მეურნეობის კეთილმოწყობის, საგზაოს და კავშირგაბმულობის. 5. მუშურ-გლეხური სექცია, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ შესაბამის მიმართულებებს.

ქედის სადაბო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა სოფლები: 1. მეძიბნა; 2. ალიქოღლები; 3. ორცვა; 4. კაკაოღლები; 5. ძენწმანი; 6. კორომხეთი; 7. ცხემნა; 8. ზენდიდი; 9. გულები; 10. აქუცა; 11. ქედა; 12. შევაბური.

1933 წლის ივლისიდან ქედის სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა ნური მიქელაძე.

სადაბო საბჭოს აღმასკომი სისტემატიურად იხილავს საყოველთაო სავალდებულო სწავლების საკითხებს.

1936 წლის აპრილიდან სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა ახმედ ბარამიძე. 1936 წლისათვის ქედის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე იყო: 1 ბავშვთა ბაღი, 8 დაწყებითი სკოლა (შევაბურის, კორომხეთის, ძენწმანის, ორცვის, ცხემნის, გულების, აქუცის, ზენდიდის), 2 ჭრა-კერვის სკოლა (შევაბურის და კორომხეთის).

1938 წლიდან სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა ოსმან ცინცაძე, პრეზიდიუმის წევრები არიან: მემედ ცინცაძე, რეფიყ პაპუნიძე, ახმედ ბარამიძე.

1939 წლის დეკემბრიდან ქედის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გახდა

შუქრი პაპუნიძე.

1945 წლისათვის ქედის სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა ფელულ ხასანის ძე დიასამიძე, მდივანი ხ. პეტრიძე, აღმასკომის წევრები: თ. დიასამიძე, ა. დიასამიძე, გ. დიასამიძე, ხოსრო სურმანიძე.

1948 წლის იანვრიდან საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა რაფიელ პაპუნიძე. 10 ოქტომბერს ქედის სადაბო საბჭოს აღმასკომის სხდომამ გაანაწილა ყურძნის მოყვანის გეგმები მაღლარი ყურძნის ხარჯზე. მე-18 პარტყრილობის კოლმეურნეობაზე - 3000კგ, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაზე - 3000 კგ, მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაზე - 2000 კგ, კალინინის სახ. კოლმეურნეობაზე - 500 კგ, ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობაზე - 1000 კგ.

1950 წლიდან ქედის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა თალიბ დიასამიძე, მდივანი – დავით ცინცაძე.

1961 წლის 19 მარტიდან ქედის სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა სერე ბეჟანიძე. სასოფლო საბჭოს აღმასკომის სესიებზე და სხდომებზე სისტემატიურად იხილავენ სადაბო საბჭოში განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხებს, საბჭო იხილავს სასოფლო-სამეურნეო საკითხებსა და ღებულობს სათანადო დადგენილებებს.

1965 წლის 27 მარტს ქედის სადაბო საბჭოს მე-10 მოწვევის პირველმა სესიამ სადაბო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია სერე ბეჟანიძე. თავმჯდომარის მოადგილედ შოთა მიქელაძე და სადაბო საბჭოს მდივნად შოთა სურმანიძე.

1969 წლის 16 იანვარის ქედის სადაბო საბჭოს მე-11 მოწვევის მე-13 სესიამ ქედის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ნუგზარ დიასამიძე. ამ პერიოდიდან მნიშვნელოვნად იზრდება სასოფლო-სამეურნეო პრობლემებით დაინტერესება. წარმატებაც სახეზე იყო.

სადაბო საბჭოში შემავალ სასოფლო-საკოლმეურნეო სავარგულებში ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მშრომელთა ანაზღაურება. აგრეთვე გაიზარდა მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონე. გამოცდილი ხელმძღვანელის ხელი დაეტყო ახლადშექმნილ სამრეწველო დარგებს.

1972 წლის 26 დეკემბერს ქედის სადაბო საბჭოს სესიაზე აღინიშნა, რომ ქედის ჩაის ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 690 ტონა ჩაის ფოთოლი და გამოუშვა 151 ტონა მზა პროდუქცია, 653 ათასი მანეთის ღირებულების. აღინიშნა ისიც, რომ დაბის ტერიტორიაზე დაიდგა 1000–ნომრიანი სატელეფონო სადგური. კეთილმოეწყო შინმოუსვლელთა მემორიალური სტენდი.

1975 წლის 21 ივნისს მშრომელთა დეპუტატებს ქედის სადაბო საბჭოს სესიამ ქედის სადაბო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ნაზიმ ფარტენაძე, თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი შოთა მიქელაძე, საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა თამარ აბულაძე.

1980 წლის 4 მარტს მშრომელთა დეპუტატების ქედის სადაბო საბჭოს სესიამ ნ. ფარტენაძე შეცვალა ავთანდილ ზანაქიძით.

1984 წლის 7 თებერვალს სესიამ აიღო ვალდებულება, რომ სადაბო საბჭოს მშრომელები სახელმწიფოს მიყიდიან 85 ტ. თამბაქოს, 130 ტ. ყურძენს, 150 ტ. მწვანე ჩაის ფოთოლს, 60 ტ. რძეს, 32 ტ. ხორცს, 330 კგ. აბრეშუმის პარკს, 4 ტ. დაფნის ფოთოლს.

1990 წელს სადაბო საბჭო გაუქმდა, – დაბის ტერიტორიის მართვა დაეკისრა კომუნალურ განყოფილებას და შეიქმნა ზენდიდის სასოფლო საბჭო, რომლის გამგებლობა ვრცელდებოდა მხოლოდ სოფლებზე.

1990 წლიდან ზენდიდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა რეზო აბულაძე, მდივნად – თ. აბულაძე.

1991 წლის 11 აპრილს საბჭოს ნაცვლად შეიქმნა ზენდიდის სასოფლო საკრებულო, რომლის პირველი მოწვევის პირველმა სესიამ, ზენდიდის სასოფლო საკრებულოს გამგებლად აირჩია სულიკო სურმანიძე, ხოლო საკრებულოს მდივნად რევაზ აბულაძე.

1991 წლის 1 ივლისს ზენდიდის საკრებულოს სესიამ საკრებულოს მდივნად აირჩია თამარ აბულაძე.

2004 წლის ივნისიდან დაბა ქედის საკრებულოს გამგებლად დაინიშნა რეზო ნაკაშიძე, ხოლო მდივნად თამარ აბულაძე.

2007 წლიდან საკრებულო გაუქმდა და ზენდიდის თემში ქედის რაიონის გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა უშანგი ასამბაძე. 2014 წლის ნოემბრიდან ზენდიდის (დაბა ქედის) საკრებულოში გამგეობის წარმომადგენელია ვაჟა აბულაძე.

ცხმოხისის თემი

1921 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში პირველი თემსაბჭოები შეიქმნა ცხმორისში და ჩაქვში.

მაშინდელი ცხმორისის თემში შედიოდა დღევანდელი ცხმორისის, დანდალოსა და წონიარისის თემების სოფლები. ცხმორისის თემსაბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო უსუფ ავალიანი დანდალოდან, მოადგილე – ზექერია ბარამიძე წონიარისიდან. ახლადშექმნილი ცხმორისის სათემო საბჭო მოთავსდა ხემიდ თავდგირიძის სახლში, მის გვერდით იყო მილიციის განყოფილება (სადარაჯო), შემდეგ აქვე იყო ქოხსამკითხველო და კოოპერატივი.

1931 წელს შეიქმნა ზვარის სასოფლო საბჭო და დღევანდელი წონიარისის თემიდან ცხმორისის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში დარჩა სოფელი აბუქეთა, (1950 წლამდე). 1936 წელს ცხმორისს გამოეყო დანდალოს სასოფლო საბჭო და დღევანდელი დანდალოს თემიდან 1939 წლამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში დარჩა სოფელი ბალაძეები.

ცხმორისის თემში უსუფ ავალიანის მმართველობის დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა. არსებობს 1921 წლის 21 აგვისტოს აქტი მთა კვესაურთან დაკავშირებით. დავა წარმოშობილი იყო ხულოს რაიონის სოფლებისა (დარჩიძეები, შუბანი, ტომაშეთი, იაკობაური) და ქედის რაიონის სოფლებს (დანდალო, ხარაულა, კოკოტაური) შორის.

აქტის მიხედვით დავა დანდალოელთა სასარგებლოდ გადაწყდა და ამას ჰქონდა ისტორიული საფუძველი.

1929 წლის იანვრიდან უსუფ ავალიანი ქედის მაზრის მიწათსარგებლობის სამსახურში გადაიყვანეს.

1923 წელს ცხმორისში შეიქმნა მილიციის საგუშაგო ორი ცხენოსანი და სამი ფეხოსანი მილიციელის შემადგენლობით.

1923 წელს გაიხსნა პირველი სათემო კოოპერატივი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ოსმან ანანიძე.

1925 წელს გაიხსნა სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილება „მმაჩი", საექიმო პუნქტი, ქოხსამკითხველო და „ლიკსკოლები".

1927 წელს შეიქმნა პირველი „ტოზები".

1928 წელს გაიხსნა პირველი სასადილო.

ცხმორისის თემი მაშინ 10 სოფელს აერთიანებდა. ესენია: ხარაულა, ჯალაბაშვილები, დანდალო, ბალაძეები, ცხმორისი, ახო-გობრონეთი, გეგელიძეები, კოკოტაური, აბუქეთა.

ხელისუფლებამ მეტი ყურადღება დაუთმო მელიორაციის პრობლემის გადაჭრას, სრულყოფას. 1923 წლის 20 აგვისტოს ამ მიზანს ემსახურებოდა თემის სააღმშენებლო სექციის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სოფელ დანდალოში, კანტაურში, ახოში,

კოკოტაურში და წონიარისში სარწყავი არხების გაყვანის შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო ცხმორისის თემში და მთელ ქედის რაიონში საერთო შრომით მიწის დამუშავების „ამხანაგობების" შექმნით 1928-1930 წლებში. ეს იყო კოლმეურნეობების პირველი ფორმა.

სწორედ „ტოზების" შექმნას მოჰყვა მიწების განსაზოგადოება და გლეხობის მხრიდან უკმაყოფილება.

ერთ შემზარავ საარქივო ფაქტს მოგიტანთ: სოფელ გობრონეთში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების სასტიკი წინააღმდეგი იყო უსუფ ნიქაბერიძე. მას „კომუნიზმის მაშხალას" ეძახდნენ. მისი აგიტაციის მიხედვით, თითქოს მთელი სოფელი ერთ საბანში დაიძინებდა. მას ცოლმა თავი ნაჯახით მოჰკვეთა, რის გამოც დააპატიმრეს. ამ ქალს შვილი ციხეში შეეძინა. დღეს ამ გვარისანი გობრონეთში აღარ ცხოვრობენ.

1929 წლის 19 იანვარს ცხმორისის თემის თავმჯდომარედ აირჩიეს ზექერია ბარამიძე. (ის 1915-1920 წლებში ხულოს მაზრაში მუშაობდა. 1923-1925 წლებში ქედის მაზრის მილიციის უფროსი იყო. 1930 წლის გაზაფხულზე დაუდგენელმა პირმა ცხმორისის ცენტრში მოიპარა ჰუმანიტარული პურის მარცვალი, რის გამოც ზექერია ბარამიძე დააპატიმრეს).

1930-1932 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა მემედ ბოლქვაძე სოფელ ახოდან. 1932 წლის იანვრიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ყოფილი რაიონის მილიციის უფროსი მურად ბერიძე. 1932 წლის 20 თებერვლიდან დაინიშნა ალიოსმან ბოლქვაძე გობრონეთიდან.

1933 წლის 15 ივნისს ცხმორისის სოფ. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ქედის რაიმიწგანის გამგე ისლამ ძნელაძე.

1934 წლიდან დაიწყო საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობების სასოფლო-სამეურნეო არტელებად გარდაქმნა.

1933 წლის შემოდგომაზე ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დურსუნ კონცელიძე, ის აქტიურად იცავდა მოსახლეობას რეპრესიებისაგან (შ. აბაშიძის და ა. ნაკაშიძის წიგნი „მშობლიური სახელები", გვ. 41-42).

რეპრესიების მომზადების დროს მთავრობამ ყველგან დაიწყო ადგილობრივი ხელმძღვანელების შეცვლა. 1936 წლის 29 ოქტომბერს დ. კონცელიძე შეცვალა უსუფ ბერიძემ, რომელიც პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის გამოგზავნილი იყო. 1937 წლის 23 თებერვლიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა სულეიმან ბერიძე.

1937 წლის 27 ივნისიდან სექტემბრამდე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ხუსეინ ბერიძე. 1937 წლის სექტემბრიდან 1938 წლამდე – დურსუნ ანანიძე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმდამთავრებული, 1938-1941 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის მთავარ მეთამბაქოედ. 1941–1951 წლებში თამბაქოს დამზადების კანტორის მმართველია. 1951-1983 წლებში მუშაობდა ბათუმის საფერმენტაციო ქარხნის მთავარ მეთამბაქოედ.

1938 წლის 1 იანვრიდან 1938 წლის 20 ნოემბრამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავკაცი იყო მუსტაფ ხალვაში, ყოფილი გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1938 წლის ნოემბრიდან 1943 წლის იანვრამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა მევლუდ კეკელიძე. ის არაერთხელ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად, აჭარის ცაკის წევრად, იყო პარტიის ქედის რაიკომის წევრი და რაისაბჭოს აღმასკომის წევრი. მუშაობდა რაიონის კომუნალური მეურნეობის დირექტორად.

1939 წელს განუკითხაობის მსხვერპლი გახდა ცენტრი ცხმორისის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ბარნაბი ჯალაღანია, რომელსაც დაბრალდა ცენტრ ცხმორისში ხანძრის გაჩენა, დაიწვა ხემიდ თავდგირიძის სახლში განთავსებული სასოფლო საბჭოს შენობა, ფოსტა და მაღაზია, სხვა ობიექტები, ბარნაბი ჯალაღანიამ ათწლიანი სასჯელი მოიხადა.

სასოფლო საბჭოს შენობა 1939-1943 წლებში განთავსებული იყო თევყიფ ბოლქვაძის

საკარმიდამოს მიმდებარე თამბაქოს მიმღებ პუნქტში, ხოლო 1943 წელს აშენდა ახალი ორსართულიანი შენობა ბოლქვაძეების ნაკვეთში, რომელშიც სასოფლო საბჭო დარჩა 1960 წლამდე. ეს შენობა გადაეცა სკოლას და სასოფლო საბჭოს შენობა 1960-1981 წლებში მდებარეობდა აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე.

1943-1946 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა სულეიმან ნიჟარაძე. ის იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, მუშაობდა საქ. კპ. ქედის რაიოკომის ინსტრუქტორად, 1939-1941 წლებში – გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯ-დომარედ, მას დამთავრებული ჰქონდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1946-1948 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო ახმედ დიასამიძე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კოლმეურნეობებზე დახმარე-ბა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

1948 წლის იანვრიდან 1949 წლის თებერვლამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო მემედ თავართქილაძე, რომელიც თებერვლიდან კოკო-ტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1948 წლის თებერვლიდან 1959 წლის მარტამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო რამიზ სირაბიძე. მის დროს აშენდა ცხმორისში კლუბი, რომელიც 1959 წლის 26 ივლისს გადაკეთდა სოფელ ცხმორისის კულტურის სახლად, ოთხი საშტატო ერთეულით. 1958 წელს სოფელ გობრონეთში გაიხსნა კლუბი, ცხმორისში აფთიაქი, მაღაზიები გაიხსნა ყველა სოფელში, პურის საცხობები აშენდა სოფელ ცხმორისში, ცენტრ ცხმორისში, ახოში, გეგელიძეებში.

1959 წლის 24 მარტიდან 1961 წლის 21 მარტამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო ყოფილი ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი 1937-1941 წლებში, დიდი სამამულო ომის მონაწილე, შემდეგ მერგოლური, ბრიგადირი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, გეგელიძეების კოლმეურ-ნეობის თავმჯდომარე სერგო ხალვაში.

1961 წლის 24 მარტიდან 1972 წლამდე ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარ-ედ აირჩიეს სასოფლო საბჭოს მდივანი, პედაგოგი სულეიმან ბოლქვაძე.

სულეიმან ბოლქვაძის მუშაობის დროს ცხმორისის სასოფლო საბჭოში აშენდა 1963 წელს 25 - საწოლიანი საავადმყოფო საკოლმეურნეო ხარჯებით, აგრეთვე ახოს კლუბ-კანტორა.

1972-1977 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირ-ჩიეს ქაზიმ დიასამიძე – 1969-1972 წლებში ცხმორისის საშუალო სკოლის დირექტორი.

1977-1985 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არ-ჩეულ იქნა საქ.კპ. ქედის რაიკომის ინსტრუქტორი მიხეილ ბოლქვაძე, მისი მუშაობის დროს ფართო ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის დასაქმებას. ამოქმედდა საღამოს დაუსწრებელი სკოლები, საყოველთაო საშუალო განათლება მთავარი საზრუნავი გახ-და, ამ ტიპის სკოლებში ჩაბმული იყო 16-დან 29 წლამდე ახალგაზდობა.

1986-1987 წლებში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა სუ-ლიკო ბოლქვაძე, რომელიც 1981-1986 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს მდივანი იყო. სულიკო ბოლქვაძე 1987 წელს გადაიყვანეს ქედის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ.

1987-1991 წლებში ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობ-და ალი ნაკაშიძე, რომელიც 1983-1984 წლებში იყო ახოს საშუალო სკოლის დირექ-ტორის მოადგილე, 1984-1987 წლებში ამავე სკოლის დირექტორი, 1991-1992 წლებში ქედის რაიონის ცხმორისის მომხმარებელთა საზოგადოების თავმჯდომრის მოადგილე, 1994-1996 წლებში – ამ საზოგადოების თავმჯდომარე, 1996-1998 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის ორთაბათუმის კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯ-

დომარედ. 2004 წლიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 580/8 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა, 2006 წლიდან – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №80 ქედის საოლქო კომისიის თავმჯდომარე.

1991 წელს ცხმორისის სასოფლო საბჭო გადაკეთდა ცხმორისის საკრებულოდ, რომლის გამგებლად 1991-2004 წლებში იყო ომარ ბოლქვაძე, ის 1987-1991 წლებში მუშაობდა ქედის რაიკოოპერატივის საქონელმცოდნე – რევიზორად.

2011 წლიდან ომარ ბოლქვაძე დაინიშნა ახოს №1 საჯარო სკოლის დირექტორად.

2004-2008 წლებში ცხმორისის საკრებულოს გამგებელი იყო აბელ დიასამიძე.

2008-2010 წლებში ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული ცხმორისის თემში იყო შოთა ბერიძე, რომელიც 2010 წლის იანვრიდან აირჩიეს ქედის საკრებულოს დეპუტატად და ქედის რაიონის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ.

2010 წლის 10 აგვისტოდან ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულად ცხმორისის თემში დაინიშნა დავით კონცელიძე.

2013-2014 წლებში მერაბ ნაკაშიძე იყო გამგეობის რწმუნებულად თემში, ხოლო 2015 წლიდან – ბადრი ბოლქვაძე.

მერისის თემი

მერისის თემის საბჭო შეიქმნა 1922 წელს, რომლის პირველი თავმჯდომარე გახდა მემია თურმანიძე, მოადგილე თევფიყ დიასამიძე, წევრი ესრეთალი თურმანიძე და სამუშაოს მწარმოებელი კოლია ლორთქიფანიძე. 1926 წლიდან მერისის თემსაბჭოს თავმჯდომარეა ახმედ ბარამიძე. 1928 წლის 27 აგვისტოდან თემსაბჭოს თავმჯდომარედ მევლუდ თურმანიძე დაინიშნა.

1927 წლის 6 ივნისს ხულოსა და ქედის მაზრებს შორის აქტით დადგენილია საზღვრები საძოვრებზე „წინაველას" და „ღომას" მთებში. კომისიაში შედიოდა რვა კაცი მერისის თემიდან და რვაც უჩამბის თემიდან. საზღვრების დათვალიერების შემდეგ შედგა აქტი „ლაშეს", „საქონდრიას", „საკაჟიას", „ნაყანვარას" და „ნაჭარგვლევის" მიდამოებში საზაფხულო საძოვრების მოსაწყობად.

ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში არის სახფონდის საზაფხულო საძოვრები: ა) თემი უჩამბა - 858 დესეტინა; ბ) თემი მერისი - 375 დესეტინა;

მერისის თემში მთები ასე განაწილდა: საღორიასა და საკაჟიას მთებს სარგებლობს ნაწილობრივ ინაშარიძეები 1/3, ორთამეელა, სიხალიძეები 1/3, სილიბაური 1/10, ბარამოღლებს არა აქვს მთა. მერისის თემში 1927 წლისათვის ცხოვრობდა: სილიბაურში 51 მოსახლე, ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი 214 სული, წვრილფეხა საქონელი 470 სული; ქეშიოღლებში 49 მოსახლე, ჰყავდათ 160 სული მსხვილფეხა საქონელი და 287 წვრილფეხა; ორთამეელაში 51 მოსახლე, ჰყავდათ მსხვილფეხა პირუტყვი 215, წვრილფეხა 275; ინაშარიძეებში – 52 მოსახლე, ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი 153, წვრილფეხა 212; სიხალიძეებში – 60 მოსახლე, მსხვილფეხა საქონელი 232 სული, წვრილფეხა 275; ბარამოღლებში – 29 მოსახლე, მსხვილფეხა საქონელი 87, წვრილფეხა 114.

სახელმწიფო არქივში მერისის სასოფლო საბჭოს შესახებ ცნობები ინახება 1930 წლის იანვრიდან. 1930 წლის 14 იანვარს მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო ჯემალ გოგოლიშვილი, 1930 წლის 14 აპრილს მერისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმში ჯემალ გოგოლიშვილის ნაცვლად შეყვანილ იქნა ხემიდ ხალვაში, სასოფლო საბჭოს მდივანი ხუსია დიასამიძე გახდა.

1930 წლის 18 ივნისს მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დაადგინა, რომ მერისის სკოლაში სასწავლებლად ჩაებას ყველა ვაჟი და ნამონასტრევში გაიხსნას ამ სკოლის ფილიალი.

1930 წლის 20 ოქტომბერს მერისის სასოფლო საბჭოს კრებამ სასოფლო სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია ესრეთალ სულეიმანის ძე დოლიძე, – მოადგილედ შაქირ სულეიმანის ძე შარაძე.

1932 წლის 13 თებერვალს ჩატარდა მერისის სასოფლო საბჭოს გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმში აირჩია ქაზიმ გოგოლიშვილი და ხემიდ ხალვაში. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ქაზიმ გოგოლიშვილი, მდივნად – ზექერია ჯიჯავაძე.

(მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-აღზრდის საქმეს. 1933 წლის 13 იანვარს მერისის სასოფლო საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე მერისის სკოლის გამგემ ვანო ღლონტმა აღნიშნა, რომ ნამონასტრევის შრომის სკოლაში მოზიდულია 24 ვაჟი და 6 გოგონა, სილიბაურის სკოლაში მოზიდულია 28 ვაჟი და 5 გოგონა, ბარამოღლების სკოლაში 22 ვაჟი და 7 გოგონა, ქეშიოღლებში 40 ვაჟი და 11 გოგონა).

9 მარტს მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ქაზიმ გოგოლიშვილი და მერისის კოოპერატივის გამგე განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან და დროებით სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალა ხ. დოლიძეს, ხოლო კოოპერატივის გამგეობა ეუბ ცეცხლაძეს.

1933 წლის ივნისიდან მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ა. დევაძე.

1933 წლის 5 თებერვალს გაიმართა მერისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა საგაზაფხულო თესვა-რგვის დროულად ჩატარების შესახებ.

1933 წლის 14 მარტს სასოფლო საბჭოს სხდომამ ჩამორთმეული ხმის უფლება აღუდგინა 1930 წელს ციმბირში გასახლებულებს და კონტრაბანდისტული საქმიანობისათვის სასჯელმისჯილებს: მურად ხასანის ძე შარაძეს, ხუსეინ ლომანის ძე თურმანიძეს, ომერ უსუფის ძე თურმანიძეს და თხოვა ქედის რაისაბჭოს აღმასკომს დადგენილების დამტკიცება.

1933 წლის 7 აგვისტოს ხუსეინ დოლიძე იგზავნება სამკურნალოდ და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალა მევლუდ თურმანიძეს.

1934 წლის 12 აპრილს მერისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება სასოფლო საბჭოში ვეტერინალური პუნქტის შენობის აგების შესახებ.

1934 წლის 9 აგვისტოს სხდომაზე სასოფლო საბჭოს აღმასკომმა თხოვა ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომს მერისში გაიხსნას თამბაქოს მიმღები პუნქტი.

1934 წლის 3 სექტემბერს, მერისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა 15 მოქალაქის განცხადება და ჩამოაწერა მათ კარაქის ჩაბარების გეგმა, ძროხის გადაჩეხვის, დაავადებისა და დაცემის გამო. მათ ჩამოეწერათ ხორცის გეგმებიც. ამავე სხდომაზე მერისის სასოფლო საბჭოს საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს აბდულ წითელაძე.

1934 წლის 17 დეკემბერს მერისის სასოფლო საბჭოს სხდომამ ჩამოაყალიბა სექციები და ჯგუფები.

1. მეხილეობა-მემინდვრეობის სექციის ხელმძღვანელად დაინიშნა სულეიმან თურმანიძე.
2. მეცხოველეობის სექციის ხელმძღვანელად – აბდულ დიასამიძე.
3. კულტურულ-საყოფაცხოვრებო სექციის ხელმძღვანელად – ღისა დოლიძე.
4. საგზაო კეთილმოწყობის სექციის ხელმძღვანელად – ქაზიმ გოგოლიშვილი.
5. საფინანსო-საგადასახადო სექციის ხელმძღვანელად – აბდულ წითელაძე.
6. სავაჭრო-დამამზადებელი სექციის ხელმძღვანელად – ალიმემედ დოლიძე.
7. რევოლუციონერული კანონიერების სექციის ხელმძღვანელად – შუქრი ჯიჯავაძე.

1937 წლის 23 აპრილამდე სას. საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს აბდულ დიასამიძე.

1937 წლის 23 აპრილიდან მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა ქაზიმ გოგოლიშვილი და სასოფლო საბჭოს მდივანი – მემედ საკანდელიძე, მაგრამ მალე ქაზიმ გოგოლიშვილი დააპატიმრეს და ციმბირში, შემდეგ ბალტიისპირეთში გაამწესეს. იქ დაიღუპა. რეაბილიტირებულია 1957 წელს.

პლენუმმა მერისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩია ოსმან სურმანიძე, ხუსია დუმბაძე, ყებას კაკაბაძე, რომან თურმანიძე, აბდულ ბეჟანიძე.

მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ყებას კაკაბაძე.

1939 წლის 29 დეკემბერს მერისის მშომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს პირველმა სესიამ მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია აბდულ წითელაძე, მოადგილედ – ვესილე გოგოლიშვილი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად – ისმაილ ოსმანის ძე ხალვაში.

1941 წლის 20 ოქტომბერს მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომამ სასოფლო საბჭოს მდივნის ისმაილ ხალვაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევის გამო გაათავისუფლა მდივნის მოვალეობისაგან. სასოფლო საბჭოს მდივნად დაინიშნა სულეიმან ახმედის ძე სურმანიძე, რომელიც 1942 წლის 2 ნოემბერს საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად დაინიშნა სულეიმან ყემბერის ძე ბეჟანიძე.

1943 წლის 8 აგვისტოდან მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა სულეიმან შაქირის ძე თურმანიძე.

მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1939 წლიდან 1948 წლის 17 იანვრამდე ჩაატარა 52 სესია. სესიებზე და სხდომებზე იხილებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გეგმების შესრულების მიმდინარეობა, განათლების, კულტურის, სამედიცინო მომსახურების საკითხები. სისტემატურად ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს, მერისის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო სასაზღვრო ნაწილებს.

1948 წლის 17 იანვარს გაიმართა მერისის მშრომელთა დეპუტატების მეორე მოწვევის პირველი სესია. სესიამ მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია აბდულ ისმაილის ძე წითელაძე, თავმჯდომარის მოადგილედ – ხასან ოსმანის ძე დოლიძე, მდივნად – მურთაზ კაკაბაძე.

1948 წლის 30 მარტს მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა მერისის ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. ყველა კოლმეურნეობას გაუნაწილდა ელექტროსადგურის მშენებლობისათვის მუშახელის გამოყოფის გეგმა.

1950 წლის 9 ოქტომბერს მერისის სასოფლო საბჭოს მეორე მოწვევის 33-ე სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აბდულ წითელაძე გაათავისუფლა სამუშაოდან და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია უშანგი ოსმანის ძე ხალვაში.

1957 წლის 22 მარტს მერისის მშრომელთა დეპუტატების მეექვსე მოწვევის პირველმა სესიამ მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ნევრო ახმედის ძე საკანდელიძე, თავმჯდომარის მოადგილედ – უშანგი ოსმანის ძე ხალვაში, მდივნად – შალვა აბდულის ძე დევაძე, სასოფლო საბჭოს მდივნად 1957 წლის სექტემბრიდან დაინიშნა ეთერ დიასამიძე.

1959 წლის 24 მარტს მერისის სასოფლო საბჭოს მეშვიდე მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია რევაზ ხასანის ძე თურმანიძე, მოადგილედ – ნევრო ახმედის ძე საკანდელიძე, მდივნად – ეთერ მუსას ასული დიასამიძე.

1961 წლის 15 მარტს მერისის სასოფლო საბჭოს მერვე მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია რევაზ ხასანის ძე თურმანიძე, მოადგილედ არჩეული იქნა ვლადიმერ დავითის ძე შარაძე და მდივნად – ეთერ მუსას ასული დიასამიძე.

1963 წლის 29 მარტს მშრომელთა დეპუტატების მერისის სასოფლო საბჭოს მე-9 მოწვევის პირველმა სესიამ აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია სარდიონ ყემბერის ძე ბეჟანიძე, მდივნად ეთერ მუსას ასული დიასამიძე.

სარდიონ ბეჟანიძე მერისის სასოფლო საბჭოს ამომრჩევლებმა 1975 წლის არჩევნების დროს აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1978 წლიდან მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანია ნანული ვლადიმერის ასული შარაძე.

1980 წლის 5 მარტს მერისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სესიამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია სარდიონ ბეჟანიძე, მდივნად – არსენ ბეჟანიძე.

1991 წლის აპრილში სასოფლო საბჭოს ნაცვლად ამოქმედდა თემის საკრებულო, რომლის გამგებლად დაინიშნა ზაურ თურმანიძე.

2004 წელს გამგებლად დაინიშნა ჯემალ შარაძე, 2009 წლიდან კი რაიონის გამგეობის რწმუნებულად – ჯაბა ლორთქიფანიძე. 2010 წლის 18 იანვრიდან რწმუნებული გახდა როლანდ წითელაძე. 2013 წ. რამაზ თურმანიძე, ხოლო 2015 წ. იანვრიდან სოსლან თურმანიძეა რაიონის გამგეობის წარმომადგენელი.

პირველი მაისის თემი

აჭარის სახელმწიფო არქივში პირველი მაისის სასოფლო საბჭოს (საღორეთის სოფ. საბჭოს) შესახებ ჩანაწერები ინახება 1931 წლის 30 იანვრიდან. ამ დროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო ახმედ დევაძე. სასოფლო საბჭოს სხდომაზე ჩამოყალიბდა სამი სექცია: 1. სააღმშენებლო, 2. განათლების, 3. ჯანმრთელობის, კოოპერაციისა და კავშირგაბმულობის. 25 თებერვალს სასოფლო საბჭოსთან ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის უჯრედი. მასში შევიდნენ: ა. დევაძე, მ. გოგიჩაიშვილი, ა. მჟავანაძე, უსუფ დვალიძე, ხასან დევაძე, ჯემალ სალაძე, ომერ დევაძე.

1931 წლის 9 აპრილს საღორეთის სასოფლო საბჭომ აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ომერ დევაძე.

1931 წლის 8 მაისს საღორეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა თხოვნით მიმართა ქედის რაისაბჭოს აღმასკომს საბჭოში ტელეფონის დადგმის შესახებ.

1931 წლის 15 მაისს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა ზედა და ქვედა აგარის, დერეხოხნის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების ახმედ თებიძის, მემედ დევაძის და ოსმან გურგენიძის ანგარიშები.

პირველი მაისის სასოფლო საბჭოში თავიდანვე შედიოდა სოფლები: ზედა აგარა, ქვედა აგარა, საღორეთი, ორთახოხნა და დერეხოხნა(ორივე ხოხნას დღეს კოლოტაური ჰქვია).

1931 წლის 1 აგვისტოს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დაადგინა: აგებულ იქნას ორსართულიანი სათემო სახლი 8 ოთახით, რომელშიც მოთავსდება სოფ. საბჭო, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, სამკერვალო. კოოპერატივის შენობა კი დაეთმობოდა ხეხილის მიმღებ პუნქტს.

1932 წლის 9 მარტს საღორეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გაანაწილა საგაზაფხულო თესვითი გეგმები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სისტემატიურად იხილავს და კონტროლს აწესებს აწჰესის მშენებლობაზე მუშახელის მიწოდებასა და მუშაობაზე.

1932 წლის 25 აგვისტოს საღორეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომს განმეორებით თხოვს, რათა მახუნცეთიდან გამოიყვანონ ტელეფონის ხაზი.

1933 წლის 8 მაისს საღორეთის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ სასოფლო

საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ომერ დევაძე გაათავისუფლა, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ჯემალ აბულაძე.

1933 წლის 4 ივნისს სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ჯემალ აბულაძე გაათავისუფლეს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობიდან და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შუქრი მახარაძე.

1933 წლის 29 სექტემბერს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შუქრი მახარაძე გაათავისუფლა სამუშაოდან და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ომერ დევაძე.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სისტემატ ურად იხილავდა ფულადი სახსრების მობილიზაციის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების: კარაქის, ხორცისა და თამბაქოს დამზადების მიმდინარეობას, იყო შემთხვევები, როცა უღარიბეს ფენებს ათავისუფლებდნენ გადასახადისაგან.

1934 წლის 11 იანვრიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა ოსმან ალის ძე ფარტენაძე და 1934 წლის 16 ოქტომბრიდან სასოფლო საბჭოს მდივნად ინიშნება ჯასიმ სულეიმანის ძე დევაძე.

1935 წლის 31 იანვარს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს პლენუმმა სასოფლო საბჭოსთან არსებული სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია მუხამედ შაქარაძე, მოადგილედ – მუსტაფ გოგუაძე, მდივნად დ. თებიძე.

1935 წლის 23 აგვისტოს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს პლენუმმა თავმჯდომარე ოსმან ფარტენაძე რაიაღმასკომში გადაყვანის გამო გაათავისუფლა სამუშაოდან და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მუხამედ შაქარაძე. 21 ოქტომბრიდან სასოფლო საბჭოს მდივანია ხ. სამნიძე. 1936 წლის 17 აპრილიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა შუქრი დევაძე, ხოლო 1936 წლის 25 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს პლენუმმა პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ფარტენაძე.

1937 წელს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოსმან ალის ძე ფარტენაძე და ყოფილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შუქრი მახარაძე დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტრები.

1937 წლის დეკემბრიდან ხელილ სამნიძე აირჩიეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, მდივნად ო. დევაძე. 1938 წლის ოქტომბრიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა დურსუნ სურმანიძე, ხოლო მდივანი – ო. დევაძე.

1939 წლიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ჯასიმ სულეიმანის ძე დევაძე, სასოფლო საბჭოს მდივანი – ოსმან სამნიძე.

1938 წლის აღწერით პირველი მაისის სასოფლო საბჭოში მოსახლეობაში იყო 1986 სული პირუტყვი, ხოლო 1940 წლის აღწერით აღმოჩნდა 1714 სული.

1935 წელს დაიწყო ქვედა და ზედა აგარის, აგრეთვე სოფელ პირველი მაისის საურმე გზის მშენებლობა, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო შეჩერებული იქნა, რის გამოც სასოფლო საბჭოს აღმასკომმა თხოვა საქართველოს კპ ქედის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს დახმარება, რათა 1940 წელს დამთავრებულიყო გზის მშენებლობა.

1941 წლის ივლისიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ხ. დევაძე და მდივანია შ. გეგეშიძე.

1942 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის მაისამდე პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ჯასიმ სულეიმანის ძე დევაძე, ხოლო 1943 წლის მაისიდან – ოსმან სამნიძე, მდივანი – დაუთ დვალიძე.

1945 წლის 16 ოქტომბერს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს პირველი მოწვევის მეოცე სესიამ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოსმან სამნიძე გაათავისუფლა სამუშაოდან და აირჩია ხემიდ მევლუდის ძე დევაძე,

მდივნად – ჰარუნ დევაძე.

1948 წლის 17 იანვარს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მეორე მოწვევის პირველმა სესიამ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ალი აბდულის ძე თებიძე, მოადგილედ – დურსუნ შაქირის ძე დევაძე, მდივნად – მემედ ყერიმანის ძე თებიძე.

1949 წლის 29 მარტიდან პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯ-დომარის მოვალეობის შემსრულებელია ოსმან სამნიძე, 1950 წლის 12 აგვისტოს სასო-ფლო საბჭოს სესიამ თავმჯდომარედ აირჩია ალიოსმან აბდულის ძე თებიძე.

სასოფლო საბჭოს მდივნის მემედ ყერიმანის ძე თებიძის და პატიმრების გამო. მდივნის, მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ციალა ისიდორეს ასული მელაშვილი.

1953 წლის 3 მარტს მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მეოთხე მოწვევის პირველ სესიაზე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს რეჯებ მახარაძე, ხოლო 1956 წლიდან სასოფლო საბჭოს მდივანია ახმედ დევაძე.

1959 წლის 24 მარტს ჩატარდა პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მე-7 მოწვევის პირველი სესია. სესიამ თავმჯდომარედ აირჩია რეჯებ მუსას ძე მახარაძე, თავმჯ-დომარის მოადგილედ – ქაზიმ ხუსეინის ძე შერვაშიძე, ხოლო მდივნად – ახმედ უსუფის ძე დევაძე.

1961 წლის 25 მარტიდან სასოფლო საბჭოს მდივნად არჩეული იქნა მურად აბდუ-ლის ძე თებიძე.

1965 წლის 26 მარტს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მე-10 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ქაზიმ ხუსეინის ძე შერვაშიძე, თავმჯდომარის მოადგილედ – მემედ დურსუნის ძე დევაძე, ხოლო მდივნად – ავთანდილ მემედის ძე დევაძე.

1966 წლის 27 ნოემბერს სასოფლო საბჭოს სესიამ მოისმინა სასოფლო საბჭოს ანგარიში, რომელშიც აღინიშნა, რომ კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს თამბაქოს გაშენების გეგმა, გააშენეს 32 ჰექტარზე თამბაქო, ნაცვლად 35 ჰექტრისა, ნაცვლად 48 ტონისა, სახელმწიფო ჩაბარეს 51,5 ტონა ჩაი, ყურძნის გეგმა იყო 17 ტონა, შეასრულეს 9,7 ტონა.

სასოფლო საბჭოში მოქმედებდა ერთი საშუალო, 2 რვაწლიანი და ორი დაწყებითი სკოლა. საბჭოს ტერიტორიაზე მუშაობდა 2 მაღაზია, ერთი სასადილო.

1969 წლის 25 მარტს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მე-11 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ნათელა სამნიძე, თავმჯდომარის მოადგილედ – ზურაბ თებიძე, მდივნად კი ავთანდილ დევაძე.

1970 წლის 25 სექტემბერს სასოფლო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულე-ბლად დაინიშნა ფარტენაძე ჯემალ მემედის ძე.

1973 წლის 21 ივნისს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მე-14 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია შალვა თებიძე, თავმჯ-დომარის მოადგილედ – დანიელ სალაძე, რომელიც 1980 წლიდან უკვე თავმჯდომარეა. მდივნად – ციალა ვაშაყმაძე. 1975 წლის 21 ივნისიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარ-ის მოადგილეა რიზალ თებიძე, მდივანი – აიგული ბერიძე.

1979 წლის 16 იანვარს მე-16 მოწვევის მე-10 სესიამ გადაწყვიტა პირველი მაისის საშუალო, აგარის რვაწლიანი და კოლოტაურის 8 - წლიანი სკოლების რემონტი.

1991 წლის 11 აპრილს პირველი მაისის საკრებულოს პირველ სესიაზე გამგებლად, რაიონის პრეფექტის წარდგინებით, აირჩიეს შოთა სამნიძე, ხოლო მდივნად – აიგული ბერიძე. 1993 წლის 12 თებერვალს საკრებულოს გამგებლად – ილია თებიძე, ხოლო 1995-1996 წლებში საკრებულოს გამგებელი იყო დანიელ სალაძე.

1996 წლიდან საკრებულოს გამგებლად მუშაობდა ზურაბ დევაძე.

2004 წლის ივნისიდან საკრებულოში რაიონის გამგეობის რწმუნებულია რევაზ წითელაძე, შემდეგ – აბდულ ყადიძე, 2010-2012 წწ – თინა თებიძე. 2012 წლიდან საკრებულოს რწმუნებულია დავით შავლიძე. 2015 წლის იანვრიდან კი რაულ სალაძე.

მახუნცეთის თემი

1921 წლის 26 დეკემბერს აჭარის წითელი მეჯლისის დადგენილებით აჭარაში შეიქმნა 5 მაზრა. მახუნცეთი და დოლოგანი მიეკუთვნა აჭარისწყლის მაზრას. 1923 წლის ივლისიდან აჭარისწყლის მაზრა გაუქმდა და შეიქმნა ჭოროხის მაზრა. დოლოგანი და მახუნცეთი დარჩა ჭოროხის მაზრაში.

1939 წლის 24 სექტემბრამდე მახუნცეთის სასოფლო საბჭო შედიოდა ბათუმის რაიონში. მახუნცეთის სასოფლო საბჭოს შესახებ საარქივო ჩანაწერები სახელმწიფო არქივში ინახება 1934 წლიდან, ამ დროისათვის მახუნცეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ოსმან ირემაძე, მდივანი – გ. ჟღენტი.

1934 წლის ივლისიდან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს მდივანია იბრაიმ გვარელოღლი.

1934 წლის 29 ნოემბრიდან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ხასან ვერძაძე.

1935 წლისათვის მახუნცეთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იყო: უჩხითის, ნამლისევის, მილისის, ქოსოფლის, ზედა მახუნცეთის, ბაბუჩოღლების, ზედა ბზუბზუს, დოლოგნის, ჭინკაძეების, ზუნდაგის ოთხწლიანი სკოლები და მახუნცეთის არასრული საშუალო სკოლა.

მახუნცეთის სასოფლოს საბჭოს შექმნის დროდ საარქივო მასალებით დასტურდება 1922 წელი.

1936 წლის 29 სექტემბერს მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომი იხილავს ზედა ბზუბზუს მოსახლეობის საერთო კრების ოქმს კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ.

ამავე სხდომაზე განიხილეს სოფელ ქოსოფლის 15 კომლის განცხადება „ტოზის" ფორმით კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების" შექმნის თაობაზე. ასევე იმსჯელეს სოფელ მილისის საერთო კრების ოქმზე, (15 კომლის მოთხოვნა კოლმეურნეობის „ტოზის" ფორმით ჩამოყალიბების შესახებ).

1936-1937 სასწავლო წლისათვის აწჰესის არასრულ საშუალო სკოლასთან შორი სოფლიდან მოსიარულე მოსწავლეებისათვის სკოლა-ინტერნატის გახსნა მოითხოვა აღმასკომმა.

1937 წლის 6 ოქტომბრიდან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ბ. საფარიძე.

1938 წლის 10 აპრილს მახუნცეთის სასოფლო საბჭოს პლენუმმა გაანთავისუფლა სამუშაოდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. საფარიძე და აირჩია ვერძაძე ხასან ოსმანის ძე.

1943 წლის 10 იანვრიდან 1943 წლის 1 მარტამდე მახუნცეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მამუდ ღოღობერიძე.

1943 წლის 6 მარტიდან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ხუსეინ ქობულაძე.

1943 წლის 17 სექტემბრიდან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა მამუდ შაქირის ძე ვარშანიძე (მიტუშა).

1959 წლის 24 მარტს მახუნცეთის სასოფლო საბჭოს მეშვიდე მოწვევის პირველმა

სესიამ მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია მამუდ შაქირის ძე ვარშანიძე, თავმჯდომარის მოადგილედ – დურსუნ მამუდის ძე გოგიტიძე, მდივნად – იბრაიმ მემედის ძე გვარიშვილი. მიტუშა ვარშანიძე 35 წელიწადს იყო სას. საბჭოს თავმჯდომარე.

1975 წლის 28 მარტს მშრომელთა დეპუტატების მახუნცეთის სასოფლო საბჭოს მეთოთხმეტე მოწვევის მეთორმეტე სესიამ საკუთარი განცხადების საფუძველზე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლა მემედ (მიტუშ) შაქირის ძე ვარშანიძე.

1977 წლის 23 ივნისს სასოფლო საბჭოს მეთექვსმეტე მოწვევის პირველმა სესიამ აირჩია საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი: ო.ჯ. ვარდმანიძე, ი.ს ბასილაძე, და შ. მ. ირემაძე.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სკოლების, ბაგა-ბაგების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

1987 წლის 25 სექტემბერს მახუნცეთის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მე-20 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომსის თავმჯდომარედ აირჩია ანზორ უშანგის ძე გვარიშვილი.

1993 წლის აგვისტომდე მახუნცეთის თემის საკრებულოს გამგებლად მუშაობდა ანზორ გვარიშვილი, ხოლო ამ დროიდან – ელგუჯა ნაკაშიძე.

1997 წლის 30 აპრილიდან მახუნცეთის თემში რაიონის გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა ნადეჟდა ჯაბნიძე.

1999 წლიდან თემის საკრებულოში რაიონის გამგეობის რწმუნებულია თამაზ ღოღობერიძე, ხოლო 2003 წლიდან - თენგიზ ღოღობერიძე.

2005 წლიდან რაიონის გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა მალხაზ ვერძაძე, ხოლო 2008 წლიდან რევაზ ბეჟანიძე.

2011 წლიდან მახუნცეთის საკრებულოში რაიონის გამგეობის რწმუნებულია მურად ვარშანიძე. 2013 წლიდან – ზურაბ ვარშანიძე, ხოლო 2015 წლიდან – გოჩა დავითაძე.

ზვარის თემი

1931 წელს აჭარის ასსრ ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით ქედის რაიონში შეიქმნა ზვარის სასოფლო საბჭო, რომელშიც შევიდა სოფლები: ზვარე, ზესოფელი, ვაიო, კვაშტა, სირაბიძეები, კანტაური, წონიარისი და ვარჯანისი.

ზვარის სასოფლო საბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო აბდულ ბერიძე. სასოფლო წევრები: ხუსეინ ბერიძე, ნური ბერიძე, ხულუს ბერიძე.

1931 წლის 27 ნოემბერს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სკოლებს მოსწავლეებზე გასაცემად გაუნაწილა „ბატინკები" და წუღები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სისტემატურად იხილავს სკოლების მუშაობას, მოსწავლეთა გამოცხადების, სკოლებში გოგონების მოზიდვის და კოლმეურნეობების ჩამოყალიბების, მიწების გაერთიანების საკითხებს.

1932 წლის 8 ოქტომბრის ზვარის სასოფლო საბჭოს სხდომა იხილავს საკითხს „სასოფლო საბჭოს წევრებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ" და ადგენს, 16-დან 50 წლამდე ყველა ჩაებას წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებში.

1934 წლიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ხასან ბერიძე. საბჭოს წევრები: ხაჯი შავიშვილი და ისკენდერ კონცელიძე, მდივანია მ. კაკაბაძე. ზვარის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა 1934 წლის 19 ივნისს იხილავს

დევრიშ სალიხის ძე ჯაყელისა და მემედ ალის ძე ქობულაძის განცხადებებს, აღუდგენს მათ საარჩევნო ხმის უფლებას.

1934 წლის 26 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კანტაური-ტიბეთის სარწყავი არხის მშენებლობაზე სამუშაოთა დაჩქარების მიზნით (1,5 კილომეტრზე) 8000 მანეთის გამოყოფის შესახებ.

რაიონული აღმასკომის დადგენილებით დაიწყო ყურძნის მიღება 25 ოქტომბრიდან, ადესის - 12 მანეთად, და 15 ნოემბრიდან – ჩხავერის 15 მანეთად.

ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება ზვარიდან ზესოფლამდე სამანქანე გზის გაყვანის შესახებ.

1934 წლის 27 ნოემბრიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ოსმან ცინცაძე, მდივანი – სულეიმან ბერიძე.

1935 წლის 14 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს აღმასკომი იხილავს 1935 წლის შედეგებს და 13 მშობელს აჯარიმებს 370 მანეთით, რადგან გაკვეთილებს აცდენინებდნენ მოსწავლეებს.

1936 წლის 6 იანვარს ზვარის სასოფლო საბჭომ ცალკეულ სოფლებზე გაანაწილა თამბაქოს გეგმები: საკოლმეურნეო სექტორში 53,3 ჰექტარი, ინდივიდუალურ სექტორში - 30,5 ჰ. სულ 85 ჰექტარი. მიმაგრებული იქნენ სოფლებზე პასუხისმგებელი პირები: ზესოფელი-ხასან ბერიძე, ზვარე-კ. ჯანელიძე, ვარჯანისი-ს. ბერიძე, წონიარისი – ხ. მახარაძე, საცხოვრია - მ. დიასამიძე, კანტაური - ს. გორგილაძე, სირაბიძეები - ისკ. კონცელიძე, კვაშტა - ხ. შავიშვილი, ვაიო - ო. ცინცაძე.

1936 წლის 16 თებერვალს დაისვა საკითხი „ზვარის სასოფლო საბჭოსთან სასოფლო კოოპერატივის გახსნის შესახებ".

1936 წლის 4 დეკემბრიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ოსმან ცინცაძე გადაიყვანეს რაიაღმასკომის განკარგულებაში და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობა დაევალა მურად ხუსეინის ძე ბერიძეს.

1937 წლის 29 სექტემბერს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ოსმან მემედის ძე ცინცაძე სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გათავისუფლდა. მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს სულეიმან მემედის ძე ბერიძე. ის გაათავისუფლეს საბჭოს მდივნის მოვალეობისგან.

1940 წლის 20 იანვარს სესიამ ზვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია რამიზ მახარაძე, ხოლო მდივნად – აბდულ სირაბიძე.

1940 წლის 15 აპრილიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ისკენდერ კონცელიძე. მდივანი – ზექერია გათენაძე.

1940 წლის 14 სექტემბრიდან სასოფლო საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებს ე. ჯაყელი.

1942 წლის 30 ივნისს ზვარის სასოფლო საბჭოს სესიამ სას. საბჭოს მდივანი აბდულ მემედის ძე სირაბიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გაათავისუფლა სამუშაოდან. მდივნობა მიანდეს ისმაილ მუსხედინის ძე გორგილაძეს.

1943 წლის 1 მოწვევის მეშვიდე სესიაზე ზვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა დაევალა ზექერია გათენაძეს, მდივნის – ხაჯი შავიშვილს.

1944 წლის 6 ივლისიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა ხასან ალის ძე ბერიძე.

1945 წლის 19 მაისს ზვარის სასოფლო საბჭოს I მოწვევის მე-18 სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი: გაათავისუფლეს ხასან ალის ძე ბერიძე. თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯელილ დაუთის ძე ბერიძე, მდივად კვლავ ზექერია გათენაძეა.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სისტემატურად ზრუნავდა თავის სამოქმედო უბანზე

სწავლა-აღზრდის, სკოლების მშენებლობის, რემონტის, მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. 1948 წლის 21 ივლისის სხდომაზე ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ავალებს კოლმეურნეობების გამგეობებს: 1. აღმოუჩინონ საჭირო დახმარება სას. საბჭოს მასწავლებლებს ბინების გამონახვის საქმეში, ხოლო ბინები მასწავლებლებს მიეცეთ სას. საბჭოს ხელშეკრულებით, რომელსაც უშუალოდ სას. საბჭო სდებს ბინების გამქირავებელ პირებთან, 2. დაევალოს კოლმეურნეობას დაეხმარონ სკოლის მუშაკებს საჭირო შეშის მომარაგებაში, 3. აიგოს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი წონიარისის 8-წლიან სკოლასთან. გათვალისწინებულ იქნას სახლის მშენებლობისათვის სას. საბჭოს ხარჯებიდან 3000 მანეთი თანხის გახარჯვა.

1948 წლიდან ზვარის სას. საბჭოს მდივანია ქაზიმ მახარაძე.

1949 წლის 28 ნოემბრიდან ზვარის სასოფლო საბჭოს მდივნის ქაზიმ მახარაძის ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაყვანის გამო სასოფლო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა ზესოფლის კოლმეურნეობის მოანგარიშე ბესარიონ მუხამედის ძე ბერიძე, ოთხი კლასი განათლებით.

1950 წლის 24 დეკემბერს ზვარის სასოფლო საბჭოს სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია მახარაძე ქაზიმ მემედის ძე, მდივნად გათენაძე ჯელალ ისმაილის ძე.

1951 წლის 30 ივლისს ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქაზიმ მახარაძე გათავისუფლდა სამუშაოდან მისი ქედის რაიონის დამზადების კომიტეტის თავმჯდომარედ გადაყვანასთან დაკავშირებით.

სესიამ ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია მახაჭაძე აბდულ უსუფის ძე. მდივნად – გოგიტიძე ხელილ შაღბანის ძე.

1953 წლის 9 მარტს ზვარის სასოფლო საბჭოს მეოთხე მოწვევის პირველმა სესიამ ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია მაკარაძე შაქრო ყიზეთის ძე. სასოფლო საბჭოს მდივნად – ბერიძე ბესარიონ მუხამედის ძე.

1954 წლის 17 მაისს ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბერიძე ბესარიონ მუხამედის ძე, სასოფლო საბჭოს მდივნად – კვირიკაძე ხუსნი ისლამის ძე.

1956 წლის 29 მარტს ზვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა სირაბიძე ლევან დაუთის ძე.

1958 წლის 19 თებერვალს სასოფლო საბჭოს სესიამ ხუსნი ისლამის ძე კვირიკაძე გაანთავისუფლა სამუშაოდან წონიარისის კოლმეურნეობაში ბუღალტრად გადაყვანის გამო, სასოფლო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს შოთა ხემიდის ძე ბერიძე.

1973 წლის მაისიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს აგრონომი, უმაღლესი განათლებით სირაბიძე მამია ალიოსმანის ძე.

1982 წლის 30 ივნისს ზვარის სახალხო დეპუტატთა მე-18 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ბერიძე შოთა შირინალის ძე. მდივნად – ანიკო ბოლქვაძე.

1985 წლის 7 მარტს ზვარის სახალხო დეპუტატთა მე-19 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია დევაძე მზევინარ მემედის ასული, მდივნად – ანიკო ბოლქვაძე.

1990 წლიდან ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი არიფის ძე ბერიძე.

1991 წლის 12 აპრილს ზვარის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ ზვარის თემის საკრებულოს გამგებლად აირჩია თემურ ბერიძე, ხოლო მდივნად – კვლავ ანიკო ბოლქვაძე.

1994 წლის იანვრიდან ზვარის თემის საკრებულოს გამგებლად დაინიშნა ზურაბ მემედის ძე სირაბიძე. 1997 წ. 12 აპრილიდან – თემურ ახმედის ძე ბერიძე.

1997 წლის დეკემბრიდან ზვარის თემის საკრებულოს გამგებლია დავით თედორაძე.

1998 წლის ივნისიდან საკრებულოს გამგებელი გახდა ამირან დევაძე.

2002 წლიდან ზვარის თემის საკრებულოს რწმუნებულად დაინიშნა თამაზ მოედინის ძე ჯაბნიძე.

2009 წლის მარტიდან ზვარის თემში რაიონის გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა როლანდ ქობულაძე, 2013 წ. ნოემბრიდან – ამირან ჯაბნიძე.

დანდალოს თემი

დანდალოს სასოფლო საბჭო შეიქმნა 1936 წლიდან, მანამდე დანდალოს სასოფლო საბჭოს სოფლები და კოლმეურნეობები შედიოდნენ ცხმორისის სათემო საბჭოს შემადგენლობაში, მხოლოდ ბალაძეების კოლმეურნეობა 1939 წლამდე შედიოდა ცხმორისის საბჭოში.

დანდალოს სასოფლო საბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო ი. დიასამიძე, მაგრამ მალე დაინიშნა დურსუნ ბერიძე, სასოფლო საბჭოს წევრები იყვნენ: ოსმან ალიშანიძე, ომერ ზაქარაძე და ქაზიმ ბერიძე.

1936 წლის 3 იანვარს დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა სთხოვს ქედის რაიონულ კომიტეტს, დართოს ნება, რომ დანდალოში გაიხსნას მაღაზია, რადგან ცხმორისის მაღაზიაში უხდება დანდალოს მოსახლეობას საქონლის შეძენა.

1936 წლის 26 იანვარს დანდალოს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა ანაწილებს სიმინდის გეგმას სოფლებზე, სულ 365 ჰექტარი ორივე სექტორში, აქედან სოფელ დანდალოს-212 ჰა, ხარაულას 86, ჯალაბაშვილებს-67 ჰა, ამავე სხდომაზე განაწილდა თამბაქოს გეგმები: სოფ. დანდალოს - 3 ჰა, ხარაულას - 1,5 ჰა, ჯალაბაშვილებს 1,5 ჰა.

1936 წლის 8 თებერვალს დანდალოს სასოფლო საბჭო იხილავს სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადების საკითხს და ამ მხრივ კონტროლის დაწესებისათვის სკოლებს ამაგრებს პასუხისმგებელ პირებს: დანდალოს სკოლას – ოსმან ალიშანიძე, ჯალაბაშვილებში – დურსუნ ბერიძე და გოგიაშვილებში – მემედ ოტოლაძე.

1936 წლის 24 თებერვალს სხდომის დადგენილებით შემოწმებული იქნა და დადგინდა, რომ 14-40 წლამდე წერა-კითხვის უცოდინარი იყო ხარაულაში – 53, გოგიაშვილებში – 25, დანდალოში – 24, ჯალაბაშვილებში – 36, სულ 123. წერა-კითხვის მცირე მცოდნე ხარაულაში – 38, გოგიაშვილებში – 20, ჯალაბაშვილებში – 20, დანდალოში – 40, სულ 118. ამ დროისათვის ხარაულის ჭრა-კერვის სკოლაში სწავლობდა 16 ქალი.

1936 წლის 4 მაისს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ხარაულისა და ჯალაბაშვილების, გორგიულის, მოსიაშვილების სარწყავი არხის მშენებლობაზე 7 დღიან შრომის ბეგარაზე გამოყვანილ იქნა მუშახელი 14 -დან 50 წლამდე და გაკეთდა არხი. თითქმის ყველა სხდომაზე სასოფლო საბჭოს აღმასკომი იხილავს სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადების, საგაზაფხულო თესვითი კამპანიის მსვლელობის, ცალკეული კულტურების მოვლა-პატრონობის საკითხებს.

1936 წლის 15 ივლისიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა კეკელიძე მევლუდ მურადის ძე (გეგელიძეები). მ. კეკელიძის ინიციატივით განიხილეს სასოფლო გზების რემონტისა და მშენებლობის საკითხები. 1936 წლის 4 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მევლუდ კეკელიძის ნაცვლად დაინიშნა დაუთ ჯორთმენაძე. 1936 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე საექიმო პუნქტის გამგე სალიხ აბაშიძე განთავისუფლდა სამუშაოდან სხვაგან გადასვლის გამო.

1937 წლისათვის სასოფლო საბჭოს წევრები იყვნენ: დაუთ ჯორთმენაძე, ბილალ

ბერიძე, მამუდ ბერიძე, მერჯან ბერიძე, ზაბით ბერიძე, მევლუდ ჩხუბაძე, ხალით ჯორთ-მენაძე, მამუდ არძენაძე, ახმედჯან არძენაძე, თევრათ კონცელიძე, ყედირ დიასამიძე, შაქირ დიასამიძე, ქაზიმ ბერიძე, ოსმან ალიშანიძე, ფერათ დავითაძე, მემედ ოტოლაძე, ახმედჯან დუმბაძე, თამარა გოგიაშვილი, ყედირ ბერიძე, ხასია მახარაძე, ზექერია ზაქარაძე, ომერ ზაქარაძე, ისმაილ მჟავანაძე, ნური ტაკიძე, მერჯან დიასამიძე, ახმედ ტაკიძე, ხემიდ ტაკიძე, დურსუნ მამულაძე.

1937 წლის თებერვალში ჩატარებული პირუტყვის საკავშირო აღწერის მონაცემებით დანდალოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო 1377 სული, წვრილფეხა საქონელი – 430 სული.

1937 წლის 15 თებერვალს სასოფლო საბჭოს სხდომა იხილავს სკოლების მუშაობის საკითხს და სკოლაში მეცადინეობების გაცდენისათვის აჯარიმებენ: ზაქარაძე მეჯიდ მერჯანის ძეს–15 მანეთით, ტაკიძე ეუბ სერდალის ძეს –10 მანეთით, აბუსერიძე ახმედს –15 მანეთით, სასტიკ საყვედურს უცხადებენ რამიზ ზაქარაძეს, ვეზირ ბერიძეს, დემურალ ტაკიძეს და ზივერ ბერიძეს.

1937 წლის 20 თებერვალს სასოფლო საბჭოს სხდომა პასუხისგებაში აძლევს ყოფილ სასოფლო საბჭოს მდივანს რამიზ ცინცაძეს 380 მანეთის მითვისებისათვის.

კეკელიძე მევლუდ მურადის ძე 1937 წლის 18 აგვისტოდან კვლავ დანდალოს საბჭოს თავმჯდომარეა. შეიცვალა სასოფლო საბჭოს მდივანი მემედ ოტოლაძე და კვლავ დაინიშნა რამიზ ცინცაძე, 1937 წლის 22 სექტემბრიდან.

1938 წლის 6 იანვრის სხდომამ სასოფლო კლუბის გამგე მამუდ ბერიძე გადაიყვანა კოოპერატივში სამუშაოდ და მის ნაცვლად დანიშნა მემედ ოტოლაძე. საბჭოს სხდომამ ბილალ ბერიძე გაათავისუფლა საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარეობიდან, რადგან ის დაპატიმრებული იყო და საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა ოსმან ემინის ძე ალიშანიძე.

1938 წლის 6 თებერვალს დანდალოს სასოფლო საბჭო ამტკიცებს თამბაქოს გეგმებს: კიროვის კოლმეურნეობას - 10,5 ჰექტარი, ვოროშილოვის კოლმეურნეობას - 9,8 ჰექტარი, დანდალოს კოლმეურნეობას - 6,29 ჰექტარი – ორივე სექტორში.

1938 წლის 22 თებერვალს სასოფლო საბჭოს სხდომა აღნიშნავს, რომ კიროვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულეიმან გოგიაშვილი დაპატიმრებულია და მისი ვალის გადახდაზე ოჯახი უარს ამბობს. საქმე რაიონის სასამართლოს გადაეგზავნა.

1938 წლის 4 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა რამიზ ცინცაძეს, სასოფლო საბჭოს მდივანს, ხსნის სამუშაოდან, დაპატიმრების გამო და მდივნად ინიშნება მემედ მაირის ძე ოტოლაძე, 1 ოქტომბრიდან.

დურსუნ ბერიძე 1938 წლის 7 ნოემბრიდან ინიშნება დანდალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და მ. კეკელიძე გადაყვანილ იქნა ცხმორისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

სხვა საბჭოებისგან განსხვავებული ფაქტია დაფიქსირებული ამ საბჭოს საარქივო მასალებში. თურმე ყველა მცხოვრებს არ ჰქონია ჯარში სამსახურის უფლება. ეს უფლება აღუდგინეს 1940 წელს დურსუნ ბარამიძეს, ფელულ არძენაძეს, დურსუნ არძენაძეს, ომერ არძენაძეს, დაუთ არძენაძეს, ყარადა კონცელიძეს, შუქრი არძენაძეს, სულეიმან ზაქარაძეს, ოსმან მახარაძეს, შეიდალ მახარაძეს, ქელეშ ჩხუბაძეს, ენვერ ბერიძეს.

1940 წლის 19 მარტის დადგენილებით დანდალოს სასოფლო საბჭო მერისის მადნის მშენებლობაზე აგზავნის 4 კაცს, მხერხავებს, რაიკომის დადგენილების თანახმად.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი იხილავს სამხედრო არმიის რიგებში გასაწვევებზე რუსული წერა-კითხვის შესწავლის საკითხს.

1942 წლის 10 დეკემბრიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად დაინიშნა სელიმ მგელაძე.

1944 წლის 10 აპრილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით დანდალოს სასოფლო საბჭოს ცენტრში სასოფლო საბჭოსათვის გადმოაქვთ ბალაძეების ყოფილი მცხოვრების მუნთაჰა აღაჯანის ასული ბალაძის საცხოვრებელი სახლი. მუნთაჰა ბალაძის ქმარი დახვრიტეს, ხოლო მუნთაჰა და შვილები გაასახლეს შუა აზიაში.

1948 წლის 30 ივნისს დანდალოს სასოფლო საბჭოს სხდომამ განიხილა საკითხი დანდალოს სას. საბჭოს აღმასკომის თავ-რის ამხ. დ. ბერიძის გადაყენების შესახებ.

დაადგინეს: „დანდალოს სას. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დურსუნ ბერიძე განთავისუფლებული იქნას სას. საბჭოს თავმჯდომარეობიდან სხვადასხვა მიზეზების გამო."

თავმჯდომარედ აირჩიეს ცინცაძე ზექერია ეუბის ძე.

1951 წლის იანვრიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანია ხუსეინ აბუსელიძე. სასოფლო საბჭოს აღმასკომი სისტემატიურად იხილავს სოფლის მეურნეობის საკითხებს და მუშაობაში დახმარებას უწევს კოლმეურნეობის გამგეობებს.

1951 წლის დეკემბერში დანდალოს სასოფლო საბჭოს მდივანი ხუსეინ აბუსელიძე სპეცგასახლებით გაასახლეს შუა აზიაში. 1951 წლის 10 იანვრიდან სასოფლო საბჭოს მდივნად (მოვალეობის შემსრულებლად) დაინიშნა იდრის მაირის ძე ოტოლაძე.

1952 წლის 13 თებერვლიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს მდივანია ყედირ მანველიძე.

1952 წლის 5 ოქტომბერს სასოფლო საბჭოს სესიამ აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია ბერიძე ხუსეინ მეჯიდის ძე. სასოფლო საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა მგელაძე ემრაილ მეჯიდის ძე.

1955 წლიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რეჯებ მჟავანაძე, რომელიც ხელს უწყობს სოფლად ახალი ოჯახების შექმნას და ცალკე კომლების გამოყოფას. 1958 წლის 24 თებერვლიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ხარაძე ახმედ ოსმანის ძე.

ცინცაძე ზაქრო 1959 წლის მარტიდან კვლავ არჩეულ იქნა დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ დროს სასოფლო საბჭოს მიერ განხილული საკითხების ორ მესამედზე მეტი სასოფლო-სამეურნეო თემაზეა, 1960 წლის 29 მაისს სასოფლო საბჭოს აღმასკომი იხილავს განცხადებებს და აქტებს კოლმეურნეობაზე.

1961 წლისათვის დამთავრდა სოფელ დანდალოში სამანქანე გზისა და ხიდის მშენებლობა, რაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის მრავალგზის განხილვის საგანი იყო.

1961 წლის აგვისტოდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად ინიშნება ალიოსმან ჯორთმენაძე.

1964 წლის 27 თებერვალს სხდომაზე სასოფლო საბჭოს აღმასკომი ღებულობს დადგენილებას, რომ სოფელ დანდალოს საფერშლო პუნქტი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ფართობის სიმცირის გამო და აშენდეს ახალი შენობა.

დანდალოს სასოფლო საბჭოს მდივანი 1965 წლის 9 აპრილიდან გახდა რეზო ბერიძე.

1969 წლის 26 მარტიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბერიძე რეზო ზაბითის ძე, გული შუქრის ასული პაპუნიძე სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად დაინიშნა.

1971 წლის 5 მარტის სხდომაზე დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომი 27 ოჯახს უნაწილებს თხევადი გაზის ქურებს.

1976 წლის 26 მარტიდან დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანია ბალაძე შუქრი მეჯიდის ძე.

ბერიძე რეზო ზაბითის ძე დანდალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა 1991 წლამდე. მისი მუშაობის დროს აიგო ხარაულის, გოგიაშვილების, დანდალოს საშუალო და ჯალაბაშვილების არასრული საშუალო სკოლები, ხარაულის, დანდალოს მაღაზიები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ 22 წლის მუშაო-

ბის მანძილზე ხელს უწყობდა სოფლის კლუბებს, ბიბლიოთეკებს, კულტურის სახლს და სკოლებს მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში.

1991 წლის აპრილიდან დანდალოს თემის გამგებლად არჩეულ იქნა ლევან ოტოლაძე, ხოლო აგვისტოდან საქართველოს კომპარტიის აკრძალვის შემდეგ ალექსანდრე ზაქარაძე. 1993 წლის ოქტომბრიდან დანდალოს თემის საკრებულოს გამგებლად დაინიშნა თამაზ აბულაძე.

1995 წლის ოქტომბრიდან დანდალოს თემის საკრებულოს გამგებლად ინიშნება ლევან ოტოლაძე.

2003 წლის 2 აპრილიდან დანდალოს თემის საკრებულოს გამგებლად დაინიშნა თამაზ ყედირის ძე გოგიაშვილი, რომელმაც 2003 წლის 15 დეკემბერს საკუთარი განცხადებით, მძიმე ოჯახური პირობების გამო ითხოვა გათავისუფლება და კოოპტაციის წესით დეპუტატის უფლება-მოვალეობა მიეცა ტარიელ მანველიძეს და არჩეულ იქნა დანდალოს თემის საკრებულოს გამგებლად.

2004 წლის 31 მაისიდან დანდალოს თემის საკრებულოს გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა მერაბ ხალვაში, რომელიც 2006 წლის 17 ნოემბრიდან გათავისუფლდა დანდალოს თემის საკრებულოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით".

2006 წლის დეკემბრიდან დანდალოს თემში რაიონის გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა შოთა სელიმის ძე მგელაძე, 2010 წლიდან – ისრაფილ მანველიძე, 2014 წლიდან – ზურაბ არძენაძე.

ოქტომბრის თემი

1935 წლის 28 მარტიდან ქედის საბჭოს გამოეყო ალიქოღლები (ოქტომბერი) და შეიქმნა სასოფლო საბჭო, რომელშიც გაერთიანდა სოფლები – კუჭულა, აგოთა, ინაშარიძეები, მეძიბნა (202 კომლი). საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ხუსეინ დუმბაძე.

ოქტომბრის (ალიქოღლების) სასოფლო საბჭოს შესახებ საარქივო ჩანაწერები აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1935 წლის 6 ნოემბრიდან. ამ დროისათვის ალიქოღლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ეუბ ცეცხლაძე. საბჭოს მდივანი ა. ბაჯელიძე, პრეზიდიუმის წევრები იყვნენ: ოსმან ალიქაძე, მემია ბაჯელიძე, რეფიყ გოგიტიძე.

1935 წლის 6 ნოემბერს ალიქოღლების სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის დადგენილებით ალიქოღლები გაიყო ორ სოფლად – სოფელი სირთი და სოფელი გოგინიძეები, ორად გაიყო სოფელი მეძიბნაც: სოფელი აგოთა და სოფელი მეძიბნა.

1935 წლისათვის ალიქოღლების სასოფლო საბჭოს ბიუჯეტი შეადგენდა 42196 მანეთს, აქედან განათლების დარგს გამოეყო 34963 მანეთი და საერთო მმართველობას - 6815 მანეთი.

1936 წლის თებერვლისათვის ალიქოღლების სასოფლო საბჭოში შედიოდა შემდეგი სოფლები: ალიქოღლები, მეძიბნა, გოგინიძეები, კუჭულა და ალიოღლები.

1936 წლის 23 თებერვალს ალიქოღლების სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დაისვა საკითხი კუჭულისა და ალიქოღლების კოლმეურნეობის თავმჯდომარეების შესახებ. ალიქოღლების კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანდიდატურად წარდგენილ იქნა მურად ბერიძე, კუჭულისა – რეფიყ გოგიტიძე.

ალიქოღლების სასოფლო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-აღზრდის საქმეს, 1937 წლისათვის სოფელ აგოთაში იყო დაწყებითი სკოლა – ორი კლასი, სოფელ კუჭულაში - 4 კლასი, გოგინიძეების დაწყებით სკოლაში 2 კლასი და მეძიბნის დაწყებით სკოლაში 4 კლასი.

1937 წლიდან 1938 წლის ოქტომბრამდე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა ოსმან

ომერის ძე ალიქაძე.

1938 წლის 4 მარტს ალიქოღლების სასოფლო საბჭოს პლენუმზე სოფლის მეურნეობის საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს: მეძიბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხუსეინ დუმბაძემ, კუჭულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გორგაძემ, გოგინიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ბასილაძემ, ალიქოღლების კოლმეურნეობის თავმჯ-დომარე ხ. შერვაშიძემ.

1939 წლის 29 დეკემბერს ქედის რაიონის ოქტომბრის სასოფლო საბჭოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ომერის ძე ალიქაძე, თავმჯდომარის მოადგილედ – ალი შერვაშიძე და მდივნად – აბდულ მეჯიდის ძე ასამბაძე.

1940 წლის 27 ივლისს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს პირველი მოწვევის მე-4 სესიაზე სოფელ ალიქოღლებს გადაერქვა სახელი და ეწოდა სოფელი ოქტომბერი. შესაბამისად ალიქოღლების სასოფლო საბჭოს დაერქვა ოქტომბრის სასოფლო საბჭო.

1942 წლიდან ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ოსმან დუმბ-აძე, ხოლო მდივნად-ლუთბიე შერვაშიძე.

1945 წლის 17 იანვრიდან ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სესიაზე თავმჯდომარეა აბდულ მეჯიდის ძე ასამბაძე.

1941-1945 წლებში, სამამულო ომის დროს, ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, ომში დაღუ-პულ და ომის მონაწილეთა ოჯახებზე დახმარების საკითხებს.

1950 წლის 24 დეკემბერს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს მესამე მოწვევის პირველმა სესიამ ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია არჩილ (აბდულ) მეჯი-დის ძე ასამბაძე, მოადგილედ - ხუსეინ დუმბაძე და მდივნად – რასიმ დუმბაძე.

1952 წლის 30 ივნისს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სესიამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ხასან ასლანის ძე დუმბაძე.

1954 წლის 6 აგვისტოს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხ. დუმბაძე გან-თავისუფლეს სამუშაოდან და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალა ი. ა. დუმბაძეს.

1955 წლის 5 მარტს ოქტომბრის სასოფლო საბჭოს მეხუთე მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია დიმიტრი დუმბაძე, მოადგ-ილედ – უშანგი ბაჯელიძე და მდივნად – ციალა ასამბაძე.

1961 წლის 23 მარტს ოქტომბრის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მე-8 მოწვევის პირველმა სესიამ ოქტომბრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ლუბა ისაკის ასული შერვაშიძე, თავმჯდომარის მოადგილედ – ნური ზექერიას ძე ქათამაძე და მდივნად - დავით ჯელილის ძე ნაკაშიძე.

ოქტომბრის სასოფლო საბჭოს, ოქტომბრის მეცხოველეობის ფერმას, 8 წლიან სკო-ლას არ ქონდა სასმელი წყალი, რის გამოც 1964 წლის 28 აპრილს აჭარის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება წყალსადენის მშენებლობის შესახებ.

1971 წლის 21 ივნისს ოქტომბრის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის პირველმა სესიამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია გუგული შერვაშიძე.

1975 წლის დეკემბრიდან ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარ-ედ არჩეულ იქნა შუშანა სერგოს ასული შერვაშიძე.

1991 წლის 13 აპრილიდან სასოფლო საბჭო გადაკეთდა საკრებულოდ. ოქტომბრის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ გამგებლად აირჩია თეიმურაზ ადემის ძე შერვაშიძე, ხოლო საკრებულოს მდივნად – მიხეილ უშანგის ძე დუმბაძე.

1997 წლის 29 აპრილიდან ოქტომბრის თემის საკრებულოს გამგებელია დავით დუმბაძე.

2004 წლიდან ოქტომბრის თემის საკრებულოს გამგებელი იყო რამაზ დუმბაძე.

2009 წლის დეკემბრიდან ოქტომბრის თემში გამგეობის რწმუნებულად დაინიშნა

აბესალომ ნაკაშიძე.

2013 წლიდან ამ თანამდებობაზე ინიშნება ზვიად გოგიტიძე.

წონიარისის თემი

ქედის რაიონის წონიარისის საკრებულო შეიქმნა 1998 წელს.

პირველი საკრებულოს თავმჯდომარე იყო ამირან ფალავანდიშვილი 1998-2001 წლებში, შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარეობდა აკაკი ბერიძე 2001-2002 წლებში და კვლავ ამირან ფალავანდიშვილი 2002-2004 წლებში.

თამაზ ბერიძე 2004 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა რაიონის გამგეობის წარმომადგენლად, ხოლო 2013 წლიდან რაიონის გამგეობის წარმომადგენელია წონიარისის თემში ამირან წულუკიძე.

წონიარისის საკრებულოს სოფლები 1931 წლამდე შედიოდა ცხმორისის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში. 1931 წლიდან წონიარისი, ვარჯანისი, კანტაური გადავიდა ზვარის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ხოლო სოფელი აბუქეთა 1950 წლამდე დარჩა ცხმორისის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში.

სოფლის მეურნეობა ქედის რაიონში

1926 წლიდან ქედის მაზრაში სოფლის მეურნეობის საკითხებს მაზრის აღმასკომთან განაგებდნენ მაზრის აგრონომები. რაიონის მთავარი აგრონომი იყო შახბაზოვი, ხოლო 1930-1932 წლებში – სულეიმან ოქროპირიძე. 1931 წლიდან რაიონის მთავარი აგრონომი და მიწათმომწყობი იყო ბელისკი, შემდეგ კი შიო კონტრიძე.

1932 წლის მონაცემებით რაიონში დაითესა სიმინდი 3200 ჰა. აქედან კოლმეურნეობებში 80 ჰა. დაირგო თამბაქო 640 ჰა. კოლმეურნეობებში 500 ჰა. კერძო მეურნეობებში 140 ჰა. დაირგო კარტოფილი 70 ჰა. კოლმეურნეობებში 50 ჰა. კერძო მეურნეობებში 20 ჰა. გაშენდა ხეხილის ბაღი 110 ჰა.

რაიონში იყო 1586 სული მუშა ხარი, კოლმეურნეობებში 800, კერძო მეურნეობებში 786. 1939 წელს სრულიად საკავშირო გამოფენაში ქედის რაიონიდან მონაწილეობდნენ:

1. თედორაძე ხასანალი ლომანის ძე – აბუქეთა
2. მახაჭაძე უმიან დაუთის ასული – ვაიო
3. გოგოლიშვილი ვესილე ოსმანის ასული – მერისი
4. მოსიძე ეზიზ მუხამედის ძე – დანდალო
5. მგელაძე აიშე მევლუდის ასული – დანდალო
6. ბერიძე გულფერ შერიფის ასული – ცხმორისი
7. გოგიაშვილი ალი საულის ძე – დანდალო
8. მიქელაძე ეხსან დურსუნის ასული – ცხმორისი
9. მახაჭაძე შემსინურ შერიფის ასული – ვაიო
10. აბაშიძე ფატყუმე ზაბითის ასული – კოკოტაური
11. ჩხუბაძე მერიემ შაქირის ასული – დანდალო
12. ტალახაძე გიორგი ზაქარიას ძე –

1932 წლიდან შეიქმნა მიწგანი (მიწათმოქმედების განყოფილება) და მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში მიწგანის გამგეები და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსები ითვლებოდნენ რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებად, რადგან ქედის რაიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იყო.

ქედის რაიონში სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობდნენ:

1. ისლამ ძნელაძე – 1932-1933 წ.წ.

2. მურად ბერიძე – 1933-1936 წ.წ.
3. სკენდერ ჭანკურიძე – 1936-1940 წ.წ.
4. შუქრი სურმანიძე – 1940-1941 წ.წ.
5. მამანტი დგვეფაძე – 1941-1942 წ.წ.
6. ალექსანდრე თხილაიშვილი – 1942-1946 წ.წ.
7. ყედირ ჩხეიძე – 1946-1952 წ.წ. სოც. შრომის გმირი, საქ. სსს დამსახ აგრონომი, შუახევის და ქობულეთის რაიონების სოფ. მეურნეობის სამმართველოს უფროსი, აჭარის სოფ. მეურნეობის მინისტრის მოადგილე.
8. კონსტანტინე გონიადი – 1952 წ. ივლისი – აგვისტო
9. დავით მიქელაძე – 1952-1953 წ.წ.
10. მიხეილ თურმანიძე – 1953-1955 წ.წ.
11. დავით ბეგაძე – 1955 წლის ივნისი, ივლისი, მოვალეობის შემსრულებელი
12. შალვა ჩხაიძე – 1955 წ. – 1969 წ. სოც. შრომის გმირი
13. ავთანდილ ლორთქიფანიძე – 1969-1975 წ.წ.
14. შოთა მგელაძე – 1975-1987 წ.წ.
15. ნაზიმ ფარტენაძე – 1987-1992 წ.წ.
16. ნიაზ შერვაშიძე – 1993-2004 წ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი.
17. გიორგი ბერიძე – 2004 წ. ოქტომბერი–დეკემბერი.

ქედის ჰაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსები და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეები 1955 წლიდან 2005 წლამდე

შალვა ჩხაიძე

ავთანდილ ლორთქიფანიძე


შოთა მგელაძე

ნაზიმ ფარტენაძე

ნიაზ შერვაშიძე

გიორგი ბერიძე

მეთამბაქოეობა

მეთამბაქოეობა ქედის რაიონის მოსახლეობისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, სანამ კოლმეურნეობები ჩამოყალიბდებოდა, მოსახლეობა აწარმოებდა თამბაქოს და გაჰქონდა ბაზარზე. სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, სათემო სასოფლო საბჭოებში დაინიშნენ თამბაქოს მიმღებლები, რომლებიც მოსახლეობასთან ხელშეკრულებით მუშაობდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს მეთამბაქოეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ქედელები თამბაქოს კულტურას XVII საუკუნიდან აწარმოებდნენ.

ქედის მაზრის პირველი თამბაქოს დამზადების პუნქტი გაიხსნა ქედაში (გამგე იყო ფელულ დიასამიძე), სადაც თამბაქოს აბარებდნენ ზვარის, ვაიო-კვაშტის, ზესოფლის, ქედის, ორცვის, აქუცის, პირველი მაისის მეთამბაქოეები. ცხმორისის თემსაბჭოს თამბაქოს პუნქტში (გამგე ფეიზულ აბაშიძე), თამბაქოს აბარებდა წონიარისის, ცხმორისის და დანდალოს თემების მოსახლეობა. დარგისადმი სახელმწიფო ინტერესი გამოიხატა იმაში, რომ აიკრძალა თამბაქოს ბაზარზე გატანა და დაწესდა მკაცრი კონტროლი მის წარმოებაზე.

ქედის რაიონში თამბაქოს დამზადებამ 1500 ტონას მიაღწია და მისმა ღირებულებამ 7-8 მილიონს გადააჭარბა, 1977 წლიდან, როდესაც კერძო სექტორში დაიშვა თამბაქოს დამზადება (აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვახტანგ პაპუნიძის ინიციატივით) ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ეკონომიკა მკვეთრად განმტკიცდა, რადგან თამბაქოს ღირებულების 80%-ზე მეტს მოსახლეობა ღებულობდა და ამით თითქმის გათანაბრდა ბარისა და მთის რაიონების მოსახლეობის ეკონომიკა, ყოველწლიურად სოფლებში შენდებოდა ათობით კაპიტალური სახლი. კერძო თუ სახელმწიფო ობიექტები, სოფლებში მომრავლდა კერძო მსუბუქი ავტომობილები; სწორედ ამ წლებში აშენდა კერძო და სახელმწიფოს ხაზით კაპიტალური შენობების 80%. მარტო 80-90-იან წლებში რაიონის მოსახლეობამ შეიძინა 1900 მსუბუქი ავტომანქანა და ეს თამბაქოს კერძო სექტორში დაშვების შედეგი იყო.

რაიონის თამბაქოს დამზადების საქმეს წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ: თამბაქოს დამზადების რაიონული კანტორა და მიმღები პუნქტები დანდალოში, ცხმორისში, წონიარისში, ქედაში, ზვარეში, მერისში. რაიონული კანტორის უფროსებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: შალვა აბაშიძე, ნოდარ ცინცაძე, ოთარ დავითაძე და ნაზიმ ფარტენაძე.

რაიონის კოლმეურნეობებში იყვნენ გამორჩეული მეთამბაქოეები, რომლებსაც ორივე სექტორში 1500-2000 კგ. თამბაქო მოჰყავდათ.

მეცხოველეობა

აჭარის რაიონებში ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად იქცა მეცხოველეობა, ამ მიზნით ოზურგეთსა და ახალციხის მაზრებისაგან იჯარით ჰქონდათ აღებული საძოვრები, რომელთა რაოდენობამ 6056 დესეტინას მიაღწია, 1922 წლიდან ქედის მაზრაში შეიქმნა სავეტერინარო პუნქტი ოთხი ვეტექიმითა და 6 ფერშლით. თავდაპირველად მეცხოველეობა კერძო მეურნეობის ბაზაზე ვითარდებოდა, 1938 წლიდან კი დაიწყო მეცხოველეობის ფერმების შექმნა. კოლმეურნეობებს ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ასევე ფრინველი და ფუტკარი. დარგისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ საჭირო გახადა კარაქის მიმღები საწარმოს შექმნა, რომელსაც „კარაქმრეწვი" ეწოდა.

1966 წლიდან ქედაში გაიხსნა რძის ქარხანა, რომლის დირექტორი 1966-1984 წლებში იყო შოთა სურმანიძე, 1984-1985 წლებში – რეზო ბოლქვაძე, 1985-1986 – წლებში თემურ წერეთელი, 1986-1992 წლებში – მიხეილ დიასამიძე.

დარგი იმდენად განვითარდა, რომ 80-იან წლებისათვის მოსახლეობის ჩათვლით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა 25000 სულამდე, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კი ირიცხიბოდა 2100 სული; მეცხოველეობას ემსახურებოდა 20 ვეტსპეციალისტი, მათ შორის ხუთი უმაღლესი განათლებით, მოქმედებდა ოთხი ვეტუბანი. 1982 წელს ქედის კოლმეურნეობებში რძის წარმოების მოცულობამ 795485 ლიტრი შეადგინა (იხ. დანართი).

რძის წარმოება ქედის რაიონში 1982 წელი

კოლმეურნეობები	ფურის რაოდენობა	წლიური გეგმა	შესრულება	იყო 1981 წ.
მახუნცეთი	160	155000	161124	147339
ქედა	100	82000	84800	66670
ოქტომბერი	92	82000	74329	74216
მერისი	110	93000	96800	96810
ზვარე	100	85000	85019	88522
წონიარისი	100	95000	119100	109256
ცხმორისი	130	118000	125662	119724
დანდალო	98	89000	89000	90100
სულ რაიონში	890	799000	836034	788637

მევენახეობა

აჭარის ცხოვრებაში თურქი დამპყრობლების შემოსვლამდე მევენახეობას მნიშვნელოვნად დიდი ადგილი ეჭირა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ასეთი ფაქტი:

სოფელ წონიარისის კოლმეურნეობას 1945-1965 წლებში მარანში ჰქონდა ძველისძველი, 15 სხვადასხვა მოცულობის (700-1400 ლიტრი) ტევადობის ქვევრები, რომლებშიც ღვინოს ინახავდნენ.

თურქი დამპყრობლები უმოწყალოდ ჩეხდნენ ვენახისა და ხეხილის ბაღებს, რათა შეერყიათ მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა, მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ ჩაკლეს ქართველ კაცში ვაზის სიყვარული. როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, გლეხი უმალ შეუდგებოდა ბაღ-ვენახების აღდგენასა და ახლის გაშენებას.

ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობის და მოსახლეობის გამუსლიმანების შემდეგ უფრო დაკნინდა მევენახეობა, დარჩა მხოლოდ მაღლარი ვენახის მცირე რაოდენობა, რომელსაც სუფრისათვის იყენებდნენ.

პროფესორი ვ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ვაზის მაღლარი ჯიშები აჭარის ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში. მის მიერ ნაპოვნი და ამპელოგრაფიული მეთოდით შესწავლილია 40-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში – ბროლა, ხოფათური, კლარჯული, საწური, ჯავახეთურა, თეთრი ლივანურა, ალმურა, კაიკაციშვილისეული, თეთრა, მისკიეთა, შავშურა, ჭიჭიბურა, ტაკიძურა, ცხენისძუძუ, ბათუმურა, ვაიოს საფერავი, ბუტკო, მტრედისფეხა, მახათურა, კოლოში, მეკრენჩხი, შავი ლივანურა, მათენაური, ჯინეში, ხარისთვალა, ჭიპაკური, კიბური, ტყისყურძენა და სხვა სახეები.

ივ. ჯავახიშვილი თავის შრომებში აღნიშნავდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ექსპედიციაზე აჭარაში 1933 წელს. საინტერესო ყოფილა ამ ექსპედიციის მიერ შეგროვილი ცნობები მევენახეობისა და ყურძნის ჯიშების შესახებ.

დიდი მეცნიერი წერდა: „აჭარაში მხოლოდ მაღლარია, რასაც აქ ვენახი ქვია, რომელ-

იც, რა თქმა უნდა, ძველი ვენახის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. ვაზის ღერს ლერწი ეწოდება, ვაზის რქას კი პოწკი და ტოღა, მაგრამ პოწკი თურმე მტევნის კლერტსაც ნიშნავს, ხოლო თვით კლერტს ბუზღალიც ქვია, ფოთოლს ფოთელი და ჟვერი ეწოდება, მტევანს-ტევანი, მარცვალს–კაკალი, მარცვლის ტყავს ქერქი ჰქვია, წიპწას ან თესლს, კურკას ბურკა ეწოდება, ჭაჭას კი ჭეჭა (მ. ნუცუბიძე, მევენახეობა აჭარაში, 1976.).

აჭარის ვაზის ჯიშების აღწერისას დასახელებულია ჩხავერი. „ჩხავერი" წითელი (და არა შავი) ყურძნის ჯიშია. მტევანი სავსე აქვს, გრძელი, წვიტი კაკალი იცის, ყველაზე უფრო გავრცელებულია საღვინე ჯიშთაგან, ნოემბრის თვეში მწიფდება, სოკოვანი ავადმყოფობით ძალიან სნეულდება, როგორც ირკვევა, ეს ჯიში აჭარაში შემოტანილი ყოფილა გურიიდან.

ქედის რაიონში ძველი ჯიშების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით აჭარის ხელმძღვანელმა ორგანოებმა 1934 წელს ქედის ცენტრში მოაწყვეს ხეხილისა და ვაზის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი და სანერგე მეურნეობა, – ადგილობრივი ვაზის მაღლარი ჯიშებიდან დაირგო: სანური, ხოფათური, მეკრენჩხი, ჯავახეთური, ცხენიძუძუ, თეთრი ლივანური. საქართველოს სხვა რაიონებიდან შემოიტანეს ცოლიკაური, ციცქა, ოცხანური, საფერავი და სხვა ჯიშები და დაიწყო ქედის რაიონში დაბლარი ვენახის გაშენება.

1936-1939 წლებში გაშენდა 38 ჰექტარი დაბლარი ვენახი სოფელ ქედაში, ვაიოში, წონიარისში, ახოში, გეგელიძეებში, დანდალოში.

ქედაში, და კერძოდ ვაიოში, გაშენდა პირველად დაბლარი ზვარი გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. თვითნასწავლმა აგრონომმა, იმ დროისათვის ცნობილმა ბიზნესმენმა შუქრი შაქირის ძე ჩიკვაიძემ ჩაყარა ცოლიკაურის და საწურის ჯიშის ნერგები. საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში. ეს პირველი შემთხვევა იყო რაიონის სინამდვილეში. ჯერ ეჭვის თვალით უყურებდნენ სიახლეს, არადა ახალ მეზვრეს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა იმერელ მევენახეებთან. სწორედ მათი რეკომენდაციით მოეკიდა ახალ წამოწყებას. ნერგმა მშვენივრად იხარა და საფუძველი ჩაეყარა დაბლარ მევენახეობას ქედის რაიონის სოფლებში.

თავად ვაიოში პირველი მიმბაძველებიც გამოჩნდნენ – იზეთ ნიჟარაძე, მამუდ ჭაღალიძე, მირალ შავიშვილი, ხასან, ავთანდილ, ვლადიმერ ჩიკვაიძეები, დავით დავითაძე, აბდულ მახაჭაძე, იაყუფ, თერჯან გორგილაძეები და სხვები.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 50-იანი წლების ჩათვლით მასიურად იწყო ვენახის გაშენება ნატბევრას, ბიმბალის, ქექელაჭერის, კოლომნარების, ბლესინას თუ სხვა ნაკვეთებზე.

ამჟამად ჩხავერი და ცოლიკაური მასობრივად ირგვება ვაიოში. ინოვაციამ თანამედროვე მარანის შექმნის შესაძლებლობაც წამოსწია წინა პლანზე. ამ მხვრივ საოჯახო ტურიზმსაც შეექმნა მყარი საფუძველი. ნოვატორობით გამოირჩევიან ვლადიმერ შავიშვილი, მალხაზ გორგილაძე, რევაზ შავიშვილი.

ქედის რაიონში 1960 წლამდე გაშენდა 226 ჰექტარი ვენახი. აქედან ცოლიკაური - 170 ჰექტარზე, საწური - 35 ჰექტარზე, ალიკოტე - 5,5 ჰექტარზე, ჩხავერი - 5 ჰექტარზე, სხვადასხვა - 10,5 ჰექტარზე და მაღლარი - 7,5 ჰექტარზე.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაბლარი ვენახები გააშენეს ქედის, პირველი მაისის, ზვარის, ცხმორისის, ახოს, დანდალოს საბჭოების სოფლებში.

ყურძნის მაღალმა მოსავლიანობამ შესაძლებელი გახადა ქედის ცენტრში 1959 წელს აეგოთ ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხანა, რომელიც უშვებდა სუფრის და საკონიაკე ღვინო-მასალებს და ჭაჭის ნარჩენისაგან ამზადებდა სპირტს.

1974 წელს ქედის კოლმეურნეობის მევენახე ხემიდ ტაკიძემ 0,5 ჰექტარი ვენახის ფართობიდან მიიღო 116 ცენტნერი ყურძენი, მომდევნო წელს 165 ცენტნერი; მემედ სალაძემ, ჰექტარზე გადაანგარიშებით, 1975 წელს მიიღო 185 ცენტნერი მოსავალი, მახუნცეთელმა იბრაიმ ნიგალიძემ 0,15 ჰექტარზე 1974 წელს მიიღო საშუალოდ 285 ცენტნერი;

1975 წელს 395 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა გეგელიძეებელმა სულეიმან დუმბაძემ; ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით კოკოტაურელმა მურად მახარაძემ მიიღო 290 ცენტნერი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქედის ღვინის საწარმო შეიქმნა 1959 წელს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატთან, რომლის დირექტორი იყო ზია შერვაშიძე. პირველი მეღვინე იყო შალვა ჩიხლაძე. კოლმეურნეობების უმეტესობას ჰქონდა ადგილზე მარნები და თვითონ ამზადებდნენ ღვინოს, რაც ჰიგიენური თვალსაზრისით არ იყო გამართლებული, ამის გამოც 1955 წელს საქართველოს ღვინის გაერთიანების სამტრესტის საამქროც ჩამოყალიბდა ქედაში, რომლის დირექტორად დაინიშნა შალვა ავალიანი, უმაღლესი განათლების სპეციალისტი.

ქედის ღვინის საწარმო იყო ბათუმის ღვინის ქარხნის ფილიალი. ადგილზე ხდებოდა აგრეთვე ლიმონათის ჩამოსხმა,დამონტაჟდა ახალი დანადგარები,ყურძნის გამოსავლიანობამ ახალი დანადგარების ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ მიაღწია 68 %-ს, რის შემდეგაც კოლმეურნეობებს აეკრძალათ ადგილზე ღვინის დამზადება. თანდათანობით რაიონის ყურძნის დამზადებამ 800 ტონას მიაღწია. რაიონში დამზადებული ყურძნის 60% იყო ცოლიკაურის ჯიშის, დანარჩენი საწური, ჩხავერი, ციცქა და სხვა ჯიშები.

რაიონში ვენახს 250 ჰექტარზე მეტი ფართობი ეჭირა. ძირითადად ყურძნის მწარმოებლები იყვნენ: ცხმორისის კოლმეურნეობა - 280 ტონა, დანდალო - 180 ტონა, წონიარისი - 120 ტონა და სხვა კოლმეურნეობები.

ქედის რაიონში ყურძნის წარმოებამ 1974 და 1982 წელს 1300 ტონას გადააჭარბა. სულ ქარხანაში, სხვა რაიონების ჩათვლით, 1900 ტონამდე ყურძენი ბარდებოდა.

1964-1967 წლებში ქედის ღვინის ქარხნის დირექტორი იყო ენვერ ტაკიძე. 1971 წელს იგი გადაიყვანეს ახლადგახსნილი ქედის ჩაი ფაბრიკის დირექტორად. 1971-1986 წლებში ქედის ღვინის ქარხნის დირექტორად მუშაობდა ზურაბ გათენაძე, ქარხანაში მისი ხელმძღვანელობით დადგეს 15 და 50 ტონიანი ემალის ცისტერნები, ამასთან ერთად იყო 10 ტონიანი მუხის ხის კასრები. ხელით შრომა შეცვალა თანამედროვე უახლესი მოდიფიკაციის აპარატ-დანადგარმა, დანადგარებმა. 1971 წლიდან დაიდგა სპირტსახდელი დანადგარი, რომლითაც იხდებოდა ღვინის სპირიტი, წლიურად 150 ტონის ოდენობით, ადგილზე ხდებოდა მისი დაძველება და კონიაკის დამზადება.

1986 წლიდან 1988 წლამდე ქედის ღვინის ქარხნის დირექტორი იყო თემურ ხალვაში, ხოლო 1988 წლიდან კვლავ – ენვერ ტაკიძე. 1992 წელს ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა.

1991 წლიდან, სოციალისტური სისტემის რღვევის შემდეგ, რაიონის ვენახების 90 პროცენტი ამოიძირკვა, მაგრამ ქედელები მალე მიხვდნენ შეცდომას და დაიწყეს ახალი პლანტაციების გაშენება, ძირითადად ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშების.

მეჩაიეობა

ქედის რაიონში ჩაის კულტურის გაშენება იწყება დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, მაგრამ დარგის დაწინაურებას დიდი ყურადღება მიექცა გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან; პირველი ჩაის პლანტაციები გაშენდა დოლოგნის კოლმეურეობაში; 1965-1970 წლებში მასიურად დაიწყეს ჩაის გაშენება რაიონის კოლმეურნეობებში და საერთო ფართობმა 265 ჰექტარს მიაღწია; 1970 წლისათვის თითქმის რაიონის ყველა კოლმეურნეობამ გააშენა ჩაი, მაგრამ ძირითადი მწარმოებლები იყვნენ დოლოგნის, მახუნცეთის, პირველი მაისის, ქედის და ზვარის კოლმეურნეობები.

1971 წლამდე ქედის რაიონის კოლმეურნეობები მწვანე ჩაის ფოთოლს აბარებდნენ ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკას.

ქედის რაიონის ხელმძღვანელთა მონდომებით (საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ვლ. ნაკაშიძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. თავდგირიძე) 1971

წელს ქედაში აშენდა ჩაის ფაბრიკა. რომლის პირველი დირექტორი იყო ენვერ ტაკიძე, შემდეგ ტარიელ თებიძე და კარლო თურმანიძე.

მკვეთრად გაიზარდა ჩაის წარმოება 1980 წლის შემდეგ. 1988 წელს ქედის ჩაის ფაბრიკამ მიიღო 1057 ტონა ჩაის ფოთოლი, 1989 წელს – 1224 ტონა, 1990 წელს 1192 ტონა, 1991 წელს 1074 ტონა, ამის მერე მოიშალა ჩაის მეურნეობა და პროდუქციამ შემცირება დაიწყო: 1992 წელს მოსავლიანობამ შეადგინა – 696 ტონა, 1993 წელს – 600 ტონა, 1994 წელს 231 ტონა, 1995 წელს 145 ტონა, 1996 წელს – 57 ტონა, 1998 წელს – 10 ტონა. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ დაიკარგა ჩაის გასაღების დიდი ბაზარი (რუსეთი), რასაც მოჰყვა ჩაის წარმოების შემცირება და ბოლოს განადგურებაც. რაიონის მშრომელებმა დაკარგეს ყოველწლიურად 1300000 მანეთი. დასავლეთ საქართველოს რაიონების წამყვანი სამეურნეო დარგი განადგურდა.

***

ასეთია ზოგადი სურათი ქედის რაიონში ცალკეული დარგების განვითარებისა, შედარებითი შედეგის წარმოსაჩენად აქვე ჩავრთავ შემოსავლის მაჩვენებლებს კოლმეურნეობების მიხედვით 1982 წლის მონაცემებით.

ანალიზი მკითხველზე მიმინდვია, თუმცა გარკვეულ ანალიზს მე თვითონ შევთავაზებ კოლმეურნეობების მაგალითზე.

პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულების შესახებ 1982 წელი (ოთხივე სექტორში ტონებში, დაფნა ცენტნერებში)

კოლმეურ-ნეობები	თამბაქო	ყურძენი	ჩაი	ხილი	ბოსტნეული	დაფნა
	გეგმა-შეს-რულება	გეგმა-შეს-რულება	გეგმა-შესრულება	გეგმა-შეს-რულება	გეგმა-შესრულება	გეგმა-შესრულება
მახუნცეთი	91,2–84,8	62 – 58,4	360 – 614,9	594 – 1297,5	32 – 35,7	93 – 90,6
პირველი მაისი	51,2 – 43,1	46 – 37,7	82 – 143,2	241 – 576,5	18,5 – 18,5	60 – 66,7
ქედა	76,8 –78,6	147 –109,9	88 – 136,6	310,5 –467,2	20 – 20	41 – 38,3
ოქტომბერი	35,5 – 34,3	65 – 32,9	60 – 103,9	153,5 – 353,7	10,5 – 10,8	28 – 25
მერისი	81,5 –82,7	85 – 85	61 – 84,7	241 – 304,6	19 – 19,1	27 – 28,5
ზვარე	112,8 – 136,1	70 – 61,5	64 – 124	184, – 430,6	19 – 19,2	21 – 20,8
წონიარისი	123,5 – 151,5	173 – 178,5	55 – 92,9	165, – 345,5	19 – 19,2	25 – 25,8
ცხმორისი	194 – 263,1	296 – 297,6	7 – 12,6	215 – 677,7	32 – 34,5	102 – 102,4
დანდალო	153,5 – 207,2	181 – 177	----------	195,5 – 408,5	20 – 21,5	13 – 13,1
სულ რაიონში	920 – 1081,4	1125 – 1041,6	800 – 1331,7	2300 – 4862,2	190 – 200,5	410 – 411,2

მიწის ფონდი

ქედის რაიონის ტერიტორია 45200 ჰექტარს შეადგენს. აქედან სასოფლო- სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულია 5033 ჰექტარი (11%), რომლიდანაც სახნავი შეადგენს 2466 ჰექტარს (52%), მრავალწლიანი ნარგავები - 293 ჰექტარს (6%), სათიბები - 162 ჰექტარს (3%), და საძოვარი - 2177 ჰექტარს (39%), მთელი რაიონის ტერიტორიის 34839 ჰექტარი (78%) უჭირავს ტყეს და 2379 ჰექტარი (5%) ბუჩქნარს, გამოუყენებელია 2887 ჰექტარი (6%).

მიწათმოსარგებლობის კატეგორიების მიხედვით მიწა ნაწილდება:

1. აგრარული რეფორმის მიწის ფონდი შეადგენს 28001 ჰექტარს, სასოფლო ტყეები

- 18839 ჰექტარს.

2. საზაფხულო საძოვრებზე მოდის 42393 ჰექტარი (ოზურგეთის, ადიგენის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის რაიონებში მიწათსარგებლობის გარეშე).
3. სამეცნიერო-კვლევითი მეურნეობა 40 ჰექტარი.
4. გეოლოგიური პარტიის მიწები (სოფ. ვაიო, გუნდაური) 181 ჰექტარი.
5. სახელმწიფო ტყის ფონდი 17929 ჰექტარი.
6. საავტომობილო გზები – 82 ჰექტარი.
7. სპეცდანიშნულებისა და აწჰესის სათავე ნაგებობების მიწები – 42 ჰექტარი.
8. სხვა არასასოფლო დანიშნულების (სოფლების სასაფლაოები) – 42 ჰექტარი.
9. წყლის ფონდის მიწები – 281 ჰექტარი.

გარდა ამისა, ქედის რაიონის საზღვრებს გარეთ გრძელვადიანი სარგებლობისათვის ქედას აწერია სულ 5834 ჰექტარი. მათ შორის ოზურგეთში (გომის მთა) – 706 ჰექტარი, ადიგენის რაიონში (ჯაზიგოლი, ახალი ტბა) - 721 ჰექტარი, შუახევის რაიონის მთა კვესაური - 161 ჰექტარი, ხულოს რაიონში - 1430 ჰექტარი (მთა ახალდაბა 750 ჰ. ბეშუმი 120 ჰ. უღელტეხილი).

რთული რელიეფური და კლიმატური პირობების, აგრეთვე ადამიანთა არასწორი სამეურნეო საქმიანობის შედეგად რაიონში მიმდინარეობს ინტენსიური ეროზიული პროცესები (ტყეების გაჩეხვა, არასწორად სამანქანე გზების გაყვანა), აღრიცხული 556 მეწყერიდან პოტენციურად საშიშია 352 (1984 წლიდან ქონების, მიწის მართვისა და ბუნებრივი რესურსების დარგს ხელმძღვანელობს თემურ ბერიძე).

ბუნებრივი რესურსები

ქედის რაიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ფერადი ლითონებიდან გვხვდება სპილენძის, ტყვიისა და ოქროს საბადოები, რომლებიც ძირითადში განლაგებულია: მერისში, ვაიოში, ცხმორისის სადაოს ტერიტორიაზე.

მერისის სპილენძის და ტყვიის საბადოების შესასწავლად დიდი საძიებო სამუშაოები ჩატარდა და დადგინდა მათი საექსპლუატაციო მნიშვნელობა. (კავკასიის გეოლოგიური მასალები, 1887 წ.)

სოფ. ვაიოს ახლოს აღმოჩნდა სპილენძისა და ტყვიის ძარღვი. ამ სარეწებზე ამოიღეს 19 ფუნტი (გირვანქა) ტყვია და 2,6 ფუნტი ოქრონარევი ვერცხლი, ამ სარეწებზე მუშაობდა ი.ა. ლაზარევი. თანდათანობით ტყვიის მოპოვება შეწყდა და დაიწყეს სპილენძის ამოღება.

სპილენძის მოპოვებას ეწეოდნენ აგრეთვე მერისში. აჭარაში სამთამადნო საქმიანობის წამომწყები იყვნენ სიმეონიდი და ძმები ლაზარევები. 1900 წელს სიმეონიდმა და ძმებმა ლაზარევებმა დიდი წვალებით შეძლეს თავიანთი საქმის დაფინანსება.

საინტერესოა გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული აბდულ ეფენდი მიქელაძის წერილი: „სადაც წითელი ქვები ნახეს, ნიმუშებად წაიღეს, ერთი მათგანი ნამდვილი გამოდგა სოფ. მერისში. აგერ სამი წელია, რასაც ამუშავებს ვიღაცა რიხნერი. მცხოვრებლებმა დიდი ფული შეიძინეს და მადლობლები არიან, გავარდა ხმა რომ მადანი გამოილია და აღარაფერი შემოდისო. თურმე ტყუილი ხმა გააგდო ვაჭარმა, რომ სხვა არავინ შემეცილოსო. უმთავრესი მიზეზი ამისი საქციელისა ის ყოფილა, ბატ. თოფან ბეგ შერვაშიძეს აქვს თურმე სოფელ მეძიბნაში ახლად გამოჩენილი სპილენძის მადანი, რომელიც ყველაზე უკეთესია ამ აჭარაში და მცხოვრებლებს დიდი სიხარული აქვთ, რომ მრავალ სარგებლობას მოგვიტანსო. ამ მადნის პატრონმა ბ-ნმა შერვაშიძემ განაჩენი დაადგინა, რომ ფუთ გატანილ მადანზე ერთი კაპიკი გადაიდოს საზოგადოების სასარგებლოდ. ხალხს ეს დიდად ესიამოვნა და მადლობა უთხრეს".(№165, 1900 წ.)

XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო ვაიოსა და მერისის სპილენძის საბადოების დამუშავება. მერისიდან და ვაიოდან ცხენებით ჩაჰქონდათ მადანი ერგეში და იქ ხდებოდა მისი დამუშავება, რომლის რაოდენობაც წლიურად შეადგენდა 3200 ფუთს, 1899 წლისათვის.

– ქედის რაიონი საკმაოდ მდიდარია მინერალური და სამკურნალო წყლებით, უფრო მეტად ჭარბობს რკინის და გოგირდის შემცველი წყლები, რომლებიც სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობით ხასიათდებიან, წყლები შეიცავს თავისუფალ გოგირდმჟავას, ალუმინს, მაგნიუმს, რკინის სულფატს.

საყურადღებოა ნამონასტრევის წყლები, რომლებიც თავისი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევიან საქართველოს კირიან წყლებში.

სოფელ კოკოტაურის ცნობილი ტუტე-კირიანი წყალი, რომელიც ძალზე გაზიანია და სასიამოვნო გემოთი ხასიათდება, კარგი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, მისი ჩამოსხმა მიმდინარეობს 40 წელია. მინერალურმა წყალმა „კოკოტაური" უმაღლესი შეფასება მიიღო პარიზისა და მოსკოვის გამოფენებზე და ოქროს მედლები დაიმსახურა.

კოკოტაურის მინერალური წყალი 1968 წელს ჩამოისხა, რის შესახებაც გაზეთ „საბჭოთა აჭარაში" დაბეჭდა წერილი „მკურნალი აჭარის წიაღიდან", რამაზ სურმანიძემ.

ქედისა და მის ახლომდებარე დუმბაძეების და ბაკანათის რკინის წყლები მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და შესაძლებელია გამოყენება ბალნეოთერაპიაში. ქედის ახლოს არის, აგრეთვე, შევაბურის სამკურნალო წყალი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თვალის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებს.

სახელი გაითქვა „გუნდაურის" მინერალურმა წყალმა, რომლის ჩამოსხმაც რამდენიმე წელია მიმდინარეობს.

კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ იყენებს მოსახლეობა სოფელ ვაიოს მინერალურ წყალს, რომელიც იგივე თვისებებით ხასიათდება, როგორითაც მინერალური წყალი ბორჯომი. ვაიოს წყლის ქიმიური თვისებების შესწავლა მიმდინარეობს და მალე მისი ქარხნული წესით ჩამოსხმაც დაიწყება.

ღვიძლის სამკურნალოდ დიდიხანია იყენებს მოსახლეობა მინერალურ წყალს, რომელიც სოფელ ბალაძეებში გამოედინება. ამ წყლის ქარხნული ჩამოსხმა უკვე დაწყებულია.

ჯერ კიდევ შეუსწავლელია მინერალური წყალი, რომელიც ახოსა და გეგელიძეების შამბაურიღელის ტერიტორიაზე გამოედინება და რომელსაც მოსახლეობა სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ იყენებს.

ქედის რაიონში კვაშტისა და გეგელიძეების ტერიტორიაზე მოიპოვება სააგურე თიხა, რაიონში მრავლად მოიპოვება გრანიტის ქვა, სამშენებლო ქვა-მასალები, რომლებიც შესწავლას საჭიროებს.

ქედის რაიონის ტერიტორიაზე გაედინება მდინარე აჭარისწყალი, რომელსაც აქვს შენაკადი მდინარეები: ბზანა (ზედა და ქვედა), აგარისწყალი – შენაკად ჭანჭახედითურთ, ზვარის, წონიარისის, ახოს, აკავრეთას წყლები რომლებიც შეიცავენ მდიდარ, მძლავრ ენერგეტიკულ რესურსებს და სათევზე მეურნეობებების მოწყობის დიდი საშუალებაცაა.

ქედის რაიონის კოლმეურნეობები

ქედის თემი

შევაბური

შევაბურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1938 წლის 2 თებერვალს. კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო მერჯან აბულაძე. კოლმეურნეობაში შეიქმნა ორი ბრიგადა.

1938 წლის 23 მაისს შევაბურის კოლმეურნეობამ აიღო თამბაქოს რგვის გეგმა 2,7 ჰექტარი, 1661 კილოგრამი მოსავლის პროგნოზით.

კოლმეურნეობაში დაიწყო თამბაქოს საშრობის აგება და მიიღეს დადგენილება საშრობის აგება დაამთავრონ 4 აგვისტომდე.

1938 წლის 15 ოქტომბერს შევაბურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თურქეთში გაქცეული ოსმან აბულაძის მიწის ნაკვეთი ჩაიბარა და დაადგინა, მიწაზე მოყვანილი მოსავალი მიეყიდოს ოსმან აბულაძის ძმას.

1942 წლის წლიურ ანგარიშს ხელს აწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მერჯან ხასანის ძე აბულაძე და ბუღალტერი ისრაფილ ოსმანის ძე ნაკაშიძე. კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 47945 მანეთი.

1947 წლიდან შევაბურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა შაქირ ხასანის ძე ბასილაძე. კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 57000 მანეთი. 1948 წელს მიიღეს ფულადი შემოსავალი 64950 მანეთი. ერთ შრომადღეზე განაწილდა 3,9 მანეთი.

1948-1950 წლებში შევაბურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო სულეიმან აბულაძე.

1950 წლის 15 ივნისის საერთო კრების დადგენილებით შევაბურის კოლმეურნეობა, როგორც მცირეძალოვანი, შეუერთდა ორცვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას.

აქუცა

აქუცის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, სახელწოდებით „სინათლისაკენ".

1949 წელს გაერთიანდა მე-18 პარტყრილობის სახელობის სოფ. ქედის კოლმეურნეობასთან. 1956 წელს კვლავ გამოეყო სოფ. ქედის კოლმეურნეობას და ეწოდა მახარაძის სახელობის სოფ. აქუცის კოლმეურნეობა.

არქივში ინახება 1932 წლის მარტისა და მაისის კრების ოქმები, რომლებშიც ასახულია მოსახლეობის განცხადებები კოლმეურნეობის თავმჯდომარის დურსუნ ცინცაძის სახელზე კოლმეურნე წევრებად მიღების შესახებ, – რეჯებ საკანდელიძე, რემზი ლორთქიფანიძე, ადემ სურმანიძე, ყემბერ ანანიძე, მემედ გორგილაძე, უსუფ გორგილაძე. ითხოვდნენ წევრად მიღებას.

1934 წელს აქუცის კოლმეურნეობაში შექმნილი იყო ორი ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 21 მამაკაცი და 25 ქალი.

1936 წელს მემედ კონცელიძემ და შუქრი ანანიძემ კოლმეურნეობაში გააერთიანეს 1000-1000 კვ.მ. მიწის ფართობი.

1935 წლიდან აქუცის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ხასან ნაკაშიძე. 1936 წლის 10 მაისის გამგეობის სხდომის დადგენილებით აქუცის სკოლას გადაეცა მიწის ნაკვეთი „ხაჯიოღლების ყანა" და ოქმის ამონაწერი გაეგზავნა სკოლის გამგე ს. მახაჭაძეს.

1936 წლისათვის აქუცის კოლმეურნეობაში იყო 48 კოლმეურნე წევრი და 11 მოზარდი.

1937 წლის იანვრიდან აგვისტომდე აქუცის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ოსმან ცინცაძე.

1937 წლის აგვისტოდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ალიოსმან მახაჭაძე. 1939 წლის 19 თებერვალს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა 37 კომლის განცხადება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე გადასვლის შესახებ და საკარმიდამო ნორმად განისაზღვრა 0,75 ჰექტარი. ამავე კრებაზე სოფ. აქუცის კოლმეურნეობას ეწოდა კანდიდ ჩარკვიანის სახელი. 1939 წელს კოლმეურნეობამ ქალაქ ბათუმში გახსნა სავაჭრო ობიექტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციისათვის.

1941 წლის აპრილამდე აქუცის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სულეიმან ზანაქიძე, რომელიც 1942 წლის 2 მაისს ისევ დააბრუნეს ამ თანამდებობაზე.

1941 წლის 20 დეკემბერს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მუსტაფ ანანიძე. კოლმეურნეობას 1942 წლისათვის გეგმა ჰქონდა: სიმინდი 18 ჰექტარი, თამბაქო 10 ჰექტარი, აქედან 5 ჰექტარი „ტრაპზონის" და 5 ჰექტარი „სამსუნის" ჯიშის.

1943 წლის 24 მარტს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან სურმანიძე.

1944 წლის 4 მაისს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საკითხი მდინარე აჭარისწყალზე აქუცა-ვაიოს ხიდის აგების შესახებ. კრებამ გადაწყვიტა აგრეთვე ხიდის მშენებლობა მიანდოს საქმის მცოდნე ოსტატს მემედ ოსმანის ძე ჩიკვაიძეს და მას მიემაგროს 2-3 კაცი, კრება თხოვს რაისაბჭოს აღმასკომს შესაძლებლობის ფარგლებში ხიდის მშენებლობისათვის გამოყოს რკინის მასალა და მავთული.

1946 წლის 24 იანვარს აქუცის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს იბრაიმ ბერიძე. 1947 წელს აქუცის კოლმეურნეობამ აგურ-კრამიტის ქარხნის ამუშავებისათვის გამოყო ერთი რგოლი 4 კაცის შემადგენლობით.

1948 წლის 18 ნოემბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ჯემალ ცინცაძე. 1950-1956 წლებში აქუცის კლმეურნეობა შეერთებული იყო ქედის კლმეურნეობასთან.

1956 წლის 11 თებერვალს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ აირჩია კოლმეურნეობის გამგეობა 5 კაცის შემადგენლობით: სურმანიძე ასლან ხასანის ძე, მახაჭაძე ალიოსმან აბდულის ძე, ზანაქიძე ავთანდილ რეჯების ძე, ცინცაძე ხეირ ოთარის ძე, ლომინაძე ზებური რამიზის ძე. კოლმეურნეობას ეწოდა მახარაძის სახელწოდება.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზანაქიძე ავთანდილ რეჯების ძე.

1957 წლიდან აქუცის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა დავით დავითაძე, 1958 წლის 28 სექტემბერს აქუცის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს სულეიმან თურმანიძე.

1961 წლის თებერვლიდან აქუცის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა აბდულ სურმანიძე. 1963 წლიდან ხუსეინ ნაკაშიძე, 1964 წლის 29 იანვარიდან – დავით ცინცაძე.

1966 წლის 28 მარტს აქუცის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დააკმაყოფილა დავით ცინცაძის თხოვნა ავადმყოფობის გამო განთავისუფლების შესახებ და თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ავთანდილ მახაჭაძე.

1969 წლის 2 მარტიდან აქუცის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა გორგილაძე გურამ ისმაილის ძე, 1970 წლიდან ხუსეინ ნაკაშიძე.

1974 წლის მარტში აქუცის კოლმეურნეობა შეუერთდა ქედის კოლმეურნეობას.

ორცვა

ორცვის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს. თავმჯდომარედ აირჩიეს ახმედ ძნელაძე, კოლმეურნეობაში გაერთიანდა 11 ოჯახი.

1936 წლისათვის ორცვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა დაუთ თურმანიძე.

1936 წლის 2 ნოემბრის საერთო კრებაზე განცხადება შეიტანეს და კოლმეურნეობაში თავიანთი გამწევი ძალა – ხარები გააერთიანეს ჰარუნ თურმანიძემ, დურსუნ ქაჯაიამ, ახმედ ბოლქვაძემ.

1937 წლის 13 თებერვალს სოფელ ორცვისა და კაკაოღლების სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა გაერთიანებული კრების დადგენილებით შეიქმნა ორცვის კოლმეურნეობა, თავმჯდომარედ აირჩიეს ჯემალ ქაჯაია.

1937 წლის 31 დეკემბერს საკოლმეურნეო კურსებზე იგზავნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯემალ ქაჯაია და მის მოვალეობას დროებით ასრულებს რესულ ქაჯაია.

1937 წლის 13 ივლისს ქედის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა ღებულობს დადგენილებას ქედაში ორცვის კოლმეურნეობისათვის სავაჭრო წერტის გახსნის შესახებ.

1938 წლის წლიურ ანგარიშს ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯემალ ქაჯაია. კოლმეურნეობაში ამ დროს ირიცხებოდა 141 მუშახელი. მათ შორის მამაკაცი 50, დედაკაცი 65, მოზარდი 12 დან 16-წლამდე - 26. კოლმეურნეობის შემოსავალმა

შეადგინა 30579 მანეთი.

1940 წლის პირველი მარტიდან ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრება კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევს ყებას ქაჯაიას. 1941 წლის დასაწყისისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა: ცხენი – 3, მსხვილფეხა პირუტყვი – 77, მათ შორის ძროხა – 16, კამეჩები, ხარები – 36, მოზარდი – 12, თხა და ცხვარი – 83.

დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით 1941 წლის 9 აგვისტოს ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაადგინა ქვეყნის მტერთან საბოლოო გამარჯვებისათვის თითოეული კოლმეურნე წევრს ყოველთვიურად ჩაერიცხა თავდაცვის ფონდში ორი შრომადღის ღირებულება.

1941 წლის 18 ოქტომბერს ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დროებით კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ჯემალ ქაჯაია.

1943 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ისკენდერ თურმანიძე.

1945 წლის ზაფხულში ორცვის კოლმეურნეობამ სოფლიდან გასახლებული ჯეფერ აბულაძის საცხოვრებელი სახლი დაშალა და გადაიტანა კაკაოღლების დაწყებითი სკოლისათვის, საფუძველი მშრომელთა დეპუტატობის ქედის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დადგენილება №15.

1945 წლიდან ორცვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ქაზიმ აბულაძე. ბუღალტერი დურსუნ მიქელაძე. 1950 წლის 15 იანვარს ორცვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ფელულ ნაკაშიძე. 1948 წლის 3 სექტემბრის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფელ კაკაოღლებს ეწოდა არსენაული.

1950 წლის 20 ივნისს რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება ორცვისა და შევაბურის კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ. 20 ივნისს რაისაბჭოს აღმასკომი ნებას აძლევს ორცვის კოლმეურნეობას ააშენოს აგურ-კრამიტის ქარხანა, მშენებლობაზე დახარჯოს 700 შრომადღე, 25000 მანეთი და ქარხნის მშენებლობა დაამთავროს წლის ბოლომდე.

1950 წლის 18 სექტემბერს ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ზია შერვაშიძე.

1951 წლის 7 იანვარს ორცვის კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე დაისვა საკითხი მოსახლეობის ძალებით სოფელში სამანქანე გზის გაყვანის შესახებ.

1951 წელს კოლმეურნე წევრების მიერ გამომუშავებულ იქნა 30235 შრომადღე, მიღებულ იქნა ფულადი შემოსავალი 259094 მანეთი, ერთ შრომადღეზე გაიცა 3,3 მანეთი.

1952 წლის 5 ივნისს ორცვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ქაჯაია.

1953 წლიდან ორცვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მერჯან ნაკაშიძე. 1959 წლის 16 თებერვალს ორცვის კოლმეურნეობის საანგარიშო საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნე წევრებმა გამოიმუშავეს 30100 შრომადღე, ერთ შრომადღეზე განაწილდა 10,5 მანეთი, სულ შემოსავალმა შეადგინა 486450 მანეთი.

რწმუნებულთა კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია რამიზ ნაკაშიძე.

1959 წლის გეგმები კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა, რის გამოც თავმჯდომარედ დაამტკიცეს ფელულ ნაკაშიძე.

1962 წლის 11 იანვარს კრების დადგენილებით ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს გადაეცა 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჩოლაურისა და არსენაულის ტერიტორიაზე.

1963 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ფელულ დიასამიძე.

1966 წლის 17 იანვარს ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დააკმაყოფილა ფელულ დიასამიძის თხოვნა და გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ისმაილ ნაკაშიძე. 1969 წლის 13 მარტს ავადმყოფობის გამო საკუთარი განცხადების საფუძველზე ისმაილ ნაკაშიძე

გაათავისუფლეს ორცვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

კრებამ ორცვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სერგო ქაჯაია.

1972 წლის 31 იანვარს ორცვის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შოთა ნაკაშიძე.

ძენწმანი

სოფელ ძენწმანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს. 1935 წლისათვის კოლმეურნეობაში იყო 2 ბრიგადა, 1934 წელს დარიცხულია 927 შრომადღე. მემცენარეობაში, სულ დარიცხულია 1004 შრომადღე. გაშენებული იყო თამბაქო 4,6 ჰექტარი. მიიღეს თამბაქოს მოსავალი 11,88 ცენტნერი, ხეხილი გაშენებული იყო 0,5 ჰექტარზე, ფულადმა შემოსავალმა მემცენარეობიდან შეადგინა 4043 მანეთი, მეცხოველეობიდან – 1300 მანეთი. საწარმოო-საფინანსო გეგმას ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბერიძე, ბუღალტერი სურმანიძე. აღნიშნულ პერიოდში ბრიგადირები იყვნენ ჰარუნ ვაშაყმაძე და ბერიძე.

1937 წლის ძენწმანის კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმას ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სურმანიძე ხოსრო ახმედის ძე. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე იყო ვაშაყმაძე ჰარუნ მუსტაფის ძე, ბრიგადირებად მუშაობდნენ მ. პეტრიძე და შ. სურმანიძე. პირველ ბრიგადაში გამომუშავებული იყო 1981 შრომადღე, მეორე ბრიგადაში 1742 შრომადღე, კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 30652 მანეთი, კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი 23 სული და წვრილფეხა 18 სული. კოლმეურნეობაში მუშაობდა 63 მუშახელი, 35 კაცი, 23 ქალი და 5 მოზარდი.

ცხემნა

ცხემნის მემედ ცინცაძის სახ. კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, 1937 წელს ეწოდა ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა.

1934 წლის 4 თებერვალს ცხემნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაამტკიცა 1 ჰექტარი თამბაქო საკოლმეურნეო სექტორში და ერთი ჰექტარი კერძო სექტორში, სიმინდის გეგმა 0,63 ჰექტარი, ხეხილის გაშენების გეგმა 0,1 ჰექტარი, ვენახის გაშენების გეგმა 0,5 ჰექტარი.

1934 წლის 19 ივლისს ცხემნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოისმინა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის აბდულ ცინცაძის მოხსენება თამბაქოს მოვლა-პატრონობის შესახებ.

1935 წლის 5 თებერვალს ცხემნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო თამბაქოს გაშენების გეგმა 2 ჰექტარზე და ხეხილის გაშენების გეგმა 0,5 ჰექტარზე.

1935 წლის 18 აპრილს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ აბდულ ცინცაძემ გააფორმა ხელშეკრულება „აჭართამბაქოსთან", რომ კოლმეურნეობა გააშენებდა თამბაქოს 2,5 ჰექტარზე და სახელმწიფოს ჩააბარებდა 1230 კგ. პროდუქციას. ხელშეკრულებით კოლმეურნეობა ღებულობს ვალდებულებას, სახელმწიფოს ჩააბაროს პირველი ხარისხი - 197 კგ, მეორე ხარისხი - 320 კგ, მესამე ხარისხი - 578 კგ, მეოთხე ხარისხი - 135 კგ. „სამსუნის" ჯიშის თამბაქო. სახელმწიფო იხდიდა „ტრაპზონის" ჯიშის თამბაქოს პირველ ხარისხში - 7,5 მანეთს, მეორე ხარისხში 5,5 მანეთს, მესამე ხარისხში – 2,9 მანეთს, მეოთხე ხარისხში – 1,2 მანეთს. „სამსუნის" ჯიშის პირველ ხარისხში – 8 მანეთს, მეორე ხარისხში - 5, 9 მანეთს, მესამე ხარისხში - 3,1 მანეთს, მეოთხე ხარისხში - 1.2 მანეთს.

1936 წლის 4 თებერვალს საერთო კრების დადგენილებით ცხემნის კოლმეურნეობა გადავიდა არტელის წესდებაზე.

1936 წლის 22 სექტემბერს ცხემნის მგალობლიშვილის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს დადგენილება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის აბდულ ცინცაძის განთავისუფლების შესახებ და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომრად აირჩია მემედ ცინცაძე.

1937 წლიდან კოლმეურნეობას ეწოდა ტელმანის სახელი, თავმჯდომარეა ალი აბაშიძე.

1937 წელს ცხემნის კოლმეურნეობა 1 მანეთად და 70 კაპიკად ყიდის თავის სანერგეში გამოყვანილ ვენახის ნერგს, კოლმეურნეობას მოგება რჩება 24 კაპიკი. ვენახის სანერგეზე პასუხისმგებელი იყო ხემიდ აბაშიძე.

1938 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა ორი „ლინეიკა" (ფაითონი) და მისი სარგებლობისათვის დააწესა შემდეგი ფასები: ერთი ფუთი ტვირთის გადატანა ბათუმამდე 3 მანეთი, პიროვნების გადაყვანა - გადმოყვანა ქედა-ბათუმი 10 მანეთი.

კოლმეურნეობა მუშა ხარის მოვლისათვის კოლმეურნეებს ურიცხავს თვეში 11 შრომადღეს, ხოლო კერძო ბოსლის სარგებლობისათვის 2 შრომადღეს.

1939 წლის 10 ოქტომბერს ცხემნის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით ქ. ბათუმში სავაჭრო ობიექტის მოზიარედ შეიყვანეს აქუცის კოლმეურნეობა (1941 წლიდან 1950 წლამდე ცხემნის კოლმეურნეობაზე მასალები არ მოიპოვება). 1950 წლიდან ცხემნისა და ძენწმანის კოლმეურნეობები გაერთიანდა.

1950 წლის 25 დეკემბერს ცხემნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან კონცელიძე.

1954-1955 წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მემედ სალაძე.

1955 წლიდან 1956 წლის 8 თებერვლამდე ცხემნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ოთარ სალაძე და ის თავისი განცხადებით განთავისუფლდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიაზ მიქელაძე.

1957 წლის მარტიდან ცხემნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მურად ბარამიძე. 1959 წლის 17 თებერვალს კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მომართვა და ბრიგადაზე თავიანთი შემოსავალის მიხედვით გაანაწილა თითოეულ შრომადღეზე მათ მიერ მიღებული შემოსავალი.

№1 ბრიგადაში 1 შრომადღეზე განაწილდა 9,09 მანეთი, №2 ბრიგადაში - 5,43 მანეთი, №3 ბრიგადაში - 11,42 მანეთი.

1959-1960 წლებში ცხემნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სულეიმან კონცელიძე. 1961-1962 წლებში – ზ. ძნელაძე. 1963 წლიდან – შალვა ალის ძე აბაშიძე. 1964 წლის 23 იანვრიდან ცხემნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს უსუფ აბაშიძე. 1966 წლიდან – ხუსეინ ვაშაყმაძე.

1970 წელს ცხემნის კოლმეურნეობაში მოიწიეს სიმინდი 340 ცენტნერი, თამბაქო - 142 ცენტნერი, ყურძენი - 300 ცენტნერი, ჩაის ფოთოლი - 51 ცენტნერი, ჩამოწველეს რძე - 252 ცენტნერი.

1974 წლის მარტიდან ცხემნის კოლმეურნეობა შეუერთდა ქედის კოლმეურნეობას.

ქედა

ქედის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს სახელწოდებით „გზა კომუნიზმისაკენ". 1939 წელს „გზა კომუნიზმისაკენ" და სოფელ გულების კოლმეურნეობა გაერთიანდა და ეწოდა მე-18 პარტყრილობის სახელობის სოფ. ქედის კოლმეურნეობა.

1950 წლის 14 ივლისს ქედის და აქუცის კოლმეურნეობები გაერთიანდნენ და ეწოდა ქედის კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობის საერთო კრების 1950 წლის 21 მაისის დადგენილებით სოფ. ქედის

კოლმეურნეობას ეწოდა მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

1931 წელს შეიქმნა გულების კოლმეურნეობა სახელწოდებით „ჩირაღდანი", კოლმეურნეობაში გაერთიანდა 17 ოჯახი. პირველი თავმჯდომარე იყო მამუდ დიასამიძე. 1932 წელს აშენდა თამბაქოს საშრობი, 4 თვალი.

1932 წლის 14 მაისს გულების კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელილ დიასამიძე, განიხილეს კოლმეურნეებზე მიწის განაწილების საკითხი.

1933 წლის 17 ოქტომბერს საერთო კრება იხილავს მასწავლებელთა მომარაგების საკითხს და 34 გლეხს ავალებს სკოლის მასწავლებლები მოამარაგონ სიმინდითა და ლობიოთი და საშუალოდ თითო გლეხზე ანაწილებენ ორ-ორ კილოგრამ სიმინდსა და ლობიოს.

1931 წლის აპრილში ჩამოყალიბდა ზენდიდის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი", თავმჯდომარედ აირჩიეს უსუფ პაპუნიძე, სექტემბრისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 10 ოჯახი.

1934 წლის 1 აპრილს ჩატარდა ზენდიდის კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯემალ გოგოლიშვილი, სხდომამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია რეფიყ პაპუნიძე.

1936 წლის 26 თებერვალს ზენდიდის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება „კოლმეურნეობის არტელზე გადასვლის შესახებ" და დაადგინეს ნებაყოფლობის საფუძველზე არტელში მიღებულ იქნან ბარამიძე ხულუს, ბერიძე იაყუფ, ბერიძე ხულუს, დიასამიძე მეჯიდ, ბერიძე ყებას, ბერიძე ეუბ, ბეჟანიძე უსუფ, ბერიძე ახმედ, ბერიძე ხულუს, ბერიძე ისმეილ, ბერიძე ხასან, ბერიძე ხუსია, ბერიძე ბაშია, დიასამიძე ჯემალ, პაპუნიძე ჯევდეთ, დიასამიძე ადემ, დიასამიძე შაქირ, ბერიძე მემედ, დიასამიძე ასლან, ბეჟანიძე ხასან, ბარამიძე ახმედ, ბერიძე ისმაილ, ბერიძე რემიზ, ბეჟანიძე სალიხ, ბერიძე ხალით, ბეჟანიძე მამუდ, ბარამიძე სულეიმან, დიასამიძე თალიბ, დიასამიძე ხასან, პაპუნიძე თოფან, ბეჟანიძე მურთაზ და სხვები.

1936 წლის 10 აპრილს ზენდიდის კოლმეურნეობამ საერთო კრებაზე განიხილა საკითხი თამბაქოს მოსავლის კონტრაქტაციის ჩატარების შესახებ და დაადგინა დაირგოს თამბაქო 10,95 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე „სამსუნის" ჯიშის და სახელმწიფოს ჩაბარდეს 5955 კილოგრამი.

1935-1937 წლებში გულების კოლმეურნეობა „ჩირაღდნის" თავმჯდომარეა მამუდ დიასამიძე. 1937 წლის 16 სექტემბერს სოფელ გულების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მამუდ ქამილის ძე დიასამიძე.

1937 წლის 25 სექტემბერს გულების კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საბრალდებო დასკვნა ხალხის მტრების, ჯაშუშების და დივერსანტების შესახებ (ზ. ლორთქიფანიძე, ბეჟანიძე, ბასილაძე, ხოზრევანიძე, ვანაძე, რამიშვილი, ძნელაძე, მეგრელიძე, ქიქავა, ღაღიძე, ხ. ჩალოღლი, რომანაძე და ვანაძე) და სიტყვაში გამომსვლელებმა მოითხოვეს სამშობლოს მოღალატეთა მკაცრად დასჯა. ამავე დროს კრებები იმართებოდა ყველა საწარმო-დაწესებულებაში. მშრომელები ითხოვდნენ მოღალატეთა მკაცრად დასჯას.

1937 წლისათვის გულების კლმეურნეობის შემოსავალი იყო 14750 მანეთი. 1938 წლიდან კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა მემედ დიასამიძე. კოლმეურნეობაში იყო 66 წევრი.

1938 წლის ქედის კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშს ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ასლან გათენაძე.

1940 წლის 8 თებერვალს ქედის 18-ე პარტყრილობის კოლმეურნეობის საერთო

კრებამ დაადგინა, საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე თალიბ დიასამიძე, მევენახე ბრიგადირი ხასან დიასამიძე და უმიან დიასამიძე.

1941 წლის 2 თებერვალს ქედის მე-18 პარტყრილობის კოლმეურნეობის თავმჯ-დომარედ აირჩიეს ფელულ დიასამიძე.

1941 წლის 16 თებერვალს გამგეობის სხდომამ დაადგინა, ხაჯი სულეიმანის ძე დავითაძემ იმუშაოს რეფიე პაპუნიძის სახლის მშენებლობაზე და ყოველდღიურად კოლმეურნეობაში შეიტანოს 25 მანეთი.

1942 წლის 26 აგვისტოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ქაზიმ პაპუნიძე, რომელიც 1946 წლის 4 თებერვალს შეცვალა ხასან დიასამიძემ.

1947 წლის 24 აგვისტოს კრებამ თავმჯდომარეობიდან ავადმყოფობის გამო, გაან-თავისუფლა ხასან დიასამიძე ხანგრძლივი მკურნალობისათვის და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ასლან დიასამიძე.

1947 წლის 27 დეკემბერს საერთო კრებამ ქედის პედაგოგიურ სასწავლებელს გამოუყო 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სასწავლო-საცდელი მიზნებისათვის, ხოლო 1947 წლის 28 დეკემბერს საერთო კრებამ 0,55 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოუყო ქედის 8 წლიან სკოლას, მუდმივი სარგებლობისათვის საცდელ-სასწავლო მიზნებისათვის.

1947 წლისათვის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 395335 მანეთს. ერთ შრომადღეზე გაიცა ხუთი მანეთი და 54 კაპიკი, 1948 წელს ქედის კოლმეურნეობამ ქედის ცენტრსა და ქ. ბათუმში გახსნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სარეალ-იზაციო მაღაზიები.

1950 წლის 19 იანვარს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია რეფიე პაპუნიძე. კოლმეურნეობამ გულების უბანში გაიყვანა რადიო ხაზი და 21 ოჯახში მოეწყო რადიოწერტი.

1950 წლის 4 ივლისის საერთო კრების დადგენილებით ქედის და აქუცის კოლმეურ-ნეობები გაერთიანდა, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ოთარ დი-ასამიძე.

1952 წლის 13 თებერვალს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ოთარ დიასამიძე და აირჩია ოთარ ცინცაძე. ხოლო 1954 წლის 13 თებერვალს თავმჯდომარეობა მიანდეს ევგენი ბერიძეს.

1956 წლიდან ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა გიორგი ტყეშელიაძე.

1956 წლის 27 ივნისიდან ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ხასან დიასამიძე.

1962 წლის 29 მაისს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გაყიდა მსუბუქი ავტომანქანა „ემ – 20”.

1963 წლის 3 სექტემბერს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა, აშენდეს კოლმეურნეობის კანტორის შენობა.

1964 წლიდან ქედის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ევგენი ბერიძე.

1967 წლის 7 აპრილის საერთო კრების გადაწყვეტილებით (მეორედ) ევგენი ბერ-იძე გაათავისუფლეს თავმჯდომარის მოვალეობისაგან და აირჩიეს ჯემალ ბერიძე.

1970 წელს კოლმეურნეობამ მიიღო სიმინდი 280 ცენტნერი, ხმელი თამბაქო - 165 ცენტნერი, ბოსტნეული - 32 ცენტნერი, ხეხილი - 136 ცენტნერი, რძე - 192 ცენტნერი, ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 102359 მანეთს.

1973 წლიდან კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა მიხეილ ბერიძე.

ქედის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 18 მარტს გაიმართა სოფელ ქედის, ცხემნის, ორცვისა და აქუცის კომეურნეობების შეერთების საერთო კრებები. მშრომელებმა გამოთქვეს სურვილი კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ და აირჩიეს რწმუნებულები 19 მარტის კრებაზე დასასწრებად.

1974 წლის 19 მარტს ქედის კულტურის სახლში ჩატარდა ქედის გაერთიანებული კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრება. გაერთიანებულ კოლმეურნეობას ეწოდა „დაბა ქედის კოლმეურნეობა".

კრებამ აირჩია კოლმეურნეობის გამგეობა 11 კაცის შემადგენლობით. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა დიასამიძე ხასან აბდულის ძე. შეიქმნა 9 ბრიგადა.

გაერთიანებული კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად ქედის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ აირჩია ვაშაყმაძე ხუსეინ მუსტაფის ძე.

1976 წლიდან ქედის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს დიასამძე დავით თალიბის ძე.

1978 წლის შედეგებით სახელმწიფოს მიეყიდა რძე - 65,5 ტონა, თამბაქო - 131 ტ, ყურძენი - 93 ტონა, ჩაი ფოთოლი - 40 ტონა. კოლმეურნეობამ მიიღო ფულადი შემოსავალი 450192 მანეთი, კოლმეურნის საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 75 მანეთი.

1979 წლის 18 სექტემბერს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ აქუცის ტერიტორიაზე ბავშვთა ბანაკის ასაშენებლად გამოყო 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. 1979 წლის 5 ნოემბერს საერთო კრებამ ქედის მანქანათმშენებელი ქარხნის ფილიალის მუშებისათვის 50 - ბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოჰყო მიწის ფართობი რაიონის საავადმყოფოს მიმდებარედ, 2000 კვ.მეტრი.

1980 წლის 24 იანვარს საერთო კრებამ დიასამიძე ხასან აბდულის ძე გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და თავმჯდომარედ აირჩია კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი დიასამიძე დავით თალიბის ძე.

1980 წლის თებერვლიდან ქედის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს შერვაშიძე სულიკო ყედირის ძე.

1981 წლის 2 ივნისს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დავით თალიბის ძე დიასამიძე გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და თავმჯდომარედ აირჩია დიასამიძე შალვა ხასანის ძე.

1985 წლის ოქტომბრიდან დაბა ქედის პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს პაპუნიძე თემურ ხასანის ძე.

1985 წლის 19 ივნისს საკუთარი განცხადების საფუძველზე ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შალვა ხასანის ძე დიასამიძე და თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ხოსროს ძე სურმანიძე, 1987 წლიდან დაიწყო საიჯარო მეურნეობების შექმნა.

1988 წლის 24 ოქტომბერს დაბა ქედის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ სატელევიზიო კოშკის მშენებლობისათვის გამოჰყო „საწუმპიის" ტერიტორიაზე 0,05 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

1989 წლის 14 აპრილს ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ნება დართო 14 კომლს, რომლებიც მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობდნენ, ვანის რაიონის სოფლებში გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩასახლებულიყვნენ.

1990 წლის 6 თებერვალს საკუთარი განცხადების საფუძველზე ქედის კოლმეურნეობის საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯ-

დომარე ოსმან ხოსროს ძე სურმანიძე და თავმჯდომარედ აირჩია ნაკაშიძე რეზო მუხამედის ძე, ამავე კრების დადგენილებით ქედის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა არენდით გადაეცა სანიკიძე თამაზ ალექსანდრეს ძეს.

1992 წლიდან იქმნება დაბა ქედის სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომლის ხელმძღვანელიც იყო შოთა ისმაილის ძე ნაკაშიძე.

ცხმორისის თემის კოლმეურნეობები

სოფელი ცხმორისი

როგორც აბუსერის ძე ტბელის თხზულებიდან „ცხოვრება ქვით-ხუროისა ბასილისა" ირკვევა, ცხმორისი ერთ-ერთი უძველესი სოფელია. აქ ცხოვრობენ: აბაშიძეები, ანანიძეები, ბერიძეები, ბასილაძეები, გოგიტიძეები, ვასაძეები, ირემაძეები, კონცელიძეები, მამუჭაძეები, მამულაძეები, მახარაძეები, მიქელაძეები, ნაკაშიძეები, ქარცივაძეები, ქათამაძეები, ცინცაძეები, ხალვაშები, სურმანიძეები და ფუტკარაძეები.

სოფელ ცხმორისის მცხოვრებლებმა: შუღეიბ აბაშიძემ, ხუსეინ ანანიძემ, ხასან ბერიძემ, ბაირამ და დურსუნ ვასაძეებმა 1923-1924 წლებში შეისყიდეს მთა ახალდაბა (საიჩარი) თურქეთში მყოფი ახალდაბელებისგან, 750 ჰექტარი.

1927 წელს ცხმორისში თავდაპირველად შეიქმნა მეფუტკრეთა მეურნეობა, რომელსაც „შირექეთი" დაარქვეს და რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს დურსუნ კონცელიძე. 1928 წლის 4 მაისისათვის ამ კოლექტივის წევრები იყვნენ:

№	წევრები	განათლება	სოც. მდგომ.	ოჯახის შემად.
1.	ავალიანი უსუფ	შინაური	საშუალო გლეხი	15
2.	ტაკიძე სოლია	არ აქვს	ღარიბი	13
3.	ბაიზოღლი დურსუნ	„---------"	„--------"	8
4.	ირემაძე სულია	„---------"	„--------"	10
5.	ვასაძე დურსუნ	„---------"	„--------"	14
6.	აბაშიძე კადირ	„---------"	„--------"	10
7.	მამუჭაძე ახმედ	„---------"	„--------"	12
8.	ანანიძე ოსმან	„---------"	„--------"	17
9.	მიქელაძე ხელილ	„---------"	„--------"	12

სოფელ ცხმორისის „ტოზი"-ს თავმჯდომარედ დურსუნ კონცელიძე 1931 წლამდე მუშაობდა.

ცხმორისის მშრომელთა გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო არტელად იწოდა 1931 წელს, ხოლო ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობად – 1957 წელს.

1931-1932 წლებში თავმჯდომარე იყო დურსუნ გუმიშის ძე ვასაძე, რომელიც შემდეგ წლებში მუშაობდა კოლმეურნეობაში მოლარე-მოანგარიშედ. მის შემდეგ 1932-1938 წლებში თავმჯდომარეობდა სულეიმან ირემაძე. პირველ გაერთიანებაში შედიოდა ფუტკრის რამდენიმე ოჯახი.

ს. ირემაძის ხელმძღვანელობით აშენდა სოფელში პირველი სკოლა.

1934 წლისთვის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 18 კომლი 105 სულით, რომელთაგან შრომისუნარიანი ყოფილა 50.

სწორედ ამ 50 კაცს ჰქონდა გაშენებული თამბაქო 4,5 ჰექტარზე, ნათესი ბალახი-0,5

ჰა, დაფნა-0,125 ჰა, ხეხილი-0,25 ჰა, თუთა-0,125 ჰა; კოლმეურნეობის საერთო ქონებას შეადგენდა: 3 გუთანი, 16 თოხი, 2 სარწყავი, 5 თამბაქოს ნემსი.

50 კომლი 2 ბრიგადად იყოფოდა, პირველში იყო 10 მამაკაცი, 7 ქალი, 4 მოზარდი, მეორეში- 19 მამაკაცი, 5 ქალი, 5 მოზარდი.

1934 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 8600 მანეთი.

1938 წლისათვის მუშახელის ოდენობა გაიზარდა 69 კაცამდე. სულეიმან ირემაძის განსაკუთრებული დამსახურებაა, რომ 1937-1938 წლებში მასიური რეპრესიების პერიოდში სოფელ ცხმორისიდან არავინ მიუციათ პასუხისგებაში.

1938 წლის აგვისტოში თავმჯდომარედ აირჩიეს ოსმან მიქელაძე.

მისი აქტიური მონაწილეობით სოფელში შემოიყვანეს სასმელი წყალი, მდინარე აჭარისწყალზე აშენდა კაპიტალური ხიდი; კოლმეურნეობას ჰქონდა საკუთარი სამჭედლო და ამზადებდა ყველა სახის შრომის იარაღს. ო. მიქელაძე კარგად ერკვეოდა და აქტიურად მონაწილეობდა სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1938 წლის სექტემბრიდან თავმჯდომარეობა განაგრძო დურსუნ კონცელიძემ, რომელიც მუშაობდა 1941 წლის 16 მაისამდე.

ამ დროიდან კოლმეურნეობებში ფეხს იკიდებს „სტახანოვური მოძრაობა". სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობის პირველი სტახანოველები იყვნენ: ფატყუმე და ხატიჯე აბაშიძეები, ფატყუმე ვასაძე, მემედ ანანიძე, მერიემ სურმანიძე, ფატყუმე სურმანიძე, მეხფულე და გულფერ ბერიძეები, ეხსან მიქელაძე, ხურმიზ ბერიძე, სულთან ირემაძე, შორეთ ნაკაშიძე.

1938 წელს ბრიგადირებად მუშაობდნენ რეჯებ ანანიძე და ახმედ ბერიძე. წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა წევრთა მიღება: 5 ნოემბერს მიიღეს 3 კომლი, 20 ნოემბერს – 6 კომლი.

1939 წლის 8 ოქტომბრის კრებამ განიხილა სოფელ ცხმორისის მცხოვრებ მუხამედ ახმედის ძე ანანიძის განცხადება, რომელმაც კოლმეურნეობაში გააერთიანა საკუთარი სატვირთო ავტომანქანა „გაზ-5711".

1941-1943 წლებში თავმჯდომარედ მუშაობდა ახმედ მამუჭაძე, რომლის ხელმძღანელობით სოფლის ცენტრამდე გაიყვანეს საავტომობილო გზა.

კოლმეურნეობა მხარში ედგა სოფლად მომუშავე მასწავლებლებს. მასწავლებელ ვალოდია თოფურიას, რომელიც ამავე დროს კოლმეურნეობის ბუღალტრად მუშაობდა, გამოუყვეს 10 კგ. ლობიო.

1941 წელს კოლმეურნეობაში რატომღაც 6 ბრიგადაა. ბრიგადირებად მუშაობდნენ: მამუდ ქარცივაძე, რამიზ გოგიტიძე, რეჯებ ანანიძე, სულეიმან მამულაძე, ქაზიმ ბერიძე, ემინახმედ აბაშიძე.

ამ დროისათვის კოლმეურნეობას აქვს აგურის ქარხანა და საკმაოდ გაფართოებულია მისი საწარმოო პოტენციალი.

გავიდა 10 წელი და სიმინდი ითესება 135 ჰექტარზე, კარტოფილი – 7 ჰა-ზე. კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 213013 მანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებია, 1934 წელთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა თითქმის 25-ჯერ.

1943 წლის თებერვალში ბრიგადების ოდენობა განახევრდა და მათ სათავეში ჩაუყენეს უფრო გამოცდილი კადრები: უსუფ მამუჭაძე, ქაზიმ ბერიძე და ემინახმედ აბაშიძე.

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოლმეურნეობის გამგეობას დავალებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადების უზრუნველყოფა; გულსატკენია, მაგრამ შრომას პოლიტიზირებული ხასიათი აქვს–ომის პერიოდის მთავარი დევიზია: ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.

1943 წლის 6 ივლისს რაიკომის ბიურომ თავმჯდომარე ახმედ მამუჭაძე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩიეს ალიოსმან ვასაძე (1911-1973).

ის იყო დაწყებითი განათლების მქონე. ერთ-ერთი პირველი გაერთიანდა „ტოზში", მანამდე იყო კოლმეურნეობის მოანგარიშე და ცენტრი ცხმორისის მაღაზიის გამგე, თავმჯდომარედ იმუშავა 1952 წლის 12 თებერვლამდე, შემდეგ კი მუშაობდა ქედის რაიონის თამბაქოს დამზადების პუნქტის გამგედ, ცხმორისის კოოპერატივის გამგედ და რაიკოოპერატივის პასუხისმგებელ მუშაკად.

1944 წლის 31 აგვისტოს შეიქმნა ცხმორისის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. მანამდე სოფლად მომუშავე კომუნისტები ცხმორისის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ.

ამ დროს საზოგადოებრივი სექტორი უკვე უფრო მეტი ხვედრითი წილისაა, ვიდრე კერძო: სოფელ ცხმორისის 814 ჰექტარი მიწიდან განსაზოგადოებრივებულია 756 ჰა.

1944 წლის ივლისიდან სურნალის ღელეზე დაიწყო ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც პასუხისმგებელ პირებად მიემაგრნენ მემედ მიქელაძე, დურსუნ ვასაძე და ხუსეინ ანანიძე. ცხმორისის ელექტროსადგური პირველი იყო ქედის რაიონში, რომელმაც 1946 წელს მოსახლეობას ელექტროენერგია მიაწოდა.

1945 წელს კოლმეურნეობაში მუშახელის ოდენობა აღწევს 183 კაცს. სოფელში ამოქმედდა საკოლმეურნეო სამჭედლოები, სადაც თოხის, კავის, სახნისის გაკეთება ღირდა 80 მანეთი, ცელის – 130, ნაჯახის – 90, წალდის – 130, ნამგლის – 40, თამბაქოს ნემსის – 5, ცხენის წყვილი ნალის – 50 მანეთი.

ომის გამო ქვეყანას იმდენად უჭირს, რომ პრიმიტიული სამჭედლოები კვლავ დიდ როლს ასრულებენ შრომის იარაღების შექმნაში. სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობაში განთქმული მჭედლები იყვნენ მამა-შვილი ხელილ და ოსმან მიქელაძეები, ახმედ და რამიზ გოგიტიძეები. მათთან შრომის იარაღის გასაკეთებლად სხვა რაიონიდანაც მოდიოდნენ კოლმეურნეები.

1941 წელს სოფელში უკვე არის ხაზის რადიო, რომელმაც 1945 წელს მთელ სოფელს ამცნო გერმანიის დამარცხება. ამ დროს გამგეობის სხდომა მიმდინარეობდა და ის დიდ მიტინგში გადაიზარდა.

აღდგენით პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა კოლმეურნეობის პოტენციალი. 1947 წელს უკვე 341 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, 4-კამეჩი, 26 -წვრილფეხა. 1946 წლის ანგარიშის მიხედვით შემოსავალი მიღწეულია 354 671 მანეთს.

1949 წლიდან ფართო ხასიათი მიეცა კოლმეურნეობაში ვენახის გაშენებას. 1949-1955 წლებში უნდა გაშენებულიყო: ცოლიკაური-1 ჰექტარზე, ჩხავერი-1 ჰექტარზე; ეს წელი სხვა მხრივაც აღმოჩნდა საინტერესო: მერგოლურებს ახმედ (შალვა) აბაშიძეს და ისრაფილ ნაკაშიძეს თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ამ წლიდან იწყება ტყეების ხელოვნურად გაშენებაც.

მომდევნო – 1950 წელს გაერთიანდა ცხმორისის და კოკოტაურის კოლმეურნეობები. ეს იყო სამთავრობო ცდა, რომელსაც ჩანაფიქრით უნდა მოჰყოლოდა შედეგების გაუმჯობესება.

გაერთიანებულ კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ალიოსმან ვასაძე, ეწოდა ცხმორისის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც უკვე ჰყავს აგროტექნიკი, ჟურნალ-გაზეთების და საფოსტო გზავნილების დამტარებლებსაც კოლმეურნეობა აფინანსებს. 1950 წლის ზაფხულში სოფელ ცხმორისში გაფართოვდა რადიოქსელის ხაზი და რაიონის კოლმეურნეობებს შორის პირველად მოსახლეობასთან 100 ოჯახში ისმენდნენ რადიოგადაცემებს.

1951 წელს სოფელში აშენდა ახალი აგურის ქარხანა, რომელსაც კრამიტის წარმოებაც შეეძლო. ქარხნის წლიური წარმადობა 50 ათასი აგური და კრამიტი იყო, თუმცა სოფლის მოთხოვნებს მშენებლობაზე ვერ აკმაყოფილებდა.

ამავე წელს სოფელში მოსახლეობისათვის გაკეთდა აბანო.

1952 წელს გაერთიანებული კოლმეურნეობის ანგარიშში აისახა: 744 ცენტნერი მარცვლეული, 268 ცენტნერი თამბაქო, 734 ცენტნერი კარტოფილი, 303 ცენტნერი ყურძენი და ა.შ.

საგრძნობი წინსვლა არც მომდევნო წლებში ყოფილა, ამიტომ 1952 წლის დასაწყისში გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ოსმან ქარცივაძე, მაგრამ იგი რამდენიმე თვეში მოულოდნელად გარდაიცვალა. მის ნაცვლად აირჩიეს იოსებ ნაკაშიძე, რომელიც სხვადასხვა დროს იყო მერგოლური, ბუღალტერი, ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, ქედის რაიაღმასკომის ინსპექტორი.

თავმჯდომარეობიდან იგი გადაიყვანეს ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექტორ-ეკონომისტად დამზადების დარგში, 1961-1962 წლებში მუშაობდა სახელმწიფო სტატისტიკის ქედის რაიინსპექტორად; 1962-1967 წლებში – ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ეკონომისტად, 1964-1973 წლებში – ქედის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად, 1973-1975 წლებში – ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორად, 1975-1976 წლებში – ქედის რაიკოოპერატივის თავმჯდომარედ, 1979-1982 წლებში – ცხმორისის კოლმეურნეობის მთავარ ეკონომისტად.

ი. ნაკაშიძე, უმაღლესი განათლების აგრონომ-ეკონომისტი, დაჯილდოებული იყო 3 მედლით, მინიჭებული ჰქონდა აჭარის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება.

1955 წლის ბოლოს გაერთიანებული კოლმეურნეობის გასაყოფად ჩატარებულ კრებაზე გაყოფის მთავარ მიზეზად დასახელდა გაზრდილი მასშტაბის მართვის შეუძლებლობა.

1955 წლის 26 ოქტომბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა (ემინახმედ) აბაშიძე. ამ დროისათვის ის სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს აგრონომის სპეციალობით, თავმჯდომარედ არჩევამდე ცხმორისსა და დანდალოს საბჭოების აგროუბანს უძღვებოდა.

შ. აბაშიძე 1959-1960 წლებში კვლავ აგრონომად მუშაობდა, 1960-1961 წლებში – რაიონის ჰიდრომელიორატორად, 1961 წლიდან რაიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო ინსპექტორია. 1963-1965 წლებში ქედის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-ორგანიზატორი, 1965-1967 წლებში პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, 1967-1974 წლებში – ქედის თამბაქოს დამზადების უფროსი. 1974 წელს ცხმორისის სასოფლო საბჭოში ერთი კოლმეურნეობა შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედაც მუშაობდა 1976 წლიდან 1979 წლის იანვრამდე, პენსიაზე გასვლამდე.

შ. აბაშიძეს, გმირის ვარსკვლავის გარდა, 1970 წელს მიღებული ჰქონდა ლენინის ორდენი.

1957 წლის დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ კვლავ აღდგა ხაზის რადიო. 1958 წლის 26 მაისს კოლმეურნეობის კრებამ მიიღო დადგენილება სოფლის სკოლის 16-ოთახიანი შენობის აგების შესახებ.

1959 წლის 25 იანვრიდან თავმჯდომარედ აირჩიეს სულეიმან ანანიძე, რომელსაც გააჩნდა მერგოლურად მუშაობის გამოცდილება. თავმჯდომარეობის შემდეგ იგი იყო ფერმის გამგე (1960 წლის 21 მარტიდან).

1960 წლის მარტიდან თავმჯდომარე გახდა ქაზიმ ბერიძე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ბუხჰალტრის სპეციალობით, 1965-1984 წლებში იგი მუშაობდა ცხმორისის საუბნო საავადმყოფოს მომმარაგებლად. 1984 წლიდან გადავიდა საცხოვრებლად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. დაჯილდოებული იყო აჭარის არ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1962 წელს ქ. ბერიძე შეცვალა რესულ მახარაძემ. ის სხვადასხვა დროს იყო მერგოლური, ბრიგადირი, ფერმის გამგე, 1964-1970 წლებში კოლმეურნეობაში ხელმძღვანელობდა მეფუტკრეობას. დღესაც მუხლჩაუხრელად შრომობს და ყველა ახალი წამოწყების ორგანიზატორია. მისი ხელმძღვანელობით გაიყვანეს გზა დიდსასვენინასაყდრალი.

1962 წელს სოფელში გაიყვანეს ახალი ელექტროხაზები და მოსახლეობამ დენი „აწჰესიდან" მიიღო. თავი გამოიჩინეს: უსუფ მიქელაძემ, ძმებმა გივი და შუქრი ნაკაშიძეებმა, მევლუდ ბერიძემ.

1964 წელს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს კოლმეურნეობის აგრონომი გივი ქარცივაძე, 1969-1981 წლებში ის მუშაობდა აჭარკოოპკავშირის ქედის სამშენებლო მაღაზიის გამგედ, 1981-1990 წლებში იყო ქედის სატყეო მეურნეობის პროდუქციის რეალიზატორი, 1990-1993 – წლებში ქედის რაიონის მეცხოველეობის პროდუქტების დამამზადებელი.

1969 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს რეზო ანანიძე, მუშაობის გამოცდილებით, რომელიც იღვწოდა კოლმეურნეობის მშენებლობის ბრიგადირად, მემინდვრეობის ბრიგადირად, აგროტექნიკად, პარტიული ორგანიზაცის მდივნად.

რ. ანანიძე კოლმეურნეობას უძღვებოდა 1974 წლის მარტამდე, ვიდრე კოლმეურნეობები გაერთიანდებოდა, შემდეგ კი გაერთიანებული კოლმეურნეობის გარაჟის გამგე, მოლარე და სოფელ ცხმორისის აგროუბნის ხელმძღვანელი იყო.

რ. ანანიძის სახელს უკავშირდება გ. ქარცივაძის ინიციატივით დაწყებული სასმელი წყლის მოყვანა გოგჩაფაურიდან, 7 კილომეტრის სიგრძეზე ჩააწყვეს თუჯის მილები.

წყალსადენის მშენებლობაში აქტიურობით გამოირჩეოდნენ: ოსმან მიქელაძე, ხასან მახარაძე, ხუსეინ ნაკაშიძე, რამიზ გოგიტიძე, ალი ბერიძე, უსუფ ბერიძე, რეჯებ ანანიძე. სოფლის თავში 100 ტონიანი რეზერვუარის აგებას ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდა ცხმორისელი ინჟინრები: ილია მიქელაძე და ვაჟა ანანიძე.

1974 წლის მარტში ცხმორისის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა გაერთიანებული კოლმეურნეობა.

ახო

„ახო ტყეში გამოცეცხლილი, სახნავად გამზადებული ნიადაგია". ახალი სოფელი, ნაკაფი ყანა, საყანედ გაკაფული ტყე (კ. გამსახურდია – „დავით აღმაშენებელი," ტ.2 გვ. 257. თბ. 2011 წ.).

გადმოცემით, ახოში ყველაზე ძველი გვარი ნაკაშიძეა. 135 წლის მოხუცის, კიმონო ნაკაშიძისთვის, რომელიც ყოველდღე მიდიოდა სოფლის ერთ ადგილზე და ტიროდა, უკითხავთ, რად ტირიო?

-აქ ეკლესია იყო და ჩვენი წინაპრები ლოცულობდნენო!

ეკლესიაში ერთი მზეთუნახავი მსახურობდა, შეყვარებული ჰყოლია ნამჭედლევზე. სარკით ანიშნებდა ბიჭი (ათინათის ციალით), როდის მივიდოდა ეკლესიაში.

ნაეკლესიარი აღარ ატყვია.

ახოში პირველი დასახლება ჩეტკიძეებსა და ცივიყელის უბანში გაჩნდა. ახოში ცხოვრობენ: ბერიძეები, ბოლქვაძეები, გეგიძეები, დიასამიძეები, ნაკაშიძეები, ნიჟარაძეები, თავდგირიძეები.

გადმოცემით, სამი ძმა მოსულა საქართველოს რომელიღაც კუთხიდან – გურძაი, კუჭულაი და სამუნაი. მათი დასახლების შესაბამისად გაჩენილა ადგილის სახელები: გურძაშვილები, კუჭველები და სამუნაშვილები.

ასევე გადმოცემით, ჩეტკიძეებში მცხოვრები ბოლქვაძეების ერთი შტო ისპიროღლები არიან, აქედან შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისინი ისპირიდან არიან მოსულები.

ახოს ყველაზე ახალი დასახლებებია: ამაღლებიკარი, ჭაკლაური, შამბაური, ზერვენახი. XX საუკუნის დასაწყისში ახოს ბარისუბნის პირველი მცხოვრებნი გახდნენ ხემიდ თავდგირიძის და თევფიყ ბოლქვაძის ოჯახები. ხუსეინ ნიჟარაძე ჩასიძებია თევფიყ ბოლქვაძეს.

ახოელი ინტელიგენტის, საბჭოს თავმჯდომრის და სკოლის დირექტორის, მიხეილ ბოლქვაძის გადმოცემით, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ახოს თავკაცი, – ალბათ მამასახლისი, ან მუხტარი, ყოფილა ახმედ-აღა ბოლქვაძე, რომელიც კარგად იცნობდა ოზურგეთელ თავადებს, ძმებ თუმანიშვილებს, რომელთა საკუთრებაში ითვლებოდა გომის მთა.

მაშინ ახო-გობრონეთი 75 კომლს ითვლიდა.

ამ სოფლებმა გადაწყვიტეს გომის მთის შესყიდვა და ეს საქმე ახმედ-აღას მიანდეს. 20-კაციანი დელეგაციით ეწვია მთას ახმედი, მომღერალ-მოცეკვავეები და მოჭიდავეები წაუყვანია თან.

ნაფოცხვარაზე ჭიდაობაშიც და ცეკვა-სიმღერაშიც უჯობნიათ ახოელებს თუმანიშვილების გუნდზე, პურმარილიც ახმედს გაუშლია. მოხიბლულმა თავადებმა მთა აჩუქეს ახოს.

წვანია სერს და თაგინურს შორის არის წყარო, რომელსაც დღესაც „ახმედ-აღის წყაროს" ეძახიან.

თურქული ორიენტაციის ყოფილა ახმედ-აღა და რუსების აჭარაში დამკვიდრების შემდეგ უცდია მეზობლების წაყვანა თურქეთში, კარგი ადგილებიც შეურჩევია, მაგრამ აღარ გაჰყოლიან ახოელები და თვითონ წასულა მარტო. მისი შთამომავლობა ახლაც ცხოვრობს იქ.

ახოს თავში გადიოდა უწინ გურია-ქობულეთის გზა, აქედან თურქეთისკენ მიმავალი.

ახოელებმა ცულით და თოხით აითვისეს ახალი მიწები, რომელსაც უაღრესად ქართული სახელები დაანათლეს: ნაჭვავარი, ძერვენახი, საკრეფო, ფარაული, სოგაურიქედი, ყორნალი, კვეტაური, ბაო, შამანაშვილები, ბაზალეთი, ბეღელთა, ჩიდილა, საღორეთი, ნახულევი, საჭინკაურო, საბადური, ქოთანაი, ნანეფვარი, საჯინჭლია, პლიკონი, სულოყანა და ა.შ.

ახოს მამასახლისები ყოფილან: 1890-1900 წლებში – სეფერ ბოლქვაძე, 1900-1912 წლებში – რიზმან ნაკაშიძე, 1912-1921 წლებში – ყედირ ნაკაშიძე.

„ახალი შრომის" პირველი თავმჯდომარე ხუსეინ მეჯიდის ძე ბერიძე ყოფილა 1929-1930 წლებში.

ყედირ ნაკაშიძე 1930-1931 წლებში იყო ახოს „ტოზის" თავმჯდომარე. „ტოზი" 1929 წელს შეიქმნა სახელწოდებით „ახალი შრომა" (1941 წლიდან ეწოდა „მე-3 ინტერნაციონალი", 1950 წელს მიენიჭა სტალინის სახელი, 1961 წლიდან კი, უბრალოდ, ახოს კოლმეურნეობა ეწოდა).

1931-1933 წლებში-უკვე არტელის თავმჯდომარე-ახმედ დიასამიძეა, 1934-1935 წლებში – ქაზიმ გეგიძე.

1935-1937 წლებში თავმჯდომარედ მუშაობდა ოსმან დიასამიძე, რომელიც შემდეგ ცხმორისის თამბაქოს დამზადების პუნქტს ხელმძღვანელობდა.

1937-1941 წლებში არტელის თავმჯდომარედ არჩეული იყო ახმედ გეგიძე. (1910-1997 წ.წ.), რომელსაც რელიგიური განათლება მიღებული ჰქონდა ღორჯომის სასწავლებელში, კარგად ფლობდა თურქულ და არაბულ ენებს. 1942-1945 წლებში იგი კვლავ აირჩიეს თავმჯდომარედ.

ახმედი თავმჯდომარეობის შემდეგაც ყოველთვის რჩებოდა გამგეობის აქტივისტად.

არაყი უყვარდა ახმედს და მისი დალევა ცოდვად არ მიაჩნდა.

ერთხელ, თურმე (30-იანი წლები იყო) ვენახის ყარაულობის დროს, დამით, წაადგა

თავს ქედის უშიშროების სამსახურის უფროსი დომენტი იმედაძე, მან ახმედს მანქანაში ჩაჯდომა სთხოვა. ახმედმა საცავიდან არაყიანი ბოთლი „დააძრო", დაასხა ჭიქაში და მიაწოდა „სტუმარს".

მან უარი თქვა, შენ დალიეო.

ადღეგრძელა ახმედმა მთავრობა და დალია. რაღა გზა ჰქონდა იმედაძეს, იმანაც დალია. მის შემდეგ მის დასაჭერად არავინ ამოსულა.

„ყურანსაც" კარგად ფლობდა ახმედი და ხშირად ეტყოდა მორწმუნეებს, სამოთხეში „ღვინის წყაროები" იდენსო.

1941-1942 და 1948-1949 წლებში ახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ჯემალ დიასამიძე (1907-1998 წწ.). იგი საკავშირო გამოფენის მონაწილეც ყოფილა.

1942-1944 წლებში ახოელებმა 10 წლის წინანდელი თავმჯდომარე ახმედ დიასამიძე აირჩიეს. ამ დროს კოლმეურნეობაში 108 კომლი იყო გაერთიანებული, რომელიც უვლიდა 5,5 ჰა ვენახს, 3,94 ჰა ხეხილის ბაღს, სიმინდს, თამბაქოს და ა.შ.

1945 წლის პირველ ნახევარში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა მემედ თავართქილაძე, 1945-1948 წლებში კი – სერდალ გეგიძე.

1948 წლისათვის კოლმეურნეობას საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვს: 282 848 მანეთი და ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა 8,5 მანეთი. სიმინდი ითესება 95 ჰექტარზე, კარტოფილი – 3 ჰექტარზე, თამბაქო – 16,5 ჰა-ზე, ბოსტნეული – 0,5 ჰექტარზე და ა.შ.

1949 წლისათვის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმა მოქმედებს (98 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 175 – წვრილფეხა, (მათ შორის 120 თხა) და იგეგმება მეფრინველეობის ფერმის შექმნა.

კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა ელექტროსადგურის მშენებლობა, მაგრამ შემდეგ გადაწყდა, დენი მიეწოდებინათ გობრონეთის, კოკოტაურის და აბუქეთის მოსახლეობისათვის, რის გამოც შესაბამისი კოლმეურნეობებიც ჩაერთვნენ საქმეში.

მშენებლობას აწარმოებდა საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭო გობრონეთელი მემედ ნაკაშიძის თავმჯდომარეობით, 1949 წელს მშენებლობას ახოელი ალი ბერიძე ჩაუდგა სათავეში.

1952 წელს ახო-აბუქეთა-კოკოტაური განათდა, გობრონეთს კი დენი მიეწოდა 1953 წლიდან.

უფრო ადრე, 1949 წლის აგვისტოში ახოელ მეთამბაქოე და მევენახე რგოლების ხელმძღვანელებს ახმედ ნაკაშიძეს და ამირან ბერიძეს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1948 წლის 7 აპრილს სერდალ გეგიძე გაათავისუფლა კრებამ და თავმჯდომარედ აირჩიეს ჯემალ დიასამიძე.

ამ დროს კოლმეურნეობას ქალაქ ბათუმში ჰქონდა ღვინის სარეალიზაციო წერტი, სადაც იყიდებოდა 20 ტონაზე მეტი ღვინო.

1949 წლის იანვრის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ფელულ (ვასილ) ნაკაშიძე (1920-1989 წ.წ.). ვალმოხდილი მეომარი 1951 წლის იანვრამდე მუშაობდა ამ პოსტზე. კოლმეურნეობა ახმედ ნაკაშიძის მევენახეთა რგოლს პრემიის სახით აძლევს 1993 ლიტრ ღვინოს.

1950 წელს დაიწყო ახო-გეგელიძეების შემაერთებელი საავტომობილო გზის მშენებლობა,. რომელიც 1951 წელს განაგრძო ახალმა თავმჯდომარემ ამირან თავდგირიძემ (1924-1988წ.წ.). მისი პირველი თავმჯდომარეობა 1954 წელს შეჩერდა, შემდეგ კი 1957-1961 წლებში ისევ აირჩიეს ამ საპასუხისმგებლო პოსტზე. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ 182 პროცენტით შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა და მარტო პრემიის სახით მიიღო 252 ათასი მანეთი. კოლმეურნეობის შემოსავალმა მილიონ 115 822 მანეთი შეადგინა.

ეს ცხმორისის საბჭოში მეორე მილიონერის დაფიქსირება გახლდათ.

ა. თავდგირიძემ 1954-1956 წლებში დაამთავრა საგურამოს თავმჯდომარეების მოსამზადებელი სკოლა, 1965 წელს-საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით.

ა. თავდგირიძე წლების განმავლობაში მუშაობდა ქედის სტატისტიკის რაიინსპექტორად, ქედის მიწგანის ინსტრუქტორ-ბუღალტრად, რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა ა. თავდგირიძე, გამოამჟღავნა ორგანიზატორული ნიჭი, ამიტომ 1961 წელს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს, ერთი წლის შემდეგ კი – რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1973-1987 წლებში ა. თავდგირიძე ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობდა.

ა. თავდგირიძე არაერთხელ იყო არჩეული პარტიული ორგანოების წევრად, აჭარის უმაღლესი საბჭოს მე-6 და მე-7 მოწვევის დეპუტატად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით, 7 მედლით და აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

1952 წელს ახოს კოლმეურნეობამ დაიწყო მარნის მშენებლობა, 10 მაისისთვის წინა წლის 20 ტონა ღვინო უკვე რეალიზებული იყო.

1953 წელს დაიწყო მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა საბადურში, ასევე გადა წყვიტეს მთაში საზაფხულო ფერმის აშენება.

1954-1957 წლებში ახოს კოლმეურნეობას უძღვებოდა ისკენდერ ბოლქვაძე (1924-1995წ.წ), რომელიც მანამდე მერგოლური და ბრიგადირი იყო, თავმჯდომარეობის შემდეგ კი ცხმორისის თამბაქოს მიმღები პუნქტის გამგე, 1965-1968 წლებში კვლავ ახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 1968-1969 წლებში – ახოს მაღაზიის გამგე, კოლმეურნეობების შეერთების შემდეგ-მეცხოველეობის ფერმის გამგე და მომმარაგებელი.

1955 წლის ივლისში კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სოფლის რადიოფიცირების შესახებ.

1957 წლის საანგარიშო კრებამ აჩვენა, რომ მილიონერი კოლმეურნეობის შემოსავალი შემცირდა 836 080 მანეთამდე, ჩავარდა წლიური გეგმები სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის მოყვანაში, რძის წარმოება ერთ საფურაჟე ძროხაზე შემცირდა 504 ლიტრამდე.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამო თავმჯდომარე ისევ ამირან თავდგირიძით შეიცვალა.

ამავე კრებაზე ახოს კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრში გამოიწვია სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობა.

1958 წელს კოლმეურნეობამ გადაწყვიტა სამანქანე გზა საბადურის მიმართულებით არსებული სავარგულებისკენ გაეგრძელებინა. ამ დროს კოლწევრთა რაოდენობა 300-მდეა. კვლავ კოლმეურნეობა აფინანსებს სოფლის დამტარებლებს და ელექტროსისტემის მომსახურე მონტიორს.

კოლმეურნეობის ანგარიშზეა შენობა-ნაგებობანი-348 943 მანეთის ღირებულების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ღირებულება შეადგენს 60 111 მანეთს, ინვენტარმოწყობილობათა-211 281 მანეთს, სატრანსპორტო საშუალებათა-72 082 მანეთს, დაუმთავრებელ მშენებლობათა ღირებულება უდრიდა 293 095 მანეთს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კოლმეურნეობა სტაბილურად ვითარდება.

1960 წლისათვის კოლმეურნეობის შემოსავალმა 1 209 043 მანეთი შეადგინა. ესეც არის ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება თავმჯდომარის ორგანიზატორულმა ნიჭმა აამაღლოს შრომითი მაჩვენებლები. წლის მონაგარში აღინიშნა

პური საცხობის ამოქმედება.

საანგარიშო კრება იხილავს და ძალაუნებურად იმეორებს ნ. ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულ-სუბიექტივისტურ საყოველთაო-საკავშირო შეცდომას და აკანონებს სამოქმედოდ. საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 0,25-0,50 ჰექტრით (ძველ კომლებს კიდევ ჩამოერთვათ 0,25 ჰა.), პირუტყვის ოდენობა-2 სულით (თავისი ნამატით). ეს კი იმის მაგალითია, როგორ შეიძლება დააზარალოს ქვეყანა პიროვნების უმეცრებამ.

ხრუშჩოვის რეფორმამ სოფლად გაანახევრა, ზოგან კი ორი მესამედით შეამცირა მეწველი პირუტყვის ოდენობა.

საკოლმეურნეო დოკუმენტაციაში ჩანს კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი: 1956 წლიდან კოლმეურნეობას ჰყავდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი", რომელიც 1960 წელს მიჰყიდა კოლმეურნე ისმაილ დიასამიძეს.

ესეც პირველი მსუბუქი ავტომობილი კერძო მეურნის საკუთრებაში.

1961 წელს ა. თავდგირიძე დააწინაურეს და მის ნაცვლად თავმჯდომარედ აირჩიეს უშანგი ბერიძე (1925-1993წ.წ.).

ამჯერად ის თავმჯდომარედ დარჩა 1965 წლამდე, 1973 წელს კი ხელმეორედ აირჩიეს. კოლმეურნეობის გაერთიანების შემდეგ მუშაობდა ტყის მცველად, მეცხოველეობის ფერმის გამგედ.

1965-1968 წლებში თავმჯდომარედ აირჩიეს ისკენდერ ბოლქვაძე, 1968-1970 წლებში-ისმაილ ბერიძე (აგროტექნიკი), 1970-1973 წლებში-ვლადიმერ ბერიძე, რომელიც მანამდე მუშაობდა მოანგარიშედ და ბუღალტრად. კოლმეურნეობების გაერთიანების შემდეგ იგი ჯერ ეკონომისტი და მთავარი ბუღალტერი იყო, შემდეგ ახოს აგროუბნის ხელმძღვანელი.

გეგელიძეები

გეგელიძეები: სოფლის სახელწოდება მომდინარეობს სახელიდან გეგელა, რომლისგანაც წარმოიშვა გვარები: გეგელიძე და გეგელაშვილი, გეგელიძე იქცა კეკელიძედ.

გეგელიძეებში დღეს 120 კომლია. აქ ბერიძეები, ბალაძეები, დავითაძეები, დიასამიძეები, დუმბაძეები, კეკელიძეები, ნაკაშიძეები, ნიჟარაძეები, სირაბიძეები, სანიკიძეები და ხალვაშები ცხოვრობენ.

სოფლის ბოლოს არის ნაციხარი, სადაც, ალბათ, საგუშაგო-თავდაცვითი ნაგებობა იდგა.

უაღრესად საინტერესოა და აქაურთა გონიერებაზე მიუთითებს ადგილის სახელები: თუთაგვერდი, შამბაური, გორიძირა, ნაბეღლავი, საქერქია, ჭანჭახი, ვანიხევი, ნაბაკევი, ნაასლევი, გვიმბირი, ნამინდრევი, ნასაყდრევი, ქოთანაი, გუთაური, წყაროთვალი, მელიკალო, საკვირიკეთი, აკვიეთი, დუმისა, ჩანჩქერიხევი და სხვა.

სოფლის ზემოთ არის წყარო, რომელიც ლეგენდის მიხედვით, ხარმა აღმოაჩინა. ეს წყარო იმოდენაა, სოფელი სარწყავად იყენებს, ადრე სოფლის ელექტროსადგურსაც ამუშავებდა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, თვალწინ და მეხსიერებაში კინოკადრებივით ენაცვლება ერთმანეთს სასურველი სურათები, რომლებიც გეგელიძეებელთა ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას და რაც მთავარია, სიკეთის და სიხარულის წარმომჩენ, სიყვარულით გაჯერებულ ეპიზოდებს წარმოადგენს.

სოფლის სახნავ-სათესი მიწები ძირითადად ალიზნარია და ძნელად დასამუშავებელი, მაგრამ კარგ მოსავალს იძლევა.

„ტოზი" გეგელიძეებში 1930 წელს შეიქმნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფლის მამასახლისი მერჯან ბალაძე ყოფილა.

1930-1932 წლებში „ტოზის" თავმჯდომარედ მევლუდ სირაბიძე აირჩიეს.

1934 წელს ის ბათუმში გადასულა საცხოვრებლად და ე.წ. „გლეხთა სახლის" დირექტორად უმუშავია. მოგვიანებით ისევ სოფელს დაბრუნებია და კოლმეურნეობაში ბრიგადირად და საწყობის გამგედ მუშაობდა.

გეგელიძეების კოლმეურნეობა „წითელი დროშის" სახელს ატარებდა. 1932 წელს მას სათავეში ჩადგომია ხუსეინ ნიჟარაძე (1905-1971 წწ.). მის მიერაა შემოღებული მიმდინარე მუშაობის ყოველდღიური აღრიცხვა, ყოველდღიურად ტარდებოდა ღონისძიებები სამუშაოს გამცდენთა მიმართაც.

გეგელიძეებში სოცშეჯიბრებაც ხუსეინ ნიჟარაძეს დაუმკვიდრებია. მოქმედებდა წითელი და შავი დაფა. პირველში მოწინავეთა შესახებ წერდნენ, მეორეში–ჩამორჩენილებზე. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გამოდიოდა კედლის გაზეთი.

კოლმეურნეობაში წევრად მიღება ხდებოდა თითქმის ყოველ კრებაზე, თითო-თითოდ ან ჯგუფურად. მაგალითად, 1933 წლის 18 მარტის კრებამ წევრად მიიღო ახმედ ბერიძე, 28 მარტის კრებამ კი–რესულ სირაბიძე და ალიოსმან სანიკიძე, 18 აპრილის კრებამ–ხასან ბერიძე და ალისულთან ბერიძე;

1933 წლის 30 სექტემბერს თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფ ხალვაში.

დააკვირდი, მკითხველო: ახალმა თავმჯდომარემ აქტით ჩაიბარა ინვენტარი: სათბურის ჩარჩო–40, სარწყავი–2, ვედრო–2, გუთანი–1, ჩარჩოს მინა–5; 1936 წლისათვის კი კოლმეურნეობას უკვე ჰყავს ავტომანქანა, რომლის მძღოლია ზესოფლელი ხუსეინ ბერიძე.

საარქივო მასალების საფუძველზე საშუალება გვაქვს ჩამოვთვალოთ პირველი კოლმეურნე წევრები, ამიტომ სიამოვნებით გთავაზობთ ამ მონაცემებს: ფელულ, სულეიმან და მევლუდ კეკელიძეები, ხულუს სირაბიძე, ომერ სირაბიძე, ხულუს სანიკიძე, ასლან სანიკიძე, ისმაილ სანიკიძე, ყედირ ნიჟარაძე, ხასან, ახმედ ბერიძეები, ალი და ალიოსმან სანიკიძეები, მევლუდ სირაბიძე, რესულ სირაბიძე, ომერ სირაბიძე, ხულუს სანიკიძე, ისმაილ სირაბიძე, მუსტაფ ხალვაში, მემედ და ბილალ ხალვაშები.

1934 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 8800 მანეთია.

1935 წელს კოლწევრებს შეემატნენ: რიზალ ბერიძე, ისკენდერ სანიკიძე, იდრის ბერიძე, ხუსეინ კეკელიძე, ალისულთან ბერიძე.

1936 წლიდან დაიწყო თამბაქოს რგვა. მოსახლეობაზე ინსტრუქციის გასაწევად სოფელში ხშირად შემოდის რაიონის აგრონომი ი. დიასამიძე.

საინტერესოა აჭარის ცაკის წევრთა შეხვედრა თავმჯდომარე მუსტაფ ხალვაშთან 1936 წლის 8 მარტს. აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. გეურქოვი და აჭარის ცაკის თავმჯდომარე ზ. ლორთქიფანიძე ესაუბრებიან თავმჯდომარე მ. ხალვაშს.

ა. გეურქოვი: სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე გადადით?

მ. ხალვაში: გადავედით, ახლა ჩვენი კოლმეურნეობა 32 კომლს აერთიანებს 80 წევრით.

ზ. ლორთქიფანიძე: მე გამიგონია, რომ გეგელიძეების თამბაქო სანიმუშოა, საჭიროა ასწიოთ მისი მოსავლიანობა, გააუმჯობესოთ ხარისხი.

მ. ხალვაში: შევეცდებით, მეტი მოვიყვანოთ, ჩვენი სახელია.

ა. გეურქოვი: მართალი ხართ, მაგრამ, რასაც ისახავთ, უნდა თქვათ და აიღოთ ახალი ვალდებულება.

მ. ხალვაში: პირობას ვიძლევით, რომ ერთი ჰექტარიდან ქვეყანას მივცემთ 11 ცენტნერ თამბაქოს (ტაში).

მ. რამიშვილი: ვის იწვევთ შეჯიბრებაში?

მ. ხალვაში: ზესოფლელებს, პირადად ამხანაგ ხასან ბერიძეს.

ა. გეურქოვი: რას იტყვით, ხასან?

ხ. ბერიძე: გამოწვევას ვღებულობთ.

ა. გეურქოვი: ზ. ლორთქიფანიძე იქნება თქვენი არბიტრი.

მ. ხალვაში: გაუმარჯოს დიდ სტალინს! გაუმარჯოს ამხანაგ ლავრენტი ბერიას! გაუმარჯოს თამბაქოს სტახანოველებს! (ტაში).

რაოდენ ფორმალურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ასეთი შეხვედრა და პათეტიკური ტონი, მას ყოველთვის ახლდა მოსახლეობის დარაზმულობის გაუმჯობესება.

იმავე წელს მ. ხალვაში მონაწილეობს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მან საჩუქრად მიიღო პატეფონი. გამოფენაზე გეგელიძეების თამბაქომ ხარისხით, ფერით და არომატით აღიარება მოიპოვა. ამაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. კალინინმა.

1936 წლიდან კოლმეურნეობას აქვს თავისი ხეხილის სანერგე, აგებს ფერმას და იწყებს ყურძნის გაშენებას.

გეგელიძეების კოლმეურნეობაში თემის სხვა კოლმეურნეობებთან შედარებით მკაცრია დისციპლინა. მარტო ერთი დღის შედეგებით ერთ კოლმეურნეს სამუშაოდ გამოუსვლელობის გამო გამოეცხადა საყვედური, ორი დაჯარიმდა თითო შრომადღით, ორს გამოეცხადა გაკიცხვა.

1937 წელს მძღოლი შეიცვალა ახოელი ასლან თავდგირიძით. საკუთარი მძღოლი სოფელს ჯერ კიდევ არ ჰყავს.

1937 წლის 4 მარტიდან გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მევლუდ კეკელიძე. კოლმეურნეობის გამგეობა მარტო საწარმოო საქმიანობით არ არის დაკავებული. 14 მარტის კრებაზე მსჯელობის საგნად იქცა ქალთა ლიკსკოლისა და მოზრდილთა სკოლის მუშაობის საკითხი.

1937 წლის 22 ივნისს მ. კეკელიძე გათავისუფლდა თანამდებობიდან დანდალოს თემის თავმჯდომარედ გადაყვანის გამო. 1938 წლის 7 თებერვლიდან თავმჯდომარედ აირჩიეს ალი დუმბაძე (1894-1977 წ.წ.), რომელმაც ამ თანამდებობაზე იმუშავა 1938 წლის 31 დეკემბრამდე.

ა. დუმბაძე საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა და ამაში ხელს უწყობდა სამართლიანობა.

ის იყო თვითნასწავლი ინჟინერ-მშენებელი. მისი ხელმძღვანელობით გაკეთდა სოფლის სამანქანე გზები, გვანცადან გამოიყვანეს სარწყავი არხი.

ამ წელს კოლმეურნეობა საკმაოდ მომძლავრებულია. სიმინდი გააშენა 21 ჰექტარზე, თამბაქო–9, ბოსტნეული–0,9, ჭარხალი–1,25, ვენახი–1 ჰექტარზე. ფერმაში ჰყავდათ 217 სული პირუტყვი, მათ შორის 149 თხა, 39 ცხვარი. მათთვის საკვების შესავსებად კოლმეურნეობა ამზადებდა 600 კონა ნეკერს და 600 კონა წყავს.

გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1939 წლიდან 1941 წლის მარტამდე მუშაობდა სულეიმან ნიჟარაძე, რომელიც გაიწვიეს ფრონტზე, საიდანაც 1943 წელს დაბრუნდა.

1941 წლის კრებამ თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა სულეიმან ნიჟარაძე და აირჩია რამიზ სირაბიძე. იგი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა 1943 წლამდე.

1942 წლიდან კოლმეურნეობას ჰყავს მოწვეული მჭედელი ივანე გრიგორიადი.

1943-1950 წლებში კოლმეურნეობას მევლუდ კეკელიძე უდგას სათავეში.

შედარებისათვის საინტერესოა 1942 წლის მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ ომია დაწყებული, სიმინდი გაშენდა 30 ჰექტარზე, თამბაქო-9,5 ჰა-ზე, დაირგო 20 ათასი ძირი ვაზის ნერგი.

ზრდა მნიშვნელოვანია!

ოჯახების შრომითი საქმიანობის გააქტიურების ამსახველია მონაცემები: 1946

წელს ხ. სირაბიძის ოჯახმა გამოიმუშავა 1000 შრომადღე, რ. კეკელიძის ოჯახმა–790, რ. ბერიძისამ–1300, ქ. ბერიძისამ-900 და ა.შ.

შემოსავალი?!

ხ. სირაბიძის ოჯახმა 1000 შრომადღეზე მიიღო 1800 კგ. სიმინდი, 70 კგ. ლობიო და 15600 მანეთი, რ. ბერიძის ოჯახმა 1300 შრომადღეზე 2100 კგ. სიმინდი, 85 კგ. ლობიო და 20300 მანეთი.

1948 წელს დაიწყო გეგელიძეების ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 1949 წლის ზაფხულში. მოსახლეობას პირველი ელექტროენერგია მიეწოდა 15 ივლისს.

1950 წლიდან 1954 წლამდე კოლმეურნეობას სერგო ბილალის ძე ხალვაში ხელძღვანელობს.

კომუნისტური ხელისუფლება მკაცრად კრძალავდა რელიგიური რიტუალების შესრულებას. 1951 წელს სოფელ გეგელიძეებში წინდაცვეთა ჩაუტარეს 12 ბავშვს, რაც რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. გეგელიძეების პარტიულმა ორგანიზაციამ მკაცრი პარტიული სასჯელი გამოუტანა კომუნისტებს: მ. ხ. სანიკიძეს, ო. შ. სანიკიძეს, რ. ო. სირაბიძეს და მ. მ. კეკელიძეს. პარტორგი ახმედ ნაკაშიძე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო მერჯან სანიკიძე გარიცხეს სკკპ რიგებიდან და გაათავისუფლეს ბათუმის ღვინის საკუჭნაოდან. მსგავსი ფაქტები აჭარაში მრავლად ხდებოდა.

1954 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ ცხმორისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს მუხამედ სირაბიძეს, რომელიც 1957 წლის ახალი სასწავლო წლიდან ისევ მასწავლებლობას განაგრძობს, 1967 წლიდან კი გეგელიძეების 8-წლიან სკოლაში გადაჰყავთ დირექტორის მოადგილედ და ისტორიის მასწავლებლად. დაჯილდოებული იყო მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

გახსოვთ, რით დაიწყო გეგელიძეების კოლმეურნეობამ? ერთხელ კიდევ გადახედეთ და შეადარეთ 1956 წელი:

კოლმეურნეობას ჰყავს პირუტყვი-100-ზე მეტი, ფუტკარი – 44 ოჯახი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები–136946 მანეთის, ინვენტარ-მოწყობილობა–149962 მანეთის, სატრანსპორტო საშუალებანი–32497 მანეთის და ა.შ. წლის მოსავალმა შეადგინა: მარცვლეულისამ–189,6 ც., თამბაქოსამ–116,7 ც., კარტოფილისამ–224,6 ც., ყურძნისამ–694 ც., შრომადღეზე განაწილდა 320.450 მანეთი და ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა–13 მანეთი.

1957 წელს გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დემურალ ბალაძე, რომელიც სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნობიდან გადმოიყვანეს. იგი თავმჯომარედ 1961 წლამდე მუშაობდა, შემდეგ კი მუშაობა განაგრძო ქედის რაიკოოპერატივის სისტემაში მომმარაგებლად.

დ. ბალაძე გარდაიცვალა 1990 წელს.

1961 წელს თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ხალვაში, 1963 წელს კი მისი სასწავლებლად წასვლის გამო, თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ამირან ბერიძეს, თუმცა, ის ამ თანამდებობაზე დარჩა 1969 წლამდე.

1963 წელი სოფელში აღინიშნა ახალი ელექტროხაზების მშენებლობით.

1969 წელს ა. ბერიძე შეცვალა აბდულ კეკელიძემ (1927-1991 წ.წ.), რომელიც 1970 წლის 14 ივლისს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი განცხადებით და აირჩიეს შალვა ბალაძე, რომელსაც მიღებული ჰქონდა პედაგოგიური განათლება, 1950 წელს მუშაობდა ახოს სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, 1951-1963 წლებში კი გეგელიძეების დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1967 წელს დაამთავრა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით.

1972 წელს შ. ბალაძე თავმჯდომარის პოსტზე შეცვალა შევქეთ (შოთა) კეკელიძემ. ის იყო საბუღალტრო განათლებით და მუშაობდა გეგელიძეების კოლმეურნეობის ბუღალტრად.

1974 წლის იანვრიდან სოფელმა ისევ სერგო ხალვაში აირჩია წინამძღოლად.

მარტიდან გეგელიძეებიც გაერთიანებული კოლმეურნეობის ნაწილი გახდა.

ჯოჯოტაური

სოფელი კოკოტაური 149 კომლია 650 მცხოვრებით. სოფელში ცხოვრობენ: აბაშიძეები, ანანიძეები, ბერიძეები, ბროლაძეები, გოლომანიძეები, ზოიძეები, თავართქილაძეები, კონცელიძეები, მახარაძეები, მამულაძეები, მამუჭაძეები, მგელაძეები, ძნელაძეები, შანიძეები, ხალვაშები.

სოფელს ემსახურება 80 წლის წინ გაკეთებული არხი, რომელიც გამოყვანილია სოფელ ცხმორისის ქვამარწუხას ღელიდან. სასმელი წყლები მოსახლეობას მიეწოდება ცხმორისის ლოდნარას და სურნალის ტერიტორიიდან.

ალი შანიძის ცნობით, აქ თითქოს კორკოტაძეები ცხოვრობდნენ, მეთუნუქეები. 3-4 საუკუნის წინათ, შავ ჭირს გაქცევიან ისინი გურიაში, მათი გვარი კი სოფელს შემორჩენია.

ვინ იცის, იქნებ სიმართლეც ესაა.

ოდესღაც სოფელი ისე დამეწყრილა, რომ აჭარისწყალის მარცხენა სანაპიროს მიწები მარჯვნივ გადასულა. გეგელიძეების წილობანის და გორას მიწების დიდი ნაწილი ამ მეწყრის შედეგიაო, უხუცესთა გადმოცემით ახოს შამბაურის, გეგელიძეების გორას, ჩახეთქილასა და წილობნის მიწები კოკოტაურიდანაა გასული, რაც მიწების შემადგენლობის შედარებითაც მტკიცდება.

ლამაზი სახელებით იწონებენ თავს კოკოტაურის ფართობები: ვარანევლა, სათიხია, ნაქერვალი, ძანაძეები, ხორხა, კიკაშვილები, ძარღვალაღელე, აბანოღელე, ზეყანა, ხერხულა, გონთისერი, ორნალია, ნაჭვავარი, საწუმპია, ექსზიარი, დაბლა გონთი, საქორია, ნიგვზნარი, თხილნარი, ქვაკაცა, გოლაფერდი.

ვინ იცის, როდიდან დაანათლეს წინაპრებმა ასეთი სახელები?

კოკოტაური ძველთაგანვე მდიდარი სოფელი ყოფილა, მევენახეობით განთქმული. 1937 წელს, რამიზ მამულაძის სახლთან ახლოს ორტონიანი საწნახელი აღმოჩნდა, იქიდან თიხის მილებით 15 60 ასფუთიან ჭურში ღვინო მიედინებოდა. რამიზ მამულაძის სახლთან ახლაც ინახება ჭურის ნარჩენები.

საბჭოთა ხელისუფლებამდელი დროიდან ერთი მამასახლისის ვინაობაა ცნობილი. მემედ ყეჰრიმანის ძე შანიძე (1858-1945წწ.) ყოფილა იგი.

კოკოტაურში პირველად შრომითი ამხანაგობა, ანუ „ტოზი" შეიქმნა 1930 წელს, რომლის თავმჯდომარედ 1934 წლამდე მუშაობდა შევყი ანანიძე (1901-1966 წწ.), რომელიც შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩელტაში.

პირველ კოლმეურნეობას „აწჰესი" ეწოდა, 1949 წლიდან კი „გზა კომუნიზმისაკენ" დაარქვეს, 1957 წლიდან, უბრალოდ, კოკოტაურის კოლმეურნეობა.

1932-1934 წლებში ძანაძეების უბანში ცალკე კოლმეურნეობა არსებობდა, რომლის თავმჯდომარეც იყო მამუდ მახარაძე. იგი ძანაძეების და კოკოტაურის კოლმეურნეობების გაერთიანების შემდეგ მუშაობდა ბუღალტრად. 1939 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ სახალვაშოში.

1941 წელს მ. მახარაძე ჯარში იყო გაწვეული და ომშიც ჩაება. 1942 წელს დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფრონტს. 1942 წელს ჩავარდა

ტყვედ.

მიუხედავად იმისა, რომ ტყვეობიდან გამოიქცა, მაინც დააპატიმრეს და სასჯელს იხდიდა ტიუმენის ოლქში. 1947 წელს შვებულება მისცეს, მაგრამ უკან აღარ დაბრუნდა და ისევ დააპატიმრეს. მან შეძლო წერილი გაეგზავნა ი. ბ. სტალინისათვის, რომელსაც აუხსნა თავისი უდანაშაულობა.

ამის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

კოკოტაურის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1934-1936 წლებში მუშაობდა ხასია აბაშიძე (1907-1974 წ.წ.).

1934 წელს კოკოტაურის კოლმეურნეობაში თამბაქო გაშენებული იყო 7,1 ჰექტარზე, ვენახი გაშენდა 2,55 ჰა-ზე, კოლმეურნეობის ქონებას შეადგენდა: 1 სასწორი, 4 გუთანი, 30 თოხი, 1 სარწყავი, 7 ვედრო, 10 ბარი, 4 ფანარი, 1 მინის საჭრელი.

ამ წელს მოწეულმა მოსავალმა თამბაქოში 6,4 ც. შეადგინა. კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 45 კომლი, შემოსავალი უდრიდა 30 000 მანეთს.

ორჯერ, 1936-1938 და 1939-1942 წლებში მუშაობდა თავმჯდომარედ ეუბ ანანიძე, რომელსაც 1948 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ეუბი 1950-1954 წლებში მუშაობდა ცხმორისი-კოკოტაურის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ. გარდაიცვალა 1971 წელს.

1938-1939 წლებში კოკოტაურის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა ახმედ აბაშიძე (1914-1990 წწ.), რომელიც მანამდე მუშაობდა ჯერ მეცხოველეობის ფერმის, ხოლო შემდეგ საწყობის გამგედ.

1942-1947 წლებში თავმჯდომარის პოსტი უკავია ემინ ზოიძეს. მისი მუშაობის დროს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე იყო რესპუბლიკაში.

ე. ზოიძის მეთაურობით სოფელში გაიყვანეს სამანქანე გზები, გაშენდა ვენახის და ხეხილის ახალი ფართობები, რისთვისაც მან არაერთხელ მიიღო ი. ბ. სტალინის მადლობა, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

ე. ზოიძე გარდაიცვალა 1989 წელს.

ე. ზოიძის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა 1946 წელს გახდა მილიონერი, მისმა შემოსავალმა 1 060 279 მანეთი შეადგინა, თითოეულ შრომადღეზე განაწილდა 30 მანეთი, 2 კგ. სიმინდი, კარტოფილი და სხვა პროდუქტები. ამ წელს კოლმეურნე ჯ. მახარაძის ოჯახის შემოსავალმა შეადგინა 33290, ოსმან შანიძისამ- 44 460 მანეთი.

1947-1949 წლებში თავმჯდომარეა ალი შანიძე, მანამდე კოლმეურნეობის ბუღალტერი. 1951-1974 წლებში იგი კვლავ ამ კოლმეურნეობის ბუღალტერია, 1974-1977 წლებში კი–ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის ბუღალტერი. მას მიღებული ჰქონდა აჭარის არ დამსახურებული ბუღალტრის წოდება.

ა.შანიძე გარდაიცვალა 2007 წელს.

1949 წლიდან თავმჯდომარედ მუშაობდა მემედ თავართქილაძე. ის 1950 წლის 8 თებერვალს გაათავისუფლეს და აირჩიეს ისრაფილ ხალვაში (1923-1976 წ.წ.).

ი. ხალვაშმა რვაწლიანი განათლება მიიღო ცენტრ ცხმორისის სკოლაში, საშუალო კი-მახუნცეთის სკოლაში. ცხმორის-კოკოტაურის კოლმეურნეობების შეერთების შემდეგ მოლარე-აღმრიცხველი იყო, გაყოფის შემდეგ, 1955 წლიდან კი ისევ კოკოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა.

ი. ხალვაში 1974 წლის მარტიდან ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. გარდაიცვალა 1976 წელს.

სხვადასხვა წლებში ი. ხალვაში იყო ცხმორისის სასოფლო საბჭოს, რაიონული საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ქედის რაიკომის და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი. 1971 წელს მიენიჭა აჭარის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება, დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ი. ხალვაშის ხელმძღვანელობით აიგო სოფელ კოკოტაურის კლუბ-კანტორა, მინერალური წყლის „კოკოტაურის" ჩამომსხმელი საამქრო, სოფლის გზა კოკოტაურიდან ძანაძეებამდე, დაიწყო გაერთიანებული კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის და ახოს საშუალო სკოლის მშენებლობა.

„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი". სწორედ პოეტის ეს სიტყვები ასახავს კარგად ი. ხალვაშის ცხოვრებას.

1956 წელს კოკოტაურის კოლმეურნეობამ ი. ბ. სტალინის მონუმენტი გადასცა სასოფლო საბჭოს ცენტრში დასადგმელად, მაგრამ იმ პერიოდში ნ. ხრუშჩოვმა ომი გამოუცხადა გარდაცვლილ სტალინს და დაიწყო მისი ძეგლებისა და მონუმენტების ნგრევა. ზემოთ აღნიშნული მონუმენტიც აღარ დადგმულა.

ი. ხალვაშის ხელმძღვანელობით გარკვეული დრო დასჭირდა კოლმეურნეობის ძალების სრულ ამოქმედებას და 1959 წელს კვლავ გახდა მილიონერი – საერთო შემოსავალმა 1 017 687 მანეთს გადააჭარბა. თუ წინა წელს შრომადღეზე 15 მანეთი განაწილდა, ახლა 30 მანეთი მიიღო კოლმეურნემ.

1969 წელს კოლმეურნეობა იღებს სკოლის მშენებლობის შესახებ დადგენილებას. გამოჰყავს სარწყავი არხი ფოსოტანის ღელიდან.

1974 წელს კოკოტაურის კოლმეურნეობა გაერთიანდა ცხმორისის კოლმეურნეობაში.

გობრონეთი

გობრონეთი: სოფელს ეს სახელწოდება ოსმალთა მომძლავრებისას გობრონის პატივსაცემად უნდა შერქმეოდა. თუმცა გობრონიძეები აქ მანამდე სახლობდნენ. აქ აღმოჩენილ ქრისტიანობის დროინდელ ქვევრებს, რომლებიც სავარაუდოდ IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

გობრონეთის მოსახლეობა 323 სულია, 65 კომლში. სოფელი პირობითად ზედა, შუა და ქვედა გობრონეთად იყოფა. უძველესი ზედა გობრონეთია, ცანაურის, იგივე დავითაძეების უბანი 120 წელს ითვლის, ქვედა, ანუ ბარის გობრონეთი ახალია–80 წლის. მისი პირველი მცხოვრებლები ბერიძეები (ქოროღლები) და ბოლქვაძეები (სოლოღლები) იყვნენ. აქ მოსახლეობა მალარიის შიშით არ სახლდებოდა და ახლანდელი დასახლება 1930 წლის შემდეგ გაჩნდა.

ბარის გობრონეთში ახლა დავითაძეები, ნაკაშიძეები, ბერიძეები და ბოლქვაძეები ცხოვრობენ.

სოფელს აქვს სარწყავი არხები: ბარისუბანს – ახოღელიდან, შუა სოფელს – ცანაურის და ზედა გობრონეთს – ლატეურის (წონიარისის ლატეურიდან) ღელიდან, გამოყვანილია 1936 წელს. გობრონეთს ლატეურში აქვს საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრები, საზაფხულოდ კი-გომისთას მიაშურებენ. სოფლის დავაკებას საკრებოს ეძახიან (ალბათ, აქ იკრიბებოდნენ სოფლები და კრებებს მართავდნენ), სადაც სოფელს 55 ტონაზე მეტი ყურძენი მოჰყავდა (1940-1990 წ.წ).

საინტერესოა ამ სოფლის ტოპონიმიკაც: ლატეური, ლეღეთკალო, საწუმპია, ჩიდილა, ლეღვიძირა, ნამინდრევი, ვაკე, ბოგილი, ნასაყდრი, ნიქაბერული, ქიბარა ბაღჩები, საძიგურაღელე, ცანაური, საპარასკევო, საჭინჭლია, ჯაგნარი; ზოგიერთი ამ სახელთაგანი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

გობრონეთის კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1930 წელს და მას სტალინის სახელი მიენიჭა. 1950 წლის იანვარში ახოს და გობრონეთის კოლმეურნეობები გაერთიანდა და ახლა სტალინის სახელი ახოს გაერთიანებულ კოლმეურნეობას ეწოდა. 1956 წელს ისევ გაიყო 6-წლიანი გაერთიანება. სტალინის სახელი ახოს დარჩა და გობრონეთს სტალინის გამანადგურებელი მე-20 ყრილობის სახელი მიენიჭა.

(არის ამაში რაღაც ირონია!).

1934-1936 წლებში გობრონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა მემედ ყედირის ძე ბოლქვაძე (1905-1999), სასულიერო განათლების პირი. მის სახელს უკავშირდება ლატეურის არხის გაკეთება.

1936-1937 წლებში, დეკემბრიდან-დეკემბრამდე თავმჯდომარის სახელს ატარებდა რესულ ბოლქვაძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა მოვალეობას. შემდეგ თავმჯდომარე იყო შახველედ ბოლქვაძე.

1937-1939 წლებში კოლმეურნეობას ოსმან ნაკაშიძე (1890-1982) უძღვებოდა. 14 შვილი ჰყოლია დალოცვილს და აქტიური შრომითაც გამოირჩეოდა. თავმჯდომარედ მუშაობის დროს ის პატეფონით დააჯილდოვეს.

საარქივო ფონდებში ინახება 1938 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით, კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 29 კომლი 75 წევრით. საზოგადოებრივ სარგებლობაშია 9,85 ჰა სავარგული, საიდანაც შემოსავალმა შეადგინა 19689 მანეთი და ერთ შრომადღეზე გაიცა 3 მანეთი.

1939-1940 წლებში თავმჯდომარედ მუშაობდა ფელულ ბოლქვაძე (1907-1974);

1940-1950 წლებში-მემედ ბოლქვაძე (1906-1981). ეს ის ცნობილი მემედ ბოლქვაძეა, რომელიც 1950-1981 წლებში ცენტრი ცხმორისის მაღაზის გამყიდველი, შემდეგ უნივერმაღის დირექტორი და ბოლოს სასურსათო მაღაზიის გამგე იყო.

მემედის სიკეთეზე და პასუხისმგებლობაზე მიუთითებს ერთი მაგალითი: მაღაზიიდან საქონელი იკარგებოდა და გადაწყვიტა ეთვალთვალა. მაღაზის უკანა მხრიდან რომ ხმაური მოესმა, გავიდა და მაღალ გადმოსასვლელში დააკავა ქურდი.-მხარზე დამადგი ფეხი და ჩამოდი, არ ჩამოვარდეო.-უთხრა მემედმა.

ყარაული შერჩა ხელთ. ვერ გაიმეტა მემედმა იგი ციხისთვის.

მ. ბოლქვაძე ვაჭრობაში აქტიური მუშაობისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდება.

1956-1961 წლებში გობრონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ომერ დავითაძე (1917-1962). სხვადასხვა დროს იყო მაღაზის გამგე, მოანგარიშე, 1961-1962 წლებში ხელმძღვანელობდა ცენტრი ცხმორისის საავადმყოფოს მშენებლობას.

ო. დავითაძე ტრაგიკულად დაიღუპა.

ო. დავითაძემ გობრონეთში ფაქტობრივ ახალი კოლმეურნეობა შექმნა და გაზაფხულზე გაშენდა სიმინდი 20, ლობიო-5, კარტოფილი-1, თამბაქო-5 ჰექტარზე და ა.შ. კოლმეურნეობას ჰყავს მანქანა „ზის-150", მაგრამ არ ჰყავს მძღოლი, რის გამოც სხვა სოფლიდან დაქირავება უხდება.

ო. დავითაძე ხასიათდება მკაცრი მომთხოვნელობით, ამიტომ უხდება თითქმის მთელი აპარატის შეცვლა.

მისი ინიციატივით გაგრძელდა სოფლის სამანქანე გზის მშენებლობა. სამუშაოები სრულდებოდა ხელით, თითოეული კომლის ნორმად ითვლებოდა 30 მეტრი. ამ საქმეს ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, მაგრამ პრინციპულმა ხელმძღვანელმა თავისი გაიტანა.

ინიციატივიანი თავმჯდომარის მუშაობით დაინტერესდა და სოფელს საანგარიშო კრებაზე ეწვია პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. მამულაძე, რომელიც კმაყოფილი დარჩა შედეგებით.

„ერთხელ, რაიკომის მეორე მდივნად მუშაობის პერიოდში, როცა პირველი მდივანი ამირან ანანიძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვლადიმერ ნაკაშიძე თბილისში თათბირზე იყვნენ წასული, დავით მამულაძემ დარეკა და მკითხა, თუ შეიძლება, რაიონში ამოვიდეო. ვუთხარი, ჩემი ნებართვა არ გჭირდებათ, როცა მოგესურვებათ, მაშინ შეგიძლიათ ამობრძანდეთ-მეთქი. სამზადისი წინასწარ დავიჭირე. ბატონმა დავ-

ითმა რამდენიმე კოლმეურნეობის დათვალიერების შემდეგ ბაბულისთან სტუმრობის სურვილი გამოთქვა. დანდალოს კოლმეურნეობაში მიმავლებმა გზად გობრონეთში გავიარეთ. საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობდა. ბაბული ვენახში მუშაობდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა, დავით მამულაძე ჩემს ოჯახში მოიყვანე სტუმრადო. მივუგე, მისი სურვილიც ასეთია, დანდალოს კოლმეურნეობას ვნახავთ და ჩამოვალთ-მეთქი.

მთელი დღე კოლმეურნეობაში სიარულით დაღლილები და მოშიებულები ბაბულის ოჯახში მივედით. მალე სუფრაც გაიშალა, მაგრამ მხოლოდ ლობიო, ნიგოზში შეკმაზული ფხლის მჟავე, ახალი ხახვი და ცხელი მჭადი მოიტანეს. მე სიბრაზეს ვერ ვფარავ, არც ხორცეული, არც ქათამი და არც სტუმრის შესაფერისი სხვა კერძები ჩანს. ბაბულიმ გაბრაზება შემამჩნია და დავით მამულაძეს უხსნის: ბატონო დავით, მე და მეუღლემ ბევრი ვიფიქრეთ, ჩვენს დიდებულ სტუმრებს რა ესიამოვნებათო, ხორცი, ქათამი და სხვა კერძები, ალბათ, მოწყენილი აქვთ და ნიგოზიანი ლობიოს გაკეთება გადავწყვიტეთო. როცა ლობიოსა და მჟავის ჭამით ვიჯერეთ გული, შემოიტანეს ქათამი, ქათმის საცივი, მწვადი, თიხის კეცზე შემწვარ კალმახსაც ოხშივარი ასდიოდა. ჩვენ უკვე არაფრის ჭამა შეგვეძლო. დავით მამულაძემ უთხრა: ბაბული, ეს რა გვიქენიო. განმეორებით დავლიეთ ამ დიდებული კაცისა და მისი სტუმართმოყვარე ოჯახის სადღეგრძელო. ასეთი ხუმრობაც შეეძლო ამ ზნეკეთილ კაცს." (ნ. დუმბაძე, ს. კაკაურიძე. წიგნი „სახალხო მოღვაწე") –ასე იგონებდა არჩილ ტაკიძე გობრონეთში აბდულ ბოლქვაძესთან სტუმრობას. ბაბული გზასთან ახლოს ცხოვრობდა. მას ხშირად სტუმრობდნენ რაიონისა და აჭარის პირველი პირები. ერთხელ დავით მამულაძესთან ერთად საქართველოს ცკს პირველი მდივანი, ვასილ მჟავანაძეც სტუმრებია.

კოლმეურნეობამ აწარმოა: სიმინდი–116, თამბაქო–136, კარტოფილი–17, ყურძენი–287 ცენტნერი. შემოსავალმა შეადგინა 445 080 მანეთი, ერთი შრომადღის ღირებულებამ 18 მანეთს მიაღწია.

1958 წელს სამანქანე გზის მშენებლობა გაგრძელდა, გაუმჯობესდა საწარმოო მაჩვენებლები და შემოსავალი 669 935 მანეთამდე გაიზარდა, შრომადღის ღირებულება – 25 მანეთამდე. ო. დავითაძის დამსახურებაა ზედა გობრონეთში სამანქანე გზის გაყვანა.

1962 წლიდან თავმჯდომარე გახდა მემედ ნაკაშიძე, რომელიც 1965 წელს შეცვალა ხასან დავითაძემ (1927-1999), ხოლო 1970-1971 წლებში გობრონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ხასან ბერიძე, რომელიც შემდეგ ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის მოანგარიშედ მუშაობდა.

1971-1972 წლებში თავმჯდომარეობდა დურსუნ დავითაძე (1939-2010), რომელიც შემდეგ მუშაობდა ცხმორისის ფოსტის გამგედ.

1972 წელს კოლმეურნეობის მონაგარმა შეადგინა: თამბაქო–13,9, ყურძენი–19,4 ცენტნერი. საერთო შემოსავალმა – 56 151 მანეთი. 1973 წელს არ შესრულებულა თითქმის არც ერთი სახის საწარმოო გეგმა, რის გამოც კოლმეურნეობას ახალი თავმჯდომარე ჩაუყენეს სათავეში – ვანო ბოლქვაძე, რომელმაც წინა წელს პირადი განცხადებით ითხოვა ბუღალტრობიდან განთავისუფლება, მაგრამ არ დათანხმდნენ.

გასაგები უნდა იყოს ვ. ბოლქვაძის განცხადების დაწერის მიზეზი.

დიდი გულისა და კეთილი სულის კაცი იყო ვ. ბოლქვაძე. მან შეძლო მაჩვენებლების გაუმჯობესება, მაგრამ მომდევნო წლიდან გობრონეთის გაერთიანებული კოლმეურნეობის ნაწილად იქცა.

ვ. ბოლქვაძემ გაერთიანებულ კოლმეურნეობაში გააგრძელა მუშაობა მოანგარიშედ, 1979-1981 წლებში იყო გარაჟის გამგე, შემდეგ კვლავ – მოლარე-მოანგარიშე. გარდაიცვალა 1992 წელს.

ცხმოხისის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 18 მარტს ცხმორისის კოლმეურნეობათა ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ჩატარდა ცხმორისის, ახოს, გეგელიძეების, კოკოტაურის და გობრონეთის ყოფილი კოლმეურნეობების საერთო კრება, კრებას ხუთი სოფლიდან ესწრებოდა 160 რწმუნებული. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დავით დიასამიძე და საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ თავდგირიძე. გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ისრაფილ ხალვაში (კოკოტაურის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე);

სახელობა კი, როგორც ძველი და ისტორიული, ცხმორისის კოლმეურნეობის, ენგელსის შეუნარჩუნდა.

20 მარტის კრებამ მთავარ აგრონომად დანიშნა სერგო ხალვაში, მთავარ ბუღალტრად – ალი შანიძე.

11 აპრილს შეიქმნა გაერთიანებული კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის მდივნად აირჩიეს დავით ანანიძე, 11 მაისს შეიქმნა გაერთიანებული პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტიული კომიტეტი შალვა აბაშიძის ხელმძღვანელობით.

1975 წლის 14 იანვარს შეაჯამეს პირველი წლის შედეგები: 130 ტონის ნაცვლად მოიწიეს თამბაქო – 192 ტონა, ყურძნის საერთო მოსავალმა 230 ტონა, ფულადმა შემოსავალმა 785.574 მანეთი (გაიხსენე, მკითხველო, ეს ძველი კურსით 8 მილიონს უახლოვდება) შეადგინა.

1976 წლის სექტემბერში რწმუნებულთა კრებამ ი. ხალვაში ავადმყოფობის გამო გაათავისუფლა თანამდებობიდან და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალისტური შრომის გმირი შალვა აბაშიძე.

1977 წლიდან პრაქტიკაში ჩნდება სიახლე–კოლმეურნეობა მოწინავე ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში გზავნის ლიმიტით.

1977 წელი: თამბაქოს მოსავალმა შეადგინა 189 ტონა, ყურძნისამ—273, ფულადმა შემოსავალმა 941 924 მანეთი.

გაერთიანების დადებითი შედეგი სახეზეა!

1979 წლის 26 იანვარი: რწმუნებულთა კრება ავადმყოფობის გამო თავმჯდომარეობიდან ათავისუფლებს სოციალისტური შრომის გმირ შალვა აბაშიძეს და არენას უთმობს ცხმორისის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს-შალვა ოსმანის ძე აბაშიძეს.

1980 წელი: კოლმეურნეობაში მოიწიეს თამბაქო–156 ტონა, საკოლმეურნეო სექტორში ყურძენი–213 ტონა. ერთი კაცდღის ანაზღაურებამ შეადგინა თითქმის 10 მანეთი, საერთო შემოსავალმა–948 832 მანეთი (ბევრი აღარ აკლია მილიონს!).

1979 წელს კოლმეურნეობა ავტომანქანა „მოსკვიჩს" უნაწილებს მევენახე ხასან ბერიძეს, 1980 წელს–ომისა და შრომის ვეტერანს–უსუფ თავდგირიძეს.

1981 წელს ყოფილი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა აგროუბნები. ახო-გობრონეთის უბნის უფროსად დაინიშნა გივი ნაკაშიძე, კოკოტაურში – ენვერ ბერიძე, ცხმორისში – რეზო ანანიძე.

1982 წელს დასრულდა ახალი კლუბ-კანტორის მშენებლობა (დაიწყო 1975 წელს). ამავე წელს დასრულდა ფერმის რეკონსტრუქცია 176 სულზე, დამონტაჟდა ავტომატური დაწყურების და ნაკელგამტანი სისტემა.

კოლმეურნეობა იწყებს დახმარების სისტემის ამოქმედებას. ყველა მშობელს 12 წლამდე ყველა შვილისთვის ეძლეოდა დახმარება 12 მანეთის ოდენობით, დახმარება

ეძლეოდათ დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მშობლებსაც.

1983 წელი: კოლმეურნეობამ ყველა სახის სამეურნეო დავალება შეასრულა 120-130 პროცენტით, მევენახე სულეიმან დუმბაძემ 2400 კვ. მეტრ ფართობზე მოიწია 7,4 ტონა ყურძენი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე დიდი მოსავალი, რისთვისაც მიღო სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპატიო სიგელი და ფულადი პრემია.

კოლმეურნეთა სამსახურშია 10 ტრაქტორი და 18 სატვირთო ავტომანქანა, სოფლები დაიქსელა სამანქანე გზებით: გობრონეთი-ლატევრი, ახო-საღორეთი-საჭინკაულო-წყარვა, ნანეფვარი-პერანგა, გეგელიძეები-გვიმბირი, სოფელ ცხმორისში-მაყნარი-ზენატყე, ნაკაფი-ფერდისთავი, კოლმეურნეობამ შეძლო საზაფხულო იალაღ „ჯაზიგოლზე" სამანქანე გზის რესტავრაცია.

სოფლის მოსახლეობას წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ ტრაქტორისტები და ავტომძღოლები: სოფელ ცხმორისიდან–რევაზ და ოთარ ცინცაძეები, მუხამედ მახარაძე, შოთა ბერიძე, სულიკო კონცელიძე. ტარიელ ბერიძე, ნოდარ ირემაძე, დავით მიქელაძე, შუქრი ნაკაშიძე.

სოფელ კოკოტაურიდან–ქაზიმ თავართქილაძე და ზურაბ კონცელიძე. ხუსეინ, ნაზიმ და მურად თავართქილაძეები.

სოფელ გეგელიძეებიდან–მემედ ბალაძე, მამა-შვილი აბდულ და ხუსეინ ხალვაშები, დურსუნ ხალვაში, ძმები – ქაზიმ და ხასან კეკელიძეები.

სოფელ ახოდან–ჯემალ ბოლქვაძე და ისმაილ დიასამიძე, გურამ, ივანე და რეჯებ დიასამიძეები, ოთარ და ზურაბ ნაკაშიძეები.

სოფელ გობრონეთიდან–გურამ ბოლქვაძე, შალვა დავითაძე, ფრიდონ, თამაზ და მურად ბოლქვაძეები.

1983 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება სოციალისტურ შეჯიბრებაში ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის გამარჯვების შესახებ, რასაც ცხმორისელმა პოეტმა შოთა ანანიძემ ლექსი მიუძღვნა (დაიბეჭდა ქედის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში" 1983 წლის 18 იანვარის ნომერში.).

ჩემო ცხმორისო

საქართველოს სსრ გარდამავალი
დროშის კავალერს

მე შენი მთების
ერთი შვილი ვარ,
შენს ქედებიდან
ქვეყანას ვხედავ.
ვარ შენი მიწის
ნაღდი მინდია –
ეს სიხარული
მარგუნა ბედმა.
მე მიყვარს შენი
მშრომელი ხალხი,
ფუტკარივით რომ
ხვდება ალიონს,
ვზიდავდე შენი

ცხოვრების მარხილს,
სიცოცხლის დღენი
შენთან გავლიო.
დავლოცავ შენს ფრთებს,
ჩახეულ ხევებს,
ვარ შენი ლხინი
და შენი დარდი.
ვკოცნი გლეხკაცის
დაკოჟრილ ხელებს, –
ჩანჩქერივით რომ
გადმოქუხს მადლი.
ჩემო ცხმორისო,
დღევანდელ ხალისს
გული ვერ იტევს,
ზღვასავით ღელავს,
მაშ, გაუმარჯოს
იმ დროშის ალმურს,
შენს მაღალ მთებზე
რომ გაიელვა
როგორც ბერმუხა,
იდექი მედგრად,
მუდამ პირველი
ჩვენს ყოველ დროჟამს,
არ დაგეხაროს
შენ არასოდეს,
ეგ გამარჯვების
წითელი დროშა.

1983 წლის 8 თებერვალს კოლმეურნეობის საანგარიშო კრებამ, რომელსაც 16 ხელმძღვანელი პირი ესწრებოდა ოლქიდან, მადლობა გადაუხადა პარტის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პაპუნიძეს კერძო სექტორში მეთამბაქოეობის განვითარებისათვის. ვახტანგ პაპუნიძემ კოლმეურნეობას მიულოცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და გადასცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. კრებაზე სიტყვით გამოსული კოლმეურნეები სიხარულს ვერ მალავდნენ და მადლობას უხდიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მათი შრომის ესოდენ დაფასებისათვის.

მთიან აჭარაში ეს იყო ყველაზე შედეგიანი ღონისძიება, თამბაქოს ნედლეულის მოყვანა-დამზადების მთელი ისტორიის განმავლობაში.

ვ. პაპუნიძის ინიციატივით, პირადი პასუხისმგებლობით დაირღვა ბიუროკრატიულ ჩარჩოებში ჩაკეტილი შეზღუდვები, რამაც ფართო გასაქანი მისცა თამბაქოს ნედლეული კერძო სექტორში მიღება-დამზადების პრაქტიკას. მას მოჰყვა მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი აღმავლობა. მარტო ამისთვის ღირდა ამ დიდი პიროვნების აჭარაში მოღვაწეობა!

ამ წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა მილიონს გადააჭარბა.

ვისაც არ უნდა მოეჩვენოს ლიტონ ნათქვამად, ჩვენ, მაშინდელი ხელმძღვანელი პირები, სიამაყით აღვნიშნავთ, რომ 96 კოლმეურნეს მიენიჭა კომუნისტური შრომის

დამკვრელის წოდება.

ნუ ჩაიქირქილებ, მკითხველო, ამ ტერმინის უკან დიდი და საინტერესო შრომა იდგა! მოსახლეობა ისე კარგად ცხოვრობდა, რომ 700 კომლიან კოლმეურნეობაში 264 კომლს მსუბუქი ავტომანქანა გააჩნდა. 1960-1990 წლებში 600 ოჯახმა აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი.

თავს ვალდებულად ვთვლი, დავასახელო ზოგიერთი კოლმეურნის მონაცემები, რომელიც ჩვენი შეფასების გარეშეც წარმოაჩენენ იმ დროის დადებითსაც და უარყოფითსაც.

-მევენახე სულეიმან დუმბაძე-ყურძნის სარეკორდო მოსავლისთვის დაჯილდოვდა სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპატიო სიგელით და საჩუქრად გადაეცა მოტოციკლეტი; 1981 წელს მიენიჭა აჭარის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება.

-მევენახე მურად მახარაძე-მისი მრავალწლიანი წარმატებული მუშაობა აღინიშნა მედლით „შრომითი მამაცობისათვის";

-მევენახე ილარიონ ბოლქვაძე-1966 წელს დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1973 წელს კი-საპატიო ნიშნის ორდენით;

-მეთამბაქოე სულეიმან ბერიძე-1949 წელს დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1974 წელს– ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ახლა თავად განსაჯეთ, მკითხველებო და დაძებნეთ ამ მაგალითებში ცუდიც და კარგიც.

1984 წელი-კოლმეურნეობის შემოსავალი 1.611.000 მანეთია! 1985 წელს ცხმორისის კოლმეურნეობამ 17 000 მანეთად ოთხოთახიანი ორსართულიანი სახლი შეუძინა სოფელ კოკოტაურის მცხოვრებ 11 შვილის მშობლებს ენვერ და ფიდოს ანანიძეებს.

1983 წელს დამთავრდა სოფელ ახოს წყალსადენის პროექტი 7 კილომეტრი მილებით და ხუთას ტონიანი წყლის რეზერვუარით.

1987 წელი-ჯერ კიდევ არაა დასრულებული ახოს წყალსადენის მშენებლობა, ამ წელს ჩაწყობილია 1,2 კმ. თუჯის მილები, გაკეთებულია 500 ტონიანი რეზერვუარი, გაჭრილია 2 კმ. სიგრძეზე კლდე, დაიხარჯა ათობით ტონა ასაფეთქებელი. ახოს წყალსადენის მშენებლობაზე თავდადებით იმუშავეს: ტრაქტორისტმა ქაზიმ თავართქილაძემ, ქვის მბურღავ მანქანაზე – ოთარ ხემიდი ალის ძე დიასამიძემ, ნიაზ ბერიძემ და მურსელ ბოლქვაძემ.

-მოხსნას, ჩემით წავიდე მირჩევნიაო!–თქვა მშენებლობის დათვალიერების შემდეგ ქედის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ახლადდანიშნულმა თავმჯდომარემ ჰაიდარ ცინცაძემ, რადგან ურთულესად მოეჩვენა მშენებლობის წარმოება.

მან მართლაც დატოვა სამუშაო 1984 წელს.

ახოს კოლმეურნეობის გამგეობას კოლმეურნეობების გაერთიანებამდე 1957-1961 წლებში გაკეთებული ჰქონდა ახოს წყალსადენის პროექტი, (თავმჯდომარე ამირან თავდგირიძე,) მაგრამ არ მოხერხდა მშენებლობის დაწყება.

ეს რთული საქმე გაერთიანებული კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ აიღო თავზე შ. აბაშიძის ხელმძღვანელობით და წარმატებით დაამთავრა.

1988 წელს სამანქანე გზა გაიყვანეს გომის მთამდე, რაშიც შუახევის რაიონის ჭვანის მოსახლეობის წვლილიც მნიშვნელოვანია. ამ გზის მშენებლობას ახოელი ახმედ ნაკაშიძე, ვასილ ნაკაშიძე და გეგელიძეებელი მურმან კეკელიძე ხელმძღვანელობდნენ.

გზა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

1988 წელიც წარმატებით დასრულდა, მაგრამ ეს შედეგები გააუფერულა ზამთრის ტრაგედიამ-ზვავმა იმსხვერპლა დარიკო სანიკიძის, აიშე კეკელიძის და ზელიხე კეკელიძის სიცოცხლე.

მთელი ღამე, ჩირაღდნების შუქზე, მოსახლეობამ ხევი გაწმინდა და მიცვალებულები ოჯახებში გადაასვენეს.

დაზარალებულ ოჯახებს მთელი მხარის ხელმძღვანელობა ეწვია და გვერდით დაუდგა.

ცხადია, ცხმორისის სასოფლო საბჭოს მოსახლეობას არასდროს დაავიწყდება განცდილი ტრაგედია, მაგრამ ამავე დროს არ გვინდა დავივიწყოთ ის წარმატებები, რომლებსაც 80-იანი წლების მეორე ნახევარში მიაღწიეს.

-დამთავრდა ახოს წყალსადენის მშენებლობა;

-გაკეთდა ახოს სარწყავი არხი 2,5 კილომეტრზე ჩიდილაღელიდან ნაჭვავარამდე;

-აიგო ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლა;

-დაიწყო კაპიტალური ხიდის მშენებლობა მდინარე აჭარისწყალზე;

-აიგო მინერალური სასუქების საწყობი გობრონეთში, 500 ტონა ტევადობით;

-აშენდა ახოს ბაგა-ბაღი;

-აშენდა მეცხოველეობის ფერმა;

-აშენდა სოფელ ცხმორისის ბაგა-ბაღი.

შალვა აბაშიძემ 1990 წელს ქალაქ ბათუმში საცხოვრებლად გადასვლის გამო დახურა ცხმორისში აქტიური მოღვაწეობის ფურცლები. კოლმეურნეობის თავმჯ-დომარედ აირჩიეს ჯამბულ ბერიძე.

ჯ. ბერიძე, დაბადებული 1962 წელს, სოფელ კოკოტაურში, 1980-1985 წლებში სწავლობ-და სმოლენსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. 1985 წლიდან მუშაობდა დოლოგნის კოლმეურნეობაში აგრონომად, 1988-1990 წლებში იყო ცხმორისის კოლმეურნეობის მთა-ვარი აგრონომი, 1990-1992 წლებში-თავმჯდომარე, 1992 წლიდან ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში და მუშაობს სმოლენსკის დემედედევოს მეურნეობის თავმჯდომარედ.

1990 წლიდან ქვეყანაში ახალი დრო იწყებს დამკვიდრებას, რაზეც ცალკე ვი-საუბრებთ. აქ აღვნიშნავთ, რომ კოლმეურნეობები ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარ-მოების სახელით ფორმალურად არსებობდა 1995 წლამდე, შემდეგ კი თოვლივით გაქრა.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ჩვენი შეფასების საგანი ვერ იქნება, ამაზე ისტორია იტყვის თავის სათქმელს.

ჩვენ რამდენიმე საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

პირველი ხიდს ეხება.

ცენტრ ცხმორისში 1888 წლიდან 1990 წლამდე რკინის თაღიანი ხიდი ფუნქციონ-ირებდა, რომლის აგება-დამონტაჟებაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სოფელ კოკო-ტაურელი ხუშუტ ძნელაძე და ახოელი ოსმან დიასამიძე (უსტა-ოსმანი). მათი ხიდის მშენებლობაზე დასაქმება ერთ საინტერესო ფაქტს უკავშირდება: რუსი ინჟინრები სოფელში რუსული ენის მცოდნე პიროვნებას ეძებდნენ მუშახელთან ურთიერთობის დასამყარებლად, რაც იმხანად იშვიათობას წარმოადგენდა. მათ წარუდგინეს ხუშუტ ძნელაძე, რომელიც ნოვოსიბირსკის ციხიდან ახალგამოსული იყო და კარგად ფლობ-და რუსულ ენას, ის ბრიგადირად აიყვანეს და ხიდის დამონტაჟების შემდეგ გზის მშენებლობის ბრიგადირად დანიშნეს, რასაც თავი კარგად გაართვა, გზის გაყვანას ხელმძღვანელობდა გოდერძის უღელტეხილამდე.

1984 წელს ცხმორისს აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვახტანგ პაპუნიძე ეწვია. მას ახლდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იური უნგიაძე და საქართველოს საგზაო მშენებლობის მინისტრი ბორის სალარიძე. ჩვენ ახალი ხიდის აგების საკითხი დავაყენეთ. ვ. პაპუნიძემ უთხრა მინისტრს, რა ვუპასუხოთო? მინისტრმა კოკოტაურის ხიდამდე მანძილი შეამოწმა, 800 მეტრი რომ აღმოჩნდა, ეს რა მანძილიაო, თქვა, ამისთვის მეორე ხიდი რა საჭიროაო?

ვ. პაპუნიძემ მაინც მიაღწია ხიდის დაგეგმარებას. ამისთვისაც დიდი მადლობა! ამასთან ამ საქმეში დიდი წვლილი ცხმორისის მკვიდრმა ამირან ანანიძემ შეიტანა, მაშინდელმა აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ხიდის მშენებლობის დროს, ფაქტობრივად ყველაზე დიდ როლს ასრულებდა ქედის

რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ მახარაძე, მისი ყურადღება და მზრუნველობა არ მოკლებიათ მშენებლებს.

ხიდის მშენებლობაში აქტიურობდნენ სოფელ ცხმორისის მცხოვრებლები: ოსმან მიქელაძე, რეჯებ ანანიძე, ხიდზე, როცა 42 მეტრის კონსტრუქციას ამონტაჟებდნენ, ამწის ჩამკეტმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და კონსტრუქცია ჩავარდა. ამ შემთხვევას, სამწუხაროდ, ემსხვერპლა შუქრი ნაკაშიძე, რომელიც ხიდის მშენებლობის აქტიური მონაწილე იყო.

ერთიც: კოლმეურნეობების ფუნქციონირებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდათ ბრიგადირებს, ბუჰხალტრებს, აგრონომებს და სხვებს.

მეხისის თემის კოლმეურნეობები

ნამონასტრევი

ნამონასტრევის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს და „განთიადი" ეწოდა.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ნამონასტრევის კოლმეურნეობაზე საარქივო მასალები ინახება 1938 წლიდან. ამ დროისათვის ნამონასტრევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ყედირ თურმანიძე. სოფელში ცხოვრობდა 20 კომლი და ყველა გაერთიანებული იყო კოლმეურნეობაში, რომელშიც შექმნილი იყო ორი ბრიგადა. 1938 წლის აღწერით ნამონასტრევის მოსახლეობას ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი - 146 სული, ცხვარი - 15, თხა - 178, კამეჩი - 2, ცხენი - 7.

1939 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 20 სული, ცხვარი და თხა 19. 1939 წლის 7 თებერვალს საწარმოო-საფინანსო გეგმას ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყედირ თურმანიძე.

1940 წლის 24 ივლისს ნამონასტრევის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა ნამონასტრევიდან ცხემლისძირამდე საურმე გზის გაყვანის საკითხი და დაადგინა, რადგან ნამონასტრევიდან ცხემლისძირამდე არის 1,5 კილომეტრი გზა გასაყვანი, სადაც არის 7 ჰექტარი სათიბი, 8 ჰექტარი სასიმინდე, 3 ჰექტარი კარტოფილის ფართობი და მოსახლეობას ტვირთის გადატანა ზურგით უხდება, გზის მშენებლობა შევიდეს 1941 წლის გეგმაში და გაკეთდეს შრომითი მონაწილეობით.

1940 წლის 20 ნოემბერს ნამონასტრევის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საკითხი „მადნის გზაზე მუშახელის გაგზავნის შესახებ" და დაადგინა, რომ კოლმეურნეობამ მადნის გზაზე მუდმივად იყოლიოს 5 კაცი.

1942 წლიდან ნამონასტრევის კომეურნეობის თავმჯდომარეა სულეიმან თურმანიძე, ხოლო 1944-1945 წლებში სულეიმან ზექერიას ძე თურმანიძე.

1946 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თურმანიძე სულეიმან ყედირის ძე, ამ წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 142395 მანეთი. კოლმეურნეობა 1950 წელს შეუერთდა გუნდაურის კოლმეურნეობას. ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო სულეიმან ზექერიას ძე თურმანიძე.

სიხალიძეები

სიხალიძეებში ცხოვრობენ: დევაძეები, დოლიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ლამპარაძეები. გარეტყეში: დიასამიძეები, თურმანიძეები, ლამპარაძეები.

სიხალიძეების კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს „წითელი მეურნის" სახელწოდებით. მისი პირველი თავმჯდომარე იყო ხუსია დუმბაძე. ძველი მოჯამაგირე. ის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა 1938 წლის ივნისამდე. სიხალიძეების კოლმეურნეობამ 1937 წელს ანემსა 83000 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად დაგეგმილი 35000 ზონარმეტრისა. ხუსია დუმბაძე ქედის რაიონიდან პირველად 1937 წლის 12

დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, 1938 წელს იგი რაიაღმასკომის თავმჯდომარე გახდა.

საარქივო ჩანაწერები სიხალიძეების კოლმეურნეობის შესახებ მოიპოვება 1938 წლიდან და არქივში ინახება 1938 წლის წლიური ანგარიში. წლიური ანგარიში შედგენილია 1938 წლის 8 თებერვალს და ხელს აწერენ კოლმეურნეობის თავმჯ-დომარე მემედ დევაძე და ბუღალტერი რამიზ თურმანიძე, კოლმეურნეობაში ირიცხება 39 კომლი, შრომისუნარიანი 106 და 26 მოზარდი.

1939 წლისათვის კოლმეურნეობას ჰქონდა სათამბაქოე 6,53 ჰექტარი, კარტოფილი - 0,5 ჰექტარი, ვენახი - 0,1 ჰექტარი, ხეხილის ბაღი - 1 ჰექტარი; 1956 წლამდე სხვა საარქივო ჩანაწერები არქივში არ ინახება. 1956 წლისათვის სიხალიძეების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იყო სერგო თურმანიძე, 1956 წლის 2 აგვისტოს გამგეობის სხდომა ავალებს კოლმეურნეობის ბრიგადირებს, რომ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული 3 დაწყებითი სკოლისათვის დაამზადონ და მიზიდონ სკოლებთან 80 კუბური მეტრი შეშა ზამთრისათვის. 1957 წლის 20 თებერვალს სიხალიძეების კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ განმეორებით აირჩია სერგო თურმანიძე.

1965 წლის იანვრიდან სიხალიძეების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა თურმანიძე ალექსანდრე. 1974 წლის 20 მარტს სიხალიძეების კოლმეურ-ნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება მერისის კოლმეურნეობაში გაერთიანებ-ის შესახებ და აირჩია საერთო კრებაზე დასასწრებად 20 რწმუნებული.

ინაშარიძეები

ამ სოფელში კოლმეურნეობა შეიქმნა 1933 წელს სახელწოდებით „ახალი ცხოვრე-ბა". ეს სახელი შეინარჩუნა 1950 წლამდე. 1956 წლიდან კოლმეურნეობა ატარებდა სვერდლოვის სახელს.

1934 წლის აღრიცხვით, კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო ორი ბრიგადა, №1 ბრიგადაში გაერთიანებული იყო 31 კოლმეურნე, №2-ში - 33.

1939 წელს ინაშარიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო რამიზ წითელაძე, 1945 წელს – აბდულ წითელაძე. 1948 წლის ივლისიდან ინაშარიძეების კოლმეურნეო-ბის გამგეობის თავმჯდომარეა ხუსეინ შარაძე.

1950 წელს ინაშარიძეების კოლმეურნეობა შეუერთდა მერისის კოლმეურნეობას.

1956 წლის 20 თებერვლიდან ინაშარიძეების კოლმეურნეობა კვლავ გამოეყო მერი-სის კოლმეურნეობას და თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადიმერ შარაძე, გამგეობის წევრე-ბად უ.ხ. შარაძე, ლ. დ. შარაძე, ქ.ს. შარაძე და მ.თ. წითელაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ – ხუსეინ შარაძე.

კოლმეურნეობის გამგეობამ მშრომელებისათვის სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების დასამზადებლად მოაწყო სამჭედლო, შრომის იარაღების დამზადებისათვის დადგენილი ფასები გამოაკრა თვალსაჩინო ადგილას, დაიწყო სამანქანე გზების გაყვა-ნა ბრიგადებში 1959 წლიდან.

1959 წლის 3 აგვისტოს ინაშარიძეების კოლმეურნეობამ მიიღო 1959-1965 წლების გეგმა: 1959 წლის გეგმა ასე გამოიყურება: სიმინდის თესვა 15 ჰექტარი, თამბაქოს რგვა 8 ჰექტარი, ერთწლიანი ბალახეული 5 ჰექტარი, სასილოსე ნათესი 6 ჰექტარი, ხეხილის გაშენება - 0,5 ჰექტარი, ვენახის გაშენება - 1,5 ჰექტარი, პირუტყვის სულადობა 55, მათ შორის ძროხა 15 სული.

1963 წლის 30 სექტემბერს ინაშარიძეების კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხ-ილა ხულოს საწარმოო სამმართველოს 1963 წლის 5 სექტემბრის ბრძანება მეთამბაქოე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესახებ და შეიმუშავა მატერიალური დაინტერ-

ესების ღონისძიებები. დადგინდა, რომ მეთამბაქოე კოლმეურნეებს მიეცეთ დამატებითი ანაზღაურების სახით მათ მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული თამბაქოს საერთო ღირებულების 25 პროცენტი ფულად.

1966 წლის 30 იანვარს ინაშარიძეების კოლმეურნეობის საანგარიშო საარჩევნო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შაქრო შარაძე.

1966 წლის 26 აგვისტოს ინაშარიძეების კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა 1966 წლის 13 აგვისტოს საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს დადგენილება „სოფ. ინაშარიძეების კოლმეურნეობაში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ" კრებამ საფინანსო დისციპლინის დარღვევისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ჩაშლისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შაქრო შარაძე გაათავისუფლა სამუშაოდან და მის ნაცვლად აირჩია უმაღლესი განათლებით პედაგოგი ჯემალ წითელაძე.

1967 წლის 31 იანვარს ინაშარიძეების კოლმეურნეობის საერთო კრებამ დააკმაყოფილა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ჯემალ წითელაძის თხოვნა და გაათავისუფლა ის თანამდებობიდან. კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ვლადიმერ შარაძე.

1974 წლიდან კოლმეურნეობა მერისის გაერთიანებულ კოლმეურნეობას შეუერთდა.

გუნდაური

სოფლის სახელი წარმოშობილი უნდა იყოს გვარიდან გუნდარიძე, ამ გვარისანი აქ ცხოვრობდნენ ოსმალთა შემოსევამდე (ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 143).

გუნდაურში ცხოვრობენ: ბარამიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, კონცელიძეები, ლორთქიფანიძეები, ლამპარაძეები, მიქელაძეები, სურმანიძეები, შანიძეები, შარაძეები, ხალვაშები.

გუნდაურის კომეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, სახელწოდებით „დამკვრელი", რომელიც შეინარჩუნა 1938 წლამდე და 1955 წლიდან ეწოდა კალინინის სახელობის გუნდაურის კოლმეურნეობა.

გუნდაურის კოლმეურნეობაზე მასალები სახელმწიფო არქივში ინახება 1938 წლიდან.

1938 წელს კოლმეურნეობაში დარგული იყო კარტოფილი 0,5 ჰექტარი, თამბაქო - 4,8 ჰექტარი, 6,1 ჰექტარზე გაშენებული იყო ხეხილი და ვანახი.

კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 30 კომლი (163 სული), შრომისუნარიანი წევრი 82 სული. საქართველოს უმაღლესი საბჭოს სსრ პრეზიდიუმის 1948 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით სოფელ ბარამოღლებს ეწოდა გუნდაური.

კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი 30 სული, ცხვარი - 29 სული.

არქივში გუნდაურის კოლმეურნეობაზე მასალების შენახვის განახლება ხდება 1955 წლისათვის. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამ დროს სერგო თურმანიძეა. ამ დრომდე, როგორც მომდევნო მასალებიდან ირკვევა, გუნდაურის და სიხალიძეების კოლმეურნეობები გაუერთიანებიათ.

1957 წლის 20 თებერვალს ქედის რაიაღმასკომის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ გუნდაურის კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 246785 მანეთი, ნაცვლად დაგეგმილი 374050 მანეთისა, რის გამოც კოლმეურნეობის კრებამ განიხილა კოლმეურნეობის გაყოფის საკითხი. კრებამ გუნდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია უშანგი ხალვაში.

1959 წლის 31 იანვარს გუნდაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია შალვა ხალვაში.

1962 წლის 26 იანვარს გუნდაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ავადმყოფო-

ბის გამო კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა შალვა ხალვაში და ახალ თავმჯდომარედ აირჩია მელიტონ თურმანიძე.

1965 წლიდან გუნდაურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს რეზო თურმანიძე.

1968 წლის 19 იანვარს საკუთარი განცხადების საფუძველზე გუნდაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გაათავისუფლა რეზო თურმანიძე და აირჩია შალვა ხალვაში.

1972 წლიდან აირჩიეს გივი ბარამიძე, ხოლო 1973 წლიდან – იაშა ხალვაში.

სილიბაური

აქ კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, სახელწოდებით „წითელი ოქტომბერი". 1950 წლის ივლისში საერთო კრების დადგენილებით ეს სახელი შეიცვალა და დაერქვა სილიბაურის კოლმეურნეობა.

თავდაპირველად კოლმეურნეობა შეიქმნა მიწის საერთო დამუშავების ამხანაგობის სახით და ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურად თამბაქო ითვლებოდა.

სახელმწიფო არქივში ინფორმაცია სილიბაურის კოლმეურნეობაზე ინახება 1939 წლის 6 იანვრიდან, ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მამუდ კაკაბაძე.

1939 წლის 27 ნოემბერს სილიბაურის საერთო კრებამ დაადგინა სოფელ სილიბაურში გახსნილიყო კოოპერატივი, ნოქრად – ახმედ ჯიჯავაძე.

1941 წლის 29 ნოემბერს სილიბაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან კაკაბაძე. 1944 წლის 1 დეკემბერს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა რამიზ თურმანიძე, ხოლო 1946 წლის 3 ივლისს – ახმედ ჯიჯავაძე. სილიბაურის კოლმეურნეობა სხვა კოლმეურნეობებთან ერთად აქტიურ მონაწილეობს ელექტროსადგურისა და მისასვლელი გზის მშენებლობაში.

1950 წლის მონაცემებით კოლმეურნეობაში სულ გამოიმუშავეს 9696 შრომადღე, სახელმწიფოს ჩაბარდა თამბაქო 9,5 ტონა, დამზადდა კარტოფილი 48 ტონა, სულ ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 146337 მანეთი.

სილიბაურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე 1952 წლიდან გახდა სერგო ლამპარაძე. 1953 წლის ინვენტარიზაციის მასალებში ვკითხულობთ: კოლმეურნეობას გააჩნია ბოსელი ხის - 2, ბოსელი მთაში - 5, თამბაქოს საშრობი - 9, საწყობი - 1, სასილოსე კოშკი - 1, სასიმინდე ნალია - 16, საბძელი - 7, გარაჟი - 1, საფრინველე - 1, სულ ღირებულებით 381542 მანეთი.

ამავე დროს მრავალწლიანი ნარგავები აღრიცხულ იყო: მსხალი - 242 ძირი, ვაშლი - 463 ძირი, კომში - 11 ძირი, ქლიავი - 11 ძირი, ტყემალი - 42 ძირი, ბალი - 119 ძირი, ნიგოზი - 292 ძირი, თხილი - 22 ძირი, ვენახი მაღლარი - 119 ძირი, ჩხავერი მაღლარი - 38 ძირი, ვენახი მაღლარი (საწური) - 14 ძირი, დაბლარი ვენახი 9 წლის - 0,5 ჰექტარზე, 8 წლის - 0,5 ჰექტარზე, 7 წლისა - 0,5 ჰექტარზე, 6 წლის - 0,5 ჰექტარზე, სულ მეხილეობის ღირებულება შეადგენდა 82691 მანეთს.

1953 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა პირუტყვი: ხარი - 35, ძროხა - 34, ცხენი - 4, ნამატი - 12, მოზარდები - 43, წვრილფეხა - 111 სული, ქათამი - 110 ფრთა. კოლმეურნეობის შემოსავალმა 1953 წლისათვის შეადგინა 248535 მანეთი. ერთი შრომადღის ღირებულებამ დამატებითი ანაზღაურების ჩათვლით 6,06 მანეთი.

სილიბაურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე 1954 წლიდან არის ალექსანდრე თურმანიძე.

1957 წლის 17 თებერვლის საანგარიშო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობაში გამომუშავებულია 18570 შრომადღე, მიღებულ მარცვლეული 183,03 ცენტნერი, თამბაქო - 121,1 ცენტნერი, კარტოფილი - 70 ცენტნერი, ყურძენი - 130,84 ცენტნერი, ჩაი - 4,22

ცენტნერი, რძე - 167, 82 ცენტნერი, ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 323830 მანეთი.

1958 წლის 13 თებერვალს სილიბაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ავადმყოფობის გამო გამგეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა ალექსანდრე თურმანიძე და აირჩია არჩილ თურმანიძე, 1960 წლის იანვრიდან – შოთა ჯიჯავაძე, რომელიც 1961 წლის 3 მაისს შეიცვალა ხასან თურმანიძით. თუმცა მაინც არ გამოსწორდა მდგომარეობა და 1964 წლის 1 თებერვალს სილიბაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ახალ თავმჯდომარედ აირჩია მიხეილ ჯიჯავაძე.

1965 წლის შემოსავალმა შეადგინა 28150 მანეთი. ერთი შრომადღის ღირებულებამ – 1,13 მანეთი, სიმინდის მოსავალი - 24 ცენტნერი, თამბაქო - 72 ცენტნერი, ხეხილი - 116 ცენტნერი, ყურძენი - 179 ცენტნერი, ჩაი - 78 ცენტნერი, რძე - 85 ცენტნერი.

1966 წლის 20 იანვარს სილიბაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია არჩილ ბერიძე.

1968 წლის 18 მაისის კრებამ განიხილა საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს 16 მაისის დადგენილება და სუსტი მუშაობის, შრომის დისციპლინის მოშლის, გეგმების შეუსრულებლობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ ბერიძე გაათავისუფლა სამუშაოდან, ახალმა თავმჯდომარემ ხასან თურმანიძემ, შეძლო ვითარების გარდაქმნა და სილიბაურის კოლმეურნეობა მოწინავის სახელით გაერთიანდა დიდ კოლმეურნეობაში.

მერისი

მერისი მდინარისპირა ვაკეს, მინდორს, ნაყოფიერ სახნავ ადგილს ნიშნავს (მ. ჯავახიშვილის და დ. ბაქრაძის განმარტებები).

სოფელ მერისში ცხოვრობენ: დოლიძეები, დევაძეები, ბროლაძეები, ბეჟანიძეები, გოგოლიშვილები, თურმანიძეები, ლორთქიფანიძეები, საკანდელიძეები, ჯაბნიძეები, ცეცხლაძეები.

ამ სოფელში კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს.

მერისის კოლმეურნეობაზე საარქივო ჩანაწერები მოიპოვება 1938 წლიდან. 1938 წლისათვის მერისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ხუსია დოლიძე. კოლმეურნეობაში 1939 წლის დასაწყისისათვის ირიცხებოდა 46 კომლი, შრომისუნარიანი 131 წევრით, კოლმეურნეობას ჰქონდა 11 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 45 სული, ცხვარი - 38 სული, ფუტკრის - 10 ოჯახი, ამ წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 21450 მანეთი.

1940 წლის 20 აპრილის სახელმწიფო აქტით მერისის კოლმეურნეობას მიმაგრებული ჰქონდა 293 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, აქედან საზოგადოებრივ სარგებლობაში იყო - 256,88 ჰექტარი, სახნავი - 44 ჰექტარი, ბაღი და ვენახი - 12,6 ჰექტარი, ბოსტანი - 0,2 ჰექტარი, სათიბი - 6,3 ჰექტარი, კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში იყო - 34,52 ჰექტარი, 63 კომლზე.

1941 წლის იანვრიდან მერისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა ღისა დოლიძე. 1943 წლის 2 თებერვალს – ოსმან თურმანიძე.

1943 წლის 4 სექტემბერს კოლმეურნეობამ ქ. ბათუმში გახსნა სავაჭრო ობიექტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სარეალიზაციოდ.

1944 წლის 3 თებერვალს გამგეობის სხდომამ სამუშაოდან გაათავისუფლა ბათუმის მაღაზიის გამგე ადემ საკანდელიძე, რადგან არ ემორჩილებოდა კოლმეურნეობის გამგეობას და მის შემცვლელად დაინიშნა სულეიმან ლორთქიფანიძე.

1944 წლის 15 მარტს მერისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მერდიალ საკანდელიძე. 1948 წლის 3 სექტემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქედის რაიონის სოფლები ქეშიოღლები და ორთამელა გაერთიანდა და ეწოდა სოფელი მერისი.

1948 წლის 11 თებერვალს მერისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხასან დოლიძე, 1949 წლის 3 ივნისს – ხასან საკანდელიძე.

1953 წლის 29 იანვარს ჩატარდა მერისის კოლმეურნეობის საერთო კრება. კრებას ესწრებოდა საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ კიკვაძე. კრებაზე მკაცრად აღინიშნა ნაკლოვანებების შესახებ და შეიცვალა თავმჯდომარე – აირჩიეს უსუფ თურმანიძე.

1955-1957 წლებში მერისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ნევრო საკანდელიძე, რომელიც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს და 1957 წლის 27 მარტის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია მიხეილ (მერდიალ) საკანდელიძე.

1958 წლის 18 იანვარს მერისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა ყოფილი თავმჯდომარის მიხეილ ოსმანის ძე საკანდელიძის განცხადება და მისი ოჯახის მუდმივ საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლის საკითხი დააკმაყოფილა, თავმჯდომარედ აირჩიეს რიზმან თურმანიძე. 1959 წლის 15 თებერვალს – ნევრო საკანდელიძე.

1961 წლის 26 იანვარს მერისის კოლმეურნეობას კვლავ ახალი თავმჯდომარე მოევლინა - სერგო ცეცხლაძე, ხოლო 1964 წლის 2 თებერვლიდან – თეიმურაზ თურმანიძე.

1974 წლის 20 მარტს მერისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება სილიბაურის, გუნდაურის, ინაშარიძეების, სიხალიძეების და მერისის კოლმეურნეობების ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებისა და მერისის კოლმეურნეობის შექმნის შესახებ.

მერისის გაერთიანებული კოლმეურნეობა

გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თეიმურაზ თურმანიძე, მოადგილედ ვლადიმერ დაუთის ძე შარაძე, უფროს ეკონომისტად ალექსანდრე ოსმანის ძე თურმანიძე, აგრონომად ამირან ალის ძე კაკაბაძე, კოლმეურნეობაში შეიქმნა 9 ბრიგადა.

1975 წლის 18 იანვარს საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობაში დამზადებულია სიმინდის მარცვალი - 408 ცენტნერი, თამბაქო - 881 ცენტნერი, ხეხილი - 435 ცენტნერი, ყურძენი - 601 ცენტნერი, ჩაის ფოთოლი - 604 ცენტნერი, წარმოებულია რძე - 742 ცენტნერი, ხორცის წარმოებამ შეადგინა - 117 ცენტნერი, ფულადმა შემოსავალმა - 473 309 მანეთი.

1979 წლის 29 აგვისტოს მერისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თეიმურაზ თურმანიძე გაათავისუფლა სამუშაოდან და გამოიყვანა გამგეობის შემადგენლობიდან ქედის რაიონის კინოფიკაციის განყოფილების გამგედ გადაყვანის გამო. თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო წითელაძე.

1984 წლის 13 იანვარიდან მერისის კოლმეეურნეობის თავმჯდომარეა გურამ კაკაბაძე, უმაღლესი განათლებით აგრონომი.

1987 წლის 28 იანვარს მერისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებაში იკითხება, რომ დარიცხულია კაცდღეები 68415, მიღებულია სიმინდის მარცვალი - 670 ც., ბოსტნეული - 213 ც., ჩაის ფოთოლი - 979 ც., ხმელი თამბაქო - 714 ც., ხილი ყველა სახის - 319 ც., ყურძენი - 355 ც., წარმოებულია რძე - 628 ც.

მიღებულია ფულადი შემოსავალი 670000 მანეთი.

გ. კაკაბაძის დროს აშენდა მერისის ბაგა-ბაღი, კოლმეურნეობის კლუბ-კანტორა და

კულტურის სახლი.

1990 წლიდან დაიშალა მერისის გაერთიანებული კოლმეურნეობა და 1991 წლიდან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელმაც 1995 წლიდან შეწყვიტა ფუნქციონირება.

პირველი მაისის თემის კოლმეურნეობები

პირველი მაისი

სოფელ პირველ მაისში ცხოვრობენ: აბულაძეები, ბერიძეები, დიასამიძე, დევაძე, დვალიძეები, შერვაშიძეები, შავლიძეები, ჩავლეიშვილები, სურმანიძეები, სამნიძეები, თებიძეები, ქადიძეები, ყადიძეები, ცინცაძეები, ჯინჭარაძეები, კახიძე, ჩხაიძე, მელიქიშვილები.

სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობა შეიქმნა 1935 წელს, სახელწოდებით „წითელი აჭარა" და მისი პირველი თავმჯდომარე იყო მერჯან ჩალოღლი. 1955 წლის 24 თებერვალს შეეცვალა სახელი და 1958 წლის 15 იანვრიდან ეწოდა სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობა.

საარქივო ჩანაწერების მიხედვით სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა დაუთ დევაძე.

1939 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 35 ოჯახი, დათესილი იყო 4 ჰექტარი სიმინდი, თამბაქო - 8,5 ჰექტარი. 1940 წლისათვის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 71 ოჯახი 434 სულით.

1940 წლის 21 ივლისისათვის პირველი მაისის კოლმეურნეობას სახელმწიფო აქტით ჰქონდა 668 ჰექტარი მიწა. აქედან საზოგადოებრივ სექტორში იყო 626,43 ჰექტარი: სახნავი - 90,3 ჰექტარი, ბაღ-ვენახი - 3,03 ჰექტარი, ბოსტანი - 1,7 ჰექტარი, სათიბი - 2,75 ჰექტარი, საძოვარი - 9 ჰექტარი, 71 კომლის პირად სარგებლობაში იყო 41,57 ჰექტარი მიწის ნაკეთი.

1942 წლიდან პირველი მაისის კოლმეურნეობის თვამჯდომარე იყო ოსმან სამნიძე, 1944 წლიდან – დაუთ დვალიძე.

1949 წლის 28 ივნისს პირველი მაისის „წითელი აჭარის" სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება სოფელ პირველი მაისის „წითელი აჭარის" სახ. კოლმეურნეობის გამგეობის ჩატარებული მუშაობის შესახებ" და დაადგინა: განთავისუფლდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობიდან დაუთ დვალიძე და არჩეულ იქნას აბდულ შავლიძე.

1952 წლიდან პირველი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ქაზიმ შერვაშიძე.

1957 წლის 9 თებერვალს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 329600 მანეთი.

ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა 5,18 მანეთი, მიღებულ იქნა სიმინდის მოსავალი 9285 კგ.

1957-1958 წლებში სოფლებში მიმდინარეობდა ახალი ელექტროხაზების გაყვანა, მიმდინარეობდა აგრეთვე ფერმის პირუტყვისათვის ბოსლის მშენებლობა. კოლმეურნეობამ გამოყო 5000 მანეთი, რითაც დაიგეგმა და დაიწყო სამნიძეების უბანში სამანქანე გზის მშენებლობა, აგურ-კრამიტის ქარხნიდან.

1963 წელს პირველი მაისის კოლმეურნეობის მშრომელებმა გამოიმუშავეს 21170 შრომადღე, მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 180 ცენტნერი, თამბაქოს მოსავალმა - 14 ცენტნერი, მიიღეს რძე - 15480 ლიტრი, სულ ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 26687 მანეთი.

1965 წლის იანვრიდან პირველი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ისმაილ ციციანიძე, რომელიც 1966 წლის 17 აპრილს ავტოავარიის დროს დაიღუპა, 1966 წლის 29 აპრილს პირველი მაისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურ-

ნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია რამიზ ქადიძე.

1968 წლის 28 იანვარს კოლმეურნეობის საერთო კრებამ საკუთარი განცხადების საფუძველზე სამუშაოდან გაანთავისუფლა რამიზ ქადიძე და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მურად თებიძე.

1969 წლის 28 იანვარს კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია როსტევან სამნიძე.

1970 წლის 29 აგვისტოს პირველი მაისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე თავმჯდომარის განთავისუფლების საკითხი, მაგრამ საერთო კრებამ გადაწყვიტა წლის ბოლომდე დაეტოვებინათ იგი თანამდებობაზე.

განთავისუფლება მოხდა 26 მაისს და თავმჯდომარეობა მიანდეს ზექერია სამნიძეს.

აგარა

აგარა საზაფხულო დასასვენებელს, აგარაკს ნიშნავს.

სოფელ აგარაში ცხოვრობენ: დევაძეები, თებიძეები, ფარტენაძეები, შავლიძეები, სურმანიძეები. ადრე აქაურები ატარებდნენ ოსმალთა შერქმეულ 24 გვარს.

აგარის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, სახელწოდებით „წინსვლა", რომელსაც 1940 წელს მიეკუთვნა ჟდანოვის სახელი. პირველი თავმჯდომარე იყო ზექერია დევაძე.

1933 წლამდე ქვედა აგარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აზაბ დევაძე.

სოფელ აგარის შესახებ საარქივო ჩანაწერეები შენახულია 1934 წლიდან. ამ წელს შეიქმნა ორი ბრიგადა, პირველ ბრიგადაში იყო 16 მუშახელი, მეორეში - 18. მათ მიერ გაშენდა ხეხილის ბაღი - 0,5 ჰექტარზე, დაითესა სიმინდი 14 ჰექტარზე, დაირგო თამბაქო 2,5 ჰექტარზე, კარტოფილი - 0,5 ჰექტარზე, მიიღეს ერთ ჰექტარზე სიმინდი – 7 ცენტნერი, კარტოფილი – 60 ცენტნერი, თამბაქო – 6,25 ცენტნერი.

1939 წლისათვის ზედა აგარის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 40 კომლი. 1938 წელს კოლმეურნეობაში შევიდა 9 კომლი, გაირიცხა კოლმეურნეობიდან 3 კომლი, დასაქმებული იყო 98 წევრი, მათ შორის მოზარდი -12-დან 16 წლამდე – 29, სულ ყველა სახის სამუშაოს შესასრულებლად დაიხარჯა 3978 შრომადღე. კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი 39 სული, ცხვარი - 26 სული.

1938 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მემედ დევაძე.

1949 წლამდე აგარის კოლმეურნეობაზე საარქივო ჩანაწერები არ ინახება. 1949 წლის 10 იანვრის საერთო კრებამ კოლმეურნე წევრებს დაავალა, წვრილფეხა პირუტყვის შიმშილისაგან გადასარჩენად ფერმაში მიეტანათ 100-100 კილოგრამი წყავის ფოთოლი. ეს გამოწვეული იყო დიდთოვლობის მიზეზით. საერთო კრებამ დაავალა აგრეთვე კოლწევრებს ქათმების ფერმის შესაქმნელად მიეყვანათ თითო ფრთა ქათამი, რაშიც კოლმეურნეობა გადაუხდიდა 10 მანეთს. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახმედ თებიძე.

1949 წლის 20 მარტს აგარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ავადმყოფობის გამო სამუშაოდან გაათავისუფლა ახმედ თებიძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია დურსუნ დევაძე.

1949 წლიდან ამუშავდა აგარის ელექტროსადგური. მოსახლეობას დაევალა ერთ ნათურაზე გადაეხადათ 4 მანეთი, წლიურად.

1950 წლის ივნისიდან აგარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გახდა ფიქრი დევაძე, რომელიც 1954 წელს შეცვალა ალექსანდრე თებიძემ, მაგრამ 1958 წლიდან ის თავისი განცხადებით წავიდა სამუშაოდან და მის მაგივრად აირჩიეს მემედ დევაძე.

1959 წლის 17 მარტს აგარის კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა 47 ოჯახის განცხადება ბათუმის რაიონში საცხოვრებლად გადასვლაზე და თხოვა რაისაბჭოს აღმასკომს დახმარება საკითხის დადებითად გადაწყვეტაში, რადგან ზვავსაშიშ ადგილებში ცხოვრობდნენ.

1960 წლის იანვარში აგარის კოლმეურნეობამ შეიძინა ელექტროსახერხი დანადგარი და სთხოვა ხელმძღვანელობას 1965 წლისათვის დაგეგმილი მაღალი ძაბვის ელექტროხაზების მშენებლობა გადმოეტანა 1960 წლისათვის.

1969 წლის 5 თებერვალს აგარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია რიზალ დევაძე, რომელსაც 1972 წლის იანვრიდან ჩაენაცვლა რიზალ თებიძე.

ჯოლოტაური

კოლოტაური: კოლოტი აჭარაში ხმარებიდან ამოვარდნილია, ტყავის ფეხსაცმელს ქალამანი ერქვა, უფრო სწორად თასმით ამოვსებულ მის წინა ნაწილს. კოლოტს უხვად მოსხმულ ყურძნის მტევანსაც უწოდებდნენ (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971 წ. გვ. 229). ადრე ამ სოფელს დერეხოხნა და ორთახოხნა ერქვა.

სოფელში ცხოვრობენ: გურგენიძეები, გოგუაძეები, მახარაძეები, კონცელიძეები, სალაძეები, შავლიძეები, შავიშვილები, ფარტენაძეები, ქიძინიძეები.

სოფელ ხოხნაში 1930 წელს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო რამიზ მახარაძე.

1948 წლის 3 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაერთიანდა ქედის რაიონის პირველი მაისის სასოფლო საბჭოს სოფლები ორთახოხნა და დერეხოხნა და ეწოდა კოლოტაური.

სოფელი 1948 წლის 7 ოქტომბრიდან ატარებს კოლოტაურის სახელს.

საარქივო ჩანაწერები სოფელ კოლოტაურის კოლმეურნეობაზე მოიპოვება 1934 წლიდან. ამ დროს შეიქმნა ერთი ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდა 22 მამაკაცი, 14 ქალი და 4 მოზარდი. 1938 წლისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 52 ოჯახი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ხაჯი წითელაძე.

1940 წელს ორთახოხნის პაპანინის სახელობის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 32 ოჯახი, რომელთა სარგებლობაში იყო 233 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, აქედან სახნავი 58,61 ჰექტარი. მოსახლეობის პირად სარგებლობაში იყო 18,3 ჰექტარი მიწის ფართობი.

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მეჯიდ სალაძე. 1943 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა რეჯებ გურგენიძე, რომლის ინიციატივით 1944 წლის 25 იანვარს კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაადგინა, სოფლიდან სასოფლო საბჭოს ცენტრამდე გაყვანილიყო საურმე გზა, კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის ხარჯზე. 1944 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა გამწევი ძალა 35 სული. კოლმეურნეობაში იყო 5 ბრიგადა, სიმინდის თესვის გეგმა იყო 135 ჰექტარი, თამბაქოს რგვის გეგმა 8 - ჰექტარი, კარტოფილის - 5 ჰექტარი.

1946 წლის 5 მაისს სოფელ ხოხნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, ხეხილის სარეალიზაციოდ გაეხსნა სავაჭრო წერტი ბოგდანოვკის რაიონში და ხეხილის მოსავლის სარეალიზაციოდ იქ მიავლინა საიდ მახარაძე, მომარაგება დაევალა მემედ სალაძეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადატანა-გადმოტანისათვის შეიძინეს სატვირთო ავტომანქანა.

1948 წელს კოლმეურნეობის კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან მახარაძე, რომელიც 1949 წლის 8 ოქტომბერს შეცვალა რეჯებ მახარაძემ.

1953 წლის 22 მარტს კოლოტაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის

თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ფარტენაძე.

1954 წლისათვის კოლოტაურის კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 81 სული, მათ შორის, ძროხები - 25 სული, ხარები - 14 სული, მოზარდები - 42 სული, წვრილფეხა საქონელი - 66 სული.

1957 წლის იანვრიდან კოლოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა იბრაიმ მახარაძე, 1958 წლის 16 თებერვლიდან – ხუსეინ მახარაძე.

1960 წლის 12 თებერვალს კოლოტაურის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ უნდა ეწარმოებინათ 416670 მანეთის პროდუქცია, ფაქტობრივმა შემოსავალმა კი შეადგინა 247902 მანეთი, ამასთან, არ დამთავრდა კოლოტაურის სკოლის მშენებლობა, ამ ნაკლოვანობების გამო საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა ხუსეინ მახარაძე და აირჩია საიდ მახარაძე.

1961 წლის 27 იანვარს საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე საიდ მახარაძე და აირჩია მურად ბერიძე, რომელიც 1962 წელს შეცვალა შალვა მახარაძემ, ხოლო ეს უკანასკნელი 1963 წელს – დურსუნ გოგუაძემ.

1965 წლის 2 აგვისტოს კოლოტაურის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა სამანქანე გზა გაყვანილიყო წიფეკევანის ტერიტორიაზე, რისთვისაც თითოეულ ოჯახს დაევალა 10-20 მანეთის გადახდა.

1966 წლის 31 იანვარს საანგარიშო საარჩევნო კრებამ კოლოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ნაზი მახაჭაძე. იგი 1970 წელს შეცვალა სანდრო სალაძემ, ის კი, 1973 წელს, – ილია გოგუაძემ.

პირველი მაისის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 19 მარტს პირველი მაისის საშუალო სკოლის შენობაში ჩატარდა პირველი მაისის, აგარის და კოლოტაურის კოლმეურნეობების რწმუნებულების კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ თავდგირიძე.

არჩილ თავდგირიძემ საერთო კრებას გააცნო ზემდგომი ხელმძღვანელობის აზრი, რომ მცირეძალოვან კოლმეურნეობებში საკმაო თანხები იხარჯება ადმინისტრაციული პერსონალისათვის და აღნიშნა, რომ ეკონომიკური განმტკიცებისათვის უკეთესი იქნება მათი გაერთიანება. ამ წინადადებას სამივე სოფლის რწმუნებულებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გვევლინება რიზალ თებიძე.

1979 წლის 20 იანვარს პირველი მაისის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ განიხილა კოლმეურნეობის 1977-1978 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები. გაწეული მუშაობა ჩაითვალა არასაკმარისად. კრებამ პირველი მაისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შოთა დვალიძე.

1980 წლის 21 იანვარს პირველი მაისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დააკმაყოფილა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის შოთა დვალიძის თხოვნა და გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კრებამ პირველი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შალვა თებიძე.

1980 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიყიდა 59,5 ტონა თამბაქო, ნაცვლად 51,2 ტონისა, 95 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 62 ტონისა, სახელმწიფო მიეყიდა 28,5 ტ. ხორცი, ნაცვლად 23 ტონისა. ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 404796 მანეთი.

1984 წლის 1 თებერვალს პირველი მაისის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შალვა თებიძე გაათავისუფლა სამუშაოდან

და აირჩია ჯემალ ფარტენაძე, რომლის ხელმძღვანელობით იმავე წლის შემოსავალმა შეადგინა 606000 მანეთი.

1987 წელს ჯ. ფარტენაძემ ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით ითხოვა განთავისუფლება აირჩიეს ზაური ავალიანი, რომელიც 1990 წელს შეცვალა ნოდარ ფარტენაძემ.

მახუნცეთის თემის კოლმეურნეობები
მახუნცეთი

სოფელი ორ ქვესოფლად არის გაყოფილი. ქვედა მახუნცეთში ცხოვრობენ დოლიძე, კახიძეები, კოკობინაძეები, კურცხალიძეები, ირემაძეები, შერვაშიძეები, შარაბიძეები, თავდგირიძე, ფარტენაძე, ფარსენაძე, ქართველიშვილი. ზედა მახუნცეთში – კი ბალაძე, დევაძე, ვარშანიძეები, ზაქარიაძეები, ზოიძეები, ირემაძეები, ფარტენაძეები, ღოღობერიძეები, ხაბაძეები, პლატონაძეები, ოქრაძეები. (1921 წლიდან 1939 წლის სექტემბრამდე მახუნცეთის თემი შედიოდა ბათუმის რაიონის შემადგენლობაში)

მახუნცეთის კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს აწჰესის სახელწოდებით.

საარქივო ჩანაწერები მახუნცეთის კოლმეურნეობაზე მოიპოვება 1938 წლიდან. ამ დროისათვის მახუნცეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო შუქრი ზოიძე.

1938 წლისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 35 კომლი 203 სულით – 116 შრომისუნარიანი და 13 მოზარდი.

1940 წლის 18 ნოემბერს „აწჰესის" სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ შექმნა 10 კაციანი ბრიგადა სულეიმან ბერიძის ხელმძღვანელობით და გაგზავნა მერისის გზაზე სამუშაოდ.

1943 წლისათვის „აწჰესის" კოლმეურნეობას მეცხოველეობის ფერმაში ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 60 სული, მათ შორის, ძროხები - 8 სული, ხარები 40 სული, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი -120 სული, მათ შორის, დედა თხა 60 სული, აგრეთვე ფუტკარი 10 ოჯახი.

1943 წლის 27 ივლისს „აწჰესის" კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, თხოვნა გაეგზავნა ქედის რაისაბჭოს აღმასკომს ქ. ბათუმში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავაჭროს გახსნისათვის. 1943 წლის 20 ოქტომბერს კოლმეურნეობის საერთო კრებამ ბათუმის სავაჭრო წერტში გამყიდველად დანიშნა უსუფ შარაბიძე, მომმარაგებლად – იბრაიმ ნიგალიძე.

1944 წლის 4 მარტს კოლმეურნეობის საერთო კრებამ „აწჰესის მუშათა რაიონში" სასაუზმის გამგე-მომმარაგებლად დანიშნა თავდგირიძე, რომელსაც დაევალა კოლმეურნეობის სასარგებლოდ ყოველთვიურად შეეტანა 3000 მანეთი.

1949 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა მახუნცეთის კოლმეურნეობის საერთო კრება, კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კპ. ქედის რაიკომის მდივანი ჯასიმ დევაძე; კრებამ თავმჯდომარე შუქრი ზოიძე გაათავისუფლა სამუშაოდან და აირჩია სულეიმან ბერიძე.

1950 წლის 12 ივლისიდან მახუნცეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ქერიმ ღოღობერიძე.

1957 წლის 6 თებერვალს მახუნცეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია იუსუფ ფარსენაძე, 1960 წლის 15 ნოემბრიდან – ხუსეინ ირემაძე, 1961 წლიდან – შოთა შარაბიძე.

1962 წლის 24 იანვარს საანგარიშო მოხსენებაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა შარაბიძემ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობაში ირიცხება 89 კომლი, 174 კოლმეურნე წევრი, სამუშაოთა შესასრულებლად დაიხარჯა 16900 შრომადღე, მიიღეს მარცვლეული

– 270 ცენტნერი. თამბაქოდან – 14370 მანეთი, სულ შემოსავალმა შეადგინა 28722 მანეთი.

1963 წლის 24 იანვარს მახუნცეთის კოლმეურნეობის საანგარიშო საარჩევნო კრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ ნაკაშიძე, თავმჯდომარე შოთა შარაბიძე შეცვალა ტარიელ ზოიძით.

1966 წლის 26 იანვარს საანგარიშო-საარჩევნო კრებამ სამუშაოდან გაანთავისუფლა ტარიელ ზოიძე და თავმჯდომარედ აირჩია ზურაბ ზაქარიაძე, რომელიც 1968 წელს შეცვალა რევაზ ფარსენაძემ, რომელიც ავადმყოფობის გამო 1972 წელს წავიდა სამუშაოდან და მის ნაცვლად არჩეულ იქნა სოსო ბალაძე. ის კი 1979 წელს შეცვალა შოთა შარაბიძემ.

1974 წლის 20 მარტს სოფელ მახუნცეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საკითხი სოფელ მახუნცეთის, ზუნდაგისა და ბზუბზუს კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ და მოიწონა კოლმეურნეობების შეერთების იდეა.

ნამლისევი-მილისი

ნამლისევის და მილისის სახელწოდებები უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან „მილი" (ღარია, რომელსაც იყენებენ წყლის, ნავთის, გაზის სადენად, გასატარებლად. წყალსადენის ღია არხსაც მილს უწოდებენ).

სოფელ ნამლისევში ცხოვრობენ: აზნაურიშვილები, ვარდმანიძეები, კობალაძეები, მორთულაძეები, ნინიძეები, ფალავანდიშვილები.

სოფელ მილისში ცხოვრობენ: აბესლამიძეები, გვარიშვილები, დოლიძეები, ვარდმანიძეები, დარჩიძეები, მგელაძეები, თავდგირიძეები, ნინიძეები, ცივნარიძეები, წულუკიძეები, ჟღენტები.

ნამლისევის კოლმეურნეობა შეიქმნა 1939 წელს და ეწოდა „სტურუას", ხოლო 1949 წელს - „მალენკოვის" სახელი, 1957 წლის 20 ოქტომბრიდან კი ნამლისევის კოლმეურნეობად იწოდებოდა.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 1945 წლამდე ნამლისევის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იყო ქაზიმ აბესლამიძე, რომელიც ამ წლის მარტიდან შეცვალა ხუსეინ გოჩაძემ.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ხუსეინ გოჩაძე განთავისუფლდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და 1949 წლის 28 იანვრის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან გვარელოღლი.

1949 წლისათვის ნამლისევის კოლმეურნეობას ჰქონდა 265,55 ჰექტარი მიწის ფართობი, სახნავი-70 ჰექტარი, ნასვენი - 21 ჰექტარი, სათიბი - 1 ჰექტარი, ბოსტნები - 1,06 ჰექტარი, თუთის ხეხილის ბაღი - 0,10 ჰა.

კოლმეურნეობაში 56 კომლს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ჰქონდა 35,20 ჰექტრის ოდენობით.

1950 წლის 13 თებერვალს სოფელ მილისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ქუჩუგ ღოღობერიძე (1950-1956 წლებში მილისის და ნამლისევის კოლმეურნეობა გაერთიანებული იყო). 1957 წლის 22 თებერვალს ნამლისევის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომელსაც ესწრებოდა საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ვლ. კიკვაძე, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შუქრი ნინიძე. კოლმეურნეობას ეწოდა ნამლისევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიც შეიქმნა ოთხი ბრიგადა.

ნამლისევის კოლმეურნეობამ აწჰესიდან ელექტროენერგია შემოიყვანა 1957 წელს.

1965 წლის 16 იანვარს ნამლისევის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა

გაყვანილიყო ორი კილომეტრი სამანქანე გზა სოფელ მილისში.

1965 წლის 16 იანვარს ნამლისევის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სანი ჟღენტი.

1974 წლის 19 მარტს ნამლისევისა და უჩხითის კოლმეურნეობები გაერთიანდა მახუნცეთის კოლმეურნეობაში.

ზუნდაგა

სოფელში ცხოვრობენ: დავითაძეები, ვარშანიძეები, ვერძაძეები, ნიგალიძეები, ქობულაძეები, ცეცხლაძეები, რომლებმაც კოლმეურნეობა შექმნეს 1935 წლის 20 აგვისტოს, „ორჯონიკიძის" სახელწოდებით. 1938 წლის წლიურ ანგარიშს ხელს აწერს ზუნდაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოსმან ვარშანიძე.

1938 წლისათვის კოლმეურნეობაში შესული იყო 48 ოჯახი, 262 სული, შრომისუნარიანი 97 სული და მოზარდი – 30, დაირგო თამბაქო 2,5 ჰექტარი, კოლმეურნეობის სარგებლობაში იყო 8,5 ჰექტარი მიწის ფართი. კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 46 სული, წვრილფეხა – 20 სული.

1940 წლიდან ზუნდაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მემედ ვარშანიძე.

1940 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა სატვირთო ავტომანქანა, ამავე წელს აშენდა სამჭედლო, კოლმეურნეობას გააჩნდა „ლინეიკაც".

1940 წლის 13 აპრილს საერთო კრებამ დაადგინა, „ლინეიკა" გაიყიდოს 2000 მანეთად და ცხენი – 700 მანეთად.

1943 წლის 5 სექტემბერს მ. ვარშანიძე გადაყვანილ იქნა საბჭოს თავმჯდომარედ, რის გამოც საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ხასან ვერძაძე და რადგან იგი ინვალიდი იყო, მუსტაფ ვარშანიძე აურჩია მოადგილედ.

1944 წლიდან ზუნდაგის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ხასან ქობულაძე.

1948 წელს საკოლმეურნეო სამუშაოების შესრულებისათვის დაიხარჯა 26106 შრომადღე, სიმინდის მოსავალმა შეადგინა 869,8 ცენტნერი, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ - 8,36 ცენტნერი, თამბაქოს მოსავლიანობამ - 72,5 ცენტნერი, საჰექტარო მოსავლიანობამ - 9,06 ცენტნერი, მიღებული იქნა ფულადი შემოსავალი - 103,710 მანეთი. ერთ შრომადღეზე გაიცა მარცვლეული 3 კილოგრამი, ფული 1,93 მანეთი.

1949 წლის 17 ნოემბერის საერთო კრება ღებულობს დადგენილებას სოფელ უჩხითის სამანქანე გზის მშენებლობაზე.

1950 წლის 16 თებერვლიდან ზუნდაგის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ყედირ ვერძაძე.

1950 წლის 2 აგვისტოს ზუნდაგის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ბაბუჩოღლების სკოლის მშენებლობაზე მიამაგრა პასუხისმგებელი პირები: ვერძაძე ყედირ მამუდის ძე და ვერძაძე სულეიმან ხუსეინის ძე.

1950 წლის შემოდგომაზე იწყებენ სოფელ ზუნდაგის სამანქანე გზის მშენებლობას. 1949-1950 წლებში ზუნდაგის კოლმეურნეობამ ბათუმში, მოლოტოვის ქუჩის 107 ნომერში, გახსნა ხილბოსტნეულის სავაჭრო მაღაზია.

1958 წლის ნოემბრიდან ზუნდაგის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ხუსეინ ვარშანიძე.

1965 წლის აგვისტოდან ზუნდაგის კოლმეურნეობამ დაიწყო კლუბ-კანტორის მშენებლობა.

1966 წლის 26 იანვარს ზუნდაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს შაქირ ქობულაძე.

1970 წლის 20 იანვარს ზუნდაგის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ხუსეინ ვარშანიძე, რომელიც 1974 წლის 1 თებერვალს შეცვალა ყედირ ვერძაძემ. 1974 წლის 21 მარტს ზუნდაგის კოლმეურნეობა შეუერთდა მახუნცეთის კოლმეურნეობას.

ქვედა ბზუბზუ

ამ სოფელში ცხოვრობენ: აზარიძეები, ბარამიძეები, ბეჟანიძეები, გოგიტიძეები, გორაძეები, ბოლქვაძეები, თავდგირიძეები, ღოღობერიძეები.

ზედა ბზუბზუ: აზნაურიშვილები, თავდგირიძეები, მალაყმაძეები, ნინიძეები, შოთაძეები, ღოღობერიძეები.

ბზუბზუს კოლმეურნეობა შეიქმნა 1938 წელს „პაპანინის" სახელწოდებით. 1942 წლის 11 აგვისტოს კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით პაპანინის სახელობის სოფ. ქვედა ბზუბზუს და სოფ. ზედა ბზუბზუს კოლმეურნეობები გაერთიანდა და ეწოდა პაპანინის სახელობის ქვედა ბზუბზუს კოლმეურნეობა. ეს კოლმეურნეობა 1961-1962 წლებში ეკუთვნოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო ინსპექციას, ხოლო 1963 წლიდან ექვემდებარება ქედის რაიონის საწარმოო სამმართველოს.

სოფ. ქვედა ბზუბზუს კოლმეურნეობა შეიქმნა 1938 წელს. მისი პირველი თავმჯდომარე იყო მუსტაფ გოგიტიძე.

კოლმეურნეობაში გაერთიანდა 23 ოჯახი, 50 მუშახელითა და 3 მოზარდით, კოლმეურნეობაში დაირგო 2 ჰექტარი თამბაქო.

1939 წლიდან ბზუბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მამუდ თავდგირიძე, რომლის ხელმძღვანელობით 1940 წლისათვის დაითესა მარცვლეული 35 ჰექტარი და დაირგო თამბაქო - 5 ჰექტარი.

1941 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე კვლავ მუსტაფ გოგიტიძეა, კოლმეურნეობაში მუშაობს 79 წევრი.

1942 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მამუდ ღოღობერიძე, კოლმეურნეობაში ირიცხება 243 მუშახელი.

1943 წლიდან ბზუბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ისევ მუსტაფ გოგიტიძე, – კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 81 კომლი.

1950 წლის 12 თებერვალს საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია მუსტაფ ვარშანიძე. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 605853 მანეთი, ერთ შრომადღეზე განაწილდა 11 მანეთი. გადაჭარბებით შესრულდა გეგმები.

1956 წლის 13 თებერვალს ბზუბზუს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ განამწესეს დურსუნ გოგიტიძე.

1959 წლის 9 ივლისის გამგეობის სხდომის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობამ დაიწყო ზედა ბზუბზუს დაწყებითი სკოლის მშენებლობა.

1960 წლის 3 მაისის კრების დადგენილებით მოწინავე კოლმეურნეობის წევრს ყედემ ღოღობერიძეს ყოველთვიურად მიეცა პენსია ასი მანეთის ოდენობით.

1961 წლის 30 იანვარს ბზუბზუს კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია თამაზ ღოღობერიძე.

1969 წლიდან ბზუბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ავთანდილ თავდგირიძე.

1973 წლის 29 იანვარს მზუბზუს კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს 1973 წლის 24 იანვრის დადგენილება და სისტემატურად გეგმების შეუსრულებლობისათვის სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამ-

გეობის თავმჯდომარე ავთანდილ თავდგირიძე.

კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია იბრაიმ ღოღობერიძე, რომელიც მალე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გალაქტიონ ღოღობერიძე. 1974 წლის 20 მარტს ბზუბზუს კოლმეურნეობა შეუერთდა მახუნცეთის კოლმეურნეობას.

უჩხითი

სახელწოდება უჩხითი „უჩხადან" უნდა მომდინარეობდეს და წვიმა-სიცივესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სოფელს მთა ეფარება და მზის სხივები ნაკლებად წვდება, სიცივეს აჭარისწყლის სიახლოვეც განაპირობებს.

სოფელში ცხოვრობენ: არჯევანიძეები, ბასკურიძეები, ბედინაძეები, გოგიძეები, გოჩაძეები, ვარდმანიძეები, დუმბაძეები, ირემაძეები, კახიძეები, კობალაძეები, ჟოჟაძეები, ცინცაძეები, წულუკიძეები.

ქოსოფელში ცხოვრობენ: აფხაზავები, ბასილაძეები, დუმბაძეები, კობალაძეები, ნაკაშიძეები, ცინცაძეები, ღოღაძეები.

უჩხითის კოლმეურნეობა შეიქმნა 1938 წლის 27 თებერვალს.

კრებამ არტელის თავმჯდომარედ აირჩია ჯემალ კობალაძე, კოლმეურნეობას ეწოდა „ჩკალოვის" სახელი.

კოლმეურნეობაში გამოიყო სამი ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანდა 23 მუშახელი. 1939 წლის აგვისტოში ჩატარდა უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრება ექვსჯერ და ყოველ კრებაზე 3-4 ოჯახის განცხადებას იხილავდა წევრად მიღების შესახებ.

1940 წლის 8 თებერვალს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საგაზაფხულო კულტურების თესვა-ხვნის გეგმა: სიმინდი - 80 ჰექტარი, თამბაქო - 6 ჰექტარი, კარტოფილი - 2,5 ჰექტარი, მრავალწლიანი ბალახეულების დათესვა - 1,09 ჰექტარი, ყამირის გატეხვა - 10 ჰექტარი. კრების მუშაობაში მონაწილეობდა ქედის რაიონის მიწგანის გამგე ა. დ. თხილაიშვილი.

1940 წლის 26 ივნისიდან უჩხითის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს იბრაიმ კობალაძე. 1940 წლის 4 აგვისტოს საერთო კრებამ სკოლის მშენებლობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა დაავალა ჯემალ კობალაძეს და შ. კახიძეს.

კოლმეურნეობის გამგეობას მკაცრ კონტროლზე ჰქონდა აყვანილი შრომის სავალდებულო მინიმუმის გამომუშავება კვარტლების მიხედვით და პერიოდულად იხილავდა შესაბამის საკითხებს.

1948 წლის 12 იანვარს საკუთარი განცხადების საფუძველზე საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლა იბრაიმ კობალაძე და ახალ თავმჯდომარედ არჩეულია ახმედ ცინცაძე.

1949 წლის 29 იანვარს კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარეობიდან გადააყენა ახმედ ცინცაძე და აირჩია ხუსეინ გოჩაძე. 1949 წლის 28 ნოემბერს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოისმინა საკითხი „სოფ. უჩხითის გზის სამუშაოზე მთლიანი მუშახელის გაყვანისა და ცალკე ბრიგადების მიხედვით აღნიშნულ სამუშაოზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფის შესახებ".

დაადგინეს: გამოიყოს ცალკეული პირები ბრიგადების მიხედვით.

№1 ბრიგადაში – შუქრი კახიძე

№2 ბრიგადაში – მევლუდ ირემაძე

№3 ბრიგადაში – მუსა კობალაძე

დაინიშნოს საერთო ხელმძღვანელად შუქრი კახიძე.

1950 წლის 6 ივლისს უჩხეთის „ჩკალოვის" სახელობის და მილისის „მალენკოვის" სახელობის კოლმეურნეობები შეერთდა, კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ(ბ) ქედის რაიკომის პირველი მდივანი სერგო ესაძე. კოლმეურნეობას ეწოდა „მალენკოვის" სახელი, კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხუსეინ გოჩაძე.

1950 წლის 20 სექტემბერს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხუსეინ გოჩაძე შეცვალა შუქრი ბეჟანიძით.

1951 წლის 22 თებერვალს საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე შუქრი ბეჟანიძე გაათავისუფლა სამუშაოდან და აირჩია ალი გორაძე, 1952 წლის 6 თებერვალს კი ხემდი ბედინაძე.

1955 წლის 15 იანვარს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ აღნიშნა, რომ 1954 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა მიაღწია 373400 მანეთს, მიღებულ იქნა სიმინდის მოსავალი 140 ჰექტარიდან 1330,94 ცენტნერი, თამბაქოს მოსავალი 173,84 ცენტნერი, კარტოფილის - 41,67 ცენტნერი, ბოსტნეულ-ბაღჩეული - 70 ცენტნერი, ხეხილი - 538,99 ცენტნერი, ყურძენი - 20,34 ცენტნერი, მეცხოველეობიდან მიღებულ იქნა რძე 10665 ლიტრი. კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი: ძროხა - 24 სული, ხარი - 33 სული, მოზარდი - 27 სული, ცხვარი - 69 სული, ფრინველი - 222 ფრთა, ფუტკრის ოჯახი - 13, ცხენი - 4.

1956 წლის 17 თებერვალს უჩხითის „მალენკოვის" სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით კოლმეურნეობა გაიყო და უჩხითის კოლმეურნეობის შემადგენლობაში დარჩა ქოსოფელი, ხოლო ნამლისევი და მილისი გაერთიანდა ერთ კოლმეურნეობად. უჩხითის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხემდი ბედინაძე აირჩიეს.

1959 წლის 17 თებერვალს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხუსეინ გოჩაძე.

1962 წლის 27 იანვარს ჩატარდა უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრება. კრებამ საკუთარი განცხადებით გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ხუსეინ გოჩაძე და გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ჯეფერ ჟოჟაძე, კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კპ. ქედის რაიკომის მდივანი ავთანდილ ლორთქიფანიძე.

1962 წლის 12 აგვისტოს საერთო კრების დადგენილებით დაკმაყოფილდა უჩხითის კოლმეურნეობის სოფელ ქოსოფლის მოსახლეობის მოთხოვნა და ქოსოფელში გაყვანილ იქნა სამანქანე გზა.

1963 წლის 18 იანვარს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია რესულ კახიძე.

1964 წლის 11 ივლისს გამგეობის სხდომამ განიხილა საკითხი ჩალეწილის ტერიტორიაზე ახალი სამანქანე გზის გაყვანის შესახებ.

1973 წლის 26 იანვრიდან უჩხითის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ოთარ ვარდმანიძე. 1974 წ. 19 მარტს გაერთიანდა უჩხითისა და ნამლისევის კოლმეურნეობა. 1978 წელს გაერთიანდა მახუნცეთის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები.

1975 წლის 8 მარტს უჩხითის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ო. ვარდმანიძე გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მახუნცეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო.

კრებამ უჩხითის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სანი ჟღენტი.

1987 წელს უჩხითის კოლმეურნეობა გამოიყო ცალკე და თავმჯდომარეობა მიენდო რუსლან ბასილაძეს.

დოლოგანი

დოლოგანი ხორბლის ჯიშ დოლიდან უნდა მომდინარეობდეს. ადრე აქ უხვად ითესებოდა ეს ხორბალი.

დოლოგნის კოლმეურნეობა რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. ჭალახმელაში ცხოვრობენ – ბედინაძეები, სურმანიძეები, შილაძეები, ღოღობერიძეები, ჟოჟაძეები.

საფარიძეებში – საფარიძეები, ჯაფარიძეები, მადაძეები, სვანიძეები.

დოხოძეებში – ბაჯელიძეები, დავითაძეები, ვარშანიძეები, კოჩაძეები, კურცხალიძეები, კვირიტიძეები, ლორთქიფანიძეები, ჩხაიძეები, ჯინჭარაძეები.

სახელმწიფო არქივში დოლოგნის კოლმეურნეობაზე საარქივო ჩანაწერები ინახება 1938 წლიდან. ამ დროისათვის დოლოგნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იყო რამიზ საფარიძე, 1938 წლისათვის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 25 ოჯახი, 69 შრომისუნარიანი მუშახელი და 10 მოზარდი 12-დან 16 წლამდე.

1944 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მუსტაფ ვარშანიძე. 1949 წლის 8 ოქტომბერს ავადმყოფობის გამო მუსტაფ ვარშანიძე განთავისუფლდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მამუდ ლორთქიფანიძე.

1950 წლის 10 თებერვალს დოლოგნის „ვოროშილოვის" სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ალი საფარიძე, ხოლო კოლმეურნეობის აგრონომად დაინიშნა თამარა გაგნიძე.

1950 წლის 13 აგვისტოს კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით დაიწყო კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის მშენებლობა, რისთვისაც გამოიყო 5 კაცი. 18 სექტემბერს საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია დაუთ ჩიტაძე, უმაღლესი განათლებით.

1951 წლის 12 თებერვალს საანგარიშო კრებაზე აღინიშნა, რომ 15 ჰექტარი სათამბაქოე ნაკვეთიდან თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 16,5 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად 11 ცენტნერისა, 145 ჰექტარი სიმინდის ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 10,3 ცენტნერი სიმინდი, ერთი ჰექტარი ვენახის პლანტაციიდან მიღებულია 80 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 74 ცენტნერისა, ხეხილი მიღებულია 806 ცენტნერი, ნაცვლად 233 ცენტნერისა, მსხვილფეხა პირუტყვის გეგმა იყო 93 სული, შესრულებულია 103, მათ შორის ძროხების გეგმა იყო 22 სული, სახეზეა 24 სული, ხარების გეგმა იყო 20, სახეზეა - 22 სული. წვრილფეხა საქონლის გეგმა იყო 45 სული, სახეზეა 46 სული, ფრინველის გეგმა იყო 250, სახეზეა 260 ფრთა, ფუტკრის ოჯახის გეგმა იყო 34, სახეზეა 40 ოჯახი, ფულადი შემოსავალის გეგმა იყო 403000 მანეთი, ფაქტიურად ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 508071 მანეთი, თამბაქოს დარგში გაიცა პრემია 36635 მანეთი.

1951 წლის შემოდგომაზე დოლოგნის კოლმეურნეობამ აამუშავა აგურ-კრამიტის ქარხანა.

1952 წლის 20 დეკემბრიდან დოლოგნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სერგო საფარიძე, 1959 წლიდან – ალი კოჩაძე.

1963 წლის 31 ივლისს დოლოგნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს დადგენილება და საკოლმეურნეო წესდების დარღვევისა და დაშვებული შეცდომებისათვის სამუშაოდან გაანთავისუფლა ალი კოჩაძე და საერთო კრებამ დოლოგნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სერგო საფარიძე.

1971 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 106 ტონა ჩაი, 18,1 ტონა თამბაქო, 10 ტონა ყურძენი, 33 ტონა ხილი, 7,5 ტონა ხორცი, 13 ტონა რძე, ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 163200 მანეთი, დაგეგმილზე 25000 მანეთით მეტი.

1972 წლის 14 ივლისს დოლოგნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე სერ-

გო საფარიძე გაათავისუფლეს სამუშაოდან და აირჩიეს ისმაილ ჯინჭარაძე, რომელიც 1973 წლის 16 ივნისს ჩაანაცვლა იოსებ ლორთქიფანიძემ.

1987 წლის აგვისტოში მახუნცეთის გაერთიანებულ კოლმეურნეობას გამოეყო დოლოგნის კოლმეურნეობა და თავმჯდომარედ გაამწესეს იოსებ ლორთქიფანიძე.

მახუნცეთის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 21 მარტს მახუნცეთის კოლმეურნეობის გაერთიანებასთან დაკავშირებულ მახუნცეთის, ზუნდაგის და ბზუბზუს კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრებას ესწრებოდნენ აჭარის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი მ. ეკიზაშვილი, საქ. კპ. ქედის რაიკომის მეორე მდივანი ე. გოგავა, ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ფ. დიასამიძე. კრებამ გადაწყვიტა გაერთიანებულ კოლმეურნეობას ეწოდოს მახუნცეთის კოლმეურნეობა და აპარატი განთავსდეს ბზუბზუს ყოფილი კოლმეურნეობის კანტორაში. კრებამ გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ყედირ ვერძაძე, მთავარ აგრონომად – შოთა შარაბიძე. შეიქმნა შვიდი ბრიგადა. 1974 წლის შემოსავალმა შეადგინა 315587 მანეთი.

1975 წლის 28 აპრილს მახუნცეთის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ყედირ ვერძაძე და აირჩია თამაზ ღოღობერიძე. 1976 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 337654 მანეთი.

1978 წლის 3 თებერვალს გაიმართა მახუნცეთის, უჩხითის და დოლოგნის კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საქ. კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე თ. მიქელაიშვილი, აჭარის სოცუზრუნველყოფის მინისტრი გ. მესხიძე, საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ა. თავდგირიძე, მეორე მდივანი ვ. ბოლქვაძე, რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ზანაქიძე, სახ. უშიშროების რაიონული განყოფილების უფროსი გ. ფევაძე. კრებამ განიხილა საკითხი მახუნცეთის კოლმეურნეობასთან უჩხითისა და დოლოგნის კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ. კრებას ესწრებოდნენ ყოფილი უჩხითისა და დოლოგნის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ს. ჟრენტი და ი. ლორთქიფანიძე.

კრებამ დაადგინა, გაერთიანებულ კოლმეურნეობას ეწოდოს სოფელ მახუნცეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. გაერთიანებული კოლმეურნეობის ადგილსამყოფად დაწესდეს სოფელ მახუნცეთის კოლმეურნეობის ცენტრი.

კრებამ გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია თამაზ ღოღობერიძე, კოლმეურნეობაში შეიქმნა 16 ბრიგადა, 56 საშტატო ერთეულით.

1983 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 760 ათას მანეთს, ნაცვლად დაგეგმილი 677 ათასისა.

1985 წლის 5 ივლისს თამაზ ღოღობერიძის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ გადაყვანის გამო მახუნცეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გივი საფარიძე.

1987 წლიდან მახუნცეთის გაერთიანებული კოლმეურნეობა გაიყო სამ კოლმეურნეობად. მახუნცეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მურად ბოლქვაძე, დოლოგნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ – იოსებ ლორთქიფანიძე და უჩხითის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ – რუსლან ბასილაძე.

1988 წლიდან კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა კოოპერატივები, მეცხოველეობის ფერმები გაიცა იჯარით და ამ დარგში საგანგაშო მდგომარეობა ჩამოყალიბდა, რასაც მოჰყვა პირუტყვის ჩამოწერა და ხორცკომბინატში ჩაბარება, მასიურად იწყება კოლმეურნეობების ნგრევა, ხალხის მიერ შექმნილი დოვლათის განადგურება.

ზვარის თემის კოლმეურნეობები
ზვარე

ზვარე, უძველესი ქართული სიტყვაა, იხსენიება 1392 წლის ერთ-ერთ სიგელში. ვენახის სამზეური მხარეა, დიდ ვენახსაც ნიშნავს (ა. რობაქიძე). ვანის რაიონში სახნავ-სათესს ზოგჯერ ორ ნაწილად ყოფდნენ: სამზეურ ზვარედ და ცივ-გრილად. ვენახის გასაშენებლად პირველს ირჩევდნენ.

სოფელ ზვარეში ცხოვრობენ: აბაშიძეები, ბერიძეები, გოგიტიძეები, მგზავრიძეები, ფალავანდიშვილები, ქობულაძეები, ჯაბნიძეები.

კოლმეურნეობა შეიქმნა 1932 წელს და ეწოდა „წითელარმიელი", რომელიც 1951 წლის 19 თებერვალს გაერთიანდა დიმიტროვის სახელობის სოფელ ზესოფლის კოლმეურ-ნეობასთან, ხოლო 1956 წლის 8 მარტის დადგენილებით კვლავ გამოიყო ცალკე.

1934 წლის საწარმოო გეგმაში ვკითხულობთ, რომ დაითესა საგაზაფხულო კულ-ტურები 3,25 ჰექტარზე. აქედან თამბაქო დაირგო 2,5 ჰექტარზე, კარტოფილი 0,25 ჰექტარზე, ნათესი ბალახი - 0,5 ჰექტარზე. ამ დროს კოლმეურნეობას გააჩნდა სასოფლო-სამეურ-ნეო ინვენტარი: სარწყავი - 2, გუთანი - 1, ვედრო - 3, თოხი 15 ც. მოეწყო ორი ბრიგადა 38 მუშახელით.

კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო ოსმან ჯაბნიძე, 1938 წელს კოლმეურ-ნეობის შემოსავალმა შეადგინა 20225 მანეთი. 1939 წლისათვის კოლმეურნეობაში სიით ირიცხებოდა 44 კომლი, დაირგო თამბაქო 3,5 ჰექტარზე, ვენახი - 0,3 ჰექტარზე, გაშენდა ხეხილი 1 ჰექტარზე.

1940 წლისათვის კოლმეურნეობაში იყო 47 კომლი, შრომისუნარიანი კოლმეურნე 87.

1941 წლიდან ზვარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ემინ გოგიტიძე.

1943 წლიდან კოლმეურნეობამ ქ. ბათუმში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაყიდად გახსნა სავაჭრო ობიექტები.

1945 წლის 12 თებერვალს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეო-ბის თავმჯდომარედ აირჩია სადიყ ქობულაძე.

1946 წლის საწარმოო გეგმით ზვარის კოლმეურნეობას ჰქონდა ერთწლიანი კულ-ტურები - 79 ჰა, სიმინდი - 70 ჰა, თამბაქო - 5 ჰა, კარტოფილი - 3 ჰა.

1946 წლის 16 ნოემბერს ზვარის კომეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ჯაბნიძე.

1948 წლის 13 ნოემბერს საერთო კრებამ აღნიშნა, რომ დასრულდა „ზვარეჰესი", რომელიც ელექტროენერგიას მისცემს ზვარეს, ზესოფელს, ვაიოს, კვაშტას. კოლმეურნეო-ბის საერთო კრებამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯელილ ბერიძეს ელექტროსადგურის მშენებლობაზე გაწეული დიდი მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა.

1951 წლის 19 თებერვალს გაერთიანდა ზვარისა და ზესოფლის კოლმეურნეობები, მაგრამ 1956 წლის 13 თებერვალს კვლავ გაიყო (ეს უკვე მეორედ), ზესოფლის კოლმეურ-ნეობაში დარჩა 46, ხოლო ზვარის კოლმეურნეობაში 45 კომლი. ზვარის კოლმეურნეო-ბის თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჯაბნიძე.

სოფელ ზვარიდან ბავშვები სკოლაში დადიოდნენ ვაიოს 7-წლიან სკოლაში. 1956 წლის 14 აგვისტოს კოლმეურნეობის მშრომელთა მოთხოვნით ზვარის ახალგახსნილ 7-წლიან სკოლას გადაეცა ზვარის კოლმეურნეობის კანტორის შენობა ერთი წლის ვადით.

1957 წლის 7 ოქტომბერს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე კარლო ჯაბნიძე ავადმყო-ფობის გამო და აირჩია ისმაილ ქობულაძე.

1958 წლის 21 მაისს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია მოედინ ჯაბნიძე.

1964 წლის 14 იანვარს საანგარიშო-საარჩევნო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხემიდ გოგიტიძე, რომელიც 1965 წლის 28 იანვარს შეცვალა მერდიალ მგზავრიძემ.

1968 წლის 11 ივნისს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ საგაზაფხულო სამუშაოების დაბალ დონეზე ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო გეგმების შეუსრულებლობისათვის მერდიალ მგზავრიძე გაათავისუფლა სამუშაოდან. თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ქობულაძე, რომლის მუშაობის დროს გაყვანილ იქნა სოფელში სამანქანე გზები, მეცხოველეობის ფერმებისათვის აიგო შენობები. 1971 წლის 10 თებერვალს კრებამ დააკმაყოფილა ს. ქობულაძის განცხადება და გაათავისუფლა გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ისევ მერდიალ მგზავრიძე გვევლინება.

1973 წლის 30 მარტს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია აბდულ ქობულაძე.

ვაიო

არსებობს თქმულება, როცა თურქები შემოესივნენ სოფელს, ქალიშვილი წყაროზე ყოფილა წასული, უკან მობრუნებულს მშობლები დახოცილი დახვდა, სახლ-კარი გადამწვარი, ქალიშვილს „ვაიმეო" შეუკივლია და მწუხარებისგან გარდაცვლილა. ამიტომაც დარქმევია სოფელს ეს სახელი.

ვაიო ძველი სოფელია, აქ ცხოვრობენ: ანანიძეები, ბერიძეები, ბოლქვაძეები, გორგილაძეები, გოგიტიძეები, დავითაძეები, დევაძეები, თებიძეები, კონცელიძეები, ლორთქიფანიძეები, მახაჭაძეები, მარკოიძეები, შერვაშიძეები, შავიშვილები, ჩიკვაიძეები, ტეტემაძეები, ჯაყელები, ჭაღალიძეები, ქათამაძეები.

ვაიოს კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს, 1936 წელს ეწოდა სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობა.

1950 წელს სოფელ ვაიოსა და სოფელ კვაშტის კოლმეურნეობები ვაიოს სახელით გაერთიანდნენ.

1956 წლის 19 თებერვლის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობები კვლავ გაიყო და ვაიოს კოლმეურნეობას მიეკუთვნა მ. ცხაკაიას სახელი.

კოლმეურნეობას 1934 წლისათვის გააჩნდა 18,15 ჰა. მიწის ნაკვეთი, საწარმოო გეგმით დაითესა სიმინდი 6,15 ჰა, დაირგო თამბაქო - 11,5 ჰა. 1934 წელს გაშენდა ვენახი 0,75 ჰა, ხეხილის ბაღი - 0,25 ჰა, შეიქმნა ორი მემცენარეობის ბრიგადა, 36 მუშახელით.

1935 წლისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო იაკობ გორგილაძე, გამგეობის წევრები იყვნენ ხაჯი შავიშვილი, იზეთ ნიჟარაძე, სულეიმან ტეტემაძე, ე. ლორთქიფანიძე, მ. მახაჭაძე, ი. დავითაძე. 1937 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ახმედ ლორთქიფანიძე, რომელიც მალე დააპატიმრეს.

1937 წლის 21 ივლისიდან ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა იბრაიმ მახაჭაძე, 1937 წლის 23 აგვისტოს საერთო კრებამ გამგეობის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე სალიხ დავითაძე გაათავისუფლა მოვალეობისაგან და გამოიყვანა გამგეობის შემადგენლობიდან, რადგან დააპატიმრეს.

1937 წელს კოლმეურნეობაში გააერთიანეს: ხასან მახაჭაძემ - 1 გუთანი, მემედალ ლორთქიფანიძემ - 1 გუთანი, მირალი შავიშვილმა - 1 ხარი, ზაბით დავითაძემ - 1 ხარი და 1 გუთანი, იზეთ ნიჟარაძემ - 1 ხარი და 1 გუთანი, აბდულ მახაჭაძემ - 1 ხარი, 1 გუთანი, იბრაიმ მახაჭაძემ - 1 ხარი, ყებას ლორთქიფანიძემ - 1 ხარი, მურად ტეტემაძემ - 1 ხარი, 1 გუთანი, მამუდ ჭაღალიძემ - 1 ხარი, ისმაილ დავითაძემ - 1 ხარი, 1 გუთანი, ხასან

ჩიკვაიძემ –1 ხარი, აბდულ ჩიკვაიძემ – 1 ხარი, ხუსია შავიშვილმა – 1 ხარი, მახაჭაძე აბდულ დაუთის ძემ – 1 ხარი, ერთი გუთანი, აბდულ მახაჭაძემ – 1 ხარი და 1 გუთანი, ხასან დავითაძემ – 2 ხარი, 1 გუთანი; ქონების გაერთიანება მოხდა 22 აგვისტოს.

1940 წლის 19 ივლისს ვაიოს კომეურნეობის საერთო კრებამ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით კლმეურნეობის თავმჯდომარე იბრაიმ მახაჭაძე გაათავისუფლა სამუშაოდან და აირჩია აბდულ მახაჭაძე.

1941 წლის 14 აპრილს კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაამტკიცა საწარმოო გეგმა: სიმინდის დათესვა 45 ჰა, თამბაქოს დარგვა - 13 ჰა, კარტოფილის გაშენება - 2,5 ჰა.

1941 წლის 26 ივნისს საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია უმიან მახაჭაძე, ხოლო 1942 წლის 3 თებერვალს – სულეიმან მახაჭაძე.

1944 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა იბრაიმ მახაჭაძე. 1946 წლიდან - აბდულ მახაჭაძე.

1950 წელს ვაიოსა და კვაშტის კოლმეურნეობები გაერთიანდა, მაგრამ 1956 წლის 19 თებერვალს ისევ გაიყო. ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კონსტანტინე გონიადი. კოლმეურნეობას ეწოდა მ. ცხაკაიას სახელი.

1958 წლის თებერვლიდან ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა დავით დავითაძე. 1960 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა მიაღწია 400595 მანეთს. ერთ შრომადღეზე განაწილდა 9,94 მანეთი პრემიის ჩათვლით. 1959 წელს ვაიოს კოლმეურნეობას ესტუმრა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე, ის 30-იან წლებში სტუდენტობის დროს პრაქტიკაზე იმყოფებოდა ვაიოში გეოლოგებთან. ღამეს ითევდა იაყუფ ტეტემაძესთან, ამჯერადაც მოიკითხა იაყუფ ტეტემაძე და სთხოვა, ეამბნა რა უჭირდა სოფელს. ძველი გულკეთილი მასპინძელი, რომ გზები არ გვივარგა და სოფელს სჭირდება DT-75 ტიპის ტრაქტორი. სოფელს მოთხოვნა იმავე წელს შეუსრულა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ.

1962 წლის თებერვლიდან ვაიოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ხასან ჩიკვაიძე.

1966 წლის 15 ოქტომბერს ვაიოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა ვაიო-კვაშტის ხიდის მშენებლობის საკითხი და აღნიშნა, რომ დაკიდული ხიდის რემონტისათვის ყოველწლიურად დიდძალი მასალა იხარჯება და საჭიროა აიგოს ახალი რკინა-ბეტონის ხიდი მდინარე აჭარისწყალზე. კრებაზე აღინიშნა, რომ ხიდის მშენებლობას უხელმძღვანელებს აჭარის საგზაო ინჟინერი გოგიჩაიშვილი, სოფელ კვაშტიდან ხელმძღვანელი იქნება მემედ ბერიძე, ხიდის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან ჩიკვაიძე.

კრებამ გადაწყვიტა, რომ ხიდის მშენებლობა დამთავრდეს 1967 წლის 1 ნოემბრამდე.

1967 წლის იანვრიდან ვაიოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ისმაილ ტეტემაძე.

1968 წლის 28 იანვარს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ტეტემაძის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ ვაიო-კვაშტის ხიდის მშენებლობაზე 1967 წელს ჩამოისხა საყრდენი ბოძები და მთავრობამ მშენებლობისათვის შეაჩერა თანხების გამოყოფა, კრებამ სთხოვა რაისაბჭოს აღმასკომს დახმარების გაწევა ზემდგომი ორგანოების წინაშე.

1971 წლის 7 ივლისს სოფელ ვაიოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ისმაილ ტეტემაძე და აირჩია შუქრი ჭაღალიძე.

1971 წლის 20 სექტემბერს ვაიოს კოლმეურნეობის საერთო კრება თხოვს ქედის რაისაბჭოს აღმასკომს, ვაიო-კვაშტის სამანქანე ხიდის დამთავრებისათვის გამოუყოს 100 ძირი წაბლისა და მუხის ხე.

1973 წლის 6 თებერვალს ვაიოს კლმეურნეობის საერთო კრებამ გაათავისუფლა

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შუქრი ჭაღალიძე და აირჩია ენვერ ჩიკვაიძე.

1974 წლის 5 თებერვალს ვაიოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია სერგო მახაჭაძე.

ზესოფელი

ზესოფელი მზიანი სოფელია და აქედან წარმოდგება მისი სახელიც. აქ ცხოვრობენ: ავალიანები, ბერიძეები, გორგილაძეები, თურმანიძეები, ილიაიძეები, ჩხეიძეები.

კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს სახელწოდებით „10 წლისთავი". საერთო კრების 1950 წლის 21 ივნისის დადგენილებით ეს კოლმეურნეობა გაერთიანდა „წითელი არტელის" სოფელ ზვარის კოლმეურნეობასთან, მაგრამ 1956 წელს ისევ გამოეყო.

1932 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა წევრები: მამაკაცი - 26, დედაკაცი - 2, მოზარდი - 25, კოლმეურნეობას გააჩნდა მიწის ნაკვეთი - 8,5 ჰექტარი.

1934 წლისათვის დაირგო და დაითესა საგაზაფხულო კულტურები - 19,75 ჰექტარზე, მათ შორის სიმინდი - 12 ჰ-ზე, თამბაქო - 7,5 ჰა-ზე, ნათესი ბალახი - 0,25 ჰა-ზე.

1935 წლის კოლმეურნეობის საწარმოო გეგმას ხელს აწერს თავმჯდომარე ხასან ბერიძე.

1936 წლის 14 მარტს საერთო კრებამ დაადგინა, სოფელში გამოყვანილ იქნას სარწყავი არხი და ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალოს კომეურნეობის თავმჯ-დომარეს ხასან ბერიძეს.

1936 წლის 30 ნოემბრის საერთო კრებაზე დაისვა საკითხი, გაიხსნას სავაჭრო წერტი ქ. ბათუმში.

კოლმეურნე წევრი კოლმეურნეობაში შესვლისა და გაწევრებისთვის იხდიდა 20 მანეთს.

1938 წლის 4 მარტის კრებამ დაადგინა, ვინაიდან ხასან ბერიძე იშენებს სახლს და არ ცალია, დროებით თავმჯდომარედ დაინიშნოს ქაზიმ ბერიძე.

1939 წლისათვის გამოიყო ბრიგადა ფერმის ასაშენებლად. აგრეთვე გამოიყო კომი-სია პირუტყვის შესაძენად.

სარწყავი არხის მშენებლობა გაჭიანურდა, რის გამოც 1939 წლის 31 აგვისტოს საერთო კრებამ ხასან ბერიძე გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯ-დომარეობიდან და აირჩიეს ხუსია ბერიძე. კრებას ესწრებოდა საქ. კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი დიომიდე ხელაძე.

1939 წლის 27 ოქტომბრის გამგეობის სხდომამ გამოყო ბრიგადა არხის მშენებლო-ბისათვის, რომლის წევრები იყვნენ:

1. გორგილაძე სულეიმან, – ხელმძღვანელი.
2. გორგილაძე მურად მევლუდის ძე
3. გორგილაძე ისმაილ ხასანის ძე
4. გორგილაძე ყედირ ახმედის ძე
5. გორგილაძე ისკენდერ ახმედის ძე
6. ბერიძე შუქრი მემედის ძე
7. ბერიძე ოსმან მემედის ძე
8. ბერიძე მამუდ ახმედის ძე
9. ჩხეიძე მეჯიდ სულეიმანის ძე
10. თურმანიძე მუსა ემინახმედის ძე
11. ბერიძე ახმედ სულეიმანის ძე

1940 წლის 21 მარტს ზესოფლის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეო-ბის გამგეობის თავმჯდომრად აირჩია ისმაილ გორგილაძე.

1941 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ხასან ბერიძე. 1944 წლის საანგარი-შო მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა - 5,65

მან., სიმინდი - 1,233 კგ.

1945 წლიდან ზესოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს ისმაილ გორგილაძე.

1950 წლის 3 თებერვალს საანგარიშო კრების მასალებში ვკითხულობთ, რომ საერთო შემოსავალმა შეადგინა 175138 მანეთი, მემცენარეობიდან 132687 მანეთი და მეცხოველეობიდან - 1900 მანეთი, სხვადასხვა დარგებიდან 35062 მანეთი, ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა 5 მანეთი.

1951 წლის 19 თებერვალს გაერთიანდა ზვარისა და ზესოფლის კოლმეურნეობები. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს იბრაიმ მახაჭაძე.

1952 წლისათვის ზვარის კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ელექტროსადგური, 1952 წლის 7 მაისს საერთო კრებამ დაადგინა ნათურაზე განისაზღვროს გადასახადი 2 მანეთის ოდენობით, სადგურის გამგე იყო საიდ ბერიძე და ელექტრო მონტიორი ალიოსმან მგზავრიძე. ელექტროსადგური ამუშავდა 1952 წლის 1 მაისიდან.

1954 წლის 1 თებერვალს ზვარის კომეურნეობის საერთო კრებამ იბრაიმ მახაჭაძე გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან (ის სამი წლით მობილიზაციით იყო გამოზავნილი თავმჯდომარედ სოფელ ვაიოდან) და აირჩია ედემ ჯაბნიძე.

1956 წლის 13 თებერვალს ზვარისა და ზესოფლის კოლმეურნეობები გაიყო. ზესოფლის კოლმეურნეობას ეწოდა გიორგი დიმიტროვის სახელი. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ბესარიონ ბერიძე. კრების მუშაობაში მონაწილეობდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე თხილაიშვილი.

1957 წლის 22 იანვარს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბესარიონ ბერიძემ შეიტანა განცხადება თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შესახებ, რადგან ბათუმის რაიონში გადავიდა მუდმივ საცხოვრებლად, თუმცა კოლმეურნეობის საერთო კრებამ არ გაათავისუფლა სამუშაოდან.

1957 წლის 18 ივლისს საერთო კრებამ კომეურეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხულუს ბერიძე.

1962 წლის 30 იანვარს ზესოფლის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შოთა ბერიძე.

1964 წლის 10 იანვარს საერთო კრებამ დაამტკიცა ინვენტარიზაციის შედეგები: მსხვილფეხა საქონელი 73 სული, სიმინდი - 125 ცენტნერი, წვრილი ინვენტარი 434 მანეთის, სულ გამომუშავებული შრომადღეებია 19354, ჩამოწერილი შენობა-ნაგებობები 391 მანეთის.

1966 წლის 28 იანვარს ზესოფლის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ბერიძე შალვა ოსმანის ძე.

1969 წლის 28 იანვარს ზესოფლის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომრად აირჩია დომენტი ბერიძე. 1970 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 20 ტ. თამბაქო, ნაცვლად 14 ტონისა, 15 ტ. ყურძენი, ნაცვლად 12 ტონისა, 18 ტ. ჩაი, ნაცვლად 17 ტონისა.

1974 წლის 19 მარტს ზესოფლის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება ზვარის საბჭოში ერთი კოლმეურნეობის შექმნის შესახებ (ცალკე კოლმეურნეობად დარჩა წონიარისი).

ხვაშტა

სოფელ კვაშტაში ცხოვრობენ: ბერიძეები, ბოლქვაძეები, გათენაძეები, გორგილაძეები დოლიძეები, დიასამიძეები, დავითაძეები, კონცელიძეები, სირაბიძეები, ჯაყელები.

კვაშტის კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს სახელწოდებით „საერთო შრომა".

კოლმეურნეობის საერთო კრების 1950 წლის 13 ივნისის დადგენილებით სტახანოვის სახელობის სოფელ ვაიოს კოლმეურნეობა და სოფელ კვაშტის კოლმეურნეობა

„საერთო შრომა" გაერთიანდნენ. 1957 წელს ეწოდა სოფ. კვაშტის კოლმეურნეობა.

კვაშტის კოლმეურნეობის 1934 წლის წლიურ ანგარიშს ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. გორგილაძე. მაშინ კოლმეურნეობას ჰქონდა 6,5 ჰექტარი თამბაქო, შექმნილი იყო 3 ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 42 კოლმეურნე წევრი. სულ ამ წელს შემოსავალმა შეადგინა 7977 მანეთი.

1938 წლის საწარმოო გეგმას ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოსმან გათენაძე.

1940 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ზექერია გათენაძე. ამ წლის შემოსავალმა შეადგინა 38460 მანეთი.

1941-1942 წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მახაჭაძე იბრაიმ სულეიმანის ძე. დაითესა სიმინდი 67 ჰექტარი, დაირგო თამბაქო 15 ჰექტარი, დაირგო კარტოფილი 3,5 ჰექტარი. შემოსავალმა შეადგინა 43448 მანეთი. კოლმეურნეობას ჰყავდა პირუტყვი 68 სული, მათ შორის ძროხა - 18 სული, გამწევი ძალა - 42 სული.

1942-1946 წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ისკენდერ კონცელიძე. კოლმეურნეობაში ირიცხება 83 კომლი.

1946 წლის მაისიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ხუსია სირაბიძე.

1950 წლის 13 ივნისს გაიმართა კვაშტის და ვაიოს კოლმეურნეობების საერთო კრება შეერთების შესახებ და კოლმეურნეობას ეწოდა ა. მიქოიანის სახელი, თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლევან სირაბიძე.

1950 წლის 14 სექტემბერს კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარე ლევან სირაბიძე გაანთავისუფლა თანამდებობიდან და აირჩიეს ვლადიმერ ჩიკვაიძე. ორი წლის შემდეგ კი გაათავისუფლეს... დაპატიმრების გამო.

საინტერესოა, – კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა ასეთი ინტენსიური, ხშირი ცვლილება უმტკივნეულოდ როდი ხორციელდებოდა. გეგმა ჩავარდა? სხვა რამ გაუთვალისწინებელი მოხდა? პასუხს აგებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მკაცრად ისჯებოდა.

ფაქტი ფაქტად რჩება – საბჭოეთის ეპოქა ვერასდროს ასცდა მასობრივ რეპრესიებს. თუ 1937 წელი იყო ისტორიაში უმაგალითო, საყოველთაო ტერორის ეპოქა, სტალინის სიცოცხლეში დროდადრო იფეთქებდა ის საზარელი „წმენდა", არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ შეხებოდა საშინელი ინკვიზიციის ქარცეცხლი.

1950-1952 წლებში პასუხისგებაში მისცეს უამრავი ხელმძღვანელი მუშაკი. საბჭოეთს ახალი რეპრესიების ტალღამ გადაუარა. ვერც ქედის რაიონი ასცდა ამ საშინელებას. ბევრ პასუხისმგებელ პირთან ერთად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებიც ციხეში აღმოჩნდნენ.

ვლ. ჩიკვაიძე დააპატიმრეს ცრუ, მოგონილი ბრალდებით, ოცწლიანი მუხლი წაუყენეს. ვაიო-კვაშტის გაერთიანებული კოლმეურნეობის მაგალითზე: საპატიმროში აღმოჩნდნენ მთავარი ბუღალტერი მემედ სირაბიძე, ასევე – საწყობის გამგე, მოლარე – მოანგარიძე, მძღოლი, ფერმის გამგე.

მთელი რვა თვის განმავლობაში გრძელდებოდა სასამართლო პროცესი.

ასევე დააპატიმრეს კანტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუსა ბერიძე, აბუქეთის – ხუსია ბერიძე და ბევრი სხვაც.

ბრალდებამ დანაშაული ვერ დაუმტკიცა ვლადიმერ ჩიკვაიძეს. ეცნობი საარქივო მასალებს და გაკვირვებული რჩები აბსურდული, არარსებული დანაშაული გრანდიოზულობით, რომლის ჩადენა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. ეს ყოველივე მსჯელობა-განსჯის ცალკე თემაა – ისტორიული ძნელბედობისა, ხალხის ტანჯვაში გამოსახული.

1953 წლის მაისში ვლ. ჩიკვაიძე გაათავისუფლეს, სამუშაოზე აღადგინეს, ნაცდური ანაზღაურებაც დაურიცხეს.

პედაგოგიური სარბიელი არჩია – იყო აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მედლების, საპატიო სიგელების, სამკერდე ნიშნების მფლობელი. პერსონალურ პენსიაზე გასული კი ღირსების ორდენით დააჯილდოეს.

1930 წლის შემოსავალმა შეადგინა 601702 მანეთი. ერთი შრომადღის ღირებულებამ 9,2 მანეთი. მემცენარეობიდან შემოსული იყო 543,889 მანეთი, მეცხოველეობიდან 12250 მანეთი, სხვა დარგებიდან 46563 მანეთი.

1952 წლიდან გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა დავით დავითაძე.

1954 წლის 9 აგვისტოს ვაიო-კვაშტის ა. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ზექერია გათენაძე. საერთო კრებას ესწრებოდა რაიკომის მდივანი ვლადიმერ კიკვაძე. 1955 წლის 14 ივნისს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქ. კპ. ქედის რაიკომის ინსტრუქტორი კონსტანტინე გონიადი.

1956 წლის 19 თებერვალს ვაიოსა და კვაშტის კოლმეურნეობის გაერთიანებულმა კრებამ მიიღო დადგენილება კოლმეურნეობის გაყოფის შესახებ და კვაშტის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ისრაფილ სირაბიძე.

1958 წლის 9 თებერვალს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე სირაბიძე.

1959 წლის 27 აგვისტოს საერთო კრებამ ალექსანდრე სირაბიძე გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან ქედის რაისაბჭოს აღმასკომში გადაყვანის გამო. საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია მამია სირაბიძე.

1962 წლის 27 იანვარს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ჯელალ გათენაძე, ხოლო 1964 წლის 3 თებერვლის კრებამ ქამილ გიორგაძე, რომელიც 1965 წლის 7 ივლისს შეცვალა ისრაფილ სირაბიძემ.

1968 წლის 15 ივნისს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ ნაკაშიძე, თავმჯდომარედ აირჩია სულეიმან კონცელიძე.

1969 წლის 5 ივნისს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით კვაშტის კოლმეურნეობის კანტორის შენობა გადაეცა ახლად გახსნილ კვაშტის 8-წლიან სკოლას და მისი შეკეთება იკისრა კოლმეურნეობამ.

1969 წლის 29 აგვისტოს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით გადაწყდა სოფელ კვაშტაში პურის საცხობის აშენება.

1973 წლის 10 თებერვალს კვაშტის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შოთა გათენაძე.

ზვარის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 20 მარტი, ზვარის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები: ზვარე, ზესოფელი, ვაიო, კვაშტა გაერთიანდა ერთ კოლმეურნეობად. კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ თავდგირიძე და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დავით დიასამიძე.

რწმუნებულთა კრებამ ზვარის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია მოედინ ჯაბნიძე, გამგეობის წევრებად – სერგო მახაჭაძე, დომენტი ბერიძე, შოთა გათენაძე, ყებას გათენაძე, ეუბ დიასამიძე, ახმედ ბერიძე, მეჯიდ მგზავრიძე, ემინახმედ ლორთქიფანიძე, ეთერ კონცელიძე, ენვერ ჩიკვაიძე. მთავარ აგრონომად დაინიშნა სერგო მახაჭაძე. ჩამოყალიბდა 6 ბრიგადა.

1975 წლის წლიურმა შემოსავალმა 255567 მანეთის ნაცვლად მიაღწია 422037 მანეთს. ერთ კაცდღეზე განაწილდა 4,42 მანეთი.

ზვარის გაერთიანებულ კოლმეურნეობის პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა კოლმეურნეობის ეკონომისტი დომენტი ბერიძე. 1978 წლის 19 სექტემბერს ზვარის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის

გამგეობის თავმჯდომარე მოედინ ჯაბნიძე და აირჩია მამია სირაბიძე. 1984 წლის 27 ივლისს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა მთავარი აგრონომი სერგო მახაჭაძე, მისი ქედის რაიონის საკვებწარმოების თავმჯდომარედ დანიშვნის გამო. საერთო კრებამ მთავარ აგრონომად და თავმჯდომრის მოადგილედ აირჩია შალვა ბერიძე. 1985 წლის 2 თებერვალს ზვარის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დააკმაყოფილა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მამია სირაბიძის თხოვნა და გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

კრებამ ზვარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დავით ფალავანდიშვილი.

1987 წლის 9 თებერვალს ზვარის კომეურნეობის საერთო კრებამ გაათავისუფლა სამუშაოდან დავით ფალავანდიშვილი და გამოიყვანა გამგეობის შემადგენლობიდან.

კრებამ ზვარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია წონიარისის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გიორგი ტაკიძე.

1987 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა თამბაქო 98.3 ტონა ნაცვლად 85 ტონისა. მეთამბაქოეობიდან შემოსავალმა შეადგინა 518,370 მანეთი, ერთი მეთამბაქოის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 978 მანეთი. კოლმეურნეობის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 805000 მანეთი, ხოლო კოლმეურნის წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 1877 მანეთი.

1988 წლისათვის ზვარის ტერიტორიაზე მოქმედებდა ორი ბაგა-ბაღი – სოფელ ვაიოში და სოფელ ზესოფელში.

1990 წლის 16 აგვისტოს ზვარის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ტაკიძე გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მისი ქედის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის უფროსად დანიშვნის გამო.

კრებამ კომეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დააკისრა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს თამაზ ჯაბნიძეს.

1992 წლის 25 სექტემბრიდან ზვარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ილია სირაბიძე.

1994 წლის 24 მაისიდან ზვარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოოს უფროსად დანიშნეს მამია სირაბიძე.

წონიარისის თემის კოლმეურნეობები
სოფელი კანტაური

კანტაური-ტიბეთაში ცხოვრობენ: აბაშიძეები, ბერიძეები, ჯიჯავაძეები, ფალავანდიშვილები, წულუკიძეები, ხალვაშები, კონცელიძეები.

კანტაურის კოლმეურნეობა შეიქმნა 1933 წელს, როგორც მიწის ამხანაგური დამუშავების ფორმა, რომელიც. 1938 წელს გადავიდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე. 1950 წელს გაერთიანდა აბუქეთის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობასთან.

1938 წლისათვის კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 20 კომლი 126 სულით. კოლმეურნეობაში მუშაობდა 35 ქალი-კაცი, ამ წელს კოლმეურნეობამ ჩააბარა სახელმწიფოს 39 ცენტნერი თამბაქო, 11754 მანეთის. ამ დროისათვის კოლმეურნეობას გააჩნდა 7,6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი (თავმჯდომარეა მამუდ ჯიჯავაძე).

1940 წლისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მამუდ ახმედის ძე ხალვაში. 1941 წლის საწარმოო გეგმაში ვკითხულობთ: დაითესოს სიმინდი 42 ჰექტარი, გაშენდეს თამბაქო 6,5 ჰექტარი, დაირგოს კარტოფილი 3 ჰექტარი, დაითესოს ჭვავი 3 ჰექტარი, გაშენდეს ვენახი 1,5 ჰექტარი. კოლმეურნეობაში იყო 2 ბრიგადა 73 მუშახელით, მამაკაცი

24, ქალი 21, მოზარდი 28.

1943 წლიდან კანტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა მუსა ბერიძე.

1950 წლის 29 იანვარს კანტაურის „საქნავთობის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მუსა ბერიძის საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ შეადგინა 112,69 ცენტნერი, თამბაქოს მოსავალია 75,54 ცენტნერი, კარტოფილის 143,46 ცენტნერი, ბაღჩეულის მოსავალი 3,43 ცენტნერი, ხეხილის 51,91 ცენტნერი, ყურძნის 99,44 ცენტნერი, სულ შემოსავალმა შეადგინა 138 680 მანეთი. კოლმეურნეებს გაუნაწილდათ შრომადღეებზე 62243 მანეთი, ერთ შრომადღეზე გაიცა 5,52 მანეთი.

1950 წლის 23 ივნისს სოფელ კანტაურის „საქნავთობის" სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა, როგორც მცირეძალოვანი კოლმეურნეობა, მცირე მუშახელით, შეუერთდეს სოფელ აბუქეთის კოლმეურნეობას.

აბუქეთა

აბუქეთაში ცხოვრობენ: ბერიძეები, თედორაძეები, მამულაძეები, ხალვაშები.

აქ კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს, ჩკალოვის სახელობის. 1950 წლის 23 ივნისის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით აბუქეთის კოლმეურნეობა და კანტაურის „საქნავთი" გაერთიანდა. 1957 წლის ოქტომბრიდან ეწოდა სოფ. აბუქეთის კოლმეურნეობა.

ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო საბჭოს აბუქეთის კოლმეურნეობაში დაარსებისას გაერთიანდა 18 კომლი 139 სულით.

1940 წლისათვის, ანგარიშების მიხედვით, კოლმეურნეობა ფლობდა 12,30 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. 1946 წლისათვის კი 245,41 ჰა. ამ დროსათვის კოლმეურნეობაში იყო 39 გლეხური მეურნეობა.

1950 წლიდან კოლმეურნეობა კანტაურის კოლმეურნეობასთან გაერთიანების შემდეგ, ფლობდა 568,6 ჰა მიწის ფართობს.

1951 წლიდან რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე აბუქეთა გამოეყო ცხმორისის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ზვარის სასოფლო საბჭოს.

აბუქეთის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე 1931 წლიდან იყო ხუსია ბერიძე.

1938 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა თამბაქო 45,7 ცენტნერი, თანხით 16387 მანეთის.

1940 წლისათვის, აბუქეთის კოლმეურნეობაში საკარმიდამო მიზომილი ჰქონდა 41 კომლს, სულ ფართობით 20,04 ჰექტარი.

1941 წლისათვის კოლმეურნეობას ჰყავდა სამი ბრიგადა, დაითესა სიმინდი - 41,2 ჰექტარი, თამბაქო - 8 ჰექტარი, კარტოფილი - 6 ჰექტარი.

1947 წლისათვის კოლმეურნეობაში იყო 81 მუშახელი, კაცი 47, ქალი - 34, მიღებულ იქნა სიმინდი 235,4 ცენტნერი, ლობიო - 3,7 ც, თამბაქო - 73,3 ც, კარტოფილი - 263 ც, კარაქი - 157კგ. სულ ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 146,230 მანეთი. განაწილდა ერთ შრომადღეზე 8,8 მანეთი.

აბუქეთის კოლმეურნეობას ქ. ბათუმში ჰქონდა ხილის სავაჭრო წერტი.

1947 წლის 5 სექტემბერს აბუქეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაადგინა წონიარისის მდინარეზე დაწყებული ელექტროსადგურის მშენებლობაში მიეღოთ წილობრივი მონაწილეობა.

1950 წლის 11 თებერვალს აბუქეთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას ესწრებოდა ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ყედირ ჩხეიძე; კრებამ აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ფელულ ბერიძე. აქამდე 19 წლის მანძილზე ხალხსა და სახელმწიფოს ერთგულად და თავდადებულად ემსახურა ხუსია ბერიძე. ის მრავალჯერ იყო არჩეული ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკო-

მის თავმჯდომარის მოადგილედ და ასრულებდა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ აბუქეთიდან რეპრესიების დროს ერთი კაციც არ მიუციათ პასუხისგებაში. აბუქეთელი მერჯან ბერიძე შინსახკომმა დააპატიმრა, მაგრამ ხუსია ბერიძემ ყველა შეაწუხა, ვისთანაც შეძლო და ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

1950 წლის 23 ივნისს აბუქეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია მუსა ბერიძე.

მუსა ბერიძე 1951 წლის დეკემბერში გადაასახლეს შუა აზიაში და 1951 წლის 30 დეკემბერს აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ისრაფილ ჯიჯავაძე, სპეციალობით აგრონომი.

1954 წლის 9 იანვარს საერთო კრებამ დაადგინა სარეალიზაციოდ გამოყოფილი პროდუქტის რაოდენობა და ფასები: ღვინო - 5395 ლიტრი, 1 ლ. 10 მანეთი, არაყი 120 ლიტრი, ერთი ლიტრი 30 მანეთი, კარაქი 50,7 კილოგრამი, 1 კილოგრამი 30 მანეთი, ყველი 118 კილოგრამი, 1 კილოგრამი 10 მანეთი, ნადუღი 180 კგ, ერთი კილოგრამი 5 მანეთი, კარტოფილი 4800 კგ, ერთი კილოგრამი 1 მანეთი, ლობიო 858 კგ, 1 კგ 8 მანეთი.

1955 წლის 18 თებერვალს აბუქეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადასახლებიდან დაბრუნებული მუსა ბერიძე აირჩია ისევ. კრებას ესწრებოდა რაიკომის მდივანი არჩილ ტაკიძე, მუსა ბერიძის თავმჯდომარედ არჩევას ზოგიერთი ბიუროს წევრი და განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკები უსიამოვნოდ შეხვდნენ. სოფელმა იცოდა, რომ ის უდანაშაულოდ გაასახლეს და ამის გამო ერთხმად დაუჭირეს მხარი მის თავმჯდომარედ არჩევას.

1950 წლის 18 დეკემბერს აბუქეთის და კანტაურის კოლმეურნეობები, რომლებიც შეერთდა 1956 წელს, კვლავ გაიყო ორ კოლმეურნეობად.

აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს უშანგი სეიდის ძე ბერიძე.

1964 წლის 15 აპრილს აბუქეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულია მუედინ თედორაძე, კოლმეურნეობის ბუღალტერი.

1966 წლისათვის აბუქეთის კოლმეურნეობას დაქირავებული ჰყავდა ტრაქტორი და სოფლის ცალკეულ უბნებში მიმდინარეობდა სამანქანე გზის მშენებლობა. 3 სექტემბრის კრებაზე დაადგინეს, სოფლის ყველა უბანში გაეყვანათ სამანქანე გზა და განისაზღვრა მომუშავეთა ანაზღაურება. ამფეთქებელს 7 საათის მუშაობისათვის მიეცა 5 მანეთი, ქვის მბურღავს – 3,5 მანეთი, სხვა დამხმარეებს – 2,15 მანეთი.

1966 წლის დეკემბერში კოლმეურნეობამ ბიბლიოთეკისა და საექთანო პუნქტისათვის შეიძინა შენობა. 1967-1968 წლებში მიმდინარეობდა აბუქეთის სამანქანე ხიდის მშენებლობა.

1969 წლიდან აბუქეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა უშანგი ბერიძე.

1972 წლის 17 მარტს საკუთარ განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ფელულ ბერიძე.

ნონიარისი

წონიარისის კოლმეურნეობა შეიქმნა 1929 წელს „ლენინის დროშის" სახელწოდებით. იმავე წელს შეიქმნა საცხოვრიის კოლმეურნეობაც, სადაც ცხოვრობდა მერისიდან და შუახევიდან გადმოსული მოსახლეობა. კოლმეურნეობაში დასაქმებული იყვნენ დიასამიძეები და დავითაძეები, 1903-1905 წლებში გადმოსულები. სოფელმა იარსება 1949 წლამდე, სახელმწიფომ ისინი გადაიყვანა ბათუმის რაიონში, საცხოვრია სამანქანე გზიდან 10 კილომეტრამდე იყო დაცილებული და დიდთოვლობის გამო იქ ცხოვრება

შეუძლებელი იყო.

წონიარისში ცხოვრობენ: ანანიძეები, ბერიძეები, ბარამიძეები, ბოლქვაძეები, დავითაძეები, დიასამიძეები, ხალვაშები, კვირიკაძეები, გოგიტიძეები, მაკარაძეები, ტაკიძეები, პაპუნიძეები, ჯიჯავაძეები, თურმანიძეები, ბასილაძეები, ირემაძეები.

1950 წლის 23 ივნისს სოფ. წონიარისის კოლმეურნეობა გაერთიანდა სოფელ ვარჯანისის კოლმეურნეობასთან.

1953 წლის 23 ივლისს მოხდა კოლმეურნეობის გაყოფა ძველი მდგომარეობით.

1958 წლიდან ეწოდა სოფ. წონიარისის კოლმეურნეობა.

წონიარისის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო ყიზეთ მაკარაძე.

1935 წლისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სულეიმან კვირიკაძე, 1935 წლის 9 მარტს კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. კრებამ განიხილა მეფუტკრეობის განვითარების საკითხი. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაავალეს მურად ბოლქვაძეს.

1936 წლის 13 აპრილს წონიარისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ბრიგადირი ჯემალ ბარამიძე აირჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა 7 ბრიგადა. 1937 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აბდულ დავითაძე.

1938 წლის 2 იანვარს კრებამ დაადგინა წონიარისიდან ზვარემდე 10 შეკვრა, (ტუკი) თამბაქოს გადატანაზე დაეწეროს კოლმეურნე წევრს 1 შრომადღე, ცხამათიდან ცენტრალურ გზამდე 3 ტუკის ჩამოტანაზე – ერთი შრომადღე, სასადილოყელიდან 5 ტუკის ჩამოტანაზე 1 შრომადღე, სვანივრიდან 25 ტუკის ჩამოტანაზე ერთი შრომადღე, წალკოტიდან 40 ტუკის ჩამოტანაზე ერთი შრომადღე.

1939 წლის 12 ივლისს წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მამუდ გოგიტიძე, კრებაზე განიხილეს 62 კაცის განცხადება კოლმეურნობაში მიღების შესახებ.

1940 წლისათვის კოლმეურნეობას ჰქონდა თამბაქოს გაშენების გეგმა 15 ჰექტარი, წონიარისის კოლმეურნეობაში ამ დროისათვის იყო 112 მუშახელი.

1941 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აბდულ დავითაძე.

1943 წლის 12 ნოემბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარის აბდულ დავითაძის ერთთვიან კურსებზე გაგზავნასთან დაკავშირებით თავმჯდომარის მოვალეობა მიენდო ისლამ კვირიკაძეს.

1940 წლის 10 ოქტომბრიდან წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა გ. ბოლქვაძე, ხოლო 1944 წლიდან – სელიმ ბერაძე.

1945 წლის თებერვლიდან 15 ივნისამდე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა აბდულ დავითაძე.

1945 წლის ივნისში აირჩიეს სულეიმან ბერიძე.

1950 წლის 23 ივნისს სოფელ ვარჯანისისა და წონიარისის კოლმეურნეობები გაერთიანდა. გაერთიანებული კოლმეურნეობების თავმჯდომარედ აირჩიეს ჯელილ ბერიძე.

1959 წლის 29 იანვარს წონიარისის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებას ესწრებოდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე თხილაიშვილი, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი ამირან ანანიძე.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 29740 კგ. ხმელი თამბაქო, 8 ჰექტარი ვენახის ფართობიდან ჰექტარზე მიიღო 74 ცენტნერი ყურძენი, თითოეული საფურაჟე ძროხიდან 800 ლიტრი რძე. ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 1,036000 მანეთი.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ჯელილ ბერიძე პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით თავისი თხოვნით განთავისუფლდა წონიარისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან. ჯელილ ბერიძე იყო მეოთხე და მეხუთე მოწვევის აჭარის ავტონომი-

ური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეოთხე მოწვევის დროს ის აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, რამდენიმეჯერ არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად და რაიკომის ბიუროს წევრად, იყო წონიარისის კოლმეურნეობაში ყველა სიახლისა და მშენებლობის ხელმძღვანელი. 1969 წლამდე სათავეში ედგა ამ კლმეურნეობას.

ვარჯანისი

სოფელ ვარჯანისში ცხოვრობენ: ბერიძეები, ბოლქვაძეები, მახარაძეები, კონცელიძეები და ჯაბნიძეები.

ვარჯანისის კოლმეურნეობა შეიქმნა 1928 წელს. 1950 წელს გაერთიანდა წონიარისთან, მაგრამ 1953 წლის 20 ივნისს გამოიყო ცალკე.

ვარჯანისის კოლმეურნეობის საარქივო ჩანაწერები იწყება 1936 წლის 21 თებერვლიდან. ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მამუდ ბერიძე.

1936 წლის 11 აპრილს ლავრენტი ბერიას სახელობის ვარჯანისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაადგინა, ყოველ ერთ ჰექტარზე დაირგოს „სამსუნის" ჯიშის თამბაქო 75000 ძირი. თამბაქოს ჩაბარებაზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულების გაფორმება დაევალა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მამუდ ბერიძეს.

1936 წლის 17 მაისს კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის მოანგარიშედ დანიშნა ჯელილ ბერიძე, რომელიც მანამდე პირველი ბრიგადის ბრიგადირად მუშაობდა.

კოლმეურნეობა მუშახელით ამარაგებს აგურის ქარხანას, რომელიც ქვედა ვარჯანისში მდებარეობდა.

ყოველ კრებაზე ხდება ახალი მუშახელის მიღება წევრად.

1936 წლის 21 ოქტომბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარის სამთვიან კურსებზე გაგზავნასთან დაკავშირებით თავმჯდომარედ აირჩიეს მამუდ დიასამიძე. 1937 წლის 17 ივლისს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა შახბენდერ ბერიძე, რომელიც ასევე გაიგზავნა კურსებზე და დროებით შეცვალა რამიზ მახარაძემ.

1938 წლის 3 იანვრიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხულუს ჯაბნიძე მიდის სამთვიან კურსებზე და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა დროებით დაევალა სულეიმან დიასამიძეს.

1939 წლის დეკემბრიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ჯელილ ბერიძე.

1941 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დააჯილდოეს ხურიე ბერიძე, ქედის რაიონის ვარჯანისის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე. ქედის რაიონიდან პირველი ქალი იყო ხურიე ბერიძე, ვინც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. მედალი ხურიეს პირადად გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიხეილ კალინინმა. ხურიე ბერიძე, როგორც მოწინავე კოლმეურნე, ორჯერ იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა სრულიად საკავშირო გამოფენის მონაწილე.

1942 წლის 18 სექტემბერს კოლმეურნეობის საერთო კრება ღებულობს დადგენილებას სატანკო კოლონის ასაგები თანხების შეგროვებაში მონაწილეობის მისაღებად.

ავიაესკადრილიის ასაგებად ვარჯანისის კოლმეურნეობის 72 წევრმა შეიტანა თანხა (თვითოეულმა 225 მანეთი).

ავიაესკადრელის ასაგებად გაკეთებულია მეორე უწყისი, სადაც ხელს აწერს 37 კოლმეურნე, მესამე უწყისი გაკეთებულია 20-20 მანეთზე, სადაც ხელს აწერს 11 კოლმეურნე, მეოთხე უწყისზე ხელს აწერს 73 კოლმეურნე, მეხუთე უწყისზე ხელს აწერს 40 კოლმეურნე

18796 მანეთის ოდენობით. 1944 წლის 10 იანვრს 29 კოლმეურნეს ხელი მოწერილი აქვს ლატარიის მიღებაზე თანხით 13540 მანეთი.

1943 წლის იანვარში ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯელილ ბერიძემ სატანკო კოლონის ასაგებად ჩარიცხა 50000 მანეთი

1944 წლის 13 თებერვალს საანგარიშო კრებას ესწრებოდნენ საქ. კპ. ქედის რაიკომის მდივანი კ. ლომიძე და საოლქო კომიტეტის მდივანი ქესკინ მეგრელიძე. კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია დიასამიძე ხასან ალის ძე.

1944 წლის 28 მარტს კოლმეურნეობის საერთო კრებამ წითელარმიელთა ოჯახებს გამოუყო სასიმინდე ფართობი ერთი ჰექტარი, რომლის დამუშავება იკისრა კოლმეურნეობის გამგეობამ.

1944 წლის 20 ნოემბრის საერთო კრებამ გაათავისუფლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან დიასამიძე და აირჩია ჯემალ მახარაძე.

1945 წლისათვის კოლმეურნეობამ ააშენა ელექტროსადგური და გადასცა ექსპლუატაციაში. გადაწყდა ბეგარის სახით, სოფელში გაიყვანონ სამანქანე გზა.

1946 წლის აპრილის საერთო კრებამ დაადგინა, თვითდაბეგვრის თანხების 25% გადაირიცხოს ვაიოს ხიდის მშენებლობაზე.

1947 წელს კოლმეურნეობას ჩამოერთვა სტალინის ქუჩის №11-ში არსებული სავაჭრო ობიექტი და გადავიდა მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში, საერთო კრება თხოვს რაიონული საბჭოს აღმასკომს გამოუყოს მიწის ნაკვეთი ქ. ბათუმში მაღაზიის ასაშენებლად.

1947-1948 წლების გამგეობის სხდომებზე და საერთო კრებებზე სისტემატიურად იხილება საკითხი სამანქანე გზის მშენებლობის შესახებ.

1948 წლისათვის კოლმეურნეობამ აწარმოა: ყურძენი – 462 ცენტნერი, დამზადდა – თამბაქო 82 ცენტნერი, კარტოფილი - 99 ცენტნერი, სახელმწიფოს მიეყიდა 50 ცენტნერი. კოლმეურნეებს ერთ შრომადღეზე მიეცათ 200 გრამი კარტოფილი. ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 271320 მანეთი. ერთ შრომადღეზე გაიცა 6,6 მანეთი.

1949 წლის 2 თებერვალს ვარჯანისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მამუდ ბერიძე, რომელიც გარდაიცვალა 1949 წლის ოქტომბერში, მის ნაცვლად აირჩიეს ქაზიმ მახარაძე.

1950 წლის 23 ივნისს ჩატარდა სოფელ ვარჯანისისა და სოფელ წონიარისის კოლმეურნეობების საერთო კრება, კრების დადგენილებით სოფელ ვარჯანისისა და სოფელ წონიარისის კოლმეურნეობები გაერთიანდა და დაერქვა სოფ. ვარჯანისის ამხ. ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი, კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ზვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯელილ ბერიძე. განისაზღვრა კოლმეურნეობის მთლიანი ტერიტორია 1928 ჰექტარი. ჯ. ბერიძე 1969 წლამდე უნარიანად ხელმძღვანელობდა ვარჯანისის და წონიარისის კოლმეურნეობებს. 1969 წლიდან ვარჯანისისა და წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ხუსეინ კვირიკაძე.

წონიარისის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 20 მარტს წონიარისისა და აბუქეთის კოლმეურნეობები გაერთიანდა, გაერთიანებულ კოლმეურნეობას ეწოდა წონიარისის კოლმეურნეობა.

გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ რწმუნებულთა კრებამ ერთხმად აირჩია წონიარისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ხუსნი კვირიკაძე, პარტიული კომიტეტის მდივნად – რიზა გოგიტიძე, ბუღალტრად – მუედინ თედორაძე.

1982 წლის ზაფხულში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ხუსნი კვირიკაძე. ხუსნი კვირიკაძის ხელმძღვანელობით წონიარისის კოლმეურნეობა ყოველთვის მოწინავე იყო, ის 1982

წლის 5 თებერვლის შემდეგ საერთო კრებასა და სხდომებს აღარ დასწრებია.

1982 წლის 21 ივლისს წონიარისის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ოთარ წულუკიძე, კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, ყოფილი პარტიული კომიტეტის მდივანი, მთავარ აგრონომად დაინიშნა ლევან ბერიძე, პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს გიორგი ტაკიძე. ოთარ წულუკიძე დაშლამდე ხელმძღვანელობდა გაერთიანებულ კოლმეურნეობას.

1992 წლიდან კოლმეურნეობა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოოდ.

1992-1993 წლებში წონიარისის სასოფლო სამეურნეო საწარმოოს ხელმძღვანელობდა კუკური გოგიტიძე, ხოლო 1993-1994 წლებში ამ საწარმოოს ხელმძღვანელი იყო წლების განმავლობაში ქედის რაიონის მთავარი აგრონომი ამირან ბერიძე. 1994 წლიდან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელია წონიარისის კოლმეურნეობის ყოფილი ბუღალტერი თამაზ ბოლქვაძე.

დანდალოს თემის კოლმეურნეობები
ხარაული

სოფელ ხარაულაში ცხოვრობენ: აბულაძეები, აბუსელიძეები, ბერიძეები, განდელიძეები, გოგიტიძეები, დავითაძეები, დიასამიძეები, ზაქარაძეები, იმნაძეები, მახარაძეები, მჟავანაძეები, ტაკიძეები, ჭანუყვაძეები, ხარაძეები.

ხარაულის კოლმეურნეობა შეიქმნა 1934 წელს და ეწოდა მე-17 პარტყრილობის სახელობის სოფელ ხარაულის კოლმეურნეობა. საერთო კრების 1950 წლის 11 ივნისის დადგენილებით მე-17 პარტყრილობის სახელობის სოფ. ხარაულისა და სოფ. ბალაძეების კოლმეურნეობები გაერთიანდნენ და ეწოდა ლენინის სახელობის სოფელ ხარაულის კოლმეურნეობა.

სოფელ ხარაულის კოლმეურნეობა 1936 წლამდე შედიოდა ცხმორისის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში.

საარქივო ჩანაწერები იწყება 1934 წლიდან და საწარმოო გეგმაში ვკითხულობთ, რომ თამბაქო გაშენდა 4 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ შეისყიდა გუთანი - 4, თოხი - 40, ბარი - 30, ვედრო - 2, სარწყავი - 3, შეიქმნა - 2 ბრიგადა, პირველ ბრიგადაში მამაკაცია - 20, ქალი - 10, მოზარდი - 5, მეორე ბრიგადაში მამაკაცი - 18, ქალი - 10, მოზარდი - 3.

გარე სამუშაოზე სეზონურად ზაფხულში გაიგზავნა 33, ზამთარში 37. დაწესდა კოლმეურნეობის მთელი სამუშაოს შესრულებისათვის 1896 კაცდღე. შეტანილ იქნა თამბაქოში მინერალური სასუქი 3,5 ცენტნერი. აშენდა თამბაქოს საშრობი ორი თვალი, მშენებლობისათვის გამოიყო 4 კოლმეურნე.

კოლმეურნეობის დასახელება და საწესდებო ფორმაა „ტოზი".

მე-17 პარტყრილობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ალიოსმან ზაქარაძე.

1936 წლისათვის გაშენდა ვენახი 1000 კვ. მეტრზე, ხეხილი - 500 კვ. მეტრზე.

1938 წლის წლიურ ანგარიშებში ვკითხულობთ: კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 63 ოჯახი, შრომისუნარიანი წევრი 142 და მოზარდი - 38. კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 63 სული და ცხვარი - 42 სული.

1939 წლიდან ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ყედირ ბერიძე, ბუღალტერი – მამუდ ბერიძე.

1941 წლის 17 მარტს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ყედირ ბერიძე დააჯილდოეს აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1942 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა რამიზ ცინცაძე, ბუღალტერი მამუდ ბერიძე.

1942 წლისათვის საკმაოდ მოძლიერდა კოლმეურნეობა. მის ბალანსზე ირიცხებოდა გამწევი ძალა - 95, ძროხა - 32, დედა თხა - 90 სული, რამიზ ცინცაძე სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლდა სამუშაოდან.

1944 წლიდან ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა დაუთ ჯორთმენაძე. ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 267886 მანეთს, შრომადღეზე განაწილდა 155647 მანეთი, ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა 3,4 მანეთი.

1946 წლის 4 მარტს ხარაულის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ რაიკომის მდივანი ჯაველიძე და რაიონის მიწგანის გამგე ა. თხილაიშვილი, სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაუთ ჯორთმენაძე, რომელიც ცხოვრობდა ბათუმის რაიონში და იყო მარტოხელა.

საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ალიოსმან ტაკიძე, გამგეობის წევრებად: დიასამიძე მერჯან თემელის ძე, ბერიძე ვეზირ მაირისის ძე, ხარაძე ნური დურსუნის ძე, ჭანუყვაძე თერმიზ მევლუდის ძე, განდელიძე მუხამედ მელეგის ძე, ბერიძე მეჯიდ ალიჯანის ძე.

1946 წელს კოლმეურნეობაში დაითესა სიმინდი 95 ჰა. დაირგო თამბაქო 21,5 ჰა. კარტოფილი -8 ჰა.

1950 წლის 11 ივნისს ჩატარდა ხარაულის კოლმეურნეობის საერთო კრება, კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქ.კპ. ქედის რაიკომის მდივანი სერგო ესაძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ლევან დიასამიძე.

კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა ხასია დიასამიძე და აირჩია თერმიზ ჭანუყვაძე. გამგეობის საშტატო ერთეული განისაზღვრა 7 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარის ხელფასი განისაზღვრა 49 შრომადღით ყოველთვიურად, მთავარი მოანგარიშის – 39 შრომადღით, მოანგარიშის – 31,3, აგროტექნიკის – 25, ფერმის გამგის – 40, 4, ბრიგადირების – 114 შრომადღით.

1951 წ. 5 თებერვალს საერთო კრების დადგენილებით ბათუმში კოლმეურნეობისა და კოლმეურნეების ზედმეტი პროდუქტის სარეალიზაციოდ იხსნება მაღაზია.

1954 წლის 2 თებერვალს ხარაულის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია აქიფ ბერიძე, თავმჯდომარის მოადგილედ ფელულ ბერიძე.

1956 წლის 14 თებერვალს ხარაულის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია დიდი სამამულო ომის მონაწილე ფელულ ბერიძე.

1959 წლის 17 მარტს ხარაულის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია რეჯებ მჟავანაძე. ის როგორც ღირსეული ხელმძღვანელი, კარგი ორგანიზატორი, 1963 წლის არჩევნებში დანდალოს სასოფლო საბჭოდან ერთხმად აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

10 ჰექტარი ვენახის ფართობიდან მიღებულ იქნა თითოეულ ჰექტარზე 47 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად დაგეგმილი 40 ცენტნერისა, მევენახე ისრაფილ მახარაძემ 3000 კგ-ის ნაცვლად ჩააბარა 3997 კგ. ყურძენი, სერგო ტაკიძემ 5800 კგ-ის ნაცვლად 6529 კგ. კოლმეურნეობის საშტატო ერთეული განსაზღვრულია 14 კაცით.

1970 წლის 20 იანვარს ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარის რეჯებ მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩააბარა 13300კგ. თამბაქო, მეთამბაქოეობიდან შემოსავალმა შეადგინა 73122 მანეთი, ნაცვლად დაგეგმილი 52173 მანეთისა.

1974 წლის 1 მარტს ხარაულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა დანდალოს სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობების გაერთიანების საკითხი, რასაც მშრომელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სოფელი დანდალო

დანდალოში ცხოვრობენ – არძენაძეები, ავალიანები, ბარამიძეები, ბერიძეები, მჟავანაძეები, მგელაძეები, ზაქარაძეები, ტარიელაძეები, სურგულაძეები, ოტოლაძეები, ჯორთმენაძეები.

გოგიაშვილებში – არძენაძეები, ავალიანები, ალიშანიძეები, ბერიძეები, გოგიაშვილები, დიასამიძეები, დავითაძეები, თურქია, კონცელიძეები, მგელაძეები, მამულაძეები, მამუჭაძეები, ხალვაშები, ჯაყელიძეები.

სოფელ დანდალოს კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1935 წლის 24 მარტიდან მუშაობდა ოსმან ალიშანიძე, 24 მარტის საერთო კრებამ დაადგინა გაშენდეს ხეხილის ბაღი 2500 კვ. მეტრზე სოფელ გოგიაშვილებში, 7500 კვ. მეტრზე, სოფელ არძენაშვილებში. კრებამ №1 ბრიგადის ბრიგადირად დანიშნა ოსმან დიასამიძე, ამავე კრებაზე დაადგინეს, კოლმეურნეობისათვის შეიძინონ ორი წყვილი გამწევი ძალა.

1935 წლის 9 აპრილიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ყედირ დიასამიძე, 1936 წლის 5 ივლისიდან კვლავ იქნა არჩეული ოსმან ალიშანიძე.

1937 წლის 10 თებერვალს საქართველოს საბჭოების მე-8 ყრილობაზე მისასალმებლად მიწვეული იყო დანდალოელი სტახანოველი ფერათ დავითაძე.

1938 წლის 22 აპრილიდან დანდალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ფერათ დავითაძე, გამგეობის წევრები იყვნენ ოსმან ალიშანიძე, თევრათ კონცელიძე, ყედირ დიასამიძე, მამუდ არძენაძე.

1939 წლის დასაწყისისათვის დანდალოს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 513 სული. ფულადი შემოსავალი მიიღეს 48954 მანეთი, ნაცვლად დაგეგმილი 56128 მანეთისა.

1941 წლიდან დანდალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თევრათ კონცელიძე, 1943 წლის 24 აპრილის საერთო კრების დადგენილებით დანდალოს კოლმეურნეობა ყიდულობს მოზარდ პირუტყვს და გზავნის რუსეთში გერმანელების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებიდან გერმანელთა განდევნის შემდეგ აღდგენილ კოლმეურნეობებზე გადასაცემად.

1943 წლის 20 მაისს კოლმეურნეობის საერთო კრება ღებულობს დადგენილებას, გაიხსნას კოლმეურნეობისათვის სავაჭრო ქ. ბათუმში და გამგედ დაინიშნოს დაუთ ჯორთმენაძე.

1943 წლის 17 ივნისს დანდალოს კოლმეურნეობის საერთო კრება ღებულობს დადგენილებას, შეისყიდონ მთა კვესაურში ყიშლა და 12 ფუთი სიმინდის ფასად.

1944 წლის 27 თებერვლის საერთო კრებამ დაამტკიცა კოლმეურნეობის მუშახელი: კაცი - 78, ქალი - 66 სულ 144 მუშახელი. 1944 წლის 8 მარტს გამგეობის სხდომამ დაადგინა ქედის რაიონზე ლანჩხუთის რაიონში გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან აითვისონ 10 ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი. 1944 წლის 22 მარტს საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, დაითესოს სიმინდი 90 ჰექტარზე, გაშენდეს თამბაქო 20 ჰექტარზე, ბოსტნეული - 0,2 ჰექტარზე, ერთწლიანი ბალახები - 1,5 ჰექტარზე, დამზადდეს კარტოფილი - 9 ტონა, კურკოვანი ხილი - 4 ტონა, პამიდორი - 8,5 ტონა, თამბაქო 1 ჰექტარზე - 5,5 ცენტნერი, კოლმეურნეობამ იყოლიოს მსხვილფეხა პირუტყვი - 108 სული, მათ შორის ხარები - 60, ძროხები - 20, დედა თხა - 50 სული, ცხენი - 2, ასევე ფუტკარი - 9 ოჯახი, ფრინველი - 50 ფრთა.

რადგან კოლმეურნეობა განიცდის პირუტყვის საკვების ნაკლებობას, 1944 წლის 16 დეკემბერს კოლმეურნეობის გამგეობა ანაწილებს 6 ბრიგადაზე 46 ცალ გამწევ ძალას გამოსაზამთრებლად.

1949 წელს კოლმეურნეობის გამგეობამ შექმნა 7 ბრიგადა, 5 მემინდვრეობის, 1 მეცხოველეობის და 1 მშენებლობის.

ხალით ავალიანი იყო 1951 წლიდან დანდალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

1953 წლის ივნისიდან დანდალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ზექერია ცინცაძე. ზ. ცინცაძე მობილიზაციის წესით 3 წლით აირჩიეს თავმჯდომარედ. 1954 წლისათვის დანდალოს კოლმეურნეობას უნდა დაემზადებინა ხმელი თამბაქო 17,5 ტონა, თანხით 93421 მანეთის.

1957 წლის 11 თებერვალს შუქრი არძენაძე კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ. 1957 წლის 14 აპრილს საერთო კრებამ დაამტკიცა შრომის სავალდებულო მინიმუმის გამომუშავების წლიური ნორმები-მამაკაცებისათვის 130 შრომადღე, დედაკაცებისათვის 110 შრომადღე.

1957 წლის 24 მაისს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე განიხილეს დანდალოს არასრული საშუალო სკოლის აშენების საკითხი და გამოიყო მიწის ნაკვეთი ოტოლაძეების უბანში ს. ალიშანიძეების საკარმიდამოს ბოლოს, კრებამ თხოვა ქედის რაისაბჭოს აღმასკომს სკოლის მშენებლობისათვის გამოყოს 70000 მანეთი. კოლმეურნეობის გამგეობამ სკოლის მშენებლობაზე გადაიყვანა კოლმეურნეობის მშენებლობის ბრიგადა.

1958 წლის 5 იანვარს დანდალოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა სოფელ ცინარეთის მიერ მერისის ტერიტორიიდან გასაყვან არხში მიედო მონაწილეობა 50000 მანეთით, არხით ისარგებლებს დანდალოს კოლმეურნეობის 140 კომლი და მოირწყვებოდა 100 ჰექტარი ნარგავ-ნათესი, 10 ჰექტარი სათიბი, 70 ჰექტარი საკარმიდამო მიწები. კოლმეურნეობის საერთო კრება თხოვს ქედის რაისაბჭოს აღმასკომს სათანადო დახმარებას.

ეს გადაწყვეტილება რატომღაც არ შესრულდა.

1958 წლის 13 თებერვალს დანდალოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დანდალოს სასოფლო საბჭოს მდივანი ემრაილ მგელაძე. 1958 წლის 29 ივნისს დანდალოს კოლკმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ემრაილ მგელაძის განცხადება და ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლა თავმჯდომარეობიდან.

საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დავით კონცელიძე. 1958 წლის 27 დეკემბერს საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, დაწყებული იქნას გზის მშენებლობა არძენაშვილების სკოლიდან სოფელ ტაკიძეებამდე, მშენებლობაზე გაყვანილი იქნას №1,2,3 ბრიგადების მუშახელი.

კოლმეურნეობის შემოსავალმა 1958 წლისათვის მიაღწია 621208 მანეთს.

1959 წლის 14 მარტს დანდალოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ოთარ მამუჭაძე.

1968 წლის 31 იანვარს სოფელ დანდალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დაისვა საკითხი, დანდალოს რვაწლიანი სკოლის შენობაზე 5 ოთახის მიშენების შესახებ, რაც მომავალში უზრუნველყოფდა სოფელში საშუალო სკოლის გახსნას.

საკითხი კრებაზე გაიტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიქაილ მგელაძემ.

1968 წლის 1 ნოემბერს დანდალოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ ავადმყოფობის გამო თავმჯდომარე მიქაილ მგელაძე გაანთავისუფლა სამუშაოდან და გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია მემედ მჟავანაძე.

1972 წლის 20 ნოემბრის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დავით ზაქარაძე, უმაღლესი განათლებით.

ბალაძეები

სოფელ ბალაძეებში ცხოვრობენ ბალაძეები, მოსიაშვილებში ბერიძეები, მოსიძეები, მანველიძეები, ხარაძეები.

1936 წელს შეიქმნა ბალაძეების კოლმეურნეობა. 1936 წლის 6 იანვარს სოფლის საერთო კრებამ მიიღო გეგმა თამბაქოს ფართობი 2,6 ჰექტარზე გაშენების შესახებ. გეგმას მხარი დაუჭირეს: მურთაზ ბალაძემ, მევლუდ ბალაძემ, 1936 წლის 26 იანვარს კოლმეურნეობაში შევიდა ზექერია ბალაძე, რომელმაც გააერთიანა კოლმეურნეობაში მიწის ნაკვეთი 1800 კვ. მეტრის ოდენობით.

კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო მურთაზ ბალაძე. 1936 წლის 3 მარტს კრება ავალებს მურთაზ ბალაძეს კოლმეურნეობისათვის შეიძინოს ორი გუთანი და სამი სარწყავი. კრებამ მიიღო დადგენილება, ბალაძეების კოლმეურნეობას ეწოდოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის შ. მათიკაშვილის სახელი. კოლმეურნეობების კრების ოქმებს აფორმებდნენ რ. ჭანტურია და მ. კირთაძე, რომლებიც იყვნენ კრების მდივნები. კოლმეურნეობას შემდეგ ეწოდა ჯერ ეჟოვის, შემდეგ ბაქრაძის სახელი.

1941 წლის 14 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მურთაზ ბალაძე დააჯილდოვა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის."

1936 წლის 17 აპრილის კრების დადგენილებით ბალაძეების კოლმეურნეობის მოანგარიშედ დაინიშნა როდოპიონ ჭანტურია, მოლარედ – ბრიგადირი უსუფ ბალაძე.

1936 წლის 15 ნოემბერს საერთო კრებამ მიიღო დადგენილება ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარში სავაჭრო ობიექტის გახსნის შესახებ.

1939 წლამდე ბალაძეების კოლმეურნეობა შედიოდა ცხმორისის სასოფლო საბჭოში. 1939 წლის 4 მარტის კრებამ I ბრიგადას დაუმტკიცა 19 მუშახელი, №2 ბრიგადას – 15 მუშახელი, კოლმეურნეობამ დაგეგმა 5,3 ჰექტარი თამბაქოს გაშენება.

1941 წლის 26 იანვარს საერთო კრებამ ავადმყოფობის გამო მურთაზ ბალაძე გაათავისუფლა თავმჯდომარეობიდან და აირჩია უსუფ ბალაძე.

ბალაძეების კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო პატარა უბნები: ბალაძეები, გორგივლი და მოსიაშვილები. 1941 წელს კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი 148 სული, წვრილფეხა თხა - 85, ცხვარი - 10, ცხენი - 3, ვირი - 2.

1947 წლიდან ბალაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ხუსეინ ბერიძე.

1950 წლის 9 ივნისიდან ბალაძეების კოლმეურნეობა შეუერთდა ხარაულის კოლმეურნეობას, მაგრამ 1956 წლის 14 თებერვალს კვლავ გამოეყო და ამჯერად შეუერთდა ჯალაბაშვილების კოლმეურნეობას.

ჯალაბაშვილები

ჯალაბაშვილები: სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს გვარი ჯალაბაშვილიდან – ჯალაბა – ჯალაბი არაბულ-სპარსულ-თურქული წარმოშობისაა და სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ჯალაბი მრავალრიცხოვან ოჯახს ნიშნავს.

ჯალაბაშვილებში ცხოვრობენ: არობელიძეები, ბერიძეები, ბოლქვაძეები, დავითაძეები, დიასამიძეები, მანველიძეები, ტაკიძეები, ჩხუბაძეები, ცინცაძეები.

კოლმეურნეობა შეიქმნა 1935 წელს. თავმჯდომარედ აირჩიეს მურთაზ ჩხუბაძე. 1950 წლის 9 ივნისს სოფელ ჯალაბაშვილების კოლმეურნეობა გაერთიანდა სოფელ ხარაულის კოლმეურნეობასთან. ეწოდა ლენინის სახელობის სოფ. ხარაულის კოლმეურნეობა. 1956 წლის 15 თებერვალს მოხდა კოლმეურნეობების გაყოფა.

1956 წლის 14 თებერვალს ჯალაბაშვილები და ბალაძეები გაერთიანდა ერთ

კოლმეურნეობად.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს აქიფ ბერიძე.

1957 წლის 16 თებერვალს ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ზაქრო ცინცაძე.

1958 წელს ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 536400 მანეთი, ერთ შრომადღეზე განაწილდა 15 მანეთი და 76 კაპიკი, გაიცა ხელფასის სახით 352662 მანეთი, მათ შორის პრემია 95727 მანეთი.

1959 წლის 14 მარტს ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ენვერ ბერიძე.

1961 წლის 19 ნოემბერს სასწავლებელში წასვლასთან დაკავშირებით დროებით განთავისუფლდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ენვერ ბერიძე და აირჩიეს ჯელილ ცინცაძე.

ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ 1964 წლიდან მუშაობდა მურად ბალაძე. რომელიც 1969 წლის 2 ოქტომბერს საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა და კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ხასია ჩხუბაძე.

1973 წლის 4 ივნისს ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ლეონიდე ბერიძე, რომელმაც ოჯახური პირობების გამო დიდხანს ვერ იმუშავა 1973 წლის 22 აგვისტოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ენვერ ბერიძე, 1974 წლის მარტიდან ჯალაბაშვილების კოლმეურნეობა გახდა დანდალოს გაერთიანებული კოლმეურნეობის ნაწილი.

დანდალოს გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 1 მარტს დანდალოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული დანდალოს, ხარაულის და ჯალაბაშვილების კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ერთი ძლიერი კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობა მშრომელებმა მიანდეს გამოცდილ ხელმძღვანელს ხარაულელ რეჯებ მჟავანაძეს. გაერთიანებული კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს დავით ზაქარაძე. მთავარ აგრონომად – ენვერ ბერიძე, კოლმეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი ეკონომისტი ჯემალ მერჯანის ძე ტაკიძე და გამოცდილი ბუღალტერი სელიმ მგელაძე. კოლმეურნეობაში შეიქმნა 7 ბრიგადა.

1975 წლის 15 იანვარს დანდალოს გაერთიანებული კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობამ გაერთიანების შემდეგ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 88 ტონის და ვალდებულებით ნაკისრი 111 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 149,4 ტონა თამბაქო და თამბაქოდან მიღებულმა შემოსავალმა 430542 მანეთი შეადგინა, რაც დაგეგმილს 211672 მანეთით აღემატებოდა. შვიდივე ბრიგადამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

წარმატებებს მიაღწიეს დანდალოელმა მევენახეებმაც. მათ დაგეგმილი 97 ტონის და ვალდებულებით ნაკისრი 110 ტონის ნაცვლად, სახელმწიფოს მიჰყიდეს 147,2 ტონა ყურძენი.

კოლმეურნეობის 138 წევრი დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

1978 წლის იანვრიდან დანდალოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი 1977-1978 წლებში ოთარ ბერიძე.

1978 წლის 31 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გამგეობის წევრობიდან გამოიყვანეს ყოფილი თავმჯდომარე რეჯებ მჟავანაძე და გამგეობის წევრად შეიყვანეს

პარტიული კომიტეტის მდივანი ანზორ ბერიძე.

1979 წლის 31 იანვარს საანგარიშო მოხსენებაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. ბერიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიეყიდა 186,5 ტ. ყურძენი და საერთო ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 745445 მანეთს, ერთი კოლმეურნის საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 83 მანეთი.

კოლმეურნეობას საშტატო განრიგში ჰყავდა 37 კაცი, ბრიგადირების ჩათვლით.

1980 წლისათვის კოლმეურნეობის გამგეობამ დაგეგმა და 1980 წ. 14 თებერვალს საერთო კრებამ დაამტკიცა საწარმოო-საფინანსო გეგმა:

ლობიო - 1,5 ჰა, 11 ცენტნერი
სიმინდი - 20 ჰა, 370 ცენტნერი
თამბაქო - 57 ჰა, 1200 ცენტნერი
ბოსტნეული - 1,6 ჰა, 200 ცენტნერი
საკვები ძირხვენები - 1 ჰა, 100 ცენტნერი
სიმინდი სილოსი - 39 ჰა, 4700 ცენტნერი
ერთწლოვანი კულტურები - 53,7 ჰა, 3730 ცენტნერი
მრავ. ბალახ. - 2 ჰა, 60 ცენტნერი
ბუნებრივი სათიბი - 43,2 ჰა, 1215 ცენტნერი
ხილი თესლოვანი - 1 ჰა, 150 ცენტნერი
კურკოვანი - 1 ჰა, 80 ცენტნერი
კაკალი - 5,2 ჰა, 28 ცენტნერი
ყურძენი - 24 ჰა, 1720 ცენტნერი
დაფნა - 1 ჰა, 7 ცენტნერი
აბრეშუმის პარკი - 1 ჰა, 174 კგ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 230 სული.
მათ შორის ძროხა - 98 სული
ნამატი - 69 სული
რძის წარმოება - 890 ცენტნერი.
ხორცი - 44 ცენტნერი

1981 წლიდან გამგეობის შემადგენლობაში აირჩიეს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ლევან ოტოლაძე. 1983 წლიდან პარტიული კომიტეტის მდივანია ლევან ავალიანი.

1986 წლის 5 თებერვალს რწმუნებულთა კრების დადგენილებით ხარაულის საშუალო სკოლის მშენებლობისათვის გამოიყო მიწის ნაკვეთი ენვერ ზაქარაძის ყოფილი საკარმიდამო მიწის ადგილას 1400 კვ. მეტრის ოდენობით.

1985 წელს აშენდა კლუბ-კანტორა, გოგიაშვილების საშუალო სკოლა, კოლმეურნეობის ავტოგარაჟი, ხარაულის ბაგა ბაღი.

1990 წ. 6 თებერვალს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. მ. ბერიძემ საანგარიშო კრებაზე აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის შემოსავალმა 1989 წელს შედაგინა 974 ათასი მანეთი, ხოლო ერთ კაცდღის ღირებულებამ – 9,23 მანეთი. სახელმწიფოს ორივე სექტორში მიეყიდა 205,3 ტ. თამბაქო, ნაცვლად დაგეგმილი 169 ტონისა.

დანდალოს გაერთიანებულ კოლმეურნეობას 1993 წლამდე, მაშინაც, როცა სასოფლო-სამეურნეო საწარმოოდ გადაკეთდა, სათავეში ო. ბერიძე ედგა, შემდეგ კი, გაუქმებამდე – შაქრო ბალაძე.

ოქტომბრის თემის კოლმეურნეობები
ოქტომბერი

სოფელ ოქტომბერში ცხოვრობენ: ასამბაძეები, ბერიძეები, ბოლქვაძეები, ბასილაძეები, გოგიტიძეები, გორგაძეები, დუმბაძეები, ზოიძეები, კილაძეები, სურმანიძეები, შერვაშიძეები, ჩხიკვაძეები, ჯიჯავაძეები, ცინცაძეები, თურმანიძეები, ნაკაშიძეები.

ოქტომბრის (ალიქოღლების) კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს „წითელი ვარსკვლავის" სახელწოდებით.

1934 წლის საარქივო ჩანაწერების მიხედვით, 1934 წელს კოლმეურნეობას თამბაქოს კულტურიდან 13048 მანეთი, მებაღეობა-მებოსტნეობიდან - 1200 მანეთი მიუღია.

ალიქოღლების კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე 1930-1934 წლებში იყო მემია ბაჯელიძე.

1935 წლიდან ალიქოღლების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა ხასან შერვაშიძე. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული იყო სოფლის მეურნეობის სამი ბრიგადა.

1938 წლისათვის ალიქოღლების კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 32 - ოჯახი, 80 კოლმეურნე წევრი.

1941 წლის აპრილიდან ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ალი ასამბაძე, 1942 წლის 1 თებერვალს კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადააყენა ალი ასამბაძე და დატოვა გამგეობის შემადგენლობაში. კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ალი შერვაშიძე.

1943 წლის 27 იანვარს სოფელ ოქტომბრის „პარიზის კომუნის" სახელობის კოლმეურნეობის და სოფელ კუჭულის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებებმა მიიღეს დადგენილება ოქტომბრის და კუჭულის კოლმეურნეობების გაერთიანების შესახებ. კრებამ გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია ისმაილ გოგიტიძე, კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხუსეინ მეგრელიძე და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე თხილაიშვილი.

1943 წლის 23 მარტს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ისმაილ გოგიტიძე იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო ხელმძღვანელობა, გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ოსმან ალიქაძე.

1943 წლის 1 დეკემბერის აქტის მიხედვით, ოქტომბრის კოლმეურნეობას ლანჩხუთის რაიონის ერთ სასიმინდეში შენახული ჰქონდა 17600 კილოგრამი სიმინდი, სადაც ყარაულად გაიგზავნა ჰარუნ ასამბაძე.

1944 წლიდან ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა აბდულ ასამბაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1945 წლის 17 იანვრამდე, მისი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევამდე.

1945 წლის იანვრიდან ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ალი შერვაშიძე. 1947 წლისათვის კოლმეურნეობა აერთიანებდა 5 ბრიგადას, ითესებოდა 72 ჰექტარი სიმინდი, ირგვებოდა 15 ჰექტარი თამბაქო და 3 ჰექტარი კარტოფილი.

1950 წლის ივლისში ოქტომბრის კოლმეურნეობაში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა.

1950 წლის 10 ივლისს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება „დიდვაკის სამხედრო საგუშაგოს" მშენებლობისათვის მასალის დამზადების შესახებ და დაავალა ყველა ბრიგადას, შეარჩიოს მუშახელი, რომლებიც დაამზადებენ 5 კუბმეტრ მასალას.

1951 წლის 20 თებერვალს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ შეაჯამა ბოლო ერთი წლის შედეგები და აღნიშნა, რომ შემოსავალმა მიაღწია 318279 მანეთს, ერთი შრომადღის ღირებულებამ შეადგინა 6 მანეთი და 52 კაპიკი. კრებამ კომეურნეო-

ბის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია შუშანა შერვაშიძე. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქ. კპ.(ბ) ქედის რაიკომის პირველი მდივანი სერგო ესაძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლევან დიასამიძე.

1952 წლის ივნისიდან ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა არჩილ ასამბაძე. 1953 წლის 29 იანვრის საერთო კრებამ არჩილ ასამბაძე აირჩია კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

1954 წლის 24 იანვრის საერთო კრების დადგენილებით ოქტომბრის კოლმეურნეობის წევრები (5 კაცი): ადემ თაბაქიძე, ბენია ნაკაშიძე, ახმედ შერვაშიძე, ზაურ შერვაშიძე და შუქრი დუმბაძე ერთი წლის ვადით იგზავნებიან მერისის საბადოზე სამუშაოდ.

1954 წლის 14 აპრილიდან 1955 წლის 17 თებერვლამდე ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა მამია შერვაშიძე, რომელიც შემდეგ ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ასლან ბაჯელიძე.

1956 წლის მარტში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით კოლმეურნეობებში განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის №311 და №312 დადგენილებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცების შესახებ. ასეთი განხილვა ჩატარდა ოქტომბრის კოლმეურნეობაში 31 მარტს და კრებამ მხარი დაუჭირა ამ დადგენილებებს.

1956 წლის 6 ივნისს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამოყო 9 კაციანი ბრიგადა სახელმწიფო საზღვრის დამცველთათვის (დიდვაკის) შეშის დამზადებისათვის, 130 კუბმეტრის რაოდენობით.

1959 წლის 14 აგვისტოს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა 1959 წლის 12 აგვისტოს საქ. კპ. ქედის რაიკომის ბიუროს დადგენილება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ასლან (უშანგი) ბაჯელიძის თავმჯდომარეობიდან მოხსნის შესახებ და კრებამ ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ნური ქათამაძე, რომელიც 1974 წლის ოქტომბრამდე უნარიანად ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას, 1974 წლის ოქტომბერში ქედის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად დანიშნეს.

მეძიბნა

სოფელში ცხოვრობენ: ალიქაძეები და დუმბაძეები.

კოლმეურნეობა შეიქმნა 1930 წელს, ვიშინსკის სახელობის.

მეძიბნის კოლმეურნეობაზე პირველი საარქივო ჩანაწერი აჭარის სახელმწიფო არქივში მოიპოვება 1934 წლიდან და საწარმოო გეგმაში იკითხება, რომ კოლმეურნეობას საგაზაფხულო კულტურები დათესილი და დარგული ჰქონდა 5,7 ჰექტარზე, მათ შორის სიმინდი-1 ჰექტარზე, თამბაქო - 4,2 ჰექტარზე და კარტოფილი 0,5 ჰექტარზე, კოლმეურნეობაში შეიქმნა 1 ბრიგადა, სადაც მუშაობდა მამაკაცი - 12, ქალი - 8 და მოზარდი - 1. კოლმეურნეობას ჰყავდა 20 ფუტკრის ოჯახი.

1938 წლისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 48 ოჯახი, 135 შრომისუნარიანი წევრით.

1941 წლის ბალანსს ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან დუმბაძე.

1944 წლის 12 თებერვალს მეძიბნის კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა შეიძინოს „გაზის" ტიპის სატვირთო ავტომანქანა, რადგან ლანჩხუთის რაიონში მეძიბნის კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ სასიმინდე ნაკვეთებში კარგი მოსავალი იყო და სიმინდი გადმოსატანია.

1944 წლის 3 აპრილს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომამ დაადგინა, რომ სოფელში არსებული კრამიტის ქარხანაში, დაწესდეს მიწის მოზიდვა და კრამიტის მოჭრა 300 ცალი 6 შრომადღე, კრამიტის გამოწვა ერთი „ფურუნი" 10 შრომადღე, კრამიტის „ფურუნში" ჩაწყობა 1000 ცალი 15 შრომადღე, კრამიტის „ფურნიდან" ამოწყობა 1000 ცალი 15 შრომადღე.

1945 წლის 18 იანვარს მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის შემოსავალმა მიაღწია 315,559 მანეთს, ერთი შრომადღის ღირებულებამ - 5,70 მანეთს.

1945 წლისათვის მეძიბნის კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 95 სული, მათ შორის ძროხა - 18 სული, ხარი - 36 სული, წვრილფეხა პირუტყვი - 150 თხა, ფუტკრის ოჯახი - 40.

1951 წლის 17 თებერვალს მეძიბნის კლმეურნეობის საერთო კრებამ ხასან დუმბაძე გაანთავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან და თავმჯდომარედ დანიშნა მემედალი დუმბაძე.

1951 წლის 30 ოქტომბრიდან მეძიბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა უშანგი დუმბაძე.

1952 წლის 4 აგვისტოს მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა გასული ნახევარი წლის შედეგები და გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე უშანგი დუმბაძე გათავისუფლდა სამუშაოდან და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ხუსნი დუმბაძე.

1954 წლის 2 თებერვალს მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ბესარიონ დუმბაძე.

1955 წლის 22 ივლისს მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ილია დუმბაძე.

1960 წლიდან მეძიბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა დიმიტრი დუმბაძე. 1961 წლის 29 იანვარს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიაღწია 385135 მანეთს, ერთ შრომადღეზე გაიცა 5,51 მანეთი.

1962 წლის 28 იანვარს მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრი დუმბაძე და აირჩია ვახტანგ დუმბაძე.

1963 წლისათვის საწარმოო - საფინანსო გეგმით გათვალისწინებული იყო: სიმინდის დათესვა 14,5 ჰექტარი, თამბაქოს დარგვა - 11,5 ჰექტარი, სილოსის დათესვა - 19 ჰექტარი, დაგეგმილი იყო ერთ ჰექტარზე თამბაქო - 12 ცენტნერი, სიმინდი - 17 ცენტნერი, ხეხილი - 30 ცენტნერი, ყურძენი - 50 ცენტნერი, სილოსი - 100 ცენტნერი, კოლმეურნეობის საშტატო ერთეული ასე გამოიყურებოდა: თავმჯდომარე, უფროსი მოანგარიშე, ბრიგადირი - სამი, მოლარე, დამტარებელი, ფერმის ბრიგადირი, დარაჯდამლაგებელი, აგრონომი, მონტიორი, სულ 12 კაცი.

1965 წლის 17 აპრილს სოფელ მეძიბნის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქ. კპ. ქედის რაიკომის მეორე მდივანი შოთა სირაბიძე და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი შალვა ჩხაიძე, აღნიშნა, რომ ამ დღეებში მოხდა უბედური შემთხვევა, რომლის საქმის ყურში არ იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ს. დუმბაძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ს. ი. დევაძე. ამის გამო მათი საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ ისინი მოხსნა სამუშაოდან და რჩევა მისცა კოლმეურნეობის საერთო კრებას მათი შეცვლის შესახებ.

აღნიშნულის გამო კრებამ გაათავისუფლა თავმჯდომარე და აირჩია ალექსი დუმბაძე.

1968 წლიდან მეძიბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ სოსო დუმბა-

ძეა, რომელიც 1970 წლის 2 თებერვალს საფინანსო დარღვევების გამო განთავისუფლდა და თავმჯდომარედ აირჩია შუქრი დუმბაძე.

1970 წლის ოქტომბრიდან მეძიბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა რიზალ დუმბაძე.

ოქტომბრის გაერთიანებული კოლმეურნეობა

1974 წლის 18 მარტს სოფელ მეძიბნისა და ოქტომბრის კოლმეურნეობები გაერთიანდნენ. კრების მუშაობაში მონაწილეობდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამირან ანანიძე და საქ. კპ. ქედის რაიკომის მეორე მდივანი ელგუჯა გოგავა.

ოქტომბრის გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ აირჩია გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელი, ყოფილი ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნური ქათამაძე.

1974 წლის 26 ოქტომბერს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ნური ქათამაძე სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ იქნა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

კრებამ ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომრად აირჩია კოლმეურნეობის აგრონომი ვახტანგ დუმბაძე, კოლმეურნეობის აგრონომად დაინიშნა ნიაზ შუქრის ძე შერვაშიძე.

კოლმეურნეობის შემოსავალმა ამ წელს მიაღწია 201000 მანეთს, დაგეგმილ 181000 მანეთის ნაცვლად.

1978 წელს ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე კოლმეურნეობის აგრონომი ნიაზ შერვაშიძე.

1979 წლიდან ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა მიანდეს ნუგზარ გოგიტიძეს.

1980 წლის ზაფხულში ტელეფონის ხაზი გაყვანილი იქნა მეძიბნაში, აგოთაში და კუჭულაში.

1984 წლის 20 იანვარს საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნუგზარ გოგიტიძე.

კრებამ ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დავით დუმბაძე.

1988 წლის 4 ივლისს ოქტომბრის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით ყოფილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ნუგზარ გოგიტიძეს მეცხოველეობის ფერმა გადაეცა არენდით.

1988 წლიდან იწყება კოლმეურნეობაში ოჯახური იჯარის დანერგვა, 1990 წლიდან კოლმეურნეობამ დაიწყო ავტომანქანების არენდით გაცემა, ასევე ბრიგადებიც გადაიყვანეს არენდაზე.

1990 წლიდან თანდათან დაიწყო კოლმეურნეობების დაშლა, ქონების განადგურება და დატაცება. ფორმალურად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა დაშლის პროცესი.

მონინავე მეჩოგეოთა ნახალისებისათვის

ამგვარი საცნობარო ხასიათი აქვს რაიონში არსებულ კოლმეურნეობებს. ითქვა მათ წვლილზეც ეკონომიკის განმტკიცებაში, შიგადაშიგ ვისაუბრეთ სამრეწველო დაწესებულებებზეც, როგორიც იყო ჩაის ფაბრიკა და ღვინის ქარხანა. საბჭოთა მთავრობამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის, მრეწველობის, ქვეყნის კულტურული მშენებლობის, მეცნიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დააწესა წარჩინების

უმაღლესი ხარისხი რისთვისაც გამოსცა ბრძანებულება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

წარჩინების უმაღლესი ხარისხის სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების დაწესების შესახებ.

1. დაწესდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლესი ხარისხი – სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება.

2. იმ პირთა, რომელთაც სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება მიენიჭებათ, ამავე დროს გადაეცემათ „ლენინის ორდენი."

3. დამტკიცდეს დებულება სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე: მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი: ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 27 დეკემბერი

დებულება

სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების შესახებ

1. სოციალისტური შრომის გმირის წოდება წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლეს ხარისხს და ენიჭება იმ პირებს, რომელთაც თავისი განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული მოღვაწეობით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე, და რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების აღმავლობას, სსრ კავშირის აღიარებისა და დიდების ზრდას.

2. სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდებას ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. სოციალისტურ შრომის გმირს: ა) გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო „ლენინის ორდენი"

ბ) მიეცემა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული სიგელი.

4. „ლენინის ორდენით", რომელსაც დაჯილდოებული ღებულობს სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მინიჭებასთან ერთად, მას ეძლევა ფულადი ჯილდო ორმაგი ოდენობით.

5. სოციალისტურ შრომის გმირს ენიჭება უფლება და უპირატესობანი, რომლებიც გათვალისწინებულია სსრკ ორდენების საერთო დებულების მე-10 – მე-16 მუხლებით (სსრკ კანონის კრ. 1936 წ. №24 მუხლი 220-ბ).

6. სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წლის 27 დეკემბერი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ითვალისწინებს, რა რომ მოსავლის გადიდება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლის მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობის საქმეში. და იმისათვის, რომ კოლმეურნეობები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები წახალისებული იქნენ, ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრე ბრიგადების, ბრიგადირების და მერგოლურების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, აგრონომებსა და უფროს მექანიზატორებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებათ ან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჯილდოვდებიან შემდეგი მოსავლის მიღებისათვის:

ა) სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება ხდება ურწყვადი მიწის თითოეულ ჰექტარზე ხორბლისა და ჭვავის, სულ მცირე 30 ცენტნერი ჰექტარზე მარცვლეული სიმინდის სულ მცირე 70 ცენტნერი, ურწყავ რაიონებში ჰექტარზე შაქრის ჭარხლის სულ მცირე 600 ცენტნერი და სარწყავ რაიონებში 800 ცენტნერი. ჰექტარზე ამერიკული ჯიშის ბამბის სულ მცირე 85 ცენტნერი და ჰექტარზე ეგვიპტური ჯიშის ბამბის სულ მცირე 60 ჰექტარი ფაქტიური მოსავლის მიღებისთვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1947 წლის 29 მარტი

სოციალისტური შრომის გმირები აჭარაში

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, 1947 წელს სიმინდისა და ხორბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის და ამასთან კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ის სამუშაოთა ნატურ საზღაურის შესრულებისას, სახელმწიფოსათვის თამბაქოს, ჩაის

მწვანე ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და 1948 წლის თესვის თესლის უზრუნველყოფისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ

1. ანანიძე ეუბ იუნუსის ძე – კოკოტაურის კოლმეურნეობის მერგოლური (1948 წელი)
2. არძენაძე მუხამედ ოსმანის ძე – სოფ. დანდალოს კოლმეურნეობის მერგოლური.
3. ჯაყელიძე შუქრი მუხამედის ძე – სოფ. დანდალოს კოლმეურნეობის მერგოლური.
4. ბერიძე ოქროპირ ნიკიფორეს ძე – საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი
5. მეგრელიძე ხუსეინ მემედის ძე – ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
6. ლორთქიფანიძე მამუდ რესულის ძე – სოფ. დოლოგნის კოლმეურნეობის მერგოლური
7. საფარიძე ალი ყედირის ძე – სოფ. დოლოგნის კოლმეურნეობის მერგოლური
8. შილაძე ჰარუნ სულეიმანის ძე – სოფ. დოლოგნის კოლმეურნეობის მერგოლური
9. ჩხეიძე ყედირ სულეიმანის ძე – ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე
10. სიხარულიძე თამარა მიხეილის ასული – ქედის რაიონის მთავარი აგრონომი
11. აბაშიძე ახმედ (შალვა) შუღეიბის ძე – სოფ. ცხმორისის კოლმეურნეობის მერგოლური
12. ნაკაშიძე ახმედ რიზმანის ძე – სოფ. ახოს კიომეურნეობის მერგოლური
13. ნაკაშიძე ისრაფილ ოსმანის ძე – სოფ. ცხმორისის კოლმეურნეობის მერგოლური
14. ხალვაში მამუდ ახმედის ძე – სოფ. კანტაურის კოლმეურნეობის მერგოლური.
15. ბერიძე აბდულ (ამირან) ალის ძე – სოფ. ახოს კოლმეურნეობის მერგოლური. 1949 წელი.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ:

1. დევაძე ჯასიმ სულეიმანის ძე – საქ. კპ ქედის რაიკომის მდივანი.
2. გოგუაძე სულეიმან ოსმანის ძე – ანდრეევის კოლმეურნეობის მერგოლური.
3. კონცელიძე ხურმიზ მემედის ასული – კოლმეურნეობა „საერთო შრომის" მერგოლური
4 ნინიძე შუქრი ჰარუნის ძე – სტურუას კოლმეურნეობის მერგოლური.
5. ბერიძე ფელულ მემედის ძე – ხარაულის კოლმეურნეობის მერგოლური
6. ჩხუბაძე ლუთბიე – ჯალაბაშვილების კოლმეურნეობა.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ

1. არძენაძე სელიმ ნურის ძე – დანდალოს კოლმეურნეობის მერგოლური
2. არძენაძე სულთან ახმედის ასული – დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე
3. არძენაძე გულაიშე მევლუდის ასული – დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე.
4. ბერიძე ჯელილ დაუთის ძე – ზვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე (1949წ.)

5. ბოლქვაძე მემედ ოსმანის ძე – საქ. ალკკ. ქედის რაიკომის მდივანი (1949 წ.)

6. ჯინჭარაძე ასიე ოსმანის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე (1949წ.)

7. ლორთქიფანიძე მერიემ ომერის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამ-ბაქოე (1949წ.)

8. მადაძე ხატიჯე რამიზის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე (1949წ.)

9. მახაჭაძე იბრაიმ სულეიმანის ძე – ქედის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი (1949წ.)

10. საფარიძე მერიემ ალის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე (1949წ.)

11. საფარიძე ფადიმე მუსტაფის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამ-ბაქოე (1949წ.)

12. ჩხეიძე ნაჯიე დურსუნის ასული – დოლოგნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე. (1949წ.)

13. ჩხუბაძე ლუთბიე – ჯალაბაშვილების კოლმეურნეობა

14. ბერიძე სულეიმან მამუდის ძე – სოფ. ახოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე

15. ვასაძე რამიზ ხუსეინის ძე – სოფ. ცხმორისის კკოლმეურნეობის მეთამბაქოე

16. გოგიტიძე მემედ დურსუნის ძე – კოლმეურნეობა „ლენინის დროშის" მერ-გოლური

17. კეკელიძე შევქეთ რიზალის ძე – კოლმეურნეობა „წითელი დროშის" მერ-გოლური

18. მახარაძე ფადიმე ახმედის ასული – ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე

19. სირაბიძე რამიზ შუქრის ძე – კოლმეურნეობა „წითელი დროშის" მერგოლური

20. ხალვაში სელიმ ბილალის ძე – კოლმეურნეობა „წითელი დროშის" ბრიგადირი.

21. სურმანიძე ასიე მურადის ასული – დოლოგნის კოლმ. მეთამბაქოე.

22. მუავანაძე რეჯებ აბასის ძე – ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სოციალისტური შრომის გმირები ქედის ჩაიონში

ეუბ ანანიძე
1948 წ. 21.02

მუხამედ არძენაძე
1949 წ. 03.05

შუქრი ჯაყელიძე
1949 წ. 03.06

ოქროპირ ბერიძე
1949 წ. 03. 05

ხუსეინ მეგრელიძე
1949წ. 03.05

მამუდ ლორთქიფანიძე
1949 წ. 03.06

ალი საფარიძე
1949 წ. 03.07

ჰარუნ შილაძე
1949 წ. 03.07

ყედირ ჩხეიძე
1949 წ. 03.07

თამარა სიხარულიძე
1949 წ. 03.05

ახმედ (შალვა) აბაშიძე
1949 წ. 18.06

ახმედ ნაკაშიძე
1949 წ. 18.06

ისრაფილ ნაკაშიძე
1949 წ. 18.06

მამუდ ხალვაში
1949 წ. 18.06

აბდულ (ამირან) ბერიძე
1949 წ. 09.08

მთავარი საზრუნავი - განათლება

1921 წლის 5 ივლისს აჭარის რევკომისა და საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა აჭარაში სახალხო განათლების საქმის მოუგვარებლობის საკითხი. სახალხო განათლების დარგში პირველი ნაბიჯი გადადგა რევკომის განათლების განყოფილებამ, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატად. განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და 1921 წლის 29 სექტემბერს გაზეთ „უწყებაში" (რუსულ ენაზე) გამოაქვეყნა საერთო დებულებები აჭარაში სასკოლო რეფორმების შესახებ, მასში ნათქვამი იყო:

1. ქ. ბათუმისა და ოლქის სკოლები იყოფა პირველი და მეორე საფეხურის სკოლებად.

შენიშვნა: სკოლები ატარებენ შემოკლებულ სახელწოდებას – საბჭოთა ნომერისა და საფეხურის ჩვენებით, მაგალითად: მეორე საფეხურის პირველი საბჭოთა სკოლა.

2. პირველი საფეხურის სკოლების შემადგენლობაში შედიან ყოფილი დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი (ყოფილი პროგიმნაზიის კლასები) სასწავლებლები. მეორე საფეხურის სკოლების შემადგენლობაში კი შედიან ყოფილი გიმნაზიის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასები.

3. პირველი საფეხურის სკოლების კურსი ოთხწლიანი, მეორე საფეხურისა კი – 8-წლიანი.

4. სწავლება ხორციელდება ერთად და თანმიმდევრულად.

შენიშვნა: ახალი სასწავლო წლიდან პირველი საფეხურის ყველა სკოლაში შემოღებულია ერთობლივი სწავლება.

5. მეორე საფეხურის სკოლები ქ. ბათუმში რუსულ-ქართულია.

6. პირველი საფეხურის სკოლები კი იყოფა ქ. ბათუმში მცხოვრებ ეროვნებათაშორის შემდეგნაირად. პირველი საფეხურის 3 სკოლა ქართველებისათვის, 3 სკოლა რუსებისათვის, 1 სკოლა ქართველი მუსლიმანებისათვის, 1 სკოლა ბერძნებისათვის, 1 სკოლა სომხებისათვის, 1 სკოლა ებრაელებისათვის, 1 სკოლა სპარსელებისა და აზერბაიჯანლებისათვის.

შენიშვნა: გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირველი საფეხურის სკოლებისა, საჭიროებისა და შესაძლებლობების მიხედვით გაიხსნა, დაწყებითი სასწავლებელი სხვადასხვა ეროვნებისათვის (პირველი საფეხურის არასრული სკოლები) (დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ. 1964 წ. გვ. 45, 46).

ქედის მაზრაში 1921 წლისათვის იყო მახუნცეთისა და ქედის სკოლები. 1922 წლის 11 იანვრის დეკრეტით აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ სახელმწიფო ენად გამოაცხადა ქართული ენა და ყველა ტიპის სკოლებში სავალდებულო გახდა მშობლიურ ენაზე სწავლება.

ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მემედალი დიასამიძისა და მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილების ხელმძღვანელის მოედინ სურმანიძის ენერგიული მუშაობის შედეგად შეკეთდა ომის დროს საკმაოდ დაზიანებული ქედის სკოლა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში უმთავრეს საგანმანათლებლო პროგრამას კადრების დეფიციტი წარმოადგენდა, ადგილობრივი კადრები მაშინ თითქმის არ იყვნენ, ამიტომ აჭარის ხელისუფლებამ 1921 წლის 28 ნოემბერს მიიღო დადგენილება განათლების მუშაკთა მობილიზაციის შესახებ: შეიქმნა პედაგოგთა აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება. გაიგზავნა ბრიგადები ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში აჭარისტანის სკოლებისათვის კადრების შესარჩევად. მათთვის მოეწყო მოკლევადიანი კურსები, სადაც პედაგოგიური დახელოვნების გარდა ყურადღება ექცეოდა აჭარელთა ადათ-წესებისა და მათთან განსაკუთრებულად

მიდგომის აუცილებლობის გამოცნობას" (მერი დიასამიძე, საუკუნოვანი სკოლა, გვ. 59). 1921 წლის 8 დეკემბერს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა საქართველოს რევკომის დადგენილება და ვინც არ დაემორჩილებოდა პედაგოგთა აღრიცხვას, მას დანაშაულად ეთვლებოდა, ამის შემდეგ აჭარის მაღალმთიან რაიონებში გაიგზავნა პედაგოგები სამუშაოდ: აჭარის განათლების სახალხო კომისარიატმა ქედის მაზრაში გამოგზავნა პირველი მასწავლებლები: თელია ალექსანდრე, მენაბდე ბარნაბი, შავიშვილი ახმედ, კონტრიძე ქეთევან, კაიკაციშვილი სულეიმან, ბირკაია არჩილ, ჩიჩუა იოანე, სალუქვაძე არკადი, მეგრელიძე ბართლომე, ჩხაიძე შუშანა, ჩხაიძე შოთა, უშვერიძე ბენია, გოგია გრიგოლ, გიორგაძე ბენია, ბაბილოძე გრიგოლ და სხვა.

აჭარას მასწავლებელთა საკუთარი კადრები არ ჰყავდა, ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ბათუმში მცხოვრებ განათლებულ პირთა მობილიზაცია სკოლებში მასწავლებლად გასაგზავნად, აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებიდან მასწავლებლების მოწვევა. მთავრობის ამ ინიციატივას გამოეხმაურენ გურიის, იმერეთის და სამეგრელოს რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომში აქტიურ აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდნენ.

1923 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად ბათუმში გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, აგრეთვე გახსნილი იყო ბათუმში მასწავლებელთა გადასამზადებელი ზაფხულის კურსები.

1921 წლის 4 ივნისს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ.

1924 წლის 13 ნოემბერს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „აჭარისტანის ასსრ მცხოვრებ მოზარდთა წერა-კითხვის უცოდინრობის შესახებ". მასში ნათქვამი იყო „რომ რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ის მოზრდილი თაობა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, წლოვანებით 18-დან 40 წლამდე, ვალდებულია შეისწავლოს წერა-კითხვა დედა ენაზე ან სახელმწიფო ქართულ ენაზე სურვილისამებრ" (დ. დიასამიძე, იქვე, გვ. 53.). ყველა სოფელში მოეწყო წერა-კითხვის შესასწავლი სკოლები, 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით გამოირკვა, რომ აჭარაში ასაკოვანი 131 957 მოსახლიდან წერა-კითხვა იცოდა 38952 ადამიანმა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, ამიტომ 1926 წლიდან შეიქმნა „წერკუმსის" სამაზრო საბჭოები და გაჩაღდა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის.

1924 წლისათვის გაიზარდა ბიბლიოთეკებისა და ქოხსამკითხველოების ქსელი. ქედის მაზრაში იყო ქოხსამკითხველოები დოლოგანში, ქედაში, მერისში, მახუნცეთში და ცხმორისში.

წარსულის მავნე გადმონაშთების წინააააღმდეგ ბრძოლა და ანტირელიგიური პროპაგანდა აჭარაში, განსაკუთრებით სოფლად, 1927 წლამდე ძალიან ფრთხილად და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ დარგში გატარებულ ღონისძიებათა შემდეგ სკოლებში რელიგიური მოძღვრების სწავლების აკრძალვის გარდა, 1924 წელს გაუქმდა შარიათი, ხოლო 1926 წელს – მუფთობა, 1924 წელს აჭარაში ყველგან განხორციელდა საქართველოს ცაკის დეკრეტი სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ, რითაც აიკრძალა სკოლებში რელიგიური მოძღვრების სწავლება, მაგრამ აჭარის თავისებური ისტორიული წარსულის გამო, საჭირო გახდა ზოგიერთი დათმობის დაშვება. დეკრეტის შემდეგაც სკოლებში ისწავლებოდა მაჰმადის რჯული და თურქული ენა 1931 წლამდე.

1929 წლის 30 იანვარს აჭარის ასსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს დეკრეტი, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან უნდა შემოეღოთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ორივე სქესის

ბავშვებისათვის 8-დან 14 წლამდე, იკრძალებოდა ბავშვების აღზრდა და სწავლება საბჭოთა სკოლის გარეშე, ე.ი. მედრესესა და მექთებეებში.

მედრესე-მექთებეების ნაჩქარევად და ადმინისტრაციული წესით დახურვა, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯი იყო, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, ეს იყო კომუნისტური პარტიის ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმა, მკაცრი ბრძოლის დაწყება ჩადრის ახდის და რელიგიური სკოლების დახურვისათვის და რელიგიის მასწავლებელ მოლა-ხოჯების წინააღმდეგ.

1928-1929 წლებში საკმარისი აღარ იყო სასკოლო ფართობები, კლასკაბინეტები. ქედის მაზრაში 32 დაწყებითი სკოლიდან საკუთარი შენობა ჰქონდა 10 სკოლას.

1929 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ გააუქმა აჭარაში გამოცემული დეკრეტი საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ, რაც გამოწვეული იყო სასწავლო ბაზების უქონლობის გამო, მაგრამ 1933 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება აჭარის ასსრ მთელ ტერიტორიაზე 1933-1934 სასწავლო წლიდან საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ.

1937-1938 სასწავლო წელს ქედის რაიონში იყო 48 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათგან 41 დაწყებითი, 7 არასრული საშუალო და 1 საშუალო. სკოლაში სწავლობდა 2451 მოსწავლე, 1935 წელს ბათუმში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი ოთხი ფაკულტეტით.

პირველი სკოლები რევოლუციის შემდეგ

1921 წელს დაწყებითი სკოლები გაიხსნა ზესოფელში და გულებში.

ზესოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები იყვნენ: სილიბისტრო ნაჭყებია, ბესარიონ ჭანუყვაძე, თეიმურაზ კუნჭულია.

გულების სკოლის აშენებაზე 2000 მანეთი დაიხარჯა. სკოლის აშენების ინიციატორები იყვნენ: ხულუს, ქემალ და მურად დიასამიძეები.

გულების სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: კოტე ცინცაძე, ელენე გიორგაძე, 1926 წელს გულების დაწყებით სკოლაში 40 მოსწავლე სწავლობდა. 1922 წლის 11 აპრილისათვის ქედის მაზრაში იყო 8 დაწყებითი სკოლა 17 მასწავლებლითა და 200 მოსწავლით. 1922 წლის აგვისტოსათვის ქედის მაზრაში იყო თერთმეტი დაწყებითი სკოლა, 14 მასწავლებელი და 377 მოსწავლე.

1922 წელს დაწყებითი სკოლები გაიხსნა გოგიაშვილებში, ალიქოღლებში (ოქტომბერი), დერეხოხნაში (კოლოტაური) და აქუცაში. 1923 წლის დამდეგს დაწყებითი სკოლა გაიხსნა ვაიოში.

1923 წელს დაწყებითი სკოლა გაიხსნა ორცვაში, რომლის გამგე იყო ნ. ლაშხი.

1931 წელს სკოლებში გაუქმებული იქნა თურქული ენის სწავლება.

ქედის რაიონის პირველ სკოლებში მუშაობდნენ

1. დაბა ქედის ქართული სკოლა: ნინო აბულაძე, ქეთო კონტრიძე.
2. სოფელ ქვედა აგარის ქართული სკოლა: ვარლამ ჩხიკვიშვილი, ლიზა კალანდარიშვილი.
3. სოფელ აქუცის ქართული სკოლა: ნინო ურუშაძე, ნიკოლოზ ბასილაშვილი.
4. სოფელ დერეხოხნის ქართული სკოლა: აგრაფინა ფირცხალაიშვილი, სერგო ტორონჯაძე, ელენე არობელიძე.
5. სოფელ ორცვის ქართული სკოლა: ნინო ჯოხაძე, ნიკოლოზ ლაშხი, ოლია

გენძეხაძე.

6. სოფელ გულების ქართული სკოლა: კოტე ცინცაძე, ბიქტორ დოლიძე
7. სოფელ დანდალოს ქართული სკოლა: დავით სარიშვილი
8. სოფელ ცხმორისის ქართული სკოლა: მარინა წილოსანი.
9. სოფელ ზესოფლის ქართული სკოლა: კაპიტონ ჩიხლაძე, აკაკი ბოხუა, ოლღა ჭანტურია.
10. სოფელ ძენწმანის ქართული სკოლა: ლეო გოგლიძე.
11. სოფელ მეძიბნის ქართული სკოლა: ხ. დუმბაძე.
12. სოფელ ვაიოს ქართულის სკოლა: დომენტი გეორხელიძე.
13. სოფელ მერისის ქართულის კოლა: სიმონ ჯორბენაძე.

(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფ.რ–2, ანაწ. 1)

სკოლებში მუშაობის ასე თუ ისე ნორმალიზაციის მიზნით ხშირად ხდებოდა კადრების გადაჯგუფება და შევსება, საილუსტრაციოდ მივმართავ 1930 წლის ერთ დოკუმენტს:

15 სექტემბრიდან განთავისუფლდნენ:

1. გოგიტიძე ვალიკო – ს. დანდალოს სკოლის გამგე
2. კალანდარიშვილი პავლე ს. ახოს სკ. გამგე
3. დანელია ესტატე – ს. გულების სკ. გამგე
4. გვაზავა მიხეილ – ს.ზესოფლის სკ. გამგე
5. გოგუაძე მიხეილ – ს. ვარჯანისის სკ. გამგე
6. ხობუა აკაკი – ს. მეძიბნის სკ. გამგე
7. სარიშვილი ნინა – ს. ალიქოლლების სკ. გამგე
8. სურმავა დავით – ს. ზესოფლის სკ. გამგე

განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო:

1. ხუციშვილი ალექსანდრე – ს. ხარაულის სკ. გამგე
2. ჟღენტი თინა – ს. სილიბაურის სკ. მასწავლებელი
3. გორგაძე ელენე – ს. ორცვის სკ. მასწავლებელი

დატოვებულ იქნენ სკოლის გამგეებად:

1. კვიტაიშვილი ალექსანდრე
2. მენაბდე ქეთი
3. ანთაძე დავით
4. გენძეხაძე მიხეილ
5. ღლონტი ივანე
6. მჟავია სერგო
7. ანჯაფარიძე პლატონ
8. ორაგველიძე ტერეზა
9. დობორჯგინიძე შოთა
10. გოგიჩაიშვილი ტარასი
11. გოგიჩაიშვილი მიხეილ

მოწვეულ იქნენ გამგის თანამდებობაზე:
1. ჭყონია ეგნატე
2. ღლონტი ელისე
3. სადარეიშვილი დარია
4. მგელაძე შონია
5. ჩხაიძე ნინო
6. ორაგველიძე მარო
7. ნიკოლაიშვილი ბესარიონ

დაინიშნენ სკოლის გამგეებად:
1. დონდოლაძე გრიგოლ
2. ჩხაიძე სერგო
3. მოისწრაფეიშვილი ნესტორ
4. სულაბერიძე შოთა
5. დარსაველიძე კონსტანტინე
6. ჯანელიძე ანა
7. დარსაველიძე ალექსანდრე
8. ვაშალომიძე ივანე

დატოვებულ იქნენ მასწავლებლებად:

1. წეროძე ნადია
2. ჩხაიძე ქეთი
3. ბერიძე ნადია
4. სარჯველაძე ქეთი
5. კირაკოზოვა მარო
6. ღლონტი ანასტასია
7. იოსელიანი ეკატერინე
8. ყაჭეიშვილი გოგუცა

დაინიშნენ ახალ მასწავლებლებად:

1. ორაგველიძე ნადია
2. ჩხიკვაძე ლიდა
3. თოდრია ნინა
4. ცინცაძე ლიუბა
5. გოგელაძე იულია
6. ორაგველიძე ჟენია
7. სარჯველაძე ოტია
8. გოგიბერიძე ელისაბედ
9. დუმბაძე დავით
10. მიქანაძე დომნა
11. სურმანიძე სონია – ხუშუდ ბეგ სურმანიძის მეუღლე (ქალიშვილობაში ძნელაძე)
12. ურატაძე ილარიონ
13. გუბელიძე ამბროსი
14. შარაბიძე ისიდორე
15. ვაშაკიძე აკაკი

16. მათითაიშვილი ნეონინა
17. ხომერიკი ბანიამინ
18. მურვანიძე აკაკი

სირთულეებისა და მათ დასაძლევად გაწეულ მუშაობაზე წარმოდგენის შესაქმნელად მოვიტან 1932 წლის რაიაღმასკომის დადგენილებას მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ. ამ დოკუმენტით ბევრ მაშინდელ კადრზე შეგვექმნება წარმოდგენა.

1932 წლის 4 თებერვლიდან ქედის რაიონის სკოლის გამგეებად დაინიშნენ (ეს ხდება სასწავლო წლის მეოთხე ნახევარში) ბრძანებას ხელს აწერს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ზექერია ბერიძე

1. სოფ. ბალაძეები – ანდღულაძე ელენე
2. სოფ. გეგელიძეები – დონდოლაძე გრიგოლ
3. სოფ. ხარაულა – მელიავა დავით
4. დანდალო – დარსაველიძე ალექსანდრე
5. სოფ. ცხმორისი – ურატაძე ილარიონ
6. სოფ. ახო – ჩხაიძე აპოლონ
7. სოფ. გობრონეთი – ქარცივაძე ნინა
8. სოფ. კოკოტაური – ნიკურაძე იონა
9. სოფ. ჯალაბაშვილები – ბაქრაძე გრიგოლ
10. სოფ. აბუქეთა – ღლონტი ელისა
11. სოფ. კანტაური – ჩიტიშვილი ვასო
12. სოფ. ქინძაკარავი – ბზეკალავა გრიგოლ
13. სოფ. ბასილაური – მიქაძე დომნა
14. სოფ. საცხვორია – მენაბდე ქეთო
15. სოფ. ვარჯანისი – პაიჭაძე მიხეილ
16. სოფ. კვაშტა – ჭყონია ეგნატე
17. სოფ ვაიო – გოგუაძე იულია
18. სოფ. ზვარე – ქანთარია აბესალომ
19. სოფ. ზესოფელი – მოისწრაფიშვილი ნესტორ
20. სოფ ზენდიდი – ნიკოლაიშვილი ბესარიონ
21. სოფ. გულები – ხუხუნაიშვილი ნინა
22. სოფ. აქუცა – მექვაბიშვილი თვისო
23. სოფ. ორცვა – მახარაძე ბორის
24. სოფ. მეძიბნა – დარსაველიძე კონსტანტინე
25. სოფ. ალიქოღლები – სარჯველაძე ოტია
26. სოფ. კუჭულა – შანიძე შალვა
27. სოფ. ძენწმანი – კარაკოზაშვილი მერი
28. სოფ. კორომხეთი – მათითაიშვილი ლენა
29. სოფ. შავაბური – გოგიჩაიშვილი ვალერიან
30. ქედის სკოლა – გიორგაძე ბენია
31. სოფ. ორთახოხნა – ჩხარტიშვილი როზა
32. სოფ. საღორეთი – ბრეგვაძე გიორგი
33. სოფ. ქვედა აგარა – მუშკუდიანი თამარა
34. სოფ. ზედა აგარა – კვიტაიშვილი ალექსანდრე
35. სოფ. დერეხოხნა – მურვანიძე აკაკი

36. სოფ. ინაშარიძეები – ჩხაიძე სერგო
37. სოფ. სიხალიძეები – დუმბაძე დავით
38. სოფ. ქეშიოღლები – გოგელია ალექსი
39. მერისის სკოლა – ღლონტი ივანე
40. სოფ. ბარამოღლები – კაკაბაძე ლიუბა
41. სოფ. სილიბაური – თოდრია ნადია

ჭრა-კერვის სკოლების გამგეებად დაინიშნენ:

1. სოფ. ახო – გოგელია ლიზა
2. სოფ. ზენდიდი – დვალიშვილი მანია
3. სოფ. აქუცა – გაბედავა ქსენია
4. სოფ. ინაშარიძეები – კონტრიძე ნატაშა
5. სოფელ ორცვა – ლომაძე ქსენია
6. სოფ. ცხმორისი – აბაშიძე მარო
7. სოფ. ძენწმანი – რუხაძე ლიდა
8. სოფ. ქვედა აგარა – ჩხარტიშვილი ელენე
9. სოფ. ალიქოღლები – თავართქილაძე ლიზა

თურქული ენის მასწავლებლებად დაინიშნენ:

1. ბერიძე მევლუდ – ცხმორისის და დანდალოს სკოლები
2. ბერიძე აბდულ – ახოს და ბასილაურის სკოლები
3. დოლიძე ღისა – სილიბაურას და მერისის სკოლა
4. დავითაძე მევლუდ – აქუცისა და ზესოფლის სკოლა
5. დუმბაძე ხუსეინ – მეძიბნის და სიხალიძეების სკოლა
6. დევაძე მემედ – ზედა აგარის და საღორეთის სკოლა
7. ჯაყელი აბდულ – კვაშტისა და ვაიოს სკოლა
8. ბასილაძე ხულუს – ალიქოღლებისა და ინაშარიძეების სკოლა
9. სურმანიძე ახმედ – ზენდიდის და გულების სკოლა

1934 წლის პირველი იანვრიდან სკოლის გამგეებისა და მასწავლებლების დანიშვნა

1934 წლის 1 იანვრიდან სოფელ კვაშტის სკოლაში გამგედ დაინიშნა სარჯველაძე ოტია ვასილის ძე, მასწავლებლებლად – ქინქლაძე ნინა ვლადიმერის ასული, ასკურავა გრიშა თედორეს ძე, თოფურია ოთარი, თურქული ენის მასწავლებლად ჯაყელი აბდულ სულეიმანის ძე.

სოფელ ვაიოს შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა მურად ნიჟარაძე, მასწავლებლად კობალაძე ვერა ნესტორის ასული, თურქული ენის მასწავლებლად ჯაყელი აბდულ სულეიმანის ძე.

ზესოფლის შრომის სკოლის გამგედ დაინიშნა მჟავანაძე გერმანე ვლადიმერის ძე, მასწავლებლად მჟავანაძე შურა კიმორეს ასული.

სოფ. ზვარის შრომის სკოლის გამგედ – ხომერიკი გალაქტიონ ანტონის ძე, მასწავ-ლებლად – დარჩია ანიკო დიმიტრის ასული.

სოფ. წონიარისის შრ. სკოლის გამგედ – ჯიშკარიანი მარო.

სოფ. საცხოვრიას შრ. სკოლის გამგე მასწავლებლად – სიგუა დავით გაბრიელის ძე, მასწავლებლად სიგუა – მარო ივანეს ასული.

სოფ. ბასილაურის შრ. სკოლის გამგე გახდა ფელულ ბოლქვაძე, მასწავლებლად დაინიშნა ბოლქვაძე შუშანა ანტონის ასული, თურქული ენის მასწავლებლად – ბერიძე აბდული.

სოფ. ვარჯანისის შრ. სკოლის გამგედ – ბჟალავა კატუშა, მასწავლებლად – ესართია სევერიანი, თურქული ენის მასწავლებლად ბერიძე აბდული.

სოფ. კანტაურის შრ. სკოლის გამგედ რუსიძე ქეთო კონსტანტინეს ასული

სოფ. ვაიოს მოზრდილთა სკოლის გამგედ ნიჟარაძე მურად.

პირველი მაისის რაისკოლის გამგედ დაინიშნა დარსაველიძე ალექსანდრე ივანეს ძე, მასწავლებლებად ქუთათელაძე ზინა ერმილეს ასული, ხოფერია ალექსანდრე ანდროს ძე, შენგელია ჟენია, თურქული ენის მასწავლებლად დევაძე მემედ.

სოფ. ზედა აგარის შრ. სკოლის გამგედ მგალობლიშვილი გრიგოლ ვლადიმერის ძე, მასწავლებლად სიხარულიძე ქეთი, ყალიჩავა შალვა ძე, თურქული ენის მასწავლებლად დევაძე მემედ.

სოფ. ქვედა აგარის შრ. სკოლის გამგედ ყენია გიორგი კონსტანტინეს ძე, მასწავლებლად ფირცხალაიშვილი ნატაშა გაბრიელის ასული.

სოფ. ორთახოხნის შრ. სკოლის გამგედ კუნჭულია ნინა ყარამანის ასული.

სოფ. დერეხოხნის შრ. სკოლის გამგედ ფირცხალაიშვილი კლემენტი, მასწავლებლად ფირცხალაიშვილი ვერა აფრასიონის ასული.

სოფ. საღორეთის პროფ. სკოლის გამგედ ბზეკალავა თამარ გიორგის ასული, მასწავლებლად ქუთათელაძე ზინა ერმილეს ასული.

ცხმორისის რაისკოლის გამგედ დაინიშნა ურატაძე ილარიონ გიორგის ძე, მასწავლებლებად ნოდია თამარ ივანეს ასული, ურატაძე დავით გიორგის ძე, ჩალიგავა იასონ გუჯას ძე, გოგუაძე თეოფანე ქიშვარდის ძე, თურქული ენის მასწავლებლად ბერიძე მევლუდ.

სოფ. ახოს შრ. სკოლის გამგედ მიქატაძე პლატონ ავთანდილის ძე, მასწავლებლებად ფირცხალაიშვილი ნინა მიხეილის ასული, ბურჭულაძე სერგო ვლადიმერის ძე.

სოფ. აბუქეთის შრ. სკოლის გამგედ ართილაყვა გრიგოლ, მასწავლებლად მოსეშვილი ვენერა ალექსის ასული.

სოფ. გეგელიძეების შრ. სკოლის გამგედ ფირცხალაიშვილი დავით ფილიპეს ძე, მასწავლებლად ჩიქვინიძე ქსენია მიხეილის ასული.

სოფ. კოკოტაურის შრ. სკოლის გამგედ მგელაძე ალექსანდრე, მასწავლებლად ესართია ანეტა.

ძანაძეების სკოლის მასწავლებლად ჯალაძიანი ამბროსი.

სოფ. ბალაძეების შრ. სკოლის გამგე მასწავლებლად ბოლქვაძე გიორგი ვარლამის ძე, მასწავლებლად გოგუა მიხეილი.

სოფ. დანდალოს შრ. სკოლის გამგედ დეისაძე ვანო მიხეილის ძე, მასწავლებლებად მდინარაძე ასინეთ არსენის ასული, თავართქილაძე გრიშა გლახუნის ძე, თურქული ენის მასწავლებლად ბერიძე მევლუდ.

სოფ. გოგიაშვილების შრ. სკოლის გამგედ გოგელია გიორგი, მასწავლებლად ნოდია ნინა ივანეს ასული.

სოფ. ჯალაბაშვილების შრ. სკოლის გამგედ ხაინდრავა დომენტი ნესტორის ძე, მასწავლებლად შავიშვილი ხასან.

სოფ. გობრონეთის შრ. სკოლის გამგედ სირაძე ბესარიონ ივანეს ძე.

სოფ. ხარაულის შრ. სკოლის გამგედ ტოტოჩავა ალექსანდრე ვარლამის ძე, მასწავლებლად ზამბახიძე აკაკი.

ცხმორისის ჭრაკერვის სკოლის გამგედ კაკაურიძე ნადია, მასწავლებლად ნოდია თამარ.

ცხმორისის ქოხსამკითხველოს გამგედ ბერიძე დურსუნ.

1934 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა ცენტრი ცხმორისის დაწყებითი სკოლა. ცხმორისის კოლ. ახ. სკოლის გამგედ შეთავსებით დაინიშნა ურატაძე ილარიონ გიორგის ძე, მასწავლებლად გიგინეიშვილი ზინა.

სოფ. მერისის რაისკოლის გამგედ დაინიშნა ღლონტი ივანე გიორგის ძე, მასწავლებლებად კალანდაძე ვალია თომას ასული, ლომთათიძე ირა სოლომონის ასული, თურქული ენის მასწავლებლად დოლიძე ღისა უსუფის ძე.

სოფ. ინაშარიძეების შრ. სკოლის გამგედ ხომერიკი ვარლამ, მასწავლებლებად გოგუა დონიკა, მარგველაშვილი ვანო, თურქული ენის მასწავლებლად დავითაძე მევლუდ.

სოფ. სიხალიძეების შრ. სკოლის გამგედ გოგიჩაიშვილი გალაქტიონი, მასწავლებლად გოგეშვილი სოფო.

სოფ. ბარამოღლების შრ. სკოლის გამგედ ხავთასი პლატონ იუსტინეს ძე (ჭალათის პარალლელი), მასწავლებლად შენგელია ნიკოლოზ.

სოფ. ქეშიოღლების შრ. სკოლის გამგე-მასწავლებლად ბუცხრიკიძე მიშა აფრასიონის ძე და მასწავლებლად გოგუაძე ზინა რაფიელის ასული.

სოფ. ნამონასტრევის შრ. სკოლის გამგედ მგელაძე ექვთიმე ირაკლის ძე.

სოფ. სილიბაურის შრ. სკოლის გამგე თოდრია ნოშრევან მაქსიმეს ძე, მასწავლებლად თოდრია ნადია მაქსიმეს ასული, თურქული ენის მასწავლებლად დოლიძე ღისა უსუფის ძე.

მერისის სკოლის გამგედ ღლონტი ივანე გრიგორის ძე, მასწავლებლად ღლონტი ანასტასია და შერვაშიძე ბექირ შირინის ძე.

სოფ. ზენდიდის საბაზო სკოლის გამგედ დაინიშნა შავიშვილი ხასან მურადის ძე, მასწავლებლებად მათითაიშვილი ლენა ნიკიფორეს ასული, სურგულაძე მარგალიტა ანდროს ასული, კონტრიძე ოლია, გოლეთიანი დომენტი, თურქული ენის მასწავლებლად სურმანიძე ახმედ ფერათის ძე, ფიზკულტურის მასწავლებლად თურმანიძე სულეიმან ალის ძე.

სოფ. გულების შრომის სკოლის გამგედ მურვანიძე აკაკი, მასწავლებლად მურვანიძე დარიკო, თურქული ენის მასწავლებლად სურმანიძე ახმედ ფერათის ძე.

სოფ. კორომხეთის შრ. სკოლის გამგედ გოგიჩაიშვილი დარეჯან კონსტანტინეს ასული, მათითაიშვილი ლუბა ნიკიფორეს ასული, თურქული ენის მასწავლებლად გორგაძე ზექერია.

სოფ. ალიქოღლების შრ. სკოლის გამგედ კუტალაძე იონა, მასწავლებლად გოგიბერიძე ელისაბედ, პაპავა იოსებ, მოისწრაფიშვილი ნესტორ ნიკოს ძე და თურქული ენის მასწავლებლად ბასილაძე ხულუს.

სოფ. მეძიბნის შრომის სკოლის გამგედ ჩარგეიშვილი ლიდა, მასწავლებლად ჭედია ტერეზა.

სოფ. ორცვის შრომის სკოლის გამგედ თურმანიძე შუქრი ზექერიას ძე, მასწავლებლად კაკაბაძე ლუბა დიმიტრის ასული, ღონიაძე რასიმ.

თურქული ენის მასწავლებლად დიასამიძე მემედ.

სოფ. აქუცის შრ. სკოლის გამგედ ქარჩავა გიორგი დავითის ძე, მასწავლებლად კოტიშაძე ქსენია პავლეს ასული და თურქული ენის მასწავლებლად დავითაძე მევლუდ.

სოფ. მეძიბნის შრ. სკოლის გამგე მასწავლებლად დარსაველიძე კონსტანტინე, მასწავლებლად სარჯველაძე ქეთო, თურქული ენის მასწავლებლად დუმბაძე ხუსეინ.

სოფ. კუჭულის შრ. სკოლის გამგედ ჩიქოვანი ილია და ხომერიკი ვარლამი.

სოფ. შავაბურის შრ. სკოლის გამგედ კალანდარიშვილი მარო, მასწავლებლად ორაგველიძე ქეთო მიხეილის ასული.

სოფ. ალიქოღლების პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად შერვაშიძე ლიუბა.

სოფ. ძენწმანის პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად მენაბდე ზექია ხასანის

ასული, მასწავლებლად ჭედია ტერეზა.

სოფ. გულების პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად ღლონტი კატუშა ლუკას ასული, მასწავლებლად – მურვანიძე დარიკო.

სოფ. მეძიბნის პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად გორგაძე შონია მეთოდეს ასული.

სოფ. კორომხეთის პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად ქარჩავა ეკატერინე დავითის ასული, მასწავლებლად – შეთავსებით მათიაშვილი ლუბა.

სოფ. ორცვის პროფ. სკოლის გამგე მასწავლებლად ყულეჯიშვილი შუქიფე მურადის ასული, მასწავლებლად შეთავსებით – კაკაბაძე ლიუბა დიმიტრის ასული.

ქედის კოლ. ახ. სკოლის საორგანიზაციო ნაწილის გამგედ – ნაკაშიძე სულეიმან ყიზეთის ძე, მეთოდური ნაწილის გამგედ – ბაბილოძე გრიშა ალექსის ძე, მასწავლებლებად – მამეიშვილი გრიშა, თურმანიძე ისკენდერ ყედირის ძე, მგალობლიშვილი ანა, მოსამზადებელი ჯგუფის მასწავლებლად – ბაკურიძე ირაკლი გიორგის ძე, ფიზკულტურის მასწავლებლად – თურმანიძე სულეიმან ალის ძე, სამხედრო საგნის მასწავლებლად – კოტრიკაძე შალვა პავლეს ძე.

1934 წლის 1 სექტემბრიდან ქედის I საბაზო დაწყებითი სკოლის გამგეა შავიშვილი ხასან მურადის ძე, ალიქოღლების დაწყებითი სკოლის გამგე – დანელია იოსებ გახუს ძე.

1935 წლიდან განათლების განყოფილების გამგეა სერგო კობიძე, შემდეგ რეჯებ მჟავანაძე, ხასან შავიშვილი.

ქედის რაიაღმასკომის 1934 წლის №101 ბრძანებით სკოლის გამგეებად და მასწავლებლებად დაინიშნენ:

1. ზენდიდის დაწყებითი სკოლის გამგედ ხასან შავიშვილი.

ამავე სკოლის მასწავლებლებად მათითაიშვილი ლენა, გიგინეიშვილი ზინა, დიასამიძე ისმაილ, ბეჟანიძე ნადია, ფიზკულტურის მასწავლებლად დიასამიძე ისმაილ, თურქულის მასწავლებლად დაინიშნა სურმანიძე ახმედ.

ალიქოღლების დაწყ. სკოლის გამგედ – დანელია იოსები. ამავე სკოლის მასწავლებლად – გოგიბერიძე ელისაბედ, ლომთათიძე ირა, დარაჯად სურმანიძე დურსუნ, თურქულის მასწავლებლად – ჩხაიძე ბილალი.

მეძიბნის დაწყ. სკ. გამგედ დუმბაძე დავით, ამავე სკოლის მასწავლებლად ხინიკაძე შუშანა.

გულების დაწყ. სკოლის გამგედ – დარსაველიძე კოლია, ამავე სკ. მასწავლებლად – დარსაველიძე ქეთო, თურქულის მასწავლებლად – სურმანიძე ახმედ.

აქუცის დაწყ. სკოლის გამგედ – სიხარულიძე შალვა, ამავე სკოლის მასწავლებლად – იმნაიშვილი მიტია, თურქულის მასწავლებლად – დავითაძე მევლუდ.

კუჭულის დაწყ. სკოლის გამგედ – კუნჭულია ნინა, ამავე სკოლის მასწავლებლად – თავართქილაძე გრიშა.

ორცვის დაწყ. სკოლის გამგედ – თურმანიძე შუქრი, ამავე სკოლის მასწავლებლად – კაკაბაძე ლუბა, ღონიაძე რასიმ, თურქულის მასწავლებლად – დიასამიძე მემედ.

კორომხეთის დაწყ. სკოლის გამგედ – მიქატაძე პლატონ, ამავე სკოლის მასწავლებლად – მიქატაძე ნინა, თურქულის მასწავლებლად – გურგენაძე ზექერია.

შავაბურის სკოლის გამგედ – სარჯველაძე მიშა, ამავე სკოლის მასწავლებლად – ვაჩეიშვილი კატუშა.

ძენწმანის დაწყებითი სკოლის გამგედ – ჩარგეიშვილი ლიდა, ამავე სკოლის მასწავლებლად – ჭედია მარო.

ცხემნის დაწყ. სკოლის გამგედ – მათითაიშვილი ლიუბა, ალიქოღლების პროფ. სკოლის გამგედ – შერვაშიძე ლიუბა.

მეძიბნის პროფ. სკოლის გამგედ – გიორგაძე შონია, ამავე სკოლის საგ. მასწ.

გიორგაძე შონია შეთავსებით.

კაკაოღლების პროფ. სკ. გამგედ – შავიშვილი კატუშა, ამავე სკოლის საგ. მასწავლებლად – მამეიშვილი კატუშა.

შავაბურის პროფ. სკ. გამგედ. – ღლონტი ნადია, ამავე სკ. საგ. მასწავლებლად – ვაჩეიშვილი კატუშა.

ქედის არსრულ საშუალო სკ. დირექტ. – ნაკაშიძე სულეიმან, ამავე სკ. მასწავლებლებად –მამეიშვილი გრიშა, თურმანიძე სკენდერ, ფირცხალაშვილი ბაბილინა, სამ.ნეო. ნაწ. გამგედ თურმანიძე სკენდერ, ფიზკულტ. მასწ. დაინიშნა ნაკაშიძე სულეიმან.

ვაიოს სკ. გამგედ – ნიჟარაძე მურად, ამავე სკ. მასწავლებლად ზედანია ქსენია.

კვაშტის სკოლის გამგედ – სარჯველაძე ოტია, ამავე სკ. მასწავლებლად ა/წ თხუთმეტიდან ფირცხალაშვ. ანეტა, თურქულის მასწავლებლად ა/წ 1/9 დან ჯაყელი აბდულ.

სირაბიძეების დაწყ. სკ. გამგედ კახაძე ივანე, ამავე სკ. მასწავლებლად ფირცხალაიშვილი ანეტა.

კანტაურის დაწყ.სკ. გამგედ გაჩეჩილაძე ნინა, ამავე სკოლის მასწავლებლად დონდუა ივანე.

ვარჯანისის დაწყ. სკ. გამგედ ბახტაძე ქსენია, ამავე სკოლის მასწავლებლად ცომაია პროფილე, თურქულის მასწავლებლად ბერიძე აბდულ.

საცხოვრიის დაწყ. სკ. გამგედ მგელაძე ექვთიმე.

ზვარის დაწყ. სკ. გამგედ მგელაძე ალექსანდრე, ამავე სკ. მასწავლებლად რუხაძე შუშანა.

ბასილაურის დაწყ. სკ. გამგ. ჩხენკელი თამარა, ამავე სკ. მასწავლებლად ბოლქვაძე ფელულ.

ზესოფლის დაწყ. სკ. გამგედ სიგუა დავით, ამავე სკოლის მასწავლებლად სიგუა მარო.

ცხრაძმათის დაწყ. სკოლის გამგედ ყურაშვილი იულია, სასადილოყელის დაწყ. სკ გამგედ მამალაძე კლიმენტი, ამავე სკოლის მასწ. მახარაძე თინა, ბურნაძე გიორგი.

ქინძაკარავის დაწყ. სკოლის მასწ. თურმანიძე ოსმან.

კვაშტის პროფ. სკ. გამგედ დაინიშ. ანთაძე ნატაშა,

ზვარის პროფ. სკ. გამგედ ჭყონია ლიზა,

სოფელ ცხმორისის დაწყ. სკ. გამგედ ფირცხალაშ. კლიმენტი, ამავე სკოლის მასწავლებლებად ფირცხალაიშილი ვერა, ტყეშელაშვილი პოლიკა, ნოდია თამარა, ჯაში ნიკოლოზ, თურქულის მასწავლებლად ბერიძე მევლუდ.

აბუქეთის დაწყ. სკოლის გამგედ ურატაძე დავით, ამავე სკოლის მასწ. ნოდია ნინა.

ძანაძეების დაწყ. სკოლის გამგედ წილოსანი მათე, ამავე სკ. მასწავლებლად ჭუჭუა ნადია.

კანტაურის დაწყ. სკ. გამგედ ტყეშელაშვილი შალვა, ამავე სკოლის მასწავლებლად კოტიშაძე ქსენია.

ბალაძეების დაწყ სკოლის გამგედ თოფურია ოთარი, ამავე სკოლის მასწავლებლად ცინცაძე ალექსანდრა.

გეგელიძეების დაწყ. სკოლის გამგედ ფირცხალაშვილი დავით, ამავე სკ. მასწავლებლ. ჩიქვინიძე ქსენია

ახოს დაწყ. სკ. გამგედ გოგიჩაიშვილი შალვა, ამავე სკ. მასწავლებლებად: ჭანტურია რადოპიონ, სანაძე მარგალიტა.

გობრონეთის დაწყ. სკ. გამგედ ჩილიგავა იასონ, ამავე სკ. მასწავლებლად გაბედავა მარგალიტა,გოგიაშვილების დაწყ. სკ. გამგედ კუტალაძე კოლია,

დანდალოს დაწყ. სკ. გამგედ ღეისაძე ვანო, ამავე სკოლის მასწავლებლებად ჩაკვეტაძე აგრაფინა, ბადრიშვილი ერასტო, თურქულის მასწავლებლად ბერიძე მევლუდ.

ხარაულას დაწყ. სკ. გამგე 15.09-მდე ელიავა დავით და 15.09-დან ბასავა მიხეილ,

ამავე სკოლის მასწავლებლად ანესაძე ლიუბა.

ჯალაბაშვილების დაწყ. სკ. გამგ. დეისაძე ვარლამ, ამავე სკოლის მასწავლებლად ცანავა დინა.

ცხმორისის არასრული საშუალო სკ. გამგ. ურატაძე ილარიონ, ამავე სკოლის მასწავლებლად ჩხაიძე გრიშა.

მერისის დაწყ. სკ. გამგედ ღლონტი ვანო, ამავე სკოლის მასწავლებლად კალანდაძე ვალია, მიქაძე ალექსანდრა, თურქულის მასწავლებლად დოლიძე ღისა.

ქეშიოღლების დაწყ. სკ. გამგედ თხილავა ტერენტი, ამავე სკ. მასწავლებლად მანჯგალაძე ნინა.

ინაშარიძეების დაწყ სკ. გამ. ჩხაიძე სერაპიონ, ამავე სკ. მასწავლებლად თევზაძე საშა, თურქულის მასწავლებლად დავითაძე მევლუდ.

ნამონასტ. დაწყ. სკ. გამგ. მგელაძე დიმიტრი, ამავე სკ. მასწავლებლად მხეიძე ფელულ.

სილიბაურის სკ. გამგედ გოგიჩაიშვილი გალა გალაქტიონ, ამავე სკოლის მასწ. შეროზია ტატიანა, თურქულის მასწავლებლად დოლიძე ღისა.

ბარამოღლების დაწყ. სკ. გამგედ გოგუაძე ზინა, ამავე სკ. /ჭალათის პარალ./ მასწ. კოტიშაძე ქეთო.

სიხალიძეების დაწყ. სკ. გამგედ გურგენაძე რომან, ამავე სკოლის მასწავლებლად თევზაძე ტატიანა.

სილიბაურის პროფ. სკ. გამგედ გოგიჩაიშვილი მაშო.

მერისის არასრული საშ. სკ. დირექტ. ღლონტი ივანე, ამავე სკოლის მასწავლებლებლებად ღლონტი ტასო, მიქაძე ისაკი.

პირველი მაისის დაწყ.სკ. გამგედ დარსაველიძე ალექსანდრე, ამავე სკოლის მასწავლებლად ქუთათელაძე ზინა, დევაძე მემედ, თურქულის მასწავლებლად დევაძე მემედ, შეთავსებით.

ქვედა აგარის დაწყ. სკ. გამგედ ჩალოღლი ხუსეინ, ამავე სკ. მასწავლ. ფირცხალაშვილი ნატაშა, იაკობიძე ელენე.

ზედა აგ. დაწყ სკ. გამგედ თავაძე, ამავე სკოლის მასწავლებლად მაჭარაძე ლენა, თურქულის მასწავლებლად დევაძე მემედ.

დერეხოხნის დაწყ. სკ. გამგედ გეგენავა ევგენი, ამავე სკ. მასწ. შენგელია რაისა.

ორთახოხნის დაწყ. სკ. გამგედ გეგენავა ევგენი, ამავე სკოლის მასწავლებლად შენგელია რაისა.

ორთახოხნის დაწყ. სკ. გამგედ ვასაძე ოლია, ამავე სკ. მასწ. კანდელაკი ვენერა, დერეხოხნის პროფ. სკ. გამგედ ხუნდაძე ქეთო, ამავე სკ. მასწ. შეთავს. შენგელია.

1936 წლის დეკემბრიდან ქედის რაიონში შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

ნეჩა-ჯითხვის უსოდინაჩთა საციკვიდაციო სკოლები

ალიქოღლების სოფ. საბჭო:

1. ალიქოღლები 3 სკოლა, აქედან 2 ქალთა სკოლა
2. გოგინიძეები 2 სკოლა, 1 ქალთა
3. მეძიბნა 5 სკოლა, 3 ქალთა
4. ალიქოღლები 2 სკოლა, 1 ქალთა
5. კუჭულა 2 სკოლა, 1 ქალთა

მერისის სოფ. საბჭო.

1. ორთამელა 2 სკოლა, 1 ქალთა
2. ინაშარიძეები 3 სკოლა, 2 ქალთა

3. ბარამოღლები 2 სკოლა, 1 ქალთა
4. სილიბაური 2 სკოლა, 1 ქალთა
5. ნამონასტრევი 2 სკოლა, 1 ქალთა
6. ქეშიოღლები 3 სკოლა, 2 ქალთა
7. სიხალიძეები 3 სკოლა, 2 ქალთა

დანდალოს სოფ. საბჭო

1. ხარაულა 3 სკოლა, 2 ქალთა
2. ჯალაბაშვილები 3 სკოლა, 2 ქალთა
3. არძენაძეები 2 სკოლა, 2 ქალთა
4. ტაკიძეები 2 სკოლა, 1 ქალთა
5. გორგივლი მოსიაშვილები 2 სკოლა, 1 ქალთა

ზვარის სას. საბჭო

1. კანტაური 2 სკოლა, 1 ქალთა
2. სირაბიძეები 2 სკოლა, 1 ქალთა
3. კვაშტა 2 სკოლა, 2 ქალთა
5. ზესოფელი 2 სკოლა, 2 ქალთა
6. ზვარე 3 სკოლა, 2 ქალთა
7. ვარჯანისი 4 სკოლა, 2 ქალთა
8. საცხოვრია 2 სკოლა, 1 ქალთა
9. ცხრაძმათი 2 სკოლა, 1 ქალთა
10. სასადილოყელი 2 სკოლა, 1 ქალთა
11. ქინძაკარავი 1 სკოლა, 1 ქალთა
12. კეხიური 2 სკოლა, 1 ქალთა
13. ჯამი მეელა 2 სკოლა, 1 ქალთა
14. სვანივრი 2 სკოლა, 1 ქალთა

ცხმორისის სოფ. საბჭო

1. ბალაძეების 4 სკოლა, 2 ქალთა
2. გეგელიძეები 2 სკოლა, 1 ქალთა
3. ახო 4 სკოლა, 2 ქალთა
4. გობრონეთი 2 სკოლა, 1 ქალთა
5. აბუქეთა 2 სკოლა, 1 ქალთა
6. კოკოტაური 2 სკოლა, 1 ქალთა
7. ცხმორისი 4 სკოლა, 2 ქალთა
8. ძანაძეები 2 სკოლა, 1 ქალთა

ქედის სოფ. საბჭო

1. ზენდიდი 4 სკოლა, 2 ქალთა
2. გულები 2 სკოლა, 1 ქალთა
3. კორომხეთი 2 სკოლა, 1 ქალთა
4. აქუცა 3 სკოლა, 2 ქალთა

5. ქედა 2 სკოლა, 1 ქალთა
6. ძენწმანი 1 სკოლა, 1 ქალთა
7. ორცვა 2 სკოლა, 1 ქალთა
8. შევაბური 2 სკოლა, 1 ქალთა

პირველი მაისის სოფ. საბჭო

1. ორთახოხნა 2 სკოლა, 1 ქალთა
2. დერეხოხნა 3 სკოლა, 2 ქალთა
3. საღორეთი 4 სკოლა, 2 ქალთა
4. ზედა აგარა 2 სკოლა, 1 ქალთა
5. ქვედა აგარა 2 სკოლა, 1 ქალთა

იმის გამო, რომ ამ მონაკვეთს 20-30-იან წლებში მომუშავე პედაგოგთა ხსოვნა და მათდამი პატივისცემა აქვს მიზნად, ამიტომ ხარაულის სკოლის მაგალითზე შემოგთავაზებთ უფრო სრულყოფილ სიას, რომელიც თ. აბულაძის წიგნში „ორი სოფლის ჩირაღდანი" არის შეტანილი.

სკოლა გაიხსნა 1928 წელს.

1. ლიზა სურგულაძე – 1928-1930
2. ალექსანდრე დეისაძე – 1929
3. დიმიტრი არობელიძე – 1930
4. აკაკი ზამბახიძე – 1931-1934
5. ბორის მახარაძე – 1931
6. ალექსანდრე ტოტოჩავა – 1932-1934
7. ტუშა ორაგველიძე – 1932
8. ვანო დეისაძე – 1933
9. თინა დეისაძე – 1933
10. გორდის იმნაიშვილი – 1935-1936, პირველი დირექტორი
11. სონია ფირცხალაიშვილი – 1935
12. ანეტა ფირცხალაიშვილი – 1936-1981
13. ქსენია ორგველიძე – 1936
14. დიმიტრი ცხომელიძე – 1937-1938, დირექტორი
15. შალვა დოლიძე – 1938 დირექტორი
16. ნინა დონდუა – 1938-1939
17. შალვა ახვლედიანი – 1938
18. მარკელისა ახვლედიანი 1938-1939
19. ვასილ ტუღუში – 1938
20. მიხეილ გაგუა (ან გოგუა) – 1938
21. მოსე მეგრელიშვილი – 1939, დირექტორი
22. მურად მამისაშვილი – 1939-1940
23. შალვა სტურუა – 1939-1940 (დირექტორი 1940 წლიდან)
24. ნატაშა სარჯველაძე – 1939
25. ამირან დოლიძე – 1939-1940
26. ვასილ წივწივაძე – 1939
27. ს. ჩხაიძე – 1939
28. მამია ჩელებაძე – 1940

29. სერგო კოხრეიძე – 1940
30. ნ. სარჯველაძე – 1940
31. გალინა ზაქარეიშვილი 1942-1946
32. ნაზიკო მჟავანაძე – 1942
33. ნინა მიქანდაროვა – 1942

და ა.შ. სულ 1957 წლამდე ხარაულაში მუშაობდა 61 ჩამოსული მასწავლებელი.

როგორც ვნახეთ, მკითხველს შევთავაზე პირველი სკოლების პირველი მასწავლებლების საკმაოდ გრძელი და ერთი შეხედვით მოსაწყენი სია. წიგნის იმ ნაწილში, რომელშიც მოკლედ მიმოვიხილე 1921-1941 წლების შუქ-ჩრდილები, ვთქვი რომ უდიდესია პირველი მასწავლებლების ამაგი და მათი დავიწყების უფლება არა გვაქვს.

ისიც ვნახეთ, რამდენიმე წლის მონაცემები მოვიტანე და არა მთლიანად, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე მათი გამომზეურება. ამით, მგონი ბევრ სკოლას დავაინტერესებ, რომ მოიძიოს თავისი პირველი მასწავლებლები და თუ ეს მოხდა, მაშინ ჩემი ცდა – ამდენი სახელის წარმოჩენა არაა უმნიშვნელო, მითუმეტეს მათ შორის ერთი მურად ნიჟარაძეა ადგილობრივი და კიდევ თურქული ენის მასწავლებლები, სხვა არავინ.

ამ ადამიანების წინაშე ვალში ვართ და მე ვცადე ამ ვალის ნაწილობრივ მოხდა.

საგანმანათლებლო ქსელი

ქედის რაიონის საგანამანათლებლო ქსელი მარტო სკოლები არ ყოფილა, იყო პედაგოგიური სასწავლებელი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიც, მაგრამ მნიშვნელობით განსაკუთრებით გამორჩეულია ქედის სკოლა, რომელიც, როგორც ვიცით, 1903 წლიდან არსებობს, ამიტომ ამ ნაწილს სწორედ ამ დაწესებულებით ვიწყებ.

ქედის სკოლა

1921 წლიდან ქვეყანაში შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო სისტემა. 1922 წელს ყველა სკოლას ეწოდა მთლიანი შრომის სკოლა, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდებისათვის წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლა, ამასთან სკოლას უნდა მოემზადებინა ახალგაზრდები შრომითი ცხოვრებისათვის, მოეხდინა მოსახლეობაში უწიგნურობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია, მუსლიმანური რელიგიის გავლენის დაძლევა.

1926-1927 სასწავლო წლიდან ქედის სკოლა სოფლის (გლეხთა) ახალგაზრდობის სკოლად იწოდებოდა, ბავშვების ასაკობრივი შემადგენლობა განისაზღვრებოდა 8-დან 18-წლამდე. სკოლა იყოფოდა ორ საფეხურად, პირველი საფეხური ოთხი ჯგუფისაგან შედგებოდა, 8-დან 13-წლამდე და მეორე – 13-17 წლის ასაკის მოწაფეთათვის.

ქედის შრომის სკოლის გამგე-მასწავლებლებად 1927 წლამდე მუშაობდნენ ჩამოსული მასწავლებლები: ალექსანდრე თელია, ბარნაბი მენაბდე, ქეთევან კონტრიძე, არჩილ ბირკაია, იონა ჩაჩუა, არკადი სალუქვაძე, ხოლო პირველი ადგილობრივი პედაგოგები იყვნენ: ახმედ შავიშვილი, ახმედ სურმანიძე, სულეიმან კაიკაციშვილი, ნადია, ღალიბ და ავნი ბეჟანიძეები, სულეიმან (სოლომონ) ნაკაშიძე, შაქირ შერვაშიძე, ისკენდერ და სულეიმან თურმანიძეები, შაქირ ნაკაშიძე, ისმაილ (ირაკლი) დიასამიძე, ფელულ ჩხეიძე და სხვები.

პედაგოგები დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ სკოლაში მუშაობისას, პირველი იყო სიღატაკე, ბავშვები ჩაუცმელები იყვნენ და მეორე – უმეცრება, მუსლიმანური რელიგიის გავლენა სოფლის მოსახლეობაზე. იმდენად დიდი იყო, რომ ბავშვები დილით მედრესეში ხოჯასთან მეცადინეობდნენ, შემდეგ კი სკოლაში.

ქედის სკოლის პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ალექსნდრე თელია, 1923 წლ-

იდან ბარნაბი მენაბდე, ახმედ შავიშვილი.

1926 წლიდან ქედის სკოლასთან გაიხსნა პანსიონი 8 ოთახით, შორი სოფლებიდან მოსიარულე ბავშვებისათვის, პანსიონში კვება სამჯერადი იყო, მოსწავლეებს ეძლეოდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასკოლო ნივთები, რამაც აამაღლა სკოლის ავტორიტეტი მოსახლეობაში.

1929 წლიდან სკოლაში ისწავლებოდა მებაღეობა, მებოსტნეობა, მემინდვრეობა, მეფუტკრეობა, აგრონომია, საკოლმეურნეო მოანგარიშეობა, რაც მომავალი კომეურნეობების კადრებით უზრუნველყოფისათვის იყო გათვალისწინებული.

1929 წლიდან სკოლის გამგედ დაინიშნა ბართლომე მეგრელიძე, 1930 წლიდან კი - გ. ბოლქვაძე, 1933 წლიდან - სოლომონ ნაკაშიძე.

1934 წლიდან ქედის დაწყებითი სკოლა გადაკეთდა 7-წლიან სკოლად და ეწოდა ქედის არასრული საშუალო სკოლა. დირექტორად 1 სექტემბრიდან დაინიშნა სოლომონ ილიას ძე ნაკაშიძე, ხოლო 15 დეკემბრიდან სკოლის დირექტორია ავნი დევრიშის ძე ბეჟანიძე.

1926-1927 სასწავლო წელს, შრომის სკოლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთების შემდეგ, დაწყებითი კლასები სოფელ ზენდიდში გადაიტანეს და ის 1944 წლამდე ითვლებოდა აღნიშნული 7 - წლიანი სკოლის საბაზო დაწყებით სკოლად, შემდეგ მას რაიონული სკოლა ეწოდა.

1933-1935 სასწავლო წელს ქედის არასრული საშუალო სკოლა გადაკეთდა სრულ საშუალო სკოლად (ათწლედად). სკოლის დირექტორად დაინიშნა ასლან ალის ძე სტამბოლიშვილი, რომელიც 1937 წელს დააპტიმრეს 10 წლით.

1936-1937 სასწავლო წლის მეორე ნახევრამდე გოგონები და ვაჟები ცალკ ცალკე სწავლობდნენ, შემდეგ გააერთიანეს და საგაკვეთილო პროცესი ერთად მიმდინარეობდა, 1940 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა პირველმა აჭარელმა გოგონამ მელექ ავალიანმა, 1941 წელს დაამთავრეს ასიე ავალიანმა, შერიე ბერიძემ და სხვებმა.

სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: ახმედ ტაბიძე (1937 წ.), დურსუნ ბეჟანიძე (1938-1940 წ.წ.), მიხეილ კრავეიშვილი (1940 წ.), მამუდ ხინიკაძე, მეჯიდ ლომიძე (1941 წელს), მინა არევაძე, ვლადიმერ მოსეს ძე მგელაძე, ვ. აბულაძე, ვალიკო ჩუბინიძე, სამსონ საჯაია (1950-1962 წლებში), 1962-1965 წლებში სკოლის დირექტორი იყო არჩილ ბეჟანიძე, ხოლო 1965 წლიდან 1975 წლამდე არჩილ(აბდულ) ჩხეიძე, 1975-1985 წლებში შოთა შერვაშიძე, 1985-1988 წლებში მიხეილ ზაქარაძე, 1988-1992 წლებში, მეორედ დაინიშნა ქედის სკოლის დირექტორად შოთა შერვაშიძე. 1992 წლიდან 1995 წლამდე – დურმიშხან ბოლქვაძე,შემდეგ მუშაობდნენ: ვარდო ნაგერვაძე (1995-1997 წლებში), ილია თებიძე (1997-2004 წლებში). დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად იყვნენ ლევან ავალიანი დ ზურაბ ნაკაშიძე (2004-2007 წლებში), თამარ თავდგირიძე (2007-2014 წ.წ). თ. თავდგირიძე 2014 წლიდან არჩეული დირექტორია და დღესაც ხელმძღვანელობს ქედის საჯარო სკოლას.

სამამულო ომის ფრონტზე გმირულად იბრძოდნენ ქედის სკოლის მასწავლებლები და კურსდამთავრებულები, 60-მდე ახალგაზრდა, რომელთაგან მშობლიურ რაიონს ველარ დაუბრუნდა 12.

ქედის საშუალო სკოლაში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ვახტანგ პაპუნიძე, ვანო პპუნიძე, გურამ პაპუნიძე, ჯემალ ბერიძე, მერაბ ქაჯაია, ფრიდონ დიასამიძე, ნაზი დიასამიძე, არჩილ ტაკიძე, შოთა შერვაშიძე, მერაბ გათენაძე, გულიკო შერვაშიძე, ზურაბ მიქელაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე 1995-2000 წლებში – ედუარდ სურმანიძე და სხვები.

ქედის სკოლაში 1951 წლიდან კვლავ აღდგა საშუალო სკოლა.

აქამდე არაერთხელ ვახსენე, მაგრამ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქედის სკოლის

ისტორიას საინტერესო წიგნი უძღვნა პედაგოგმა მერი დიასამიძემ (გამოიცა 2004 წელს)

1941-1942 სასწავლო წელში ქედის საშუალო სკოლადამთავრებულები: მარცხნიდან იუნუს სალაძე, სულეიმან ხაბაზი, მემედ დიასამიძე, უსუფ დუმბაძე, ხასან ზანაქიძე, დგანან: მემედ (ოთარ) ჯაყელი, მემედ გორგილაძე, ალიოსმან ჩიკვაიძე, ხასან დავითაძე, აბდულ სირაბიძე

ქედის პედსასწავლებელი

ქედის რაიონში საკმარისი არ იყო პედაგოგიური კადრები, რის გამოც დღის წესრიგში დაისვა პედაგოგიური სასწავლებლის გახსნის საკითხი და 1942-1943 სასწავლო წელს ქედის საშუალო სკოლის ბაზაზე ოცნება სინამდვილედ იქცა. საშუალო სკოლა გადაკეთდა ჯერ შვიდწლიან, შემდეგ რვაწლიან სკოლად, რომლის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი მოსწავლე სწავლას აგრძელებდა პედსასწავლებელში, სწავლის ხანგრძლივობა იყო ჯერ სამი წელი, შემდეგ ოთხი წელი. აქ სწავლას აგრძელებდნენ სოფლის სკოლების კურსდამთავრებულები. პედაგოგიური პრაქტიკა ტარდებოდა ზენდიდის დაწყებით სკოლაში.

პედსასწავლებელს ჰქონდა სწავლისა და ცხოვრების საუკეთესო პირობები, ჰქონდა პანსიონი, მოსწავლეებს ეძლეოდათ სტიპენდია 30-40 მანეთის ოდენობით. პედსასწავლებელის დირექტორი იყო გამოცდილი პედაგოგი ივანე ივანეს ძე ჩხაიძე. სხვადასხვა დროს პედსასწავლებლის დირექტორები იყვნენ: ვლ. ჩუბინიძე, ოსმან დიასამიძე, ვლადიმერ მგელაძე, ნიკოლოზ კალანდაძე, შალვა ნინუა. პედსასწავლებელში სწავლობდა 1942-1943 წლებში 29 მოსწავლე, 1943-1944 წლებში - 46, 1944-1945 წლებში - 91, 1945-1946 წლებში - 89, 1946-1947 წლებში - 103, 1947-1948 წ. - 105, 1948-1949 წლებში - 112, 1949-1950 წლებში - 111, 1950-1951 წლებში - 104.

ამ წლებში პედაგოგთა აღზრდას ემსახურებოდნენ: ნადია ბეჟანიძე, ელენე ახალაძე, შერიე ბერიძე, ანგელინა თოიძე, ლუბა ღელეყვა, ციალა გვარჯალაძე და სხვები.

1942-1952 სასწავლო წლებში ზოგადსაგანმანათლებლო ქედის საშუალო სკოლის უფროსმა საფეხურმა – პედაგოგიურმა სასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა პედაგოგიური კადრების აღზრდისა და სკოლის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყ-

ოფის საქმეში” (მ. დიასამიძე, საუკუნოვანი სკოლა, ბათ. 2004 წ. გვ. 145).

ქედის პედსასწავლებელდამთავრებული ათეულობით პედაგოგი გახდა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ქედის პედსასწავლებელმა აღზარდა საუკეთესო პედაგოგები: ლევან, მემედ, ჯემალ, ოთარ აბაშიძეები, შოთა და დურსუნ ანანიძეები, ნოდარ ავალიანი, ნათელა არძენაძე, შოთა, იზოლდა, მარი, ქამილ შერვაშიძეები, მავილე, მელექ, ნიაზ დიასამიძეები, ზორე და ოსმან სურმანიძეები, ემინე გორგილაძე, არჩილ და უსუფ ბეჟანიძეები, მელექ გათენაძე, მაყვალა და ნიაზ ტეტემაძეები, ნიაზ, ნელი და შოთა მიქელაძეები, ჯემალ, ვაჟა, ლეონიდე და ახმედ ბერიძეები, უშანგი გვარიშვილი, ფრიდონ ქაჯაია, მინერ და ფადიმე ბასილაძეები, რევაზ და დურსუნ ნინიძეები, აბდულ თავდგირიძე, ხუსეინ ვაშაყმაძე, სერგო ჯაყელი, თინა, ნუნუ და ოთარ აბულაძები, მერი და ფატი გათენაძეები, მზევინარ დევაძე, დავით ბარამიძე, ვარდო კილასონია, ჟუჟუნა მსხალაძე, თინა ტარიელაძე, მურმან კეკელიძე, ლიანა დავითაძე, მეხფულე ნაკაშიძე, ახმედ ნაკაშიძე, ზურაბ გორგოშაძე და სხვები. შემდგომში თითქმის ყველა მათგანმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელიც.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი

საკოლმეურნეო სექტორში ყველაზე მეტად იგრძნობოდა კადრების დეფიციტი, დაწყებითი, არასრული და საშუალო განათლებით პიროვნებებს ნიშნავდნენ თავმჯდომარეებად, ამიტომ მრავლად იყო არასასურველი ფაქტები – ზოგიერთ კოლმეურნეობაში თავკაცებს ყოველწლიურად ცვლიდნენ, ზოგჯერ წელიწადში ორჯერაც.

ამის გათვალისწინებით განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო 1956-1973 წლებში ქედაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ამოქმედება, რომელიც არსებობდა იმ ადგილას, სადაც ამჟამად რაიონის გამგეობის შენობის ეზოა.

ტექნიკუმი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ამზადებდა აგროტექნიკებს, ბუღალტრებსა და ზოოტექნიკებს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ 60-იანი წლების დასაწყისიდან კოლმეურნეობებში დასაქმებულ ხელმძღვანელ მუშაკთა 60-70 პროცენტი ამ ტექნიკუმის კურსდამთავრებული იყო.

დოლოგნის სკოლა

სოფელ დოლოგანში პირველი სკოლა გაიხსნა 1924 წელს ჯემალ საფარიძის კერძო სახლში. პირველი მასწავლებელი იყო ანეტა ხუხუნაიშვილი, რომელიც 1939 წლამდე მუშაობდა და აქვე შექმნა ოჯახი. 1937 წლიდან დოლოგანში გაიხსნა 7 - წლიანი სკოლა. 1952 წლამდე სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: ენვერ ხავთასი, სკენდერ ბედინაძე, ხუსეინ სტამბოლიშვილი, სერგო ჩხაიძე. 1952 წელს დოლოგანში აშენდა ახალი სკოლა, რომელიც დაკომპლექტდა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებით: ციალა ფერაძე, შურა ქორიძე, ჟუჟუნა ფერაძე, მიშა აფხაზავა, მადლენა აფხაზავა, დიდიკო დიასამიძე, მერი ლომინაძე, ნანა გუჯაბიძე, მერი სანაძე, მეხფულე ცეცხლაძე, ახმედ კოჩაძე.

1974 წელს დოლოგანში აშენდა კაპიტალური შენობა 220 მოსწავლეზე და გაიხსნა საშუალო სკოლა. დირექტორად დაინიშნა ვახტანგ საითაძე. 1975-1984 წლებში დირექტორად მუშაობდა ვაჟა ბერიძე, 1984-2005 წლებში ივანე ჯაფარიძე, ხოლო 2005 წლიდან დოლოგნის საშუალო სკოლის დირექტორია იზოლდა ჯაფარიძე.

უჩხითის სკოლა

უჩხითში დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1924 წელს, ოსმან ბედინაძის სახლში. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ნინა ბახტაძე, შემდეგ მიშა გენძეხაძე, გიორგი ერქომაიშვილი, ბენია კვაჭაძე, 1939 წლიდან 7 - წლიანი სკოლის დირექტორია ქოსოფლელი

მიხეილ ნაკაშიძე, 1943-1944 წლებში სკოლის დირექტორად მუშაობდა ჩიტო წითელაძე, რომელიც შეცვალა ჟუჟუნა ჩხარტიშვილმა. შემდეგ იყო ილია ხახუტაიშვილი, 1946-1947 წლებში სკოლა გადაკეთდა რვაწლიან სკოლად.

1948-1950 წლებში უჩხითის სკოლის დირექტორია დარეჯან ქვარცხავა.

1950 წელს დირექტორად დაინიშნა ადგილობრივი კადრი სოფელ მილისიდან, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უშანგი ზებურის ძე გვარიშვილი, რომელიც ამ სკოლას ხელმძღვანელობდა 1986 წლამდე.

1959-1961 წლებში აშენდა სკოლის ახალი შენობა, რომლის აშენებაშიც სკოლის დირექტორთან ერთად აქტიურობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. გოჩაძე.

1963 წელს უჩხითის 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად.

1986 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა სულიკო ბასილაძე, ხოლო 2004 წლიდან სკოლის დირექტორია გულნაზი ნინიძე.

ანჰესის სკოლა.

ყოფილი მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი დაარსდა 1959 წელს. მისი პირველი დირექტორი იყო ცნობილი პიროვნება, ადრე ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე (1953-1959 წლებში), აჭარის დამსახურებული მასწავლებელი რუბენ ბერიძე, რომელიც 1984 წელს შეცვალა სერგო ევგენიძემ. 1993 წელს მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე შეიქმნა აწჰესის საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი 1993-2004 წლებში იყო ლენა კახიძე, ხოლო 2004-2005 წლებში დირექტორის მოვალეობას ასრულებდა სერგო ევგენიძე.

2005-2017 წ.წ. აწჰესის საჯარო სკოლის დირექტორია ცაცა დევაძე.

პირველი მაისის სკოლა

პირველ მაისში პირველი დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1921 წელს ყერიმან თებიძის სახლში; სკოლის გახსნის ინიციატორები იყვნენ მემედ ყერიმანის ძე დიასამიძე და საღორეთელი, იმ დროის აჭარის განათლების სახალხო კომისარი სელმან ლორთქიფანიძე (1937 წელს საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი, რეპრესირებული).

სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ბენია გიორგაძე, შემდეგ სკოლა ისმაილ სამნიძის სახლში გადაიტანეს, შემდეგ კი სამაზრო აღმასკომის დახმარებით შეიძინეს ხასან ყადიძის - 4 ოთახიანი სახლი.

პირველ მაისში 1935 წლიდან გაიხსნა 7 - წლიანი სკოლა, სკოლის დირექტორები იყვნენ: 1936-1943 წლებში – გიორგი დანელია, 1943-1945 წლებში – ჟენია ოდილავაძე, 1945-1952 წლებში – კატუშა ზენაიშვილი, 1952-1953 წლებში – ტიტე ჩხარტიშვილი, 1954-1957 წლებში – ალექსი გედევანიძე.

1957 წელს გაიხსნა პირველი მაისის საშუალო სკოლა, 1957-1964 წლებში სკოლის დირექტორია – რევაზ ფარსენაძე, 1964-1970 წლებში – არჩილ ბეჟანიძე, 1971-1976 წლებში – ნიაზ შერვაშიძე, 1976-1980 წლებში – ჯემალ ფარტენაძე, 1980-1982 წლებში – გუგული დევაძე, 1982-1984 წლებში – ვლადიმერ ჩიკვაიძე, 1984-1987 წლებში – ნათელა გოგიტიძე, 1987-1989 წლებში – ციალა გურგენიძე, 1989 წლიდან 2014 წლამდე პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი იყო ბადრი შავლიძე. 2014 წლიდან არის თინა ცეცხლაძე.

1970 წელს სკოლა გადმოიტანეს „პერკუმზე", ცენტრალურ გზასთან.

მახუნცეთის სკოლა

მახუნცეთის არასრული საშუალო სკოლა 1941 წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად. სკოლის დირექტორი იყო მარო შარაშიძე, 1945 წლიდან სკოლის დირექტორი იყო ალექსანდრე საჯაია, 1946 წლიდან დაინიშნა ალექსანდრე კოკაია, ხოლო 1948-1949

სასწავლო წელს სკოლის დირექტორი იყო არჩილ ჩხეიძე, 1950 წლიდან 1985 წლამდე – იოსებ (უსუფ) ბასილაძე, 1985-1986 წლებში – ნადეჟდა ჯაბნიძე, 1987-1993 წლებში – რეზო შაქარაძე, 1993-2005 წლებში – ჯემალ ბეჟანიძე, 2005-2006 წლებში – რევაზ ფარსენაძე, 2006-2007 წლებში – მზია ვერძაძე; 2007 წლიდან მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორად მეორედ დაინიშნა ჯემალ ბეჟანიძე.

მახუნცეთში სკოლის კაპიტალური შენობა აშენდა 1952 წელს და ის დღესაც მოქმედებს.

1957 წელს მახუნცეთის საშუალო სკოლადამთავრებულები: პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ნოდარ სამნიძე,იოსებ ლორთქიფანიძე,მასწავლებელი მამია ბერძენიშვილი,დირექტორი იოსებ ბასილაძე, მემედ ღოღობერიძე, რეზო მიქელაძე. მეორე რიგში: ამირან კახიძე, ნოდარ ბერიძე (მამა სერაფიმე), ნოდარ სვანიძე, გურამ ქაჯაია, თამაზ აფხაზავა, გივი ვარდმანიძე. მესამე რიგში: რეზო ცისკარაძე, თამაზ ღოღობერიძე, ნოდარ ბერიძე, გივი ქაჯაია, დავით აფხაზავა, რეზო გორგოშაძე

ოქტომბრის სკოლა

ოქტომბრის დაწყებითი სკოლა დაარსდა 1924 წელს, 1924-1935 წლებში ოქტომბრის სკოლის გამგე იყო ისკენდერ თურმანიძე, 1935-1945 წლებში – კარლო ჩხაიძე, 1945-1951 წლებში – ცაცა გურგენიძე, 1951-1986 წლებში – სარდიონ ბაჯელიძე, 1986-1992 წლებში – ვახტანგ სურმანიძე, 1992-2004 წლებში – რევაზ აბულაძე, 2004-2010 წლებში – ნაზი კახიძე, 2010 წლიდან თენგიზ ჩხიკვაძე. დაწყებითი სკოლის ბაზაზე 1934 წელს შეიქმნა ოქტომბრის 8-წლიანი სკოლა. 1988 წელს 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა ოქტომბრის საშუალო სკოლად. სკოლა მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ადგილას და ტერიტორიულად თანაბრად ემსახურება ყველა უბანს.

სასკოლო რეფორმიდან გამომდინარე მასწავლებელთა საქმიანობა და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია შედეგზე.

სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა საგნობრივი წრეები. სკოლის მოსწავლეებს მიღწეული აქვთ წარმატებები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში (მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და სხვა.), როგორც რაიონულ, ასევე რეგიონალურ და რესპუბლიკურ ასპარეზობებზე.

სკოლის კურსდამთავრებულებს შორის მრავლად არიან გამოჩენილი პიროვნებები.

ვაიოს სკოლა

ვაიოს 7- წლიანი სკოლა 1942 წელს გადაკეთდა 8 - წლიან სკოლად. 1963-1970 წლებში მიმდინარეობდა სოფელ ვაიოში კაპიტალური სკოლის მშენებლობა. 1958-1970 წ.წ. სკოლის დირექტორი იყო აკაკი ჩიკვაიძე. 1970 წელს ვაიოს რვაწლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად და დირექტორად დაინიშნა ნიაზ ტეტემაძე, რომლის გარდაცვალების შემდეგ სკოლის დირექტორები იყვნენ: ილია შავიშვილი, სერგო ლორთქიფანიძე, შუქრი ლორთქიფანიძე, 2007 წლიდან სკოლის დირექტორია მურმან ჩიკვაიძე, 2014 წლიდან – ბადრი შავიშვილი.

სკოლას ეამაყება, რომ აქ მიიღეს განათლება ცნობილმა მეცნიერმა, აჭარის განათლების მინისტრმა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ნადიმ ნიჟარაძემ, მისმა ძმამ, პროფესორმა შუქრი ნიჟარაძემ, აქ აღიზარდა აჭარის განათლების მინისტრი 2005-2008 წლებში და შემდეგ საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ალექსი ჩიკვაიძე.

არსებობის რვა ათეული წლის განმავლობაში სკოლის აღზრდილები – ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშა-მოსამსახურენი, კულტურული თუ სოციალური სფეროს მუშაკები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები წონად სიტყვას ამბობდნენ ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და მომავლისათვის.

თვალი გადავავლოთ ისტორიას.

პირველი ქართული სკოლა ვაიოში გაიხსნა 1923 წელს. მასწავლებლად მოვლინებული იყო ხონის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული, 21 წლის დომენტი იოსების ძე გიორხელიძე. წერა-კითხვა სოფელში თითო-ოროლამ თუ იცოდა მაშინ.

ოთხწელიწადში უკვე აგებული იყო ოროთახიანი სასწავლებელი. ექვსი წლის ასაკიდან უკვე იცოდნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა, გაიხსნა ჭრა-კერვის ფაბრიკა, უცოდინარობა დაძლეული იყო ახალგაზრდებსა თუ ხანდაზმულთა შორის.

დომენტი გიორხელიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ვაიოს ახალ ისტორიაში. იგი შეიყვარეს, ძმად და მეგობრად მიიღეს. მერე იყვნენ ვაიოში მასწავლებლები, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თინა და ალექსანდრე კარტოზიები (სახელგანთქმული მოჭიდავე გივი კარტოზია ვაიოში დაიბადა), კვლავ ცოლ-ქმარი ნინო და ბორის შარაშენიძეები, მატრონა მჟავანაძე, დები დოჭვირები, ნინა სანოძე, ნორა ჭყონია, სხვები.

XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ვაიოს რვაწლიანი სკოლა უკვე ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული.

1963 წელს სკოლის ორმოციწლისთავზე სოფელში მოიწვიეს პირველი პედაგოგი, იმჟამით თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დ. გიორხელიძე. ხოლო 1970 წელს უკვე საშუალო, ახალ კაპიტალურ სკოლის შენობაში გამართულ ზეიმზე კვლავ მოიწვიეს ამაგდარი მასწავლებელი.

თბილისში გიორხელიძეების ოჯახთან, დომენტის შთამომავლებთან ვაიოელები დღესაც განაგრძობენ კეთილ ურთიერთობას.

ზვარის სკოლა

ზვარის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად 1940 წლისათვის მუშაობდა ვახტანგ ქვირია, ხოლო 1944 წლიდან სკოლაში მუშაობდნენ ადგილობრივი კადრები: ვაიოელი ავთანდილ ჩიკვაიძე, რეჯებ ბერიძე, 1946 წლიდან გამგე მასწავლებლად დაინიშნა შევქეთ (სერგო) ჯაყელი.

1948-1956 წლებში სკოლაში მუშაობდნენ: შ. ჯაყელი, შ. ბერიძე, ი. შავიშვილი, ნ. ტეტემაძე, მ. მახაჭაძე, ა. ლორთქიფანიძე, სკოლა ემსახურებოდა ზვარესა და ზესოფელს.

1956 წლიდან დაწყებითი სკოლა გადაკეთდა 7 - წლიან სკოლად. დირექტორად დაინიშნა ილია შავიშვილი. ამ დროს აშენდა სკოლის ორსართულიანი შენობა, სკოლაში სწავლობდა 43 მოსწავლე.

1962 წელს სკოლა გადაკეთდა 8-წლიან სკოლად, ხოლო 1987 წელს 9 - წლიან არასრულ საშუალო სკოლად.

1989-1990 სასწავლო წელს სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად. 1956-1985 წლებში სკოლის დირექტორი იყო ილია შავიშვილი, 1985 წელს – მიხეილ ჩიკვაიძე, 1985-1987 წლებში – თამაზ ჯაბნიძე, 1987-1990 წლებში – გუგული ანანიძე, 1990-1991 წლებში – თემურ ბერიძე, 1991-1996 წლებში – სოსო ქობულაძე, 1996-2006 წლებში – ამირან ჯაბნიძე, 2005-2007 წლებში – მზევინარ მახაჭაძე, 2007 წლიდან სკოლის დირექტორია თამარ კონცელიძე.

წონიარისის სკოლა

1934 წლის 1 იანვრიდან გამგე-მასწავლებლებად დღევანდელი წონიარისის თემში დაინიშნენ: სოფ. წონიარისის სკოლაში მარო ჯიშკარიანი, საცხოვრიის სკოლაში – დავით სიგუა, ბასილაურის სკოლაში – შუშანა ბოლქვაძე, სოფელ ვარჯანისში – კატუშა ბჟალავა, აბუქეთაში – სევერიან ესართია, კანტაურში – ქეთო რუსიძე.

ცენტრ წონიარისში ჩამოტანილ იქნა სკოლა 1940 წელს. ამ დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო ქაზიმ ბოლქვაძე, წონიარისის დაწყებითი სკოლა 1950 წელს გადაკეთდა 7-წლიან, 1955 წელს – 8-წლიან და 1957 წელს – საშუალო სკოლად. სკოლის დირექტორები იყვნენ: რუბენ (ხალვაში) ბერიძე, ზინა არაშიძე, ალექსანდრე დავითაძე, შოთა გორგილაძე, 1961-1962 წლებში – მიხეილ მახარაძე, 1966-1967 – ზინა ჭეიშვილი, 1967 წლის 20 აგვისტოდან 1974 წლამდე – ავთანდილ მახაჭაძე, 1974-1980 წლებში – ვლადიმერ ჩიკვაიძე, 1980-2007 წლებში – დავით ბარამიძე და 2007 წლიდან – ზეინაბ წულუკიძე.

ხარაულის სკოლა

ხარაულაში დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1928 წლის 20 ნოემბერს, მევლუდ ჭანუყვაძის საცხოვრებელ სახლში. პირველი მასწავლებელი იყო ლიზა სურგულაძე.

სკოლას დამოუკიდებელი შენობა ჰქონდა 1934 წლიდან, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ წელს გახსნილი კოლმურნეობის საერთო კრების შემდეგ ცეცხლი გაჩნდა და შენობა დაიწვა. ამის შემდეგ სკოლა ისევ საცხოვრებელ სახლში გადავიდა, ამჯერად ზაბით დავითაძის ოჯახში.

სკოლის შენობის აგება ადგილობრივ ძალებით და მასალით დაიწყო და დასრულდა 1937 წელს, ახალ სკოლაში გაიხსნა 7 წლიანი სკოლა, რომლის პირველი დირექტორი იყო გორდის იმნაიშვილი. ამ სკოლის პირველი გამოშვება იყო 1940 წელს, – სკოლა დაამთავრა 14-მა მოსწავლემ, რომელთაგან 5 პედაგოგი გახდა, ერთი – რეჯებ მჟავანაძე, ჯერ დანდალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ამ გამოშვებას ეკუთვნოდა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი მიხეილ ზაქარაძე და შემდგომში ხარაულის სკოლის დირექტორი 30 წლის მანძილზე – ოთარ მჟავანაძე.

ხარაულის სკოლაში პირველი ეთნიკური აჭარელი 1941 წელს მოვიდა სამუშაოდ, – სკოლის დირექტორად დაინიშნა ძენწმანელი სელიმ (სერგო) სურმანიძე. პირველი ხარაულელი კადრი გახდა მიხეილ ზაქარაძე, რომელიც 1943 წელს დანიშნეს ფიზკულტურა-სამხედრო საქმის მასწავლებლად. მეორე წელს მასწავლებლობა დაიწყეს ხარაულელებმა: ოთარ მჟავანაძემ და კარლო ზაქარაძემ.

ხარაულაში განათლების წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულეს გურია-იმერეთი-სამეგრელოდან ჩამოსულმა კადრებმა, რომელთა რაოდენობამ 1960 წლისათვის 60-ს გადააჭარბა.

პირველად ადგილობრივ მასწავლებელთა რაოდენობამ ჩამოსულებს გაუსწრო 1957

წელს, როცა უკვე საშუალო სკოლა გაიხსნა, რომლის პირველი გამოშვება შედგა 1960 წელს.

ამის შემდეგ სკოლა 1000-ზე მეტმა მოსწავლემ დაამთავრა. მათ შორის 110 პედაგოგი გახდა, 10-მდე ექიმი, 40-ზე მეტი იურისტია, 20-მდე ინჟინერი, 25 ბუხჰალტერი და ეკონომისტი, 10-მდე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ამდენივე ჟურნალისტი, 30-ზე მეტი მედდა, ათეულობით პირი სამხედროა, 2 პროფესორი, 2 პოეტი და ა. შ.

ხარაულის სკოლის კურსდამთავრებულთაგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია არჩილ ტაკიძემ, რომელიც სხვადასხვა დროს იყო ქედის რაიკომის მდივანი, აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და აჭარის განათლების მინისტრი.

პირველი ხარაულელი სკოლის დირექტორი გახდა მიხეილ ზაქარაძე – 1951 წელს, შემდეგ ოთარ მჟავანაძე 1955-1957 და 1963-1993 წლებში, ოთარ ბერიძე – 1993-2003 წლებში, ალექსანდრე იმნაძე – 2004-2006 წლებში, 2007 წლიდან დირექტორია მაყვალა ზაქარაძე.

ამ სკოლის ისტორიაზე 2014 წელს გამოქვეყნდა თამაზ აბულაძის წიგნი „ორი სოფლის ჩირაღდანი".

დანდალოს სკოლა

დანდალოს სკოლის დირექტორები იყვნენ:
სერგო ჩხეიძე – 1940-1945 წ. წ.
ცაცა გურგენიძე – 1946-1947 წ. წ.
ხალით ავალიანი – 1947-1977 წ. წ.
ციცინო სიხარულიძე – 1952-1954 წ.წ
ლენა ჯვარშეიშვილი – 1977-1988 წ. წ.
გიორგი ბერიძე – 1988-1989 წ. წ.
ამირან ბარამიძე – 1989-1991 წ. წ.
ნაილე არძენაძე – 1992-1993 წ. წ.
ლევან არძენაძე – 1993-2005 წ. წ.
ზორბეგ არძენაძე 2005-2012 წ. წ.
მურმან კონცლიძე – 2013 წლიდან.
1971 წელს დანდალოს არასრული საშუალო სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად.

ჯალაბაშვილების სკოლა

1969 წელს ჯალაბაშვილებში ანზორ ბერიძის ხელმძღვანელობით და თაოსნობით აიგო სკოლის ახალი შენობა, სოფელში გაიხსნა 8 – წლიანი სკოლა, რომლის პირველი დირექტორი 1969-1978 წლებში იყო ანზორ ბერიძე, 1978-1979 წლებში დირექტორად მუშაობდა თამაზ აბულაძე, 1979-1986 წლებში კვლავ ანზორ ბერიძე, 1986-1992 წლებში – ზურაბ ჭანუყვაძე, 1992-1993 წლებში – უშანგი ტაკიძე, 1993-2004 წლებში – დურმიშხან ჩხუბაძე, 2004-2007 წლებში – ემზარ ბერიძე, ხოლო 2007 წლიდან სკოლის დირექტორია ბადრი ბერიძე.

გოგიაშვილების სკოლა

გოგიაშვილების დაწყებითი სკოლა დაარსდა 1922 წელს. სკოლაში სხვადასხვა დრო მუშაობდნენ მასწავლებლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები. 1939-1943 წლებში სკოლის გამგე იყო ლილი ჯინჭარაძე. 1943-1945 წლებში ამ სკოლის დირექტორი იყო ასიე ავალიანი. სკოლაში ისწავლებოდა არითმეტიკა, ქართული ენა, რუსული ენა, სიმღერა, ფიზკულტურა. დაწყებითი კლასების

მასწავლებლები იყვნენ ასიე ავალიანი და სელვა გოგიაშვილი.

1945 წელს დანდალოს სასოფლო საბჭოს გამოთავისუფლებულ შენობაში გაიხსნა გოგიაშვილების 7-წლიანი სკოლა, აღნიშნული სკოლის შენობაც მდებარეობდა სოფელ დანდალოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ამჟამად არსებული სკოლის მიმდებარედ. ამ სკოლის პირველი დირექტორი იყო ასლან ფაღავა, რომელიც ასწავლიდა რუსულ ენას. რამდენიმე თვის შემდეგ დირექტორად მუშაობა დაიწყო ვახტანგ ავალიანმა. ამ სკოლაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მასწავლებლები: ელენე დევიძე, ციცინო სიხარულიძე, მელექ ავალიანი.

1957 წელს სკოლის ახალ შენობაში გაიხსნა საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს აშენდა ახალი კაპიტალური შენობა. საშუალო სკოლაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მასწვლებლები: ანდრო დავითაძე, მიხეილ დავითაძე, შოთა გოგიაშვილი, ლევან გოგიაშვილი, შახბენდერ დიასამიძე, მუხამედ ალიშანიძე, როზა ავალიანი, სელვა გოგიაშვილი, ესმა მგელაძე, მემედ ავალიანი, ეთერ მაჩაბელი, ალექსანდრე ბალაძე, ზებურ ბერიძე, ნოდარ ბერიძე, ზურაბ არძენაძე, ომარ ჯორთმენაძე, გიორგი ბარამიძე, ზაურ დიასამიძე, ლეონიდე ბერიძე, სერგო ჯაყელი, ენვერ ბერიძე, ნიაზ ბერიძე.

1957-1963 წლებში გოგიაშვილების სკოლის დირექტორი იყო ვახტანგ ავალიანი.

1963-1976 წლებში – ნოდარ ავალიანი

1976-1988 წლებში – თამაზ ავალიანი

1988-1991 წლებში – ანზორ ბერიძე

1992-1993 წლებში – ომარ ჯორთმენაძე

1993-2003 წლებში – ლევან ავალიანი

2003-2005 და 2007-2010 წლებში – ლევან ოტოლაძე.

2005-2007 წლებში – ეთერ ცინცაძე

2011 წლიდან მუშაობს ინგა ბერიძე.

სკოლას ჰყავდა ოქროს მედალოსნები: ზაქრო ტაკიძე, მინდია ბალაძე, თამუნა ბერიძე, მელანო ბალაძე, თამილა ბალაძე, თამარ ბალაძე, ინდირა ბალაძე.

ვერცხლის მედალოსნები: გურამ ბალაძე და მინდია ბალაძე.

2006 წელს სკოლა გადაკეთდა საჯარო სამსახურის იურიდიულ პირად და ეწოდა საჯარო სკოლა.

ამჟამად სკოლაში მუშაობს 25 პედაგოგი, სწავლობს 91 მოსწავლე. იგი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. 2006 წელს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. სკოლას ჰყავს სამი სერტიფიცირებული მასწავლებელი. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სწავლა-აღზრდის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წასამართავად.

ძენწმანის სკოლა

1941 წლამდე ადგილობრივი მასწავლებლები იყვნენ იუნუს სალაძე, ახმედ ღონიაძე და ნაილი შერვაშიძე, 1936 წლიდან ძენწმანში არის 7-წლიანი სკოლა, 1947 წლიდან სკოლის დირექტორი იყო ომიდან დაბრუნებული ზინაიდა ჩიტეიშვილი, ის სკოლას ხელმძღვანელობდა 1974 წლამდე. 1956 წელს სკოლა გადაკეთდა 8-წლიანად. 1987 წლიდან სკოლას მიენიჭა აბდულ მიქელაძის სახელი. 1952 წელს აშენდა ახალი შენობა, სკოლის მშენებლობაზე უსასყიდლოდ მუშაობდნენ: ალი სურმანიძე, მემედ სალაძე, ხუსეინ ვაშაყმაძე, ახმედ სურმანიძე, ხალით მიქელაძე, ხესრეთალი ჩხეიძე.

1967 წელს სკოლა გადმოტანილ იქნა ძენწმანის ბოლოს მდ. აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე. 1994 წლის 9 დეკემბერს სკოლის შენობა დაიწვა და 1996 წელს აშენდა სკოლის ახალი შენობა. 1974-1980 წლებში სკოლის დირექტორად მუშაობდა ოსმან სურმანიძე, 1980-1984 წლებში ამირან დიასამიძე, 1984-1986 წლებში ფრიდონ ქაჯაია, 1986-1989 წლებში ეთერ ლორთქიფანიძე, 1989-2005 წლებში ნარგულ ბარამიძე, 2005 წლიდან ძენწმანის საჯარო სკოლის დირექტორია გიმზერ დიასამიძე, ხოლო 2012 წლიდან – ცირა აბულაძე.

სოფელ ცხმოჰისის სკოლა

1941 წელს სოფ. ცხმორისის 7 წლიანი სკოლის დირექტორი ანდრო სვანიძე ფრონტზე გაიწვიეს, აღარ დაბრუნებულა.

1941 წლიდან სოფელში პირველი ადგილობრივი პედაგოგები არიან ძმები შოთა და ამირან ანანიძეები. შ. ანანიძე 1939-1941 წლებში მუშაობდა საქ ალკკ ქედის რაიკომის ინსტრუქტორად და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო 1941-1962 წლებში სოფელ ცხმორისის 7 წლიანი სკოლის დირექტორად; მას 1959 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება; 1948 წელს დაწყებითი კლასების მასწავლებლები გახდნენ ქედის პედსასწავლებლის კურსდამთავრებულები: ლევან აბაშიძე, დურსუნ ანანიძე, მემედ აბაშიძე, რესულ მამუჭაძე, მემედ მახარაძე. შემდეგ ოთარი აბაშიძე, ნური ვასაძე.

1962-1963 წლებში სკოლის დირექტორია ილია ნიჟარაძე, ხოლო 1963 წლიდან 1978 წლამდე სკოლის დირექტორია რეზო ანანიძე. სოფელ ცხმორისის 8 წლიანი სკოლა 1967 წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად. 1978 წლიდან 1989 წლამდე სკოლის დირექტორი იყო ფიზიკა-მათემატიკის უფროსი მასწავლებელი ზურაბ ანანიძე, მის მიერ აღზრდილი ათეულობით სპეციალისტი და მეცნიერი მუშაობს რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანოებში და სამეცნიერო დაწესებულებებში. 1989-1995 წლებში სკოლის დირექტორია ნოდარ ალექსანდრეს ძე ანანიძე, ხოლო 1995 წლიდან 1996 წლამდე სკოლის დირექტორი იყო ალექსანდრე ხუსეინის ძე ანანიძე, 1997 წლიდან 2005 წლამდე – გრიშა აბაშიძე, 2005-2007 წლებში – ლევან ბერიძე, ხოლო 2007 წლიდან დირექტორია ჯემალ დურსუნის ძე ანანიძე; სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის მასწავლებლებად მუშაობდნენ პოეტები შოთა და ლევან ანანიძეები, სხვები.

ცხმოჰოსის სკოლა 1934-2007 წლებში , 2007 წლიდან ახოს №1 სკოლა

1934 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა ცხმორისის დაწყებითი სკოლა, მის გამგედ შეთავსებით გადმოიყვანეს სოფელ ცხმორისის დაწყებითი სკოლის გამგე ილარიონ ურატაძე.

1941 წლიდან ცენტრი ცხმორისის 8-წლიანი სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელია ფრიდონ ხალვაში, შემდგომში ცნობილი მწერალი (რუსთაველის პრემიის ლაურეატი). 1946-1947 წლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელია არჩილ ტაკიძე, შემდგომში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე.

1947-1954 წლებში სკოლის დირექტორია შალვა ნინუა.

1955 წელს აშენდა სკოლის ახალი შენობა და გაიხსნა საშუალო სკოლა. სკოლის დირექტორი 1955-1961 წ.წ. იყო ოთარ ჯაყელი. 1961-1969 წლებში დირექტორად მუშაობდა შოთა გორგილაძე, 1969-1973 წლებში სკოლის დირექტორია ქაზიმ დიასამიძე, ხოლო 1973-1978 წლებში აბდულ თავდგირიძე. 1978 წელს აბდულ თავდგირიძის გარდაცვალების შემდეგ სკოლის დირექტორად მეორედ დაინიშნა ქაზიმ დიასამიძე (1978-1985), 1985 წლიდან 2005 წლამდე სკოლის დირექტორია მიხეილ ბოლქვაძე. 1986 წელს ცენტრ ცხმორისში აშენდა სამსართულიანი კაპიტალური სკოლა.

2007 წლის 24 იანვრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №53 ბრძანების საფუძველზე ცხმორისის საშუალო სკოლას ეწოდა ახოს №1 საჯარო სკოლა (სკოლაზე სახელის გადარქმევის ინიციატორი იყო მიხეილ ალიოსმანის ძე ბოლქვაძე), სოფელზე სახელის გადარქმევა საქართველოს უმაღლესი საბჭოს უფლებაა და არა განათლების სამინისტროსი, განათლების სამინისტროს უფლებაა რომ პიროვნების სახელი შეუცვალოს და გადაარქვას სკოლას 2007 წლის №53 ბრძანება იყო მოსახლეობის მოტყუება სკოლის დირექტორის, აჭარისა და საქართველოს განათლების იმდროინდელი მინისტრების ჩვენი ქვეყნის ისტორიის უცოდინრობა და უგულველყოფა,

მაგრამ სკოლა ემსახურება ცხმორისის, ახოს, გობრონეთის, გეგელიძეების, კოკოტაურისა და ფაქტობრივად, ცხმორისის თემის ბარის უბნის მოსახლეობას. ამდენად სახელის გადარქმევა გამართლებული არ არის, რადგან ტბელ აბუსერისძე XIII საუკუნეში ამ ადგილებს დაბა ცხმორისად მოიხსენიებს, ხოლო 1917 წლის კავკასიის კალენდარის 27 და 28 გვერდებზე ვკითხულობთ, რომ ცხმორისის ოლქში შედის აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირის სოფლები დოლოგნის ჩათვლით. კარგი იქნებოდა სკოლას დარქმეოდა ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცხმორისის საჯარო სკოლა, რადგან ეს სკოლა დაამთავრა პოეტმა და აქვე მუშაობდა მასწავლებლად. 2005 წლიდან 2011 წლამდე სკოლის დირექტორი იყო სარდიონ ბერიძე, ხოლო 2011 წლიდან დირექტორია ომარ ბოლქვაძე.

სოფელ ახოს სკოლა

სოფელ ახოს სკოლა 1941 წლიდან 7-წლიანია და სკოლის დირექტორია გრიშა მამალაძე. სკოლაში მუშაობს ხუსეინ დუმბაძე გეგელიძეებიდან (პირველი ადგილობრივი მასწავლებელი).

1946 წლიდან სკოლის დირექტორია ნინა ბახტაძე. სოფელ ახოს 7-წლიანსკოლაში პირველი ახოელი მასწავლებელი იყო ილია ახმედის ძე დიასამიძე, 1953 წელს აიგო სკოლის ორსართულიანი შენობა 8 კლასით, დირექტორის კაბინეტითა და სამასწავლებლოთი, 1953 წლიდან დაწყებითი კლასების მასწავლებლებად მუშაობდნენ თამარ ქაჯაია (ორცვიდან) და სალიხ ძნელაძე (კოკოტაურიდან). 1955 წელს სკოლაში მოვიდა მეორე ახოელი – დურსუნ თავდგირიძე; ამ წლიდან სკოლის დირექტორია ახმედ საითაძე. 1958-1960 წლებში სკოლის დირექტორია მემედ გიორგაძე, 1960-1962 წლებში – ვახტანგ ძნელაძე, ხოლო 1962-1964 წლებში პირველი ახოელი ენვერ გეგიძე, 1964-1968 წლებში კოკოტაურელი ვაჟა ბერიძე, 1968-1974 წლებში მეორე ახოელი ალექსანდრე დიასამიძე, 1974-1976 წლებში ახმედ ანანიძე (სოფელ ცხმორისიდან), 1976-1983 წლებში სკოლის დირექტორად მუშაობდა ნოდარ დიასამიძე, 1983-1987 წლებში ალი ნაკაშიძე, შემდგომში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1987-1994 წლებში სკოლის დირექტორი იყო ილია დიასამიძე, 1995-2010 წლებში – ნიგარ ლორთქიფანიძე, 2010 წლიდან სკოლის დირექტორია გეგელიძეებელი ასლან ბერიძე.

1978 წელს აშენდა სკოლის კაპიტალური შენობა და 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად.

გეგელიძეების სკოლა

1940-1941 სასწავლო წელს გეგელიძეების დაწყებით სკოლაში იყო 4 კლასი, 29 მოსწავლით. სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო ვალია ფერაძე, მასწავლებელი – თამარა ჯანელიძე, 1944 წელს ყოფილ მედრესეს შენობას დაადგეს მეორე სართული, ორი პატარა ოთახითა და ერთი სამასწავლებლოთი. 1947-1948 წლებში სკოლის გამგედ მურმან კეკელიძის ნაცვლად დაინიშნა ს. კუჭავა.

1949-1950 სასწავლო წელს სკოლის 41 მოსწავლიდან 12 იყო ხუთოსანი და ოთხოსანი 18. 1950 წელს სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა მ. ო სირაბიძე. 1952 წლიდან სკოლის გამგე-მასწავლებელია შალვა ბალაძე.

1960 წელს სერგო ხალვაშის ხელმძღვანელობით აიგო სკოლის ახალი შენობა ხუთი ოთახით.

1963 წლიდან გეგელიძეების დაწყებითი სკოლა გადაკეთდა 8-წლიან სკოლად და სკოლის დირექტორად დაინიშნა ილია ნიჟარაძე, 1964-1965 წლებში სკოლაში სწავლობდა 103 მოსწავლე და მუშაობდა 12 მასწავლებელი.

2002 წელს აიგო გეგელიძეების სკოლის კაპიტალური შენობა და სკოლა გადაკეთდა საშუალოდ 2003 წელს, რაც რაიონის მაშინდელი გამგებლის ჯემალ გვარიშვილის დიდი დამსახურებით მოხდა.

1990-1992 წლებში სკოლის დირექტორია მურად სირაბიძე, ხოლო 1992 წლიდან – ნათელა კონცელიძე. 2000 წლიდან 2004 წლამდე სკოლის დირექტორად ბრუნდება მურად სირაბიძე, რომელმაც საშუალო სკოლის მშენებლობას დიდი ენერგია მოახმარა, ის 2004 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ქედის რაიონის განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილების გემგედ. გარდაიცვალა 2014 წელს.

2004 წლიდან გეგელიძეების საშუალო სკოლის დირექტორია დურსუნ ნიჟარაძე.

ჯოჯოტაურის სკოლა

სოფელ კოკოტაურში 1969 წლამდე იყო დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლა, მასწავლებლად მუშაობდა ადგილობრივი კადრი: სალიხ ხუსეინის ძე ძნელაძე (1946-1947 წლებში), 1947 წლიდან სკოლაში მოვიდა კვლავ ადგილობრივი რამიზ ბერიძე. 1969 წელს კოკოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ხალვაშის ინიციატივით აიგო ახალი კაპიტალური შენობა და 1970 წელს გაიხსნა 8-წლიანი სკოლა, რომლის პირველი დირექტორი 1970-1973 წლებში იყო ავთანდილ მამუჭაძე, 1973 წლიდან სკოლის დირექტორად მუშაობდნენ ვაჟა ბერიძე და ლევან მამუჭაძე, 1980-1986 წლებში სკოლის დირექტორია ილია ბერიძე, 1986-1988 წლებში – ზურაბ ნიჟარაძე, 1988-1990 წლებში – უშანგი ტაკიძე, 1990 წლიდან ლეილა შერვაშიძე, შემდეგ 1993-1996 წლებში გურამ მამუჭაძე.

1996-2003 წლებში სკოლის დირექტორად მეორედ დაინიშნა ილია ბერიძე. 2004 წლიდან დირექტორად მუშაობს ნატო შაინიძე.

კვაშტის სკოლა

1941-1943 წლებში კვაშტის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო ანიკო გასვიანი, მასწავლებლებად მუშაობდნენ შერიე ბერიძე და ხასან ბერიძე. 1944-1945 წლებში სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო სულიკო გორგილაძე და მასწავლებელი ხატიჯე კონცელიძე, 1945-1947 წლებში სკოლის მასწავლებლები იყვნენ: მიხეილ კონცელიძე და ავთანდილ ბერიძე. 1956 წლიდან დაწყებით სკოლას ხელმძღვანელობდა ხუსეინ გორგილაძე. 1969 წლიდან 1996 წლამდე კვაშტის 8 წლიანი სკოლის დირექტორი იყო შოთა გორგილაძე.

შოთა გორგილაძის გარდაცვალების შემდეგ 1996 წლიდან კვაშტის რვაწლიანი სკოლის დირექტორად დაინიშნა მათემატიკის მასწავლებელი აბდულ ბერიძე, რომელიც გარდაიცვალა 2005 წელს, ის ვერ მოესწრო ახალი სკოლის დამთავრებას. 2005 წლიდან ახალი სკოლის დირექტორია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარდო ბერიძე.

კვაშტის სკოლაში სწავლობდნენ: პოეტი და პროზაიკოსი ჯემალ ჯაყელი, საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი შოთა სირაბიძე, სრული პროფესორი ბესიკ ბერიძე, აჭარის ა.რ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან გორგილაძე, ცნობილი ქირურგი, რაიონული საავადმყოფოს დირექტორი ფრიდონ სირაბიძე, ჟურნალისტი ასლან ბოლქვაძე.

ორცვის სკოლა

ორცვის დაწყებითი სკოლა 1957 წელს გადაკეთდა 8-წლიანად. სკოლის დირექტორები იყვნენ: როსტომ ღონიაძე, ვახტანგ თურმანიძე, ლუბა დიასამიძე, ხუსეინ ნაკაშიძე, შოთა მიქელაძე, ფრიდონ ქაჯაია, გურამ ნაკაშიძე, ბადრი კაკაბაძე, მადონა დიასამიძე. 2009 წლიდან ორცვის საჯარო სკოლის დირექტორია რემზი თურმანიძე.

ორცვის საჯარო სკოლაში სწავლობდნენ: ცნობილი საზოგადო მოღვაწე მერაბ ქაჯაია, საქ. კპ. ქედის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ვლადიმერ ნაკაშიძე, ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფრიდონ დიასამიძე, ცნობილი ბიზნესმენი ლევან თურმანიძე, რომლის თანხებით 2008 წელს აიგო და კომპიუტერებით აღიჭურვა ორცვის ახალი სკოლა.

2014 წლისათვის ორცვის საჯარო სკოლაში 12 მასწავლებელი და 27 მოსწავლეა, გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით სამჯერ შემცირებულია მოსწავლეთა რაოდენობა.

აგარის სკოლა

1947 წელს აგარის დაწყებითი სკოლა გადაკეთდა 8-წლიანად, ახლანდელი სკოლის შენობა აიგო 1974 წელს, რომელიც გათვალისწინებული იყო 120 მოსწავლეზე. 1947-1950 წლებში ცნობილი პიროვნება ფიქრი დევაძე იყო აგარის 8-წლიანი სკოლის დირექტორი, 1950-1955 წლებში სკოლის დირექტორად მუშაობდა ხუსნი აბაშიძე, 1955-1962 წლებში მეორედ დაინიშნა სკოლის დირექტორად ფიქრიე დევაძე, 1962-1972 წლებში კი მუშაობდა მავილე დევაძე, 1972 წლიდან 2002 წლამდე სკოლის დირექტორი იყო რევაზ დევაძე. სკოლა დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი კადრებით. სკოლაში 2014 წლისათვის იყო 37 მოსწავლე და 17 მასწავლებელი. 2002 წლიდან აგარის სკოლის დირექტორია მერაბ დევაძე.

აქუცის სკოლა

ქედის რაიაღმასკომის ბრძანება №101 – 1934 წელი, აქუცის დაწყებითი სკოლის გამგედ დაინიშნა შალვა სიხარულიძე, მასწავლებლად – მიტია იმნაიშვილი, თურქული ენის მასწავლებლად მევლუდ დავითაძე. 1936 წლის დეკემბრისათვის აქუცაში იყო წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლა 3, აქედან 2 ქალთა. 1994 წლიდან აქუცაში არის 6 - კლასიანი დაწყებითი სკოლა.

აქუცის დაწყებით სკოლაში 2014 წლისათვის სწავლობდა 12 მოსწავლე და მათ ასწავლის 8 მასწავლებელი.

ინაშარიძეების სკოლა

ინაშარიძეებში დაწყებითი სკოლა დაარსდა 1940 წელს, 1961 წელს გადაკეთდა 8 წლიან სკოლად. 1996 წელს გადაკეთდა პირველი საფეხურის ელემენტარულ სკოლად 6 კლასით. 2006 წლისათვის აიგო ახალი შენობა. სკოლაში არის 9 მასწავლებელი და 13 მოსწავლე.

2005 წლიდან სკოლის დირექტორია მანანა ანანიძე.

ზედა ბზუბზუს სკოლა

ზედა ბზუბზუში დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1927 წელს.

1935 წლიდან ზედა ბზუბზუს დაწყებით სკოლაში მუშაობდნენ: მიშა ცეკვაშვილი, ოლია სურმავა.

1971 წელს აიგო ახალი კაპიტალური შენობა, სკოლაში მუშაობდნენ 1955-1999 წლებში პედაგოგები: იზოლდა შერვაშიძე, ხუსეინ გორგილაძე, აიშე ვარშანიძე, ელენე ნაკაშიძე, როლანდ თავდგირიძე, ზინა კიტია, ომარ შოთაძე, მაია ჭელიძე, საიმე ავალიანი.

1999 წელს ზედა ბზუბზუს დაწყებითი სკოლა გადაკეთდა ბზუბზუს 6 წლიან სკოლად. 1991-1999 წლებში ზედა ბზუბზუს დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებლად მუშაობდა ბადრი ღოღობერიძე. ის ამჟამად სკოლის დირექტორია. სკოლაში 5 მასწავლებელი და 15 მოსწავლეა.

მერისის სკოლა

მერისში დაწყებითი სკოლა გაიხსნა ჯერ კიდევ 1913 წელს, რომელმაც მალე შეწყვიტა მუშაობა და აღდგა 1922 წელს.

მერისში 1942 წელს გაიხსნა საშუალო სკოლა, სადაც სწავლობდნენ რაიონის სხვადასხვა სოფლის მოსწავლეები. სკოლასთან 1941 წლიდან ფუნქციონირებდა სასკოლო პანსიონი შორი სოფლების მყოფი მოსწავლეებისათვის. სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: მარო შარაშიძე, ომერ (დავით) თებიძე, აბდულ (არჩილ) ჩხეიძე, არტემ კალანდარიშვილი, ვლადიმერ თურმანიძე, ოთარ ბეჟანიძე 1960 წლიდან 1986 წლამდე, მურად დოლიძე 1986-1989 წ.წ, ოთარ ბროლაძე, ზაურ თურმანიძე; ბეჟან ბეჟანიძე ორჯერ იყო ამ სკოლა პანსიონის დირექტორი 2005-2007 და 2010-2015 წლებში, ამჟამად სკოლის დირექტორია რამაზ თურმანიძე 2015 წლის 18 მარტიდან.

პანსიონი 1993-1997 წლებში აღარ ფუნქციონირებდა და მუშაობა განაახლა 1997 წლიდან. პანსიონში არის 116 მოსწავლე, რომელთა სამჯერად კვებას და სხვა ხარჯებს სახელმწიფო უზრუნველყოფს. სკოლა პანსიონში სწავლობს 215 მოსწავლე.

1964-1965 სასწავლო წლებში მერისის საშუალოსკოლადამთავრებულები: ოთარ ბეჟანიძე დირექტორი, მურად დოლიძე სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები: ლენა (ცაცა) სიჭინავა, მარია ტრეტიაკი, ოთარ დოლიძე, რიზალ საკანდელიძე, ფატი გოგოლიშვილი, მერიკო დიასამიძე, გულნარა თურმანიძე, ნატალია პიკალოვა, სერგო წითელაძე, ალექსანდრე დევაძე. მოსწავლეები: ნათელა ხალვაში, ნათელა თურმანიძე, ნანი დევაძე, ჟუჟუნა დიასამიძე, მიხეილ დიასამიძე, მიხეილ ბეჟანიძე,ასმათ საკანდელიძე,ჯემალ საკანდელიძე, ლიანა წითელაძე,დავით ჯიჯავაძე,რეფიყ საკანდელიძ,სერგო ლამპარაძე.

მეძიბნის სკოლა

1957 წლიდან მეძიბნის დაწყებითი სკოლა გადაკეთდა 8-წლიან სკოლად; 1950 წლამდე სკოლაში მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პედაგოგები. 2000 წელს მეძიბნაში მოსახლეობის ინიციატივით აშენდა ახალი ფიცრული შენობა. სკოლა დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით.

სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ დავით სტამბოლიშვილი, რომელიც 1941 წელს ომში გაიწვიეს, უსუფ დუმბაძე, სერგო დუმბაძე, ამირან შერვაშიძე, 1963-1972 წლებში სკოლის დირექტორი იყო თამარ ქაჯაია, ხოლო 1971-1986 წლებში – შუქრი დუმბაძე, 1988 წლიდან სკოლის დირექტორია სერგო დუმბაძე.

2014 წლისათვის სკოლაში 12 მასწავლებელი და 38 მოსწავლე. მეძიბნაში ამჟამად არის 9-კლასიანი სკოლა.

კოლოტაურის სკოლა

კოლოტაურის 7-კლასიანი სკოლის დირექტორები იყვნენ: 1939-1943 წლებში ლენა ხელაძე, 1943-1946 წლებში – აბდულ დიასამიძე, 1956-1958 წლებში – ალექსი გედევანიძე, 1958-1963 წლებში – ალექსანდრე გოგოლიშვილი, 1963-1965 წლებში – ციალა გურგენიძე, 1965-1967 წლებში – შალვა მახარაძე, 1967-1979 წლებში – ზურაბ თებიძე, 1979-1980 წლებში – დანიელ სალაძე, 1980-2005 წლებში – ხასან გოგუაძე, 2005-2006 წლებში – ლია ქადიძე, 2006 წლიდან კოლოტაურის საჯარო სკოლის დირექტორია რუსლან გოგუაძე.

რაიონის განათლების სამსახურის უფროსები

1932 წლამდე რაიონში განათლების საკითხებს კურირებდა განათლების ინსპექტორი და ის ითვლებოდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ წლის აპრილამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა დავით სარიშვილი.

ამის შემდეგ განათლების ინსპექტორებად მუშაობდნენ ნადიმ ნიჟარაძე და ბენია გიორგაძე. ამავე წელს შეიქმნა განათლების განყოფილება, რომლის გამგეებად მუშაობდნენ:

- 1932 წელს კ. ცინცაძე, ბენია გიორგაძე
- 1933 წლის ივლისამდე – ვლადიმერ ტრაპაიძე, ივლისიდან ფელულ ჩხეიძე
- 1933 წლის აგვისტოდან დროებით – გრიგოლ ბაბილოძე
- 1934 წლის ოქტომბრიდან – სევერიან კობიძე
- 1935 წლის მარტიდან – ხასან შერვაშიძე
- 1935 წლის 5 ივლისიდან – რეჯებ მჟავანაძე
- 1937 წლის 1 აგვისტოდან – ხასან შავიშვილი
- 1937 წლის 5 აგვისტოდან – ალექსანდრე დარჩია
- 1938 წლის 28 აგვისტოდან – მიხეილ თხილაიშვილი
- 1939 წლის 3 ოქტომბრიდან – ილია მჟავანაძე
- 1940 წლის 10 სექტემბრიდან – დურსუნ მახარაძე
- 1943 წლის 3 იანვრიდან – ომერ (დავით) თებიძე
- 1945 წლის 1 მაისიდან – მემედ (მიხეილ) ნაკაშიძე
- 1948 წლის 29 მარტიდან – დურსუნ ბეჟანიძე
- 1950 წლის 25 ივნისიდან – აბდულ ჩხეიძე
- 1951 წლის 11 დეკემბრიდან – ზურაბ ნაკაშიძე
- 1953 წლის 15 მარტიდან – რუბენ ხალვაში (ბერიძე)
- 1959 წლის 23 ივნისიდან – მიხეილ ნაკაშიძე
- 1969-1985 წ.წ. – მიხეილ ზაქარაძე
- 1985-1988 წ.წ. – შოთა შერვაშიძე
- 1989-1993 წ.წ. – დარია თურმანიძე
- 1993-2004 წ.წ. – შოთა შერვაშიძე
- 2004 წ. – დურმიშხან ბოლქვაძე
- 2004-2006 წ.წ. – მურად სირაბიძე
- 2006 წლიდან – დურმიშხან შავიშვილი.

ქედის ჰაიონის განათლების განყოფილების გამგეები 1943-2005 წლებში და 2005 წლიდან განათლების სამინისტროს განათლების ჯულტურისა და სპორტის ჰესურს ცენტრის უფროსები

დავით თებიძე

მიხეილ ნაკაშიძე
1945-1948, 1959-1969

დურსუნ ბეჟანიძე

აბდულ ჩხეიძე

ზურაბ ნაკაშიძე

რუბენ ხალვაში (ბერიძე)

მიხეილ ზაქარაძე

შოთა შერვაშიძე
1985-1988 1993-2004

დარია თურმანიძე

დურმიშხან ბოლქვაძე

მურად სირაბიძე

დურმიშხან შავიშვილი

საქართველოს დამსახურებული მასწავლებლები ქედის ჰაიონში

1. აბაშიძე ლევან – სოფ. ცხმორისის სკოლა- 1979 წ. 6.10
2. ანანიძე შოთა – სოფ. ცხმორისის სკოლა - 1959 წ.
3. ბასილაძე უსუფ – მახუნცეთის საშ. სკოლ. 1982 წ.
4. ბოლქვაძე ლევან – ახოს სკოლა
5. ბეჟანიძე ნადია – ქედის სკოლა
6. დოლიძე მურად – მერისის სკოლა
7. გურგენიძე ციალა – პირველი მაისის სკოლა
8. გორგილაძე ემინე – ვაიოს სკოლა
9. დადიანი ზინა – ქედის საშუალო სკოლა
10. ზაქარაძე მიხეილ – ქედის რაი. განათლების განყოფილების გამგე.
11. ნაკაშიძე მიხეილ – ქედის. რაი. განათლების განყოფილების გამგე
12. ჩიკვაიძე ავთანდილ – ვაიოს სკოლა, 1967წ.
13. გვარიშვილი ანტონ – ნამლისევის სკოლა
14. ბერიძე ავთანდილ – კვაშტის სკოლა
15. კაკაბაძე შალვა – სილიბაურის დაწყ. სკოლა
16. ტრეტიაკი მარია – მერისის სკოლა
17. მიქელაძე შოთა – ორცვის სკოლა
18. სურმანიძე ნადეჟდა – გოგინიძეების დ/სკოლა.
19. ნაკაშიძე ისიდორე – უჩხითის სკოლა
20. შერვაშიძე კარლო – ქედის საშუალო სკოლა
21. ჩხაიძე ედიკ – ქედის სკოლა, პედაგოგი 1937-1938 წ.წ.
22. ქაჯაია ალექსანდრე – განათლების განყ. ინსპექტორი 1964 წ.
23. დოჭვირი თინა – ქედის სკოლა
24. დოჭვირი ნადია – ქედის სკოლა
25. ლორთქიფანიძე სევერიან – ვაიოს სკოლა
26. ბერიძე შერიე – ვაიოს სკოლა
27. ანანიძე ზურაბ დურსუნის ძე – სოფ ცხმორისი 1985 წ.

აჭარის დამსახურებული მასწავლებლები

1. ფირცხალაიშვილი ანეტა ნიტიფოს ასული – ხარაულის საშუალო სკოლა, 1964 წელი.

2. სიხარულიძე ციცინო – დანდალოს 8-წლიანი სკოლა, 1965 წ.
3. ავალიანი ნოდარ – დანდალოს სკოლა
4. გვარიშვილი უშანგი – უჩხითის სკოლა, 1968 წ.
5. გიორგაძე უშანგი – ქედის რვაწლიანი სკოლა, ქედის პედსასწავლებელი.
6. გათენაძე მელექ – ქედის საშუალო სკოლა
7. გორგილაძე ოთარი – ვაიოს სკოლა
8. ბეჟანიძე ოთარი – მერისის სკოლა
9. დუმბაძე სერგო – გეგელიძეების სკოლა, 1970 წ.
10. დიასამიძე მავილე – ქედის სკოლა
11. თურმანიძე ვახტანგ – ქედის სკოლა
12. დიასამიძე ნოდარ – ახოს სკოლა
13. კობალაძე ლევან – უჩხითი
14. კაკაბაძე ნაზი – ქედის სკოლა
15. კიღურაძე მიხეილ – ქედის სკოლა
16. კაცაძე თინა – უჩხითის საშუალო სკოლა, 1957 წ.
17. მგელაძე ესმა – დანდალოს საშ. სკოლა, 1982 წ.
18. კეკელიძე მურმან – გეგელიძეების სკოლა, 1981 წ.
19 საითაძე ვახტანგ – დოლოგნის სკოლა
20. სურმანიძე ზორე – ქოსოფლის, დოლოგნის, ორცვის, ქედის საშუალო სკოლები.
21. სურმანიძე ოსმან – ქედის რაი. დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი, 1982 წ.
22. უგულავა შოთა – ქედის საშუალო სკოლა
23. ღელეყვა ლუბა – ქედის საშუალო სკოლა
24. შერვაშიძე შოთა – ქედის სკოლა, 1990 წ.
25. ხალვაში რუბენ – განათლების განყოფილების გამგე
26. ქადიძე ლევან – პირველი მაისის სკოლა
27. ბეჟანიძე დავით – ქედის სკოლა
28. ჩხეიძე არჩილ – ქედის საშუალო სკოლის დირექტორი, 1968 წ.
29. ბერიძე შერიე – კვაშტის სკოლა
30. ბასილაძე იოსებ – მახუნცეთის სკოლა, 1965 წ.
31. მახარაძე მირიბან – კოლოტაურის დაწყ. სკოლა, 1975 წ.
32. ჯვარშეიშვილი ლენა – დანდალოს საშუალო სკოლა, 1974 წ.
33. ლორია გალინა იოსების – მილისის დაწყ. სკოლა, 1973 წ.
34. ხაბაძე თინათინ – მეძიბნის 8-წლიანი სკოლა.
35. არაშიძე ზინა – მახუნცეთის სკოლა ინტერნატის დირექტორის მოადგილე.
36. გოგიაშვილი სელვა – გოგიაშვილების დაწყ. კლ. მასწავლებელი.
37. მჟავანაძე (ოსმან) ოთარ – ხარაულის საშუალო სკოლა – 1967 წლიდან
38. დანელიანი ელენე – მახუნცეთის საშ. სკოლა – 1959 წ.
39. ბაჯელიძე სარდიონ – ოქტომბრის 8-წლიანი სკოლის დირექტორი – 1968 წ.
40. თურმანიძე ვახტანგ – ორცვის 8-წლიანი სკოლა – 1962 წ.
41. ავალიანი რევაზ – დანდალოს 8-წლიანი სკოლის დირექტორი – 1963 წ.
42. სარიშვილი ეკატერინე – მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი – 1963 წ.
43. ქაჯაია ციალა – ორცვის 8 წლიანი სკოლა, 1981 წ.
44. ანანიძე დურსუნ – ცხმორისის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, 1983 წ.
45. ნიჟარაძე საადეთ – ვაიოს საშუალო სკოლა, 1987 წ.
46. ავალიანი ასიე – ცხმორისის საშუალო სკოლა, 1956წ.
47. ვაჩეიშვილი ნინა – წონიარისის სკოლა 1953 წ.

48. ჩიტროლიანი აკოფ – ქედის სკოლა
49. მახარაძე ნოდარ – მახუნცეთის სკოლა
50. ცინცაძე შალვა – მახუნცეთის სკოლა, 1979 წ.
51 ჩიკვაიძე ვლადიმერ – ვაიოს სკოლა, 1957 წ.

ქედის ჩაიონის ბაგა-ბაღები

ოქტომბრის რევოლუციამდე აჭარაში სკოლამდელი აღზრდის ერთი დაწესებულებაც არ არსებობდა. პირველი საბავშვო ბაღი ქ. ბათუმში გაიხსნა 1921 წლის 20 მაისს. ამავე წელს მოეწყო ორი საბავშვო მოედანი, სადაც გაერთიანებული იყო 260 ბავშვი. საბავშვო ბაღი გაიხსნა ოფიცერთა სახლის შენობაში და მას „წითელი ვარსკვლავი“ ეწოდა. მას ცენტრალურ საბავშვო ბაღს უწოდებდნენ. საბავშვო ბაღები არსებობდა ქ. ბათუმის პირველი საფეხურის სკოლებთან და კლუბებთან.

სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღებს სასკოლო საბავშვო ბაღებს უწოდებდნენ. მათში ათავსებდნენ საბავშვო ბაღის გარეშე დარჩენილ 6-7 წლის ბავშვებს და ამზადებდნენ სკოლისათვის. მათი სამუშაო დღე 4 საათს შეადგენდა, მუშაობის შინაარსი და მოცულობა კი ისეთივე იყო, რაც ბაღის უფროს ჯგუფებში (ნ. ბასილაძე, სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში, (1921-1981 წ.წ.),

საბავშვო ბაღებთან ერთად, დაიწყო საბავშვო ბაგების გახსნა. პირველი საბავშვო ბაგა აჭარაში გაიხსნა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში. მასში მოთავსებული იყო მეურნეობაში მომუშავე 30 ბავშვი 6 თვიდან 4 წლამდე. მშობლებს ბავშვები მოყავდათ ბაგაში დილის 7 საათზე და უკან მიყავდათ საღამოს 8 საათზე (ნ. ბასილაძე, დასახელებული ნაშრონი, გვ. 18).

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან აჭარაში დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვის მკვეთრი ზრდა. ამ დროიდან საბავშვო ბაგა-ბაღები იხსნება რაიონებშიც. პირველი საბავშვო ბაღი ქედის რაიონში გაიხსნა 1934 წელს სოფელ ორცვაში, მომდევნო წელს კი – მახუნცეთში (აწჰესში). ორცვის საბავშვო ბაღმა მხოლოდ ორი წელი იარსება. კონტინგენტის სიმცირისა და მატერიალური ბაზის უვარგისობის გამო 1936 წლის გაზაფხულზე იგი დაუხურავთ და მისი შტატი გადაუტანიათ ქედის რაიონულ ცენტრში, სადაც მ. ტაკიძის სახლში გაუხსნიათ საბავშვო ბაღი (ნ. ბასილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25-26).

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამჟამად აჭარაში.

2011 წელს შეიქმნა ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება, რომლის ხელმძღვანელია აიშე თებიძე.

ამჟამად ქედის რაიონში არსებობს შემდეგი ბაგა-ბაღები:\

1. ქედის ბაგა-ბაღი №1 – 103 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი მაია ხაბაზი.
№2 – 70 აღსაზრდელი – ხელმძღვანელი მაია თევზაძე
3. მახუნცეთის ბაგა-ბაღი – 48 აღსაზრდელით, ხელმძღვანელია მაგული სურმანიძე
4. ხარაულის ბაგა-ბაღი – 29 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი ციური ბერიძე
5. სოფელ ცხმორისის ბაგა-ბაღი – 27 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი ეთერ შოთაძე
6. წონიარისის ბაგა-ბაღი – 47 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი გუგული გოლომანიძე
7. ზუნდაგის ბაგა-ბაღი – 29 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი გუგული გოგიტიძე
8. მერისის ბაგა-ბაღი – 35 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი ია ბერიძე
9. პირველი მაისის ბაგა-ბაღი – 48 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი მარინა გოგუაძე
10. ცხმორისის ბაგა-ბაღი – 78 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი რუიზან ნებაძე

11. ვაიოს ბაგა-ბაღი – 50 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი ნატო მახაჭაძე.
12. დანდალოს ბაგა-ბაღი – 42 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი თამარ ბერიძე
13. დოლოგნის ბაგა-ბაღი 52 აღსაზრდელით, ხელმძღვანელი მაკა ბარამიძე.

ჯუდუჩა და ხელოვნება

ამ საკითხზე 20-30-იანი წლების ზოგადი ანალიზის დროს ვისაუბრეთ მოკლედ, ახლა კი უფრო დეტალურ ანალიზს შემოგთავაზებთ.

1923 წელს ქედაში გაიხსნა მუშათა და გლეხთა სამაზრო კლუბი, რომლის გამგედ დაინიშნა მოსკოვის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი აბდულ სურმანიძე. 1925 წელს კლუბთან ჩამოყალიბდა დრამატული წრე. სცენაზე პირველად გამოვიდენენ აქაურები: შუქრი დევაძე, მურად ნაკაშიძე და ავნი ბეჟანიძე.

1928 წელს კლუბისათვის ცალკე ააგეს ფიცრული შენობა, რომელსაც „სანიმუშო კლუბი" ეწოდა . გამგედ დაინიშნა ახმედ შერვაშიძე (1861-1937წ.წ.). ეს, უაღრესად განათლებული ადამიანი ამ სფეროში 1931 წლამდე მუშაობდა. 1937 წელს რეპრესირებულ იქნა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

1931-1937 წლებში კლუბის გამგედ მუშაობდა სულიკო თურმანიძე.

1937-1941 წლებში კლუბის გამგედ მოიწვიეს ქალაქ ბათუმიდან ალექსანდრე (შურა) ღლონტი.

1938 წელს კლუბი გადაკეთდა მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლად. ამავე წელს მერისელი ლოტბარი რამიზ თურმანიძე დაინიშნა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად. დრამატული წრე გადაკეთდა დრამატულ დასად, რომელშიც გაერთიანებული იყო 24 კაცი, მათ შორის-ორი ქალი. დასს ხელმძღვანელობდა შურა ღლონტი. დასის წევრი აბდულ ბოლქვაძე მიავლინეს ქალაქ თბილისში სამთვიან თეატრალურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც მიენიჭა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეჟისორის წოდება. სცენაზე იდგმებოდა პიესები: „ყვარყვარე თუთაბერი," „ესპანელი დედა", „ბახმარო", „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს" და სხვა. იდგმებოდა ასევე აბდული ბოლქვაძის დაწერილი პატარა პიესები: „ღამის დარაჯი", „მოსაწევი", „მარჩიელობის შედეგი"

1941 წლიდან კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელი აბდულ მემედის ძე ბოლქვაძე.

კულტურის სახლის ნაყოფიერი მუშაობის შესახებ პერიოდულად თავსდებოდა ცნობები სხვადასხვა გაზეთებში. მაგალითად:„მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა წრემ 20 აპრილს მაყურებელს უჩვენა გ. ქელბაქიანის ერთმოქმედებიანი სატირა „შესანიშნავი ექიმი", რომლის მომზადებას ხელმძღვანელობდა აბდულ ბოლქვაძე.

მეორე და მესამე განყოფილებაში წარმოადგინეს სხვადასხვა ხალხური სიმღერები და ცეკვები.

თვითმოქმედი წრის მიერ გამართული საღამო წარმოდგენა გულთბილად მიიღო მაყურებელმა" (თ. აბულაძე, „ცხოვრების კვალდაკვალ", ს.ს. „გამომცემლობა აჭარა", ბათუმი,-2003, გვ. 41).

დრამატული დასის პარალელურად კულტურის სახლთან ყალიბდებოდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებიც. 1937 წელს ჩამოყალიბდა მომღერალთა შერეული (ქალთა და ვაჟთა) ანსამბლი, რომელსაც 1949 წლამდე ხელმძღვანელობდა ლოტბარი ნესტორ ჯიბლაძე., რომელიც გუნდში გურულ სიმღერებს ამზადებდა. 1940 წელს ხალხური გუნდის ლოტბართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა თბილისში მოაწყო სამთვიანი გადასამზა-

დებელი კურსები. 1949-50 წლებში ნ. ჯიბლაძე ადგილობრივმა ლოტბარმა რამიზ ყედირის ძე თურმანიძემ ჩაანაცვლა და გურული სიმღერების პარალელურად დიდი ყურადღება დაეთმო ადგილობრივ ფოლკლორს. გუნდში იყო ისეთი სიმღერები, რომელიც ცეკვასთან ერთად სრულდებოდა. სწორედ ამ ცეკვების დასადგმელად ამოვიდა ქედაში ქალაქ ბათუმიდან ქორეოგრაფი თემელ მიქელაძე, რომელმაც წარმატებით დადგა ცეკვები „მხარული" (ეთერ ხორავა, ნიაზ სურმანიძე, რამიზ აბულაძე), „განგადანა", „ხორუმი".

1957 წელს მოეწყო ქედის რაიონის ახალგაზრდობის პირველი ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქედის სარაიონო კულტურის სახლის, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სხვადასხვა სკოლების გუნდები.

1959-1960 წლებში ქედელებს სიმღერას ასწავლიდა მიშა კიღურაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი წარმატებით გამოვიდა რესუბლიკურ ოლიმპიადაზე 1960 წელს, ქალაქ თბილისში, ოპერის თეატრში. შემდგომში გუნდს ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული არტისტი მირიან ჩხიკვიშვილი.

გუნდში იყვნენ გამოჩენილი მომღერლები: ხასან თურმანიძე, ყედირ შარაძე, ალიოსმან შარაძე, ხუსია ბარამიძე, გრიგოლ ლამპარაძე, ხულუს დუმბაძე, რევაზ თურმანიძე, რევაზ ყედირის ძე თურმანიძე, ქეთო ჯიბლაძე, ლუბა მიქაძე, ვლადიმერ გათენაძე, ხემიდ ასამბაძე, ზია ძნელაძე, ჯულიეტა კაკაბაძე, ილია შავიშვილი, სულეიმან ბერიძე, ნიაზ სურმანიძე, მუხამედ ნაკაშიძე, ხასან ნაკაშიძე, სალიხ აბაშიძე, ხუსნი ანანიძე, რამიზ აბულაძე და სხვები.

1960-იანი წლებიდან კულტურის სახლში შემოიღეს ინსტრუქტორის თანამდებობა. ამ თანამდებობებზე მუშაობდნენ:

1. 1968-1973 წლები – ზურაბ სირაბიძე
2. 1973-1974 წლები – ჟუჟუნა არჯევანიძე
3. 1974-1979 წლები ნოდარ გორგაძე

1977 წელს კულტურის სახლს დაემატა ინსპექტორის შტატი

1. 1977-1994 წლები აბდულ ბოლქვაძე
2. 1994-2004 წლები ნაზი სურმანიძე

1960-იან წლებში შეიქმნა რაიონში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები: მახუნცეთში (ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე), მერისში (ხელმძღვანელი რ. თურმანიძე), წონიარისში (ხელმძღვანელი ს. ჯაყელი), ცხმორისში (ხელმძღვანელი მ. ზაქარიაძე). ამ დროისათვის ქედაში იდგმებოდა შემდეგი სახის ცეკვები: „მხარული", „მასიური განდაგანა", „დავლური", „ლეკური", „ხორუმი", „ძმური", „კავკასიური", „თამბაქოს კრეფა".

1961 წელს ქედის კულტურის სახლთან შეიქმნა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც 20 წევრს აერთიანებდა და ამავე წელს ქალაქ თბილისში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა.

1961 წელს კულტურის სახლთან შეიქმნა 120-კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობდა მიშა კილაძე

25 - კაციან ქორეოგრაფიულ ანსამბლს ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფი შოთა არაშიძე. აკომპანიატორად მუშაობდნენ ზურაბ ბერიძე (მეგარმონე), ნიკოლაიშვილი (მედოლე). ცეკვავდენენ: თამაზ შავლიძე, შოთა ბერიძე, ისმეთ დევაძე, ჯემალ დიასამიძე, ავთანდილ ბერიძე, ამირან დიასამიძე, ნიკოლოზ შავლიძე, ტარიელ სამნიძე, ნიაზ სამნიძე, იზეთ ირემაძე, ჰაკი ღონიაძე, გივი გორგილაძე, ჟუჟუნა სურმანიძე, ნანული დიასამიძე, მერი დიასამიძე, ნუნუ აბულაძე, გულნარა შერვაშიძე, ნაზი ხოხბა, ციური აბულაძე, თინა კურცხალიძე, ლეილა ჯიჯავაძე და სხვები. 1966-69 წლებში კულტურის სახლში ქორეოგრაფიას ხელმძღვანელობდა ამავე სახლის ინსტრუქტორი ზურაბ სირაბიძე. მის დროს დაიდგა ცეკვები: „კავკასიური"(ცეკვავდნენ ზურაბ სირაბიძე და კარლო

დოლიძე). მასიურ „განდაგანაში" ცეკვავდნენ ოქროპირ ხაბაზი, სულიკო ნაკაშიძე, ვ. ნაკაშიძე, ნაზი სურმანიძე და სხვები.

70-იანი წლებიდან კულტურის სახლში დაემატა მეთოდისტის საშტატო ერთეული . წლების განმავლობაში ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ: გურამ დუმბაძე, ნაზი სურმანიძე, ნოდარ გორგაძე, ელგუჯა შარაძე, მარინე ჯიჯავაძე.

1969 წელს ანსამბლის მოსამზადებლად კულტურის განყოფილებამ მოიწვია ქორეოგრაფი თემურ ბაგრატიონი ქალაქ ბათუმიდან, რომელიც აქ 1977 წლამდე მუშაობდა.

1978-1981 წლებში გუნდის ქორეოგრაფი იყო ბათუმიდან მოწვეული თამაზ ჯახუტაშვილი. აკომპანიატორები: მედოლე-ენვერ ღოღობერიძე, მეგარმონეები: იაშა ცენტერაძე, ნური არჯევანიძე. ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავდა 30 კაცი.

1981 წელს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში გამართულ საკავშირო ფესტივალში და მოცეკვავეები გახდნენ ლაურეატები.

ამ ანსამბლმა 1987 წელს მეორე საკავშირო ფესტივალში (ქალაქ თბილისში) მიიღო ლაურეატის წოდება . გუნდის ლოტბარი ტარიელ მამალაძე, ქორეოგრაფი დავით ღოღობერიძე. გუნდი 1995 წლამდე არსებობდა.

1977 წელს ბორის ღოღობერიძისა და ტარიელ მამალაძის თაოსნობით შეიქმნა საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „ნაკადული", რომელმაც 1986 წლამდე იარსება. ანსამბლში გაერთიანებული იყვნენ: ნოდარ გორგაძე (დასარტყამი ინსტრუმენტი), ნოდარ კახიძე (ორღანი), გენადი პაპუნიძე, ჯუმბერ ბოლქვაძე (ბას გიტარა), თემურ დიასამიძე, გურამ ქობულაძე (სოლო გიტარა რიტმ-გიტარა). სოლისტები: ჟუჟუნა არჯევანიძე, ნაზი სურმანიძე, ტარიელ მამალაძე, დავით ღოღობერიძე. ანსამბლს წარმატებული გამოსვლებისათვის მიღებული აქვს დიპლომი და სიგელები. იმპერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „ორერა", „დოლო", „ივერია", „ორნანო"…. „ნაკადულმა" რაიონს ფარგლებს გარეთაც პოპულარობა მოიხვეჭა.

1982 წელს ქედის კულტურის სახლში საფუძველი ჩაეყარა ანსამბლ „ბეთლემს", რომელშიც თავდაპირველად გაერთიანებული იყვნენ: გურამ ქობულაძე (დასარტყამი ინსტრუმენტები, ანსამბლის ხელმძღვანელი), თემურ დიასამიძე (სოლო გიტარა), ჯუმბერ ბოლქვაძე (ბას გიტარა), მალხაზ დუმბაძე (სინთეზატორი), ბეგლარ მიქელაძე (სინთეზატორი), არსენ დიასამიძე (ხმის ოპერატორი), შემდეგ მათ შეუერთდა ნუგზარ გუჩმანიძე (მთავარი ვოკალისტი და გიტარისტი). „ბეთლემმა" არაერთი ჯილდო და დიპლომა მოიპოვა. მათ შორის: პირველი ადგილი საქართველოს რესპუბლიკურ დათვალიერება- კონკურსზე დასავლეთის ზონაში – „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" (1989წელი), პირველი ადგილი აჭარის დამოუკიდებელ ტელე-კომპანია „ლიბერას" მიერ მოწყობილ პოპ-როკ ფესტივალზე (საქართველოს მასშტაბით) (1990წელი), მოხვდენენ საუკეთესო ათეულში მოსკოვის გაზეთ „არგუმენტი ფაქტის" მეშვეობით ამერიკული სტუდია „როლინგ სტოუნზის" მიერ გამოცხადებულ როკ-აქციაში (1991 წელი), პირველი ადგილი დაიკავეს ლატვიაში ლატგალიის ტელევიზიის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე (1993 წელი), ჯგუფი შესანიშნავად გამოვიდა რუსეთის პოპ-ვარსკვლავების მონაწილეობით ბათუმში ჩატარებულ ფესტივალზე–„აჭარა-95".

ქვეყანაში 90-იან წლებში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებისა და უსახსრობის გამო ჯგუფი ვერ წავიდა გასტროლებზე ამერიკასა და ისრაელში.

ანსამბლი „ბეთლემი" 1995 წელს დაიშალა.

1981 წელს კულტურის სახლთან შეიქმნა ვაჟთა ფოკლორული ჯგუფი , რომელიც გახდა I და II რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი 1981-87 წლებში. აღნიშ-

ნულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო 1987 წელს ქალაქ რიგაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ლოტბარი ტარიელ მამალაძე. ჯგუფის წევრები იყვნენ: ნოდარ გორგაძე, ლევან კვანტალიანი, ნოდარ კახიძე, ამირან დიასამიძე, მუხამედ ნაკაშიძე, დავით ვაშაყმაძე, ელგუჯა ბაჯელიძე, შუქრი თურმანიძე, ნიაზ დიასამიძე, ტარიელ მამალაძე, შოთა ფარტენაძე.

აღნიშნული ჯგუფის ბაზაზე 1995 წელს ჩამოყალიბდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ელესა".

2001 წლის 20 აპრილს ქედის კულტურის სახლში მოყვარულთა დასმა შექმნა მუსიკალურ-დრამატული თეატრი , რომლის ხელმძღვანელიც იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ოთარ წურქავა.

თეატრმა დადგა ორი მუსიკალური კომედია: კიტა ბუაჩიძის ,პროვინციელი გოგონა" (2000 წელი) და ალექსანდრე სამსონიას „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების", (2001წელი).

მოყვარულთა თეატრმა მონაწილეობა მიიღო 2001 წელს ქობულეთში ჩატარებულ მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალის შესარჩევ ტურში, რომელშიც გამარჯვების შემდეგ გაემგზავრა ქალაქ ვანში გამართულ სახალხო და მოყვარულთა თეატრების ფესტივალში „ვანი- 2001 წელი", სადაც 27 მონაწილე თეატრს შორის პირველი ადგილი დაიჭირა, რისთვისაც დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით.

თეატრის ხელმძღვანელი და დეკორატორი იყო ნოდარ კახიძე,
დასის გამგე და რეკვიზიტორი-ნაზი სურმანიძე,
ქორეოგრაფი-დავით ღოღობერიძე,
მუსიკალური ხელმძღვანელი - ტარიელ მამალაძე,
მუსიკალური გამფორმებელი-რუსლან კონცელიძე,
მსახიობთა დასი- ზაზა გოგიტიძე, ლია ცინცაძე, ამირან დიასამიძე, მარინე ჯიჯავაძე, ასლან დიასამიძე, ელგუჯა შარაძე, ნოდარ გორგაძე, ხასან ბერიძე, ირინა დევაძე, შორენა ჯიჯავაძე, ინგა გორგაძე, ირმა გოგოლაძე, მალხაზ სალაძე, ნური დევაძე, ტარიელ თებიძე, ბულბული ბერიძე

სხვა დროს კულტურის სახლის საქმიანობაზე დადებით ზეგავლენას ახდენდნენ და ახდენენ:

ირაკლი სირაბიძე- კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე, შორენა კარანაძე ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი 2007 წლის მარტიდან, ტარიელ მამალაძე ანსამბლ „ელესას" ლოტბარი, მზია ტუნაძე ანსამბლ „ბეთლემის" ქორეოგრაფი, იმედა ფარტენაძე ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემის" ხელმძღვანელი, ლიანა ავალიანი მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების ხელმძღვანელი, ლიანა ხალითის ასული მახარაძე ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორი, ლეილა ბეჟანიძე კულტურის ცენტრის სპეციალისტი ფოლკლორის დარგში, მარინე ჯიჯავაძე ქედის კულტურის ცენტრის ღონისძიებათა ორგანიზატორი, ქეთევან ნაგერვაძე გოგონათა ფოკლორულ ანსამბლ „იაგოგონას" ხელმძღვანელი, გულნაზ მახაჭაძე საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი და ლიანა რეზოს ასული შერვაშიძე.

კულტურის სახლის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: სალიხ ჯაყელი - 1972-1976 წ.წ., დავით ღოღობერიძე -1976-80 წლები, ჟუჟუნა არჯევანიძე - 1990-1997 წ.წ., ნოდარ კახიძე -1998-2007 წლები.

ქედის ხაიონული კლუბის და კულტურის განყოფილების გამგეები:

1932- რაიონის კლუბის გამგე- სულეიმან თურმანიძე
1933 - მარო ებუხოვი
1934 - სულეიმან თურმანიძე
1934 წელი „სანიმუშო კლუბის" გამგე- ფელულ ჩხეიძე
1934 წელი - ყედირ ბოლქვაძე
1946 წლიდან კულტურის საქმის განყოფილების გამგე გახდა სელიმ სურმანიძე
1946 წ. აბდულ ჩხეიძე
1948 წლიდან – უსუფ დუმბაძე
1949 წელი- ენვერ რასიყის ძე ბერიძე
1950 წელს შეიქმნა კულტურის განყოფილება, რომლის გამგეებად მუშაობდნენ:

1. 1950-1951 წლები- მიხეილ ნაკაშიძე
1951 -1954 შუქრი გორგილაძე
2. 1954-1955 წლები-ვლადიმერ გათენაძე
3. 1955-1956 წლები- ავთანდილ ზანაქიძე
4. 1956-1958 წლები-მიხეილ ნაკაშიძე
5. 1959-1962 წლები- ზურაბ ბერიძე
6. 1962-1967 წლები-ფიქრი დევაძე
7. 1967- 1973 წლები- ვაჟა ბერიძე
8. 1973-1977 წლები- ალექსანდრე ანანიძე
9. 1977- 1989 წლები-აკაკი ბერიძე
10. 1990-2004 წლები -დავით ღოღობერიძე
11. 2004-2006 წლები მოვალეობის შემსრულებელი ნაზი სურმანიძე, 2007 წლიდან შორენა კარანაძე.
12. 2015 წლის ივლისიდან ვაჟა ბალაძე
13. 2016 წლის აგვისტოდან როსტომ შერვაშიძე

აბდულ ბოლქვაძე

აბდულ მემედის ძე ბოლქვაძე დაიბადა 1913 წელს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში, გლეხის ოჯახში.. მამა ცნობილი მეგარმონე იყო, ხოლო ბაბუა- მეჭიბონე..

ჯერ კიდევ ბავშვობისას მამამ მეზობელი სოფლიდან ჩამოუტანა ჩონგური და მისი რჩევით დაეუფლა ამ ხალხურ საკრავს, რამაც ჩაუსახა ხელოვნებისადმი სიყვარული. 1930 წელს სწავლა გააგრძელა ქალაქ ბათუმის სამწლიან პარტიულ სკოლაში, სადაც ეზიარა დრამატულ ხელოვნებას სკოლასთან არსებულ დრამატულ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა წარმოშობით ფრანგი გვარად აბულოვი. პიესაში „პირველი აღლუმი " შეასრულა მეთაურის როლი. ავადმყოფობის გამო აღნიშნული სასწავლებელი ვერ დაამთავრა.

1961 წელს დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი ექსტერნის წესით პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

ა. ბოლქვაძემ 1938 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად. იმავე წელს სამუშაოდ გადავიდა ქედის რაიონულ კულტურის სახლში

საწრეო ხელმძღვანელად, საიდანაც გაგზავნეს ქალაქ თბილისში სამთვიან თეატრალურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეჟისორის ტიტული.

ამ პერიოდში სარაიონო კულტურის სახლთან მოქმედ დრამატულ დასში იდგმებოდა პიესები: „ყვარყვარე თუთაბერი", „ესპანელი დედა", „საზღვართან", „ბახმარო" და სხვა. დასი დიდი მოწონებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მაყურებელთა შორის. დასის მიერ დადგმულ პიესებში თამაშობდა წამყვან როლებს. ამასთან, კულტურის სახლთან არსებულ მომღერალთა ჯგუფში მღეროდა და უკრავდა ჩონგურს. თეატრალური მოღვაწეობის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა წერილები ადგილობრივ პრესაში.

1942 წლიდან 1950 წლამდე მუშაობდა სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად და დრამატული წრის ხელმძღვანელად. განახორციელა დადგმები: „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს" (რ. ერისთავი), ტრაგიკომედია „ბრილიანტი", რომელშიც თამაშობდა ოსეფასა და ბაღდასარას როლს. არანაკლები წარმატებით სარგებლობდნენ მის მიერ დაწერილი პატარ-პატარა პიესები და სკეტჩები: „ღამის დარაჯი", „მოსაწევი", „მარჩიელობის შედეგი" და სხვა.

დრამატულ კოლექტივებთან ერთად ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდებს პედსასწავლებელში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქედის რაიონის ახალგაზრდობის ფესტივალში 1957 წელს.

ა. ბოლქვაძემ 1961 წლიდან ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლებსა და მომღერალთა გუნდებს ქედის რაიონის სხვდასხვა სოფელში: 1961 წელს სოფელ ვაიოში, 1971-72 წლებში კულტურის სახლის მუშაკებისაგან ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რაც საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ყურადღების ცენტრში მოექცა და დოკუმენტური ფილმის ვრცელ სიუჟეტად იქცა. სოფელ მერისის გუნდი მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის დროს საოლქო დათვალირებაზე გამოვიდა.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მის მიერ ჩამოყალიბებულ ქალთა ანსამბლს სოფელ ოქტომბერში, რომელიც საოლქო დათვალიერებაზე წარმატებით გამოვიდა, ხოლო 1987 წელს ლაურეატის წოდება მოიპოვა მეორე საკავშირო ფესტივალზე.

ა. ბოლქვაძემ 1951 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის კულტურის განყოფილების ინსპექტორად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

საგუნდო მოღვაწეობის პარალელურად ეწეოდა თვითშემოქმედებას. შექმნა რამდენიმე საგუნდო და სხვა სახის მუსიკალური ნაწარმოები, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდი აღიარება მოიპოვა სიმღერამ „ბაღ-ვენახებს აშრიალებს", ალექსანდრე ანანიძის ლექსზე.

მეუღლესთან, მერი კურცხალიძესთან ერთად მონაწილეობა მიიიღო ანზორ ერქომაიშვილის მიერ სრულიად საქართველოს მასშტაბით მიმდინარე ხალხური შემოქმედების საღამოებში და მათ მიერ შესრულებული სიმღერა ხალხური შემოქმედების ოქროს ფონდშია დაცული.

კულტურის დარგში მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, არაერთი სიგელი და მედალი. აბდულ ბოლქვაძე გარდაიცვალა 1994 წ.

მახუნცეთის ჯუღუჩის სახლი

1928 წელს მახუნცეთში გაიხსნა ქოხსამკითხველო, რომელსაც გვარად დანელია ხელმძღვანელობდა. 1932 წელს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში ქოხსამკითხველო გადაკეთდა მახუნცეთის სასოფლო კლუბად. 1963 წელს კლუბი მახუნცეთის კულტურის სახლად გადაკეთდა. ამ ობიექტს სხვადასხვა

დროს ხელმძღვანელობდნენ:

1. დანელია -1928-1953 წლები
2. ბიჭიკო ვერძაძე- 1954- 1974 წლები
3. ელენე ბოლქვაძე- 1974-2007 წლები
4. ციალა ბოლქვაძე- 2007 წლიდან მუშაობს დღემდე

ზუნდაგის სასოფლო ჯღუბი

ზუნდაგის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1959 წელს, ყოფილ მედრესეს შენობაში. კლუბი ფიცრული იყო. 1964 წელს ააგეს კაპიტალური შენობა.

კლუბის გამგეები:

1959-1962 წლები – შაქრო ვარშანიძე
1962-1964 წლები – რამიზ ვარშანიძე
1964-1969 წლები – ფატი ხალვაში
1969- 1970 წლები – ასმათ ქობულაძე
1970- 2010 წლები – ზია ვარშანიძე
2010 წლიდან დღემდე მუშაობს – რევაზ ვარშანიძე

უჩხითის სასოფლო ჯღუბი

უჩხითის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1956 წელს, რომელშიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ:

1956 -1960 წლები- ლევან კობალძე
1960- 1964 წლები-ვალერიან კობალძე
1964-1970 წლები- გივი ვარდმანიძე
1970-1977 წლები- გია ბედინაძე
1977-1983 წლები- მარინა დუმბაძე
1983-1986 წლები- მანუჩარ კახიძე
1986-2002 წლები- მემედ არჯევანიძე
2002 წლიდან დღემდე მუშაობს ზურაბ კობალაძე

ნამლისევის სასოფლო ჯღუბი

ნამლისევის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1959 წელს. გაუქმდა 1995 წელს, ამ დროში გამგეებად მუშაობდნენ:

1. ნინიძე თამაზ - 1959-1960 წლები
2. კობალაძე ვარლამ - 1960- 1974 წლები
3. ნინიძე ეთერ - 1974-1979 წლები
4. ჟღენტი ნანი - 1979- 1995 წლები

ზედა ბზუბზუს სასოფლო ჯღუბი

ზედა ბზუბზუს სასოფლო კლუბი გაიხსნა 1977 წელს და გაუქმდა 1992 წელს. ამ წლებში კლუბს ხელმძღვანელობდა შოთაძე ვალიკო.

დოლოგნის სასოფლო ჯღუბი

დოლოგნის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1945 წელს და 1959 წლამდე მუშაობდა. ამავე წელს ჩამოყალიბებულ ქოხსამკითხველოს ბაზაზე.

კლუბის გამგეები:
1945-1950 წლები-ახმედ კოჩაძე
1950-1953 წლები- თამარ ძაგნიძე
1954-1956 წლები-ახმედ კოჩაძე
1956-1962 წლები-ივანე ჯაფარიძე
1962-1974 წლები- სულიკო ჯინჭარძე
1974- 1980 წლები- ეთერ ბედინაძე
1980-1983 წლები- მალხაზ საფარიძე
1983-1986 წლები-მიქაილ თურმანიძე
1986-1988 წლები- დათო საფარიძე
1988-1994 წლები-მანანა კოჩაძე
1994-2008 წლები- ვალერიან სვანიძე
2008 წლიდან დღემდე- ნანა ბედინაძე, რევაზ საფარიძე

პირველი მაისის სასოფლო კლუბი

პირველი მაისის სასოფლო კლუბის მშენებლობა აწჰესის მშენებლოსათანაა დაკავშირებული და გაიხსნა 1925-26 წლებში. ტერიტორიულად აწჰესში მდებარეობდა. მისი პირველი გამგის ვინაობა უცნობია. 1956 წელს კლუბის შენობა პირველი მაისის ტერიტორიაზე გადმოიტანეს. სხვადასხვა დროს გამგეებად მუშაობდნენ:
1950-1952 წლები-უმიან თებიძე
1952- 1956 წლები - შუქრი დევაძე
1956 - 1976 წლები- გუგული თებიძე
1976 - 2007 წლები -ნოდარ თებიძე
2007-2009 წლები- ინგა თებიძე
2009 წლიდან დღემდე მუშაობს მირანდუხტ ჭყონია

კოლოტაურის სასოფლო კლუბი

კოლოტაურის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1975 წელს. გაუქმდა 1996 წელს.
გამგეები:
1. მემედ წითელაძე- 1975- 1980 წლები
2. მაგული ბერიძე- 1980-1996 წლები

აგარის სასოფლო კლუბი

აგარის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1954 წელს. მისი გამგეები იყვნენ:
1954-1966 წლები- შუქრი დევაძე
1966-1970 წლები-რიფვეთ დევაძე
1970- 1976 წლები- უმიან დევაძე
1976-1979 წლები- ხასან თებიძე
1979-1983 წლები-თამაზ დევაძე
1983-2009 წლები-ჩიტო თურმანიძე
2009 წლიდან დღემდე - ციალა აბაშიძე, ზვიად თებიძე, ტარიელ თებიძე

ზვარის სასოფლო კლუბი

ზვარის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1937 წელს. გამგეებად მუშაობდნენ:
1. გათენაძე ზექერია- 1937-1939 წლები

2. მელაძე ლამარა – 1939-1941 წლები
3. გორგილაძე ოსმან - 1941-1945 წლები
4. ჯაბნიძე ხატიჯე-1945-1957 წლები
5. შერვაშიძე გულო-1953-1954 წლები
6. მახაჭაძე შევქეთ-1954-1961 წლები
7. ჯაბნიძე ნათელა-1963-1970 წლები
8. ჯაბნიძე ამირან-1970-1974 წლები
9. ლორთქიფანიძე ოთარი – 1974-1981 წლები
10. გათენაძე მაგული-1981-1982 წლები
11. ქობულაძე ვარდო-1981-1988 წლები
12. გათენაძე ზინა-1988-1989 წლები

შემდგომ წლებში მუშაობდნენ
13. ბერიძე ხუსნი 1989
14. ჯაბნიძე ნანი 1989-1990
15. ქობულაძე ავთანდილ 1990
16. ბერიძე ნესტან 1991 წლიდან მუშაობს დღემდე

ზესოფლის სასოფლო კლუბი

ზესოფლის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1974 წელს. 1974 - 2006 წლებში ხელმძღვანელობდა - ხასან ბერიძე. 2006 წლიდან დღემდე მუშაობს მარინა კონცელიძე

ვაიოს სასოფლო კლუბი

ვაიოს სასოფლო კლუბი გაიხსნა 1955 წელს და მას ხელმძღვანელობდნენ:
1. 1955- 1981 წლებში - ემინე ლორთქიფანიძე
2. 1981-1991 წლებში - თინა ბერიძე
3. 1991-1996 წლებში - დურმიშხან შავიშვილი
4. 1996 წლიდან დღემდე ნათელა შავიშვილი

კვაშტის სასოფლო კლუბი

კვაშტის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1948 წელს სოფლის ყოფილ მედრესეში. კლუბის გამგეები იყვნენ:
1.ისრაფილ სირაბიძე-1948-1951 წლები
2. რასიმ გორგილაძე- 1952-1953 წლები
3. ყედირ დავითაძე- 1953-1967 წლები
4. ეთერ გათენაძე- 1967- 1982 წლები
5. ჯემალ ლორთქიფანიძე - 1982-1986 წლები
6. მავილე გათენაძე -1986 წლიდან დღემდე

გეგელიძეების საოფლო კლუბი

გეგელიძეების სასოფლო კლუბი გაიხსნა 1972 წელს. 2001 წლიდან იგი განთავსებულია საშუალო სკოლის მეორე სართულზე. კლუბს უძღვებოდნენ:
1. მერი ბერიძე- 1972-1989 წლები
2. ზეინაბ ბერიძე- 1989-2005 წლები

3. ზვიად ბერიძე-2005-2009 წლები
4. შორენა ხალვაში- 2009 წლიდან დღემდე

ჯოჯოტაურის სასოფლო ჯღუბი

კოკოტაურის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1974 წელს და მას ხელმძღვანელობდნენ:
1. სერგო კონცელიძე -1974-1976 წლები
2. მიხეილ ძნელაძე-1976-1979 წლები
3. ოთარ თავართქილაძე-1980-1983 წლები
4. ნანული ხალვაში-1983-1985 წლები
5. ნანული ჯაბნიძე-1986-1987 წლები
5. ასმათ ბერიძე- 1987-90 წლები
6. თინათინ თავართქილაძე-1991-1994 წლები
7. მაყვალა თავართქილაძე- 1994 წლიდან დღემდე

ახოს სასოფლო ჯღუბი

ახოს სასოფლო კლუბი გაიხსნა 1961 წელს. აქედან მოყოლებული გამგეები იყვნენ:
1. რიფეთ გეგიძე -1961-1964 წლები
2. ხუსეინ ნაკაშიძე- 1964-1968 წლები
3. ასლან ნაკაშიძე-1968-1970 წლები
4. ალექსანდრე გეგიძე- 1970-1972 წლები
5. ილია გეგიძე- 1972-1973 წლები
6. ილია ნაკაშიძე - 1973-1974 წ.წ.
7. მურმან ბერიძე- 1974-1976 წ.წ.
8. გულნარა ბერიძე – 1976-1984 წ.წ.
9. თამაზ ნაკაშიძე-1985-1987 წლები
10.ილია გეგიძე-1987-2010 წლები
11. დარიკო გეგიძე - 2010-2011 წლები
12. თამაზ ნაკაშიძე-2012 წლიდან დღემდე

სოფელ ცხმოჩისის სასოფლო ჯღუბი

სოფელ ცხმორისში მეხორუმეთა ჯგუფის ჩამოყალიბება ხუსეინ ანანიძის სახელს უკავშირდება: ორი დისშვილი–ოსმან და ყიზეთ ირემაძეები, ორიც მეგობარი–სალიხ აბაშიძე და ხემიდ კონცელიძე შემოუკრებია და პირველად იმათ უცეკვიათ „ხორუმი". ოსმანი ჭიბონზე უკრავდა, ხემიდი–დოლზე. „ანანური" დაურქმევიათ ცეკვისთვის მაშინ, ხუსეინ ანანიძის პატივსაცემად. ეს 1922-1923 წლებში მომხდარა.

ახალშექმნილი ჯგუფის საცეკვაო არენა ქორწილები იყო, შემდგომში არჩევნების დღეებში აცეკვებდნენ სოფლებში. ხალხიც მათი ცეკვის სანახავად უფრო მოდიოდა საარჩევნო უბნებში.

პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. მალე რაიონის სოფლებში და რაიონის გარეთაც იცეკვეს, შემდეგ ბათუმი იყო, თბილისი და მოსკოვიც.

ცნობილი მოცეკვავე თეიმურაზ (თოფან) მელაძე იგონებდა, რომ საქართველოს სახალხო არტისტ ენვერ ხაბაძეს „ხორუმის" ჭიბონზე შესრულება დაუწყია და ცხმორისელ ოსმან ირემაძეს იწვევდა დამკვრელად (პ. სულაბერიძე, წიგნი „ენვერ ხაბაძე", ბათუმი, 1985 წ.).

1936 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში „ხორუმიც" ყოფილა პროგრამაში. პირველად ხიხაძირლებს უცეკვიათ, მათ ფინალში დაჭრილებ-

ის იმიტაციაც ჰქონიათ. დიდი წარმატება ხვდა ცხმორისელთა გამოსვლასაც, მაგრამ ხიხაძირელთა ფინალმა თითქოს დაჩრდილა ცხმორისელთა ოსტატობა.

კონცერტის შემდეგ დეკადის ერთი ორგანიზატორი მისულა ცხმორისლებთან, ისევ სცენაზე უნდა გამოხვიდეთო.

შებრუნდნენ ცხმორისლებიც, ფორმები ჩაიცვეს, ჭიბონი და დოლი საგანგებოდ შეუმოწმეს, დააშლევინეს და ხელმეორედ ააწყობინეს.

უნდა იცეკვონ ცხმორისლებმა, მაგრამ თავმოყვარეობა შელახული აქვთ, დარბაზი ცარიელია.

–ხუსეინ ძიავ, დარბაზი ცარიელია. –მოქაჩა იგი იზეთმა.

–მერე რა, –უპასუხა ხუსეინმა ჩაფიქრების შემდეგ, –ვიღაცას ასე უნდა, ერთი ხოშიანად დავუაროთო.

აჭყვიტინდა ჭიბონი, ხემიდმა დოლი გაახურა და სცენაზე ქარცეცხლი დატრიალდა.

ცეკვის შემდეგ სასაუბროდ მიიწვიეს და გაოცებული დარჩნენ, როცა ცარიელ დარბაზში ცეკვის მიზეზი გაიგეს. თურმე მათი ხელოვნების ნახვა სტალინს მოსურვებია.

–ხიხაძირელთა ცეკვის ფინიში არ მოეწონა, გამარჯვებული წაქცეული არ ტოვებს ბრძოლის ველს, გამარჯვებული თქვენსავით ღიმილით უნდა გადიოდესო.–უთქვამს საბჭოეთის ბელადს და მოცეკვავეებისთვის მადლობა გადაუხდია.

სოფელ ცხმორისში 1958 წელს გაიხსნა სასოფლო კულტურის სახლი. დირექტორად მუშაობდა ალექსანდრე ანანიძე, სამხატვრო ხელმძღვანლად - ნათელა არძენაძე. 1960 წლიდან მუშაობას იწყებს მემედ ბერიძე, სამხატვრო ხელმძღვანლად -ამირან აბაშიძე. 1976 წლიდან დირექტორად მუშაობას იწყებს ამირან აბაშიძე, სამხატვრო ხელმძღვანელია მუხამედ ქარცივაძე. 1977 წლიდან დირექტორია ზურაბ თედორაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - სულიკო ირემაძე. 1981-1983 წლებში დირექტორია მურად ბოლქვაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი- ამირან აბაშიძე. 1983-1996 წლებში დირექტორია ამირან აბაშიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი-თემურ თედორაძე. 1996 წლიდან სოფელ ცხმორისის კულტურის სახლი გადაკეთდა სასოფლო კლუბად. 1997 -2008 წლებში კლუბის გამგედ მუშაობდა ილია ირემაძე. 2009 წლიდან დღემდე მუშაობს ავთანდილ ანანიძე.

სოფელ ცხმორისის მეხორუმეები. მარცხნიდან 1. ქედის კულტურის განყოფილების გამგე აკაკი ბერიძე, სულეიმან ირემაძე, ყიზით ირემაძე, ქედის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი მურად გორგილაძე. მეორე რიგში: სულეიმან ირემაძე, მევლუდ ბერიძე, ხემიდ კონცელიძე, ილია ირემაძე.

ცხმოხისის ჯუღტის სახლი

ცხმორისის კულტურის სახლი გაიხსნა 1983 წელს. კულტურის სახლის დირექტორად ამ წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა მურად ბოლქვაძე. 2010 -2011 წლებში - რუსლან კონცელიძე. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს კვლავ მურად ბოლქვაძე.

1. მურად ბოლქვაძე - 1983-2010 წლები
   სამხატვრო ხელმძღვანელი თამაზ ნაკაშიძე-1983-1984 წლები,
   სამხატვრო ხელმძღვანელი ზურაბ ბერიძე - 1984-1986 წლები,
   სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ბერიძე - 1986-1990 წლები,
   სამხატვრო ხელმძღვანელი დარიკო გეგიძე - 1991 - 2011 წელი.
2. რუსლან კონცელიძე - 2010-2011 წლები
   სამხატვრო ხელმძღვანელი თამაზ ნაკაშიძე 2010-2011 წლები
3. მურად ბოლქვაძე - 2012 წლიდან დღემდე
   სამხატვრო ხელმძღვანელი – დარიკო გეგიძე 2012 წლიდან დღემდე

ცენტრი დანდალოს სასოფლო ჯღუბი

1936 წელს ცენტრ დანდალოში მოქმედებდა ქოხსამკითხველო, რომელშიც 1937 წელს მუშაობდა ლუბა ლორია, ცნობილი მწერლის, პარმენ ლორიას და. 1938 წელს მუშაობა დაუწყია მელიტონ შარაძეს. ამავე წელს ქოხსამკითხველოს ცალკე გამოიყო სასოფლო კლუბი, რომლის გამგედ მუშაობდა მურმან ავალიანი. შემდეგ ავთანდილ ბერიძე და ოთარ ჩხუბაძე. 1960 წლიდან მუშაობდა გურამ ბერიძე. 1979 წელს აშენდა დანდალოს სასოფლო საბჭოს კაპიტალური შენობა და სასოფლო კლუბი გადაკეთდა კულტურის სახლად. 2009 წლიდან ცენტრი დანდალოს კულტურის სახლი გადაკეთდა სასოფლო კლუბად და ასე რჩება დღემდე. ამ ობიექტის მუშაობას უძღვებოდნენ:

1. გურამ ოსმანის ძე ბერიძე - 1979-1986 წლები,
   სამხატვრო ხელმძღვანელი- ნარგიზ ბერიძე
2. როინ ბერიძე - 1986 - 1988 წლები,
3. გურამ ალიოსმანის ძე ბერიძე -1988-1990 წლები,
   სამხატვრო ხელმძღვანელი-ნათელა მახარაძე
4. მურმან მგელაძე- 1990-1998 წლები
5. გურამ ალიოსმანის ძე ბერიძე-1998-2014
6. მამუკა ბერიძე 2014 წლიდან
7. სამხატვრო ხელმძღვანელი-ვასო ირემაძე-2002-2003 წლებში.
   სამხატვრო ხელმძღვანელი- თემურ არძენაძე- 2003-2007 წლებში.

ხარაულის სასოფლო ჯღუბი

ხარაულის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1960 წელს და მას უძღვებოდნენ:

1. რევაზ ბერიძე -1960 წლის იანვარი-1960 წლის მარტი
2. ქეთო ალიქაძე - 1960-1964 წლები
3. ნინა ხარაძე - 1964-1968 წლები
4. კატუშა ხარაძე - 1968 - 1976 წლები
5. ნათელა ბერიძე- 1976- 1977 წლები
6. თინა ზაქარაძე -1978-2009 წლები
7. ცირა მჟავანაძე - 2009 - 2011 წლები
8. მაგდანა მჟავანაძე - 2011 წლიდან 2012 წლამდე.
9. ინგა შავაძე – 2012 წლიდან.

სოფელ დანდალოს სასოფლო კლუბი

სოფელ დანდალოს (ყოფილი არძენაძეების) სასოფლო კლუბი გაიხსნა 1947 წელს. კლუბის გამგეები იყვნენ:

1. დავით არძენაძე- 1947-1952 წლები
2. სიმონ არძენაძე -1952-1953 წლები
3. სელიმ მგელაძე- 1953-1957 წლები
4. რევაზ (რიფეთ) მგელაძე-1957-1961 წლები
5. ალექსანდრე არძენაძე- 1961-1997 წლები
6. ცისანა კონცელიძე- 1997-2009 წლები
7. თემურ არძენაძე- 2009-2011 წლები
8. თეონა არძენაძე- 2011 წლიდან დღემდე

მეძიბნის სასოფლო კლუბი

მეძიბნის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1948 წელს და მას შემდეგ გამგეები ასე იცვლებოდნენ:

1. ონისიმე დუმბაძე - 1948- 1951 წლები
2. სერგო ალიქაძე- 1951-1954 წლები
3. დიმიტრი დუმბაძე- 1954- 1955 წლები
4. ისრაფილ დუმბაძე-1955-1958 წლები
5. ოთარ დუმბაძე- 1958-1974 წლები
6. შაქრო დუმბაძე-1974-1976 წლები
7. გულნარა დუმბაძე - 1978 წელი
8. უმიან დუმბაძე- 1979 წელი
9. დარიკო დუმბაძე - 1980-1983 წლები
10. რიზალ დუმბაძე-1983 წელი
12. მედიკო დუმბაძე- 1984 წელი
13. ვლადიმერ დუმბაძე - 1984-2005 წელი
14. ანზორ დუმბაძე- 2005-2011 წლები
15. მარიამ თურმანიძე - 2011 წლიდან მუშაობს დღემდე

წონიარისის კულტურის სახლი

1950 წელს წონიარისში გაიხსნა სასოფლო კლუბი, რომელიც 1972 წლიდან გადაკეთდა კულტურის სახლად. 2008 წლიდან ისევ წონიარისის სასოფლო კლუბია. 2010 წლიდან კი კულტურის სახლია.

ხელმძღვანელობდნენ:

1. მარიამ წულუკიძე-1950-1960 წლები
2. მარიამ ბარამიძე- 1961-1969 წლები
3. რიზა გოგიტიძე- 1969-1971 წლები
4. გუგული ბერიძე - 1971-1972 წლები
5. კუკური გოგიტიძე- 1972-1974 წლები

– ნანული ბოლქვაძე- სამხატვრო ხელმძღვანელი 1972-1974 წლები

6. დავით ღოღობერიძე- 1974-1976 წლები,

– მიხეილ ბერიძე-სამხატვრო ხელმძღვანელი- 1974-1976 წლები

7. თამაზ ნაკაშიძე- 1976-1978 წლები,

– ციალა ბოლქვაძე - სამხატვრო ხელმძღვანელი- 1976-1978 წლები

8. ლევან თედორაძე- 1978-1980 წლები,
– დოდო თედორაძე- სამხატვრო ხელმძღვანელი- 1978-1980 წლები
9. სალიხ ჯაყელი- 1980-1987 წლები,
– მზევინარ ნაკაშიძე- სამხატვრო ხელმძღვანელი- 1980-1981 წლები
– ცისანა ბერიძე - სამხატვრო ხელმძღვანელი- 1981-1987 წლები
10. როინ ბერიძე- 1987-1995 წლები,
– მანანა ბოლქვაძე-სამხატვრო ხელმღვანელი- 1987-1995 წლები
11. ასმათ ბერიძე- 1995-1997 წლები,
– მაგული ნაკაშიძე- სამხატვრო ხელმძღვანელი- 1995-1998 წლები
12. ზაზა გოგიტიძე -1996-1998 წლები,
13. ასმათ ბერიძე- 1998-2009 წლები,
14. ნანული ბოლქვაძე- 1999-2007 წლები,
15. თამარ ბოლქვაძე- 2010 წლიდან დღემდე
– რესან ბერიძე - სამხატვრო ხელმძღვანელი- 2010 წლიდან დღემდე

მერისის კულტურის სახლი

მერისის ცენტრში ქოხსამკითხველო გაიხსნა 1930 წელს. გამგედ მუშაობდა მიხეილ ბარამიძე. 1933 წელს დაინიშნა აბდულ დევაძე. 1934 წელს – ხასან დოლიძე.

სოფელში ჯერ სამკითხველო და კლუბი არ იყო ჩამოყალიბებული, როცა ამოქმედდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ნური-ახმედ შარაძე. მას მიღებული აქვს მედლები და ჯილდოები. 1946-47 წლებში გუნდის წევრები შეხვედრიან სტალინს. ნური-ახმედი ჯგუფს 1953 წლამდე ხელმძღვანელობდა. შემდეგ ის გადასულა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩელტაში, სადაც გარდაცვლილა. ფაქტობრივად, ის ითვლება ცენტრი მერისის პირველ კლუბის გამგედ. 1941 წელს კლუბის გამგედ დაინიშნა შურა გეგეშიძე.

მერისის კულტურის სახლი გაიხსნა 1989 წელს, რომლის დირექტორიც იყო ავთანდილ დიასამიძე, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანლად- ნინო ლამპარაძე მუშაობდა. 1991 წლიდან სამხატვრო ხელმძღვანლად დაინიშნა მარინა საკანდელიძე, რომელიც მუშაობს დღემდე. ამ დაწესებულებაში მუშაობდნენ აგრეთვე:

1. ავთანდილ დიასამიძე - 1989-2004 წლები-დირექტორი
2. ნინო ლამპარაძე- სამხატვრო ხელმძღვანელი-1989 1991 წლები
3. მარინა საკანდელიძე- სამხატვრო ხელმძღვანელი- 1991-2004 წლები
4. მარინა საკანდელიძე, დირექტორი- 2004 წლიდან დღემდე
5. ამირან დევაძე- სამხატვრო ხელმძღვანელი- 2004-2009 წლები
6. ჯემალ თურმანიძე- სამხატვრო ხელმძღვანელი, 2009 წლიდან დღემდე

სოფელ მერისის სასოფლო კლუბი

სოფელ მერისში სასოფლო კლუბი გაიხსნა 1946 წელს და მას ხელმძღვანელობდნენ:

1. ილია თურმანიძე- 1946-1950 წლები
2. ტარიელ დოლიძე- 1950-1954 წლები
3. ილია თურმანიძე- 1954- 1956 წლები
4. არსენ ბეჟანიძე- 1956-1960 წლები
5. ფადიმე დოლიძე- 1960-1974 წლები
6. ოთარ თურმანიძე- 1974-1976 წლები
7.მერაბ თურმანიძე- 1976-1983 წლები
8. მარინა ჯიჯავძე- 1983-1986 წლები

9. ნინო ლამპარაძე- 1986-1989 წლები
10. რამაზ თურმანიძე- 1989- 1993 წლები
11. ჯემალ თურმანიძე- 1993-1998 წლები
12. რამაზ თურმანიძე- 1998-2011 წლები
13. ფატმან წითელაძე- 2011 წლიდან დღემდე

სიხალიძეების სასოფლო კლუბი

სიხალიძეების სასოფლო კლუბი გაიხსნა 1968 წელს, საიდანაც მოყოლებული 1968-1987 წლებში მუშაობდა ჟუჟუნა თურმანიძე.

1987 წლიდან დღემდე მუშაობს გუგული თურმანიძე.

გუნდაურის სასოფლო კლუბი

გუნდაურის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1960 წელს. 1996 წლიდან იგი გაუქმდა. აქ მუშაობდნენ:

1. სვეტა ჭყონია-1960- 1963 წლები
2. ნათელა მიქელაძე- 1963- 1975 წლები
3. გივი ბარამიძე- 1975- 1985 წლები
4. ნინო ბარამიძე- 1985- 1987 წლები
5. ნოდარ დიასამიძე- 1987- 1995 წლები
6. ჯემალ თურმანიძე- 1995-1996 წლები

ინაშარიძეების სასოფლო კლუბი

ინაშარიძეების სასოფლო კლუბი გაიხსნა 1970 წელს და მას შემდეგ მუშაობდნენ:

1. ნანული შარაძე- 1970-1976 წლები
2. ანიკო შარაძე- 1981- 1997 წლები
3.ქეთევან ნიგალიძე- 1997-2008 წლები
4. ავთანდილ დიასამიძე- 2008-2009 წლები
5. ნონა შარაძე- 2009 წლიდან დღემდე

ორცვის სასოფლო კლუბი

ორცვის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1977 წელს. ამ წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა მარო თურმანიძე.

ჯამბულ აბულაძე- 2004 წლიდან მუშაობს დღემდე.

აქუცის სასოფლო კლუბი

სოფელ აქუცის სასოფლო კლუბი გაიხსნა 1972 წელს, სადაც გამგეებად მუშაობდნენ:

1. ფირუზ მახაჭაძე- 1972- 1985 წლები
2. ნოდარ გორგაძე- 1985-1987 წლები
3. იბრაიმ კონცელიძე- 1987- 2008 წლები
4. რამაზ გორგილაძე- 2008 წლიდან მუშაობს დღემდე

(კულტურასა და ხელოვნებაზე მასალები მოგვაწოდა ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორმა ლია მახარაძემ).

აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა

1. ვერძაძე ჯავედ ქაზიმის ძეს, მახუნცეთის კულტურის სახლის დირექტორი 1971 წ.

აჭარის ასსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭა

1. კურცხალიძე მერი ფელულის ასულს – ქედის რაიონული ბიბლიოთეკის გამგეს, 1965 წელი.
2. მამუჭაძე ესმა სულეიმანის ასულს – სოფ. ცხმორისის ბიბლიოთეკის გამგეს, 1981 წ.

აჭარის ასსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება მიენიჭა

1. გათენაძე ვლადიმერ ახმედის ძეს, გაზეთ „კოლმეურნეს" რედაქტორის მოადგილეს, 1981 წ.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ

1. ქ. თბილისში აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მომზადებასა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აქტიური მონაწილეობისათვის და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის. 1957 წლის 7 თებერვალს.
1. აბაშიძე სალიხ ოსმანის ძე – დეკადის მონაწილე, ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო საბჭო.
2. ანანიძე ხუსეინ მემედის ძე: – დეკადის მონაწილე, ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო კლუბთან არსებულ მოცეკვავეთა ჯგუფის წევრი.
3. ირემაძე ოსმან ხუსეინის ძე – დეკადის მონაწილე, ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო კლუბთან არსებულ მოცეკვავეთა ჯგუფის მეჭიბონე.
4. ირემაძე იზეთ ხუსეინის ძე – დეკადის მონაწილე, ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო კლუბთან არსებულ მოცეკვავეთა ჯგუფის წევრი.
5. კონცელიძე ხემიდ მამუდის ძე – დეკადის მონაწილე, ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო კლუბთან არსებულ მოცეკვავეთა ჯგუფის მედოლე.

შენიშვნა: ქედის რაიონის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა სხვადასხვა დროს დაარსებული ბიბლიოთეკა, რომლებიც შემდეგ გააერთიანეს ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ფილიალების სახით.

აღნიშნული ბიბლიოთეკები გააუქმა აჭარის განათლების სამინისტრომ 2005 წლიდან.

სახალხო დღესასწაულები

„შრომისა და გარჯის მოყვარულმა ქედელებმა გართობა-დასვენებისა და ზეიმის ფასიც იციან. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ტარდება სახალხო დღესასწაულები: „შემოდგომა ქედაში" (დაბა ქედა), „მერისობა" (სოფ. მერისი), „ფრიდონობა" (სოფ გეგელიძეები), „ნამეფვარობა" (სოფ. ახო) და სხვა. თითოეული მათგანი აქაურთა პატრიოტიზმის, შრომისმოყვარეობის შემოქმედებითი ნიჭისა და სტუმართმოყვარეობის თვალსაჩინო დემონსტრირებაა.

„შემოდგომა ქედაში" – ამ დღესასწაულს თავდაპირველად „შრომის ზეიმი" ერქვა და სამართლიანადაც – ქედა ერთ-ერთი მოწინავე და ხვავ-ბარაქიანი მუნიციპალიტეტია. აქაური გამრჯე და მშრომელი კაცის წყალობით ამ დალოცვილ მხარეში საუკეთესო მოსავალს იძლევა ყანა, ვაზი და ხეხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული.

„შრომის ზეიმი" პირველად 1975 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა. იგი 1987 წლამდე ტარდებოდა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ კი 1994 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა სახელწოდებით „შემოდგომა ქედაში". მის შინაარსში თავიდან მუსიკალურ-ფოლკლორული ელემენტები სჭარბობდა და ფაქტობრივად, ქედის კულტურის კერების ძალისხმევით იმართებოდა, მაგრამ გადატვირთული იყო ოფიციალური მომენტებით. შემდეგ წლებში თანდათან დაიხვეწა, მასშტაბები გაიზარდა და მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვა,ნამდვილ სახალხო დღესასწაულად ჩამოყალიბდა. უკანასკნელ ხანებში მას „ქედელობის" სახელითაც მოიხსენიებენ.

უკვე დამკვიდრებული ტრადიციით შემოდგომაზე, როდესაც ქედელი მშრომელები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მორჩებიან და მოიცლიან, შემოდგომის დღესასწაულზე მოიყრიან თავს და თავიანთი შრომის შედეგებს აჯამებენ (ცეკვა, სიმღერა, ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ლექსისა და შაირის თქმა). თითოეული თემი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას ცდილობს, რაც ზეიმს განუმეორებელ ხიბლსა და სილამაზეს ანიჭებს.

ტურისტებისათვის შემოდგომის დღესასწაულს დაუვიწყარი შთაბეჭდილების მინიჭება შეუძლია.

ამ ზეიმის კვალდაკვალ შეიქმნა და განვითარდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კლუბი ხარაულის სკოლაში, რასაც მოჰყვა სასკოლო მუზეუმის შექმნა (ხელმძღვანელი ქეთო საფარიძე).

2007 წლის სექტემბრის ბოლოს მდ. აკავრეთას თვალწარმტაც ხეობაში პირველად აღნიშნეს „მერისობის" დღესასწაული. ამ ლამაზი ტრადიციის დაფუძნების სადღეგრძელო ორიგინალურად, სახლხო ოსტატ ოთარ თურმანიძის მიერ დაწნული პატარა, კოხტა გიდელით შეისვა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა და ოსტატურად ნაკეთებს მადლიანი ჩხავერის ერთი წვეთიც არ გაჰპარვია.

პირველ დღესასწაულზე სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა სოფ. მერისის ცენტრში აღმართული ჯვარი აკურთხა, რასაც შემდეგ მასობრივი ნათლობა მოჰყვა.

სახალხო დღესასწაული „მერისობა" უკვე ლამაზ ტრადიციად დამკვიდრდა და ყოველწლიურად აღინიშნება. აქაურთა გარდა მას უამრავი სტუმარი ესწრება და დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს იღებენ მერისელთა გულუხვი მასპინძლობისაგან.

დღესასწაულზე ხეობელები თავიანთი გარჯის ნაყოფს სთავაზობენ დამსწრეთ. სანაქებოა აქაური ღვინო, თაფლი, ხილი. წარმოაჩენენ მერისულ ფოლკლორს, ხეზე კვეთის, ქსოვის ტრადიციებს, ხეობის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. მღერიან „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო", „ჩაკრულო", „მერისული მაყრული", იმართება შაირობა და სპორტული შეჯიბრებები; ცეცხლს ანთებს „ხორუმი" და „განდაგანა".

ჩვენი კუთხის სტუმრებს „მერისობა" ღირსეულ მასპინძლობას უწევს.

„ფრიდონობა" ქედაში 2006 წლიდან აღინიშნება. ღონისძიებას საფუძველი ფრიდონ

ხალვაშის სიცოცხლეშივე ჩაეყარა, გარდაცვალების შემდეგ კი ტრადიციად დამკვიდრდა. პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემლები ყოველი წლის მაისში, სოფ. გეგელიძეებში, მისსავე სახლ-მუზეუმში იკრიბებიან, ჩამოდიან სტუმრები აჭარისა და სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ოჯახის წევრებთან ერთად, საზოგადო მოღვაწეები და მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

დეპოჰატიული და ბამოყენებითი ხელოვნება.

ისტორიულად ქედელების სამეურნეო ყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელოსნობასა და შინამრეწველობის ისეთ დარგებს, როგორიცაა: მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, ქსოვა, ტყავის დამუშავება, დაწნა, საპნის დამზადება.

აღნიშნული დარგების დიდი ნაწილი დღესაც ცოცხალია. ოდინდელი მასშტაბები და დანიშნულება, ბუნებრივია აღარ გააჩნია, მაგრამ გარკვეულ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებენ. კერძოდ, მოსახლეობაში შემორჩენილი მეურნეობისა და შინამრეწველობის ტრადიციული ფორმების გადარჩენა-დახვეწა მომგებიანია როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით (სასოფლო, ეთნოგრაფიული, შემეცნებითი და სხვ.) განვითარების თვალსაზრისით (სამუშაო პროცესებზე დაკვირვება, მათში მონაწილეობის მიღება, სუვენირების გასაღება და ა.შ.).

ქედის სოფლები სპეციალიზებულია შინამრეწველობის ცალკეულ დარგებში. მაგ: მუსიკალური ინსტრუმენტის (ფანდური, ჭიბონი, სალამური) დამზადება გავრცელებულია სოფლებში: უჩხითი, ბზუბზუ, ნამონასტრევი, გარეტყე, ზვარე, სირაბიძეები, კოკოტაური, ცხმორისი, დანდალო, მერისი, ხარაულა.

წვნა-ქსოვა (გოდორი, გიდელი და სხვა) – ზედა ბზუბზუ, მერისი, ნამონასტრევი, ინაშარიძეები, ცხმორისი, კოკოტაური, ტაკიძეები, ზვარე.

მჭედლობა – ქვედა ბზუბზუ, ინაშარიძეები, ზვარე, დანდალო, ცხმორისი. ქედის რაიონში საუკეთესო მჭედლები იყვნენ საღორეთელი მამუდ უსტა, უსტაშაჰანი და ალის სამნიძე.

ხეზე კვეთა: ნამლისევი, ზუნდაგა, ნამონასტრევი, მოსიაშვილები, პირველი მაისი, ახო.

რთვა-ქსოვა, ქარგვა, გობელინის დამზადება – მახუნცეთი, კვაშტა, დაბა ქედა.

მაჩნები, ღვინის ჭურჭები

მარანი ოდითგანვე ღვინის დაყენება-შენახვისათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენდა. „მარანი – საღვინე სახლი" – განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი.

ტერმინი მარანი ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება ერთ-ერთ სვანურ ხელნაწერში, რომელსაც ისტორიკოსი თედო ჟორდანია VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს. შემდეგში კი არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება.

მარანი, რომელშიც ფუძე „მარ" გამოიყოფა, ძველი და ფრიად საინტერესო ტერმინი ჩანს. როგორც ირკვევა „მარი" ჭურჭლის სახელია. იგი ისტორიულ წყაროებშიც გვხვდება და თანამედროვე ქართულის ზოგიერთ სიტყვაშიც შემოინახა თავი. მარი, როგორც ჩანს, ხისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და თიხისაც. პირველი მათგანი ალბათ ღვინის დაყენების პროცესში და მისი დაუფლავი შენახვისათვისაც გამოიყენებოდა, ხოლო მეორე ძირითადად, მიწაში დასამარხავად იყო გამიზნული. თიხის ჭურჭლის უპირატესობა ამ მხრივ ყველასათვის ნათელია. მარანი კი ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც ასეთი ჭურჭლებია (მარებია) დაფლული ღვინის შესანახად. საინტერესოა, რომ ქართული ოთხთავის ორ ვარიანტში „მარ" საწნახელთანაც არის გაიგივებული.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარნისავე მნიშვნელობით, როგორც ირკვევა იხმარებოდა ჭურისპირი. ეს გარემოება აჭარაშიც დასტურდება. ამ მხარის ტოპონიმებში მარან-ნამარნევი გვერდით რამდენჯერმე გვხვდება „ჭურიპირი".

როგორც სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებიდან ჩანს, მარნისათვის ძველ საქართველოში სპეციალური ნაგებობა არსებულა. გარდა ამისა მცირე მარანი სახლშიც ჰქონდათ, სადაც ყოველდღიური, სანიადაგოდ სახმარი ღვინო ინახებოდა.

თურქთა ბატონობის ხანაში მევენახეობა-მეღვინეობის საქმის მოსპობასთან ერთად მოიშალა და ნანგრევებად იქცა მარანიც. ძველი ქართული მარნის ნანგრევები აჭარაში მრავალ ადგილას არის ცნობილი (სხალთის ტაძართან, მაჭახელაში, ხირხათის ციხე-ქალაქში და სხვა.)

საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული მევენახეობის აღდგენა-განვითარების საქმეს აჭარაში დიდი ყურადღება ექცევა. ამ მხრივ განსაკუთებით კარგი პირობები ქედის მუნიციპალიტეტშია. აქ წარმოებული ღვინოები – „ცოლიკაური" და „ჩხავერი" – დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მომხმარებელში.

ტურისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ღვინის ტურები, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტი მასპინძლობს.

ღვინის ტური დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მოინახულონ მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო ღვინის მარნები, დააგემოვნონ აქ დაყენებული ღვინო, გაეცნონ ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფას, მეღვინეობის ტრადიციებს, სამზარეულოსა და ხალხურ შემოქმედებას. დაათვალიერონ ვენახები და მონაწილეობა მიიღონ რთველში, ისიამოვნონ გემრიელი ღვინითა და აქაური სტუმართმოყვარეობით, დაიმსახურონ „თამადის" სერტიფიკატი. ღვინის მოყვარულებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და დახვეწილი სერვისი ელით.

დღესდღეობის ღვინის ტურში ჩართულია შემდეგი საოჯახო მარნები:

1. შერვაშიძეების მარანი – სოფელი პირველი მაისი
2. ლადო შავიშვილის მარანი – სოფელი ვაიო
3. მოსე ბერიძის მარანი – სოფელი წონიარისი
4. ნური სირაბიძის მარანი – სოფელი გეგელიძეები
5. ზურაბ ავალიანის მარანი – სოფელი გოგიაშვილები
6. მახო გორგილაძის მარანი – სოფელ ვაიოში
7. ასლან ტეტემაძის მარანი – სოფ. ვაიოში.

საკურორტო-რეკრიაციული რესურსებით

საკურორტო ადგილი გუნდაური. გუნდაური მდ. აკავრეთას (მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, შავშეთის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირში, ქედიდან 11 კმ-ის, ხოლო ბათუმიდან 52 კმ-ის მანძილზე მდებარეობს. სიმაღლე ზღვის დონიდან 560 მ, რელიეფი მთაგორიანი.

მიკრორაიონისათვის დამახასიათებელია დაბალი მთის სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო კლიმატი. ზამთარიც ასევე ზომიერად რბილია და უხვთოვლიანი, დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე არამდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა +3,1 გრადუსი. ზაფხული თბილია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +21,5 გრადუსი. ნალექების წლიური რაოდენობა 1500-1600 მმ-ია, ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 7%, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1800 საათი.

გავრცელებულია ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები და ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტი მინერალიზაციის სულფატურ-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,0-1,5 გ/დმ3. მკურნალობის ფორმები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა) პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კოკოტაური: კოკოტაური მდებარეობს მდინარე აჭარის წყლის ხეობაში. ბათუმიდან 52 კმ. მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. სიმაღლე ზღვის დონიდან 680 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

მიკრო-რაიონისათვის დამახასიათებელია დაბალი მთის, სუბტროპიკული კლიმატი. ზამთარი რბილია, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა +3,1, ზაფხული თბილია, ზომიერად ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +21,5, ნალექების წლიური რაოდენობა – 1500 მმ-ია. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 77%, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი. ძირითადად გავრცელებულია ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,4-3,2 გ/დმ3. მკურნალობის ფორმები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: გასაოცარი სილამაზის სანახაობას წარმოადგენს ჩანჩქერები. ისინი განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს ბუნებრივ ლანდშაფტს. ქედის მუნიციპალიტეტში ამ მხრივ გამორჩეულია მახუნცეთისა და ნამონასტრევის ჩანჩქერები.

მახუნცეთის ჩანჩქერი მდებარეობს ამავე დასახელების სოფელში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მახლობლად. მანძილი ქ. ბათუმიდან – 27კმ.

ნამონასტრევის ჩანჩქერი მდებარეობს ამავე დასახელების სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მანძილი დაბა ქედიდან 13 კმ, ბათუმიდან 54 კმ.

ჩანჩქერთა მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ბევრი საპიკნიკე ადგილი, სადაც ზაფხულობით მრავალი დამსვენებელი იყრის თავს. მახუნცეთის ჩანჩქერის ტერიტორიაზე არის რესტორანიც. პაპანაქება სიცხეს გაშორებული დამსვენებლები აქ გატოტილი, ჩრდილუხვი ხეების ქვეშ მიირთმევენ ტრადიციულ ქართულ კერძებს, ჩანჩქერიდან მონაბერი ნოტიო სიოთი ტკბებიან და მის ანკარა, ცივ წყალში ბანაობენ.

კოლოტაურის (ჯვარქედის) გამოქვაბული: პირველი მაისის ცენტრიდან 700-800 მეტრში, მიკროუბან ჯინისისკენ მიმავალი გზის ახლოს, ადგილ ჯვარქედზე არის საინტერესო გამოქვაბული. არქეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ მასში ადამიანს ბინა დაუდვია 10-12 ათასი წლის წინათ და შუაფეოდალურ პერიოდამდე გამოიყენებდა საცხოვრებლად.

ბზუბზუს ბუნებრივი მაცივარი: სოფ. ბზუბზუს მიდამოებში, ვიზუალურად თვალწარმტაც ადგილში, მდებარეობს ე.წ „ბუნებრივი მაცივარი". აქ არსებული, ბუნებრივი პროცესებისაგან წარმოქმნილი მიკროკლიმატის თავისებურება მოხერხებულად გამოიყენა ადგილობრივმა მოსახლეობამ და მას საყინულის ფუნქცია დააკისრა. მსგავსი ადგილები ბევრია აჭარის მთიანეთში. ტურისტებისათვის ინტერესმოკლებული არ არის მათი დათვალიერება."

(აჭარის ტურისტულ – მხარეთმცოდნეობის რესურსები ბათ. 2016 წ. გვ. 333;338)

ქედის ხიდი 1925



ქედელი ტუჩისტები ვაჯისუბანში 1967 წელს

ტურისტული მატარებლით საბჭოთა ყავშირის 17 ქალაქში

ქედელი ტურისტები დონის როსტოვში 1984 წელს

ქედელი ტურისტები დონის როსტოვში 1987 წელს
დგანან მარჯვნიდან: თამაზ აბულაძე, არიქნას მერკვილაძე, ვალოდია მერკვილაძე, ეთერ ცხვარაძე, ლერი გვარამია,კაკო ზაქარაძე,მანანა სალუქვაძე, ლია სალუქვაძე
პირველ რიგში მარცხნიდან: დავით აბაშიძე, შალვა ბერიძე, რეზო აბულაძე, რომან სალუქვაძე, ამირან სალუქვაძე.

აჭარის დელეგაცია თბილისობაზე 1984 წელს

მარჯვნიდან: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საულქო კომიტეტის პირველი მდივანი ვახტანგ პაპუნიძე, საოლქო კომიტეტის აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების გამგე ნოდარი ცეცხლაძე, თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ მენთეშაშვილი, საქ. კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ მახარაძე, ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ფრიდონ დიასამიძე, ქობულეთის აღმასკომის თავმჯდომარე ავთანდილ ბეჟანიძე

ქედელობა 1987 წელი

სურათზე მარჯვნიდან საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნათელა დუმბაძე, ხულოს რაიკომის პირველი მდივანი ბესარიონ შაინიძე, ქედის რაიკომის მდივანი დარია თურმანიძე, შუახევის აღმასკომის თავმჯდომარე ტარიელ ნიჟარაძე

ქედის რაიონის გამგებელი დავით დუმბაძე ქედელობის დღესასწაულს ულოცავს რაიონის მშრომელებსა და სტუმრებს

ჟეკილი

სხმორისის
თემი

პირველი
ბაღლის მეგი

ქედის კულტურის სახლის მომღერალთა ჯგუფი

ცხმოჩისელი მეხოჩუმეები

მოსნავლე ახალბაზხიდობის ნაქსოვ-ნაქარგები

დაბა ქედა, ავნი სურმანიძის ბუხარი, დამზადებულია 1810 წელს

სოფელი ვაიო, ნადიმ შავიშვილის ბუხარი, დამზადებულია დაახლოებით 1880-1885 წ.წ.

ხის ოსტატის შრომის იარაღები

მიწის დასამუშავებელი იარაღები



სოფ. ზედა მახუნცეთი (ქედის რაიონი. 1964 წ.)



სახნისები





სათოხნი (სამარგლი) და სათხრელი თოხები
(ქედის რაიონი. 1964 წ.)

ფარცხი

ბოდხის ქსოვა

ქედის ისტორიული მუზეუმი

თვდგირიძეების სახლი მახუნცეთში, XIX საუკუნე

ნაკაშიძეების სახლი ქოსოფელში, პირველი სართული XVIII საუკუნე, მეორე სართული 120 წლისაა

ქედის მუზეუმი

ქედის მუზეუმი დაარსდა 1999 წლის 1 აგვისტოს, ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სახელით და ექვემდებარებოდა კულტურის განყოფილებას. 2003 წლის 1 ივნისიდან დაფუძნდა დამოუკიდებელ დაწესებულებად. რაიონის გამგეობამ მუზეუმისთვის გამოყო ფართი რაიუნივერმაღის ყოფილი შენობიდან. ერთი წლის შემდეგ 2004 წლის მაისში დასრულდა რემონტი და მოხდა საგამოფენო დარბაზში ექსპონატების გამოფენა. ამჟამად მუზეუმში ათასზე მეტი ექსპონატია, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკის და ხეზეკვეთილობის კუთხეები. მუზეუმს უკავია 300 კვ.მ. ფართი. აქედან 180 კვ.მ. საგამოფენო დარბაზია. ღებულობს მნახველს, უცხოელ ტურისტებს და ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდობა.

ისტორიული მუზეუმის დირექტორად დაარსების დღიდან მუშაობს ისტორიკოსი-მკვლევარი ვაჟა ფარტენაძე.

ქედის მუზეუმი 2012 წლისათვის მოიცავდა 1000 მდე ექსპონატს, მუზეუმში ფუნქციონირებს 6 განყოფილება. I. არქეოლოგიური 2. ეთნოგრაფიული, 3. ბუნებრივი და გეოლოგიური, 4. ხეზე კვეთისა და ხის დამუშავების, 5. ნუმიზმატიკის, 6. ფერწერული ტილოების განყოფილება.

ქედის ადგილობრივი არქივი

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ქედის რაიარქივი შეიქმნა 1936 წელს, რომელიც შედიოდა რაიაღმასკომის დაქვემდებარებაში.

ქედის რაიარქივის გამგედ დაინიშნა პლატონ ერმილეს ძე ანთაძე.

1949 წლის 20 დეკემბერს დაინიშნა ილია ეუბის ძე დიასამიძე. რომელიც მუშაობდა 1972 წლამდე. ამ წელს დაინიშნა გურამ ისმაილის ძე გორგილაძე.

1975 წლის 8 სექტემბიდან დაინიშნა დავით მერდიალის ძე დავითაძე. ხოლო 1980 წლის 24 ნოემბრიდან – უშანგი მევლუდის ძე დუმბაძე (მას დირექტორი დაერქვა).

1995 წლის 14 აგვისტოს რაიარქივის დირექტორად დაინიშნა გურამ ზექერიას ძე ბარამიძე. 1996 წლის 27 თებერვალს კი ალექსანდრე სულეიმანის ძე ბეჟანიძე.

2004 წლის 11 აგვისტოს რაიონული არქივის უფროსად დაინიშნა რომან დომენტის ძე ბერიძე.

2010 წლის 7 მაისს ქედის ადგილობრივი არქივის უფროსად დაინიშნა ბადრი ამირანის ძე შერვაშიძე. არქივის გამგეს გვერდში უდგანან უნარიანი მუშაკები: ემელიანე ნაკაშიძე, ირა ცინცაძე და შორენა ბაჯელიძე, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან რაიონის მოსახლეობას.

ქედის საარქივო განყოფილებაში უძველესი დოკუმენტები თარიღდება 1932 წლით. საარქივო განყოფილება 135 ფონდისაგან შედგება. მმართველობითი დოკუმენტების რიცხვი 14033 საქმეთა ერთეულია, პირადი შემადგენლობის 25596 ერთეული.

არქივი ემსახურება მოსახლეობას და რაიონის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ქედის ხაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელები

1. ოსმან მემიშოღლი –1936 წლიდან – 1937 წ. 17 აგვისტომდე.
2. ანტონ გვარიშვილი – 1938 წ. აგვისტოდან – 1939 წლის ივნისამდე.

3. არონ ანდღულაძე – 1939 წ. ივნისი – 1939 წლის ნოემბერი
4. მამედ ჯაიანი – 1939 წ. ნოემბერი – 1940 წ. ივნისი
5. ვასო მურვანიძე – 1940 წ. ივნისი – 1942 წ. მარტი
6. ოსმან ბერიძე – 1942 წ. მარტი – 1942 წ. ივნისი
7. შალვა ბაჯელიძე – 1942 წ. ივნისი – 1943 წ.
8. მირაჯ გოგიტიძე – 1943 წ. – 1944 წ. თებერვალი
9. ყებას გოგიტიძე – 1944 წ. თებერვალი – 1944 წ. სექტემბერი.
10. ვასო მურვანიძე – 1944 წ. სექტემბერი – 1945 წ. ნოემბერი
11. ყებას ბერიძე – 1945 წ. ნოემბერი – 1949 წ. სექტემბერი.
12. ალექსანდრე წულუკიძე – 1949 წ. სექტემბერი – 1952 წ. მარტი
13. შოთა კიღურაძე – 1952 წ. მარტი – 1963 წ. ივნისი
14. იბრაიმ გოგიტიძე – 1963 წ. აგვისტო – 1969 წ. აგვისტო.
15. ავთანდილ ბერიძე – 1969 წ. 16 აგვისტო – 1974 წ. 23 აგვისტო
16. სულიკო შოთაძე – 1974 წ. 23 აგვისტო – 1982 წ. 13 ოქტომბერი
17. ამირან დიასამიძე – 1982 წ. 13 ოქტომბერი – 2005 წ. 1 იანვარი

2005 წლის 1 იანვრიდან სპორტკომიტეტი გახდა განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილების ნაწილი.

2007 წლის მარტიდან გამგეობაში ჩამოყალიბდა განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური და მის უფროსად დაინიშნა თამაზ დიასამიძე.

რაიონის ისტორიაში გამოჩენილ სპორტსმენთა სიმრავლე არასდროს ყოფილა, რადგან საამისო პირობები არ იყო, მაგრამ მაინც ბრწყინავდა ერთეულთა სახელები. რაიონის ღირსებას იცავდნენ ჭიდაობაში სპორტსმენები: ილია არძენაძე, ზურაბ არძენაძე, ოქროპირ ბერიძე, გურამ ჯიჯავაძე.

1964 წელს სკოლა-ინტერნატებს შორის კალათბურთში გამართულ შეჯიბრებაში მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის გოგონათა გუნდმა მეორე ადგილი აიღო ქ. ვორონეჟში და ვერცხლის მედლებს დაეუფლა, ავ. ბერიძის ხელმძღვანელობით.

ხელბურთში ოთარ ტაკიძე აჭარის ნაკრების წევრი იყო და 1979 წელს საქართველოს მე-7 სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

გრძელ მანძილზე რბენებში წარმატებით გამოდიოდა ძენწმანელი ავნი სურმანიძე. მან 1968 წელს საქართველოს პირველობაზე გამართულ მარათონში (42 კმ) მესამე საპრიზო ადგილი აიღო. 1978 წლიდან 1985 წლამდე ქედის სპორტსკოლის დირექტორი იყო უშანგი ასამბაძე.

ქედელი ფეხბურთელები გასული საუკუნის 60-იან წლებში აჭარის ჩემპიონები გახდნენ და საქართველოს პირველობაზე რესპუბლიკის მეორე ჯგუფში გამოდიოდნენ.

დღეისათვის რაიონს გააჩნია კეთილმოწყობილი ფეხბურთის მოედანი. საჭიდაო დარბაზი, ყველა თემში აშენდა კეთილმოწყობილი სპორტული მინიმოედანი.

ქედის რაიონში სპორტის სახეებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჭიდაობას, ამ დარგში წარმატებას მიაღწია შოთა ფარტენაძემ. მან 2011 და 2012 წლებში საპრიზო ადგილი დაიკავა პოლონეთში და უნგრეთში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში. ხოლო 2012 წელს საქართველოს ახალგაზრდებს შორის მოიპოვა ლიცენზია ევროპისა და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობისა.

ხადიო, ტელევიზია

რადიოს უდიდესი მნიშვნელობა მოსახლეობის სულიერი განვითარების გზაზე უდიდესია, ქედის სინამდვილეში კი მას თავდაპირველად პროპაგანდისტული ფუნქცია ეკისრა. ამ მიზნით ჯერ სასოფლო საბჭოს ცენტრებში, შემდეგ კი თითქმის ყველა

სოფელში ამოქმედდა ხაზის რადიო – რაიონი დაიქსელა რადიოხაზებით და მოსახლეობას შეეძლო მოესმინა. ამ რადიოთი შეიტყვეს დიდი სამამულო ომის დამთავრება.

50-იანი წლებიდან ხაზის რადიო ოჯახებშიც ამოქმედდა. კვირაში სამჯერ მეკომურებს შეეძლოთ მოესმინათ ქედის რაიონის ახალი ამბები. რადიოგადაცემა 70-80-იან წლებში უძღვებოდნენ შოთა დვალიძე, დუდანა ბერიძე, შაქრო ჩიკვაიძე.

დიდხანს ელოდა ქედის მოსახლეობა ტელეგადაცემების მიღებას. ტელემაუწყებლობა ქედაში 1970 წლიდან დაიწყო.

ქედის რაიონული გაზეთი

რაინული გაზეთის შესახებ გამოცემულია წიგნი „ცხოვრების კვალდაკვალ", რომელიც 2003 წელს დაიბეჭდა გაზეთის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით. ავტორი მაშინდელი რედაქტორი თამაზ აბულაძეა.

წიგნი იწყება იმის ახსნით, რატომ არ დაარსდა გაზეთი 1921 წლიდან. ამ კითხვაზე პასუხი ერთადერთია. გაზეთმა რომ თავისი როლი შეასრულოს, მკითხველი სჭირდება, 1921 წლისათვის კი მთიან აჭარაში წერა-კითხვა მოსახლეობის 93 პროცენტმა არ იცოდა.

სულ სხვა სურათი შეიქმნა 1933 წლისათვის, მაშინ წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა უკვე 64 პროცენტს აღწევდა. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1933 წლის 1 ოქტომბერს, რედაქტორი იყო რაიკომის პირველი მდივანი აბდულ ხალვაში.

დასაწყისიდან 1990 წლამდე გაზეთი იყო კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო. ამ წლის არჩევნების შემდეგ კპ ჩამოცილდა და დარჩა რაისაბჭოს აღმასკომის გაზეთად. პრეფექტურის შექმნის შემდეგ ეწოდა „ქედის რაიონული გაზეთი", 1995 წლიდან – რაიონის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო.

2006 წლის მარტიდან გაზეთმა ფუნქციონირება შეწყვიტა, რადგან ასე ისურვა ხელისუფლებამ, – გაზეთი თუ არსებობს, ის თავისუფალი უნდა იყოს, ასეთი კი ხელისუფლებისთვის საკუთარი ხელით შექმნილი ბომბია საკუთარი თავის წინააღმდეგ.

არის თუ არა საჭირო რაიონში გაზეთი?

გაზეთი კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი დღესაც არის, ამასთან დღეს მას დაეკისრა საზოგადოების თავისუფალი აზროვნების განვითარების ფუნქცია. დღეს კი ქედაში გაზეთს ძირითადად დაბის მოსახლეობა კითხულობს, ისიც, ალბათ, 10 პროცენტამდე, სოფლის მოსახლეობა კი ამ სიკეთეს თითქმის მთლიანად მოკლებულია.

დღეს გაზეთს რამდენადმე ცვლის ტელევიზია, მაგრამ ამის გაკეთება 30 პროცენტით თუ შეიძლება, ამიტომ ის ხალხისთვის აუცილებელია.

გაზეთი აუცილებელია იმიტომ, რომ ის ისტორიას უნახავს რაიონში მიმდინარე ფაქტებს და მოვლენებს. ერთ ფაქტს დავასახელებ: ქართულ ენციკლოპედიაში წერია, რომ რუსთაველის პრემიის ლაურეატის ფრიდონ ხალვაშის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1944 წელს. რაიონული გაზეთის ისტორიაზე მუშაობის დროს წიგნის ავტორმა მიაკვლია 1942 და 1943 წლებში დაბეჭდილ ლექსებს – პირველს ჰქვია „საბჭოთა მფრინავს" (დაიბეჭდა 23 თებერვლის №9 ნომერში) და მეორეს „დაჭრილი" (დაიბეჭდა 25 ნოემბრის №53-ში). ორივე ლექსი კარგი პოეტური ნიმუშია და ფ. ხალვაში სიხარულით მეცხრე ცაზე ავიდა,როცა ეს ლექსები წაიკითხა. უბრალოდ აღარ ახსოვდა და თან გაუხარდა იმიტომაც, რომ მისი პოეტური ნათლობის დრო ორი წლით გაიზარდა.

დამერწმუნეთ, არ არის ესენი უმნიშვნელო ფაქტები და ეს ხსნის იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაზეთს ისტორიისათვის.

რა ასეთი დაუძლეველი სირთულეა 4 გვერდიანი გაზეთის გამოცემა, როცა გამოჩნდა ნება, დროებით აღდგა კიდეც – 2012 წლიდან, მაგრამ მალე დაიხურა.

უფრო კარგი იქნება, თუ ვინმე თავისუფალ გაზეთს დაარსებს, – მარტო მოგება არაა მთავარი, უფრო მნიშვნელოვანი, ხალხის მადლიერება და რაიონის ისტორიაზე ფიქრია.

გაზეთი აღმოაჩენს, აყალიბებს და გზას უკვალავს შემოქმედებით ახალგაზრდობას. რომ არა ეს გაზეთი, შესაძლოა საერთოდ ვერ წარმოჩენილიყვნენ ფ. ხალვაში, ჯ. ჯაყელი, ს. ბერიძე, შ. ანანიძე, ლ. ანანიძე, რ. თებიძე, ნ. დუმბაძე და სხვა მრავალი. 1995-2005 წლებში რაიონულმა გაზეთმა შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა – ლია და მზია ბოლქვაძეები, კობა ბერიძე, ნაირა ფარტენაძე, ნატალია ბერიძე, გოჩა აბულაძე, ია თურმანიძე, მაია ბერიძე და სხვები. მათგან უმრავლესობა დადგებოდა ცნობილი პოეტი, მაგრამ წაერთვათ ასპარეზი და აღარ ჩანან.

ახლა დავუბრუნდეთ გაზეთის წარსულს.

პირველ რაიონულ გაზეთს „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" ერქვა, 1952 წლიდან პარტიის სახელწოდებაში ჩამოაცილეს „ბოლშევიკების" და გაზეთს დაეტყო ცვლილება, ეწოდა „კოლმეურნის ხმა". 1959 წლიდან „დიდი რეფორმატორის" ნიკიტა ხრუშჩოვის დროს გაუქმდა გაზეთი და 1966 წლიდან აღადგინეს „კოლმეურნის" სახელწოდებით. 1990 წლიდან საბჭოთა ტერმინოლოგიას ფასი დაეკარგა და დღის წესრიგში დადგა ახალი სახელი. მკითხველები ჩაერთვნენ ამ საქმეში, ზოგმა ისურვა „ქედა" ეწოდებინათ, ზოგმა „მზიური" და ა. შ.

წიგნის ავტორი თ. აბულაძე იგონებს, რომ (მაშინ ის რაიკომის განყოფილების გამგე იყო) პირველმა მდივანმა მიხეილ მახარაძემ მას დაავალა წინადადების შემუშავება. თ. აბულაძეს ლექსიკონები მოუშველიებია და 50-მდე სიტყვისთვის მოუყრია თავი, შემდეგ შეკრებილან აქტივისტები და მ. მახარაძეს „იმედი" მიუცია მათთვის „საჯილდაო ქვად". ასე დარქმევია „იმედი" 1990 წლიდან. ყველა ეს გაზეთი ერთმანეთის სამართალმემკვიდრე იყო. ახალი ეტაპი დაიწყო გაზეთმა „ქედამ" ჟურნალისტ შ. ჩიკვაიძის რედაქტორობით, მაგრამ ეს ცდა მალე შეწყდა.

გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" ჯერ დიდი ფორმატით ორ გვერდზე გამოდიოდა, შემდეგ კი დღევანდელი ზომის 4 გვერდის სახით. აიღებ ხელში გაზეთს და მიხვდები, რომ უჭირს სახელმწიფოს (ფურცლები უხეში ქაღალდისაა, იგრძნობა ტექნიკური წუნიც, პირველ ათწლედში საკუთარ სურათებსაც ვერ ბეჭდავენ), მაგრამ გაზეთი გამოდის.

გაზეთის გაცნობით ნათელი ხდება, რომ გამოქვეყნებულ მასალებს უფრო პროპაგანდისტული ხასიათი აქვს.

რაიონის რაიკომის პირველი მდივანი და რედაქტორი ა. ხალვაში 1937 წელს ემსხვერპლა. 1937-1938 წლებში რაიონული გაზეთის რედაქტორებია ი. ყაჭეიშვილი, 1938 წლიდან ი. სუთიძე, 1942 წლიდან რედაქტორი გახდა შემდგომში ცნობილი მწერალი კაპიტონ რუსიძე (ავტორია რომანების: „მოუსვენარი ადამიანები", „ბეწვის ხიდზე", „ნაზიბროლა' „ჭიდილი მთებში", სხვა.)

ომის პერიოდში გაზეთი ორ გვერდზე იბეჭდებოდა. ამ წიგნის ომის თემაზე შექმნილი ნაწილი მნიშვნელოვნად ეყრდნობა მაშინდელი გაზეთის ცნობებს.

1945 წლის დასაწყისიდან რედაქტორი გახდა პ. სახეჩიძე, 1946 წლიდან რედაქტორია ს. მუხაშავრია, 1948 წლის დეკემბრიდან ს. ტუღუში, 1951 წლის ოქტომბრიდან ვ. სიორიძე, 1952 წლის 7 ნოემბრიდან ოთარ ჯაყელი, 1954-1955 წლებში ტ. ტრაპაიძე, 1956 წლიდან გაზეთის გაუქმებამდე, ანუ 1959 წლის ბოლომდე – კ. დოლიძე.

ამათგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ რედაქტორს, იგივე რაიკომის პირველ მდივანს, არც ერთი რედაქტორი არ იყო ადგილობრივი, გარდა ო. ჯაყელისა.

ის იყო კვაშტელი, სპეციალობით ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი. მის დროს იქნა შემოღებული რედაქტორის მოადგილის შტატი და ამ თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ვლადიმერ გათენაძემ 1953 წლის 12 სექტემბრიდან. მალე კიდევ ერთმა ადგილობრივმა დაიწყო მუშაობა შემოქმედებით ჯგუფში – ჯალაბაშვილებელმა ილია ბერიძემ.

ომის შემდეგ დაიწყო გაზეთმა რაიონის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოების ბეჭდვა. რედაქციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ფოტოგრაფები: კ. საბახტარაშვილი და კ. ჩხარტიშვილი, ბარემ აქვე ავღნიშნავ რომ 1966 წლიდან გაზეთს საკუთარი ფოტოკორესპონდენტები ჰყავდა: ნ. ღონიაძე, ა. გათენაძე, ო. ბარამიძე.

50-იან წლებზე მოდის გაზეთის მუშსოფლკორთა ქსელის გაფართოება. უკვე ხშირ-ხშირად იბეჭდება ალექსანდრე ანანიძის, უშანგი გვარიშვილის, აბდულ ბოლქვაძის, მიხეილ ზაქარაძის, არჩილ ტაკიძის, დურსუნ არძენაძის, დავით ბარამიძის, ლევან ანანიძის და სხვათა წერილები.

1950 წლის 7 თებერვალს გამოიცა გაზეთის მე-1000 ნომერი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ასევე, სიგელებით დაჯილდოვდნენ რედაქტორი სევერიანე ტუღუში, პასუხისმგებელი მდივანი მარგო ჩოგოვაძე, ლიტმუშაკი სულეიმან ბერიძე, ასოთამწყობი-მეტრანპაჟე მიხეილ ნოვაჩენსკი და მბეჭდავი ქაზიმ დიასამიძე. გაზეთს საიუბილეო ნომრის გამოსვლა მიულოცეს გაზეთებმა: „ზარია-ვოსტოკამ", „საბჭოთა აჭარამ", „ბატუმსკი რაბოჩიმ".

დღევანდელობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი შემოგვინახა გაზეთმა 1951 წლიდან: რაიონში ჩატარებულა ქედის ისტორიაში პირველი წიგნის ერთთვიური. ქედა ამ დროს იმდენად წიგნიერი რაიონია, რომ ერთ თვეში გაიყიდა 41500 მანეთის წიგნი.

1959-1965 წლებში, როგორც უკვე მივანიშნეთ, რაიონული გაზეთი აღარ გამოდიოდა და მისი გამოცემა განახლდა 1966 წლის პირველი იანვრიდან. რედაქტორად დაინიშნა რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე მიხეილ მახარაძე, რომელიც თითქმის 30 წელიწადს უძღვებოდა ამ საინტერესო საქმეს.

განახლებულ გაზეთს გზა დაულოცეს გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ", რაიკომმა და აღმასკომმა, პირველმა მდივანმა ვ. ნაკაშიძემ, პოეტებმა ფ. ხალვაშმა და ჯ. ჯაყელმა, თავისი სიხარული ლექსით გამოხატა ლევან ანანიძემ.

შემოივლის ყველა უბანს,
დაგითაფლავს გულის ძაფებს,
გადაგიშლის ახალ ამბებს,
სიბრძნეს უხვად დაგაწაფებს.
სამშვიდობო ამბის თხრობით
გაგრძნობინებს ისეთ სიტკბოს,
ბულბულები ბაღნარიდან
შემოფრინდნენ სახლში თითქოს.
სად კაშხალი აიყვანეს,
სად გაიპო მიწის ხნული,
გეტყვის, დინჯად მოგიყვება
ლაღი სიტყვა მშობლიური.
გზას რომ კაფავს მომავლისკენ
და რომ ფანტავს ცოდნის ვარდებს,
მშობლიური სიტყვის ძალა,
მითხარ, როგორ არ მიყვარდეს.

რედაქტორის მოადგილედ უწინდელი მოადგილე ვ. გათენაძე დაბრუნდა, მალე გაზეთს დაუბრუნდა ი. ბერიძეც, გაზეთში გამოჩნდნენ რედაქციის ახალი მუშაკები: მერი დოლიძე, ნოდარ ბერიძე, ნოდარ ავალიანი. რედაქციამ თემებში დაარსა საგუშაგოები.

ამ დროიდან გაიზარდა გაზეთის ტირაჟი, 3000-3500 აღწევდა უკვე. თუ წინა პერიოდში მხოლოდ ერთი ნარკვევი დაიბეჭდა მწერალ ელ. ზედგინიძის „ვაზმა ფეხი აიდგა", ახლა ნარკვევები და რეპორტაჟები სისტემატიური ხდება. გაზეთში დაიბეჭდა ნ. გათენაძის „ნარკვევები ქედის ისტორიიდან", ა. ანანიძის რომანი „თავკაცები", ნ. ბასილაძის, ნ. ახალაძის და ნ. გეგელიას თარგმანები გერმანულიდან, ფრანგულიდან, რუსულიდან. გაფართოვდა სოფლკორთა ქსელიც: თ. აბულაძე, რ. თებიძე, გ. არძენაძე, ნ. ბასილაძე, ნ. სანიკიძე, მწერლობაში გამოჩნდნენ ახალი სახელები: ნ. დუმბაძე, ა. ლორთქიფანიძე, ს. დიასამიძე, ს. გორგილაძე, ს. ბერიძე, ზ. ზოიძე, შ. ჩიკვაიძე და სხვები. გაზეთმა შემოინახა ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცის ნუგზარ დუმბაძის ლექსები.

გაზეთმა შემოინახა ბულგარეთის რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგის დელეგაციის სტუმრობა ქედაში 60-70-იან წლებში, დიდი მსახიობის ს. ბაღაშვილის სტუმრობა 1968 წელს, თბილისელი პოეტების: ვ. გორგანელის, თ, ჯანგულაშვილის, გ. კაჭახიძის სტუმრობა 1970 წელს, გ. აბაშიძისა და რ. ჩაჩანიძის – 1976 წელს, მუხრან მაჭავარიანის – 1978 წელს, რუსთაველის თეატრის მსახიობების – 1988 წელს, უდიდესი რეჟისორის რ. ჩხეიძის – 1979 წელს. გაზეთის ფურცლებზე შემონახულია 1988-1989 წლებში კინოფილმ „მევლუდის" გადაღების საინტერესო მომენტები.

მარტო ესენი რად ღირს. დაუფიქრდით, საჭიროა, ძალიან საჭირო რაიონში გაზეთის არსებობა. არანაკლებ საინტერესოა „შრომის ზეიმების" მასალები 1975 წლიდან.

გაზეთში იზრდებოდნენ შემოქმედებითი და მენეჯერი კადრები. სხვადასხვა თანამდებობებზე დაწინაურდნენ აქ აღზრდილი პირები: ნ. ბერიძე, ნ. ავალიანი, ზ. სირაბიძე, ნ. ფარტენაძე, ნ. გათენაძე, ს. ბერიძე, შ. ბერიძე, ლ. ბერიძე, ა. ანანიძე, გ. დევაძე, ნ. სალაძე, ე. ნინიძე და სხვები.

1983 წელს გაზეთმა იზეიმა დაარსების 50 წლისთავი. მაშინ მეორედ დაჯილდოვდა ის აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

განსაკუთრებით გართულდა გაზეთის მუშაობა 1990 წლიდან, როცა ქვეყანაში ვითარება შეიცვალა – ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. ამას ნამდვილად კეთილი გაგებით ვამბობ, თუმცა არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ არა კომუნისტთა მხარდაჭერა „მრგვალი მაგიდა" ისეთი ტრიუმფით ვერ გაიმარჯვებდა, რაც შემდგომ ვერ დააფასა ახალმა ხელისუფლებამ და დაპირისპირება იმდენად გაღრმავდა, რომ ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მივიდა.

1990 წელი გაზეთმა კვირაში სამი ნომრით დაასრულა, შემდეგ თანდათან ერთი ნომრის გამოსვლაც საოცნებო გახდა: 1992 წელს გამოიცა 116 ნომერი (ადრე გამოდიოდა 160-ზე მეტი), 1993 წელს - 36, 1994 წელს– 13.

1995 წლის აგვისტოდან რედაქტორად დაინიშნა თამაზ აბულაძე. მაშინ წლის ანგარიშში გამოცემული იყო 8 ნომერი და წლის ბოლომდე მოხერხდა 23-მდე გაზრდა.

ამ პერიოდში საქართველოს რაიონების დიდ ნაწილში საერთოდ შეწყდა გაზეთების გამოცემა, მაგრამ ქედის ხელმძღვანელების: ს. ბერიძის, გ. თურმანიძის და რ. მანველიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს გაზეთის შენარჩუნება, თუმცა ტირაჟის გაზრდა ვეღარ მოხერხდა. 1995 წლის მესამე კვარტლისათვის მხოლოდ 25 ცალი იყო გამოწერილი და ხელისუფლება ავრცელებდა 300-400 ეგზემპლიარს.

ყველაზე დიდი სირთულე იყო ის, რომ ხელფასები იყო მიზერული – რედაქტორი იღებდა 41 ლარს.

თ. აბულაძეს რედაქციაში ორი მოქმედი თანამშრომელი დახვდა ა. ბოლქვაძე და რედაქციის ისტორიაში პირველი პროფესიონალი ჟურნალისტი გოჩა აბულაძე. მალე

მოზიდულ იქნა ახალი და მზარდი კადრები: ბადრი ბოლქვაძე, ინგა ანანიძე, ლია ბოლქვაძე, ზაირა გოგიტიძე და ნატო შერვაშიძე. იმის გამო, რომ მოშლილი იყო რაიონის რადიოსადგურის სახაზო სისტემა, საგაზეთო მუშაობაზე გადაიყვანეს დუდანა ბერიძე.

გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ, უკვე 1997 წლიდან სტაბილურად გამოიცემოდა კვირაში ერთი ნომერი, ტირაჟმა 1000-ს მიაღწია.

ამ დროს სისტემატურად წყდებოდა დენის მიწოდება. ეს პრობლემა რედაქციას კავშირგაბმულობის რაიკვანძის უფროსმა ნ. ნაკაშიძემ გადაუწყვიტა, – სტამბა – რედაქცია მიაერთა საკუთარ მუდმივი დენის წყაროს. დიდ სირთულეს წარმოადგენდა „ლინოტიპის" მოძველებული მანქანების მუშაობა, – რომ არა სტამბის დირექტორი, ტექნიკის „ჯადოქარი" ელგუჯა გორგაძე, ალბათ გაზეთი 1999 წლამდე თავს ვერ გაიტანდა. თავგანწირულად იღვწოდნენ აგრეთვე სტამბის მუშაკები: ა. გოგიტიძე, ნ. ფარტენაძე, გ. ჩიკვაიძე, რ. ბერიძე, ჟ. ქადიძე, გ. ბასილაძე.

1999 წელს ახალი ეტაპი დაიწყო გაზეთის გამოცემაში, 22 თებერვალს გამოიცა პირველი კომპიუტერული ნომერი, რაც მთლიანად განპირობებული იყო რაიონის გამგებლის ჯ. გვარიშვილის თანადგომით. ამ კაცს, მიუხედავად ქვეყნის გაჭირვებისა, შეეძლო გზების გამონახვა, ამიტომ დღესაც მადლიერებით აღნიშნავენ რაიონში 20 ბინიანი საცხოვრებელი სახლის, წისქვილკომბინატის, ორცვის, მეძიბნის, გეგელიძეების, ჯალაბაშვილების სკოლების აშენებას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნას, საკონსერვო ქარხნის აგებას და სხვა საინტერესო საქმეს. ჯ. გვარიშვილმა რედაქციას შეუძინა „ვილისი".

რაც შეეხება უშუალოდ საგაზეთო მუშაობას, რედაქციამ 1995-2005 წლებში მთავარ მიმართულებად აქცია საინფორმაციო-საგანმანათლებო მუშაობა. ამოქმედდა ახალი რუბრიკები: „ქედელები საქვეყნო ასპარეზზე", „ისინი ამშვენებენ რაიონს", „ტკივილი", „ოჯახი, სიყვარული, ბედნიერება", „რას გვიამბობენ მშობლიური სახელები:", „ენაი შემკული და კურთხეული", „ხუმრობენ და იცინიან ქედელები", „ფოტო განწყობსათვის", „მოდით წარსულს გადავხედოთ ერთად" და ა.შ. რომელთაც გაზეთის მთელი ისტორიის მანძილზე არ ჰქონიათ ანალოგი.

თ. აბულაძის ინიციატივით, ქრისტიანობის აღდგენის ხელშესაწყობად იბეჭდებოდა „მოთხრობები საღვთო ისტორიიდან", ვრცლად და საინტერესოდ აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი, ილია ჭავჭავაძის დაბადების 160, მემედ აბაშიძის 120, ფ. ხალვაშის, ჯ. ჯაყელის, ნ. გვარიშვილის, ზ. გორგილაძის, პ. ლორიას, მ. ვარშანიძის და სხვათა საიუბილეო თარიღები, საინტერესო მასალები დაიბეჭდა ქედის სკოლის 100 წლისთავთან დაკავშირებით. განსაკუთრებული სიყვარულით მოქმედებდა რუბრიკები: „ამაგი" და „მასპინძლებად ქცეულნი", რომლებიც ასახავდნენ ქედის სკოლების პირველ წლებში გურია-იმერეთი-სამეგრელოდან ჩამოსული პედაგოგების დიდ ღვაწლს (რუბრიკას ხელმძღვანელობდა ქედის სკოლის პედაგოგი მერი დიასამიძე).

ყველა მიმართულებაზე საუბარი, უბრალოდ შეუძლებელია. დასანანია, რომ ამ დროის ნიჭიერი შრომითი ქოლექტივის წევრები ახლა მოხელეობენ, ან უბრალო საქმით არიან დაკავებულნი.

გაზეთთან დაკავშირებულია ხელისუფლების ერთი უნიათო და შეიძლება ითქვას უღირსი დამოკიდებულებაც, – წინა ხელისუფლებამ, ახლა რომ ოპოზიციიდან სხვას უკიჟინებენ, ძველ კადრებს რატომ ცვლითო, არაობიექტურად, თვითმიზნურად გაათავისუფლა რედაქტორობიდან თ. აბულაძე, რომელიც 2005 წელს სასამართლოს ძალით დაუბრუნდა თანამდებობას და 2006 წელს მისი ხელმძღვანელობით დასრულდა გაზეთის გამოცემა, ბოლო ნომერი გამოვიდა 30 მარტს – ამ წლის 3-6, ნომრები დაარსებიდან 7038-ე.

მუზის მსახურები ქედის რაიონში

ქედაში დაიბადნენ, აღიზარდნენ და აქ შექმნეს პირველი ლექსები რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფრიდონ ხლვაშმა, პოეტებმა ნანსენისა და სხვა არაერთი პრემიის ლაურეატმა ჯემალ ჯაყელმა, სანდრო ბერიძემ, ისინი გასცდნენ რაიონის ფარგლებს, ამიტომ აქ იმათზე შევაჩერებ ყურადღებას, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე ქედაში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ.

ალექსანდრე ანანიძე

ალექსანდრე ხუსეინის ძე ანანიძე დაიბადა 1926 წლის 15 მაისს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. 1941 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის არასრული საშუალო სკოლა, 1943 წელს კი ქედის საშუალო სკოლა. 1945-1957 წლებში მუშაობდა ცხმორისის საკოლმეურნეო კლუბის გამგედ და დაუსწრებლად სწავლობდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1958 წელს ალესანდრე ანანიძე დაინიშნა სოფელ ცხმორისის კულტურის სახლის დირექტორად, რომელიც მისი ინიციატივით გაიხსნა.. 1967-1971 წლებში მუშაობდა ქედის რაიონული გაზეთ „კოლმეურნის" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ. 1971-1979 წლებში იყო ქედის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე.

1979-1993 წლებში მუშაობდა ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ და ქართული ენა ლიტერატურის მასწავლებლად. 1993 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის დირექტორი.

ალექსანდრე ანანიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას. 40 წლის განმავლობაში რაიონულ და რესპუბლიკურ გაზეთებში ქვეყნდებოდა მისი ლექსები, სიცოცხლეში გამოაქვეყნა წიგნი „გულის ძახილი" და მრავალი დარჩა გამოსაცემი.

შოთა ანანიძე

შოთა ხუსეინის ძე ანანიძე დაიბადა 1935 წლის 1 ივლისს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.



1951 წელს სოფელ ცხმორისის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქედის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

1959 წელს არმიიდან დაბრუნებული მუშაობას იწყებს მასწავლებლად დაწყებით სკოლაში.

1959 წელსვე სწავლა დაუსწრებლად გააგრძელა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1964 წელს დაამთავრა ზემოთხსენებული ინსტიტუტი და იქედან მოყოლებული 2012 წლამდე მუშაობდა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. არის 7

წიგნის ავტორი.

გამოსაცემად მომზადებული აქვს მე-8 წიგნი.

ლევან ანანიძე

ლევან ანანიძე დაიბადა 1939 წლის 1 მარტს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. 1958 წელს დაამთავრა ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ცხმორისის ბიბლიოთეკის გამგედ.

1959 წელს ლევან ანანიძემ სწავლა დაიწყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1960 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1962 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში" გამოქვეყნდა პოეტის პირველი ლექსი „ოცნების გემი". 1963 წელს სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1964 წელს მუშაობა დაიწყო გეგელიძეების 8-წლიან სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად, 1965 წლიდან ახოს 8-წლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, 1966 წელს ლევან ანანიძემ ლეგენდის მიხედვით დაწერა ბალადა „წითელპერანგა", რომელმაც მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა მთელს რესპუბლიკაში. ლევან ანანიძის პირველი წიგნი „შენთან ერთად" 1971 წელს გამოქვეყნდა. მას გამოქვეყნებული აქვს საბავშვო წიგნები: „დედის სიხარული", „დედაშვილობა", „ერთგულება", „ვაჩუქოთ ბავშვებს ბედნიერება" და „საბავშვო გამოცანები". ლევან ანანიძეს გამოქვეყნებული აქვს 8 წიგნი. ის მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს 45 წელი ერთგულად ემსახურებოდა.

რეზო თებიძე

რეზო (რემზი) თებიძე დაიბადა 1946 წელს, 9 ოქტომბერს. ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში (საღორეთში).

სწავლა დაიწყო პირველი მაისის რვაწლიან სკოლაში 1954 წელს. 1965 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 1965-1971 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და დაეუფლა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობას.

1970-1971 წლებში მუშაობდა ლიტმუშაკად ქედის რაიონული გაზეთის რედაქციაში. 1971-1979 წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა კოლოტაურის რვაწლიან სკოლაში, ხოლო 1979-1980 წლებში - ძენწმანის რვაწლიან სკოლაში. 1980-1993 წლებში მუშაობდა ფილმოთეკის გამგედ ქედის განათლების განყოფილებაში და შეთავსებით მასწავლებლად აგარის რვაწლიან სკოლაში. 1993 წლიდან ასწავლის პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1976 წელს მიიღო „სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი".

წერს ლექსებს.

გამოცემული აქვს ხუთი პოეტური კრებული: „ლექსები" (1974), „ხნულში ჩამდგარი მზე" (1979), „სიზმარი და ცხადი" (1988), „გაუმხელელი ფიქრები" (2001), „შავი პაპირუსი" (2006).

სერგო სამნიძე



სერგო სამნიძე დაიბადა 1946 წლის 15 აპრილს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში. 1953-1964 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

სერგო სამნიძე 1965-1968 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1968-1972 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხანაში ელექტრიკოსად, ხარატად, შემდეგ მუშაობდა ქ. თბილისში მშენებლობასა და სახლების მოპირკეთებაზე.

1973 წელს სერგო სამნიძე მუშაობას იწყებს ქედის სატყეო მეურნეობის ფართო მოხმარების საამქროში დურგლად, ბრიგადირად, კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

სერგო სამნიძე 1974-1975 წლებში მუშაობდა ქ. თბილისში სამშენებლო ტრესტში. 1976 წლიდან კვლავ ქედის სატყეო მეურნეობაში განაგრძო მუშაობა.

სეგრო სამნიძეს 1958 წლიდან აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელშიც 3000-ზე მეტი წიგნია თავმოყრილი, ის იყო ქედის რაიონული გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი, ხშირად აქვეყნებდა ფელეტონებს, ლექსებს, ჩანახატებს.

1986 წელს სატყეო მეურნეობაში მიღწეული წარმატებისათვის მას გადასცეს მსუბუქი ავტომანქანა. უყვარს ხეზე კვეთის სამუშაოები, დამზადებული აქვს არაერთი სუვენირი და საყოფაცხოვრებო ნივთი.

სერგო სამნიძეს გამოცემული აქვს ორი წიგნი „ანარეკლები წარსულიდან", რომელიც სოფელს მიუძღვნა, და ლექსების კრებული „ერთი ბეწოა ცხოვრება".

ახლახანს გამოიცა წიგნი „ნაბიჯი საუკუნემდე". სერგო სამნიძეს მომზადებული აქვს გამოსაცემად კიდევ ორი წიგნი. მას დამთავრებული აქვს კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ისტორია-ეთნოგრაფიის ფაკულტეტი.

ანზორ ლორთქიფანიძე

ანზორ ლორთქიფანიძე დაიბადა 1941 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში, ცნობილი პედაგოგის სევერიან ლორთქიფანიძის ოჯახში.

ანზორ ლორთქიფანიძემ დაამთავრა ვაიოს რვაწლიანი სკოლა, შემდეგ წონიარისის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

ანზორ ლორთქიფანიძე 1966 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. 1974 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა: უჩხითის, ჟანივრის, ინწკირვეთის, გორგაძეების, გელაურის, კუჭულის, მერისის, აწჰესის, ოქტომბრის სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდგომ წლებში ქედის რაიონული გაზეთის კორესპონდენტად. აგრეთვე მუშაობდა ქ. ბათუმის სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტში მართლწერის მასწავლებლად.

ანზორ ლორთქიფანიძე ოთხ ათეულ წელზე მეტია,რაც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1966 წელს. მისი ლექსები იბეჭდებოდა რაიონულ და რესპუბლიკურ გაზეთებში, ჟურნალ-

ებში: „ლიტერატურული აჭარა", „ჭოროხი". ნიჭიერი მკვლევარის დაინტერესების სფეროა ეტიმოლოგია, ლიტერატურული თუ მართლწერის მეცნიერული საკითხები.

ანზორ ლორთქიფანიძეს გამოქვეყნებული აქვს ლექსების სქელტანიანი წიგნი „რჩეული". ასევე კრებული „დედასავით ერთადერთო".

გურამ არძენაძე

გურამ არძენაძე დაიბადა 1942 წელს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ დანდალოში. სწავლობდა ცხმორისის საშუალო სკოლაში, დაამთავრა ხარაულის საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1970 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სამი წელი მუშაობდა შუახევის რაიონის პიონერთა სახლის დირექტორად, შემდეგ შუახევისა და ქედის რაიონების სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ბოლო წლებში მუშაობს ქობულეთის რაიონის ქვედა აჭყვის საშუალო სკოლის მასწავლებლად. გურამ არძენაძე პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ახალგაზრდობიდან ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ქედის რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, არის ექვსი წიგნის ავტორი.

გურამ არძენაძე მაღალმთიანი აჭარის მადლიანი ბუნების წაღიდან აღმოცენებული, სრულქმნილი და მაჟორული ხმის პოეტია. მას ხალხი იცნობს, როგორც ექსპრომტისტს.

მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი ლაიტმოტივი უფლისადმი მარადიული თაყვანისცემა და სამშობლოსადმი უწმინდესი გრძნობით გაჟღენთილი სიყვარულია.

მკითხველთა ფართო წრეში დიდი ინტერესი გამოიწვიეს და განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურეს მისმა პოემებმა „საუფლო მარადისობის" და „კინტრიშის საბრძანებელში", რომლებიც ბრძნული აზრებით არიან შეზავებული.

1975 წელს რაიონის სახელით მონაწილეობდა საქართველოს ჟურნალისტთა შეკრებაში. რომელიც ჩატარდა კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებისათვის ჯილდოდ ერგო ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი".

ნათელა დუმბაძე

ნათელა შალვას ასული დუმბაძე დაიბადა 1955 წლის 3 დეკემბერს ქედის რაიონის სოფელ მეძიბნაში. 1970 წელს დაამთავრა მეძიბნის არასრული საშუალო სკოლა. 1970-72 წლებში სწავლობდა ქედის დავით გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1978 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი ქართული ენა-ლიტერატურისა და უცხო ენის (გერმანული) სპეციალობით.

1978-1982 წლებში მუშაობდა მეძიბნის არასრულ საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1982-1991 წლებ-

ში საქ. კპ. ქედის რაიკომის პილიტგანათლების კაბინეტში ბიბლიოთეკის გამგე-კონსულტანტად, 1982-97 წლებში ქედის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ამავე დროს ასწავლიდა გერმანულ ენას. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს ამავე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ნათელა დუმბაძეს გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „მზიანი სიზმარი" და „წვიმის ფარდები", ახლა გამოიცა:

მისი ლექსები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკარში", სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „ჭოროხში".

რედაქტორთა მინაწერი: ნათელა დუმბაძე სიტყვის ფლობაში უბადლოა, აზროვნებით ორიგინალური და პოეტური გამომსახველობითი ფორმებით შეუდარებელი. მისი სახელი უნდა ქუხდეს, მაგრამ ასე რომ არაა, მისი უპრეტენზიო და მოკრძალებული ბუნების გამოა და იმის გამოც, რომ უკანასკნელი 25 წელია, ქართულ, მსოფლიო უნიკალურ პოეზიას მზრუნველი, ჭეშმარიტი გულშემატკივარი აღარ ჰყავს.

ვიახოთ ჭეშმახიტი გზით

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ აჭარა იმ ქართულ ტერიტორიებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც პირველ საუკუნეში გავრცელდა ქრისტიანობა, ჯერ კიდევ სამი საუკუნით ადრე, სანამ ეს სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა.

ქართულ საქრისტიანოში ყვაოდა აჭარა, სანამ ოსმალეთის იმპერია დაიპყრობდა.

ადრე სამხრეთის ქართული ტერიტორიები მიიტაცა ოსმალომ და იქაური ქრისტიანები აჭარაში აფარებდნენ თავს. აქაც რომ მოვიდნენ, ბევრი შეაწყდა მტერს, ბევრმა კი დანარჩენ საქართველოს მხარეს შეაფარა თავი.

დაცარიელებულა აჭარის სოფლები და ასეულობით კომლიანი უბნები თითზე ჩამოსათვლელ კომლთა ამარად დარჩენილა.

რად უნდოდა ოსმალოს დაცარიელებული აჭარა. არავის სურდა მთიან ადგილებში ჩამოსახლება, ამიტომ ერთგვარად შეასუსტა ძალმომრეობა, მოხუცების წინადადება მიიღო რომ მათ სარწმუნოებას არ შეეხებოდა, მომავალ თაობებს გაზრდიდა მუსლიმანებად.

ეს დროებითი შეღავათი იყო.

თუმცა ეკლესიები დაიხურა და ქრისტიანების მდგომარეობა მუდმივი ზეწოლის ასპარეზად იქცა. ქრისტიანი ვალდებული იყო ადგილი და გზა დაეთმო მაჰმადიანისათვის, ცხენზე ჯდომის უფლება წაართვეს და იარაღის ტარება აუკრძალეს, სიმღერა და ხმაურიც ეკრძალებოდა ქრისტიანს. ქრისტიანებს სამაგალითოდ სჯიდნენ, მაგრამ ყოველგვარ დანაშაულს აპატიებდნენ, თუ გამუსლიმანდებოდნენ, გაორკეცებული გადასახადისაგანაც თავისუფლდებოდნენ.

მაინც უძლებდა აჭარელი, იტანდა ზეწოლას და როცა ქრისტიანული წესების შესრულება მკაცრად აუკრძალეს, მალულად ასრულებდნენ ძირძველ რიტუალებს. მღვდელები საიდუმლოდ მოქმედებდნენ.

მალულ ქრისტიანობაში გაილია ერთნახევარი საუკუნე და მე-18 საუკუნის დასაწყისიდან გადაირია ოსმალო, ყველა ხიდზე თავსაკვეთი გამართა, სახრჩობელები აღმართა სოფლის ცენტრებში, მარტო ერთ დღეში 50 ქრისტიანი ჩამოუკიდიათ ქედის ჯამესთან. პატარა სოფელ სამზიარში თითქმის ყველა ქრისტიანი აბულაძე ჩახოცეს, 700 კომლიანი მერისი გააუკაცრიელა, დანდალოში ყველა გაანადგურეს – მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი.

აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქართული გენოფონდი აჭარაში, სხვა გზა აღარ იყო და დამორჩილება არჩია აჭარელმა, თუმცა ქართული ენა გაიხადა სარწმუნოებად და სათუთად შეინახა, მჭადზე ჯვარს გამოხატავდა ყოველთვის, კვერცხს ღებავდა სააღდგომოდ და ასე იარა თითქმის კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში.

საქართველოსათვის ერთმორწმუნე რუსეთმა გაათავისუფლა აჭარა, მაგრამ ქრისტიანობაზე ერთი წუთითაც არ უზრუნია, პირიქით, მეჩეთებისა და მედრესების რაოდენობა გაზარდა, თუ სადმე სკოლა გახსნა, ისიც რუსული და მუჰაჯირობას ფართოდ გაუღო კარი.

ცოტანი წავიდნენ, ბევრნი დარჩნენ.

ოსმალოს სისხლს არ შეურია ქართული აჭარელმა და არც რუსულით გატაცება დატყობია არასდროს. 1921 წლიდან საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რომლის სული ათეისტური სახელმწიფოს მშენებლობაში იყო და საქრისტიანო პირობების ჩანასახიც არ შეუქმნია, იმას კი აკეთებდა, კინაღამ სახრჩობელაზე აჰყავდათ მუსლიმანი, – ჯამეები საწყობებად გადააკეთა, მედრესეები სულ გააუქმა. ბათუმის მეჩეთში მისულ მლოცველს პარტმუშაკი ხდებოდა ჭიშკართან და შიგ არ უშვებდა.

რა დრო გავიდა, და, აჭარელს არასდროს ჩაქრობია დედასამშობლოსადმი ლტოლვა, არასდროს უღალატია ფესვებისათვის, სათუთად უვლიდა და აღვივებდა ქართულ ფასეულობებს. აჭარელს არასდროს უღალატია სამშობლოსათვის, არასდროს!

ნურც იმას დაიხვევს ვინმე ხელზე, ოსმალო სასწავლებლებში გაზრდილები რომ ჩადგნენ იმ ქვეყნის სამსახურში ისინი დავთვალოთ, რამდენი დაბრუნდა სამშობლოში და მშობლიურ ხალხს ემსახურა, როგორ გადაარჩინეს ასეთმა ადამიანებმა აჭარა ისევ მიტაცებისაგან მემედ აბაშიძის მეთაურობით.

იქნებ ინტელიგენციამ სცადა საქრიატიანოდ ხელის გამოღება? არც ასეთი რამ არ მომხდარა. ის კი არაერთხელ ყოფილა, რომ უკუღმართი სიტყვა დასცდენია არაერთხელ – თათარო!

სულხან-საბას განმარტებაში მუსლიმანი თათრად მოიხსენიება, მაგრამ ეს კი არ იძლევა იმის დასკვნის უფლებას, რომ აჭარელისათვის თათარი ეწოდებინათ. ყველაზე მწარე ის იყო, რომ საქართველომ არ იცოდა თავისი ნაწილის – აჭარის ისტორია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე ურწმუნო საბჭოთა ხელისუფლების დროს აჭარელი იყო., ცენტრალურ კომიტეტს როცა დასჭირდებოდა წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის წარმოჩენა, მაშინვე აჭარას მოვარდებოდა, ადგილობრივი კადრებისადმი უნდობლობასაც ამ თემით ახერხებდა ყოველთვის.

ხვდებით, ალბათ, წყენის გამოხატვაში ცოტათი გადავაჭარბე, მაგრამ არავის აწყენს სიმართლის შესაბამისი ცოდნა და დასკვნების გამოტანა!

80-იან წლებში დათბა ჯერ ბათუმში, და მოგვიანებით, მთიან აჭარაში. სწორედ მაშინ გავარდა ხმა, ზესოფლელი ხოჯის შვილი ხასან ბერიძე მოინათლა ქრისტიანადო!

მალე ამ ხოჯის მეორე შვილი მღვდლის ანაფორათი გამოჩნდა ქედაში. კაცი – უაღრესად სათნო და მადლმოსილი, მისი თვალებიდან თითქოს თვით უფალი იმზირებოდა, იმხელა სიყვარულს ანაწილებდა ირგვლივ, შეეხებოდი და გასაოცარი სითბო გადმოგეღვენთებოდა.

– მე ხომ რაიონის გამგებელი და პირველი ხელმძღვანელი ვარ, მამა სერაფიმე ჩემი წინამძღოლია და ამიტომ პირველი პირიც ის არისო, – თქვა ერთხელ მისი დღეგრძელებისას ჯემალ გვარიშვილმა, ფეხით არ უნდა დადიოდესო და მანქანაც შეუძინა.

რა სიხარულით შეხვდა მამა სერაფიმე, რაიონულმა გაზეთმა რომ ქრისტიანული მოთხრობების ბეჭდვა დაიწყო! – ერთხელ ვკითხე, ღმერთს რად უნდა ამდენი ბოროტება რომ არსებობს, ხომ შეუძლია მხოლოდ სიკეთეს მისცეს გზა? – მითხრა მაშინდელმა

რედაქტორმა თამაზ აბულაძემ. მამა სერაფიმეს ხმა არ ამოუღია, მაგრამ მეორე დღეს პავლე მოციქულის წერილები მოუტანია თურმე, წაიკითხე და თავად იპოვი პასუხსო.

იპოვა კიდეც: თურმე უფალმა ადამი და ევა რომ გააძევა სამოთხიდან, ადამიანი თავისუფალ პიროვნებად აქცია, შენს წინ ორი გზაა, ღვთისა და ეშმაკის, თავად აირჩიე, რომლით გსურს სიარული.

მამა სერაფიმე გახდა პიროვნება, რომელმაც დააჩქარა ქრისტიანობის აღდგენის ისტორიული პროცესი არავის მოახვევდა თავის აზრს, ის მხოლოდ მოქმედებით იძლეოდა მაგალითს.

ჯერ ქედის ცენტრში აახმიანა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ზარები, შემდეგ ზვარის ცენტრში აამოქმედა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ზესოფელში სათავე დაუდო საეკლესიო კომპლექსს.

დიდი პიროვნებაა მამა სერაფიმე, დიდი!

არ შემიძლია კიდევ ერთ პირზე არ ვთქვა, ის თამაზ (ზენონ) ჯაბნიძეა, რომელმაც სამივე დასახელებული საეკლესიო ნაგებობის შენებას უხელმძღვანელა.

ღმერთმა ამრავლოს ასეთი ადამიანები!

ქრისტიანობის აღდგენის პროცესი მეორედ დაბადების ტოლფასი იყო, საზეიმოდ ტარდებოდა მასიური ნათლობები.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მეუფე სპირიდონის (აბულაძე) ინიციატივით „საქრისტიანო ქალაქი" ამოქმედდა მთიან აჭარაში – ხიჭაურში გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს აბუსერისძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტი და გიმნაზია.

ქრისტიანობა აჭარაში, უფლის ნებით, აღორძინება-აღდგომის გზას ადგას მართალს ქადაგებდა საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, აჭარამ უნდა მოაქციოს საქართველოო, რომ ბრძანებდა.

მაგრამ...

დღეს აჭარაში უკვე ბევრია ქრისტიანი.

თუ დაფიქრებულა ვინმე, როგორ ზრუნავენ თუმცა... ისლამის მესვეურნი პოზიციების შენარჩუნებისათვის?

ქართულად თარგმნილი ლიტერატურა შემოაქვთ და შემოაქვთ, ახალგაზრდები სასწავლებლად მიჰყავთ და მოლებს ამზადებენ, მეჩეთებს აშენებენ, სასწავლებლებს ხსნიან, მორწმუნეებს მატერიალურადაც ეხმარებიან და, რაც მიუტევებელია, დიდ ქალაქებში სწრაფად იზრდება თურქთა რაოდენობა, ეკონომიკურად ხომ ითვისებს თურქეთი აჭარას და არამარტო მას.

თურქეთის სახელმწიფო ზრუნავს აჭარაში ისლამზე, ჩვენი სახელმწიფო კი სულ უფრო მეტად მიდის დათმობებზე და თვალდახელშუა ილახება ქართული ზნე-ჩვეულებები, სულიერება.

უნდა ვიაროთ ჭეშმარიტი გზით!

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მეტი ძალისხმევა მართებს ჭეშმარიტი სარწმუნოების ხელშეწყობისა და ქართული, ქრისტიანული ტრადიციების განმტკიცების თვალსაზრისით.

ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ზესოფლის წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის ეკლესია

ქედის რაიონი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დემოკრატიას მთელ საბჭოთა კავშირში აეხსნა არტახები და რესპუბლიკების უმრავლესობაში თანდათან ღრმავდებოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. საქართველომ ყველას გაუსწრო, რადგან ეროვნულ გამოღვიძებას ცნობილი დისიდენტები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ სათავეში.

1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. მას შემდეგ 25 წელი გავიდა, მაგრამ არავის უნდა დაინახოს, რომ იმ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულეს თავად საქართველოს კომუნისტებმა. მათ ახალ მოძრაობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის შანსი დაინახეს და ხმა „მრგვალ მაგიდას" მისცეს.

რა თქმა უნდა, ასე ყველა არ მოქცეულა, მაგალითად აჭარაში კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტს სანახევროდაც არ ჩაუტარებია წინასაარჩევნო პროპაგანდა. ზოგიერთი ამბობს, ეგონათ, მაინც მოიგებდნენ და იმიტომო. გამჭრიახი გონება კი იმას დაინახავს, რის დანახვაც აუცილებელია.

მაშინ პარტიის ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე თამაზ აბულაძე იყო. მის ნაამბობს გეტყვით: ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც არჩევნებისთვის მზადებას მიეძღვნა, ერთ-ერთმა უმაღლესი თანამდებობის პირმა კატეგორიულად გაგვაფრთხილა: შეტევაზე გადასვლა და ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ და ტყუილად სალაპარაკო არავის მივცეთო.

ნიშნავს თუ არა ეს ნათქვამი ასპარეზის დათმობას? მგონი ნიშნავს.

ასეა თუ ისე, ამის შეფასებას დრო სჭირდება და ისტორია იტყვის სათქმელს. მთავარი ისაა, რომ რესპუბლიკის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა.

1991 წლის მარტში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები და რაიონებში და თემებში შეიქმნა საკრებულოები, როგორც საკანონმდებლო სტრუქტურები, პრეფექტურა კი გახდა აღმასრულებელი ორგანო.

ქედის რაიონის პრეფექტად დაინიშნა სანდრო ბერიძე, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს თამაზ ბერიძე. 8 ნოემბერს თ. ბერიძე გათავისუფლდა თანამდებობიდან და მის მაგივრად საკრებულომ აირჩია მზისა ნაკაშიძე.

1992 წლის 27 თებერვლიდან რაიონებში პრეფექტურა გაუქმდა და შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის სამსახური, მალე წარმომადგენლის თანამდებობაზე დაინიშნა მურად თურმანიძე.

1994 წელს წარმომადგენლის სამსახური შეიცვალა გამგეობის სამსახურით და პირველ პირს გამგებელი ეწოდა. ქედის პირველი გამგებელი გახდა რეზო მანველიძე.

1996 წლის ოქტომბრიდან ქედის რაიონის გამგებლად დაინიშნა ჯემალ გვარიშვილი.

მძიმე ვითარება იყო რაიონში, აღარც კოლმეურნეობები მოქმედებდა და აღარც საწარმოები, აღარც თამბაქოს გეგმა არსებობდა, აღარც ხილის. ოჯახებმა დაიბრუნეს მიწები, რომლებიც ადრე კოლმეურნეობებში გააერთიანეს, მაგრამ მარტო სიმინდით ცხოვრება შეუძლებელი იყო. აღარ იშოვებოდა ლამპის შუშა და საპონი, ელექტროდენი ხომ სანატრელი გახდა, ხელისუფლება მოსახლეობას ჭვავის ფქვილს ძლივს აწვდიდა, ხელფასები კი მიზერულ ხასიათს ატარებდა, რაიონის გამგებელს 97 ლარი ჰქონდა ხელფასი. ლარის შემოღებამდე კი ცხოვრება „გაკუპონდა" და სულის მოთქმაც ჭირდა – მასწავლებელი მთელ თვეს მუშაობდა და იმდენს იღებდა, მხოლოდ ერთხელ ძლივს თუ ჩავიდოდა ქალაქში და უკან დაბრუნდებოდა.

ამ დროს ყველას საქმიანობა თავგანწირვას უდრიდა, მაგრამ განსაკუთრებული გამძლეობა გამოიჩინეს პედაგოგებმა, სკოლები კვლავინდებურად მუშაობდა და

გაკვეთილები არ ცდებოდა.

1998 წლის 15 დეკემბერს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს ამირან ბეჟანიძე, გამგებლობას კი კვლავ განაგრძობდა ჯ. გვარიშვილი. 2003 წელს გამგებლის პირველ მოადგილედ დაინიშნა შოთა ბერიძე.

ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნება არ აღვნიშნო, რომ 90-იან წლებში რაიონის ხელისუფლების მუშაობა ხალხთან ურთიერთობის დალაგებით წარიმართებოდა, გაჭირვების მიუხედავად, არ ყოფილა საპროტესტო გამოსვლები, თანდათან ლაგდებოდა და გეგმაზომიერი ხასიათი ეძლეოდა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას.

ჯ. გვარიშვილმა უფრო სრულყო ურთიერთობა აჭარის ხელისუფლებასთან, რაიონში შეიქმნა მოსაკრებლების სისტემა და უფრო გააქტიურდა საქმიანობა. შეკეთდა აწჰესის სათავე ნაგებობა, აშენდა 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, კომპიუტერულ ბეჭდვაზე გადავიდა რაიონული გაზეთი, აშენდა ორცვის, მეძიბნის, ჯალაბაშვილების, გეგელიძეების სკოლები, საკონსერვო ქარხანა, რომელიც დღეს უმოქმედოდაა.

2004 წლის იანვრიდან ქედის რაიონის გამგებლად დაინიშნა ბიზნესმენი ელდარ დევაძე, პირველ მოადგილედ - შოთა ბერიძე, მოადგილეებად თემურ ბერიძე, ნოდარ ბარამიძე, ნური სალაძე.

2004 წლის მაისში საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად ძალადობრივად განდევნა აჭარის ხელისუფლება და რაიონებშიც შეიცვალა ხელისუფლება. 2004 წლის 12 მაისიდან ქედის რაიონის გამგებლად დაინიშნა დავით ტაკიძე, 13 მაისს განთვისუფლდნენ მოადგილეები და გამგებლის თანაშემწეებად დაინიშნენ ომარ ავალიანი, გოჩა ჟღენტი, ნაზიმ ფარტენაძე, ვაჟა ბოლქვაძე.

2004 წლის 18 მაისს ქედის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს საკრებულოს წევრი თამაზ დიასამიძე.

2005 წლის ივნისიდან ქედის რაიონის გამგებლად დაინიშნა ზურაბ ავალიანი. მისი მუშაობის დროს პირადი სახსრები ხმარდებოდა ავადმყოფებს და გაჭირვებულებს.

2006 წლის მარტიდან ქედის რაიონის გამგებლად დაინიშნა დავით გათენაძე, პირველ მოადგილედ ვაჟა ბოლქვაძე, მოადგილეებად ნაზიმ ფარტენაძე და დავით ტაკიძე.

2006 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

2006 წლის 2 ნოემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველმა სხდომამ ქედის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია ედნარ აბულაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ოქროპირ ბერიძე.

2010 წლის 30 მაისს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს არჩევნები.

17 ივნისის სხდომამ ქედის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ბადრი დიასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი ჯემალ შარაძე.

რაიონის საკრებულომ მუნიციპალიტეტის გამგებლად დაამტკიცა ირაკლი ბარამიძე, მოადგილეებად: ბადრი სურმანიძე, ოქროპირ ბერიძე.

2012 წლის 3 ოქტომბერს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლად დაინიშნა ვაჟა ბოლქვაძე.

2013 წლის 11 სექტემბერს რაიონის საკრებულომ ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლად დაამტკიცა დავით დუმბაძე. 2014 წელს ჩატარდა რაიონული არჩევნები. ამომრჩევლებმა რაიონის გამგებლად აირჩიეს დავით დუმბაძე, ახალმა საკრებულომ კი თავმჯდომარედ აირჩია ამირან ცინცაძე, მოადგილედ გურამ ანანიძე.

ახალ დროში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ახალი ცხოვრება. რაიონებში მოსახლეობას აქვს მიწა, რომელიც ვერაა ისე გამოყენებული, რომ ცხოვრებისათვის საკმარისი იყოს (ამას განაპირობებს მცირემიწიანობაც) ამიტომ მუშახელი თავისით ეძებს სამუშაოს. ამ მიზნით უფრო გამოყენებულია თურქეთის ჩაის და თხილის პლანტაციები.

სოფლის აღორძინებისათვის ჯერჯერობით ვერ შეიქმნა ეკონომიკური საფუძვლები. 1990 წლამდე არსებული სათესი ფართობი გატყევდა და სარეველებმა დაიკავა.

რაიონში გაუარესდა დემოგრაფიული მდგომარეობა, თუ 1984 წელს ქედის რაიონის სკოლებში სწავლობდა 4830 მოსწავლე, 2013 წლისათვის ქედის რაიონში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 2496 მდე, რაიონის 61 დაწყებითი სკოლიდან 15 სკოლაში პირველ კლასში ერთი მოსწავლეც არ სწავლობს. თუ 1984 წელს ქედის რაიონში დაიბადა 517 ბავშვი, 2013 წელს დაიბადა 236. რაიონის მოსახლეობის 20-25 პროცენტი წასულია სამუშაოდ ქალაქებში ან სხვა ქვეყნებში: თურქეთში, საბერძნეთში, რუსეთში და სხვა. მთავრობამ თუ მთიანი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე არ იზრუნა, სოფლებს დაცარიელება ემუქრება. მინერალური სასუქები გაძვირდა 1000-1200 პროცენტით, რამაც სოფლის მოსახლეობას მარცვლეული კულტურების მოყვანაზე ხელი ააღებინა, რის გამოც 50 პროცენტით შემცირდა მეცხოველეობაც.

როგორც მთელ ქვეყანაში, რაიონშიც ძნელად იკვეთება დადებითი ტენდენციები, მდგომარეობის გამოსწორების მცდელობა კი არასაკმარისია.

ამის მაგალითები არც ისე ბევრია. მე ჩამოვთვლი და მკითხველმა თავად შეაფასოს.

– ქედის ცენტრში აშენდა 20 ბინიანი სახლი.
– დასრულდა მდინარე აჭარისწყალზე 80 მეტრიანი ხიდი დოლოგნის საკრებულოში.
– დოლოგანში მდინარე აჭარისწყალზე აიგო დაკიდული ხიდი 70 მეტრი სიგრძის.
– მახუნცეთში აიგო საკონსერვო ქარხანა
– სოფელ გეგელიძეებში 2002 წელს აშენდა კაპიტალური სკოლის შენობა.

– 2004-2012 წლებში გაკეთდა მინი სპორტული მოედანები: ზედა მახუნცეთში, ზედა ბზუბზუში, ნამლისევში, უჩხითში, აწჰესში, პირველ მაისში, ცხემნაში, ძენწმანში, ორცვაში, ზენდიდში, გულებში, აქუცაში, დაბა ქედაში, აკავრეთაში, დაბა ქედის ეკნარას უბანში, ოქტომბერში, აგოთაში, მერისში, ვაიოში, ზვარეში, კვაშტაში, წონიარისში, სოფელ ცხმორისში, ახოში, დანდალოს ცენტრში, ტაკიძეებში, დანდალოში, გოგიაშვილებში.

– აშენდა დაწყებითი სკოლები: ნამონასტრევში, გარეტყეში, სილიბაურში, სიხალიძეებში, ინაშარიძეებში, გულებში, აქუცაში, ქოსოფელში, ვარჯანისში, აბუქეთაში.

– 2009 წელს აშენდა სპორტული დარბაზი, 2010 წელს - საჭიდაო დარბაზი, 2012 წელს აშენდა კორტები და ფრენბურთის მოედანი, ჩაუტარდა რემონტი ფეხბურთის მოედანს.

– აშენდა ამბულატორიები: წონიარისში, ზვარეში, პირველ მაისში, ჩაუტარდა რემონტი ამბულატორიებს მერისში, ოქტომბერში, აწჰესში, ცხმორისში და დანდალოში. – 2012 წელში აშენდა 25 – საწოლიანი ქედის საავადმყოფო. – 2009 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 18 კმ. სიგრძის ქედა-ღარათის წყალსადენი, – 2007 წელს შეიცვალა ქედის წყალსადენის შიგა ქსელი.

– აშენდა ახალი სკოლები: უჩხითში, კოლოტაურში, გეგელიძეებში, ჯალაბაშვილებში, ორცვაში. ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი დოლოგნის, ქედის, მერისის, პირველი მაისის, სოფელ ცხმორისის, ცენტრი ცხმორისის, ზვარის, ვაიოს, წონარისის, გოგიაშვილების, ხარაულის, დანდალოს სკოლებს. – 2012 წელს 8,5 კილომეტრზე ასფალტის საფარი დაიგო ქედა-მერისის სამანქანე გზაზე. გზების მოასფალტება მიმდინარეობს ყველა სოფელში.

2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით დაიგო 16 კმ ასფალტის და 22 კმ ცემენტის საფარი სასოფლო გზებზე. შერემონტდა და სახელმწიფოს გადაეცა 44 სარწყავი არხი.

2014 წელში აშენდა ღვინის ქარხანა, ხოლო 2015 წელს ხილის გადამამუშავებელი ქარხანა.

2016 წელს ქედის ცენტრში მდინარე აჭარისწყლის ორივე ნაპირზე გაკეთდა ნაპირსამაგრი კედლები. ხოლო მდინარე აკავრეთას მარჯვენა სანაპიროზე სკვერის მიმდებარედ ჩამოისხა ნაპირსამაგრი კედელი.

ქედის ჰაიონის პრეფექტი და ბამბებლები 1991-2016 წლებში

სანდრო ბერიძე

მურად თურმანიძე

რეზო მანველიძე

ჯემალ გვარიშვილი

ელდარ დევაძე

დავით ტაკიძე

ზურაბ ავალიანი

დავით გათენაძე

ირაკლი ბარამიძე

ვაჟა ბოლქვაძე

დავით დუმბაძე

ქედელები საქვეყნო ასპარეზზე

ასლან აბაშიძე

ასლან ბაშიძე დაიბადა 1958 წლის 18 ნოემბერს ქედის რაიონის სოფელ ცხემნაში, წარჩინებით დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა..

1985 წელს დაამთავრა მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის ფაკულტეტი „საერთაშორისო სამართლის" სპეციალობით. პარალელურად მიიღო ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე მთარგმნელის დიპლომი. 1988 წელს დაამთავრა ასპირანტურა, საერთაშორისო სამართლის კათედრაზე. 1992 წელს შვედეთში ლუნდის უნივერსიტეტში გაიარა მაგისტრატურა და მიიღო საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი.

ასლან აბაშიძემ 1988 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1997 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „უმცირესობათა დაცვა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით".

1988 წლიდან დღემდე მუშაობს პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში ასისტენტ-დოცენტად, 1997 წლიდან – პროფესორად, 2011 წლიდან ამ უნივერსიტეტის საერთაშორისო კათედრის გამგეა. 2011 წლიდან არის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი.

ასლან აბაშიძის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მისი შრომები გამოქვეყნებულია რუსეთში, ინგლისში, აშშ-ში, ფინეთში, საბერძნეთში, იტალიაში, სერბეთში, სომხეთში, საქართველოში და ყაზახეთში.

ასლან აბაშიძე ლექციებით გამოვიდა ნორვეგიის, ფინეთის, საბერძნეთის, ყაზახეთის, იტალიის, უნივერსიტეტებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 40-ზე მეტი დისერტაცია.

ასლან აბაშიძე 2001-2006 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომისიის ექსპერტის თანაშემწეა. 2012 წლის მაისში არაარჩიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სახელშეკრულებო ორგანოს წევრად, კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოიცა ავტორიტეტული დამხმარე სახელმძღვანელოები.

თამაზ ავალიანი

თამაზ ავალიანი დაიბადა 1956 წლის 3 აპრილს ქედის რაიონის სოფ. დანდალოში. 1963-1973 წლებში სწავლობდა სოფ. გოგიაშვილების საშუალო სკოლაში. 1974-1980 წ.წ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. 1980-1985 წ.წ. მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის აფთიაქის მმართველად, 1985-1986 წ.წ. ქ. ბათუმის №7 აფთიაქის მმართველი იყო. 1986-1987 წ.წ. ქ. ბათუმის საავადმყოფოთაშორისო სააფთიაქო გაერთიანების მმართველია. 1987-1992 წ.წ. აჭარის მისტრთა საბჭოსთან არსებული სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილეა, საიდანაც დააწინაურეს აჭარის ა/

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ რესპუბლიკური სააფთიაქო სამმართველოს დირექტორად. პარალელურად მუშაობდა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად. 1997-2001 წ.წ. მის მიერვე დაფუძნებული შპს „ვიტაფარმის" გენერალური დირექტორია. 2002-2005 წ.წ. აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარე. 2005 წლიდან დაბრუნდა შპს „ვიტაფარმის" გენერალურ დირექტორად, სადაც მუშაობს დღემდე. პარალელურად მუშაობს აგრეთვე, ინფექციურ სნეულებათა შიდსისა და ტუბერკულიოზის რეგიონალურ ცენტრში.

ჰყავს მეუღლე, 4 შვილი და 5 შვილიშვილი.

ამირან ანანიძე

დაიბადა 1922 წლის 15 მარტს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.

სოფელ ცხმორისის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს, სწავლა დაიწყო ქედის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს და ჩაირიცხა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც სწავლობდა 1945 წლამდე. 1947-1954 წლებში სწავლობდა შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, 1968 წელს კი დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

1942-1943 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის არასრულ საშუალო სკოლაში მასწავლებლად და კოლმეურნეობაში მოანგარიშედ, 1945-1950 წლებში საქართველოს ალკკ ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად, 1950 წლის აპრილიდან 1950 წლის სექტემბრამდე–საქ. კპ ბათუმის რაიკომის მდივნად, 1950-1952 წლებში საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგის მოადგილედ, 1952-1957 წლებში – საქ. კპ ბათუმის რაიკომის მეორე მდივნად, 1957 წლის იანვარ-დეკემბერში ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1957-1962 წლებში მუშაობდა საქრთველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივნად, 1963-1965 წლებში ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1965-1980 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, 1980-1986 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ და აჭარის პროფსაბჭოს მდივნად, 1986 წლიდან პენსიაზე გასვლამდე – აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად და საწარმოო - მასობრივი მუშაობისა და ხელფასების განყოფილების გამგედ.

დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით - 3-ჯერ, 1959-1975 წლებში არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს V, VI,VII, VIII და IX მოწვევის დეპუტატად, სხვადასხვა დროს არჩეული იყო ბათუმის, ქედისა და ქობულეთის რაიონული საბჭოს დეპუტატად, 1967, 1971 და 1976 წლებში დაჯილდოვდა სსრ კავშირის მიღწევათა გამოფენის ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 მარტის და 1972 წლის 18 მაისის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 16 თებერვლის, 1987 წლის 27 აპრილის ბრძანებებით დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით.

ა. ო. ანანიძე იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, გარდაიცვალა 1993 წელს.

ჯემალ აღექსანდრეს ძე ანანიძე

დაიბადა 1968 წლის 13 იანვარს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.

1985 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა გორის ეკონომიკის ინსტიტუტში, 1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, 1988 წელს სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1992 წელს ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

1992-1994 წლებში მუშაობდა გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში მასწავლებლად, 1994-1995 წლებში აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განყოფილების უფროსად, 1995-1997 წლებში საქართველოს სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ ეკონომიკის დარგში, 1997 წლიდან მუშაობა განაგრძო აჭარის არ ფინანსთა სამინისტროში განყოფილების უფროსად, 2005 წლიდან კი ამავე სამინისტროში დეპარტამენტის უფროსად, 1995 წლიდან 2005 წლამდე პარალელურად მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად.

2003 წელს დაამთავრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილება.

2007-2010 წლებში მუშაობდა ქალაქ ბათუმის მერიაში საფინანსო სამსახურის უფროსად.

2010 წლიდან ქ. ბათუმის ვიცე-მერია, 2011-2012 წლებში – მერი.

2015 წლიდან არის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ჯემალ ხეზოს ძე ანანიძე

დაიბადა 1960 წლის 11 აგვისტოს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.

1977 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლა.

1982 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტი.

1982-1983 წლებში მუშაობდა ქედის აგროსამრეწველო გაერთიანებაში უფროს მშენებელ ინჟინრად, 1983-1984 წლებში იქვე საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების გამგედ, 1984-1989 წლებში ქედის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ ეკონომიკისა და დარგთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით, 1989-1990 წლებში – საქ. კპ ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, 1990-1994 წლებში იყო ქედის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე, 1994-1997 წლებში აჭარის კონტროლის პალატის მთავარი ინსპექტორი, 1997-2000 წლებში მუშაობდა აჭარის კონტროლის პალატის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 2000-2007 წლებში აჭარის კონტროლის პალატის სამმართველოს უფროსად, 2007 წლიდან მუშაობს ბათუმის შ. რუსთაველ-

ლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია, მიენიჭა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი, აგრარული ეკონომიკის სპეციალობით.

2011 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წამყვანი განყოფილების გამგედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ამირან აღექსანდრეს ძე ანანიძე

ამირან ანანიძე დაიბადა 1964 წლის 8 თებერვალს, სოფელ ცხმორისში, 1981 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლა.

1982-1986 წლებში სწავლობდა ქალაქ ალმა-ატის ფელიქს ძერჟინსკის სახელობის სახელმწიფო უმაღლეს სასაზღვრო სამეთაურო სასწავლებელში.

1986-1997 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის მე-10 სასაზღვრო რაზმის „ხიჭაურის სახელმწიფო სასაზღვრო ნაწილში" სხვადასხვა თანამდებობაზე.

1995 წლიდან სწავლობდა სამხედრო აკადემიაში და ოჯახური პირობების გამო 1996 წელს შეწყვიტა სწავლა.

1998-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს სასაზღვრო რაზმის „ლაგოდეხის", მეთაურად, რომელიც აკონტროლებდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 250 კილომეტრიან მონაკვეთს.

2003-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, ცენტრალურ აპარატში – სხვადასხვა თანამდებობაზე.

2009 წელს მონაწილეობდა ყაზახეთის საბრძოლო ხელოვნებათა რესპუბლიკური კავშირის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში ქ. ასტანაში. ეს ორგანიზაცია ცნობილია საერთაშორისო ევრაზიული სტატუსით, რომელშიც გაერთიანებულია 12 ქვეყანა.

2009-2013 წლებში იყო პატიმრობაში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ყალბი ბრალდებით.

ამჟამად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ქ. ალმაატაში.

დაჯილდოებულია რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების მიერ მხედრული მამაცობისათვის.

პეტრე ახძენაძე

დაიბადა 1944 წლის 20 იანვარს სოფელ დანდალოში, სწავლობდა დანდალოს 7 - წლიან, გოგიაშვილებისა და ცხმორისის საშუალო სკოლებში. 1961 წელს სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1963-1967 წლებში მსახურობდა შავი ზღვის საზღვაო სამხედრო ფლოტში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა ბათუმის ციტრუსკომბინატში სხვადასხვა თანამდებობებზე: კადრების უფროსად, დირექტორის მოადგილედ. 1990-1998 წლებში იყო ამავე კომბინატის ბაზაზე შექმნილი აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატის გენერალური

დირექტორი. შემდეგ სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ. ინსტიტუტი რეორგანიზაციის გამო შეუერთდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს ამავე უნივერსიტეტში სამეურნეო ნაწილის უფროსად. ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი.

პეტრე არძენაძე, სადაც კი მუშაობდა, ყველგან სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით – მიღებული აქვს მთავრობის არაერთი სიგელი და ჯილდო, ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილი თვისებებით – განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჰქონდა აჭარის მთიანეთის მოსახლეობასთან. ყოველთვის ეხმარებოდა გასაჭირში მყოფთ, ხელს უწყობდა ხილისა და სხვა ნაშრომ-ნაამაგარის მიღება-ჩაბარებაში და ბევრი ადამიანი კეთილად, სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს არძენაძეების საგვარეულოში. არის ამ საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

პეტრე არძენაძე დღესაც მზადაა კარგი ურთიერთობისა და დახმარებისათვის. ამიტომაც უყვართ, აფასებენ. ბათუმელები მას მიიჩნევენ კოლორიტულ პიროვნებად, ასე იცნობენ მას ქედაში და მთლიანად აჭარაში.

ილია შიხინის ძე ახძენაძე

დაიბადა 1944 წლის 24 ოქტომბერს, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში. 1963 წელს დაამთავრა ქედის რაიონის სოფელ გოგიაშვილების საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილების კოლმეურნეობაში აგრონომად.

1969-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, მეორე მდივნად და პირველ მდივნად. 1976-1980 წლებში – სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1980-1986 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორად.

1986 წლის ნოემბრიდან აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ. 2006 წლიდან – სოფლის მეურნეობის, მსუბუქი კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის ბიუროს წევრად. ქედის რაიონული საბჭოს დეპუტატად. საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. აჭარის პროფესიული კავშირების საბჭოს მდივნად და პრეზიდიუმის წევრად. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების გამგეობის წევრად.

გიორგი ასამბაძე

გიორგი დავითის ძე ასამბაძე დაიბადა 1937 წელს ქედის რაიონის სოფელ ქედაში.

1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნიკოსის სპეციალობით, 1976 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

1958-1961 წლებში გ. ასამბაძე მუშაობდა თბილისის №2 ავტოშემკეთებელ ქარხანაში საამქროს ოსტატად.

1961-1973 წლებში – აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსად.

1973-1974 წლებში – საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის №4 ავტოტრესტის მმართველად.

1974-1992 წლებში გ. ასამბაძე მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად, შემდეგ აჭარის ა.რ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

1992-2000 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის სასტუმრო „მედეას" დირექტორად.

გ. ასამბაძემ ყველგან გამოიჩინა თავი, როგორც საქმისმოყვარე, ქვეყნისა და ერის ერთგულმა პიროვნებამ.

გ. ასამბაძემ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1990-1991 წლებში დაპირისპირების დროს ცხინვალის რეგიონში. მას დაეკისრა იქ დისლოცირებული ქართული საჯარისო ფორმირებების სარდლის მოადგილეობა, რომლის დროსაც მოუხდა არაერთი სიცოცხლისათვის საშიში ოპერატიული ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება.

ვლადიმერ ბალაძე

ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ ბალაძის ბიოგრაფიას ამშვენებს ჩვენი ქვეყნის უპირველეს ეროვნულ საგანმანათლებლო კერაში-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დიდი ეროვნული მისიის მქონე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლები. ის ამ ორი უნივერსიტეტის ერთგული და თავდადებული მსახური გახლავთ.

ვ.ბალაძე დაიბადა 1952 წლის 9 აგვისტოს ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში, დიდი ქართული ტრადიციების მქონე მრავალშვილიან ოჯახში. შრომისმოყვარეობით შექმნილმა გარემომ დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე. იგი, გეგელიძეების რვაწლიანი და ცხმორისის საშუალო სკოლების უაღრესად წარმატებული მოსწავლე, 1969 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო 1976 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების ასპირანტი. აქ, ამ ორ უდიდეს, მსოფლიო აღიარების მქონე მათემატიკურ ცენტში ეზიარა არითმეტიკის საიდუმლოებებს და შემდგომში გახდა ქართული მათემატიკური სკოლის ერთერთი ღირსეული წევრი, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით მის სამეცნიერო ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს-საქვეყნოდ აღიარებულ

მათემატიკოსს, ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ მათემატიკოსს, პროფესორ ლაზარე ზამბახიძეს.

პროფ. ვ.ბალაძე 1977-2005 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე, 1991-2005 წლებში კი შეთავსებით იწყებს მოღვაწეობას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე.

პროფ. ვ.ბალაძის ერთერთ თვასაჩინო მიღწევად ითვლება თბილისის უნივერსიტეტში ტოპოლოგიის იმ სალექციო კურსის წაყვანა, რომელსაც აკად. გიორგი ჭოღოშვილი კითხულობდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ასევე საამაყოა, რომ ვ.ბალაძე არის ტოპოლოგიაში ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოს ავტორი.

პროფ. ვ.ბალაძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, არის ავტორი ასამდე ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ცნობილ სამამულო და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. იგი მოხსენებებით გამოვიდა ორმოცამდე საერთაშორისო მათემატიკურ ფორუმზე.

პროფ. ვ.ბალაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეომეტრიული ტოპოლოგიის განვითარებაში საქართველოში, შექმნა ბათუმის გეომეტრიული ტოპოლოგიის სკოლა. მისი ეს მიღწევა ითვლება ბათუმის უნივერსიტეტის ერთერთ მნიშვნელოვან წარმატებად. ვ.ბალაძის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ა.ბერიძე, ლ.თურმანიძე, გ.ივანაძე, მ.ძაძამია, რ.ცინარიძე და ზ.გიორგაძე წარმატებით აგრძელებენ მათი მასწავლებლის და სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ გეომეტრიულ ტოპოლოგიაში დაწყებულ კვლევებს.

პროფ. ვ.ბალაძის მცდელობით და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მხარდაჭერით ბათუმის უნივერსიტეტი იქცა საერთაშორისო მათემატიკური ფორუმების ცენტრად. აქ ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო მათემატიკური კონფერენცია.

ვ.ბალაძე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეა. იგი 2005-2006 წლებში იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის – რექტორის მოადგილე სასწავლო-აკადემიურ დარგში, 2006-2007 წლებში რექტორი, 2008 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტს.

ქართული სამეცნიერო საზოგადოება თვლის, რომ განსაკუთრებულია ვ.ბალაძის ღვაწლი ბათუმის უნივერსიტეტის წინაშე. იგი, როგორც რექტორი, წინ აღუდგა რეფორმების არასწორ კურსს, განუწყვეტლივ იბრძოდა სწავლებისა და კვლევის დონის ამაღლებისთვის, ყოველთვის იყო უნივერსიტეტის, პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების ინტერესების დამცველი. უნივერსიტეტის ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდში, 2007 წლის 8 ნოემბერს, თავის თანამებრძოლებთან ერთად იდგა სტუდენტების გვერდით, იბრძოდა მათ გადასარჩენად და გამოხატავდა მათდამი მხარდაჭერას.

გასაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ვ.ბალაძე ქართული სახელმწიფოს ყველაზე მძიმე პერიოდში, 1991-2005 წლებში ერთდროულად მუშაობდა პროფესორის სრულ თანამდებობებზე თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში, ასრულებდა დიდ პედაგოგიურ დატვირთვას და ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. იშვიათია ასეთი თავდადება და ერთგულება. ამიტომაც ვ.ბალაძეს ღირსეული ადგილი უჭირავს იმ ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებიც ერთდროულად მოღვაწეობდნენ თბილისისა და ბათუმის უმივერსიტეტებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათ განვითარებაში.

მრავლისმთქმელია პროფ. ვ.ბალაძის ეროვნული პოზიცია:

"მე არ წავედი სამუშაოდ უცხოეთის უნივერსიტეტებში, მაგრამ დიდი სიამოვნებით წამოვედი სამუშაოდ ბათუმის უნივერსიტეტში. ხშირად მეკითხებიან რატომ არ ვბრუნ-

დები თბილისის უნივერსიტეტში, რაზეც ვპასუხობ, მე ჩემს ქვეყანას და ქართველ ერს დღეს ყველაზე მეტად აქ, აჭარაში ვჭირდები.

ჭეშმარიტად ასეა. საპატიო ქედელი იქ დგას, სადაც თავის უძველეს ქართულ მხარეს-აჭარას სჭირდება"

ბატონ ვლადიმერ ბალაძეს და მის მეუღლეს ქალბატონ დიდარი ცინცქილაძეს აქვთ ლამაზი და ბედნიერი ქართული ოჯახი, ჰყავთ სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი, რომელთაც ძალიან უყვართ ბებია და ბაბუა და ეამაყებათ მათით.

გიორგი ბასილაძე

გიორგი მურთაზის ძე ბასილაძე დაიბადა 1951 წელს დაბა ქედაში, დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა. 1967-1973 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1973-1974 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მცენარეთა დაცვის აგრონომად. 1974-1975 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, 1975-1976 წლებში – აჭარის არ მცენარეთა დაცვის სადგურის უფროს აგრონომად. 1976 წლის ივნისიდან 1976 წლის დეკემბრამდე მუშაობდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად. 1976-1979 წლებში – კომკავშირის ქედის რაიკომის პირველ მდივნად. 1979 წლიდან 1981 წლამდე – პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად. 1981 წლიდან 1987 წლამდე – პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1987 წლის დეკემბრიდან 1991 წლის აპრილამდე მუშაობდა აჭარის ა.რ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების დაცვის და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსად. 1992-2003 წლებში – აჭარის ა.რ. ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ. 2003-2004 წლებში გ. ბასილაძე შ.პ.ს,,ბაკურის" აპარატის უფროსია, 2004-2005 წლებში შ.პ.ს,,საქართველოს რკინიგზის" კადრების სამსახურის უფროსის მოადგილეა. 2005-2006 წლებში შპს,,საქართველოს რკინიგზის" კადრების სამსახურის ადამიანთა რესურსების მართვისა და ადმინისტრირების განყოფილების უფროსი. გ. ბასილაძე დღემდე შ.პ.ს „ბ.თ. მშენებლის" დირექტორის თანაშემწეა, დამთავრებული აქვს ქ. ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა.

ნოდარ ბასილაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ბასილაძე დაიბადა 1936 წლის 18 ოქტომბერს, ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში. მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო უჩხითის არასრულ საშუალო სკოლაში, 1954 წელს კი დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა, მოიხადა სავალდებულო სამხედრო ბეგარა და 1958 წელს შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე.

იყო წარჩინებული სტუდენტი. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა წრეობრივი და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. IV კურსზე სანიმუშო სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის დაენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. ზაფხულის არდადეგების დროს თითქმის ყოველწლიურად მუშაობდა საზაფხ-

ულო საწამოო ბრიგადების შემადგენლობაში. პრაქტიკული მონაწილეობა აქვს მიღებული ქალაქ ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატის, სახელმწიფო ცირკის და არაერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში.

1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მიენიჭა საშუალო სკოლის რუსული ენის, ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. აქედან მოყოლებული 1975 წლამდე მუშაობდა ამ საგნების მასწავლებლად ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტი) სოფელ ინწკირვეთის, ქედის რაიონის უჩხითის, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საშუალო და ამავე რაიონის სოფელ ინჯალოსა და ქობულეთის რაიონის სახალვაშოს 8-წლიან სკოლებში.

1969-1970 სასწავლო წელს ნოდარ ბასილაძე მიიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებლად,მისი ლექტორის,დოცენტ მარია მიკულინსკაიას ნაცვლად,რომელიც დოქტორანტურაში იმყოფებოდა. კითხულობდა ლექციებს რუსულ ენაზე პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში. მ. მიკულინსკაიას დაბრუნების შემდეგ 1979 წლამდე მუშაობდა ამავე პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე საათობრივი ანაზღაურების წესით. 1970 წლიდან 2000 წლამდე ასწავლიდა გერმანულ ენას ინსტიტუტთან და შემდეგ უნივერსიტეტთან არსებულ აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე. არაერთხელ იყო უცხოური ენების მისაღები გამოცდების კომისიის წევრი და თავმჯდომარე.

1973 წლის მარტში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის პედაგოგიკის მეთოდისტად, 1976 წლიდან 1979 წლამდე კი – აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის მეთოდური კაბინეტის გამგედ, სადაც უნარიანად ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და გურიის რაიონების, ასევე ქალაქ ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელ მუშაკთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, კითხულობდა მათთან ლექციებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

ნოდარ ბასილაძე 1979 წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, 1990 წლიდან, ინსტიტუტის უნივერსიტეტად რეორგანიზაციის შემდეგ, პედაგოგიკის კათედრის, შემდეგ კი დეპარტამენტის დოცენტად, ხოლო 2009 წლიდან – სრულ პროფესორად. ექვსი წლის განმავლობაში ასრულებდა პედაგოგიკის კათედრის გამგის მოვალეობას. ამჟამად არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.

1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2006 წელს – სადოქტორო, თემაზე: „ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა“ და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. არის ფართო დიაპაზონის მეცნიერი და აღიარებული პედაგოგი. საქართველოში იგი პირველია, რომელმაც თავისი სადისერტაციო ნაშრომები მიუძღვნა XX საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას. თავის დისერტაციებში და სამეცნიერო ნაშრომებში ნოდარ ბასილაძემ დაასაბუთა, რომ ვ. სუხომლინსკიმ, საბჭო-

თა პედაგოგებს შორის პირველმა, დასვა საკითხი საბჭოთა განათლების იმპერატიული სისტემის ჰუმანიზმის რელსებზე გადაყვანის შესახებ.

ნ. ბასილაძემ 1988 წელს გაიარა უმაღლესი სკოლების ლექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც პროფ. გიორგი საყვარელიძის ხელმძღვანელობით შეასრულა სამეცნიერო ნაშრომი „ვ. ა. სუხომლინსკი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ“, რომელმაც კურსების მსმენელთა და ლექტორთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ნ. ბასილაძე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. ავტორია 126 სამეცნერო ნაშრომისა. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი წიგნი, რომელთა შორის არის 8 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო და 5 თარგმნილი წიგნი. გარდა ამისა, იგი ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური წერილის, სტატიის, რეცენზიის.

ნ. ბასილაძის კვლევის ძირითადი ობიექტია ქართული პედაგოგიკის ისტორია და XX საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელსაც მიუძღვნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ასევე 5 მონოგრაფია და 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის მოსკოვისა და კიევის სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალსა და კრებულში.

მისი წიგნებიდან გამოირჩევა ვრცელი მონოგრაფია ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა“ (სადოქტორო დისერტაცია), „ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ.ა.სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“ (საკანდიდატო დისერტაცია), „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981 წ.წ.)“, ‘ლექციების კურსი პედაგოგიკაში“, „ჰუმანიზმის პედაგოგიკა“, „ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან“, „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის“, „ოჯახი და ბავშვის აღზრდა“, „პიროვნების განვითარება და თვითაღზრდა“, „ქართული პედაგოგიკის ისტორია“, „პედაგოგიკური კვლევის მეთოდები“, „ერისა და ქვეყნის მსახურნი“, „უჩინარი მხვნელ-მთესველნი გონებრივი ყანისა“ და სხვები. გამოცემული აქვს ასევე მონოგრაფიები ილია ჭავჭავაძისა და ნოდარ დუმბაძის პედაგოგიკურ შეხედულებებზე. ავტორია გამოკვლევებისა რაბინდრანათ თაგორის, იანუშ კორჩაკის, სენტ-ეგზიუპერის, ანტონ მაკარენკოს, ლევ ტოლსტოის, ბესარიონ ბელინსკის, ლუარსაბ ბოცვაძის, დიმიტრი უზნაძისა და სხვათა პედაგოგიკურ მემკვიდრეობებზე.

ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ნოდარ ბასილაძე კარგად უხამებს მთარგმნელობით მუშაობას. 2008 წელს გამოვიდა მის მიერ გერმანული ენიდან თარგმნილი იუმორისტული მოთხრობების კრებული „მუსიკა მეზობლის ოთახიდან“ და რუსულიდან თარგმნილი ვასილ სუხომლინსკის პოპულარული წიგნი „წერილები შვილებს“, 2009 წელს – ალექსეი დოროხოვის „როგორ მოვიქცეთ (საუბარი თავაზიანობასა და ქცევის წესებზე)“, ხოლო 2014 წელს – რუსული და გერმანული ენებიდან თარგმნილი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი მოთხრობების კრებული „პატიოსანი სიტყვა“. ამავე წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „გულის კარნახით“.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, ნოდარ ბასილაძე კითხულობდა ლექციებს გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში, ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში. აქტიურად მონაწილეობდა საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სესიებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო

შემდეგ უნივერსიტეტის პედაგოგიური საზოგადოების პირველად ორგანიზაციასა და ზნეობრივი აღზრდის საინსტიტუტო კომისიას; იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, 1970 წლიდან მის გაუქმებამდე საზოგადოება „ცოდნისა“ და მშობელთა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი. ხშირად გამოდიოდა აჭარისა და საქართველოს რადიოთი მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე. ამჟამად არის ბათუმის უნივერსიტეტის პედაგოგიკის სადისერტაციო საბჭოს წევრი. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სტუდენტებსა და კოლეგებში. საზოგადოებაში.

ნოდარ ბასილაძე სისტემატურად ამზადებს სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებში მონაწილეობისათვის.

ნ. ბასილაძეს დიდი წვლილი მიუძღვის სტუდენტთა აღზრდაში. როგორც აღზრდის სპეციალისტი, ასწავლის მათ პატიოსნებას, გულწრფელობას, ალალმართლობას, სიტყვისკაცობას. სიმართლე და პატიოსნება არის მისი ცხოვრების ქვაკუთხედი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და რეკომენდაციით მეცნიერებაში გაიკვლია გზა არაერთმა ახალგაზრდამ, რომლებიც დღეს უკვე აღიარებული პროფესორები, მკვლევარები არიან და წარმატებით განაგრძობენ მუშაობას სხვადასხვა დაწესებულებაში, მათ შორის – უმაღლეს სასწავლებლებში. ბევრმა მისმა ყოფილმა სტუდენტმა თავისი შემდგომი პედაგოგიური მოღვაწეობის სფეროდ პედაგოგიკის მეცნიერება აირჩია. მარტო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში ამჟამად სამი მისი ყოფილი სტუდენტი არის პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა სტუდენტმა დაიცვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი. იყო რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ექსპერტი და ოპონენტი (შემფასებელი). ამჟამად არის ერთი დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი და ერთის თანახელმძღვანელი, მრავალი წიგნის რეცენზენტი და რედაქტორი, ენციკლოპედია „აჭარის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ ფორუმსა და კონფერენციაში, დაჯილდოვებულია ღირსების მედლით, აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის საპატიო სიგელებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ჯემალ ბერიძე

ჯემალ ქაზიმის ძე ბერიძე დაიბადა 1930 წლის 29 აპრილს ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში.

ჯემალ ბერიძემ დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის ოთხკლასიან სკოლაში. 1941 წელს სწავლა განაგრძო ქედის საშუალო სკოლაში. რომლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ შევიდა ქედის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. მესამე კურსის დამთვარების შემდეგ გადავიდა მახუნცეთის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასში.

ჯემალ ბერიძემ 1948 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, 1953 წელს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის სახ-

ელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასისტენტად.

1955 წელს ჩაირიცხა მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, საიდანაც სადირსეტაციო ნაშრომის შესრულებისათვის მივლინებული იყო მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულური სპექტროსკოპიის ლაბორატორიაში. 1959 წლის ნოემბრიდან დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის ხსნარების ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სინათლის გაბნევის შესწავლა ორგანული საკითხების ბინალურ ხსნარებში". 1962 წლიდან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე.

1983 წლიდან ჯემალ ბერიძე მუშაობს სასწავლო და სამეცნიერო დარგების, ხოლო 1986 წლიდან სამეცნიერო დარგის პრორექტორის თანამდებობაზე. 1990 წლიდან შეთავსებით მუშაობდა ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგედ.

ჯემალ ბერიძემ 1986 წლის ოქტომბერში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სინათლის გამბნევი არხის ოპტიკა და მისი გამოყენება ფიზიკა-ქიმიური ამოცანებისათვის". 1988 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ჯემალ ბერიძეს გამოქვეყნებული აქვს 95 ნაშრომი.

ხეზო ბერიძე

დაიბადა 1949 წლის 22 სექტემბერს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში.

ცხმორისის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში, რომელიც 1966 წელს დაამთავრა ოქროს მედალზე.

1966-1968 წლებში მუშაობდა ცხმორისის კოლმეურნეობაში, 1968-1970 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მიიღეს სკკპ რიგებში, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა განაგრძო ცხმორისის კოლმეურნეობაში.

1971 წელს ჩაირიცხა და 1975 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა საკავშირო უმაღლესი კომკავშირული სკოლა ქალაქ მოსკოვში, სადაც 2-ჯერ იყო არჩეული პარტიული კომიტეტის მდივნად.

1982 წელს ჩაირიცხა და 1986 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქ. სოხუმში, აგრონომის სპეციალობიოთ.

1975-1976 წლებში მუშაობდა საქ. ალკკ ქედის რაიკომის მდივნად, 1976 წლის თებერვლიდან იმავე წლის ივლისამდე მუშაობდა საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, 1976 წლის ივლისში გადაიყვანეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად, სადაც მუშაობდა 1977 წლის იანვრამდე, 1977 წლის იანვრიდან იმავე წლის ოქტომბრამდე მუშაობდა საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1977 წლის ოქტომბრიდან 1984 წლის 28 დეკემბრამდე – საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1984 წლის დეკემბერში აირჩიეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივნად, 1992 წლის ივნისში კი საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, საიდანაც 1995 წლის 23 ოქტომბერს გათავისუფლდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

რ. ქ. ბერიძე იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, საკავშირო ალკკ XXVII ყრილობის დელეგატი, არჩეული იყო აჭარის არ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად, 2-ჯერ იყო არჩეული საქართველოს კომპარტის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად და საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

რეზო ქაზიმის ძე ბერიძე გარდაიცვალა 1997 წელს.

სანდრო ბერიძე

პოეტი სანდრო ბერიძე დაიბადა 1957 წლის 8 მარტს ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში.1975 წელს დაამთავრა ხარაულის საშუალო სკოლა. 1983 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ქედის რაიონის გაზეთ „კოლმეურნის" განყოფილების გამგედ, იყო აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, ქედის რაიონის პრეფექტი.

სანდრო ბერიძეს გამოცემული აქვს ლექსების წიგნები: „ძოწისფერი გვირილები", „თეთრი ქორწილი", „სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერები", „ჰოდა იმას ვამბობდი", „უფლის ოქროს ჭურჭელი", ლიტერატურულ კრიტიკული წერილები „უნაპირო ხილვები". მუშაობდა აჭარის საარქივო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. ამჟამად მუშაობს ჟურნალ „ჭოროხის" რედაქტორად. მიღებული აქვს ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემია.

მერაბ ბერიძე

მერაბ ბერიძე დაიბადა 1929 წლის 15 იანვარს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში.



მერაბ ბერიძემ დაამთავრა ბათუმის №3 საშუალო სკოლა, 1949 წელს დაამთავრა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში. 1951 წელს აირჩიეს ბათუმის ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. 1953 წელს გადაიყვანეს საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, ხოლო 1955 წლიდან – საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

მერაბ ბერიძემ 1961 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ენა-ლიტერატურის სპეციალობით და 1961-1963 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1966 წელს დაამთავრა მოსკოვის საზოგადოებათმცოდნეობის აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტი, აქვე დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1966 წლიდან მერაბ ბერიძე მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგედ, პარალელურად – ბათუმის პედაგოგიური ინ-

სტიტუტის ისტორია- ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და კითხულობდა ლექციებს რუსულ ენა-ლიტერატურაში დოცენტის წოდებით.

მერაბ ბერიძეს 1998 წლის იანვარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2000 წელს პროფესორის წოდება.

გამოქვეყნებული აქვს 45 ნაშრომი, მიღებული აქვს ჰაოს – ქართლოსის სომხეთის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

მერაბ ბერიძე 1995-2001 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აპარატის უფროსად. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. მ. ბერიძე გარდაიცვალა 2014 წელს.

ბესიკ ბერიძე

ბესიკ ბერიძე დაიბადა 1957 წლის 1 სექტემბერს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ავთანდილ ბერიძის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. 1974 წელს დაამთავრა ვაიოს საშუალო სკოლა.

1974-76 წლებში მუშაობდა ზვარის კოლმეურნეობაში მევენახედ.

1976 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-უცხო ენის (გერმანული) სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1981 წლს. ამავე წელს სწავლითა და საზოგადოებრივი აქტიურობით გამორჩეული ახალგაზრდა სპეციალისტი ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს, სადაც 1991 წლამდე მუშაობდა.

1984-88 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ისტორიის სპეციალობით.

1983 - 2009 წლებში კითხულობდა სხვადასხვა ლექციების კურსს, როგორც ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, ასოცირებული პროფესორი.

1995-98 წლებში სწავლობდა თბილისის ნ. ირბახის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ამავე წლებში მუშაობდა დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „ მწვანე კონცხის “გაერთიანებული ფაკულტეტის დეკანად, პრორექტორად.

2000-04 წლებში მუშაობდა შ. ს. ს. აკადემიის ბათუმის ფაკულტეტის მასწავლებლად, ფაკულტეტის უფროსის მოადგილედ სწავლების დარგში.

2000-05 წლებში დაამთავრა თბილისის პოლიტიკური აკადემია პოლიტოლოგიის დარგით.

2000-06 წლებში მუშაობდა ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ.

2005-08 წლებში სწავლობდა თბილისის სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში.

2006-09 წლებში მუშაობდა თბილისის ევროპული უნივერსიტეტის ბათუმის ფაკულტეტის უფროსის მოადგილედ.

2008 წელს მიენიჭა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი.

2010 წლიდან დღემდე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

ბესიკ ბერიძე 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, ორი სახელმძღვანელოს, სასწავლო წიგნისა და ორი მონოგრაფიის ავტორია.

ოსტომ ბერიძე

როსტომ ბერიძე დაიბადა 1961 წლის 20 ივლისს ქედის რაიონის სოფელ ვარჯანისში. 1978 წელს დაამთავრა სოფ. წონიარისის საშუალო სკოლა.

1983 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობით.

დაამთავრა კ.ა ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ეკონომიკის კათედრის ასპირანტურა და იქვე მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (მოსკოვი, 1990).

1990-2000 წლებში საქმიანობდა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში. 1997-2000 წლეებში ხელმძღვანელობდა საავიაციო კომპანიას (უკრაინა).

1993 წელს გამოსცა წიგნი „გზა ცივილიზებული ბიზნესისკენ".

2001-2003 წლებში თსუ-ს საერთაშორისო ბიზნესის კათედრის დოქტორანტია. მენეჯმენტისა და მარკეტინგის სპეციალობით მოამზადა სადოქტორო დისერტაცია.

2002 წლიდან სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სრული პროფესორია, კითხულობს ლექციების კურსს: სტრატეგიული მენეჯმენტი, საბანკო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, საერთაშორისო კონკურენცია.

განახორციელა სასწავლო ინოვაციური პროექტები – ბიზნესის სკოლა, ტურისტული სააგენტო „ნიტოური", „ღვინის ტურიზმი აჭარაში".

მონაწილეობდა „ევროპის სოციოლოგიური ფორუმის" მუშაობაში (პარიზი, 2003) და 10-ზე მეტ საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში.

ქართულ და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი ნაშრომი და ორი მონოგრაფია, რომლებიც ეძღვნება ბიზნესის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის აქტუალურ საკითხებს.

იყო საგრანტო პროექტის (GTZ, CIWI GmbH, CTC, BBS) – „ბიზნესის ინტეგრირებული პროექტების მენეჯმენტის არასამთავრობო და საჯარო ორგანიზაციების, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის" – კოორდინატორი (2007-2009).

პროექტის „საერთაშორისო ტურიზმის გამოკვლევა აჭარის არ-ში" (GTZ)-კოორდინატორი და GTZ-ის ექსპერტი (2006), პროექტის „სელიმობა 2007" (USAID, CHF) ხელმძღვანელი, ADA-ს (USAID „ემ-სი-ჯი") ბიზნეს ექსპერტი (2007), აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის „რეგიონის ფერმერთა სწავლება კონსულტირება" ხელმძღვანელი (2008).

არის სახელმძღვანელოების: „საბანკო მენეჯმენტი" და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" ავტორი.

2008-2011 წლებში კვალიფიკაცია აიმაღლა გერმანიასა და ნორვეგიაში.

იყო საერთაშორისო პროექტების (ექსპედიციების) - „პირველი ქრისტიანული გზა

საქართველომდე” (2007) და „სამი საქართველო” ხელმძღვანელი (2008).

ინტერესების სფერო - მოგზაურობა (25-ზე მეტი ქვეყანა).

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

სულეიმან ბერიძე

სულეიმან ქაზიმის ძე ბერიძე დაიბადა 1933 წლის 25 მარტს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში.

სწავლა დაიწყო 1940 წელს ქ. ბათუმში №13 სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს, 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის №25 საშუალო სკოლა.

1951 წელს მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დაამთავრა 1956 წელს ელექტროსადგურების ქსელების და სისტემების სპეციალობით.

1956 წლიდან 1959 წლამდე მუშაობდა „აწჰესში”.

1959 წლიდან 1981 წლამდე მუშაობდა „საქსოფელექტრომშენის” №2 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ინჟინრად და სამმართველოს უფროსად.

1981 წლიდან 1996 წლამდე მუშაობდა „საქენერგოს” აჭარის გაერთიანებული საწარმოს დირექტორად.

1996 წლიდან 2005 წლამდე „საქრუსენერგოს” აჭარის საქსელო უბნის უფროსად.

გარდაიცვალა 2009 წლის 4 აპრილს.

ალექსანდრე ბერიძე

პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღრმაშინაარსიანი გზა განვლო ქედის რაიონის სახალხო განათლების თვალსაჩინო წარმომადგენელმა ალექსანდრე ბერიძემ. დაიბადა დანდალოს თემის სოფელ ბალაძეებში. აქვე ეზიარა პირველდაწყებით განათლებას, შემდგომ ამთავრებს შუახევის საშუალო სკოლას, ქედის ტექნიკუმს, მსახურობდა არმიის რიგებში. 1961 წელს ჩაირიცხა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ სასწავლებლად გადმოდის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ განაწილებით იგზავნება შუახევის რაიონის ბრილის საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურისა და რუსული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. პარალელურად მეორე სპეციალობის მისაღებად დაუსწრებლად სწავლას განაგრძობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ინიშნება ქობულეთის მოსწავლე ახალგაზრდობის გამაჯანსაღებელი დაწესებულების დირექტორად.

1975 წელს ა. ბერიძე საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში გადაიყვანეს, სადაც სახალხო განათლებას, კულტურას, ტურიზმსა და სპორტს ხელმძღვანელობდა. 1981 წელს ის გადაიყვანეს ბათუმის საქალაქო საბჭოს განყოფილების გამგედ. აქაც ტრადიციულად განათლებისა და კულტურის სფეროს კურირებს.

90-იან წლებში ჯერ მუშაობს საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, ხოლო შემდგომ – განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში ხელმძღვანელად. 2000 წელს აირჩიეს საქარველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის ვიცეპრეზიდენტად. პარალელურად ხელმძღვანელობს პმთპ-ის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციას.

მრავალჯერ იყო არჩეული ქობულეთისა და ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მასწავლებელთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების დელეგატად, მინიჭებული აქვს საქართველოს განათლებისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებები. დაჯილდოებულია საქართველოს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

თამაზ ბოლქვაძე

დაიბადა 1954 წლის 16 აგვისტოს, ქედის რაიონის სოფელ ახოში.

1971 წელს დაამთავრა ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლა.

1978 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1978-1991 წლებში მუშაობდა ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, 1991-1992 წლებში მუშაობდა საქართველის მინისტრთა კაბინეტში სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე, 1993-1995 წლებში – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში, სახელმწიფო მრჩევლად, 1995-1999 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ. 2000-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, 2005-2006 წლებში იყო სააქციო საზოგადოება „თბილსრესის" გენერალური დირექტორი.

ჰყავს სამი შვილი.

ხეზო ბოლქვაძე

დაიბადა 1946 წლის 15 იანვარს, ქედის რაიონის სოფელ გობრონეთში.

1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ცხმორისის საშუალო სკოლა, ხოლო 1969 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, მკურნალი ექიმის წოდებით.

1969-1972 წლებში მუშაობდა ქედის რაიონში ზვარის ამბულატორიის გამგედ, 1972-1974 წლებში მსახურობდა ქ. ბათუმში, სამხედრო ნაწილის ექიმად, 1975-1986 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის მთავარ ექიმად.

მისი ხელვაჩაურის რაიონში მუშაობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო დახმარების ხარისხი, განმტკიცდა რაიონის სამედიცინო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიხსნა ახალი საავადმყოფოები, საექიმო ამბულატორიები და საფერშლო-

საბებიო პუნქტები.

1986-2004 წლებში მუშაობდა ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მთავარ ექიმად მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც ჯანმრთელობის დაცვის კარგმა ორგანიზატორმა, მისი ინიციატივით სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგა თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები.

2005 წლიდან მუშაობს ბათუმის სამედიცინო სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორად.

რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის წევრად, ხელვაჩაურის რაისაბჭოს აღმასკომის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ჯანდაცვის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია:

1977 წელს - „ჯანდაცვის წარჩინებულის" მედლით.

1996 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

2001 წელს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელით, 1988 წლიდან მიღებული აქვს „ჯანდაცვის ორგანიზაციის" პირველი კატეგორია.

არის ცოლშვილიანი.

მეუღლე - ნანული დავითაძე ბათუმის დედათა და ბავშვთა დაცვის რესპუბლიკური ცენტრის ექიმი-პედიატრია;

შვილები:–ეკატერინე ბოლქვაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს ქალაქ მოსკოვში, თვალის სნეულებათა კლინიკაში ექიმ-ოფთალმოლოგად;

ირაკლი ბოლქვაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს ქალაქ მოსკოვში, რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტთა ურთიერთობის სამმართველოს უფროსად.

მემედ ბოლქვაძე
(1927-1989)

მემედ ბოლქვაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ აქუცაში. დაამთავრა ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი. მუშაობდა ქედის რაიონული ბიბლიოთეკის გამგედ. ქედის კულტურის სახლის მხატვარ-გამფორმებლად. 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე.

1968-1982 წლებში იყო აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში.

ბათუმში მისი ავტორობით დაიდგა დავით კლდიაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის და სხვა ბიუსტები. მისი ბევრი ნამუშევარი ინახება საქართველოს სურათების გალერეაში.

მემედ ბოლქვაძე იყო საქართველოს და აჭარის დამსახურებული მხატვარი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მამუდ ბოლქვაძე
(1928-1992)

მამუდ ბოლქვაძე დაიბადა ქედაში, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

მამუდ ბოლქვაძემ 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. მონაწილეობდა რესპუბლიკურ გამოფენებში 1972, 1977, 1979 წლებში.

ალექსი ბოლქვაძე

დაიბადა 1941 წელს, ქედის რაიონის სოფელ ახოში.

1958 წელს დაამთავრა ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1963 წელს.

ალექსი ილარიონის ძე ბოლქვაძემ 1966 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი და მიენიჭა დოცენტის წოდება.

დღემდე მუშაობს ქ. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში, ბიოქიმიის კათედრაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

რიფათ გეგიძე

დაიბადა 1940 წლის 20 ოქტომბერს, ქედის რაიონის სოფელ ახოში.

ცხმორისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, განაწილებით მუშაობდა ყაზახეთში, კუსტანაის ოლქის ფიოდოროვსკის რაიონში.

რიფათ გეგიძემ 1968 წელს სწავლა განაგრძო ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ორდინატურაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1970 წელს (ის იყო აჭარელი სტუდენტების ქომაგი და დამცველი ქ. თბილისში) და მუშაობა დაიწყო თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ექიმ-ქირურგად, სადაც დიდი პროფესიული გამოცდილება შეიძინა

1971 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-ქირურგად, 1976 წლიდან მუშაობს რაიონის მთავარი ექიმის მოადგილედ, 1978 წლიდან კი-მთავარ ექიმად, 1987 წლის სექტემბრიდან 2005 წლის 9 იანვრამდე მუშაობდა ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიული გაყოფილების გამგედ.

რიფათ გეგიძის სახელთანაა დაკავშირებული რაიონის ცენტრში ახალი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო სამსახურის შექმნა. 1981 წლის მარტში, მისი ინიციატივით, გაიხსნა სისხლის გადასხმის სადგური, მოგვიანებით – ინტენსიური თერაპიის პალატა, რითაც ნიადაგი მომზადდა რეანიმაციის განყოფილების გასახსნელად.

რიფათ გეგიძე არა მარტო ქობულეთში, მთლიანად რეგიონში ითვლებოდა ერთ-ერთ გამოცდილ, მაღალკვალიფიციურ და სანდო ქირურგად. იგი მუშაობდა თავის თავზე, გამოქვეყნებულია მისი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი.

რიფათ გეგიძის ცოდნა და უნარი უყურადღებოდ არ დარჩენილა, არჩეული იყო ქობულეთის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1981 წელს დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

ქალიშვილი შორენა გეგიძე მეან – გინეკოლოგია, ქობულეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის დირექტორი.

რიფათ ხასიას ძე გეგიძე გარდაიცვალა 2005 წლის 9 იანვარს.

ლევან გოხგილაძე

ლევან შოთას ძე გორგილაძე დაიბადა 1963 წლის 28 თებერვალს, ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში, პედაგოგების ოჯახში.

1979 წელს დაამთავრა ვაიოს საშუალო სკოლა.

1980-1981 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის ზვარის კოლმეურნეობაში, 1981-1982 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი.

1982-1988 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1988-1992 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საუბნო საავადმყოფოს ექიმ თერაპევტად.

1992-1993 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმში სასწრაფო სამედიცინო დამხმარე სადგურის მორიგე ექიმად, და ქ. ბათუმის სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებლის, აგრეთვე ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებლად. 1992-1997 წლებში მუშაობდა ბათუმის №3 საგამოძიებო იზოლატორის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის უფროსად.

1998-2005 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს სამედიცინო კრიმინალისტიკური ლაბორატორიის გამგედ, 1998-2000 წლებში კი ქ. ბათუმის ნარკოლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმად, ხოლო 2002-2005 წლებში შპს„რესპუბლიკური ნარკოლოგიური ცენტრის" დირექტორად.

2006-2012 წლებში მუშაობდა შპს ნარკოლოგიური ცენტრის ექიმ-ნარკოლოგად და მთავარ ექიმად.

2012-2014 წლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 2014 წლის 17 ივლისიდან 2016 წლის 14 სექტემბრამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

2016 წლის 14 სექტემბრიდან 2017 წლამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრია. შემდეგ ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი.

ლ. გორგილაძე 2013-2016 წლებში სწავლობდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების განხრით, რის შემდეგაც წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: სოციალისტური უზრუნველყოფის სისტემის რეგიონული პოლიტიკის ფორმებისა და განხორციელების ძირითადი მიმართულებები (აჭარის მაგალითზე).

ლ. გორგილაძე არის ამიერკავკასიის ექიმთა ლიგის საპატიო წევრი, საქართველოს ნარკოლოგთა ასოციაციის წევრი და ჟურნალ „THERAPIA საქართველოს"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ლ. გორგილაძეს 2012 წელს გადაეცა ღირსების ორდენი.

იხაკი დიასამიძე

დაიბადა 1915 წელს ქედის რაიონის სოფელ გულებში, მრავალშვილიან ოჯახში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ქედასა და ბათუმში. ორი წელი მუშაობდა პედაგოგად ქედაში, ხოლო 1935 წელს გახდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც დაამთავრა 1941 წელს და დაინიშნა

ქედის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ.

1945 წლიდან გადაიყვანეს ბათუმში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ, ერთი წლის შემდეგ ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად, ხოლო 1950 წლიდან დაინიშნა აჭარის კურორტების სამმართველოს უფროსად, სადაც კარგად გამოავლინა თავისი პროფესიული და ორგანიზაციული ნიჭი და 1953 წლის ბოლოს დაინიშნა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად. აქ უკვე სრულად გამოვლინდა მისი ერუდიცია ჯანდაცვის სისტემაში რეფორმებისა და ახალი ჯანდაცვის კერების მშენებლობის საქმეში, მისი 20 წლის მინისტრობის დროს ძალიან ბევრი გაკეთდა აჭარის ჯანდაცვის სრულყოფა-განვითარებისათვის. მისი ხელმძღვანელობის დროს მოხდა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია-გაფართოება, ხულოს და ქობულეთის რაისაავადმყოფოების გაფართოება, ფსიქიატრიული საავადმყოფო-კომპლექსის აგება, ასევე ქედისა და შუახევის მრავალპროფილიანი საავადმყოფოების აშენება, ბავშვთა საავადმყოფოს აშენება, ონკოდისპანსერიის აგება და აღჭურვა თანამედროვე აპარატურით და ა.შ.

ირაკლი დიასამიძის დიდი დამსახურებაა აჭარაში სამედიცინო-სამეცნიერო კადრების მომზადება. თითონაც მრავალი სტატიისა და ერთი მონოგრაფიის „აჭარის კურორტები და მისი განვითარების პერსპექტივები" – ავტორია.

1973 წლიდან მუშაობდა აჭარის სისხლის გადასხმის სადგურის მთავარ ექიმად. იყო საუკეთესო მეოჯახე და საზოგადოებისათვის მოამაგე პიროვნება.

გარდაიცვალა 1978 წლის 28 დეკემბერს.

ავთანდილ დიასამიძე

ექიმი ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი, აჭარის მთავარი სპეციალისტ-ექსპერტი ტრავმატოლოგიაში, ამჟამად შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს" ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგე.

დაიბადა 1942 წლის 2 თებერვალს ქედის რაიონის სოფ. გულებში, მრავალშვილიან, ტრადიციულ ოჯახში.

1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქედის დავით გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლა.

1959 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონულ საავადმყოფოში ქირურგად, პარალელურად მუშაობდა ოქტომბრის ამბულატორიის გამგე-ექიმად.

1968-1969 წლებში მიიღო კვალიფიკაცია და სპეციალიზაცია ტრავმატოლოგიაში ქ. მოსკოვის №20 კლინიკურ საავადმყოფოში, ხოლო 1969-1971 წლებში გაიარა ქ. მოსკოვის ნ. პიროგოვის სახელობის ცენტრალური ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი სათავო ინსტიტუტის კლინიკური ორდინატურა.

1971-1975 წლებში ამავე ინსტიტუტის კლინიკური ასპირანტია.

1976 წელს ამავე ინსტიტუტში იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „სასახსრე ზედაპირების ოსტეოქონდროზი და ტრავმები". პარალელურად 1972 წლის ბო-

ლომდე მუშაობდა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს" ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, ხოლო 1979 წლიდან ქ. ბათუმის №1 საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში უფროს ორდინატორად, 1994 წლიდან ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგედ. 1983 წლიდან მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის ექიმის სტატუსი და არის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ტრავმატოლოგი. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს დაბეჭდილი ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალებში და მრავალი საგაზეთო სტატია პოპულარულ სამედიცინო თემებზე. დღესაც განაგრძობს დიდი ენთუზიაზმით მუშაობას შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს" ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგედ.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

მეუღლე მზევინარ ქიქავა ბათუმის სამშობიარო სახლის ექიმი მეან-გინეკოლოგი, ამჟამად რეპროდუქტოლოგია.

ლევან დიასამიძე

ლევან ყედირის ძე დიასამიძე დაიბადა 1916 წელს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1934-35 წლებში მუშაობდა ქედის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1941-1942 წლებში მუშაობდა ხარაულის და მეძიბნის სკოლების დირექტორად.

ლევან დიასამიძე 1942-1944 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკკ ქედის რაიკომის მდივნად. 1944-1947 წლებში საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად.

ლევან დიასამიძემ 1947-1949 წლებში დაამთავრა საქართველოს კპ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლა. 1949-1954 წლებში მუშაობდა ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1954-1955 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სამმართველოს უფროსად. 1955-1967 წლებში – აჭარის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ, 1967-1978 წლებში იყო აჭარის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი.

ლევან დიასამიძე 1979 წელს გავიდა პენსიაზე, გარდაიცვალა 1989 წელს.

შუქრი დევაძე

შუქრი (შალვა) თალიბის ძე დევაძე დაიბადა 1911 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება.

შუქრი დევაძემ 1933 წელს ბათუმში დაამთავრა აჭარის პარტიული სკოლა. 1934-1935 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკკ ქედის რაიკომში ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად.

1935-1936 წლებში მუშაობდა ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის ინსტრუქტორად.

1936 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

1936 წლის ოქტომბრიდან ქედის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებულია.

შუქრი დევაძე 1937-1938 წლებში დააწინაურეს რაიონის მილიციის უფროსად.

1938-1939 წლებში ქ. თბილისის მილიციის სამეთაურო სკოლის მსმენელია, ხოლო 1939-1941 წლებში ქობულეთის რაიონის მილიციის უფროსი, 1941-1942 წლებში ქობულეთის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელი.

1942-1943 წლებში შუქრი დევაძე ქობულეთის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

1943 წლის 6 მაისიდან აწინაურებენ და ირჩევენ ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ 1949 წლის 16 ივლისამდე.

1949 წლის ივლისიდან მიავლინეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში.

შუქრი დევაძეს 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რაიონში ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შუქრი დევაძე ორწლიანი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც გამოცდილი ხელმძღვანელი, სამუშაოდ იგზავნება ახლადგახსნილი შუახევის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ 1952 წლის 10 დეკემბერს. ხოლო 1954 წლის 2 თებერვლიდან აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად.

1955 წლის 14 აპრილიდან 1958 წლის 14 აგვისტომდე მუშაობდა ქობულეთის რაიონის აჭყვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1958 წლის აგვისტოდან 1961 წლის ივნისამდე – ქობულეთის რაიონის ბუკნარის ღვინის ქარხნის დირექტორად.

შუქრი დევაძე 1961 წლის ივნისიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის დასასვენებელი სახლის დირექტორად.

არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. ქედის, ქობულეთის და შუახევის რაიონული საბჭოს დებუტატად და ამავე რაიონების რაიკომების ბიუროს და რაიკომების წევრად. მან თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით ქედის, ქობულეთისა და შუახევის რაიონების მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მისი შთამომავლობა ქობულეთში ცხოვრობს.

ნოდარ დევაძე

ნოდარ დევაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ აგარაში 1935 წელს. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1956 წელს მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალში. მის მიერ შესრულებულმა ცეკვამ „ქართული" მოხიბლა მაყურებელი. ხოლო 1957 წელს თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე „განდაგანას" შესრულებისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და მახინჯაურის საშუალო სკოლების ქორეოგრაფიულ ანსამბლებს. იყო აჭარის განათლების სამინისტროს მეთოდისტი.

ნოდარ დევაძეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიენიჭა

აჭარის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ნ. დევაძე გარდაიცვალა 1995 წელს.

აკაკი დუმბაძე

დაიბადა 1940 წლის 16 აგვისტოს, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში.

ცხმორისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1966 წლიდან, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად.

1971 წელს დაამთავრა მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

1979 წელს მოსკოვის ელექტრონული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1980 წლიდან არის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

1971-1994 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზაურიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში. ხელმძღვანელობდა თხელკედლიანი პოლიმერული კონსტრუქციების ცოცვადობის შემსწავლელ თემატურ ჯგუფს. 1994 წლიდან არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1968-1994 წლებში მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრაზე (შეთავსებით), იყო ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი.

1994 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის პროფესორი.

1995-2005 წლებში არის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე.

აკაკი დუმბაძე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობს ლექციების კურსს საფრენი აპარატების მექანიკის, კომპოზიციური სხეულების მექანიკის, რღვევის მექანიკისა და ტალღების თეორიაში. გამოქვეყნებული აქვს 60--ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მის მიერ არაერთხელ არის ოპონირებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ა. ა. დუმბაძე საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და აკადემიკოს სერგეი კოროლიოვის მედლით კოსმოსის კვლევაში შეტანილი წვლილისათვის.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

შალვა ვარშანიძე

შალვა ვარშანიძე დაიბადა 1925 წელს ქედის რაიონის სოფელ ზუნდაგაში. დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს ალკკ ქედის რაიკომის განყოფილების გამგედ და რაიკომის მდივნად. შემდეგ დაამთავრა პარტიული სკოლა. 1957 წლიდან შალვა ვარშანიძე მუშაობ-

და საქართველოს კპ ქედის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, გაზეთ „აჭარის" კორესპონდენტად. აჭარის რადიოს კორესპოდენტად, იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

1968-1981 წლებში შალვა ვარშანიძე მუშაობდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად.

1961-1988 წლებში იყო აჭარის პარტიული არქივის გამგე.

შალვა ვარშანიძემ მრავალი ისტორიული ნაშრომი შექმნა აჭარის შესახებ: „შუა საუკუნეების აჭარის თაღოვანი ხიდები", „აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე," „აჭარის შუა საუკუნეების ისტორია" და სხვა.

დავით თებიძე

დავით თებიძე დაიბადა 1916 წელს ქედის რაიონის სოფელ ქვედა აგარაში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობაში.

დავით თებიძემ 1933 წელს სწავლა განაგრძო მწვანე კონცხის ჩაის ტექნიკუმში. შემდეგ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გადაიყვანეს მახუნცეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად, იყო აგრეთვე ქედისა და მერისის სკოლების დირექტორი.

დავით თებიძე 1943-1945 წლებში ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგეა, ხოლო 1945-1950 წლებში – საქართველოს კპ ქედის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1950 წელს გადაიყვანეს ბათუმის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ და მალე აირჩიეს ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

დავით თებიძე 1957 წელს დაინიშნა აჭარის განათლების მინისტრად. 1961-1963 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1963-1964 წლებში მუშაობდა ქობულეთის სასოფლო წარმოების პარტიული კომიტეტის მდივნად.

დავით თებიძე 1965-1975 წლებში იყო აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1975-1980 წლებში მუშაობდა ახალშენის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

დავით თებიძეს დამთავრებული ჰქონდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. არჩეული იყო საქართველოს კპ ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონული კომიტეტის წევრად და ბიუროს წევრად. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად, რამდენიმეჯერ არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დავით თებიძე გარდაიცვალა 1988 წლის 10 სექტემბერს.

ოთარ თედორაძე

ოთარ მოედინის ძე თედორაძე დაიბადა 1954 წლის 29 მაისს, ქედის რაიონის სოფელ აბუქეთაში.

1970 წელს წარმატებით დაამთავრა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლა.

1975 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი საგზაო ინჟინრის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ქედის საგზაო განყოფილების ინჟინრად.

1977 წელს გადაიყვანეს საქ. ალკკ ქედის რაიკომში. იმავე წელს გაიგზავნა სასწავლებლად ქ. მინსკში, სახელმწიფო უშიშროების უმაღლეს სკოლაში.

1979-1981 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მოლდავეთის რესპუბლიკაში. შემდეგ – აჭარის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში, 2000-2002 წლებში – ქობულეთის რაიონის უშიშროების განყოფილების უფროსად.

2002 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოადგილედ. გარდაიცვალა 2005 წელს.

ქემალ თუხმანიძე

დაიბადა 1960 წლის 1 ნოემბერს ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მერისის საშუალო სკოლა-ინტერნატში. მისი ოჯახი ხით-ხუროობით გამოირჩეოდა და ეს პირველ რიგში მამის, მოედინის დამსახურებაა.

1976 წელს სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის 44-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1979 წელს ჩააბარა ქ.თბილისში ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმში, პროფესიით მშენებელი და საწარმოო სწავლების ოსტატი. ამავე პერიოდში გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომლის დასრულების შემდეგაც განაგრძო სწავლა აღნიშნული მიმართულებით. თბილისში სწავლის პერიოდში მეგობარ არჩილ საყვარელიძესთან ერთად ეუფლებოდა ხის მხატვრული დამუშავების სპეციალობას. პარალელურად ხისგან ამზადებდა სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ნივთებს, რომლებსაც აბარებდა გასაყიდად სამხატვრო სალონებსა და საკომისიო მაღაზიებში. მიღებული შემოსავლით კი ყიდულობდა მასალას, ინსტრუმენტებს, იარაღ-ხელსაწყოებს და იყენებდა, ბინის ქირისთვის და თავის სარჩენლად. მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში. 1984 წელს მიიღო საქართველოს სახალხო ოსტატის წოდება.

1985 წლიდან გადმოვიდა ქედის რაიონში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. მან პიონერთა სახლში გახსნა ხის მხატვრული დამუშავების წრე, რომელშიც სწავლობდნენ მოსწავლეები ქედის სხვადასხვა სოფლებიდან. ამავე წელს გახდა საბჭოთა კავშირის პირველი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი. ქედაში მუშაობის პერიოდში სისტემატიურად მონაწილეობდა რაიონის შრომის ზეიმებზე, პარტიისა და კომკავშირის ყრილობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოფენებში. 1987 წელს კი გახდა მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატი. პიონერთა სახლში

მუშაობის პერიოდში მისი საქმიანობის შესახებ არაეთხელ გამოქვეყნებულა წერილები სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში.

1987 წელს მაშინდელი ხელისუფლების მოთხოვნით გადმოიყვანეს ქ. ბათუმში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად, თან მუშაობდა ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ხის მხატვრული დამუშავების წრის ხელმძღვანელად. ოსტატის გატაცება იყო ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება. 1996 წლისათვის მოსახლეობისგან შესყიდული ჰქონდა 600-მდე ნივთი, რითიც საფუძველი ჩაეყარა ეთნოგრაფიული მუზეუმის საწყისისათვის სხვადასხვა კუთხეების მოწყობას. წლების განმავლობაში ქედის სახელით მონაწილეობდა ბათუმში გამართულ სახალხო ზეიმებში.

1997 წელს გახდა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. 1999 წელს კულტურის დამსახურებული მუშაკი. 2003 წელს თედო სახოკიას პრემიის ლაურეატი. 2006 წელს აირჩიეს ქედის საპატიო მოქალაქედ. 2011 წელს მიიღო ფოლკლორის ეროვნული პრემია. 2012 წელს გადასცეს ღირსების ორდენი. 2013 წელს მიიღო დამსახურებული მოღვაწის წოდება. 2014 წელს სატელევიზიო გადაცემა „იმედის გმირების“ გამარჯვებული ინტერნეტ გამოკითხვით.

ქემალ თურმანიძის შემოქმედებითი საქმიანობის ათეული წლების განმავლობაში დაიწერა და გამოქვეყნდა 52 სტატია ჟურნალ-გაზეთებში, 12 რადიო გადაცემა, ასევე მომზადდა 35 სატელევიზიო სიუჟეტი, მათ შორის 12 უცხოური არხის მიერ.

2012 წელს სახელმწიფომ გადასცა მიწის ნაკვეთი ქ. ბათუმის მიმდებარედ, სადაც მოაწყო ინფრასრუქტურა, სავალი ბილიკები, და 3 000 კვ.მ. ფართობზე განათავსა კერძო ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქვე წარმოდგენილია ჩვენი რეგიონისთვის დამახასიათებელი ყოფითი ცხოვრება – ფეიქრობა, ხელოსნობა, აგრარული მეურნეობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მაკეტები (მასშტაბი 1:7.5; 1:10; 1:100), 9 მ. სიმაღლის ხელოვნური ჩანჩქერი.

მუზეუმშია განთავსებული შემოქმედის მიერ დამზადებული 52 მანეკენი, 18 ცხოველის ფიტულა,ასევე 3 800-მდე ეთნოგრაფიული ნივთისგან მოწყობილი კუთხეები, შესაბამისი ფოლკლორული მუსიკის თანხლებით.

ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“ უკვე ფუნქციონირებს და ელოდება დამთვალიერებლებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ხევაზ ზანაქიძე

რევაზ ავთანდილის ძე ზანაქიძე დაიბადა 1950 წლის 16 მარტს ქედის რაიონის სოფელ აქუცაში, მოსამსახურის ოჯახში.

1966 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა. 1971 წელს ქ. თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობით.

1971-1972 წლებში მუშაობდა სახელმწიფო ბანკის ქედის განყოფილებაში საკრედიტო ინსპექტორად, 1972-1973 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, 1973 წლის ივლისიდან ნოემბრამდე მუშაობდა სახელმწიფო ბანკის ქედის განყოფილებაში. 1973 წლის ნოემბრიდან 1977 წლის თებერვლამდე – საქართვე-

ლოს ალკა ქედის რაიკომში ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ რაიკომის მდივნად.

1977 წლის თებერვლიდან 1978 წლის იანვრამდე გაიარა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების მინსკის სპეციალური მოსამზადებელი კურსები.

რევაზ ზანაქიძე 1978 წლის იანვრიდან 2005 წლამდე მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. იყო ქედის რაიონული ქვეგანყოფილების ოპერატიული მუშაკი, შუახევის რაიონის ქვეგანყოფილების უფროსი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ უფროსი, შუახევის რაიონული განყოფილებისა და აჭარის არ უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური განყოფილების უფროსი.

2005 წელს თადარიგში გავიდა ოფიცრის უმაღლესი წოდებით – პოლკოვნიკი. მიღებული აქვს მეორე და მესამე ხარისხის მედლები უმწიკვლო მუშაობისათვის. მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მადლობა და მედალი სახელმწიფო საზღვრის დაცვაში თავის გამოჩენისათვის.

ქართლოს მანველიძე

ქართლოს მანველიძე დაიბადა 1931 წელს ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში. დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. დაამთავრა ხარაულის რვაწლიანი სკოლა, შემდეგ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი. 1955 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბუნების დაცვის განყოფილების უფროსად. მუშაობასთან ერთად სწავლას აგრძელებდა ასპირანტურაში და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ მუშაობდა მცხეთის რაიონის სანერგე მეურნეობის დირექტორად.

ქართლოს მანველიძე 1974-2004 წლებში მუშაობდა აჭარის აგროსატყეო მეურნეობის თავმჯდომარედ.

ქართლოს მანველიძემ ნახევარ საუკუნეზე მეტი დაუღალავად იშრომა და ბევრი რამ გააკეთა აჭარის სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის.

ქართლოს მანველიძე ასაკის მიუხედავად დღესაც ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობაში მთელი მონდომებით ემსახურება საყვარელ დარგს.

ხეზო მანველიძე

დაიბადა 1954 წელის 22 აგვისტოს ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში, 1970 წელს დაამთავრა გოგიაშვილების საშუალო სკოლა, 1975 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი ეკონომისტის კვალიფიკაციით. 1979 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1997 წელს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1996 წლიდან აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის, ხოლო 2000 წლიდან საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია

1975-1986 წლებში ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. 1987-1991 წლებში მუშაობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად,აგრარული განყო-

ფილების გამგედ, 1991-1993 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედ, ეკონომიკური განყოფილების გამგედ, 1993-1997 წლებში – ქედის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ, 1997-2001 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მუდმივმოქმედი აგრარული კომისიის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

1995 წლიდან დღემდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, არჩეულია ფაკულტეტის სადოქტორო საბჭოს თავმჯდომარედ, ხელმძღვანელობს სადოქტორო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

გამოქვეყნებული აქვს 75-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია, მისი კვლევის ძირითადი სფეროებია: ბიზნესის ადმინისტრირების, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის,ეკონომიკური ზრდის, ბიზნესის შეფასების,მეწარმეობის,აგრარული ურთიერთობების სრულყოფის აქტუალური, თეორიულ-პრაქტიკული საკითხები

მიხეილ მახარაძე

მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წელს, ქედის რაიონის სოფელ ვარჯანისში. 1963 წელს დაამთავრა სოფელ წონიარისის საშუალო სკოლა, 1968 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით.

1968-1970 წლებში მუშაობდა რსფსრ პერმის საოლქო-საფინანსო განყოფილებაში უფროს ეკონომისტად, 1970-1974 წლებში აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს სახშემოსავლების განყოფილების უფროსის მოადგილედ, 1974-1977 წლებში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სექტორის გამგედ, 1977-1983 წლებში აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსად, 1983-1991 წლებში საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივნად. 1991-2000 წლებში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. ამჟამად მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორად.

მიხეილ მახარაძე 1985 წელს არჩეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1991 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეული იყო აგრეთვე 2004 წელს.

თემურ მახარაძე

თემურ მახარაძე დაიბადა 1953 წ. ქედის რაიონის სოფელ კოლოტაურში. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში (გერმანია, ჰოლანდია, რუსეთი).

პერსონალური გამოფენა მოაწყო 1986 წელს. ქ. ბათუმში.

ზურაბ მიქელაძე

ზურაბ მიქელაძე – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი – განყოფილების უფროსი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი აგროტექნოლოგიებში.

დაიბადა 1947 წლის 30 ივნისს ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში. 1964 წელს დაამთავრა დ. გურამიშვილის სახელობის ქედის საშუალო სკოლა. 1971 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრონომ-სუბტროპიკის სპეციალობით და სწავლა განაგრძო ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში აგროქიმია-სუბტროპიკული კულტურების განხრით, იმავდროულად 1973-1985 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად და მასწავლებლად აგროქიმიისა და ზოგად მიწათმოქმედების კათედრაზე.

1985 წლიდან დღემდე მუშაობს ქ. ბათუმში სუბტროპიკული ნაყოფის შენახვა-გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ საკონსტრუქტორო ინსტიტუტში (შემდგომში არაერთხელ შეეცვალა სახელწოდება) ლაბორატორიის გამგედ, განყოფილების უფროსად, დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. აღნიშნული ინსტიტუტის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ 2004 წლიდან მემბრანული და აგრარული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და გადამუშავების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსად – მთავარ მეცნიერთანამშრომლად, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ.

არჩეული იყო აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად 1991 წელს. იყო 2004 წლის მოწვევის აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. მუშაობდა აჭარის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად, საქართველოს მეცნიერების და ტექნოლოგიების კომიტეტის საკოორდინაციო საბჭოს წევრად მრავალწლიანი კულტურების მიმართულებით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო საბჭოს წევრად ხილ-ბოსტნეულის შენახვის მიმართულებით.

გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია. შეიმუშავა აჭარის მთიანი რეგიონის ეკოლოგიური პირობების და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების სამეცნიერო პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების მიზნობრივი პროგრამა, რომელიც თავის დროზე შევიდა ქვეყნის განვითარების ინდიკატორულ გეგმაში, ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც განხორციელების სტადიაშია.

დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით. არის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს სპორტის ოსტატი ლელობურთში.

ხასან მიქელაძე

ხასან შუქრის ძე მიქელაძე დაიბადა 1919 წელს ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში, 1938 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ხულოს რაიონში რვაწლიანი სკოლის დირექტორად. პედაგოგიურ სასწავლებლის აღმზრდელად და კულტურის სახლის დირექტორად. შემდეგ – ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობად.

1941 წლიდან მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ხულოსა და ბათუმის თეატრებში მსახიობად.

ხასან მიქელაძემ შექმნა დასამახსოვრებელი სახეები: ასლანი, ანდრეი, დადიანი, აპრაკუნე, მამა, ერმილე მამალაძე სპექტაკლებში „სამშობლო", „ბრმა", „კეთილი ადამიანები", „ნ. ბარათაშვილი", „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „ანჟელო", „ადამიანი დაბრუნდა", „მევლუდი". მონაწილეობდა მსახიობად ფილმებში „ბაში-აჩუკი", „ვისაც სურვილი აქვს ჩაეწეროს".

ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის ხასან მიქელაძეს მიენიჭა აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

ხასან მიქელაძე გარდაიცვალა 1990 წელს.

ჯემალ მიქელაძე

ჯემალ მიქელაძე დაიბადა 1940 წელს ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მხატვარი.

ჯ. მიქელაძემ 1969 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი, იყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის ხატვის და ფერწერის, ბათუმის პედინსტიტუტის სახვითი ხელოვნების მასწავლებელი, გამომცემლობა „აჭარის" მხატვრული რედაქტორი, გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ერთი მონოგრაფია, არის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.

მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში (რუსეთი, თურქეთი).

უშანგი მგელაძე

დაიბადა 1951 წლის 10 თებერვალს, ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურში.

დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, შემდეგ დაამთავრა ცენტრი ცხმორისის საშუალო სკოლა. შემდეგ – თბილისის პოლიციის სასწავლებელი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

უშანგი შუქრის ძე მგელაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა კოკოტაურის კოლმეურნეობის წევრად, ფერმის მწყემსად მთა ახალდაბაში, ბათუმის სამშენებლო ტრესტის დურგლად, მშენებლად, ამწე-კრანის მემანქანედ, შემდუღებლად.

სამხედრო სამსახური გაიარა გერმანიაში, იყო ათეულის მეთაური, სერჟანტი. მუშაობდა ქ. ბათუმში დამის პოლიციის ათეულის მეთაურად, ბავშვთა ოთახის ინსპექტორად, სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორად, ხაშურის, გორის, ბათუმის პოლიციის

უფროსად, თბილისის პოლიციის უფროსის პირველ მოადგილედ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, ბანდიტიზმის, რეკეტისა და დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსად, ამავე სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსად და 10 წელი პროფესორის შტატით ლექციებს კითხულობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სადაც ათი წლის განმავლობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობდა.

უშანგი მგელაძე არის საქართველოს დამსახურებული იურისტი, ადვოკატთა ასოციაციის წევრი, იუსტიციისა და პოლიციის პოლკოვნიკი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჯემალ ნაკაშიძე

ჯემალ ნაკაშიძე დაიბადა 1942 წელს ქედის რაიონის სოფელ უჩხითში, დაამთავრა 8-წლიანი სკოლა, ხოლო საშუალო განათლება მიიღო ხელვაჩაურში.

ჯემალ ნაკაშიძემ 1963 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1963-1965 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1965-1967 წლებში ბათუმის საზღვაო აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967-1973 წლებში მუშაობდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1972 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯემალ ნაკაშიძე 1973-1975 წლებში არჩეული იყო კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, 1975-1978 წლებში – საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივნად.

1978-1981 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. იყო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, 1981 წელს დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია მოსკოვში.

1981-1987 წლებში ჯემალ ნაკაშიძე არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ადიგენის რაიკომის პირველ მდივნად, 1987-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომტეტის აპარატში, 1989-1991 წლებში – აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

1992 წ. მუშაობდა ბათუმის „ინფლოტის" გენერალურ დირექტორად.

ჯემალ ნაკაშიძე 1993-1994 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2002 წელს „ხალხთა მეგობრობის ორდენით" დააჯილდოვა.

არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

რევაზ ნაკაშიძე

რევაზ მიხეილის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1940 წლის 28 მარტს ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში, დაამთავრა ქოსოფლის დაწყებითი, შემდეგ უჩხითის 8- წლიანი და მახუნცეთის საშუალო სკოლები.

1961-1965 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკისა და დაწყებითი განათლების მეთოდიკის სპეციალობებზე, 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

1997 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

რევაზ ნაკაშიძეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის რეგიონის პროფესიული კადრების სწავლა-აღზრდაში. ის 1974 წელს სათავეში ჩაუდგა ბათუმის ახლად შექმნილ №76 პროფ. ტექნიკურ სასწავლებელს. სასწავლებელი 1991 წელს გადაკეთდა უმაღლეს პოლიტექნიკურ სასწავლებლად. 1985 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს პროფტექგანათლების აჭარა-გურიის სამმართველოს. რეზო ნაკაშიძეს მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაწყებითი პროფესიული განათლების დეპარტამენტის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, აჭარის განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, მიღებული აქვს ზ. ჭიჭინაძის სახელობის პრემია, დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით. საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, ღირსების ორდენით, იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების" საკუთარ კორესპონდენტად. ცალკე წიგნად აქვს გამოცემული ათამდე მონოგრაფიული ნაშრომი. 1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხერხები და მეთოდები". რეზო ნაკაშიძე 1998 წელს მონაწილეობდა ევროპის განათლების ფონდის მიერ გერმანიასა და იტალიაში ორგანიზებულ პროფესიული განათლებისა და დასაქმების პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირ-სემინარებში, სადაც წარსდგა მოხსენებით „საბაზრო ეკონომიკის პრობლემებში კვალიფიციურ მუშაკთა კადრების მომზადების გზები და ამოცანები საქართველოში".

რევაზ ნაკაშიძე არის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მიხეილ ნაკაშიძე

მიხეილ ისაკის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1918 წელს ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში. 1936 წელს ჩაირიცხა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1939 წელს. 1940 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე.

მიხეილ ნაკაშიძე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქედის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად. განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ, 1945-1948 და 1959-1969 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, აჭარის განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების გამგედ, სხვადასხვა დროს მუშაობდა

ბათუმის რაიონის გონიოს საშუალო სკოლის დირექტორად, ბათუმის ბავშვთა სახლის დირექტორად, ქედის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ, აჭარის ფილარმონიისა და ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორად.

მიხეილ ნაკაშიძემ ყველგან, სადაც იმუშავა, მოსახლეობისა და კოლეგების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ენვერ ნაკაშიძე

ენვერ ეუბის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1930 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცვაში. ბათუმის რკინიგზის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1949-1950 წლებში მუშაობდა ბათუმის გადასატვირთავ ნავთობბაზაში მემანქანედ.

ე. ნაკაშიძემ 1954 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენა-ლიტერატურის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო უჩხითის რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1954-1960 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად, 1960-1966 წლებში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად.

1968 წელს დაამთავრა მოსკოვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

1968-1970 წლებში მუშაობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ჯერ ინსტრუქტორად. ხოლო შემდეგ პირველი მდივნის თანაშემწედ.

1970 წლის მაისიდან იყო საქ. კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე.

ე. ნაკაშიძე, როგორც ძველი ფეხბურთელი, ბათუმის „დინამოს" მეკარე, წლების განმავლობაში სპორტსაზოგადოება „დინამოს" ფედერაციის თავმჯდომარე იყო.

მიხეილ ნაკაშიძე

მიხეილ ოსმანის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1928 წლის 16 დეკემბერს, ქედის რაიონის სოფელ გობრონეთში.

1941 წელს დაამთავრა ცენტრი ცხმორისის არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო გობრონეთის კოლმეურნეობაში.

1949 წელს დაამთავრა ქედის რაიონის მახუნცეთის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1953 წელს სწავლა განაგრძო კუიბიშევის სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო სამედიცინო ფაკულტეტის მეხუთე კურსზე, რომელიც დაამთავრა 1955 წელს.

სამუშაოდ გაანაწილეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში განლაგებული სამხედრო კონტიგენტის ერთ-ერთ ნაწილში უმცროს ექიმად. 1955 წლიდან გადაიყვანეს ყაზახეთში, ქ. აკმოლაში სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტის უფროსად. სამხედრო ნაწილის დისლოკაციის გამო, ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს: ამიერბაიკალეთი, კრასნოიარსკი, ატბასარი, ვოლოდარსკოე, ტიუმენი, კოჩეტავი და სხვ.

1968 წელს მუშაობდა ტობოლსკის, ტურტასის და დემიანსკის ტერიტორიებზე. 1970-

1972 წლებში მსახურობდა იაროსლავში, 1973-1975 წლებში მუშაობდა აჭარის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სამედიცინო სამსახურის უფროსად, 1976-1981 წლებში ვოროშილოვგრადში (დღევანდელი ლუგანსკი უკრაინა) სამედიცინო სამსახურის უფროსად.

მიხეილ ოსმანის ძე ნაკაშიძე 1981 წელს გავიდა პენსიაზე.

იყო სამედიცინო სამსახურის გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, შეიარაღებული ძალების ვეტერანი.

1982-1985 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში, 1985-1988 წლებში აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო პროფილაქტიკური განყოფილების უფროსად, 1988-1995 წლებში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური სააავადმყოფოს ბაზაზე არსებულ „სანავია სამსახურს", 1996-2001 წლებში იყო ბათუმის სასწრაფო- სამედიცინო დახმარების სადგურის მთავარი ექიმის მოადგილე კატასტროფის მედიცინის დარგში, ხოლო ბოლო ერთი წელი იქვე – მთავარ ექიმად. 2001-2003 წლებში მუშაობდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუნიციპალური ფონდის კოორდინატორად. 2003 წლიდან – კლინიკა „პარაცელსში" თერაპევტად.

წლების განმავლობაში უსასყიდლოდ ემსახურება ქ. ბათუმის ქართული გარნიზონის მეომართა მკურნალობას.

მიხეილ ნაკაშიძე სამედიცინო სამსახურში უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია 10 მედლით, 3 სამკერდე ნიშნით და მრავალი სიგელით.

მეუღლე - გოგონა ჩიჯავაძე, გარდაიცვალა 1997 წელს.

შვილები: ილია ნაკაშიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობს ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში;

როსტომ ნაკაშიძე - ქიმიკოს-ბიოლოგი, კლინიკა „პარაცელსის" მენეჯერი;

თენგიზ ნაკაშიძე - საზღვაო ინჟინერი, ბათუმის საზღვაო სააგენტო „ინფლოტი - ბათუმის" ხელმძღვანელი.

მ. ნაკაშიძე გარდაიცვალა 2017 წელს.

ნადიმ ნიჟარაძე

ნადიმ იზეთის ძე ნიჟარაძე დაიბადა 1912 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში. 1930 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი.

1930-1931 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის განათლების ინსპექტორად. 1931 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე.

ნადიმ ნიჟარაძე 1937-1944 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრად, 1944-1949 წლებში იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე.

1949 წლის მარტიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია, მისი ხელმძღვანელობით მოხდა პედაგოგიური ინსტიტუტის რეკონსტრუქცია – განახლება, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ნადიმ ნიჟარაძე 1964 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1982 წ.) ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის კათედრას. კითხულობდა ლექციებს თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის გეოგრაფიის ინსტიტუტში.

ნადიმ ნიჟარაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის მეცნიერების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, იყო მრავალი ნაშრომისა და არერთი მონოგრაფიის ავტორი.

შოთა ნიჟარაძე

შოთა იზეთის ძე ნიჟარაძე დაიბადა 1915 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში.

შოთა ნიჟარაძემ 1935 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1941 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1942-1943 წლებში მუშაობდა ხულოს ვაჟთა პედაგოგიური სასწავლებელის დირექტორად, 1944-1946 – წლებში ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლის დირექტორად.

1946 წლიდან შოთა ნიჟარაძე ლექციებს კითხულობს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. 1958 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1972 წელს – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და მიენიჭა პროფესორის წოდება.

შოთა ნიჟარაძე 1967-1985 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას.

გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და არის 4 წიგნის ავტორი. განსაკუთრებულია შ. ნიჟარაძის წვლილი ქართული ენის გრამატიკის კვლევაში. მის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტალური ნაშრომი „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი".

ვახტანგ პაპუნიძე

ვახტანგ პაპუნიძე დაიბადა 1930 წლის 25 აგვისტოს, ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1937 წელს სწავლა დაიწყო ზენდიდის დაწყებით სკოლაში. მისი პირველი მასწავლებელი იყო აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი მელექ (ლეილა) გათენაძე. ვახტანგმა ისეთი ცოდნა გამოავლინა, რომ სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ გადაწყვიტა მისი ერთბაშად ორი კლასით წინ გადაყვანა, მაგრამ მშობლები არ დათანხმდნენ.

1941 წლიდან ვ. პაპუნიძე ქედის რაიონის სახელმწიფო პედსასწავლებელში განაგრძობს, სწავლას, 1948 წელს წარმატებით ამთავრებს.

1949 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. სწავლის დროს მან გამოამჟღავნა პედაგოგიური და მეცნიერული თვისებები, რითაც პროფესორ მასწავლებლების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ის ყველა საგანში უმაღლეს შეფასებას ღებულობდა. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო. სამეცნიერო საზოგადოების კონფერენციებზე მის მიერ წაკითხული მოხსენებები ხშირად ქვეყნდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში.

ვ. პაპუნიძემ 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მოეწყო ასპირანტურაში, ახალგაზრდა ასპირანტი 1956 წელს მიიწვიეს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო განყოფილების გამგის თანამდებობაზე დანიშნეს, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევა იყო.

1958 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1959 წელს დანიშნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1963 წელს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ვახტანგ პაპუნიძემ დაიკავა განყოფილების გამგის თანამდებობა.

1969 წლის მარტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1971 წლის იანვარში პროფესორის წოდება მიანიჭეს.

1972 წლის აპრილიდან 1973 წლის აგვისტომდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

პროფ. ვ. პაპუნიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 1959-1965, 1965-1970 და 1971-1975 წლების პროგნოზის დამუშავებაში. შექმნა ფუნდამენტური მონოგრაფია „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია" (1970).

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხებზე ჯერ არ შესრულებულა იმდენი სამუშაო და არ მოგვეპოვება ისეთი შრომები, როგორიც ეს შეძლო ვახტანგ პაპუნიძემ". – აღნიშნავს ნიკოლოზ ლაჭყებიანი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

პროფ. ვ. პაპუნიძის მიერ ჩატარებული კვლევები და მეცნიერული შედეგები ფართოდ იქნა გაშუქებული მის მიერ გამოქვეყნებულ 200-მდე ნაშრომში რესპუბლიკურ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში, რომლებმაც მნიშვნელოვანი გამოხმაურება და სარგებელი ჰპოვა სოფლის მეურნეობის და საგეგმო ორგანოების მიერ.

პროფ. ვ. პაპუნიძე 1968-1970 წლებში შეთავსებით მუშაობდა დოცენტად საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე, ხოლო 1970 წლის სექტემბრიდან 1974 წლის თებერვლამდე – პროფესორად.

1972 წელს პროფესორების: პეტრე ჟღენტის, ვახტანგ პაპუნიძის, ანდრო კიკნაველიძის და ვახტანგ ბურკაძის მიერ შექმნილი ნაშრომი დამტკიცდა სახელმძღვანელოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისათვის.

1973 წლის აგვისტოში პროფ. ვ. პაპუნიძე გადაიყვანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1974 წლის თებერვალში აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად დააწინაურეს. 1975 წლის 6 იანვარს ვახტანგ პაპუნიძე საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია.

იმ დროს საბჭოთა კავშირის 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის აჭარა პირვე-

ლი და ერთადერთი იყო, რომელსაც კომკავშირულ-პარტიულ სკოლა გამოუვლელი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და იმავ დროს პროფესიონალი მეცნიერი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედგა სათავეში.

ეკონომიკური საკითხების შესწავლისადმი საფუძვლიანი მეცნიერული მიდგომით, დეტალურად შეისწავლა აჭარის მთის (ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები) და ბარის (ქობულეთის, ხელვაჩაურის) რეგიონების, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მკვეთრი ცვალებადობით განპირობებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის, სპეციალიზაციის ხასიათის, მეურნეობათა საწარმოო ტიპების ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული თავისებურებები. დაადგინა, რომ ერთ საკოლმეურნეო კომლს საზოგადოებრივი მეურნეობიდან და პირადი დამხმარე მეურნეობიდან სახელმწიფოზე მიყიდული პროდუქციით მიღებული შემოსავალი 5,4-ჯერ ნაკლები იყო მთის რაიონებში, ვიდრე ბარის რაიონებში. ეს ორი რეგიონი მიწების ინტენსიფიკაციის დონითაც მკვეთრად განსხვავდებოდნენ, მაგალითად, ყოველ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით, აჭარის მთის რაიონების კოლმეურნეობებში, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მიმდინარე საწარმოო დანახარჯების ჯამი 8,8-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ბარის რაიონებში, ანუ შესაბამისად, 1,025 მანეთი მთის რაიონებში და 9,032 ბარში, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 267 მანეთი და 3343 მანეთი, ანუ ბარში 12,5-ჯერ მეტი.

ვ. პაპუნიძის გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, სუბტროპიკული ზონისა და მთიანი ზონის განვითარების დონეები დიდად განსხვავდებოდნენ და ადგილი ჰქონდა მკვეთრ დისპროპორციას ამ დონეებში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა ამ დისპროპორციის არსებითი შემცირება, - კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის მოსახლეობასთან კოოპერირების მოხერხებული ფორმების გამოყენების, ქალაქის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მთის რაიონებში ფილიალების გახსნის, ხალხური რეწვის, ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების, შრომის ანაზღაურების სრულყოფის, დაკრედიტების, ფასების მექანიზმის, დოტაციის, ფასდანამატების, დიფერენციული რენტის გადანაწილების, მოსახლეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთზე თამბაქოს სახელმწიფოსათვის მიყიდვის და სხვა ეკონომიკური ბერკეტების უკეთ გამოყენებით, მთის რაიონების ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპის დაჩქარებით, თანდათანობით დაუახლოვდა ერთმანეთს აჭარის მთისა და ბარის რეგიონების სასოფლო-სამეურნეოთა რენტაბელობის მაჩვენებლები, მაგალითად, თუ 1975 წელს ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში კოლმეურნეობათა რენტაბელობის დონე 30,42 და მთის რაიონებისა 9,7 პროცენტს შეადგენდა, 1983 წელს სუბტროპიკულ რაიონებში რენტაბელობის დონემ 40,1 პროცენტი, ხოლო მთის რაიონებში 39,1 პროცენტი შეადგინა, ანუ თითქმის გათანაბრდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდაქმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროფ. ვ. პაპუნიძის ძალისხმევით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს, 1979 წლის თებერვალში მიღებულმა ერთობლივმა დადგენილებამ: „აჭარის ასსრ მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.” ეს იყო მეტად დიდი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ, რომელიც ხანგრძლივი დროის კომპლექსურ პროგრამას შეიცავდა. 1979-1980 წლებში მთიანი აჭარის მოსახლეობამ საკარმიდამო ნაკვეთებიდან ჩააბარა 1350 ტონა თამბაქო და მოსახლეობამ 5,3 მილიონი მანეთი მიიღო. 1983 წელს ეს ციფრი 9,5 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. 1983 წელს 1975 წელთან შედარებით დამხმარე პირადი მეურნეობებიდან საკოლმეურნეო კომლის შემოსავა-

ლი 82,1 პროცენტით გაიზარდა.

აჭარის ისტორიას არ ახსოვს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ის დონე, რაც გასული საუკუნის 80-იან წლებში იქნა მიღწეული ვახტანგ პაპუნიძის, როგორც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და უიშვიათესი სახალხო მოღვაწის ძალისხმევით. სწორედ მაშინ აიგო მთის რაიონებში კეთილ მოწყობილი საცხოვრებელი სახლები, მოსახლეობის თითქმის ყველა ოჯახმა შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა.

„ვახტანგ პაპუნიძე იყო დიდი მეცნიერი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში, მის სიტყვასა და აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ოლქის პირველი პირის, ისე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დონეზე. მის აზრ-წინადადებას იქაც ყურადღებით იხილავდნენ და სათანადოდ აფასებდნენ" – აღნიშნავდა თენგიზ მენთეშაშვილი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

„განსაკუთრებული გარემოებებია საჭირო მეცნიერის სახელი მეცნიერებიდან კაცობრიობის ისტორიაში რომ მოხვდეს." – წერდა ბალზაკი. ვახტანგ პაპუნიძის სახელი მეცნიერების ოქროს წიგნში შესულია საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების ისეთი გამოჩენილი სახელების გვერდით, როგორებიც არიან: გიორგი გეხტმანი, ივანე ჯაში, პეტრე ჟღენტი, ნიკოლოზ იაშვილი, ნიკოლოზ ლაჭყებიანი და სხვები.

„ვახტანგ პაპუნიძე დიდ მუშაობას ეწეოდა, როგორც სსრ კავშირის, საქართველოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა აჭარაში საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ის ენერგიულად და საქმის ცოდნით წარმართვდა საოლქო ხელმძღვანელის ყოველდღიურ საქმიანობას... მან თავისი კვალი დააჩნია აჭარის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, კურორტებს, ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განსაკუთრებით აჭარისა და სრულიად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში... მის სახელს უკავშირდება აჭარიდან ჭარბი მოსახლეობის სამხრეთ საქართველოში განსახლების მრავალი პრობლემის გადაჭრა. ეს პრობლემები დღესაც მეტად აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს სრულიად საქართველოს მრავალი დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში... ვახტანგ პაპუნიძე სიცოცხლის ბოლო წლებში, სამწუხაროდ, განიცდიდა დევნას და შევიწროებას." – ეს სიტყვები ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანს ეკუთვნის. რადგან საბჭოთა კავშირის 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის აჭარა ყველაზე მცირემიწიანი იყო, ვ. პაპუნიძე დახმარებას უწევდა მთიანი რაიონის მოსახლეობას შედარებით მიწით მდიდარ მესხეთ-ჯავახეთში ნებაყოფილობით ჩასახლებაში, 300-ზე მეტი ოჯახი ჩასახლდა ასპინძაში, 800-მდე – ადიგენში, 120 – წითელწყაროს რაიონში, რომლებსაც ეძლეოდათ თანხები სახლის შესაძენად.

ბოლო 10 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქტების წარმოება 204,5 პროცენტით გაიზარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება 122,5 პროცენტით. ვ. პაპუნიძის ხელმძღვანელობის დროს მოსახლეობას ხელი შეეწყო კერძო მეურნეობის განვითარებაში, ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკაში დამზადებული ხორცის 75-80 პროცენტი კერძო მეურნეობაზე მოდიოდა.

ღრმად განსწავლული მეცნიერი დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მაღალმთიანი და შორეული რაიონების წარჩინებული საშუალო სკოლადამთავრებული

ახალგაზრდებისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გამოიყოფოდა ლიმიტები კონკურსგარეშე ჩასარიცხად. 1982-1985 წლებში სხვადასხვა სპეციალობებზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში აჭარიდან ჩაირიცხა 826 ახალგაზრდა, მათგან 300 მხოლოდ აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან.

ვ. პაპუნიძის ინიციატივით 1982 წლიდან 1985 წლის დეკემბრამდე მიმდინარეობდა ხულო-ადიგენის საავტომობილო გზის 70 კმ გაფართოება მშენებლობა, მის საზეიმო გახსნას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის თითქმის ყველა პირველი პირი, ასევე უშუალოდ ვ. პაპუნიძის ინიციატივით გაკეთდა ხულო-თაგოს 1719 მეტრიანი პირველი სამგზავრო სატვირთო ბაგირგზა, რითაც 15 კილომეტრით შემცირდა ავტომობილით მგზავრთა გასავლელი გზა. ვახტანგ პაპუნიძის ხელმძღვანელობის დროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თითქმის ყოველწლიურად ჯილდოვდებოდა სსრკ გარდამავალი წითელი დროშით. შთამბეჭდავი იყო 1986 წლის იანვარში, როცა მეცხოველეობის დარგში მიღწეული წარმატებისთვის აჭარას გადაეცა სსრ კავშირის გარდამავალი წითელი დროშა, – ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, მტრულად იყო განწყობილი ედუარდ შევარდნაძის, სოლიკო ხაბეიშვილის და მათი კადრებისადმი, რომელთა მიმართ დაიწყო მასობრივი დევნა-შევიწროება და განადგურება. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჯ. პატიაშვილის ყოვლად უსაფუძლო ქმედებები ვახტანგ პაპუნიძის მიმართ, - 1986 წლის იანვარში ზემოთ აღნიშნული საკავშირო გარდამავალი დროშის გადასაცემად აჭარას ეწვია საქართველოს კპ ცეკას მდივანი ნუგზარ ფოფხაძე. მან აქტივის კრებაზე წინასწარ შეთითხნილ მთელ საათნახევრიან მოხსენებაში უაღრესად არაობიექტურად, ბუნებაში არარსებული ფაქტებით მიმოიხილა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ოლქის ხელმძღვანელობის მიერ გაწეული საქმიანობა. არც ერთ დადებით ფაქტზე ყურადღება არ გაამახვილა. როცა ბოლო წინადადება იმით დაამთავრა რომ მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარა ჯილდოვდებოდა გარდამავალი წითელი დროშით, დარბაზში მყოფი აჭარის მაშინდელი აქტივის კრების მონაწილეთა ხმაურიან, ძალზე უკმაყოფილო აღშფოთების ფონზე კარგად გვახსოვს ვახტანგ პაპუნიძის რეპლიკა: „ამდენი კრიტიკის შემდეგ მრცხვენია ამ დროშის ტარზე ხელის მოკიდებაო.”

ვ. პაპუნიძის მიმართ ჯ. პატიაშვილის ქმედებას გარკვეული საფუძველიც ჰქონდა, რაც იმ დროინდელი მაღალი სახელმწიფო მოხელეების მიერ გაჟღერდა კიდეც, კერძოდ, ვახტანგ პაპუნიძეს ჯ. პატიაშვილმა კონკრეტული წინადადება მისცა, რათა ე. შევარდნაძისა და ს. ხაბეისვილის წინააღმდეგ წამოწყებულ ცილისმწამებლურ კამპანიაში ჩართულიყო, მაგრამ არ დათანხმდა. ამ პერიოდში, ჯ. პატიაშვილის დავალებით, აჭარაში გამუდმებით დაიწყო მაკონტროლებელი ორგანოების სტუმრობა, იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს აჭარაში ვ. პაპუნიძის წარმატებული მოღვაწეობის პერიოდი მოჩვენებითი იყო. პირველი პირის სრულიად არალოგიკური და არაობიექტური შეფასებით, რესპუბლიკისა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ვ. პაპუნიძის, როგორც დიდი ავტორიტეტული პიროვნების, ასე ხელაღებით თანამდებობიდან გაშვებას საზოგადოება არ მოუწონებდა. ხედავდა რა, ჯ. პატიაშვილის ასეთ აგრესიულ დამოკიდებულებას, ვ. პაპუნიძემ თვითონ გადაწყვიტა გადამდგარიყო ოლქის პირველი პირის თანამდებობიდან. მას არ სჩვეოდა ვინმეს დაუმსახურებელი კრიტიკა და ძირგამომთხრელი საქმიანობა.

ვახტანგ პაპუნიძე სიცოცხლის ბოლომდე – 1986 წლიდან 1987 წ 5 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და

საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით, მისი განვლილი გზა 56 წლის მანძილზე სამაგალითოდ დარჩება ყველა ქართველის ხსოვნაში. ვახტანგისთანა ადამიანები იშვიათად იბადებიან, ქედელებს ეამაყებათ, რომ იგი მათი თანამემამულე იყო.

ვანო პაპუნიძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის და აფხაზეთის

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ღირსების ორდენის კავალერი, ვანო პაპუნიძე დაიბადა 1940 წლის 10 თებერვალს, ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1958 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო სოფელ ქედის კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

1965 წელს ვანო პაპუნიძემ წარმატებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო მან ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და შრომის დიდი უნარის მქონე ახალგაზრდამ. პაპუნიძე ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი გახდა. დაამუშავა და კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებებით: „აჭარის დენდროფლორა", „ბათუმის სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი", „ექვსკბილა ქერქჭამიით გამხმარი ნაძვნარების ბუნებრივი განახლების მსვლელობა ხულოს სატყეო მეურნეობაში", „საბჭოთა მეურნეობებში შიგასამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვის შესახებ", „წალენჯიხის სატყეო მეურნეობის, ჭალეს სატყეო მეურნეობის განვითარების გზები" და სხვა. სტუდენტობის პერიოდში შესრულებულმა ამ შრომებმა მაღალი შეფასება მიიღო. გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში და დაჯილდოვდა ინსტიტუტის სპეციალური სიგელებით. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ გამოეცხადა მადლობები.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1965წ.), როგორც მზარდი სპეციალისტი, იგი იგზავნება საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის" ა/კ სატყეო საპროექტო საწარმოში ინჟინრის თანამდებობაზე. აქ იგი აქტიურად ჩაება საქართველოს სატყეო მეურნეობის განვთარების გენერალური სქემის შედგენაში, რომელიც მუშავდებოდა აკადემიკოს გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით. ამ მეტად საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმიანობის დროს, ვანო პაპუნიძემ თავი მოუყარა საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების ფონდის მასალებს, რის საფუძველზეც გაკეთდა მეტად საინტერესო და ზუსტი ანალიზი საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების საკითხზე, მის წარსულზე და თანამედროვე მდგომარეობაზე, მოგვცა პროგნოზი შორეულ პერსპექტივისათვის.

1967 წელს ვანო პაპუნიძე აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის რეკომენდაციით, ირიცხება თბილისის სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1972 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ერთხმად ენიჭება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

იგი, როგორც პასუხისმგებელი შემსრულებელი, ამუშავებს სამეცნიერო თემებს – კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ ტერიტორიაზე მაღალპროდუქტიული სამრეწველო

დანიშნულების ტყე-კულტურების შექმნის აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის, დასავლეთ საქართველოს ქარსაფარ ზოლებში გამოყენებულ მცენარეთა ხმობის მიზეზის დადგენისა და ახალი ზოლების აღდგენის. მთის რაიონებში ტყის კულტურების წარმოების, სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების შემუშავების აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებზე და სხვა.

1976 წლიდან დაიწყო ვანო პაპუნიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, როდესაც აკადემიკოსების ვასილ გულისაშვილის, ნიკო კეცხოველის, თავისი ძმის ვახტანგ პაპუნიძის და სხვა მეცნიერების იდეებზე აღზრდილი მკვლევარი, უბრუნდება მშობლიურ, აჭარას და ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში, ამავე დროს ხელმძღვანელობს მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო განყოფილებას. ამ პერიოდში იგი გამოირჩეოდა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე, თავისი დანიშნულებისა და მიზნების ზედმიწევნით მცოდნე, მასშტაბური და პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის, ენერგიული ხელმძღვანელი. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუშაობის დაწყებისთანავე ვანო პაპუნიძემ საფუძველი ჩაუყარა კაპიტალურ გამოკვლევებს ტყის მეურნეობისა და დეკორატიული მებაღეობისათვის ძვირფასი სწრაფმოზარდი ეგზოტების ბიოლოგიური თავისებურებების და სეზონური განვითარების რიტმის შესწავლისათვის. აჭარის ტყის ეკოსისტემების ანთროპოგენურ ცვლილებათა შესწავლას და მათი პროდუქტიულობის ამაღლების ეკოლოგიური საფუძვლების შემუშავებას, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ინტროდუქციის შედეგებს, აჭარის მცენარეული რესურსების და ეკოლოგიური პოტენციალის ტრანსფორმაციას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, აჭარის ზღვისპირეთის სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა ინტროდუქციის კანონზომიერების, საქართველოს სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში მცენარეთა ინტროდუქციის ეკოფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მეთოდოლოგიურ საკითხებს და სხვა. საყურადღებოა, რომ ვანო პაპუნიძეს, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ჩამოსვლის დღიდან კავშირი არ გაუწყვეტია აკად. ვასილ გულისაშვილის სახელობის თბილისის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტთან, თანაშემსრულებელია აღნიშნული ინსტიტუტის წამყვან კვლევით თემებში.

ვანო პაპუნიძის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო თემების დასახული პრობლემების აქტუალობისა და მათი მაღალხარისხოვნად გადაწყვეტის გამო, სამეცნიერო-კვლევითი თემები შეტანილ იქნა იუნესკოს პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო"-ს საბჭოთა კომიტეტის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „ეკოლოგიის"-ა და „მეტყევეობის პრობლემების" პროგრამებში როგორც თანაშემსრულებელი. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიაში.

ვანო პაპუნიძე არის დიდი დიაპაზონის მქონე საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი შემოქმედებით, ქცევით, ნიჭით და უნარით შორს გაითქვა სახელი. მას კარგად იცნობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, გერმანიაში, ბულგარეთში, აშშ-ში, თურქეთში, ირანში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ვანო პაპუნიძე არის მეცნიერების კარგი ორგანიზატორი. იგი ფართო კავშირებს ამყარებს საქართველოს და საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, იწვევს მათ აჭარაში, აცნობს რესპუბლიკის ბუნებრივ-ისტორიულ პირობებს, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ თავისებურებებს და მათთან ერთად აკეთებს სათანადო დასკვნებს, ამუშავებს წინადადებებს და მისაღებ რეკომენდაციებს სოფლისა და ტყის მეურნეობაში. მწვანე მშენებლობასა და საუწყებო ორგანოებში მომუშავე სპეციალისტებისათვის, თვით სადირექტივო ორგანოების ჩათვლით. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და რეგიონულ 60-ზე მეტ სამეც-

ნიერო ფორუმში, კონფერენციებში, სესიებსა და შეხვედრებში. იგი საინტერესო მოხსენებებით გამოდის ევრაზიის, (გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, თურქეთის), ყოფილ საბჭოთა კავშირის (მოსკოვში, ბაბუშკინოში, ალუშტაში, ვლადიკავკაზში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში, ყირიმში, ბაქოში, მინსკში) დიდ ფორუმებზე. მრავალი მისი მოხსენება დაიბეჭდა ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე. მისი ინიციატივით მოეწყო არაერთი გამსვლელი სამეცნიერო საბჭოს სესია და კონფერენცია.

1989 წლის ნოემბერში ვანო პაპუნიძის ინიციატივით ხულოს რაიონში ჩატარებული საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ტყის ეკოლოგიური ფუნქციების საპრობლემო საბჭოს გამსვლელ სესიაზე წაკითხული მოხსენება და სესიის გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო, იმ პერიოდისათვის გაუმართლებელი, აჭარაში სამრეწველო დანიშნულების ტყის ჭრის შეწყვეტას, სანიტარიული და მოვლითი ჭრების მოწესრიგებას, ტყის მეურნეობის გაძღოლის სხვა აქტუალური საკიხების გადაწყვეტას.

1990 წლის დეკემბერში ვანო პაპუნიძე წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას ორი - „ბოტანიკის" და „ეკოლოგიის" სპეციალობით და ენიჭება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1991 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

დაამუშავა 150-მდე სამეცნიერო შრომა, მრავალრიცხოვან სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებთან ერთად მის კალამს ეკუთვნის 27 მონოგრაფიული ხასიათის წიგნი, რომელთაგან აღსანიშნავია: „აჭარის ტყეები (კომპლექსური აღდგენისა და ათვისების პრობლემები)", იშვიათი და გადაშენებამდე მისული ხეები და ბუჩქები საქართველოში (მათი დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები), „საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები", „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქები (ანოტირებული სია)", „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეების და ბუჩქების სამტომეული", „კივი", „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიული ნარკვევი (მეგზური)" და სხვა.

საყურადღებოა, რომ პროფესორ ვანო პაპუნიძის კვლევის სფეროში სათანადო ადგილს იკავებს, საერთოდ ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში, სოფლის მეურნეობის აქტუალური საკითხების შესწავლა. ამ დარგის სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების მიმართულების საკითხები უშუალოდაა დაკავშირებული მის შრომებში: „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შრომითი რესურსების და საწარმოო ფაქტორების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში", „რჩევა" დარიგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები (ქართული სოფლების აღორძინებით დაინტერესებულთა და დამწყებ ფერმერთა დასახმარებლად), „საქართველო-თურქეთის ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური პრობლემები" და სხვა, რომლებიც დაბეჭდილია სპეციალურ საკონფერენციო თუ პერიოდულ შრომათა კრებულებში, აგრეთვე ცალკეული მონოგრაფიების სახით.

პროფესორ ვანო პაპუნიძის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან რამდენიმე ძირითად მიმართულებას უნდა გაესვას ხაზი. აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა, რადგან ესაა უმთავრესი, რომლითაც მან დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებაში.

ამავე საზოგადოებრივი აზრით, პროფესორი ვანო პაპუნიძე გახდა დიდი პედაგოგი, ახალგაზრდობის უნიჭიერესი აღმზრდელი და მასწავლებელი, სწავლას მოწყურებული სტუდენტის დამფასებელი, მისი ფიქრისა და წადილის შესრულების უანგარო მონაწილე და დამრიგებელი.

პროფესორ ვანო პაპუნიძის პედაგოგიურ მოღვაწეობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ თბილისის სატყეო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, 1974 წლიდან, როცა ის აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დავალებით კითხულობს ლექციების კურსს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ ბათუმის სასოფლო-სამეურნეო

ტექნიკუმში, ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიისა და მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში.

პროფესორ ვანო პაპუნიძის პედაგოგიური მუშაობა განსაკუთრებით გამოვლინდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას აქ 1992 წლიდან, როგორც სრულ პროფესორს, წაკითხული აქვს ლექციის კურსი 20-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა საგანში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პროფესორ ვანო პაპუნიძის მოღვაწეობა როგორც უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის და სატყეო საქმის მიმართულების ხელმძღვანელის.

პროფესორი ვანო პაპუნიძე სისტემატურად ამზადებს ასპირანტებს, მაძიებლებს, დოქტორანტებს. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შედის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს ხელმძღვანელობა. არის მრავალი დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

2009 წლიდან პროფესორი ვანო პაპუნიძე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს. 2016 წლიდან იგი, საზოგადოებრივ საწყისებზე, ხელმძღვანელობს აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს.

1988 წელს პროფესორ ვანო პაპუნიძეს ანიჭებენ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდებას.

2001 წლის იანვარში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

იგი არჩეულია იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო" საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრად (1978), სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის), „მეტყევეობის პრობლემების" საბჭოს წევრად (1983); საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების წევრის და საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად (1999); აჭარის კავშირი „მეტყევეთა საზოგადოების" გამგეობის თავმჯდომარედ (პრეზიდენტად, 2005); ენციკლოპედია „აჭარის" მთავარი სამეცნიერო რედაქციის რედაქტორად და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ (2005); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიასთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრად და აგრარული სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელად (2013); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებული კომისიის (2010) და ამავე აკადემიის წყლის, ტყისა და სოფლის მეურნეობის პრობლემათა დარგობრივი კომისიის წევრად (2012)., იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის კომისიის (2013), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შექმნილი ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი (2014), რომლის საპატიო თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, თავმჯდომარე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე .და სხვა კომისიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

პროფესორი ვანო პაპუნიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000); შეყვანილია წიგნში „21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი ინტელექტუალი" (საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი, დიდი ბრიტანეთი, 2010).

გურამ პაპუნიძე

გურამ პაპუნიძე დაიბადა 1944 წლის 2 აპრილს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1960 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეუნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. 1964-1967 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში.

გურამ პაპუნიძემ 1970 წელს დაამთავრა ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით – მეღვინეობის ტექნოლოგი და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

1970-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1980 წელს ინიშნება ამავე ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად.

1981 წლიდან ხელმძღვანელობს მის მიერ შექმნილი სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო- კვლევითი ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს (ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიისა და ბიზნესის ინსტიტუტი.).

1992 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად გ. პაპუნიძემ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა სასწავლო ფაკულტეტი ექვსი სპეციალობით.

ინსტიტუტში 2001 წელს ჩამოაყალიბა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ქვედანაყოფი.

გ. პაპუნიძემ 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

გ. პაპუნიძეს 1997 წელს ირჩევენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადმიის წევრ-კორესპოდენტად.

1990 წლის ოქტომბრში პირველი მრავალპარტიულ არჩევნების დროს გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

გ. პაპუნიძეს გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია. 12 გამოგონების ავტორია. 2013 წელს ერთხმად აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. ამავე დროს ის არის მევენახეობის და მეღვინეობის დარგის კოორდინატორი.

რამაზ ჟღენტი

რამაზ ჟღენტი დაიბადა 1950 წელს ქედის რაიონის სოფელ მილისში. 1966 წელს დაამთავრა უჩხითის საშუალო სკოლა. 1971 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1971 წლიდან მუშაობდა პროკურატურის გამომძიებლად. 1975-1976 წლებში იყო ქედის რაიონის სახალხო მოსამართლე, 1976-1977 წლებში – აჭარის უზენაესი სასამართლოს წევრი, ხოლო 1977-1980 წლებში ქ. ბათუმის პროკურორი.

1980 წელს რამაზ ჟღენტი დააწინაურეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურო-

რად, სადაც მუშაობდა 1992 წლამდე.

რამაზ ჟღენტს 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა სახელმწიფო მრჩევლის (გენერლის) წოდება.

1992 წლიდან იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო დეპარტამენტის უფროსი.

რამაზ ჟღენტი 2009 წლიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ზურაბ ჟღენტი

ზურაბ ჟღენტი დაიბადა 1948 წელს ქედის რაიონის სოფელ მილისში.

1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ლენინგრადის პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტი, 3 წლის განმავლობაში განაწილებით მუშაობდა კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის კესტენგის საუბნო საავადმყოფოში პედიატრად და შემდეგ მთავარ ექიმად. ზურაბ ჟღენტი 1977 წელს ბრუნდება ბათუმში და მუშაობას იწყებს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში პედიატრ-ორდინატორად, შემდეგ ჩვილ ბავშვთა განყოფილების გამგედ.

1986 წლიდან 2011 წლამდე მუშაობდა ქ. ბათუმის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორად.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის გახსნის დღიდან არის პედიატრიული ფაკულტეტის კათედრის გამგე.

არის ღირსების ორდენის კავალერი.

ედუარდ სურმანიძე

სურმანიძე ედუარდ ოსმანის ძე დაიბადა 1964 წ. 1 ნოემბერს ქედაში, პედაგოგთა ოჯახში.

1981 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1987 წელს.

2006 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – სამართალმცოდნის სპეციალობით.

1985-1987 წ.წ. მსახურობდა არმიის რიგებში ქ. თბილისში.

1986-1989 წ.წ. მუშაობდა კომკავშირულ სტრუქტურებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1989-1994 წ.წ. ხელმძღვანელობდა „ახალგაზრდობის ფონდს", „აჭარის ახალგაზრდულ კავშირს", რამდენიმე ბიზნესსტრუქტურას, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

1994 წელს დაინიშნა „აჭარმომარაგების" გაერთიანების მმართველად. 1995 წელს აჭარის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

1995 წლის 5 ნოემბერს აირჩიეს ქედის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად საქართველოს პარლამენტში.

1995-1999 წლებში იგი იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

1999-2002 წ.წ. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი, პარლამენტის წევრი, 2003-2004 წ.წ. საქართველოს პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

2004 წ. მაისში იყო ქ. ბათუმის მერი.

2004-2008 წ.წ. საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თვმჯდომარეა. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის მოქმედ დელეგაციებს აზერბაიჯანთან და თურქეთთან ურთიერთობის საკითხებში.

2008 წლიდან დღემდე ეწევა ბიზნესსაქმიანობას, ცხოვრობს თბილისში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ზაქრო სანიკიძე

დაიბადა 1952 წლის 11 თებერვალს, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში.

1969 წელს დაამთავრა ცხმორისის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქ. კრემენჩუგის სამოქალაქო ავიაციის უმაღლეს საავიაციო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1975 წელს.

1976-1983 წლებში მუშაობს შორეული აღმოსავლეთის ქ. ბატაგაის ავიასაწარმოს მფრინავად, 1983 წელს ამთავრებს ქ. კიევის სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო ინსტიტუტს, მოგვიანებით კი ქალაქ ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის აკადემიას.

ზ. ო. სანიკიძე დღესაც ოჯახურ რელიქვიად ინახავს ოქროს საწერ-კალამს, რომელიც მას მეგობრებმა აკადემიაში ჩარიცხვის დასტურად უსახსოვრეს.

1976 წლიდან ზაქრო სანიკიძე მეორე მფრინავია. მალე „მი-4" ვერტმფრენის მეთაურად აწინაურებენ, სულ მალე კი თვითმფრინავი „ილ-410"-ის მეთაურია, შემდეგ ქ. ბატაგაის ავიასაწარმოს მეთაურის პირველი მოადგილე, საიდანაც მალე, გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის, ქ. ბატაგაის ავიასაწარმოს მეთაურად აწინაურებენ.

1997 წლის ივნისიდან ზაქრო სანიკიძე ინიშნება შორეული აღმოსავლეთის „პოლარული ავიახაზების" გენერალურ დირექტორად. 1998 წლის მარტიდან რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის იაკუტიის საავიაციო ტრანსპორტის ტერიტორიული სამმართველოს უფროსია. 1985-1990 წლებში არჩეული იყო რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკა იაკუტიის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და საპატიო ორდენით, მინიჭებული აქვს რუსეთის ტრანსპორტის საპატიო მუშაკის წოდება.

ერთხელ მოსკოვის აეროპორტში განსაცდელში ჩავარდნილ თანამემამულეებს გადაეყარა, ისინი ბათუმში ცხედარს მოასვენებდნენ, მათ გაჭირვებას გულისხმიერებით უთანაგრძნო და აერობუსით უსასყიდლოდ ჩამოაცილა ბათუმში. როცა ჭირისუფალნი მადლობას უხდიდნენ, სამადლობელი ჩემს მშობლებს გადაეცით სოფელ გეგელიძეებშიო, უთხრა და გულითადად გამოემშვიდობა ჭირისუფალს.

ერთხელაც, გამოცდილი და უშიშარი მფრინავი ქალაქ იაკუტიის სამოქალაქო ავიაციის აეროპორტში, საჰაერო ხომალდ „ილ-62"-ის დაშვებისას სერიოზული რისკის წინაშე აღმოჩნდა, ხომალდის უკანა შასი არ გაიხსნა, აერობუსს კატასტროფა ელოდა, გამოცდილი მეთაური სასწრაფოდ დაუკავშირდა შესაბამის სააგენტოს, სადაც მობილიზებულ იქნა შესაბამისი სპეცდანიშნულების სამსახურები, მეთაურმა მალევე შენიშნა მომზადებული დანადგარი, რომელსაც გაუხსნელი უკანა შასის მოვალეობა უნდა შეესრულებინა, მან ყოველივე ზუსტად გათვალა, ხომალდი მშვიდობიანად და უსაფრთხოდ დასვა საფრენ მინდორზე. ყველაფერი კარგად დამთავრდა, მგზავრებიც და ხელმძღვანელებიც მადლობას უხდიდნენ გამოცდილ მფრინავს, მფრინავი ზაქრო სანიკიძე მძიმე განცდების გამო გაჭაღარავდა და რამდენიმე დღეში გამელოტდა.

2003 წლიდან ზ. სანიკიძე ინიშნება ქალაქ მოსკოვის ვნუკოვოს სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ და ოჯახით საცხოვრებლად გადადის ქ. მოსკოვში. იგი დღესაც განაგრძობს საყვარელი პროფესიით მუშაობას და მის გამოცდილებას დიდი რუდუნებით იზიარებენ მოქმედი მფრინავები ვნუკოვოს საერთაშორისო აეროპორტში.

ზაქრო სანიკიძეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შოთა სირაბიძე



შოთა სირაბიძე დაიბადა 1933 წელს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში. 1951 წელს დაამთავრა მერისის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 1956 წელს მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა სწავლული აგრონომის სპეციალობით.

1956 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში უფროსი აგრონომის თანამდებობაზე.

1957-1961 წლებში მუშაობდა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად. 1962 წელს მუშაობდა ქედის რაიონის სახელმწიფო დამზადების ინსპექტორად.

შ. სირაბიძე 1962-1971 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ქედის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1971-1973 წლებში – პირველ მდივნად.

1973 წელს საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის სექტორის გამგედ გადაიყვანეს.

შოთა სირაბიძე 1975-1978 წლებში აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად მუშაობდა, ხოლო 1978-1986 წლებში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილეა, 1986-1996 წლებში აჭარის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

შ. სირაბიძე 1996-2004 წლებში იყო აჭარის გარემოს დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

ის იყო სანიმუშო ხელმძღვანელი, მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

შ. სირაბიძე გარდაიცვალა 2013 წელს.

არჩილ ტაკიძე

არჩილ ტაკიძე დაიბადა 1928 წლის 15 მაისს ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში. 1944 წელს წარმატებით დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1946 წელს არჩილ ტაკიძემ ბაბუის გარდაცვალებისა და დედის ავადმყოფობის გამო მესამე კურსიდან სწავლას თავი დაანება და ცხმორისის რვაწლიან სკოლაში

დაიწყო მუშაობა ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, შემდეგ ხარაულის რვაწლიან სკოლაში განაგრძო მუშაობა.

არჩილ ტაკიძემ 1956 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით, ხოლო 1969 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით.

1950 წლის 21 აპრილიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ქედის რაიკომის ინსტრუქტორია, მალე პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ დააწინაურეს, ხოლო 1953 წლის დეკემბერში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1957 წლის დეკემბრიდან არჩილ ტაკიძე საქ. კპ. ქედის რაიკომის მეორე მდივანია, 1961 წლის აგვისტოდან საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული, საგეგმო-საფინანსო და სავაჭრო განყოფილების გამგე. 1965 წლიდან პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გახდა.

არჩილ ტაკიძე 1975 წლის ოქტომბრიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1985 წლის დეკემბრიდან აჭარის განათლების მინისტრი. 1990 წლის სექტემბრიდან პენსიაზე გავიდა, მაგრამ როგორც გამოცდილი ხელმძღვანელი მიიწვიეს მინისტრთა საბჭოში მთავარ სპეციალისტად. 1992 წლიდან -არჩილ ტაკიძე მიიწვიეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მეთოდისტად.

არჩილ ტაკიძე გარდაიცვალა 2010 წელს.

მერაბ ქაჯაია

მერაბ ქაჯაია დაიბადა 1933 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცვაში. 1940-1946 წლებში სწავლობდა ორცვის 7-წლიან სკოლაში.

1946 წელს სწავლას აგრძელებს ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა საბუთები გადმოეტანა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1954 წლიდან მერაბ ქაჯაია სამხედრო რიგებში მსახურობს.

1957 წელს ყაზახეთში ყამირის ათვისების დროს აჭარის ახალგაზრდობას ხელმძღვანელობს. მალე მას კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ გადაიყვანენ, შემდეგ მეორე მდივნად.

1963 წლიდან მერაბ ქაჯაიას კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად ირჩევენ.

1964 წელს 31 წლის მერაბ ქაჯაიას საქართველოს კ.პ ხელვაჩაურის რაიკომის პირველ მდივნად აწინაურებენ.

1968 წელს მერაბ ქაჯაიას საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად ირჩევენ და იდეოლოგიის დარგს აბარებენ.

1974 წლის თებერვლიდან მერაბ ქაჯაია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ინიშნება.

1975-1977 წლებში საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველი მდივანია.

მერაბ ქაჯაია 1977-1983 წლებში საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანია. მისი ახალციხეში მუშაობის დროს დაწესდა ,,საფარობის" და ,,შოთაობის" დღესასწაულები, დაიწყო ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია, მერაბ ქაჯაია მესხეთისათვის იმდენად საყვარელ ადამიანად იქცა, რომ მისი მოღვაწეობა მესხეთში გახდა მხატვრული ფილმის „რაიკომის მდივანის" (მშობლიურო ჩემო მიწავ) მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი.

1983 წლის აპრილში მერაბ ქაჯაია საქართველოს ვაჭრობის მინისტრად გადაიყვანეს.

1987 წლიდან აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რიგითი მუშაკია, შემდეგ უფროსი მეცნიერ მუშაკი. ისტორიის განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე.

მერაბ ქაჯაია 1990 წლიდან აჭარის ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარეა.

1992 წლის ოქტომბრიდან მერაბ ქაჯაია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატია ქედის საარჩევნო ოლქიდან.

რამდენიმეჯერ არჩეული იყო აჭარის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბიუროს წევრად. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, სადაც მერაბ ქაჯაია მუშაობდა, ყველგან მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

მერაბ ქაჯაია გარდაიცვალა 2010 წელს.

ალექსანდრე ქაჯაია

ალექსანდრე ქაჯაია დაიბადა 1925 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცვაში. დაამთავრა ორცვის დაწყებითი სკოლა, შემდეგ ქედის საშუალო სკოლა.

1949 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში. შემდეგ მუშაობდა ქედის საშუალო სკოლაში, სასწავლო ნაწილის გამგედ და მათემატიკის მასწავლებლად, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად და მეთოდკაბინეტის გამგედ.

ალექსანდრე ქაჯაია 1967 წლიდან მუშაობას იწყებს ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტად. 1971-1975 წლებში მუშაობდა ინჯალოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორად.

ალექსანდრე ქაჯაია 1975 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, გარდაიცვალა 1982 წელს.

ჯემალ ჩხეიძე

ჯემალ ჩხეიძე – მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და კრიტიკოსი დაიბადა 1922 წლის 18 აპრილს ქედის რაიონის სოფელ აქუცაში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა დაბა ქედის საშუალო სკოლა. შემდეგ ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, 1941-46 წლებში იყო ვაიოს შვიდწლიანი სკოლის დირექტორი. 1946-1950 წლებში კი სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1950 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა დაბა ქედის, სოფელ ქობულეთის, ბათუმის პირველ და მეექვსე საშუალო სკოლებში მასწავლებლად, აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად. აჭარის კულტურის სამინისტროს ინსპექტორად ხელოვნების დარგში, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორად, ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1972 წლიდან პენსიაზე გასვლამდე იყო საზოგადოება „ცოდნის" აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ჯემალ ჩხეიძემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში".

1969-82 წლებში შეთავსებით მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე დოცენტად, კითხულობდა ლექციის კურსს ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურაში, ფოლკლორში, სტილისტიკაში.

ბათუმის უსაზღვრო სიყვარულმა შთააგონა გამხდარიყო ბათუმის ერთ-ერთი პირველი მეისტორიე, –1959 წელს სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა მისი ისტორიული ნარკვევი „ბათუმი".

ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის საკითხებზე ჯემალ ჩხეიძის წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ის არის ავტორი 40-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (დაცულია მუზეუმისა და ინსტიტუტის ფონდებში) და 7 წიგნის. მათ შორისაა „შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში (1961 წ.), „იუსუფ კობალაძე" (გამომცემლობა ხელოვნება, 1962 წელი), მოთხრობების კრებული „ჯიუტი მოხუცი" (1978 წ.), „სიკვდილის როკვა" (1973 წ.) და ა.შ.

ჯემალ ჩხეიძე დაჯილდოებულია მედლებით „1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის", „შრომის ვეტერანი". ასევე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს მედლით ბლაგოევგრადის შრომით კოლექტივებში წაკითხული ლექციებისთვის. 1975-89 წლებში არჩეული იყო ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატად.

ჯემალ ჩხეიძე გარდაიცვალა 1993 წლის 14 ოქტომბერს.

ყედირ (ვახტანგ) სულეიმანის ძე ჩხეიძე

ყედირ ჩხეიძე დაიბადა 1910 წელს ქედის რაიონის სოფ. აქუცაში, პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქედაში, დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ ყვარლის სატყეო ტექნიკუმი, თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და

მუშაობდა ხულოს რაიმიწგანის მთავარ აგრონომად.

ყედირ ჩხეიძე 1943-1947 წლებში მუშაობდა ქედის საშუალო სკოლაში და ქედის

პედაგოგიურ სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა ქიმია-ბიოლოგიას. ამავდროულად 1946-1952 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით რაიონის კოლმეურნეობებში მასიურად დაიწყო ვენახისა და ჩაის კულტურების გაშენება, დიდი ყურადღება ექცეოდა რაიონის შემოსავლის ძირითადი დარგის მეთამბაქოეობის განვითარებას, მან უზრუნველყო რაიონის მასშტაბით თამბაქოს მოსავლის გეგმიზ ზევით 26,5 26,5 პროცენტით დამზადება, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წლის 3 ივლისს მიენიჭა სსრ კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ყედირ ჩხეიძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება.

ყედირ ჩხეიძე, როგორც უნარანი და გამოცდილი სპეციალისტი დანიშნეს შუახევის ახლადშექმნილი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, შემდეგ მუშაობდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. გარდაიცვალა 1977 წელს.

მისი შვილი ნოდარ ჩხეიძე პროფესორია.

ჯემალ წულუკიძე

ჯემალ წულუკიძე დაიბადა 1929 წელს ქედის რაიონის სოფელ კანტაურში, 1949 წელს დაამთავრა ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმი, 1954 წელს – თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის (ი. ჯავახიშვილის) სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და კრედიტები.

ჯემალ წულუკიძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით გაიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში სახალხო მეურნეობის დაფინანსების უფროს ეკონომისტად, გადასახადებისა და დამზადების განყოფილების უფროსის მოადგილედ, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1957 წლიდან 1993 წლის 16 დეკემბრამდე, სიცოცხლის ბოლომდე, მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ.

დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენით, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, 1981 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.

ფხიდონ ხაღვაში

დაიბადა 1925 წლის 17 მაისს, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში.

ცენტრი ცხმორისის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბათუმის კულტსაგანმანათებლო სასწავლებელში, რომელიც უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა და

სოფელს დაუბრუნდა, მუშაობდა კოლმეურნეობაში მერგოლურად, 1941 წელს კი ცენტრი ცხმორისის კლუბ-ბიბლიოთეკის გამგედ, ცენტრი ცხმორისის 8-წლიანი და ახოს 8-წლიანი სკოლების რუსული ენის მასწავლებლად

1950 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1957 წელს მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები.

1957 წელს დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

1957 წლის გაზაფხულზე თბილისში, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მის მიერ წარმოთქმულმა ლექსმა „მე არ ვიქნები შენი სტუმარი" ახალგაზრდა პოეტს დიდი აღიარება მოუტანა.

ფრიდონ ხალვაში სამი ათეული წლის განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელი.

პოეტის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1942 წელს, პირველი კრებული „მზის ქვეყანაში" გამოვიდა 1948 წელს.

პოეტის კალამს ეკუთვნის ლექსთა კრებულები „მუხა და ქარი", რომელიც გამოვიდა 1958 წელს, „გენაცვალე" - 1962 წელს, „ლექსები და პოემები" - 1966 წელს, „ნუგეში" - 1969 წელს, „ერთტომეული" - 1976 წელს, ხოლო მოთხრობები და პოემები „ეს დღე", „ხიხანის ძახილი" - 1959 წელს, „ვაზის ტირილი" - 1963 წელს, "სისხლიანი ქვები" - 1958 წელს, „გადარჩენილი უკვდავება" - 1966 წელს. მისი პიესები წლების განმავლობაში იდგმებოდა ბათუმისა და ხულოს თეატრების სცენებზე.

ფრიდონ ხალვაშის ლექსები და პოემები გამსჭვალულია მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულით, მისი ბედკრული წარსულისადმი თანაგრძნობითა და პატივისცემით. პოეტი ცდილობს ქართველ მკითხველს მოუთხროს, თუ რა მოურჩენელი წყლულები და ტკივილები დაუტოვა აჭარას თურქების სამასწლიანმა ბატონობამ და რა სიხარული მიანიჭა მას დედა სამშობლოსთან დაბრუნებამ. სწორედ ამიტომ ფრიდონ ხალვაშმა წონადი სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში და 1979 წელს ლექსთა კრებულისათვის „ასი მზე დედის გულისა" მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აჭარისა და საერთოდ ქვეყნის ისტორისათვის მისი ბოლო წლების რომანები: „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა", „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი" და „ომრი".

მისი პოემები და ლექსები თარგმნილია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ენაზე.

ფრიდონ ხალვაში დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, 1995 წელს კი ღირსების ორდენით.

ფრიდონ ხალვაში რამდენჯერმე არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს პარლამენტის წევრად.

ფრიდონ იშიღის ძე ხალვაში გარდაიცვალა 2010 წლის 8 ივლისს. იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით, დაკრძალულია ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში, სადაც საფუძველი დაედო პანთეონის დაარსებას.

ჯემალ ჯაყელი

ჯემალ ჯაყელი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1928 წელს დაიბადა ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში.

ჯემალ ჯაყელმა დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ჯემალ ჯაყელი სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ, აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, გამომცემლობა „აჭარის" დირექტორად.

ჯემალ ჯაყელი 1994-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

მინიჭებული აქვს აბუსერისძე ტბელისა და მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიები, ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო პრემია, არჩეულია ქედის რაიონის საპატიო მოქალაქედ.

გამოსცა ლექსთა კრებულები და რომანები: „სიჭაბუკე" (1957 წ.), „ჩანჩქერები" (1962 წ.), „მზე მაღლა იქნება" (1968 წ.), „თვალები და გზები" (1969 წ.), „მუჰაჯირი" (1971 წ.), „აღმართი მარადიული მშვენიერებისა" (1971 წ.), „ლექსები" (1973 წ.), „სფინქსი სიბრძნისა" (1977 წ.), „რჩეული" (1978 წ.), „ნიმფა" (1981 წ.), „მზისა და წვიმის სერენადა" (1988 წ.), „მზე მობრძანდება, ადამ" (1990 წ.), „სამტომეული" (1994 წ.), „რჩეული" (1997 წ.), „ თუ იგრძნო წამი" (1998 წ.), „ერთტომეული" (2003 წ.) და სხვა.

დიდი პოპულარობა და ხალხის სიყვარული არგუნა მის მიერ დაარსებულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ „მესხეთი". მრავალმხრივმა შემოქმედმა პოეზიაში, პროზასა და ქართულ ენათმეცნიერებაში დიდი წვლილი შეიტანა.

არის ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტური ფილმის ავტორი და რეჟისორი, მისი მიმზიდველი ნახატები გამოირჩევა დახვეწილი მანერის ფერწერით. მისი კვლევის საგანია ქართული ფოლკლორი, ბგერათწყობა და ბგერათმეტყველება, ქართული ხალხური სიმღერა.

არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრად.

იყო პერიოდი, როცა მისი შემოქმედების – ლიტერატურულ-მხატვრული სახეების მისეულ ინტერპრეტაციას, მისეულ ხედვას მძაფრი კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ დრომ და ვითარებამ დაადასტურა თავისთავადი კალმოსნის ჭეშმარიტად სწორი არჩევანი.

ჯემალ ჯაყელი თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო მოღვაწე გახლავთ.

ნოდარ ბერიძე

ნოდარ დავითის ძე ბერიძე 1952 წელს დაიბადა ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, კოლმეურნის ოჯახში.

რვაწლიანი განათლება სოფელ დანდალოში მიიღო, ხოლო საშუალო ხარაულის სკოლაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა რომ ბატონი ნოდარი, ხარაულის საშუალო სკოლის, კურსდამთავრებულთაგან პირველი პროფესორია.

საინტერესო სტუდენტობა ჰქონდა, სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი მის

სამეცნიერო მისწრაფებებს. მისი პირველი ნაშრომი იყო „ აჭარაში გავრცელებული ძველი სასოფლო სამეურნეო იარაღები, რომელმაც სტუდენტურ რესპუბლიკურ კონფერენციაზე (1977 წელს) მაღალი შეფასება დაიმსახურა. როგორც წარჩინებული და აქტიური სტუდენტი 1976 წელს იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გაცვლით პრაქტიკაზე.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სამეცნიერო მიმართულებას აირჩევდა, მაგრამ შეთავაზებაზე უარი არ უთქვამს და 1979 წელს საქართველოს კომკავშირის ქედის რაიკომის მეორე მდივანან აირჩიეს.

სწორედ აქ წარმოჩნდა იგი, როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური ახალგაზრდა, სულ მოწინავე ხაზზე იყო, მისი თაოსნობითა და ინიციატივით არა ერთი რაიონული და რესპულიკური ღონისძიებები ჩატარებულა მაღალ დონეზე. იგი განსაკუთრებით თავაზიანობითა და ეთიკურ-ესთეთიკური მანერებით გამოირჩეოდა სხვებისაგან. ამიტომ პატივ სცემდნენ და სიყვარულით მოიხსენიებენ რაიონის ინტელიგენცია და ახალგაზრდობა.

1981 წელს სწავლა დაიწყო ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტუტუტის სელექციისა და გენეტიკის განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში, სელექცია-გენეტიკის სპეციალობით, პარალეურად მუშაობდა ამავე ინსტიტუტის აჭარის საყრდენ პუნქტში მეცნიერ-მუშაკად.

1990 წელს ნ.ბერიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის სელექციისა და გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკი გახდა, სადაც მთავარ მიმართულებად იყო ციტრუსოვანთა პროდუქტიულობის ამაღლების პრობლემები.

1993 წელიდან ცხრა წლის განმავლობაში იყო ბოტანიკური ბაღის სწავლული მდივანი. ამ პერიოდში ხემძღვანელობდა ახალ სამეცნიერო მიმართულებას; „ინდუცირებულ მუტაციურიპროცესების შესწავლის მეცნიერული საფუძვლები ციტრუსოვანებში სახალხო მეურნეობაში დანერგვის მიზნით. შედეგად გამოიყვანეს მანდარინისა და ფორთოხლის ახალი ფორმები.

ნ. ბერიძეს, როგორც სწავლულ მდივანს, სამეცნიერო მუშაობასთან აგრეთვე ევალებოდა სამეცნიერო-კვლევით თემებზე ანგარიშების შედგენა, სამეცნიერო კადრების არჩევნებისა და ატესტაციების ჩატარება, საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობა, სამეცნიერო კონფერენციებისა და ტრეინინგების მომზადება და ა.შ. ყოველივე ამას იგი აკეთებდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

2001 წელს, როგორც ციტროლოგი, საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატში, სტაჟირებაზე, რაც თავისთავად დიდ აღიარებად უნდა ჩაითვალოს. აქ ყოფნის დროს გამოჩენილი სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობისა და ხალხისადმი პატივისცემისათვის მიენიჭა ქალაქ დევისის საპატიო მოქალაქეობა.

2004 წელს ნოდარ ბერიძე უკვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია და ინიშნება ბათუმის შ. რუსრაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და მედიცინის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, სადაც კითხულობს ლექციებს. ამჟამად იგი არის ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს აჭარის მეციტრუსე ფერმერთა ციტრუსოვანთა მოვლა მოყვანის უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით აშშ პროგრამების გახორციელებაში. მიღებული აქვს მრავალი სერთიფიკატი და მადლობის ფურცელი, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემების გადაჭრისათვის.

1997 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-

კორესპოდენტი.

2004 წლიდან – უნივერსიტეტის სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 12 საბაკალავრო და 7 სამაგისტრო ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს 47 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ორი მონოგრაფია და ორი სახემძღვანელო. უამრავი საგაზეთო სტატია.

შოთა ლამპარაძე

შოთა სულეიმანის ძე ლამპარაძე დაიბადა 1951 წლის 16 იანვარს ქედის რაიონის მერისის სასოფლო საბჭოს სოფ. გუნდაურში, გლეხის ოჯახში. 1958 წელს სწავლა დაიწყო მერისის საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა 1966 წლამდე. 1966 წელს სწავლა განაგრძო ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლაში. დაამთავრა 1969 წელს.

1969 წელს ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

1974-1975 წლებში მუშაობდა წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდში მთავარ აგრონომად, შემდეგ ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში აგრონომად.

1976 წელს სწავლა განაგრძო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში სუბტროპიკული კულტურების სელექციის სპეციალობაზე, 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ჯიშების სამეურნეო და ბიოლოგიური თავისებურებების შედარებითი შესწავლა“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1984-85 წლებში მუშაობდა უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის სელექციისა და გენეტიკის განყოფილებაში.

1985-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელად, შემდეგ აჭარის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის განყოფილების გამგედ.

1994-1996 წლებში იყო ქობულეთის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, 1997 წელს ქობულეთის რაიონის ალამბრის ციტრუსების მეურნეობის დირექტორის მოადგილე. (მთავარი აგრონომი).

1998 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე, 2004-2006 წლებში – ამავე ინსტიტუტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

2007 წლიდან დღემდე მუშაობს და ლექციებს ვკითხულობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებაზე, არის პროფესორი და ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი. 2013 – 2014 წლებში სტაჟირებას გადიოდა თურქეთისა და გერმანიის რესპუბლიკებში.

მისი ხელმძღვანელობით წარმატებით მომზადდა 9 სამაგისტრო ნაშრომი და 5 სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 90-მდე სამეცნიერო სტატია (მათ შორის 5 – ამერიკის, ინდოეთის და იაპონიის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში), 5 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო.

ქედელები სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამსახურში

უშანგი ბასილაძე სოფ. წონიარისი
1961-1963 წ.წ. შუახევის
1963-1974 წ.წ. ხულოს
1974-1988 წ.წ. ხელვაჩაურის
რაიონების უშიშროების უფროსი

უშანგი ბერიძე სოფ. დანდალო
1983-1989 წ.წ. ხულოს რაიონის
უშიშროების უფროსი

იოსებ ბერიძე სოფ. ვარჯანისი
1984-1991 წ.წ. შუახევის რაიონის
უშიშროების უფროსი

დავით ბერიძე სოფ. დანდალო
1977-1985 წ.წ. შუახევის რაიონის
მილიციის უფროსი

დეპუტატები ქედის ჰაიონიდან
სსრკ უმაღლეს საბჭოში

1. დუმბაძე ხუსია მევლუდის ძე, სიხალიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 1937 წელი.

2. ბალავაძე მაქსიმე კონსტანტინეს ძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1946 წ.

3. მამულაძე დავით მიხეილის ძე, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1954 წ.

4. თხილაიშვილი ალექსანდრე დურსუნის ძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1958 წ.

5. ღლონტი თამარა ირაკლის ასული, მეცნიერი, 1962 წ.

6. ნიჟარაძე მარიამ ყემბერის ასული, ვაიოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1966 წ.

7. დიასამიძე ქეთო აბდულის ასული, დოლოგნის კოლმეურნეობის მეჩაიე, 1970 წ.

8. მახარაძე გიული ახმედის ასული, წონიარისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1974 წ.

9. ბალაძე ნათელა აქიფის ასული, დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1979 წ.

10. ღოღობერიძე ნარგიზ მემედის ასული, ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1984 წ.

11. საკანდელიძე იამზე ბილალის ასული, მერისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1989 წ.

ხუსია დუმბაძე

მაქსიმე ბალავაძე

დავით მამულაძე

ალექსანდრე თხილაიშვილი

თამარა ღლონტი

მარიამ ნიჟარაძე

ქეთო დიასამიძე

გიული მახარაძე

ნათელა ბალაძე

ნარგიზ ღოღობერიძე

იამზე საკანდელიძე

საქართველოს უმაღლეს საბჭოში

1. დუმბაძე ფატუშა დურსუნის ასული, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1938 წ.

2. ზაქარაია ვლადიმერ ძუკუს ძე, აჭარის შს კომისარი, 1942 წ.

3. დუმბაძე ფატუშა დურსუნის ასული, აჭარის სოცუზრუნველყოფის მინისტრი, 1947 წ.

4. სარიშვილი ბენიამინ ესეს ძე, საქ. საავტ. გზების მინისტრი, 1951 წ.

5. სარჯველაძე მიხეილ ბესარიონის ძე, „ტრესტ საქჩაის" მმართველი, 1951 წ.

6. ბერიძე არჩილ მიხეილის ძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, 1955 წ.

7. ანანიძე მუნთაჰა მეჯიდის ასული, კოკოტაურის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1965 წ.

8. რუდევსკი ივანე დუკას ძე, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სასაზღვრო ჯარების სარდალი საქართველოში, 1959 წ.

9. სურგულაძე ფატყუმე ქამილის ასული, დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1959 წ.

10. კატიშკინი ივანე სერგეის ძე, ა/კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, 1963 წ.

11. კეკელიძე ანა სულეიმანის ასული, გეგელიძეების კოლმეურნეობის მეთამბაქოე 1963 წ.

12. კატიშკინი ივანე სერგეის ძე, ა კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე – 1967 წ.

13. კონცელიძე ეთერ შუქრის ასული, კვაშტის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1967 წ.

14. შელეპინი არკადი გრიგოლის ძე, ამიერკავკასიის ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსი, 1971 წ.

15. ტაკიძე ნანული დურსუნის ასული, ხარაულის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1971 წ.

16. გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს ძე, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, 1975 წ.

17. სურმანიძე იზოლდა ალიოსმანის ასული, პირველი მაისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1975 წ.

18. გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს ძე, საქართველოს სოცუზრუნველყოფის მინისტრი 1980 წ.

19. თურმანიძე გულნაზ ხასანის ასული, მერისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1980 წ.

20. რუხაძე ნუგზარ დომენტის ძე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის თავმჯდომარე, 1985 წ.

21. დიასამიძე მანანა ხუსეინის ასული, ზვარის კოლმეურნეობის მეთამბქოე, 1985 წ.

საქართველოს პარლამენტში

1. პაპუნიძე გურამ რაფიელის ძე, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1990 წ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მოაწერა 1991 წლის 9 აპრილს.

2. აბაშიძე ლევან ივანეს ძე, არჩეულ იქნა რიგგარეშე არჩევნებში, 1991 წ.

3. ქაჯაია მერაბ მუსას ძე, 1992 წ.

4. ედუარდ ოსმანის ძე სურმანიძე 1995 წ.

5. მგელაძე არსენ სელიმის ძე, 1998 წ. 2004 წ.

6. შერვაშიძე იაშა ქაზიმის ძე, ბიზნესმენი, 2008, 2012 წ.წ.

გურამ პაპუნიძე

ლევან აბაშიძე

მერაბ ქაჯაია

ედუარდ სურმანიძე

არსენ მგელაძე

იაშა შერვაშიძე

აჭარის სრ უმაღლეს საბჭოში

1. ხელაძე დიომიდე სევოლოდის ძე, რაიკომის პირველი მდივანი, 1938 წ.
2. მახაჭაძე უმიან დაუთის ასული, ვაიოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1938 წ.
3. ბერიძე ბაშია მემედის ძე, ზენდიდის კოლმეურნეობის მევენახე, 1938 წ.
4. ნიჟარაძე ნადიმ იზეთის ძე, აჭარის განათლების მინისტრი, 1938 წ.
5. წითელაძე ზელიხე ემინის ასული, მერისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1938 წ.
6. ჯღარკავა ანდრო ბესარიონის ძე, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ-დომარის მოადგილე, 1947 წ.
7. ბერიძე ოქროპირ ნიკიფორეს ძე, ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1947 წ.
8. დოლიძე კარლო პლატონის ძე, ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1947 წ.
9. ლორთქიფანიძე ასია ყებასის ასული, ვაიოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1947 წ.
10. დევაძე მემედ მუსტაფის ძე, აგარის კოლმეურნეობის ბრიგადირი, 1947 წ.
11. ჯინჭარაძე ასიე ომერის ასული, მახუნცეთის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1951 წ.
12. ჯაველიძე გრიგოლ თევდორეს ძე, საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, 1951 წ.
13. ჯიჯეიშვილი სარდიონ სოლომონის ძე, აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრი, 1951 წ.
14. ესაძე სერგო ივანეს ძე, ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1951 წ.
15. გორგილაძე ელმას ზექერიას ასული, ქედის რაიონის სოფელ ვაიოს 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი, 1951 წ.
16. გორაძე სურიე ალის ასული, ქედის რაიონის მახუნცეთის კოლმეურნეობის წევრი, 1955 წ.
17. ნაკაშიძე ვლადიმერ ისმაილის ძე, ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯ-დომარე, 1955 წ.
18. ბერიძე ჯელილ დაუთის ძე, ქედის რაიონის წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 1955 წ.
19. სირაძე რუბენ ვასილის ძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, 1955 წ.
20. კიკვაძე ვლადიმერ პეტრეს ძე, საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1955 წ.
21. ბედინაძე მერი მამუდის ასული, დოლოგნის კოლმეურნეობის წევრი, 1959 წ.
22. თებიძე დავით ბაგრატის ძე, აჭარის განათლების მინისტრი, 1959 წ.
23. ანთაძე ალექსანდრე სამსონის ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე, 1959 წ.
24. ნაკაშიძე ვლადიმერ ისმაილის ძე, ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯ-დომარე, 1959 წ.
25. ბერიძე ჯელილ დაუთის ძე, ქედის რაიონის წონიარისის კოლმკეურნეობის თავმჯდომარე, 1959 წ.
26. ანანიძე ამირან ოსმანის ძე, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდი-ვანი, 1959 წ.
27. მჟავანაძე რეჯებ აბასის ძე, ქედის რაიონის ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯ-დომარე, 1963 წ.
28. გოგოლიშვილი ასიე დურსუნის ასული, ქედის რაიონის მერისის კოლმეურნეო-ბის მეთამბაქოე, 1963 წ.
29. პაპუნიძე ფერუზ ხასანის ასული, ქედის რაიონის სოფელ წონიარისის კოლმეურ-

ნეობის მეთამბაქოე 1963 წ.

30. ბოლქვაძე მიხეილ რამიზის ძე, ქედის რაიონის ახოს კოლმეურნეობის მეევნახეობის მერგოლური, 1963 წ.

31. თხილაიშვილი ალექსანდრე დურსუნის ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1963 წ.

32. თავდგირიძე ამირან ხუსეინის ძე, ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1963 წ.

33. გოგიტიძე გიორგი ალექსანდრეს ძე, აჭარის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, 1967 წ.

34. თავდგირიძე ამირან ხუსეინის ძე, ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1967 წ.

35. ნაკაშიძე ვლადიმერ ისმაილის ძე, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1967 წ.

36. ბერიძე ოქროპირ ნიკიფორეს ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, 1967 წ.

37. მაკარაძე სოლომონ ბურხანის ძე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, 1967 წ.

38. ტაკიძე არჩილ მერჯანის ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების გამგე, 1967 წ.

39. შარაძე ლუბა დაუთის ასული, ქედის რაიონის მერისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1967 წ.

40. გოგიტიძე გიორგი ალექსანდრრეს ძე, აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მინისტრი, 1971 წ.

41. მახარაძე ციალა ქაზიმის ასული, ქედის რაიონის აგარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1971 წ.

42. ნაკაშიძე ვლადიმერ ისმაილის ძე, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1971 წ.

43. ხალვაში ფრიდონ იშიდის ძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, 1971 წ.

44. პაპუნიძე დარიკო მუხამედის ასული, ქედის რაიონის წონიარისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1971 წ.

45. ცინცაძე ზინა ზექერიას ასული, ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1971 წ.

46. ბერიძე ოქროპირ ნიკიფორეს ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, 1971 წ.

47. სირაბიძე შოთა მემედის ძე, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1972 წ.

48. მესხიძე გიორგი მურადის ძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, 1975 წ.

49. ქაჯაია მერაბ მუსას ძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1975 წ.

50. თავდგირიძე არჩილ ნუსრედინის ძე, საქართველოს კპ. ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1975 წ.

51. ბეჟანიძე სარდიონ ყემბერის ძე, ქედის რაიონის მერისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, 1975 წ.

52. თებიძე ნათელა იბრაიმის ასული, ქედის რაიონის ზვარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1975 წ.

53. დიასამიძე ცისანა ზექერიას ასული, ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1975 წ.

54. ალიშანიძე ოთარ დურსუნის ძე, ქედის რაიონის დანადალოს კოლმეურნეობის მევენახე, 1975 წ.

55. თავდგირიძე არჩილ ნუსრედინის ძე, საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1980 წ.

56. შავლიძე უმიან დაუთის ასული, ქედის რაიონის პირველი მაისის კოლმეურნეობის მეჩაიე, 1980 წ.

57. ნაკაშიძე ენვერ ეუბის ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, 1980 წ.

58. ბერიძე ნაზი ნურის ასული, ქედის რაიონის ზვარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1980 წ.

59. მამუჭაძე დავით რესულის ძე, ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, 1980 წ.

60. უნგიაძე იური გედევანის ძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1980 წ.

61. მორთულაძე ნანული ოთარის ასული, ქედის რაიონის მახუნცეთის კოლმეურნეობის წევრი, 1985 წ.

62. მახარაძე მიხეილ აბდულის ძე, საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1985 წ.

63. სურმანიძე ნადია რასიყის ასული, ქედის რაიონის გოგინიძეების დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, 1985 წ.

64. ნაკაშიძე ენვერ ეუბის ძე, საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, 1985 წ.

65. ბოლქვაძე ალიოშა სულეიმანის ძე, ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის მევენახე, 1985 წ.

აჭარის უმაღლეს საბჭოში 1991 წლიდან

1. ბერიძე სანდრო ნიაზის ძე, ქედის რაიონის პრეფექტი, ქედის რაიონის №34 საარჩევნო ოლქიდან, 1991 წ.
2. მახარაძე მიხეილ აბდულის ძე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივანი, 1991 წ.
3. გვარიშვილი ჯემალ უშანგის ძე, ქედის რაიონის გამგებელი, 1996 წ.
4. მანველიძე რეზო მევლუდის ძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აგრარული, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, 1996 წ.
5. დევაძე დავით შუქრის ძე, ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორი, 2001 წ.
6. მახარაძე მიხეილ აბდულის ძე, 2004 წ.
7. მიქელაძე ზურაბ რამიზის ძე, 2004 წ.
8. ბოლქვაძე ვაჟა ავთანდილის ძე, ქედის გამგებლის მოადგილე, 2008 წ.
9. ბარამიძე ირაკლი ლევანის ძე, ქედის რაიონის გამგებელი, 2012 წ.

ქედის რაიონი ძველი გაზეთებიდან

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", №327, 1920 წელი, სამშაბათი, 30 მარტი. „წერილი ქედიდან".

ბნელმა პირებმა კვლავ აიშვეს თავი. გაუტენიათ ჯიბე ადერბაიჯანის ფულებით და მიტომ ლამობენ ჩვენ საარსებო ინტერესების ფეხქვეშ გათელვას, ეს ვაჟბატონები დაძრწიან სოფლიდან სოფლად და მოუწოდებენ ხალხს, საქართველოსთან არ იქონიოთ ერთობა. ყველა კარგად ვიცნობთ, თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები: მათ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის ინტერესები, არასოდეს არ ყოფილან ისინი ჩვენი ხალხის ბედ-იღბლით დაინტერესებულნი. მათ ყოველთვის აინტერსებდათ მხოლოდ თავისი მუცელი, თავისი ჯიბე. და აი რაც ადერბაიჯანის აგენტებმა ბ-ნ ეფენდიევის მეთაურობით მათ გაუვსეს ჯიბე, ეს ვაჟბატონები ალაპარაკდნენ. ადერბაიჯანის ფულებმა უცებ მოიყვანა ისინი „საზოგადო მოღვაწეობის" გუნებაზე. და იწყეს მოღვაწეობა. დარბიან მგლებივით და გზა-კვალს უბნევენ ხალხს. მათ დაარბენინებს ბაქოდან გამოგზავნილი ფულები.

წარსულ პარასკევს ამ ვაჟბატონებმა ქედის ადმინისტრაციის დახმარებით, ქედაში თავი მოუყარეს ზოგიერთებს და დამუქრებით და სხვა საშუალებით მიაღებინეს იმ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ბათუმში არის შედგენილი ადერბაიჯანის კონსულ ეფენდიევის ლოცვა-კურთხევით. ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი აჭარისტანიო. – აყვირებს ამ ვაჟბატონებს ადერბაიჯანის ფულები, წინათ ეს მოსყიდული პირები ყვიროდნენ, რომ გვინდა ოსმალეთიო. ახლა ფრონტი უცვლიათ და ამ ფრონტის შეცვლა არის შედეგი მათი ჯიბეების ადერბაიჯანის ფულით გატენისა. ახლა დარწმუნდნენ ვაჟბატონები, რომ ოსმალეთის ორიენტაციით ხალხს ვეღარ მოატყუებენ და აჭარისტანის სახელმწიფოზე იწყეს ღაღადი. იციან მათ კარგად, ასეთს სახელმწიფოს არავინ არ დაარსებს, მარა ასეთი ყვირილით იმედი აქვთ, რომ ხალხს აიყოლიებენ.

მარა ხალხის ფართო მასა მათ არ მიყვება. ხალხი მოითხოვს საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანებას და ამიტომაა, რომ ეს მოსყიდული პირები ადმინისტრაციას იხმარებენ და ძალადობით სურთ ფონს გავიდნენ.

მარა იცოდნენ, რომ მათი ფონი ერთ ალაგას ახრჩობს. არავის შერჩება ხალხის აბუჩად აგდება, ხალხის ინტერესების თამაში. იცოდნენ, რომ ჩვენი ხალხი მოთხოვს მათ პასუხს. იცოდნენ ეს აგრეთვე იმ პირებმა, რომლებიც დღეს დენიკინელებს ჩვენ ადმინისტრატორებთან დაუყენებიათ. დენიკინელების დრო წავიდა. ჩვენი ეხლანდელი

სამწუხარო მდგომარეობაც მალე წავა. ხალხი მიაღწევს მის სურვილს, მალე განხორციელდება ჩვენი მხარის საქართველოსთან გაერთიანება და მაშინ ვნახოთ, თუ რა ჰანგებზე იწყებენ გალობას ის ვაჟბატონები, რომლებიც დღეს ადეიბარჯანის ფულებით ჩვენი ხალხის დაღუპვას ცდილობენ.

საქართველოს საგანგებო რწმუნებულს ბათუმში საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა განუცხადა, რომ ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე აუცილებლად გამოცხადდება საქართველოს სუვერენიტეტი. ნუ დაივიწყებენ ამას ადეირბარჯანის ფულებით მოსყიდულები.

ცხმორისის თემი

„ცხმორისის ცენტრში დგას ორი შენობა, ერთ ოთახში მოთავსებულია მილიციის სადარაჯო, გვერდით არის ქოხსამკითხველო, ფართობით ორი კვადრატული არშინი.

ჯუმა დღეებში ეწყობა აგრო საუბრები და სხვადასხვა დარგის კულტურული მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. თავართქილაძე.

მილიციის გვერდით, მეორე შენობაში მოთავსებულია თემის აღმასკომი, ხსენებული დაწესებულების წინ ამაყად გამოიყურება რკინის ხიდი, მარცხვნივ დგას სამი შენობა, ეტყობა ახლად გაშენებულია, ერთ მათგანში მოთავსებულია კოოპერატივის განყოფილება. ცხმორისში არის ასევე საექიმო პუნქტი, ნაკლი უფრო სერიოზულია, სახელდობრ მედიკამენტების უქონლობა".

გაზეთი „ფუხარა” 1925 წ. №200

ს. საღორეთი
(ქედის მაზრა)

საღორეთი 1914 წლამდე საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო, მაგრამ ომის გამოცხადების შემდეგ ამ სოფლიდან ბევრი გადასახლდა ოსმალეთში. თუ წინათ მოსახლეობის რაოდენობა 120 კომლს აღემატებოდა, ეხლა მხოლოდ 40-50 კომლია, სოფელს აქვს სკოლა და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები, საექიმო პუნქტები არ არის, არ არის არც კოოპერატივი და გლეხობა საჭირო საგნის შესაძენად მიდის ქედაში. კარგი იქნებოდა, რომ იმ გარემოებას ქედის სამაზრო კოოპერატივი მიაქცევდეს ყურადღებას და ამ სოფელში გაიხსნებოდეს თავისი განყოფილება.

ცხმორისის თემი

სოფ. ცხმორისში ითვლება 180 მოსახლე. ეს სოფელი თემიდან ნახევარი საათის სავალზეა, მშვენიერი მომხიბლავი ბუნება და ჰაერი ამ სოფელს საუკეთესო საცხოვრებლად ქმნის. ამდენ ხანს სოფელი გაჭირვებული იყო უწყლობით, საბჭოთა ხელისუფლებამ წყალიც გამოიყვანა და ეხლა სოფელი წყლით უზრუნველყოფილია.

ცხმორისში არის შრომის სკოლა, რომელსაც 49 მოსწავლე ჰყავს. სწავლას სისტემატურად ესწრება 38-39 მოწაფე. მოწაფეები გაყოფილი არიან სამ ჯგუფათ. რომელთაც ასწავლის ერთი მასწავლებელი, რაც ერთობ ძნელია, მომავალ სასწავლო წელში ამ სკოლაში მასწავლებელთა რიცხვი უნდა გაიზარდოს ორამდე მაინც.

სოფლკ. უცხოელი

გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №80

ჩვენ გვინდა გავიგოთ

მახუნცეთში გიდრო სადგურის მუშების საერთო კრების დროს მხოლოდ რუსულ ენაზე ლაპარაკობენ. არიან აჭარლები და ქართველები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა. თითქმის ყველა კრებაზე ითხოვენ რუსულის არ მცოდნენი, რომ კრება ორივე ენაზე სწარმოებდეს, მაგრამ მუშკომი ყურადღებას არ აქცევს.

ასეთი მოპყრობა ყოვლად დაუშვებელია, კრებაზე ლაპარაკი უნდა იყოს ორივე ენაზე. რაც ითქმის რუსულად, უნდა გადაითარგმნოს ქართულად და წინააღმდეგ.

აჭარელი.
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №82

საექიმო დახმარება სოფლად (სოფ. დანდალო)

მთელ ქედის მზრაში სოფ. დანდალო უდიდესი სოფელთაგანია. (მოსახლეობის რიცხვი 300 კომლს აღწევს). სოფელში არსებობს საექიმო პუნქტი, რომელიც უფასო საექიმო დახმარებას უწევს ადგილობრივ ფუხარა გლეხობას. მედპერსონალი პირნათლად და ენერგიულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. პუნქტს საკმაოდ მოეპოვება მედიკამენტები და საჭირო საექიმო დახმარება. ეპიდემიასთან ბრძოლა კარგად მიმდინარეობს, სოფელში არავითარ გადამდებ სნეულებას არ აქვს ადგილი, უკანასკნელ დროს სოფელ დანდალოს საექიმო პუნქტმა აღმოუჩინა უფასო საექიმო დახმარება 134 ავადმყოფს.

ადგილობრივი.
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №114

მერისის საექიმო პუნქტი

მერისის საექიმო პუნქტი ემსახურება 7 სოფელს, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხვი უდრის დაახლოებით 400 კომლს.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში თემში გადამდებ სნეულებას ადგილი არ ქონებია. საექიმო პუნქტი მომარაგებულია საჭირო მედიკამენტებით. ხალხი ძლიერ კმაყოფილია პუნქტის მუშაობით. ასეთი მუყაითი მუშაობით საექიმო საქმე სოფლად უთუოდ გაფართოვდება, მაგრამ მოიკოჭლებს სანიტარული მუშაობა.

მერისელი
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №72

ცხმორისის კოოპერატივის მუშაობა (აჭარცეკავშირის საყურადღებოდ)

„ცხადია თუ რა დიდ როლს თამაშობს სოფლად კოოპერატივები. კოოპერატივმა უნდა მიაწოდოს გლეხს ქალაქის ნაწარმოები და მისგან უნდა მიიღოს სოფლის ნედლი ნაწარმოები. კოოპერატივი უნდა ცდილობდეს სოფლათ მიაწოდოს გლეხს თავის დროს მისთვის აუცილებელი საქონელი.

კოოპერატივში საქონელი მოაქვთ თვეში ორჯერ და ის იგივე დღეს იყიდება,

დანარჩენ დღეებში მადაზიის თაროები ცარიელია... შაქარი, პურის ფქვილი, ბრინჯი, ხახვი და სხვა საქონელი ჩვენთან არ მოიპოვება.

გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №73

ადგილი აქვს უკანონობას

აჭარის წყლის ჰიდრო სადგურში ხშირად აქვს ადგილი უკანონობას, ნათლიმამობას. მოვიყვანთ ერთ ნიმუშს. 6 თვეა რაც კოლია მიქელაძე მსახურობს კანტორაში, ხან „ტაბელჩიკათ" და ხან „აკორდების" საქმეზე. ამ ექვს თვეში მის შემდეგ ბევრი მიიღეს და მაგარ შტატში ჩარიცხეს. მიქელაძე კი არც მაგარ შტატშია და არც რბილში. ჩვენ ვკითხულობთ: თუ რა სავარგისია, რატომ არ რიცხავენ შტატში? 6 თვე მოსამსახურის გამოცდა რომელ შრომის კანონში წერია. მუშები ფიქრობენ, რომ მიქელაძე თვითონ არის „დამნაშავე", ვერავის ვერ „დაუნათესავდა", ხოლო ელსადგურში უნათლიმამოდ ძნელია საქმის კეთება.

კბილის მარწუხი
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №74

კონტრაბანდისტები ქედაში

ქედაში ბევრი ეწევა კონტრაბანდისტობას, ადგილობრივი ვაჭრები, ქედის ჯამეს მოლაკები და სხვა. ისინი რასაკვირველია არ დადიან საზღვარზე საქონლის გადმოსატანად, არა ისინი გადმოტანილ საქონელს ასაღებენ და ამას ასე ახერხებენ: მოიხვევს თავზე შარფს, ან ჩაიცვამს „პლაშს", ერთი შარფი აქვს, რამდენიმე წამის შემდეგ უკვე სხვაგვარი შარფი ახურავს, შემდეგ კიდევ სხვა და ასე სათითაოდ ყველას ცხვირწინ ასაღებენ კონტრაბანდას. ასეთი ვაჟბატონები უნდა გადასახლებული იქნან ქედიდან.

აბდა.
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №117

მისაბაძია სხვისთვის

ქედის სამაზრო „ეპოში" მსახურობს ნოქრად ამხ. აბდულ კონცელიძე. ეს ამხანაგი გაგზავნილი იყო ბათუმში კოოპერატიულ კურსებზე და იქედან დაბრუნების შემდეგ საქმის ცოდნით და ენერგიული მუშაობით დაიმსახურა საყოველთაო პატივისცემა. მას ემადლიერება როგორც კოოპერატივის გამგეობა, ისე მცხოვრებელებიც. ამრიგად ამხ. ნოდარი მისაბაძი ნოქარია სხვებისთვის.

მ. ნოდია
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №240

ვაიოს ხიდი

1926 წლის 12 ნოემბერს მოწვეული იქნა სოფ. ვაიოს, კვაშტის მცხოვრებთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო აჭარცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. სურმანიძე, კრების მიზანი იყო ხიდის აგება. ეს ხიდი ამ სოფლებისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს,

ხალხი დიდად გაჭირვებულია უხიდობით. კრებამ დაადგინა აიგოს ხიდი. ამ მიზნით სოფლები იძენენ 50 კასრ ცემენტს, რომელსაც თავისი ძალებით ჩამოიტანენ ბათომიდან ვაიოში, ჩაზიდვენ სოფელში, აგრეთვე უფასოდ მოზიდავენ ნაჩუქარ ხე-ტყის საჭირო მასალას და ყოველდღე სოფლები გამოყოფენ 20 მუშას, რომლებიც იმუშავებენ ხიდის აგებაზე.

ხიდზე მუშაობა დაიწყო 13 ნოემბერს, ხალხი დიდად კმაყოფილია ამ საქმის დაწყებით.

ლ. ჯოჯუა
გაზეთი „ფუხარა", 1926წ. №264

მერისის გზაზე

მერისი ძლიერ შეწუხებული იყო უგზოობით, ეს მდიდარი რაიონი მოწყვეტილი იყო აჭარის სხვა კუთხეებს და მხოლოდ ფეხოსნის ბილიკით თუ ჩამოვიდოდნენ მერისლები ქედაში. ეხლა ამ ბილიკის მაგიერ გაჭრილია ფართე შარა გზა, გზაზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, დიდძალი მუშები წაკატებით ხელში ეხლაც ანგრევენ საუკუნეთა განმავლობაში ხელუხლებელ კლდეებს, მუშებთან ლაპარაკიდან ირკვევა, რომ მუშაობა კარგად მიდის, მაგრამ გზის გამყვანი ტეხნიკოსი ხშირად ტოვებს გზას და ბათომში მოემგზავრება, რაც დაუშვებელია, არც ხელფასით არიან მუშები კმაყოფილი, რადგან ფული ხშირად იგვიანებს.

სოფკორგა-დი
გაზეთი „ფუხარა", 1926 წლის 14, თებერვალი

სკოლა არ გვყოფნის

აჭარისტანის სოფლებში ასი სკოლაა გახსნილი. ეს საბჭოთა ხელისუფლების დიდი მიღწევაა, მაგრამ სკოლების გახსნამ განათლების მადა გაგვიღვიძა და ეხლა კი სკოლა აღარ გვყოფნის. ასი ისეთი სოფელია, სადაც უთუოდ უნდა გაიხსნას ახალი სკოლა. მაგ. სოფ. კვაშტა (ქედის მაზრა). აქ 52 კომლია, ხალხი დიდი ხანია ითხოვს სკოლას. განსახკომმა შეიტანა კიდეც ამ სოფლის სკოლა 1925-1926 წლის ხარჯთაღრიცხვაში, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. საჭიროა მიექცეს ამ სოფელს ყურადღება.

სოფკორი ხუსეინ გათენაძე
გაზეთი „ფუხარა", 1926 წ. №45

კოოპერატივი მუშაობს (სოფ. ბაბუჩოღლი)

ამ ბოლო დროს სოფ. ბაბუჩოღლის (ბათომის მაზრა) კოოპერატიულ განყოფილებას გამოცოცხლება დაეტყო.

კოოპერატივი მომარაგებულია პირველი მოთხოვნილების საგნებით, რომელიც წესიერად ნაწილდება ადგილობრივ მშრომელ გლეხთა შორის.

კოოპერატივმა შეიძინა 1500 ფუთი სიმინდი, რომელიც პირველ რიგში ეძლევა უღარიბეს გლეხობას. საჭიროა დამატებით 1000 ფუთი სიმინდი, რომ ადგილობრივი გლეხობა სავსებით დაკმაყოფილებული იქნება.

კოოპერატივი ამჟამად აერთიანებს 470 წევრს, მათ შორის 25 ქალია, ღარიბთა ფონდის შემწეობით კოოპერატივში ჩაბმული იქნა წევრებად 108 უღარიბესი გლეხი.

კოოპერატივის ნოქარი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

გლეხობა აფასებს კოოპერატივის მუშაობას, რასაც მოწმობს კოოპერატივის წევრთა რიცხვის ზრდა.

გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი",
1929 წლის 15 აგვისტო №185

კინო მერისის თემში

ამას წინათ მერისის თემში (ქედის მაზრა) პოლიტგანათლების სამმართველოს ხელმძღვანელობით დადგმული იქნა კინო სურათი, რომელსაც დიდძალი გლეხობა დაესწრო, აგრეთვე აჭარელი ქალებიც. სურათის ჩვენება მოეწყო აგრეთვე სოფ. ქეშიოღლებში, სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე.

სურათის შინაარსი დამსწრე გლეხობას გააცნო ამხ. გოგუაძემ, გლეხები დიდი კმაყოფილი დარჩნენ კინო-სურათით და გამოსთქვეს სურვილი, რათა პოლიტგანათლების სამმართველომ ხშირად მოაწყოს კინოსურათის ჩვენება სოფლად.

მერისელი
გაზეთი „საბჭოთა აჭარსიტანი",
1929 წლის 17 აგვისტო, №187

დაიცავი მოჯამაგირე

სოფ. მერისის მცხოვრებ კულაკ მემედ დოლიძეს ყავს დაქირავებული მცირეწლოვანი მოჯამაგირე ტყეშელაშვილი, რომელიც თავის აუტანელ შრომის ფასად წელიწადში ღებულობს 34 მანეთს, მოჯამაგირისათვის არ არსებობს შრომის კანონები, მისი სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული, დამქირავებელი მას ეპყრობა, როგორც პირუტყვს.

მოჯამაგირეთ კომიტეტმა უნდა ალაგმოს გათავხედებული კულაკი და აიძულოს ის, დაიცვას შრომის კანონები

მერისელი
გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი",
1929 წლის 3 ნოემბერი, №254

მოსავლის აღების ფრონტი
ცნობები 10 ნოემბრისათვის

სიმინდი

კოლმეურნეობებში სიმინდი აღებულია 48,5 პუნქტზე, ერთპიროვნულ მეურნეობებში 22,52 ჰექტარზე, და კულაკურ მეურნეობაში კი 43,5 ჰექტარზე. სულ აღებულია 2334 ჰექტარზე, რაც უდრის გეგმის 92,2 პროცენტს.

კარტოფილი

კოლმეურენეობებში აღებულია 7 ჰექტარი. ერთპიროვნულ მეურნეობებში 22,5 ჰექტ. კულაკურში 3,2 ჰექტარზე, კარტოფილი სულ ასაღებია 32,7 ჰექტარზე, ანუ გეგმის 92,4 პროცენტი.

ფილიჩები

კოლმეურენეობებში აღებულია 26,5 ჰექტარი, ერთპიროვნულ მეურნეობებში 8,5 ჰექტარი, კულაკურში 1,5 ჰექტარზე, რაც უდრის გეგმის 60,9 პროცენტს.

გაზეთ „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის"
1933წ. 12 ნოემბერი №7

***

სოფელ გეგელიძეების კოლმეურნეობამ დამამზადებელ წერტს ჩააბარა 2535 კილოგრამის ნაცვლად 3150 კილოგრამი თამბქო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუსტაფ ხალვაშმა განაცხადა: „მართალია, ჩვენ გეგმა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად გადაჭარბებულად შევასრულეთ, მაგრამ ჩვენ ამ წლის მოსავლიდან გვრჩება რამოდენიმე ცენტნერი თამბაქო და თუ ვინიცობას ჩვენმა სოფ. საბჭომ ვერ შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა, ჩვენ მზად ვართ ნაკლოვანება შევავსოთ."

გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი",
1934 წლის 22 ნოემბერი, №86

სიკვდილი მგლებს

ამიერკავკასიის მონადირეთა კავშირს მიმდინარე წლის 1 მარტიდან, 1936 წლის 1 მარტამდე გამოცხადებული აქვს კონკურსი მგლების მასობრივი განადგურებისათვის.

ცალკეულ მონადირეებსა და მონადირეთა ბრიგადებზე დაწესებულია მსხვილი ჯილდოები, მაგალითად საუკეთესო ბრიგადა, რომელიც კონკურსის განმავლობაში მოკლავს 25 მგელს, მიიღებს ჯილდოს 3000 მანეთის რაოდენობით. ბრიგადა, რომელიც მოკლავს 20 მგელს, მისი თვითეული წევრი მიიღებს 500 მანეთს.

მონადირეთა კავშირის რაირწმუნებულებისათვის, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ მგლების განადგურების გეგმას, დაწესებულია 40 ჯილდო, თითო 500 მანეთის ოდენობით.

აჭარის მონადირეთა კავშირი ჩაება მგლების განადგურების კონკურსში. გამოყოფილია 2 ბრიგადა. ერთმა მათგანმა შუახევის სოფსაბჭოში (ხულოს რაიონი) ცნობილი მონადირის ისმაილ დავითაძის ხელმძღვანელობით მაისში მოკლა 3 მგელი.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა",
1935 წ. 15 ივლისი, №161.

№2 ბრიგადა წინ მიდის

სოფ. გეგელიძეების სას. სამ. არტელის №2 ბრიგადა (ბრიგადირი ს. ნიჟარაძე) წინ მიდის თამბაქოს გათოხნისა და შეტეხვის საქმეში. ეს ბრიგადა ახლა თამბაქოს მეორე მოსავალს მეორე და მესამე შეტეხვას აწარმოებს., ამ ბრიგადის მოწინავე ადამიანები: სულეიმანი და რიზალი კეკელიძეები, რამიზ სირაბიძე და სხვები.

ასევე მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა №1 ბრიგადა (ბრიგადირი ე. კეკელიძე), მაგრამ ასეთი როდი შეიძლება ითქვას №3 ბრიგადაზე (ბრიგადირი ზ. დუმბაძე) რომელიც

სამარცხვინო ჩამორჩენას განიცდის თამბაქოს პირველ შეტეხვის საქმეში, ამ ბრიგადაზე მიმაგრებული ნაკვეთი „წილობანი" გათოხვნას საჭიროებს, მის გათოხვნაზე კი არავინ ზრუნავს. №3 ბრიგადამ მუშაობის მაგალითები №2 ბრიგადისაგან უნდა აიღოს".

სელიმ ხალვაში
გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის",
1937 წლის 30 ივლისი, №35

საქ. ალკკ ქედის რაიკომის VI პლენუმი

„ამ დღეებში მაიაკოვსკის სახელობის ქედის კულტურის სახლში შედგა საქ. ალკკ ქედის რაიკომის VI პლენუმი, კომკავშირის პირველად ორგანიზაციის მდივნების მონაწილეობით.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. მ. თხილაიშვილის მოხსენება. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების გატარებაზე კომკავშირულ ორგანიზაციებში თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის დაყენების შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ს. ხალვაში (ცხმორისის სამხედრო მაგიდის გამგე), ტ. ხუნდაძე (მერისის კ.კ. ტერიტორიული ორგანიზაციის მდივანი), მ. სოხაძე (რაიაღმასკომთან არსებული კ.კ. ორგანიზაციის მდივანი) და ვ. კოღოშვილი (საქ. კპ(ბ) ქედის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე).

პლენუმმა მეორე საკითხად განიხილა „კომკავშირული მეურნეობის მდგომარეობა ქედის რაიონულ კ.კ. ორგანიზაციაში" ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ. ქედის რაიკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ს. ანანიძე. ამ საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ო. დიასამიძე (ორთამელის კ.კ საკოლმეურნეო ორგანიზაციის მდივანი), უ. დევაძე (სიხალიძეების კ.კ. ორგანიზაციის მდივანი), ი. მგზავრიძე (ზვარის კ.კ. ორგანიზაცია) და ლ. მიქელაძე (საქ. ალკკ ქედის რაიკომის სააღრიცხვო განყოფილების გამგე). პლენუმმა განხილულ საკითხთა გამო მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქ. ალკკ ქედის რაიკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. სულეიმან ოსმანის ძე ანანიძე.

გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის",
1940 წლის 21 მაისი, №24

ახალი კოლმეურნეობა

სოფ. ზუნდაგაში (მახუნცეთი) ჩამოყალიბდა მეთამბაქოეობის ახალი კოლმეურნეობა, რომელშიდაც ამჟამად 21 წევრია გაერთიანებული. კოლმეურნეთა საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ხასან ქობულაძე.

ბათუმის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის გზა",
1935 წელი, 26 სექტემბერი, №30

კულტურული ვაჭრობა

სოფელ ბაბუჩოღლებში (მახუნცეთის სოფ. საბჭო) კოოპერაციების მაღაზია კულტურულად არის მოწყობილი. თაროებზე ლამაზად აწყვია საქონელი,რომელზედაც გარკვევით აწერია ფასები. მაღაზიაში დაცულია სისუფთავე. სავაჭროს გამგე ამხ. ა. ვარშანიძე.

გაზეთი „კოლმეურნის გზა",
1937 წ. 30 მარტი, №15

თამბაქოს უხვი მოსავლისათვის

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ (მახუნცეთის სოფ. საბჭო) მიმდინარე წელს თამბაქო 75 ჰექტარ ფართობზე დარგო... კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ხ. საფარიძე) 10 აგვისტოსათვის დაამთავრა თამბაქოს პირველი და მეორე შეტეხვა.

გაზეთი „კოლმეურნის გზა", 1938 წ. 24 აგვისტო №39

ქედის რაიონის კოლმეურნეთა შორის

უდიდესი აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი ახალ სესხზე ქედის რაიონის მშრომელებმა. მახუნცეთის სასოფლო საბჭოს ვოროშოლოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მემედ ბედინაძემ, სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ქაზიმ აბესლამიძემ, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მემედ ღოღობერიძემ, აწჰესის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შუქრი ზოიძემ, სოფ. წონიარისის კოლმეურნეობა ლენინის დროშით თავმჯდომარე ამხ. აბდულ დავითაძემ და სოფ. კანტაურის საქნავთის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მუსა ბერიძემ მეორე სამხედროს სესხზე ხელი მოაწერეს 10000 მანეთის რაოდენობით თვითოეულმა. ხელმოწერის თანხა მათ ნაღდზე შეიტანეს.

პირველი მაისის სასოფლო საბჭოს სოფ. აგარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ახმედ თებიძემ ახალ სესხზე ხელი მოაწერა 5000 მანეთზე. თანხა მან ნაღდად შეიტანა.

ს. ნავაძე
გაზეთი „საბჭოთა აჭარა",
1943 წლის 11 ივნისი, №121

კოკოტაურის კოლმეურნეობა

„სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლით და აგროღონისძიებების განუხრელად გატარებისათვის შეუნელებელი ბრძოლით, შარშან ყურძნის, ხეხილის, თამბაქოს და სხვა კულტურების მაღალი მოსავალი მივიღეთ, გავადიდეთ პროდუქტულობა, ჩვენმა ფულადმა შემოსავალმა 1060227 მანეთს მიაღწია, თითოეულ შრომადღეზე გავანაწილეთ 29,96 მანეთი, 2 კილოგრამი სიმინდი, კარტოფილი და სხვა პროდუქტები.

ჩვენს კოლმეურნეობაში ახლა შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

კოლმეურნე მ. ზოიძემ შარშან გამოიმუშავა 484 შრომადღე და მარტო ფულად მიიღო 14520 მანეთი, ჯ. მახარაძემ 443 შრომადღეზე მიიღო 13390 მანეთი, კოლმეურნე ო. შანიძემ ოჯახის წევრებთან ერთად გამოიმუშავა 44400 მანეთი, ჯელილ მახარაძემ მიიღო 33290 მანეთი".

გაზეთი „საბჭოთა აჭარა",
1946 წლის 7 აპრილი,

ზენდიდის კოლმეურნეობაში

სოფ. ზენდიდის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რეფიყ პაპუნიძე) ვადაზე ადრე დაამთავრა თამბაქოს პირველი გათოხნა და ახლა იგი აწარმოებს მეორე გათოხნას. კოლმეურნეობამ დროულად ჩაატარა თამბაქოს დარგვა, რის გამოც ნაკლებად ნახავთ ისეთ პლანტაციას, რომელიც გამორგვას საჭიროებს.

კოლმეურნეობას ასევე კარგად აქვს მოვლილი 9 ჰექტარი მიწის ფართობზე გაშენებული ხეხილის ნარგავები, რომელთაგან წელს გამოიღო ნაყოფი იაპონურმა ხურმამ.

კოლმეურნეობის სტახანოველებია: თალიბ და რეჯებალი დიასამიძეები, თუფან პაპუნიძე, რ. ბერიძე და ხულუს ბერიძე, თუთია დიასამიძე და ვესილე ბერიძე.

ქედელი

გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის",
1936 წ. 30 ივნისი, №27



1810 წელს დაიბადა სოფელ წონიარისი მცხოვრები ახმედ ხუსეინის ძე ბოლქვაძე, ის ჩვენი ცხოვრების ცოცხალი მატიანეა... სოფელ წონიარისის ახალგაზრდებს ხშირად ესაუბრება ახმედი, თუ როგორ აწამებდა აჭარის მშრომელებს ქურდობა, ავაზაკობა, მშრომლთა უსაფუძვლო ხოცვა-ულეტა და სხვა, რასაც ადგილი ჰქონდა წინათ.

უსაზღვრო ბედნიერება და სიხარულია დღეს ახმედ ბოლქვაძის ოჯახში.

გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" 1941 წ. 18 მარტი. №11 წარსულის ცოცხალი მატიანე.

სხვადასხვა

წიგნზე მუშაობის დროს დაგვიგროვდა მასალები, რომლებსაც მკითხველისათვის უთუოდ აქვს ღირებულება, გთავაზობთ დანართის სახით.

დანართი 1

ქედის რაიონის მოსახლეობა 2013 წლისათვის

1. მოსიაშვილები 61 კომლი – 247 სული
2. ჯალაბაშვილები – 112 კომლი – 422 სული
3. დანდალო – 261 კომლი – 997 სული
4. ხარაულა – 208 კომლი – 892 სული
5. ბალაძეები – 32 კომლი – 155 სული

სულ 674 კომლი 2710 სული

2. ცხმორისის თემი

1. ახო – 222 კომლი – 1003 სული
2. გობრონეთი 73 კომლი – 315 სული
3. ცხმორისი 179 კომლი – 825 სული
4. გეგელიძეები – 108 კომლი – 458 სული
5. კოკოტაური – 153 კომლი – 702 სული

სულ 735 კომლი 3303 სული

3. წონიარისის თემი

1. ვარჯანისი – 66 კომლი – 306 სული
2. წონიარისი – 155 კომლი – 773 სული
3. ტიბეთა-კანტაური – 64 კომლი – 291 სული
4. აბუქეთა – 96 კომლი – 421 სული

სულ 381 კომლი 1791 სული

4. ზვარის თემი

1. ზვარე – 51 კომლი – 235 სული
2. ზესოფელი – 59 კომლი – 253 სული
3. ვაიო – 117 კომლი – 626 სული
4. კვაშტა – 78 კომლი – 333 სული
5. სირაბიძეები – 78 კომლი – 312 სული

სულ 383 კომლი 1759 სული

5. დაბა ქედის თემი

1. დაბა ქედა – 460 კომლი – 1640 სული
2. ზენდიდი – 91 კომლი – 369 სული
3. გულები – 66 კომლი – 341 სული
4. ხუნკუდა – 35 კომლი – 171 სული
5. ცხემნა – 36 კომლი – 159 სული
6. კორომხეთი – 50 კომლი – 226 სული.
7. ძენწმანი – 58 კომლი – 236 სული
8. ორცვა – 96 კომლი – 398 სული
9. შევაბური – 29 კომლი – 112 სული
10. აქუცა – 90 კომლი – 398 სული

11. სოფ. ქედა – 53 კომლი – 283 სული
სულ 1064 კომლი 4336 სული

6. პირველი მაისის თემი
1. პირველი მაისი – 143 კომლი – 653 სული
2. კოლოტაური – 135 კომლი – 514 სული
3. აგარა – 70 კომლი – 289 სული
სულ 348 კომლი 1456 სული

7. მახუნცეთის თემი
1. ზედა მახუნცეთი – 78 კომლი – 355 სული
2. ქვედა მახუნცეთი – 103 კომლი – 415 სული
3. ზედა ბზუბზუ – 82 კომლი – 325 სული
4. ქვედა ბზუბზუ – 75 კომლი – 335 სული
5. ზუნდაგა – 74 კომლი – 263 სული
6. უჩხითი – 82 კომლი – 341 სული
7. მილისი – 43 კომლი – 176 სული
8. ქოსოფელი – 27 კომლი – 83 სული
9. დოლოგანი – 115 კომლი – 513 სული
10. ჭალახმელა – 44 კომლი – 196 სული
11. ჭინკაძეები – 59 კომლი – 227 სული
სულ 826 კომლი 3427 სული

9. ოქტომბრის თემი
1. ოქტომბერი 64 კომლი – 249 სული
2. გოგინიძეები – 42 კომლი – 148 სული
3. მეძიბნა – 57 კომლი – 207 სული
4. აგოთა – 40 კომლი – 166 სული
5. კუჭულა – 59 კომლი – 210 სული
სულ 262 კომლი 980 სული

10. მერისის თემი
1. მერისი – 101 კომლი – 407 სული
2. სილიბაური – 37 კომლი – 183 სული
3. ნამონასტრევი – 22 კომლი – 90 სული
4. ინაშარიძეები – 71 კომლი – 291 სული
5. გარეტყე – 28 კომლი – 104 სული
6. სიხალიძეები – 53 კომლი – 148 სული
7. გუნდაური – 60 კომლი 259 სული
სულ 372 კომლი 1482 სული

სულ რაიონში 5045 კომლი 21244 სული

დანართი 2
ქედის რაიონის სტატისტიკური ცნობები

1990 წლისათვის ქედის რაიონში ცხოვრობდა – 19200 მცხოვრები.

1. მახუნცეთის სასოფლო საბჭოში – 3400 მცხოვრები.
2. პირველი მაისის სასოფლო საბჭოში – 1400 მცხოვრები.
3. ქედის სადაბო საბჭოში – 2500
4. ოქტომბრის სასოფლო საბჭოში – 1100
5. მერისის სასოფლო საბჭოში – 1300
6. ზვარის სასოფლო საბჭოში – 2900
7. ცხმორისის სასოფლო საბჭოში – 3200
8. დანდალოს სასოფლო საბჭოში – 2400

1990 წლისათვის ერთ კვ. კილომეტრზე ცხოვრობდა 23 კაცი.

1980 წელს ქედის რაიონში დაიბადა 450 ბავშვი.

1985 წელს – 517

1987 წელს – 502

1990 წელს – 422

2012 წელს – 128 ბავშვი.

1980 წელს ერთი კოლმეურნის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 90 მანეთს.

1985 წელს – 100 მანეთს.

1986 წელს – 132 მანეთს.

1987 წელს – 135 მანეთს.

1985 წლისათვის რაიონის კოლმეურნეობების მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 8 მილიონ 800 ათასი მანეთი. რაიონის კოლმეურნეობებში 1986 წლისათვის მუშაობდა 3778 კაცი.

1985 წელს რაიონს ყველა კატეგორიის მეურნეობებიდან სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 392 ტონა. 1987 წელს დამზადდა ყველა კატეგორიის მეურნეობებში – 1437 ტონა თამბაქო. 1990 წელს რაიონში დმზადდა რძე – 1061 ტონა.

1980 წელს რაიონში დამზადდა.

1. მარცვლეული კულტურები – 650 ტ.
2. ბოსტნეული – 199 ტ.
3. ხილი – 1998 ტ.
4. ჩაი – 963 ტ.
5. ყურძენი – 1158 ტ.

1985 წლისათვის კოლმეურნეობებში და კერძო მეურნეობებში იყო მსხვილფეხა საქონელი 15659 სული.

მათ შორის დედა პირუტყვი – 5425 სული.

1990 წლისათვის მიწის საერთო სარგებლობაში ყო 32437 ჰა.

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 8849 ჰა.

მათ შორის სახნავი 1985 წლისათვის – 2065 ჰა.

მრავალწლიანი ნარგავები – 1000 ჰა.

სათიბი – 199 ჰა.

საძოვარი – 6866 ჰა.

ტყეები – 17628 ჰა.

კოლმეურნეთა და მუშა მოსამსახურეთა სარგებლობაში იყო – 1965 ჰა.

1989 წელს რაიონის მრეწველობამ (ჩაის ფაბრიკა, რაისამრეწველო კომბინატი, სტამბა, სატყეო მეურნეობა) გამოუშვა 6 მილიონ 951 ათასი მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 259 მანეთს.

დანართი №3
მხავალშვილიანი დედები ქედის ხაიონში
(1947-1980 წლები)

1947 წელი

სოფელი დანდალო

1. არძენაძე ფატყუმე ყედირის ას. – 10 შვილი
2. არძენაძე ფადიმე ინუსის ას. – 8 შვილი
3. არძენაძე დარეჯან სულეიმანის ას. – 10 შვილი
4. არძენაძე სულთან მერჯანის ას. – 9 შვილი
5. არძენაძე შაინას დემურალის ას. – 9 შვილი
6. არძენაძე შორეთ ინუსის ას. – 8 შვილი
7. ბარამიძე ნაზიკო ისაკის ას. – 10 შვილი
8. ბარამიძე ფატყუმე – 10 შვილი
9. არძენაძე ფატყუმე ასანის ას. – 9 შვილი
10. არძენაძე ხენიფე დურაყის ას. – 8 შვილი

სოფელი გოგიაშვილები

1. გოგიაშვილი ფადიმე დურსუნის ას. – 9 შვილი
2. ავალიანი ყიმეთ ოსმანის ას. – 9 შვილი
3. ავალიანი ვარდო ყურშუმის ას. – 10 შვილი

სოფელი მოსიაშვილები

1. ბერიძე ზინა ჯემალის ას. – 8 შვილი

სოფელი ჯაღაბაშვილები

1. ცინცაძე აიშე ხასია ას. – 8 შვილი
2. მანველიძე მერიემ იუსუფის ას. – 9 შვილი
3. ცინცაძე აიშე ეუბის ას. – 9 შვილი
4. არობელიძე გულიზარ აბდულის ას. – 8 შვილი
5. ბერიძე ვესილე ყედირის ას. – 9 შვილი
6. ბერიძე მერიემ სერათის ას. – 11 შვილი
7. ცინცაძე უმიან ქერემის ას. – 9 შვილი
8. ჩხუბაძე ფატყუმე ეუბის ას. – 8 შვილი
9. ჩხუბაძე აინურ ზექერიას ას. – 8 შვილი
10. მანველიძე ნაზი შახმურადის ას. – 8 შვილი
11. ბერიძე დარეჯან ასლანის ას. – 8 შვილი
12. ბერიძე ხაჯერ მერჯანის ას. – 8 შვილი
13. არობელიძე ზეინებ სელიმის ას. – 9 შვილი
14. ბერიძე აიშე დავითის ასული – 9 შვილი
15. ბაჯელიძე ნაზი მურთაზის ას. – 13 შვილი.

სოფელი ხახაული

1. ბერიძე ზინეთ დურსუნის ას. – 10 შვილი
2. ბერიძე მერიკო რესულის ას. – 8 შვილი
3. ზაქარაძე ნურიფე დურსუნის ას. – 8 შვილი
4. დავითაძე ემინე მერჯანის ას. – 9 შვილი

5. მახარაძე სულთან დურსუნის ას. – 8 შვილი
6. მახარაძე თამარ ოსმანის ას. – 8 შვილი

სოფელი ტაკიძეები

1. დიასამიძე სულთან სალიხის ას. – 10 შვილი
2. ბერიძე თენზილე ხულუსის ას. – 11 შვილი
3. ავალიანი ნებიე მევლუდის ას. – 8 შვილი
4. მგელაძე ესმე ბექირის ას. – 9 შვილი
5. მამუჭაძე თინა ხაჯის ას. – 8 შვილი
6. შანიძე ფატყუმე მემედალის ას. – 10 შვილი.

ცხმოხისის თემი

1. ბოლქვაძე ნაზი – 10 შვილი – ახო
2. ბერიძე ასიე ომერის ას – 11 შვილი – კოკოტაური
3. ანანიძე მუნთაჰა – 10 შვილი – კოკოტაური
4. ანანიძე ფიდოს – 11 შვილი – კოკოტაური
5. დუმბაძე მელექ – 8 შვილი – გეგელიძეები
6. კეკელიძე მერიემ – 8 შვილი – გეგელიძეები
7. ნაკაშიძე ფატყუმე – 8 შვილი – გობრონეთი
8. ბოლქვაძე ფატყუმე – 8 შვილი – გობრონეთი
9. ნაკაშიძე მუნქარ –8 შვილი – გობრონეთი
10. ბოლქვაძე ფატყუმე რიზალის ას – 9 შვილი – ახო
11. ბერიძე თამარ მემედის ას. – 10 შვილი – ახო
12. ბოლქვაძე ფატყუმე მევლუდის ძე – 8 შვილი – ახო
13. თავდგირიძე ესმე მუხამედის ას. – 8 შვილი – ახო
14. ბოლქვაძე ასიე ახმედის ას. – 8 შვილი – ახო
15. დიასამიძე როხსეთ ახმედის ას. – 7 შვილი – ახო
16. ბოლქვაძე ნათელა მუსტაფის ას. – 7 შვილი – ახო
17. კონცელიძე უნზილე აბასის ას – 7 შვილი – ს. ცხმორისი
18. სანიკიძე მუსემბე მეჯიდის ას. – 7 შვილი – გეგელიძეები
19. ხალვაში ეხსან ისკენდერის ას – 7 შვილი – გეგელიძეები
20. ბერიძე სულთან ალის ას. – 8 შვილი – გეგელიძეები
21. ბერიძე ემინე აბდულის – 7 შვილი – გეგელიძეები
22. ბოლქვაძე ფატყუმე – 8 შვილი – ახო
23 ძნელაძე ფატყუმე – 8 შვილი – კოკოტაური
24. კონცელიძე ეხსან – 8 შვილი – კოკოტაური
25. ვასაძე შუშანა ოსმანის ასული – 8 შვილი – ცხმორისი
26. აბაშიძე ეთერ ოსმანის ასული – 8 შვილი – ცხმორისი
27. ბერიძე ჰუმაიშე დურსუნის ას – 8 შვილი – ახო
28. თავდგირიძე აიშე მემედის ას – 8 შვილი – ახო
29. ბოლქვაძე ფატყუმე რიზალის – 8 შვილი – ახო
30. ბერიძე ჰუმაიშე დურსუნის – 7 შვილი – ახო
31. ბოლქვაძე ჰუმაიშე ზექერია ას – 9 შვილი – ახო
32. ნაკაშიძე ფატია მევლუდის ას. –7 შვილი – ახო
33. კონცელიძე ფატყუმე მუსას ას – 8 შვილი – ს. ცხმორისი
34. მამუჭაძე ზემზემ ახმედის ძე – 8 შვილი – ცხმორისი
35. ვასაძე ფადიმე მემედის – 8 შვილი – ცხმორისი

36. ზოიძე ხაჯერ ოსმანის ას. – 7 შვილი – კოკოტაური
37. შანიძე აიშე ქერემის ას – 8 შვილი – კოკოტაური
38. ზოიძე შემსინურ სალიხის ას. – 7 შვილი – კოკოტაური
39. ანანიძე მუნთაჰა მეჯიდის – 9 შვილი – კოკოტაური
40. მამუჭაძე მელექ ხუსეინის – 8 შვილი – კოკოტაური
41. ძნელაძე ფატყუმე ახმედის ას – 8 შვილი
42. მგელაძე მერიემ მემედის ას – 7 შვილი
43. ბროლაძე ფატყუმე ხუსეინის ას – 8 შვილი – კოკოტაური
44. ბერიძე ფატყუმე რიზალის ას – 7 შვილი
45. ბოლქვაძე მერიემ ხუსეინის ას – 7 შვილი – გობრონეთი

მეხისის თემი

1. დიასამიძე ასიე ოსმანის ას. – 12 შვილი – გარეტყე
2. თურმანიძე ზექიე ხუსეინის ას. – 8 შვილი – გარეტყე
3. თურმანიძე მელექ ხასანის ას. – 7 შვილი – გარეტყე
4. თურმანიძე ეთერ სეფერის ას. – 7 შვილი – მერისი
5. შარაძე თამარ მუხამედი ას. – 7 შვილი – გუნდაური
6. ლამპარაძე აიშე მემედის ას. – 7 შვილი – გუნდაური
7. ლორთქიფანიძე ფატყუმე ოსმანის ას. – 7 შვილი – გუნდაური
8. მიქელაძე ვესილე მუხამედი ას. – 7 შვილი – გუნდაური
9. შარაძე ზემზემ რეჯების ას. – 9 შვილი – ინაშარიძეები
10. შარაძე მერიემ ბილალის ას. – 9 შვილი – ინაშარიძეები
11. შარაძე მზევინარ რევაზის ას. – 8 შვილი – ინაშარიძეები

ოქტომბრის თემი

სოფელი გოგინიძეები

1. სურმანიძე ნადია რასიყის ას. – 11 შვილი
2. შერვაშიძე ფადიმე მეხსუდის ას. – 7 შვილი
3. ქათამაძე ნაზიე მურადის ას. – 7 შვილი

სოფელი მეძიბნა

1. დუმბაძე ინგა ოთარის ას. – 6 შვილი
2. დუმბაძე ასიე მევლუდის ას. – 7 შვილი
3. დუმბაძე ქსენიე ხასანია ას. – 7 შვილი.

ზვარის თემი

1. მახაჭაძე ზექიე – 16 შვილი, სოფელი ვაიო
2. გოგიტიძე მელექ – 13 შვილი, სოფელი ზვარე
3. გათენაძე ჟუჟუნა – 12 შვილი, სოფელი კვაშტა
4. ჯაბნიძე ასიე – 11 შვილი, სოფელი ზვარე
5. ბერიძე ფადიმე – 11 შვილი, სოფელი ზვარე
6. ჯაყელი გულვარდი – 11 შვილი, სოფელი კვაშტა
7. ჯაყელი ნაზიე – 10 შვილი, სოფელი კვაშტა
8. ბოლქვაძე ხატიჯე – 9 შვილი, სოფელი ვაიო
9. ტეტემაძე აიშე – 9 შვილი, სოფელი ვაიო
10. ბერიძე უმიან – 8 შვილი, სოფელი ზესოფელი

ზენდიდის თემი

1. ანანიძე გულნარა – 10 შვილი, სოფელი აქუცა
2. ჩიკვაიძე ფადიმე – 7 შვილი, სოფელი აქუცა
3. ბასილაძე ევა – 7 შვილი, სოფელი შევაბური
4. ბასილაძე გულვარდი – 7 შვილი, სოფელი შევაბური
5. დისამიძე კადრიე არიფის ას. – 7 შვილი, სოფელი აქუცა
6. დიასამიძე ხურმიზ ხუსეინის ას. – 8 შვილი, სოფელი ზენდიდი
7. აბაშიძე ლამარა სულეიმანის ას. – 7 შვილი, სოფელი ცხემნა
8. უზუნაძე ვარდო მემედის – 7 შვილი, სოფელი ორცვა
9. ბერიძე ფადიმე ახმედის ას. – 7 შვილი, სოფელი ხუნკუდა
10. სურმანიძე იხსან ისმაილის ას. – 7 შვილი, სოფელი ძენწმანი
11. სურმანიძე მზევინარ მემედის ას. – 8 შვილი, სოფელი ძენწმანი
12. სურმანიძე ფატყუმე მერჯანის ას. – 7 შვილი, სოფელი ძენწმანი
13. შაქარაძე ნადია შუქრის ას. – 9 შვილი, სოფელი კორომხეთი
14. ბოლქვაძე ყუდუს სეფერის ას. – 9 შვილი, სოფელი კორომხეთი
15. დიასამიძე ლეილა ახმედის ას. – 7 შვილი, სოფელი ქედა
16. ჩიბურიძე გული მურთაზის ას. – 11 შვილი, სოფელი აქუცა
17. დავითაძე ეთერი ალიოსმანის ას. – 9 შვილი, აქუცა
18. ბასილაძე გულიკო მემედის ას. – 7 შვილი, სოფელი შევაბური

პირველი მაისის თემი

1. სალაძე უმიან – 11 შვილი, კოლოტაური
2. ფარტენაძე სურიე – 11 შვილი, აგარა
3. ბოლქვაძე უმიან – 10 შვილი, პირველი მაისი
4. მახარაძე ვერა – 9 შვილი, სოფელი კოლოტაური
5. მახარაძე ფატყუმე – 9 შვილი, სოფელი კოლოტაური
6. ფარტენაძე თენზილე – 8 შვილი, პირველი მაისი.
7. სამნიძე უმიან – 8 შვილი, სოფელი პირველი მაისი.

წონიახისის თემი

1. გოგიტიძე ფატყუმე – 14 შვილი
2. მაკარაძე ხურმიზ – 14 შვილი
3. ირემაძე სემიე – 12 შვილი
4. მაკარაძე უმიან – 12 შვილი
5. ბოლქვაძე ფიდოს – 12 შვილი
6. ბასილაძე შუშანა – 10 შვილი
7. კვირიკაძე ნინო – 10 შვილი
8. ბარამიძე მერიემ – 10 შვილი
9. გოგიტიძე თუნთულ – 10 შვილი
10. გოგიტიძე შორეთ – 9 შვილი

სოფელი აბუქეთა

1. ბერიძე ზემზემ – 10 შვილი
2. ბერიძე მელექ – 9 შვილი
3. ბერიძე გოგუცა – 7 შვილი

სოფელი ვაჩჯანისი

1. ბერიძე გუგული – 10 შვილი

ღოლოგნის თემი

1. კოჩაძე მერიემ იბრაიმის ას. – 14 შვილი
2. საფარიძე ფადიმე აბდულის ას. – 13 შვილი
3. საფარიძე ფადიმე ხელილის ას. – 12 შვილი
4. საფარიძე ხატიჯე ახმედის ას. – 10 შვილი
5. დიასამიძე აიშე ისმაილის ას. – 10 შვილი
6. ჯინჭარაძე ლიდა ხასანის ას. – 10 შვილი
7. საფარიძე უმიან მერადის ას. – 9 შვილი

მახუნცეთის თემი

1. მალაყმაძე ლუთბიე – 13 შვილი
2. შოთაძე გულვარდი – 8 შვილი
3. ნინიძე ხენიფე – 7 შვილი
4. კობალაძე ვარდო – 7 შვილი.
5. ბედინაძე – ცინცაძე ემინე – 10 შვილი.
6. კობალაძე მერიემ – 9 შვილი.

ქედის საპატიო მოქალაქეები

1925 წლის 10 ივლის ქედის ხიდი საზეიმოდ გაიხსნა.

1925 წლის 2დეკემბერს ქედის სამაზრო აღმასკომის სხდომამ ქედის ხიდის მშენებლობაზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ტექნიკოსები პეტრე ნეფჩენკო და ივანე გრაფსკი აირჩია ქედის მაზრის საპატიო მოქალაქეებად და მათ გადაეცათ სათანადო მოწმობები.

ქედის საპატიო მოქალაქეებად სხვადასხვა დროს არჩეული იყვნენ:

1985 წ. - ფრიდონ ხალვაში-პოეტი; შოთა ნიჟარაძე-პროფესორი; ჯელილ ბერიძე-წონიარისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1939-1969 წლებში.

1986წ. - რეჯებ მჟავანაძე- ხარაულის კოლმეურნების თავმჯდომარე 1959-1978 წლებში, ლუბა შარაძე-შრომის ვეტერანი.

1987 წ. - სულეიმან კონცელიძე-ომის ვეტერანი; ჯემალ ჯაყელი, პოეტი.

1995წ. - ვლადიმერ ჩიკვაიძე-პედაგოგი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი; ბიჭიკო ვარშანიძე-საქ. საზღვაო დეპ. უფროსი ნური ვერძაზე, პროფ; ედუარდ სურმანიძე-საქ.პარლ. თავ-რის მოადგილე.

1996წ. - მამია ვარშანიძე-პოეტი; ფრიდონ სირაბიძე -ექიმი;შუქრი თურმანიძე-საბაჟო-სამმართ.უფ.მოადგილე.

1997წ. - ენვერ ხაბაძე -საქ.სახ. არტისტი; მიხეილ ზაქარაძე- საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

2006წ. - ვენერა გუდავაძე-პედაგოგი;ნათია წიკლაშვილი-პროფესორი;ქემალ თურმანიძე-ხის ნაკეთობის ოსტატი; არჩილ თავდგირიძე -ქედის რაიკომის მდივანი(ყოფილი);ვანო პაპუნიძე-პროფესორი;ოსმან თურანი-ბიზნესმენი.

2007წ. - როლანდ ნაკაშიძე-გაეროს მისიის წარმომად; დავით ბედინაძე-მსოფლიო ჩემპიონი.

2008წ. - არჩილ ტაკიძე-პედაგოგი; ავთანდილ დიასამიძე-ექიმი პროფესორი; ლევან თურმანიძე-ბიზნესმენი.

2009წ. - რამაზ ბალაძე-ქირურგი;მელექ ასამბაძე-პედაგოგი; ტარიელ მამალაძე-ლოტბარი.

2010წ. - მირზა ნაკაშიძე-პედაგოგი; ილია ნიჟარაძე- გეგელიძეების სკოლის დირექტორი 1963-1990 წლებში; ზურაბ წიკლაური-ინჟინერი.

2011წ. - ოთარ ბერიძე-პედაგოგი დანდალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1977-1991 წლებში; დავით ტაკიძე - საკრებულოს წევრი; გიორგი ქაჯაია-ბიზნესმენი.

2012წ. - თამაზ გოგიაშვილი – ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე 1985-1991 წლებში; ოსმან სურმანიძე – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ქადის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1985-1990 წლებში; დარია თურმანიძე – ქედის რაიკომის მდივანი.

2013წ. - ფრიდონ დიასამიძე – ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარე 1973-1985 წლებში; ზურა თეთვაძე.

2014წ. - შოთა შერვაშიძე- აჭარის დამსახურებუ;ლი მასწავლებელი; დეკანოზი-სერაფიმე ბერიძე; მერი კურცხალიძე-პედაგოგი; პროფესორი ვლადიმერ ბალაძე.

2016წ. - ოთარ ცინარიძე-ჟურნალისტი; შალვა აბაშიძე- ცხმორისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1979-1990 წლებში, მკვლევარი;ზურიეთ ბერიძე; მარინა პოლიაკოვა-ექიმი; ვახტანგ ბერიძე ქედის საგზაოს უფროსი 1974-1983 წლებში.

შალვა აბაშიძე

შალვა ოსმანის ძე აბაშიძე დაიბადა 1947 წლის 7 მარტს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. მშობლები ოსმან აბაშიძე და ვესილე ირემაძე მუშაობდნენ კოლმეურნეობაში.

შალვა აბაშიძემ 1962 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის 8-წლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ცხმორისის საშუალო სკოლაში. 1963 წელს ცოლად შეირთო ბერიძე ელმას მევლუდის ასული. 1963 წლიდან მუშაობდა კოლმეურნეობაში რიგით წევრად. ამავე წლიდან სწავლა დაიწყო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში. 1965 წელს მოსწავლეთა სიმცირის გამო სოფელ ცხმორისში საღამოს სკოლა გააუქმეს.

1965-1966 წლებში სწავლობდა წონიარისის საშუალო სკოლის მე-11 კლასში. 1967 წელს სწავლა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. დაამთავრა 1972 წელს.

1967 წელს აირჩიეს ცხმორისის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. 1969 წელს არჩეული იყო საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, არჩეული იყო საქართველოს ალკკ XXVII ყრილობის დელეგატად. 1971 წლიდან მუშაობდა სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

1974 წლის 11 მაისს აირჩიეს ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად, რამდენჯერმე იყო არჩეული რაიონული კომიტეტის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად. აგრეთვე საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად.

1979 წლის 26 იანვარს აირჩიეს ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მისი მუშაობის დროს ცხმორისის კოლმეურნეობის შემოსავალმა 1,6 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1982 წელს კოლმეურნეობას გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. მისი მუშაობის დროს გაკეთდა კოლმეურნეობის კლუბ-კანტორა. ცხმორისში გაიხსნა კულტურის სახლი. აშენდა ახოს წყალსადენი. გაყვანილი იქნა ათეულობით კილომეტრი სამანქანე გზა. სამანქანე გზა გაკეთდა აგრეთვე გომისა და ჯაზიგორის მთებზე.

შალვა აბაშიძე იყო 1981 წლის სსრ კავშირის მოღვაწეთა გამოფენის მონაწილე. არჩეული იყო საქართველოს კოლმეურნეთა მე-IV ყრილობის დელეგატად. აგრეთვე ქედის რაიონის საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ და აჭარის საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1989 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქ. ბათუმში, რის გამოც 1990 წლის 28 თებერვალს განთავისუფლდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

შალვა აბაშიძე 1990 წლის 1 ივნისიდან დაინიშნა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად.

1994 წლის 20 ივნისს დაინიშნა შ.პ.ს. სავაჭრო ცენტრ „ალამის" დირექტორად. 1996 წლის 23 თებერვალს გადაიყვანეს დირექტორის მოადგილედ. 1997 წლის 18 თებერვალს დაინიშნა სახაზინო მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრ „თოლიას" დირექტორის პირველ მოადგილედ. ხოლო 1998 წლის 5 მარტს კვლავ დაუბრუნდა

შ.პ.ს. „ალამი პირველს” დირექტორად, საიდანაც განთავისუფლდა საკუთარი განცხადების საფუძველზე, ხოლო 2006 წლის 7 მარტიდან 2016 წლის 17 თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქედის 80 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად.

2001 წელს ხელმძღვანელობდა ჭიათურის რაიონის კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოებს.

2012 წელს ალი ნაკაშიძესთან ერთად გამოსცა წიგნი „ მშობლიური სახელები”. ჰყავს 5 შვილი, 12 შვილიშვილი და 4 შვილისშვილისშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. დ. ბაქრაძე - არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ., 1987 წ.
2. თ.სახოკია - მოგზაურობანი. ბათ., 1985 წ.
3. ზ.ჭიჭინაძე -მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, თბ. 1913 წ.
4. ზ. ჭიჭინაძე -ქართველთა გამაჰმადიანება, თბ.,2008 წ.
5. გ.ყაზბეგი - სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათ., 1994 წ.
6. ქართლის ცხოვრება. ტ.1.
7. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. IV, 1960 წ.
8. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები. ტ. IX, ბათ., 1978 წ.
9. დ. მუსხელიშვილი - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები II, თბ. 1980 წ.
10. ნ. ნიჟარაძე, ნ.ჯიბუტი - აჭარის ასსრ ეკონომიკური გეოგრაფიის დახასიათება, ბათ.,1957 წ.
11. შ. ნიჟარაძე – ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათ. 1971 წ.
12. ი.სიხარულიძე- აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათ.,1962 წ.
13. ი. სიხარულიძე - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა I,II ტ. 1958 წ.
14. ა. კახიძე, შ. მამულაძე - აჭარის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათ.,1993 წ.
15. შ. მამულაძე, - აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993 წ.
16. ხ. ახვლედიანი - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978 წ.
17. ხ. ახვლედიანი - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ბათ.,1975 წ.
18. ხ. ახვლედიანი - ნარკვევები აჭარის ისტორიიდან. ბათ., 1944 წ.
19. ხ. ახვლედიანი - სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ. 1956 წ.
20. ხ. ახვლედიანი - საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, ბათ.,1971წ.
21. პ. ცქვიტარია - აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები. ბათ.,1996 წ.
22. დ. კლდიაშვილი - ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984 წ.
23. ნ. ცეცხლაძე - რეაბილიტაცია. ბათ, 1990 წ.
24. პ. სურგულაძე - ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბ., 1991 წ.
25. ქართული დიალექტოლოგია, თბ.,1961 წ.
26. შ. ვარშანიძე - ნარკვევები შუა სუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ.,1978 წ.
27. შ. ვარშანიძე -ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათ., 1990 წ.
28. ტბელ აბუსერისძე - ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათ.,1981 წ.
29. რ. ხალვაში - ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ბათ., 2006 წ.
30. ბ. დიასამიძე -ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში. ბათ. 1990 წ.
31. ბ. დიასამიძე - ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში I-X ს.ს., ბათ., 2001 წ.
32. ქართველ წმინდანთა ცხოვრება, თბ. 2004 წ.
33. მ.ლორთქიფანიძე - ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ. 1963 წ.
34. მ.რეხვიაშვილი - იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ. 1983 წ.
35. ს.გოგიტიძე - მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათ.,1983 წ.
36. ს.გოგიტიძე - ძიებანი ვახტანგ გორგასლის დროინდელი ქართლის ის-

ტორიიდან, ბათ.,1998 წ.
37. ს.გოგიტიძე - აჭარა I - III საუკუნეებში, ჟურნალი "ჭოროხი", 2014 წ.
38. მურად ქასიბი - ოსმალეთის ქართველები, 2012 წ.
39. ზ. შაშიკაძე -აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბ. 2011 წ.
40. ი. ბექირიშვილი - აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ. 2001 წ.
41. ი. ბექირიშვილი - ამას შენზე ამბობდნენ, აჭარავ, ბათ. 1995 წ
42. ი. ბექირიშვილი - აჭარა მოგზაურთა თვალით. ბათ, 1975 წ.
43. ი. ბექირიშვილი - წიაღსვლები აჭარის წარსულიდან, ბათ. 2003 წ.
44. ოსმალური ფირმანები და ბარათები სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის XVI - XVIII საუკუნეებში, თბ.. 2011 წ.
45. შ.მეგრელიძე - აჭარის წარსულიდან, თბ. 1964 წ.
46. შ.მეგრელიძე - აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ. 1956 წ.
47. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I., თბ. 1970 წ.
48. ი.ჯავახიშვილი - ქართველი ერის ისტორია. ხუთტომეული, 2012 წ.
49. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა.I, 2008 წ.
50. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა.II, 2009 წ.
51. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა.III, 2010 წ.
52. სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა.IV, 2012 წ.
53. ო.თურმანიძე - აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. ბათ.1978 წ.
54. ო. თურმანიძე - გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ბათ., 1979 წ.
55. ო. თურმანიძე - საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში.ბათ., 2011 წ.
56. ო. თურმანიძე - სოფლის მეურნეობა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში 1878 -1921 წ.წ., ბათ.
57. ე. მესხია - სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1997 წ.
58. ვ. ზოიძე - მგზნებარე მამულიშვილები, I., ბათ.,1993 წ.
59. ა.წულაძე - ძმური სიტყვა, ბათ. 1991 წ.
60. ნ. კახიძე - შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიიდან სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში, თბ. 1988 წ.
61. ნ.კახიძე - ხელოვნება აჭარაში, თბ.,1990 წ.
62. შ.ფუტკარაძე - ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993 წ.
63. თ. კომახიძე - აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი I. ბათ 2010 წ.
64. თ. კომახიძე - აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი II. ბათ 2011 წ.
65. თ. კომახიძე - ზაქარია ჭიჭინაძე, ბათ. 2001 წ.
66. თ. კომახიძე - მემედ აბაშიძე. ბათ. 1993 წ.
67. თ კომახიძე – ქობულეთი და ქობულეთლები გამ. აჭარა 1997 წ.
68. რ. სურმანიძე - ყადირ შერვაშიძე, ბათ. 1998 წ.
69. რ. სურმანიძე - თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში, ბათ. 2011 წ.
70. რ. სურმანიძე - სურმანიძეები, ბათ. 2001 წ.
71. რ. სურმანიძე - ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წ.წ. თბილისი 2014.)
72. ს. მესხი - წერილები აჭარაზე. ბათ.,2000 წ.
73. ა. სურგულაძე - ღაზი ოსმან ფაშა თავდგირიძე, ბათ. 1995 წ.
74. ა. სურგულაძე - ყადირ შერვაშიძე თამარ მეფის ორდენის რაინდი, ქუთ. 1998 წ.
75. შ. ჯაფარიძე - ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1918 -1921 წ.წ.

76. ვ. პაპუნიძე - გზა მარადისობისაკენ . ბათ. 2010 წ.
77. ილია ჭავჭავაძე 170. გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი. 2007 წ.
78. გ. ზოიძე გამონათლევი I, გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი. 2014 წ.
79. მ.აბაშიძე - რჩეული ნაწერები. ბათ. 1971 წ.
80. გ. შარაძე - მემედ აბაშიძე, ბათ.1993 წ.
81. ც. ბეჟანიძე - ზენდიდის ციხე. ბეჟანიძეთა საგვარეულო, ბათ., 2013 წ.
82. იბრაიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თბ. 1964 წ.
83. ი. ხიმშიაშვილი- ხიმშიაშვილები, გამ. "ალიონი". ბათ. 2003 წ.
84. ს. დუმბაძე, ვ. მამულაძე - ხიხანის საარწივოდან, ბათ. 1998 წ.
85. ს. დუმბაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბათ. 2006 წ.
86. ნ. დუმბაძე, ს.კაკაურიძე - სახალხო მოღვაწე, თბ, 2007 წ.
87. ა. ტაკიძე - იოსებ სტალინი, თბ. 2013 წ.
88. ს. ტაბაღუა - აჭარის მშრომელები დიდ სამამულო ომში, ბათ. 1974 წ.
89. წიგნი მარადიული ხსოვნისა, თბ.1987 წ.
90. ნ. ბასილაძე - ერის და ქვეყნის მსახურნი, ბათ., 2015 წ.
91. ნ. ბასილაძე – სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981 წ.წ.), ბათუმი, 1982 წ.
92 ნ. ბასილაძე – ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი, 2013 წ.
93. აჭარის საბჭოების ყრილობები (დოკუმენტების კრებული), ბათ. 1971 წ.
94. ა. ბაუჟაძე - აჭარის სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე, ბათ. 1972 წ.
95. გ. ჯიჯეიშვილი - სოციალისტური მშენებლობა აჭარაში, ბათ., 1972 წ.
96. დ. დიასამიძე - კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლა, თბ. 1984 წ.
97. ვ. წულუკიძე - განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათ. 2002 წ.
98. ვ. წულუკიძე - სახალხო განათლებისადმი ლენინური ზრუნვა.აჭარა.,1982 წ.
99. გრ. ბაბილოძე - განათლების აღმავლობა აჭარაში, ბათ. 1979 წ.
100. თ. აბულაძე - ორი სოფლის ჩირაღდანი. ბათ., 2014 წ.
101. თ. აბულაძე - ცხოვრების კვალდაკვალ, ბათ., 2003 წ.
102. ნ. გათენაძე - " აწჰესი", ბათ. 1975 წ.
103. ზ. მახაჭაძე - წარსულის იდუმალი ძახილი, ბათ., 2004 წ.
104. მ. დიასამიძე - საუკუნის სკოლა, ბათ. 2004 წ.
105. ო. გვარიშვილი - სისხლიანი გრიგალის ექო., ბათ. 2001 წ.
106. მ. ნუცუბიძე - მევენახეობა აჭარაში, ბათ. 1976 წ.
107. რ. შერვაშიძე - თავად შერვაშიძეთა საგვარეულო აჭარაში, გამ."აჭარა".2005 წ.
108. შ. ცეცხლაძე - რას მოგვითხრობენ საარქივო ჩანაწერები, ბათ. 2011 წ.
109. შ. აბაშიძე, ა. ნაკაშიძე - მშობლიური სახელები, ბათ, 2011 წ.,
110. სკკპ(ბ) ისტორიის ნარკვევები, თბ. 1952 წ.
111. გაზეთები: "კომუნისტი", "ფუხარა", "საბჭოთა აჭარისტანი","საბჭოთა აჭარა","ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის","კოლმეურნე","იმედი"
112. ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", 11.1916 წ.
113. აჭარის საარქივო სამმართველოს დოკუმენტებისა და მასალების კრებული. 1921-1925 წ.წ. ბათ., 1980 წ.
114. აჭარის საარქივო სამმართველოს დოკუმენტებისა და მასალების კრებული. 1933 - 1947 წ. ბათ. 1986 წ.
115. ქედის რაიაღმასკომის ბრძანებები 1932 - 1934 -1936 წლებში.
116. ქედის რაიონული არქივის მასალები.

სარჩევი

1. რედაქტორისაგან ---------- 2
2. საინტერესო მონოგრაფია ---------- 3
3. ავტორისაგან ---------- 4
4. ქედის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება ---------- 5
5. ნაწილი პირველი. ქედის რაიონის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი ---------- 13
6. ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლები ---------- 23
7. ქედა შუა საუკუნეებში ---------- 34
8. ქრისტიანობის გავრცელება ---------- 37
9. აჭარა ოსმალთა ბატონობის დროს ---------- 45
10. ოსმალური გადასახადები ---------- 57
11. შაჰ-თამაზის ლაშქრობა სამცხე-აჭარაში და ზენდიდის ბრძოლა -- 62
12. ზოგიერთი საკითხი გამუსლიმანების ისტორიიდან ---------- 64
13. განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან ---------- 67
14. აჭარის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან ---------- 72
15. მუჰაჯირობა ---------- 75
16. ქართველები თურქეთის სახელმწიფო სამსახურში ---------- 82
17. სოფლის მეურნეობა 1878-1921 წლებში ---------- 90
18. ქედა მოგზაურთა თვალით ---------- 92
-ჟან შარდენი ---------- 92
-ჯიფორდ პალგრევი ---------- 93
-ევგენი ვუიდენბუმი ---------- 93
-დიმიტრი ბაქრაძე ---------- 93
-თედო სახოკია ---------- 95
-ზაქარია ჭიჭინაძე ---------- 96
19. ქედის მოამაგენი ---------- 99
-აბდულ მიქელაძე ---------- 99
-თუფან-ბეგ შერვაშიძე ---------- 105
-ყადირ შერვაშიძე ----------106
-დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე ---------- 108
-სულეიმან ბეჟანიძე ---------- 110
20. ოსმალურ-რუსული განათლების შუქჩრდილები ---------- 110
21. ახალი ადმინისტრაციული მოწყობა ---------- 115
22. გლეხთა მოძრაობა ქედის მაზრაში XX ს. დასაწყისში ---------- 117
23. პირველი მსოფლიო ომი და აჭარა ---------- 121
24. აჭარა 1918-1921 წლებში ---------- 128
25. ნაწილი II, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში ---------- 135
26. აჯანყება ქედაში ---------- 138
27. ბრძოლა კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ— 141
28. ახალი ცხოვრების შუქ-ჩრდილები ქედის რაიონში (1921-1941წ.წ.)— 143
29. რეპრესიები ახალი წყობის ატრიბუტი ---------- 154
30. 1951 წლის რეპრესიები ---------- 169
31. აწჰესი ---------- 174
32. ქედის რაიონი მეორე მსოფლიო ომის წლებში ---------- 178
33. სახელისუფლო და ძალოვანი სტრუქტურები მოქმედებაში საქა-

რთველოს კკ ქედის რაიკომი ---------- 209
34. რაიონული საბჭოს აღმასკომი ---------- 216
35. რაიონული განყოფილებების და კომიტეტების ხელმძღვანელები-- 223
-რაიონის საფინანსო განყოფილების გამგეები ---------- 223
-სახალხო კნტროლის კომიტეტის თავმჯდომარეები ---------- 223
-საქ. ალკკ. ქედის რაიკომი ---------- 224
-ქედის რაიონის მილიციის უფროსები ---------- 225
-ქედის რაიონის მოსამართლეები ---------- 232
-ქედის რაიონის პროკურორები ---------- 233
-სახელმწიფო უშიშროების ქედის რაიონული განყოფილების უფროსები – 234
-სამხედრო ინსპექტორები და კომისრები ---------- 236
36. მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ---------- 236
-ჯანმრთელობის დაცვა ---------- 236
-საგზაო სამსახური ---------- 240
-სოცუზრუნველყოფის სამსახური ---------- 241
-სავაჭრო მომსახურეობა ---------- 241
-კომუნალური სამსახურის უფროსები ---------- 242
-საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ---------- 242
-კავშირგაბმულობის განყოფილება ---------- 243
-ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო ---------- 245
-ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი ---------- 247
-ქედის სატყეო მეურნეობა ---------- 248
37. ხელისუფლების სათემო რგოლი ---------- 249
-ქედის თემი ---------- 250
-ცხმორისის თემი ---------- 252
-მერისის თემი ---------- 255
-პირველი მაისის თემი ---------- 258
-მახუნცეთის თემი ---------- 261
-ზვარის თემი ---------- 262
-დანდალოს თემი ---------- 265
-ოქტომბრის თემი ---------- 268
-წონიარისის თემი ---------- 270
38. სოფლის მეურნეობა ქედის რაიონში ---------- 270
-მეთამბაქოეობა ---------- 272
-მეცხოველეობა ---------- 272
-მევენახეობა ---------- 273
-მეჩაიეობა ---------- 275
-მიწის ფონდი ---------- 276
-ბუნებრივი რესურსები ---------- 277
39. ქედის რაიონის კოლმეურნეობები ---------- 278
-ქედის თემის კოლმეურნეობები ---------- 278
-შევაბური ---------- 278
-აქუცა ---------- 279
-ორცვა ---------- 280
-ძენწმანი ---------- 282
-ცხემნა ---------- 282
-ქედა ---------- 283

-ქედის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 286
40. ცხმორისის თემის კოლმეურნეობები ---------- 287
-სოფ ცხმორისი ---------- 287
-ახო ---------- 291
-გეგელიძეები ---------- 295
-კოკოტაური ---------- 299
-გობრონეთი ---------- 301
41. ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობები ---------- 304
42. მერისის თემის კოლმეურნეობები ---------- 309
-ნამონასტრევი ---------- 309
-სიხალიძეები ---------- 309
-ინაშარიძეები ---------- 310
-გუნდაური ---------- 311
-სილიბაური ---------- 312
-მერისი ---------- 313
-მერისის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 314
43. პირველი მაისის თემის კოლმეურნეობები ---------- 314
-პირველი მაისი ---------- 315
-აგარა ---------- 316
-კოლოტაური ---------- 317
-პირველი მაისის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 318
44. მახუნცეთის თემის კოლმეურნეობები ---------- 319
-მახუნცეთი ---------- 319
-მილისი ---------- 320
-ზუნდაგა ---------- 321
-ქვედა ბზუბზუ ---------- 322
-უჩხითი ---------- 323
-დოლოგანი ---------- 325
-მახუნცეთის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 326
45. ზვარის თემის კოლმეურნეობები ---------- 327
-ზვარე ---------- 327
-ვაიო ---------- 328
-ზესოფელი ---------- 330
-კვაშტა ---------- 332
-ზვარის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 333
46. წონიარისის თემის კოლმეურნეობები ---------- 334
-სოფ. კანტაური ---------- 334
-აბუქეთა ---------- 335
-წონიარისი ---------- 336
-ვარჯანისი ---------- 338
-წონიარისის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 339
47. დანდალოს თემის კოლმეურნეობები ---------- 340
-ხარაულა ---------- 340
-სოფ. დანდალო ---------- 342
-ბალაძეები ---------- 344
-ჯალაბაშვილები ---------- 344
-დანდალოს გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 345

48. ოქტომბრის თემის კოლმეურნეობები ---------- 347
-მეძიბნა ---------- 348
-ოქტომბრის გაერთიანებული კოლმეურნეობა ---------- 350
49. მოწინავე მშრომელთა დაფასებისათვის ---------- 350
50. მთავარი საზრუნავი - განათლება ---------- 357
-პირველი სკოლები რევოლუციის შემდეგ ---------- 359
-ქედის რაიონის პირველ სკოლებში მუშაობდნენ ---------- 359
-1932 წლის 4 თებერვალს ქედის რაიონის სკოლის გამგეებად დაინიშნენ-- 362
-1934 წლის 1 იანვრიდან სკოლის გამგეებად და მასწავლებლებად
დაინიშნენ ---------- 363
-წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ---------- 368
-ქედის სკოლა ---------- 371
-ქედის პედსასწავლებელი ---------- 373
-სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი ---------- 374
-დოლოგნის სკოლა ---------- 374
-უჩხითის სკოლა ---------- 374
-აწჰესის სკოლა ---------- 375
-პირველი მაისის სკოლა ---------- 375
-მახუნცეთის სკოლა ---------- 375
-ოქტომბრის სკოლა ---------- 376
-ვაიოს სკოლა ---------- 377
-ზვარის სკოლა ---------- 377
-წონიარისის სკოლა ---------- 377
-ხარაულის სკოლა ---------- 378
-დანდალოს სკოლა ---------- 379
-ჯალაბაშვილების სკოლა ---------- 379
-გოგიაშვილების სკოლა ---------- 379
-ძენწმანის სკოლა ---------- 380
-სოფ.ცხმორისის სკოლა ---------- 380
-ცხმორისის სკოლა 1934-2007წ. 2007 წლიდან ახოს №1 საჯაროს სკოლა — 381
-სოფ. ახოს სკოლა ---------- 382
-გეგელიძეების სკოლა ---------- 382
-კოკოტაურის სკოლა ---------- 383
-კვაშტის სკოლა ---------- 383
-ორცვის სკოლა ---------- 383
-აგარის სკოლა ---------- 384
-აქუცის სკოლა ---------- 384
-ინაშარიძეების სკოლა ---------- 384
-ზედა ბზუბზუს სკოლა ---------- 384
-მერისის სკოლა ---------- 384
-მეძიბნის სკოლა ---------- 385
-კოლოტაურის სკოლა ---------- 386
-რაიონის განათლების სამსახურის უფროსები ---------- 386
-საქართველოს დამსახურებული მასწავლებლები ---------- 388
-აჭარის დამსახურებული მასწავლებლები ---------- 388
-ქედის რაიონის ბაგა-ბაღები ---------- 390
51. კულტურა და ხელოვნება ---------- 391

-ქედის მუზეუმი ---------- 426
-ქედის არქივი ---------- 426
-რადიო ტელევიზია ---------- 427
-ქედის რაიონული გაზეთი ---------- 428
52. მუზის მსახურნი ქედის რაიონში ---------- 433
-ალექსანდრე ანანიძე ---------- 433
-შოთა ანანიძე ---------- 433
-ლევან ანანიძე ---------- 434
-რეზო თებიძე ---------- 434
-სერგო სამნიძე ---------- 435
-ანზორ ლორთქიფანიძე ---------- 435
-გურამ არძენაძე ---------- 436
-ნათელა დუმბაძე ---------- 436
53. ვიაროთ ჭეშმარიტი გზით ---------- 437
54. ქედის რაიონი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ---------- 441
55. ქედელები საქვეყნო ასპარეზზე ---------- 446
56. ქედელები სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამსახურში- 502
57. დეპუტატები ქედის რაიონიდან ---------- 503
-სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ---------- 503
-საქართველოს უმაღლეს საბჭოში ---------- 505
-საქართველოს პარლამენტში ---------- 505
-აჭარის უმაღლეს საბჭოში ---------- 507
-აჭარის უმაღლეს საბჭოში 1991 წლიდან ---------- 510
58. ქედის რაიონი ძველი გაზეთებიდან ---------- 510
59. სხვადასხვა დანართი 1. ---------- 520
დანართი 2. ---------- 522
დანართი 3. ---------- 523
60. ქედის საპატიო მოქალაქეები ---------- 528
61. შალვა აბაშიძე ---------- 529
62. გამოყენებული ლიტერატურა ---------- 531

მთავარი რედაქტორი: თამაზ აბულაძე
რედაქტორები: შაქრო ჩიკვაიძე
მერი დიასამიძე

რეცენზენტები: ნოდარ ბასილაძე
ბიჭიკო დიასამიძე
სერგო დუმბაძე
ოთარ თურმანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რადაქტორი:

მედეა ზოსიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.07..2017

ქაღალდის ზომა 60X84 1/8

ფიზიკური თაბახი 67,57

ტირაჟი: 500

წიგნი დაიბეჭდა შპს„პოლიგრაფ 2010”-ს სტამბაში

ბათუმი, ა. აბაშიძის ჩიხი I სახლი 13

მთა მორვილი
1726
ლატევრი
1816
წონიარისი
გობრონეთი
ახო
გეგელიძეები
ბალაძეები
ვარჯანისი
ცხმორისი
დანდალო
ჯალაბა
ზვარეს ჯაჭვ
სირაბიძეები
აბუქეთა
სოფ. ცხმორისი
კოკოტაური
ხარაულა
ზვარე
კანტაური
ზესოფელი
კვაშტა
ტაკიძეები
ვაჩო
ზენდიდის ციხე
ზედა აგარა
გულები
ზენდიდი
ხუნკუდა
ქედა
ქვედა აგარა
ციხასულა
ცხემნა
აქუცა
ინაშარიძეები
ზუნდაგა
პირველი მაისი
კორომხეთი
ძენწმანი
კუჭულა
ორცვა
შევაბური
ბერისი
სილიბური
ხევბნარა
ქვემო თევნარა
მახუნცეთის ჩანჩქერი
ზედა მახუნცეთი
კოლოტაური
გოგინიძეები
გუნდაური
ქვედა მახუნცეთი
მახუნცეთის ხიდი
მეძიბნა
სიხალიძეები
ქალათი
ნამონასტრევი
ქინკაძეები
ქვედა ბზუბზუ
მთა წიფეკერვანი
1258
ჩანჩ. გარეკუნი
მთა წინაველა
2194
ნამლისევი
ზედა ბზუბზუ
ქოსოფელი
მთა ფიდვაკე
1650
ნაქერვალი
ბანისწყალი
ლიდელელე
მილისი
უჩხითი
კოსლითავი
სვანეთი
მთა ნაკონაღვარი
1850
მთა კოსლითავი
2202
ლოდნარი
სასადილო
ლოდნარი
მთა კორდა
2371